კვებეკის სამოქალაქო კოდექსი

CIVIL CODE OF QUÉBEC

(2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

თარგმანი ინგლისური ენიდან ზურაბ ჭეჭელაშვილისა

თბილისი
2017

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი
გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
გამოცემის წელი: 2017 წ.

მთარგმნელი და რედაქტორი: ზურაბ ჭეჭელაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ლომსაძე
დაიბეჭდა გამომცემლობაში შპს „სვეტი“

© კვებეკის სამოქალაქო კოდექსი
© გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

ISBN 978-9941-9500-7-0

შინაარსი

წინათქმა 30

შესავალი დებულება 32

წიგნი პირველი
პირები

ტიტული 1 — სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა და მათი რეალიზაცია 33

ტიტული 2 — განსაზღვრული პირადი უფლებები 34

თავი 1 — პირის ხელშეუვალობა 34
განყოფილება 1 — მოვლა-პატრონობა....34
განყოფილება 2 — ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში მოთავსება და ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასება 38

თავი 2 — ბავშვების უფლებების პატივისცემა 41

თავი 3 — რეპუტაციისა და კერძო ცხოვრების პატივისცემა 41

თავი 4 — გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სხეულის პატივისცემა 42

ტიტული 3 — პირთა სტატუსთან დაკავშირებული განსაზღვრული ელემენტები....44

თავი 1 — სახელი 44
განყოფილება 1 — სახელის მინიჭება 44
განყოფილება 2 — სახელის გამოყენება 45
განყოფილება 3 — სახელის შეცვლა 45
§ 1. — ზოგადი დებულება 45
§ 2. — სახელის შეცვლა ადმინისტრაციული საქმის წარმოების გზით 45
§ 3. — სახელის შეცვლა სასამართლოში საქმის წარმოების გზით47
§ 4. — სახელის შეცვლის შედეგები 47
განყოფილება 4 — სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლა 48
განყოფილება 5 — გადაწყვეტილებების გადასინჯვა 48

თავი 2 — საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი 49

თავი 3 — უგზო-უკვლოდ დაკარგვა და გარდაცვალება.....50
განყოფილება 1 — უგზო-უკვლოდ დაკარგვა.....50
განყოფილება 2 — გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება 51
განყოფილება 3 — გარდაცვლილად აღიარებული პირის დაბრუნება 52
განყოფილება 4 — გარდაცვალების ფაქტის მტკიცება 53

თავი 4 — სამოქალაქო რეესტრი და ჩანაწერები 53
განყოფილება 1 — სამოქალაქო რეესტრის მოხელე 53
განყოფილება 2 — სამოქალაქო რეესტრი 53
განყოფილება 3 — სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერები 54
§ 1. — ზოგადი დებულებები 54
§ 2. — დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერები 54
§ 3. — ქორწინების სარეგისტრაციო ჩანაწერები 55
§ 3.1. — სამოქალაქო კავშირის სარეგისტრაციო ჩანაწერები.....56
§ 4. — გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერები 56
განყოფილება 4 — სამოქალაქო რეესტრის ცვლილება 57
§ 1. — ზოგადი დებულება 57
§ 2. — ჩანაწერებისა და აღნიშვნების მომზადება.....58
§ 3. — ჩანაწერისა და რეესტრის შესწორება და აღდგენა 61
განყოფილება 5 — სამოქალაქო რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება.....61
განყოფილება 6 — სამოქალაქო რეესტრის მონაცემების შენახვასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მომწესრიგებელი უფლებამოსილებები.....63

ტიტული 4 — პირების ქმედუნარიანობა.....64

თავი 1 — სრულწლოვანება და არასრულწლოვანება 64
განყოფილება 1 — სრულწლოვანება 64
განყოფილება 2 — არასრულწლოვანება.....64
განყოფილება 3 — ემანსიპაცია 66
§ 1. — მარტივი ემანსიპაცია 66
§ 2. — სრული ემანსიპაცია.....67

თავი 2 — არასრულწლოვანთა მეურვეობა.....67
განყოფილება 1 — მეურვეობა 67
განყოფილება 2 — იურიდიული მეურვეობა 69
განყოფილება 3 — მინიჭებული მეურვეობა 70
განყოფილება 4 — მეურვეების მიერ ქონების მართვა.....71

განყოფილება 5 — სამეურვეო საბჭო 74
§ 1. — საბჭოს როლი და მისი დაფუძნება 74
§ 2. — საბჭოს უფლებები და ვალდებულებები.....76
განყოფილება 6 — მეურვეობის ზედამხედველობა 77
§ 1. — ინვენტარიზაცია 77
§ 2. — უზრუნველყოფა.....77
§ 3. — შეტყობინებები და ანგარიშები.....78
განყოფილება 7 — მეურვის შეცვლა და მეურვეობის შეწყვეტა.....79

თავი 3 — სრული ასაკის პირების დაცვითი ზედამხედველობა 80
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 80
განყოფილება 2 — დაცვითი ზედამხედველობის დადგენა.....82
განყოფილება 3 — სრული ასაკის პირებზე მზრუნველობა.....85
განყოფილება 4 — სრული ასაკის პირების მეურვეობა 85
განყოფილება 5 — სრული ასაკის პირების მრჩევლები.....86
განყოფილება 6 — დაცვითი ზედამხედველობის შეწყვეტა.....87

ტიტული 5 — იურიდიული პირები.....88

თავი 1 — სამართალსუბიექტურობა 88
განყოფილება 1 — იურიდიული პირების დაფუძნება და სახეები.....88
განყოფილება 2 — სამართალსუბიექტურობის სამართლებრივი შედეგები 88
განყოფილება 3 — დირექტორების ვალდებულებები და დირექტორად დანიშვნის დაუშვებლობა.....91
განყოფილება 4 — სუბიექტურობის მინიჭება სასამართლოს მიერ....93

თავი 2 — განსაზღვრული იურიდიული პირების მიმართ გამოსაყენებელი ნორმები.....93
განყოფილება 1 — იურიდიული პირების ფუნქციონალური სტრუქტურა.....94
§ 1. — მართვა.....94
§ 2. — საერთო კრება 95
§ 3. — დირექტრთა კრებებისა და საერთო კრებების საერთო დებულებები.....96
განყოფილება 2 — იურიდიული პირების გაუქმება და ლიკვიდაცია.97

წიგნი მეორე
ოჯახი

ტიტული 1 — ქორწინება.....99

თავი 1 — ქორწინება და ქორწინების საზეიმო აღნიშვნა 99

თავი 2 — ქორწინების მტკიცება 102

თავი 3 — ქორწინების ბათილობა.....102

თავი 4 — ქორწინების სამართლებრივი შედეგები 103
განყოფილება 1 — მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები.....104
განყოფილება 2 — ოჯახის საცხოვრებელი სახლი 105
განყოფილება 3 — ოჯახის ქონება 107
§ 1. — ოჯახის ქონების შექმნა.....107
§ 2. — ოჯახის ქონების გაყოფა.....108
განყოფილება 4 — საკომპენსაციო დანამატი 111

თავი 5 — მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი.....112
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 112
§ 1. — მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის არჩევა 112
§ 2. — მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმიდან გამომდინარე უფლებებისა და უფლებამოსილებების განხორციელება.....114
განყოფილება 2 — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობა.....115
§ 1. — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის შექმნა.....115
§ 2. — ქონების მართვა და პასუხისმგებლობა ვალებისათვის.....117
§ 3. — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმება და ლიკვიდაცია 118
განყოფილება 3 — მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი.122
§ 1. — მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი შეთანხმების საფუძველზე 122
§ 2. — მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.....122
განყოფილება 4 — მეუღლეთა გაერთიანებული ქონების რეჟიმები (COMMUNITY REGIMES) 123

თავი 6 — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება 123
განყოფილება 1 — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საფუძვლები.....123
განყოფილება 2 — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საქმის წარმოება.....124
§ 1. — ზოგადი დებულება 124
§ 2. — განცხადება და მტკიცებულება 124
§ 3. — საუზრუნველყოფო ღონისძიებები.....124
§ 4. — საქმის წარმოების გადავადება და მხარეთა მორიგება 125

განყოფილება 3 — განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები მეუღლეთა შორის 125
განყოფილება 4 — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები შვილების მიმართ.....126
განყოფილება 5 — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულება 127

თავი 7 — ქორწინების შეწყვეტა.....127
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 127
განყოფილება 2 — განქორწინების სამართლებრივი შედეგები.....127

ტიტული 1.1 — სამოქალაქო კავშირი.....128

თავი 1 — სამოქალაქო კავშირის შექმნა 128

თავი 2 —სამოქალაქო კავშირის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები 129

თავი 3 — სამოქალაქო კავშირის ბათილობა 130

თავი 4 — სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა 130

ტიტული 2 — ნათესაური კავშირი 133
ზოგადი დებულება 133

თავი 1 — სისხლით ნათესაური კავშირი 133
განყოფილება 1 — ნათესაური კავშირის მტკიცება.....133
§ 1. — სტატუსის დასახელება და ფლობა.....133
§ 2. — მამობის პრეზუმფცია 133
§ 3. — ნებაყოფლობითი აღიარება.....134
განყოფილება 2 — ნათესაურ კავშირთან დაკავშირებული სარჩელები.....134

თავი 1.1 — ხელოვნური განაყოფიერების გზით (ASSISTED PROCREATION) დაბადებული ბავშვის ნათესაური კავშირი 136

თავი 2 — შვილად აყვანა 138
განყოფილება 1 — შვილად აყვანის პირობები 138
§ 1. — ზოგადი დებულებები 138
§ 2. — შვილად ასაყვანი პირის თანხმობა 139
§ 3. — მშობლების ან მეურვის თანხმობა.....139

§ 4. — შვილად აყვანისათვის შესაფერისობის დეკლარირება 140
§ 5. — კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანის სპეციალური პირობები 141
განყოფილება 2 — შვილად აყვანის განკარგულების მიღება და სასამართლოს გადაწყვეტილება 141
განყოფილება 3 — შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები 144
განყოფილება 4 — შვილად აყვანის საქმის მასალების კონფიდენციალურობა 145

ტიტული 3 — დახმარების ვალდებულება 146

ტიტული 4 — მშობლის უფლება 149

წიგნი მესამე
მემკვიდრეობა

ტიტული 1 — სამკვიდროს გახსნა და მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო თვისებები 152

თავი 1 — სამკვიდროს გახსნა 152
თავი 2 — მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო თვისებები 153

ტიტული 2 — ქონების მემკვიდრეობით გადასვლა 154

თავი 1 — სამკვიდროს მიღება (SEISIN) 154

თავი 2 — განაცხადი მემკვიდრეობის მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები ქონების მემკვიდრეობით გადასვლის მიმართ 155

თავი 3 — არჩევანის უფლება 155
განყოფილება 1 — მოფიქრება და არჩევანის გაკეთება 155
განყოფილება 2 — სამკვიდროს მიღება 156
განყოფილება 3 — სამკვიდროს მიღებაზე უარი 158

ტიტული 3 — ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობით გადასვლა 159

თავი 1 — მემკვიდრის სტატუსი 159

თავი 2 — ნათესაობა 159

თავი 3 — მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით (REPRESENTATION) 160

თავი 4 — მემკვიდრეობის გადასვლის რიგითობა 161
განყოფილება 1 — მემკვიდრეობის გადასვლა ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და შთამომავლებზე 161
განყოფილება 2 — მემკვიდრეობის გადასვლა ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და აღმავალი ან გვერდითა ხაზებით პრივილეგირებულ ნათესავებზე 162
განყოფილება 3 — მემკვიდრეობის გადასვლა ჩვეულებრივი აღმავალი და გვერდითა ხაზებით ნათესავებზე 163

თავი 5 — დახმარების გაწევის ვალდებულების შენარჩუნება 164

თავი 6 — სახელმწიფოს უფლებები 166

ტიტული 4 — ანდერძები 167

თავი 1 — ანდერძების ბუნება 167

თავი 2 — ანდერძის შედგენისათვის აუცილებელი ქმედუნარიანობა . 168

თავი 3 — ანდერძების ფორმები 169
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 169
განყოფილება 2 — სანოტარო ანდერძები 169
განყოფილება 3 — საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძები 171
განყოფილება 4 — მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძები 171

თავი 4 — საანდერძო განკარგულებები და ლეგატარები 172
განყოფილება 1 — სხვადასხვა სახის ლეგატები 172
განყოფილება 2 — ლეგატარები 173
განყოფილება 3 — ლეგატების სამართლებრივი ძალა 174
განყოფილება 4 — ლეგატების ძალადაკარგულად გამოცხადება და მათი ბათილობა 175

თავი 5 — ანდერძებისა და ლეგატების გამოხმობა 177

თავი 6 — ანდერძების მტკიცება და სასამართლოს მიერ დადასტურება 179

ტიტული 5 — მემკვიდრეობის ლიკვიდაცია 180

თავი 1 — ლიკვიდაციის ობიექტი და საგვარეულო ქონებათა დაყოფა ... 180

თავი 2 — მემკვიდრეობის ლიკვიდატორი 181
განყოფილება 1 — ლიკვიდატორის დანიშვნა და მისი მოვალეობები 181
განყოფილება 2 — ქონების ინვენტარიზაცია 183
განყოფილება 3 — ლიკვიდატორის ფუნქციები 184

თავი 3 — ვალებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატების გადახდა 185
განყოფილება 1 — ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული გადახდა 185
განყოფილება 2 — კრედიტორებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების სარჩელი 187

თავი 4 — ლიკვიდაციის დასრულება 188
განყოფილება 1 — ლიკვიდატორის ანგარიში 188
განყოფილება 2 — მემკვიდრეებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების ვალდებულებები ლიკვიდაციის შემდეგ 189

ტიტული 6 — მემკვიდრეობის გაყოფა 191

თავი 1 — მემკვიდრეობის გაყოფის უფლება 191

თავი 2 — მემკვიდრეობის გაყოფის ხერხები 193
განყოფილება 1 — წილთა შედგენა 193
განყოფილება 2 — წილთა პრივილეგირებული განაწილება და დავა 194
განყოფილება 3 — უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების (titles) გადაცემა

თავი 3 — ქონების დაბრუნება (return) 196
განყოფილება 1 — საჩუქრებისა და ლეგატების დაბრუნება 196
განყოფილება 2 — ვალების დაბრუნება 198

თავი 4 — ქონების გაყოფის სამართლებრივი შედეგები 199
განყოფილება 1 — ქონების გაყოფის უფლებადამდგენი (declaratory) სამართლებრივი შედეგი 199
განყოფილება 2 — გაყოფის თანამონაწილეთა გარანტია 200

თავი 5 — მემკვიდრეობის გაყოფის ბათილობა 201

წიგნი მეოთხე
ქონება

ზოგადი დებულება 202

ტიტული 1 — ქონების სახეები და მისი მისაკუთრება 202

თავი 1 — ქონების სახეები 202

თავი 2 — ქონება იმ ობიექტებთან მიმართებაში, რასაც ის აწარმოებს 203

თავი 3 — ქონება იმ პირებთან მიმართებაში, რომლებსაც ეკუთვნით მასზე უფლებები ან აქვთ მასზე მფლობელობა 204

თავი 4 — ქონებასთან დაკავშირებული განსაზღვრული დე ფაქტო ურთიერთობები 206
განყოფილება 1 — მფლობელობა 206
§ 1. — მფლობელობის ბუნება 206
§ 2. — მფლობელობის სამართლებრივი შედეგები 207
განყოფილება 2 — უპატრონო ქონების შეძენა 208
§ 1. — მესაკუთრის გარეშე არსებული ნივთები 208
§ 2. — დაკარგული ან დავიწყებული მოძრავი ნივთები 208

ტიტული 2 — საკუთრების უფლება 210
თავი 1 — საკუთრების უფლების ბუნება და ფარგლები 210

თავი 2 — მიმატება 211
განყოფილება 1 — უძრავი ქონების მიმატება 211
§ 1. — ხელოვნური მიმატება 211
§ 2. — ბუნებრივი მიმატება 213
განყოფილება 2 — მოძრავი ქონების მიმატება 214

თავი 3 — უძრავ ქონების მომწესრიგებელი სპეციალური წესები 214
განყოფილება 1 — ზოგადი დებულება 214
განყოფილება 2 — მიწის ფარგლები და სასაზღვრო მიჯნები 215
განყოფილება 3 — წყლები 215
განყოფილება 4 — ხეები 216
განყოფილება 5 — სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთში შესვლის უფლება და მიწის ნაკვეთის დაცვა 217
განყოფილება 6 — ხედები 218
განყოფილება 7 — გზის უფლება 218
განყოფილება 8 — საერთო ღობეები და საინჟინრო ნაგებობები 219

ტიტული 3 — საკუთრების უფლების ფორმები 220

თავი 1 — ზოგადი დებულებები 220

თავი 2 — იდეალური საერთო საკუთრება 221
განყოფილება 1 — იდეალური საერთო საკუთრების დადგენა 221
განყოფილება 2 — თანამესაკუთრეთა უფლებები და ვალდებულებები 221
განყოფილება 3 — იდეალური საერთო საკუთრების მართვა 223
განყოფილება 4 — იდეალური საერთო საკუთრების შეწყვეტა და ქონების გაყოფა 224

თავი 3 — საერთო წილადი საკუთრება უძრავ ქონებაზე 225
განყოფილება 1 — საერთო წილადი საკუთრების დადგენა 225
განყოფილება 2 — საერთო საკუთრების დანაყოფები 226
განყოფილება 3 — საერთო საკუთრების შესახებ განცხადება 228
§ 1. — განცხადების შინაარსი 228
§ 2. — განცხადების რეგისტრაცია 229
განყოფილება 4 — თანამესაკუთრეების უფლებები და ვალდებულებები 230
განყოფილება 5 — სინდიკატის უფლებები და ვალდებულებები 231
განყოფილება 6 — სინდიკატის დირექტორთა საბჭო 234
განყოფილება 7 — თანამესაკუთრეთა საერთო კრება 234
განყოფილება 8 — მენაშენის მიერ სინდიკატზე კონტროლის დაკარგვა 237
განყოფილება 9 — საერთო საკუთრების გაუქმება 238

თავი 4 — აღნაგობა 238
განყოფილება 1 — აღნაგობის დადგენა 238
განყოფილება 2 — აღნაგობის გაუქმება 239

ტიტული 4 — დანაწევრებული საკუთრების უფლება 240
ზოგადი დებულება 240

თავი 1 — ზოგადი დებულება 240
განყოფილება 1 — უზუფრუქტის ბუნება 240
განყოფილება 2 — უზუფრუქტუარის უფლებები 241
§ 1. — უზუფრუქტის ფარგლები 241
§ 2. — დანახარჯები 243
§ 3. — ხეები და სასარგებლო წიაღისეული 243
განყოფილება 3 — უზუფრუქტუარის ვალდებულებები 244

§ 1. — ინვენტარიზაცია და უზრუნველყოფა 244
§ 2. — დაზღვევა და რემონტი 245
§ 3. — სხვა ვალდებულებები 246
განყოფილება 4 — უზუფრუქტის გაუქმება 247

თავი 2 — სარგებლობის უფლება 249

თავი 3 — სერვიტუტები 250
განყოფილება 1 — სერვიტუტების ბუნება 250
განყოფილება 2 — სერვიტუტების განხორციელება 251
განყოფილება 3 — სერვიტუტების გაუქმება 252

თავი 4 — ემფიტევზისი 253
განყოფილება 1 — ემფიტევზისის ბუნება 253
განყოფილება 2 — ემფიტევტისა და მესაკუთრის უფლებები და ვალდებულებები 254
განყოფილება 3 — ემფიტევზისის გაუქმება 255

ტიტული 5 — განსაზღვრული ქონების თავისუფალი განკარგვის შეზღუდვები 256

თავი 1 — ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმებები 256

თავი 2 — სუბსტიტუცია 257
განყოფილება 1 — სუბსტიტუციის ბუნება და მოცულობა 257
განყოფილება 2 — სუბსტიტუციები მათ გახსნამდე 258
§ 1. — ვალდებული მემკვიდრის უფლებები და ვალდებულებები 258
§ 2. — სუბსტიტუტის უფლებები 260
განყოფილება 3 — სუბსტიტუციის გახსნა 261
განყოფილება 4 — სუბსტიტუცია მისი გახსნის შემდეგ 261
განყოფილება 5 — სუბსტიტუციის შეწყვეტა და გაუქმება 263

ტიტული 6 — მიკუთვნებით განსაზღვრული ქონებები 263

თავი 1 — ფონდი 263
თავი 2 — ტრასტი 264
განყოფილება 1 — ტრასტის ბუნება 264
განყოფილება 2 — სხვადასხვა სახის ტრასტი და მათი ხანგრძლივობა 265
განყოფილება 3 — ტრასტის მართვა 266
§ 1. — მინდობილი მესაკუთრის დანიშვნა და მასზე დაკისრებული მოვალეობები 266

§ 2. — ბენეფიციარი და მისი უფლებები 267
§ 3. — მეთვალყურეობისა და კონტროლის მექანიზმები 268
განყოფილება 4 — ტრასტისა და ქონების შეცვლა.....269
განყოფილება 5 — ტრასტის გაუქმება 270

ტიტული 7 — სხვა პირების ქონების მართვა 271

თავი 1 — ზოგადი დებულებები.....271

თავი 2 — მართვის ფორმები.....271
განყოფილება 1 — სხვა პირების ქონების მარტივი მართვა.....271
განყოფილება 2 — სხვა პირების ქონების სრული მართვა 272

თავი 3 — მართვის წესები 272
განყოფილება 1 — მმართველის ვალდებულებები ბენეფიციარის მიმართ 272
განყოფილება 2 — მმართველისა და ბენეფიციარის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ 274
განყოფილება 3 — ინვენტარიზაცია, უზრუნველყოფა და დაზღვევა.....275
განყოფილება 4 — ერთობლივი მართვა და ნაკისრი მოვალეობების დელეგირება 277
განყოფილება 5 — გონივრულად ნავარაუდევი ინვესტიციები 278
განყოფილება 6 — მოგებისა და დანახარჯების განაწილება 281
განყოფილება 7 — ყოველწლიური ანგარიშგება.....282

თავი 4 — მართვის შეწყვეტა.....282
განყოფილება 1 — მართვის შეწყვეტის საფუძვლები 282
განყოფილება 2 — ანგარიშის წარდგენა და ქონების მიწოდება.....284

წიგნი მეხუთე
ვალდებულებები

ტიტული 1 — ვალდებულებები ზოგადად.....286

თავი 1 — ზოგადი დებულებები.....286

თავი 2 — ხელშეკრულებები.....287
განყოფილება 1 — ზოგადი დებულება 287
განყოფილება 2 — ხელშეკრულებების ბუნება და განსაზღვრული სახეები.....287
განყოფილება 3 — ხელშეკრულებების დადება.....289

§ 1. — ხელშეკრულებების დადების პირობები.....289
I. — ზოგადი დებულება 289
II. — თანხმობა.....289
III. — ქმედუნარიანობა.....292
IV. — ხელშეკრულებების კაუზა 292
V. — ხელშეკრულებების საგანი 293
VI. — ხელშეკრულებების ფორმა.....293
§ 2. — ხელშეკრულებების დადების პირობების სანქცია 293
I. — ბათილობის ბუნება.....293
II. — ბათილობის სამართლებრივი შედეგი 294
III. — ხელშეკრულების დადასტურება.....294
განყოფილება 4 — ხელშეკრულებების განმარტება.....294
განყოფილება 5 — ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები....295
§ 1. — ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები მხარეთა შორის 295
I. — ზოგადი დებულება 295
II. — ხელშეკრულებების მბოჭავი ძალა და შინაარსი.....295
§ 2. — ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები მესამე პირთა მიმართ.....296
I. — ზოგადი დებულებები 296
II. — შეპირება სხვა პირისათვის.....297
III. — შეთანხმება სხვა პირის სასარგებლოდ.....297
IV. — თვალთმაქცობა 298
§ 3. — ზოგიერთი ხელშეკრულების სპეციალური სამართლებრივი შედეგები.....298
I. — სანივთო უფლებების გადაცემა.....298
II. — ნაყოფი და შემოსავლები, ქონებასთან დაკავშირებული რისკები 299

თავი 3 — სამოქალაქო პასუხისმგებლობა.....299
განყოფილება 1 — პასუხისმგებლობის პირობები.....299
§ 1. — ზოგადი დებულებები 299
§ 2. — სხვა პირის მოქმედება ან ბრალი 300
§ 3. — ნივთის მოქმედება 301
განყოფილება 2 — პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების განსაზღვრული შემთხვევები.....302
განყოფილება 3 — პასუხისმგებლობის განაწილება 303

თავი 4 — ვალდებულებების წარმოშობის განსაზღვრული სხვა წყაროები.....304
განყოფილება 1 — დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება.....304

განყოფილება 2 — ვალდებულების გარეშე გადახდილი
თანხის მიღება 305
განყოფილება 3 — უსაფუძვლო გამდიდრება....305

თავი 5 — ვალდებულებების სახეცვლილებები....306
განყოფილება 1 — მარტივი სახეცვლილებები....306
§ 1. — პირობითი ვალდებულებები....306
§ 2. — ვადიანი ვალდებულებები....307
განყოფილება 2 — რთული სახეცვლილებები 309
§ 1. — ვალდებულებები მრავალი პირის მონაწილეობით....309
I. — ერთობლივი, დაყოფადი და დაუყოფადი ვალდებულებები..309
II. — სოლიდარული ვალდებულებები....309
§ 2. — ვალდებულებები მრავალი საგნით....313
I. — ალტერნატიული ვალდებულებები....313
II. — ფაკულტატიური ვალდებულებები....314

თავი 6 — ვალდებულებების შესრულება....314
განყოფილება 1 — გადახდა....314
§ 1. — გადახდა ზოგადად 314
§ 2. — გადახდის თანხის რამდენიმე ვალის ანგარიშში ჩათვლა..316
§ 3. — შესრულების შეთავაზება და თანხის დეპონირება 317
განყოფილება 2 — შესრულების იძულების უფლება....320
§ 1. — ზოგადი დებულება 320
§ 2. — გამონაკლისი შეუსრულებლობისათვის და
დაკავების უფლება....321
§ 3. — ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება....321
§ 4. — ნატურით შესრულება 323
§ 5. — ხელშეკრულებების გაუქმება ან შეწყვეტა და
ვალდებულებების შემცირება....323
§ 6. — ეკვივალენტური შესრულება 324
I. — ზოგადი დებულებები 324
II. — ასანაზღაურებელი ზარალის შეფასება....324
განყოფილება 3 — ვალდებულების შესრულების უფლების დაცვა 327
§ 1. — დაცვითი ღონისძიებები....327
§ 2. — არაპირდაპირი სარჩელი 327
§ 3. — პაულიანეს სარჩელი (Paulian action)....328

თავი 7 — ვალდებულებების გადაცემა და შეცვლა 329
განყოფილება 1 — მოთხოვნების დათმობა 329
§ 1. — მოთხოვნების დათმობა ზოგადად....329
§ 2. — საწარმდგენლო ფასიან ქაღალდში გამოსახული
მოთხოვნების დათმობა 331

განყოფილება 2 — სუროგაცია 331
განყოფილება 3 — ნოვაცია....333
განყოფილება 4 — დელეგაცია 334

თავი 8 — ვალდებულებების შეწყვეტა 335
განყოფილება 1 — ზოგადი დებულება 335
განყოფილება 2 — გაქვითვა 335
განყოფილება 3 — კონფუზია 336
განყოფილება 4 — ვალის პატიება....337
განყოფილება 5 — შესრულების შეუძლებლობა 338
განყოფილება 6 — მოვალის ვალდებულებისაგან
გათავისუფლება 338

თავი 9 — შესრულებულის უკან დაბრუნება....339
განყოფილება 1 — გარემოებები, რომელთა არსებობისას ხდება
შესრულებულის უკან დაბრუნება 339
განყოფილება 2 — შესრულებულის უკან დაბრუნების ფორმები....340
განყოფილება 3 — შესრულებულის უკან დაბრუნების
სამართლებრივი შედეგები მესამე პირების მიმართ 341

ტიტული 2 — კანონით მოწესრიგებული ხელშეკრულებები....342

თავი 1 — ნასყიდობა 342
განყოფილება 1 — ნასყიდობა ზოგადად 342
§ 1. — ზოგადი დებულებები 342
§ 2. — შეპირება....342
§ 3. — სხვა პირის კუთვნილი ქონების ნასყიდობა....343
§ 4. — გამყიდველის ვალდებულებები 343
1 — ნივთის გადაცემა 343
2 — საკუთრების გარანტია....344
3 — ხარისხის გარანტია....344
4 — სახელშეკრულებო გარანტია 345
§ 5. — მყიდველის ვალდებულებები 346
§ 6. — მხარეთა უფლებების განხორციელებასთან
დაკავშირებული სპეციალური წესები 346
1 — მყიდველის უფლებები....346
2 — გამყიდველის უფლებები....347
§ 7. — ნასყიდობის სხვადასხვა ფორმები....348
1 — ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით (Trial sales) 348
2 — ნასყიდობა გადახდის განვადებით 348
3 — ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით 349
4 — ნასყიდობა აუქციონის გზით....351

§ 8. — გაუქმებულია 352
§ 9. — განსაზღვრული არამატერიალუარი ქონებრივი სიკეთის ნასყიდობა 353
1 — მემკვიდრეობის უფლებების ნასყიდობა 353
2 — სადავო უფლებების ნასყიდობა 353
განყოფილება 2 — საცხოვრებელი ფართის ნასყიდობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები 354
განყოფილება 3 — ნასყიდობის მსგავსი სხვადასხვა ხელშეკრულებები 356
§ 1. — გაცვლა 356
§ 2. — ქონების გადაცემა გადახდის სანაცვლოდ 356
§ 3. — გასხვისება ქირის თანხის სანაცვლოდ 357

თავი 2 — ჩუქება 358
განყოფილება 1 — ჩუქების ბუნება და ფარგლები 358
განყოფილება 2 — ჩუქებასთან დაკავშირებული განსაზღვრული პირობები 359
§ 1. — ქონების გაჩუქებისა და ნაჩუქრობის მიღების უნარი 359
§ 2. — ჩუქების ნამდვილობის მომწესრიგებელი განსაზღვრული ნორმები 359
§ 3. — ჩუქების ფორმა და პუბლიკაცია 360
განყოფილება 3 — მხარეთა უფლებები და ვალდებულებები 360
§ 1. — ზოგადი დებულებები 360
§ 2. — გამჩუქებლის ვალები 361
§ 3. — მესამე პირების სასარგებლოდ დათქმული ვალდებულებები 361
განყოფილება 4 — ჩუქების გაუქმება უმადურობის გამო 362
განყოფილება 5 — საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ჩუქება 362

თავი 3 — ლიზინგი 363

თავი 4 — ქირავნობა 364
განყოფილება 1 — ქირავნობის ბუნება 364
განყოფილება 2 — ქირავნობიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები 365
§ 1. — ზოგადი დებულებები 365
§ 2. — რემონტი 367
§ 3. — ნივთის ქვექირავნობა და ქირავნობის უფლების დათმობა 368
განყოფილება 3 — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა 369
განყოფილება 4 — საცხოვრებელი ფართების ქირავნობასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმები 372

§ 1. — განცხადება 372
§ 2. — ქირავნობა 373
§ 3. — ქირა 375
§ 4. — საცხოვრებელი პირობები 376
§ 5. — საცხოვრებელი ფართის განსაზღვრული ცვლილებები 378
§ 6. — საცხოვრებელ ფართში შესვლა და მისი მონახულება 380
§ 7. — დაკავებული ფართის შენარჩუნების უფლება 381
I. — უფლების მოსარგებლეები 381
II. — ქირავნობის ხელშეკრულების განახლება და შეცვლა 382
III. — ქირავნობის ხელშეკრულების პირობების დადგენა 384
IV. — საცხოვრებელი ფართის უკან დაბრუნება და მისი გათავისუფლება 386
§ 8. — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა 388
§ 9. — განსაზღვრულ ქირავნობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები 391
I. — საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება 391
II. — იაფფასიანი საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება 392
III. — ავტოფურგონის განთავსებისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება 395

თავი 5 — ფრახტირება 396
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 396
განყოფილება 2 — ფრახტირების სხვადასხვა ხელშეკრულებების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები 397
§ 1. — ბერბოუთ-ჩარტერი 397
§ 2. — თაიმ-ჩარტერი 398
§ 3. — სარეისო ჩარტერი 399

თავი 6 — გადაზიდვა-გადაყვანა 400
განყოფილება 1 — ყველა სახის ტრანსპორტირების მიმართ გამოსაყენებელი წესები 400
§ 1. — ზოგადი დებულებები 400
§ 2. — პირთა გადაყვანა 401
§ 3. — ნივთების გადაზიდვა 402
განყოფილება 2 — წყალზე ნივთების გადაზიდვის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები 405
§ 1. — ზოგადი დებულებები 405
§ 2. — მხარეთა ვალდებულებები 406
§ 3. — ნივთების ოპერირება 409

თავი 7 — შრომითი ხელშეკრულება 410

თავი 8 — ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულება 412
განყოფილება 1 — ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება
და ფარგლები.....412
განყოფილება 2 — მხარეთა უფლებები და ვალდებულებები 412
§ 1. — მომსახურებისა და სამუშაოების მიმართ
მოქმედი ზოგადი დებულებები.....412
§ 2. — სამუშაოებთან დაკავშირებული სპეციალური
დებულებები 414
I. — ზოგადი დებულებები 414
II. — უძრავი ქონების მიმართ განხორციელებული სამუშაოები.415
განყოფილება 3 — ხელშეკრულების შეწყვეტა 417

თავი 9 — დავალება.....418
განყოფილება 1 — დავალების სამართლებრივი ბუნება და
ფარგლები 418
განყოფილება 2 — მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები....419
§ 1. — რწმუნებულის ვალდებულებები მარწმუნებლის მიმართ .419
§ 2. — მარწმუნებლის ვალდებულებები რწმუნებულის მიმართ ...421
განყოფილება 3 — მხარეთა ვალდებულებები მესამე
პირების მიმართ.....422
§ 1. — რწმუნებულის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ 422
§ 2. — მარწმუნებლის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ ...423
განყოფილება 4 — დამცავი დავალებების მომწესრიგებელი
სპეციალური ნორმები.....424
განყოფილება 5 — დავალების გაუქმება.....426

თავი 10 — ამხანაგობისა და ასოციაციის ხელშეკრულებები 428
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 428
განყოფილება 2 — სოლიდარული პასუხისმგებლობის
საზოგადოებები.....429
§ 1. — პარტნიორების ურთიერთობები ერთმანეთს შორის
და პარტნიორების ურთიერთობები ამხანაგობასთან 429
§ 2. — ამხანაგობისა და პარტნიორების ურთიერთობები
მესამე პირებთან.....433
§ 3. — პარტნიორის თვისებების დაკარგვა.....434
§ 4. — ამხანაგობის გაუქმება და ლიკვიდაცია.....435
განყოფილება 3 — კომანდიტური საზოგადოებები.....436
განყოფილება 4 — არადეკლარირებული ამხანაგობები.....438
§ 1. — არადეკლარირებული ამხანაგობების დაფუძნება 438
§ 2. — პარტნიორების ურთიერთობები ერთმანეთს შორის.....439
§ 3. — პარტნიორების ურთიერთობები მესამე პირებთან.....439
§ 4. — არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულების
შეწყვეტა 440
განყოფილება 5 — ასოციაციები 442

თავი 11 — მიბარება 444
განყოფილება 1 — მიბარება ზოგადად.....444
§ 1. — ზოგადი დებულებები 444
§ 2. — შემნახველის ვალდებულებები 444
§ 3. — მიმბარებლის ვალდებულებები 445
განყოფილება 2 — აუცილებელი მიბარება 446
განყოფილება 3 — მიბარება სასტუმროში 446
განყოფილება 4 — სეკვესტრი 447

თავი 12 — სესხი.....449
განყოფილება 1 — სესხის ბუნება და სახეები.....449
განყოფილება 2 — თხოვება 449
განყოფილება 3 — მარტივი სესხი.....450

თავი 13 — თავდებობა 451
განყოფილება 1 — თავდებობის ბუნება, საგანი და ფარგლები 451
განყოფილება 2 — თავდებობის სამართლებრივი შედეგები.....453
§ 1. — სამართლებრივი შედეგები კრედიტორსა და
თავდებს შორის.....453
§ 2. — სამართლებრივი შედეგები მოვალესა და თავდებს შორის454
§ 3. — სამართლებრივი შედეგები თავდებ პირებს შორის.....455
განყოფილება 3 — თავდებობის შეწყვეტა 456

თავი 14 — ანიუტეტი.....456
განყოფილება 1 — ხელშეკრულების ბუნება და მისი მომწესრიგებელი
ნორმების ფარგლები 456
განყოფილება 2 — ხელშეკრულების ფარგლები.....457
განყოფილება 3 — ხელშეკრულების ცალკეული
სამართლებრივი შედეგები 458

თავი 15 — დაზღვევა.....461
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 461
§ 1. — დაზღვევის ხელშეკრულების ბუნება და
დაზღვევის სახეები 461
§ 2. — ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი.....462

§ 3. — დაზღვეული პირის განცხადებები და
გარანტიები არასაზღვაო დაზღვევაში 464
§ 4. — სპეციალური დებულება 465
განყოფილება 2 — პირების დაზღვევა 465
§ 1. — პოლისის შინაარსი 465
§ 2. — დაზღვევის ინტერესი 466
§ 3. — ასაკისა და რისკის შესახებ განცხადება 466
§ 4. — დაზღვევის ძალაში შესვლის თარიღი 467
§ 5. — პრემიები, ავანსები და დაზღვევის ხელახალი
ამოქმედება 467
§ 6. — დაზღვევის ხელშეკრულების შესრულება 469
§ 7. — ბენეფიციარებისა და სუროგატული
პოლისის მფლობელების დანიშვნა 471
I. — დანიშვნის პირობები 471
II. — დანიშვნის სამართლებრივი შედეგები 472
§ 8. — დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე
უფლების დათმობა ან იპოთეკით დატვირთვა 474
განყოფილება 3 — ზიანის დაზღვევა 474
§ 1. — ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის
საერთო დებულებები 474
I. — ანაზღაურების პრინციპი 474
II. — რისკის მნიშვნელოვანი ცვლილება 475
III. — პრემიის თანხის გადახდა 475
IV. — ზარალის შესახებ შეტყობინება და საზღაურის გადახდა ..476
V. — მოთხოვნის დათმობა 477
VI. — ხელშეკრულების გაუქმება 477
§ 2. — ქონების დაზღვევა 478
I. — პოლისის შინაარსი 478
II. — დაზღვევის ინტერესი 478
III. — დაზღვევის ფარგლები 479
IV. — დაზღვევის თანხა 480
V. — ზარალები და საზღაურის გადახდა 480
§ 3. — პასუხისმგებლობის დაზღვევა 481
განყოფილება 4 — საზღვაო დაზღვევა 482
§ 1. — ზოგადი დებულებები 482
§ 2. — დაზღვევის ინტერესი 483
I. — ინტერესის აუცილებლობა 483
II. — დაზღვევის ინტერესის მაგალითები 483
III. — დაზღვევის ინტერესის ფარგლები 484
§ 3. — სადაზღვევო ღირებულების დადგენა 484
§ 4. — ხელშეკრულება და პოლისი 485

I. — ხელმოწერა 485
II. — ხელშეკრულების სახეები 485
III. — პოლისის შინაარსი 486
IV. — პოლისის დათმობა 486
V. — ხელშეკრულების არსებობის მტკიცება და მოწონება 487
§ 5. — პრემიასთან დაკავშირებით მხარეთა
უფლებები და ვალდებულებები 487
§ 6. — ინფორმაციის გამჟღავნება და განცხადებები 489
§ 7. — გარანტიები 490
§ 8. — მოგზაურობა 492
I. — მოგზაურობის დაწყება 492
II. — მოგზაურობის შეცვლა 492
III. — კურსიდან გადახვევა 492
IV. — დაგვიანება 493
V. — კურსიდან გადახვევის ან დაგვიანების საპატიო მიზეზები 493
§ 9. — ზარალის შესახებ შეტყობინება 494
§ 10. — ქონების მიტოვება 496
§ 11. — ავარიული ზარალის სახეები 497
§ 12. — საზღაურის ოდენობის დადგენა 498
§ 13. — სხვადასხვა დებულებები 502
I. — სუროგაცია 502
II. — ორმაგი დაზღვევა 502
III. — ქონების ღირებულებაზე ნაკლებ თანხაზე დაზღვევა 503
IV. — ურთიერთდაზღვევა 503
V. — პირდაპირი სარჩელი 504

თავი 16 — თამაშობა და სანაძლეო 504

თავი 17 — მორიგების აქტი 504

თავი 18 — საარბიტრაჟო შეთანხმებები 505

წიგნი მეექვსე
პრივილეგიები და იპოთეკები

ტიტული 1 — კრედიტორთა საერთო გირავნობა 507

ტიტული 2 — პრივილეგიები 508

ტიტული 3 — იპოთეკები 510

თავი 1 — ზოგადი დებულებები 510

განყოფილება 1 — იპოთეკების სამართლებრივი ბუნება 510
განყოფილება 2 — იპოთეკების სახეები 510
განყოფილება 3 — იპოთეკების საგანი და ფარგლები 511

თავი 2 — ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი იპოთეკები.....513
განყოფილება 1 — იპოთეკის დამდგენი 513
განყოფილება 2 — იპოთეკებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები 514
განყოფილება 3 — უძრავი იპოთეკები.....516
განყოფილება 4 — მოძრავი იპოთეკები 516
§ 1. — მოძრავი იპოთეკები ნივთის გადაცემის გარეშე 516
§ 2. — მოძრავი იპოთეკები ნივთის გადაცემით 517
§ 3. — მოთხოვნებზე დადენილი მოძრავი იპოთეკები 518
I. — მოთხოვნებზე დადენილი იპოთეკები ზოგადად.....518
II. — განსაზღვრულ ფულად მოთხოვნებზე მფლობელობის გადაცემით დადენილი იპოთეკები 519
§ 4. — გემებზე, ტვირთსა თუ ფრახტზე დადენილი მოძრავი იპოთეკები 521
§ 5. — ფასიანი ქაღალდებზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადენილი მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკები 521
განყოფილება 5 — ცვალებადი იპოთეკები 523

თავი 3 — კანონისმიერი იპოთეკები 524

თავი 4 — იპოთეკების განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები 527
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 527
განყოფილება 2 — იპოთეკით დატვირთული ქონების მფლობელობის მქონე კრედიტორების უფლებები და ვალდებულებები 527
განყოფილება 3 — იპოთეკით დატვირთული მოთხოვნების მფლობელი კრედიტორების უფლებები და ვალდებულებები 528

თავი 5 — იპოთეკური უფლებების რეალიზაცია 529
განყოფილება 1 — ზოგადი დებულება 529
განყოფილება 2 — იპოთეკური უფლებების რეალიზაციის ზოგადი პირობები 529
განყოფილება 3 — წინასწარი ღონისძიებები.....530
§ 1. — წინასწარი გაფრთხილება 530
§ 2. — მოვალის ან იმ პირის უფლებები, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია 532
§ 3. — ქონების დათმობა 533

განყოფილება 4 — მფობელობაში მიღება ქონების მართვის მიზნებისათვის 534
განყოფილება 5 — გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღება 535
განყოფილება 6 — ქონების გაყიდვა კრედიტორის მიერ.....536
განყოფილება 7 — ქონების გაყიდვა სასამართლოს კონტროლის ქვეშ 538

თავი 6 — იპოთეკების გაუქმება.....538

წიგნი მეშვიდე
მტკიცებულებები

ტიტული 1 — მტკიცებულებების შესახებ ზოგადი დებულებები 540

თავი 1 — ზოგადი დებულებები.....540

თავი 2 — სასამართლოს მიერ საყოველთაოდ ცნობილად მიჩნეული ფაქტები (JUDICIAL NOTICE) 540

ტიტული 2 — მტკიცების საშუალებები 541

თავი 1 — წერილობითი დოკუმენტები 542
განყოფილება 1 — კანონების ასლები 542
განყოფილება 2 — აუთენტური აქტები.....542
განყოფილება 3 — ნახევრად აუთენტური აქტები.....544
განყოფილება 4 — კერძო დოკუმენტები.....544
განყოფილება 5 — სხვა დოკუმენტები 545
განყოფილება 6 — დოკუმენტებისა და ტექნოლოგიური ნეიტრალურობის მატარებლები 546
განყოფილება 7 — ინფორმაციის გადატანის შედეგად მიღებული ასლები და დოკუმენტები 546

თავი 2 — მოწმეთა ჩვენება.....547

თავი 3 — პრეზუმფციები 548

თავი 4 — აღიარებები 548

თავი 5 — ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენა.....549

ტიტული 3 — მტკიცებულების დასაშვებობა და მტკიცების საშუალებები.....549

თავი 1 — მტკიცებულება 549

თავი 2 — მტკიცების საშუალებები.....550

თავი 3 — განსაზღვრული განცხადებები 551

წიგნი მერვე
ხანდაზმულობა

ტიტული 1 — ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები.....553

თავი 1 — ზოგადი დებულებები.....553

თავი 2 — ხანდაზმულობაზე უარი 554

თავი 3 — ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება 555

თავი 4 — ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა 557

ტიტული 2 — შეძენითი ხანდაზმულობა.....558

თავი 1 — შეძენითი ხანდაზმულობის პირობები.....558

თავი 2 — შეძენითი ხანდაზმულობის ვადები.....559

ტიტული 3 — სასარჩელო ხანდაზმულობა.....559

წიგნი მეცხრე
უფლებათა პუბლიკაცია

ტიტული 1 — პუბლიკაციის ბუნება და ფარგლები.....562

თავი 1 — ზოგადი დებულებები.....562

თავი 2 — უფლებები, რომლებიც მოითხოვს პუბლიკაციას ან
დაშვებულია მისთვის.....563

ტიტული 2 — პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგები.....564

თავი 1 — უფლებების დადგენა 564

თავი 2 — უფლებათა რიგითობა.....565

თავი 3 — სხვა სამართლებრივი შედეგები.....567

თავი 4 — კეთილსინდისიერი მესამე პირების დაცვა 568

თავი 5 — წინასწარი რეგისტრაცია.....568

ტიტული 3 — პუბლიკაციის ფორმალობები.....569

თავი 1 — უფლებათა რეესტრები.....569
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 569
განყოფილება 2 — მიწის რეესტრი.....570
განყოფილება 3 — მითითებების რეესტრი 572
განყოფილება 4 — პირადი და მოძრავი სანივთო
უფლებების რეესტრი 572

თავი 2 — სარეგისტრაციო განაცხადები.....572
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 572
განყოფილება 2 — დასტურები.....574
განყოფილება 3 — სპეციალური სარეგისტრაციო წესები 576

თავი 3 — რეგისტრატორის მოვალეობები და ფუნქციები.....579

თავი 4 — მისამართების რეგისტრაცია.....583

თავი 5 — რეგულაციები 584

ტიტული 4 — უძრავი ქონების აღრიცხვა.....585

თავი 1 — საკადასტრო გეგმა.....585

თავი 2 — მიწის კადასტრის ცვლილებები.....589

თავი 3 — გაუქმებულია 590

თავი 4 — მიწის ნაკვეთების ნაწილები 591

ტიტული 5 — რეგისტრაციის გაუქმება.....592

თავი 1 — რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები.....592

თავი 2 — რეგისტრაციის გაუქმების ცალკეული შემთხვევები.....594

თავი 3 — რეგისტრაციის გაუქმების ფორმალობები და სამართლებრივი შედეგები 596

წიგნი მეათე
საერთაშორისო კერძო სამართალი

ტიტული 1 — ზოგადი დებულებები 598

ტიტული 2 — კოლიზიური სამართალი 599

თავი 1 — პიროვნული სტატუსი 599
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 599
განყოფილება 2 — სპეციალური დებულებები 600
§ 0.1. — სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლა 600
§ 1. — ქმედუუნარობა 600
§ 2. — ქორწინება 601
§ 3. — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება 601
§ 3.1. — სამოქალაქო კავშირი 601
§ 4. — სისხლით ნათესაური კავშირი და ნათესაური კავშირი შვილად აყვანით 602
§ 5. — დახმარების ვალდებულება 602

თავი 2 — ქონების სტატუსი 603
განყოფილება 1 — ზოგადი დებულება 603
განყოფილება 2 — სპეციალური დებულებები 603
§ 1. — მემკვიდრეობა 603
§ 2. — უზრუნველყოფები მოძრავი ქონებით 604
I. — უზრუნველყოფები მოძრავი ქონებით ზოგადად 604
II. — განსაზღვრულ ფულად მოთხოვნებზე დადგენილი მოძრავი ქონებით უზრუნველყოფები 605
§ 3. — ტრასტები 606
§ 4. — ფინანსურ აქტივებზე არსებული ფასიანი ქაღალდები და საუზრუნველყოფო დოკუმენტები 607

თავი 3 — ვალდებულებების სტატუსი 609
განყოფილება 1 — ზოგადი დებულებები 609
§ 1. — გარიგებების ფორმა 609
§ 2. — გარიგებების შინაარსი 610
განყოფილება 2 — სპეციალური დებულებები 610
§ 1. — ნასყიდობა 610
§ 2. — სახელშეკრულებო წარმომადგენლობა 611
§ 3. — სამომხმარებლო ხელშეკრულება 611

§ 4. — შრომითი ხელშეკრულება 612
§ 5. — არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულება 612
§ 6. — მოთხოვნების დათმობა 612
§ 7. — არბიტრაჟი 613
§ 8. — საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმი 613
§ 9. — ვალდებულებების წარმოშობის განსაზღვრული სხვა წყაროები 613
§ 10. — სამოქალაქო პასუხისმგებლობა 614
§ 11. — მტკიცებულებები 614
§ 12. — ხანდაზმულობა 614

თავი 4 — საქმისწარმოების სტატუსი 615

ტიტული 3 — კვებეკის სახელისუფლო ორგანოების საერთაშორისო იურისდიქცია 615

თავი 1 — ზოგადი დებულებები 615

თავი 2 — სპეციალური დებულებები 616
განყოფილება 1 — არაქონებრივი და საოჯახოსამართლებრივი ხასიათის პირადი სარჩელები 616
განყოფილება 2 — ქონებრივი ხასიათის პირადი სარჩელები 617
განყოფილება 3 — სანივთო და შერეული სარჩელები 618

ტიტული 4 — უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება და უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია 619

თავი 1 — უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება 619

თავი 2 — უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია 620

დასკვნითი დებულებები 622

წინათქმა

2010 წლის ივნისში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH) ხელშეწყობით გამოიცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (Bürgerliches Gesetzbuch (BGB) ქართული თარგმანი, რაც თავისთავად უნიკალურ მოვლენას წარმოადგენდა ქართული ცივილისტიკის ისტორიაში, ვინაიდან ქართველ მკითხველს პირველად მიეცა საშუალება, მშობლიურ ენაზე გაცნობოდა აღნიშნული კოდექსის სრული ტექსტის თარგმანს. აღნიშნულმა გამოცემამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში; მისი დახმარებით გაირკვა და სათანადოდ განიმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მრავალი ტექსტუალური ხარვეზის შემცველი და ბუნდოვანი ნორმა, არაერთი კერძოსამართლებრივი პრობლემა სწორად და დასაბუთებულად იქნა გადაწყვეტილი სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნული შედეგის გამო კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი უცხო ქვეყნების კანონმდებლობების მიმართ, რომელთა შორისაც ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს კანადის პროვინცია კვებეკში (Quebec, Canada) 1991 წლის 18 დეკემბერს მიღებული **კვებეკის სამოქალაქო კოდექსი (Civil Code of Quebec)**.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარგმანის გამოცემა წარმოადგენს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს წინგადადგმულ ნაბიჯს ქართული ცივილისტიკის განვითარების გზაზე; ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველ იურისტს აქვს შესაძლებლობა, მშობლიურ ენაზე გაეცნოს რომანული სამართლის სისტემას მიკუთვნებული ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და სრულყოფილი ნორმატიული აქტის ტექსტს. უპირველეს ყოვლისა, ეს უაღრესად საინტერესო და სასარგებლოა შედარებით-სამართლებრივი სამეცნიერო კვლევებისათვის, ვინაიდან კვებეკის სამოქალაქო კოდექსი საუკეთესოდ ასახავს, ერთი მხრივ, ფრანგული სამოქალაქო კოდექსის გავლენით ჩამოყალიბებული რომანული სამართლის სისტემის პრინციპებს, ნორმათა ჩამოყალიბებისა და სამართლებრივი მოწესრიგების მეთოდსა და სტილს, ურთულესი სამართლებრივი საკითხების მაქსიმალურად მარტივად და ეფექტურად გადაწყვეტის გზებსა და მიდგომას, ისე, მეორე მხრივ, ის ამერიკული სამართლის ძლიერი გავლენით გარკვეულწილად შეიცავს საერთო სამართლის (Common Law) ინსტიტუტებსაც (მაგ., ტრასტი), ვინაიდან კანადა (კვებეკის გარდა) მიეკუთვნება საერთო სამართლის ქვეყანათა რიგს; სწორედ ეს კონტრასტი ხდის კვებეკის სამართალს კიდევ უფრო მიმზიდველს ქართველი კომპარატივისტებისათვის.

სისტემური ჩამოყალიბების მხრივ კვებეკის სამოქალაქო კოდექსი მისდევს თანამედროვე რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსების (მაგ., შვეიცარიის იტალიის ნიდერლანდების და სხვა სამოქალაქო კოდექსები) სტილს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ე. წ. „კლასიკური“ სამოქალაქო სამართლით, არამედ მასში შევიდა ასევე სავაჭრო და შრომის სამართლის ზოგიერთი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა, მაგ., ფრახტირება, გადაზიდვა-გადაყვანა, დაზღვევა, შრომითი ხელშეკრულება; გარდა ამისა, კოდექსში ცალკე წიგნებად მოცემულია უფლებათა პუბლიკაცია და საერთაშორისო კერძო სამართალი (შესაბამისად, — მეცხრე და მეათე წიგნები). მთლიანობაში კვებეკის სამოქალაქო კოდექსი შედგება შემდეგი 10 წიგნისაგან (სულ — 3168 მუხლი):

- წიგნი პირველი — პირები
- წიგნი მეორე — ოჯახი
- წიგნი მესამე — მემკვიდრეობა
- წიგნი მეოთხე — ქონება
- წიგნი მეხუთე — ვალდებულებები
- წიგნი მეექვსე — პრივილეგიები და იპოთეკები
- წიგნი მეშვიდე — მტკიცებულებები
- წიგნი მერვე — ხანდაზმულობა
- წიგნი მეცხრე — უფლებათა პუბლიკაცია
- წიგნი მეათე — საერთაშორისო კერძო სამართალი.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ითარგმნა ინგლისური ენიდან კოდექსის ფრანგული ტექსტის მოშველიებით. ტექსტი აღებულია Éditeur officiel du Québec-ის ვებ-საიტიდან: http://legisquebec.gouv.qc.ca და მოცემულია 2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. ნებისმიერი იურიდიული ტექსტის, განსაკუთრებით კი, უცხო ქვეყნის კანონის ტექსტის თარგმნა ურთულესი საქმეა, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში ქართულ სამართალში საერთოდ არ მოიძებნება ანალოგიური სამართლებრივი ინსტიტუტები ან იურიდიული ტერმინები და ცნებები. მაგ., seisin — სამკვიდროს მიღება, lesion — ზარალიანობა, acquest — მეუღლის მიერ გარიგებით შეძენილი ქონება, discussion — თავდაპირველად ძირითადი მოვალის ქონებიდან ვალის დაფარვა, rights of survivorship — ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მეორე თანამესაკუთრის უფლებები, specific performance — ვალდებულების ნატურით შესრულება, dismemberment of the right of ownership — დანაწევრებული საკუთრების უფლება, bare owner — მფლობელობის არმქონე მესაკუთრე, indivision — განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმი, institute — ვალდებული მემკვიდრე, counter letter — მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ნამდვილი შინაარსის დამდგენი დაფარული დოკუმენტი, surrender value — პოლისზე უარის თქმისას დასაბრუნებელი თანხა, sue and labour clause — დაზღვეული პირის მიერ დაზღვეული ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დანახარჯების ანაზღაურებისა და ზარალის მესამე პირებისაგან ამოღების შესახებ პოლისის პირობა, crystallization — იპოთეკის გაფორმება, improbation — განცხადება დოკუმენტის სიყალბის შესახებ და ა. შ.

მთარგმნელი უაღრესად მადლიერია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობისა და პირადად მისი თავმჯდომარის ნინო ხოფერიასი, აღმასრულებელი დირექტორის თეა აბრამიძისა და ნოტარიუს ოთარ ზოიძის, რომელთა გულისხმიერებისა და უდიდესი მხარდაჭერის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სწორედ წინამდებარე თარგმანის გამოცემა.

თარგმანი განკუთვნილია ნოტარიუსებისათვის, კერძო სამართლის სფეროში მოღვაწე მოსამართლეებისა და სხვა იურისტებისათვის (ადვოკატებისათვის), აგრეთვე, — სტუდენტების, სამეცნიერო მუშაკებისა და კერძო სამართლით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.

ზურაბ ჭეჭელაშვილი
სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი
შპს „ეფ ემ ჯი ლეგალის“ პარტნიორი
ადვოკატი
თბილისი, თებერვალი 2017წ.

შესავალი დებულება

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიასა (თავი C-12) და სამართლის ზოგად პრინციპებთან თანხვედრით, აწესრიგებს პირებთან დაკავშირებულ, პირთა შორის არსებულ და ქონებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც — ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც არსებობს მის დებულებების სიტყვასიტყვითი ტექსტის, სულისა თუ მიზნის ფარგლებში — პირდაპირ ან შინაარსობრივად ადგენს jus commune-ს. აღნიშნულ საკითხებში კოდექსი წარმოადგენს ყველა სხვა კანონის ბაზისს, თუმცა სხვა კანონები შეიძლება ამატებდეს მას რაიმეს ან ადგენდეს მისგან გამონაკლისს.

წიგნი პირველი
პირები

ტიტული 1
სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა და მათი რეალიზაცია

1. ნებისმიერი ადამიანი ფლობს სამართალსუბიექტურობას და აქვს სრული შესაძლებლობა, ისარგებლოს სამოქალაქო უფლებებით.

2. ნებისმიერი პირი წარმოადგენს საგვარეულო ქონების (patrimony) მფლობელს.

ეს ქონება შეიძლება დაექვემდებაროს გაყოფას ან მისაკუთრებას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

3. ნებისმიერი პირი წარმოადგენს მფლობელს პირადი უფლებებისა როგორიცაა სიცოცხლის უფლება, მისი პიროვნების ხელშეუხებლობისა და ხელშეუვალობის უფლება, ასევე — მისი სახელის, რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების უფლება.

აღნიშნული უფლებები არ ექვემდებარება გასხვისებას.

4. ნებისმიერ პირს სრულად შეუძლია თავისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია.

განსაზღვრულ შემთხვევებში კანონი ადგენს წარმომადგენლობას ან ხელშეწყობას.

5. ნებისმიერი პირი ახორციელებს თავის სამოქალაქო უფლებებს მისთვის მიკუთვნებული და მის დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებული სახელით.

6. ნებისმიერი პირი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს კუთვნილი სამოქალაქო უფლებები.

7. დაუშვებელია უფლების განხორციელება სხვა პირის ზიანის მიყენების განზრახვით ან მისი გადამეტებითა და არაგონივრული ხერხით, ამდენად, — კეთილსინდისიერების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

8. პირს შეუძლია უარი თქვას თავისი სამოქალაქო უფლებების განხორციელებაზე იმ ფარგლებში, რომლებიც შეესაბამება საჯარო წესრიგს.

9. სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისას ნორმებიდან გადახვევა შეიძლება ხორციელდებოდეს წინამდებარე კოდექსის იმ წესებიდან გამომდინარე, რომლებიც ამატებს მნიშვნელობას, და არა — საჯარო წესრიგის წესებიდან გამომდინარე.

ტიტული 2
განსაზღვრული პირადი უფლებები

თავი 1
პირის ხელშეუვალობა

10. ნებისმიერი პირი ხელშეუხებელი და უფლებამოსილია თავისი პიროვნების ხელშეუვალობაზე.

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არავის შეუძლია ჩაერიოს მის პიროვნებაში ამ უკანასკნელის თავისუფალი და გათვიცნობიერებული თანხმობის გარეშე.

განყოფილება 1
მოვლა-პატრონობა

11. არავინ არ შეიძლება აიძულო, დაექვემდებაროს ნებისმიერი სახის მოვლა-პატრონობას, იქნება ეს სამედიცინო შემოწმება, ნიმუშის აღება, ქსოვილის მოცილება, მკურნალობა თუ სხვა მოქმედება, გარდა მისი თანხმობის არსებობის შემთხვევებისა. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თანხმობა არ ექვემდებარება სხვა რაიმე ფორმალურ მოთხოვნას და ის შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ნებისმიერ დროს ზეპირადაც კი.

თუ შესაბამისი პირი უუნაროა, მისცეს თავისი თანხმობა მოვლა-პატრონობაზე ან უარი განაცხადოს ამ თანხმობის მიცემაზე და მას ასევე არ მიუცია „სიცოცხლის დასრულებასთან დაკავშირებული მოვლა-პატრონობის შესახებ“ კანონით (the Act respecting end-of-life care (თავი S-32.0001) გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის წინასწარი მითითებები, რომელთა მეშვეობი-

თაც ის გამოხატავს ასეთ თანხმობასა თუ უარს, — აღნიშნულის გაკეთება მის ნაცვლად შეუძლია კანონით ან დამცავი დავალებით (protection mandate) უფლებამოსილ პირს.

12. პირი, ვინც აცხადებს თავის თანხმობას ან უარს სხვა პირის მოვლა-პატრონობაზე, ვალდებულია იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ ამ პირის ინტერესებში ისე, რომ — რამდენადაც ეს შესაძლებელია — დააკმაყოფილოს ნებისმიერი სურვილები, რომლებიც ამ უკანასკნელმა შეიძლება გამოთქვას.

თუ ის გამოთქვამს თავის თანხმობას, მან უნდა უზრუნველყოს, რომ მოვლა-პატრონობა იყოს სასარგებლო მიუხედავად მისი გარკვეული შედეგების სიმძიმისა და უცვლელობისა, რომ აღნიშნული მიზანშეწონილია შესაბამის პირობებში და რომ აღებული რისკები მოსალოდნელი სარგებლის არაპროპორციული არ არის.

13. სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობა არ მოითხოვება გადაუდებელ შემთხვევაში, თუ პირის სიცოცხლე საფრთხეშია ან მის ხელშეუვალობას ექმნება საფრთხე და მისი თანხმობის დროული მიღება შეუძლებელია.

თუმცაღა, აღნიშნული მოითხოვება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლა-პატრონობა არის უჩვეულო ან გახდა უსარგებლო ანდა სადაც მისი შედეგები პირისათვის დაუშვებელი იქნებოდა.

14. თანხმობა მოვლა-პატრონობაზე, რომელიც მოითხოვება არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაიცემა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მშობლის უფლება, ან მისი მეურვის მიერ.

თუმცა, 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს დამოუკიდებლად შეუძლია გასცეს თავისი თანხმობა ასეთ მოვლა-პატრონობაზე. თუ მისი მდგომარეობა ითხოვს იმას, რომ დარჩეს ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში 12 საათზე მეტ ხანს, მშობლის უფლების მქონე პირი ან მეურვე უნდა იქნეს ამ ფაქტის შესახებ ინფორმირებული.

15. როდესაც დგინდება, რომ სრულწლოვანი პირი უუნაროა, გასცეს თანხმობა მოვლა-პატრონობაზე, რაც მოითხოვება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და წინასწარი სამედიცინო მითითებების არარსებობისას, თანხმობა გაიცემა მისი რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ სრულწლოვანი პირი ამგვარად არ არის წარმოდგენილი, თანხმობა გაიცემა მისი მეუღლის, სამოქალაქო კავშირის ან დე ფაქტო მეუღლის ან თუ პირს არ ჰყავს მეუღლე ან მის მეუღლეს ხელი ეშლება თანხმობის მიცემაში, — თანხმობა გაიცემა ახლო ნათესავის ან იმ პირის მიერ, ვინც სრულწლოვანი პირისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ამჟღავნებს.

16. სასამართლოს ნებართვა აუცილებელია, როდესაც პირს, რომელსაც შეუძლია გასცეს თანხმობა არასრულწლოვანის ან იმ სრულწლოვანი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭირო მოვლა-პატრონობაზე, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, ხელი ეშლება ასეთი თანხმობის მიცემაში ან ის უსაფუძვლოდ უარს აცხადებს აღნიშნულზე; ნებართვა ასევე აუცილებელია, როდესაც სრულწლოვანი პირი, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ,

გასცეს თანხმობა, კატეგორიულად უარს ამბობს მოვლა-პატრონობაზე გარდა სანიტარული ან გადაუდებელი ხასიათის მოვლა-პატრონობის შემთხვევებისა.

გარდა ამისა, სასამართლოს ნებართვა ასევე აუცილებელია 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანის მოვლა-პატრონობაზე დაქვემდებარებისათვის, რაზეც ის უარს აცხადებს გადაუდებელი შემთხვევების გარდა, როდესაც მისი სიცოცხლე საფრთხეშია ან მის ხელშეუვალობას ექმნება საფრთხე, რა შემთხვევაშიც საკმარისია მშობლის უფლების მქონე პირის ან მეურვის თანხმობა.

17. 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად გასცეს თავისი თანხმობა მოვლა-პატრონობაზე, რაც არ მოითხოვება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; თუმცა, მშობლის უფლების მქონე პირის ან მეურვის თანხმობა საჭიროა, თუ მოვლა-პატრონობა მოიცავს არასრულწლოვანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან რისკს და შეუძლია გამოიწვიოს მძიმე და მდგრადი შედეგები.

18. როდესაც პირი 14 წლამდე ასაკისაა ან უუნაროა, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, თანხმობა იმ მოვლა-პატრონობაზე, რაც არ მოითხოვება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გაიცემა მშობლის უფლების მქონე პირის ან რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის მიერ; სასამართლოს ნებართვა ასევე აუცილებელია, თუ მოვლა-პატრონობა მოიცავს არასრულწლოვანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან რისკს და შეუძლია გამოიწვიოს მძიმე და მდგრადი შედეგები.

19. სრულწლოვან პირს, რომელსაც შეუძლია, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, უფლებამოსილია ასევე inter vivos (ლათ. — ცოცხალ პირთა შორის) გაასხვისოს თავისი სხეულის ნაწილი იმ პირობით, რომ აღებული რისკი არაპროპორციული არ არის იმ სარგებლისა, რომელიც შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს.

არასრულწლოვანს ან სრულწლოვან პირს, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, შეუძლით მშობლის უფლების მქონე პირის ან რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობითა და სასამართლოს ნებართვით გაასხვისონ თავისი სხეულის ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ნაწილს აქვს რეგენერაციის უნარი და იმ პირობით, რომ ეს არ იწვევს მისი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან რისკს.

20. სრულწლოვან პირს, რომელსაც შეუძლია, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს იმ გამოკვლევაში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მის პიროვნებაში ჩარევა იმ პირობით, რომ აღებული რისკი არაპროპორციული არ არის იმ სარგებლისა, რომელიც შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს. გამოკვლევის პროექტი მოწონებულ უნდა იქნეს და ასევე გაკონტროლდეს გამოკვლევების ეთიკის კომისიის მიერ.

21. არასრულწლოვანს ან სრულწლოვან პირს, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ გამოკვლევაში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მის პიროვნებაში ჩარევა იმ პირობით, რომ აღებული რისკი — პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პიროვნული მდგომარეობის გათვალისწინებით — არაპროპორციული არ არის იმ სარგებლისა, რომელიც შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს.

უფრო მეტიც, არასრულწლოვანს ან სრულწლოვან პირს, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ, გასცეს თანხმობა, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ასეთ გამოკვლევაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არის ერთადერთი კვლევის სუბიექტი, ამ კვლევას აქვს პოტენციალი, მიღებული შედეგებით გააუმჯობესოს მისი ჯანმრთელობა ან მხოლოდ იმ პირობით, რომ — ჯგუფის მიმართ წარმოებული გამოკვლევის შემთხვევაში — მას აქვს პოტენციალი, მიღებული შედეგებით მიანიჭოს სარგებელი იმავე ასაკის იგივე ავადმყოფობის ან ნაკლის მქონე სხვა პირებს.

ყველა შემთხვევაში, არასრულწლოვანს ან სრულწლოვან პირს, რომელიც უუნაროა, თავის მხრივ გასცეს თანხმობა, არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ასეთ გამოკვლევაში, როდესაც მისთვის გასაგებია გამოკვლევის ბუნება და შედეგები და ის ეწინააღმდეგება მასში მონაწილეობას.

გამოკვლევის პროექტი მოწონებულ უნდა იქნეს — და ასევე უნდა გაკონტროლდეს — გამოკვლევების კომპეტენტური ეთიკის კომისიის მიერ. ასეთი კომისია იქმნება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მინისტრის მიერ ან ამ უკანასკნელის მიერ ინიშნება გამოკვლევის ეთიკის არსებული კომისიებიდან; ასეთი კომისიის შემადგენლობა და მოქმედების პირობები განისაზღვრება მინისტრის მიერ და ქვეყნდება Gazette officielle du Québec-ში.

თანხმობა იმ გამოკვლევაზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს არასრულწლოვანის პიროვნებაში ჩარევა, შეიძლება მიცემულ იქნეს მშობლის უფლების მქონე პირის ან მეურვის მიერ. თუმცა, 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად გასცეს თანხმობა, თუ გამოკვლევების კომპეტენტური ეთიკის კომისიის შეხედულებით გამოკვლევა შეიცავს მხოლოდ მინიმალურ რისკს, ხოლო გარემოებები კი ამართლებს მას.

თანხმობა იმ გამოკვლევაზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს იმ სრულწლოვანი პირის პიროვნებაში ჩარევა, რომელიც უუნაროა, თავად გასცეს თანხმობა, შეიძლება გაცემულ იქნეს რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის მიერ. თუმცა, როდესაც ეს სრულწლოვანი პირი არ არის ამგვარად წარმოდგენილი და გამოკვლევა შეიცავს მხოლოდ მინიმალურ რისკს, მაშინ თანხმობა შეიძლება გაცემულ იქნეს სრულწლოვანი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭირო ნებისმიერი მოვლა-პატრონობის თანხმობაზე კომპეტენტური პირის მიერ. თანხმობა შეიძლება ასევე გაცემულ იქნეს ასეთი კომპეტენტური პირის მიერ, როდესაც სრულწლოვანი პირი უეცრად უუნარო ხდება, გასცეს თანხმობა და, რამდენადაც გამოკვლევა უნდა ჩატარდეს დროულად მისი გამომწვევი მიზეზის აღმოცენებისთანავე, ის დროის უქონლობის გამო არ უშვებს სრულწლოვანი პირის კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნას. ორივე შემთხვევაში გამოკვლევების კომპეტენტური ეთიკის კომისიას ეკისრება იმის განსაზღვრა, გამოკვლევის პროექტის შეფასებისას აკმაყოფილებს თუ არა ის დადგენილ მოთხოვნებს.

22. სხეულის ნაწილი, — იქნება ეს ორგანო, ქსოვილი ან სხვა სუბსტანცია — რომელიც მოცილებულ იქნა პირის სხეულისაგან მის მიერ მოვლა-პატრო-

ნობის მიღებისას, შეიძლება მისი ან მისი სახელით თანხმობის მიცემაზე კომპეტენტური პირის თანხმობით გამოყენებულ იქნეს გამოკვლევების ჩატარების მიზნებისათვის, ხოლო თუ ეს პირი გარდაიცვალა, — გამოყენებულ იქნეს იმ პირის თანხმობით, რომელსაც შეეძლო თანხმობის მიცემა ან რომელმაც შესაძლოა მისცა თანხმობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭირო ნებისმიერი სახის მოვლა-პატრონობის თანხმობაზე.

23. როდესაც მოიწვევა სასამართლო მოვლა-პატრონობასთან ან პირის სხეულის ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებული ნებართვის მიღების განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, ის ისმენს ექსპერტების, მშობლის უფლების მქონე პირის, რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის და ასევე — სამეურვეო საბჭოს მოსაზრებებს; მას შეუძლია, აგრეთვე, მოისმინოს ნებისმიერი იმ პირის შეხედულება, ვინც ამჟღავნებს განსაკუთრებულ ინტერესს განცხადებასთან დაკავშირებული პირის მიმართ.

სასამართლო ასევე ვალდებულია, მოუსმინოს ამ პირის მოსაზრებებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს შეუძლებელია, ხოლო მისი უარი კი გასათვალისწინებელია ასევე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვლა-პატრონობა აუცილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

24. თანხმობა მოვლა-პატრონობაზე, რომელიც არ მოითხოვება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასევე — პირის სხეულის ნაწილის გასხვისებაზე ან თანხმობა იმ გამოკვლევაზე, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მის პიროვნებაში ჩარევა, მიცემულ უნდა იქნეს წერილობით.

თუმცა, აღნიშნულ გამოკვლევაზე თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს სხვაგვარად, ვიდრე წერილობითი ფორმა, თუ ეს გამოკვლევების ეთიკის კომისიის შეხედულებით გამართლებულია არსებული გარემოებებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში კომისია მტკიცების მიზნებისათვის ადგენს თანხმობის მიღების სათანადო წესს.

თანხმობაზე შემდგომი უარი შესაძლებელია ნებისმიერ დროს ზეპირადაც კი.

25. პირის მიერ საკუთარი სხეულის ნაწილის ან ნაყოფის გასხვისება უნდა მოხდეს უსასყიდლოდ; გასხვისების განმეორება დაუშვებელია, თუ ის შეიცავს რისკს პირის ჯანმრთელობისათვის.

პირის მონაწილეობა გამოკვლევაში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს მის პიროვნებაში ჩარევა, ვერ გახდება საფუძველი ნებისმიერი სახის ფინანსური ანაზღაურებისათვის გარდა კომპენსაციის სახით იმ საზღაურის გადახდისა, რაც დაკავშირებულია ზარალისა და დისკომფორტის განცდასთან.

განყოფილება 2
ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში მოთავსება და ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასება

26. პირის თანხმობის ან კანონისმიერი თუ სასამართლოს ნებართვის გარეშე დაუშვებელია მისი მოთავსება ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური

მომსახურების დაწესებულებაში ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასებისათვის ან იმ ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასების შემდეგ, რომლის დასკვნის თანახმადაც დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელია.

თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მშობლის უფლების მქონე პირის მიერ, ხოლო იმ სრულწლოვანი პირის შემთხვევაში, რომელიც უუნაროა, თავად გამოხატოს თავისი სურვილები, — რწმუნებულის, მეურვის ან მზრუნველის მიერ. აღნიშნული თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს წარმომადგენლის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი პირი ამას არ ეწინააღმდეგება.

27. როდესაც სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი იფიქროს, რომ პირი მისი გონებრივი მდგომარეობის გამო წარმოადგენს საფრთხეს თავისი თავისთვის ან სხვებისათვის, მას შეუძლია, ექიმის ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე და მიუხედავად თანხმობის არარსებობისა, დაადგინოს, რომ ეს პირი დროებით მოთავსდეს ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასებისათვის. სასამართლოს ასევე შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გასცეს ნებართვა ნებისმიერ სხვა სამედიცინო გამოკვლევაზე, რომელიც აუცილებელია გარემოებებიდან გამომდინარე. უარყოფის შემთხვევაში განცხადების ხელმეორედ წარდგენა დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოყვანილია განსხვავებული ფაქტები.

თუ საფრთხე სერიოზული და გადაუდებელია, პირი შეიძლება დაექვემდებაროს პრევენციულ შეზღუდვას სასამართლოს ნებართვის გარეშეც, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით იმ პირთა დაცვის შესახებ, რომელთა გონებრივი მდგომარეობა წარმოადგენს საფრთხეს მათთვის ან სხვებისათვის (თავი P-38.001).

28. როდესაც სასამართლო ადგენს, რომ პირი უნდა მოთავსდეს ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასებისათვის, სამედიცინო გამოკვლევა უნდა წარიმართოს დაწესებულების მიერ პირის დაკავებიდან 24 საათის განმავლობაში ან თუ პირი უკვე იმყოფება პრევენციული შეზღუდვის ქვეშ, — სასამართლოს განკარგულების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

თუ სამედიცინო გამოკვლევის განმახორციელებელი ექიმი დაასკვნის, რომ დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელია, მეორე ფსიქიატრიული გამოკვლევა უნდა განხორციელდეს სხვა ექიმის მიერ დაწესებულების მხრიდან პირის დაკავებიდან 96 საათის განმავლობაში ან თუ პირი უკვე იმყოფება პრევენციული შეზღუდვის ქვეშ, — სასამართლოს განკარგულების მიღებიდან 48 საათის განმავლობაში.

თუ ექიმი მივა იმ დასკვნამდე, რომ დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელი არ არის, პირი უნდა გათავისუფლდეს. თუ ორივე ექიმი მივა იმ დასკვნამდე, რომ დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელია, პირი შეიძლება განთავსდეს დაწესებულებაში არაუმეტეს 48 საათისა მისი თანხმობის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

29. ფსიქიატრიული გამოკვლევის ანგარიში, კერძოდ, უნდა ეხებოდეს პი-

რის დაწესებულებაში მოთავსების აუცილებლობას, თუ ის თავისი გონებრივი მდგომარეობის გამო წარმოადგენს საფრთხეს თავისთვის ან სხვებისათვის, ასევე — გამოკვლეული პირის მიერ თავის თავზე ზრუნვისა და თავისი ქონების მართვის უნარს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, დასკვნა უნდა ეხებოდეს სრულწლოვანი პირისათვის დაცვითი ზედამხედველობის დაწესების მიზანშეწონილობას.

ანგარიში უნდა წარედგინოს სასამართლოს მისი განკარგულების მიღებიდან შვიდი დღის განმავლობაში. მხარეების გარდა სასამართლოს ნებართვის გარეშე მისი შინაარსის გამხელა დაუშვებელია.

30. ფსიქიატრიული ჯანმრთელობის შეფასების შემდგომ ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება ნებადართულ იქნეს მხოლოდ სასამართლოს მიერ, თუ ორივე ფსიქიატრიული ანგარიშით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელია.

თუნდაც ასეთი შემთხვევის არსებობისას, სასამართლოს მაინც არ შეუძლია დაწესებულებაში მოთავსებაზე ნებართვის გაცემა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავად სასამართლოს აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი იფიქროს, რომ პირი საფრთხეშია და რომ პირის დაწესებულებაში მოთავსება აუცილებელია მიუხედავად იმისა, თუ რა სახის მტკიცებულება შეიძლება წარედგინოს სხვაგვარად სასამართლოს, თუნდაც არ არსებობდეს ნებისმიერი საწინააღმდეგო სამედიცინო დასკვნა.

30.1. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც გაიცემა პირის დაწესებულებაში მოთავსების ნებართვა, უნდა უთითებდეს ასევე მოთავსების ხანგრძლივობასაც.

თუმცა, დაწესებულებაში მოთავსებული პირი უნდა გათავისუფლდეს დაუყოვნებლივ, როდესაც დაწესებულებაში მოთავსება აღარ არის გამართლებული თუნდაც მისი ვადა ჯერ არ გასულა.

დაწესებულებაში ნებისმიერი მოთავსება, რომელიც მოითხოვება სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაზე მეტი ხნით 30-ე მუხლის ნორმების თანახმად ნებადართული უნდა იყოს სასამართლოს მიერ.

31. ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში მოთავსებული და მოვლა-პატრონობის მიმღები ნებისმიერი პირი უნდა იქნეს ინფორმირებული მისთვის მოვლა-პატრონობის პროგრამის დადგენისა და პროგრამაში ან მის საცხოვრებელ პირობებში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

როდესაც პირი 14 წლამდე ასაკისაა ან უუნაროა თავის მხრივ გასცეს თანხმობა, აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისი სახელით თანხმობის მიცემაზე კომპეტენტურ პირს.

თავი 2
ბავშვების უფლებების პატივისცემა

32. ნებისმიერ ბავშვს აქვს დაცვის, უსაფრთხოებისა და ყურადღების მიღების უფლება, რომლის მიცემაც მისთვის შეუძლიათ მის მშობლებს ან იმ პირებს, რომლებიც მშობლების ნაცვლად მოქმედებენ.

33. ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებითა და მისი უფლებების პატივისცემით.

ბავშვის ნორმალურ, ინტელექტუალურ, ემოციურ და ფსიქიკურ მოთხოვნებთან ერთად, ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკს, ჯანმრთელობას, პიროვნებასა და ოჯახურ გარემოს, ასევე — მისი ყოფის სხვა ასპექტებსაც.

34. სასამართლომ მისთვის წარდგენილი თითოეული იმ განცხადების განხილვისას, რომელიც ეხება ბავშვის ინტერესს, უნდა მისცეს ბავშვს საშუალება, მოუსმინონ მას , თუ მისი ასაკი და გამჭრიახობის უნარი იძლევა ამის საშუალებას.

თავი 3
რეპუტაციისა და კერძო ცხოვრების პატივისცემა

35. ყოველ პირს აქვს მისი რეპუტაციისა და კერძო ცხოვრების პატივისცემის უფლება.

არავის შეუძლია ჩაერიოს პირის კერძო ცხოვრებაში მისი თანხმობის გარეშე, გარდა კანონით ნებადართული შემთხვევებისა.

36. განსაკუთრებით, შემდეგი მოქმედებები შეიძლება იქნეს მიჩნეული პირის კერძო ცხოვრებაში ჩარევად:

1) შესვლა მის საცხოვრებელ სივრცეში ან იქიდან რაიმეს აღება;

2) პირის კერძო გზავნილების განზრახ ხელში ჩაგდება ან გამოყენება;

3) პირის გამოსახულების ან ხმის მითვისება ან გამოყენება, როდესაც ის იმყოფება კერძო შენობა-ნაგებობაში;

4) ნებისმიერი საშუალებით მისი კერძო ცხოვრების დაკვირვების ქვეშ ყოფნა;

5) მისი სახელის, გამოსახულების, მსგავსების და ხმის სხვა მიზნით გამოყენება, გარდა ლეგიტიმური საჯარო ინფორმაციისა;

6) მისი კორესპონდენციის, ხელნაწერებისა თუ სხვა პირადი დოკუმენტების გამოყენება.

37. ყოველ პირს, ვინც ქმნის სხვა პირის შესახებ დოსიეს, უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური საფუძველი ამის გაკეთებისა. მას შეუძლია შეაგროვოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც ეხება დოსიეს გაცხადებულ მიზანს, თუმცა შესაბამისი პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებული

ნებართვის გარეშე მას არ შეუძლია აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მესამე პირებისათვის ან გამოყენება იმ მიზნებისათვის, რომლებიც შეუსაბამოა იმ მიზნებთან, რომლისათვისაც შეიქმნა დოსიე. გარდა ამისა, დოსიეს შექმნისას ან გამოყენებისას მას არ შეუძლია კერძო ცხოვრებაში სხვაგვარი ჩარევა ან შესაბამისი პირის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენება.

38. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი სხვაგვარად ადგენს, ნებისმიერ პირს შეუძლია უფასოდ შეისწავლოს და მიაღწიოს მასთან შენახული დოსიეს სხვა პირის მიერ შესწორებას იმ მიზნით, რომ მის მიმართ მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ან მოხდეს მესამე პირის ინფორმირება; მას შეუძლია ასევე გონივრულ ფასად მიაღწიოს დოსიეს დუბლიკატის დამზადებას. დოსიეში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაგები გაშიფვრით.

39. პირს, რომელიც ინახავს სხვა პირის შესახებ დოსიეს, არ შეუძლია უარი უთხრას ამ პირს დოსიეში მოცემული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აქვს მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური საფუძველი ამის გაკეთებისა ან ამ ინფორმაციას შეუძლია მესამე პირისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება.

40. ყოველ პირს შეუძლია მიაღწიოს დოსიეში მოცემულ მასთან დაკავშირებული იმ ინფორმაციის შესწორებას, რომელიც უზუსტო, არასრული ან ორაზროვანია; მას ასევე შეუძლია მიაღწიოს მოძველებული ინფორმაციის ან დოსიეს მიზნებისათვის გაუმართლებელი ინფორმაციის განადგურებას ანდა თავისი წერილობითი შენიშვნების დოსიეში განთავსებას.

შესწორების შეტყობინება დაუყოვნებლივ გადაეცემა ყოველ პირს, რომელმაც მიიღო ინფორმაცია წინა ექვსი თვის განმავლობაში და, საჭიროების შემთხვევაში, — ასევე იმ პირს, რომელმაც მოახდინა ამ ინფორმაციის მიწოდება. იგივე წესი მოქმედებს შესწორების განცხადების მიმართ, თუ ის გასაჩივრებულია.

41. სადაც კანონი არ ადგენს დოსიეს შემოწმების ან გასწორების პირობებსა და უფლების რეალიზაციის წესს, შესაბამისი განცხადების საფუძველზე აღნიშნულს განსაზღვრავს სასამართლო.

მსგავსად ამისა, თუ აღნიშნული უფლებების რეალიზაციისას წარმოიშობა სირთულეები, შესაბამისი განცხადების საფუძველზე მათ აგვარებს სასამართლო.

თავი 4
გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სხეულის პატივისცემა

42. სრულწლოვან პირს შეუძლია განსაზღვროს მისი დაკრძალვის ცერემონიასა და ცხერდის დამარხვის წესი; არასრულწლოვანს ასევე შეუძლია ანალოგიურად მოიქცეს მშობლის უფლების მქონე პირის ან მისი მეურვის წერილობითი თანხმობით. გარდაცვლილის მიერ გამოხატული ნება-სურვილის არარსებობისას, უპირატესობა ენიჭება მემკვიდრეებისა თუ უფლებამონაცვლეების ნება-სურვილს. ორივე შემთხვევაში, მემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები ვალდებული არიან შესაბამისად იმოქმედონ; ხარჯები გადაიხდება სამკვიდრო ქონებიდან.

43. სრულწლოვან პირს ან 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს შეუძლია გადასცეს თავისი სხეული სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებისათვის გამოსაყენებლად ან გასცეს ნებართვა მისგან ორგანოების ან ქსოვილების ამოღებაზე. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანს ასევე შეუძლია ანალოგიურად მოიქცეს მშობლის უფლების მქონე პირის ან მისი მეურვის წერილობითი თანხმობით.

აღნიშნული ნება-სურვილი გამოიხატება ზეპირად ორი მოწმის წინაშე ან წერილობით და შეიძლება გამოთხოვილ იქნეს იგივე წესით. გამოხატული ნება-სურვილი უნდა დაკმაყოფილდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს მყარი საფუძველი მასზე უარის.

44. თუ გარდაცვლილის ნება-სურვილი არ არის ცნობილი ან შეუძლებელია მისი არსებობა ვივარაუდოთ, გარდაცვლილის სხეულის ნაწილი შეიძლება მოცილებულ იქნეს იმ პირის თანხმობით, რომელიც კომპეტენტური იყო ან კომპეტენტური იქნებოდა მოვლა-პატრონობის თანხმობის მიცემაზე.

თანხმობა არ მოითხოვება, როდესაც ორი ექიმი წერილობითი ფორმით ადასტურებს მისი დროული მიღების შეუძლებლობას, ოპერაციის გადაუდებლობასა და ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის ან მისი ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესების მნიშვნელოვან იმედს.

45. დაუშვებელია სხეულის ნაწილის მოცილება მანამდე, სანამ დონორის გარდაცვალება არ დადასტურდება ორი ექიმის მიერ, რომლებიც არ მონაწილეობენ არც სხეულის ნაწილის მოცილებასა და არც ტრანსპლანტაციაში.

46. გაკვეთა შეიძლება განხორციელდეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან თუ გარდაცვლილმა უკვე მისცა ამაზე თანხმობა; ის ასევე შეიძლება განხორციელდეს იმ პირის თანხმობით, რომელიც კომპეტენტური იყო ან იქნებოდა კომპეტენტური მოვლა-პატრონობის თანხმობის მიცემაზე. პირს, რომელიც ითხოვს გაკვეთას ან რომელმაც მისცა ამაზე თანხმობა, აქვს გაკვეთის შესახებ დასკვნის ასლის მიღების უფლება.

47. იმ შემთხვევაში, თუ გარემოებებიდან გამომდინარე ეს გამართლებულია, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გარდაცვლილის სხეულის გაკვეთის შესახებ ექიმის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას შეუძლია შეზღუდოს გაკვეთის შესახებ დასკვნის ნაწილების გაცემა.

მკვლელობის საქმეებზე გამომძიებელს (coroner) ასევე შეუძლია დაადგინოს გარდაცვლილის სხეულის გაკვეთის შესახებ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

48. დაუშვებელია სხეულის ბალზამირება, დამარხვა ან კრემაცია გარდაცვალების შესახებ დასკვნის მომზადებამდე და მანამდე, სანამ დასკვნის მომზადებიდან არ გავა ექვსი საათი.

49. კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დასაშვებია გვამის ეგსჰუმაცია სასამართლოს განკარგულების საფუძველზე, მისი სამარხის ადგილის მიზნის შეცვლისას ან იმისათვის, რომ გვამი სხვა ადგილას დაიმარხოს, ანდა მოხდეს საფლავის შეკეთება.

ტიტული 3
პირთა სტატუსთან დაკავშირებული განსაზღვრული ელემენტები

თავი 1
სახელი

განყოფილება 1
სახელის მინიჭება

50. ყოველ პირს აქვს სახელი, რომელიც მას ენიჭება დაბადებისთანავე და აღინიშნება დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში.

სახელი მოიცავს გვარსა და თავად სახელს.

51. რამდენადაც დედა და მამა აკეთებენ თავიანთ არჩევანს, ბავშვს ენიჭება ერთი ან მეტი სახელი და გვარი, რომელიც შედგება არაუმეტეს იმ ორი ნაწილისა, რომლებიც აღებულია მისი მშობლების გვარებისაგან შემდგარი ნაწილებისაგან.

52. გვარის არჩევასთან დაკავშირებით უთანხმოების შემთხვევაში, სამოქალაქო რეესტრი ბავშვს ანიჭებს ისეთ გვარს, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგანაც ერთი ნაწილი აიღება მისი მამის გვარისაგან, ხოლო მეორე კი, — მისი დედის გვარისაგან მათი არჩევანის შესაბამისად.

თუ უთანხმოება არსებობს სახელის არჩევასთან დაკავშირებით, რეესტრი ბავშვს ანიჭებს ორ სახელს, რომელიც შერჩეულია შესაბამისად მისი მამისა და დედის მიერ.

53. თუ ნათესაური კავშირი (filiation) დადგენილია მხოლოდ ბავშვის მამის ან დედის მხრიდან, მაშინ, გარემოებების გათვალისწინებით, ის ატარებს მისი მამის ან დედის გვარს და მისი მამის ან დედის მიერ არჩეულ ერთ ან მეტ სახელს.

ბავშვი, რომლის ნათესაური კავშირი არ არის დადგენილი, ატარებს მისთვის სამოქალაქო რეესტრის მიერ მინიჭებულ სახელს.

54. როდესაც მამის ან დედის მიერ არჩეული სახელი შეიცავს უცნაურ ნაერთს გვარისა ან უცნაურ სახელს, რომელიც აშკარად იწვევს დაცინვას ან შეუძლია ბავშვის დისკრედიტირება, სამოქალაქო რეესტრს შეუძლია მშობლებს შესთავაზოს ბავშვის სახელის შეცვლა.

თუ ისინი უარს განაცხადებენ აღნიშნულზე, რეესტრი მაინც აკეთებს დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს კვებეკის გენერალურ პროკურორს. გენერალურ პროკურორს შეუძლია აღნიშნული საკითხი დასვას სასამართლოს წინაშე რეგისტრაციის განხორციელებიდან 90 დღის განმავლობაში იმის მოთხოვნით, რომ ერთ-ერთი მშობლის გვარი შეიცვალოს მშობლების მიერ არჩეული გვარით ან რომ ერთობლივად გამოყენებული ორი სახელი შეიცვალოს მშობლების მიერ არჩეული სახელით.

სასამართლოს წინაშე საკითხის დასმის ვადის ამოწურვამდე ან იმ შემთხვევაში, თუ პროცესი უკვე დაწყებულია, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილება კი შედის კანონიერ ძალაში, სამოქალაქო რეესტრი ახდენს გენერალური პროკურორისათვის გადაცემული იმ თითოეული ასლის, ცნობისა და მოწმობის შეტყობინების შესახებ აღნიშვნას, რომლებიც გაიცემა დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერის საფუძველზე.

განყოფილება 2
სახელის გამოყენება

55. ყოველ პირს აქვს მისი სახელის პატივისცემის უფლება.

მას შეუძლია გამოიყენებოს ერთი ან მეტი სახელი, რომლებიც აღინიშნება მისი დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში.

56. პირს, ვინც იყენებს სხვის სახელს, პასუხისმგებელია ამით გამოწვეული ნებისმიერი გაუგებრობისა თუ ზიანისათვის.

სახელის მფლობელს, ისევე როგორც მისი ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ასეთ გამოყენებას და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

განყოფილება 3
სახელის შეცვლა

§ 1. — ზოგადი დებულება

57. წინამდებარე განყოფილების დებულებების შესაბამისად დაუშვებელია პირის სახელის — იქნება ეს გვარი თუ სახელი — შეცვლა სამოქალაქო რეესტრის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

§ 2. — სახელის შეცვლა ადმინისტრაციული საქმის წარმოების გზით

58. სამოქალაქო რეესტრი უფლებამოსილია, დართოს პირს ნება სახელის შეცვლაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას თითოეულ იმ საქმეში, რომელიც სასამართლოს განსჯადი არ არის და, კერძოდ კი, — როდესაც სა-

ერთოდ გამოყენებული სახელი არ შეესაბამება იმას, რაც ჩანს დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში, რომელშიც სახელი უცხოური წარმომავლობისაა ან მეტისმეტად რთულია თავისი თავდაპირველი ფორმით გამოსათქმელად ან დასაწერად ანდა როდესაც სახელი იწვევს დაცინვას ან ცუდი რეპუტაციის მქონე გახდა.

რეესტრს აქვს ასევე აღნიშნული უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წარადგენს განცხადებას გვარისათვის იმ ნაწილის დამატებაზე, რომელიც აღებულია მამის ან დედის გვარისაგან, როგორც ეს გაცხადებულია დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში.

59. სრულწლოვან პირს, ვინც კანადის მოქალაქეა და კვებეკში ცხოვრობდა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში, შეუძლია განცხადების წარდგენა სახელის შეცვლის მოთხოვნით. თუ განცხადება ეხება გვარს, მაშინ ის გამოდგება ასევე როგორც განცხადება პირის არასრულწლოვანი შვილებისათვის, რომლებიც ატარებენ იგივე გვარს ან ამ გვარის იგივე ნაწილს.

პირს შეუძლია ასევე განცხადების წარდგენა არასრულწლოვანი შვილების სახელების შეცვლის ან მისი შვილების გვარისათვის იმ ნაწილის დამატების მოთხოვნით, რომელიც აღებულია პირის კუთვნილი გვარისაგან.

60. არასრულწლოვანის მეურვეს შეუძლია განცხადების წარდგენა მისი სამეურვეო პირის სახელის შეცვლის მოთხოვნით, თუ ეს უკანასკნელი კანადის მოქალაქეა და ის კვებეკში ცხოვრობდა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში.

61. პირს, რომელიც წარადგენს განცხადებას სახელის შეცვლის მოთხოვნით, მოჰყავს განცხადების საფუძველები და ის უთითებს მისი მამისა და დედის სახელებს, ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის სახელსა და შვილებს, ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, — შვილების სხვა მშობლის სახელსაც.

პირი ფიცის ქვეშ ადასტურებს, რომ მოყვანილი საფუძველები და მიცემული ინფორმაცია სწორია და განცხადებას თან ურთავს ყველა აუცილებელ დოკუმენტს.

62. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მყარი საფუძველი, დაუშვებელია არასრულწლოვანი შვილის სახელის შეცვლა, თუ მეურვეს ანდა 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს არ შეატყობინეს განცხადების შესახებ ან ისინი ეწინააღმდეგებიან მას.

თუმცა, იმ განცხადების შემთხვევაში, რომელიც ეხება არასრულწლოვანის გვარისათვის იმ ნაწილის დამატებას, რომელიც აღებულია მამის ან დედის გვარისაგან, — მხოლოდ არასრულწლოვანს აქვს შეწინააღმდეგების უფლება.

63. სახელის შეცვლაზე ნებართვის მიცემამდე სამოქალაქო რეესტრი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ განცხადების შესახებ შეტყობინებები გამოქვეყნებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

1) საზოგადო ინტერესის გამო იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებისაგან სპეციალური გამონაკლისი იქნა დაშვებული;

2) სახელთან დაკავშირებული განცხადების შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ მოთხოვნილი ცვლილება ეხება პირის სქესობრივი იდენტობის ცვლილებას; ან

3) მოთხოვნილი ცვლილება ეხება 6 თვემდე ასაკის ბავშვს.

გარდა ამისა, რეესტრს შეუძლია მოსთხოვოს განმცხადებელს ნებისმიერი აუცილებელი დამატებითი განმარტება და ინფორმაცია, ხოლო იმ მესამე პირებს კი, რომლებიც ამას ითხოვენ, მან უნდა მისცეს თავიანთი შეხედულებების გამოთქმის შესაძლებლობა.

64. სხვა წესები, რომლებიც გამოიყენება სახელის შეცვლისა და განცხადებისა და გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცედურის მიმართ, ისევე როგორც განცხადების წარმდგენი პირის მიერ გადასახდელი მოსაკრებლები, დგინდება მთავრობის დადგენილებით.

§ 3. — სახელის შეცვლა სასამართლოში საქმის წარმოების გზით

65. სასამართლოს აქვს ექსკლუზიური კომპეტენცია, დართოს ნება ბავშვის სახელის შეცვლაზე ნათესაური კავშირის ცვლილებისას, მამის ან დედის მიერ მიტოვებისას ანდა მშობლის უფლების ჩამორთმევისას.

66. დამოუკიდებლად მოქმედ 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს შეუძლია განცხადების წარდგენა სახელის შეცვლაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში მან განცხადების შესახებ უნდა შეატყობინოს მშობლის უფლების მქონე პირს ან მეურვეს.

დამოუკიდებლად მოქმედ არასრულწლოვანს შეუძლია ასევე შეეწინააღმდეგოს განცხადებას.

§ 4. — სახელის შეცვლის შედეგები

67. სახელის შეცვლა თავის შედეგებს წარმოშობს იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ნებართვის მიცემა, შედის კანონიერ ძალაში (res judicata) ან იმ მომენტიდან, როდესაც სამოქალაქო რეესტრის გადაწყვეტილება აღარ ექვემდებარება გადასინჯვას.

ცვლილების შესახებ შეტყობინება ქვეყნდება Gazette officielle du Québec-ში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

1) საზოგადო ინტერესის გამო იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებისაგან სპეციალური გამონაკლისი იქნა დაშვებული;

2) სახელთან დაკავშირებული განცხადების შემთხვევაში ცხადი ხდება, რომ მოთხოვნილი ცვლილება ეხება პირის სქესობრივი იდენტობის ცვლილებას; ან

3) მოთხოვნილი ცვლილება ეხება 6 თვემდე ასაკის ბავშვს.

68. სახელის შეცვლა არანაირად არ ცვლის პირის უფლებებსა და ვალდებულებებს.

69. წინა სახელით შედგენილი ყველა დოკუმენტი განიხილება როგორც შედგენილი მისი ახალი სახელით.

პირს ან ნებისმიერ დაინტერესებულ მესამე პირს შეუძლია, თავისი ხარჯითა და სახელის შეცვლის მტკიცებულების წარდგენით მოითხოვოს დოკუმენტების შესწორება ახალი სახელის მითითებით.

70. ნებისმიერი პროცესი, რომელშიც მხარეს წარმოადგენს ის პირი, რომელმაც შეიცვალა სახელი, გრძელდება ახალი სახელით სარჩელის განხილვის გადავადების გარეშე.

განყოფილება 4
სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლა

71. თუ სახეზეა წინამდებარე კოდექსსა და მთავრობის დადგენილებაში აღწერილი პირობები, ყოველ პირს, რომლის სქესობრივი იდენტობა არ შეესაბამება სქესის იმ აღნიშვნას, რომელიც ჩანს პირის დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში, შეუძლია ამ აღნიშვნისა და, აუცილებლობის შემთხვევაში კი, პირის სახელის შეცვლა.

აღნიშნული ცვლილებები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს დამოკიდებული ნებისმიერი სახის მკურნალობის ჩატარებისა თუ საოპერაციო ჩარევის მოთხოვნისაგან.

3084.1-ე მუხლის ნორმათა გათვალისწინებით, მხოლოდ სრულწლოვან პირს, ვინც კვებეკში ცხოვრობდა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში და კანადის მოქალაქეა, შეუძლია ასეთი ცვლილებების განხორციელება.

72. განცხადება წარედგინება სამოქალაქო რეესტრს; მთავრობის დადგენილებაში აღწერილი დოკუმენტები ასევე უნდა იქნეს წარდგენილი.

73. განცხადება ექვემდებარება იმავე პროცედურას, რასაც განცხადება სახელის შეცვლაზე, გარდა გამოქვეყნების მოთხოვნებისა და იგივე მოსაკრებლებისა. აუცილებელი ცვლილებების გათვალისწინებით, სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლას აქვს იგივე შედეგები, რაც სახელის შეცვლას.

განყოფილება 5
გადაწყვეტილებების გადასინჯვა

74. სამოქალაქო რეესტრის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც აწესრიგებს სახელის მინიჭებას, სახელის ან სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლას, შეიძლება გადაისინჯოს სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

თავი 2
საცხოვრებელი ადგილი და ადგილსამყოფელი

75. სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისათვის პირის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს მისი ძირითადი დაფუძნების ადგილი.

76. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელიც აფუძნებს თავის ადგილსამყოფელს სხვა ადგილას იმ განზრახვით, რომ ეს უკანასკნელი გახდეს მისი ძირითადი დაფუძნების ადგილი.

აღნიშნული განზრახვის ფაქტის არსებობის მტკიცებულება გამომდინარეობს პირის განცხადებებიდან და საქმის გარემოებებიდან.

77. პირის ადგილსამყოფელს წარმოადგენს ადგილი, სადაც ის ჩვეულებრივ იმყოფება; თუ პირს აქვს ერთზე მეტი ადგილსამყოფელი, მისი ძირითადი ადგილსამყოფელი განიხილება როგორც მისი საცხოვრებელი ადგილის დამფუძნებელი ადგილი.

78. თუ პირის საცხოვრებელი ადგილის დარწმუნებით დადგენა შეუძლებელია, მაშინ მის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა მისი ადგილსამყოფელი.

თუ პირს არა აქვს ადგილსამყოფელი, მაშინ მის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, სადაც ის ცხოვრობს ან, თუ ეს უკანასკნელი უცნობია, — მისი ცნობილი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

79. პირი, რომელიც გამოძახებულია დროებით ან ისეთ საჯარო სამსახურში, რომლის გაუქმებაც შესაძლებელია, ინარჩუნებს თავის საცხოვრებელ ადგილს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამჟღავნებს საპირისპირო განზრახვას.

80. არაემანსიპირებული არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი მეურვის საცხოვრებელი ადგილი.

როდესაც მამა და დედა ახორციელებენ მეურვეობას, მაგრამ მათ არა აქვთ საერთო საცხოვრებელი ადგილი, არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ივარაუდება იმ მშობლის საცხოვრებელი ადგილი, რომელთანაც ის ჩვეულებრივ იმყოფება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ბავშვს სხვაგან დაუდგინა საცხოვრებელი ადგილი.

81. მეურვეობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი მეურვის საცხოვრებელი ადგილი; მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მისი მზრუნველის საცხოვრებელი ადგილი.

82. ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ განცალკევებული საცხოვრებელი ადგილები იმ ნორმათა დარღვევის გარეშე, რომლებიც აწესრიგებს მათი ერთად ცხოვრების საკითხებს.

83. გარიგების მხარეებს შეუძლიათ წერილობით აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი ამ გარიგების შესრულების ან მისგან გამომდინარე უფლებების განხორციელების მიზნით.

საცხოვრებელი ადგილის არჩევა არ ივარაუდება.

თავი 3
უგზო-უკვლოდ დაკარგვა და გარდაცვალება

განყოფილება 1
უგზო-უკვლოდ დაკარგვა

84. უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება პირი, როდესაც მას, ჰქონდა რა კვებეკში საცხოვრებელი ადგილი, აღარ ჩნდება იქ ვინმესთვის შესაბამისი შეტყობინების დატოვების გარეშე ისე, რომ ცნობილი არ არის, ცოცხალია ის ჯერ კიდევ თუ არა.

85. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი ივარაუდება, რომ არის ცოცხალი მისი გაუჩინარებიდან შვიდი წლის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მანამდე ხდება მისი გარდაცვალების მტკიცებულების წარდგენა.

86. მეურვე შეიძლება დაენიშნოს იმ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს, რომელსაც აქვს განსახორციელებელი უფლებები ან სამართავი ქონება, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს არ დაუნიშნავს თავისი ქონების მმართველი ან თუ მმართველი უცნობია, ის უარს აცხადებს მოქმედების განხორციელებაზე ან უგულებელყოფს მას ანდა მას ხელი ეშლება მოქმედების განხორციელებაში.

87. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის, საჯარო კურატორს (Public Curator) ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის კრედიტორს შეუძლია წარადგინოს განცხადება ამ პირის მიმართ მეურვეობის დადგენის შესახებ.

მეურვეობის მინიჭება ხდება სასამართლოს მიერ სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციით, ხოლო ის წესები, რომლებიც მოქმედებს არასრულწლოვანთა მეურვეობის მიმართ, მოთხოვნისამებრ ადაპტირებული სახით, გამოიყენება ასევე უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მეურვეობის მიმართაც.

88. მეურვის ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე და ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს იმ თანხებს, რომლებიც მიზანშეწონილია განაწილდეს ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის ხარჯების დასაფარად, ოჯახის შენახვისა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ხელშეწყობასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვისათვის.

89. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეს ან მეურვეს შეუძლია ერთი წლის ვადის განმავლობაში არყოფნის შემდეგ მიმართოს სასამართლოს იმის გაცხადებისათვის, რომ მეუღლეთა მემკვიდრეობის უფლებები შეიძლება გაუქმდეს.

მეურვეს შეუძლია მიიღოს ნებართვა სასამართლოსაგან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მეუღლის მიერ გარიგებით შეძენილი ქონების (acquest) გაყოფაზე თანხმობისა თუ უარის შესახებ ან მიიღოს სხვაგვარი გადაწყვეტილებები უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის უფლებებთან დაკავშირებით.

90. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მიმართ დადგენილი მეურვეობა წყდება პირის დაბრუნებით, მის მიერ კუთვნილ ქონებაზე მმართველის დანიშვნით, გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მისი გარდაცვალების ფაქტის დადასტურებით.

91. დაუძლეველი ძალის შემთხვევაში მეურვე, მსგავსად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის შემთხვევისა, ასევე შეიძლება დაენიშნოს იმ პირს, რომელსაც ხელი ეშლება თავის საცხოვრებელ ადგილზე გამოჩენაში და არ შეუძლია თავისი ქონების მმართველის დანიშვნა.

განყოფილება 2
გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება

92. გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილ იქნეს დაინტერესებული პირის, მათ შორის, საჯარო კურატორის ან შემოსავლების მინისტრის, როგორც ქონების დროებითი მმართველის, განცხადების საფუძველზე გაუჩინარებიდან შვიდი წლის შემდეგ.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება შეიძლება ასევე იმ მომენტამდე, როდესაც კვებეკში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირის გარდაცვალება ან სავარაუდოდ პირის კვებეკის ტერიტორიაზე გარდაცვალება შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარწმუნოდ, თუმცაღა გარდაცვალების დადასტურება შეუძლებელია.

93. გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება უთითებს სავარაუდოდ გარდაცვლილის სახელსა და სქესს და, თუ ცნობილია, მისი დაბადების ადგილსა და თარიღს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი, — ასევე ქორწინებასა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის სახელს, მისი მამისა და დედის სახელებს, ისევე როგორც მის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილსა და გარდაცვალების თარიღს, დროსა და ადგილს.

სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ გადაეცემა მკვლელობის საქმეებზე მთავარ გამომძიებელს იმ სასამართლოს მდივნის მიერ, რომელმაც გამოიტანა ეს გადაწყვეტილება.

94. გარდაცვალების თარიღად ფიქსირდება გაუჩინარებიდან შვიდი წლის ვადის გასვლის დღე ან უფრო ადრინდელი თარიღი, თუ გარემოებებიდან გამომდინარე ვარაუდი იძლევა პირის ამ დღეს გარდაცვალების სარწმუნოდ მიჩნევის საშუალებას.

სხვა მტკიცებულების არარსებობისას გარდაცვალების ადგილად ფიქსირდება ის ადგილი, სადაც პირი ბოლოჯერ ნახეს.

95. გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგები, რაც გარდაცვალებას.

96. თუ მტკიცდება, რომ გარდაცვალების თარიღი წინ უსწრებს გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიქსირებულ თარიღს, მაშინ მეუღლეთა საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმის შეწყვეტა ხდება უკუქცევითი ძალით გარდაცვალების ნამდვილი თარიღიდან და სამკვიდრო იხნება სწორედ ამ თარიღიდან.

თუ მტკიცდება, რომ გარდაცვალების თარიღს წინ უსწრებს გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიქსირებული თარიღი, მაშინ მეუღლეთა საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმის შეწყვეტა ხდება უკუქცევითი ძალით სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიქსირებული თარიღით, თუმცა სამკვიდრო იხსნება მხოლოდ გარდაცვალების ნამდვილ დღეს.

მოჩვენებით და ნამდვილ მემკვიდრეებს შორის ურთიერთობები რეგულირდება ვალდებულების შესახებ წიგნში მოცემული იმ წესებით, რომლებიც ეხება შესრულებულის უკან დაბრუნებას.

განყოფილება 3
გარდაცვლილად აღიარებული პირის დაბრუნება

97. როდესაც გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით გარდაცვლილად აღიარებული პირი ბრუნდება, სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები უქმდება, თუმცა ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი რჩევა შეწყვეტილად.

თუმცაღა, თუ წარმოიშობა სირთულეები შვილების ზედამხედველობასა თუ დახმარებასთან დაკავშირებით, მაშინ მათი მოგვარება ხდება იმგვარად, როგორც ეს გათვალისწინებულია მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების (separation from bed and board) ან სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შემთხვევაში.

98. დაბრუნებულმა პირმა უნდა მიმართოს სასამართლოს გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერების შესწორების მოთხოვნით. მესამე პირთა უფლებების გათვალისწინებით, მას ასევე შეუძლია მიმართოს სასამართლოს ცალკეული მონაცემების ან ჩანაწერების გაუქმებისა თუ შესწორების მოთხოვნით, რომლებიც განხორციელდა გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და რომლებიც გაუქმდა მისი დაბრუნების შედეგად თითქოს მათი შეტანა ან განხორციელება მოხდა არასწორად.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს ზემოაღნიშნული განცხადება დაბრუნებული პირის ხარჯზე, თუ ეს უკანასკნელი თავად არ აკეთებს ამას.

99. დაბრუნებული პირი იბრუნებს თავის ქონებას ვალდებულებების შესახებ წიგნში მოცემული იმ წესების თანახმად, რომლებიც ეხება შესრულებულის უკან დაბრუნებას. ის უნაზღაურებს ხარჯს იმ პირებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ფლობდნენ მის ქონებას და რომლებმაც მისი ვალდებულებები დაფარეს სხვა ქონების ხარჯზე, ნაცვლად მისი ქონებისა.

100. იმ პირის მიერ, რომელიც დაბრუნდა გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მაგრამ ცალკეული მონაცემების ან ჩანაწერების გაუქმებამდე თუ შესწორებამდე, მემკვიდრეების ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარების (legatees by particular title) მიმართ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა ნამდვილია და შედეგად იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

101. მოჩვენებითი მემკვიდრე, ვინც შეიტყობს, რომ გარდაცვლილად აღიარებული პირი ცოცხალია, ინარჩუნებს ქონებაზე მფლობელობას და იძენს მისგან მიღებულ ნაყოფსა და სარგებელს მანამდე, სანამ დაბრუნებული პირი არ მოითხოვს ქონების დაბრუნებას.

განყოფილება 4
გარდაცვალების ფაქტის მტკიცება

102. გარდაცვალების ფაქტის მტკიცება ხდება გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით ნებადართულია სხვა სახის მტკიცებულება.

თავი 4
სამოქალაქო რეესტრი და ჩანაწერები

განყოფილება 1
სამოქალაქო რეესტრის მოხელე

103. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს წარმოადგენს მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის მოხელე.

რეგისტრატორი პასუხისმგებელია სარეგისტრაციო ჩანაწერების განხორციელებასა და მათ შესწორებაზე, სამოქალაქო რეესტრის ექსპლუატაციასა და ზედამხედველობაზე, ასევე — მის ხელმისაწვდომობაზე.

განყოფილება 2
სამოქალაქო რეესტრი

104. სამოქალაქო რეესტრი მოიცავს ყველა სარეგისტრაციო ჩანაწერსა და გარიგებას, რომლითაც ჩანაწერები იცვლება.

105. სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერები ინახება ორ ეგზემპლარად.

106. (გაუქმებულია)

განყოფილება 3
სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერები

§ 1. — ზოგადი დებულებები

107. სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერებს წარმოადგენს მხოლოდ დაბადების, ქორწინების ან სამოქალაქო კავშირისა და გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერები.

ისინი შეიცავს მხოლოდ კანონით მოთხოვნილ მონაცემებსა და აუთენტურია.

108. სამოქალაქო რეესტრის სარეგისტრაციო ჩანაწერები კეთდება რეესტრის მიერ მიღებული იმ დაბადების, ქორწინების ან სამოქალაქო კავშირისა და გარდაცვალების ფაქტებთან დაკავშირებული მოწმობის, განცხადებისა და გარიგებების დაყოვნების გარეშე, რომლებიც ხდება კვებეკში ან ეხება კვებეკში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირებს.

როდესაც სახელი შეიცავს ისეთ სიმბოლოებს, დიაკრიტიკულ ნიშნებსა თუ სიმბოლოსა და დიაკრიტიკული ნიშნის ისეთ კომბინაციას, რომლებიც არ გამოიყენება ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე წერისათვის, დაინტერესებული პირის არჩევანით, სახელის ტრანსლიტერაცია უნდა მოხდეს ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე. ტრანსლიტერაცია შეიტანება რეესტრში და ჩაანაცვლებს აქტების, ცნობებისა და დასტურების ასლებზე სახელის ორიგინალურ ფორმას. სახელის ორიგინალური მართლწერა შენარჩუნდება ტრანსლიტერაციით მოთხოვნილი ცვლილებების გათვალისწინებით.

109. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი ამზადებს სარეგისტრაციო ჩანაწერს მის მიერ მიღებული განცხადების ხელმოწერით ან მის მიერ განცხადების უშუალო შედგენით სასამართლოს გადაწყვეტილების ან სხვა აქტის შესაბამისად, რასაც ის იღებს. ის, სადაც აუცილებელია სარეგისტრაციო ჩანაწერის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება, რეგისტრატორი ახდენს შემაჯამებელ კვლევა-ძიებას.

ის თარიღს უსვამს განცხადებას, ანიჭებს მას სარეგისტრაციო ნომერს და შეაქვს განცხადება სამოქალაქო რეესტრში. აღნიშნულის შემდგომ უკვე განცხადება ქმნის სარეგისტრაციო ჩანაწერს.

110. თითოეული მოწმობისა და განცხადების დროს მიეთითება მისი შედგენის თარიღი და მისი შემდეგენელი პირის სახელი, სტატუსი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე ახლავს ამ პირის ხელმოწერა.

§ 2. — დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერები

111. ბებია-ქალი ახდენს დაბადების დადასტურებას.

დადასტურებაში მიეთითება დაბადების ადგილი, თარიღი და დრო, ბავშვის სქესი და დედის სახელი და საცხოვრებელი ადგილი.

112. ბებია-ქალი დასტურის ასლს გადასცემს იმ პირებს, რომლებსაც მოეთხოვებათ დაბადების ფაქტის გაცხადება; დასტურის მეორე ასლს ის დაუყოვნებლივ გადასცემს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს.

113. ბავშვის დაბადების შესახებ განცხადება სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს წარედგინება მამისა და დედის ანდა ერთ-ერთი მათგანის მიერ 30 დღის ვადაში.

114. მხოლოდ მამას ან დედას შეუძლიათ განაცხადონ მათთან დაკავშირებით ბავშვის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ. თუმცა, თუ ბავშვი ჩაისახა ან დაიბადა ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის განმავლობაში, ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია განაცხადოს მეორე მეუღლესთან დაკავშირებით ბავშვის ნათესაური კავშირის შესახებ.

არც ერთ სხვა პირს არ შეუძლია ერთ-ერთი მშობლის მიმართ ნათესაური კავშირის არსებობის გაცხადება ამ მშობლის ნებართვის გარეშე.

115. დაბადების შესახებ განცხადებაში მიეთითება ბავშვისთვის მიცემული სახელი, ბავშვის სქესი და დაბადების ადგილი, თარიღი და დრო, მამისა და დედის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე — ოჯახური კავშირი განცხადებელსა და ბავშვს შორის. როდესაც მშობლები ერთი და იგივე სქესის არიან, მაშინ, გარემოებების გათვალისწინებით, ისინი მიეთითებიან როგორც ბავშვის დედები ან მამები.

116. ყოველი პირი, ვინც იფარებს იმ ახალშობილ ბავშვს, — ან იღებს მასზე ზედამხედველობას — რომლის მამა და დედა უცნობია ან მათ ხელი ეშლებათ თავიანთი ფუნქციების განხორციელებაში, ვალდებულია დაბადების შესახებ განუცხადოს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს 30 დღის ვადაში.

განცხადებაში მიეთითება ბავშვის სქესი, ხოლო თუ ეს ცნობილია, — ასევე ბავშვის სახელი, დაბადების ადგილი, თარიღი და დრო. განცხადების წარმდგენმა პირმა ასევე უნდა გააკეთოს თავისი კომენტარი ფაქტებთან და გარემოებებთან დაკავშირებით მამისა და დედის სახელების მითითებით, თუ ეს მისთვის ცნობილია.

117. როდესაც დაბადების ადგილი, თარიღი და დრო უცნობია, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი აღნიშნულს ადგენს სამეციდინო დასკვნისა და იმ ვარაუდების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს გარემოებებიდან გამომდინარე.

§ 3. — ქორწინების სარეგისტრაციო ჩანაწერები

118. ქორწინების განცხადება დაუყოვნებლივ წარედგინება სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს იმ პირის მიერ, რომელმაც ჩაატარა ქორწინების საზეიმო ცერემონია.

119. ქორწინების განცხადებაში მიეთითება თითოეული მეუღლის სახელი

და საცხოვრებელი ადგილი, მათი დაბადების ადგილები და თარიღები, მათი ქორწინების თარიღი და თითოეული მათგანის მამისა და დედის, ასევე — მოწმეთა სახელები.

განცხადებაში ასევე მიეთითება სასულიერო პირის სახელი, საცხოვრებელი ადგილი და სტატუსი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, — მისი რელიგიური მიკუთვნება.

120. შესაბამის შემთხვევაში, ქორწინების განცხადებაში მიეთითება პუბლიკაციის ვალდებულებისაგან გათავისუფლების ფაქტის შესახებ, ასევე — იმ ფაქტის შესახებ, რომ მეუღლე უკვე იმყოფება სამოქალაქო კავშირში, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე არასრულწლოვანია, მაშინ მიეთითება მიღებული ნებართვებისა და თანხმობების შესახებაც.

121. განცხადებას ხელს აწერენ სასულიერო პირი, მეუღლეები და მოწმეები.

§ 3.1. — სამოქალაქო კავშირის სარეგისტრაციო ჩანაწერები

121.1. განცხადება სამოქალაქო კავშირის შესახებ დაუყოვნებლივ წარედგინება სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს იმ პირის მიერ, რომელმაც ჩაატარა სამოქალაქო კავშირის საზეიმო ცერემონია.

121.2. სამოქალაქო კავშირის შესახებ განცხადებაში მიეთითება თითოეული მეუღლის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე — დაბადების ადგილები და თარიღები, სამოქალაქო კავშირის საზეიმო ცერემონიის ჩატარების ადგილი და თარიღი და მათი მამისა და დედის, ასევე მოწმეთა სახელები. საჭიროების შემთხვევაში, განცხადებაში მიეთითება პუბლიკაციის ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების მინიჭების შესახებ.

განცხადებაში ასევე მიეთითება სასულიერო პირის სახელი, საცხოვრებელი ადგილი და სტატუსი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, — მისი რელიგიური მიკუთვნება.

121.3. განცხადებას ხელს აწერენ სასულიერო პირი, მეუღლეები და მოწმეები.

§ 4. — გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერები

122. ექიმი, რომელიც ადასტურებს გარდაცვალების დადგომის ფაქტს, ახდენს გარდაცვალების დადასტურებას.

დასტურის ასლს ის გადასცემს იმ პირს, რომელსაც მოეთხოვება გარდაცვალების ფაქტის გაცხადება. დასტურის მეორე ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს ექიმის ან დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელის მიერ, რომელის თავის თავზე იღებს გარდაცვლილის გვამზე პასუხისმგებლობას, გარდაცვალების განცხადებასთან ერთად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაუყოვნებლივ გადაცემა შეუძლებელია.

123. თუ გონივრულ ვადაში შეუძლებელია ექიმის მიერ გარდაცვალების ფაქტის დადასტურება, ხოლო გარდაცვალება კი ცხადია, გარდაცვალების დადასტურება შეიძლება განხორციელდეს პოლიციის ორი თანამშრომლის მიერ, რომელსაც იგივე მოვალეობები ეკისრებათ, რაც ექიმს.

124. გარდაცვალების ფაქტის დასტურში მიეთითება გარდაცვლილის სახელი და სქესი, ასევე გარდაცვალების ადგილი, თარიღი და დრო.

125. გარდაცვალების განცხადება დაუყოვნებლივ წარედგინება სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს გარდაცვლილის მეუღლის, ახლო ნათესავის ან ქორწინებით ანდა სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირი მიერ, ხოლო ამ პირების არარსებობისას, — ნებისმიერი სხვა პირის მიერ, რომელსაც შეუძლია გარდაცვლილის ამოცნობა. თუ დამკრძალავი ბიუროს ხელმძღვანელმა თავის თავზე აიღო გარდაცვლილის გვამზე პასუხისმგებლობა, ის აცხადებს მისი დაკრძალვის დროს, ადგილსა და წესს.

126. გარდაცვალების განცხადებაში მიეთითება გარდაცვლილის სახელი და სქესი, დაბადების ადგილი და თარიღი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, — გარდაცვლილის ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის შესახებ, მეუღლის სახელი, მამისა და დედის სახელები და გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, გარდაცვალების ადგილი, თარიღი და დრო, ისევე როგორც — დამარხვის დრო, ადგილი და წესი.

127. როდესაც გარდაცვალების თარიღი და დრო უცნობია, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი აღნიშნულს ადგენს მკვლელობის საქმეებზე გამომძიებლის დასკვნისა და იმ ვარაუდების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს გარემოებებიდან გამომდინარე.

თუ უცნობია გარდაცვალების ადგილი, ასეთად ივარაუდება ის ადგილი, სადაც გვამი იქნა აღმოჩენილი.

128. თუ გარდაცვლილის პიროვნება უცნობია, დასტური მოიცავს გვამის აღწერასა და მისი აღმოჩენის გარშემო ფიქსირებული გარემოებების შესახებ ანგარიშს.

განყოფილება 4
სამოქალაქო რეესტრის ცვლილება

§ 1. — ზოგადი დებულება

129. იმ სასამართლოს მდივანი, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება სახელის ცვლილების ან პირის სტატუსის სხვაგვარი ანდა ასევე სარეგისტრაციო ჩანაწერებში ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შესახებ, გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებს სამოქალაქო რეესტრს დაუყოვნებლივ, როგორც კი ეს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში (res judicata).

ნოტარიუსი, რომელიც ადგენს სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ ერთობლივ განცხადებას, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ სამოქალაქო რეესტრს.

§ 2. — ჩანაწერებისა და აღნიშვნების მომზადება

130. როდესაც კვებეკში მომხდარი დაბადება, ქორწინება, სამოქალაქო კავშირი ან გარდაცვალება არ არის დამოწმებული და გაცხადებული ან დამოწმებული და გაცხადებულია არასწორად ან დაგვიანებით, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი ახდენს შემაჯამებელ კვლევა-ძიებას, აკეთებს სარეგისტრაციო ჩანაწერს მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე და შეაქვს ჩანაწერი სამოქალაქო რეესტრში.

როდესაც კეთება დაგვიანებული განცხადება, რომელიც ემატება ადრინდელ განცხადებას ისე, რომ არ ეწინააღმდეგება მას, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეუძლია, ადრინდელი განცხადების ავტორის თანხმობით, შესაბამისად შეცვალოს სარეგისტრაციო ჩანაწერი. თუმცა, ნათესაური კავშირის შესახებ განცხადების შემთხვევაში, სარეგისტრაციო ჩანაწერის შეცვლა დამოკიდებულია ბავშვის თანხმობაზე, თუ ის 14 ან მეტი წლის ასაკისაა, და ასევე — ჩანაწერით, სტატუსის უწყვეტი ფლობითა თუ კანონისმიერი პრეზუმფციით სხვა პირის სასარგებლოდ დადგენილი ნათესაური კავშირის ვალდებულების არარსებობაზე; აღნიშნული ასევე დამოკიდებულია შეტყობინების გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში მესამე პირის მხრიდან ნებისმიერი პროტესტის არარსებობაზე, რაც რეგულირდება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესებით.

131. როდესაც განცხადება და დასტური შეიცავს ისეთ მონაცემებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებითად ეწინააღმდეგება პირის სტატუსის დადგენას, სარეგისტრაციო ჩანაწერის განხორციელება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია სასამართლოს მიერ სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

132. ახალი სარეგისტრაციო ჩანაწერი ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჩანაწერში იცვლება ისეთი არსებითი მონაცემი, როგორიცაა პირის სახელი ან ნათესაური კავშირი, შეტყობინებულ იქნა სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს ან როდესაც სახელის ან სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლაზე ნებართვის მიცემის შესახებ გადაწყვეტილება საბოლოოა.

ჩანაწერის დასრულებისათვის რეგისტრატორს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ შედგენილი ახალი განცხადების ხელმოწერა იმ პირების მიერ, რომლებიც შეძლებდნენ მის ხელმოწერას, ის რომ თავდაპირველი განცხადება ყოფილიყო.

ახალი ჩანაწერით იცვლება თავდაპირველი განცხადება; ის იმეორებს ყველა იმ განცხადებებსა და მონაცემებს, რომლებსაც არ ეხება ცვლილებები. გარდა ამისა, ცვლილება მიეთითება თავდაპირველ ჩანაწერში.

132.1. როდესაც ადგილი აქვს კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანას კვებეკში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირის მიერ, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი აკეთებს დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერს კვებეკში მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების, კვებეკში სასამართლო წესით ცნობილი გადაწყვეტილების ან ნებისმიერი რეგისტრატორისათვის შეტყობინებული დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც კანონის თანახმად სამართლებრივი შედეგის სახით იწვევს კვებეკში შვილად აყვანას.

სასამართლოს მდივანი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ატყობინებს სამოქალაქო რეესტრს დაუყოვნებლივ, როგორც კი ეს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეტყობინებას ურთავს გადაწყვეტილებას ან დოკუმენტს.

სასამართლოს მდივანი ასევე ატყობინებს სამოქალაქო რეესტრს იმ ნებისმიერი მოწმობის შესახებ, რომელიც გაცემულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მქონე ბავშვების შვილად აყვანის შესახებ კანონის საფუძველზე (თავი A-7.01).

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მინისტრი ატყობინებს სამოქალაქო რეესტრს უცხოური კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული მოწმობისა და იმ განცხადების შესახებ, რომელიც შეიცავს ბავშვისთვის შერჩეულ სახელს და რომელიც გადაეცემა მინისტრს ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებული თანამშრომლობის შესახებ კონვენციის (თავი M-35.1.3) ამოქმედების თაობაზე კანონის საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მინისტრმა მიმართა სასამართლოს აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების (ruling) მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში, მინისტრი ასევე ახდენს მის მიერ იმავე მუხლის საფუძველზე შედგენილი მოწმობის შეტყობინებას, რათა დადასტურდეს შვილად აყვანის შეცვლა.

133. როდესაც გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას ატყობინებენ სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს, ეს უკანასკნელი აკეთებს გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერს სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული მონაცემების მითითებით.

133.1. როდესაც სასამართლო პირს დამნაშავედ ცნობს იმ ქმედებებში, რომლებმაც გამოიწვია დაკარგული პირის გარდაცვალება ან გარდაცვლილი პირის ცხედრის გაუჩინარება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს განუცხადოს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალების შესახებ. დამნაშავედ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლი უნდა დაერთოს გარდაცვალების განცხადებას.

რეგისტრატორი აკეთებს უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალების სარეგისტრაციო ჩანაწერს. როდესაც გარდაცვალების თარიღი და დრო უცნობია, რეგისტრატორი აღნიშნულს ადგენს განაჩენში არსებული მონაცემებისა და იმ ვარაუდების საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გაკეთდეს გარემოებებიდან გამომდინარე.

რეგისტრატორის მიერ გაკეთებულ სარეგისტრაციო ჩანაწერს აქვს იგივე

სამართლებრივი შედეგები, რაც გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

134. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის შესახებ აღნიშვნას აკეთებს დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერში, ხოლო გარდაცვალების შესახებ აღნიშვნას კი, — დაბადებისა და ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის სარეგისტრაციო ჩანაწერებში.

135. განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეტყობინების საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორმა უნდა მოახდინოს აღნიშვნა სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე თითოეული მხარის დაბადებისა და ქორწინების ჩანაწერებში.

სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან სანოტარო წესით დამოწმებული ერთობლივი განცხადების შეტყობინებაზე რეგისტრატორმა უნდა მოახდინოს აღნიშვნა განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ თითოეული შესაბამისი პირის დაბადებისა და სამოქალაქო კავშირის ჩანაწერებში.

ქორწინების შესახებ იმ განცხადების მიღებისას, რომელშიც მითითებულია, რომ მეუღლეები უკვე იყვნენ სამოქალაქო კავშირში, რეგისტრატორმა განცხადების შესახებ აღნიშვნა უნდა მოახდინოს სამოქალაქო კავშირის ჩანაწერში.

იმ სასამართლოს გადაწყვეტილების შეტყობინებაზე, რომელიც ქორწინებას ან სამოქალაქო კავშირს აცხადებს ბათილად ან აუქმებს გარდაცვლილად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რეგისტრატორმა, გარემოებების გათვალისწინებით, უნდა გააუქმოს ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის ანდა გარდაცვალების შესახებ ჩანაწერები და გააკეთოს მოთხოვნილი რეგისტრაცია რეესტრის თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად.

136. როდესაც სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი სარეგისტრაციო ჩანაწერებში აღნიშვნას ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მას ჩანაწერში შეჰყავს დავის საგანი და გადაწყვეტილების თარიღი, ასევე — მისი მიმღები სასამართლო და სხდომის ოქმების რაოდენობა.

ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ის ჩანაწერში ახდენს აუცილებელ აღნიშვნებს, რათა შესაძლებელი გახდეს ჩანაწერის ცვლილების მოძიება.

137. კვებეკის ფარგლებს გარეთ გაკეთებული იმ სარეგისტრაციო ჩანაწერის მიღებისას, რომელიც არ ეხება კვებეკში საცხოვრებელი ადგილის მქონე პირს, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეაქვს ჩანაწერი რეესტრში მსგავსად იმისა, თითქოს ის კვებეკში ყოფილიყო შედგენილი.

რეგისტრატორი ასევე რეგისტრაციაში ატარებს კვებეკის ფარგლებს გარეთ დადებულ გარიგებებს, რომლებიც ნაწილობრივ ან მთლიანად ცვლის მის ხელთ არსებულ სარეგისტრაციო ჩანაწერს; ამდენად, ის რეესტრში ახორციელებს შესაბამის რეგისტრაციას.

მიუხედავად რეესტრში რეგისტრაციისა, გარიგებები, მათ შორის, კვებეკის ფარგლებს გარეთ შედგენილი დოკუმენტები, კვებეკის სასამართლოს მიერ მათი ნამდვილობის აღიარებამდე ინარჩუნებს ნახევრად-აუთენტური

დოკუმენტების სტატუსს. რეგისტრატორმა უნდა ახსენოს ეს ფაქტი ასეთი დოკუმენტების ასლების, ცნობებისა თუ მოწმობების გაცემისას.

138. როდესაც კვებეკის ფარგლებს გარეთ გაკეთებული სარეგისტრაციო ჩანაწერის ან დადებული გარიგების ნამდვილობის მიმართ არსებობს ეჭვი, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეუძლია უარი თქვას რეგისტრაციაზე კვებეკის სასამართლოს მიერ დოკუმენტის ნამდვილობის აღიარებამდე.

139. თუ კვებეკის ფარგლებს გარეთ გაკეთებული სარეგისტრაციო ჩანაწერი დაიკარგა ან განადგურდა ანდა შეუძლებელია ასლის მოპოვება, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორმა არ უნდა განახორციელოს რეგისტრაცია ან მოახდინოს მის ხელთ უკვე არსებულ დოკუმენტში აღნიშვნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია სასამართლოს მიერ.

140. კვებეკის ფარგლებს გარეთ გაკეთებულ ყოველ სარეგისტრაციო ჩანაწერს ან დადებულ გარიგებას, რომელიც არ არის შესრულებული ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე, უნდა ახლდეს კვებეკში დამოწმებული თარგმანი.

§ 3. — ჩანაწერისა და რეესტრის შესწორება და აღდგენა

141. გარდა წინამდებარე თავით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხოლოდ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს სარეგისტრაციო ჩანაწერის შესწორების ან მისი რეესტრში შეტანის შესახებ.

დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სასამართლოს ასევე შეუძლია სარეგისტრაციო ჩანაწერთან დაკავშირებული სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის ნებისმიერი გადაწყვეტილების გადასინჯვა.

142. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი ყველა ჩანაწერში ასწორებს მექანიკურ შეცდომებს.

143. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) თანახმად აღადგენს ნებისმიერ დაკარგულ ან განადგურებულ დოკუმენტს.

განყოფილება 5
სამოქალაქო რეესტრის მონაცემების გამოქვეყნება

144. სამოქალაქო რეესტრის მონაცემები ქვეყნდება დოკუმენტების, ცნობებისა თუ მოწმობების ასლების გაცემით, რომლებსაც დაესმება სამოქალაქო რეესტრის შტამპი „დამოწმებული ასლი“ (vidimus) და გაცემის თარიღი.

137-ე მუხლის ნორმათა გათვალისწინებით, ამგვარად გაცემული დოკუმენტების, ცნობებისა თუ მოწმობების ასლები აუთენტურია.

145. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც მთლიანობაში ასახავს სარეგის-

ტრაციო ჩანაწერის განცხადებებს ცვლილების შესაბამისი აღნიშვნების ჩათვლით, თუმცაღა იმ აღნიშვნების გამოკლებით, რომლებიც ითხოვს პირის სტატუსის დადგენისათვის არაარსებით მოწესრიგებას, — წარმოადგენს ამ დოკუმენტის ასლს.

146. სარეგისტრაციო ჩანაწერის შესახებ ცნობაში მითითებულია პირის სახელი, სქესი, დაბადების ადგილი და თარიღი, ხოლო თუ პირი გარდაცვლილია, — ასევე გარდაცვალების ადგილი და თარიღი. საჭიროების შემთხვევაში, ცნობაში ასევე მითითებულია ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის ადგილი და თარიღი და მეუღლის სახელი.

სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეუძლია ასევე გასცეს დაბადების, ქორწინების, სამოქალაქო კავშირისა და გარდაცვალების ცნობები, რომლებიც შეიცავს მხოლოდ იმ მონაცემებს, რომლებიც ეხება ერთ დამოწმებულ ფაქტს.

147. დადასტურება ეხება რეესტრში დოკუმენტის ან იმ აღნიშვნის არსებობა-არარსებობას, რომლის დოკუმენტში გაკეთებაც მოითხოვება კანონის მიერ.

148. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორი გასცემს დოკუმენტის ან ცნობის ასლს მხოლოდ დოკუმენტსა თუ ცნობაში ნახსენებ პირებზე ან იმ პირებზე, რომლებიც ამტკიცებენ თავიანთი ინტერესის არსებობას. რეგისტრატორს შეუძლია ნებისმიერ იმ პირს, რომელიც განცხადებით ითხოვს დოკუმენტის ან ცნობის ასლის გაცემას, მოსთხოვოს ისეთი დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარდგენა, რაც აუცილებელია პირის პირადობისა თუ ინტერესის დასადგენად.

რეგისტრატორი დასტურს გასცემს ყველა იმ პირზე, ვინც კი ამაზე მას მიმართავს, თუ მის მიერ დადასტურებული მონაცემი ან ფაქტი ისეთია, რომ ჩანს ცნობაში; სხვა შემთხვევაში რეგისტრატორი დასტურს გასცემს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ამტკიცებენ თავიანთი ინტერესის არსებობას.

149. როდესაც ხდება ახალი დოკუმენტის შედგენა, მხოლოდ მასში ნახსენებ პირებს შეუძლიათ მიიღონ თავდაპირველი დოკუმენტის ასლი. თუმცა, მშვილად აყვანის შემთხვევებში არანაირი თავდაპირველი დოკუმენტის ასლი არ გაიცემა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც — კანონის სხვა პირობების შესრულების პირობით — ის ნებადართულია სასამართლოს მიერ.

როგორც კი დოკუმენტი უქმდება, გაუქმებული დოკუმენტის ასლის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც ამტკიცებენ თავიანთი ინტერესის არსებობას.

150. სამოქალაქო რეესტრის მიერ კონსულტაციის მიღება შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის ნებართვით.

როდესაც რეგისტრატორი რთავს რეესტრს კონსულტაციის მიღების ნებას, ის განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლებიც მოითხოვება მასში მოცემული ინფორმაციის დაცვისათვის.

განყოფილება 6
სამოქალაქო რეესტრის მონაცემების შენახვასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მომწესრიგებელი უფლებამოსილებები

151. სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეუძლია მისი თანამშომლებისაგან დანიშნოს ერთი ან მეტი წევრი მისი დროებით ჩანაცვლებისათვის, თუ ის სახეზე არ არის ან მას არ შეუძლია მოქმედება. მას ასევე შეუძლია მისი თანამშომლებისათვის თავისი გარკვეული ფუნქციების დელეგირებაც.

წინა პარაგრაფით გათვალისწინებული დანიშვნები და დელეგირება ფორმდება წერილობით. ისინი ძალას იძენს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის მიერ მათზე ხელმოწერით. დანიშვნები და დელეგირება უნდა გამოქვეყნდეს Gazette officielle du Québec-ში.

ის დამატებითი მონაცემები, რომლებიც შეიძლება გამოჩნდეს დასტურებსა და განცხადებებში, დოკუმენტების, ცნობებისა თუ მოწმობების ასლების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლები და დოკუმენტის მომზადებისა თუ შეცვლის, ისევე როგორც რეესტრის საკონსულტაციო საზღაური დგინდება მთავრობის დადგენილებით.

152. კრის (Cree), ინიუტისა (Inuit) თუ ნასკაფის (Naskapi) თემებში ადგილობრივ მარეგისტრირებელს ან კრის, ინიუტისა თუ ნასკაფის ადგილობრივ მაცხოვრებლებთან დაკავშირებულ ნებისმიერ კანონის საფუძველზე დანიშნულ სხვა საჯარო მოხელეს, დადგენილებით გათვალისწინებულ ფარგლებში, შეიძლება მიენიჭოს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის გარკვეული მოვალეობების შესრულების უფლებამოსილება.

მთავრობასა და მოჰავკის (Mohawk) თემს შორის დადებული შეთანხმების კონტექსტში, სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს შეუძლია დაეთანხმოს ამ თემის მიერ იმ სპეციალური პროცედურისათვის დანიშნულ პირს, რომლითაც ხდება ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე საზეიმოდ ჩატარებულ ქორწინებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა, ასევე — თემის წევრებთან დაკავშირებით დაბადების, ქორწინების ან გარდაცვალების განცხადებების გადაცემა, ისევე როგორც თემის წევრების ტრადიციული სახელების რეესტრში რეგისტრაცია.

ტიტული 4
პირების ქმედუნარიანობა

თავი 1
სრულწლოვანება და არასრულწლოვანება

განყოფილება 1
სრულწლოვანება

153. სრულ ასაკს ანუ სრულწლოვანების ასაკს წარმოადგენს 18 წელი.
სრული ასაკის მიღწევისას პირი აღარ არის არასრულწლოვანი და მას აქვს სრული უნარი, განახორციელოს ყველა სამოქალაქო უფლება.

154. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება სრული ასაკის პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა ან სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც პირს უწესდება დაცვითი ზედამხედველობა.

განყოფილება 2
არასრულწლოვანება

155. არასრულწლოვანი თავის სამოქალაქო უფლებებს განახორციელებს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

156. 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანი მიიჩნევა სრულ ასაკს მიღწეულ პირად ყველა იმ მოქმედების განხორციელების მიზნით, რაც ეხება მის დასაქმებას ან მის სახელოსნო ან პროფესიულ პრაქტიკას.

157. თავისი ასაკისა და გამჭრიახობის უნარით მოცემული შეზღუდვების ფარგლებში არასრულწლოვანს შეუძლია დადოს ხელშეკრულებები მხოლოდ მისი მიმდინარე და ჩვეულებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

158. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მას შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, არასრულწლოვანი თავისი სამოქალაქო უფლებების განხორციელებისას წარმოდგენილია მეურვის მიერ.
გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის ან მოქმედების ბუნების თანახმად ეს დაუშვებელია, არასრულწლოვანის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მოქმედება შეიძლება ასევე კანონიერად განხორციელდეს მისი წარმომადგენლის მიერაც.

159. ნებისმიერ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით არასრულწლოვანი უნდა იყოს წარმოდგენილი მისი მეურვის მიერ; მისი სარჩელების წარდგენა ხდება მისი მეურვის სახელით.

თუმცა, არასრულწლოვანს სასამართლოს ნებართვით შეუძლია დამოუკიდებლად წამოიწყოს სასამართლო დავა მის სტატუსთან, მშობლის უფლების განხორციელებასთან ან იმ მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლის განხორციელებაც მას დამოუკიდებლად შეუძლია; აღნიშნულ შემთხვევებში მას მოპასუხის სახით დამოუკიდებლად შეუძლია მოქმედება.

160. თავისი თავის დასაცავად არასრულწლოვანს შეუძლია მიუთითოს ნებისმიერ ისეთ უსწორობაზე, რომელიც გამომდინარეობს წარმომადგენლობის არარსებობიდან ან მისი არასრულწლოვანებით გამოწვეული ქმედუუნარობიდან.

161. აბსოლუტურად ბათილია არასრულწლოვანის მიერ განხორციელებული მოქმედება, როდესაც კანონი არ რთავს მას დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოქმედების განხორციელების ნებას.

162. სასამართლოს ნებართვის გარეშე მეურვის მიერ განხორციელებული მოქმედება — მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების ბუნება ამას მოითხოვს — შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე ყოველგვარი იმის მტკიცების მოთხოვნის გარეშე, რომ მან განიცადა ზიანი.

163. არასრულწლოვანის მიერ დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით სამეურვეო საბჭოს ნებართვის გარეშე განხორციელებული მოქმედება — მიუხედავად იმისა, რომ მოქმედების ბუნება ამას მოითხოვს — არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე ვერ გაბათილდება და ვერც მისგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის შედეგად არასრულწლოვანი განიცდის ზიანს.

164. არასრულწლოვანი ვერ წარადგენს სარჩელს მოქმედების ბათილობასა თუ ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებით, თუ მის მიერ განცდილი ზარალი გამოწვეულია შემთხვევითი და გაუთვალისწინებელი მოვლენით.
არასრულწლოვანი თავიდან ვერ აიცილებს არასახელშეკრულებო ვალდებულებას მისი ბრალით სხვისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

165. არასრულწლოვანის მხრიდან მხოლოდ იმის განცხადება, რომ ის სრული ასაკისაა, არ ართმევს მას ბათილობის ან ვალდებულების შემცირების მოთხოვნით სარჩელის წარდგენის უფლებას.

166. სრული ასაკის მიღწევისას პირს შეუძლია დაადასტუროს მის მიერ არასრულწლოვანებისას დამოუკიდებლად განხორციელებული ის მოქმედებები, რომელთათვისაც მას მოეთხოვებოდა, რომ ყოფილიყო წარმოდგენილი. მეურვეობის ანგარიშების წარდგენის შემდეგ, მას ასევე შეუძლია დაადასტუროს ის მოქმედება, რომელიც მისმა მეურვემ ყველა ფორმალობის დაცვის გარეშე განახორციელა.

განყოფილება 3
ემანსიპაცია

§ 1. — მარტივი ემანსიპაცია

167. სამეურვეო საბჭოს თანხმობის მიღების შემდეგ მეურვეს შეუძლია მოახდინოს არასრულწლოვანის ემანსიპაცია, თუ ის 16 ან მეტი წლის ასაკისაა და ითხოვს ამას, რისთვისაც საჯარო კურატორს წარუდგენს აღნიშნული შედეგების მისაღწევად საჭირო განცხადებას.

ემანსიპაცია ძალაში შედის განცხადების წარდგენის მომენტიდან.

168. ანალოგიურად სასამართლოს მეურვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში კი, — სამეურვეო საბჭოს კონსულტაციის მიღების შემდეგ შეუძლია მოახდინოს არასრულწლოვანის ემანსიპაცია.

არასრულწლოვანს დამოუკიდებლად შეუძლია მიმართოს სასამართლოს ემანსიპაციის მოთხოვნით.

169. მეურვე ანგარიშვალდებულია მის მიერ ემანსიპირებული არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული მართვისათვის; თუმცა, ის აგრძელებს მისადმი უანგარო დახმარებას.

170. ემანსიპაცია არ ასრულებს არასრულწლოვანებას და არც ანიჭებს პირს სრულწლოვანებასთან დაკავშირებულ ყველა უფლებას, მაგრამ ის ათავისუფლებს არასრულწლოვანს იმ ვალდებულებისაგან, რომ თავისი სამოქალაქო უფლებების განხორციელებისათვის იყოს წარმოდგენილი.

171. ემანსიპირებულ არასრულწლოვანს შეუძლია დაადგინოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და ის აღარ იმყოფება მისი მამისა და დედის კონტროლის (authority) ქვეშ.

172. იმ მოქმედებებთან ერთად, რომელთა განხორციელებაც არასრულწლოვანს დამოუკიდებლადაც შეუძლია, ემანსიპირებულ არასრულწლოვანს შეუძლია განახორციელოს მარტივ მართვასთან დაკავშირებული მოქმედებები; ამდენად, მას, როგორც დამქირავებელს, შეუძლია ხელი მოაწეროს ქირავნობის ხელშეკრულებებს არამეტეს სამწლიანი ვადით და თავისი სახსრების ფარგლებში დადოს კუთვნილი ქონების ჩუქების ხელშეკრულებები იმ პირობით, რომ ის ამით საგრძნობლად არ ამცირებს თავის კაპიტალს.

173. მეურვე უნდა დაეხმაროს ემანსიპირებულ არასრულწლოვანს მარტივი მართვის მიღმა არსებული ყოველი მოქმედების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით კი, — ვალდებულებით დატვირთული ნაჩუქრობების მიღებისას ან სამკვიდრო ქონებაზე უარის თქმისას.

დახმარების გარეშე განხორციელებული მოქმედება ვერ გაბათილდება და ვერც მისგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის შედეგად არასრულწლოვანი განიცდის ზიანს.

174. დიდი თანხების კრედიტები ან სესხები, ემანსიპირებული არასრულწლოვანის საგვარეულო ქონების გათვალისწინებით, ასევე — უძრავი ქონების ან საწარმოს გასხვისება მეურვის კონსულტაციის საფუძველზე მოითხოვს სასამართლოს ნებართვას. ასეთი ნებართვის არარსებობისას მოქმედება ვერ გაბათილდება და ვერც მისგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულის შედეგად არასრულწლოვანი განიცდის ზიანს.

§ 2. — სრული ემანსიპაცია

175. სრული ემანსიპაციის მიღება ხდება ქორწინებით.

არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე მისი მინიჭება შეიძლება ასევე სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას; ასეთ შემთხვევაში მშობლის უფლების მქონე პირი, მეურვე და ნებისმიერი ის პირი, ვინც ახორციელებს ზედამხედველობას ბავშვზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი, — სამეურვეო საბჭო მოიწვევიან კონსულტაციის მისაღებად.

176. სრული ემანსიპაცია არასრულწლოვანს აძლევს მისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას ისე, თითქოს ის სრული ასაკის იყოს.

თავი 2
არასრულწლოვანთა მეურვეობა

განყოფილება 1
მეურვეობა

177. მეურვეობა დგინდება არასრულწლოვანის ინტერესებში; ის გამიზნულია მისი პიროვნების დაცვის, კუთვნილი საგვარეულო ქონების მართვისა და, საერთოდ, მისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

178. არასრულწლოვანის მეურვეობა არის იურიდიული ან მინიჭებული (dative).

კანონიდან გამომდინარე მეურვეობა წარმოადგენს იურიდიულ მეურვეობას; მამისა და დედის ან სასამართლოს მიერ გადაცემული მეურვეობა კი არის მინიჭებული მეურვეობა.

179. მეურვეობა წარმოადგენს პირად მოვალეობას და ის ღიაა ყოველი ფიზიკური პირისათვის, რომელსაც შეუძლია მისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია და შესწევს უნარი, იკისროს ასეთი მოვალეობა.

180. დაუშვებელია ვინმეს იძულება მინიჭებულ მეურვეობაზე თანხმობის მისაცემად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზე არ არის ნებისმიერი სხვა პირი, ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი ან, ქონების მეურვეობის შემთხვევაში, — საჯარო კურატორი.

181. მეურვეობა არ გადადის მემკვიდრეობით მეურვის მემკვიდრეებზე; ისინი არიან მხოლოდ და მხოლოდ ანგარიშვალდებული მის მართვაზე. თუ ისინი სრული ასაკის არიან, მათ ევალებათ მისი მართვის გაგრძელება ახალი მეურვის დანიშვნამდე.

182. ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის ან საჯარო კურატორის მიერ განხორციელებული მეურვეობა დაკავშირებულია მათ ფუნქციებთან.

183. მამები და დედები, ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი ან მის მიერ მეურვის სახით რეკომენდირებული პირი მეურვეობას ახორციელებენ უსასყიდლოდ.

თუმცა, მამებსა და დედებს შეუძლიათ მიიღონ სასამართლოს მიერ სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციით დადგენილი ანაზღაურება მათი შვილის ქონების მართვისათვის, რაც წარმოადგენს მათი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სახეს.

184. მინიჭებული მეურვეობის შემთხვევაში, მეურვეს შეუძლია მიიღოს ანაზღაურება, რომელიც სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციით დგინდება სასამართლოს მიერ ანდა მამის ან დედის მიერ, რომლებიც მას ნიშნავენ ანდა მათი სამკვიდრო ქონების ლიკვიდატორის მიერ ასეთი ნებართვის არსებობისას. მხედველობაში მისაღებია მეურვეობის ხარჯები და სამართავი ქონებიდან მიღებული შემოსავალი.

185. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაყოფილია, მეურვეობა ვრცელდება არასრულწლოვანის პიროვნებასა და ქონებაზე.

186. როდესაც მეურვეობა ვრცელდება არასრულწლოვანის პიროვნებაზე და ხორციელდება სხვა პირის — და არა მამისა თუ დედის — მიერ, მაშინ მეურვე მოქმედებს როგორც მშობლის უფლების მქონე პირი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს.

187. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება პირისათვის ერთ მეურვეზე მეტის დანიშვნა, თუმცაღა დასაშვებია ქონებაზე რამდენიმე მეურვის დანიშვნა.

188. ქონების მეურვე პასუხისმგებელია არასრულწლოვანის ქონების მართვაზე, თუმცა პიროვნების მეურვე წარმოადგენს არასრულწლოვანს სასამართლო დავებში ამ ქონებასთან დაკავშირებით.

როდესაც დანიშნულია ქონების რამდენიმე მეურვე, თითოეული მათგანი ანგარიშვალდებულია მისთვის მინდობილი ქონების მართვაზე.

189. იურიდიულ პირს შეუძლია ქონების მეურვის სახით მოქმედება, თუ ეს ნებადართულია კანონით.

190. ყოველთვის, როდესაც კი არასრულწლოვანს აქვს რაიმე სურვილი, რომელიც განიხილულ უნდა იქნეს მეურვესთან სასამართლო წესით, ამ მიზნით მას სპეციალურად ენიშნება მეურვე.

191. მეურვეობა განთავსებულად ითვლება არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილზე.

თუ მეურვეობა ხორციელდება ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის ან საჯარო კურატორის მიერ, მეურვეობა განთავსებულად ითვლება იმ ადგილზე, სადაც ამ პირებს აქვთ სამუშაო ადგილი.

განყოფილება 2
იურიდიული მეურვეობა

192. იმ უფლებებთან და მოვალეობებთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია მშობლის უფლებასთან, მამა და დედა — თუ ისინი სრული ასაკის ან ემანსიპირებულები არიან — კანონის ძალით არიან თავიანთი არასრულწლოვანი შვილის მეურვეები მისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისა და კუთვნილი საგვარეულო ქონების მართვასთან დაკავშირებული წარმომადგენლობის მიზნით.

მამა და დედა ასევე არიან მეურვეები თავიანთი ჩასახული, მაგრამ ჯერ დაუბადებელი შვილისა, და პასუხს აგებენ მისი სახელით ყველა იმ შემთხვევაში მოქმედებისათვის, სადაც მისი ქონების ინტერესი ამას მოითხოვს.

193. მამა და დედა ერთად ახორციელებენ მეურვეობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთი მეუღლე გარდაცვლილია ან მას ხელი ეშლება თავისი სურვილების გამოხატვასა თუ აღნიშნულის დროულ განხორციელებაში.

194. ნებისმიერ მშობელს შეუძლია მისცეს მეორე მშობელს დავალება, რათა ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს ის მეურვეობის განხორციელებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებისას.

კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ დავალების არსებობა ივარაუდება.

195. როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებით წყდება ბავშვისათვის ზედამხედველობის დადგენის საკითხი, მეურვეობის განხორციელება გრძელდება მამისა და დედის მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას სხვაგვარად წყვეტს.

196. მამასა და დედას შორის მეურვეობის განხორციელებასთან დაკავშირებით უთანხმოების შემთხვევაში, ნებისმიერ მათგანს შეუძლია დავის განსახილველად მიმართოს სასამართლოს.

სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს არასრულწლოვანის ინტერესებში მხარეთა შორის დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობის მცდელობისა და, აუცილებლობის შემთხვევაში კი, — სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციის მიღების შემდეგ.

197. მშობლის უფლების ჩამორთმევა შედეგად იწვევს მეურვეობის დაკარგვასაც; მშობლის უფლებას მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებების ან მათი რეალიზაციის შესაძლებლობის ჩამორთმევა შედეგად იწ-

ვევს მეურვეობის დაკარგვასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ.

198. მამა ან დედა, რომლებმაც მშობლის უფლების ან მშობლის უფლებას მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებების რეალიზაციის შესაძლებლობის ჩამორთმევის შედეგად დაკარგეს მეურვეობა, შეიძლება აღდგენილ იქნენ — თუნდაც მინიჭებული მეურვეობის დადგენის შემდეგ — მეურვის სახით, როგორც კი მას კვლავ ექნება მშობლის მოავლეობის სრულად განხორციელების უფლება.

199. როდესაც სასამართლო აცხადებს არასრულწლოვანის მამისა და დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ სხვა მეურვის დანიშვნის გარეშე, ის ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი, რომელიც მოქმედებს ბავშვის ადგილსამყოფელის ტერიტორიაზე, თანამდებობობრივი კომპეტენციის ძალით ხდება ბავშვის მეურვე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვს უკვე დაენიშნა მეურვედ სხვა პირი ნაცვლად მამისა და დედისა.

თანამდებობაზე განწესების განკარგულების მიღებამდე ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი წარმოადგენს ასევე იმ ბავშვის იურიდიულ მეურვესაც, რომლის შვილად აყვანის შესაბამისობის გამოცხადებასაც მან მიაღწია ან რომლის მიმართაც მან მიიღო ზოგადი თანხმობა შვილად აყვანაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ დანიშნა სხვა მეურვე.

განყოფილება 3
მინიჭებული მეურვეობა

200. მამას ან დედას შეუძლიათ თავიანთი შვილის მეურვის დანიშვნა ანდერძით, დამცავი დავალების ან საჯარო კურატორისათვის აღნიშნული შედეგების მისაღწევად განცხადების წარდგენით.

201. მეურვის დანიშვნის უფლევა ექსკლუზიურად ეკუთვნის ბოლო ცოცხლად მყოფ მშობელს ან იმ უკანასკნელ მშობელს, რომელსაც, გარემოებების გათვალისწინებით, შესწევს მეურვეობის განხორციელების უნარი, თუ ამ მშობელმა შეინარჩუნა იურიდიული მეურვეობა მის გარდაცვალებამდე.

როდესაც ორივე მშობელი ერთდროულად გარდაიცვლება ან კარგავს მეურვეობის განხორციელების უნარს ერთი და იგივე გარემოების დროს ისე, რომ თითოეულმა მეურვის სახით სხვადასხვა პირი დანიშნა და თან ორივე პირი ეთანხმება ამ მოვალეობის კისრებას, — მაშინ სასამართლო წყვეტს, თუ რომელმა უნდა განახორციელოს მეურვეობა.

202. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანიშვნა გაპროტესტებულია, მამის ან დედის მიერ დანიშნული მეურვე კისრულობს ამ მოვალეობას მისი მიღებით.

თუ პირი უარს არ განაცხადებს მოვალეობის კისრებაზე მისი დანიშვნის შესახებ შეტყობინების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში, ივარაუდება, რომ მან იკისრა მოვალეობა.

203. კისრულობს თუ არა მამის ან დედის მიერ დანიშნული მეურვე შესაბამის მოვალეობას ან უარს აცხადებს მასზე, მან უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სამკვიდრო ქონების ლიკვიდატორსა და საჯარო კურატორს.

204. როდესაც ნებისმიერი მშობლის მიერ დანიშნული პირი უარს აცხადებს მეურვეობაზე, მან დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავისი უარის შესახებ მშობლის მიერ დანიშნულ შემცვლელს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

თუმცა, პირს შეუძლია გამოითხოვოს თავისი უარი მანამდე, სანამ შემცვლელი პირი არ იკისრებს მოვალეობას ან მეურვეობის დადგენის შესახებ განცხადება არ წარედგინება სასამართლოს.

205. მეურვეობის მინიჭება ხდება სასამართლოს მიერ, როდესაც მიზანშეწონილია მეურვის ან შემცვლელის დანიშვნა, ასევე მეურვის ან ქონების მეურვის დანიშვნა სპეციალური მიზნით ანდა როდესაც მამისა და დედის მიერ მეურვის დანიშვნა გაპროტესტებულია.

მეურვეობის მინიჭება ხდება სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მასზე მიმართვა ხდება ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის მიერ.

206. არასრულწლოვანს, მის მამას ან დედას და ახლო ნათესავს, ასევე არასრულწლოვანთან ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებულ პირებს ანდა ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, საჯარო კურატორის ჩათვლით, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და, თუ ეს აუცილებელია, შესთავაზონ შესაფერისი პირი, რომელიც მზად არის, იკისროს მეურვეობა.

207. ახალგაზრდობის დაცვის დირექტორს ან მის მიერ მეურვის სახით რეკომენდირებულ პირს ასევე შეუძლია განაცხადოს მეურვეობის დადგენის შესახებ იმ არასრულწლოვანი ობოლის მიმართ, რომელსაც არა ჰყავს მეურვე, ან იმ ბავშვის მიმართ, რომლის მამა და დედა ფაქტობრივად ვერ კისრულობენ მის მოვლა-პატრონობას, რჩენასა თუ სწავლა-განათლებას ანდა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც დიდი ალბათობით საფრთხეში აღმოჩნდებოდა, თავის მამასთან და დედასთან რომ დაბრუნებულიყო.

განყოფილება 4
მეურვეების მიერ ქონების მართვა

208. არასრულწლოვანის ქონების მიმართ მეურვე მოქმედებს როგორც მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია მარტივი მართვისათვის.

209. არასრულწლოვანი შვილის ქონების მართვისას, მამები და დედები არ არიან ვალდებული, მოახდინონ ქონების ინვენტარიზაცია, წარადგინონ უზრუნველყოფა და წლიური ანგარიში მათ მიერ განხორციელებული მართვის შესახებ, მიიღონ რეკომენდაციები ან ნებართვები სამეურვეო საბჭოსგან ან სასამართლოსგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების ღირებულება აღემატება $25,000 ან სასამართლო ადგენს ასე დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

210. ყველა ის ქონება, რომელიც გადასცეს ან უანდერძეს არასრულწლოვანს იმ პირობით, რომ მისი მართვა განხორციელდება მესამე პირის მიერ, მეურვის მართვის მიღმა რჩება.

თუ მოქმედება არ მიუთითებს ქონების მართვის კონკრეტულ სახეზე, მაშინ მის მმართველ პირს აქვს ქონების მეურვის უფლებები და ვალდებულებები.

211. მეურვეს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ნაჩუქრობა თავისი სამეურვეო პირის სასარგებლოდ. თუმცაღა, მას არ შეუძლია ვალდებულებით დატვირთული ნებისმიერი ნაჩუქრობის მიღება სამეურვეო საბჭოსგან ნებართვის მიღების გარეშე.

212. მეურვეს არ შეუძლია გარიგების დადება ან საჩივრის წარდგენა სამეურვეო საბჭოს ნებართვის გარეშე.

213. მანამდე, სანამ მეურვე არასრულწლოვანის საგვარეულო ქონებასთან დაკავშირებით დადებს მნიშვნელოვან სასესხო ხელშეკრულებას, შესთავაზებს სანივთო უზრუნველყოფას, გაასხვისებს მნიშვნელოვან საოჯახო ქონებას, უძრავ ქონებას ან საწარმოს, ანდა მოითხოვს არასრულწლოვანის მფლობელობაში არსებული იდეალური საერთო საკუთრების საბოლოო გაყოფას, — მან უნდა მიიღოს სამეურვეო საბჭოს ნებართვა ან თუ ქონების ან უზრუნველყოფის ღირებულება აღემატება $25,000, — სასამართლოს ნებართვა, რომელიც რეკომენდაციისათვის მიმართავს სამეურვეო საბჭოს.

სამეურვეო საბჭო ან სასამართლო არ რთავს სესხის ხელშეკრულების დადების, ქონების სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე გასხვისების ან უზრუნველყოფის სახით შეთავაზების ნებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია არასრულწლოვანის განათლებისა და რჩენის უზრუნველსაყოფად, მისი ვალების გადასახდელად ან ქონების სათანადო ექსპლუატაციისა თუ მისი ღირებულების დაცვისათვის. ასეთ შემთხვევაში ნებართვა უთითებს სესხის თანხასა და პირობებს, იმ ქონებას, რომელიც შეიძლება იქნეს გასხვისებული ან საუზრუნველყოფოდ შეთავაზებული, და ადგენს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს.

214. მეურვეს არ შეუძლია თავდაპირველად ექპერტის შეფასების მიღების გარეშე გაასხვისოს $25,000 მეტი ღირებულების მქონე ქონება, გარდა აღიარებულ საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული და სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევისა, იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება გონივრულად ნავარაუდევ ინვესტიციებს. შეფასების ასლი თან ერთვის მართვის წლიურ ანგარიშს.

გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია თავანთი ბუნების, ობიექტისა თუ შესრულების დროის მიხედვით, ქმნის ერთი და იგივე მოქმედებას.

215. დამოუკიდებლად მოქმედ მეურვეს შეუძლია დადოს ხელშეკრულება მხოლოდ იდეალური საერთო საკუთრების შენარჩუნებაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება — მიუხედავად მისი ვადისა — სრულწლოვანების ასაკის მიღწევიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში.

სამეურვეო საბჭოსა და სასამართლოს მიერ ნებადართული ხელშეკრულება სავალდებულოა არასრულწლოვანის მიმართ იმ მომენტიდან, როდესაც ის მიაღწევს სრულ ასაკს.

216. სასამართლოს მდივანი დაუყოვნებლივ ატყობინებს სამეურვეო საბჭოს და საჯარო კურატორს ნებისმიერი იმ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ეხება არასრულწლოვანის ქონებრივ ინტერესებს და იმ ნებისმიერი მორიგების აქტის (transaction) შესახებ, რომელიც გაფორმდა იმ სარჩელის ფარგლებში, რომლის დროსაც მეურვე მონაწილეობს მხარის სახით.

217. როდესაც ქონების ღირებულება აღემატება $25,000, იმ სამკვიდრო ქონების ლიკვიდატორმა, რომელიც გადადის არასრულწლოვანზე ან უანდერძეს მას, ქონების გამჩუქებელმა, თუ დასაჩუქრებული არის არასრულწლოვანი, ხოლო, ყველა შემთხვევაში, — ასევე ნებისმიერმა პირმა, ვინც იხდის საზღაუროს არასრულწლოვანის სასარგებლოდ, აღნიშნული ფაქტის შესახებ უნდა განუცხადონ საჯარო კურატორს და მიუთითონ ქონების ღირებულება.

218. მეურვე იღებს მისთვის სამართავად გადაცემული ქონებიდან ყველა იმ თანხას, რომელიც აუცილებელია მეურვეობის ხარჯების დასაფარად, კერძოდ კი, — არასრულწლოვანის სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისა და მისი საგვარეულო ქონების მართვის უზრუნველსაყოფად. ის ანალოგიურად მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არასრულწლოვანის განათლებისა და რჩენის უზრუნველსაყოფად აუცილებელია იმ დახმარების შევსება, რომლის გაწევაც ეკისრებათ მამასა და დედას.

219. პიროვნების მეურვე უთანხმდება ქონების მეურვეს იმ თანხებთან დაკავშირებით, რომლებსაც ის საჭიროებს ყოველ წელს მეურვეობის ხარჯების დასაფარად.

თუ მეურვეები ვერ თანხმდებიან თანხებზე ან მათ გადახდაზე, გადაწყვეტილებას იღებს სამეურვეო საბჭო, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას კი, — სასამართლო.

220. არასრულწლოვანი მართავს მისი მუშაობიდან მიღებულ გასამრჯელოსა და მისთვის გადახდილ ნებისმიერ დამატებით თანხებს, რომლებიც აკმაყოფილებს მის მიმდინარე და ჩვეულებრივი საჭიროებებს.

როდესაც არასრულწლოვანის შემოსავლები საკმაოდ დიდია ან როდესაც გარემოებებიდან გამომდინარე ეს გამართლებულია, მეურვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, — სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციის მიღების შემდეგ, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ის თანხები, რომლებიც რჩება არასრულწლოვანის მართვის ქვეშ. ის მხედველობაში მიიღებს არასრულწლოვანის ასაკსა და გამჭრიახობის უნარს, მისი რჩენისა და განათლების ზოგად პირობებს, აგრეთვე, — მისი და მისი მშობლების დახმარების ვალდებულებებს.

221. ახალგაზრდობის დაცვის დირექტორმა, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან იმ პირმა, რომელსაც ის რეკომენდაციას აძლევს მეურვეობის განხორციელებაზე, უნდა მიიღონ სასამართლოს ნებართვა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი მეურვისაგან ითხოვს მოქმედების დაწყებამდე, მიიღოს სამეურვეო საბჭოს რეკომენდაცია ან ნებართვა.

თუმცაღა, როდესაც ქონების ღირებულება აღემატება $25,000 ან ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ასე ადგენს, ქონების მეურვეობა გადაეცემა საჯარო კურატორს, რომელსაც ამ მომენტიდან აქვს მინიჭებული მეურვის უფლებები და ვალდებულებები კანონის ნორმათა მოთხოვნების გათვალისწინებით.

განყოფილება 5
სამეურვეო საბჭო

§ 1. — საბჭოს როლი და მისი დაფუძნება

222. სამეურვეო საბჭოს როლს წარმოადგენს მეურვეობის ზედამხედველობა. სამეურვეო საბჭო იქმნება სამი პირისაგან, რომლებსაც ნიშნავენ ნათესავების, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების კრებაზე ან თუ სასამართლო ასე გადაწყვეტს, — ის შედგება მხოლოდ ერთი პირისაგან.

223. სამეურვეო საბჭო იქმნება როგორც მინიჭებული, ისე იურიდიული მეურვეობის შემთხვევაში, თუმცაღა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, — მხოლოდ მაშინ, როდესაც მამა და დედა ვალდებული არიან, არასრულწლოვანის ქონების მართვის მიმართ მოახდინონ ქონების ინვენტარიზაცია, წარადგინონ უზრუნველყოფა და მართვის შესახებ წლიური ანგარიში.

საბჭო არ იქმნება, როდესაც მეურვეობა ხორციელდება ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის ან მის მიერ მეურვის სახით რეკომენდირებული პირის ანდა საჯარო კურატორის მიერ.

224. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სამეურვეო საბჭოს შექმნის საკითხის ინიციირება ნათესავების, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების კრების მოწვევით ნოტარიუსისათვის ან იმ სასამართლოსათვის შესაბამისი მიმართვის წარდგენით, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არასრულწლოვანს აქვს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

ანალოგიურად შეუძლია მოიქცეს — თუნდაც საკუთარი ინიციატივით — ის სასამართლო, რომელიც ამოწმებს მეურვის ან სამეურვეო საბჭოს დანიშვნისა თუ შეცვლის შესახებ განცხადებას.

225. არასრულწლოვანის მამის ან დედის მიერ დანიშნულმა მეურვემ ან, გარემოებების გათვალისწინებით, — მამამ და დედამ უნდა დააყენონ სამეურვეო საბჭოს შექმნის საკითხი.

მამასა და დედას შეუძლიათ თავიანთი არჩევანით მოიწვიონ ნათესავების,

ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების კრება ან მიმართონ სასამართლოს განცხადებით მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ დანიშნული ერთადერთი პირისაგან შემდგარი სამეურვეო საბჭოს შექმნის მოთხოვნით.

226. არასრულწლოვანის მამა და დედა, ასევე — არასრულწლოვანის სხვა აღმავალი ხაზით ნათესავები და სრული ასაკის მისი ძმები და დები, თუ მათ აქვთ ცნობილი ადგილსამყოფელი კვებეკში, — მოიწვევიან ნათესავების, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების კრებაზე სამეურვეო საბჭოს შესაქმნელად.

არასრულწლოვანის სხვა ნათესავები, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირები და მეგობრები შეიძლება მოწვეულ იქნენ კრებაზე იმ პირობით, რომ ისინი სრული ასაკის არიან.

კრებას უნდა ესწრებოდეს არანაკლებ ხუთი პირისა და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, წარმოდგენილი უნდა იყვნენ დედისა და მამის ხაზით ნათესავები.

227. მოწვეული პირები ყოველთვის არიან უფლებამოსილი, დაესწრონ კრებას, რომელზეც იქმნება სამეურვეო საბჭო, და მისცენ თავიანთი რჩევები, თუნდაც ისინი არ იყვნენ მოწვეულები.

228. შეხვერდაზე ინიშნება საბჭოს სამი და დგინდება ორი სათადარიგო წევრი და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, განიხილებიან დედისა და მამის ხაზების წარმომადგენლები.

შეხვერდაზე ინიშნება ასევე მდივანი, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს საბჭოს წევრი და რომელიც პასუხისმგებელია ჩატარებული განხილვების შესახებ ოქმების შედგენასა და შენახვაზე; საჭიროების შემთხვევაში შეხვერდაზე დგინდება მდივნის საზღაურიც.

მეურვე არ შეიძლება იყოს სამეურვეო საბჭოს წევრი.

229. ვაკანსიები ივსება საბჭოს მიერ იმ ხაზის სათადარიგო წევრების შერჩევით, სადაც გაჩნდა ეს ვაკანსია. თუ სახეზე არ არის სათადარიგო წევრი, საბჭო ირჩევს იმავე ხაზის ნათესავს ან ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებულ პირს ანდა, თუ ასეთიც არ არსებობს, — სხვა ხაზის ნათესავს ან ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებულ პირს ან მეგობარს.

230. სამეურვეო საბჭოს ვალდებულია მოიწვიოს მეურვე თითოეულ თავის კრებაზე მისი რეკომენდაციის მოსასმენად; შესაძლოა მოწვეულ იქნეს არასრულწლოვანიც.

231. სასამართლოს განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით შეუძლია დაადგინოს სამეურვეო საბჭოს შექმნა მხოლოდ მის მიერ განსაზღვრული პირისაგან, როდესაც ოჯახის წევრთა გაფანტვისა თუ მათი გულგრილობის ან უუნარობის გამო მნიშვნელოვანი მიზეზით დაესწრონ კრებას, ანდა არასრულწლოვანის პირადი ან საოჯახო მდგომარეობის გამო არ არის რეკომენდირებული სამკაციანი საბჭოს შექმნა.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს პირი, ვინც ამჟღავნებს განსაკუთრებულ ინტერესს არასრულწლოვანის მიმართ ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, — ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი ან საჯარო კურატორი, თუ ის უკვე არ არის მეურვე.

სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს განცხადების წარმდგენი პირი ნათესავების, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების პირველი მოწვევის კრებისაგან, თუ ჩანს, რომ საკმარისი ძალისხმევა გაკეთდა კრების მოწვევისათვის, თუმცა ასეთი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა.

232. გარდა ახალგაზრდობის დაცვის დირექტორისა და საჯარო კურატორის, არავინ შეიძლება აიძულონ საბჭოს წევრობის მიღება; პირს, რომელიც დაეთანხმა წევრად გახდომას, შეიძლება გათავისუფლდეს ნებისმიერ დროს იმ პირობით, რომ ეს არ კეთდება შეუსაბამო მომენტში.

სამეურვეო საბჭოს წევრობა წარმოადგენს პირად და უსასყიდლო მოვალეობას.

§ 2. — საბჭოს უფლებები და ვალდებულებები

233. სამეურვეო საბჭო იძლევა რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე.

უფრო მეტიც, როდესაც სხვა პირების ქონების მართვის წესები ითვალისწინებს იმას, რომ მოსარგებლე უნდა — ან მას შეუძლია — დაეთანხმოს მოქმედებას, რეკომენდაციისა თუ კონსულტაციის მიღებას, სამეურვეო საბჭო მოქმედებს იმ არასრულწლოვანის სახელით, რომელიც წარმოადგენს მოსარგებლეს.

234. სამი პირისაგან შემდგარი სამეურვეო საბჭო იკრიბება, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ; განხილვები სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრებას ესწრება მის წევრთა უმრავლესობა ან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყველა წევრს შეუძლია გამოხატოს თავისი აზრი იმ საშუალებით, რაც იძლევა ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლობლობას.

საბჭოს გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები მიიღება ან გაიცემა ხმათა უმრავლესობით; თითოეულმა წევრა უნდა დაასაბუთოს თავისი პოზიცია.

დაუყოვნებლივ, როგორც კი საბჭო იქმნება და ასევე ყოველთვის, როდესაც ხდება მისი შემადგენლობის ცვლილება, საბჭო ატყობინებს არასრულწლოვანსა — თუ ის 14 ან მეტი წლის ასაკისაა — და არასრულწლოვანის მეურვეს მისი წევრებისა და მდივნის სახელებისა და საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდებით. საბჭო ასევე შეტყობინებას უგზავნის საჯარო კურატორს.

235. ყოველთვის, როდესაც კი არასრულწლოვანს აქვს რაიმე ინტერესი მეურვესთან საკითხების სასამართლო წესით განხილვასთან დაკავშირებით, საბჭო ამ მიზნით მას სპეციალურად უნიშნავს მეურვეს.

236. საბჭო რწმუნდება იმაში, რომ მეურვე ახდენს არასრულწლოვანის ქონების ინვენტარიზაციასა და რომ ის წარადგენს და ინარჩუნებს უზრუნველყოფას.

საბჭო მეურვისაგან იღებს ყოველწლიური მართვის ანგარიშს და უფლებამოსილია შეამოწმოს ანგარიშზე თანდართული ყველა დოკუმენტი და გადახდის დასტური (voucher) და მიიღოს მათი ასლები.

237. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას შეუძლია მიმართოს სასამართლოს 10 დღის ვადაში საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ან ახალი საბჭოს შექმნის ინიციატივაზე ნებართვის მიღების მოთხოვნით.

როდესაც საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის განცხადებას ატყობინებენ მდივანს, ეს უკანასკნელი გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ ოქმსა და ჩანაწერს დაუყოვნებლივ უგზავნის სასამართლოს.

საბჭოსათვის შესატყობინებელი ნებისმიერი დოკუმენტი ეგზავნება ასევე საბჭოს მდივანს.

238. მეურვეს შეუძლია მოითხოვოს საბჭოს მოწვევა, ხოლო თუ მისი მოწვევა შეუძლებელია, — მიმართოს სასამართლოს დამოუკიდებლად მოქმედებისათვის ნებართვის მისაღებად.

239. საბჭო პასუხისმგებელია იმის დაფიქსირებაზე, რომ მეურვეობის ჩანაწერები შენარჩუნებულია, და ასევე — მეურვეობის დასრულებისას მათი არასრულწლოვანსა თუ მის მემკვიდრეებზე გადაცემისათვის.

განყოფილება 6
მეურვეობის ზედამხედველობა

§ 1. — ინვენტარიზაცია

240. მეურვეობის დადგენიდან 60 დღის ვადაში მეურვემ უნდა მოახდინოს მის მიერ სამართავი ქონების ინვენტარიზაცია. მან მეურვეობის დადგენის შემდეგ იგივე უნდა გააკეთოს არასრულწლოვანზე გადაცემული ქონების მიმართ.

ინვენტარიზაციის აქტის ასლი გადაეცემა საჯარო კურატორსა და სამეურვეო საბჭოს.

241. მეურვეს, ვინც აგრძელებს სხვა პირის სასარგებლოდ მართვას ანგარიშის წარდგენის შემდეგ, არ ევალება ინვენტარიზაციის გაკეთება.

§ 2. — უზრუნველყოფა

242. თუ სამართავი ქონების ღირებულება აღემატება $25,000, მეურვე

ვალდებულია, მიიღოს პასუხისმგებლობის დაზღვევა ან წარადგინოს სხვა უზრუნველყოფა მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. უზრუნველყოფის სახე და საგანი, ასევე მისი წარდგენის ვადა განისაზღვრება სამეურვეო საბჭოს მიერ.

უზრუნველყოფის ხარჯები შედის მეურვეობის ხარჯის ანგარიშში.

243. მეურვე ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარუდგინოს უზრუნველყოფის არსებობის შესახებ მტკიცებულება სამეურვეო საბჭოსა და საჯარო კურატორს.

მეურვე ვალდებულია ასევე შეინარჩუნოს უზრუნველყოფა ან სხვა მნიშვნელოვანი ღირებული ქონება მისი მოვალეობის ვადის განმავლობაში და ყოველ წელს წარადგინოს ამის შესახებ შესაბამისი მტკიცებულება.

244. ქონების მართვის განმახორციელებელ იურიდიულ პირს არ ევალება უზრუნველყოფის წარდგენა.

245. როდესაც რეკომენდირებულია უზრუნველყოფაზე უარი, სამეურვეო საბჭოს ან არასრულწლოვანს, როდესაც ის აღწევს სრულ ასაკს, შეუძლიათ ამის განხორციელება და მეურვეობის ხარჯის ანგარიშში განაცხადონ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გაუქმების შესახებ შეტყობინება წარედგინება საჯარო კურატორს.

§ 3. — შეტყობინებები და ანგარიშები

246. განხორციელებული მართვის შესახებ წლიურ ანგარიშს მეურვე უგზავნის 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს, სამეურვეო საბჭოსა და საჯარო კურატორს.

ქონების მეურვე წლიურ ანგარიშს წარუდგენს პიროვნების მეურვეს.

247. მართვის დასრულების შემდეგ მეურვემ საბოლოო ანგარიში უნდა წარუდგინოს არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანების ასაკს; მან ასევე ანგარიში უნდა წარუდგინოს მეურვეს, რომელიც ცვლის მას და 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში კი, — არასრულწლოვანის სამკვიდრო ქონების ლიკვიდატორს. მან საბოლოო ანგარიშის ასლი უნდა გაუგზავნოს სამეურვეო საბჭოსა და საჯარო კურატორს.

248. მეურვესა და 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანს შორის არსებული ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ეხება მართვას ან ანგარიშებს, ბათილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას წინ უძღვის ანგარიშის წარდგენა და შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემა.

249. საჯარო კურატორი ამოწმებს მართვის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშებსა და მეურვის საბოლოო ანგარიშს. ის ასევე რწმუნდება იმაში, რომ უზრუნველყოფა შენარჩუნებულია.

მას შეუძლია მოითხოვოს ანგარიშებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი და ახსნა-განმარტება, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი, — მოითხოვოს ანგარიშების აუდიტორული შემოწმება.

განყოფილება 7
მეურვის შეცვლა და მეურვეობის შეწყვეტა

250. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას მინიჭებულ მეურვეს შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების შესახებ იმ პირობით, რომ მისი განცხადება არ არის წარდგენილი არასათანადო მომენტში და შეტყობინება ამის შესახებ წარედგინა სამეურვეო საბჭოს.

251. სამეურვეო საბჭომ ან, გადაუდებელ შემთხვევაში, — ერთ-ერთმა მისმა წევრმა უნდა განაცხადოს იმ მეურვის შეცვლის შესახებ, რომელიც უუნაროა, განახორციელოს თავისი მოვალეობები ან ის უგულებელყოფს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. პიროვნების მეურვემ უნდა იმოქმედოს ანალოგიურად ქონების მეურვის მიმართ.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საჯარო კურატორის ჩათვლით, შეუძლია ასევე პირველ პარაგრაფში მოყვანილი საფუძვლებით განაცხადოს მეურვის შეცვლის შესახებ.

252. როდესაც მეურვეობა ხორციელდება ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის, იმ პირის მიერ, რომელსაც ის მეურვის სახით უწევს რეკომენდაციას ანდა საჯარო კურატორის მიერ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია განაცხადოს მისი შეცვლის შესახებ ისე, რომ მას არ ევალება ამის დასაბუთება ნებისმიერი სხვა საფუძვლით, გარდა არასრულწლოვანის ინტერესისა.

253. საქმის წარმოების დროს მეურვე განაგრძობს თავისი მოვალეობების განხორციელებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად გადაწყვეტს და დანიშნავს დროებით მმართველს, რომელიც პასუხისმგებელია არასრულწლოვანის ქონების მარტივი მართვისათვის.

254. თითოეული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც წყდება მეურვის მოვალეობა, შეიცავს მისი შეცვლის მიზეზებსა და უთითებს ახალ მეურვეს.

255. მეურვეობა წყდება, როდესაც არასრულწლოვანი მიაღწევს სრულ ასაკს, მიიღებს სრულ ემანსიპაციას ან გარდაიცვლება.

მეურვის მოვალეობა წყდება მეურვეობის შეწყვეტისთანავე, როდესაც მეურვე იცვლება ან მისი გარდაცვალებისას.

თავი 3
სრული ასაკის პირების დაცვითი ზედამხედველობა

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

256. სრული ასაკის პირის დაცვითი ზედამხედველობა დგინდება მის ინტერესებში და გამიზნულია მისი პიროვნების დაცვის, კუთვნილი საგვარეულო ქონების მართვისა და, ზოგადად, მისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.

დაცვითი ზედამხედველობიდან გამომდინარე ნებისმიერი უუნარობა დგინდება მხოლოდ და მხოლოდ დაცვის ქვეშ მყოფი პირის სასარგებლოდ.

257. დაცვითი ზედამხედველობის დადგენასთან ან სრული ასაკის დაცულ პირთან დაკავშირებული ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს მის ინტერესებში, აღიარებდეს მის უფლებებსა და იცავდეს მის ავტონომიას.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, სრული ასაკის პირი დაუყოვნებივ უნდა იქნეს ინფორმირებული აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ.

258. მეურვე ან მზრუნველი ანდა დამხმარე მრჩეველი ინიშნება იმ სრული ასაკის პირის წარმომადგენლობისათვის, რომელიც უუნაროა, იზრუნოს თავის თავზე ან ქონებაზე განსაკუთრებით ისეთი ასაკობრივი ავადმყოფობის, ნაკლისა თუ სისუსტის გამო, რაც ხელს უშლის პირის გონებრივ შესაძლებლობებსა თუ ფიზიკურ უნარს, გამოხატოს თავისი სურვილი.

მეურვე ან მრჩეველი შეიძლება ასევე დაენიშნოს იმ მფლანგველ პირს (prodigal), ვინც საფრთხეს უქმნის თავისი ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მეუღლის ან არასრულწლოვანი შვილების კეთილდღეობას.

259. დაცვითი ზედამხედველობის ფორმის შერჩევისას ყურადღება გასამახვილებელია პირის უუნარობის ხარისხზე, იზრუნოს თავის თავზე ან მართოს თავისი ქონება.

260. სრული ასაკის დაცული პირის მეურვე ან მზრუნველი პასუხისმგებელია მის ზედამხედველობასა და მხარდაჭერაზე; ის ასევე პასუხისმგებელია დაცული პირის მორალურ და მატერიალურ კეთილდღეობაზე ამ უკანასკნელის მდგომარეობის, საჭიროებებისა და შესაძლებლობების, ასევე — მისი სიტუაციის სხვა ასპექტების გათვალისწინებით.

მას შეუძლია სრული ასაკის დაცული პირის ზედამხედველობისა და მხარდაჭერის განხორციელების სხვა პირისათვის გადაცემა, თუმცა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მან და დელეგირებულმა პირმა უნდა შეინარჩუნონ პირადი ურთიერთობა დაცულ პირთან, აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ მისი რჩევა-დარიგება და რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესახებ

261. საჯარო კურატორი არ ახორციელებს სრული ასაკის დაცული პირის მზრუნველობასა თუ მეურვეობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამის

შესასრულებლად დანიშნულია სასამართლოს მიერ; მას შეუძლია ასევე იმოქმედოს თავისი მოვალეობის ძალითაც, თუ სრული ასაკის პირს აღარ ჰყავს მზრუნველი ან მეურვე.

262. საჯარო კურატორი ახორციელებს სრული ასაკის დაცული პირის ქონების მარტივ მართვას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის მოქმედებს მზრუნველის სახით.

263. საჯარო კურატორი არ ახორციელებს ზედამხედველობას იმ სრული ასაკის დაცულ პირზე, ვის მიმართაც ის დანიშნულია მზრუნველისა თუ მეურვის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო — თუ სხვა პირს არ შეუძლია აღნიშნულის კისრება — ავალებს მას ამის განხორციელებას. ამავე დროს, ის მაინც ყველა შემთხვევაში პასუხისმგებელია სრული ასაკის პირის დაცვაზე.

თუმცა, იმ პირს, რომელსაც დაევალა ზედამხედველობის განხორციელება, აქვს მეურვის ან მზრუნველის უფლებამოსილება, დაეთანხმოს სრული ასაკის პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით მოთხოვნილ მოვლა-პატრონობას გარდა იმ მოვლა-პატრონობისა, რომლის განხორციელებასაც ირჩევს საჯარო კურატორი.

264. საჯარო კურატორს, რომელიც მოქმედებს სრული ასაკის დაცული პირის მეურვის თუ მზრუნველის სახით, შეუძლია მზრუნველობასა თუ მეურვეობასთან დაკავშირებული განსაზღვრული ფუნქციების დელეგირება მის მიერ განსაზღვრულ პირზე მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ სრული ასაკის პირს მკურნალობდნენ ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებში და რომ განსაზღვრული პირი არ წარმოადგენს ამ დაწესებულების თანამშომელსა და, შესაბამისად, არ ეკისრება რაიმე მოვალეობები. თუმცა, როდესაც გარემოებები ამას ამართლებს, საჯარო კურატორს შეუძლია უგულებელყოს აღნიშნული შეზღუდვა, თუ დაწესებულების თანამშომელს წარმოადგენს სრული ასაკის პირის მეუღლე ან ახლო ნათესავი ანდა გადაცემული ფუნქცია მდგომარეობს საჯარო კურატორის დავალების შესაბამისად ამ პირისათვის მინიჭებული ყოველთვიური პირადი ხარჯვითი შეღავათის მართვის განხორციელებაში.

მას შეუძლია დელეგირებულ პირს მიანიჭოს უფლებამოსილება, დაეთანხმოს სრული ასაკის პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით მოთხოვნილ მოვლა-პატრონობას გარდა იმ მოვლა-პატრონობისა, რომლის განხორციელებასაც ირჩევს საჯარო კურატორი.

265. სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ დელეგირებული პირი ზედამხედველობის განხორციელების შესახებ საჯარო კურატორს წარუდგენს ანგარიშს. საჯარო კურატორს შეუძლია გამოითხოვოს დელეგირება, თუ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი დელეგირებულ პირსა და სრული ასაკის დაცულ პირს შორის ან — ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას.

266. საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, არასრულწლოვანთა მეურვეობასთან დაკავშირებული ნორმები მოქმედებს ასევე სრული ასაკის პირების მეურვეობისა და მზრუნველობის მიმართაც.

ამდენად, სრული ასაკის პირის მეუღლე და პირველი რიგის შთამომავლები მოწვეულ უნდა იქნენ ნათესავების, ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირებისა და მეგობრების კრებაზე იმ პირებთან ერთად, რომლებიც მოიწვევიან 226-ე მუხლის შესაბამისად.

267. როდესაც საჯარო კურატორი წარადგენს განცხადებას დაცვითი ზედამხედველობისა დადგენისა თუ გადახედვისათვის და გამოავლენს, რომ საკმარისი ძალისხმევა გაკეთდა კრების მოწვევისათვის, თუმცა ასეთი ძალისხმევა უშედეგო აღმოჩნდა, — სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს მოქმედება კრების ჩატარების გარეშე.

განყოფილება 2
დაცვითი ზედამხედველობის დადგენა

268. დაცვითი ზედამხედველობა დგინდება სასამართლოს მიერ.

სასამართლო არ არის შებოჭილი განცხადებით და შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება დაცვითი ზედამხედველობის ფორმის თაობაზე, რომელიც განსხვავდება განცხადებით ნაგულისხმევი ფორმისაგან.

269. თავად სრული ასაკის პირს, მის მეუღლეს, მის ახლო ნათესავებსა და ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებულ პირებს, ასევე ნებისმიერ პირს, რომელიც ამჟღავნებს განსაკუთრებულ ინტერესს ანდა ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, — სრული ასაკის პირის ან საჯარო კურატორის მიერ განსაზღვრულ რწმუნებულს შეუძლიათ განცხადების წარდგენა დაცვითი ზედამხედველობის დადგენის მოთხოვნით.

270. როდესაც სრული ასაკის პირი, რომელიც იღებს ზრუნვასა თუ მომსახურებას ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებისაგან, ითხოვს ხელშეწყობას ან წარმომადგენლობას თავისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის საკითხში მისი იზოლაციის, განჭვრეტადი ვადით მისი უუნარობის, მის საქმეთა სახეობისა თუ მდგომარეობის გამო ანდა იმიტომ, რომ მის მიერ უკვე განსაზღვრული რწმუნებული არ უზრუნველყოფს მისთვის ადეკვატურ დახმარებასა თუ წარმომადგენლობას, — ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების დირექტორი ატყობინებს ამ ფაქტს საჯარო კურატორს, თავისი მოხსენების ასლს გადასცემს სრული ასაკის პირს და საქმის კურსში აყენებს ამ პირის ახლო ნათესავს.

კერძოდ, ასეთი მოხსენება შეიცავს იმ პირის მიერ მომზადებულ სამედიცინო და ფსიქოსოციალურ შეფასებას, რომელმაც შეამოწმა სრული ასაკის პირი; ის ეხება სრული ასაკის პირის უუნარობის ბუნებასა და ხარისხს, მისი საჭიროებების ფარგლებსა და მის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს, ასევე — მისთვის დაცვითი ზედამხედველობის დაწესების მიზანშეწონილობას. მოხსენება ასევე უთითებს დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადების წარდგენაზე კომპეტენტური პირების სახელებსაც, თუ ასეთები ცნობილია.

271. სრული ასაკის პირის მიმართ დაცვითი ზედამხედველობის დადგენის მოთხოვნით განცხადების წარდგენა შესაძლებელია სრული ასაკის მიღწევამდე წინა წელს.

სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის პირის მიერ სრული ასაკის მიღწევის დღეს.

272. საქმის წარმოებისას სასამართლოს — თუნდაც საკუთარი ინიციატივით — შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სრული ასაკის პირის ზედამხედველობის შესახებ, თუ ნათელია, რომ ეს უკანასკნელი უუნაროა, იზრუნოს თავის თავზე, და რომ ზედამხედველობა მოითხოვება მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

თუნდაც საქმის წარმოებამდე სასამართლოს — თუ დაცვითი ზედამხედველობა უკვე უნდა დადგინდეს და ის აუცილებელია სრული ასაკის პირისათვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად — შეუძლია დროებით დანიშნოს საჯარო კურატორი ან სხვა პირი, რათა უზრუნველყოს სრული ასაკის პირის დაცვა ან მისი წარმომადგენლობა კუთვნილი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის საკითხში.

273. მოქმედება, რომელიც სრული ასაკის პირმა უკვე დაავალა სხვა პირს მისი ქონების მართვასთან დაკავშირებით, აგრძელებს თავისი შედეგების მიცემას მიუხედავად საქმის წარმოებისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გაუქმდა სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანი საფუძვლით.

თუ 444-ე მუხლის საფუძველზე არანაირი დავალება არ იქნა მიცემული სრული ასაკის პირის ან სასამართლოს მიერ, მოქმედებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები და საჯარო კურატორსა და დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადების წარდგენაზე კომპეტენტურ ნებისმიერ სხვა პირს — გადაუდებელ შემთხვევაში ან თუნდაც საქმის წარმოების დაწყებამდე, თუ დაცვითი ზედამხედველობის დადგენის შესახებ განცხადება უკვე უნდა იქნეს წარდგენილი, — შეუძლია განახორციელოს საგვარეულო ქონების შესარჩუნებისათვის საჭირო მოქმედებები.

274. იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ არის დავალება ან სხვისი საქმეების შესრულება ან თუნდაც საქმის წარმოების დაწყებამდე, თუ დაცვითი ზედამხედველობის დადგენის შესახებ განცხადება უკვე უნდა იქნეს წარდგენილი, — თუ ეს მოქმედება აუცილებელია მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასაცილებლად — სასამართლოს შეუძლია დროებით დანიშნოს საჯარო კურატორი ან სხვა პირი ან სპეციფიკური მოქმედების განსახორციელებლად ანდა სრული ასაკის პირის ქონების სამართავად სხვა პირების ქონების მარტივი მართვის შეზღუდვების ფარგლებში.

275. საქმის წარმოების განმავლობაში და ამის შემდეგ, თუ დაცვითი ზედამხედველობის ფორმას წარმოადგენს მეურვეობა, სრული ასაკის პირის საცხოვრებელი სახლი და მასში არსებული ავეჯი რჩება მის განკარგულებაში. ქონების მართვის უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ იმ შეთანხმებებზე, რომლებიც იძლევა საეჭვო სარგებლობას და რომელთა მოქმედებაც წყდება კანონის ძალით სრული ასაკის დაცული პირის დაბრუნებისთანავე.

თუ ეს აუცილებელი ან სრული ასაკის დაცული პირის ინტერესებშია, რომ მოხდეს მისი ავეჯის ან საცხოვრებელი სახლის მიმართ მისი უფლებების განკარგვა, მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამეურვეო საბჭოს ნებართვით. თუნდაც ასეთ შემთხვევაში — გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მყარი საფუძველი, — სუვენირებისა და სხვა პირადი ნივთების განკარგვა დაუშვებელია და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, — ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების მიერ უნდა დარჩეს სრული ასაკის პირის განკარგულებაში.

276. როდესაც სასამართლო ამოწმებს დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადებას, ის იმ პირების რეკომენდაციასთან ერთად, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნენ სამეურვეო საბჭოს ფორმირებისათვის, მხედველობაში იღებს სამედიცინო და ფსიქოსოციალურ ნიშანს, სრული ასაკის პირის მიერ იმ დამცავი დავალების ფარგლებში გამოხატულ სურვილებს, რომელიც არ იქნა სანქციონირებული, და ასევე იმ პირის ავტონომიის ხარისხს, რომლის მიმართაც წარდგენილია დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადება.

სასამართლომ სრული ასაკის პირს უნდა მისცეს საშუალება, პირადად ან წარმომადგენლობის მეშვეობით მოუსმინონ, როდესაც ეს მოითხოვება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის, განცხადების არსიდან გამომდინარე და, საჭიროების შემთხვევაში კი, დაცვითი ზედამხედველობის ფორმისა და იმ პირის მხრივ, რომელის მას წარმოადგენს ან დაეხმარება.

277. დაცვით ზედამხედველობასთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს ნებისმიერ დროს.

278. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ადგენს უფრო ახლო თარიღს, დაცვითი ზედამხედველობა გადაისინჯება ყოველ სამ წელიწადში მეურვეობის შემთხვევაში ან როდესაც ინიშნება მრჩეველი ანდა ყოველ ხუთ წელიწადში, — მზრუნველობის შემთხვევაში.

სრული ასაკის პირის მზრუნველი, მეურვე ან მრჩეველი ვალდებული არიან, გააკონტროლონ, რომ სრული ასაკის პირი დროულად იქნეს წარდგენილი სამედიცინო და ფსიქოსოციალური შემოწმებისათვის. როდესაც შემფასებელი პირი შეიტყობს, რომ სრული ასაკის პირის მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ გამართლებულია დაცვითი ზედამხედველობის შეწყვეტა ან შეცვლა, ის მოხსენებას წარუდგენს სრული ასაკის პირსა და იმ პირს, რომელმაც წარადგინა შემოწმების თაობაზე განცხადება, ხოლო მოხსენების ასლს კი ის გადასცემს სასამართლოს.

279. ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც სრული ასაკის პირის მიმართ ახორციელებს ზრუნვასა თუ მომსახურებას, ვალდებულია, იმ შემთხვევაში, თუ დაცვითი ზედამხედველობის გამამართლებელი უუნარობა წყდება, — დაადასტუროს ეს ფაქტი მოხსენებაში, რომელსაც ის წარუდგენს სასამართლოს. აღნიშნული მოხსენება შეიცავს სამედიცინო და ფსიქოსოციალურ შეფასებასაც.

280. როდესაც დაცვითი ზედამხედველობის გადასინჯვის შესახებ მოხსენება წარდგენილია, მდივანი ატყობინებს ამის შესახებ დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადების განხილვაში ჩართვაზე კომპეტენტურ პირებს. თუ პროტესტი არ კეთდება 30 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოხსენება წარდგენილია, დაცვითი ზედამხედველობის იცვლება ან წყდება კანონის ძალით. დასტურს ადგენს მდივანი და ის დაუყოვლებლივ გადაეცემა სრული ასაკის პირსა და საჯარო კურატორს.

განყოფილება 3
სრული ასაკის პირებზე მზრუნველობა

281. სასამართლო სრული ასაკის პირს უდგენს მზრუნველობას, თუ ის გამოარკვევს, რომ აღნიშნული პირის უუნარობა, იზრუნოს თავის თავზე ან მართოს თავისი ქონება, სრული და მყარია და რომ მას ასევე ესაჭიროება წარმომადგენლობა კუთვნილი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის საკითხში.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მზრუნველს.

282. მზრუნველს აქვს სრული ასაკის დაცული პირის ქონების სრული მართვის უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის, როგორც სხვა პირების ქონების მარტივი მართვისათვის პასუხისმგებელი მმართველი, ვალდებულია განახორციელოს მხოლოდ გონივრულად ნავარაუდევი ინვესტიციები. მხოლოდ სხვა პირების ქონების მართვის მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება მისი მართვის მიმართ.

283. მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირის მიერ განხორციელებული მოქმედება შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ან მისგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდეს ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების რაიმე მოთხოვნის გარეშე.

284. მზრუნველობამდე განხორციელებული მოქმედებები შეიძლება გაბათილდეს ან მათგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდეს იმ ფაქტის უბრალო მტკიცებით, რომ უუნარობა ცნობილი იყო ან ამის შესახებ ხელშეკრულების კონტრაჰენტმა იცოდა მოქმედებების განხორციელების დროს.

განყოფილება 4
სრული ასაკის პირების მეურვეობა

285. სასამართლო სრული ასაკის პირს უდგენს მეურვეობას, თუ ის გამოარკვევს, რომ აღნიშნული პირის უუნარობა, იზრუნოს თავის თავზე ან მართოს თავისი ქონება, ნაწილობრივი და დროებითია და რომ მას ასევე ესაჭიროება წარმომადგენლობა კუთვნილი სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის საკითხში.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო მეურვეს უნიშნავს ამ პირსა და ქონებას ან — ამ პირს ან ქონებას.

286. მეურვეს აქვს იმ სრული ასაკის დაცული პირის ქონების მარტივი მართვის უფლება, რომელიც უუნაროა, მართოს თავისი ქონება. ის ახორციელებს ქონების მართვას როგორც არასრულწლოვანის მეურვე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს.

287. საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, არასრულწლოვანის სამოქალაქო უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებული ნორმები მოქმედებს ასევე მეურვეობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირის მიმართაც.

288. სასამართლოს მეურვეობის დადგენისას ან შემდგომ შეუძლია განსაზღვროს მეურვეობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირის უნარის დონე სამედიცინო და ფსიქოსოციალური შეფასებისა და, გარემოებების შესაბამისად, ასევე სამეურვეო საბჭოს ან იმ პირების რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომლებიც შესაძლოა მოწვეულ იქნენ სამეურვეო საბჭოს ფორმირებისათვის.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო უთითებს იმ მოქმედებებს, რომლებიც მეურვეობის ქვეშ მყოფმა პირმა შეიძლება განახორციელოს დამოუკიდებლად ან მეურვის დახმარებით ანდა რომელთა განხორციელებაც მას არ შეუძლია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წარმოდგენილია რწმუნებულის მიერ.

289. მეურვეობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირი ინარჩუნებს მისი სამუშაოდან მიღებულ გასამრჯელოს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს.

290. მეურვეობამდე განხორციელებული მოქმედებები შეიძლება გაბათილდეს ან მათგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდეს იმ ფაქტის უბრალო მტკიცებით, რომ უუნარობა ცნობილი იყო ან ამის შესახებ ხელშეკრულების კონტრაჰენტმა იცოდა მოქმედებების განხორციელების დროს.

განყოფილება 5
სრული ასაკის პირების მრჩევლები

291. სასამართლო მრჩეველს უნიშნავს სრული ასაკის პირს, რომელიც, მართალია, ზოგადად და ჩვეულებრივ უნარიანია, იზრუნოს თავის თავსა და ქონების მართვაზე, თუმცა განსაზღვრული მოქმედებებისა თუ განსაზღვრული დროისათვის საჭიროებს დახმარებას ან რჩევა-დარიგებას თავისი ქონების მართვის საკითხში.

292. მრჩეველს არა აქვს სრული ასაკის დაცული პირის ქონების მართვის უფლება. თუმცა, ის უნდა ჩაერიოს იმ მოქმედებებში, რომელთა შემთხვევაშიც ის ვალდებულია, გაუწიოს ამ პირს დახმარება.

293. სასამართლო დაცვითი ზედამხედველობის დადგენისას ან შემდგომ უთითებს იმ მოქმედებებზე, რომელთათვისაც მოითხოვება მრჩევლის დახმარება და ასევე — იმ მოქმედებებზე, რომელთათვისაც მრჩევლის დახმარება არ მოითხოვება.

თუ სასამართლო არ ახდენს მითითებას, სრული ასაკის დაცულმა პირმა უნდა მიიღოს მრჩევლის დახმარება ყოველი იმ მოქმედების განხორციელებისას, რომელიც აღემატება მარტივი ემანსიპაციის მქონე არასრულწლოვანის უნარს.

294. სრული ასაკის პირის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული მოქმედებები, რომელთათვისაც მოითხოვება მისი მრჩევლის ჩარევა, შეიძლება გაბათილდეს ან მათგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შედეგად არასრულწლოვანი განიცდის ზიანს.

განყოფილება 6
დაცვითი ზედამხედველობის შეწყვეტა

295. დაცვითი ზედამხედველობა წყდება დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სრული ასაკის დაცული პირის გარდაცვალებით.

დაცვითი ზედამხედველობა ასევე წყდება იმ მოხსენების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადის გასვლით, რომელიც ადასტურებს უუნარობის შეწყვეტას.

296. სრული ასაკის დაცულ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია, გათავისუფლდეს დაცვითი ზედამხედველობისაგან, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, — მეურვის ან მზრუნველის მიერ ანგარიშის წარდგენის შემდეგ — დაადასტუროს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც სხვა შემთხვევაში ბათილია.

297. მზრუნველის, მეურვის ან მრჩევლის თანამდებობებზე ვაკანსიის არსებობა არ წყვეტს დაცვით ზედამხედველობას.

სამეურვეო საბჭომ ვაკანსიის წარმოშობისას უნდა მოახდინოს ახალი მზრუნველისა თუ მეურვის დანიშვნის ინიციირება; ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ასევე ასეთი დანიშვნის, ისევე როგორც ახალი მრჩევლის დანიშვნის ინიციირება.

ტიტული 5
იურიდიული პირები

თავი 1
სამართალსუბიექტურობა

განყოფილება 1
იურიდიული პირების დაფუძნება და სახეები

298. იურიდიულ პირებს მინიჭებული აქვთ სამართალსუბიექტურობა.
იურიდიულ პირების დაფუძნება ხდება საჯარო ან კერძო ინტერესებში.

299. იურიდიულ პირების დაფუძნება ხდება კანონით, ხოლო ზოგჯერ კი, — კანონით პირდაპირ გათვალისწინებული სამართლებრივი ფორმების მიხედვით.

იურიდიულ პირები არსებობენ კანონის ძალაში შესვლის ან მასში გათვალისწინებული მომენტიდან, თუ მათი დაფუძნება ხდება საჯარო ინტერესებში ან ისინი პირდაპირ კანონის მიერ ან კანონის ძალით იქმნებიან; სხვა შემთხვევაში იურიდიული პირები არსებობენ იმ კანონებით გათვალისწინებული მომენტიდან, რომლებიც მოქმედებს მათ მიმართ.

300. საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიულ პირები უმთავრესად რეგულირდება იმ სპეციალური კანონებით, რომელთა საფუძველზეც ისინი არიან შექმნილი და იმ კანონებით, რომლებიც მოქმედებს მათ მიმართ; კერძო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირები კი უმთავრესად რეგულირდებიან იმ კანონებით, რომლებიც მოქმედებს მათი კონკრეტული ფორმის მიმართ.

ორივე სახის იურიდიული პირები ასევე რეგულირდებიან წინამდებარე კოდექსით, როდესაც აღნიშნული კანონების ნორმები ითხოვს დამატებას, განსაკუთრებით კი, — მათი როგორც იურიდიული პირების სტატუსთან, მათ ქონებასთან ან სხვა პირებთან მათ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

განყოფილება 2
სამართალსუბიექტურობის სამართლებრივი შედეგები

301. იურიდიულ პირებს აქვთ სრული შესაძლებლობა, ისარგებლონ სამოქალაქო უფლებებით.

302. ყოველ იურიდიულ პირს აქვს ქონება, რომელიც კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში შეიძლება გაიყოს ან ასევე, — მითვისებულ იქნეს კიდეც. იურიდიულ პირს ასევე აქვს მისი ბუნებიდან გამომდინარე არაქონებრივი უფლებები და ვალდებულებებიც.

303. იურიდიულ პირებს აქვთ უნარი, განახორციელონ ყველა კუთვნილი უფლება, და ასევე, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, მათ მიმართ გამოიყენება წინამდებარე კოდექსში მოცემული ფიზიკური პირების მიერ სამოქალაქო უფლებების რეალიზაციის მომწესრიგებული ნორმები.

იურიდიულ პირებს არ ახასიათებთ ქმედუუნარობა გარდა ისეთისა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს მათი ბუნებიდან ან კანონის პირდაპირი დანაწესიდან.

304. იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ პირის მეურვეობის ან მზრუნველობის განხორციელება.

თუმცა, იმ ფარგლებში, რომლებშიც იურიდიული პირები კანონის საფუძველზე არიან უფლებამოსილი, იმოქმედონ ამგვარად, მათ შეიძლება დაეკისროთ ქონების მეურვის ან მზრუნველის, სამკვიდრო ქონების ლიკვიდატორის, სეკვესტრატორის, მინდობილი მესაკუთრის ან სხვა იურიდიული პირის მმართველის ფუნქციები.

305. ყოველ იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელიც მას დაფუძნებისას ენიჭება, და რომლითაც ის განახორციელებს თავის უფლებებსა და ასრულებს ვალდებულებებს.

იურიდიულ პირს უნდა ენიჭებოდეს ისეთი სახელწოდება, რაც შეესაბამება კანონს და რომელიც კანონით მოთხოვნილ შემთხვევებში შეიცავს გამოთქმას, რაც ნათლად უთითებს იურიდიული პირის მიერ მიღებულ სამართლებრივ ფორმას.

306. იურიდიულ პირს შეუძლია საქმიანობდეს ან მოახდინოს თავისი თავის იდენტიფიცირება სხვა სახელწოდებით, ნაცვლად საკუთარი სახელწოდებისა. ამ მიზნით მან შესაბამისი განცხადების წარდგენით უნდა გაუგზავნოს შეტყობინება საწარმოთა რეგისტრატორს საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) თანახმად, ხოლო თუ იურიდიული პირი წარმოადგენს თანამესაკუთრეთა სინდიკატს, — მიმართოს ასეთი შეტყობინების რეგისტრაციის მოთხოვნით მიწის რეესტრს.

307. იურიდიულ პირის ადგილსამყოფელს წარმოადგენს მისი სათავო ოფისის ადგილი და მისამართი.

308. იურიდიულ პირს შეუძლია შეიცვალოს თავისი სახელწოდება ან თავისი ადგილსამყოფელი კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

309. იურიდიულ პირები განსხვავდებიან თავიანთი მონაწილეებისაგან. მათი მოქმედებები სხვას არავის ავალდებულებს, გარდა თავად ამ იურიდიულ პირებისა, თუ კანონი სხვაგვარად არ ითვალისწინებს.

310. იურიდიულ პირის ფუნქციონირება, ქონების მართვა და საქმიანობა მოწესრიგებულია კანონით, დაფუძნების აქტითა და წესდებით; კანონოთ დაშვებულ ფარგლებში იურიდიული პირები შეიძლება ასევე რეგულირებული იყვნენ მონაწილეთა უსიტყვო შეთანხმებითაც.

დამდგენ აქტსა და წესდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დაფუძნების აქტს.

311. იურიდიული პირები მოქმედებენ მათი ორგანოების მეშვეობით, როგორიც არიან დირექტორთა საბჭო და მონაწილეთა საერთო კრება.

312. იურიდიული პირი წარმოდგენილია მისი მაღალი თანამდებობის პირების მიერ, რომელთა მოქმედებაც ავალდებულებს იურიდიული პირს მათთვის კანონით, დაფუძნების აქტითა თუ წესდებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

313. იურიდიული პირის წესდება ქმნის სახელშეკრულებო ურთიერთობებს იურიდიულ პირსა და მის მონაწილეებს შორის.

314. იურიდიული პირი არსებობს განუსაზღვრელი ვადით გარდა კანონით ან იურიდიული პირის დაფუძნების აქტით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

315. იურიდიული პირის მონაწილეები ვალდებული არიან მის მიმართ ნებისმიერი იმ შეპირებისათვის, რაც მათ იკისრეს შენატანის სახით განხორციელებასთან დაკავშირებით, გარდა კანონით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

316. იურიდიული პირის მიმართ მოტყუების შემთხვევაში, სასამართლოს დაინტერებული პირის განცხადების საფუძველზე და მის მიერ მითითებულ ფარგლებში შეუძლია დააკისროს დამფუძნებლებს, დირქტორებს, სხვა მაღალ თანამდებობის პირებსა თუ იურიდიული პირის მეწილეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სავარაუდო ქმედებაში ან აღნიშნულიდან პირადი გამორჩენა მიიღეს, პასუხისმგებლობა იურიდიული პირის მიერ განცდილი ნებისმიერი ზიანისათვის.

317. კეთილსინდისიერი პირის მიმართ დაუშვებელია იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობაზე მითითება თაღლითობის დაფარვის, უფლების ბოროტად გამოყენებისა თუ საჯარო წესრიგის პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედების მიზნით.

318. კეთილსინდისიერი მესამე პირის მიერ წარდგენილ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ პირი ან ჯგუფი, რომელსაც არა აქვს იურიდიული პირის სტატუსი, ვალდებულია იურიდიული პირის მსგავსად, თუ პირი ან ჯგუფი ამგვარად მოქმედებდა მესამე პირის მიმართ.

319. იურიდიული პირს შეუძლია მოიწონოს ის მოქმედება, რომელიც განხორციელდა მანამდე, სანამ ის დაფუძნდა; შესაბამისად, ის ცვლის იმ პირს, რომელიც მოქმედებდა მისთვის.

მოწონება არ ქმნის ნოვაციას; მოქმედების განმახორციელებელ პირს ამის

შემდგომ აქვს იგივე უფლებები და ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც რწმუნებულს იურიდიული პირის მიმართ.

320. პირს, რომელიც მოქმედებს იურიდიული პირის სახელით მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი ფუძნდება, ეკისრება ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალდებულებები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს და შეიცავს მითითებას იმ სამართლებრივ შედეგზე, რომ იურიდიული პირი ვერ დაფუძნდებოდა ან ვერ იკისრებდა ხელშეკრულებაში ხელმოწერილ ვალდებულებებს.

განყოფილება 3
დირექტორების ვალდებულებები და დირექტორად დანიშვნის დაუშვებლობა

321. დირექტორი მიიჩნევა იურიდიული პირის რწმუნებულად. მან თავისი მოვალეობების შესრულებისას უნდა დაიცვას მასზე კანონით, დაფუძნების აქტითა თუ წესდებით დაკისრებული ვალდებულებები და ის უნდა მოქმედებდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

322. დირექტორი უნდა მოქმედებდეს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით.

ის ასევე იურიდიული პირის ინტერესებში უნდა მოქმედებდეს პატიოსნად და ერთგულად.

323. დაუშვებელია დირექტორის მიერ იურიდიული პირის ქონების არევა საკუთარ ქონებასთან, ისევე როგორც მას არ შეუძლია იურიდიული პირის ქონების ან თავისი მოვალეობის განხორციელების შედეგად მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება თავის სასარგებლოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უფლებამოსილია ასეთ მოქმედებაზე იურიდიული პირის მონაწილეთა მიერ.

324. დირექტორმა თავიდან უნდა აიცილოს ნებისმიერ ისეთ მდგომარეობაში აღმოჩენა, როდესაც მისი პირადი ინტერესი წინააღმდეგობაში მოვიდოდა მის, როგორც დირექტორის, ვალდებულებებთან.

დირექტორმა იურიდიულ პირს უნდა განუცხადოს ნებისმიერი იმ ინტერესის შესახებ, რაც მას აქვს საწარმოსა თუ კავშირში, რის გამოც ის შეიძლება აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში, და ასევე — იმ ნებისმიერი უფლების შესახებ, რომელიც მას შეუძლია იურიდიულ პირს დაუპირისპიროს, აუცილებლობის შემთხვევაში, აღნიშნულის ბუნებისა და ღირებულების მითითებით. ინტერესის არსებობის შესახებ განცხადება შეიტანება დირექტორთა საბჭოს საქმის წარმოების ოქმში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში.

325. დირექტორს შეუძლია, თუნდაც თავისი მოვალეობების განხორციელების გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, შეიძინოს მისი მართვის ქვეშ მყოფი ქონება ან იურიდიულ პირთან დადოს ხელშეკრულებები.

დირექტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს იურიდიულ პირს პირველ პარაგრაფში მითითებული შენაძენისა თუ ხელშეკრულების შესახებ მის მიერ შეძენილი უფლების ბუნებისა და ღირებულების მითითებით და მოითხოვოს, რომ ეს ფაქტი შეტანილ იქნეს დირექტორთა საბჭოს საქმის წარმოების ოქმში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს მოითხოვება, მან თავი უნდა შეიკავოს შესაბამისი საკითხის განხილვისა და ხმის მიცემისაგან. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს იმ საკითხების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია დირექტორისათვის გადასახდელ საზღაურთან ან დასაქმების პირობებთან.

326. როდესაც იურიდიული პირის დირექტორი ზუსტად და დაუყოვნებლივ არ ახდენს შენაძენისა თუ ხელშეკრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სასამართლოს იურიდიული პირის ან მისი მონაწილის განცხადების საფუძველზე შეუძლია, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გააბათილოს მოქმედება ან დაავალოს დირექტორს ანგარიშის წარდგენა და იურიდიული პირისათვის მიღებული მოგებისა თუ სარგებლის დაბრუნება.

სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს შენაძენისა თუ ხელშეკრულების შესახებ შეტყობის მომენტიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

327. არასრულწლოვანი პირები, მეურვეობისა თუ მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირები, გაკოტრებული და ის პირები, რომლებსაც ეკრძალებათ დირექტორის მოვალეობის შესრულება, გამოირიცხებიან დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისაგან.

თუმცაღა, არასრულწლოვანი და მეურვეობის ქვეშ მყოფი სრული ასაკის პირები შეიძლება იყვნენ იმ იურიდიული პირების სახით დაფუძნებული კავშირების დირექტორები, რომელთა მიზანს არ წარმოადგენს ფულადი მოგების მიღება და რომელთა საქმიანობის საგანიც ეხება ამ პირებს.

328. დირექტორის ან მაღალი თანამდებობის პირის მოქმედებების გაბათილება დაუშვებელია მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ის გამორიცხული იყო დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისაგან ან მისი დანიშვნა იყო უკანონო.

329. სასამართლოს დაინტერებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია აუკრძალოს პირს იურიდიული პირის დირექტორის თანამდებობის დაკავება, თუ პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებაში, რომელიც მოიცავს თაღლითობას ან უწესო საქციელს იურიდიულ პირთან დაკავშირებულ საკითხებში ან ამ პირმა არაერთხელ დაარღვია საკანონდებლო ნორმები, რომლებიც ეხება იურიდიულ პირებს ან ვერ შეასრულა თავის ვალდებულებები როგორც დირექტორმა.

330. დაუშვებელია აკრძალვის გავრცელება უკანასკნელ ქმედებაში ბრალდებიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომელსაც ეხება აკრძალვა, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს აკრძალვა იმ პირობების არსებობისას, რომლებსაც ის სათანადოდ მიიჩნევს.

განყოფილება 4
სუბიექტურობის მინიჭება სასამართლოს მიერ

331. სამართალსუბიექტურობა შეიძლება სასამართლოს მიერ უკუქცევითი ძალით მიენიჭოს იურიდულ პირს, რომელსაც საჯაროდ, უწყვეტად და არაორაზროვნად სრული გამოვლინება ჰქონდა იურიდიული პირისა და ასეთად მოქმედებდა როგორც მისი მონაწილეების, ისე მესამე პირების მიმართ.

ხელისუფლების ის ორგანო, რომელსაც თავიდანვე უნდა გაეწია ზედამხედველობა იურიდიული პირის დაფუძნებას, ჯერ უნდა დაეთანხმოს განცხადებას.

332. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ჩაერიოს საქმის განხილვაში ან გააპროტესტოს ის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც იურიდიული პირის სტატუსის მინიჭება მისი უფლებების საზიანოდ მოხდა.

333. სასამართლოს გადაწყვეტილება ანიჭებს იურიდიული პირის სტატუსს მის მიერ მითითებული თარიღიდან. ის არანაირად არ ცვლის ამ თარიღისთვის არსებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ გადაეცემა სასამართლოს მდივნის მიერ ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელმაც მიიღო ან გამოსცა იურიდიული პირის დაფუძნების აქტი. სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება ხელისუფლების ორგანოს მიერ უნდა გამოქვეყნდეს Gazette officielle du Québec-ში.

თავი 2
განსაზღვრული იურიდიული პირების მიმართ გამოსაყენებელი ნორმები

334. იურიდიული პირები, რომლებიც იღებენ წინამდებარე კოდექსის სხვა ტიტულით რეგულირებულ სამართლებრივ ფორმას, ექვემდებარებიან წინამდებარე თავის წესებს; ანალოგიური წესი მოქმედებს ნებისმიერი სხვა იურიდიული პირის მიმართ, თუ ის კანონი, რომლითაც იურიდიული პირი დაფუძნდა, ან რომელიც მოქმედებს იურიდიული პირის მიმართ, — არ ადგენს ფუნქციონირების, გაუქმებისა თუ ლიკვიდაციის შესახებ სხვა წესებს ან არ მიუთითებს მათზე.

თუმცაღა, ამ იურიდიულ პირებს შეუძლიათ თავიანთ წესდებებში მოახდინონ იმ წესებიდან გადახვევა, რომლებიც ეხება მათ ფუნქციონირებას მონაწილეთა უფლებების დაცვის პირობით.

განყოფილება 1
იურიდიული პირების ფუნქციონალური სტრუქტურა

§ 1. — მართვა

335. დირექტორთა საბჭო მართავს იურიდიული პირის საქმეებს და ახორციელებს ამ მიზნისათვის აუცილებელ ყველა უფლებამოსილებას; მას შეუძლია შექმნას მენეჯერული თანამდებობები, სხვა ორგანოები და გადასცეს განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება ამ თანამდებობების დამკავებლებსა და აღნიშნულ ორგანოებს.

დირექტორთა საბჭო იღებს და ახორციელებს მართვით წესებს, რომლებიც ექვემდებარება მონაწილეთა მიერ მომდევნო საერთო კრებაზე მიღებას.

336. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება დირექტორთა ხმათა უმრავლესობით.

337. ყოველი დირექტორი სხვა დირექტორებთან ერთად პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მოითხოვა, რომ მისი უთანხმოების ფაქტი შეტანილ იქნეს საქმის წარმოების ოქმში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში.

თუმცაღა, ივარაუდება, რომ დირექტორმა, რომელიც არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, არ მოიწონა ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები.

338. იურიდიული პირის დირექტორი ინიშნება მონაწილეთა მიერ.

დაუშვებელია დირექტორად პირის დანიშვნა მისი გამოხატული თანხმობის გარეშე.

339. დირექტორების თანამდებობაზე დანიშვნის ვადა შეადგენს ერთ წელს; ამ ვადის ამოწურვისას დირექტორების უფლებამოსილება გრძელდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლებამოსილება უქმდება.

340. დირექტორები ავსებენ საბჭოში არსებულ ვაკანსიებს. საბჭოში არსებულ ვაკანსიები ხელს არ უშლის დირექტორებს მოქმედებაში; თუ მათი რიცხვი გახდა კვორუმზე ნაკლები, მაშინ დარჩენილ დირექტორებს შეეძლებათ შედეგიანად მოიწვიონ მონაწილეები.

341. როდესაც საბჭოს ხელი ეშლება საქმიანობაში ხმათა უმრავლეობით ან განსაზღვრული სხვა პროპორციით გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად ზოგიერთი დირექტორის მხრიდან დაბრკოლების შექმნის ან სისტემატური წინააღმდეგობის გამო, სხვა დირექტორებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ დაცვითი ქმედებები; მათ სასამართლოს ნებართვით შეუძლიათ ასევე დამოუკიდებლად განახორციელონ ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას.

როდესაც სიტუაცია ამას განსაკუთრებულად მოითხოვს, ხოლო მართვა კი შედეგად მნიშვნელოვნად შეფერხებულია, სასამართლოს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია განსაზღვრული პროპორციით

გამორიცხოს დირექტორების საქმიანობა, დაჰყოს მათი მოვალეობები, ერთ-ერთ მათგანს მიანიჭოს გადამწყვეტი ხმა ან მიიღოს ნებისმიერი განკარგულება, რასაც ის გარემოებებიდან გამომდინარე სათანადოდ მიიჩნევს.

342. დირექტორთა საბჭო ინახავს მონაწილეთა სიას, საბუღალტრო წიგნებსა და სარეგისტრაციო ჩანაწერებს, რომლებიც აუცილებელია იურიდიული პირის სათანადო ფუნქციონირებისათვის.

პირველ პარაგრაფში მითითებული დოკუმენტები წარმოადგენს იურიდიული პირის ქონებას და მონაწილეებს აქვთ მათთან თავისუფალი წვდომა.

343. დირექტორთა საბჭოს შეუძლია დანიშნოს იურიდიული პირის საბუღალტრო წიგნებისა და სარეგისტრაციო ჩანაწერების შემნახველი პირი.

დანიშნულ პირს შეუძლია გასცეს მასთან შენახული დოკუმენტების ასლები; საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ასლები წარმოადგენს მათში მოცემული შინაარსის მტკიცებულებას მათზე არსებული ხელმოწერისა თუ ავტორის უფლებამოსილების დადასტურების ნებისმიერი მოთხოვნის გარეშე.

344. თუ ყველა დირექტორი ამაზე შეთანხმებულია, მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დირექტორთა საბჭოს კრების საქმიანობაში ისეთი ტექნიკური საშუალების გამოყენებით, რომელიც ყველა აღნიშნულ მონაწილეს აძლევს ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაციის შესაძლებლობას.

§ 2. — საერთო კრება

345. საერთო კრება მოიწვევა ყოველ წელს დირექტორთა საბჭოს მიერ ან მისი მითითებების შესაბამისად, — ფინანსური პერიოდის დასრულებიდან ექვსი თვის ვადაში.

პირველი საერთო კრება ტარდება იურიდიული პირის დაფუძნებიდან ექვსი თვის ვადაში.

346. ყოველწლიური საერთო კრების მოწვევის შეტყობინებაში მითითებულია კრების თარიღი, დრო და ადგილი და დღის წესრიგი; მის ყოველ მონაწილეს, ვინც უფლებამოსილია დაესწროს კრებას, ეგზავნება კრებამდე არაუადრეს 10, თუმცა არაუმეტეს 45 დღისა.

ყოველწლიური საერთო კრების დღის წესრიგში ჩვეულებრივი საქმიანი საჭიროებების ხსენება აუცილებელი არ არის.

347. ყოველწლიურ საერთო კრების მოწვევის შეტყობინებას თან ერთვის ბალანსი, განვლილი ფინანსური პერიოდის მოგების ანგარიში და ვალებისა და მოთხოვნების შესახებ ანგარიში.

348. დაუშვებელია საერთო კრებაზე სხვა ბიზნესსაქმიანობის განხილვა, გარდა დღის წესრიგში მოცემულისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრების მოწვევაზე უფლებამოსილი ყველა მონაწილე ესწრება კრებას და ეთანხმება აღნიშნულს. ამავე დროს, ყოველწლიურ კრებაზე ყოველ მონაწილეს

შეუძლია წამოაყენოს იურიდიული პირის ან მისი მონაწილის მიმართ ნებისმიერი ინტერესის შესახებ საკითხი.

349. საერთო კრებაზე საკითხის განხილვა მიიჩნევა არასათანადოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრებას ესწრება ან წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე მონაწილეთა უმრავლესობა.

350. მონაწილე შეიძლება წარმოდგენილი იყოს საერთო კრებაზე, თუ მან ამასთან დაკავშირებით გასცა წერილობითი მინდობილობა.

351. საერთო კრების გადაწყვეტილებები მიიღება მიცემული ხმების უმრავლესობით.

მონაწილეთა მიერ ხმის მიცემა ხდება ხელის აწევით ან, მოთხოვნის შემთხვევაში, — ფარული კენჭისყრით.

352. თუ მონაწილეები წარმოადგენენ ხმათა 10%-ს, მათ შეუძლიათ დირექტორებს ან მდივანს მოსთხოვონ ყოველწლიური ან სპეციალური საერთო კრების მოწვევა წერილობით შეტყობინებაში კრებაზე შესათანხმებელი ბიზნესის საკითხის მითითებით.

თუ დირექტორები ან მდივანი არ იმოქმედებენ შეტყობინების მიღებიდან 21 დღის განმავლობაში, ნებისმიერ შეტყობინებაზე ხელმომწერ მონაწილეს შეუძლია მოიწვიოს კრება.

იურიდიული პირი ვალდებულია აუნაზღაუროს მონაწილეებს მათ მიერ კრების მოწვევასთან დაკავშირებით გაწეული აუცილებელი ხარჯები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრება სხვაგვარად წყვეტს.

§ 3. — დირექტრთა კრებებისა და საერთო კრებების საერთო დებულებები

353. დირექტორებს ან მონაწილეებს შეუძლიათ უარი თქვან დირექტორთა საბჭოს, საერთო კრების ან ნებისმიერი სხვა ორგანოს მოწვევის შეტყობინების გაგზავნაზე.

დირექტორების ან მონაწილეების უბრალო დასწრება უთანაბრდება მოწვევის შეტყობინებაზე უარს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ესწრებიან იმ ფაქტის გასაპროტესტებლად, რომ კრება არ იყოს სათანადო წესით მოწვეული.

354. ხმის მიცემაზე უფლებამოსილი ყველა პირის მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილებები ნამდვილია მსგავსად იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მიღებულია დირექტორთა საბჭოს, საერთო კრების ან ნებისმიერი სხვა ორგანოს კრებაზე.

გადაწყვეტილებების ასლი ინახება საქმის წარმოების ოქმთან ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტთან.

განყოფილება 2
იურიდიული პირების გაუქმება და ლიკვიდაცია

355. იურიდიული პირი უქმდება მისი დაფუძნების აქტის გაბათილების ან ნებისმიერი სხვა საფუძვლით, რაც გათვალისწინებულია დაფუძნების აქტითა თუ კანონით.

ის ასევე უქმდება იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ადასტურებს დაფუძნების აქტთან დაკავშირებული პირობის შესრულებას, იმ მიზნის მიღწევას, რომლისათვისაც დაფუძნდა იურიდიული პირი, ან ამ მიზნის მიღწევის შეუძლებლობას ანდა რაიმე სხვა ლეგიტიმური საფუძვლის არსებობას.

356. იურიდიული პირი შეიძლება ასევე გაუქმდეს უშუალოდ ამ მიზნით მოწვეულ საერთო კრებაზე მიცემული არანაკლებ ორი მესამედის ხმების თანხმობით.

კრების მოწვევის შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნეს კრებამდე არაუადრეს 30, მაგრამ არაუმეტეს 45 დღისა და, ამასთან, ეს არ უნდა მოხდეს შეუსაბამო მომენტში.

357. იურიდიული პირის სამართალსუბიექტურობის არსებობა გრძელდება ლიკვიდაციის მიზნებისათვის.

358. დირექტორებმა გაუქმების შესახებ უნდა შეატყობინონ საწარმოთა რეგისტრატორს შესაბამისი განცხადების წარდგენით საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) თანახმად, ხოლო თუ იურიდიული პირი წარმოადგენს თანამესაკუთრეთა სინდიკატს, — მიმართონ ასეთი შეტყობინების რეგისტრაციის მოთხოვნით მიწის რეესტრს. მათ ასევე წესდების შესაბამისად უნდა დანიშნონ ლიკვიდატორი, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა გააგრძელოს ლიკვიდაციის პროცესი.

თუ დირექტორები ვერ ასრულებენ ამ ვალდებულებებს, მათ შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა იურიდიული პირის მოქმედებებისათვის, ხოლო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს კი შეუძლია მიმართოს სასამართლოს ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით.

359. ლიკვიდატორის დანიშვნის, ისევე როგორც ნებისმიერი გამოწვევის, შესახებ შეტყობინების წარდგენა ხდება იმავე ადგილას და იგივე წესით, როგორც გაუქმების შესახებ შეტყობინება. დანიშვნა და გამოწვევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის მე-2 თავის (თავი P-44.1) ნორმების შესაბამისად წარმოებულ საწარმოთა რეესტრში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან.

360. ლიკვიდატორი იღებს იურიდიული პირის ქონებას მფლობელობაში და მოქმედებს, როგორც სხვა პირების კუთვნილი ქონების მმართველი სრული მართვის მოვალეობის დაკისრებით.

ლიკვიდატორი უფლებამოსილია, იურიდიული პირის კრედიტორებისა და მონაწილეებისაგან მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი და ნებისმიერი გან-

მარტება იურიდიული პირის უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით.

361. ლიკვიდატორი ჯერ იხდის ვალებს, ხოლო შემდეგ კი ახდენს კაპიტალდაბანდებების ანაზღაურებას.

შემდეგი პარაგრაფის ნორმათა შესაბამისად ლიკვიდატორი შემდგომში ახდენს აქტივების მონაწილეთა შორის განაწილებას მათი უფლებების პროპორციულად ან, საწინააღმდეგო შემთხვევაში, — თანაბარწილად, საჭიროების შემთხვევაში, იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ეხება იდეალური საერთო საკუთრების გაყოფას. ნებისმიერი დარჩენი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

თუ აქტივები მოიცავს მესამე პირების შენატანებისაგან შემდგარ ქონებას, ლიკვიდატორმა ასეთი ქონება უნდა გადასცეს სხვა იურიდიულ პირს ან ტრასტს, რომლებიც იზიარებენ სალიკვიდაციო იურიდიული პირის მსგავს მიზნებს; თუ ეს შეუძლებელია, ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში ან თუ მისი ღირებულება მცირეა, — მონაწილეებს შორის ნაწილდება თანაბარწილად.

362. ლიკვიდატორი ინარჩუნებს იურიდიულ პირის საბუღალტრო წიგნებსა და ჩანაწერებს ლიკვიდაციის დასრულებიდან ხუთი წლის განმავლობაში; ის იტოვებს მათ უფრო მეტი ხნითაც, თუ საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები მოითხოვება როგორც მტკიცებულება საქმის წარმოებაში.

ამის შემდეგ ის ამ დოკუმენტებს თავიდან იშორებს თავისი შეხედულებისამებრ.

363. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლიკვიდატორი სასამართლოსაგან იღებს დამატებით ვადას, შემოსავლების მინისტრი კისრულობს განახორციელოს ლიკვიდაციის პროცესი — ან აგრძელებს მას, — რომელიც არ დასრულებულა გაუქმების შეტყობინების წარდგენიდან ხუთი წლის ვადის განმავლობაში.

ასეთ შემთხვევაში შემოსავლების მინისტრს აქვს იგივე უფლებები და ვალდებულებები, რაც ლიკვიდატორს.

363. იურიდიული პირის ლიკვიდაცია მთავრდება დასრულების შესახებ შეტყობინების იმავე ადგილას და იგივე წესით წარდგენით, როგორც გაუქმების შესახებ შეტყობინება. შეტყობინების რეესტრში რეგისტრაცია აუქმებს იურიდიულ პირთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა რეგისტრაციას.

წიგნი მეორე
ოჯახი

ტიტული 1
ქორწინება

თავი 1
ქორწინება და ქორწინების საზეიმო აღნიშვნა

365. ქორწინება უნდა გაფორმდეს ღიად კომპეტენტური სასულიერო პირის წინაშე ორი მოწმის თანდასწრებით.

366. იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული უზენაესი სასამართლოს ყოველი მდივანი ან მდივნის მოადგილე, სანოტარო აქტების შესრულებაზე უფლებამოსილი ყოველი ნოტარიუსი და დანიშვნის დოკუმენტში განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული ნებისმიერი სხვა პირი, მათ შორის, მერები, მუნიციპალური თუ საქალაქო საბჭოების წევრები და მუნიციპალური მოხელეები, კომპეტენტურები არიან ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე.

გარდა ამისა, ყოველი მღვდელი, რომელიც უფლებამოსილია ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე იმ რელიგიური საზოგადოების მიერ, რომელსაც ის მიეკუთვნება, ასევე კომპეტენტურია აღნიშნულის შესრულებაზე იმ პირობით, რომ ის კვებეკის რეზიდენტია, თავის, როგორც სასულიერო პირის, ფუნქციებს სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს კვებეკში, ასევე — ყოფითობას, მისი კონფესიის რიტუალებსა და ცერემონიებს აქვს მუდმივი ხასიათი, რომ ის ქორწინების საზეიმო აღნიშვნას ახდენს იმ ადგილებში, რომლებიც შეესაბამება აღნიშნულ რიტუალებს ან იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილ წესებს და რომ ის უფლებამოსილია ამ უკანასკნელის მიერ.

ნებისმიერი მღვდელი, რომელიც არ არის კვებეკის რეზიდენტი, მაგრამ

დროებით ცხოვრობს იქ, ასევე შეიძლება იყოს უფლებამოსილი ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრულ დროს.

მთავრობასა და მოჰავკის თემს შორის დადებულ შეთანხმებაში განსაზღვრულ ტერიტორიაზე იუსტიციის მინისტრისა და თემის მიერ დანიშნული პირი ასევე კომპეტენტურია ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე.

367. დაუშვებელია მღდვლის იძულება იმ ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე, რომლის მიმართაც არსებობს ნებისმიერი წინააღმდეგობა მისი რელიგიისა და იმ რელიგიური საზოგადოების სწავლების თანახმად, რომელსაც ის მიეკუთვნება.

368. ქორწინების საზეიმო აღნიშვნამდე პუბლიკაცია უნდა გაკეთდეს შეტყობინების გასაჯაროების გზით ქორწინების დღემდე 20 დღით ადრე იმ ადგილას, სადაც უნდა მოხდეს ქორწინების საზეიმო აღნიშვნა. პუბლიკაცია არ მოითხოვება, თუ მომავალი მეუღლეები უკვე იმყოფებიან სამოქალაქო კავშირში.

პუბლიკაციის ან მისი ვალდებულებისაგან გათავისუფლების მომენტში მეუღლეებს უნდა ეცნობოთ ქორწინებამდელი სამედიცინო შემოწმების მიზანშეწონილობის შესახებ.

369. პუბლიკაციაში მიეთითება თითოეული მომავალი მეუღლის სახელი და საცხოვრებელი ადგილი, ასევე — თითოეული მათგანის დაბადების ადგილი. აღნიშნული მონაცემების სისწორე დასტურდება სრული ასაკის მოწმის მიერ.

370. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას სასულიერო პირს შეუძლია გაათავისუფლოს მომავალი მეუღლეები პუბლიკაციის ვალდებულებისაგან.

371. თუ ქორწინების საზეიმო აღნიშვნა არ ხორციელდება პუბლიკაციის შემდეგ მეოცე დღიდან სამი თვის განმავლობაში, პუბლიკაცია უნდა განახლდეს.

372. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეეწინააღმდეგოს იმ პირებს შორის ქორწინების საზეიმო აღნიშვნას, რომლებსაც არ შეუძლიათ დაქორწინება.

არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად შეეწინააღმდეგოს ქორწინებას. მას ასევე შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს როგორც მოპასუხემ.

373. ქორწინების საზეიმო აღნიშვნამდე სასულიერო პირი ახდენს მომავალი მეუღლეების პიროვნების დადგენას, დაქორწინებისათვის აუცილებელი პირობების შესაბამისობის შემოწმებასა და კანონით გათვალისწინებული ფორმალობების დაცვას. კერძოდ კი, სასულიერო პირი ადგენს, რომ მომავალი მეუღლეები არიან თავისუფალი ნებისმიერი წინა საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ბოჭვისაგან გარდა იგივე მეუღლეებს შორის სამოქალაქო კავშირისა, ხოლო არასრულწლოვანთა შემთხვევაში ის ადგენს, რომ მშობლის უფლების მქონე პირი, და, საჭიროების შემთხვევაში კი, მეურვე დაეთანხმა დაქორწინებას.

374. მოწმეთა თანდასწრებით სასულიერო პირი მომავალ მეუღლეებს უკითხავს 392-396-ე მუხლებს.

ის ყოველი მომავალი მეუღლისაგან პირადად ითხოვს და იღებს მათი ერთმანეთის ქმრად და ცოლად გახდომის თაობაზე სურვილის განცხადებას. ამის შემდეგ სასულიერო პირი მათ დაქორწინებულებად აცხადებს.

375. სასულიერო პირი ადგენს ქორწინების მოწმობასა და დაუყოვნებლივ უგზავნის მას სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს.

376. მდივნები ან მდივნის მოადგილეები, ნოტარიუსები და იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული პირები ახდენენ ქორწინების საზეიმო აღნიშვნას იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მდივნები და მდივნის მოადგილეები მომავალი მეუღლეებისაგან ფინანსთა მინისტრის სასარგებლოდ იღებენ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოსაკრებლებს.

ნოტარიუსები და დანიშნული პირები მომავალი მეუღლეებისაგან იღებენ შეთანხმებულ საზღაურს. თუმცაღა, მერები, მუნიციპალური თუ საქალაქო საბჭოების წევრები და მუნიციპალური მოხელეები მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მომავალი მეუღლეებისაგან იღებენ მუნიციპალური განკარგულებით გათვალისწინებულ მოსაკრებლებს; ასეთი მოსაკრებლები უნდა იყოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მინიმალურ და მაქსიმალურ თანხმებთან შესაბამისობაში.

377. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იუსტიციის მინისტრმა სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს უკვე გადასცა ნებართვების გაცემის უფლებამოსილება და განახორციელა 366-ე მუხლით გათვალისწინებული დანიშვნები, იუსტიციის მინისტრი რეგულარულად აწვდის რეგისტრატორს ინფორმაციას ნებართვების, დანიშვნებისა და დათხოვნების შესახებ, რომლებსაც იუსტიციის მინისტრი იძლევა და ახორციელებს ან რომლებშიც იღებს მონაწილეობას ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე კომპეტენტური სასულიერო პირების მიმართ ისე, რომ სათანადო რეგისტრაციები და შესწორებები შეიძლება გაკეთდეს რეესტრში.

იმავე მიზნებისათვის Ordre des notaires du Québec-ის მდივანი ინარჩუნებს, — და შესაბამისად აწვდის სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს, — იმ ნოტარიუსთა განახლებულ სიას, რომლებიც კომპეტენტურები არიან ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე, იმ თარიღის განსაზღვრით, თუ როდის გახდა თითოეული ნოტარიუსი კომპეტენტური და, თუ ცნობილია, — ასევე ნოტარიუსის აღნიშნული კომპეტენციის ვადის ამოწურვის თარიღი.

თუ სასულიერო პირს არ შეუძლია მოქმედება ან გარდაიცვლება, რელიგიური საზოგადოება, უზენაესი სასამართლოს მდივანი ან, გარემოებების გათვალისწინებით, Ordre des notaires du Québec-ის მდივანი პასუხისმგებელია სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორის ინფორმირებისათვის ისე, რომ სათანადო შესწორებები შეიძლება გაკეთდეს რეესტრში.

თავი 2
ქორწინების მტკიცება

378. ქორწინების არსებობა მტკიცდება ქორწინების სარეგისტრაციო ჩანაწერით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით ნებადართულია სხვა სახის მტკიცებულება.

379. მეუღლეთა სტატუსის ფლობა აკომპენსირებს ქორწინების სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებულ ფორმის ხარვეზს.

თავი 3
ქორწინების ბათილობა

380. ქორწინება, რომელიც არ იქნა საზეიმოდ აღნიშნული წინამდებარე ტიტულით გათვალისწინებული წესითა და დაქორწინებისათვის აუცილებელი პირობების შესაბამისად, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, თუმცაღა სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება გარემოებების შესაბამისად.

დაუშვებელია სარჩელის წარდგენა ქორწინების საზეიმო აღნიშვნიდან სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება საჯარო წესრიგს.

381. რა საფუძვლითაც არ უნდა გაბათილდეს ქორწინება, ის არ ართმევს შვილებს მათთვის კანონით ან ქორწინების ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ სარგებელს.

მამისა და დედის უფლებები და ვალდებულებები თავიანთი შვილების მიმართ არ იცვლება მათ შორის არსებული ქორწინების ბათილობით.

382. ბათილად ცნობილ ქორწინებას აქვს თავისი სამართლებრივი შედეგები იმ მეუღლის სასარგებლოდ, რომელიც მოქმედებდა კეთილსინდისიერად.

კერძოდ, მიმდინარეობს იმ ქონებრივი უფლებების ლიკვიდაცია, რომლებიც ივარაუდება როგორც ადრე არსებული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თითოეული მეუღლე თანხმდება, დაიბრუნოს თავისი ქონება.

383. თუ მეუღლეები მოქმედებდნენ არაკეთილსინდისიერად, ყოველი მათგანი იბრუნებს თავის ქონებას.

384. თუ მხოლოდ ერთი მეუღლე იყო კეთილსინდისიერი, მას თავისი არჩევანით ან შეუძლია დაიბრუნოს თავისი ქონება ან განცხადებით მოითხოვოს იმ ქონებრივი უფლებების ლიკვიდაცია, რომლებიც მას ქორწინებიდან ერგება.

385. 386-ე მუხლის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერი მეუღლეები უფლებამოსილი არიან მათთვის გაკეთებულ საქორწინო ნაჩუქრობებზე.

თუმცაღა, ქორწინების ბათილად გამოცხადებისას სასამართლოს შეუძლია

განაცხადოს საჩუქრებზე უფლების დაკარგვის ან მათი შემცირების შესახებ ანდა დაადგინოს, რომ inter vivos საჩუქრების საზღაურის გადახდა გადავადებულ იქნეს მის მიერ განსაზღვრული დროით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც აღმოჩნდნენ მხარეები.

386. არაკეთილსინდისიერი მეუღლის მიმართ ქორწინების ბათილობა შედეგად იწვევს inter vivos გაკეთებული საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობას.

ის ასევე შედეგად იწვევს ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის mortis causa (ლათ. — გარდაცვალების შემთხვევისათვის) გაკეთებული საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობასაც.

387. ივარაუდება, რომ მეუღლე დაქორწინდა კეთილსინდისიერად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინების ბათილად გამოცხადებისას სასამართლო მეუღლეს არაკეთილსინდისიერად მიიჩნევს.

388. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საქმის განხილვის მსგავსად, სასამართლო სარჩელის განხილვის პერიოდში საუზრუნველყოფო ღონისძიებების სახით იღებს გადაწყვეტილებებს შვილების ზედამხედველობის, რჩენისა და განათლების შესახებ, ხოლო ქორწინების ბათილად გამოცხადებისას სასამართლო წყვეტს კეთილსინდისიერი მეუღლის დახმარების ან საკომპენსაციო დანამატის მიცემის საკითხებს.

389. ქორწინების ბათილობა აქარწყლებს იმ უფლებას, რომელიც მეუღლეებს ჰქონდათ დახმარების მოთხოვნასთან დაკავშირებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინების ბათილად გამოცხადებისას სასამართლო მოთხოვნის საფუძველზე ავალებს ერთ-ერთ მათგანს მეორე მეუღლის დახმარებას ან გარემოებებიდან გამომდინარე სამართლიანად საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ის აკეთებს დათქმას დახმარების მოთხოვნის უფლების შენარჩუნების შესახებ.

დახმარების მოთხოვნის უფლების შენარჩუნება დაუშვებელია ორ წელზე მეტი ვადით; ის ქარწყლდება კანონის ძალით აღიშნული ვადის ამოწურვისას.

390. მას შემდეგ, როდესაც სასამართლომ მოახდინა დახმარების მოთხოვნის უფლების მინიჭება ან მისი შენარჩუნება, მას ქორწინების გაბათილებიდან ნებისმიერ დროს შეუძლია გამოაცხადოს დახმარების მოთხოვნის უფლების გაქარწყლების შესახებ.

თავი 4
ქორწინების სამართლებრივი შედეგები

391. მეუღლეებს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ, გადაუხვიონ წინამდებარე თავის დებულებებს, როგორიც არ უნდა იყოს მათი საერთო ქონების რეჟიმი.

განყოფილება 1
მეუღლეთა უფლებები და მოვალეობები

392. მეუღლეებს ქორწინებაში აქვთ ერთი და იგივე უფლებები და ვალდებულებები.

ისინი ვალდებული არიან პატივი სცენ, უერთგულონ, დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს.

ისინი ვალდებული არიან ერთად იცხოვრონ.

393. ქორწინებაში ორივე მეუღლე ინარჩუნებს თავის შესაბამის სახელს და შესაბამის სამოქალაქო უფლებებს ახორციელებს ამ სახელით.

394. მეუღლეები ერთად კისრულობენ ოჯახის განვითარების მორალურ და მატერიალურ მიმართულებას, ახორციელებენ მშობლის უფლებებსა და კისრულობენ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაბამის ამოცანებს.

395. მეუღლეები ერთად ირჩევენ ოჯახის საცხოვრებელ სახლს.

პირდაპირი არჩევანის არარსებობისას, ოჯახის საცხოვრებელ სახლად ივარაუდება ის ადგილი, სადაც ოჯახის წევრები ცხოვრობენ თავიანთი ძირითადი საქმიანობის განხორციელებისას.

396. მეუღლეები თავიანთი შესაბამისი საშუალებების პროპორციულად მონაწილეობენ ქორწინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაში.

მეუღლეებს თავიანთი შესაბამისი წვლილის შეტანა შეუძლიათ სახლში მათი საქმიანობის გზითაც.

397. მეუღლე, რომელიც დებს ხელშეკრულებას ოჯახის მიმდინარე საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სრულად ავალდებულებს მეორე მეუღლესაც, თუ ისინი განცალკევებით არ ცხოვრობენ.

თუმცაღა, ის მეუღლე, რომელიც არ დებს ხელშეკრულებას, არ არის პასუხისმგებელი ვალისათვის, თუ მან წინასწარ შეატყობინა ხელშეკრულების კონტრაჰენტს ვალდებულების კისრების სურვილის არქონის შესახებ.

398. თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისცეს მეორე მეუღლეს დავალება იმისათვის, რომ ის წარმოდგენილი იყოს ოჯახის მორალური და მატერიალური განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებულ მოქმედებებში.

ასეთი დავალება ივარაუდება, თუ ერთი მეუღლე ნებისმიერი მიზეზით უუნაროა, გამოხატოს თავისი სურვილი ან თუ მას არ შეუძლია ამის დროულად გაკეთება.

399. თითოეულ მეუღლეს შეიძლება დაერთოს ნება სასამართლოს მიერ, დამოუკიდებლად დადოს ნებისმიერი გარიგება, რომლისათვისაც მოითხოვება მეორე მეუღლის თანხმობა იმ პირობით, რომ ამგვარი თანხმობის მიღება შეუძლებელია ნებისმიერი მიზეზის გამო, ან მასზე უარი არ არის გამართლებული ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე.

ნებართვა გაიცემა სპეციალურად და განსაზღვრული დროით; ის შეიძლება შეიცვალოს ან გამოთხოვილ იქნეს.

400. თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან თავიანთი უფლებების რეალიზაციასა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, მათ — ან ერთ-ერთ მათგანს — შეუძლიათ მიმართონ განცხადებით სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობის მცდელობის შემდეგ.

განყოფილება 2
ოჯახის საცხოვრებელი სახლი

401. არც ერთ მეუღლეს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია იმ მოძრავი ქონების გასხვისება, დაგირავება ან ოჯახის საცხოვრებლიდან მოცილება, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის.

საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის განკუთვნილი მოძრავი ქონება მოიცავს მხოლოდ იმ მოძრავ ნივთებს, რომლებიც გათვალისწინებულია ოჯახის საცხოვრებელი სახლის შიდა მოწყობისა თუ მორთვისათვის; შენობის მოსართავი მოიცავს ნახატებსა და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებს, მაგრამ არა კოლექციებს.

402. იმ მეუღლეს, რომელიც არც დაეთანხმა საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის განკუთვნილ ნებისმიერ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებას და არც მოიწონა ის, შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი ბათილობის მოთხოვნით.

თუმცაღა, სასყიდლიანი გარიგების გაბათილება დაუშვებელია, თუ ხელშეკრულების კონტრაჰენტი კეთილსინდისიერი იყო.

403. არც ერთ მეუღლეს, თუ ის წარმოადგენს ოჯახის საცხოვრებელი სახლის დამქირავებელს, მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეუძლია მისი ქვექირავნობით გადაცემა, ქირავნობის უფლების გადაცემა ან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა გამქირავებელს შეატყობინა, რომ საცხოვრებელი ფართი გამოიყენება როგორც ოჯახის საცხოვრებელი სახლი.

იმ მეუღლეს, რომელიც არც დაეთანხმა გარიგებას და არც მოიწონა ის, შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი ბათილობის მოთხოვნით.

404. არც ერთ მეუღლეს, თუ ის წარმოადგენს იმ ხუთზე ნაკლები რაოდენობის საცხოვრებელი ფართისაგან შემდგარი უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენება როგორც ოჯახის საცხოვრებელი სახლი, — მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია უძრავი ქონების გასხვისება, სანივთო უფლებით დატვირთვა ან მისი იმ ნაწილის დაქირავება, რომელიც შენარჩუნებულია საოჯახო სარგებლობისათვის.

იმ მეუღლეს, რომელიც არც დაეთანხმა გარიგებას და არც მოიწონა ის, შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი ბათილობის მოთხოვნით, თუ ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადება თავიდანვე რეგისტრირებული იყო უძრავი ქონების მიმართ.

405. არც ერთ მეუღლეს, თუ ის წარმოადგენს იმ ხუთი ან მეტი საცხოვრებელი ფართისაგან შემდგარი უძრავი ქონების მესაკუთრეს, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენება როგორც ოჯახის საცხოვრებელი სახლი, — მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია უძრავი ქონების გასხვისება ან გაქირავება, რომელიც ნაწილობრივ შენარჩუნებულია საოჯახო სარგებლობისათვის.

როდესაც ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადება თავიდანვე იყო რეგისტრირებული უძრავი ქონების მიმართ, მეუღლეს, რომელიც არ დაეთანხმა გასხვისების გარიგებას, შეუძლია შემძენისაგან მოითხოვოს უკვე საცხოვრებელი მიზნებისათვის დაკავებული ფართის ქირავნობის უფლების მინიჭება იმ პირობებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საცხოვრებელი ფართის ქირავნობისათვის; იმავე პირობებით მეუღლეს, რომელიც არც დაეთანხმა გარიგებას და არც მოიწონა ქირავნობა, შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი ბათილობის მოთხოვნით.

406. უზუფრუქტუარი, ემფიტევტი (emphyteuta) და მოსარგებლე ექვემდებარებიან 404-ე და 405-ე მუხლების წესებს.

არც ერთ მეუღლეს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია განკარგოს სხვა სამართლებრივ საფუძველზე არსებული უფლებები, რომლებიც მას ანიჭებს ოჯახის საცხოვრებელი სახლის სარგებლობის უფლებას.

407. ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადება კეთდება ორივე მეუღლის ან ნებისმიერი მათგანის მიერ.

ის შეიძლება ასევე გამომდინარეობდეს იმ განცხადებიდან, რომელიც ამ მიზნით მოცემულია გამოქვეყნებისათვის გათვალისწინებულ გარიგებაში.

408. მეუღლეს, რომელიც არ დაეთანხმა იმ გარიგებას, რომლისათვისაც მოითხოვებოდა თანხმობა, შეუძლია ნებისმიერი სხვა უფლების შელახვის გარეშე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მეორე მეუღლისაგან ან ნებისმიერი სხვა პირისაგან, რომელმაც თავისი ბრალით მიაყენა მეუღლეს ზიანი.

409. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის შემთხვევაში, სასამართლოს ნებისმიერი მეუღლის განცხადების საფუძველზე შეუძლია თავისი გადაწყვეტილებით დამქირავებლის მეუღლეს მიაკუთვნოს ოჯახის საცხოვრებელი სახლის ქირავნობის უფლება.

სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნება ავალდებულებს გამქირავებელს მის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების მომენტიდან და ათავისუფლებს თავდაპირველ დამქირავებელს იმ უფლებებისა და ვალდებულებისაგან, რომლებიც აღნიშნული მომენტიდან გამომდინარეობს ქირავნობის ურთიერთობიდან.

410. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის შემთხვევაში, სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია ნებისმიერ ან ცოცხლად დარჩენილ მეუღელს მიაკუთვნოს მეორე მეუღლის კუთვნილ იმ მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება ან სარგებლობა, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის.

სასამართლოს შეუძლია ოჯახის საცხოვრებელი სახლის სარგებლობა მიაკუთვნოს ასევე იმ მეუღლეს, რომელსაც ის ანიჭებს ბავშვზე ზედამხედველობის უფლებას.

მოსარგებლეს არ ეკისრება უზრუნველყოფის წარდგენისა და ქონების ინვენტარიზაციის ვალდებულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს.

411. მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, სარგებლობისა თუ საკუთრების უფლებების მიკუთვნება ხორციელდება სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობებით და, განსაკუთრებით კი, — ნებისმიერი საკომპენსაციო თანხის ნაღდი ანგარიშსწორების წესით ან ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით.

როდესაც საკომპენსაციო თანხის გადახდა ხდება ნაწილ-ნაწილ, სასამართლო ადგენს გარანტიისა და გადახდის პირობებს.

412. საკუთრების უფლებების მიკუთვნების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები.

413. სარგებლობისა თუ საკუთრების უფლებების მიკუთვნების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება უთანაბრდება შესაბამის სამართლებრივ საფუძველს და აქვს მისი სამართლებრივი შედეგები.

განყოფილება 3
ოჯახის ქონება

§ 1. — ოჯახის ქონების შექმნა

414. ქორწინება მოიცავს ოჯახის ქონების შექმნას, რომელიც შეიცავს მეუღლეთა განსაზღვრულ ქონებას მიუხედავად იმისა, თუ რომელს აქვს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება.

415. ოჯახის ქონება იქმნება ერთი ან მეორე მეუღლის მფლობელობაში არსებული შემდეგი ქონებისაგან: ოჯახის საცხოვრებელი სახლი ან უფლებები, რომლებიც პირს ანიჭებს მისი სარგებლობის უფლებას, მოძრავი ქონება, რომლითაც ისინი მოწყობილია ან მორთული და რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის, ოჯახის გადაადგილებისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები და საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით დაგროვებული სარგებელი. საპენსიო უზრუნველყოფაში განხორციელებული შენატანების განხორციელება მოიცავს საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით დაგროვებულ სარგებელსაც და, ასევე, — საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მიზნებისათვის აღიარებულ მომსახურების დაგროვებას.

აღნიშნული ქონება მოიცავს ასევე ქორწინების განმავლობაში თითოეული მეუღლის რეგისტრირებულ შემოსავალს კვებეკის საპენსიო სისტემის შესა-

ხებ კანონის (თავი R-9) ან მსგავსი უზრუნველყოფის სისტემების მიხედვით.

თუმცა, ოჯახის ქონებაში არ შედის მეორე პარაგრაფში გათვალისწინებული შემოსავალი და იმ კანონის საფუძველზე მოწესრიგებული ან დადგენილი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით დაგროვებული სარგებელი, რომელიც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ანიჭებს გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სარგებელს, როდესაც ქორწინება შეწყდა მეუღლის გარდაცვალების შედეგად.

ოჯახის ქონებაში ასევე არ შედის ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინებამდე ან ქორწინების პერიოდში მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება.

ოჯახის ქონებასთან დაკავშირებული წესების მიზნებისათვის საპენსიო უზრუნველყოფის სისტემას წარმოადგენს ნებისმიერი შემდეგი:

— დამატებითი საპენსიო სისტემის შესახებ კანონით (თავი R-15.1) ან ნებაყოფლობითი საპენსიო დანაზოგის სისტემის შესახებ კანონით (თავი R-17.0.1) მოწესრიგებული სისტემა ან ის სისტემა, რომელიც რეგულირდება ერთ-ერთი აღნიშნული კანონით, თუ ერთ-ერთი მათგანი მოქმედებს მეუღლის მუშაობის შემთხვევაში;

— გარდა კვებეკის პარლამენტისა, საკანონმდებლო იურისდიქციის ანალოგიური ნორმატიული აქტით რეგულირებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა;

— კვებეკის პარლამენტის ან სხვა საკანონმდებლო იურისდიქციის კანონით დადგენილი უზრუნველყოფის სისტემა;

— საპენსიო დანაზოგის სისტემა;

— ნებისმიერი სხვა საპენსიო დანაზოგის ინსტრუმენტი, მათ შორის, ანუიტეტის ხელშეკრულება (annuity contract), რომელშიც ირიცხებოდა ნებისმიერი აღნიშნული უზრუნველყოფის სისტემის თანხები.

§ 2. — ოჯახის ქონების გაყოფა

416. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის შემთხვევაში, მეუღლეთა ოჯახის ქონება, მასში შემავალი ქონებრივი ობიექტების შეძენის, გაუმჯობესების, ექსპლუატაციისა თუ შენარჩუნებისათვის ნაკისრი ვალების გამოქვითვის შემდეგ, თანაბრად იყოფა მეუღლეებს შორის ან, გარემოებების გათვალისწინებით, ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და მემკვიდრეებს შორის.

როდესაც გაყოფა ხორციელდება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების მომენტში, ახალი გაყოფა აღარ ხდება შემდგომი განქორწინებისას ან ქორწინების ბათილობისას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებმა ნებაყოფლობით განაახლეს თანაცხოვრება; როდესაც ხორციელდება ახალი გაყოფა, წინამდებარე განყოფილების მიზნებისათვის მეუღლეთა მიერ თანაცხოვრების განახლების თარიღს ჩაანაცვლებს ქორწინების თარიღი.

417. ოჯახის ქონების წმინდა ღირებულება განისაზღვრება მის შემადგენლობაში შემავალი ქონებრივი ობიექტების ღირებულებისა და მათი შეძენის, გაუმჯობესების, ექსპლუატაციისა თუ შენარჩუნებისათვის ნაკისრი ვალების მიხედვით მეუღლის გარდაცვალების დღისათვის ან იმ სარჩელის წარდგენის დღისათვის, რომლითაც წყდება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან, გარემოებების გათვალისწინებით, ქორწინების ბათილობის საკითხი; ქონების შეფასება ხდება მისი საბაზრო ღირებულებით.

თუმცაღა, სასამართლოს შეუძლია ერთი ან მეორე მეუღლის ანდა მათი მემკვიდრეების განცხადების საფუძველზე გადაწყვიტოს, რომ ოჯახის ქონების წმინდა ღირებულება განისაზღვრება აღნიშნული ქონებისა და აღნიშნული ვალების მიხედვით იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

418. როგორც კი ოჯახის ქონების წმინდა ღირებულება განისაზღვრა, მისგან გამოიქვითება ქორწინების მომენტისათვის ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში არსებული იმ ქონების წმინდა ღირებულება, რომელიც შედის ოჯახის ქონებაში; ანალოგიურად, მისგან გამოიქვითება ასევე ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში ოჯახის ქონებაში შემავალი ქონებრივი ობიექტების შეძენისა თუ გაუმჯობესებისათვის განხორციელებული შენატანი, როდესაც ეს უკანასკნელი გაკეთდა მემკვიდრეობით ან ჩუქებით ანდა რეინვესტირებით მიღებული ქონებიდან.

წმინდა ღირებულებიდან შემდგომი გამოქვითვა ხორციელდება, პირველ შემთხვევაში, ქონების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი გაზრდილი ღირებულებით, რომელიც შეესაბამება ქორწინების დროს ქონების წმინდა და მთლიან ღირებულებებს შორის არსებულ პროპორციას და, მეორე შემთხვევაში, — შენატანის განხორციელების შემდეგ გაზრდილი ღირებულებით, რომელიც შეესაბამება შენატანის განხორციელების დროს ქონების წმინდა და მთლიან ღირებულებებს შორის არსებულ პროპორციას.

ქორწინების განმავლობაში ოჯახის ქონებაში შემავალი რეინვესტიცია იმ ქონებისა, რომელიც ქორწინების დროს იმყოფება პირის მფლობელობაში, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, შედეგად იწვევს ანალოგიურ გამოქვითვებს.

419. ოჯახის ქონების გაყოფა ხორციელდება გადახდის სანაცვლოდ ქონების გადაცემით (giving in payment) ან ფულადი თანხის გადახდით.

თუ გაყოფა ხორციელდება გადახდის სანაცვლოდ ქონების გადაცემით, მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ სხვა ქონების საკუთრებაში გადაცემაზე, ნაცვლად ოჯახის ქონებაში შემავალი ქონებრივი ობიექტებისა.

420. გაყოფის მომენტში სასამართლოს შეუძლია მიაკუთვნოს განსაზღვრული ქონება ერთ-ერთ მეუღლეს და, ასევე, როდესაც ეს აუცილებელია ზიანის თავიდან ასაცილებლად, — დაადგინოს მოვალე-მეუღლის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება შესაბამისი თანხის არაუმეტეს 10 წლის ვადის განმავლობაში განვადებით გადახდის გზით.

მას ასევე შეუძლია დაადგინოს ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელსაც ის სათანადოდ მიიჩნევს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების ჯეროვანი აღსრულება, კერძოდ კი, — დაადგინოს ერთ-ერთი მხარისათვის უზრუნველყოფის მიცემა, რათა გარანტირებულ იქნეს მოვალე-მეუღლის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება.

421. როდესაც ოჯახის ქონებაში შემავალი ქონებრივი ობიექტი გასხვისდა ან არამართლზომიერად იქნა მითვისებული ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე ან მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის საქმეთა წარმოების დაწყებამდე ერთი წლის განმავლობაში და არ იქნა შეცვლილი სხვა ქონებრივი ობიექტით, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ განხორციელდეს საკომპენსაციო გადახდა იმ მეუღლის მიმართ, რომელიც მიიღებდა სარგებელს აღნიშნული ქონებრივი ობიექტის ოჯახის ქონებაში შეტანით.

იგივე წესი მოქმედებს, როდესაც ქონებრივი ობიექტი გასხვისდა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე ან საქმის წარმოების დაწყებამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე და გასხვისება განხორციელდა იმ მეუღლის წილის შემცირების მიზნით, რომელიც მიიღებდა სარგებელს აღნიშნული ქონებრივი ობიექტის ოჯახის ქონებაში შეტანით.

422. განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დაუშვას გამონაკლისი თანაბარწილად გაყოფის წესიდან და გადაწყვიტოს, რომ არ განხორციელდეს კვებეკის საპენსიო სისტემის შესახებ კანონის (თავი R-9) ან მსგავსი უზრუნველყოფის სისტემების მიხედვით რეგისტრირებული შემოსავლის განაწილება, როდესაც მას შეიძლება მოჰყვეს უსამართლო შედეგი, განსაკუთრებით კი, — ხანმოკლე ქორწინების, ერთ-ერთი მეუღლის მიერ განსაზღვრული ქონების დაკარგვის ან ერთ-ერთი მათგანის არაკეთილსინდისიერების გათვალისწინებით.

423. მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით ან სხვაგვარად არ შეუძლიათ ოჯახის ქონებაში თავიანთ უფლებებზე უარის თქმა.

თუმცაღა, მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლის გარდაცვალებიდან ან განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრებისა და ქორწინების ბათილობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან სრულად ან ნაწილობრივ უარი თქვას აღნიშნულ უფლებებზე საჯარო სანოტარო აქტის (notarial act en minute) საფუძველზე; ამ მეუღლეს შეუძლია უარი თქვას მათზე ასევე სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებითაც, რომელიც მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის საქმეთა წარმოების დროს იწერება ოქმში.

უფლებებზე უარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში. თუ რეგისტრაცია არ ხორციელდება ერთი წლის განმავლობაში ქონების გაყოფის უფლების წარმოშობის მომენტიდან, მიიჩნევა, რომ უარის განმცხადებელმა მეუღლემ მიიღო ეს უფლებები.

424. ერთ-ერთი მეუღლის მიერ სანოტარო აქტის მეშვეობით ოჯახის ქონების გაყოფაზე უარი შეიძლება გაბათილდეს ზარალიანობის (lesion) გამო ან ხელშეკრულების ბათილობის ნებისმიერი სხვა საფუძვლით.

425. თითოეული მეუღლის სახელზე კვებეკის საპენსიო სისტემის შესახებ კანონის (თავი R-9) ან მსგავსი უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით რეგისტრირებული შემოსავლის განაწილება ხორციელდება უზრუნველყოფის სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ აღნიშნული კანონის ან

აღნიშნული უზრუნველყოფის სისტემის მიმართ მოქმედი კანონის მიხედვით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი კანონი არ ადგენს გაყოფის წესებს.

426. კანონით რეგულირებული ან დადგენილი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით ერთ-ერთი მეუღლის მიერ დაგროვებული სარგებლის გაყოფა ხორციელდება ამ კანონში მოცემული შეფასებისა და უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის შესახებ ნორმებით ან როდესაც სახეზე არ არის ასეთი ნორმები, — განცხადების განმხილველი სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით.

თუმცაღა, არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება აღნიშნული სარგებლის გაყოფით ქორწინებამდე ან ქორწინების განმავლობაში სარგებლის თავდაპირველი მფლობელის მიერ დაგროვებული სარგებლის საერთო ღირებულების ნახევარზე მეტის წართმევა ან გაყოფის უფლებით მოსარგებლისათვის უფრო მეტი სარგებლის მიცემა, ვიდრე ეს აღნიშნული სარგებლის თავდაპირველ მფლობელს აქვს მისი უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით.

მეუღლეებს შორის ან მათ სასარგებლოდ და მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, აღნიშნული სარგებელი და ნებისმიერი სხვა საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით დაგროვებული სარგებელი ექვემდებარება გადაცემასა და იძულებით აღსრულებას ოჯახის ქონების გაყოფისათვის.

განყოფილება 4
საკომპენსაციო დანამატი

427. სასამართლოს მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, განქორწინების ან ქორწინების ბათილობის დადგენისას შეუძლია დაავალოს ნებისმიერ მეუღლეს, ნაღდი ანგარიშსწორებით წესით ან ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით გადაუხადოს მეორე მეუღლეს, საკომპენსაციო დანამატი ამ უკანასკნელის მიერ პირველი მეუღლის ქონებაში ქონებრივი შენატანის ან მომსახურების სახით განხორციელებული შენატანის კომპენსაციის სახით, განსაკუთრებით, მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმითა და საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უპირატესობების გათვალისწინებით. იგივე წესი მოქმედებს გარდაცვალების შემთხვევაში; ამ დროს მხედველობაში მიიღება ასევე ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სამემკვიდრეო უპირატესობები.

როდესას საკომპენსაციო დანამატის უფლება ეფუძნება საწარმოში მეუღლის მუდმივ თანამშრომლობას, მიუხედავად იმისა, ეხება თუ არა წარმოება ქონებასა თუ მომსახურებას და წარმოადგენს თუ არა ის კომერციულ საწარმოს, — ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამშრომლობის დასრულების მომენტიდან, თუ აღნიშნული გამომდინარეობს საწარმოს გასხვისებიდან, გაუქმებიდან ან ნებაყოფლობითი თუ იძულებითი ლიკვიდაციიდან.

428. მეუღლეს, რომელიც თანამშრომლობს საწარმოში, შეუძლია წარადგინოს ნებისმიერი მტკიცებულება მეორე მეუღლის ქონებაში თავისი შენატანის განხორციელების ფაქტის დასადასტურებლად.

429. როდესაც საკომპენსაციო დანამატი ექვემდებარება გადახდას, სასამართლო მხარეთა შეთანხმების არარსებობისას განსაზღვრავს გადასახდელ თანხას. მას ასევე, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია განსაზღვროს გადახდის პირობები და დაადგინოს, რომ დანამატი გადახდილ იქნეს ნაღდი ანგარიშსწორებით წესით ან ნაწილ-ნაწილ ანდა — განსაზღვრულ ქონებაზე უფლების მინიჭების გზით.

თუ სასამართლო ერთ-ერთ მეუღლეს ან ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ანიჭებს უფლებას ოჯახის საცხოვრებელ სახლზე, უფლებას საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის განკუთვნილ მოძრავ ქონებაზე ან საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მიხედვით დაგროვებულ საპენსიო სარგებელზე, შესაბამისად გამოიყენება მე-2 და მე-3 განყოფილებების ნორმები.

430. ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინების განმავლობაში შეუძლია შეუთანხმდეს მეორე მეუღლეს საკომპენსაციო დანამატის ნაწილობრივი გადახდის შესახებ. მიღებული გადახდა ექვემდებარება გამოქვითვას, როდესაც დგება საკომპენსაციო დანამატის ღირებულების განსაზღვრის მომენტი.

თავი 5
მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

§ 1. — მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის არჩევა

431. საქორწინო ხელშეკრულებაში შესაძლებელია ნებისმიერი სახის პირობაზე შეთანხმება კანონისა და საჯარო წესრიგის იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

432. იმ მეუღლეების მიმართ, რომლებმაც ქორწინების საზეიმო აღნიშვნამდე საქორწინო ხელშეკრულებაში არ განსაზღვრეს თავიანთი საერთო ქონების რეჟიმი, მოქმედებს გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმი (regime of partnership of acquests).

433. როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი ძალაში შედის ქორწინების საზეიმო აღნიშვნის მომენტიდან.

ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში განხორციელებული ცვლილება ძალაში შედის იმ გარიგების დადების დღეს, რომლითაც ხდება ცვლილების დამოწმება.

არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ მხარეებს შეთანხმება იმაზე, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი ან მისი ნებისმიერი ცვლილება შევიდეს ძალაში სხვა დღეს.

434. არასრულწლოვანს, რომელსაც მიეცა დაქორწინების ნებართვა, ქორწინების საზეიმო აღნიშვნამდე შეუძლია დადოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმთან დაკავშირებული ყველა ის შეთანხმება, რომელსაც საქორწინო ხელშეკრულება დასაშვებად მიიჩნევს იმ პირობით, რომ ის აღნიშნულზე უფლებამოსილია სასამართლოს მიერ.

მშობლის უფლების მქონე პირი ან, გარემოებების გათვალისწინებით, მეურვე უნდა იქნეს მოწვეული თავისი რეკომენდაციის მისაცემად.

არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს ნებართვის მიღების მოთხოვნით.

435. ის შეთანხმებები, რომლებზეც სასამართლოს მიერ ნებართვა არ იქნა გაცემული, შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ არასრულწლოვანის ან იმ პირების მიერ, რომლებიც მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი რეკომენდაციის მისაცემად; დაუშვებელია აღნიშნული შეთანხმებების გასაჩივრდება, თუ ქორწინების საზეიმო აღნიშვნიდან გასულია ერთი წელი.

436. მეურვეობის ქვეშ მყოფ სრული ასაკის პირს ან იმ პირს, რომელსაც მიუჩინეს მრჩეველი, არ შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმთან დაკავშირებული შეთანხმებების დადება მისი მეურვის ან მრჩევლის დახმარების გარეშე; მეურვე ამ მიზნით უფლებამოსილი უნდა იყოს სასამართლოს მიერ სამეურვეო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

დაუშვებელია წინამდებარე მუხლის დარღვევით დადებული შეთანხმების გასაჩივრება სხვა პირების მიერ, გარდა თავად სრული ასაკის პირისა, მისი მეურვის ან მრჩევლისა ან, გარემოებების გათვალისწინებით, — გასაჩივრება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება ქორწინების საზეიმო აღნიშვნიდან ან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმთან დაკავშირებული შეთანხმებების შემცვლელი გარიგების დადების დღიდან დაუყოვნებლივ ერთი წლის განმავლობაში.

437. მომავალ მეუღლეებს ქორწინების საზეიმო აღნიშვნამდე შეუძლიათ მათი მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმთან დაკავშირებული შეთანხმებების შეცვლა ყველა იმ პირის თანდასწრებითა და თანხმობით, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელშეკრულების კონტრაჰენტებს იმ პირობით, რომ თავად ცვლილებები კეთდება საქორწინო ხელშეკრულებით.

438. ქორწინების განმავლობაში მეუღლეებს შეუძლიათ მათი საერთო ქონების რეჟიმისა და საქორწინო ხელშეკრულებაში ნებისმიერი პირობის შეცვლა იმ პირობით, რომ თავად ცვლილებები კეთდება საქორწინო ხელშეკრულებით.

საქორწინო ხელშეკრულებებით გაკეთებული ნაჩუქრობები, მათ შორის, mortis causa საქორწინო ნაჩუქრობები, შეიძლება შეიცვალოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მხარეთა შეთანხმებით მათი დაბრუნება გამორიცხულია იმ პირობით, რომ მიღებულია ყველა დაინტერესებული პირის თანხმობა.

თუ კრედიტორი საქორწინო ხელშეკრულების ცვლილების შედეგად განიცდის ზიანს, მას შეუძლია ცვლილების შეტყობიდან ერთი წლის განმავლობაში მიიღოს განცხადება (declaration) იმის შესახებ, რომ ეს ცვლილება ვერ იქნება გამოყენებული მის წინააღმდეგ.

439. შვილები, რომლებიც უნდა დაიბადნენ, მეუღლეების მიერ ქორწინებამდე ან ქორწინების განმავლობაში წარმოდგენილი არიან იმ ნაჩუქრობების ცვლილების ან გაუქმების მიზნით, რომლებიც განხორციელდა მათ სასარგებლოდ საქორწინო ხელშეკრულებით.

440. აბსოლუტური ბათილობის შიშით საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს საჯარო სანოტარო აქტის ფორმით.

441. იმ საქორწინო ხელშეკრულების გამფორმებელმა ნოტარიუსმა, რომელიც ცვლის წინა ხელშეკრულებას, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ცვლილების შესახებ თავდაპირველი საქორწინო ხელშეკრულების შემნახველს და ასევე მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შემცვლელი ნებისმიერი ხელშეკრულების შემნახველს. შემნახველი ვალდებულია, შეიტანოს ცვლილება თავდაპირველ დოკუმენტში და ასევე ნებისმიერ ასლში, რომლის გაკეთებაც მას მისგან შეუძლია, ხელშეკრულების თარიღის, ნოტარიუსის სახელისა და მისი სანოტარო აქტის ნომრის მითითებით.

442. ყოველი საქორწინო ხელშეკრულების შესახებ შეტყობინება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში თავისი მოვალეობების შემსრულებელი ნოტარიუსის მოთხოვნით საფუძველზე.

§ 2. — მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმიდან გამომდინარე უფლებებისა და უფლებამოსილებების განხორციელება

443. თითოეულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლეზე გასცეს მინდობილობა, რათა ამ უკანასკნელმა წარმოადგინოს ის მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმიდან გამომდინარე მინიჭებული უფლებებისა და უფლებამოსილებების განხორციელებისას.

444. როდესაც ერთი მეუღლის მხრიდან ნების გამოვლენა ვერ ხერხდება ან ვერ ხერხდება დროულად, სასამართლოს შეუძლია მეორე მეუღლეს დაავალოს ამ მეუღლის ქონების მართვა ან ამ მეუღლის მართვის ქვეშ არსებული საერთო ქონების რეჟიმიდან გამომდინარე ქონების მართვა.

სასამართლო ადგენს მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების პირობებს.

445. სასამართლოს შეუძლია სასამართლოსეული დავალების გაუქმებულად გამოცხადება მისი მიცემის მომენტიდანვე, თუ ის აღარ არის აუცილებელი.

დავალება წყდება კანონის ძალით მეორე მეუღლისათვის მეურვის ან მზრუნველის მიჩენის მომენტიდან.

446. ყოველი მეუღლე, რომელიც მართავდა მეორე მეუღლის ქონებას, პასუხისმგებელია თუნდაც იმ ნაყოფისა და შემოსავლისათვის, რომელიც მოხმარებულ იქნა მანამდე, სანამ მოხდა ანგარიშის წარდგენის ვადის გადაცილება.

447. თუ ერთი მეუღლე ამეტებს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმიდან გამომდინარე მინიჭებულ უფლებამოსილებებს და მეორე მეუღლე არ იწონებს შესაბამის გარიგებას, ამ უკანასკნელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თუმცაღა, მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით კეთილსინდისიერი მესამე პირის მიმართ ყოველი მეუღლე განიხილება უფლებამოსილად, დამოუკიდებლად დადოს ის სასყიდლიანი გარიგებები, რომელთათვისაც აუცილებელი იქნებოდა მეორე მეუღლის თანხმობა.

განყოფილება 2
გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობა

§ 1. — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის შექმნა

448. ქონება, რომელსაც თითოეული მეუღლე ფლობს საერთო ქონების რეჟიმის ძალაში შესვლის მომენტში ან რომელსაც ისინი შემდგომში იძენენ ქვემოთ მოცემული ნორმების თანახმად, ქმნის გარიგებით შეძენილ ან პირად (private) ქონებას.

449. თითოეული მეუღლის მიერ გარიგებით შეძენილი ქონება მოიცავს ყველა იმ ქონებრივ ობიექტს, რომელიც კანონის მიერ არ არის აღიარებული როგორც პირადი ქონება, კერძოდ კი,

1) საერთო ქონების რეჟიმის დროს ამ მეუღლის სამუშაოდან მიღებულ გასამრჯელოს

2) ამ მეუღლის პირადი ან გარიგებით შეძენილი ქონებიდან საერთო ქონების რეჟიმის დროს ნაკისრ ან მიღებულ ნაყოფსა და შემოსავალს.

450. თითოეული მეუღლის პირადი ქონება მოიცავს

1) ქონებას, რომელიც საკუთრებაში აქვს ან რომელსაც ეს მეუღლე ფლობს საერთო ქონების რეჟიმის ძალაში შესვლის მომენტში;

2) ქონებას, რომელიც გადაეცემა ამ მეუღლეს საერთო ქონების რეჟიმის დროს მემკვიდრეობით ან ჩუქებით, და მისგან მიღებულ ნაყოფსა და შემოსავალს, თუ მამკვიდრებელმა ან გამჩუქებელმა ამგვარად განსაზღვრა;

3) ამ მეუღლის მიერ პირადი ქონების სანაცვლოდ შეძენილ ქონებასა და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სადაზღვევო ანაზღაურებას;

4) ის უფლებები ან სარგებელი, რომლებიც გადაეცემა ამ მეუღლეს, როგორც სუროგატულ მფლობელს, ან როგორც ხელშეკრულებით ან საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით, სხვა ანუიტეტითა თუ პირთა დაზღვევით განსაზღვრულ მოსარგებლეს;

5) ამ მეუღლის ტანსაცმელი და პირადი ქაღალდები, საქორწინო ბეჭედი, მორთულობა და დიპლომები;

6) ამ მეუღლის პროფესიისათვის საჭირო ხელსაწყოები, აუცილებლობის შემთხვევაში, ანაზღაურების ვალდებულების გარეშე.

451. პირადი ქონების მეშვეობით და გარიგებით შეძენილი ქონება ასევე

წარმოადგენს პირად ქონებას, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას, თუ გამოყენებული პირადი ქონების ღირებულება აღემატება გარიგებით შეძენილი ქონების მთლიანი საფასურის ნახევარს. სხვა შემთხვევაში, ანაზღაურებას ექვემდებარება გარიგებით შეძენილი ქონება.

იგივე წესი მოქმედებს სიცოცხლის დაზღვევის, მოხუცებულობის პენსიისა და სხვა ანუიტეტების მიმართ. მთლიანი ხარჯი შეადგენს გადახდილი პრემიების თანხების ჯამს, გარდა ვადიანი დაზღვევისა, როდესაც აღნიშნული წარმოადგენს უკანასკნელი პრემიის თანხას.

452. როდესაც მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს, მეუღლე, რომელიც უკვე წარმოადგენს პირადი ქონების სახით მფლობელობაში არსებული იდეალური საერთო საკუთრების თანამესაკუთრეს, იძენს ამ ქონების სხვა ნაწილს, ეს შეძენილი ნაწილიც ასევე წარმოადგენს ამ მეუღლის პირად ქონებას, აუცილებლობის შემთხვევაში, ანაზღაურების ვალდებულების გარეშე.

თუმცაღა, თუ ამ ნაწილის შეძენისათვის გამოყენებული გარიგებით შეძენილი ქონების ღირებულება უტოლდება ან აღემატება იმ ქონების მთლიანი ღირებულების ნახევარს, რომლის მესაკუთრეც გახდა მეუღლე, — აღნიშნული ქონება ხდება გარიგებით შეძენილი ქონება ანაზღაურების ვალდებულების პირობით.

453. მეუღლის დახმარების, შრომისუუნარობის პენსიისა თუ იმავე ბუნების ნებისმიერი სხვა სარგებლის მიღების უფლება რჩება ამ მეუღლის პირადი ქონებაში; თუმცა, აღნიშნულიდან მიღებული ყველა ფულადი სარგებელი წარმოადგენს გარიგებით შეძენილ ქონებას, თუ ის ვადამოსული ან აკუმულირებულია მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს ანდა ექვემდებარება გადახდას ამ მეუღლის მემკვიდრეების, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში კი, — სამართალმემკვიდრეების მიმართ.

არანაირი ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდას იმის გამო, რომ ნებისმიერი თანხა ან პრემია გადახდილ იქნა გარიგებით შეძენილ ან პირად ქონებასთან დაკავშირებით დახმარების, დანამატისა თუ სხვა სარგებლის შესაძენად.

454. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მორალური თუ სხეულისათვის მიყენებული ზიანისათვის მიღებული ანაზღაურება ასევე წარმოადგენს მეუღლის პირად ქონებას.

იგივე წესი მოქმედებს დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კომპენსაციის ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურების სქემის მიმართ, თუმცა არანაირი ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდას გარიგებით შეძენილ ქონებასთან დაკავშირებით გადახდილი პრემიებისა თუ თანხების გამო.

455. ქონება, რომელიც შეძენილ იქნა პირადი ქონების საკუთვნებლის ან დანამატის სახით, ასევე — უძრავ ქონებაზე არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, საინჟინრო ნაგებობა ან პლანტაცია, რომელიც წარმოადგენს პირად ქონებას, — რჩება პირად საკუთრებაში ანაზღაურების ვალდებულების პირობით, თუ ამის საჭიროება არსებობს.

თუმცაღა, თუ საკუთვნებელი ან დანამატი შეძენილ იქნა ან შენობა-ნაგებობა, საინჟინრო ნაგებობა ან პლანტაცია გაკეთდა გარიგებით შეძენილ ქონების ხარჯზე და თუ მისი ღირებულება უტოლდება ან აღემატება პირადი ქონების მთლიანი ღირებულების ნახევარს, მთლიანად ხდება გარიგებით შეძენილი ქონების ანაზღაურების ვალდებულების პირობით.

456. ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეძენილ იქნა ნებისმიერი მეუღლის პირად საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებზე დივიდენდების გაცხადების მეშვეობით, რჩება ამ მეუღლის პირად ქონებად ანაზღაურების ვალდებულების პირობით.

ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეძენილ იქნა ნებისმიერი მეუღლის პირად საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებზე ხელმოწერის, უპირატესი შესყიდვის ან ნებისმიერი სხვა მსგავსი უფლების რეალიზაციის მეშვეობით, ასევე რჩება ამ მეუღლის პირად ქონებად ანაზღაურების ვალდებულების პირობით, თუ ამის საჭიროება არსებობს.

ნებისმიერი მეუღლის პირად საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებზე გამოსყიდვისა და საავანსო პრემიები რჩება ამ მეუღლის პირად ქონებად ანაზღაურების ვალდებულების გარეშე.

457. ნებისმიერი მეუღლის პირად საკუთრებაში არსებული საწარმოს საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი რჩება ამ მეუღლის პირად ქონებად ანაზღაურების ვალდებულების პირობით, თუ ის რეინვესტირებულია საწარმოში.

თუმცაღა, არანაირი ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდას, თუ ინვესტირება აუცილებელი იყო საწარმოს მოგების შესანარჩუნებლად.

458. ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების უფლებები წარმოადგენს პირად ქონებას, თუმცა მათგან მიღებული და მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს აკუმულირებული ან ვადამოსული ყველა ნაყოფი და შემოსავალი წარმოადგენს გარიგებით შეძენილ ქონებას.

459. როგორც მეუღლეთა შორის, ისე მესამე პირთა მიმართ ყველა ქონება ივარაუდება, რომ ქმნის გარიგებით შეძენილ ქონებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილია, რომ ის წარმოადგენს პირად ქონებას.

460. ნებისმიერი ქონება, რომლის მიმართაც მეუღლე ვერ ატკიცებს, რომ ის ექსკლუზიურად წარმოადგენს პირად ან გარიგებით შეძენილ ქონებას, ივარაუდება სანახევროდ ორივე მეუღლის იდეალურ საერთო საკუთრებაში არსებულად.

§ 2. — ქონების მართვა და პასუხისმგებლობა ვალებისათვის

461. ყოველ მეუღლეს აქვს მისი პირადი და გარიგებით შეძენილი ქონების მართვის, სარგებლობისა და თავისუფალი განკარგვის უფლება.

462. თუმცაღა, არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია მეორე მეუღლის თანხმო-

ბის გარეშე გარიგებით შეძენილი ქონების inter vivos უსასყიდლოდ განკარგვა, გარდა მცირე ღირებულების მქონე ქონებისა ან ჩვეულებრივი საჩუქრებისა.

ამავე დროს, სასამართლომ მეუღლეს შეუძლია მისცეს დამოუკიდებლად გარიგების დადების ნებართვა, თუ თანხმობის მიღება შეუძლებელია ნებისმიერი მიზეზით ან თუ უარი გაუმართლებელია ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე.

463. გარიგებით შეძენილი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვა არ ზღუდავს ნებისმიერი მეუღლის უფლებას, დანიშნოს მესამე პირი ბენეფიციარის ან სუროგატული მფლობელის სახით პირთა დაზღვევის, მოხუცებულობის პენსიისა და ნებისმიერი სხვა ანუიტეტის მიმართ ოჯახის ქონებასთან დაკავშირებული ნორმების გამოყენების პირობით.

არანაირი ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდას გარიგებით შეძენილ ქონებასთან დაკავშირებით გადახდილი პრემიებისა თუ თანხების გამო, თუ პირის დანიშვნა ხორციელდება მეორე მეუღლის ან ნებისმიერი მეუღლის შვილების სასარგებლოდ.

464. მეუღლეები ინდივიდუალურად არიან პასუხისმგებელი როგორც თავიანთ პირადი, ისე გარიგებით შეძენილი ქონებით ყველა იმ ვალისათვის, რომელიც მათ იკისრეს ქორწინებამდე ან ქორწინების შემდეგ.

მანამდე, სანამ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი გრძელდება, არც ერთი მეუღლე არ აგებს პასუხს მეორე მეუღლის მიერ ნაკისრი ვალებისათვის 397-ე და 398-ე მუხლების ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

§ 3. — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმება და ლიკვიდაცია

465. გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმი უქმდება

1) ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;

2) ქორწინების განმავლობაში რეჟიმის შეთანხმების საფუძველზე შეცვლით;

3) განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების ან მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით;

4) ერთ-ერთი მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგვით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

5) ქორწინების ბათილობისას, თუ, მიუხედავად ამისა, ქორწინება მაინც წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

გაუქმება დაუყოვნებლივ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს გარდა მე-3 და მე-5 ქვეპარაგრაფებში გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც მათ მეუღლეთა შორის აქვს უკუქცევითი ძალა განცხადების წარდგენის დღისათვის.

466. გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის ნებისმიერი გაუქმების შემთხვევაში სასამართლოს ნებისმიერი მეუღლის ან მისი სამართალმემკვიდრის განცხადების საფუძველზე შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მეუღლეებს შორის ურთიერთობებში რეჟიმის გაუქმებას აქვს უკუქცევითი ძალა იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

467. გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმების შემდეგ ყოველი მეუღლე ინარჩუნებს თავის პირად ქონებას.

ერთ მეუღლეს შეუძლია დაეთანხმოს მეორე მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფას ან უარყოს ეს მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა.

468. თანხმობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირ გამოხატული, ისე უსიტყვოც.

მეუღლეს, რომელიც პარტნიორობის რეჟიმის გაუქმების შემდეგ ჩაერია მეორე მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების მართვაში, არ შეუძლია მეორე მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების იმ წილის მიღება, რომელზეც უფლებამოსილია ეს უკანაკნელი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მეუღლე დაეთანხმა ქონების მართვაში ჩარეული მეუღლის მიერ გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფას.

მარტივი მართვის მიზნით განხორციელებული მოქმედებები არ წარმოადგენს მართვაში ჩარევას.

469. უარი უნდა გაფორმდეს საჯარო სანოტარო აქტის სახით ან სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებითაც, რომელიც იწერება ოქმში.

უარი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში; თუ რეგისტრაცია არ ხორციელდება ერთი წლის განმავლობაში გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის გაუქმების მომენტიდან, მიიჩნევა, რომ მეუღლე დაეთანხმა გაყოფას.

470. თუ ნებისმიერი მეუღლე უარს აცხადებს გაყოფაზე, მეორე მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების ის წილი, რომელზეც ის იყო უფლებამოსილი, რჩება მეორე მეუღლისათვის გადაცემულად.

თუმცაღა, იმ მეუღლის კრედიტორებს, რომელიც უარს აცხადებს გაყოფაზე მათი უფლებების საზიანოდ, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს იმის შესახებ განცხადების მისაღებად, რომ ეს უარი ვერ იქნება გამოყენებული მათ წინააღმდეგ, და მიიღონ მათი მოვალის მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების წილი ამ უკანასკნელის ნაცვლად.

აღნიშნულ შემთხვევაში მათ მიერ წილის მიღება მოქმედებს მხოლოდ მათ სასარგებლოდ და მხოლოდ მათი მოთხოვნების თანხის ფარგლებში; მას არა აქვს ძალა უარის გამცხადებელი მეუღლის სასარგებლოდ.

471. მეუღლე, რომელმაც არამართლზომიერად მიითვისა ან გადამალა გარიგებით შეძენილი ქონება, გაფლანგა ის ან არაკეთილსინდისიერად მართავდა მას, კარგავს თავის წილს მეორე მეუღლის გარიგებით შეძენილ ქონებაში.

472. გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფაზე თანხმობა ან უარყოფა გამოუთხოვადია. თუმცაღა, უარი შეიძლება გაბათილდეს ზარალიანობის გამო ან ხელშეკრულების ბათილობის ნებისმიერი სხვა საფუძვლით.

473. როდესაც პარტნიორობის რეჟიმი უქმდება მეუღლის გარდაცვალებით, ხოლო ცოცხლად დარჩენილი მეუღლე დაეთანხმა გარდაცვლილი მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფას, გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეებს შეუძლიათ დაეთანხმონ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფას ან უარი განაცხადონ მასზე გარდა უპირატესი მიკუთვნებებისა, რომელთა მიღებაზეც უფლებამოსილია მხოლოდ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, — გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმებისა და ლიკვიდაციის შესახებ ნორმები მოქმედებს მათ მიმართ.

თუ ერთ-ერთი მემკვიდრე დაეთანხმება გაყოფას, ხოლო სხვები კი მას უარყოფენ, თანხმობის განმცხადებელ მემკვიდრეს არ შეუძლია იმაზე მეტი ნაწილის მიღება, რაც მას ექნებოდა, ყველა მემკვიდრე რომ დათანხმებოდა გაყოფას.

ცოცხლად დარჩენილი მეუღლის უარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარდაცვლილი მეუღლის კრედიტორების მიმართ.

474. თუ მეუღლე გარდაიცვლება იმ დროს, როდესაც ის ჯერ უფლებამოსილია გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფაზე, მემკვიდრეებს გარდაცვალების თარიღიდან აქვთ დამატებითი ერთი წლის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ თავიანთი უარის რეგისტრაცია.

475. როდესაც მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების გაყოფაზე თანხმობა მიცემულია, ამ მეუღლის კუთვნილი მთლიანი ქონება თავდაპირველად იყოფა ორ ძირითად მასად, რომელთაგან პირველი ქმნის პირად ქონებას, ხოლო მეორე კი — გარიგებით შეძენილ ქონებას.

ამის შემდგომ მზადდება პირადი ქონების მასის მიერ მეუღლის გარიგებით შეძენილი ქონების მიმართ გადასახდელი ანაზღაურების ხარჯთაღრიცხვა და პირიქით.

ანაზღაურება უტოლდება იმ თანხას, რომლითაც ერთი მასა მდიდრდება მეორის ზარალის ხარჯზე.

476. ანაზღურებას დაქვემდებარებული ქონების შეფასება ხდება მისი გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმების მომენტში არსებული მდგომარეობისა და ლიკვიდაციის მომენტში არსებული ღირებულების მიხედვით.

ქონებრივი გამდიდრების შეფასება ხდება გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმების დღისათვის; თუმცაღა, როდესაც შეძენილი ან გაუმჯობესებული ქონება გასხვისდა პარტნიორობის რეჟიმის მოქმედების დროს, გამდიდრების შეფასება ხდება გასხვისების დღისათვის არსებული მდგომარეობით.

477. არანაირი ანაზღაურება არ ექვემდებარება გადახდას ქონების ექსპლუატაციისა თუ შენარჩუნებისათვის აუცილებელი თუ საჭირო ხარჯების გამო.

478. პირადი ქონების სასარგებლოდ ნაკისრი გადაუხდელი ვალები იძლევა

ანაზღაურების საფუძველს, თითქოს ამ ვალების გადახდა უკვე განხორციელდა გარიგებით შეძენილი ქონებიდან.

479. გარიგებით შეძენილი ქონებიდან კანონის საფუძველზე დაკისრებული ნებისმიერი ჯარიმის გადახდა იძლევა ანაზღაურების საფუძველს.

480. თუ ანგარიში უჩვენებს სალდოს გარიგებით შეძენილი ქონების მასის სასარგებლოდ, მეუღლე, რომელიც ფლობს ქონებას, გაყოფის მიზნით ახორციელებს დაბრუნებას ამ მასაში ქონებრივი ღირებულების ნაკლების ან მისი ეკვივალენტის მიღებით ანდა დაბრუნებას ახორციელებს თავისი პირადი ქონებით.

თუ ანგარიში უჩვენებს სალდოს გარიგებით პირადი ქონების მასის სასარგებლოდ, მეუღლე იცილებს აქტივებს თავისი გარიგებით შეძენილი ქონებიდან დავალიანების თანხის ოდენობით.

481. როგორც კი ხორციელდება ანაზღაურების გადახდა, დგინდება გარიგებით შეძენილი ქონების წმინდა ღირებულება და ის თანაბრად იყოფა მეუღლეებს შორის. მეუღლეს, რომელიც ფლობს ქონებას, შეუძლია მეორე მეუღლისათვის განკუთვნილი ნაწილის ანაზღაურება ფულადი თანხის გადახდით ან გადახდის სანაცვლოდ ქონების გადაცემით.

482. თუ პარტნიორობის რეჟიმის გაუქმება გამოწვეულია იმ მეუღლის გარდაცვალებით ან უგზო-უკვლოდ დაკარგვით, რომელიც ფლობს ქონებას, მეორე მეუღლეს შეუძლია ნებისმიერი ეკვივალენტური თანხის ნაღდი ანგარიშსწორების წესით ან ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით მოითხოვოს გადახდის სანაცვლოდ ოჯახის საცხოვრებელი სახლისა და იმ მოძრავი ქონების გადაცემა, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის, ასევე ნებისმიერი საოჯახო ქონების გადაცემა იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ქმნიდა გარიგებით შეძენილ ქონებას, ანდა — გადაცემა იმ ქონებისა, რომელიც ქმნის ოჯახის ქონებას.

თუ სახეზე არ არის შეთანხმება ექვივალენტური თანხის გადახდაზე, სასამართლო ადგენს გარანტიისა და გადახდის პირობებს.

483. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან ქონების შეფასებაზე, მისი ღირებულების დადგენა ხდება მხარეთა მიერ, ან ამ უკანასკნელების მიერ დანიშვნის შეუძლებლობის შემთხვევაში, — სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ.

484. ქონების გაყოფამდე პარტნიორობის რეჟიმის გაუქმება არ იწვევს შედეგად თავდაპირველი კრედიტორების უფლებების შელახვას მათი მოვალის მთლიანი ქონების მიმართ.

გაყოფის შემდეგ თავდაპირველ კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიღება შეუძლიათ მხოლოდ მოვალე-მეუღლისაგან. თუმცაღა, თუ გაყოფის განხორციელებისას მოთხოვნები არ იქნა მხედველობაში მიღებული, თავდაპირველ კრედიტორებს, თავდაპირველად თავიანთი ძირითადი მოვალის ქონებიდან ვალის დაფარვის (discussion) შემდეგ, შეუძლიათ

მოთხოვნების დაკმაყოფილების მიღება მეორე მეუღლისაგანაც. ასეთ შემთხვევაში თითოეული მეუღლე ინარჩუნებს სამართლებრივი დაცვის საშუალებას მეორე მეუღლის მიმართ იმ თანხის ოდენობით, რაზეც ის იქნებოდა უფლებამოსილი, მოთხოვნები გაყოფამდე რომ დაკმაყოფილებულიყო.

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მოვალე-მეუღლის მეუღლეს მოეთხოვოს გარიგებით შეძენილი ქონების იმ წილზე მეტი თანხის გადახდა, რაც მან პირველისაგან მიიღო.

განყოფილება 3
მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი

§ 1. — მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი შეთანხმების საფუძველზე

485. შეთანხმების საფუძველზე მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი დგინდება ამ მიზნით საქორწინო ხელშეკრულებაში გაკეთებული მარტივი განცხადებით.

486. მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის თანახმად, თითოეულ მეუღლეს აქვს მთელი მისი ქონების მართვის, სარგებლობისა და თავისუფალი განკარგვის უფლება.

487. ქონება, რომლის მიმართაც მეუღლეებს არ შეუძლიათ თავიანთი ექსკლუზიური საკუთრების უფლების დადგენა, ივარაუდება სანახევროდ ორივე მეუღლის იდეალურ საერთო საკუთრებაში არსებულად.

§ 2. — მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

488. ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის დადგენა, როდესაც მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის ნორმების გამოყენება რეალურად ეწინააღმდეგება აღნიშნული მეუღლის ან ოჯახის ინტერესებს.

489. სასამართლო წესით მიღებული მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმი შედეგად იწვევს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტას და მეუღლეებს აგდებს იმ პირთა მდგომარეობაში, რომლებიც იმყოფებიან შეთანხმების საფუძველზე მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმში.

მეუღლეებს შორის განცალკევებული ქონების რეჟიმის სამართლებრივ შედეგებს აქვს უკუქცევითი ძალა განცხადების წარდგენის დღისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ამ შედეგებს უკუქცევით ძალას ანიჭებს იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

490. მეუღლეთა კრედიტორებს არ შეუძლიათ მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის მოთხოვნით სასამართლოსათვის განცხადებით მიმართვა, თუმცა მათ შეუძლიათ ჩაერთონ უკვე არსებულ სასარჩელო წარმოებაში.

მეუღლეთა კრედიტორებს ასევე შეუძლიათ სასამართლო საქმის დაწყება მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის საწინააღმდეგოდ, რომელიც გაცხადებულ ან განხორციელებულ იქნა მათი უფლებების საზიანოდ.

491. მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის დადგენისას საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა შედეგად არ იწვევს ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მეორე თანამესაკუთრის უფლებების (rights of survivorship) წარმოშობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ საქორწინო ხელშეკრულებაში.

განყოფილება 4
მეუღლეთა გაერთიანებული ქონების რეჟიმები (COMMUNITY REGIMES)

492. როდესაც მეუღლეები ირჩევენ გაერთიანებული ქონების რეჟიმს და ასევე აუცილებელია შეთანხმების პირობების დამატება, მაშინ, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, მითითება უნდა გაკეთდეს გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობაზე.

იმ მეუღლეებს, რომლებიც თავდაპირველად იმყოფებოდნენ კანონისმიერი გაერთიანებული ქონების რეჟიმში, შეუძლიათ მიუთითონ გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმის გაუქმებისა და ლიკვიდაციის ნორმებზე, როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება მათ შორის არსებულ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმს.

თავი 6
მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება

განყოფილება 1
მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საფუძვლები

493. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების დადგენა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც თანაცხოვრების ნება-სურვილი არსებითად შერყეულია.

494. კერძოდ, თანაცხოვრების ნება-სურვილი არსებითად შერყეულია

1) როდესაც მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის მიერ წარმოდგენილია მტკიცებულება ისეთი არაერთი ფაქტისა, რომლებიც თანაცხოვრებას ძნელად ასატანს ხდის;

2) როდესაც განცხადების წარდგენის მომენტში მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობენ;

3) როდესაც ნებისმიერმა მეუღლემ მნიშვნელოვნად დაარღვია ქორწინებიდან გამომდინარე მასზე დაკისრებული ვალდებულება; თუმცა, მეუღლეს არ შეუძლია საკუთარ გადაცდომაზე მითითება.

495. თუ მეუღლეები სასამართლოს დასამტკიცებლად წარუდგენენ შეთანხმების პროექტს, რომლითაც ხდება მათი განცალკევებით ცხოვრების შედეგების მოგვარება, მათ შეუძლიათ განცხადებით მოითხოვონ განცალკევებით ცხოვრება საფუძვლის გასაჯაროების გარეშე.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო ადგენს განცალკევებით ცხოვრების რეჟიმს, თუ სახეზეა მეუღლეთა ნამდვილი თანხმობა და შეთანხმება საკმარისად იცავს თითოეული მათგანისა და შვილების ინტერესებს.

განყოფილება 2
მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საქმის წარმოება

§ 1. — ზოგადი დებულება

496. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების საქმის წარმოების ყველა ეტაპზე სასამართლოს ფუნქციას წარმოადგენს მეუღლეთათვის კონსულტაციის მიცემა და მათ შორის დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობა, ასევე — შვილების ინტერესების გათვალისწინება და მათი უფლებების დაცვა.

§ 2. — განცხადება და მტკიცებულება

497. განცხადება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების მოთხოვნით შეიძლება წარდგენილ იქნეს ორივე მეუღლის ან ნებისმიერი მათგანის მიერ.

498. მტკიცებულებას იმის დასადასტურებლად, რომ მეუღლეებისათვის შემდგომი თანაცხოვრება ძნელად ასატანია, შეიძლება წარმოადგენდეს ერთი მხარის აღიარებაც, თუმცა სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებებიც.

§ 3. — საუზრუნველყოფო ღონისძიებები

499. განცხადება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების მოთხოვნით ათავისუფლებს მეუღლეებს თანაცხოვრების ვალდებულებისაგან.

500. სასამართლოს შეუძლია დაავალოს ნებისმიერ მეუღლეს საქმის წარმოების პერიოდში ოჯახის საცხოვრებელი სახლის დატოვება.

მას ასევე შეუძლია ნებისმიერ მეუღლეს მისცეს იმ განსაზღვრული მოძრავი ქონების დროებით შენარჩუნების უფლებამოსილება, რომელიც ამ მომენტამდე განკუთვნილი იყო საერთო სარგებლობისათვის.

501. სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შვილების ზედამხედველობისა და განათლების შესახებ.

ის ადგენს საქმის წარმოების პერიოდში შვილების რჩენაში ყოველი მეუღლის მონაწილეობის წილობრივ რაოდენობას.

502. სასამართლოს შეუძლია დაავალოს ნებისმიერ მეუღლეს, გადაუხადოს რჩენის თანხა მეორე მეუღლეს და ასევე, — წინასწარი თანხა საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად.

503. საუზრუნველყოფო ღონისძიებები შეიძლება ყოველთვის გადაისინჯოს, როდესაც ეს გამართლებულია ნებისმიერი ახალი ფაქტით.

§ 4. — საქმის წარმოების გადავადება და მხარეთა მორიგება

504. სასამართლოს შეუძლია გადადოს მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ განცხადების საქმეზე მოსმენა, თუ ის მიიჩნევს, რომ გადავადებას შეუძლია მეუღლეთა დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობა ან ნებისმიერი მეუღლისა თუ მათი ნებისმიერი შვილისათვის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან აცილება.

სასამართლოს შეუძლია ასევე გადადოს მოსმენა, თუ ის მიიჩნევს, რომ მეუღლეებს შესწევთ უნარი, მოაგვარონ განცალკევებით ცხოვრების შედეგები და ამასთან დაკავშირებით დადონ ისეთი შეთანხმებები, რომელთა მხედველობაში მიღებასაც შეძლებს სასამართლო.

505. მეუღლეთა შორის დავის მორიგებით დამთავრება, რომელსაც ადგილი აქვს განცხადების წარდგენის შემდეგ, წყვეტს საქმის წარმოებას.

თუმცაღა, ნებისმიერ მეუღლეს მაინც შეუძლია ახალი განცხადების წარდგენა ნებისმიერი საფუძვლით, რომელიც წარმოიშობა მორიგების შემდეგ და, ასეთ შემთხვევაში, მას განცხადების დასაბუთების მიზნით შეუძლია წინა საფუძვლებზე მითითება.

506. თანაცხოვრების განახლება 90 დღეზე ნაკლები ვადით თავისთავად არ ქმნის მხარეთა მორიგების პრეზუმფციას.

განყოფილება 3
განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები მეუღლეთა შორის

507. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება ათავისუფლებს მეუღლეებს თანაცხოვრების ვალდებულებისაგან; ეს არ იწვევს საქორწინო კავშირის დარღვევას.

508. აუცილებლობის შემთხვევაში, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება შედეგად იწვევს მეუღლეთა განცალკევებული ქონების რეჟიმის დადგენას.

მეუღლეთა შორის განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები დგება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ განცხადების წარდგენის დღიდან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ამ შედეგებს უკუქცევით ძალას ანიჭებს იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

509. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება დაუყოვნებლივ არ იწვევს შედეგად ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მეორე თანამესაკუთრის უფლებების წარმოშობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ საქორწინო ხელშეკრულებაში.

510. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება შედეგად არ იწვევს მეუღლეებისათვის გაკეთებული საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობას.

თუმცაღა, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების უფლების მინიჭებისას სასამართლოს შეუძლია საქორწინო ნაჩუქრობების ბათილად გამოცხადება ან მათი შემცირება ანდა მას ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ inter vivos საჩუქრების საზღაურის გადახდა გადავადებულ იქნეს მის მიერ განსაზღვრული დროით იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც აღმოჩნდნენ მხარეები.

511. სასამართლოს მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების უფლების მინიჭებისას ან შემდგომში შეუძლია დაავალოს ნებისმიერ მეუღლეს, გადაუხადოს რჩენის თანხა მეორე მეუღლეს.

512. ნებისმიერ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივ შედეგებს მეუღლეების მიმართ, სასამართლო მხედველობაში იღებს მათ გარემოებებს; სხვა გარემოებებთან ერთად ის ითვალისწინებს მათ საჭიროებებსა და საშუალებებს, მათ შორის დადებულ ხელშეკრულებებს, მათ ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, მათ საოჯახო ვალდებულებებს, სამუშაოს პოვნის შანსებს, მათ არსებულ და მოსალოდნელ ქონებრივ მდგომარეობას როგორც მათი კაპიტალის, ისე შემოსავლის შეფასებითა და, გარემოებების გათვალისწინებით, — დახმარების კრედიტორის მიერ საკმარისი ავტონომიის მოპოვებისათვის აუცილებელ დროს.

განყოფილება 4
მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები შვილების მიმართ

513. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება არ ართმევს შვილებს მათთვის კანონით ან ქორწინების ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ სარგებელს.

მამისა და დედის უფლებები და ვალდებულებები თავიანთი შვილების მიმართ არ იცვლება მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრებით.

514. სასამართლო მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების უფლების მინიჭებისას ან შემდგომში იღებს გადაწყვეტილებებს შვილების ზედამხედველობის, რჩენისა და განათლების შესახებ ამ უკანასკნელთა ინტერესებში და მათი უფლებების გათვალისწინებით, შესაბამის შემთხვევაში მეუღლეთა შორის დადებული შეთანხმებების მხედველობაში მიღებით.

განყოფილება 5
მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმის დასრულება

515. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი წყდება მეუღლეთა მიერ თანაცხოვრების ნებაყოფლობითი განახლებით.

მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმი შენარჩუნდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეები საქორწინო ხელშეკრულებით ირჩევენ სხვა ქონებრივ რეჟიმს.

თავი 7
ქორწინების შეწყვეტა

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

516. ქორწინება წყდება ნებისმიერი მეუღლის გარდაცვალებით ან განქორწინებით.

517. განქორწინების უფლების მინიჭება ხდება განქორწინების შესახებ კანადის კანონის თანახმად. წინამდებარე კოდექსით დადგენილი მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ საქმის წარმოების მომწესრიგებელი ნორმები და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) წესები გამოიყენება აღნიშნული განცხადებების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი შესაბამისობაშია განქორწინების შესახებ კანადის კანონთან.

განყოფილება 2
განქორწინების სამართლებრივი შედეგები

518. განქორწინება იწვევს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტას.

მეუღლეთა შორის რეჟიმის შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს აქვს უკუქცევითი ძალა განცხადების წარდგენის დღისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ამ შედეგებს უკუქცევით ძალას ანიჭებს იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

519. განქორწინება შედეგად იწვევს ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის mortis causa გაკეთებული საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობასაც.

520. განქორწინება შედეგად არ იწვევს ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის mortis causa გაკეთებული სხვა საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობას ან inter vivos გაკეთებული საქორწინო ნაჩუქრობების ბათილობას.

თუმცაღა, განქორწინების უფლების მინიჭებისას სასამართლოს შეუძლია ასეთი საქორწინო ნაჩუქრობების ბათილად გამოცხადება ან მათი შემცირება ანდა მას ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ inter vivos საჩუქრების საზღაურის გადახდა გადავადებულ იქნეს მის მიერ განსაზღვრული დროით.

521. განქორწინებას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგები შვილების მიმართ, რასაც მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების რეჟიმს.

ტიტული 1.1
სამოქალაქო კავშირი

თავი 1
სამოქალაქო კავშირის შექმნა

521.1. სამოქალაქო კავშირი წარმოადგენს 18 ან მეტი წლის ასაკის იმ ორი პირის ვალდებულება, რომლებიც აცხადებენ თავიანთ თავისუფალ და გათვიცნობიერებულ თანხმობას თანაცხოვრებაზე და იცავენ იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც ამ სტატუსიდან გამომდინარეობს.

სამოქალაქო კავშირი შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ იმ პირებს შორის, რომლებიც თავისუფალი არიან ნებისმიერი წინა საქორწინო კავშირისა თუ სამოქალაქო კავშირისაგან და რომლებიც ერთმანეთის მიმართ არ არიან არც აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით ნათესავები და არც ძმა ან და.

521.2. სამოქალაქო კავშირი უნდა გაფორმდეს ღიად ქორწინების საზეიმო აღნიშვნაზე კომპეტენტური სასულიერო პირის წინაშე და ორი მოწმის თანდასწრებით.

დაუშვებელია მღდვლის იძულება იმ სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნაზე, რომლის მიმართაც არსებობს ნებისმიერი წინააღმდეგობა მისი რელიგიისა და იმ რელიგიური საზოგადოების სწავლების თანახმად, რომელსაც ის მიეკუთვნება.

521.3. სამოქალაქო კავშირის დადგენასთან დაკავშირებით საქმის წარმოების დაწყებამდე სასულიერო პირი ახდენს მომავალი მეუღლეების პიროვნების დადგენას, ისევე როგორც სამოქალაქო კავშირის შექმნისათვის აუცილებელი პირობების შესაბამისობის შემოწმებასა და კანონით გათვალისწინებული ფორმალობების დაცვას.

სამოქალაქო კავშირის დადგენის საზეიმო აღნიშვნა, აუცილებელი ცვლილებებით, ექვემდებარება იგივე წესებს, რომლებიც გამოიყენება ქორწინების საზეიმო აღნიშვნისათვის წინასწარ პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნორმების ჩათვლით.

521.4. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შეეწინააღმდეგოს იმ პირებს შორის სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნას, რომლებსაც არ შეუძლიათ სამოქალაქო კავშირის დადგენა.

არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად შეეწინააღმდეგოს სამოქალაქო კავშირს.

521.5. სამოქალაქო კავშირის არსებობა მტკიცდება სამოქალაქო კავშირის სარეგისტრაციო ჩანაწერით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით ნებადართულია სხვა სახის მტკიცებულება.

სამოქალაქო კავშირის მეუღლის სტატუსის ფლობა აკომპენსირებს სამოქალაქო კავშირის სარეგისტრაციო ჩანაწერში არსებულ ფორმის ხარვეზს.

თავი 2
სამოქალაქო კავშირის სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგები

521.6. სამოქალაქო კავშირის მეუღლეებს აქვთ ერთი და იგივე უფლებები და ვალდებულებები.

ისინი ვალდებული არიან პატივი სცენ, უერთგულონ, დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთს.

ისინი ვალდებული არიან ერთად იცხოვრონ.

ოჯახის მიმართულებასთან, მშობლის უფლებების განხორციელებასთან, ხარჯებში მონაწილეობასთან, ოჯახის საცხოვრებელ სახლთან, ოჯახის ქონებასა და საკომპენსაციო დანამატთან დაკავშირებით სამოქალაქო კავშირის სამართლებრივი შედეგები, აუცილებელი ცვლილებებით, უთანაბრდება ქორწინების სამართლებრივ შედეგებს.

როგორიც არ უნდა იყოს მათი სამოქალაქო კავშირის რეჟიმი, არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ მეუღლეებს, გადაუხვიონ წინამდებარე მუხლის დებულებებს.

521.7. სამოქალაქო კავშირის ქმნის საოჯახო კავშირს თითოეულ მეუღლესა და მისი მეუღლის ნათესავებს შორის.

521.8. სამოქალაქო კავშირის რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების დადების გზით და ასევე სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულებაში შესაძლებელია ნებისმიერი სახის პირობაზე შეთანხმება კანონისა და საჯარო წესრიგის იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

იმ მეუღლეების მიმართ, რომლებმაც თავიანთი სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნამდე არ განსაზღვრეს თავიანთი სამოქალაქო კავშირის რეჟიმი, მოქმედებს გარიგებით შეძენილი ქონების პარტნიორობის რეჟიმი.

როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი სამოქალაქო კავშირის რეჟიმები და სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულებები აუცილებელი ცვლილებებით ექვემდებარება იგივე წესებს, რომლებიც გამოიყენება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმისა და საქორწინო ხელშეკრულების მიმართ.

521.9. თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან თავიანთი უფლებების რეალიზაციასა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, მათ — ან ერთ-ერთ მათგანს — შეუძლიათ მიმართონ განცხადებით სასამართლოს, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობის მცდელობის შემდეგ.

თავი 3
სამოქალაქო კავშირის ბათილობა

521.10. სამოქალაქო კავშირი, რომელიც არ იქნა დადგენილი წინამდებარე ტიტულით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, თუმცაღა სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების მიღება გარემოებების შესაბამისად.

დაუშვებელია სარჩელის წარდგენა საზეიმო აღნიშვნიდან სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკითხი ეხება საჯარო წესრიგს.

521.11. სამოქალაქო კავშირის ბათილობა შედეგად იწვევს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც ქორწინების ბათილობა.

თავი 4
სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა

521.12. სამოქალაქო კავშირი წყდება ნებისმიერი მეუღლის გარდაცვალებით. ის ასევე წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან სანოტარო წესით დამოწმებული ერთობლივი განცხადებით, როდესაც მეუღლეთა თანაცხოვრების ნება-სურვილი შეუქცევადად შერყეულია.

სამოქალაქო კავშირი ასევე წყდება მეუღლეების ერთმანეთთან დაქორწინებით. შეწყვეტის ერთადერთ შედეგს წარმოადგენს სამოქალაქო კავშირიდან გამომდინარე ვალდებულებების შეწყვეტა. სამოქალაქო კავშირის სამართლებრივი შედეგები შენარჩუნდება და განიხილება როგორც ქორწინების სამართლებრივი შედეგები სამოქალაქო კავშირის დადგენის მომენტიდან, ხოლო მეუღლეთა სამოქალაქო კავშირის რეჟიმი ხდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ შეიტანეს გარკვეული ცვლილებებლი მასში საქორწინო ხელშეკრულებით.

521.13. მეუღლეებს შეუძლიათ ერთობლივი განცხადების გაკეთების გზით დაეთანხმონ სამოქალაქო კავშირის შეწყვეტას იმ პირობით, რომ ისინი შეთანხმებაში აგვარებენ შეწყვეტის ყველა შედეგს.

განცხადება და შეთანხმება უნდა შესრულდეს ნოტარიუსის წინაშე და გატარდეს რეგისტრაციაში საჯარო სანოტარო აქტებში.

ნოტარიუსს არ შეუძლია განცხადების გაფორმება მანამდე, სანამ შეთანხმება არ გატარდება რეგისტრაციაში ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მორიგების აქტის სახით (notarial transaction contract). ნოტარიუსმა წინასწარ უნდა შეატყობინოს მეუღლეებს სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შედეგების შესახებ და დარწმუნდეს, რომ ისინი ნამდვილად ეთანხმებიან შეწყვეტას და რომ შეთანხმება არ ეწინააღმდეგება კანონისა თუ საჯარო წესრიგის იმპერატიულ ნორმებს. აუცილებლობის შემთხვევაში, ნოტარიუსს შეუძლია მეუღლეებს მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი ხელმისაწვდომი სამომრიგებლო სამსახურების შესახებ.

521.14. მორიგების აქტი ადგენს იმ თარიღს, როდესაც დგინდება ოჯახის ქონების წმინდა ღირებულება. თარიღი ვერ იქნება სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის საქმის წარმოების ან მეუღლეთა მიერ თანაცხოვრების შეწყვეტის თარიღზე უფრო ადრინდელი ანდა ნოტარიუსთან ხელშეკრულების გაფორმების თარიღზე უფრო გვიანი.

521.15. სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ ერთობლივ განცხადებაში მიეთითება მეუღლეების სახელები და საცხოვრებელი ადგილი, ასევე — დაბადების ადგილები და თარიღები, კავშირის საზეიმო ცერემონიის ჩატარების ადგილი და თარიღი; მასში ასევე მიეთითება მორიგების აქტისა და განცხადების გაფორმების ადგილები და თარიღები, ისევე როგორც თითოეული აღნიშნული აქტისათვის მინიჭებული ნომერი.

521.16. ნოტარიუსთან გაფორმების თარიღიდან და შემდგომი ფორმალობების გარეშე, სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ ერთობლივი განცხადებასა და მორიგების აქტს აქვს სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები.

სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორისათვის შეტყობინების გაგზავნასთან ერთად, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება უნდა წარედგინოს სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების შემნახველს და ასევე — თავდაპირველი საქორწინო ხელშეკრულებით დადგენილი სამოქალაქო კავშირის რეჟიმის შემცვლელი ნებისმიერი ხელშეკრულების შემნახველს. შემნახველი ვალდებულია, თავდაპირველ დოკუმენტსა და ასევე ნებისმიერ გამოცემულ ასლში გააკეთოს მითითება სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ ერთობლივი განცხადების შესახებ ამ უკანასკნელის თარიღის, სანოტარო აქტის ნომრის, განცხადების დამმოწმებელი ნოტარიუსის სახელისა და მისამართის აღნიშვნით. სანოტარო წესით დამოწმებული განცხადება და მორიგების აქტი უნდა გაეგზავნოს ასევე Retraite Québec-ს (კვებეკის საპენსიო სისტემის მართვის უწყება).

სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების შესახებ შეტყობინება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში თავისი მოვალეობების შემსრულებელი ნოტარიუსის განცხადების საფუძველზე.

521.17. ნოტარიუსთან გაფორმებული სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ ერთობლივი განცხადების არარსებობისას ან როდესაც მეუღლეთა საერთო შვილების ინტერესებს ექმნება საფრთხე, სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა უნდა გადაწყდეს სასამართლოს მიერ. სასამართლო უნდა დარ-

წმუნდეს, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების ნება-სურვილი შეუქცევადად შერყეულია, მან ხელი შეუწყოს დავის მორიგებით დამთავრებას, გაითვალისწინოს შვილების ინტერესები და დაცვას მათი უფლებები. საქმის წარმოებისას სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს საუზრუნველყოფო ღონისძიებები როგორც ეს გათვალისწინებულია მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შემთხვევაში.

სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებამდე ან მისი მიღების შემდეგ სასამართლოს შეუძლია დაავალოს ერთ-ერთ მეუღლეს, გადაუხადოს რჩენის თანხა მეორე მეუღლეს და მიიღოს გადაწყვეტილება შვილების ზედამხედველობის, რჩენისა და განათლების შესახებ, მათ საუკეთესო ინტერესებში და უფლებების სათანადო გათვალისწინებით, ასევე — მეუღლეთა შორის დადებული შეთანხმებების მხედველობაში მიღებით.

521.18. სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა არ ართმევს შვილებს მათთვის კანონით ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილ სარგებელს.

მშობლების უფლებები და ვალდებულებები თავიანთი შვილების მიმართ არ იცვლება სამოქალაქო კავშირის შეწყვეტით.

521.19. სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა შედეგად იწვევს სამოქალაქო კავშირის რეჟიმის შეწყვეტასაც. მეუღლეთა შორის რეჟიმის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგებს აქვს უკუქცევითი ძალა გარდაცვალების დღისათვის, ნოტარიუსთან ერთობლივი განცხადების გაფორმების დღისათვის ან თუ მხარეები შეთანხმდნენ ამგვარად ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ მორიგების აქტში, — ოჯახის ქონების წმინდა ღირებულების დადგენის დღისათვის. თუ შეწყვეტა ცხადდება სასამართლოს მიერ, მის სამართლებრივ შედეგებს აქვს უკუქცევითი ძალა სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის დღისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ამ შედეგებს უკუქცევით ძალას ანიჭებს იმ დღისათვის, როდესაც მეუღლეებმა შეწყვიტეს თანაცხოვრება.

სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა სხვა საფუძვლით, ვიდრე გარდაცვალება, შედეგად იწვევს ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის სამოქალაქო კავშირის გამო mortis causa გაკეთებული ნაჩუქრობების ბათილობასაც. ის შედეგად არ იწვევს ერთი მეუღლის მიერ მეორისათვის mortis causa გაკეთებული სხვა ნაჩუქრობების ბათილობას ან სამოქალაქო კავშირის გამო inter vivos გაკეთებული ნაჩუქრობების ბათილობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამოქალაქო კავშირის შეწყვეტისას სასამართლოს შეუძლია ასეთი ნაჩუქრობების ბათილად გამოცხადება ან მათი შემცირება ანდა მას ასევე შეუძლია დაადგინოს, რომ inter vivos საჩუქრების საზღაურის გადახდა გადავადდეს მის მიერ განსაზღვრული დროით.

ტიტული 2
ნათესაური კავშირი

ზოგადი დებულება

522. ყველა ბავშვს, რომლის ნათესაური კავშირიც დგინდება, აქვს ერთი და იგივე უფლებები და ვალდებულებები მიუხედავად მათი დაბადების გარემოებებისა.

თავი 1
სისხლით ნათესაური კავშირი

განყოფილება 1
ნათესაური კავშირის მტკიცება

§ 1. — სტატუსის დასახელება და ფლობა

523. ნათესაური კავშირი მამასთან და დედასთან მტკიცდება დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერით მიუხედავად ბავშვის დაბადების გარემოებებისა.

დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერის არარსებობისას საკმარისია სტატუსის უწყვეტი ფლობა.

524. სტატუსის უწყვეტი ფლობა დგინდება იმ ფაქტების ადეკვატური თანხვედრით, რომლებიც მიუთითებს ნათესაურ კავშირზე ბავშვსა და იმ პირებს შორის, რომელთაგანაც, როგორც ამბობენ, ის არის წარმოშობილი.

§ 2. — მამობის პრეზუმფცია

525. თუ ბავშვი იბადება ქორწინების ან საპირისპირო სქესის პირთა შორის არსებული სამოქალაქო კავშირის განმავლობაში ან მისი შეწყვეტიდან ანდა გაბათილებიდან 300 დღის განმავლობაში, ბავშვის დედის მეუღლე ივარაუდება ბავშვის მამად.

მამობის პრეზუმფცია იმსხვრევა, თუ ბავშვი იბადება დაქორწინებულ მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების დამდგენი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 300 დღეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებმა ბავშვის დაბადებამდე ნებაყოფლობით განაახლეს თანაცხოვრება.

პრეზუმფცია იმსხვრევა ასევე წინა მეუღლის მიმართაც, თუ ბავშვი იბადება ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის შეწყვეტიდან ან გაბათილებიდან 300 დღის განმავლობაში, თუმცა — ბავშვის დედის შემდგომი ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის შემდეგ.

§ 3. — ნებაყოფლობითი აღიარება

526. თუ დედობა ან მამობა ვერ დგინდება ზემოთ მოცემული მუხლების ნორმათა გამოყენებით, ბავშვთან ნათესაური კავშირი შეიძლება ასევე დადგინდეს ნებაყოფლობითი აღიარებითაც.

527. დედობა დგინდება ქალის მიერ იმის შესახებ გაკეთებული განცხადებით, რომ ის წარმოადგენს ბავშვის დედას.

მამობის აღიარება ხდება მამაკაცის მიერ იმის შესახებ გაკეთებული განცხადებით, რომ ის წარმოადგენს ბავშვის მამას.

528. დედობის ან მამობის უბრალო აღიარება ბოჭავს მხოლოდ მის განმახორციელებელ პირს.

529. დაუშვებელია დედობის ან მამობის უბრალო აღიარებით იმ დადგენილი ნათესაური კავშირის სადავოდ გახდომა, რომელიც ვერ იქნა წარმატებით გასაჩივრებული სასამართლოში.

განყოფილება 2
ნათესაურ კავშირთან დაკავშირებული სარჩელები

530. არავის შეუძლია მოითხოვოს ნათესაური კავშირის დადგენა მისთვის დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერითა და ამ ჩანაწერის შესაბამისი სტატუსის ფლობით მინიჭებულის საწინააღმდეგოდ.

არავის შეუძლია სადავოდ გახადოს იმ პირის სტატუსი, რომლის მიერ სტატუსის ფლობაც შეესაბამება მისი დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერს.

531. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის, მამას ან დედას, შეუძლია ნებისმიერი საშუალებით სადავო გახადოს იმ პირის ნათესაური კავშირი, რომლის მიერ სტატუსის ფლობაც არ შეესაბამება მისი დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერს.

თუმცაღა, სავარაუდო მამას შეუძლია სადავო გახადოს ნათესაური კავშირი და უარყოს ბავშვი მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ძალაში შედის მისი მამობის პრეზუმფცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან არაფერი იცის დაბადების შესახებ, რა შემთხვევაშიც ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ეს ფაქტი. დედას შეუძლია სადავო გახადოს სავარაუდო მამის მამობა ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში.

532. ბავშვს, რომლის ნათესაური კავშირი ვერ დგინდება სარეგისტრაციო ჩანაწერისა და მისი შესაბამისი სტატუსის ფლობით, შეუძლია მისი ნათესაური კავშირის დადგენა მოითხოვოს სასამართლოში. ანალოგიურად, მამას ან დედას შეუძლიათ მოითხოვონ მამობა ან დედობა იმ ბავშვისა, რომლის ნათესაური კავშირი მათ მიმართ ვერ დგინდება სარეგისტრაციო ჩანაწერისა და მისი შესაბამისი სტატუსის ფლობით.

თუ ბავშვს უკვე აქვს დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერით, სტატუსის ფლობით ან მამობის პრეზუმფციის ძალით დადგენილი სხვა ნათესაური კავშირი, დაუშვებელია სტატუსის მოთხოვნით სარჩელის წარდგენა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გაერთიანებულია იმ სარჩელთან, რომლითაც სადავოდ არის გამხდარი ამგვარად დადგენილი სტატუსი.

ბავშვის უარყოფის ან სტატუსის სადავოდ გახდომის შესახებ სარჩელი მიმართულია ბავშვის წინააღმდეგ და ასევე, გარემოებების გათვალისწინებით, — დედის ან სავარაუდო მამის წინააღმდეგ.

533. ნათესაური კავშირი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი სახის მტკიცებულებით. თუმცაღა, მოწმეთა ჩვენება დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მტკიცების დაწყების პროცესი (commencement of proof) ან უკვე ნათლად დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე პრეზუმფციები ან მითითებები საკმარისად მტკიცეა მისი დასაშვებად მიჩნევისათვის.

534. მტკიცების დაწყება ხდება საოჯახო დოკუმენტების, ჩანაწერებისა და ქაღალდების საფუძველზე, ასევე — იმ პირის კუთვნილი სხვა საჯარო თუ კერძო წერილების საფუძველზე, რომელიც ჩართულია დავაში ან რომელსაც ამ მხრივ ექნებოდა შესაბამისი ინტერესი, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო.

535. ნათესაური კავშირის დადგენის თაობაზე წარდგენილი სარჩელის საწინააღმდეგოდ დასაშვებია ნებისმიერი სახის მტკიცებულება.

ასევე დასაშვებია ისეთი ნებისმიერი სახის მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს, რომ ქმარი ან სამოქალაქო კავშირის მეუღლე არ წარმოადგენს ბავშვის მამას.

535.1. როდესაც სასამართლოს მიღებული აქვს განსახილველად ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ სარჩელი, მას ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია მიიღოს განკარგულება სხეულიდან აღებული ნივთიერების ნიმუშების ანალიზის ჩატარების თაობაზე ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სარჩელთან დაკავშირებული პირის გენეტიკური პროფილის დადგენა.

თუმცაღა, როდესაც სარჩელის მიზანია ნათესაური კავშირის დადგენა, სასამართლოს არ შეუძლია ასეთი განკარგულების მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნათესაური კავშირის მტკიცების პროცესი დაიწყო იმ პირის მიერ, რომელმაც წარადგინა სარჩელი ან უკვე ნათლად დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე პრეზუმფციები ან მითითებები საკმარისად მტკიცეა ასეთი განკარგულების მიღების გამართლებისათვის.

სასამართლო ადგენს ნიმუშების აღებისა და ანალიზის ჩატარების პირობებს, რომლებიც შეძლებისდაგვარად უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი პირის სხეულებრივი ხელშეუხებლობის ან გარდაცვლილი პირის გვამის პატივისცემას. აღნიშნული პირობები მოიცავს ნიმუშების აღების ბუნებას, თარიღსა და ადგილს, იმ ექსპერტის ვინაობას, რომელსაც ეკისრება ნიმუშების აღება და ანალიზის ჩატარება, ნებისმიერი აღებული ნიმუშის გამოყენებასა და ანალიზის შედეგების კონფიდენციალურობას.

სასამართლოს შეუძლია შექმნას უარყოფითი ვარაუდი მის მიერ დადგენილი ანალიზის ჩატარებისათვის ნიმუშების წარდგენის უსაფუძვლო უარიდან.

536. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი არ ადგენს უფრო ნაკლებ ვადას, ნათესაური კავშირის დადგენასთან დაკავშირებული სარჩელები ხანდაზმულია იმ დღიდან 30 წლის ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც ბავშვს წაერთვა სარჩელით მოთხოვნილი სტატუსი ან ის იწყებს სადავოდ გამხდარი სტატუსით სარგებლობას.

თუ ბავშვი გარდაიცვალა თავისი სტატუსის მოთხოვნის გარეშე, თუმცა — იმ დროს, როდესაც მას ჯერ კიდევ არ გადაუცილებია აღნიშნულის გაკეთებისათვის დადგენილი ზღვრული ვადა, მის მემკვიდრეებს შეუძლიათ სარჩელის წარდგენა მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში.

537. ბავშვის უარყოფის ან სტატუსის სადავოდ გახდომისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლამდე სავარაუდო მამის ან დედის გარდაცვალება არ იწვევს სარჩელზე უფლების გაქარწყლებას.

მემკვიდრეებს შეუძლიათ ამ უფლების რეალიზაცია, თუმცა — მისი გარდაცვალებიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

თავი 1.1
ხელოვნური განაყოფიერების გზით (ASSISTED PROCREATION) დაბადებული ბავშვის ნათესაური კავშირი

538. მშობლობის პროგრამა (parental project), რომელიც მოიცავს ხელოვნურ განაყოფიერებას, არსებობს იმ მომენტიდან, როდესაც პირი დამოუკიდებლად გადაწყვეტს ან მეუღლეები ორმხრივი თანხმობით გადაწყვეტენ შვილის ყოლის მიზნით მიმართონ იმ პირის გენეტიკურ მასალას, რომელიც არ წარმოადგენს მშობლობის პროგრამის მხარეს.

538.1. როგორც სისხლით ნათესაური კავშირის შემთხვევაში, ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის ნათესაური კავშირი დგინდება დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერით. დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერის არარსებობისას საკმარისია სტატუსის უწყვეტი ფლობა; ეს უკანასკნელი დგინდება იმ ფაქტების ადეკვატური თანხვედრით, რომლებიც მიუთითებს ნათესაურ კავშირზე ბავშვს, მის დამბადებელ ქალსა და, საჭიროების შემთხვევაში, — მშობლობის პროგრამის სხვა მხარეს შორის.

აღნიშნული ნათესაური კავშირი წარმოშობს იგივე უფლებებსა და ვალდებულებებს, რასაც სისხლით ნათესაური კავშირი.

538.2. სხვა პირის მშობლობის პროგრამისათვის გენეტიკური მასალის გადაცემა ვერ გახდება საფუძველი ნათესაური კავშირით ნებისმიერი სახის ბოჭვისა მასალის გადამცემსა და შემდგომში დაბადებულ ბავშვს შორის.

თუმცაღა, თუ გენეტიკური მასალის გადაცემა ხორციელდება სქესობრივი აქტის გზით, მასალის გადამცემსა და ბავშვს შორის ნათესაური კავშირით ბოჭვა შეიძლება დადგინდეს დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის განმავლობაში იმ ქალის მეუღლეს, რომელმაც დაბადა ბავშვი, არ

შეუძლია მითითება დაბადების სარეგისტრაციო ჩანაწერის შესაბამისი სტატუსის ფლობაზე იმისათვის, რომ შეეწინააღმდეგოს ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ განცხადებას.

538.3. თუ ბავშვი იბადება მშობლობის პროგრამის ფარგლებში დაქორწინებულ ან სამოქალაქო კავშირში მყოფ მეუღლეებს შორის განხორციელებული ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის განმავლობაში ან მისი შეწყვეტიდან ანდა გაბათილებიდან 300 დღის განმავლობაში, მაშინ იმ ქალის მეუღლე, რომელმაც დაბადა ბავშვი, ივარაუდება ამ უკანასკნელის მეორე მშობლად.

პრეზუმფცია იმსხვრევა, თუ ბავშვი იბადება დაქორწინებულ მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების დამდგენი სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 300 დღეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებმა ბავშვის დაბადებამდე ნებაყოფლობით განაახლეს თანაცხოვრება.

პრეზუმფცია იმსხვრევა ასევე წინა მეუღლის მიმართაც, თუ ბავშვი იბადება ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის შეწყვეტიდან ან გაბათილებიდან 300 დღის განმავლობაში, თუმცა — იმ ქალის შემდგომი ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის შემდეგ, რომელმაც დაბადა ბავშვი.

539. არავის შეუძლია სადავოდ გახადოს ბავშვის ნათესაური კავშირი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ბავშვი იბადება მშობლობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ხელოვნური განაყოფიერების შედეგად. თუმცა, იმ ქალის ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეს, რომელმაც დაბადა ბავშვი, შეუძლია სადავო გახადოს ნათესაური კავშირი და უარყოს ბავშვი, თუ სახეზე არ იყო ორმხრივი მშობლობის პროგრამა ან თუ დგინდება, რომ ბავშვი არ დაიბადა ხელოვნური განაყოფიერების გზით.

სისხლით ნათესაური კავშირის შესახებ სარჩელების მომწესრიგებელი ნორმები აუცილებელი ცვლილებებით გამოიყენება წინამდებარე თავის შესაბამისად დადგენილი ნათესაური კავშირის ნებისმიერი სახის შეცილების მიმართ.

539.1. თუ ორივე მშობელი ქალია, მამისთვის კანონით მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები, — რამდენადაც ისინი განსხვავდება დედის უფლებებისა და ვალდებულებებისაგან, — ენიჭება იმ დედას, რომელსაც არ გაუჩენია ბავშვი.

540. პირი, რომელიც ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მიღმა განხორციელებულ მშობლობის პროგრამაში მონაწილეობაზე თანხმობის მიცემის შემდეგ არ განუცხადებს სამოქალაქო რეესტრის რეგისტრატორს აღნიშნული პროგრამით დაბადებულ ბავშვთან ნათესაური კავშირით თავის ბოჭვაზე, პასუხისმგებელია ბავშვისა და მისი დედის მიმართ.

541. აბსოლუტურად ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც ქალი კისრულობს ვალდებულებას სხვა პირისათვის დაბადოს ან ატაროს ბავშვი.

542. კონფიდენციალურია სამედიცინო ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებული პირადი ინფორმაცია.

თუმცაღა, როდესაც სამედიცინო ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული პირის ან მისი ნებისმიერი შთამომავლის ჯანმრთელობას შესაძლოა მნიშვნელოვნი ზიანი მიეყენოს, თუ პირი არ მიიღებს მოთხოვნილ ინფორმაციას, სასამართლოს შეუძლია დართოს ინფორმაციის შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებებისათვის კონფიდენციალურად გავრცელების ნება. ასეთი პირის შთამომავალს ასევე შეუძლია ამ უფლების განხორციელება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ შთამომავლის ან ახლო ნათესავის ჯანმრთელობას შეიძლება მნიშვნელოვნი ზიანი მიეყენოს, თუ ის ვერ მიიღებს მოთხოვნილ ინფორმაციას.

თავი 2
შვილად აყვანა

განყოფილება 1
შვილად აყვანის პირობები

§ 1. — ზოგადი დებულებები

543. ვერანაირ შვილად აყვანას ვერ ექნება ადგილი, გარდა ბავშვის ინტერესებში და კანონით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე განხორციელებული შვილად აყვანისა.

ვერანაირ შვილად აყვანას ვერ ექნება ადგილი უკვე სისხლით დადგენილი ნათესაური კავშირის დადასტურების მიზნით.

544. დაუშვებელია არასრულწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა, თუ მისი მამა და დედა ან მეურვე არ დაეთანხმნენ შვილებას ანდა ის სასამართლო წესით არ იქნა აღიარებული შვილად აყვანისათვის შესაფერისად.

545. დაუშვებელია სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილად აყვანა ხდება იმ პირების მიერ, რომლებიც ბავშვის არასრულწლოვანების პერიოდში უწევდნენ მას მშობლობას.

თუმცა, სასამართლოს შეუძლია მოხსნას ეს მოთხოვნა შვილად ასაყვანი პირის ინტერესებში.

546. ნებისმიერ სრულწლოვან პირს შეუძლია დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ერთად იშვილოს ბავშვი.

547. პირი ვერ გახდება მშვილებელი, თუ ის არ არის, სულ ცოტა, 18 წლით უფროსი შვილად ასაყვან პირზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილად ასაყვანი პირი წარმოადგენს მშვილებელის მეუღლის შვილს.

თუმცა, სასამართლოს შეუძლია მოხსნას ეს მოთხოვნა შვილად ასაყვანი პირის ინტერესებში.

548. წინამდებარე თავით გათვალისწინებული თანხმობა უნდა იქნეს მიცემული წერილობით და ორი მოწმის თანდასწრებით.

იგივე წესი მოქმედებს თანხმობის გამოთხოვის მიმართაც.

§ 2. — შვილად ასაყვანი პირის თანხმობა

549. დაუშვებელია 10 ან მეტი წლის ასაკის ბავშვის შვილად აყვანა მისი თანხმობის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უუნაროა, გამოხატოს თავისი ნება.

თუმცაღა, როდესაც 14 წლამდე ასაკის ბავშვი უარს აცხადებს თავისი თანხმობის მიცემაზე, სასამართლოს შეუძლია გადადოს გადაწყვეტილების მიღება მის მიერ მითითებული ვადით ან მიიღოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ მიუხედავად ბავშვის უარისა.

550. 14 ან მეტი წლის ასაკის ბავშვის უარი წარმოადგენს შვილად აყვანის ხელისშემშლელ გარემოებას.

§ 3. — მშობლების ან მეურვის თანხმობა

551. როდესაც შვილად აყვანა ხდება მშობლების თანხმობით, აუცილებელია ორივე მშობლის თანხმობა, თუ ბავშვის ნათესაური კავშირი დადგენილია ორივე მშობლის მიმართ.

თუ ბავშვის ნათესაური კავშირი დადგენილია მხოლოდ ერთი მშობლის მიმართ, საკმარისია ამ მშობლის თანხმობა.

552. თუ ერთ-ერთი მშობელი გარდაცვლილია, უუნაროა, გამოხატოს თავისი ნება ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, საკმარისია მეორე მშობლის თანხმობა.

553. თუ ორივე მშობელი გარდაცვლილია, ისინი უუნარონი არიან, გამოხატონ თავიანთი ნება ან ჩამორთმეული აქვთ მშობლის უფლება, შვილად აყვანა ექვემდებარება მეურვის თანხმობას, თუ ბავშვს ჰყავს მეურვე.

554. არასრულწლოვან მშობელს შეუძლია თავად, ნებართვის გარეშე, გასცეს თავისი თანხმობა მისი შვილის შვილად აყვანაზე.

555. თანხმობა შვილად აყვანაზე შეიძლება იყოს ზოგადი ან სპეციალური; სპეციალური თანხმობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ ბავშვის აღმავალი ხაზით ნათესავის, მესამე რიგის გვერდითა ხაზით ნათესავის ან აღნიშნული აღმავალი თუ გვერდითა ხაზით ნათესავის მეუღლის სასარგებლოდ; ის ასევე შეიძლება გაიცეს მამის ან დედის მეუღლის სასარგებლოდ. თუმცა, დე ფაქტო მეუღლეების შემთხვევაში, მათი თანაცხოვრება უნდა გრძელდებოდეს, სულ ცოტა, სამი წელი.

556. შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე, შვილად აყვანის თანხმობა კანონის ძალით მოიცავს მშობლის უფლების დელეგირებას იმ პირზე, რომელსაც გადაეცემა ბავშვი.

557. პირს, რომელმაც გასცა თავისი თანხმობა შვილად აყვანაზე, შეუძლია უკან გაითხოვოს ის მისი გაცემიდან 30 დღის განმავლობაში.

ასეთ შემთხვევაში ბავშვი ყოველგვარი ფორმალობებისა თუ დაყოვნების გარეშე უნდა დაუბრუნდეს იმ პირს, რომელმაც უკან გაითხოვა თავისი თანხმობა.

558. თუ პირმა უკან არ გაითხოვა თავისი თანხმობა 30 დღის განმავლობაში, მას შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბავშვის დაბრუნების მოთხოვნით.

§ 4. — შვილად აყვანისათვის შესაფერისობის დეკლარირება

559. შემდეგი პირები შეიძლება სასამართლო წესით აღიარებულ იქნენ შვილად აყვანისათვის შესაფერისად:

1) სამ თვეზე მეტი ასაკის ბავშვი, თუ არ იქნა დადგენილი მისი ნათესაური კავშირი არც მამასთან და არც დედასთან;

2) ბავშვი, რომლის მოვლა-პატრონობა, რჩენა თუ სწავლა-განათლება არ იქნა ფაქტობრივად ნაკისრი მისი დედის, მამის ან მეურვის მიერ, სულ ცოტა, ექვსი თვის ვადის განმავლობაში;

3) ბავშვი, რომლის მამასა და დედას ჩამოართვეს მშობლის უფლება, თუ მას არა ჰყავს მეურვე;

4) ბავშვი, რომელსაც არა ჰყავს არც მამა და არც დედა, თუ მას არც მეურვე არა ჰყავს.

560. შვილად აყვანისათვის შესაფერისობის შესახებ გაცხადების წარდგენა არავის შეუძლია, გარდა ბავშვის აღმავალი ხაზით ნათესავის, მესამე რიგის გვერდითა ხაზით ნათესავის, აღნიშნული აღმავალი თუ გვერდითა ხაზით ნათესავის მეუღლისა და თავად ბავშვის მიერ, თუ ის არის 14 ან მეტი წლის ასაკის, ანდა — ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის მიერ.

561. დაუშვებელია ბავშვის გამოცხადება შვილად აყვანისათვის შესაფერისად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნაკლებად სარწმუნოა, რომ მისი მამა, დედა ან მეურვე განაახლებენ მასზე ზედამხედველობას და იკისრებენ მას მოვლა-პატრონობას, რჩენასა თუ სწავლა-განათლებას. აღნიშნულის ნაკლები სარწმუნოობა ივარაუდება.

562. ბავშვის შვილად აყვანისათვის შესაფერისად გამოცხადებისას სასამართლო ნიშნავს პირს, რომელმაც უნდა განახორციელოს ბავშვის მიმართ მშობლის უფლებები.

§ 5. — კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანის სპეციალური პირობები

563. კვებეკში საცხოვრებელი ადგილის მქონე ყოველმა პირმა, რომელსაც სურს კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანა, თავდაპირველად უნდა გაიაროს ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონით (თავი P-34.1) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ჩატარებული ფსიქოსოციალური შეფასება.

564. შვილად აყვანისათვის საკითხების მომზადება ხდება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების მინისტრის მიერ ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონის (თავი P-34.1) შესაბამისად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც Gazette officielle du Québec-ში გამოქვეყნებული მინისტრის ბრძანება სხვაგვარად ადგენს.

565. კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭება ხდება საზღვარგარეთ ან კვებეკში მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით. კვებეკში მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებას წინ უძღვის შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება. საზღვარგარეთ მიღებული გადაწყვეტილება საჭიროებს კვებეკის სასამართლოს მიერ ცნობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილად აყვანა დამოწმებულ იქნა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, როდესაც აღნიშნული განხორციელდა ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციის შესაბამისად.

განყოფილება 2
შვილად აყვანის განკარგულების მიღება და სასამართლოს გადაწყვეტილება

566. არასრულწლოვანის შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება დაუშვებელია, თუ ის არ მიიღება სასამართლოს განკარგულებით; ასევე დაუშვებელია ბავშვის შვილად აყვანის უფლების მინიჭება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ბავშვი მშვილებელთან ცხოვრობდა სასამართლოს განკარგულების მიღებიდან, სულ ცოტა, ექვსი თვის განმავლობაში.

თუმცა, აღნიშნული ვადა შეიძლება შემცირდეს სამ თვემდე განსაკუთრებით იმ დროის მხედველობაში მიღებით, რომლის განმავლობაშიც არასრულწლოვანი უკვე ცხოვრობდა მშვილებელთან სასამართლოს განკარგულების მიღებამდე.

567. შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება დაუშვებელია შვილად აყვანაზე თანხმობის მიცემიდან 30 დღის ვადის გასვლის შემდეგ.

568. შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე სასამართლო რწმუნდება იმაში, რომ დაკმაყოფილებულია შვილად აყვანის პირობები და, განსაკუთრებით კი, — ის რწმუნდება იმაში, რომ მოთხოვნილი თანხმობები

რეალურად იქნა მიცემული შვილად აყვანის მიზნით, რომლის შედეგს წარმოადგენს ბავშვსა და მისი წარმოშობის ოჯახს შორის არსებული თავდაპირველი ნათესაური კავშირით ბოჭვის შეწყვეტა.

როდესაც კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე ბავშვის შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება ხდება ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონის (თავი P-34.1) საფუძველზე დადებული შეთანხმებით, სასამართლო ასევე ამოწმებს, რომ პროცედურა სრულდება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია შეთანხმებაში. როდესაც ბავშვის შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება ხორციელდება ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციის შესაბამისად, სასამართლო ამოწმებს, რომ დაკმაყოფილებულია მასში გათვალისწინებული პირობები.

თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელმა ვერ დააკმაყოფილა 563-ე და 564-ე მუხლების ნორმათა მოთხოვნები, შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღება შესაძლებელია მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას და თუ ბავშვის ინტერესები ამას ითხოვს. თუმცაღა, შესაბამის განცხადებას თან უნდა ახლდეს ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის მიერ ჩატარებული ფსიქოსოციალური შეფასება.

569. შვილად აყვანის შესახებ განკარგულება მშობლის უფლების რეალიზაციის უფლებამოსილებას ანიჭებს მშვილებელს; ის რთავს ბავშვს ნებას, შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს თავისი სამოქალაქო უფლებები მშვილებლის მიერ შერჩეული გვარითა და სახელით, რომლებიც ჩაიწერება განკარგულებაში.

განკარგულება წარმოადგენს ბავშვის მის მშობლებთან ან მეურვესთან დაბრუნებისა და ბავშვსა და მის ღვიძლ მშობლებს შორის ნათესაური კავშირის დადგენის ხელისშემშლელ გარემოებას.

570. შვილად აყვანის შესახებ განკარგულების სამართლებრივი შედეგები უქმდება, თუ განკარგულების მოქმედება წყდება ან თუ სასამართლო უარს აცხადებს შვილად აყვანის უფლების მინიჭებაზე.

571. თუ მშვილებელი ვერ წარადგენს შვილად აყვანის შესახებ თავის განცხადებას გონივრულ ვადაში განკარგულების მოქმედების მინიმალური ვადის ამოწურვამდე, შვილად აყვანის შესახებ განკარგულება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს თავად ბავშვის განცხადების საფუძველზე, თუ ის არის 14 ან მეტი წლის ასაკის, ანდა — ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ.

572. როდესაც შვილად აყვანის შესახებ განკარგულების სამართლებრივი შედეგები უქმდება და შვილად აყვანა არ მომხდარა, სასამართლო თუნდაც საკუთარი ინიციატივით ნიშნავს პირს, რომელმაც მშობლის უფლება უნდა განახორციელოს ბავშვის მიმართ; ახალგაზრდობის დაცვის დირექტორი, რომელიც შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე წარმოადგენდა იურიდიულ მეურვეს, კვლავ ხდება იურიდიული მეურვე.

573. სასამართლო შვილად აყვანის უფლების მინიჭებას ახდენს მშვილებლის განცხადების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიში მიუთითებს, რომ ბავშვი ვერ შეეწყო მის მიმღებ ოჯახს. აღნიშნულ ან ასევე ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას მოითხოვს ბავშვის ინტერესები, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი დამატებითი მტკიცებულება, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს.

573.1. სასამართლო ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციის ფარგლებში ახდენს კვებეკში შვილად აყვანის უფლების მინიჭებას იმ ბავშვის მიმართ, რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს კვებეკის ფარგლებს გარეთ, ის გასცემს კონვენციით გათვალისწინებულ სერტიფიკატს, როგორც კი შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

574. როდესაც სასამართლო, რომელიც მოიწვევა კვებეკის ფარგლებს გარეთ შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ცნობისათვის, რწმუნდება იმაში, რომ შესრულებულია შვილად აყვანასა და შვილად აყვანისათვის შესაფერისობაზე თანხმობის მიმართ გამოყენებული ნორმები და რომ თანხმობები მიცემულ იქნა შვილად აყვანის მიზნით, რომლის შედეგს წარმოადგენს ბავშვსა და მისი წარმოშობის ოჯახს შორის არსებული თავდაპირველი ნათესაური კავშირით ბოჭვის შეწყვეტა.

როდესაც შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კვებეკის ფარგლებს გარეთ ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონის (თავი P-34.1) საფუძველზე დადებული შეთანხმებით, სასამართლო ასევე ამოწმებს, რომ პროცედურა სრულდება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია შეთანხმებაში.

თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელმა ვერ დააკმაყოფილა 563-ე და 564-ე მუხლების ნორმათა მოთხოვნები, შვილად აყვანის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას და თუ ბავშვის ინტერესები ამას ითხოვს. თუმცაღა, შესაბამის განცხადებას თან უნდა ახლდეს ახალგაზრდობის დაცვის დირექტორის მიერ ჩატარებული ფსიქოსოციალური შეფასება.

575. თუ ნებისმიერი მშვილებელი გარდაიცვლება შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ თვით გარდაცვლილი პირის მიმართაც კი.

სასამართლოს შეუძლია ასევე ცნოს კვებეკის ფარგლებს გარეთ შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიუხედავად მშვილებლის გარდაცვალებისა.

576. სასამართლო შვილად აყვანილს ანიჭებს მშვილებლის მიერ შერჩეულ გვარსა და სახელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშვილებლის ან შვილად აყვანილის მოთხოვნით ის რთავს ბავშვს ნებას, შეინარჩუნოს თავისი თავდაპირველი გვარი და სახელი.

განყოფილება 3
შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები

577. შვილად აყვანა შვილად აყვანილს ანიჭებს ნათესაურ კავშირს, რომელიც ცვლის მის თავდაპირველ ნათესაურ კავშირს.

შვილად აყვანილი წყვეტს თავისი თავდაპირველი ოჯახისადმი მიკუთვნებას ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის ნებისმიერი ხელისშემშლელი გარემოების გათვალისწინებით.

578. შვილად აყვანა წარმოშობს იგივე უფლებებსა და ვალდებულებებს, რასაც სისხლით ნათესაური კავშირი.

თუმცაღა, სასამართლოს გარემოებების გათვალისწინებით შეუძლია გვერდითა ხაზით ნათესავებში დაუშვას ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი შვილად აყვანილსა და მის მიმღებ ოჯახის წევრს შორის.

578.1. თუ ნაშვილები ბავშვის მშობლები ერთი და იგივე სქესის არიან და როდესაც კანონი მამასა და დედას განსხვავებულ უფლებებსა და ვალდებულებებს ანიჭებს, იმ მშობელს, რომელიც ბიოლოგიურად დაკავშირებულია ბავშვთან, აქვს მამისათვის მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები, მამრობითი სქესის წყვილის შემთხვევაში და დედისათვის მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები, მდედრობითი სქესის წყვილის შემთხვევაში. მამობილსა თუ დედობილს აქვს კანონით მეორე მშობლისათვის მინიჭებული უფლებები და ვალდებულებები.

თუ არც ერთი მშობელი არ არის ბიოლოგიურად დაკავშირებული ბავშვთან, თითოეული მშობლის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

579. როდესაც ხდება შვილად აყვანის უფლების მინიჭება, წინა ნათესაური კავშირის სამართლებრივი შედეგები წყდება; მეურვე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კარგავს თავის უფლებებს და თავისუფლდება შვილად აყვანილი პირის მიმართ მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან, გარდა ანგარიშის წარდგენის ვალდებულებისა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, პირის მიერ მისი მეუღლის შვილის შვილად აყვანა არ წყვეტს ნათესაური კავშირით ბოჭვას ბავშვსა და ამ მშობელს შორის.

580. როდესაც ერთ-ერთი მშვილებელი გარდაიცვლება შვილად აყვანის შესახებ განკარგულების მიღებამდე, შვილად აყვანა თავის შედეგებს წარმოშობს განკარგულების მიღების დღიდან.

581. შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ცნობა წარმოშობს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც კვებეკში მიღებული შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მომენტიდან, როდესაც შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება ცხადდება კვებეკის ფარგლებს გარეთ.

შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ცნობა

კანონის ძალით ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებით თანამშრომლობის შესახებ კონვენციით გათვალისწინებული წესით წარმოშობს იგივე სამართლებრივ შედეგებს, რასაც კვებეკში მიღებული შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება იმ მომენტიდან, როდესაც ცხადდება შვილად აყვანის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, ბავშვთა დაცვისა და ქვეყნებს შორის შვილად აყვანასთან დაკავშირებული თანამშრომლობის შესახებ კონვენციის (თავი M-35.1.3) ამოქმედების თაობაზე კანონის მე-9 მუხლის გათვალისწინებით.

განყოფილება 4
შვილად აყვანის საქმის მასალების კონფიდენციალურობა

582. ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებული სასამართლო და ადმინისტრაციული საქმის მასალები არის კონფიდენციალური და მასში მოცემული ინფორმაცია არ ექვემდებარება გამჟღავნებას, გარდა კანონით მოთხოვნილი შემთხვევებისა.

თუმცაღა, სასამართლოს შეუძლია დაუშვას შვილად აყვანის საქმის მასალების გამოკვლევა სამეცნიერო საქმიანობის, სასწავლო, კვლევითი მუშაობისა თუ საჯარო გამოძიების მიზნებისათვის იმ პირობით, რომ დაცული იქნება ბავშვის, მშობლებისა და მშვილებლის ანონიმურობა.

583. სრულწლოვანი შვილად აყვანილი პირი ან 14 ან მეტი წლის ასაკის არასრულწლოვანი შვილად აყვანილი პირი უფლებამოსილია, მიიღოს ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მას მოძებნოს თავისი მშობლები, თუ ეს უკანასკნელები წინასწარ დაეთანხმნენ აღნიშნულს. იგივე შეიძლება ითქვას ასევე შვილად აყვანილი პირის მშობლების მიმართაც, თუ ბავშვი სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას წინასწარ დაეთანხმა აღნიშნულს.

14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი შვილად აყვანილი პირი უფლებამოსილია, მიიღოს ის ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მას მოძებნოს თავისი მშობლები, თუ მშობლები და მშვილებლები წინასწარ დაეთანხმნენ აღნიშნულს.

თანხმობის მიცემა არ ექვემდებარება არანაირ მოთხოვნას; ამავე დროს, დაუშვებელია არასრულწლოვანი შვილად აყვანილი პირისათვის მისი მამის ან დედის მიერ ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების წარდგენის ფაქტის შეტყობინება.

584. როდესაც არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შვილად აყვანილი პირის ან მისი ახლო ნათესავების ჯანმრთელობას შესაძლოა მნიშვნელოვნი ზიანი მიადგეს, თუ ის არ მიიღებს მის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას, სასამართლოს შეუძლია დართოს შვილად აყვანილ პირს ასეთი ინფორმაციის მიღების ნება.

შვილად აყვანილი პირის ახლო ნათესავს ასევე შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიუღებლობის ფაქტი შეიძლება გახდეს მისი ან ახლო ნათესავის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვნი ზიანის მიყენების მიზეზი.

ტიტული 3
დახმარების ვალდებულება

585. ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მეუღლეებს, ასევე — პირველი რიგის პირდაპირი ხაზის ნათესავებს ეკისრებათ ერთმანეთის დახმარების ვალდებულება.

586. არასრულწლოვანი ბავშვის დახმარების თაობაზე საქმის წარმოების დაწყება შეუძლიათ მშობლის უფლების მქონე პირს, ბავშვის მეურვეს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც გარემოებების შესაბამისად ახორციელებს მასზე ზედამხედველობას.

იმ სრულწლოვანი ბავშვის საჭიროებების ნაწილობრივ უზრუნველმყოფ მშობელს, რომელიც უუნაროა, თავად გაუწიოს ბავშვს დახმარება, შეუძლია დახმარების თაობაზე საქმის წარმოების დაწყება ბავშვის სახელით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვი ამის წინააღმდეგია.

სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირის სასარგებლოდ დახმარების თანხის გადახდის შესახებ, რომელიც ახორციელებს ბავშვზე ზედამხედველობას, ან — სრულწლოვანი ბავშვის იმ მშობლის სასარგებლოდ დახმარების თანხის გადახდის შესახებ, რომელმაც დაიწყო დახმარების თაობაზე საქმის წარმოება ბავშვის სახელით.

587. დახმარების ვალდებულების დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება მხარეთა საჭიროებები და შესაძლებლობები, გარემოებები, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, და, გარემოებების გათვალისწინებით, — დახმარების კრედიტორის მიერ საკმარისი ავტონომიის მოპოვებისათვის აუცილებელი დრო.

587.1. რაც შეეხება ბავშვის მიმართ მისი მშობლების მიერ ნაკისრ დახმარების ვალდებულებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) საფუძველზე მიღებული ბავშვის დახმარების მიზნის განხორციელებული გადახდების დამდგენი ნორმებით გათვალისწინებული წესით, მშობლის მიერ გაწეული დახმარების ბაზისური შენატანი ივარაუდება, რომ აკმაყოფილებს ბავშვის საჭიროებებსა და შეესაბამება მშობლების შესაძლებლობებს.

მშობლის მიერ გაწეული დახმარების ბაზისური შენატანი შეიძლება გაიზარდოს განსაზღვრულ წესებში მოცემულ ბავშვთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით იმ ფარგლებში, რომლებშიც აღნიშნული ხარჯები გონივრულია მშობლებისა და ბავშვის საჭიროებებისა შესაძლებლობების მხედველობაში მიღებით.

587.2. მშობლის მიერ თავისი შვილის მიმართ გასაწევი დახმარება უთანაბრდება ამ მშობლის მიერ გაწეული დახმარების ბაზისური შენატანის წილს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს ბავშვთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

თუმცაღა, სასამართლოს შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს დახმარების თანხის ოდენობა, როდესაც სახეზეა ნებისმიერი მშობლის აქტივების ღირებულებით ან ბავშვისათვის ხელმისაწვდომი სახსრებით უზრუნველყოფა ან-

და გასათვალისწინებელია ნებისმიერი მშობლის მიერ იმ ბავშვების მიმართ გასაწევი დახმარების ვალდებულება, რომლებიც არ არიან დასახელებული განცხადებაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ვალდებულება სირთულეებს უქმნის ამ მშობელს.

სასამართლოს შეუძლია ასევე გაზარდოს ან შეამციროს დახმარების თანხის ოდენობა, თუ ის მიიჩნევს, რომ, საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით, ამის განუხორციელებლობა შეუსაბამო სირთულეებს შეუქმნიდა ნებისმიერ მშობელს. ასეთი სირთულეები, სხვა მიზეზებთან ერთად, შეიძლება გამოწვეული იყოს იმ ხარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მიმართ მონახულების უფლებების განხორციელებასთან, სხვა პირების მიმართ, გარდა შვილებისა, დახმარების გაწევის ვალდებულებასთან ან იმ გონივრულ ვალებთან, რომლებიც აღებულ იქნა ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

587.3. მშობლებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ ისეთი შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ისინი განსაზღვრავენ ბავშვის დახმარების თანხის ისეთ ოდენობას, რომელიც განსხვავდება ბავშვის დახმარების მიზნის განხორციელებული გადახდების დამდგენი ნორმებით მოთხოვნილი ოდენობისაგან იმ პირობით, რომ სასამართლო რწმუნდება იმაში, რომ ბავშვის საჭიროებები ადეკვატურად არის გათვალისწინებული.

588. სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში შეუძლია დახმარების კრედიტორს საუზრუნველყოფო ღონისძიებების სახით მიანიჭოს დახმარების მიღების უფლება.

მას ასევე შეუძლია დახმარების კრედიტორს საუზრუნველყოფო ღონისძიებების სახით მიაკუთვნოს განსაზღვრული თანხა საქმის წარმოების ხარჯების დასაფარად.

589. დახმარების თანხა გადახდილ უნდა იქნეს საპენსიო თანხების გადახდის მსგავსად; თუმცა, სასამართლოს გამონაკლისის სახით შეუძლია შეცვალოს ან შეავსოს აღნიშნული დახმარების თანხა ნაღდი ანგარიშსწორების წესით ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ერთიანი თანხით.

590. თუ დახმარების თანხა გადახდილ უნდა იქნეს საპენსიო თანხების გადახდის მსგავსად, მისი ინდექსაცია ხდება ავტომატურად კანონის ძალით ყოველი წლის 1-ლ იანვარს კვებეკის საპენსიო სისტემის შესახებ კანონის (თავი R-9) 119-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური საპენსიო ინდექსაციის წესების მიხედვით იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს დახმარების თანხის მიკუთვნების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე მოთხოვნის რეალური მონეტარული ღირებულება.

თუმცაღა, როდესაც ინდექსაციის შესახებ განცხადება იწვევს მნიშვნელოვან დისბალანსს კრედიტორის საჭიროებებსა და მოვალის შესაძლებლობებს შორის, სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებისას შეუძლია განსაზღვროს ინდექსაციის სხვა საბაზისო განაკვეთი ან დაადგინოს, რომ მოთხოვნა არ ექვემდებარება ინდექსაციას.

591. თუ სასამართლო ამას აუცილებლად მიიჩნევს, მას შეუძლია დაავალოს მოვალეს, დახმარების თანხების გადახდისათვის, გარდა კანონისმიერი იპოთეკისა, წარადგინოს საკმარისი უზრუნველყოფა ან აღნიშნული გადახდის უზრუნველსაყოფად დაადგინოს ქონების მინდობილ საკუთრებაში გადაცემა.

592. თუ მოვალე დახმარების კრედიტორს სთავაზობს თავის სახლში საცხოვრებლად მიღებას, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ გარემოებები იძლევა ამის საშუალებას, ის შეიძლება გათავისუფლდეს დახმარების თანხების სრულად ან ნაწილობრივ გადახდის ვალდებულებისაგან.

593. კრედიტორს შეუძლია გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალება ერთ-ერთი დახმარების მოვალის მიმართ ან ერთდროულად რამდენიმე მათგანის მიმართ.

სასამართლო განსაზღვრავს იმ დახმარების თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს თითოეულმა მოვალემ, რომლის მიმართაც წარდგენილია სარჩელი ან მიმდინარეობს საქმის წარმოება.

594. დახმარების თანხის მიკუთვნების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება — მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა დახმარების თანხის ინდექსაცია თუ გადაანგარიშება — შეიძლება გადაისინჯოს სასამართლოს მიერ, როდესაც ეს გამართლებულია გარემოებებიდან გამომდინარე.

თუმცაღა, ერთიანი თანხის მიკუთვნების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ჯერ არ აღსრულებულა.

595. ბავშვის დახმარება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ საჭიროებებისათვის, რომლებიც არსებობდა განცხადების წარდგენამდე; თუმცა, ბავშვის დახმარების მოთხოვნა დაუშვებელია იმ საჭიროებებისათვის, რომლებიც არსებობდა განცხადების წარდგენამდე სამ წელზე მეტი ხნით ადრე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალე-მშობლის ქცევა სხვა მშობლისა თუ ბავშვის მიმართ გაკიცხვის ღირსი იყო.

თუ დახმარება არ მოითხოვება ბავშვისათვის, ის მაინც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იმ საჭიროებებისათვის, რომლებიც არსებობდა განცხადების წარდგენამდე, თუმცა — არა იმ საჭიროებებისათვის, რომლებიც არსებობდა განცხადების წარდგენამდე ერთ წელზე მეტი ხნით ადრე; ასეთ შემთხვევაში კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ უფრო ადრე მოქმედება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორმა მოვალისაგან მოითხოვა ვალდებულების შესრულება განცხადების წარდგენამდე ერთ წლის განმავლობაში, რა შემთხვევაშიც დახმარების თანხის გადახდის მიკუთვნება ხდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნის დღიდან.

596. მოვალეს, რომლისაგანაც ითხოვენ დავალიანების თანხას, შეუძლია სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი ან მისი კრედიტორის მდგომარეობის შეცვლა და გადახდის ვალდებულებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლება.

თუმცაღა, როდესაც მოთხოვნილი დავალიანების თანხის გადახდის ვადა დამდგარია უკვე ექვს თვეზე მეტი ხანია, მოვალე ვერანაირად ვერ გათავისუფლდება დავალიანების თანხის გადახდის ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აჩვენებს, რომ მისთვის შეუძლებელი იყო იმ სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლების განხორციელება, რომლითაც ხდება დახმარების თანხის განსაზღვრა.

596.1. იმისათვის, რომ მოხდეს მშობლების მიერ თავიანთი შვილისათვის გადასახდელი დახმარების თანხის ოდენობის განახლება, მშობლებმა, ერთ-ერთი მათგანის მოთხოვნის საფუძველზე და არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, ან სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, სისტემატურად უნდა აცნობონ ერთმანეთს თავიანთი შესაბამისი შემოსავლების მდგომარეობის შესახებ და ამ მიზნით მიაწოდონ ერთმანეთს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) საფუძველზე მიღებული ბავშვის დახმარების მიზნის განხორციელებული გადახდების დამდგენი ნორმებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

ერთ-ერთი მშობლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა მეორე მშობელს ანიჭებს უფლებას, ვალდებულების ნატურით შესრულებასა (specific performance) და სასამართლო ხარჯებთან ერთად, მოითხოვოს კომპენსაცია მიყენებული ზიანისათვის, რომელიც მოიცავს საზღაურს ადვოკატის საქმიანობისათვის და ნებისმიერ სხვა გაწეულ დანახარჯებს.

ტიტული 4
მშობლის უფლება

597. ყოველი შვილი, მიუხედავად ასაკისა, ვალდებულია პატივი სცეს თავის მამასა და დედას.

598. შვილი რჩება თავისი მამისა და დედის ძალაუფლების ქვეშ მის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე ან ემანსიპაციამდე.

599. მამასა და დედას აქვთ თავიანთი შვილების ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და განათლების მიცემის უფლებები და მოვალეობები.

მათ უნდა არჩინონ თავიანთი შვილები.

600. მამა და დედა ერთობლივად ახორციელებენ მშობლის უფლებას.

თუ ერთ-ერთი მშობელი გარდაიცვლება, ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება ან ის უუნაროა, გამოხატოს თავისი ნება, მშობლის უფლება ხორციელდება მეორე მშობლის მიერ.

601. მშობლის უფლების მქონე პირს შეუძლია ბავშვის ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და განათლების მიცემის მოვალეობები გადააკისროს სხვას.

602. არაემანსიპირებულ არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი საცხოვრებელი ადგილის მიტოვება მშობლის უფლების მქონე პირის თანხმობის გარეშე.

603. როდესაც მამა ან დედა თავიანთი შვილის მიმართ დამოუკიდებლად ახორციელებენ ძალაუფლებასთან დაკავშირებულ მოქმედებას, კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ ივარაუდება, რომ ის მოქმედებს მეორე მშობლის თანხმობით.

604. მშობლის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სირთულეების შემთხვევაში, მშობლის უფლების მქონე პირს შეუძლია შესაბამისი საკითხი განსახილველად გადასცეს სასამართლოს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ბავშვის ინტერესებში მხარეთა შორის დავის მორიგებით დამთავრების ხელშეწყობის მცდელობის შემდეგ.

605. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი საფუძვლით ზედამხედველობა ეკისრება ერთ-ერთ მშობელს ან მესამე პირს, მამა და დედა ინარჩუნებენ შვილების რჩენასა და განათლებაზე მეთვალყურეობის უფლებას და ვალდებული არიან, შეიტანონ თავიანთი წვლილი მათი შესაძლებლობების შესაბამისად.

606. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას და ასევე ბავშვის ინტერესებში სასამართლოს შეუძლია ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მამისათვის, დედისათვის ან ნებისმიერი მათგანისათვის ანდა იმ მესამე პირისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შესახებ, რომელსაც ეს უფლება მიენიჭა.

როდესაც ასეთი ღონისძიება არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არ მოთხოვება, თუმცა სარჩელის შეტანა მაინც აუცილებელია, სასამართლოს შეუძლია ზემოაღნიშნულის ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილება მშობლის უფლებას მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებების ან მათი რეალიზაციის შესაძლებლობის ჩამორთმევის შესახებ. სასამართლოს შეუძლია ასევე პირდაპირ განიხილოს უფლებამოსილებების ჩამორთმევის შესახებ განცხადება.

607. მშობლის უფლების ჩამორთმევის ან მშობლის უფლებას მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებების ჩამორთმევის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლოს შეუძლია დანიშნოს პირი, რომელმაც უნდა განახორციელოს მშობლის უფლებები ან ამ უფლებებს მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებები; საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია ასევე პირის დანიშვნამდე — ან თუ ეს მოითხოვება ბავშვის ინტერესებში, — მეურვის დანიშვნამდე მიიღოს სამეურვეო საბჭოს რეკომენდაცია.

608. უფლების ჩამორთმევა ვრცელდება ყველა იმ არასრულწლოვან შვილზე, რომლებიც დაბადებული არიან სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს.

609. უფლების ჩამორთმევა შედეგად იწვევს ბავშვის გათავისუფლებას დახმარების გაწევის ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად წყვეტს. თუმცა, როდესაც გარემოებები ამას ამართლებს, გათავისუფლება შეიძლება გაუქმდეს ბავშვის მიერ სრული ასაკის მიღწევის შემდეგ.

610. მამას ან დედას, რომლებსაც ჩამოერთვათ მშობლის უფლება ან მშობლის უფლებას მიკუთვნებული განსაზღვრული უფლებამოსილებები, შეუძლიათ ჩამორთმეული უფლების/უფლებამოსილებების დაბრუნება იმ პირობით, რომ ის უთითებს ახალ გარემოებებზე შვილად აყვანის მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

611. არც ერთ შემთხვევაში მამას ან დედას არ შეუძლია მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ჩაერიოს ბავშვსა და პაპა-ბებას შორის პირად ურთიერთობებში.

მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, აღნიშნული ურთიერთობების პირობები განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

612. შვილების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება სასამართლოს მიერ გადაისინჯოს ნებისმიერ დროს, თუ გარემოებების მიხედვით ეს გამართლებულია.

წიგნი მესამე
მემკვიდრეობა

ტიტული 1
სამკვიდროს გახსნა და მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო თვისებები

თავი 1
სამკვიდროს გახსნა

613. პირის ქონებაზე მემკვიდრეობა იხსნება მისი გარდაცვალებით ამ პირის უკანასკნელ საცხოვრებელ ადგილზე.

სამკვიდრო ქონების გადასვლა ხდება კანონით გათვალისწინებული დანაწესების შესაბამისად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვლილმა საანდერძო განკარგულებებით სხვაგვარად გაითვალისწინა მისი ქონების მემკვიდრეობით გადასვლა. ამ მხრივ mortis causa ნაჩუქრობები წარმოადგენს საანდერძო განკარგულებებს.

614. მემკვიდრეობის საკითხების რეგულირებისას კანონი არ ითვალისწინებს არც ნივთების წარმომავლობასა და არც მის ბუნებას; ყველა ნივთი ქმნის ერთიან ქონებას.

615. როდესაც პირი გარდაიცვლება ისე, რომ მას რჩება კვებეკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქონება ან იმ პირების მიმართ არსებული მოთხოვნები, რომლებიც არ ცხოვრობენ კვებეკში, დადასტურების დოკუმენტების (letters of verification) მიღება შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებული წესით.

616. როდესაც პირები გარდაიცვლებიან და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი გარდაიცვალა უფრო გვიან, მიიჩნევა, რომ ისინი გარდაიცვალნენ ერთდროულად, თუ, სულ ცოტა, ერთ-ერთი მათგანი მოიწვევა მეორის მემკვიდრეობის მისაღებად.

ასეთ შემთხვევაში თითოეულის მემკვიდრეობა გადადის იმ პირებზე, რომელთა მოწვევაც მოხდებოდა მათ ნაცვლად მემკვიდრეობის მისაღებად.

თავი 2
მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო თვისებები

617. მემკვიდრეობის მიღება შეუძლიათ იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც ცოცხალი არიან სამკვიდროს გახსნის მომენტში, მათ შორის, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირები, რომლებიც ივარაუდება, რომ არიან ცო–ცხალი აღნიშნულ მომენტში, და ჩასახული, თუმცა ჯერ დაუბადებელი შვილები, თუ ისინი ცოცხლად იბადებიან და სიცოცხლისუნარიანი არიან.

სუბსტიტუციის ან ტრასტის შემთხვევაში, მემკვიდრეობის მიღება შეუძლიათ ასევე იმ პირებსაც, რომლებაც აქვთ მემკვიდრეობის მიღებისათვის საჭირო თვისებები, როდესაც შესაბამისი განკარგულება თავის შედეგებს წარმოშობს მათ მიმართ.

618. სახელმწიფოს შეუძლია ქონების ანდერძით მირება. იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ანდერძით ის ქონება, რომლის ფლობაც მათ სამართლებრივად შეუძლიათ.

მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს ტრასტისათვის გამიზნული ლეგატი ან ის ლეგატი, რომელიც გამოიყენება ტრასტის მიზნის განსახორციელებლად.

619. უფლებამონაცვლე, რომელზეც გადადის მემკვიდრეობა ანდერძის არარსებობის შემთხვევაში, ან რომელიც ანდერძით იღებს უნივერსალურ ლეგატს ან ლეგატს საერთო სამართლებრივი საფუძვლით, წარმოადგენს მემკვიდრეს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან იმ პირობით, რომ ის იღებს მას.

620. შემდეგი პირები არ არიან ღირსი, მიიღონ მემკვიდრეობა კანონის ძალით:

1) პირი, რომელიც მსჯავრდებულია გარდაცვლილი პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობისათვის;

2) პირი, რომელსაც ჩამოერთვა თავისი შვილის მიმართ მშობლის უფლება — შვილის დახმარების გაწევის ვალდებულებისაგან გათავისუფლებით, — ამ შვილის მემკვიდრეობის მიმართ.

621. შემდეგი პირები შეიძლება გამოცხადნენ უღირსად, მიიღონ მემკვიდრეობა:

1) პირი, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი გარდაცვლილის მიმართ

სასტიკ მოპყრობაში ან რომელიც სხვაგვარად მოიქცა მის მიმართ ძალიან გასაკიცხი ფორმით;

2) პირი, რომელმაც არაკეთილსინდისიერად დამალა, შეცვალა ან გაანადგურა გარდაცვლილის ანდერძი;

3) პირი, რომელმაც ხელი შეუშალა მოანდერძეს მისი ანდერძის შედგენაში, შეცვლასა თუ გაუქმებაში.

622. მემკვიდრე არ არის უღირსი და არც ექვემდებარება ასეთად გამოცხადებას, თუ გარდაცვლილმა იცოდა უღირსობის მიზეზის შესახებ და მაინც წყალობდა მას ან არ შეცვალა თავისი გულუხვობა იმ დროს, როდესაც მას შეეძლო ამის გაკეთება.

623. სამკვიდროს გახსნის ან უღირსობის მიზეზის შეტყობის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში ნებისმიერ უფლებამონაცვლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მემკვიდრის უღირსად ცნობის მოთხოვნით, თუ ეს მემკვიდრე არ არის უღირსი კანონის ძალით.

624. გარდაცვლილის ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის კეთილსინდისიერი მეუღლე იღებს მემკვიდრეობას, თუ ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი ბათილად იქნა ცნობილი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ.

ტიტული 2
ქონების მემკვიდრეობით გადასვლა

თავი 1
სამკვიდროს მიღება (SEISIN)

625. მემკვიდრეები გარდაცვლილის სამკვიდროს იღებენ პირის გარდაცვალებით ან იმ გარემოებების დადგომით, რომლითაც ხდება ლეგატის ამოქმედება, სამკვიდრო ქონების ლიკვიდაციის ნორმათა გათვალისწინებით.

წინამდებარე წიგნში მოცემული გამონაკლების გათვალისწინებით, მემკვიდრეები არ აგებენ პასუხს გარდაცვლილის ვალდებულებებისათვის მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებაზე მეტი ოდენობით და ისინი ინარჩუნებენ უფლებას, მოითხოვონ სამკვიდრო ქონებიდან თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მემკვიდრეები მემკვიდრეობით იღებენ გარდაცვლილის კუთვნილ მოთხოვნის უფლებებს მისი პირადი უფლებების ნებისმიერი დარღვევის ავტორის მიმართ ან ავტორის წარმომადგენლის მიმართ.

თავი 2
განაცხადი მემკვიდრეობის მიღებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები ქონების მემკვიდრეობით გადასვლის მიმართ

626. უფლებამონაცვლე უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს თავისი მემკვიდრეობის ცნობა 10 წლის განმავლობაში იმ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, რომლის მიმართაც ის ამტკიცებს, რომ არის უფლებამოსილი ან — მისი უფლების წარმოშობის დღიდან.

627. უფლებამონაცვლის მემკვიდრედ ცნობისას მოჩვენებითი მემკვიდრე ვალდებულია დააბრუნოს ყველაფერი, რაც მან სამკვიდროდან უფლების გარეშე მიიღო ვალდებულებების შესახებ წიგნში მოცემული იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ეხება შესრულებულის უკან დაბრუნებას.

628. ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის ღირსი, მიიღოს მემკვიდრეობა, და რომელმაც მიიღო ქონება მემკვიდრეობით, მიიჩნევა არაკეთილსინდისიერ მოჩვენებით მემკვიდრედ.

629. გარდაცვლილი პირის ვალდებულებები, რომლებიც შესრულებულია მოჩვენებითი მემკვიდრის მიერ სხვაგვარად, ვიდრე სამკვიდრო ქონებიდან, ექვემდებარება ანაზღაურებას ნამდვილი მემკვიდრის მიერ.

თავი 3
არჩევანის უფლება

განყოფილება 1
მოფიქრება და არჩევანის გაკეთება

630. ყოველ უფლებამონაცვლეს აქვს მემკვიდრეობის მიღების ან მასზე უარის უფლება.

არჩევანის უფლება არ ექვემდებარება დაყოფას. თუმცაღა, მემკვიდრეობის მიღებაზე რამდენჯერმე მოწვეულ უფლებამონაცვლეს აქვს დამოუკიდებელი არჩევანის უფლება თითოეულ შემთხვევაში.

631. არავის შეუძლია თავისი არჩევანის უფლების რეალიზაცია ჯერ კიდევ გაუხსნელი სამკვიდროს მიმართ ან დადოს ნებისმიერი შეთანხმება ასეთ სამკვიდროსთან დაკავშირებით თუნდაც იმ პირის თანხმობით, რომლის სამკვიდროსაც ის წარმოადგენს.

632. უფლების წარმოშობის დღიდან უფლებამონაცვლეს აქვს ექვსი თვე მოფიქრებისა და თავისი არჩევანის უფლების განხორციელებისათვის. ეს ვადა გრძელდება ავტომატურად კანონის ძალით იმდენი დღით, რამდენიც საჭიროა ინვენტარიზაციის დასრულებამდე მისთვის 60-დღიანი ვადის მინიჭებისათვის.

მოფიქრების ვადის განმავლობაში დაუშვებელია უფლებამონაცვლის, როგორც მემკვიდრის, მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან უკვე მიიღო მემკვიდრეობა.

633. თუ უფლებამონაცვლე, რომლისათვისაც ცნობილია მისი მემკვიდრეობის უფლების შესახებ, მოფიქრების ვადის განმავლობაში უარს არ აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, ივარაუდება, რომ მან მიიღო მემკვიდრეობა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვადის გაგრძელება მოხდა სასამართლოს მიერ. თუ უფლებამონაცვლისათვის არ არის ცნობილი მისი მემკვიდრეობის უფლების შესახებ, ის შეიძლება დაავალდებულონ, განახორციელოს თავისი არჩევანის უფლება სასამართლოს მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში.

თუ უფლებამონაცვლე არ ახორციელებს თავის არჩევანის უფლებას სასამართლოს მიერ განსაზღვრული დროის განმავლობაში, ივარაუდება, რომ მან უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე.

634. თუ უფლებამონაცვლე 632-ე მუხლში დადგენილი მოფიქრების ვადის განმავლობაში უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, აღნიშნული დროისათვის გაწეული მართლზომიერი ხარჯები ეკისრება სამკვიდრო ქონებას.

635. თუ უფლებამონაცვლე გარდაიცვლება თავისი არჩევანის უფლების განხორციელებამდე, მისი მემკვიდრეები ფიქრობენ და ახორციელებენ თავიანთ არჩევანის უფლებას მათი წინამორბედის უფლებამონაცვლეობასთან დაკავშირებით მათთვის მოფიქრებისა და არჩევანის უფლების განხორციელებისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში.

უფლებამონაცვლის თითოეული მემკვიდრე დამოუკიდებლად ახორციელებს თავის არჩევანის უფლებას; იმ მემკვიდრის წილი, რომელიც უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, ემატება თანამემკვიდრეებს.

636. პირს, რომელმაც განახორციელა თავისი არჩევანის უფლება, შეუძლია მიაღწიოს მის ბათილობას იმ საფუძვლებითა და ვადის განმავლობაში, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებების ბათილობისათვის.

განყოფილება 2
სამკვიდროს მიღება

637. სამკვიდროს მიღება ხდება პირდაპირი ნების გამოვლენით ან უსიტყვოდ. ის შესაძლოა ასევე გამომდინარეობდეს კანონიდანაც.

სამკვიდროს მიღება ხდება პირდაპირი ნების გამოვლენით, როდესაც უფლებამონაცვლე ფორმალურად იძენს მემკვიდრის უფლებასა თუ თვისებას; ამავე დროს ის ხდება უსიტყვოდ, როდესაც უფლებამონაცვლე ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რაც აუცილებლად გულისხმობს მის მიერ სამკვიდროს მიღების ნებას.

638. არასრულწლოვანზე, სრული ასაკის დაცულ პირსა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირზე მემკვიდრეობის გადასვლისას სამკვიდრო ითვლება მიღებულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადგილი აქვს მასზე უარს მოფიქრებისა და არჩევანის უფლების განხორციელებისათვის დადგენილი ვადის განმავლობაში,

1) არაემანსიპირებული არასრულწლოვანის, მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი სრულწლოვანი პირის ან უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის შემთხვევაში, უფლებამონაცვლის წარმომადგენლის მიერ სამეურვეო საბჭოს ნებართვით;

2) ემანსიპირებული არასრულწლოვანის ან იმ სრული ასაკის პირის შემთხვევაში, რომელსაც ესაჭიროება დახმარება, — თავად უფლებამონაცვლის მიერ მისი მეურვისა თუ მრჩევლის დახმარებით.

არც ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანს, სრული ასაკის დაცულ პირსა თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა მემკვიდრეობის ვალებისათვის მის მიერ მიღებული ქონების ღირებულებაზე მეტი ოდენობით.

639. ის ფაქტი, რომ უფლებამონაცვლე ათავისუფლებს სამკვიდროს ლიკვიდატორს ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან ან მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ახდენს სამკვიდრო ქონების შერევას თავის პირად ქონებასთან, შედეგად იწვევს სამკვიდროს მიღებას.

639. სამკვიდრო ივარაუდება მიღებულად, როდესაც უფლებამონაცვლე, რომელმაც იცის, რომ სამკვიდროს ლიკვიდატორი უარს აცხადებს ინვენტარიზაციის ჩატარებაზე ან უგულებელყოფს მას, თავად უგულებელყოფს ინვენტარიზაციის ჩატარებას ან სასამართლოსათვის მიმართვას ლიკვიდატორის შეცვლის მოთხოვნით ანდა მისთვის ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულების დაკისრებით მოფიქრებისათვის მიცემული ექვსთვიანი ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში.

641. პირის მიერ სამკვიდრო ქონებისათვის თავისი უფლებების უსასყიდლოდ ან სასყიდლით გადაცემა შედეგად იწვევს სამკვიდროს მიღებას.

იგივე წესი მოქმედებს ერთი ან რამდენიმე თანამემკვიდრის სასარგებლოდ — თუნდაც უსასყიდლოდ — სამკვიდროს მიღებაზე უარის მიმართ და ასევე სასყიდლით უარის მიმართაც კი, თუნდაც ის განურჩევლად ყველა თანამემკვიდრის სასარგებლო ყოფილიყო.

642. ქონების უბრალო შენარჩუნებისაკენ მიმართული ქმედებები, ასევე — საზედამხედველო ქმედებები და დროებითი მართვა თავისთავად შედეგად არ იწვევს სამკვიდროს მიღებას.

იგივე წესი გამოიყენება იმ მოქმედების მიმართ, რომელიც აუცილებელია განსაკუთრებული გარემობებიდან გამომდინარე და რომელსაც უფლებამონაცვლე ახორციელებს მემკვიდრეობის ინტერესებში.

643. გარდაცვლილის ტანსაცმლის, პირადი ქაღალდების, მედლებისა და დიპლომების, ასევე — ოჯახის სამახსოვრო საჩუქრების განაწილება თავისთავად შედეგად არ იწვევს სამკვიდროს მიღებას, თუ ის განხორციელდა ყველა უფლებამონაცვლეს შორის არსებული შეთანხმებით.

უფლებამონაცვლის მიერ მის სასარგებლოდ მემკვიდრეობით გადასული იმ ადგილის მიღება, რომელიც განკუთვნილია ცხედრის ან ფერფლის განთავსებისათვის, შედეგად არ იწვევს სამკვიდროს მიღებას.

644. თუ სამკვიდრო ქონება მოიცავს მალფუჭებად ნივთებს, უფლებამონაცვლეს სამკვიდროს ლიკვიდატორის დანიშვნამდე შეუძლია გაყიდოს ის შეთანხმების საფუძველზე ან თუ ის დროულად ვერ პოულობს მყიდველს, — გადასცეს ეს ნივთები საქველმოქმედო დაწესებულებებს ან გაანაწილოს ისინი უფლებამონაცვლეთა შორის მისი მხრიდან სამკვიდროს მიღების განზრახვის გარეშე.

მას ასევე შეუძლია იმ მოძრავი ნივთების გასხვისება, რომლებიც, მართალია, არ არის მალფუჭებადი, თუმცა მათი შენახვა ძვირია ან სავარაუდოდ ისინი სწრაფად გაუფასურდება. ასეთ შემთხვევაში ის მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველი.

645. სამკვიდროს მიღება ადასტურებს მემკვიდრეობის გადასვლას, რასაც ადგილი ჰქონდა კანონის ძალით მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში.

განყოფილება 3
სამკვიდროს მიღებაზე უარი

646. სამკვიდროს მიღებაზე უარი ხორციელდება პირდაპირი ნების გამოვლენით ან უსიტყვოდ. ის ასევე შესაძლოა გამომდინარეობდეს კანონიდანაც.

სამკვიდროს მიღება პირდაპირი ნების გამოვლენით ხორციელდება საჯარო სანოტარო აქტის სახით ან სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით, რომელიც იწერება ოქმში.

647. პირი, რომელიც უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, მიიჩნევა, რომ არასოდეს ყოფილა უფლებამონაცვლე.

648. უფლებამონაცვლეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ პირობით, რომ მან არ განახორციელა ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რაც შედეგად იწვევს სამკვიდროს მიღებას, და რომ არანაირი კანონიერ ძალში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება (res judicata) არ იქნა მის, როგორც მემკვიდრის, მიმართ მიღებული.

649. უფლებამონაცვლე, რომელმაც უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, ინარჩუნებს მისი მიღების უფლებას 10 წლის განმავლობაში ამ უფლების წარმოშობის დღიდან იმ პირობით, რომ მემკვიდრეობა არ იქნა მიღებული სხვის მიერ.

სამკვიდროს მიღება ხორციელდება საჯარო სანოტარო აქტის სახით ან სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით, რომელიც ჩაიწერება ოქმში.

მემკვიდრე სამკვიდროს იღებს იმ ფაქტობრივ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება მიღების მომენტში, და მესამე პირთა მიერ მასში შემავალი ობიექტების მიმართ არსებული უფლებების გათვალისწინებით.

650. იმ უფლებამონაცვლის მიმართ, რომელმაც არ იცოდა მისი როგორც მემკვიდრის სტატუსის შესახებ ან არაფერი იცოდა ამის შესახებ 10 წლის განმავლობაში მისი უფლების წარმოშობის დღიდან, მიიჩნევა, რომ მან უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე.

651. იმ უფლებამონაცვლის მიმართ, რომელმაც სამკვიდროდან არაკეთილსინდისიერად მოიპარა ქონებრივი ობიექტები ან გადამალა ისინი ანდა არ მოახდინა ქონების ინვენტარიზაცია, მიიჩნევა, რომ მან უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე მიუხედავად ნებისმიერი წინასწარი თანხმობისა.

652. იმ უფლებამონაცვლის კრედიტორებს, რომელმაც უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, შეუძლიათ — იმ შემთხვევაში, თუ უარი არღვევს მათ უფლებებს — ერთი წლის განმავლობაში მიმართონ სასამართლოს იმის შესახებ განცხადების (declaration) მისაღებად, რომ ეს უარი ვერ იქნება გამოყენებული მათ წინააღმდეგ და მიიღონ მემკვიდრეობა მათი მოვალის ნაცვლად.

სამკვიდროს მიღებას აქვს სამართლებრივი ძალა მხოლოდ უფლებამონაცვლის კრედიტორების სასარგებლოდ და მხოლოდ მათი მოთხოვნების ოდენობით.

ტიტული 3
ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობით გადასვლა

თავი 1
მემკვიდრის სტატუსი

653. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად გათვალისწინებულია საანდერძო განკარგულებებით, ქონება მემკვიდრეობით გადადის გარდაცვლილის ცოცხლად დარჩენილ ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მეუღლესა და ნათესავებზე წინამდებარე ტიტულით დადგენილი რიგითობითა და წესების შესაბამისად. როდესაც სახეზე არ არის მემკვიდრე, სამკვიდრო ქონება მემკვიდრეობით გადადის სახელმწიფოზე.

654. ცოცხლად დარჩენილი მეუღლეს მემკვიდრის სტატუსი არ არის დამოკიდებული ქორწინებიდან ან სამოქალაქო კავშირიდან გამომდინარე მის უფლებებსა და სარგებელზე უარის თქმაზე.

თავი 2
ნათესაობა

655. ნათესაობა ეფუძნება სისხლისმიერ ან შვილად აყვანით შექმნილ კავშირებს.

656. ნათესაური ურთიერთობის ხარისხი განისაზღვრება თაობათა რაოდენობით, რომელთაგან თითოეული ქმნის ერთ რიგს. რიგების წყება ქმნის პირდაპირ ხაზს ან გვერდითა ხაზს.

657. პირდაპირი ხაზი წარმოადგენს რიგების წყებას იმ პირთა შორის, რომელთაგან ერთი პირი წარმოიშვა მეორისაგან. პირდაპირ ხაზში რიგების რაოდენობა უტოლდება უფლებამონაცვლესა და გარდაცვლილს შორის თაობათა რაოდენობას.

658. დაღმავალი პირდაპირი ხაზი პირს აკავშირებს მის შთამომავალთან; აღმავალი პირდაპირი ხაზი პირს აკავშირებს მის წინაპრებთან.

659. გვერდითა ხაზი წარმოადგენს რიგების წყებას იმ პირთა შორის, რომლებიც წარმოიშვნენ არა ერთიმეორისაგან, არამედ საერთო წინაპრისაგან.

გვერდითა ხაზში რიგების რაოდენობა უტოლდება უფლებამონაცვლესა და საერთო წინაპარს შორის და ასევე — საერთო წინაპარსა და გარდაცვლილს შორის თაობათა რაოდენობას.

თავი 3
მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით (REPRESENTATION)

660. მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით წარმოადგენს კანონით მინიჭებულ პრივილეგიას, რითაც ნათესავი მოიწვევა იმ მემკვიდრეობის მისაღებად, რომელსაც მიიღებდა მისი წინაპარი, ვინც გარდაცვლილის ახლო ნათესავია, თუმცა უუნაროა, თავად მიიღოს მემკვიდრეობა ადრევე ან ერთდროულად გარდაცვალების ანდა უღირს მემკვიდრედ ცნობის გამო.

661. დაღმავალ პირდაპირ ხაზში მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით შეუზღუდავია.

მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით დასაშვებია, თუ გარდაცვლილის შვილები უწევენ მეტოქეობას წარმოდგენილი შვილის შთამომავლებს ან თუ გარდაცვლილის ყველა შვილი არის გარდაცვლილი ან უღირსი, — მათი შთამომავლები ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან თანაბარი ან არათანაბარი ნათესაობის რიგებში.

662. მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით არ ხდება აღმავალი ხაზით ნათესავების, ყოველ ხაზში უახლესი აღმავალი ხაზით ნათესავის სასარგებლოდ უფრო შორეული ნათესავის გამორიცხვით.

663. გვერდითა ხაზში მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით ადგილი აქვს, ერთი მხრივ, პრივილეგირებულ გვერდითა ხაზით ნათესავებს შორის, გარდაცვლილის ძმებისა და დების პირველ რიგში შთამომავლების სასარგებლოდ მიუხედავად იმისა, ისინი უწევენ მეტოქეობას ერთმანეთს თუ არა და, მეორე მხრივ, ჩვეულებრივ გვერდითა ხაზით ნათესავებს შორის, — გარდაცვლილის ძმებისა და დების სხვა რიგებში სხვა შთამომავლების სასარ-

გებლოდ მიუხედავად იმისა, ერთმანეთის მიმართ იმყოფებიან თუ არა ისინი თანაბარი ან არათანაბარი ნათესაობის რიგებში.

664. პირი, რომელმაც უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, ვერ იქნება წარმოდგენილი, თუმცა ის პირი, რომლის სამკვიდროს მიღებაზეც უარი იქნა გაცხადებული, შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

665. ყველა შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით დაშვებულია, სამკვიდროს გაყოფა ხორციელდება გვარის ხაზების მიხედვით (by roots).

თუ ერთი გვარის ხაზს აქვს რამდენიმე განშტოება, ქვედანაყოფები ასევე კეთდება გვარის ხაზების მიხედვით თითოეულ განშტოებაში და ერთი და იგივე განშტოების წევრები ინაწილებენ სამკვიდრო ქონებას სულადობრივად.

თავი 4
მემკვიდრეობის გადასვლის რიგითობა

განყოფილება 1
მემკვიდრეობის გადასვლა ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და შთამომავლებზე

666. თუ გარდაცვლილი პირი ტოვებს მეუღლესა და შთამომავლებს, მემკვიდრეობა გადადის მათზე.

მეუღლე იღებს სამკვიდრო ქონების ერთ მესამედს, ხოლო შთამომავლები კი იღებენ ორ მესამედს.

667. როდესაც სახეზე არ არის მეუღლე, მთელი სამკვიდრო ქონება გადადის შთამომავლებზე.

668. თუ მემკვიდრეობის მიმღები ყველა შთამომავალი ერთი და იგივე რიგს მიეკუთვნება და მოიწვევა დამოუკიდებლად, ისინი სამკვიდრო ქონებას ინაწილებენ თანაბარწილად და სულადობრივად.

თუ სახეზეა მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით, მაშინ შთამომავლები სამკვიდრო ქონებას ინაწილებენ გვარის ხაზების მიხედვით.

669. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით, ყველაზე ახლო რიგის შთამომავალი იღებს შთამომავალების წილს ყველა სხვა შთამომავლის გამორიცხვით.

განყოფილება 2
მემკვიდრეობის გადასვლა ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და აღმავალი ან გვერდითა ხაზებით პრივილეგირებულ ნათესავებზე

670. გარდაცვლილი პირის მამა და დედა წარმოადგენენ პრივილეგირებულ აღმავალი ხაზით ნათესავებს.

გარდაცვლილი პირის ძმები და დები და მათი პირველი რიგის შთამომავალები წარმოადგენენ პრივილეგირებულ გვერდითა ხაზით ნათესავებს.

671. როდესაც სახეზე არ არიან არც შთამომავალები, პრივილეგირებული აღმავალი ხაზით ნათესავები და არც პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავები, მთელი სამკვიდრო ქონება გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე.

672. როდესაც სახეზე არ არიან შთამომავალები, სამკვიდრო ქონების ორი მესამედი გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე, ხოლო ერთ მესამედი კი — პრივილეგირებულ აღმავალი ხაზით ნათესავებზე.

673. როდესაც სახეზე არ არიან შთამომავალები და პრივილეგირებული აღმავალი ხაზით ნათესავები, სამკვიდრო ქონების ორი მესამედი გადადის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე, ხოლო ერთ მესამედი კი — პრივილეგირებულ გვერდითა ხაზით ნათესავებზე.

674. როდესაც სახეზე არ არიან შთამომავალები და ცოცხლად დარჩენილ მეუღლე, სამკვიდრო ქონება თანაბრად იყოფა პრივილეგირებულ აღმავალი ხაზით ნათესავებსა და პრივილეგირებულ გვერდითა ხაზით ნათესავებს შორის.

როდესაც სახეზე არ არიან პრივილეგირებული აღმავალი ხაზით ნათესავები, პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავები იღებენ მთელ სამკვიდროს, და ასევე, — პირიქით.

675. როდესაც სამკვიდროს იღებენ პრივილეგირებული აღმავალი ხაზით ნათესავები, ისინი ქონებას იყოფენ თანაბრად; როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი პრივილეგირებული აღმავალი ხაზით ნათესავი იღებს სამკვიდროს, ის მიიღებს იმ წილს, რომელიც გადავიდოდა სხვაზე.

676. როდესაც პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავები, რომლებიც იღებენ სამკვიდროს, სისხლით სრულად ენათესავებიან გარდაცვლილს, ისინი ქონებას იყოფენ თანაბრად ან, გარემოებების გათვალისწინებით, — გვარის ხაზების მიხედვით.

როდესაც ასეთ შემთხვევას ადგილი არა აქვს, ის წილი, რომელიც გადადის მათზე, თანაბრად იყოფა გარდაცვლილის მამისა და დედის ხაზებს შორის; სისხლით სრულად დაკავშირებული პირები მონაწილეობენ ორივე ხაზში, ხოლო იმ პირთაგან, რომლებიც სანახევროდ ენათესავებიან გარდაცვლილს, თითოეული მონაწილეობს საკუთარი ხაზით.

თუ პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავები სახეზე არიან მხოლოდ ერთ ხაზში, ისინი იღებენ მთელ სამკვიდროს სხვა ხაზში ყველა დანარჩენი აღმავალი და ჩვეულებრივი გვერდითა ხაზით ნათესავის გამორიცხვით.

განყოფილება 3
მემკვიდრეობის გადასვლა ჩვეულებრივი აღმავალი და გვერდითა ხაზებით ნათესავებზე

677. ჩვეულებრივი აღმავალი და გვერდითა ხაზით ნათესავები მოიწვევიან მემკვიდრეობის მისაღებად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილს არ დარჩა მეუღლე, შთამომავალები და პრივილეგირებული აღმავალი ან გვერდითა ხაზით ნათესავები.

678. თუ ჩვეულებრივი გვერდითა ხაზით ნათესავებში შედიან პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავების შთამომავალები, ეს უკანასკნელები იღებენ სამკვიდრო ქონების ნახევარს, ხოლო მეორე ნახევარი კი გადადის აღმავალი ხაზით ნათესავებსა და დანარჩენ გვერდითა ხაზით ნათესავებზე.

როდესაც სახეზე არ არიან პრივილეგირებული გვერდითა ხაზით ნათესავების შთამომავალები, მთელი სამკვიდრო ქონება გადადის აღმავალი ხაზით ნათესავებსა და დანარჩენ გვერდითა ხაზით ნათესავებზე, და ასევე, — პირიქით.

679. მემკვიდრეობა, რომელიც გადადის გარდაცვლილის ჩვეულებრივ აღმავალი ხაზით ნათესავებსა და დანარჩენ გვერდითა ხაზით ნათესავებზე, თანაბრად იყოფა გარდაცვლილის მამისა და დედის ხაზებს შორის.

თითოეულ ხაზში მემკვიდრეობის მიმღები პირები სამკვიდრო ქონებას ინაწილებენ სულადობრივად.

680. თითოეულ ხაზში მეორე რიგის აღმავალი ხაზით ნათესავი იღებს მისი ხაზისათვის განკუთვნილ წილს დანარჩენი ჩვეულებრივი აღმავალი ან გვერდითა ხაზით ნათესავების გამორიცხვით.

როდესაც ერთ ხაზში სახეზე არ არის მეორე რიგის აღმავალი ხაზით ნათესავი, ამ ხაზისათვის განკუთვნილი წილი გადადის უახლოეს ჩვეულებრივ გვერდითა ხაზით ნათესავებზე, რომლებიც წარმოიშვნენ აღნიშნული აღმავალი ხაზით ნათესავისაგან.

681. როდესაც ერთ ხაზში სახეზე არ არიან ჩვეულებრივი გვერდითა ხაზით ნათესავები, რომლებიც წარმოიშვნენ მეორე რიგის აღმავალი ხაზით ნათესავისაგან, ამ ხაზისათვის განკუთვნილი წილი გადადის მესამე რიგის აღმავალი ხაზით ნათესავებზე ან თუ ეს უკანასკნელებიც არ არიან სახეზე, — უახლოეს ჩვეულებრივ გვერდითა ხაზით ნათესავებზე, რომლებიც მათგან წარმოიშვნენ და ასე შემდეგ მანამდე, სანამ მემკვიდრეობის რიგებში აღარ დარჩებიან ნათესავები.

682. თუ მემკვიდრეობის რიგებში სახეზე არ არიან ნათესავები ერთ ხაზში, სხვა ხაზში ნათესავები იღებენ მთელ სამკვიდროს.

683. მერვე რიგის მიღმა არსებული ნათესავები მემკვიდრეობას არ იღებენ.

თავი 5
დახმარების გაწევის ვალდებულების შენარჩუნება

684. დახმარების ყოველ კრედიტორს შეუძლია მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდრო ქონებიდან დახმარების სახით მოითხოვოს ფინანსური შენატანი.

უფლება არსებობს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კრედიტორი წარმოადგენს მემკვიდრეს ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარს ანდა როდესაც დახმარების უფლება არ იქნა განხორციელებული გარდაცვალების დღემდე, თუმცა ასეთი უფლება არ არსებობს იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც არ არის ღირსი, მიიღოს გარდაცვლილისაგან მემკვიდრეობა.

685. შენატანი ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორების წესით ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ერთიანი თანხის სახით.

დახმარების კრედიტორებისათვის განხორციელებული შენატანი, გარდაცვლილის იმ წინა მეუღლის მიმართ განხორციელებული შენატანის გამორიცხვით, რომელიც ფაქტობრივად იღებდა დახმარებას გარდაცვალების მომენტში, დგინდება მემკვიდრეობის იმ ლიკვიდატორთან შეთანხმებით, რომელიც მოქმედებს მემკვიდრისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარის თანხმობით ან შეთანხმების მიუღწევლობისას, — სასამართლოს მიერ.

686. შენატანის დადგენისას მხედველობაში მიიღება დახმარების კრედიტორის საჭიროებები და შესაძლებლობები, ის გარემობები, რომელშიც ის იმყოფება, და საკმარისი ავტონომიის მოპოვებისათვის აუცილებელი დრო ან თუ ის გარდაცვლილისაგან ფაქტობრივად იღებდა დახმარებას გარდაცვალების მომენტში, სასამართლოს მიერ დახმარების გადახდისათვის დადგენილი ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხები ან დახმარების სახით მიკუთვნებული ერთიანი თანხა.

მხედველობაში მიიღება ასევე მემკვიდრეობის აქტივები, დახმარების კრედიტორის მიერ მემკვიდრეობიდან მიღებული სარგებელი, მემკვიდრისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარის საჭიროებები და შესაძლებლობები და, შესაბამის შემთხვევაში, — დახმარების უფლება, რომელიც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს სხვა პირების მიერ.

687. როდესაც შენატანის განხორციელება მოითხოვება მეუღლის ან შთამომავლის მიერ, გარდაცვლილის მიერ გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში inter vivos გარიგებებში — და ასევე იმ გარიგებებში, რომლებიც ძალაში შედის გარდაცვალებისთანავე, — გამოვლენილი გულუხვობების ღირებულება შენატანის ოდენობის დადგენისათვის განიხილება როგორც მემკვიდრეობის ნაწილი.

688. მეუღლის ან შთამომავლისათვის მინიჭებული შენატანი არ უნდა აღემატებოდეს სხვაობას იმ წილის ნახევარს, — რომელსაც ის შესაძლოა მოითხოვდა იმ შემთხვევაში, თუ მთელი სამკვიდრო, მათ შორის, გულუხვობების ღირებულება გადავიდოდა კანონის შესაბამისად, — და იმას შორის, რასაც ის იღებს მემკვიდრეობიდან.

ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული შენატანი უტოლდება 12-თვიანი დახმარების ღირებულებას, ხოლო სხვა დახმარების კრედიტორებისათვის განხორციელებული შენატანი კი უტოლდება ექვსთვიანი დახმარების ღირებულებას, თუმცაღა, არც ერთ შემთხვევაში — თუნდაც როდესაც კრედიტორი ფაქტობრივად იღებდა დახმარებას გარდაცვლილლისაგან საკმვიდროს გახსნის მომენტში — ასეთი შენატანი არ უნდა აღემატებოდეს 12-თვიანი ან ექვსთვიანი დახმარების ყველაზე ნაკლები ღირებულებისა და სამკვიდროს ღირებულების 10%-ს, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, — გულუხვობების ღირებულების ჩათვლით.

689. როდესაც გარდაცვლილის მიერ გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში inter vivos გარიგებებით განხორციელებული გულუხვობების შედეგად — და ასევე იმ გარიგებების შედეგად, რომლებიც ძალაში შედის გარდაცვალებისთანავე, — მემკვიდრეობის აქტივები არასაკმარისია მეუღლის ან შთამომავლის სასარგებლოდ განსახორციელებელი შენატანების სრულად განხორციელებისათვის, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს გულუხვობების შემცირება.

თუმცა, დაუშვებელია იმ გულუხვობების შემცირება, რომლებსაც დაეთანხმნენ მეუღლე ან შთამომავალი, ხოლო მათ მიერ მიღებული გულუხვობები კი მიეწერება მათ მოთხოვნას.

690. გარდაცვლილის მიერ შესრულების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ქონების გასხვისება, უზრუნველყოფა ან უფლებრივი დატვირთვა აშკარად უფრო ნაკლები ღირებულებით, ვიდრე ქონების რეალური ღირებულება შეადგენს აღნიშნულ მომენტში, ივარაუდება, რომ წარმოადგენს გულუხვობას.

691. გულუხვობად მიიჩნევა სარგებელი 415-ე მუხლით გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის მიხედვითა თუ პირთა დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით, როდესაც აღნიშნული სარგებელი მემკვიდრეობის ნაწილი გახდებოდა ან გადახდილი იქნებოდა კრედიტორის მიმართ გარდაცვლილის მიერ გარდაცვალებამდე სამი წლის განმავლობაში სუროგატული მფლობელისა თუ ბენეფიციარის დანიშვნის მიზნის გარეშე. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, ნებისმიერი ასეთი უზრუნველყოფის სისტემის ან ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლით მინიჭებული უფლებები ექვემდებარება გადაცემას ან იძულებით აღსრულებას წინამდებარე თავის მიხედვით ვადამოსული დახმარების თანხების გადასახდელად.

692. განათლებისა თუ რჩენის ხარჯები და ჩვეულებრივი ხარჯები არ მიიჩნევა გულუხვობად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვლილის სახსრების გათვალისწინებით ისინი აშკარად გადამეტებულია.

693. გულუხვობების შემცირებას ადგილი აქვს ერთ-ერთი ბენეფიციარის ან ერთდროულად რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ.

თუ ამის საჭიროება არსებობს, სასამართლო ადგენს იმ ყოველი ბენეფიციარისათვის გადასახდელ წილს, რომლის მიმართაც წარდგენილია სარჩელი ან მიმდინარეობს საქმის წარმოება.

694. მხარეთა შორის შეთანხმების არარსებობისას, შემცირების ანაზღაურება ხორციელდება სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირობებით და ასევე — მის მიერ დადგენილი გარანტიისა და გადახდის პირობებით.

დაუშვებელია ნატურით გადახდის დადგენა, თუმცა მოვალე შეიძლება ნებისმიერ დროს ქონების გადაცემით გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან.

695. ქონების შეფასება ხდება გულუხვობის განხორციელების დროისათვის არსებული მდგომარეობით და სამკვიდროს გახსნის მომენტში მისი ღირებულების მიხედვით; თუ ქონება გასხვისდა, მხედველობაში მიიღება გასხვისების მომენტში არსებული მისი ღირებულება ან რეინვესტიციის შემთხვევაში, — სამკვიდროს გახსნის დღეს არსებული შეცვლილი ქონების ღირებულება.

უზუფრუქტის, სარგებლობის უფლების, ანუიტეტის ან ტრასტიდან გამომდინარე შემოსავლის გზით განხორციელებული გულუხვობები მხედველობაში მიიღება მათი სამკვიდროს გახსნის დღეს არსებული კაპიტალური ღირებულებით.

თავი 6
სახელმწიფოს უფლებები

696. როდესაც გარდაცვლილს არ რჩება მეუღლე ან ნათესავები მემკვიდრეობის რიგების ფარგლებში ან როდესაც ყველა უფლებამონაცვლემ უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე ანდა როდესაც უფლებამონაცვლე არ არის ცნობილი ან არ ითხოვს მემკვიდრეობას, სახელმწიფო კანონის ძალით იღებს კვებეკში მდებარე სამკვიდრო ქონებას.

სამართლებრივი ძალის არმქონეა ნებისმიერი საანდერძო განკარგულება, რომელიც გააუქმებდა აღნიშნულ უფლებას ქონების სხვაგვარად გადაცემის პირობის გათვალისწინების გარეშე.

697. სახელმწიფო არ წარმოადგენს მემკვიდრეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც, როგორც მემკვიდრე, შედის ანდერძით დატოვებული ქონების მფლობელობაში, როგორც კი ყველა ცნობილმა უფლებამონაცვლემ უარი განაცხადა მემკვიდრეობაზე ანდა როდესაც უფლებამონაცვლე ცნობილი არ არის ან არ ითხოვს მემკვიდრეობას, — გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ.

სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი გარდაცვლილის ვალდებულებებისათვის მის მიერ მიღებული ქონების ღირებულებაზე მეტი ოდენობით.

698. სახელმწიფოს მიერ სამკვიდროს მიღება ხორციელდება შემოსავლების მინისტრის მიერ.

დაუშვებელია სამკვიდრო ქონების არევა სახელმწიფოს ქონებასთან მანამდე, სანამ ის რჩება შემოსავლების მინისტრის გამგებლობის ქვეშ.

699. მოუთხოვნადი ქონების შესახებ კანონის (თავი B-5.1) ნორმათა გათვალისწინებითა და ნებისმიერი სხვა ფორმალობის გარეშე, შემოსავლების მინისტრი მოქმედებს როგორც სამკვიდროს ლიკვიდატორი. ის ვალდებულია,

მოახდინოს სამკვიდრო ქონების ინვენტარიზაცია და სახელმწიფოს მიერ სამკვიდრო ქონების მფლობელობაში მიღების შესახებ განცხადება გააკეთოს Gazette officielle du Québec-ში; მან ასევე უნდა უზრუნველყოს განცხადების გამოქვეყნება იმ გაზეთში, რომელიც ვრცელდება იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც გარდაცვლილს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი.

700. ლიკვიდაციის დასრულებისას შემოსავლების მინისტრი წარუდგენს შესაბამის ანგარიშს ფინანსთა მინისტრს.

შემოსავლების მინისტრი აკეთებს და აქვეყნებს განცხადებას ლიკვიდაციის დასრულების შესახებ იგივე წესით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ სამკვიდრო ქონების მფლობელობაში მიღების შესახებ განცხადებისათვის. განცხადებაში ის უთითებს მემკვიდრეობის ნაშთსა და უფლებამონაცვლეების მიერ თავიანთი უფლებების რეალიზაციისათვის მინიჭებული დროის შესახებ.

701. ანგარიშის წარდგენისას შემოსავლების მინისტრი ფინანსთა მინისტრს გადასცემს იმ თანხებს, რომლებიც ქმნის ნაშთს, რაც შემდგომში სახელმწიფოს საკუთრება ხდება.

თუმცაღა, იმ მემკვიდრეებს, რომლებიც ადგენენ თავიანთ ხარისხს, სამკვიდროს გახსნიდან ან მათი უფლების წარმოშობის დღიდან 10 წლის განმავლობაში შეუძლიათ დაიბრუნონ აღნიშნული თანხები შემოსავლების მინისტრისაგან ყოველდღიურად დარიცხული პროცენტით, რომლებიც იანგარიშება ფინანსთა მინისტრისათვის თანხების გადარიცხვის მომენტიდან საგადასახადო უწყების შესახებ კანონის (თავი A-6.002) 28-ე მუხლის მეორე პარაგრაფით დადგენილი განაკვეთის საფუძველზე.

702. მემკვიდრე, რომელიც ლიკვიდაციის დასრულებამდე ითხოვს მემკვიდრეობას, იღებს მას იმ ფაქტობრივ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება მიღების მომენტში, მისი კუთვნილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გათვალისწინებით, თუ კანონით გათვალისწინებული ფორმალობები არ იქნა დაცული.

ტიტული 4
ანდერძები

თავი 1
ანდერძების ბუნება

703. ყოველ აუცილებელი ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია ანდერძით კანონისაგან განსხვავებული წესით გაითვალისწინოს მთელი თავისი ქონების ან მისი ნაწილის მემკვიდრეობით გადასვლა მისი გარდაცვალების შემთხვევაში.

704. ანდერძი წარმოადგენს ცალმხრივ და გამოთხოვად გარიგებას, რომელიც დგება კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი ფორმით და რომლითაც მოანდერძე თავისი შეხედულებით განკარგავს მთელ თავის ქონებას ან მის ნაწილს ისე, რომ ის ძალაში შედის მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ანდერძის შედგენა ერთობლივად ორი ან მეტი პირის მიერ.

705. გარიგება წარმოადგენს ანდერძს თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის შეიცავს მხოლოდ მემკვიდრეობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ დებულებებს, წინა საანდერძო განკარგულებების გაუქმებასა თუ მემკვიდრის გამორიცხვას.

706. გარდა 1841-ე მუხლში გათვალისწინებული შეზღუდვებისა, არც ერთ პირს, თუნდაც საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულებაში, არ შეუძლია უარი თქვას კუთვნილ უფლებაზე, შეადგინოს ანდერძი, გარდაცვალების მოლოდინში განკარგოს თავისი ქონება ან გააუქმოს მის მიერ გაკეთებული საანდერძო განკარგულებები.

თავი 2
ანდერძის შედგენისათვის აუცილებელი ქმედუნარიანობა

707. მოანდერძის ქმედუნარიანობა განიხილება დროის იმ მომენტთან მიმართებაში, როდესაც მან შედგინა ანდერძი.

708. არასრულწლოვანს არ შეუძლია თავისი ქონების ნებისმიერი ნაწილის განკარგვა ანდერძით, გარდა მცირე ღირებულების მქონე საგნებისა.

709. მას შემდეგ, რაც სრული ასაკის პირს დაენიშნა მეურვე, მის მიერ შედგენილი ანდერძი შეიძლება დადასტურდეს სასამართლოს მიერ, თუ მისი დებულებების ბუნება და ის გარემოებები, რომლებშიც ის შედგა, იძლევა ამის საშუალებას.

710. მზრუნველობის ქვეშ მყოფ სრული ასაკის პირს არ შეუძლია ანდერძის შედგენა. სრული ასაკის პირს, რომელსაც ჰყავს მრჩეველი, შეუძლია ანდერძის შედგენა დახმარების გარეშეც.

711. მეურვეს, მზრუნველს ან მრჩეველს არ შეუძლიათ ანდერძის შედგენა იმ პირის სახელით, რომელსაც ისინი წარმოადგენენ ან ეხმარებიან, — არც დამოუკიდებლად და არც აღნიშნულ პირთან ერთად.

თავი 3
ანდერძების ფორმები

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

712. ანდერძის ერთად დასაშვებ ფორმებს წარმოადგენს სანოტარო ანდერძი, საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძი და მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძი.

713. სხვადასხვა სახის ანდერძების მომწესრიგებელი ფორმალობები დაცულ უნდა იქნეს ანდერძის ბათილობის შიშით.

თუმცაღა, თუ ერთი ფორმით შედგენილი ანდერძი ვერ აკმაყოფილებს ანდერძის ამ ფორმის მოთხოვნებს, ის ნამდვილია როგორც სხვა ფორმით შედგენილი ანდერძი, თუ ის აკმაყოფილებს ამ სხვა ფორმის ნამდვილობის მოთხოვნებს.

714. საკუთარი ხელით ან მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძები, რომლებიც სრულად ვერ აკმაყოფილებს ამ ფორმის მოთხოვნებს, მაინც ნამდვილია, თუ ის აკმაყოფილებს ამ ანდერძის არსებით მოთხოვნებს და თუ ის უდავოდ და არაორაზროვნად შეიცავს გარდაცვლილის უკანასკნელ ნებას.

715. არავის შეუძლია დაუქვემდებაროს თავისი ანდერძის ნამდვილობა ნებისმიერ ისეთ ფორმალობას, რომელიც კანონით არ მოითხოვება.

განყოფილება 2
სანოტარო ანდერძები

716. სანოტარო ანდერძს აფორმებს ნოტარიუსი საჯარო სანოტარო აქტის სახით ერთი ან, განსაზღვრულ შემთხვევებში, — ორი მოწმის თანდასწრებით.

ანდერძის შედგენის თარიღი და ადგილი უნდა აღინიშნოს ანდერძში.

717. სანოტარო ანდერძს ნოტარიუსი უკითხავს მხოლოდ მოანდერძეს ან თუ მოანდერძე ამას ირჩევს, — მოწმის თანდასწრებით. როგორც კი წაკითხვა სრულდება, მოანდერძემ მოწმის თანდასწრებით უნდა განაცხადოს, რომ წაკითხული დოკუმენტი შეიცავს მის უკანასკნელის ნების გამოვლენას.

ასეთ შემთხვევაში ანდერძს ხელს აწერენ მოანდერძე, მოწმე ან მოწმეები და ნოტარიუსი, თითოეული სხვების თანდასწრებით.

718. ივარაუდება, რომ სანოტარო ანდერძის მომწესრიგებელი ფორმალობები დაცულია, თუნდაც როდესაც ეს არ არის პირდაპირ დაფიქსირებული ნოტარიუსის პროფესიის მომწესრიგებელი კანონების გათვალისწინებით.

თუმცაღა, თუ გამოიყენება კონკრეტულად განსაზღვრულ ანდერძებთან დაკავშირებული ფორმალობები, დოკუმენტი უნდა ახსენებდეს მათი დაცვის მიზეზს.

719. იმ მოანდერძის სანოტარო ანდერძი, რომელსაც არ შეუძლია ხელის მოწერა, შეიცავს მის განცხადებას აღნიშნულ ფაქტთან დაკაშირებით. ამ განცხადებას ასევე უკითხავს ნოტარიუსი მოანდერძეს ორი მოწმის თანდასწრებით და ეს აკომპენსირებს მოანდერძის ხელმოწერის არარსებობას.

720. ბრმა პირის სანოტარო ანდერძს ნოტარიუსი უკითხავს მოანდერძეს ორი მოწმის თანდასწრებით.

ანდერძში ნოტარიუსი აცხადებს, რომ მან წაიკითხა ანდერძი მოწმეთა თანდასწრებით და ეს განცხადება ასევე უნდა იქნეს წაკითხული.

721. ყრუ პირის სანოტარო ანდერძს კითხულობს თავად მოანდერძე მხოლოდ ნოტარიუსის თანდასწრებით ან თუ ის ამას ირჩევს, — ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით. თუ მოანდერძეს ეს შეუძლია, ის ანდერძს კითხულობს ხმამაღლა.

ანდერძში მოანდერძე აცხადებს, რომ მან წაიკითხა ის ნოტარიუსის და, შესაბამის შემთხვევაში, — მოწმის თანდასწრებით. თუ მოანდერძეს არ შეუძლია ლაპარაკი, განცხადებას უკითხავს მას ნოტარიუსი მოწმის თანდასწრებით; თუ მას შეუძლია ლაპარაკი, ანდერძს ხმამაღლა კითხულობს თავად მოანდერძე ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით.

722. პირს, რომელსაც არ შეუძლია თავისი სურვილის ხმამაღლა გამოხატვა, მაგრამ სურს სანოტარო ანდერძის შედგენა, — თავის სურვილებს ნოტარიუსს გადასცეს წერილობითი ფორმით.

722.1. ყრუ პირს, რომელსაც არ შეუძლია ლაპარაკი, კითხვა ან წერა და ასევე არ შეუძლია წინამდებარე განყოფილების სხვა დებულებების გამოყენება, შეუძლია სანოტარო ანდერძის შედგენა იმ პირობით, რომ ის თავის სურვილებს ნოტარიუსს გადასცემს ჟესტების ენის თარჯიმნის მეშვეობით.

მოანდერძე ნოტარიუსისა და მოწმის თანდასწრებით იმავე საშუალებებით აცხადებს, რომ თარჯიმნის მიერ მისთვის თარგმნილი დოკუმენტი წარმოადგენს მის ანდერძს.

მოანდერძე თარჯიმანს ირჩევს სასამართლოში თავიანთი ფუნქციების განხორციელებაზე უფლებამოსილ თარჯიმნებს შორის და არც ერთ შემთხვევაში ის არ შეიძლება იყოს მოანდერძის მეუღლე ან მოანდერძესთან მესამე რიგის ჩათვლით პირდაპირი ან გვერდითა ხაზით ანდა ქორწინების ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირი.

თარჯიმანმა ჯერ წერილობით ნოტარიუსის, მოანდერძისა და მოწმის წინაშე უნდა დაიფიცოს, რომ ის თავის ფუნქციებს განახორციელებს მიუკერძოებლად და ზუსტად და არ გაამხელს თავის დავალებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. ფიცის დედანი თან ერთვის ანდერძს.

723. არც ერთ შემთხვევაში სანოტარო ანდერძი არ უნდა გაფორმდეს იმ ნოტარიუსის მიერ, რომელიც წარმოადგენს მოანდერძის მეუღლეს, მოანდერძესთან მესამე რიგის ჩათვლით პირდაპირი ან გვერდითა ხაზით ანდა ქორწინების ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირი.

724. ნოტარიუსი, რომლის წინაშეც ფორმდება ანდერძი, შეიძლება ანდერძში მიეთითოს როგორც ლიკვიდატორი იმ პირობით, რომ ის ამ მოვალეობას განახორციელებს უსასყიდლოდ.

725. სანოტარო ანდერძის შედგენის დროს დასასწრებად მოწვეული მოწმის სახელი და მისი მონაცემები უნდა მიეთითოს ანდერძში.

ნებისმიერ სრული ასაკის პირს შეუძლია დაამოწმოს სანოტარო ანდერძი, გარდა თავისი მოვალეობების შემსრულებელი ნოტარიუსის თანამშრომლისა, რომელიც თავად არ წარმოადგენს ნოტარიუსს.

განყოფილება 3
საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძები

726. საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძი უნდა მთლიანად დაიწეროს მოანდერძის მიერ და ხელმოწერილ იქნეს მის მიერ ნებისმიერი მექანიკური დამუშავების გარეშე.

ის არ ექვემდებარება სხვა ფორმალურ მოთხოვნებს.

განყოფილება 4
მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძები

727. მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძი იწერება მოანდერძის ან მესამე პირის მიერ.

ასეთ შემთხვევაში მოანდერძე ორი სრული ასაკის მოწმის თანდასწრებით აცხადებს, რომ მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი არის მისი ანდერძი. მას არ ევალება მისი შინაარსის გამჟღავნება. ის აწერს ხელს ამ დოკუმენტის ბოლოში ან თუ დოკუმენტი უკვე ხელმოწერილია მის მიერ, — აღიარებს თავის ხელმოწერას; მას ასევე შეუძლია უზრუნველყოს მისი მითითებების შესაბამისად მისი თანდასწრებითა და სასარგებლოდ მესამე პირის მიერ დოკუმენტის ხელმოწერა.

მოწმეები მყისვე აწერენ ხელს ანდერძს მოანდერძის თანდასწრებით.

728. როდესაც ანდერძი იწერება მესამე პირის მიერ ან მექანიკური საშუალებებით, მოანდერძე და მოწმეები ახდენენ თავიანთი ინიციალების დასმას ან ხელის მოწერას იმ დოკუმენტის ყოველ გვერდზე, რომელსაც არ ახლავს მათი ხელმოწერა.

დოკუმენტის ყოველ გვერდზე ინიციალებისა თუ ხელმოწერის არარსებობა ხელს არ უშლის ნოტარიუსის წინაშე შედგენილ ანდერძს, რომელიც ბათილია როგორც სანოტარო ანდერძი, იყოს ნამდვილი როგორც მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძი, თუ დაცულია სხვა ფორმალობები.

729. წერა-კითხვის უცოდინარ პირს შეუძლია მოწმეთა თანდასწრებით ანდერძის შედგენა იმ პირობით, რომ მოანდერძისათვის ანდერძის წაკითხვა ხდება ერთ-ერთი მოწმის მიერ მეორე მოწმის თანდასწრებით.

იგივე მოწმის თანდასწრებით მოანდერძე აცხადებს, რომ წაკითხული დოკუმენტი წარმოადგენს მის ანდერძს და ბოლოში ხელს აწერს მას ან უზრუნველყოფს მისი მითითებების შესაბამისად მისი თანდასწრებითა და სასარგებლოდ მესამე პირის მიერ დოკუმენტის ხელმოწერას.

მოწმეები მყისვე აწერენ ხელს ანდერძს მოანდერძის თანდასწრებით.

730. პირს, რომელსაც არ შეუძლია ლაპარაკი, თუმცა შესწევს წერის უნარი, შეუძლია მოწმეთა თანდასწრებით ანდერძის შედგენა იმ პირობით, რომ ის — სხვაგვარად, ვიდრე მექანიკური საშუალებებით — მოწმეთა თანდასწრებით წერილობით მიუთითებს, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არის მისი ანდერძი.

730.1. ყრუ-მუნჯი პირს, რომელსაც არ შეუძლია ლაპარაკი, კითხვა ან წერა და ასევე არ შეუძლია წინამდებარე განყოფილების სხვა დებულებების გამოყენება, შეუძლია მოწმეთა თანდასწრებით ანდერძის შედგენა იმ პირობით, რომ ის თავის სურვილებს დოკუმენტის შემდგენელს გადასცემს ჟესტების ენის თარჯიმნის მეშვეობით.

მოანდერძე მოწმეთა თანდასწრებით იმავე საშუალებებით აცხადებს, რომ თარჯიმნის მიერ მისთვის თარგმნილი დოკუმენტი წარმოადგენს მის ანდერძს. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოანდერძე ანდერძის ბოლოში აფიქსირებს თავის ხელმოწერას ან პერსონალურ ნიშანს. სხვა შემთხვევაში, მოანდერძეს ჰყავს მესამე პირი, რომელიც ხელს აწერს მისი თანდასწრებითა და მისი მითითებების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში მოწმეები დაუყოვნებლივ აწერენ ხელს ანდერძს მოანდერძის თანდასწრებით.

მოანდერძე თარჯიმანს ირჩევს სასამართლოში თავიანთი ფუნქციების განხორციელებაზე უფლებამოსილ თარჯიმნებს შორის და არც ერთ შემთხვევაში ის არ შეიძლება იყოს მოანდერძის მეუღლე ან მოანდერძესთან მესამე რიგის ჩათვლით პირდაპირი ან გვერდითა ხაზით ანდა ქორწინების ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირი.

თარჯიმანმა ჯერ წერილობით დოკუმენტის შემდგენელის, მოანდერძისა და მოწმების წინაშე უნდა დაიფიცოს, რომ ის თავის ფუნქციებს განახორციელებს მიუკერძოებლად და ზედმიწევნით და არ გაამხელს თავის დავალებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. ფიცის დედანი თან ერთვის ანდერძს.

თავი 4
საანდერძო განკარგულებები და ლეგატარები

განყოფილება 1
სხვადასხვა სახის ლეგატები

731. ლეგატები სამი სახისაა: უნივერსალური, ლეგატები ზოგადი საფუძვლითა და სპეციალური საფუძვლით.

732. უნივერსალური ლეგატი ერთ ან რამდენიმე პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღონ მთელი სამკვიდრო ქონება.

733. ლეგატი ზოგადი საფუძვლით ერთ ან რამდენიმე პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღონ

1) მემკვიდრეობის ჯერადი წილის საკუთრება;

2) მემკვიდრეობის მთლიანი ან ჯერადი წილის დანაწევრებული საკუთრების უფლება (dismemberment of the right of ownership);

3) ყველა უძრავი თუ მოძრავი ქონების, პირადი ქონების, მეუღლეთა საერთო თუ გარიგებით შეძენილი ქონების ანდა მატერიალური თუ არამატერიალური ქონების მთლიანი ან ჯერადი წილის საკუთრება ან დანაწევრებული საკუთრების უფლება.

734. ნებისმიერი ლეგატი, რომელიც არ არის არც უნივერსალური ლეგატი და არც ლეგატი ზოგადი საფუძვლით, წარმოადგენს ლეგატს სპეციალური საფუძვლით.

735. ქონებაში შემავალი სპეციალური საგნების გამორიცხვა, მიუხედავად მათი რაოდენობისა თუ ღირებულებისა, ზეგავლენას ვერ ახდენს უნივერსალური ლეგატის ან ზოგადი საფუძვლით ლეგატის ხასიათზე.

736. მოანდერძის მიერ დატოვებული ქონება, რომლის მიმართაც მას არ გაუკეთებია საანდერძო განკარგულება ან რომლის მიმართაც საანდერძო განკარგულებები სამართლებრივი ძალის არმქონეა, ანდერძის არარსებობის შემთხვევაში რჩება მისი სამკვიდროს სახით და გადადის მემკვიდრეობით ქონების კანონისმიერი მემკვიდრეობით გადასვლის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

737. მემკვდრის დანიშვნის, საჩუქრის ან ლეგატის სახით ანდა მოანდერძის განზრახვის მაჩვენებელი სხვა ფორმით განხორციელებული საანდერძო განკარგულებები ძალმოსილია წინამდებარე წიგნში უნივერსალური ლეგატების, ზოგადი საფუძვლითა და სპეციალური საფუძვლით ლეგატებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად.

მოანდერძის მხრიდან განსხვავებული განზრახვის შესახებ საკმარის გამონათქვამს ენიჭება უპირატესობა პირველ პარაგრაფში მითითებულ წესებთან და განსაზღვრულ პირობებისათვის მიკუთვნებულ მნიშვნელობასთან შედარებით.

განყოფილება 2
ლეგატარები

738. უნივერსალური ლეგატარი ან ლეგატარი ზოგადი საფუძვლით სამკვიდროს გახსნისთანავე წარმოადგენს მემკვიდრეს იმ პირობით, რომ ის იღებს ლეგატს.

739. ლეგატარი სპეციალური საფუძვლით, რომელიც იღებს ლეგატს, არ წარმოადგენს მემკვიდრეს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც, როგორც მემკვიდრე, შედის ანდერძით დატოვებული ქონების მფლობელობაში მამკვიდრებლის გარდაცვალებით ან იმ გარემოებების დადგომით, რომლითაც ხდება ლეგატის ამოქმედება.

ის არ არის პასუხისმგებელი გარდაცვალილის ვალებისათვის ლეგატის ქონებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრეობაში შემავალი სხვა ქონება არასაკმარისია ვალების გადახდისათვის, რა შემთხვევაშიც ის პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში.

740. ლეგატის მიღებისათვის ლეგატარს სპეციალური საფუძვლით უნდა ჰქონდეს იგივე თვისებები, რაც მოითხოვება მემკვიდრეობის მისაღებად.

ის შესაძლოა იქნეს მიჩნეული უღირსად ლეგატის მიღებისათვის სწორედ ისე, როგორც ნებისმიერი პირი შეიძლება მიჩნეულ იქნეს უღირსად მემკვიდრეობის მიღებისათვის; უფლებამონაცვლის მსგავსად, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს მემკვიდრის ან სპეციალური საფუძვლით თანალეგატარის უღირსად ცნობის მოთხოვნით.

741. უფლებამონაცვლის მსგავსად, ლეგატარს სპეციალური საფუძვლით აქვს მისთვის დადგენილ ლეგატთან დაკავშირებით მოფიქრებისა და თავისი არჩევანის განხორციელების უფლება იგივე სამართლებრივი შედეგებითა და იგივე წესების შესაბამისად.

742. საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, მემკვიდრეობის მიღებაზე განაცხადის შესახებ ნორმები და მემკვიდრეობის გადასვლის შესახებ მემკვიდრეობის მიღების სამართლებრივი შედეგები ასევე გამოიყენება სპეციალური საფუძვლით ლეგატარის მიმართაც.

ყველა სხვა მხრივ, სპეციალური საფუძვლით ლეგატარის მიმართ გამოიყენება წინამდებარე წიგნში მოცემული ლეგატარებთან დაკავშირებული ნორმები.

განყოფილება 3
ლეგატების სამართლებრივი ძალა

743. ანდერძით დატოვებული ქონებიდან მიღებული ნაყოფი და შემოსავალი ემატება ლეგატს სამკვიდროს გახსნის ან იმ მომენტიდან, როდესაც საანდერძო განკარგულება მის სასარგებლოდ შედის ძალაში.

744. ანდერძით დატოვებული ქონების საკუთვნებელთან ერთად მიწოდება ხდება იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფებოდა მოანდერძის გარდაცვალების მომენტში.

აღნიშნული წესი გამოიყენება ასევე ანდერძით დატოვებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული უფლებების მიმართაც, თუ ამ უფლებების რეალიზაცია ჯერ არ მომხდარა.

745. როდესაც ანდერძით დატოვება ხდება უძრავი ქონების, მოანდერძის მიერ ანდერძის ხელმოწერის შემდეგ შეძენილი ნებისმიერი მიკუთვნებული ან მიერთებული უძრავი ქონება ივარაუდება ლეგატში შეტანილად იმ პირობით, რომ ქონება ქმნის ერთიანობას ანდერძით დატოვებული ქონებასთან.

746. ივარაუდება, რომ საწარმოს ლეგატი შეიცავს ანდერძის ხელმოწერის შემდეგ შეძენილ ან შემუშავებულ სავაჭრო ოპერაციებს, რომლებიც მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში ანდერძით დატოვებულ საწარმოსთან ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას.

747. როდესაც ლეგატის გადახდა დამოკიდებულია ვადაზე, ლეგატარს მაინც აქვს გარდაცვლილი მოანდერძისაგან შეძენილი უფლება, რომელიც ექვემდებარება გადაცემას მის მემკვიდრეებსა თუ სპეციალური საფუძვლით ლეგატარებზე.

ლეგატარის უფლება პირობით დადებულ ლეგატზე ასევე ექვემდებარება გადაცემას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობა წმინდა პირადული ხასიათისაა.

748. არ ივარაუდება, რომ ლეგატი კრედიტორის სასარგებლოდ დაიდო მისი მოთხოვნის საკომპენსაციოდ.

749. როდესაც ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში, ლეგატი დგინდება მოანდერძის ყველა შთამომავლისა თუ გვერდითა ხაზით ნათესავის სასარგებლოდ, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ მოანდერძის მემკვიდრეობის მისაღებად მისი ანდერძის დატოვების გარეშე გარდაცვალების შემთხვევაში, — მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით ადგილი აქვს იგივე წესითა და იგივე პირების სასარგებლოდ, როგორც ანდერძის არარსებობისას მემკვიდრეობის შემთხვევაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული გამორიცხულია მოანდერძის მიერ პირდაპირ გამოხატული ნებით ან ანდერძში მოცემული დებულებების ძალით.

თუმცაღა, მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით სახეზე არა გვაქვს სპეციალური საფუძვლით ლეგატების შემთხვევაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ ამგვარად დაადგინა.

განყოფილება 4
ლეგატების ძალადაკარგულად გამოცხადება და მათი ბათილობა

750. ლეგატი კარგავს ძალას, როდესაც ლეგატარი გარდაიცვლება უფრო ადრე, ვიდრე მოანდერძე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლოა სახეზე იყოს მემკვიდრეობა წარმომადგენლობის უფლებით.

ლეგატი ასევე კარგავს ძალას, როდესაც ლეგატარი უარს ამბობს მასზე, არ არის მისი მიღების ღირსი ან გარდაიცვლება ლეგატთან დაკავშირებული გადადების პირობის შესრულებამდე, თუ პირობა წმინდა პირადული ხასიათისაა.

751. ლეგატი ასევე კარგავს ძალას, თუ მოანდერძის სიცოცხლის განმავლობაში ან გადადების პირობით დადებული ლეგატის გახსნამდე ანდერძით დატოვებული ქონება მთლიანად განადგურდა.

თუ ქონების განადგურება ხდება მოანდერძის გარდაცვალების ან ლეგატის გახსნის მომენტში ან შემდგომში, — სადაზღვევო საზღაური ცვლის განადგურებულ ქონებას.

752. როდესაც სხვა ლეგატით დატვირთული ლეგატი კარგავს ძალას ლეგატარზე დამოკიდებული მიზეზის გამო, ვალდებულების სახით არსებული ლეგატიც კარგავს ძალას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძალადაკარგული ლეგატის ობიექტის მისაღებად მოწვეულ მემკვიდრეს ან ლეგატარს შეუძლიათ ვალდებულების შესრულება.

753. მემკვიდრეობის ლიკვიდატორის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი კარგავს ძალას, თუ ლიკვიდატორი არ ეთანხმება მოვალეობის კისრებას.

აღნიშნულს ადგილი აქვს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ლეგატი დგინდება მოანდერძის მიერ არასრულწლოვანი ბავშვისათვის მეურვის სახით ან მის მიერვე სხვა პირების ქონების მმართველის სახით დანიშნული პირისათვის საზღაურის გადახდის მიზნით.

754. ანაზღაურებადი ლეგატი წყვეტს თავის მოქმედებას, როდესაც მოანდერძის მიერ დანიშნული მემკვიდრეობის ლიკვიდატორი, მეურვე ან სხვა პირების ქონების კიდევ ერთი მმართველი წყვეტენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას; ამ შემთხვევაში მას აქვს ლეგატის ღირებულებისა და მოვალეობის შესრულების ვადის პროპორციული საზღაურის მიღების უფლება.

755. ქონების წილის გაზრდას (accretion) ადგილი აქვს სპეციალური საფუძვლით ლეგატების სასარგებლოდ, როდესაც ქონებას ანდერძით მათ ერთობლივად უტოვებენ, ხოლო ლეგატი ძალას კარგავს ერთ-ერთი მათგანის მიმართ.

756. ლეგატი სპეციალური საფუძვლით ივარაუდება ერთობლივად დადებულად, თუ ის იდება ერთი და იგივე განკარგულებით და თუ მოანდერძემ თითოეულ თანალეგატარს არ გამოუყო წილი ანდერძით დატოვებულ ქონებაში ან თანალეგატარებს გამოუყო თანაბარი ჯერადი წილები.

აღნიშნული ლეგატი ასევე ივარაუდება ერთობლივად დადებულად, როდესაც მთელი ქონება ერთი და იგივე მოქმედებით რამდენიმე პირს დამოუკიდებლად გადაეცემა ანდერძით.

757. პირობა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია ან რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი ანდერძში.

ამდენად, დათქმა, რომლითაც იზღუდება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის უფლებები ხელახალი ქორწინების ან ახალი სამოქალაქო კავშირის დამყარების შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი ანდერძში.

758. პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა, რომლის მიზანიცაა, მემკვიდრემ

ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარმა თავიდან აიცილოს ანდერძის ან მისი ნებისმიერი ნაწილის ნამდვილობის სადავოდ გახდომა, ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი ანდერძში.

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა, რომელიც იძენს პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის ფორმას და რომელიც გათვალისწინებულია იგივე მიზნისათვის, ასევე ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი ანდერძში.

759. იმ ნოტარიუსის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი, რომელიც აფორმებს ანდერძს, ან ნოტარიუსის მეუღლის ანდა ნოტარიუსის პირველი რიგის ნათესავის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი სამართლებრივი ძალის არმქონეა; ეს არ ეხება ანდერძის სხვა დებულებებს.

760. მოწმის, თუნდაც შტატგარეშე თანამშრომლის, სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი, სამართლებრივი ძალის არმქონეა; თუმცა ეს არ ეხება ანდერძის სხვა დებულებებს.

იგივე ითქმის ლეგატის იმ ნაწილის მიმართ, რომელიც დადგენილია ანდერძით დანიშნული ლიკვიდატორის ან სხვა პირების ქონების კიდევ ერთი მმართველის სასარგებლოდ, რაც აღემატება ამ პირების საზღაურს, თუ ისინი მოქმედებენ როგორც მოწმეები.

761. ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების მესაკუთრის, დირექტორის ან თანამშრომლის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი, რომელიც არ წარმოადგენს არც მოანდერძის მეუღლესა და არც ახლო ნათესავს, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ის დადგენილია იმ დროს, როდესაც მოანდერძე აღნიშნულ დაწესებულებაში იმყოფებოდა ზრუნვის ქვეშ ან იღებდა მომსახურებას.

ასევე სამართლებრივი ძალის არმქონეა შვილად ამყვანი ოჯახის წევრის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი იმ დროს, როდესაც მოანდერძე ცხოვრობდა ამ ოჯახში.

762. სხვა პირის ქონების ლეგატი სამართლებრივი ძალის არმქონეა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩანს, რომ მოანდერძის განზრახვა იყო, მემკვიდრისათვის დაეკისრებინა ანდერძით დატოვებულ ქონების მიღების ვალდებულება სპეციალური საფუძვლით ლეგატარის სასარგებლოდ.

თავი 5
ანდერძებისა და ლეგატების გამოხმობა

763. ანდერძისა და ლეგატის გამოხმობა ხდება პირდაპირ გამოხატული ნების გამოვლენით ან უსიტყვოდ.

764. განქორწინებამდე ან სამოქალაქო კავშირის შეწყვეტამდე მეუღლის სასარგებლოდ დადგენილი ლეგატი უქმდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ საანდერძო განკარგულებების მეშვეობით გამოავლინა ამ

მეუღლისათვის სარგებლის მიცემის განზრახვა მიუხედავად ზემოაღნიშნული შესაძლებლობისა.

ლეგატის გაუქმება შედეგად იწვევს მეუღლის მემკვიდრეობის ლიკვიდატორად დანიშვნის გაუქმებასაც.

იგივე წესები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეების სიცოცხლის განმავლობაში ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი ცხადდება ბათილად.

765. პირდაპირ გამოხატული ნების გამოვლენით ლეგატის გამოხმობა ხორციელდება შემდგომში დადებული ანდერძით, რომლითაც ნათლად ცხადდება განზრახვის შეცვლის შესახებ.

ლეგატის გამოხმობა, რომელიც სპეციალურად არ უთითებს გასაუქმებელ აქტზე, მიუხედავადა ამისა, მაინც წარმოადგენს ლეგატს პირდაპირ გამოხატული ნების გამოვლენით.

766. ანდერძი, რომელიც აუქმებს სხვა ანდერძს, შეიძლება დაიდოს გასაუქმებელი ანდერძისაგან განსხვავებული ფორმით.

767. საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძის ან მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძის განადგურება, დახევა ან წაშლა შედეგად იწვევს მის გაუქმებას, თუ დგინდება, რომ აღნიშნული მოხდა შეგნებულად მოანდერძის მიერ ან მისი მითითებების შესაბამისად. ანალოგიურად, ნებისმიერი საანდერძო განკარგულების წაშლა შედეგად იწვევს ამ განკარგულებით დადებული ლეგატის გაუქმებასაც.

გაუქმება შედეგად დგება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოანდერძემ იცოდა ანდერძის განადგურების ან დაკარგვის შესახებ და შეეძლო მისი შეცვლა.

768. ანალოგიურად, შემდგომში დადებული საანდერძო განკარგულება შედეგად იწვევს წინა განკარგულების გაუქმებას იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ერთმანეთთან შეუთავსებელია.

გაუქმება ინარჩუნებს თავის სრულ ძალას იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდგომში დადებული საანდერძო განკარგულება უქმდება.

769. ანდერძით დატოვებული ქონების გასხვისება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ის ხორციელდება იძულებით ან გაუქმების პირობით ანდა გაცვლით, ასევე შედეგად იწვევს გაუქმებას იმ ყველაფრის მიმართ, რაც გასხვისებულ იქნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ საანდერძო განკარგულებით სხვაგვარად გაითვალისწინა.

გაუქმება შენარჩუნდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ გასხვისებული ქონება დაბრუნდა მოანდერძის საკუთრებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარი განზრახვა მტკიცდება.

თუ იძულებით განხორციელებული ანდერძით დატოვებული ქონების გასხვისება გაბათილდება, ეს შედეგად არ იწვევს გაუქმებას.

770. წინა პირდაპირ გამოხატული ნების გამოვლენით ან უსიტყვო გამოხმობა არ აღადგენს თავდაპირველ საანდერძო განკარგულებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძემ გამოამჟღავნა საპირისპირო განზრახვა ან ასეთი განზრახვა ნათელია გარემოებებიდან გამომდინარე.

771. თუ იმ გარემოებების გამო, რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელი იყო ლეგატის მიღების მომენტში, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ან მეტისმეტად მძიმე ხდება მემკვიდრისა თუ სპეციალური საფუძვლით ლეგატარისათვის, სასამართლოს დაინტერესებული პირების მოსმენის შემდეგ შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს ის ლეგატის ღირებულების, მოანდერძის განზრახვისა და გარემოებების მხედველობაში მიღებით.

თავი 6
ანდერძების მტკიცება და სასამართლოს მიერ დადასტურება

772. საკუთარი ხელით შედგენილი ანდერძის ან მოწმეთა თანდასწრებით შედგენილი ანდერძის დადასტურება ხდება ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებული წესით.

ცნობილი მემკვიდრეები და უფლებამონაცვლეები უნდა იქნენ მოწვეული სასამართლოს მიერ ანდერძის დადასტურების პროცესზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ისინი გაათავისუფლა აღნიშნული მოვალეობისაგან.

773. არც ერთ პირს, რომელმაც აღიარა ანდერძი, არ შეუძლია ამის შემდეგ მისი ნამდვილობის სადავოდ გახდომა, თუმცაღა მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ანდერძის დადასტურების მოთხოვნით.

იმ ანდერძის სადავოდ გახდომის შემთხვევაში, რომელიც დადასტურებულ იქნა სასამართლოს მიერ, მისი წარმოშობისა და სისწორის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ ანდერძიდან.

774. დაუშვებელია იმ ანდერძის დადასტურება, რომელიც არ არის წარმოდგენილი; ის აღდგენილ უნდა იქნეს იმ სარჩელის საფუძველზე, რომლის განხილვისას მოიწვიეს მემკვიდრეები, სხვა უფლებამონაცვლეები და სპეციალური საფუძვლით ლეგატარები, ხოლო მისი შინაარსის, წარმოშობისა და სისწორის მტკიცების ტვირთი უნდა იყოს დამაჯერებელი და არაორაზროვანი.

775. იმ ანდერძის მოწმეთა ჩვენებებით მტკიცება, რომლის წარმოდგენაც შეუძლებელია, დასაშვებია, თუ ანდერძი დაიკარგა ან განადგურდა ანდა იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში იმ პირთან ფარული გარიგების გარეშე, რომელსაც სურს სარგებლის მიღება ანდერძიდან.

ტიტული 5
მემკვიდრეობის ლიკვიდაცია

თავი 1
ლიკვიდაციის ობიექტი და საგვარეულო ქონებათა დაყოფა

776. ანდერძის არარსებობისას მემკვიდრეობის ან ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში ლიკვიდაცია მდგომარეობს უფლებამონაცვლეთა დადგენასა და მოწვევაში, მემკვიდრეობაში შემავალი ობიექტების დადგენაში, მოთხოვნების რეალიზაციაში, მემკვიდრეობის ვალების გადახდაში — მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ისინი გარდაცვლილის ვალებს, მემკვიდრეობის ხარჯებს ან დახმარების გაწევასთან დაკავშირებულ ვალებს — სპეციალური საფუძვლით ლეგატების თანხების გადახდაში, ანგარიშის წარდგენასა და ქონების გადაცემაში.

777. სამკვიდროს გახსნიდან და ლიკვიდაციის პროცესისათვის აუცილებელი მომენტიდან, ლიკვიდატორს აქვს მემკვიდრეებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების კუთვნილი სამკვიდროს მიღების უფლება.

ლიკვიდატორს შეუძლია მემკვიდრეებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებისაგან მოითხოვოს თუნდაც ქონების მისთვის გადმოცემა.

მემკვიდრეობის ლიკვიდატორის დანიშვნა ან შეცვლა ქვეყნდება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, — მიწის რეესტრში. ლიკვიდატორის დანიშვნისა თუ შეცვლის რეგისტრაცია ხორციელდება იმ შეტყობინების წარდგენით, რომელიც მიუთითებს დანიშვნისა თუ შეცვლის შესახებ, ადგენს გარდაცვლილისა და ლიკვიდატორის პიროვნებებს და შეიცავს შესაბამისი უძრავი ქონების აღწერას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

778. მოანდერძეს შეუძლია შეცვალოს სამკვიდროს მიღების წესი, ლიკვიდატორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები და გაითვალისწინოს მისი მემკვიდრეობის ლიკვიდაცია ნებისმიერი სხვა საშუალებით ან ანდერძის აღსრულება. თუმცა, ის დათქმა, რომელიც რეალურად შეზღუდავდა ლიკვიდატორის უფლამოსილებებსა თუ ვალდებულებებს იმგვარად, რომ ამით თავიდან იქნებოდა აცილებული ლიკვიდაციისათვის აუცილებელი ქმედება ან ლიკვიდატორი გათავისუფლდებოდა ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან, — ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი ანდერძში.

779. როდესაც მემკვიდრეობა აშკარად გადახდისუნარიანია, მემკვიდრეებს შეუძლიათ ორმხრივი შეთანხმებით მოახდინონ მისი ლიკვიდაცია ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული წესების დაცვის გარეშე. ამ გადაწყვეტილების შემდეგად ისინი პასუხს აგებენ მემკვიდრეობის ვალებისათვის თავიანთი საგვარეულო ქონებიდან, თუნდაც როდესაც ვალები აღემატება მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებას.

780. გარდაცვლილის საგვარეულო ქონება გამოცალკევებულია მემკვიდ-

რის საგვარეულო ქონებისაგან კანონის ძალით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განხორციელდა მემკვიდრეობის ლიკვიდაცია.

გამოცალკევება მოქმედებს როგორც მემკვიდრეობის კრედიტორების, ისე მემკვიდრის ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარების კრედიტორების მიმართ.

781. სამკვიდრო ქონება გამოიყენება მემკვიდრეობის კრედიტორებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მემკვიდრის ნებისმიერი კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭებით.

782. მემკვიდრის ქონება გამოიყენება მემკვიდრეობის ვალების გადახდისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე პასუხისმგებელია უფრო მეტი მოცულობის მქონე ვალებისათვის, ვიდრე მის მიერ მიღებული ქონება, ხოლო სამკვიდრო ქონება კი არასაკმარისია.

აღნიშნულ შემთხვევაში მემკვიდრეობის კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება ხდება მხოლოდ ყოველი მემკვიდრის იმ კრედიტორის დაკმაყოფილების შემდეგ, რომლის მოთხოვნა წარმოიშვა სამკვიდროს გახსნამდე. თუმცაღა, მემკვიდრის იმ კრედიტორს, რომლის მოთხოვნა წარმოიშვა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, უხდიან ერთდროულად მემკვიდრეობის გაუსტუმრებელ კრედიტორებთან ერთად.

თავი 2
მემკვიდრეობის ლიკვიდატორი

განყოფილება 1
ლიკვიდატორის დანიშვნა და მისი მოვალეობები

783. ნებისმიერ პირს, რომელსაც სრულად შეუძლია თავისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია, შეუძლია ასევე იკისროს ლიკვიდატორის მოვალეობის განხორციელებაც.

784. არავინ არის ვალდებული, დაეთანხმოს მემკვიდრეობის ლიკვიდატორის მოვალეობის კისრებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირი ერთადერთი მემკვიდრეა.

785. ლიკვიდატორის მოვალეობა გადადის მემკვიდრეებზე კანონის ძალით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად გათვალისწინებულია სანდერძო განკარგულებით; მემკვიდრეებს ხმათა უმრავლესობით შეუძლიათ დანიშნონ ლიკვიდატორი და გაითვალისწინონ მისი შეცვლის წესი.

786. მოანდერძეს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი; მას ასევე შეუძლია გაითვალისწინოს მათი შეცვლის წესი.

პირს, რომელიც მოანდერძის მიერ დანიშნულია მემკვიდრეობის ლიკვიდაციის განსახორციელებლად ან მისი ანდერძის აღსასრულებლად, აქვს ლიკ-

ვიდატორის თვისებები, თითქოს ის ყოფილიყო დანიშნული მემკვიდრეობის მმართველად, ანდერძის აღმსრულებლად ან სხვაგავარად.

787. პირებმა, რომლებიც ლიკვიდატორის მოვალეობას ახორციელებენ ერთობლივად, უნდა იმოქმედონ შეთანხმებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ანდერძით გათავისუფლებული არიან ამ ვალდებულებისაგან ან საანდერძო განკარგულების არარსებობისას, — მემკვიდრეების მიერ.

თუ ერთ-ერთ ლიკვიდატორს ხელი ეშლება თავისი საქმიანოს განხორციელებაში, სხვა ლიკვიდატორებს შეუძლიათ ქონების შენარჩუნებისაკენ მიმართული სასწრაფო ქმედებების დამოუკიდებლად განხორციელება.

788. სასამართლოს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია ლიკვიდატორის დანიშვნა ან შეცვლა მემკვიდრეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ან თუ ლიკვიდატორის დანიშვნა ან შეცვლა შეუძლებელია.

789. ლიკვიდატორი უფლებამოსილია მის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე.

ის ასევე უფლებამოსილია კომპენსაციის მიღებაზე, თუ ის არ წარმოადგენს მემკვიდრეს; თუ ის არის მემკვიდრე, მან შეიძლება მიიღოს კომპენსაცია, თუ ამას ითვალისწინებს ანდერძი ან მემკვიდრეები ასე თანხმდებიან.

თუ კომპენსაციის ოდენობა არ იყო დადგენილი მოანდერძის მიერ, ის დგინდება მემკვიდრეების ან დაინტერესებულ პირთა შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, — სასამართლოს მიერ.

790. ლიკვიდატორი არ არის ვალდებული, დაეზღვიოს ან წარადგინოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ სხვა უზრუნველყოფა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოანდერძე ან მემკვიდრეთა უმრავლესობა ამას ითხოვენ ანდა ამას ადგენს სასამართლო ნებისმიერი იმ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც ამტკიცებს ასეთი ღონისძიების საჭიროებას.

თუ ლიკვიდატორი, რომელსაც მოეთხოვებოდა უზრუნველყოფის წარდგენა, ვერ შეძლებს ამას ან უარს აცხადებს უზრუნველყოფის წარდგენაზე, მას ერთმევა თავისი ფუნქციების განხორციელების უფლებამოსილება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ ის გაათავისუფლა აღნიშნული ვალდებულებისაგან.

791. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმ ლიკვიდატორის შეცვლის მოთხოვნით, რომელსაც არ შეუძლია მასზე დაკისრებული მოვალეობების კისრება და რომელიც უგულებელყოფს თავის მოვალეობებს ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საქმის წარმოების განმავლობაში ლიკვიდატორი აგრძელებს თავისი მოვალეობების შესრულებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ნიშნავს დროებით ლიკვიდატორს.

792. როდესაც ლიკვიდატორი არ ინიშნება, ის ახანებს ლიკვიდატორის მოვალეობის კისრებას ან უარს აცხადებს ამ მოვალეობაზე ან შეცვლაზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბეჭდების დასმისათვის, ინვენტარიზაციის ჩატარებისათვის, დროებითი ლიკვიდატორის დანიშვნისა და ნებისმიერი სხვა განკარგულების მიღებისათვის, რომელიც აუცილებელია მისი უფლებების დაცვისათვის. აღნიშნული ღონისძიებებით სარგებლობს ყველა დაინტერესებული პირი, თუმცა არ ქმნის რაიმე უპირატესობას მათ შორის.

ინვენტარიზაციისა და ბეჭდების ხარჯები გადაიხდება სამკვიდრო ქონებიდან.

793. იმ პირის მიერ განხორციელებული მოქმედებები, რომელსაც კეთილსინდისიერად სჯეროდა, რომ ის იყო მემკვიდრეობის ლიკვიდატორი, ნამდვილია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიმართ.

განყოფილება 2
ქონების ინვენტარიზაცია

794. ლიკვიდატორი ვალდებულია, ჩაატაროს ქონების ინვენტარიზაცია სხვა პირების ქონების მართვის შესახებ ტიტულში გათვალისწინებული წესით.

795. ინვენტარიზაციის დასრულება ქვეყნდება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში იმ შეტყობინების რეგისტრაციით, რომელიც ადგენს გარდაცვლილის პიროვნებას და უთითებს ადგილს, სადაც შესაძლებელია დაინტერესებული პირების მიერ ინვენტარიზაციის საკითხზე კონსულტაციის მიცემა.

შეტყობინება ასევე ქვეყნდება იმ გაზეთში, რომელიც ვრცელდება იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც გარდაცვლილს ჰქონდა თავისი უკანასკნელი ცნობილი მისამართი.

796. ლიკვიდატორი ატყობინებს მემკვიდრეებს, უფლებამონაცვლეებს, რომლებსაც ჯერ არ განუხორციელებიათ თავიანთი არჩევანის უფლება, სპეციალური საფუძვლით ლეგატარებსა და ცნობილ კრედიტორებს ინვენტარიზაციის დასრულების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციისა და იმ ადგილის შესახებ, სადაც ინვენტარიზაციის საკითხზე შესაძლებელია კონსულტაციის მიცემა, ასევე — გადასცემს მათ ინვენტარიზაციის აქტის ასლს, თუ ამის გაკეთება რთული არ არის.

797. მემკვიდრეობის კრედიტორებს, მემკვიდრეებს, უფლებამონაცვლეებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს შეუძლიათ სადავოდ გახადონ ინვენტარიზაცია ან მისი ნებისმიერი პუნქტი; მათ ასევე შეუძლიათ შეთანხმდნენ ინვენტარიზაციის გადახედვაზე ან მოითხოვონ ახალი ინვენტარიზაციის ჩატარება.

798. როდესაც ინვენტარიზაცია უკვე ჩატარდა მემკვიდრის ან სხვა დაინ-

ტერესებული პირის მიერ, ლიკვიდატორმა უნდა დაადასტუროს ის. ლიკვიდატორი ასევე უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ინვენტარიზაციის დასრულების შესახებ შეტყობინება რეგისტრაციაში გატარდა და ასევე შეატყობინეს ყველა იმ პირს, რომელსაც უნდა გაგზავნოდა შეტყობინება.

799. ლიკვიდატორს შეუძლია გაითავისუფლოს თავი ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან, თუმცა მხოლოდ ყველა მემკვიდრისა და უფლებამონაცვლის თანხმობით.

თუ ისინი იძლევიან თავიანთ თანხმობას, მემკვიდრეები და ის უფლებამონაცვლეები, რომლებიც აღნიშნული ფაქტით გახდნენ მემკვიდრეები, პასუხს აგებენ მემკვიდრეობის იმ ვალებისათვის, რომლებიც აღემატება მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებას.

800. როდესაც მემკვიდრეები, იციან მათ რა რომ ლიკვიდატორი უარს ამბობს ინვენტარიზაციის ჩატარებაზე ან უგულებელყოფს ამ მოვალების შესრულებას, მოფიქრებისათვის დადგენილი ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ 60 დღის განმავლობაში თავად უგულებელყოფენ ინვენტარიზაციის ჩატარებას ან სასამართლოსათვის მიმართვას ლიკვიდატორის შეცვლის მოთხოვნით ანდა მისთვის ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულების დაკისრებით, — ისინი პასუხს აგებენ მემკვიდრეობის იმ ვალებისათვის, რომლებიც აღემატება მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებას.

801. მემკვიდრეები, რომლებიც ინვენტარიზაციის ჩატარებამდე ახდენენ სამკვიდრო ქონების შერევას თავიანთ პირად ქონებასთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე უკვე არეული იყო, როგორიცაა თანაცხოვრების შემთხვევა, — ასევე პასუხს აგებენ მემკვიდრეობის იმ ვალებისათვის, რომლებიც აღემატება მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებას.

თუ ქონების შერევა ხდება ინვენტარიზაციის ჩატარების შემდეგ, მაგრამ ლიკვიდაციის დასრულებამდე, მემკვიდრეები პირადად არიან პასუხისმგებელი არეული ქონების ღირებულების ფარგლებში.

განყოფილება 3
ლიკვიდატორის ფუნქციები

802. ლიკვიდატორი სამკვიდრო ქონების მიმართ მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველის სახით, რომელსაც ევალება ქონების მარტივი მართვა.

803. ლიკვიდატორმა უნდა ჩაატაროს გამოკვლევა, რათა დარწმუნდეს იმაში, შეადგინა თუ არა სინამდვილეში გარდაცვლილმა ანდერძი.

თუ გარდაცვლილმა შეადგინა ანდერძი, ლიკვიდატორი უზრუნველყოფს ანდერძის დადასტურებას და დგამს ყველა აუცილებელ ნაბიჯს მისი აღსრულებისათვის.

804. ლიკვიდატორი მართავს მემკვიდრეობას. ის ახდენს სამკვიდრო ქონების რეალიზაციას იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია ვალებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატების გადასახდელად.

აღნიშნულის განსახორციელებლად მას დამოუკიდებლად შეუძლია გაასხვისოს მალფუჭებადი მოძრავი ქონება, ასევე — ისეთი მოძრავი ქონება, რომელიც სავარაუდოდ სწრაფად გაუფასურდება ან რომლის შენახვაც ძვირია. მას შეუძლია, აგრეთვე, გაასხვისოს სამკვიდროში შემავალი სხვა ქონება მემკვიდრეების თანხმობით ან ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, — სასამართლოს ნებართვით.

805. ლიკვიდატორი, რომელმაც მემკვიდრეობის მიმართ უნდა წარადგინოს სარჩელი, ატყობინებს ამის შესახებ შემოსავლების მინისტრს. ეს უკანასკნელი მოქმედებს საკუთარი ინიციატივით როგორც სპეციალურად ამ მიზნით დანიშნული ლიკვიდატორი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრეები ან სასამართლო ნიშნავენ სხვა პირს.

806. თუ ლიკვიდაციის პროცესი გრძელდება ერთ წელზე მეტი ვადით, ლიკვიდატორმა პირველი წლის ბოლოს და ამის შემდგომ, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ, მემკვიდრეობის მართვის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს მემკვიდრეებს, კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს, რომლებიც ჯერ არ მიუღიათ ანაზღაურება.

807. როდესაც მემკვიდრეობა აშკარად გადახდისუნარიანია, მას შემდეგ, რაც ლიკვიდატორი დარწმუნდება იმაში, რომ ყველა კრედიტორი და სპეციალური საფუძვლით ლეგატარი მიიღებს ანაზღაურებას, მას შეუძლია ფულადი თანხები ავანსის სახით გადაუხადოს დახმარების კრედიტორებსა და მემკვიდრეებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს. საავანსო თანხები მიეწერება იმ პირთა წილებს, რომლებიც ამ თანხებს იღებენ.

თავი 3
ვალებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატების გადახდა

განყოფილება 1
ლიკვიდატორის მიერ განხორციელებული გადახდა

808. თუ სამკვიდრო ქონება საკმარისია ყველა კრედიტორისა და სპეციალური საფუძვლით ყველა ლეგატარის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, და ასევე თუ საანდერძო განკარგულება კეთდება იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასამართლოში საქმის განხილვის საგანს, — ლიკვიდატორი უხდის ცნობილ კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს ლიკვიდატორთან მათი გამოცხადებისთანავე.

ლიკვიდატორი იხდის ჩვეულებრივ კომუნალური მომსახურების ქვითრებსა და გადაუხდელ ვალებს, როგორც კი დგება მათი დაფარვის ვადა, ან — შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

809. ლიკვიდატორი მემკვიდრეობის ნებისმიერი სხვა ვალის ანალოგიურად ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს უხდის საკომპენსაციო დანამატს და აკმაყოფილებს ნებისმიერ სხვა მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეების მემკვიდრეობის უფლებების ლიკვიდაციიდან, როგორც ეს შეთანხმებულია მემკვიდრეებს, სპეციალური საფუძვლით ლეგატარებსა და მეუღლეს შორის, ან ასეთი შეთანხმების არარსებობისას, — როგორც ეს დგინდება სასამართლოს მიერ.

810. როდესაც მემკვიდრეობა აშკარად არ არის გადახდისუნარიანი, ლიკვიდატორს არ შეუძლია მემკვიდრეობის ვალების ან სპეციალური საფუძვლით ლეგატების გადახდა ინვენტარიზაციის დასრულების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციიდან ან ინვენტარიზაციის ჩატარების ვალდებულებისაგან გათავისუფლებიდან 60 დღის ვადის გასვლამდე.

თუმცაღა, ლიკვიდატორს შეუძლია აღნიშნული ვადის გასვლამდეც გადაიხადოს ჩვეულებრივი კომუნალური მომსახურების ქვითრები და სასწრაფოდ დასაფარი ვალები, თუ გარემოებები ამას მოითხოვს.

811. თუ სამკვიდრო ქონება არასაკმარისია, ლიკვიდატორს არ შეუძლია აღნიშნულის შესახებ სრული ანგარიშის შედგენამდე ნებისმიერი ვალის ან სპეციალური საფუძვლით ლეგატის გადახდა დაინტერესებული პირებისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნითა და სასამართლოს მხრიდან გადახდის შეთავაზების დადასტურების მიღებით, რომელიც შეიცავს დებულებას ნებისმიერი პოტენციური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ანაზღაურებისათვის ფულადი რეზერვის შექმნის შესახებ.

812. როდესაც სამკვიდრო ქონება არასაკმარისია, ლიკვიდატორი, მისი გადახდის შეთავაზების შესაბამისად, თავდაპირველად უხდის პრივილეგირებულ კრედიტორებს ან იპოთეკარებს მათი რიგითობის მიხედვით; ამის შემდეგ ის უხდის სხვა კრედიტორებს, გარდა მათი კუთვნილი დახმარების მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და თუ მას არ შეუძლია თანხების სრულად ანაზღაურება, ის აღნიშნულ კრედიტორებს უხდის მათი მოთხოვნების პროპორციულად.

თუ კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემდეგ რჩება რაიმე ქონება, ლიკვიდატორი უხდის დახმარების კრედიტორებს მათი მოთხოვნების პროპორციულად, თუ მას არ შეუძლია თანხების სრულად ანაზღაურება, ხოლო ამის შემდეგ კი ის უხდის უკვე სპეციალური საფუძვლით ლეგატებს.

813. ლიკვიდატორს შეუძლია სპეციალური საფუძვლით ლეგატის სახით დატოვებული ქონების გასხვისება ან სპეციალური საფუძვლით ლეგატის შემცირება, თუ სხვა სამკვიდრო ქონება არასაკმარისია ყველა ვალის დასაფარად.

ქონების გასხვისება ან ლეგატის შემცირება ძალაშია ლეგატარების მიერ შეთანხმებული რიგითობითა და პროპორციით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ლიკვიდატორი თავდაპირველად ღირებულების პროპორციულად ამცირებს ლეგატებს, რომლებსაც არ ენიჭება უპირატესობა ანდერძის მიხედვით და რომლებიც არ შეიცავს ინდივიდუალიზირებულ ნივთებს. როდესაც ქონება არასაკმარისია, ლიკვიდატორი ასხვისებს ინდივიდუალიზირებული ნივთების ლეგატების საგნებს, ხოლო ამის შემდეგ კი, — იმ ლეგატების საგნებს, რომლებსაც ენიჭება უპირატესობა, ან ამცირებს ასეთ ლეგატებს მათი ღირებულების პროპორციულად.

ლეგატარებს ყოველთვის შეუძლიათ შეთანხმდნენ საკითხის მოგვარების სხვა ხერხზე ან გათავისუფლდნენ ვალდებულებისაგან თავიანთი ლეგატების ან ეკვივალენტური ღირებულების დაბრუნებით.

814. თუ სამკვიდრო ქონება არასაკმარისია სპეციალური საფუძვლით ყველა ლეგატარის მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის, ლიკვიდატორი, მისი გადახდის შეთავაზების შესაბამისად, თავდაპირველად უხდის იმ პირებს, რომლებსაც ენიჭებათ უპირატესობა ანდერძის მიხედვით, ხოლო ამის შემდეგ კი, — ინდივიდუალური ქონების მქონე ლეგატარებს. შემდგომში უკვე სხვა ლეგატარებმა პროპორციულად შეამცირეს თავიანთი ლეგატები, ხოლო დარჩენილი ქონება კი იყოფა მათ შორის თითოეული ლეგატის ღირებულების პროპორციულად.

განყოფილება 2
კრედიტორებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების სარჩელი

815. ცნობილ კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს, რომლებიც გამოტოვეს ლიკვიდატორის მიერ განხორციელებულ გადახდებში, ამ უკანასკნელის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებულ სარჩელთან ერთად, აქვთ იმ მემკვიდრეების მიმართ სარჩელის წარდგენის უფლება, რომლებმაც მიიღეს საავანსო თანხები, და ასევე — იმ სპეციალური საფუძვლით ლეგატარების მიმართ, რომლებსაც დაუკმაყოფილეს მოთხოვნები აღნიშნული ცნობილი კრედიტორებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების საზიანოდ.

კრედიტორებს აქვთ ასევე სუბსიდიური სარჩელი სხვა კრედიტორების მიმართაც თავიანთი მოთხოვნების პროპორციულად უპირატესობის მიზეზების მხედველობაში მიღებით.

816. კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს, რომლებიც, არ არიან რა ცნობილები, არ ცხადდებიან ლიკვიდატორთან გადახდების ჩვეულებრივ დასრულებამდე, — არა აქვთ სარჩელის უფლება იმ მემკვიდრეების მიმართ, რომლებმაც მიიღეს საავანსო თანხები, და ასევე — სპეციალური საფუძვლით იმ ლეგატარების მიმართ, რომლებსაც დაუკმაყოფილეს მოთხოვნები მათ საზიანოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს კრედიტორები და სპეციალური საფუძვლით ლეგატარები დაამტკიცებენ, რომ მათ ჰქონდათ დროულად გამოუცხადებლობის მნიშვნელოვანი მიზეზი.

არც ერთ შემთხვევაში კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს არა აქვთ სარჩელის უფლება, თუ ისინი არ ცხადდებიან დაკისრებული მოვალეობისაგან ლიკვიდატორის გათავისუფლების მომენტიდან სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, ან ასევე — ნებისმიერი უპირატესობა მემკვიდრეებისა თუ ლეგატარების პირად კრედიტორებთან შედარებით.

817. როდესაც გადახდის შეთავაზებისათვის გათვალისწინებული ფულადი რეზერვი არასაკმარისია, კრედიტორს თავისი დაუფარავი მოთხოვნის წილის გადახდისათვის აქვს სარჩელის უფლება იმ მემკვიდრეების მიმართ, რომლებმაც მიიღეს საავანსო თანხები, და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების მიმართ მათ მიერ მიღებული თანხის ფარგლებში, და ასევე, სუბსიდიურად, ამ კრედიტორს აქვს სარჩელის უფლება სხვა კრედიტორების მიმართ მათი მოთხოვნების პროპორციულად უპირატესობის საფუძვლების მხედველობაში მიღებით.

818. იპოთეკარი, რომელსაც აქვს დაუფარავი მოთხოვნა, თავის პირად სარჩელთან ერთად ინარჩუნებს ასევე იპოთეკური მოთხოვნის უფლებებსაც იმ პირის მიმართ, რომელმაც მიიღო იპოთეკით დატვირთული ქონება.

თავი 4
ლიკვიდაციის დასრულება

განყოფილება 1
ლიკვიდატორის ანგარიში

819. ლიკვიდაცია სრულდება, როდესაც კმაყოფილდებიან ცნობილი კრედიტორები და სპეციალური საფუძვლით ლეგატარები ან როდესაც მათი მოთხოვნებისა და ლეგატების დაკმაყოფილების საკითხს სხვაგვარად აგვარებენ — ან კისრულობენ მოგვარებას — კრედიტორები ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარები. ის ასევე სრულდება, როდესაც ამოიწურება აქტივები.

ლიკვიდაცია სრულდება დაკისრებული მოვალეობისაგან ლიკვიდატორის გათავისუფლებით.

820. ლიკვიდატორის საბოლოო ანგარიშის საგანი მდგომარეობს წმინდა აქტივების ან მემკვიდრეობის დეფიციტის განსაზღვრაში.

საბოლოო ანგარიში უთითებს ვალებსა და გადაუხდელ ლეგატებზე, რომლებიც გარანტირებულია უზრუნველყოფით ან რომელთა გადახდაც იკისრეს მემკვიდრეებმა ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარებმა, ასევე — რომელთა გადახდის საკითხიც მოგვარებულია სხვაგვარად თითოეულის დაფარვის წესის განსაზღვრით. აუცილებლობის შემთხვევაში, საბოლოო ანგარიში ადგენს ფულად რეზერვებს, რომლებიც აუცილებელია პოტენციური სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდატორმა თავის ანგარიშს უნდა დაურთოს მემკვიდრეობის გაყოფის წინადადება, თუ ეს მოითხოვება ანდერძით ან მემკვიდრეთა უმრავლესობის მიერ.

821. ლიკვიდატორს ნებისმიერ დროსა და ყველა მემკვიდრის თანხმობით შეუძლია სამომრიგებლო ანგარიშის წარდგენა სასამართლო ფორმალობების დაცვის გარეშე. ანგარიშის წარდგენის ხარჯები ეკისრება სამკვიდრო ქონებას.

თუ სამომრიგებლო ანგარიშის წარდგენა შეუძლებელია, ანგარიში წარედგინება სასამართლოს.

822. საბოლოო ანგარიშის წარდგენის შემდეგ ლიკვიდატორი თავისუფლდება მასზე დაკისრებული მემკვიდრეობის მართვის მოვალეობისაგან და ის ქონებას გადასცემს მემკვიდრეებს.

ანგარიშის დასრულება ქვეყნდება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში იმ შეტყობინების რეგისტრაციით, რომელიც ადგენს გარდაცვლილის პიროვნებას და უთითებს ადგილს, სადაც შესაძლებელია დაინტერესებული პირების მიერ ინვენტარიზაციის საკითხზე კონსულტაციის მიცემა.

განყოფილება 2
მემკვიდრეებისა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარების ვალდებულებები ლიკვიდაციის შემდეგ

823. სამკვიდროს ერთადერთი მემკვიდრე მის მიერ მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში პასუხისმგებელია ყველა იმ ვალისათვის, რომელიც არ იქნა დაფარული ლიკვიდატორის მიერ. თუმცაღა, კრედიტორებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს, რომლებიც არ ცხადდებიან ლიკვიდატორთან გადახდების ჩვეულებრივ დასრულებამდე, არა აქვთ უპირატესობა მემკვიდრის პირად კრედიტორებთან შედარებით.

როდესაც მემკვიდრეობა გადადის რამდენიმე მემკვიდრეზე, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ვალებისათვის მხოლოდ მის, როგორც მემკვიდრის, მიერ მიღებული წილის პროპორციულად დაუყოფადი ვალების მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

824. უზუფრუქტის ლეგატარი ზოგადი საფუძვლით დამოუკიდებლად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე ლიკვიდატორის მიერ გადაუხდელი ვალებისათვის — თუნდაც ძირითადი თანხისათვის — მის მიერ მიღებული ქონების პროპორციულად და ასევე — ნებისმიერ იმ ქონებაზე დადგენილი იპოთეკებისათვის, რომელსაც ის იღებს.

ვალების გადახდაში უზუფრუქტის ზოგადი საფუძვლით ლეგატარისა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრის (bare owner) შეფარდებითი თანამონაწილეობა განისაზღვრება ქონების შესახებ წიგნში გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

825. მთელ სამკვიდრო ქონებაზე დადგენილი უზუფრუქტის ლეგატარი ზოგადი საფუძვლით მფლობელობის არმქონე მესაკუთრის მიმართ რეგრესული მოთხოვნის გარეშე პასუხისმგებელია მოანდერძის მიერ დადგენილი ნებისმიერი ანუიტეტისა თუ დახმარების თანხების გადახდისათვის.

826. მსგავსად ვალების გადახდის შემთხვევისა, მემკვიდრეები პასუხს აგებენ ლიკვიდატორის მიერ გადაუხდელი სპეციალური საფუძვლით ლეგატების დაფარვისათვის, თუმცა მხოლოდ არაუმეტეს მათ მიერ მიღებული ქონების ღირებულებისა.

თუმცაღა, თუ ლეგატი ეკისრება კონკრეტულ მემკვიდრეს, სპეციალური საფუძვლით ლეგატარის სარჩელის წარდგენა სხვების წინააღმდეგ დაუშვებელია.

827. სპეციალური საფუძვლით ლეგატარები პასუხს აგებენ ლიკვიდატორის მიერ გადაუხდელი ვალებისა და ლეგატების დაფარვისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეზე გადასული ქონება არასაკმარისია.

როდესაც სპეციალური საფუძვლით ლეგატი დგინდება ერთობლივად რამდენიმე ლეგატარისათვის, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია ვალებისა და ლეგატებისათვის მხოლოდ ანდერძით დატოვებულ ქონებაში მისი წილის პროპორციულად დაუყოფადი ვალების მომწესრიგებელი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

828. როდესაც სპეციალური საფუძვლით ლეგატი შეიცავს აქტივებისა და პასივების ერთობლიობას (universality), ლეგატარი დამოუკიდებლად აგებს პასუხს ერთობლიობასთან დაკავშირებული ვალების დაფარვისათვის მემკვიდრეების მიმართ კრედიტორებისა და სპეციალური საფუძვლით სხვა ლეგატარების მიმართ სუბსიდიური სარჩელის გათვალისწინებით იმ შემთხვევაში, თუ აქტივებისა და პასივების ერთობლიობა არასაკმარისია.

829. იმ მემკვიდრეს ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარს, რომელმაც ვალებისა და ლეგატების ნაწილი დაფარა კუთვნილ წილზე მეტი მოცულობით, აქვს სარჩელის უფლება თავისი თანამემკვიდრეებისა თუ თანალეგატარების მიმართ მის წილზე მეტი ოდენობით გადახდილის ანაზღაურების მოთხოვნით. თუმცა, მისი სარჩელის წარდგენა ხდება მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც თითოეულ მათგანს უნდა გადაეხედა ინდივიდუალურად, თუნდაც თუ მან სუროგაციით მიიღო იმ პირის უფლებები, რომელმაც განახორციელა გადახდა.

830. თუ ერთ-ერთი თანამემკვიდრე ან თანალეგატარი გადახდისუუნაროა, მისი წილი ვალების გადახდასა თუ ლეგატების შემცირებაში იყოფა მის თანამემკვიდრეებსა თუ თანალეგატარებს შორის მათი შესაბამისი წილების პროპორციულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთი თანამემკვიდრე ან თანალეგატარი თანახმაა, იკისროს მთელი თანხის გადახდა.

831. ანდერძით დატოვებულ ქონებაზე დადგენილი უზუფრუქტი რეგრესული მოთხოვნის გარეშე ეკისრება სარგებლობის უფლების გარეშე საკუთრების უფლების (bare ownership) ლეგატარს.

ანალოგიურად, სერვიტუტი რეგრესული მოთხოვნის გარეშე ეკისრება ამ სერვიტუტით დატვირთული ქონების ლეგატარს.

832. როდესაც გაუსტუმრებელი კრედიტორებისა თუ სპეციალური საფუძვლით ლეგატარების სარჩელის წარდგენის უფლებების განხორციელება ხდება სამკვიდროს გაყოფამდე, წილთა შედგენისას მხედველობაში მისაღებია მემკვიდრეებისა თუ ლეგატარების სარჩელები მათი თანამემკვიდრეებისა თუ თანალეგატარების მიმართ იმ თანხების მოთხოვნით, რომლებიც მათ გადაიხადეს თავიანთ წილებზე მეტი ოდენობით.

როდესაც გაუსტუმრებელი კრედიტორებისა თუ სპეციალური საფუძვლით ლეგატარების სარჩელის წარდგენის უფლებების განხორციელება ხდება სამკვიდროს გაყოფის შემდეგ, შესაბამის შემთხვევაში ადგილი აქვს იმ მემკვიდრეებისა თუ ლეგატარების უფლებების რეალიზაციას, რომლებმაც გადაიხადეს თავიანთ წილზე მეტი ოდენობით გაყოფის თანამონაწილეთა გარანტიის მიმართ გამოყენებული წესების მიხედვით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მემკვიდრეობის გაყოფის აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს.

833. მოანდერძეს შეუძლია შეცვალოს ის მოქმედების წესი და პროპორცია, რომლის მიხედვითაც კანონი მემკვიდრეებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს პასუხისმგებლად მიიჩნევს ვალების გადახდისათვის და აკისრებს მათ ლეგატების შემცირების ვალდებულებას.

ცვლილებები ვერ იქნება გამოყენებული კრედიტორების წინააღმდეგ; ისინი მოქმედებს მხოლოდ მემკვიდრეებსა და სპეციალური საფუძვლით ლეგატარებს შორის.

834. მემკვიდრეს, რომელმაც იკისრა მემკვიდრეობის ვალების გადახდა მის მიერ მიღებული ქონების ღირებულებაზე მეტი ოდენობით ან რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნულ ვალებზე, — შეიძლება მიჩნეულ იქნეს კუთვნილი პირადი ქონებით პასუხისმგებლად ასევე მის წილ ვალებზეც, რომელიც დაუფარავი დარჩა.

835. კეთილსინდისიერების შემთხვევაში, მემკვიდრეს, რომელმაც იკისრა მემკვიდრეობის ვალების გადახდა ან რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე ტიტულის ნორმების შესაბამისად, შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი ვალდებულებების შემცირების ან მის მიერ მიღებული ქონების ღირებულების ფარგლებში პასუხისმგებლობის შეზღუდვის მოთხოვნით, თუ ახალი გარემოებები არსებითად ცვლის მასზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას, მათ შორის, შეუზღუდავად — მის მიერ ახალი ფაქტების აღმოჩენა ან ისეთი კრედიტორის გამოჩენა, რომლის არსებობის შესახებაც ის ვერ იქნებოდა ინფორმირებული ვალდებულების კისრების დროს.

ტიტული 6
მემკვიდრეობის გაყოფა

თავი 1
მემკვიდრეობის გაყოფის უფლება

836. მემკვიდრეობის გაყოფა ან მისი მოთხოვნა ლიკვიდაციის შეწყვეტამდე დაუშვებელია.

837. მოანდერძეს მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური საფუძვლის არსებობი-

სას შეუძლია დაადგინოს მემკვიდრეობის სრულად ან ნაწილობრივ გაყოფის განსაზღვრული ვადით გადავადება. მას ასევე შეუძლია დაადგინოს გადავადება იმ შემთხვევაშიც, თუ მისი გეგმების სრულად განსახორციელებლად აუცილებელია, რომ ლიკვიდატორის უფლებამოსილებები და ვალდებულებები შენარჩუნდეს სხვა საფუძვლით.

838. თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა, მემკვიდრეობის გაყოფა ხორციელდება ლიკვიდატორის საბოლოო ანგარიშზე თანდართული შეთავაზების მიხედვით; სხვა შემთხვევაში, გაყოფა ხორციელდება ისე, როგორც მემკვიდრეები საუკეთესო ვარიანტად მიიჩნევენ.

თუ მემკვიდრეები ვერ თანხმდებიან, მემკვიდრეობის გაყოფა ვერ განხორციელდება გარდა მე-2 თავში მოცემული პირობებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) მოთხოვნილი ფორმისა.

839. მიუხედავად მემკვიდრეობის გაყოფის განცხადებისა, განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის (indivision) შენარჩუნება შესაძლებელია საოჯახო საწარმოს მიმართ, რომელსაც მართავდა გარდაცვლილი, ან საწარმოსთან დაკავშირებული სხვა ფასიანი ქაღალდების მიმართ, როდესაც გარდაცვლილი იყო ძირითადი პარტნიორი ან აქციონერი.

840. განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმი ასევე შეიძლება შენარჩუნდეს ოჯახის საცხოვრებელი სახლის ან იმ მოძრავი ქონების მიმართ, რომელიც განკუთვნილია საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის, თუნდაც როდესაც საკუთრების უფლება, უზუფრუქტი ან სარგებლობის უფლება ენიჭება ცოცხლად დარჩენილ ქორწინების თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეს.

841. იმ მემკვიდრეს, რომელიც გარდაცვალებამდე აქტიურად მონაწილეობდა საწარმოს მართვაში ან ცხოვრობდა ოჯახის საცხოვრებელ სახლში, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნების მოთხოვნით.

842. განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ითვალისწინებს საანდერძო განკარგულებებს, ისევე როგორც — არსებულ პროცენტებსა და საარსებო საშუალებებს, რომლებსაც ოჯახი და მემკვიდრეები იღებენ განუყოფელი ქონებიდან; ყველა შემთხვევაში მხედველობაში მიიღება პარტნიორებსა თუ აქციონერებს შორის არსებული ის შეთანხმებები, რომელთა მხარესაც წარმოადგენდა გარდაცვლილი.

843. მემკვიდრის განცხადების საფუძველზე, ზარალის თავიდან აცილების მიზნით სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს მთელი ქონების ან მისი ნაწილის დაუყოვნებელი გაყოფის პროცესი და მის მიმართ შეინარჩუნოს განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმი.

844. განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნებას ადგილი აქვს სასამართლოს მიერ დადგენილი პირობებით, თუმცა მისი დადგენა დაუშვებელია ხუთ წელზე მეტი ვადით, გარდა ყველა დაინტერესებული პირს შორის შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევისა.

აღნიშნული რეჟიმი შეიძლება განახლდეს ქორწინების თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის გარდაცვალებამდე ან გარდაცვლილის ყველაზე უმცროსი შვილის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

845. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მემკვიდრეობის გაყოფა იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზე აღარ არის ის მიზეზები, რომლებიც ამართლებდა განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნებას.

846. თუ განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნების შესახებ განცხადება მოიაზრებს კონკრეტულ ქონებრივ ობიექტს ან ქონებრივი ობიექტებს ჯგუფს, დარჩენილი სამკვიდრო ქონების გაყოფას ხელს არაფერი უშლის. გარდა ამისა, მემკვიდრეებს ყოველთვის შეუძლიათ დააკმაყოფილონ ის მემკვიდრე, რომელიც ეწინააღმდეგება განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შენარჩუნებას, მისი წილის ანაზღაურებით ან შეფასების შემდეგ მისთვის სხვა სამკვიდრო ქონებაზე უფლების მინიჭებით.

847. პირს, რომელიც უფლებამოსილია, ისარგებლოს მხოლოდ განუყოფელი ქონების წილით, შეუძლია მონაწილეობის მიღება მხოლოდ დროებით გაყოფაში.

848. ყოველ მემკვიდრეს შეუძლია გაყოფისაგან გამორიცხოს ის პირი, რომელიც არ წარმოადგენს მემკვიდრეს, თუმცა რომელსაც სხვა მემკვიდრემ გადასცა სამკვიდრო ქონებაზე თავისი უფლება მისთვის გასვლის მომენტში უფლების ღირებულებისა და მის მიერ უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურებით.

თავი 2
მემკვიდრეობის გაყოფის ხერხები

განყოფილება 1
წილთა შედგენა

849. მემკვიდრეობის გაყოფა მოიცავს მთელ განუყოფელ ქონებას ან მის ნაწილს.

უძრავი ქონების გაყოფა ჩაითვლება განხორციელებულად იმ შემთხვევაშიც კი, თუ რჩება მისი ნაწილები, რომლებიც საერთო და განუყოფელია ან რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ დარჩეს განუყოფელი.

850. თუ იდეალური წილები თანაბარია, ადგილი აქვს იმდენი წილის შედგენას, რამდენიც მემკვიდრე ან გაყოფაში მონაწილე გვარის ხაზია.

თუ იდეალური წილები არათანაბარია, ადგილი აქვს იმდენი წილის შედგენას, რამდენიც აუცილებელია წილის ყრის ჩატარების შესაძლებლობის მინიჭებისათვის.

851. წილების შედგენისას მხედველობაში მიიღება საანდერძო განკარგულებები, განსაკუთრებით კი, ის განკარგულებები, რომლებიც განსაზღვრულ მემკვიდრეებს აკისრებს ვალებისა თუ ლეგატების გადახდას, ისევე როგორც მხედველობაში მიიღება ასევე ის სასარჩელო მოთხოვნის უფლებები, რომლებიც მემკვიდრეებს აქვთ ერთმანეთის მიმართ მათ მიერ თავიანთ წილებზე მეტი ოდენობით გადახდილი თანხებისათვის; მხედველობაში მიიღება ასევე ქორწინების თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის უფლებები, უპირატესი უფლებით წილთა განაწილების შესახებ განცხადებები, პროტესტები და ასევე შესაბამის შემთხვევაში, — ფულად რეზერვები პოტენციური სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაკმაყოფილებლად.

სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება შეიძლება დაეთმოს, აგრეთვე, წილთა განაწილების ფისკალურ შედეგებს, ასევე — იმ განზრახვას, რომელსაც ავლენენ კონკრეტული მემკვიდრეები განსაზღვრული ვალების კისრებისას, ან — წილთა განაწილების სახეების მოხერხებულობას.

852. წილების შედგენისას დაუშვებელია უძრავი ქონებების დანაწევრება და საწარმოების ნაწილებად დაყოფა.

იმდენად, რამდენადაც უძრავი ქონებებისა და საწარმოების დაყოფის თავიდან აცილება შესაძლებელია, ყოველი წილი შეძლებისდაგვარად უნდა შედგეს ეკვივალენტური ღირებულების მქონე მოძრავი ან უძრავი ქონებისა და უფლებებისა თუ მოთხოვნებისაგან.

წილთა ღირებულების ნებისმიერი არათანაბრობა ანაზღაურდება საკომპენსაციო თანხის გადახდით.

853. განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის მემკვიდრეები, რომლებიც შეთანხმებით ახორციელებენ მემკვიდრეობის გაყოფას, ქმნიან წილებს თავიანთი შეხედულებისამებრ და საერთო შეთანხმებით იღებენ გადაწყვეტილებებს მათი განაწილების ან წილის ყრის ჩატარების შესახებ.

თუ მემკვიდრეები აუცილებლად მიიჩნევენ გასაყოფი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ გაყიდვას, ისინი ასევე საერთო შეთანხმებით ადგენენ ნასყიდობის პირობებსაც.

854. თუ განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის მემკვიდრეები ვერ შეთანხმდებიან წილების შედგენის წესზე, მათი შედგენა მოხდება სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ; თუ შეთანხმების მიუღწევლობა ეხება წილთა განაწილებას, ეს უკანასკნელი ხორციელდება წილის ყრით.

წილის ყრამდე განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის ყოველ მემკვიდრეს შეუძლია სადავო გახადოს წილების შედგენა.

განყოფილება 2
წილთა პრივილეგირებული განაწილება და დავა

855. ყოველი მემკვიდრე ნატურით იღებს თავის წილს სამკვიდრო ქონებაში და მას შეუძლია განცხადების საფუძველზე მოითხოვოს უპირატესი უფლებით კონკრეტული ქონების ან წილის განაწილება.

856. ცოცხლად დარჩენილ ქორწინების თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლეს შეუძლია ნებისმიერი სხვა მემკვიდრის უპირატესად მოითხოვოს, რომ ოჯახის საცხოვრებელ სახლი ან მასზე სარგებლობის მიმნიჭებელი უფლებები, საოჯახო მეურნეობის სარგებლობისათვის განკუთვნილ მოძრავ ქონებასთან ერთად, შევიდეს მის წილში.

თუ ქონების ღირებულება აღემატება მეუღლისათვის მისაცემი წილის ღირებულებას, მაშინ ეს მეუღლე ინარჩუნებს ქონებას საკომპენსაციო თანხის გადახდის პირობით.

857. ქორწინების თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის უფლებების გათვალისწინებით, თუ რამდენიმე მემკვიდრე განცხადებით ითხოვს უპირატესი უფლებით იმ უძრავი ქონების განაწილებას, რომელიც განკუთვნილი იყო გარდაცვლილის ადგილსამყოფელისათვის, უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომელიც იქ იმყოფებოდა.

858. გაყოფის სხვა თანამონაწილის მხრიდან ნებისმიერი პროტესტისა თუ უპირატესი უფლებით ქონების განაწილების მოთხოვნით განცხადების წარდგენის მიუხედავად, საწარმო ან საწარმოსთან დაკავშირებული წილები ან სხვა ფასიანი ქაღალდები უპირატესი უფლებით ნაწილდება იმ მემკვიდრეზე, რომელიც გარდაცვალების მომენტში აქტიურად მონაწილეობდა საწარმოს მართვაში.

859. თუ რამდენიმე მემკვიდრე ახორციელებს ერთი და იგივე უპირატეს უფლებას ან თუ ქონების განაწილების მოთხოვნის შესახებ განცხადება სადავო გახდა, დავა წყდება წილის ყრით ან, თუ ის ეხება საცხოვრებელ სახლს, საწარმოს ან საწარმოსთან დაკავშირებულ ფასიან ქაღალდებს, — სასამართლოს მიერ. სხვათაშორის, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ასევე საქმეში ჩართული ინტერესებიც, ყოველი მხარისათვის უპირატესობის მინიჭების მიზეზები ან საწარმოსა თუ საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მხარის მონაწილეობის ხარისხი.

860. როდესაც მემკვიდრეობის გაყოფის თანამონაწილეთა შორის დავა ეხება საკომპენსაციო თანხის განსაზღვრასა თუ გადახდას, სასამართლო წყვეტს ამ საკითხებს და ასევე მას, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია გარემოებების შესაბამისი გარანტიისა და გადახდის პირობების დადგენა.

861. ქონების შეფასება ხდება გაყოფის მომენტისათვის არსებული მისი მდგომარეობისა და ღირებულების მიხედვით.

862. თუ განსაზღვრული ქონების მოხერხებულად გაყოფა ან განაწილება შეუძლებელია, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისი გაყიდვის გადაწყვეტილება.

863. თუ დაინტერესებული პირები ვერ თანხმდებიან, აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ექსპერტები ქონების შესაფასებლად, დაადგინოს იმ ქონების გაყიდვა, რომელიც ვერ იქნა მოხერხებულად

გაყოფილი ან განაწილებული, და დაადგინონ გაყიდვის პირობები; ანდა მას შეუძლია შეაჩეროს გაყოფა მის მიერ მითითებული ვადით.

864. იმისათვის, რომ მემკვიდრეობის გაყოფა არ განხორციელდეს მათი უფლებების საზიანოდ, მემკვიდრეობისა და მემკვიდრის კრედიტორებს შეუძლიათ გამოცხადნენ გაყოფის მომენტისათვის და ჩაერთონ მასში თავიანთი ხარჯით.

განყოფილება 3
უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების (titles) გადაცემა

865. მემკვიდრეობის გაყოფის შემდეგ, უფლების დამადასტურებელი ის დოკუმენტები, რომლებიც საერთოა მთელი მემკვიდრეობის ან მისი ნაწილისათვის, გადაეცემა მემკვიდრეების მიერ შერჩეული შემნახველის სახით მოქმედ პირს იმ პირობით, რომ ის აღნიშნულ საკითხში დაეხმარება გაყოფის თანამონაწილეებს მათი მოთხოვნის შემთხვევაში. შერჩევის საკითხზე შეთანხმების მიუღწევლობისას, ეს უკანასკნელი წყდება წილის ყრით.

866. გაყოფისას ნებისმიერ მემკვიდრეს, რომელიც ამას ითხოვს, შეუძლია ყველა მონაწილის ხარჯზე მიიღოს იმ ქონებაზე შესაბამისი უფლებების დამადასრულებელი დოკუმენტების ასლები, რომელზეც ის ინარჩუნებს უფლებებს.

თავი 3
ქონების დაბრუნება (return)

განყოფილება 1
საჩუქრებისა და ლეგატების დაბრუნება

867. მემკვიდრეობის გაყოფის მიზნით ყოველი თანამემკვიდრე ვალდებულია, სამკვიდრო მასაში დააბრუნოს მხოლოდ ის, რაც მან გარდაცვლილისაგან მიიღო ჩუქებით ან ანდერძის საფუძველზე მიღებულის დაბრუნების ვალდებულების პირდაპირი კისრებით.

უფლებამონაცვლეს, რომელიც უარს აცხადებს მემკვიდრეობაზე, არ ეკისრება ქონების დაბრუნების რაიმე ვალდებულება.

868. პირი, რომელიც წარმოადგენს სხვა პირს მემკვიდრეობის საკითხებში, ვალდებულია დააბრუნოს ის, რაც უნდა დაებრუნებინა წარმოდგენილ პირს იმ ქონებასთან ერთად, რომლის დაბრუნება მას თავად ევალებოდა.

ქონების დაბრუნების ვალდებულება დგება თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ იმ პირმა, რომელიც წარმოადგენს სხვას, უარი თქვა წარმოდგენილი პირის მემკვიდრეობაზე.

869. ქონების დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ გამჩუქებელის ან მოანდერძის სამკვიდრო ქონებაში.

ქონების დაბრუნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ ერთი თანამემკვიდრის მხრიდან მეორე თანამემკვიდრის მიმართ და — არა სპეციალური საფუძვლით ლეგატარების ან მემკვიდრეობის კრედიტორების მიმართ.

870. ქონების დაბრუნება ხორციელდება ნაკლების მიღებით.

ნებისმიერი დებულება, რომელითაც მემკვიდრისაგან მოითხოვება ქონების ნატურით დაბრუნება, სამართლებრივი ძალის არმქონეა. თუმცაღა, მემკვიდრეს შეუძლია აირჩიოს ქონების ნატურით დაბრუნება, თუ ის ჯერ კიდევ ფლობს ქონებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ეს ქონება დატვირთა უზუფრუქტით, სერვიტუტით, იპოთეკით ან სხვა სანივთო უფლებით.

871. ყოველი თანამემკვიდრე, რომელსაც ეკისრება ქონების დაბრუნების ვალდებულება ნაკლების მიღებით, წინასწარ სამკვიდრო მასიდან იღებს იმ ქონებას, რომელიც თავისი ღირებულებით უტოლდება დასაბრუნებელი ქონების ოდენობას.

რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქონების წინასწარ მიღება ხდება იმავე სახისა და ხარისხის ქონებიდან, რომელიც ექვემდებარება დაბრუნებას.

თუ ზემოთ აღწერილი საშუალებით ქონების წინასწარ მიღება შეუძლებელია, დამბრუნებელ მემკვიდრეს შეუძლია ფულადი თანხით აანაზღაუროს მიღებული ქონების ღირებულება ან ნება დართოს სხვა თანამემკვიდრეებს, აღნიშნული სამკვიდრო მასიდან წინასწარ მიიღონ სხვა ეკვივალენტური ქონება.

872. ქონების დაბრუნება ნაკლების მიღებით შეიძლება ასევე განხორციელდეს მიღებული ქონების ღირებულების მემკვიდრის წილისათვის მიწერით.

873. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სხვაგვარად გათვალისწინებულია ნაჩუქრობებსა თუ ანდერძებში, ნაკლების მიღებით დაბრუნებული ქონების შეფასება ხდება მემკვიდრეობის გაყოფის მომენტში, თუ ის ჯერ კიდევ მემკვიდრის ხელშია ან გასხვისების თარიღისათვის, თუ ის მემკვიდრეობის გაყოფამდე გასხვისდა.

ანდერძით დატოვებული ქონების, ისევე როგორც იმის შეფასება, რაც რჩება მემკვიდრეობაში, — ხდება გაყოფის მომენტისათვის არსებული მისი მდგომარეობისა და ღირებულების მიხედვით.

874. ნაკლების მიღებით ან ნატურით დაბრუნებული ქონების ღირებულება მცირდება იმ ქონების ღირებულების გაზრდით, რომელიც წარმოადგენს შედეგს მისი დამბრუნებელი მემკვიდრის მიერ გაწეული დანახარჯებისა თუ პირადი ინიციატივისა.

ის ასევე მცირდება აუცილებელი ხარჯების თანხის ოდენობით.

და, პირიქით, ღირებულება იზრდება ქონების დაბრუნების განმახორციელებელი მემკვიდრის იმ მოქმედებების შედეგად, რომელიც შედეგად იწვევს ღირებულების შემცირებას.

875. მემკვიდრე უფლებამოსილია, მანამდე დააკავოს თავისთან ნატურით

დასაბრუნებელი ქონება, სანამ მას არ აუნაზღაურდება ის თანხები, რომლებიც მას ეკუთვნის.

876. მემკვიდრე ვალდებულია, განახორციელოს იმ ქონების დაბრუნება, რომლის ზარალიც დგება ამ მემკვიდრის მოქმედებებისა თუ უმოქმედობის შედეგად; მემკვიდრეს არ ეკისრება აღნიშნული ვალდებულება, თუ ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

ნებისმიერ შემთხვევაში მან უნდა დააბრუნოს ნებისმიერი საკომენსაციო თანხა, რომელიც მან მიიღო ქონებრივი ზარალისათვის.

877. მემკვიდრეობის გაყოფის თანამონაწილეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ იპოთეკით ან სხვა სანივთო უფლებით დატვირთული ქონება დაბრუნდეს ნატურით; ასეთ შემთხვევაში დაბრუნება ხორციელდება უფლების მფლობელის ინტერესების შელახვის გარეშე. მემკვიდრეობის გაყოფისას აღნიშნულიდან გამომდინარე ვალდებულება ეკისრება იმ მემკვიდრეს, რომელიც ახორციელებს ქონების დაბრუნებას.

878. თუ ქონება ბრუნდება ნატურით, გადაცემული ან ანდერძით დატოვებული ქონების ნაყოფი და შემოსავლები ან დასაბრუნებელ თანხაზე დარიცხული პროცენტები სამკვიდრო ქონების გახსნის მომენტიდან ასევე ექვემდებარება დაბრუნებას.

განყოფილება 2
ვალების დაბრუნება

879. მემკვიდრეობის გაყოფაზე მოსულმა მემკვიდრემ სამკვიდრო მასაში უნდა დააბრუნოს ის ვალები, რომლებიც მას აქვს გარდაცვლილის მიმართ; მან ასევე უნდა დააბრუნოს ის თანხები, რომლებიც მას მართებს თავისი მემკვიდრეობის გაყოფის თანამონაწილეების მიმართ განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის გამო.

აღნიშნული ვალები ექვემდებარება დაბრუნებას თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრეობის გაყოფის მომენტში ჯერ არ არის დამდგარი მათი დაფარვის ვადა; ეს ვალები არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუ მოანდერძემ მათგან გათავისუფლების ძალაში შესვლა დაუკავშირა სამკვიდროს გახსნის ფაქტს.

880. თუ დასაბრუნებელი ვალის ძირითადი თანხა და პროცენტი აღემატება იმ მემკვიდრის სამემკვიდრეო წილის ღირებულებას, რომელიც ვალდებულია, მოახდინოს დაბრუნება, მემკვიდრე რჩება ვალდებული ნამეტ თანხაში და მან ეს თანხა უნდა გადაიხადოს ვალთან დაკავშირებული პირობების შესაბამისად.

881. თუ მემკვიდრეს, რომელიც ვალდებულია მოახდინოს ქონების დაბრუნება, აქვს საკუთარი საპირისპირო მოთხოვნა — თუნდაც ეს უკანასკნელი არ იყოს ვადამოსული მემკვიდრეობის გაყოფის მომენტში, — მაშინ ხორციელდება გაქვითვა და ეს მემკვიდრე ვალდებულია, დააბრუნოს მხოლოდ მისი ვალის გაუქვითავი ნაწილი.

გაქვითვა ასევე ხორციელდება იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნა აღემატება ვალს და მემკვიდრე რჩება კრედიტორად ნამეტი თანხის ნაწილში.

882. ქონების დაბრუნება ხორციელდება ნაკლების მიღებით.

თანამემკვიდრეების მიერ ქონების წინასწარ მიღება ან თანხის მემკვიდრის წილისათვის მიწერა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მემკვიდრის პირადი კრედიტორების მიმართ, რომელიც ვალდებულია მოახდინოს ქონების დაბრუნება.

883. ქონების დაბრუნება უნდა განხორციელდეს მემკვიდრეობის გაყოფის მომენტისათვის ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის ოდენობით ვალის ღირებულებით.

დასაბრუნებელ ვალს ერიცხება პროცენტები მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტიდან, თუ ის წინ უსწრებს გარდაცვალებას, ან — მისი წარმოშობის თარიღიდან, თუ ის წარმოიშვა გარდაცვალების შემდეგ.

თავი 4
ქონების გაყოფის სამართლებრივი შედეგები

განყოფილება 1
ქონების გაყოფის უფლებადამდგენი (declaratory) სამართლებრივი შედეგი

884. მემკვიდრეობის გაყოფას აქვს საკუთრების უფლების დამდგენი სამართლებრივი შედეგი.

მიიჩნევა, რომ გაყოფის ყოველმა თანამონაწილემ დამოუკიდებლად და პირდაპირ მემკვიდრეობით მიიღო მთელი ქონება, რომელიც შედის მის წილში ან რომელიც გადადის მასზე ნებისმიერი ნაწილობრივი ან სრული გაყოფის გზით. მიიჩნევა, რომ მას ქონება საკუთრებაში ჰქონდა გარდაცვალების მომენტიდან და მას არასოდეს ეკუთვნოდა მემკვიდრეობაში შემავალი სხვა ქონება.

885. ნებისმიერი მოქმედება, რომლის მიზანია გაყოფის თანამონაწილეებს შორის განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის შეწყვეტა, უთანაბრდება გაყოფას, თუნდაც ასეთ მოქმედებას დაერქვას ნასყიდობა, გაცვლა, გარიგება ან სხვა სახელი.

886. განუყოფელი ქონების მართვასთან და ასევე მემკვიდრესა და მის უფლებამონაცვლეებს შორის სამართლებრივ ურთერთობასთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინებით, განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის დროს მემკვიდრის მიერ განხორციელებული მოქმედებები და იმ ქონებაზე მის მიერ მინიჭებული სანივთო უფლებები, რომელიც არ იქნა მისთვის გამოყოფილი, — არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის ნებისმიერი სხვა მემკვიდრის მიმართ, რომელიც აღნიშნულ მოქმედებებს არ დაეთანხმა.

887. მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან გამომდინარე განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის დროს კანონიერად განხორციელებული მოქმედებები ინარჩუნებს თავიანთ სამართლებრივ შედეგს, რომლის მიუხედავადაც მემკვიდრე ქონებას იღებს მემკვიდრეობის გაყოფისას.

ასეთ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ყოველმა მემკვიდრემ განახორციელა მოქმედებები იმ ქონების მიმართ, რომელიც მასზე გადადის.

888. უფლებადამდგენი სამართლებრივი შედეგი მოქმედებს, აგრეთვე, მესამე პირთა მიმართ არსებული მოთხოვნების მიმართ, აღნიშნული მოთხოვნების ნებისმიერი დათმობის მიმართ, რომელიც განხორციელდა განუყოფელი სამკვიდრო ქონების რეჟიმის დროს ერთ-ერთი თანამემკვიდრის მიერ, და ასევე — ერთ-ერთი თანამემკვიდრის კრედიტორის მიერ მესამე პირის ხელში არსებული მოთხოვნის ნებისმიერი დაყადაღების მიმართ.

მოვალეების მიმართ მოთხოვნების დადგენისადმი გამოიყენება ვალდებულებების შესახებ წიგნში მოცემული მოთხოვნების დათმობასთან დაკავშირებული წესები.

განყოფილება 2
გაყოფის თანამონაწილეთა გარანტია

889. გაყოფის თანამონაწილეები ერთმანეთის მიმართ წარმოადგენენ გარანტებს მხოლოდ იმ დარღვევებისა და ქონების ჩამორთმევის ფაქტებისათვის, რომლებიც წარმოიშობა მემკვიდრეობის გაყოფამდე არსებული მიზეზიდან გამომდინარე.

თუმცაღა, მიუხედავად ამისა, გაყოფის ყოველი თანამონაწილე რჩება გარანტად მისი პირადი მოქმედებებითა თუ უმოქმედობით გამოწვეული ნებისმიერი ქონების ჩამორთმევის ფაქტისათვის.

890. იმ მოთხოვნის მოვალის გადახდისუუნარობა, რომელიც გადადის გაყოფის ერთ-ერთ თანამონაწილეზე, წარმოშობს გარანტიას იგივე წესით, რასაც ქონების ჩამორთმევა, თუ გადახდისუუნარობა დადგა მემკვიდრეობის გაყოფამდე.

891. გარანტია არ წარმოიშობა, თუ ქონების ჩამორთმევა გამოირიცხა მემკვიდრეობის გაყოფის აქტში მოცემული სპეციალური დათქმით; გარანტია უქმდება, თუ გაყოფის თანამონაწილეს ქონება ჩამოერთვა მისი ბრალით.

892. გაყოფის ყოველი თანამონაწილე პირადად, თავისი წილი პროპორციულად, ვალდებულია აუნაზღაუროს თავის თანამონაწილეს ის ზარალი, რომელიც მას მიადგა ქონების ჩამორთმევის შედეგად.

ზარალის შეფასება ხდება მემკვიდრეობის გაყოფის დღეს.

893. თუ გაყოფის ერთ-ერთი თანამონაწილე გადახდისუუნაროა, კომპენსაციის ის თანხა, რომლის გადახდაც მას ეკისრება, პროპორციულად იყოფა გარანტიის მიმღებსა და ყველა გადახდიუნარიან გაყოფის თანამონაწილეს შორის.

894. გარანტიის მოთხოვნის სარჩელი ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ ქონების ჩამორთმევიდან ან დარღვევის აღმოჩენიდან ანდა მემკვიდრეობის გაყოფის მომენტიდან, თუ ის გამოწვეულია მემკვიდრეობის მოვალის გადახდისუუნარობით.

თავი 5
მემკვიდრეობის გაყოფის ბათილობა

895. მემკვიდრეობის გაყოფა, თუნდაც ნაწილობრივი, შეიძლება გაბათილდეს იგივე საფუძვლებით, როგორც ხელშეკრულებები.

თუმცაღა, გაბათილების ნაცვლად, შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ან მაკორექტირებელი გაყოფა ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ხელსაყრელია გაყოფის თანამონაწილეებისათვის.

896. განუყოფელი ქონების უბრალო გამოტოვება იძლევა არა ბათილობის შესახებ სარჩელის საფუძველს, არამედ — მხოლოდ მემკვიდრეობის დამატებითი გაყოფისა.

897. იმ საკითხის გადაწყვეტისას, ჰქონდა თუ არა ადგილი ზარალიანობას, მხედველობაში მიიღება მემკვიდრეობის გაყოფის მომენტში არსებული ქონების ღირებულება.

898. მემკვიდრეობის გაყოფის ბათილობის შესახებ სარჩელის განხილვისას მოპასუხეს ყველა შემთხვევაში შეუძლია შეწყვიტოს საქმის წარმოება და თავიდან აიცილოს ახალი გაყოფა მოსარჩელისათვის თავისი მემკვიდრეობის წილიდან დანამატის ფულადი სახით ან ნატურით შეთავაზებითა და გადაცემით.

წიგნი მეოთხე
ქონება

ზოგადი დებულება

898.1. ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს. ისინი წარმოადგენენ მგრძნობიარე არსებებსა და მათ აქვთ ბიოლოგიური საჭიროებები.

თუმცაღა, იმ სპეციალური კანონების ნორმებთან ერთად, რომლებიც იცავს ცხოველებს, ქონებასთან დაკავშირებული წინამდებარე კოდექსის ან ნებისმიერი სხვა კანონის ნორმები მაინც გამოიყენება ცხოველების მიმართ.

ტიტული 1
ქონების სახეები და მისი მისაკუთრება

თავი 1
ქონების სახეები

899. როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ქონება იყოფა უძრავ და მოძრავ ქონებად.

900. მიწა და მასზე განლაგებული ნებისმიერი მყარი შენობა-ნაგებობა და საინჟინრო ნაგებობა, ისევე როგორც ყველაფერი ის, რაც ქმნის მიწის ნაკვეთის შემადგენელ ნაწილს, — წარმოადგენს უძრავ ქონებას.

მცენარეები და სასარგებლო წიაღისეული, მანამდე, სანამ ისინი არ არის მოცილებული მიწას ან მიწიდან ამოღებული, ასევე წარმოადგენს უძრავ ქონებას. თუმცა, მიწის ნაყოფი და სხვა ნაწარმი შეიძლება განხილულ იქნეს მოძრავ ქონებად, როდესაც ის წარმოადგენს გასხვისების ობიექტს.

901. მოძრავი ნივთები, რომლებიც ისე უერთდება უძრავ ქონებას, რომ კარგავს თავიანთ თვითმყოფადობას და განკუთვნილია უძრავი ქონების სარგებლიანობისათვის, ქმნის ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილს.

902. უძრავი ქონების ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც დროებით სცილდება უძრავ ქონებას, ინარჩუნებს თავიანთ უძრავი ქონების ნიშან-თვისებას, თუ ეს ნაწილები განკუთვნილია უკან დაბრუნებისათვის.

903. მოძრავი ნივთები, რომლებიც მყარად ფიზიკურად არის დაკავშირებული ან გაერთიანებული უძრავ ქონებასთან თავიანთი თვითმყოფადობის დაკარგვისა და უძრავ ქონებასთან მიერთების გარეშე, მიიჩნევა უძრავ ქონებად მანამდე, სანამ ისინი რჩება იქ და განკუთვნილია უძრავი ქონების სარგებლიანობისათვის.

თუმცაღა, მოძრავი ნივთები, რომლებიც უძრავ ქონებაში გამოიყენება საწარმოს მართვისა თუ საქმიანობის განსახორციელებლად, რჩება მოძრავ ქონებად.

904. უძრავ ქონებაზე დადგენილი სანივთო უფლებები, ისევე როგორც ასეთი უფლებების დამამტკიცებელი ან უძრავ ქონებაზე მფლობელობის შეძენის სარჩელები, ასევე წარმოადგენს უძრავ ქონებას.

905. ის ობიექტები, რომელთა გადაადგილება შესაძლებელია, წარმოადგენს მოძრავ ქონებას.

906. ტალღები ან ადამიანის ხელთ არსებული და მის სასარგებლოდ გამოყენებული ენერგია — მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა მათ წყაროს მოძრავი თუ უძრავი ნივთი — განიხილება როგორც მატერიალური მოძრავი ქონება.

907. კანონის კვალიფიკაციის მიღმა არსებული ყველა სხვა ნივთი წარმოადგენს მოძრავ ქონებას.

თავი 2
ქონება იმ ობიექტებთან მიმართებაში, რასაც ის აწარმოებს

908. სხვა ქონებასთან მიმართების მიხედვით, ქონება შეიძლება დაიყოს, ერთი მხრივ, ძირითად ქონებად (capital) და, მეორე მხრივ, ნაყოფად და შემოსავლებად.

909. ძირითად ქონებას წარმოადგენს ის ქონება, რომელიც იძლევა ნაყოფსა და შემოსავლებს, ასევე მომსახურებისა თუ საწარმოს მართვისათვის განკუთვნილი ქონება, აქციები სააქციო კაპიტალში ან იურიდიული პირისა თუ ამხანაგობის საერთო წილები, რეინვესტირებული ნაყოფი და შემოსავლები, ძირითადი ქონების ნებისმიერი განკარგვისათვის გადახდილი ფასი ან მისი რეინვესტიცია და — ძირითადი ქონების სანაცვლოდ ექსპროპრიაცია ან საადაზღვევო საზღაურები.

ძირითადი ქონება მოიცავს ასევე ინტელექტუალურ თუ სამრეწველო ქონებას, გარდა უფლებების გასხვისების გარეშე მათგან მიღებული თანხებისა, სავალო დოკუმენტებსა და სხვა სასესხო სერტიფიკატებს, რომლებიც ექვემდებარება დაფარვას ნაღდი ფულით და ასევე იმ უფლებებს, რომელთა რეალიზაციის შედეგადაც იზრდება ძირითადი ქონება, როგორიცაა იურიდიული პირის, კომანდიტური საზოგადოებისა თუ ტრასტის ფასიან ქაღალდებზე ხელმოწერის უფლება.

910. ნაყოფი და შემოსავლები არის ქონების მიერ მისი სუბსტანციის შეცვლის გარეშე წარმოებული ნამეტი ან რაც მიიღება ძირითადი ქონებით სარგებლობიდან. ისინი მოიცავს ასევე იმ უფლებებსაც, რომელთა რეალიზაციის შედეგადაც იზრდება ქონების ნაყოფი და შემოსავლები.

ნაყოფი მოიცავს იმ საგნებს, რომლებიც თავისთავად იქმნება ქონების მიერ ან იწარმოება მიწის ნაკვეთის კულტივირებითა თუ დამუშავებით. ნაყოფი ასევე მოიცავს ცხოველებისა და მათი მიერ წარმოებული პროდუქტის ნამატს.

შემოსავლები მოიცავს იმ ფულად თანხებს, რომლებსაც იძლევა ქონება, როგორიცაა ქირა, პროცენტი და დივიდენდი, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც წარმოადგენს იურიდიული პირის კაპიტალის განაწილებას; შემოსავლები ასევე მოიცავს ქირავნობის შეწყვეტისა თუ განახლების ან საავანსო გადახდების გამო მიღებულ თანხებს ანდა — მსგავს სიტუაციაში განაწილებულ ან ინკასირებულ თანხებს.

თავი 3
ქონება იმ პირებთან მიმართებაში, რომლებსაც ეკუთვნით მასზე უფლებები ან აქვთ მასზე მფლობელობა

911. პირს, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, შეუძლია ნივთზე ჰქონდეს საკუთრების უფლება ან სხვა სანივთო უფლება ანდა შეუძლია იქონიოს მასზე მფლობელობა.

პირს შეუძლია ასევე ფლობდეს ან მართავდეს სხვების ქონებას ან ის იყოს სპეციალური მიზნით მისაკუთრებული ქონების მინდობილი მესაკუთრე.

912. საკუთრების უფლების ან სხვა სანივთო უფლების მფლობელს აქვს უფლება, წამოიწყოს სასამართლო საქმე მისი უფლების აღიარების მოთხოვნით.

913. განსაზღვრული ნივთების მისაკუთრება შეიძლება აიკრძალოს; მათი

გამოყენება, რომელიც საერთოა ყველასთვის, რეგულირდება ზოგადი კანონებითა და, ზოგიერთი მხრივ, — წინამდებარე კოდექსით.

თუმცაღა, წყალი და ჰაერი, რომელიც არ არის გათვალისწინებული საზოგადოებრივი სარგებლობისათვის, ექვემდებარება მისაკუთრებას, თუ ხდება მათი თავმოყრა და რეზერვუარში განთავსება.

914. სხვა განსაზღვრული ნივთები, რომლებსაც არა ჰყავს მესაკუთრე, არ ხდება რაიმე უფლების ობიექტი, თუმცა მიუხედავად ამისა, მათი მისაკუთრება მაინც შესაძლებელია დაუფლებით (occupation), თუ პირი ამ ნივთების დაუფლებისას მოქმედებს მათი მესაკუთრედ გახდომის განზრახვით.

915. ქონება ეკუთვნის პირებს, ან სახელმწიფოს ანდა, განსაზღვრულ შემთხვევებში, ხდება მისი გამიზნული მისაკუთრებაც.

916. ქონების შეძენა ხდება ხელშეკრულებით, მემკვიდრეობით, დაუფლებით, ხანდაზმულობით, მიმატებით (accession) ან კანონით გათვალისწინებულინებისმიერი სხვა ხერხით.

არავის შეუძლია მიისაკუთროს სახელმწიფოს ქონება დაუფლებით, ხანდაზმულობით ან მიმატებით, გარდა იმ ქონებისა, რომელიც სახელმწიფომ მიიღო მემკვიდრეობით, ასევე — როგორც მიტოვებული სამკვიდრო ქონება (vacancy) ან ჩამორთმეული ქონება მანამდე, სანამ ის არ შეერეოდა სახელმწიფოს სხვა ქონებას. გარდა ამისა, სათავისოდ ვერავინ შეიძენს საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირების კუთვნილ იმ ქონებას, რომელიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი სარგებლობისათვის.

917. კანონის შესაბამისად ჩამორთმეული ქონება ჩამორთმევის შემდეგ წარმოადგენს სახელმწიფოს ქონებას ან, განსაზღვრულ შემთხვევებში, — საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იმ იურიდიული პირის ქონებას, რომელიც კანონით უფლებამოსილია ამ ქონების ჩამორთმევაზე.

918. ტერიტორიის ის ნაწილები, რომლებიც არ არის ფიზიკური ან იურდიული პირების საკუთრებაში და არც ქონების ტრასტისათვის არის გადაცემული, ეკუთვნის სახელმწიფოს და ქმნის მისი საკუთრების (domain) ნაწილს. ივარაუდება, რომ სახელმწიფოს აქვს ასეთ ქონებაზე პირველადი უფლებები.

919. სანაოსნო და წყალსაზიდი (floatable) ტბებისა და მდინარეების კალაპოტები წარმოადგენს სახელმწიფოს ქონებას სავსე წყლის დონის ნიშნულამდე.

არასანაოსნო და არაწყალსაზიდი ტბებისა და მდინარეების კალაპოტები, რომლებიც ესაზღვრება სახელმწიფოს მიერ 1918 წლის 9 თებერვლის შემდეგ გასხვისებულ მიწებს, ასევე წარმოადგენს სახელმწიფოს ქონებას სავსე წყლის დონის ნიშნულამდე; აღნიშნულ თარიღამდე სანაპირო მიწის გასხვისებისას მასზე საკუთრების უფლება მიჰყვებოდა არასანაოსნო და არაწყალსაზიდი ტბებისა და მდინარეების კალაპოტების საკუთრების უფლებას.

ყველა შემთხვევაში, კანონი ან კონცესიის ხელშეკრულება შეიძლება სხვაგვარად ადგენდეს.

920. ნებისმიერ პირს შეუძლია იმგზავროს მდინარეებსა და ტბებზე იმ პირობით, რომ ის მოიპოვებს მდინარეებსა და ტბებზე შესვლის კანონიერ უფლებას, არ არღვევს სანაპირო მიწების მესაკუთრეთა უფლებებს, არ გადმოდის ნაპირებზე და იცავს წყლით სარგებლობის პირობებს.

თავი 4
ქონებასთან დაკავშირებული განსაზღვრული დე ფაქტო ურთიერთობები

განყოფილება 1
მფლობელობა

§ 1. — მფლობელობის ბუნება

921. მფლობელობა არის სანივთო უფლების ფაქტობრივი განხორციელება თავად პირის მიერ ან სხვა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ქონებაზე მპყრობელობა იმ განზრახვით, რომ იმოქმედოს როგორც აღნიშნული უფლების მფლობელმა.

განზრახვის არსებობა ივარაუდება. როდესაც ის არ არსებობს, სახეზეა უბრალო მპყრობელობა.

922. მხოლოდ მშვიდი, უწყვეტი, საჯარო და აშკარა მფლობელობა წარმოშობს იურიდიულ შედეგებს.

923. ივარაუდება, რომ პირი, რომელმაც ქონების პყრობა დაიწყო სხვა პირის სასარგებლოდ ან უპირატესი საკუთრების აღიარებით აგრძელებს მის პყრობას ასეთი სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართლებრივი საფუძვლის შეცვლა აშკარა ფაქტებით დასტურდება.

924. უბრალო შემთხვევითი ან შემწყნარებლური მოქმედებები არ ქმნის მფლობელობას.

925. ივარაუდება, რომ არსებული მფლობელი ნივთს ფლობდა უწყვეტად იმ მომენტიდან, როდესაც მან ეს ნივთი მფლობელობაში მიიღო; მას შეუძლია თავისი მფლობელობა მიუერთოს მისი უფლებრივი წინამორბედის მფლობელობას.

მფლობელობა არის უწყვეტი თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მისი განხორციელება დროებით ხელშეშლილი ან შეფერხებულია.

926. ხარვეზიანი მფლობელობა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ ხარვეზის გამოსწორების მომენტიდან.

უფლებამონაცვლეები ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით არ ზარალობენ მათი წინამორბედის მფლობელობის ხარვეზების გამო.

927. ქურდს, მოპარული ნივთების მიმღებს ან თაღლითს არ შეუძლია მითითება მფლობელობის სამართლებრივ შედეგებზე, მაგრამ ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით მის უფლებამონაცვლეებს შეუძლიათ ამის გაკეთება, თუ მათ არაფერი იცოდნენ ხარვეზის შესახებ.

§ 2. — მფლობელობის სამართლებრივი შედეგები

928. ივარაუდება, რომ მფლობელს აქვს ის სანივთო უფლება, რომელსაც ის ახორციელებს. იმ პირს, რომელიც სადავოდ ხდის აღნიშნულ პრეზუმფციას, ეკისრება თავისი უფლების მტკიცების ტვირთი და, გარემოებების გათვალისწინებით, ასევე — იმის მტკიცების ტვირთიც, რომ მფლობელს არა აქვს ფლობის სამართლებრივი საფუძველი, მფლობელის სამართლებრივი საფუძველი ან თავად მფლობელობა ხარვეზიანია.

929. ერთ წელზე მეტი ვადით უწყვეტი მფლობელობის მქონე მფლობელს აქვს სარჩელის უფლება ნებისმიერი იმ პირის მიმართ, რომელიც არღვევს მის მფლობელობას ან ართმევს მას მფლობელობას, იმისათვის, რომ მიაღწიოს დარღვევის შეწყვეტას ან დაიბრუნოს ნივთზე მფლობელობა.

930. მფლობელობა მფლობელს ანიჭებს იმ სანივთო უფლებას, რომელსაც ის ახორციელებს, თუ ის აკმაყოფილებს ხანდაზმულობის ნორმების მოთხოვნებს.

931. კეთილსინდისიერ მფლობელს არ ევალება ქონების ნაყოფისა და შემოსავლების შესახებ ანგარიშის წარდგენა და მას ეკისრება ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია აღნიშნული ნაყოფისა და შემოსავლების წარმოებისას.

არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა ხარჯების ანაზღაურების შემდეგ უნდა დააბრუნოს ნაყოფი და შემოსავლები იმ დღიდან, როდესაც ის გახდა არაკეთილსინდისიერი.

932. მფლობელი კეთილსინდისიერია, თუ მისი მფლობელობის დაწყების შემდეგ გამართლებულია მისი რწმენა იმისა, რომ მას აქვს ის სანივთო უფლება, რომელსაც ის ახორციელებს. მისი კეთილსინდისიერება წყდება იმ მომენტიდან, როდესაც მის მიერ ფლობის სამართლებრივი საფუძვლის არქონის ან მისი მფლობელობისა თუ სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის შესახებ მას ეცნობება სამოქალაქო დავის წარმოებისას.

933. მფლობელს შეიძლება მიეცეს კომპენსაცია ან აუნაზღაურდეს ზარალი მიმატების შესახებ თავის ნორმების შესაბამისად მის მიერ აღმართული შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა და გაშენებული პლანტაციებისათვის.

განყოფილება 2
უპატრონო ქონების შეძენა

§ 1. — მესაკუთრის გარეშე არსებული ნივთები

934. მესაკუთრის გარეშე არსებულ ნივთებს წარმოადგენს ისეთი ობიექტები, რომლებიც არავის არ ეკუთვნის ან რომლებიც მიტოვებულ იქნა.

მცირე ღირებულების მქონე ან ძალიან ცუდ მდგომარეობაში არსებული მოძრავი ნივთები, რომლებიც დატოვებულია საჯარო ადგილზე, მათ შორის, საჯარო გზაზე ან საზოგადოებრივი ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებაში, — ჩაითვლება მიტოვებულ ნივთებად.

935. მესაკუთრის გარეშე არსებული ნივთი ეკუთვნის იმ პირს, რომელიც მას ისაკუთრებს დაუფლების გზით.

მიტოვებული მოძრავი ნივთი, თუ მას არავინ ისაკუთრებს სათავისოდ, ეკუთვნის იმ მუნიციპალიტეტს, რომელიც იღებს მას თავის ტერიტორიაზე, ან — სახელმწიფოს.

936. მესაკუთრის გარეშე არსებული უძრავი ნივთი ეკუთვნის სახელმწიფოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ნებისმიერ პირს შეუძლია მისი შეძენა ბუნებრივი მიმატებით ან ხანდაზმულობით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს აქვს მასზე მფლობელობა ან ის გაცხადებულია მის მესაკუთრედ შემოსავლების მინისტრის მიერ მიწის რეესტრში რეგისტრირებული შეტყობინებით.

937. მესაკუთრის გარეშე არსებული ნივთები, რომლებსაც სახელმწიფო ისაკუთრებს, იმართება შემოსავლების მინისტრის მიერ, რომელიც განკარგავს ამ ნივთებს კანონის შესაბამისად.

938. განძი ეკუთვნის მპოვნელს, თუ ის მას აღმოაჩენს თავის კუთვნილ მიწაში; თუ განძის აღმოჩენა ხდება სხვა პირის კუთვნილ მიწაში, ნახევარი ეკუთვნის მიწის მესაკუთრეს და მეორე ნახევარი კი — მპოვნელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მპოვნელი მოქმედებდა მესაკუთრის ინტერესებში.

§ 2. — დაკარგული ან დავიწყებული მოძრავი ნივთები

939. მოძრავი ნივთი, რომელიც დაკარგული ან დავიწყებულია მესამე პირის ხელში ანდა საჯარო ადგილზე, — მაინც ეკუთვნის მის მესაკუთრეს.

დაუშვებელია მოძრავი ნივთის შეძენა დაუფლებით, თუმცა ასეთი შეძენა, ისევე როგორც ნივთის სანაცვლო ფასის, შესაძლებელია ხანდაზმულობით იმ პირის მიერ, რომელსაც ნივთი აქვს მპყრობელობაში.

940. ნივთის მპოვნელმა უნდა სცადოს მისი მესაკუთრის პოვნა; თუ ის პოულობს მესაკუთრეს, მან ამ უკანასკნელს უნდა დაუბრუნოს ნივთი.

941. იმისათვის, რომ დაკარგული ნივთის მპოვნელმა შეიძინოს ხანდაზმულობით საკუთრების უფლება ამ ნივთზე ან ნივთის სანაცვლო ფასზე, მან პოვნის ფაქტი უნდა განუცხადოს პოლიციის თანამშრომელს, იმ მუნიციპალიტეტს, რომლის ტერიტორიაზეც ეს ნივთი იქნა ნაპოვნი, ან შესაბამის თანამდებობის პირს, რომლის პასუხისმგებლობის ტერიტორიაზეც იქნა აღნიშნული ნივთი ნაპოვნი.

ასეთ შემთხვევაში მპოვნელს თავისი არჩევანით შეუძლია დაიტოვოს ნივთი თავისთან, განკარგოს ის როგორც იმ პირმა, რომელსაც ნივთი აქვს მპყრობელობაში, ან გადასცეს ეს ნივთი მპყრობელობაში იმ პირს, რომელსაც მპოვნელმა განუცხადა პოვნის ფაქტის შესახებ.

942. დაკარგული ნივთის მპოვნელს, მათ შორის, სახელმწიფოსა თუ მუნიციპალიტეტს შეუძლია გაყიდოს ის, თუ ამ ნივთს არავინ ითხოვს 60 დღის განმავლობაში.

ნივთის გაყიდვა ხორციელდება აუქციონზე და არანაკლებ 10 დღის ვადის გასვლისა იმ გაზეთში გაყიდვის შესახებ განცხადების გაკეთებიდან, რომელიც ვრცელდება იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც ნივთი იქნა ნაპოვნი, ნივთის ძირითადი თვისებების აღწერითა და გაყიდვის ადგილის, დღისა და საათის მითითებით.

თუმცა, მფლობელს შეუძლია ნივთის განკარგვა დაუყოვნებლივაც, თუ ის მალფუჭებადია. ასევე, თუ აუქციონზე შემთავაზებელი არ ვლინდება, მფლობელს შეუძლია ნივთი გაყიდოს ხელშეკრულებით, გადასცეს ის საქველმოქმედო დაწესებულებას ან, თუ აღნიშნული გზით მისი განკარგვა შეუძლებელია, — გაანადგუროს ის.

943. სახელმწიფოსა თუ მუნიციპალიტეტს, როგორც ნაპოვნი ნივთის მფლობელს, შეუძლია, გამოქვეყნებისათვის მოთხოვნილთან შედარებით დადგენილი ვადების დაცვის გარეშე, გაყიდოს მის ხელთ არსებული მოძრავი ნივთები შემდეგ შემთხვევებში:

1) ნივთის მფლობელი ითხოვს მას, თუმცა უგულებელყოფს მფლობელისათვის ქონების მართვის ხარჯების ანაზღაურებას ან უარს ამბობს ამაზე ნივთის მოთხოვნიდან 60 დღის განმავლობაში;

2) რამდენიმე პირი ნივთს ითხოვს როგორც მესაკუთრე, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ადასტურებს აშკარა უფლების არსებობას ან არ იწყებს სასამართლო დავას აღნიშნულის დასადასტურებლად მისთვის დადგენილი 60 ან მეტი დღის განმავლობაში;

3) სასამართლოს კანცელარიაში შენახული მოძრავი ნივთი არ იქნება მოთხოვნილი მისი მესაკუთრის მიერ 60 დღის განმავლობაში მისთვის ამ ნივთის წაღების შეთავაზების შესახებ შეტყობინების წარდგენის მომენტიდან ან თუ მესაკუთრისათვის რაიმე შეტყობინების წარდგენა შეუძლებელია, — სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებიდან ან საქმის წარმოების შეწყვეტის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში.

944. როდესაც ნივთი, რომელიც ჩაბარებულ იქნა შესანახად, დამუშავებისა თუ გადამუშავებისათვის, არ იქნება მოთხოვნილი სამუშაოს დასრულებიდან ან შეთანხმებული ვადის ამოწურვიდან 90 დღის განმავლობაში, ის ჩაითვლე-

ბა დავიწყებულად და მფლობელს ნივთის მიმნდობი პირისათვის იმავე ვადით შეტყობინების მიცემის შემდეგ შეუძლია ამ ნივთის განკარგვა.

945. ჩაბარებული, მაგრამ დავიწყებული ნივთის მფლობელი განკარგავს ამ ნივთს აუქციონზე გაყიდვის გზით მსგავსად ნაპოვნი ნივთის გაყიდვის წესისა, ან — შეთანხმებით. მას ასევე შეუძლია გადასცეს ის ნივთი, რომელიც ვერ იყიდება, საქველმოქმედო დაწესებულებას ან, თუ ეს შეუძლებელია, — განკარგოს ის თავისი შეხედულებით.

946. მანამდე, სანამ დაკარგული ან დავიწყებული ნივთის მესაკუთრის საკუთრების უფლება არ გახდა ხანდაზმული, მას შეუძლია ნივთის სხვა პირის მფლობელობიდან გამოთხოვა მისი მართვის ხარჯების დაფარვის შეთავაზებით და, აუცილებლობის შემთხვევაში, — გაწეული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებით. თანხის გადახდამდე ნივთის მფლობელს შეუძლია ნივთის დაკავება.

თუ ნივთი გასხვისდა, მიუხედავად 1714-ე მუხლის დანაწესისა, მესაკუთრის უფლება ხორციელდება მხოლოდ იმის მიმართ, რაც რჩება ნასყიდობის ამონაგები თანხიდან ნივთის მართვისა და გასხვისების ხარჯებისა და გაწეული სამუშაოს ღირებულების გამოკლების შემდეგ.

ტიტული 2
საკუთრების უფლება

თავი 1
საკუთრების უფლების ბუნება და ფარგლები

947. საკუთრების უფლება წარმოადგენს ქონების სრული და თავისუფალი გამოყენების, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას კანონით განსაზღვრული მისი რეალიზაციის შეზღუდვებისა და პირობების გათვალისწინებით.

საკუთრების უფლება შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის (modalities) და ასევე არსებობდეს დანაწევრებული სახით.

948. ქონებაზე საკუთრების უფლება იძლევა უფლებას იმაზე, რასაც ეს ქონება აწარმოებს და დაკავშირების მომენტიდან, — იმაზე, რაც მასთან ბუნებრივად ან ხელოვნურად არის დაკავშირებული. ამ უფლებას მიმატების უფლებას უწოდებენ.

949. ქონების ნაყოფი და შემოსავალი ეკუთვნის იმ მესაკუთრეს, რომელსაც ეკისრება მის მიერ მათი წარმოებისათვის გაწეული ხარჯები.

950. ქონების მესაკუთრეს ეკისრება მისი შემთხვევით დაღუპვის რისკი.

951. საკუთრების უფლება მიწაზე იძლევა საკუთრების უფლებას ასევე იმაზეც, რაც არის მიწის ზედაპირის ზემოთ და ქვემოთ.

მესაკუთრეს თავისი შეხედულებით შეუძლია აღმართოს შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები და პლანტაციები მიწის ზედაპირის ზემოთ და ქვემოთ; ის ვალდებულია, პატივი სცეს, სხვა უფლებებთან ერთად, ასევე — სახელმწიფოს უფლებებს მაღაროებზე, წყლის ფენებსა და მიწისქვეშა წყლის ნაკადებზე.

952. დაუშვებელია მესაკუთრის იძულება, გადასცეს სხვას თავისი საკუთრება გარდა ექსპროპრიაციის შემთხვევებისა, რომელიც ხორციელდება კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი სარგებლობისათვის სამართლიანი და წინასწარი კომპენსაციის სანაცვლოდ.

953. მესაკუთრეს აქვს ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვის უფლება იმ მფლობელისა თუ მპყრობელის მიმართ, რომლებიც უფლების გარეშე ახდენენ ნივთის დაკავებას, და ასევე მას შეუძლია შეეწინააღმდეგოს ნებისმიერ დარღვევასა თუ ნებისმიერ სარგებლობას, რომელიც არ არის ნებადართული მის ან კანონის მიერ.

თავი 2
მიმატება

განყოფილება 1
უძრავი ქონების მიმატება

954. მოძრავი ან უძრავი ნივთის სხვა უძრავი ნივთისათვის მიმატება შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან უნებური. მიმატება ხელოვნურია პირველ შემთხვევაში, ხოლო ბუნებრივი კი, — მეორეში.

§ 1. — ხელოვნური მიმატება

955. ივარაუდება, რომ უძრავი ნივთზე არსებული შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები აღმართულია ან პლანტაციები გაშენებულია უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ საკუთარი ხარჯით და ეკუთვნის მას.

956. უძრავი ქონების მესაკუთრე მიმატების გზით ხდება ასევე იმ შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების მესაკუთრეც, რომლებიც მან აღმართა იმ მასალებით, რომლებიც მას არ ეკუთვნის, თუმცა ის ვალდებულია, აანაზღაუროს გამოყენებული მასალების მიერთების მომენტში არსებული ღირებულება.

მასალების თავდაპირველ მესაკუთრეს არა აქვს მათი მოცილების უფლება და ასევე მას არ ეკისრება მათი წაღების ვალდებულებაც.

957. უძრავი ქონების მესაკუთრე მიმატების გზით იძენს საკუთრების უფლებას კუთვნილ უძრავ ქონებაზე მფლობელის მიერ აღმართულ ან გაშენებულ შენობა-ნაგებობებზე, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებზე მიუხედავად იმისა, გაწეული დანახარჯები იყო თუ არა აუცილებელი, სასარგებლო ან — უბრალოდ სილამაზისთვის.

958. მესაკუთრემ მფლობელს უნდა აუნაზღაუროს აუცილებელი დანახარჯები თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები ან პლანტაციები აღარ არსებობს.

თუმცაღა, თუ მფლობელი არაკეთილსინდისიერია, კომპენსაციის მოთხოვნა შესაძლებელია მიღებული ნაყოფისა და შემოსავლების ნაწილში მათი წარმოებისათვის გაწეული ხარჯების გამოკლებით.

959. მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული აუცილებელი დანახარჯები, თუ შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები ან პლანტაციები ჯერ კიდევ არსებობს; მას ასევე შეუძლია თავისი არჩევანით გადაუხადოს მფლობელს კომპენსაცია, რომელიც უტოლდება ნამეტ ღირებულებას.

იგივე პირობებით მესაკუთრეს შეუძლია აანაზღაუროს არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული აუცილებელი დანახარჯები; ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია აანაზღაუროს იმ ნაყოფისა და შემოსავლების ღირებულება, რომლებიც მას უნდა მისცეს მფლობელმა.

მესაკუთრეს ასევე შეუძლია აიძულოს არაკეთილსინდისიერი მფლობელი, მოაშოროს უძრავ ქონებას შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები ან პლანტაციები და ტერიტორია აღადგინოს თავის საწყის მდგომარეობაში; თუ ასეთი აღდგენა შეუძლებელია, მესაკუთრეს შეუძლია აღნიშნული ობიექტების თავისთვის დატოვება კომპენსაციის გარეშე ან მას შეუძლია ასევე აიძულოს მფლობელი, მოაშოროს ისინი უძრავ ქონებას.

960. მესაკუთრეს შეუძლია აიძულოს არაკეთილსინდისიერი მფლობელი, შეიძინოს უძრავი ქონება და გადაუხადოს მას მისი ღირებულება, თუ გაწეული აუცილებელი დანახარჯები ძალიან დიდია და წარმოადგენს აღნიშნული ღირებულების მნიშვნელოვან პროპორციულ ნაწილს.

961. კეთილსინდისიერ მფლობელს, რომელმაც დანახარჯები გასწია საკუთარი კომფორტისათვის, შეუძლია მესაკუთრის არჩევანით მოაცილოს მის მიერ აღმართული შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები ან პლანტაციები ტერიტორისაათვის ზიანის მიყენების გარეშე, თუ აღნიშნულის განხორციელება ხელსაყრელია ან მიატოვოს ეს ობიექტები.

თუ ის ტოვებს ამ ობიექტებს, მესაკუთრე ვალდებულია, აუნაზღაუროს მას მათი ფასი ან უძრავი ქონების ნამეტი ღირებულება, რომელიც უფრო ნაკლებია.

962. მესაკუთრეს შეუძლია აიძულოს არაკეთილსინდისიერი მფლობელი, მოაცილოს მის მიერ საკუთარი კომფორტისათვის აღმართული შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები ან პლანტაციები და ტერიტორია აღადგინოს

თავის საწყის მდგომარეობაში; თუ ასეთი აღდგენა შეუძლებელია, მას შეუძლია აღნიშნული ობიექტების თავისთვის დატოვება კომპენსაციის გარეშე ან მას შეუძლია ასევე აიძულოს მფლობელი, მოაშოროს ისინი.

963. კეთილსინდისიერ მფლობელს აქვს უძრავი ქონების დაკავების უფლება მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება აუცილებელი ან საჭირო დანახარჯები.

არაკეთილსინდისიერ მფლობელს აქვს აღნიშნული უფლება მხოლოდ მის მიერ გაწეული აუცილებელი დანახარჯების მიმართ.

964. ქონების დამკავებელი პირის მიერ გაწეული დანახარჯები რეგულირდება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული დანახარჯების მიმართ დადგენილი წესების შესაბამისად.

თუმცა, ქონების დამკავებელ პირს არ ეკისრება ამ ქონების შეძენის ვალდებულება.

§ 2. — ბუნებრივი მიმატება

965. ალუვია (ნარიყი) ხდება სანაპირო ზოლის მესაკუთრის საკუთრება.

ალუვიას წარმოადგენს მიწის ლექი და მომატება, რომელიც თანდათანობითა და შეუმჩნევლად იქმნება მდინარეების სანაპირო მიწებზე.

966. ტერიტორიული ნამატი, რომელიც რჩება გამდინარე წყლის დონის ერთ ნაპირას შეუმჩნეველი დაწევის შედეგად იმ დროს, როდესაც წყლით იფარება გაღმა ნაპირი, ხდება თანდათანობით დამატებული ნაპირის მიწის მესაკუთრის საკუთრება, ხოლო გაღმა ნაპირის მიწის მესაკუთრეს არა აქვს მოთხოვნა დაკარგული მიწისათვის.

აღნიშნული უფლება არ არსებობს ზღვის ტერიტორიული ნამატის მიმართ, რომელიც ქმნის სახელმწიფო საკუთრების ნაწილს.

967. თუ უეცარი ძალით მდინარე სანაპირო მიწის დიდ და ადვილად საცნობ ნაწილს ჩაიტანს ქვემოთ არსებული მიწისკენ ან გადაიტანს გაღმა მხარეს, ამ მიწის ნაწილის მესაკუთრეს შეუძლია მისი დაბრუნების მოთხოვნა.

მესაკუთრე ვალდებულია, მიწის ჩამორთმევის შიშით გამოითხოვოს ჩატანილი ან გადატანილი მიწის ნაწილი ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც იმ მიწის მესაკუთრე, რომელსაც ის უერთდება, იღებს მას მფლობელობაში.

968. მდინარის კალაპოტში შექმნილი კუნძული ეკუთვნის კალაპოტის მესაკუთრეს.

969. თუ ახალი განტოტების შექმნისას მდინარე ჭრის სანაპირო მიწას და ამით ქმნის კუნძულს, სანაპირო ზოლის მესაკუთრე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ამგვარად შექმნილ კუნძულზე.

970. თუ მდინარე ტოვებს თავის კალაპოტს და ქმნის ახალს, ძველი კალაპოტი ეკუთვნით მდინარის მიერ ახლად დაკავებული მიწის მესაკუთრეებს თითოეულს მის მიერ დაკარგული მიწის პროპორციულად.

განყოფილება 2
მოძრავი ქონების მიმატება

971. როდესაც რამდენიმე მესაკუთრის კუთვნილი მოძრავი ნივთები ერთმანეთში აირევა ან გაერთიანდება იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდება მათი ერთმანეთისაგან მოცილება დაზიანების ან გადაჭარბებული შრომისა და ხარჯის გარეშე, — ახალი ნივთი ეკუთვნის იმ მესაკუთრეს, რომელსაც ყველაზე მეტი წვლილი მიუძღვის მის შექმნაში თავდაპირველი ნივთის ან მისი შრომის ღირებულების მიხედვით.

972. პირი, რომელმაც დაამუშავა ან გადაამუშავა ის მასალა, რომლებიც მას არ ეკუთვნოდა, იძენს საკუთრების უფლებას ახლად შექმნილ ნივთზე, თუ დამუშავება ან გადამუშავება უფრო მეტი ღირებულების მქონეა, ვიდრე გამოყენებული მასალა.

973. ახლად შექმნილი ნივთის მესაკუთრემ უნდა აუნაზღაუროს მასალის ან შრომის ღირებულება იმ პირს, რომელმაც აღნიშნული მას მიაწოდა ან გასწია შრომა.

თუ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, ვის მიუძღვის უფრო მეტი წვლილი ახალი ნივთის შექმნაში, დაინტერესებული პირები წარმოადგენენ მასზე იდეალური საერთო საკუთრების თანამესაკუთრეებს.

974. ახლად შექმნილი ნივთის დაბრუნებაზე ვალდებულ პირს შეუძლია დაკავოს ეს ნივთი მანამდე, მანამ მისი მესაკუთრე არ გადაუხდის მას იმ კომპენსაციას, რომელიც მას მართებს ვალდებული პირის.

975. კანონით გაუთვალისწინებელ გარემოებებში, მოძრავი ნივთების მიმართ მიმატების უფლება სრულად ექვემდებარება თანასწორობის პრინციპებს.

თავი 3
უძრავ ქონების მომწესრიგებელი სპეციალური წესები

განყოფილება 1
ზოგადი დებულება

976. მეზობლებმა უნდა ითმინონ ჩვეულებრივი სამეზობლო შემაწუხებელი ზემოქმედებები (annoyances), რომლებიც მათი მიწის მდებარეობისა თუ ადგილობრივი ჩვეულების ბუნების მიხედვით არ სცილდება ერთმანეთს შორის არსებულ თმენის ზღვარს.

განყოფილება 2
მიწის ფარგლები და სასაზღვრო მიჯნები

977. მიწის ფარგლები განისაზღვრება უფლების დამდგენი დოკუმენტით, საკადასტრო გეგმითა და მიწის სასაზღვრო ხაზებით, ასევე — ნებისმიერი სხვა სასარგებლო მითითებითა თუ დოკუმენტით, თუ ასეთის საჭიროება არსებობს.

978. ყოველ მესაკუთრეს შეუძლია აიძულოს მეზობელი, მათ მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებს შორის იქონიოს სასაზღვრო მიჯნები იმისათვის, რომ მოხდეს სასაზღვრო ნიშნების ფიქსირება, აღდგენილ იქნეს გადაადგილებული ან დაკარგული სასაზღვრო ნიშნები, შემოწმდეს ძველი სასაზღვრო ნიშნები ან გასწორდეს გამყოფი ხაზი მათ საკუთრებებს შორის.

შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მესაკუთრემ თავის მეზობელს ჯერ უნდა წარუდგინოს მოთხოვნა სასაზღვრო მიჯნების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის შესახებ და შეათანხმოს მასთან მიწის ამზომველის შერჩევის საკითხი აუცილებელი ოპერაციების განსახორციელებლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

სასაზღვრო მიჯნების აღმართვის ოპერაციების შესახებ ოქმი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში მიწის რეესტრში; საზღვრის დადგენის შესახებ ანგარიში თან უნდა დაერთოს ოქმს.

განყოფილება 3
წყლები

979. ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთი კრებს მის ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთიდან ბუნებრივად მომდინარე წყალს.

ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არა აქვს უფლება, აღმართოს ისეთი საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც ხელს შეუშლის წყლის ბუნებრივ დენას. ზემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არა აქვს უფლება, დაამძიმოს ქვემოთ არსებული მიწის ნაკვეთის მდგომარეობა და, ამასთან, არ ივარაუდება, რომ ის ასე იქცევა, თუ აღნიშნული მესაკუთრე ახორციელებს სამუშაოებს წყლის ბუნებრივი გადინების გასაადვილებლად ან, როდესაც მისი მიწის ნაკვეთი განკუთვნილია სოფლის მეურნეობისათვის, — ის ახორციელებს სადრენაჟო სამუშაოებს.

980. მესაკუთრეს, რომელსაც თავის მიწის ნაკვეთზე აქვს წყარო, შეუძლია წყლით სარგებლობა და მისი განკარგვა.

მას საკუთარი საჭიროებებისათვის შეუძლია გამოიყენოს იმ ტბებისა და ტბორების წყალი, რომლებიც მთლიანად განთავსებულია მის კუთვნილ მიწაზე, იმ პირობით, რომ ის იზრუნებს მათი ხარისხის შენარჩუნებაზე.

981. სანაპირო ზოლის მესაკუთრეს საკუთარი საჭიროებებისათვის შეუძლია გამოიყენოს ტბა, მდინარის სათავეები ან ნებისმიერი სხვა განდინარე წყლები, რომლებიც გვერდს უვლის ან კვეთს მის მიწის ნაკვეთს. რამდენადაც წყალი იკლებს მის მიწის ნაკვეთზე, მან უნდა მიმართოს ის მუდმივი კალაპოტისკენ ხარისხისა თუ მოცულობის მნიშვნელოვანი შეცვლის გარეშე.

სანაპირო ზოლის მესაკუთრეს არ შეუძლია თავისი წყლით სარგებლობა ისე, რომ ხელი შეეშალოთ სხვა სანაპირო ზოლის მესაკუთრეებს ანალოგიური უფლების განხორციელებაში.

982. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება საერთო ინტერესს, პირს, რომელსაც აქვს წყაროთი, ტბით, წყლის ფენით, მიწისქვეშა წყლის ნაკადითა თუ ნებისმიერი გამდინარე წყლით სარგებლობის უფლება, შეუძლია წყლის დაბინძურების ან გამოლევის თავიდან ასაცილებლად მოითხოვოს იმ ნებისმიერი საინჟინრო ნაგებობის დემონტაჟი ან მოდიფიკაცია, რომლის შედეგადაც ხდება წყლის დაბინძურება ან გამოლევა.

983. სახურავები უნდა მოეწყოს იმგვარად, რომ წყალი, თოვლი და ყინული ჩამოდიოდეს მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე.

განყოფილება 4
ხეები

984. ნაყოფი, რომელიც ვარდება ხიდან მეზობლის მიწის ნაკვეთზე, ეკუთვნის ხის მესაკუთრეს.

985. თუ მეზობლის მიწის ნაკვეთიდან ტოტები ან ფესვები გადმოდის მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე და მნიშვნელოვნად აფერხებს მის გამოყენებას, მესაკუთრეს შეუძლია თავის მეზობელს მოსთხოვოს მათი მოჭრა, ხოლო თუ ეს უკანასკნელი უარს განაცხადებს ტოტებისა თუ ფესვების მოჭრაზე, აიძულოს ის ამის გაკეთება.

თუ მეზობლის მიწის ნაკვეთზე არსებული ხე ქმნის მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე დაცემის საფრთხეს, ამ უკანასკნელს შეუძლია აიძულოს მეზობელი, წააქციოს ან გაასწოროს ის.

986. სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია აიძულოს თავისი მეზობელი, წააქციოს ხეები გამყოფი ხაზის გასწვრივ და ამ ხაზიდან არაუმეტეს ხუთი მეტრის დაშორებით, თუ ეს ხეები მნიშვნელოვნად ვნებს მის საქმიანობას, გარდა ხეხილის ბაღში არსებული ხეებისა ან ნეკერჩხლის ჭალებისა და ასევე — საკუთრების მოსართავად დაცული ხეებისა.

განყოფილება 5
სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთში შესვლის უფლება და მიწის ნაკვეთის დაცვა

987. ყოველმა მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ, სიტყვიერი თუ წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, უნდა დართოს თავის მეზობელს მიწის ნაკვეთში შესვლის ნება, თუ ეს აუცილებელია მეზობელ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობების ან პლანტაციების აღმართვის, გაშენებისა თუ ექსპლუატაციისათვის.

988. მესაკუთრე, რომელიც ვალდებულია დართოს სხვა პირს თავის მიწის ნაკვეთში შესვლის ნება, უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია მის მიერ მარტო ამ ფაქტის შედეგად მიყენებული ზიანისათვის და ასევე უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი მიწის ნაკვეთის თავისი თავდაპირველი სახით აღდგენა.

989. როდესაც ნივთი ბუნებრივი ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად აღმოჩნდება სხვა პირის მიწის ნაკვეთზე, ამ უკანასკნელის მესაკუთრემ უნდა დართოს ნივთის ძებნისა და წაღების ნება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაუყოვნებლივ თავად ახორციელებს ნივთის ძებნასა და აბრუნებს მას.

ნივთი მაინც ეკუთვნის თავის მესაკუთრეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი უარს ამბობს ძებნაზე, რა შემთხვევაშიც ნივთის შეძენა ხდება მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აიძულებს ნივთის მესაკუთრეს ამ ნივთის წაღებასა და მისი მიწის ნაკვეთის თავისი თავდაპირველი სახით აღდგენას.

990. მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა განახორციელოს ნებისმიერი სარემონტო თუ სადემონტაჟო სამუშაოები, რაც საჭიროა მის მიწაზე განთავსებული იმ შენობა-ნაგებობისა თუ საინჟინრო ნაგებობების ჩამონგრევის თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც ემუქრება მეზობელ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, საჯარო გზაზე დაცემის საფრთხე.

991. როდესაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრე თავის მიწაზე აშენებს შენობა-ნაგებობას, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებს, მან არ უნდა შეაწუხოს მეზობელი მიწის ნაკვეთი ან გამოუთხაროს ძირი ამ უკანასკნელზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებს.

992. როდესაც კეთილსინდისიერმა მესაკუთრემ თავისი მიწის ფარგლებს მიღმა ააშენა ნაგებობა სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მან, დარღვეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის არჩევანით, უნდა შეიძინოს ეს მიწის ნაკვეთი მისი მესაკუთრისათვის ნაკვეთის ღირებულების გადახდით ან გადაუხადოს მას კომპენსაცია მიწის ნაკვეთის სარგებლობის დროებითი დაკარგვისათვის.

თუ საზღვრის დარღვევა მნიშვნელოვანია, იწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან განხორციელებულია არაკეთილსინდისიერად, დარღვეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია აიძულოს ამშენებელი, შეიძინოს მისი უძრავი ქონება და გადაუხადოს მას ამ ქონების ღირებულება ანდა მოახდინოს შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და აღადგინოს ტერიტორია თავდაპირველი სახით.

განყოფილება 6
ხედები

993. არავის შეიძლება ჰქონდეს მეზობელ მიწის ნაკვეთზე გამყოფი ხაზიდან 150 სანტიმეტრზე ნაკლები სიგრძის პირდაპირი ხედები.

აღნიშნული წესი არ გამოიყენება მთავარ ქუჩაზე ან საჯარო პარკზე გამსვლელი ხედების შემთხვევაში ანდა პანელებში ჩასმული თუ გამჭვირვალე კარების შემთხვევაში.

994. 150 სანტიმეტრის სიგრძე იზომება კედლის გარე მოპირკეთებიდან, სადაც გაკეთებულია ღიობი პერპენდიკულარულად მისგან გამყოფ ხაზამდე. თუ ფანჯარა იღება გარეთ, მანძილი იზომება გარე ხაზიდან.

995. უძრავი გამჭვირვალე სანათები შეიძლება ჩამონტაჟდეს ისეთ კედელში, რომელიც არ წარმოადგენს საერთო კედელს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მისი დაშორება გამყოფი ხაზიდან 150 სანტიმეტრზე ნაკლებია.

996. საერთო კედელის თანამესაკუთრეს სხვა თანამესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე არა აქვს ამ კედელში ნებისმიერი ღიობის გაკეთების უფლება.

განყოფილება 7
გზის უფლება

997. იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელიც გარშემორტყმულია სხვა ნაკვეთებით იმგვარად, რომ სახეზე არ არის მისასვლელი — ან არის მხოლოდ არაადეკვატური, რთული ან გაუვალი მისასვლელი — საჯარო გზიდან, თუ ყველა მისი მეზობელი უარს განაცხადებს მისთვის სერვიტუტისა თუ სხვა სახის მისადგომის მინიჭებაზე, შეუძლია ერთ-ერთ მათგანს მოსთხოვოს მისთვის აუცილებელი გზის უფლების მინიჭება საკუთარი მიწის ნაკვეთით სარგებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

როდესაც მესაკუთრე აყენებს თავის მოთხოვნის უფლებას წინამდებარე მუხლის საფუძველზე, ის იხდის მის მიერ მიყენებული ნებისმიერი ზიანის შესაბამის კომპენსაციას.

998. გზის უფლება უნდა მოეთხოვოს იმ მესაკუთრეს, რომლის მიწის ნაკვეთი იძლევა ყველაზე ბუნებრივ გასასვლელს შესაბამისი ადგილის მდგომარეობის, გარშემორტყული მიწის ნაკვეთის იმ უპირატესობისა და დისკომფორტის მხედველობაში მიღებით, რომელიც გამოწვეულია იმ მიწის ნაკვეთზე გზის უფლებით, რომელზეც ეს უფლება ხორციელდება.

999. თუ მიწის ნაკვეთი სხვა ნაკვეთებით გარშემორტყული აღმოჩნდება ამ მიწის ნაკვეთის გაყოფის შედეგად, რომელიც ხორციელდება დანაწილების შესახებ შეთანხმების, ანდერძისა თუ ხელშეკრულების შესაბამისად, — გზის უფლების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ გაყოფის თანამონაწილის, მემკვიდრისა თუ ხელშეკრულების მხარისაგან, მაგრამ — არა იმ მესაკუთრისაგან, რომლის მიწის ნაკვეთი იძლევა ყველაზე ბუნებრივ გასასვლელს; ასეთ შემთხვევაში გზის უფლების მინიჭება ხდება კომპენსაციის გარეშე.

1000. გზის უფლების მოსარგებლემ უნდა ააშენოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ყველა იმ საინჟინრო ნაგებობას, რომელიც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისი უფლება ხორციელდებოდეს იმ მიწის ნაკვეთისათვის მინიმალური შესაძლო ზიანის მიყენებით, რომელზეც ეს უფლება ხორციელდება.

1001. გზის უფლება უქმდება, როდესაც ის აღარ არის აუცილებელი მიწის ნაკვეთით სარგებლობისა და მისი ექსპლუატაციისათვის. კომპენსაციის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას, თუმცა თუ მისი გადახდა უნდა განხორციელებულიყო ყოველწლიური გადასახდელის სახით ან ნაწილ-ნაწილ, — ამ თანხების სამომავლო გადახდები აღარ ექვემდებარება გადახდას.

განყოფილება 8
საერთო ღობეები და საინჟინრო ნაგებობები

1002. ნებისმიერ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი ხარჯით შემოღობოს თავისი ნაკვეთი კედლებით, თხრილებით, მესერებითა თუ ნებისმიერი სხვა სახის ღობით.

მას ასევე შეუძლია მოსთხოვოს თავის მეზობელს თანაბარწილად ან საერთო სარჯით, მათ მიწის ნაკვეთებს შორის გამყოფ ხაზზე აღმართოს შესაბამის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობისა და გამოყენებისათვის შესაფერისი ღობე.

1003. ივარაუდება, რომ გამყოფ ხაზზე არსებული ღობე არის საერთო. ანალოგიურად, ორივე მხრიდან არსებული შენობების მზიდი კედელი ასევე ივარაუდება, რომ არის საერთო გამყოფ წერტილამდე.

1004. მესაკუთრეს შეუძლია შეიძინოს საერთო საკუთრება კერძო კედელზე, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება გამყოფ ხაზს კედლის მესაკუთრისათვის მისი საერთო სექციის ხარჯისა, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში კი, — გამოყენებული მიწის ღირებულების ნახევრის ანაზღაურებით. კედლის ღირებულების შეფასება ხდება იმ დღისათვის, როდესაც ის საერთო გახდა კედლის მდგომარეობის მხედველობაში მიღებით.

1005. ყოველ მესაკუთრეს შეუძლია აშენოს საერთო კედლის გვერდით, ასევე განათავსოს მის პირდაპირ კოჭები და დირეები. მან უნდა მიიღოს მეორე მესაკუთრის თანხმობა აღნიშნულის განხორციელებაზე.

შეუთანხმებლობის შემთხვევაში მესაკუთრეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმ საშუალებების განსაზღვრის მოთხოვნით, რომლებიც აუცილებელია ახალი ნაგებობებით მეორე მესაკურის უფლებების შეძლებისდაგვარად მინიმალური დარღვევის უზრუნველსაყოფად.

1006. საერთო კედლის ექსპლუატაციის, შეკეთებისა და აღდგენის ხარჯები ეკისრება თითეულ მესაკუთრეს თავისი უფლების პროპორციულად.

მესაკუთრეს, რომელიც არ იყენებს საერთო კედელს, შეუძლია უარი თქვას თავის უფლებაზე და ამით გათავისუფლდეს მასზე დაკისრებულ ხარჯებში მონაწილეობის ვალდებულებისაგან ამ მიზნით უფლებათა რეესტრისათვის (registry office) შეტყობინების წარდგენით და ასევე შეტყობინების ასლის დაუყოვნებლივ სხვა მესაკუთრეებისათვის გადაცემით. შეტყობინება შედეგად იწვევს კედლით სარგებლობის უფლებაზე უარს.

1007. საერთო კედლის თანამესაკუთრეს აქვს საკუთარი ხარჯით კედლის ამაღლების უფლება მას შემდეგ, რაც ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე ის დარწმუნდება იმაში, რომ კედელი გაუძლებს სიმაღლის მომატებას; ასევე მან მეორე მესაკუთრეს კომპენსაციის სახით უნდა გადაუხადოს ამაღლების ხარჯის ერთი მეექვსედი.

თუ კედელი ვერ გაუძლებს სიმაღლის მომატებას, თანამესაკუთრემ უნდა აღადგინოს მთელი კედელი თავისი ხარჯით ისე, რომ დამატებითი სისქე უნდა მოდიოდეს მის კუთვნილ მხარეზე.

1008. კედლის ამაღლებული ნაწილი ეკუთვნის იმ პირს, რომელმაც ის აააშენა და ასევე მისი ექსპლუატაციის, შეკეთებისა და აღდგენის ხარჯებიც მის ვალდებულებას წარმოადგენს.

იმ მეზობელს, რომელმაც არ მიიღო მონაწილეობა კედლის ამაღლებაში, მაინც შეუძლია მასზე საერთო საკუთრების შეძენა კედლის ამაღლებული ნაწილის ან აღდგენის ხარჯების ნახევრის გადახდით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, — იმ მიწის ნაწილის ღირებულების ნახევრის გადახდით, რომელიც გათვალისწინებულია დამატებითი სისქისათვის. მან ასევე უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიღებული ნებისმიერი კომპენსაცია.

ტიტული 3
საკუთრების უფლების ფორმები

თავი 1
ზოგადი დებულებები

1009. საკუთრების უფლების ძირითადი ფორმებია საერთო საკუთრება და აღნაგობა (superficies).

1010. საერთო საკუთრებას წარმოადგენს ერთი და იგივე ქონების ერთობლივი და ერთდროული საკუთრების არსებობა რამდენიმე პირის მიერ, რომელთაგან თითოეულს ინდივიდუალურად ენიჭება საკუთრების უფლების წილი.

საერთო საკუთრებას უწოდებენ იდეალურ საერთო საკუთრებას (undivided), როდესაც საკუთრების უფლებას არ ახლავს ქონების ფიზიკური დაყოფა.

საერთო საკუთრებას უწოდებენ წილადს, როდესაც საკუთრება თანამესაკუთრეებს შორის დაყოფილია იმგვარად, რომ თითოეული შეიცავს ფიზიკურად დაყოფილ ინდივიდუალურ ნაწილსა და წილს საერთო ნაწილებში.

1011. აღნაგობა წარმოადგენს საკუთრებას სხვა პირის — მიწის (subsoil) მესაკუთრის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებზე.

თავი 2
იდეალური საერთო საკუთრება

განყოფილება 1
იდეალური საერთო საკუთრების დადგენა

1012. იდეალური საერთო საკუთრება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან, მემკვიდრეობიდან ან სასამართლოს გადაწყვეტიდან გამომდინარე ანდა — კანონის ძალით.

1013. თანამესაკუთრეებს შეუძლიათ წერილობით შეთანხმდნენ ქონების გაყოფის გადადების შესახებ იდეალური საერთო საკუთრების ვადის ამოწურვამდე.

ასეთი შეთანხმება არ უნდა აღემატებოდეს 30 წელს, თუმცა ის ექვემდებარება განახლებას. შეთანხმება, რომლის ვადაც აღემატება 30 წელს, მცირდება 30 წლამდე.

1014. უძრავი ქონების მიმართ შეთანხმებით დადგენილი იდეალური საერთო საკუთრება ექვემდებარება პუბლიკაციას, თუ ის გამოყენებულ უნდა იქნეს მესამე პირების მიმართ. კერძოდ, ნახსენები უნდა იყოს იდეალური საერთო საკუთრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თანამესაკუთრეების წილთა იდენტიფიკაცია და, აუცილებლობის შემთხვევაში, — მინიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლება ან იდეალური საერთო საკუთრების ნაწილის სარგებლობისა თუ ექსკლუზიური გამოყენების უფლება.

განყოფილება 2
თანამესაკუთრეთა უფლებები და ვალდებულებები

1015. ივარაუდება, რომ თანამესაკუთრეთა წილები არის თანაბარი.

ყოველ თანამესაკუთრეს თავისი წილის მიმართ აქვს ექსკლუზიური მესაკუთრის უფლებები და ვალდებულებები. ამდენად, თითოეულ თანამესა-

კუთრეს შეუძლია თავისი წილის გასხვისება ან იპოთეკით დატვირთვა, ხოლო კრედიტორებს შეუძლიათ მის მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელება.

1016. ყოველ თანამესაკუთრეს შეუძლია იდეალური საერთო საკუთრების გამოყენება იმ პირობით, რომ ის არ ეხება მის დანიშნულებას ან სხვა თანამესაკუთრეთა უფლებებს.

თუ ერთ-ერთ თანამესაკუთრეს აქვს ქონების სარგებლობისა და ექსკლუზიური გამოყენების უფლება, ის პასუხისმგებელია საკომპენსაციო თანხის გადახდაზე.

1017. მიმატების უფლება მოქმედებს ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ იდეალურ საერთო საკუთრებაში მათი წილების პროპორციულად. თუმცაღა, მიუხედავად ამისა, როდესაც თანამესაკუთრე ფლობს იდეალურ საერთო საკუთრებაში ნაწილის ექსკლუზიური სარგებლობისა თუ გამოყენების უფლებას, მას აქვს ეს უფლება ასევე ნებისმიერ იმ ობიექტზე, რომელიც შეერთებულია ამ ნაწილთან ან მიერთებულია მას.

1018. იდეალური საერთო საკუთრების ნაყოფი და შემოსავალი ემატება საერთო საკუთრებას, როდესაც სახეზე არ არის დროებითი გაყოფა ან ნებისმიერი სხვა შეთანხმება მათ პერიოდულ განაწილებასთან დაკავშირებით. ნაყოფი და შემოსავალი ასევე ემატება საერთო საკუთრებას, თუ ისინი არ იქნა მოთხოვნილი მათი გადახდის თარიღის დადგომიდან სამი წლის განმავლობაში.

1019. თანამესაკუთრეები პასუხს აგებენ თავიანთი წილების პროპორციულად ქონების მართვის ხარჯებისა და იდეალურ საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯებისათვის.

1020. ყოველი თანამესაკუთრე უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღურება მის მიერ იდეალური საერთო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით გაწეული აუცილებელი დანახარჯებისათვის. სხვა ნებადართული დანახარჯებისათვის ის ქონების გაყოფისას უფლებამოსილია, მიიღოს კომპენსაცია, რომელიც უტოლდება ქონების ნამეტ ღირებულებას.

ასევე, პირიქით, ყოველი თანამესაკუთრე პასუხისმგებელია იმ ნებისმიერი ზარალისათვის, რომელიც მისი ქმედებით ამცირებს იდეალური საერთო საკუთრების ღირებულებას.

1021. ქონების გაყოფა, რომელიც ხორციელდება იდეალური საერთო საკუთრების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ ვადამდე, ვერ იქნება გამოყენებული ქონების იდეალურ წილზე იპოთეკის მქონე კრედიტორის წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი დაეთანხმა ქონების გაყოფას ან მისი მოვალე ინარჩუნებს საკუთრების უფლებას ქონების რომელიმე ნაწილზე.

1022. ნებისმიერ თანამესაკუთრეს 60 დღის განმავლობაში იმის შეტყობი-

დან, რომ მესამე პირმა სასყდილიანი გარიგების საფუძველზე შეიძინა თანამესაკუთრის წილი, შეუძლია გამორიცხოს ის იდეალური საერთო საკუთრებიდან მისთვის ქონების გადაცემის ფასისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურებით. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია წილის შეძენიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

საერთო საკუთრებიდან გასვლის უფლების განხორციელება დაუშვებელია, როდესაც თანამესაკუთრეები იდეალური საერთო საკუთრების შესახებ ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ უპირატესი შესყიდვის უფლებაზე და როდესაც ასეთი უფლებები, თუ ისინი წარმოადგენს უძრავ ქონებაზე დადგენილ უფლებებს, გასაჯაროვდა.

1023. თანამესაკუთრემ, რომელმაც თავისი მისამართი რეგისტრაციაში გაატარა უფლებათა რეესტრში, — იდეალური საერთო საკუთრების თანამესაკუთრის წილის გაყიდვის ან ვალდებულების სანაცვლოდ მისი მიღების შესახებ კრედიტორის განზრახვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში — შეიძლება სუროგაციით მიიღოს კრედიტორის უფლებები ამ უკანასკნელისათვის აღნიშნული თანამესაკუთრის ვალის ხარჯებთან ერთად გადახდით.

თანამესაკუთრეს, რომელმაც თავისი მისამართი რეგისტრაციაში არ გააატარა უფლებათა რეესტრში, არა აქვს კრედიტორის ან ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლეების მიმართ საერთო საკუთრებიდან გასვლის უფლება.

1024. თუ რამდენიმე თანამესაკუთრე ახორციელებს კუთვნილ საერთო საკუთრებიდან გასვლის ან სუროგაციის უფლებებს თანამესაკუთრის წილის მიმართ, ეს უკანასკნელი ნაწილდება მათ შორის იდეალურ საერთო საკუთრებაში კუთვნილი უფლებების პროპორციულად.

განყოფილება 3
იდეალური საერთო საკუთრების მართვა

1025. თანამესაკუთრეები ქონებას მართავენ ერთობლივად.

1026. იდეალურ საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება თანამესაკუთრეთა რაოდენობისა და წილების უმრავლესობით.

გადაწყვეტილებები იდეალური საერთო საკუთრების გასხვისებასთან ან გაყოფასთან დაკავშირებით, ისევე როგორც — ქონების სანივთო უფლებით დატვირთვასთან, მისი დანიშნულების შეცვლასა თუ მასში არსებითი ხასიათის ცვლილებებთან დაკავშირებით, მოითხოვს ერთხმად მიღებულ მოწონებას.

1027. თანამესაკუთრეებს შეუძლიათ ერთ-ერთი მათგანი ან სხვა პირი დანიშნონ მენეჯერად და დაავალონ მას იდეალური საერთო საკუთრების მართვა.

თანამესაკუთრის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია და-

ნიშნოს მენეჯერი და განსაზღვროს მისი მოვალეობების განხორციელების პირობები, როდესაც თანამესაკუთრეთა რაოდენობისა და წილების უმრავლესობა ვერ თანხმდება იმ საკითხზე, თუ ვინ დანიშნონ მენეჯერად, ან როდესაც შეუძლებელია მისი დანიშვნა ან შეცვლა.

1028. მენეჯერად დანიშნულად ივარაუდება თანამესაკუთრე, რომელიც მართავს იდეალურ საერთო საკუთრებას ისე, რომ ეს ცნობილია სხვა თანამესაკუთრეებისათვის ამ უკანასკნელთა მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე.

1029. მენეჯერი იდეალური საერთო საკუთრების მიმართ მოქმედებს დამოუკიდებლად ისე, როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელსაც ევალება ქონების მარტივი მართვა.

განყოფილება 4
იდეალური საერთო საკუთრების შეწყვეტა და ქონების გაყოფა

1030. არავინ არის ვალდებული, დარჩეს იდეალურ საერთო საკუთრებაში. ქონების გაყოფა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერ დროს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებით, საანდერძო განკარგულებით, სასამართლოს გადაწყვეტილებითა თუ კანონის ძალით მოხდა მისი გადადება ანდა გაყოფა შეუძლებელი გახდა ქონების გრძელვადიანი მიზნით მისაკუთრების გამო.

1031. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, თანამესაკუთრეთა სამ მეოთხედს, რომლებსაც აქვთ წილების 90%, შეუძლიათ შეწყვიტონ უმთავრესად საცხოვრებელი ფართის საერთო საკუთრება იმისათვის, რომ დაადგინონ მასზე წილადი საკუთრება.

თანამესაკუთრეებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ ისინი, ვინც ეწინააღმდეგება საერთო წილადი საკუთრების დადგენასა და უარს აცხადებს საერთო საკუთრების შესახებ განცხადების ხელმოწერაზე, მათი წილის მათ შორის ფულადი სახით განაწილებით; ასეთ შემთხვევაში ყოველი თანამესაკუთრის წილი იზრდება მის მიერ განხორციელებული გადახდის პროპორციულად.

1032. თანამესაკუთრის განცხადების საფუძველზე სასამართლოს ზარალის თავიდან აცილების მიზნით შეუძლია გადადოს მთელი ქონების ან მისი ნაწილის გაყოფა და შეინარჩუნოს იდეალური საერთო საკუთრება მაქსიმუმ ორი წლის ვადით.

გადაწყვეტილება შეიძლება გადაიხედოს, თუ ის მიზეზები, რომლებიც ამართლებს იდეალური საერთო საკუთრების შენარჩუნებას, აღარ არსებობს ან თუ იდეალური საერთო საკუთრება გაუსაძლისი ან მაღალრისკიანი გახდა თანამესაკუთრეებისათვის.

1033. თუ თანამესაკუთრე ეწინააღმდეგება იდეალური საერთო საკუთრების შენარჩუნებას, სხვა თანამესაკუთრეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს ამ თანამესაკუთრის დაკმაყოფილება მისი წილის მისთვის ნატურით გამოყოფით იმ პირობით, რომ ამ წილის დანარჩენი ქონებისაგან მოცილება ადვილად შესაძლებელია, ან — ფულადი სახით, თავისი არჩევანით.

თუ წილის გამოყოფა ხდება ნატურით, თანამესაკუთრეებს შეუძლიათ გამოყონ ის, რაც ნაკლებად საზიანოა მათი უფლებების რეალიზაციისათვის.

თუ წილის გამოყოფა ხდება ფულადი სახით, ყოველი თანამესაკუთრის წილი იზრდება მის მიერ განხორციელებული გადახდის პროპორციულად.

1034. თუ თანამესაკუთრეები ვერ შეთანხმდებიან ერთ-ერთ მათგანზე წილის ნატურით ან ფულადი სახით გამოყოფაზე, შეფასება ან ღირებულების დადგენა ხორციელდება ყველა თანამესაკუთრის მიერ დანიშნული პირის მიერ ან თუ ისინი ერთმანეთს შორის ვერ შეთანხმდებიან, — სასამართლოს მიერ.

1035. იმ კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებიც წარმოიშვა ქონების მართვიდან გამომდინარე, უხდიან აქტივებიდან ქონების გაყოფამდე.

თანამესაკუთრის არც ერთ კრედიტორს, თუნდაც — იპოთეკარს, არ შეუძლია ქონების გაყოფის მოთხოვნა, გარდა არაპირდაპირი სარჩელისა, როდესაც თანამესაკუთრეს თავად შეეძლო მისი წარდგენა.

1036. იდეალური საერთო საკუთრება შეიძლება შეწყდეს წილთა რაოდენობის უმრავლესობის მქონე თანამესაკუთრეთა გადაწყვეტილებით, როდესაც იდეალური საერთო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგული ან ექსპროპრიირებულია.

1037. იდეალური საერთო საკუთრება წყდება ქონების გაყოფით ან გასხვისებით.

საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, გაყოფის შემთხვევაში გამოიყენება მემკვიდრეობის გაყოფასთან დაკავშირებული ნორმები.

თუმცა, გაყოფის აქტი, რომელიც წყვეტს იდეალურ საერთო საკუთრებას, განსხვავებით მემკვიდრეობის შემთხვევაში გაყოფისაგან, წარმოადგენს საკუთრების უფლების მიკუთვნების აქტს.

თავი 3
საერთო წილადი საკუთრება უძრავ ქონებაზე

განყოფილება 1
საერთო წილადი საკუთრების დადგენა

1038. უძრავ ქონებაზე საერთო წილადი საკუთრება წარმოიშობა იმ განცხადების გამოქვეყნებით, რომლითაც უძრავ ქონებაზე საკუთრება იყოფა დანაყოფებად, რომლებიც ეკუთვნის ერთ ან რამდენიმე პირს.

1039. საერთო საკუთრების შესახებ განცხადების გამოქვეყნებით, თანამესაკუთრეები, როგორც ჯგუფი, ქმნიან იურიდიულ პირს, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს უძრავი ქონების შენარჩუნება, საერთო წილების ექსპლუატა-

ცია და მართვა, უძრავ ქონებასთან თუ საერთო საკუთრებასთან, — ისევე როგორც საერთო ინტერესებში განხორციელებულ მთელ საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებების დაცვა.

იურიდიულ პირს ეწოდება სინდიკატი.

1040. დასაშვებია ემფიტევტის მიერ აშენებულ ან აღნაგობით დატვირთულ უძრავ ქონებაზე საერთო წილადი საკუთრების დადგენა, თუ განცხადების გამოქვეყნების მომენტისათვის უფლების არსებობის ვადა ჯერ კიდევ 50 წელზე მეტია.

პირველი პარაგრაფის თანახმად გათვალისწინებულ შემთხვევებში ყოველი თანამესაკუთრე განცალკევებულად და მისი დანაყოფის შეფარდებითი ღირებულების პროპორციულად პასუხისმგებელია, გარემოებების გათვალისწინებით, ემფიტევტის ან მეაღნაგის დაყოფადი ვალდებულებებისათვის ემფიტევზისით ან აღნაგობით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ. სინდიკატი კისრულობს დაუყოფად ვალდებულებებს.

განყოფილება 2
საერთო საკუთრების დანაყოფები

1041. საერთო წილადი საკუთრების თითოეული დანაყოფის შეფარდებითი ღირებულება დგინდება ერთობლივად ყველა დანაყოფის ღირებულებისადმი მიმართებაში, ყოველი დანაყოფის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის (private portion) ბუნების, დანიშნულების, ოდენობისა და ადგილმდებარეობის, მაგრამ — არა მისი გამოყენების გათვალისწინებით.

შეფარდებითი ღირებულება განისაზღვრება განცხადებაში.

1042. შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის იმ წილებს, რომლებიც იმყოფება კონკრეტული თანამესაკუთრის საკუთრებაში და განკუთვნილია მხოლოდ მისი ექსკლუზიური სარგებლობისათვის, უწოდებენ ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილებს.

1043. შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის იმ წილებს, რომლებიც იმყოფება ყველა თანამესაკუთრის საკუთრებაში და განკუთვნილია მათი საერთო სარგებლობისათვის, საერთო წილებს უწოდებენ.

თუმცაღა, ზოგიერთი წილი შეიძლება განკუთვნილი იყოს განსაზღვრული, ან მხოლოდ ერთი, თანამესაკუთრის სარგებლობისათვის. საერთო წილებთან დაკავშირებული ნორმები გამოიყენება იმ საერთო წილების მიმართ, რომლებმაც შეზღუდა სარგებლობა.

1044. საერთო წილებად ივარაუდება შემდეგი: მიწა, ეზოები, ვერანდები ან აივნები, პარკები და ბაღები, მისასვლელი გზები, კიბეები და ლიფტები, დერეფნები და ვესტიბიულები, საერთო მომსახურების ზონები, პარკინგის ადგილები და საცავები, სარდაფები, შენობების საძირკვლები და მზიდი კედლები, ასევე — საერთო აღჭურვილობა და დანადგარი, როგორიცაა ცენტრალური გათბობისა და ჰაერის კონდიცირების სისტემები და მილები და ელექტრო-

გაყვანილობა, მათ შორის, ის, რომელიც კვეთს ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილებს.

1045. საერთოდ ივარაუდება ტიხრები ან კედლები, რომლებიც არ წარმოადგენს შენობების საძირკვლებისა და მზიდი კედლების ნაწილს, მაგრამ რომლებიც ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილს გამოჰყოფს საერთო წილებისაგან ან სხვა ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილისაგან.

1046. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს იდეალური საერთო საკუთრება საერთო წილებზე. მისი წილი საერთო წილებში პროპორციულია მისი დანაყოფის ღირებულებისა.

1047. ყოველი დანაყოფი ქმნის განცალკევებულ ობიექტს და ის შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გასხვისდეს; თითოეულ შემთხვევაში გასხვისება მოიცავს დანაყოფთან დაკავშირებულ საერთო წილებს, ისევე როგორც, აუცილებლობის შემთხვევაში, — შეზღუდული სარგებლობისათვის საერთო ნაწილების გამოყენების უფლებას.

1048. დანაყოფთან დაკავშირებული წილი საერთო წილებში ვერ იქნება გასხვისების ან გაყოფის შესახებ სარჩელის ობიექტი დანაყოფის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის გარეშე.

1049. ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის გაყოფილი ნაწილის გასხვისება სამართლებრივი ძალის არმქონეა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთო საკუთრების შესახებ განცხადება და საკადასტრო გეგმა გასხვისებამდე შეიცვალა იმისათვის, რათა შეიქმნას ახალი დანაყოფი, მოხდეს მისი აღწერა, მიეცეს მას განცალკევებული საკადასტრო ნომერი და განისაზღვროს მისი შეფარდებითი ღირებულება ან რეგისტრაციაში გატარდეს მომიჯნავე ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილებს შორის არსებული საზღვრების ცვლილებები.

1050. ყოველი დანაყოფი ქმნის განცალკევებულ ობიექტს უძრავი ქონების შეფასებისა და დაბეგვრის მიზნებისათვის.

სინდიკატის მიმართ უნდა წარიმართოს სასამართლო დავა იმ შემთხვევაში, როდესაც თანამესაკუთრე სასამართლო წესით ასაჩივრებს დანაყოფის შეფასებას.

1051. მიუხედავად 2650-ე და 2662-ე მუხლებისა, იპოთეკა, მასთან არსებული ნებისმიერი დამატებითი უზრუნველყოფა ან ნებისმიერი პრივილეგია, რომელიც არსებობს საერთო საკუთრებაში მყოფ მთელ უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების შესახებ განცხადების რეგისტრაციის მომენტში, იყოფა დანაყოფებს შორის თითოეულის შეფარდებითი ღირებულების მიხედვით ან ნებისმიერი სხვა დადგენილი პროპორციით.

განყოფილება 3
საერთო საკუთრების შესახებ განცხადება

§ 1. — განცხადების შინაარსი

1052. საერთო საკუთრების შესახებ განცხადება შედგება საერთო საკუთრების დამდგენი აქტისაგან, უძრავი ქონების შინაგანაწესისა და დანაყოფების აღწერილობისაგან.

1053. საერთო საკუთრების დამდგენი აქტი განსაზღვრავს უძრავი ქონების, ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილებისა და საერთო წილების დანიშნულებას.

აქტი ასევე ადგენს თითოეული დანაყოფის შეფარდებით ღირებულებას იმაზე მითითებით, თუ როგორ დგინდება ეს ღირებულება, ასევე — ხარჯების წილსა და თითოეულ დანაყოფთან დაკავშირებული ხმების რაოდენობაზე მითითებით; აქტი ითვალისწინებს უძრავ ქონებასთან ან მის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ და საერთო წილებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა შეთანხმებას. გარდა ამისა, ის განსაზღვრავს სინდიკატის დირექტორთა საბჭოსა და თანამესაკუთრეთა საერთო კრების უფლებებსა და მოვალეობებს.

1054. უძრავი ქონების შინაგანაწესი შეიცავს ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული და საერთო წილების სარგებლობის, გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესებს, ასევე — საერთო საკუთრების ფუნქციონირებისა და მართვის წესებს.

რეგლამენტი ასევე ეხება საერთო ხარჯებში განხორციელებული შენატანების შეფასებისა და მათი თავმოყრის პროცედურას.

1055. დანაყოფების აღწერილობა შეიცავს უძრავი ქონების ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ და საერთო წილების საკადასტრო აღწერილობას.

ასეთი აღწერილობა შეიცავს იმ სანივთო უფლებების აღწერილობასაც, რომლებიც უფლებრივად ტვირთავს უძრავ ქონებას ან დადგენილია მის სასარგებლოდ, გარდა იპოთეკისა და მასთან არსებული დამატებითი უზრუნველყოფისა.

1056. დაუშვებელია საერთო საკუთრების შესახებ განცხადებით თანამესაკუთრეთა უფლებებზე ნებისმიერი შეზღუდვის დაწესება, გარდა უძრავი ქონების დანიშნულებით, ნიშან-თვისებებითა თუ ადგილმდებარეობით გამართლებული შეზღუდვებისა.

1057. უძრავი ქონების შინაგანაწესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის დამქირავებლის ან დროებითი მფლობელის მიმართ იმ მომენტიდან, როდესაც თანამესაკუთრის, ან თუ მის მიერ არა, მაშინ — სინდიკატის მიერ მათ გადაეცემათ რეგლამენტის ან მასში შეტანილი ცვლილებების ასლი.

1058. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საერთო საკუთრების დამდგენი

აქტი ამას პირდაპირ ითვალისწინებს, დაუშვებელია დანაყოფის ფლობა რამდენიმე პირის მიერ, რომელთაგან თითოეულს აქვს დანაყოფის პერიოდული და მიმდევრობითი სარგებლობის უფლება, ასევე დაუშვებელია დანაყოფის აღნიშნული მიზნით გასხვისება.

როდესაც აქტი ითვალისწინებს პერიოდული და მიმდევრობითი სარგებლობის უფლების შესახებ პირობას, მასში უნდა მიეთითოს იმ დანაყოფების რაოდენობა, რომელთა ფლობაც ამგვარად შესაძლებელია, დროებითი ფლობის პერიოდები, იმ პირთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ ამ დანაყოფების ფლობა, და ასევე — დროებითი მფლობელების უფლებები და ვალდებულებები.

§ 2. — განცხადების რეგისტრაცია

1059. საერთო საკუთრების შესახებ განცხადება და საერთო საკუთრების დამდგენი აქტის ნებისმიერი ცვლილება ან დანაყოფების აღწერილობა უნდა შედგეს საჯარო სანოტარო აქტის ფორმით.

განცხადება ხელმოწერილ უნდა იქნეს უძრავი ქონების ყველა მესაკუთრის მიერ, ასევე — ემფიტევტის ან მეაღნაგის მიერ, ასეთების არსებობის შემთხვევაში, და, აგრეთვე, — ყველა იმ კრედიტორის მიერ, რომლებსაც აქვთ უძრავ ქონებაზე იპოთეკის უფლებები; ცვლილებების ხელმოწერას ახდენს სინდიკატი.

1060. განცხადება და საერთო საკუთრების დამდგენი აქტის ნებისმიერი ცვლილება ან დანაყოფების აღწერილობა წარედგინება უფლებათა რეესტრს. განცხადება მიწის რეესტრში რეგისტრაციაში ტარდება საერთო და ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილების სარეგისტრაციო ნომრებით. ცვლილებები რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ საერთო წილების სარეგისტრაციო ნომრით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ცვლილებები უშუალოდ ეხება ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილს. თუმცა, უძრავი ქონების შინაგანაწესის ცვლილებებისათვის საკმარისია მათი სინდიკატისათვის წარდგენა.

ემფიტევტმა ან მეაღნაგემ, ასეთების არსებობის შემთხვევაში, რეგისტრაციის შესახებ უნდა შეატყობინონ ემფიტევზისით ან აღნაგობით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეს.

1061. ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილთან დაკავშირებული აქტის რეგისტრაცია ნამდვილია მასთან კავშირში მყოფი საერთო წილების მიმართ ისე, რომ არ მოითხოვება ჩანაწერის გაკეთება საერთო წილების სარეგისტრაციო ნომრით.

1062. საერთო საკუთრების შესახებ განცხადება ავალდებულებს თანამესაკუთრეებს, მათ უფლებამონაცვლეებსა და მის ხელმომწერ პირებს; განცხადება თავის სამართლებრივ შედეგებს აღნიშნული პირების მიმართ წარმოშობს მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

განყოფილება 4
თანამესაკუთრეების უფლებები და ვალდებულებები

1063. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს თავისი დანაყოფის განკარგვის უფლება; მას აქვს ასევე ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული და საერთო წილების სარგებლობისა და გამოყენების უფლება იმ პირობით, რომ ის აკმაყოფილებს უძრავი ქონების შინაგანაწესსა და არ არღვევს სხვა თანამესაკუთრეთა უფლებებს ან უძრავი ქონების დანიშნულებას.

1064. ყოველი თანამესაკუთრე თავისი დანაყოფის შეფარდებითი ღირებულების პროპორციულად მონაწილეობს საერთო საკუთრებიდან და უძრავი ქონების ფუნქციონირებიდან გამომდინარე ხარჯებში, ასევე — 1071-ე მუხლის თანახმად შექმნილ საგანგებო ფონდებში, თუმცაღა მხოლოდ ის თანამესაკუთრეები, რომლებიც იყენებენ შეზღუდული სარგებლობისათვის გათვალისწინებულ საერთო წილებს, მონაწილეობენ ამ წილებიდან გამომდინარე ხარჯებში.

1065. თანამესაკუთრემ, რომელიც აქირავებს თავის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილს, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ სინდიკატს და აცნობოს მას დამქირავებლის სახელი.

1066. არც ერთ თანამესაკუთრეს არ შეუძლია ჩაერიოს — თუნდაც თავის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის ფარგლებში — უძრავი ქონების შენარჩუნებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელებაში, რომელთა ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სინდიკატი, ან — გადაუდებელი სამუშაოების განხორციელებაში.

როდესაც ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილი გაქირავებულია, აუცილებლობის შემთხვევაში, სინდიკატი უგზავნის დამქირავებელს 1922-ე და 1931-ე მუხლებით გათვალისწინებულ შეტყობინებებს გაუმჯობესებებსა და სამუშაოებთან დაკავშირებით.

1067. თანამესაკუთრე, რომელიც განხორციელებული სამუშაოების შედეგად განიცდის ზარალს მისი დანაყოფის ღირებულების მყარი შემცირების სახით, ასევე — სარგებლობის უფლების თუნდაც დროებითი მნიშვნელოვანი დარღვევის ან გაუარესების სახით, უფლებამოსილია მიიღოს სინდიკატისაგან კომპენსაცია, თუ სამუშაოების დაკვეთა მოხდა სინდიკატის მიერ ან თუ ეს ასე არ არის, — იმ თანამესაკუთრისაგან, რომელმაც შეასრულა სამუშაოები.

1068. ყოველ თანამესაკუთრეს საერთო საკუთრების შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან ხუთი წლის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს დანაყოფების შეფარდებითი ღირებულების სამომავლოდ გადასინჯვისა და საერთო ხარჯების პროპორციულად გაყოფის მოთხოვნით.

გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სხვაობა ერთ მეათედზე მეტი ოდენობით სხვა თანამესაკუთრის სასარგებლოდ ან

განმცხადებელი თანამესაკუთრის საზიანოდ, დანაყოფისათვის მიცემულ ან ამ დანაყოფის შესაბამის საერთო ხარჯების წილის შეფარდებით ღირებულებასა და იმ ღირებულებასა თუ წილს შორის, რომელიც უნდა დადგენილიყო საერთო საკუთრების შესახებ განცხადებაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით.

1069. პირი, რომელიც ნებისმიერი საშუალებით იძენს საერთო წილადი საკუთრების დანაყოფს იპოთეკური უფლების რეალიზაციის ჩათვლით, ვალდებულია დაფაროს ყველა ის საერთო ხარჯი, რომლებიც შეძენის მომენტში ექვემდებარება გადახდას აღნიშნულ დანაყოფთან მიმართებაში.

პირს, რომელიც განიხილავს ასეთი დანაყოფის შეძენას, შეუძლია თანამესაკუთრეთა სინდიკატისაგან მოითხოვოს ანგარიშგება იმ საერთო ხარჯების შესახებ, რომლებიც ექვემდებარება გადახდას დანაყოფთან მიმართებაში, ხოლო სინდიკატი კი ამის შემდგომ უფლებამოსილია, წარუდგინოს მას ანგარიშგება იმ პირობით, რომ სინდიკატი ამის შესახებ წინასწარ შეატყობინებს დანაყოფის მესაკუთრეს ან მის უფლებამონაცვლეებს; ასეთ შემთხვევაში სამომავლო შემძენი ვალდებულია, დაფაროს საერთო ხარჯები მხოლოდ იმ პირობით, თუ ანგარიშგებას ის სინდიკატს წარუდგენს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში.

წარდგენილი ანგარიშგება კორექტირდება თანამესაკუთრეთა უკანასკნელი წლიური ბიუჯეტის მიხედვით.

განყოფილება 5
სინდიკატის უფლებები და ვალდებულებები

1070. სინდიკატი რეესტრს ტოვებს თანამესაკუთრეთა განკარგულებაში, რომელიც შეიცავს თითოეული თანამესაკუთრისა და დამქირავებლის სახელსა და მისამართს, თანამესაკუთრეთა და დირექტორთა საბჭოს კრებების ოქმებსა და ფინანსურ ანგარიშგებას.

ის თანამესაკუთრეთა განკარგულებაში ტოვებს ასევე საერთო საკუთრების შესახებ განცხადებას, იმ ხელშეკრულებების ასლებს, რომლის მხარესაც წარმოადგენს სინდიკატი, საკადასტრო გეგმის ასლს, აშენებული შენობა-ნაგებობის გეგმებსა და სპეციფიკაციებს და ასევე ყველა სხვა უძრავ ქონებასა და სინდიკატთან დაკავშირებულ დოკუმენტს.

1071. კაპიტალური რემონტის მოსალოდნელი ფასისა და საერთო ნაწილების განახლების ღირებულების მიხედვით, სინდიკატი ქმნის საგანგებო ფონდს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნული რემონტისა და განახლების მიზნით გამოყენებისათვის, არის ლიკვიდური და ხელმისაწვდომია მოკლე ვადაში. ფონდის მესაკუთრეა სინდიკატი.

1072. ყოველ წელს დირექტორთა საბჭო თანამესაკუთრეთა საერთო კრებასთან კონსულტაციის შემდეგ ადგენს თანამესაკუთრეთა თანამონაწილეობის ოდენობას საერთო ხარჯებში იმ თანხების განსაზღვრით, რომლებიც მოითხოვება საერთო საკუთრებიდან და უძრავი ქონების ფუნქციონირებიდან

გამომდინარე ხარჯების დასაფარად, ასევე — საგანგებო ფონდში შესატან თანხებს.

საგანგებო ფონდში თანამესაკუთრეთა შენატანის ოდენობა შეადგენს საერთო ხარჯებში მათი თანამონაწილეობის ოდენობის, სულ ცოტა, 5%-ს. შენატანის დადგენისას შესაძლოა, მხედველობაში იქნეს მიღებული საერთო ნაწილებში შეზღუდულ სარგებლობაზე ნებისმიერი თანამესაკუთრის უფლებები.

სინდიკატი დაუყოვნებლივ ატყობინებს თითოეულ თანამესაკუთრეს მისი შენატანის თანხის ოდენობისა და მისი გადახდის თარიღის შესახებ.

1073. სინდიკატს აქვს დაზღვევის ინტერესი მთელ უძრავ ქონებაზე ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილების ჩათვლით. მან უნდა დააზღვიოს მთელი უძრავი ქონება ჩვეულებრივი რისკებისაგან, როგორიცაა ხანძარი და ქურდობა, გარდა თანამესაკუთრის მიერ საკუთარი ნაწილის მიმართ განხორციელებული გაუმჯობესებებისა. დაზღვევის თანხა უტოლდება უძრავი ქონების განახლების ღირებულებას.

სინდიკატმა ასევე უნდა დააზღვიოს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობა.

1074. თანამესაკუთრის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობა ვერ იქნება გამოყენებული სინდიკატის წინააღმდეგ.

1075. სინდიკატისათვის გადასახდელი მნიშვნელოვანი ზარალიდან გამომდინარე კომპენსაციის თანხა, მიუხედავად 2494-ე მუხლის დანაწესებისა, ექვემდებარება საერთო საკუთრების დამდგენი აქტით დანიშნული მინდობილი მესაკუთრისათვის ან, როდესაც არავინაა დანიშნული, — სინდიკატის მიერ დანიშნული პირისათვის გადახდას.

კომპენსაციის თანხა გამოყენებულ უნდა იქნეს უძრავი ქონების რემონტისა თუ რეკონსტრუქციისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინდიკატი გადაწყვეტს საერთო საკუთრების გაუქმებას, რა შემთხვევაშიც მინდობილი მესაკუთრე თითოეული თანამესაკუთრის საკომპენსაციო წილის მისი დანაყოფის შეფარსებითი ღირებულების მიხედვით განსაზღვრის შემდეგ აღნიშნული წილიდან უხდის პრივილეგირებულ კრედიტორებსა და იპოთეკარებს 2497-ე მუხლში მოცემული წესების თანახმად. თითოეული თანამესაკუთრისათვის ის გადასცემს სინდიკატის ლიკვიდატორის საზღაურის ნაშთს საკუთარ ანგარიშთან ერთად.

1076. შესაბამისი ნებართვის არსებობისას სინდიკატს შეუძლია დანაყოფების, საერთო ნაწილების ან სხვა სანივთო უფლებების შეძენა ან გასხვისება.

ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილი არ კარგავს თავის ექსკლუზიურ ხასიათს იმ ფაქტის გამო, რომ სინდიკატი იძენს დანაყოფს, თუმცა სინდიკატს ამ ნაწილისათვის არა აქვს საერთო კრებაზე ხმის უფლება და შესაძლო მიცემულ ხმათა საერთო რაოდენობა შესაბამისად მცირდება.

1077. ნებისმიერი შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლების შენარჩუნებით, სინდიკატი პასუხისმგებელია თანამესაკუთრისა თუ მესამე პირისათვის მიყენებული იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია ნაკლის მქონე კონ-

სტრუქციით, სამშენებლო დეფექტებითა თუ საერთო ნაწილების ექსპლუატაციის ხარვეზით.

1078. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სინდიკატს აკისრებს ფულადი თანხის გადახდას, ექვემდებარება აღსრულებას ამ უკანასკნელისა და იმ თითოეული პირის მიმართ, ვინც იყო თანამესაკუთრე სარჩელის საფუძვლის წარმოშობის მომენტში, მათი დანაყოფების შეფარდებითი ღირებულების პროპორციულად.

დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება საგანგებო ფონდის მიმართ, გარდა იმ ვალისა, რომელიც წარმოიშობა უძრავი ქონების რემონტიდან ან საერთო ნაწილების განახლებიდან.

1079. სინდიკატს შეუძლია მოითხოვოს ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის ქირავნობის შეწყვეტა გამქირავებლისა და დამქირავებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ, როდესაც დამქირავებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს თანამესაკუთრეს ან უძრავი ქონების სხვა დროებით მფლობელს.

1080. როდესაც თანამესაკუთრის უარი, შეასრულოს საერთო საკუთრების შესახებ განცხადების პირობები, მნიშვნელოვან და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს სინდიკატს ან ერთ-ერთ თანამესაკუთრეს, ნებისმიერ მათგანს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ბრძანების (injunction) მიღების მოთხოვნით, რომლითაც მესაკუთრეს დაევალება განცხადების პირობების შესრულება.

თუ თანამესაკუთრე არღვევს სასამართლოს ბრძანებას ან უარს აცხადებს მის შესრულებაზე, სასამართლოს, იმ სხვა საჯარიმო სანქციებთან ერთად, რომლებიც შეიძლება დაეკისროს თანამესაკუთრეს, შეუძლია დაადგინოს ამ უკანასკნელის დანაყოფის გაყიდვა სხვა პირთა ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

1081. სინდიკატს შეუძლია აღძრას ნებისმიერი სარჩელი დაფარული ნაკლის, ნაკლის მქონე კონსტრუქციისა თუ უძრავი ქონების სამშენებლო დეფექტების საფუძვლებით, ისევე როგორც — მიწის გრუნტის დეფექტების საფუძვლით. იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლი ან დეფექტები ეხება ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებულ წილებს, სინდიკატს არ შეუძლია პროცესუალური ქმედების განხორციელება მანამდე, სანამ ის არ მიიღებს აღნიშნულ ნაწილებზე თანამესაკუთრეთა ნებართვას.

როდესაც მოპასუხე დაფარულ ნაკლზე დაფუძნებულ სარჩელს უპირისპირებს გულისხმიერად მოქმედების არარსებობის ფაქტს, ასეთი გულისხმიერების შეფასება ხდება სინდიკატის ან თანამესაკუთრის მიმართ ახალი დირექტორთა საბჭოს არჩევნების დღიდან იმის შემდეგ, რაც მენაშენე კომპანია კარგავს სინდიკატზე კონტროლს.

1082. სინდიკატს ემფიტევზისით ან აღნაგობით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრის მხრიდან უძრავ ქონებაზე კუთვნილი უფლებების სასყიდლით გადაცემის განზრახვის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან ექვსი თვის

განმავლობაში შეუძლია აღნიშნულ ვადაში შეიძინოს ეს უფლებები ნებისმიერი სხვა პოტენციური შემძენის უპირატესად. თუ სინდიკატს არ ატყობინებენ უფლებების დაგეგმილი გადაცემის შესახებ, მას იმ მომენტიდან, როდესაც ის შეიტყობს, რომ მესამე პირმა შეიძინა მესაკუთრის უფლებები, ექვსი თვის განმავლობაში შეუძლია შეიძინოს ეს უფლებები აღნიშნული პირისაგან ამ უკანასკნელისათვის გადაცემის ფასისა და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებით.

1083. სინდიკატს შეუძლია მიუერთდეს თანამესაკუთრეთა სინდიკატების კავშირს, რომელიც იქმნება საერთო საკუთრებაში არსებული რამდენიმე უძრავი ქონებისათვის საერთო მომსახურების შექმნის, მართვისა და წარმართვისათვის, ასევე — საერთო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

განყოფილება 6
სინდიკატის დირექტორთა საბჭო

1084. სინდიკატის დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა, დირექტორების დანიშვნის, შეცვლისა და მათი ანაზღაურების წესი, ისევე როგორც მათ მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პირობები დგინდება უძრავი ქონების შინაგანაწესით.

თანამესაკუთრის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ან შეცვალოს დირექტორი და დაადგინოს მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების პირობები, თუ შესაბამისი დებულება არ მოიპოვება უძრავი ქონების შინაგანაწესში ან თუ შეუძლებელია ამ უკანასკნელში მოცემული წესით მოქმედება.

1085. სინდიკატის ყოველდღიური მართვა შეიძლება დაევალოს მენეჯერს, რომელიც შეიძლება — თუმცა, არ არის აუცილებელი — შეირჩეს თანამესაკუთრეებისაგან.

მენეჯერი მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელსაც ევალება ქონების მარტივი მართვა.

1085. სინდიკატს შეუძლია შეცვალოს დირექტორი ან მენეჯერი, რომელიც, წარმოადგენს რა თანამესაკუთრეს, უგულებელყოფს მასზე დაკისრებულ საერთო ხარჯებში ან საგანგებო ფონდში თანამონაწილეობის ვალდებულებას.

განყოფილება 7
თანამესაკუთრეთა საერთო კრება

1087. თანამესაკუთრეთა ყოველწლიური საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას, ბუღალტრულ ბალანსთან ერთად, უნდა დაერთოს განვლილი ფინანსური პერიოდის მოგების ანგარიში და ასევე — ვალებისა და მოთხოვნების შესახებ ანგარიში, საბიუჯეტო პროგნოზი, საერთო საკუთრების შესახებ განცხადების ნებისმიერი ცვლილების პროექტი და ნებისმიერი

შეთავაზებული ხელშეკრულების ან დაგეგმილი სამუშაოების ზოგადი პირობების მიმართ შენიშვნები.

1088. თანამესაკუთრეთა საერთო კრების შეტყობინების მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში ნებისმიერ თანამესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს საკითხის შეტანა კრების დღის წესრიგში.

კრების ჩატარებამდე დირექტორთა საბჭო წერილობით ატყობინებს თანამესაკუთრეებს კრების დღის წესრიგში ახალად შეტანილი საკითხების შესახებ.

1089. თანამესაკუთრეები, რომლებიც ფლობენ ხმათა უმრავლესობას, საერთო კრებაზე ქმნიან კვორუმს.

თუ კვორუმი არ არის, კრება გადაიდება სხვა თარიღისათვის, რომლის შესახებაც უნდა შეატყობინონ ყველა თანამესაკუთრეს; მეორე საერთო კრებაზე კვორუმს ქმნის გამოცხადებული ან წარმოდგენილი მონაწილეების სამი მეოთხედი.

კრება, რომელზეც სახეზე აღარ არის კვორუმი, უნდა გადაიდოს, თუ თანამესაკუთრე ამას ითხოვს.

1090. ყოველი თანამესაკუთრე უფლებამოსილია საერთო კრებაზე მისი დანაყოფის შეფარდებითი ღირებულების პროპორციულ ხმათა რაოდენობაზე. იდეალურ საერთო საკუთრებაში არსებული დანაყოფის თანამესაკუთრეები ხმას აძლევენ თავიანთი იდეალური წილების პროპორციულად.

1091. როდესაც ხუთზე ნაკლები დანაყოფისაგან შემდგარ საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრე უფლებამოსილია თანამესაკუთრეთათვის ხელმისაწვდომი ყველა ხმის ნახევარზე მეტ რაოდენობაზე, ხმათა რაოდენობა, რაზეც ის უფლებამოსილია კრებაზე, მცირდება იმ ხმათა საერთო რაოდენობამდე, რაზეც უფლებამოსილი არიან კრებაზე გამოცხადებული ან წარმოდგენილი სხვა თანამესაკუთრეები.

1092. საერთო საკუთრების შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან მეორე და მესამე წლების ბოლოს ხუთი ან მეტი დანაყოფისაგან შემდგარი საერთო საკუთრების მენაშენე კომპანია არ არის უფლებამოსილი თანამესაკუთრეთა ყველა ხმის 60%-ზე მეტზე იმ ხმების დამატებით, რომლებიც თან ახლავს იმ დანაყოფს, რომელიც გამოიყენება მის ადგილსამყოფელად.

შესაბამისად, ზღვარი მცირდება 25%-მდე.

1093. მენაშენედ მიიჩნევა ნებისმიერი პირი, რომელსაც საერთო საკუთრების შესახებ განცხადების რეგისტრაციის მომენტში საკუთრებაში აქვს ყველა დანაყოფის, სულ ცოტა, ნახევარი, ან მისი უფლებამონაცვლეები, გარდა იმ პირისა, რომელიც კეთილსინდისიერად იძენს დანაყოფს საბაზრო ფასის შესაბამის ფასად მასში ცხოვრების მიზნით.

1094. ნებისმიერ თანამესაკუთრეს, რომელმაც არ დაფარა მისი წილის შესაბამისი საერთო ხარჯები ან არ განახორციელა შენატანები საგანგებო ფონდში სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთმევა თავისი ხმის უფლება.

1095. თანამესაკუთრის კუთვნილი მხოლოდ იმ ხმის უფლების დათმობის გარიგებები შეიძლება იქნეს გამოყენებული სინდიკატის მიმართ, რომლებიც განუცხადეს ამ უკანასკნელს.

1096. სინდიკატის გადაწყვეტილებები, მათ შორის, გადაწყვეტილება საერთო საკუთრების შესახებ განცხადებაში მექანიკური შეცდომების შესწორების შესახებ, მიიღება კრებაზე გამოცხადებულ ან წარმოდგენილ თანამესაკუთრეთა უმრავლესობის მიერ.

1097. ყველა თანამესაკუთრის ხმათა სამი მეოთხედის მქონე ხმათა უმრავლესობას მოითხოვს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებები:

1) სინდიკატის მიერ უძრავი ქონების შეძენისა თუ გასხვისების გარიგებები;

2) საერთო ნაწილების შეცვლის, გადიდების ან გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი სამუშაოები, ისევე როგორც მათი ხარჯის პროპორციული განაწილება;

3) შენობა-ნაგებობების მშენებლობა ახალი დანაყოფების შექმნის მიზნით;

4) საერთო საკუთრების დამდგენ აქტში ან დანაყოფების აღწერილობაში ცვლილებების შეტანა.

1098. თანამესაკუთრეთა სამი მეოთხედის მქონე ხმათა უმრავლესობას, რომელიც ქმნის ყველა თანამესაკუთრის ხმათა 90%-ს მოითხოვს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილებები:

1) უძრავი ქონების დანიშნულების შეცვლა;

2) იმ საერთო ნაწილების გასხვისებაზე ნებართვა, რომელთა დატოვებაც აუცილებელია უძრავი ქონების დანიშნულების შენარჩუნებისათვის;

3) საერთო საკუთრების შესახებ განცხადების შეცვლა იმისათვის, რათა დაშვებულ იქნეს დანაყოფის ფლობა იმ რამდენიმე პირის მიერ, რომლებსაც აქვთ პერიოდული და მიმდევრობითი სარგებლობის უფლება.

1099. როდესაც ხმათა ის რაოდენობა, რაზეც თანამესაკუთრე ან მენაშენე უფლებამოსილია, მცირდება წინამდებარე განყოფილების ნორმათა მოქმედების შედეგად, ყველა თანამესაკუთრისათვის ხელმისაწვდომ ხმათა საერთო რაოდენობა იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც მოითხოვს რაოდენობისა და ხმათა უმრავლესობას, — ასევე მცირდება იგივე რაოდენობით.

1100. მომიჯნავე ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილების მესაკუთრეებს შეუძლიათ შეცვალონ მათ ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილებს შორის საზღვრები საერთო კრების მონონების გარეშე იმ პირობით, რომ ისინი იღებენ მათი იპოთეკარებისა და სინდიკატის თანხმობას. დაუშვებელია ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული შეცვლილი წილების ჯგუფის შეფარდებითი ღირებულების ან მათთან დაკავშირებული საერთო ხმის უფლებების გაზრდა ან შემცირება.

სინდიკატი ცვლის საერთო საკუთრების შესახებ განცხადებასა და საკადასტრო გეგმას წინა პარაგრაფში მითითებული თანამესაკუთრეების ხარჯზე; შეცვლის აქტს თან უნდა ახლდეს კრედიტორების, თანამესაკუთრეებისა და სინდიკატის თანხმობები.

1101. საერთო საკუთრების შესახებ განცხადებაში ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც იცვლება წინამდებარე თავის ნორმებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა, ჩაითვლება, რომ არ არის ჩაწერილი განცხადებაში.

1102. სამართლებრივი ძალის არმქონეა სინდიკატის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც საერთო საკუთრების შესახებ განცხადების მიუხედავად თანამესაკუთრეს აკისრებს მისი დანაყოფის შეფასებითი ღირებულების შეცვლას, ასევე — მის ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის დანიშნულებისა თუ ამ წილით სარგებლობის შეცვლას.

1103. ნებისმიერ თანამესაკუთრეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, თუ ეს გადაწყვეტილება მიკერძოებულია, თუ ის მიღებულია თანამესაკუთრეთა ინტერესებისათვის ზიანის მიყენების განზრახვით ან მათი უფლებების უგულებელყოფით, ანდა თუ ხმათა დათვლისას დაშვებულ იქნა შეცდომა.

სარჩელზე უფლება იკარგება, თუ ის არ წარედგინება კრების ჩატარებიდან 60 დღის ვადაში.

თუ სარჩელი აღძრულია უმიზნოდ ან არაკეთილსინდისიერად (futile or vexatious), სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილებით დააკისროს მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურება.

განყოფილება 8
მენაშენის მიერ სინდიკატზე კონტროლის დაკარგვა

1104. 90 დღის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც საერთო საკუთრების მენაშენეს აღარ აქვს ხმათა უმრავლესობა თანამესაკუთრეთა საერთო კრებაზე, დირექტორთა საბჭომ უნდა მოიწვიოს თანამესაკუთრეთა საგანგებო კრება ახალი დირექტორთა საბჭოს ასარჩევად.

თუ კრება არ მოიწვევა 90 დღის განმავლობაში, მისი მოწვევა შეეძლება ნებისმიერ თანამესაკუთრეს.

1105. დირექტორთა საბჭო წარუდგენს ანგარიშს მის მიერ განხორციელებული მართვის შესახებ საგანგებო კრებაზე.

ის წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებსაც თან უნდა ახლდეს სინდიკატის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბუღალტერის კომენტარები. თანამესაკუთრეებისა მიმართ თავის ანგარიშში ბუღალტერმა უნდა მიუთითოს ნებისმიერი უსწორობა, რომელმაც მიიქცია მისი ყურადღება.

ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორულად უნდა შემოწმდეს იმ თანამესაკუთრეთა განცხადების საფუძველზე, რომლებიც ქმნის ყველა თანამესაკუთრის ხმათა 40%-ს. განცხადების წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, კრების ჩატარებამდეც კი.

1106. ბუღალტერს ნებისმიერ დროს აქვს საერთო საკუთრებასთან დაკავშირებულ საბუღალტრო წიგნებთან, ანგარიშებთან და გადახდის დასტურებთან წვდობა.

მას შეუძლია მენაშენის ან მმართველისაგან მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია თუ ახსნა-განმარტება, რაც აუცილებელია მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისათვის.

1107. ახალ დირექტორთა საბჭოს არჩევიდან 60 დღის ვადაში შეუძლია საჯარიმო სანქციის გარეშე შეწყვიტოს მის არჩევამდე სინდიკატის მიერ უძრავი ქონების საექსპლუატაციო თუ სხვა სახის მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულების ვადა აღემატება ერთ წელს.

განყოფილება 9
საერთო საკუთრების გაუქმება

1108. უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრება შეიძლება გაუქმდეს თანამესაკუთრეთა სამი მეოთხედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, რომელიც ქმნის ყველა თანამესაკუთრის ხმათა 90%-ს.

საერთო საკუთრების გაუქმების გადაწყვეტილება უნდა დაფიქსირდეს წერილობით და ხელმოწერილ უნდა იქნეს სინდიკატისა და უძრავ ქონებასა თუ მის ნაწილზე იპოთეკის უფლებების მფლობელების მიერ. აღნიშნული გადაწყვეტილება რეგისტრაციაში ტარდება მიწის რეესტრში საერთო ნაწილებისა და ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული წილის სარეგისტრაციო ნომრებით.

1109. სინდიკატის ლიკვიდაცია ხორციელდება პირველ წიგნში მოცემული იურიდიული პირების ლიკვიდაციის შესახებ ნორმების შესაბამისად.

აღნიშნული მიზნით, ლიკვიდატორი, სინდიკატის ქონებასთან ერთად, მფლობელობაში იღებს უძრავ ქონებასა და ამ უკანასკნელის მიმართ თანამესაკუთრეთა ყველა უფლებასა და ვალდებულებას.

თავი 4
აღნაგობა

განყოფილება 1
აღნაგობის დადგენა

1110. აღნაგობა გამომდინარეობს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების საგნის დაყოფიდან, მიმატების უფლების გადაცემიდან ან მიმატების სარგებელზე უარიდან.

1111. მეაღნაგის მიერ მიწით სარგებლობის უფლება რეგულირდება შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობისას მიწა იტვირთება სერვიტუტებით, რომლებიც აუცილებელია უფლების განხორციელებისათვის. აღნიშნული სერვიტუტები ქარწყლდება უფლების გაუქმებასთან ერთად.

1112. მეაღნაგესა და მიწის მესაკუთრეს ეკისრებათ იმ ხარჯების ანაზღაურება, რაც ქმნის მათი შესაბამისი საკუთრების უფლების ობიექტს.

1113. აღნაგობა შეიძლება იყოს მუდმივი, თუმცა შესაძლებელია ასევე ვადის განსაზღვრა აღნაგობის პირობების დამდგენ შეთანხმებაში.

განყოფილება 2
აღნაგობის გაუქმება

1114. აღნაგობა უქმდება

1) მიწის მესაკუთრისა და მეაღნაგის თვისებების ერთ პირში გაერთიანებით მესამე პირთა უფლებების გათვალისწინებით;

2) გაუქმების პირობის შესრულებით;

3) ვადის გასვლით.

1115. შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების სრული განადგურება აუქმებს აღნაგობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნაგობა წარმოადგენს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების საგნის დაყოფის შედეგს.

შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების ექსპროპრიაცია ან მისი ექსპროპრიაცია არ აუქმებს აღნაგობას.

1116. აღნაგობის გაუქმებისას მიწის მესაკუთრე მიმატების უფლებით იძენს შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების საკუთრებას მეაღნაგისათვის მათი ღირებულების თანხის გადახდით.

თუმცაღა, თუ შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების ღირებულება უტოლდება ან აღემატება მიწის ღირებულებას, მეაღნაგეს აქვს მიწის შეძენის უფლება მიწის მესაკუთრისათვის მისი ღირებულების თანხის გადახდით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამჯობინებს საკუთარი ხარჯით მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების მოცილებასა და მიწის თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნებას.

1117. როდესაც მეაღნაგე არ ახორციელებს მიწაზე საკუთრების შეძენის უფლებას აღნაგობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებიდან 90 დღის განმავლობაში, მიწის მესაკუთრე ინარჩუნებს შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების საკუთრებას.

1118. მიწის მესაკუთრესა და მეაღნაგეს, რომლებიც ვერ თანხმდებიან მიწის ან შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების შეძენის ფასებსა და პირობებზე, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ფასისა და

შეძენის პირობების განსაზღვრის მოთხოვნით. სასამართლოს გადაწყვეტილება უთანაბრდება ნამდვილ სამართლებრივ საფუძველს და მას აქვს ყველა მისი სამართლებრივი შედეგი.

თუ მიწის მესაკუთრე და მეაღნაგე ვერ თანხმდებიან შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობებისა თუ პლანტაციების მოცილების პირობებზე, მათ ასევე შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ასეთი პირობების დასადგენად.

ტიტული 4
დანაწევრებული საკუთრების უფლება

ზოგადი დებულება

1119. უზუფრუქტი, სარგებლობა, სერვიტუტი და ემფიტევზისი წარმოადგენს საკუთრების უფლების შინაარსის ნაწილებს და, შესაბამისად, — სანივთო უფლებებს.

თავი 1
ზოგადი დებულება

განყოფილება 1
უზუფრუქტის ბუნება

1120. უზუფრუქტი წარმოადგენს სხვა პირის კუთვნილი ქონების, როგორც საკუთარის, განსაზღვრული ვადით სარგებლობისა და გამოყენების უფლებას მისი სუბსტანციის შენარჩუნების ვალდებულების პირობით.

1121. უზუფრუქტი დგინდება ხელშეკრულებით, ანდერძით ან კანონით; ის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება ასევე დადგინდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1122. უზუფრუქტი შეიძლება დადგინდეს ერთი ან რამდენიმე უზუფრუქტუარის სასარგებლოდ ერთობლივად ან მიმდევრობით.

მხოლოდ იმ პირი, რომელიც ცოცხალია/არსებობს იმ მომენტში, როდესაც უზუფრუქტი დგინდება მის სასარგებლოდ, შეიძლება იყოს უზუფრუქტუარი.

1123. უზუფრუქტი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იარსებებს 100 წელზე მეტი ხნის ვადით, თუნდაც მისი მიმნიჭებელი გარიგება ითვალისწინებდეს უფრო მეტ ვადას ან ადგენდეს მიმდევრობით უზუფრუქტს.

ვადის განსაზღვრის გარეშე მინიჭებული უზუფრუქტი ჩაითვლება სიცოცხლის ვადით მინიჭებულად ან თუ უზუფრუქტუარი იურიდიული პირია, — 30 წლის ვადით.

განყოფილება 2
უზუფრუქტუარის უფლებები

§ 1. — უზუფრუქტის ფარგლები

1124. უზუფრუქტუარს აქვს უზუფრუქტით დატვირთული ქონების სარგებლობისა და გამოყენების უფლება; ის ქონებას იღებს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის მას ხვდება.

უზუფრუქტი ეხება ყველა საკუთვნებელსა და ყველაფერ იმას, რაც უძრავ ქონებასთან ბუნებრივად არის შეერთებული ან მიერთებული მასთან მიმატების გზით.

1125. უზუფრუქტუარს შეუძლია მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს მოსთხოვოს ნებისმიერი იმ მოქმედების შეწყვეტა, რომელიც ხელს უშლის მას თავისი უფლების სრულად განხორციელებაში.

მფლობელობის არმქონე მესაკუთრის მიერ თავისი უფლების გასხვისება არ ეხება უზუფრუქტუარის უფლებას.

1126. უზუფრუქტუარი ისაკუთრებს ქონების მიერ მოცემულ ნაყოფსა და შემოსავალს.

1127. ისე, თითქოს უზუფრუქტუარი ყოფილიყო ქონების მესაკუთრე, მას შეუძლია განკარგოს უზუფრუქტით დატვირთული ყველა ის ნივთი, რომელთა გამოყენებაც შეუძლებელია მათი მოხმარების გარეშე ანალოგიური ნივთების იგივე რაოდენობითა და ხარისხით უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისთანავე დაბრუნების ვალდებულების პირობით.

როდესაც უზუფრუქტუარი უუნაროა, დააბრუნოს ანალოგიური ქონება, მან უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება ნაღდი ფულით.

1128. უზუფრუქტუარს, როგორც კეთილგონივრულ და გულისხმიერ მმართველს, შეუძლია განკარგოს ის ნივთები, რომლებიც, მართალია, არ არის მოხმარებადი, თუმცა სწრაფად ფუჭდება სარგებლობის შედეგად.

პირველ პარაგრაფში აღწერილ შემთხვევაში, უზუფრუქტუარმა უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისთანავე უნდა აანაზღაუროს ნივთების ის ღირებულება, რომელიც ამ ნივთებს ჰქონდა უზუფრუქტუარის მიერ მათი განკარგვის მომენტში.

1129. უზუფრუქტუარი უფლებამოსილია იმ ნაყოფის მიღებაზე, რომელიც თან ახლავს ქონებას უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისას. მას არა აქვს უფლება იმ ნაყოფის მიღებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მიმაგრებულია ქონებასთან იმ მომენტში, როდესაც მისი უზუფრუქტი უქმდება.

მფლობელობის არმქონე მესაკუთრე ან, გარემოებების გათვალისწინებით, უზუფრუქტუარი ვალდებულია გადაუხადოს კომპენსაცია იმ პირს, რომელმაც განახორციელა სამუშაოები ან გასწია ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია ნაყოფის მიღებისათვის.

1130. უზუფრუქტუარსა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შორის შემოსავლების დათვლა ხდება ყოველდღიურად. შემოსავლები უზუფრუქტუარს ეკუთვნის მისი უფლების წარმოშობის დღიდან მის გაუქმებამდე მიუხედავად იმისა, თუ როდის დგება მათი გადახდის ვადა ან როდის მოხდა მათი ანაზღაურება, გარდა დივიდენდებისა, რომლებიც ეკუთვნის უზუფრუქტუარს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა მათი დეკლარირება უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში.

1131. უზუფრუქტით დატვირთულ ქონებაზე საკუთრების უფლებიდან მიღებული განსაკუთრებული შემოსავლები, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვისას მინიჭებული პრემიები, უნაზღაურდება იმ უზუფრუქტუარს, რომელიც ანგარიშვალდებულია ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით მფლობელობის არმქონე მესაკუთრის წინაშე უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

1132. თუ უზუფრუქტით დატვირთული მოთხოვნის შესრულების ვადა დგება უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში, მისი შესრულება ხდება უზუფრუქტუარის მიმართ, რომელიც აღნიშნულზე გასცემს ქვითარს.

უზუფრუქტუარი ანგარიშვალდებულია ზემოაღნიშნულისათვის მფლობელობის არმქონე მესაკუთრის წინაშე უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

1133. უზუფრუქტით დატვირთული კაპიტალის გაზრდის ისეთი უფლება, როგორიცაა ფასიან ქაღალდებზე ხელმოწერის უფლება, ეკუთვნის მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს, თუმცა უზუფრუქტუარის უფლება ვრცელდება ნამატზე.

როდესაც მფლობელობის არმქონე მესაკუთრე ირჩევს თავისი უფლების გასხვისებას, გასხვისებიდან ამონაგები თანხა გადაეცემა იმ უზუფრუქტუარს, რომელიც ანგარიშვალდებულია მასთან დაკავშირებით უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

1134. წილებთან ან სხვა ფასიან ქაღალდებთან, საერთო საკუთრებაში არსებულ ან ნესბიმიერი სხვა ქონების იდეალურ წილებთან ანდა ქონების დანაყოფთან დაკავშირებული ხმის უფლებები ეკუთვნის უზუფრუქტუარს.

თუმცა, მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს ეკუთვნის ნებისმიერი ხმა, რომელსაც შედეგად მოჰყვება ისეთი ძირითადი ქონების სუბსტანციის ცვლილება, როგორიცაა სააქციო კაპიტალი ან საერთო საკუთრებაში არსებული ქონება, ან — ქონების დანიშნულების შეცვლა ანდა იურიდიული პირის, საწარმოსა თუ შესაბამისი ჯგუფის გაუქმება.

ხმის უფლებების რეალიზაციის განაწილება ვერ იქნება გამოყენებული მესამე პირების წინააღმდეგ; ის განიხილება მხოლოდ უზუფრუქტუარსა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შორის.

1135. უზუფრუქტუარს შეუძლია გადასცეს სხვა პირს თავისი უფლება ან გააქირავოს უზუფრუქტში შემავალი ქონება.

1136. უზუფრუქტუარის კრედიტორს შეუძლია მიაღწიოს უზუფრუქტუარის უფლებების მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელებასა და გაყიდვას მფლობელობის არმქონე მესაკუთრის უფლებების გათვალისწინებით.

მფლობელობის არმქონე მესაკუთრის კრედიტორს ასევე შეუძლია მიაღწიოს ამ მესაკუთრის უფლებების მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელებასა და გაყიდვას უზუფრუქტუარის უფლებების გათვალისწინებით.

§ 2. — დანახარჯები

1137. მფლობელობის არმქონე მესაკუთრის მიმართ უზუფრუქტუარის მიერ განხორციელებული აუცილებელი დანახარჯები განიხილება, როგორც კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული დანახარჯები.

1138. უზუფრუქტუარის მიერ განხორციელებული საჭირო დანახარჯებს უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას ინარჩუნებს მფლობელობის არმქონე მესაკუთრე კომპენსაციის გადახდის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტუარი ირჩევს მათ მოცილებასა და ქონების თავის პირველად მდგომარეობაში დაბრუნებას. თუმცა, მფლობელობის არმქონე მესაკუთრე ვერ აიძულებს უზუფრუქტუარს მათ მოცილებას.

§ 3. — ხეები და სასარგებლო წიაღისეული

1139. არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია უზუფრუქტუარს უზუფრუქტით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე არსებული ხეების მოჭრა, გარდა მიწის აღდგენის, შენარჩუნებისა თუ ექსპლუატაციის მიზნით განხორციელებული ხეების ჭრისა. თუმცა, მას შეუძლია, განკარგოს ის ხეები, რომლებიც ბუნებრივად წაიქცა ან დაიღუპა.

უზუფრუქტუარი ახდენს განადგურებული ხეების ახლებით ჩანაცვლებას შესაბამის ადგილას მიღებული ჩვეულების ან მესაკუთრეთა ტრადიციის შესაბამისად. ის ახდენს ასევე ხეხილის ბაღში არსებული ხეებისა და ნეკერჩხლის ჭალების ახლებით ჩანაცვლებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი უმრავლესობა განადგურდა.

1140. უზუფრუქტუარს შეუძლია დაიწყოს სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, თუ უზუფრუქტით დატვირთულ მიწის ნაკვეთი ამისათვის ვარგისია.

როდესაც უზუფრუქტუარი იწყებს ან აგრძელებს საქმიანობას, მან აღნიშნული უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ ამით არ გამოფიტოს ნიადაგი ან არ გამორიცხოს ტყის ზრდის განახლება. სატყეო-სამეურნეო საქმიანობის შემთხვევაში, მანამდე, სანამ ის შეუდგება საქმიანობას, მას უნდა ჰქონდეს ასევე საკუთარი, მფლობელობის არმქონე მესაკუთრის მიერ მოწონებული, მოქმედების გეგმა. თუ უზუფრუქტუარი ვერ იღებს ასეთ მოწონებას, მას გეგმა შეიძლება მოუწონოს სასამართლომ.

1141. უზუფრუქტუარს არ შეუძლია სასარგებლო წიაღისეულის უზუფრუქტით დატვირთული მიწის ნაკვეთიდან ამოღება, გარდა მიწის აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ამოღებისა.

თუმცა, როდესაც სასარგებლო წიაღისეულის ამოღება უზუფრუქტის დადგენამდე წარმოადგენდა მესაკუთრის შემოსავლის წყაროს, უზუფრუქტუარს შეუძლია გააგრძელოს ამოღება იგივე წესით, როგორც ეს დაიწყო.

განყოფილება 3
უზუფრუქტუარის ვალდებულებები

§ 1. — ინვენტარიზაცია და უზრუნველყოფა

1142. უზუფრუქტუარი სხვა პირების ქონების მმართველის მსგავსად ახდენს მისი უფლებით დატვირთული ქონების ინვენტარიზაციას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტის დამდგენმა პირმა თავად ჩაატარა ინვენტარიზაცია ან გამორიცხა უზუფრუქტუარი აღნიშნული ვალდებულებისაგან. ვალდებულებისაგან გამორიცხვა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტი მიმდევრობითია.

უზუფრუქტუარი ახდენს ქონების ინვენტარიზაციას საკუთარი ხარჯით და მის ასლს წარუდგენს მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს.

1143. არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია უზუფრუქტუარს აიძულოს უზუფრუქტის დამდგენი პირი ან მფლობელობის არმქონე მესაკუთრე, გადასცეს მას ქონება მანამდე, სანამ ის არ განახორციელებს ინვენტარიზაციას.

1144. გარდა იმ გამყიდველის თუ გამჩუქებლისა, რომლებმაც შეინარჩუნეს უზუფრუქტი, უზუფრუქტუარი უზუფრუქტის დადგენიდან 60 დღის განმავლობაში უნდა დაეზღვიოს ან მან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს უნდა წარუდგინოს სხვა უზრუნველყოფა. უზუფრუქტუარმა უნდა წარადგინოს დამატებითი უზრუნველყოფა, თუ მისი ვალდებულებები უზუფრუქტის არსებობის განმავლობაში იზრდება.

უზუფრუქტუარი თავისუფლდება აღნიშნული ვალდებულებისაგან, თუ მას არ შეუძლია მათი განხორციელება ან თუ უზუფრუქტის დამდგენი პირი ასე ადგენს.

1145. თუ უზუფრუქტუარი ვერ წარადგენს უზრუნველყოფას შესაბამისი ვადის განმავლობაში, მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შეუძლია მისი ქონების იძულებითი მართვა/სეკვესტრი.

სეკვესტრატორი, როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია მარტივი მართვისათვის, ახორციელებს უზუფრუქტში შემავალი და მალფუჭებადი ნივთების გაყიდვიდან ამონაგები თანხების ინვესტირებას. ის ანალოგიურად ახდენს უზუფრუქტით დატვირთული მოთხოვნების დაკმაყოფილების შედეგად მიღებული თანხების ინვესტირებასაც.

1146. უზუფრუქტუარის მხრიდან ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების ან უზრუნველყოფის წარდგენის ნებისმიერი გაუმართლებელი დაყოვნება ართმევს მას ნაყოფისა და შემოსავლების მიღების უფლებას უზუფრუქტის დადგენიდან მისი ვალდებულებების შესრულების მომენტამდე.

1147. უზუფრუქტუარს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იძულებით მართვაში არსებული იმ მოძრავი ნივთების შენარჩუნებაზე ნებართვის მიღების მოთხოვნით, რომელიც აუცილებელია მის მიერ ქონებით სარგებლობისათვის მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობით, რომ ის კისრულობს დააბრუნოს ეს ნივთები უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

§ 2. — დაზღვევა და რემონტი

1148. უზუფრუქტუარი ვალდებულია, დააზღვიოს ქონება ჩვეულებრივი რისკებისაგან, როგორიცაა ხანძარი და ქურდობა, და გადაიხადოს სადაზღვევო პრემია უზუფრუქტის არსებობის განმავლობაში. თუმცა, მას აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრება, როდესაც რისკებთან შედარებით სადაზღვევო პრემია მეტისმეტად მაღალია.

1149. ზარალის შემთხვევაში ანაზღაურებას იღებს უზუფრუქტუარი, რომელიც აღნიშნულზე შესაბამის ქვითარს გადასცემს მზღვეველს.

უზუფრუქტუარი ვალდებულია, გამოიყენოს ანაზღაურების თანხა ქონების რემონტისათვის, გარდა სრული ზარალის შემთხვევისა, როდესაც მას პირადად შეუძლია ისარგებლოს ანაზღაურების თანხით.

1150. უზუფრუქტუარსა თუ მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შეუძლიათ საკუთარი ხარჯით მიიღონ დაზღვევა თავიანთი უფლებების უზრუნველსაყოფად.

ანაზღაურების თანხა, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ეკუთვნის უზუფრუქტუარს ან მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს.

1151. ქონების მოვლა-პატრონობა წარმოადგენს უზუფრუქტუარის მოვალეობას. ის არ არის ვალდებული, განახორციელოს კაპიტალური რემონტი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი საჭირო ხდება მისი მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, კერძოდ კი, — უზუფრუქტის დადგენის შემდგომ მის მიერ მიმდინარე რემონტის ჩაუტარებლობის შედეგად.

1152. კაპიტალური რემონტი წარმოადგენს ისეთ რემონტს, რომელიც ეხება ქონების მნიშვნელოვან ნაწილსა და მოითხოვს განსაკუთრებულ დანახარჯებს, როგორიცაა კოჭებსა და მზიდ კედლებთან, სახურავის შეცვლასთან, კედლების შენარჩუნებასთან ან გათბობის, ელექტრო— და წყალმომარაგების ანდა ელექტრონულ სისტემებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე, მოძრავი ნივთების მიმართ, — მოძრავ ნაწილებთან ან ნივთის გარსაცმთან დაკავშირებულ ხარჯებს.

1153. უზუფრუქტუარმა უნდა შეატყობინოს მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს კაპიტალური რემონტის აუცილებლობის შესახებ.

მფლობელობის არმქონე მესაკუთრე არ არის ვალდებული, ჩაატაროს კაპიტალური რემონტი. თუ ის მაინც ახორციელებს მას, უზუფრუქტუარმა უნდა ითმინოს ამით გამოწვეული დისკომფორტი. თუ მფლობელობის არმქონე მესაკუთრე არ ახორციელებს კაპიტალურ რემონტს, მაშინ უზუფრუქტუარს თავად შეუძლია მისი ჩატარება და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

§ 3. — სხვა ვალდებულებები

1154. უზუფრუქტუარი უზუფრუქტის ხანგრძლივობის პროპორციულად პასუხისმგებელია იმ ქონების ჩვეულებრივი ვალდებულებებისათვის, რომლითაც დატვირთულია მისი უფლებით და ასევე — სხვა ვალდებულებებისათვის, რომელთა დაფარვაც ჩვეულებრივ ხდება შემოსავლების მეშვეობით.

უზუფრუქტუარი ანალოგიურად პასუხისმგებელია განსაკუთრებული ვალდებულებებისათვისაც, რომელთა დაფარვაც ხდება პერიოდული, რამდენიმე წელზე გადანაწილებული, ნაწილ-ნაწილ გადახდებით.

1155. თუ იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მისი უფლებით დატვირთული ქონება, სპეციალური საფუძვლით უზუფრუქტუარი იძულებულია გადაიხადოს მემკვიდრეობის ვალი, მას შეუძლია უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას მოითხოვოს დაუყოვნებელი ანაზღაურება მოვალისაგან ან მფლობელობის არმქონე მესაკუთრისაგან.

1156. ზოგადი საფუძვლით უზუფრუქტუარი და მფლობელობის არმქონე მესაკუთრე ვალდებული არიან, გადაიხადონ მემკვიდრეობის ვალები სამკვიდრო ქონებაში მათი წილების პროპორციულად.

მფლობელობის არმქონე მესაკუთრე პასუხისმგებელია ძირითადი თანხისათვის, ხოლო უზუფრუქტუარი კი — პროცენტებისათვის.

1157. ზოგადი საფუძვლით უზუფრუქტუარს შეუძლია დაფაროს მემკვიდრეობის ვალები; მფლობელობის არმქონე მესაკუთრე მის წინაშე ანგარიშვალდებულია აღნიშნულზე უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას.

როდესაც უზუფრუქტუარი ირჩევს, არ გადაიხადოს მემკვიდრეობის ვალები, მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს უზუფრუქტით დატვირთული ქონების გაყიდვა ვალების თანხების ოდენობამდე ან თავად გადაიხადოს ეს ვალები; ამ უკანასკნელ შემთხვევაში უზუფრუქტუარი მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს უზუფრუქტის არსებობის განმავლობაში უხდის დაფარული თანხის პროცენტებს.

1158. უზუფრუქტუარი პასუხისმგებელია უზუფრუქტის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო საქმის წარმოების ხარჯებისათვის.

როდესაც საქმის წარმოება ეხება როგორც მფლობელობის არმქონე მესაკუთრის, ისე უზუფრუქტუარის კუთვნილ უფლებებს, გამოიყენება ზოგადი საფუძვლით უზუფრუქტუარსა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შორის მემკვიდრეობის ვალების დაფარვის მომწესრიგებელი ნორმები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტი უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, რა დროსაც სასამართლო ხარჯები უზუფრუქტუარსა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს შორის თანაბრად იყოფა.

1159. თუ უზუფრუქტის არსებობის განმავლობაში მესამე პირი ხელყოფს ქონებას ან სხვაგვრად არღვევს მფლობელობის არმქონე მესაკუთრის უფლებებს, უზუფრუქტუარმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მას; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ის პასუხისმგებელია აღნიშნულის შედეგად დამდგარი ყოველგვარი ზიანისათვის, თითქოს მან თავად დააზიანა ქონებას.

1160. არც უზუფრუქტუარი და არც მფლობელობის არმქონე მესაკუთრე არ არიან ვალდებული, შეცვალონ ნებისმიერი ის საგანი, რაც თავისით ჩამოიქცა სიძველის გამო.

უზუფრუქტუარი, რომელსაც არ ევალება ქონების დაზღვევა, არ არის ვალდებული ასევე შეცვალოს ან აანაზღაუროს ნებისმიერი იმ ქონების ღირებულება, რომელიც ნადგურდება დაუძლეველი ძალის გამო.

1161. თუ უზუფრუქტი დგინდება ნახირზე ან ჯოგზე და მთელი ნახირი თუ ჯოგი ნადგურდება დაუძლეველი ძალის შედეგად, ნახირისა თუ ჯოგის დაზღვევის ვალდებულებისაგან გათავისუფლებული უზუფრუქტუარი ვალდებულია, მესაკუთრეს გაუსწოროს ანგარიში ტყავისა თუ მისი ღირებულებისათვის.

თუ ნახირი ან ჯოგი არ ნადგურდება მთლიანად, უზუფრუქტუარი ვალდებულია, ნამეტის რაოდენობის ფარგლებში განადგურებული ცხოველები შეცვალოს ახლით.

განყოფილება 4
უზუფრუქტის გაუქმება

1162. უზუფრუქტი უქმდება

1) ვადის გასვლით;

2) უზუფრუქტუარის გარდაცვალებით ან იურიდიული პირის გაუქმებით;

3) უზუფრუქტუარისა და მფლობელობის არმქონე მესაკუთრის თვისებების ერთ პირში გაერთიანებით მესამე პირთა უფლებების გათვალისწინებით;

4) უფლების ჩამორთმევითა თუ მასზე უარით ან მისი ანუიტეტად ტრანსფორმირებით;

5) ქონების 10 წლის განმავლობაში გამოუყენებლობით.

1163. უზუფრუქტი ასევე უქმდება იმ ქონების სრული განადგურებით, რომელზეც დადგენილია ეს უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონება დაზღვეულია უზუფრუქტუარის მიერ.

ქონების ნაწილობრივი განადგურების შემთხვევაში, უზუფრუქტი შენარჩუნდება დარჩენილ ნაწილზე.

1164. უზუფრუქტი არ უქმდება იმ ქონების ექსპროპრიაციით, რომელზეც დადგენილია ეს უფლება. საზღაურის თანხა გადაეცემა უზუფრუქტუარს მის მიერ ამის შესახებ უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას შესაბამისი ანგარიშის წარდგენის პირობით.

1165. თუ უზუფრუქტის უფლების მინიჭება ხდება მესამე პირის მიერ განსაზღვრული ასაკის მიღწევამდე, მისი არსებობა გრძელდება იმ ასაკის თარიღამდე, რომელსაც ეს პირი მიაღწევდა თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის გარდაიცვალა.

1166. რამდენიმე უზუფრუქტუარის სასარგებლოდ მიმდევრობით დადგენილი უზუფრუქტი უქმდება უკანასკნელი უზუფრუქტუარის გარდაცვალებით ან უკანასკნელი იურიდიული პირის გაუქმებით.

ერთობლივ უზუფრუქტში ერთ-ერთი უზუფრუქტუარის უფლების გაქარწყლება მოქმედებს მფლობელობის არმქონე მესაკუთრის სასარგებლოდ.

1167. უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას უზუფრუქტუარი უბრუნებს უზუფრუქტით დატვირთულ ქონებას მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება მოცემულ მომენტში.

უზუფრუქტუარი პასუხისმგებელია მისი ბრალით გამოწვეული ნებისმიერი ზარალისათვის ან იმ ზარალისათვის, რომელიც არ არის გამოწვეული ქონების ნორმალური გამოყენებით.

1168. უზუფრუქტუარი, რომელიც ბოროტად იყენებს თავის სარგებლობის უფლებას, ზიანს აყენებს ქონებას, უშვებს მის გაუარესებას ან სხვაგვარად საფრთხეს უქმნის მფლობელობის არმქონე მესაკუთრის უფლებებს, შეიძლება ჩამოერთვას კუთვნილი უფლება.

გარემოებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია განაცხადოს უზუფრუქტის აბსოლუტური გაქარწყლება მფლობელობის არმქონე მესაკუთრისათვის დაუყოვნებლივ ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე. მას შეუძლია ასევე განაცხადოს უზუფრუქტუარის უფლების ჩამორთმევის შესახებ ერთობლივი ან მიმდევრობითი უზუფრუქტუარის სასარგებლოდ ანდა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უზუფრუქტის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების პირობები.

უზუფრუქტუარის კრედიტორებს შეუძლიათ ჩაერთონ საქმის განხილვაში, რათა უზრუნველყონ თავიანთი უფლებების დაცვა; მათ შეუძლიათ შესთავაზონ უზუფრუქტუარს ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორება და სამომავლოდ უზრუნველყოფის წარდგენა.

1169. უზუფრუქტუარს შეუძლია უარი თქვას თავის უფლებაზე სრულად ან ნაწილობრივ.

როდესაც ადგილი აქვს უფლებაზე მხოლოდ ნაწილობრივ უარს, მაშინ შეთანხმების არარსებობისას სასამართლო ადგენს უზუფრუქტუარის ახალ ვალდებულებებს, განსაკუთრებით, უფლების მოცულობისა და ხანგრძლივობის, ისევე როგორც მისგან მიღებული ნაყოფისა და შემოსავლების გათვალისწინებით.

1170. სრული უარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მფლობელობის არმქონე მესაკუთრის მიმართ იმ დღიდან, როდესაც ამ უკანასკნელს შეატყობინეს ამის შესახებ; ნაწილობრივი უარის გამოყენება კი შესაძლებელია სასარჩელო განცხადებების (judicial applications) წარდგენიდან ან მხარეთა შორის შეთანხმებების დადების დღიდან.

1171. უზუფრუქტუარი, რომელსაც მნიშვნელოვანი პრობლემები ექმნება თავისი ვალდებულებების შესრულებისას, უფლებამოსილია მოსთხოვოს მფლობელობის არმქონე მესაკუთრეს ან ერთობლივ ან მიმდევრობით უზუფრუქტუარს მისი უფლების ანუიტეტად ტრანსფორმირება.

შეთანხმების მიუღწევლობისას, თუ სასამართლო ადასტურებს უზუფრუქტუარის უფლებას, ის ადგენს ანუიტეტს, განსაკუთრებით, უფლების მოცულობისა და ხანგრძლივობის, ისევე როგორც მისგან მიღებული ნაყოფისა და შემოსავლების მხედველობაში მიღებით.

თავი 2
სარგებლობის უფლება

1172. სარგებლობის უფლება წარმოადგენს სხვა პირის ქონებით დროებითი სარგებლობისა და მისგან ნაყოფისა და შემოსავლების მიღების უფლებას მოსარგებლისა და მასთან მცხოვრები თუ მის კმაყოფაზე მყოფი პირების საჭიროებების ფარგლებში.

1173. დაუშვებელია სარგებლობის უფლების დათმობა ან მასზე იძულებითი აღსრულების განხორციელება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმება ან სარგებლობის უფლების დამდგენი აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს.

თუ შეთანხმებასა თუ აქტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა სარგებლობის უფლების დათმობა ან მასზე იძულებითი აღსრულების განხორციელება, სასამართლოს, მოსარგებლის ინტერესებში და იმის შემდეგ, რაც ის დარწმუნდება, რომ მესაკუთრე არ განიცდის ზარალს, შეუძლია დართოს სარგებლობის უფლების დათმობის ან მასზე იძულებითი აღსრულების განხორციელების ნება.

1174. მოსარგებლეს, რომლის უფლებაც ეხება მხოლოდ ქონების ნაწილს, შეუძლია ისარგებლოს იმ ნებისმიერი მოწყობილობით, რომელიც განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის.

1175. მოსარგებლე, რომელიც იღებს ქონების ყველა ნაყოფსა და შემოსავალს ან ქონებას მთლიანად იყენებს, უზუფრუქტუარის მსგავსად სრულად

პასუხისმგებელია იმ ხარჯებისათვის, რომლებიც მან გასწია აღნიშნული ნაყოფისა და შემოსავლის მიღებისათვის, მიმდინარე რემონტისა და გადასახდელების გადახდისათვის.

როდესაც მოსარგებლე იღებს ნაყოფისა და შემოსავლის მხოლოდ ნაწილს ან იყენებს მხოლოდ ქონების ნაწილს, მაშინ ის თანამონაწილეობს მათში თავისი სარგებლობის პროპორციულად.

1176. საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, ყველა სხვა მხრივ სარგებლობის უფლების მიმართ გამოიყენება უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმები.

თუმცა, უზუფრუქტის ანუიტეტად ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული ნორმები არ გამოიყენება სარგებლობის უფლების მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ უფლების დათმობა ან მასზე იძულებითი აღსრულების განხორციელება დასაშვებია.

თავი 3
სერვიტუტები

განყოფილება 1
სერვიტუტების ბუნება

1177. სერვიტუტი წარმოადგენს უძრავ ქონებაზე, მომსახურე მიწის ნაკვეთზე, სხვა მესაკუთრის კუთვნილი უძრავი ქონების, გაბატონებული მიწის ნაკვეთის, სასარგებლოდ დადგენილ უფლებრივ ტვირთს.

უფლებრივი ტვირთის მიხედვით მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოეთხოვება გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის განსაზღვრულ სარგებლობასთან დაკავშირებული მოქმედებების თმენა ან თავად საკუთრების უფლების დამახასიათებელი განსაზღვრული უფლებების განხორციელებისაგან თავის შეკავება.

სერვიტუტი ვრცელდება ყველაფერ იმაზე, რაც აუცილებელია მისი განხორციელებისათვის.

1178. რაიმეს განხორციელების ვალდებულება შეიძლება დაემატოს სერვიტუტს და დაეკისროს მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს. ვალდებულება წარმოადგენს სერვიტუტის საკუთვნებელს და მასზე შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ უძრავი ქონების მომსახურების ან ექსპლუატაციის მიზნით.

1179. სერვიტუტები არის განგრძობადი ან წყვეტილი.

განგრძობადი სერვიტუტები, როგორიცაა ხედის ან მშენებლობის აკრძალვის სერვიტუტები, წარმოადგენს ისეთ სერვიტუტებს, რომელთა განხორციელებაც არ ითხოვს მფლობელის ფაქტიურ ჩარევას.

წყვეტილი სერვიტუტები, როგორიცაა საქვეითო თუ ავტოსატრანსპორტო გზის უფლებები, წარმოადგენს ისეთ სერვიტუტებს, რომელთა განხორციელება ითხოვს მფლობელის ფაქტიურ ჩარევას.

1180. სერვიტუტები არის ხილული ან უხილავი.

სერვიტუტი არის ხილული, თუ ის ვლინდება გარეგანი ნიშნით; სხვა შემთხვევაში ის არის უხილავი.

1181. სერვიტუტი დგინდება ხელშეკრულებით, ანდერძით, მესაკუთრის მიერ ქონებისთვის მინიჭებული დანიშნულებით ან კანონის ძალით.

დაუშვებელია სერვიტუტის დადგენა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე; შესაბამისად, მფლობელობა, თუნდაც უხსოვარი დროიდან არსებული, არ არის საკმარისი აღნიშნული მიზნისათვის.

1182. მომსახურე ან გაბატონებული მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლების გადაცემა არ ეხება სერვიტუტებს. ისინი რჩება უძრავ ქონებაზე დადგენილად საკუთრებაზე არსებული უფლებრივი ტვირთის სახით უფლებათა პუბლიკაციასთან დაკავშირებულ ნორმათა მოთხოვნების გათვალისწინების პირობით.

1183. სერვიტუტი მესაკუთრის მიერ ქონებისთვის მინიჭებული დანიშნულებით წერილობით დასტუდება მიწის ნაკვეთის იმ მესაკუთრის მიერ, ვინც, ითვალისწინებს რა მისი მიწის ნაკვეთის შესაძლო სამომავლო დანაწევრებას, დაუყოვნებლივ განსაზღვრავს სერვიტუტის ბუნებას, მოცულობასა და ადგილმდებარეობას მიწის ნაკვეთის ერთ ნაწილზე სხვა ნაწილების სასარგებლოდ.

განყოფილება 2
სერვიტუტების განხორციელება

1184. გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი ხარჯით მიიღოს ზომები ან შეასრულოს ყველა ის სამუშაო, რაც აუცილებელია სერვიტუტის განხორციელებისა და დაცვისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ სერვიტუტის დამდგენ აქტში.

სერვიტუტის სამართლებრივი ურთერთობის დასრულებისას გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მოთხოვნით ტერიტორია უნდა აღადგინოს თავის საწყის მდგომარეობაში.

1185. მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელსაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით ეკისრება აუცილებელი სამუშაოების შესრულება სერვიტუტის განხორციელებისა და დაცვისათვის, შეუძლია გაითავისუფლოს თავი ამ ვალდებულებისაგან მთელი მომსახურე მიწის ნაკვეთის ან მისი ნებისმიერი იმ ნაწილის გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის დატოვებით, რომელიც საკმარისია სერვიტუტის განხორციელებისათვის.

1186. გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია ნებისმიერი იმ ცვლილების განხორციელება, რომელიც დაამძიმებდა მომსახურე მიწის ნაკვეთის მდგომარეობას.

მომსახურე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რაც შეამცირებდა სერვიტუტის რეალიზაციას ან მას ნაკლებად კომფორტულს გახდიდა. თუმცა, მას — იმ პირობით, რომ აქვს ამის ინტერესი — შეუძლია სერვიტუტისათვის გამოყენებული ადგილი საკუთარი ხარჯით გადაიტანოს სხვაგან, სადაც მისი განხორციელება არანაკლებად კომფოტრული იქნება გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის.

1187. თუ გაბატონებული მიწის ნაკვეთი იყოფა, სერვიტუტი შენარჩუნდება თითოეული დანაყოფის სასარგებლოდ, თუმცა მომსახურე მიწის ნაკვეთის მდგომარეობა ამის გამო არ უნდა დამძიმდეს.

შესაბამისად, გზის უფლების შემთხვევაში, გაბატონებული მიწის ნაკვეთის გაყოფიდან მიღებული ნაკვეთების ყველა მესაკუთრემ ეს უფლება უნდა განახორციელოს იმავე ტერიტორიაზე.

1188. მომსახურე მიწის ნაკვეთის გაყოფა არ ეხება გაბატონებული მიწის ნაკვეთის უფლებებს.

1189. გარდა სხვა მიწის ნაკვეთებით გარშემორტყმული მიწისა, გზის უფლების სერვიტუტი შეიძლება გამოსყიდულ იქნეს, როდესაც მისი გაბატონებული მიწის ნაკვეთისათვის სარგებლიანობა შეუსაბამოა იმ დისკომფორტთან ან გაუფასურებასთან, რაც შედეგად მოსდევს მომსახურე მიწის ნაკვეთს.

შეთანხმების არარსებობისას, სასამართლო გამოსყიდვის უფლების მინიჭებისას ადგენს გამოსყიდვის ფასს, განსაკუთრებით, სერვიტუტის არსებობის ხანგრძლივობისა და ღირებულებაში იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს სერვიტუტის შედეგს როგორც, ერთი მხრივ, მომსახურე მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ და, მეორე მხრივ, გაბატონებული მიწის ნაკვეთის საზიანოდ.

1190. მხარეებს შეუძლიათ წერილობითი შეთანხმებით გამორიცხონ სერვიტუტის გამოსყიდვის შესაძლებლობა იმ ვადისათვის, რომელიც არ აღემატება 30 წელს.

განყოფილება 3
სერვიტუტების გაუქმება

1191. სერვიტუტები უქმდება

1) გაბატონებული და მომსახურე მიწის ნაკვეთების მესაკუთრის თვისებების ერთ პირში გაერთიანებით;

2) გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის პირდაპირ გამოხატული უფლებაზე უარით;

3) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც ის იყო დადგენილი;

4) გამოსყიდვით;

5) უფლების 10 წლის განმავლობაში გამოუყენებლობით.

1192. წყვეტილი სერვიტუტების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც გაბატონებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე წყვეტს სერვიტუტის გამოყენებას, ხოლო განგრძობადი სერვიტუტების შემთხვევაში კი, — იმ დღიდან, როდესაც ადგილი აქვს მათი რეალიზაციის საწინააღმდეგო ნებისმიერი მოქმედების განხორციელებას.

1193. სერვიტუტის განხორციელების ხერხიც შეიძლება იყოს ხანდაზმული, ისევე როგორც თავად სერვიტუტი, და, ამასთან, — იგივე წესითაც.

1194. ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაბატონებული ან მომსახურე მიწის ნაკვეთები განიცდის ისეთ ცვლილებას, რომ სერვიტუტის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

თავი 4
ემფიტევზისი

განყოფილება 1
ემფიტევზისის ბუნება

1195. ემფიტევზისი წარმოადგენს უფლებას, რომელიც პირს განსაზღვრული ვადით ანიჭებს სხვა პირის კუთვნილ უძრავ ქონებაზე სრულ სარგებელსა და სარგებლობას იმ პირობით, რომ ის საფრთხეს არ შეუქმნის ქონების არსებობასა და იკისრებს ამ უკანასკნელზე ისეთი შენობა-ნაგებობების, საინჟინრო ნაგებობების აგებისა თუ პლანტაციების გაშენების ვალდებულებას, რომლებიც ხანგრძლივი ვადით გაზრდის მის ღირებულებას.

ემფიტევზისი დგინდება ხელშეკრულებით ან ანდერძით.

1196. როგორც მიწის ნაკვეთზე, ისე არსებულ შენობაზე დადგენილი ემფიტევზისი შეიძლება გახდეს თანაემფიტევზისის შესახებ განცხადების ობიექტი, რაც რეგულირდება იგივე წესებით, რომლებიც მოქმედებს საერთო საკუთრების შესახებ განცხადების მიმართ. ის ასევე ექვემდებარება იმ წესებს, რომლებიც, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, გამოიყენება იმ შენობაზე დადგენილი საერთო საკუთრების მიმართ, რომელიც აშენებულია ემფიტევტის მიერ.

1197. ემფიტევზისის ვადა შეთანხმებული უნდა იქნეს მის დადმგენ აქტში და არ უნდა იყოს 10 წელზე ნაკლები და 100 წელზე მეტი. თუ ის დადგენილია მეტი ვადით, ეს უკანასკნელი მცირდება 100 წლამდე.

1198. იმ მიწის ნაკვეთზე დადგენილი ემფიტევზისი, რომელზეც აღმართულია საერთო საკუთრებაში არსებული შენობა, ისევე როგორც მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობაზე დადგენილი ემფიტევზისი შეიძლება განახლდეს ისე, რომ ემფიტევტს არ მოეთხოვება მის მიერ ახალი შენობა-ნაგებობებისა თუ პლანტაციების ან ახალი საინჟინრო ნაგებობების აშენება-გაშენება, გარდა აუცილებელი დანახარჯებისა.

1199. ემფიტევტის კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ემფიტევტის უფლებებზე იძულებითი აღსრულება და მათი გაყიდვა უძრავი ქონების მესაკუთრის უფლებების გათვალისწინების.

მესაკუთრის კრედიტორს ასევე შეუძლია მოითხოვოს მესაკუთრის უფლებებზე იძულებითი აღსრულება და მათი გაყიდვა ემფიტევტის უფლებების გათვალისწინებით.

განყოფილება 2
ემფიტევტისა და მესაკუთრის უფლებები და ვალდებულებები

1200. ემფიტევტს აქვს უძრავ ქონებაზე ყველა უფლება, რაც დაკავშირებულია მესაკუთრის თვისებებთან წინამდებარე თავსა და ემფიტევზისის დადგენის აქტში მოცემული შეზღუდვების გათვალისწინებით.

ემფიტევზისის დამდგენ აქტს შეუძლია შეზღუდოს მხარეთა უფლებების განხორციელება, განსაკუთრებით, მესაკუთრისათვის უძრავი ქონების ღირებულების დაცვის უფლებების ან გარანტიების მინიჭებით, ამ ქონების, მისი მნარმოებლურობისა თუ გამოყენების შენარჩუნების უზრუნველყოფით ან მესაკუთრისა თუ ემფიტევტის უფლებათა სხვაგვარი დაცვით ანდა — დამდგენ აქტში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების რეგულირებით.

1201. ემფიტევტი საკუთარი ხარჯით და მესაკუთრის მოწვევის შემდეგ ადგენს მისი უფლებით დატვირთული უძრავი ქონების შესახებ ანგარიშს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესაკუთრემ გაათავისუფლა ის ამ ვალდებულებისაგან.

1202. ემფიტევტი პასუხისმგებელია უძრავი ქონების ნაწილობრივი დაზიანებისათვის; ასეთ შემთხვევაში ის რჩება პასუხისმგებელი ემფიტევზისის დამდგენ აქტში შეთანხმებული ფასის სრულ გადახდამდე.

1203. ემფიტევტმა უძრავ ქონებასთან ან მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით აშენებულ შენობა-ნაგებობებთან, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებთან დაკავშირებით უნდა განახორციელოს ქონების რემონტი, თუნდაც — კაპიტალური რემონტი.

1204. თუ ემფიტევტი ზიანს აყენებს ქონებას, უშვებს მის გაუარესებას ან სხვაგვარად საფრთხეს უქმნის მესაკუთრის უფლებებს, მას შეიძლება ჩამოერთვას თავისი უფლება.

გარემოებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია გააუქმოს ემფიტევზისი მესაკუთრისათვის დაუყოვნებლივ ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე ანდა მას შეუძლია მოსთხოვოს ემფიტევტს სხვა უზრუნველყოფის წარდგენა ან დააკისროს მას ნებისმიერი სხვა ვალდებულებები თუ დაიდგინოს პირობები.

ემფიტევტის კრედიტორებს შეუძლიათ ჩაერიოთ საქმის განხილვაში, რათა უზრუნველყონ თავიანთი უფლებების დაცვა; მათ შეუძლიათ შესთავაზონ

ემფიტევტს ქონებისთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა და სამომავლოდ უზრუნველყოფის წარდგენა.

1205. ემფიტევტი პასუხისმგებელია უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახდელის გადახდაზე, რომლითაც დატვირთულია ეს უძრავი ქონება.

1206. მესაკუთრეს ემფიტევტის მიმართ აქვს იგივე ვალდებულებები, რაც გამყიდველს.

1207. როდესაც ერთიანი თანხის სახით ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ფასი დადგენილია ემფიტევზისის დამდგენ აქტში, ემფიტევტი კი ვერ ახორციელებს გადახდებს სამი წლის განმავლობაში, მესაკუთრე უფლებამოსილია, სულ ცოტა, 90 დღით ადრე წარდგენილი შერტყობინების შემდგომ მოითხოვოს დამდგენი აქტის გაუქმება.

აქტის გაუქმების მოთხოვნა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ემფიტევტის მიერ აშენებულ შენობაზე დადგენილია წილადი საკუთრება. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც უძრავი ქონება წარმოადგენს თანაემფიტევზისის შესახებ განცხადების ობიექტს.

განყოფილება 3
ემფიტევზისის გაუქმება

1208. ემფიტევზისი უქმდება
1) ემფიტევზისის დამდგენ აქტში შეთანხმებული ვადის გასვლით;
2) უძრავი ქონების სრული განადგურებითა თუ ექსპროპრიაციით;
3) ემფიტევზისის დამდგენი აქტის გაუქმებით;
4) მესაკუთრისა და ემფიტევტის თვისებების ერთ პირში გაერთიანებით;
5) უფლების 10 წლის განმავლობაში გამოუყენებლობით;
6) ქონების მიტოვებით.

1209. ემფიტევზისის გაუქმებისას მესაკუთრე იბრუნებს ემფიტევტის მიერ მინიჭებული ყველა უფლებისა თუ დდგენილი გადასახდელისაგან თავისუფალ უძრავ ქონებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ემფიტევზისის გაუქმება წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის ან მესაკუთრისა და ემფიტევტის თვისებების ერთ პირში გაერთიანების შედეგს.

1210. ემფიტევზისის გაუქმებისას ემფიტევტმა უძრავი ქონება უნდა დააბრუნოს კარგ გარემონტებულ მდგომარეობაში ემფიტევზისის დამდგენ აქტში შეთანხმებულ შენობა-ნაგებობებთან, საინჟინრო ნაგებობებსა თუ პლანტაციებთან ერთად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ობიექტები განადგურდა დაუძლეველი ძალის გამო.

ის, რაც ემფიტევტმა დაუმატა უძრავ ქონებას ისე, რომ არ იყო ამაზე ვალდებული, განიხილება როგორც კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული დანახარჯი.

1211. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ემფიტევტმა უარი განაცხადა თავის უფლებაზე, ემფიტევზისი ასევე უქმდება ქონების მიტოვებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ემფიტევტმა შეასრულა ყველა მასზე დაკისრებული ვალდებულება და ის ტოვებს ყველა გადასახდელისაგან თავისუფალ უძრავ ქონებას.

ტიტული 5
განსაზღვრული ქონების თავისუფალი განკარგვის შეზღუდვები

თავი 1
ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმებები

1212. ქონების განკარგვის უფლების რეალიზაციის შეზღუდვაზე შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულებით ან ანდერძით.

ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმება იდება წერილობით ქონებაზე საკუთრების უფლების ან მასზე დანაწევრებული საკუთრების უფლების პირისათვის ან ტრასტისათვის გადაცემის მომენტში.

ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დროებითია და გამართლებულია მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური ინტერესით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ის მაინც შეიძლება იყოს ნამდვილი სუბსტიტუციის ან ტრასტის მოქმედების განმავლობაში.

1213. იმ პირს, რომლის ქონებაც არ ექვემდებარება გასხვისებას, შეიძლება სასამართლოს მიერ დაერთოს ქონების განკარგვის ნება, თუ ის ინტერესი, რომელიც ამართლებს ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმებას, აღარ არსებობს ან როდესაც უფრო მნიშვნელოვანი ინტერესი მოითხოვს ამას.

როდესაც სასამართლო რთავს ქონების გასხვისების ნებას, მას შეუძლია დაადგინოს ნებისმიერი ისეთი პირობა, რომელსაც ის აუცილებლად ჩათვლის ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმების დამდები პირის, მისი უფლებამონაცვლეებისა თუ იმ პირის ინტერესების დასაცავად, რომლის სასარგებლოდაც დაიდო გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმება.

1214. დაუშვებელია გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმების გამოყენება მესამე პირების მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გამოქვეყნებულია შესაბამის რეესტრში.

1215. ქონების გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმების შედეგად დაუშვებელია ამ ქონების მიმართ იძულებითი აღსრულება პირის — ქონების მიმღების — მიერ გაუსხვისებლობის შეთანხმების დადებამდე ან მისი მოქმედების პერიოდში ნებისმიერი ვალისათვის, თუმცა, ამავე დროს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმათა მოთხოვნების გათვალისწინებით.

1216. ნებისმიერი დათქმა, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ იმ პირს, რომლის ქონებაც არ ექვემდებარება გასხვისებას, ხელი შეუშალოს გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმების ნამდვილობის სადავოდ გახდომაში ან ქონების გასხვისების ნებართვის მიღების მოთხოვნაში, — ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი.

ასევე ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე ნებისმიერი პირგასამტეხლოც.

1217. დაუშვებელია ნებისმიერი პირის მიერ იმ გასხვისების ბათილობაზე მითითება, რომელიც განხორციელდა გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმების არსებობის მიუხედავად და სასამართლოს ნებართვის გარეშე, — გარდა იმ პირისა, რომელმაც დადო შეთანხმება, და მისი უფლებამონაცვლეებისა ან გარდა იმ პირისა, რომლის სასარგებლოდაც დაიდო გაუსხვისებლობის შესახებ შეთანხმება.

თავი 2
სუბსტიტუცია

განყოფილება 1
სუბსტიტუციის ბუნება და მოცულობა

1218. სუბსტიტუცია არსებობს, როდესაც გულუხვობის შემთხვევაში პირი ქონებას იღებს იმ ვალდებულებით, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გადასცეს ის მესამე პირს.

სუბსტიტუცია დგინდება ჩუქების ხელშეკრულებით ან ანდერძით; ის უნდა დაიდოს წერილობით და გამოქვეყნდეს უფლებათა რეესტრში.

1219. პირს, რომელსაც ეკისრება ქონების გადაცემის ვალდებულება, ეწოდება ვალდებული მემკვიდრე (institute), ხოლო იმ პირს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ქონება მის შემდეგ, — სუბსტიტუტი.

სუბსტიტუტი, რომელიც კისრულობს გადაცემის ვალდებულებას, თავის მხრივ, ხდება ვალდებული მემკვიდრე შემდგომი სუბსტიტუტის მიმართ.

1220. იმ ანდერძით დადგენილი ქონების განკარგვის აკრძალვა, რომელიც არ შეიცავს სხვაგვარ მითითებას, გადაცემული ან ანდერძით დატოვებული იმ ქონების მიმართ, რომელიც შენარჩუნდება დასაჩუქრებულის ან ლეგატარის გარდაცვალების მომენტისათვის, — შედეგად იწვევს სუბსტიტუციას დასაჩუქრებულის ან ლეგატარის უანდერძო მემკვიდრეების სასარგებლოდ.

1221. თავდაპირველი ვალდებული მემკვიდრის რიგის ჩაუთვლელად, სუბსტიტუცია ვერ გავრცელდება ორზე მეტ ერთმანეთის მიყოლებით არსებულ პირთა რიგებზე და ის შემდგომი რიგების მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ვალდებულ თანამემკვიდრეთა შორის ქონების წილის გაზრდა ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში, როდესაც შეთანხმებულია, რომ მისი წილი გადადის ცოცხლად დარჩენილ ვალდებულ თანამემკვიდრეზე, — არ განიხილება როგორც განხორციელებული შემდგომი რიგების მიმართ.

1222. მემკვიდრეობის მიმართ მოქმედი ნორმები, კერძოდ კი, ის ნორმები, რომლებიც ეხება არჩევანის უფლებას ან საანდერძო განკარგულებებს, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, გამოიყენება სუბსტიტუციის მიმართ მათი გახსნის მომენტიდან მიუხედავად იმისა, მისი დადგენა მოხდა ჩუქების ხელშეკრულებითა თუ ანდერძით.

განყოფილება 2
სუბსტიტუციები მათ გახსნამდე

§ 1. — ვალდებული მემკვიდრის უფლებები და ვალდებულებები

1223. სუბსტიტუციის გახსნამდე ვალდებული მემკვიდრე წარმოადგენს სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონების მესაკუთრეს, რაც მისი კუთვნილი პირადი ქონების ფარგლებში ქმნის სუბსტიტუციისათვის გათვალისწინებულ განცალკევებულ ქონებას.

1224. ნაჩუქრობიდან ან ლეგატის მიღებიდან ორი თვის განმავლობაში ვალდებულმა მემკვიდრემ, როგორც სხვა პირების ქონების მმართველმა, სუბსტიტუტის მოწვევის შემდეგ საკუთარი ხარჯით უნდა განახორციელოს ქონების ინვენტარიზაცია.

1225. ვალდებულმა მემკვიდრემ კუთვნილი უფლებების განხორციელებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას უნდა იმოქმედოს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით სუბსტიტუტის უფლებების გათვალისწინებით.

1226. ვალდებულმა მემკვიდრემ უნდა შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია ქონების შენარჩუნებისა და დაცვისათვის.

ის იხდის ყველა იმ სახის გადასახდელებსა და ვალებს, რომელთა გადახდის ვადაც დადგა სუბსტიტუციის გახსნამდე; ვალდებული მემკვიდრე ახდენს მოთხოვნების რეალიზაციას, რაზეც გასცემს შესაბამის ქვითარს, ასევე — ახორციელებს სუბსტიტუციის წესით გადასაცემ ქონებასთან დაკავშირებით ყველა სასამართლო საქმის წარმოებას.

1227. ვალდებულმა მემკვიდრემ უნდა დააზღვიოს ქონება ჩვეულებრივი რისკებისაგან, როგორიცაა ხანძარი და ქურდობა. თუმცა, მას აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრება, როდესაც რისკებთან შედარებით სადაზღვევო პრემია მეტისმეტად მაღალია.

სადაზღვევო საზღაური ხდება სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება.

1228. ვალდებული მემკვიდრის უფლება, წამოიწყოს ან გააგრძელოს სუბსტიტუციის წესით გადასაცემ მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო საქმიანობა ან სამთო მრეწველობა, რეგულირდება უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმებით.

1229. ვალდებულ მემკვიდრეს შეუძლია სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონების გასხვისება სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე ან ამ ქონების გაქირავება. მას ასევე შეუძლია ქონების იპოთეკით დატვირთვა, თუ ეს მოითხოვება მისი შენარჩუნებისა და დაცვისათვის ან — სუბსტიტუციის სახელით ინვესტიციის განხორციელება.

სუბსტიტუციის გახსნის მომენტში სუბსტიტუტის უფლებები არ ეხება შემძენის, კრედიტორის ან დამქირავებლის უფლებებს.

1230. ვალდებულმა მემკვიდრემ სუბსტიტუციის სახელით უნდა მოახდინოს სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ნებისმიერი გასხვისებული ქონებიდან ამონაგები თანხისა და მისთვის სუბსტიტუციის გახსნამდე გადახდილი ან მის მიერ ქონების გადამცემისგან მიღებული ძირითადი თანხის რეინვესტიცია იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება გონივრულად ნავარაუდევ ინვესტიციებს.

1231. ქონების ინვენტარიზაციის თარიღიდან ყოველი წლის ვადის გასვლისთანავე, ვალდებულმა მემკვიდრემ უნდა შეატყობინოს სუბსტიტუტს ქონების საერთო მასის ნებისმიერი ცვლილების შესახებ; მან ასევე ამ უკანასკნელს უნდა შეატყობინოს მის მიერ განხორციელებული გასხვისებული ქონებიდან ამონაგები თანხის რეინვესტიციის შესახებ.

1232. თუ სუბსტიტუციის დამდგენი აქტი ამას ითვალისწინებს, ვალდებულ მემკვიდრეს შეუძლია, უსასყიდლოდ განკარგოს სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება ან არ მოახდინოს მისი გასხვისებიდან ამონაგები თანხის რეინვესტიცია; მას არა აქვს ამ ქონების ანდერძით დატოვების უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი პირდაპირ ნებადართულია სუბსტიტუციის დამდგენი აქტით.

აღნიშნულ შემთხვევებში სუბსტიტუციას აქვს სამართლებრივი შედეგი მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რომელიც ვალდებული მემკვიდრის მიერ არ იქნა განკარგული.

1233. იმ კრედიტორებს, რომელთა სასარგებლოდაც სუბსტიტუციის წესით გადასაცემ ქონებაზე დადგენილია პრივილეგია ან იპოთეკა, ამ ქონების მიმართ აქვთ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

სხვა კრედიტორებს შეუძლიათ სასამართლოს კონტროლის ქვეშ მიაღწიონ სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონების მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელებასა და მის რეალიზაციას თავდაპირველად ვალდებული მემკვიდრის პირადი ქონებიდან ვალის დაფარვის შემდეგ. სუბსტიტუტს შეუძლია შეეწინააღმდეგოს იძულებით აღსრულებას და მოითხოვოს რომ იძულებითი აღსრულება და მისი რეალიზაცია შეიზღუდოს სუბსტიტუციით ვალ-

დებული მემკვიდრისათვის მინიჭებული უფლებებით. შეცილების არარსებობისას ნასყიდობა ნამდვილია; წარმატებულ შემთავაზებელს აქვს სათანადო სამართლებრივი საფუძველი და სუბსტიტუტის სარჩელის უფლება განხორციელებადია მხოლოდ ვალდებული მემკვიდრის მიმართ.

1234. სუბსტიტუციის გახსნამდე ვალდებულ მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას თავის უფლებებზე სუბსტიტუტის სასარგებლოდ და წინასწარ გადასცეს მას სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება.

ვალდებული მემკვიდრის უარი ვერ განხორციელდება კრედიტორების უფლებების ან შესაძლო სუბსტიტუტის უფლებებისათვის საზიანოდ.

§ 2. — სუბსტიტუტის უფლებები

1235. სუბსტიტუციის გახსნამდე სუბსტიტუტს აქვს შესაძლო უფლება სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონების მიმართ; მას შეუძლია განკარგოს თავისი უფლება ან უარი თქვას მასზე და განახორციელოს ქონების შენარჩუნებისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება თავისი უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად.

1236. როდესაც ვალდებული მემკვიდრე უარს აცხადებს ან არ ახორციელებს ქონების ინვენტარიზაციას საჭირო ვადის განმავლობაში, სუბსტიტუტს შეუძლია ამის გაკეთება ვალდებული მემკვიდრის ხარჯზე. ის ჯერ მოიწვევს ვალდებულ მემკვიდრეს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

1237. თუ სუბსტიტუციის დამდგენი აქტი ამას ითხოვს ან თუ სასამართლო ამგვარად ადგენს სუბსტიტუტის ან ნებისმიერი იმ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც ასეთ ზომას აუცილებლად მიიჩნევს, — ვალდებული მემკვიდრე უნდა დაეზღვიოს ან მან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ უნდა წარადგინოს სხვა უზრუნველყოფა.

ვალდებულმა მემკვიდრემ უნდა წარადგინოს დამატებითი უზრუნველყოფა, როდესაც მისი ვალდებულებები სუბსტიტუციის გახსნამდე იზრდება.

1238. თუ ვალდებული მემკვიდრე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს ან მოქმედებს იმგვარად, რომ საფრთხეს უქმნის სუბსტიტუტის უფლებებს, სასამართლოს, გარემოებათა მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეუძლია ჩამოართვას მას ნაყოფი და შემოსავალი, მოსთხოვოს მას ძირითადი თანხის დაბრუნება, განაცხადოს მისი უფლებების ჩამორთმევის შესახებ სუბსტიტუტის სასარგებლოდ ან დანიშნოს უპირატესად სუბსტიტუტებს შორის არჩეული სეკვესტრატორი.

1239. იმ სუბსტიტუტის უფლებები, რომელიც ჯერ არ არის ჩასახული, ხორციელდება ქონების გადამცემის მიერ სუბსტიტუციის მზრუნველად დანიშნული პირის მიერ, რომელიც კისრულობს მოვალეობის შესრულებას, ხოლო დანიშვნისა თუ მოვალეობის კისრების არარსებობისას კი, — სასამართლოს მიერ ვალდებული მემკვიდრის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დანიშნული პირის მიერ.

საჯარო კურატორი შეიძლება დაინიშნოს მზრუნველის მოვალეობების შესასრულებლად.

განყოფილება 3
სუბსტიტუციის გახსნა

1240. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების გადამცემის მიერ დადგინდა უფრო ადრინდელი ვადა, სუბსტიტუციის გახსნას ადგილი აქვს ვალდებული მემკვიდრის გარდაცვალებისას.

როდესაც ვალდებული მემკვიდრე წარმოადგენს იურიდიულ პირს, სუბსტიტუცია ვერ გაიხსნება ჩუქებიდან ან სამკვიდროს გახსნიდან ანდა მისი უფლების წარმოშობიდან 30 წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ.

1241. როდესაც მხარეთა შორის შეთანხმებულია, რომ ვალდებული მემკვიდრის წილი მისი გარდაცვალების შემთხვევაში გადადის იმავე რიგის ცოცხლად დარჩენილ ვალდებულ მემკვიდრეზე, სუბსტიტუციის გახსნას ადგილი აქვს მხოლოდ უკანასკნელი ვალდებული მემკვიდრის გარდაცვალებისას.

თუმცაღა, სუბსტიტუციის გახსნის ასეთი გადავადება არ უნდა მოხდეს იმ სუბსტიტუტის უფლებების საზიანოდ, რომელიც მიიღებდა ქონებას ვალდებული მემკვიდრის გარდაცვალებისას აღნიშნული შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში; ქონების მიღების უფლება გადადის სუბსტიტუტზე, თუმცა მისი განხორციელება გადავადებულია სუბსტიტუციის გახსნის მომენტამდე.

1242. მხოლოდ ის პირი შეიძლება იყოს სუბსტიტუტი, რომელსაც აქვს მოთხოვნილი თვისებები, სუბსტიტუციის გახსნის მომენტში ქონება მიიღოს ჩუქებით ან ანდერძით.

როდესაც სახეზეა ერთი და იგივე რიგის რამდენიმე სუბსტიტუტი, საკმარისია, მხოლოდ ერთს ჰქონდეს მოთხოვნილი თვისებები იმისათვის, რომ მან მიიღოს ქონება მისი უფლების წარმოშობის მომენტში და ამით დაიცვას ყველა სხვა სუბსტიტუტის მიერ ქონების მიღების უფლებები, თუ ისინი შემდგომში მიიღებენ სუბსტიტუციას.

განყოფილება 4
სუბსტიტუცია მისი გახსნის შემდეგ

1243. სუბსტიტუტი, ვინც ეთანხმება სუბსტიტუციას, ქონებას პირდაპირ ქონების გადამცემისაგან იღებს და სუბსტიტუციის გახსნისას ის იძენს მასზე საკუთრების უფლებას.

1244. ვალდებულმა მემკვიდრემ სუბსტიტუციის გახსნისას სუბსტიტუტს უნდა წარუდგინოს შესაბამისი ანგარიში და გადასცეს მას სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება.

როდესაც სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება ნატურით აღარ არ-

სებობს, ვალდებული მემკვიდრე სუბსტიტუტს გადასცემს ყველაფერ იმას, რაც შეძენილ იქნა რეინვესტიციის გზით, ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — გასხვისების მომენტში არსებული ქონების ღირებულებას.

1245. ვალდებული მემკვიდრე ქონებას გადასცემს იმ მდგომარეობაში, რაშიც ის არის სუბსტიტუციის გახსნის მომენტში.

ვალდებული მემკვიდრე პასუხისმგებელია მისი ბრალით გამოწვეული ნებისმიერი ზარალისათვის ან — იმ ზარალისათვის, რომელიც არ არის გამოწვეული ქონების ნორმალური გამოყენების შედეგად.

1246. როდესაც გადაცემული ან ანდერძით დატოვებული ქონების მხოლოდ ნარჩენი ექვემდებარება სუბსტიტუციას, ვალდებული მემკვიდრე სუბსტიტუტს გადასცემს მხოლოდ დარჩენილ ქონებასა და გასხვისებული ქონების ამონაგები თანხის ნაშთს.

1247. ვალდებული მემკვიდრე უფლებამოსილია, სუბსტიტუციის გახსნის მომენტიდან დარიცხულ პროცენტებთან ერთად, მიიღოს ანაზღაურება იმ ძირითადი ვალებისათვის, რომლებიც მან დაფარა ისე, რომ მას აღნიშნული არ ევალებოდა, და ასევე — იმ ხარჯებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ შეიტანება დებეტში იმ ძირითადი თანხიდან, რაც მან მიიღო სუბსტიტუციის შედეგად.

ვალდებული მემკვიდრე ასევე უფლებამოსილია, მისი უფლების არსებობის პროპორციულად მიიღოს ანაზღაურება იმ ხარჯებისათვის, რომლებიც ჩვეულებრივ შეიტანება დებეტში ნებისმიერი იმ ობიექტისათვის მიღებული შემოსავლებიდან, რომელიც აღემატება უფლების არსებობის ვადას.

1248. ვალდებული მემკვიდრე უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღაურება იმ აუცილებელი ხარჯებისათვის, რომელიც მან გასწია კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად.

1249. სუბსტიტუციის გახსნა იწვევს იმ მოთხოვნებისა და ვალების კვლავ ამოქმედებას, რომლებიც არსებობდა ვალდებულ მემკვიდრესა და ქონების გადამცემს შორის; ის წყვეტს კონფუზიას — კრედიტორისა და მოვალის თვისებების ერთ პირში გაერთიანებას, გარდა სუბსტიტუციის გახსნამდე დარიცხული პროცენტების მიმართ.

1250. ვალდებულ მემკვიდრეს შეუძლია დააკავოს სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონება მისი კუთვნილი თანხების ანაზღაურებამდე.

1251. ვალდებული მემკვიდრის მემკვიდრეებს ეკისრებათ იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებსაც წინამდებარე განყოფილება აკისრებს ვალდებულ მემკვიდრეს, და ისინი ახორციელებენ იმ უფლებებს, რომლებსაც ეს განყოფილება ვალდებულ მემკვიდრეს ანიჭებს.

ვალდებული მემკვიდრის მემკვიდრეებს ეკისრებათ, გააგრძელონ ყველაფერი ის, რაც წარმოადგენს მის მიერ შესრულებული მოქმედებების აუცილებელ შედეგს ან რისი გადადებაც შეუძლებელია ზარალის დადგომის რისკის გარეშე.

განყოფილება 5
სუბსტიტუციის შეწყვეტა და გაუქმება

1252. ვალდებული მემკვიდრის მიმართ საანდერძო სუბსტიტუციის შეწყვეტა არ იწვევს მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით; ის მოქმედებს მისი ვალდებულ თანამემკვიდრეების სასარგებლოდ ან, ამ უკანასკნელთა არარსებობისას, — სუბსტიტუტის სასარგებლოდ.

საანდერძო სუბსტიტუციის შეწყვეტა სუბსტიტუტის მიმართ მოქმედებს მისი თანასუბსტიტუტების სასარგებლოდ, ასეთების არსებობის შემთხვევაში; სხვა შემთხვევაში, ის მოქმედებს სუბსტიტუტის სასარგებლოდ.

1253. გამჩუქებელს შეუძლია სუბსტიტუციის გახსნამდე გააუქმოს ის სუბსტიტუტის მიმართ მანამდე, სანამ სუბსტიტუცია არ იქნა მიღებული სუბსტიტუტის მიერ ან მის სასარგებლოდ. თუმცაღა, გამჩუქებლის მიმართ მიიჩნევა, რომ სუბსტიტუტმა მიიღო სუბსტიტუცია, როდესაც ის წარმოადგენს ვალდებული მემკვიდრის შვილს ან როდესაც ერთ-ერთმა თანასუბსტიტუტმა მიიღო სუბსტიტუტი.

1254. სუბსტიტუციის გაუქმება ვალდებული მემკვიდრის მიმართ მოქმედებს ვალდებული თანამემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; სხვა შემთხვევაში, ის მოქმედებს სუბსტიტუტის სასარგებლოდ; გაუქმება სუბსტიტუტის მიმართ მოქმედებს თანასუბსტიტუტის სასარგებლოდ, ასეთის არსებობის შემთხვევაში; სხვა შემთხვევაში, ის მოქმედებს ვალდებული მემკვიდრის სასარგებლოდ.

1255. ქონების გადამცემს შეუძლია თავისთვის დაიტოვოს სუბსტიტუტის წილის განსაზღვრის უფლება ან ეს უფლება მიანიჭოს ვალდებულ მემკვიდრეს.

გამჩუქებლის მიერ უფლების განხორციელება არ ქმნის სუბსტიტუციის გაუქმებას თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს სუბსტიტუციისაგან სარგებლის მიღებისაგან სუბსტიტუტის სრულად გამორიცხვის სამართლებრივი შედეგი.

ტიტული 6
მიკუთვნებით განსაზღვრული ქონებები

თავი 1
ფონდი

1256. ფონდი დგინდება აქტით, რომლითაც პირი დაბრუნების პირობის გარეშე მთელ თავის ქონებას ან მის ნაწილს გადასცემს სოციალურად სასარგებლო მიზნის გრძელვადიანი შესრულებისათვის.

ფონდს თავისი ძირითადი საგნის სახით ვერ ექნება მოგების მიღება ან საწარმოო საქმიანობის განხორციელება.

1257. ფონდის ქონება ქმნის დამფუძნებლის ან ნებისმიერი სხვა პირის ქონებისაგან განცალკევებულ ავტონომიურ აქტივს ანდა — იურიდიული პირის აქტივს.

პირველ შემთხვევაში ფონდი რეგულირდება წინამდებარე ტიტულში მოცემული ნორმებით, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ტრასტთან, კანონის ნორმათა დაცვის პირობით; მეორე შემთხვევაში კი ფონდი რეგულირდება იგივე სახის იურიდიული პირების მიმართ მოქმედი კანონის ნორმების მიერ.

1258. ტრასტით შექმნილი ფონდი დგინდება ჩუქებით ან ანდერძით ამ გარიგებების მომწესრიგებელი წესების შესაბამისად.

1259. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფონდის დამფუძნებელი აქტი სხვაგვარად ითვალისწინებს, სატრასტო ფონდის საწყისი ქონება ან მისი შემცვლელი ანდა მასზე დამატებული ნებისმიერი ქონება უნდა შენარჩუნდეს და გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი მიზნის შესრულება მხოლოდ ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლის განაწილებით ან იმის გამოყენებით, რაც საგრძნობლად არ ცვლის საწყისი ქონების რეალურ ღირებულებას.

თავი 2
ტრასტი

განყოფილება 1
ტრასტის ბუნება

1260. ტრასტი დგინდება იმ აქტით, რომლითაც პირი — ტრასტის დამფუძნებელი თავისი ქონებიდან განსაზღვრულ აქტივს გადასცემს მის მიერ შექმნილ განცალკევებულ ორგანიზაციას, რომელსაც ის გადასცემს სპეციალური მიზნისათვის და რომლის ფლობასა და მართვასაც თავისი თანხმობით კისრულობს მინდობილი მესაკუთრე.

1261. ტრასტის ქონება, რომელიც შედგება ტრასტისათვის გადაცემული ქონებით, ქმნის დამფუძნებლის, მინდობილი მესაკუთრისა თუ ბენეფიციარის ქონებისაგან განცალკევებულ ავტონომიურ აქტივს, რომელზეც არც ერთ მათგანს არა აქვს სანივთო უფლება.

1262. ტრასტი იქმნება სასყიდლიანი ან უსასყიდლო ხელშეკრულებით, ანდერძით ან, განსაზღვრულ შემთხვევებში, — კანონით. კანონით ნებადართულ შემთხვევებში ის შეიძლება დადგინდეს ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებითაც.

1263. ხელშეკრულებით დადგენილი სასყიდლიანი ტრასტის მიზანი შეიძლება იყოს ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში იმისათვის, რომ ის ტრასტი გამოყენებულ იქნეს მესამე პირების საპირისპიროდ, ის უნდა გამოქვეყნდეს პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში ან მიწის რეესტრში იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა ტრასტისათვის გადაცემული ქონება მოძრავ თუ უძრავ ქონებას.

ტრასტის დამფუძნებლის მიერ ვალდებულების დარღვევისას მინდობილი მესაკუთრის მიმართ გამოიყენება პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნში მოცემული იპოთეკური მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მომწესრიგებელი ნორმები.

1264. ტრასტის დაფუძნება ხდება მინდობილი მესაკუთრის ან, რამდენიმე მინდობილი მესაკუთრის არსებობისას, — ერთ-ერთი მათგანის თანხმობით.

საანდერძო ტრასტის შემთხვევაში, მინდობილი მესაკუთრის თანხმობის სამართლებრივ შედეგებს აქვს უკუქცევითი ძალა პირის გარდაცვალების დღისათვის.

1265. ტრასტის კისრებაზე თანხმობით ტრასტის დამფუძნებლს ერთმევა (divest) ქონება, ხოლო მინდობილ მესაკუთრეს კი დაეკისრება ქონებაზე ზრუნვისა და მისი მართვის ვალდებულება ასევე საკმარისია, მყარად დადგინდეს ბენეფიციარის უფლება.

განყოფილება 2
სხვადასხვა სახის ტრასტი და მათი ხანგრძლივობა

1266. ტრასტები დგინდება პირადი მიზნებისათვის ან კერძო თუ სოციალური სარგებლობისათვის.

იმ პირობით, თუ დასახელება მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია ტრასტზე, ამ უკანასკნელის იდენტიფიცირება ხდება ქონების გადამცემის, მინდობილი მესაკუთრის ან ბენეფიციარის სახელით ანდა კერძო თუ სოციალური სარგებლობისათვის დადგენილი ტრასტის შემთხვევაში, — მისი ობიექტის ამსახველი სახელწოდებით.

1267. პირადი ტრასტი დგინდება უსასყიდლოდ იმ მიზნით, რომ განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პირს მიანიჭოს სარგებელი.

1268. კერძო ტრასტის საგანს წარმოადგენს ობიექტის აღმართვა, ექსპლუატაცია ან შენარჩუნება ანდა სპეციალური მიზნით გადაცემული ქონებით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ეს პირის ან მისი ხსოვნის არაპირდაპირი სარგებლისათვის ან რაიმე სხვა კერძო მიზნით.

1269. კერძო ტრასტს წარმოადგენს ასევე განსაკუთრებით ინვესტიციების საშუალებით მოგების მიღების მიზნით სასყიდლით დადგენილი ტრასტი, ტრასტის დამფუძნებლის ან მის მიერ დანიშნული პირების ანდა ამხანაგობის, კომპანიისა თუ კავშირის წევრების ან თანამშრომლებისა თუ მეპაიეების პენსიაზე გასვლისა თუ სხვა სარგებლის მიღების გათვალისწინებით.

1270. სოციალური ტრასტს წარმოადგენს ისეთი საერთო ინტერესის მიზნით დადგენილ ტრასტს, როგორიცაა კულტურული, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, რელიგიური თუ სამეცნიერო მიზანი.

სოციალური ტრასტს თავისი ძირითადი საგნის სახით ვერ ექნება მოგების მიღება ან საწარმოო საქმიანობის განხორციელება.

1271. ძირითადი თანხის ბენეფიციარის რიგთან ერთად, ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე პირის სასარგებლოდ დადგენილი პირადი ტრასტი არ მოიცავს ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარების ორზე მეტ რიგს; ის სამართლებრივი ძალის არმქონეა ნებისმიერი შესაძლო შემდგომი რიგის მიმართ.

ერთი და იგივე რიგის მქონე თანაბენეფიციარებს შორის ნაყოფისა და შემოსავლების წილის გაზრდა ექვემდებარება ერთი და იგივე რიგის მქონე ვალდებულ თანამემკვიდრეთა შორის ქონების წილის გაზრდასთან დაკავშირებული სუბსტიტუციის წესებს.

1272. პირველი რიგის ბენეფიციარების უფლება იხსნება ტრასტის დადგენიდან არაუგვიანეს 100 წლისა, თუნდაც უფრო მეტი ვადა იყოს შეთანხმებული. შემდგომი რიგის ბენეფიციარების უფლება შეიძლება გაიხსნას მოგვიანებით, თუმცა — მხოლოდ და მხოლოდ იმ ბენეფიციართა სასარგებლოდ, რომლებსაც აქვთ მოთხოვნილი თვისებები, მიიღონ სარგებელი ტრასტის დადგენიდან 100 წლის ვადის გასვლის შემდეგ.

არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იურიდიული პირი იყოს ბენეფიციარი 100 წელზე მეტი ვადით, თუნდაც უფრო მეტი ვადა იყოს შეთანხმებული.

1273. კერძო ან სოციალური ტრასტი შეიძლება იყოს მუდმივი.

განყოფილება 3
ტრასტის მართვა

§ 1. — მინდობილი მესაკუთრის დანიშვნა და მასზე დაკისრებული მოვალეობები

1274. ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს თავისი სამოქალაქო უფლებების სრული რეალიზაციის შესაძლებლობა, ასევე — ნებისმიერ კანონით უფლებამოსილ იურიდიულ პირს შეუძლია მოქმედებდეს მინდობილი მესაკუთრის სახით.

1275. ტრასტის დამფუძნებელს ან ბენეფიციარს შეუძლია იყოს მინდობილი მესაკუთრე, თუმცა ის ერთობლივად უნდა მოქმედებდეს იმ მინდობილ მესაკუთრესთან ერთად, რომელიც არ წარმოადგენს არც ტრასტის დამფუძნებელსა და არც ბენეფიციარს.

1276. ტრასტის დამფუძნებელს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე მინდობილი მესაკუთრე ან დაადგინოს მათი დანიშვნისა თუ შეცვლის წესი.

1277. დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე და იმის შემდეგ, როდესაც შეტყობინება მიუვიდათ მასში მითითებულ პირებს, სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მინდობილი მესაკუთრე, როდესაც ტრასტის დამფუძნებელმა ეს არ განახორციელა ან როდესაც მინდობილი მესაკუთრის დანიშვნა ან შეცვლა შეუძლებელია.

სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე მინდობილი მესაკუთრე, როდესაც ეს მოითხოვება მართვის პირობებით.

1278. მინდობილ მესაკუთრეს აქვს ტრასტის ქონების კონტროლისა და ექსკლუზიური მართვის უფლებამოსილება, ხოლო იმ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლისაგანაც იქმნება ტრასტი, ფორმდება მის სახელზე; ის ახდენს ქონებასთან დაკავშირებული ყველა უფლების რეალიზაციას და მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სათანადო ზომა აღნიშნული ქონების გადაცემის უზრუნველსაყოფად.

მინდობილი მესაკუთრე მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია სრული მართვისათვის.

§ 2. — ბენეფიციარი და მისი უფლებები

1279. მხოლოდ იმ პირს, რომელსაც მისი უფლების გასხნის მომენტში აქვს ქონების ჩუქებით ან ანდერძით მიღებისათვის საჭირო თვისებები, შეუძლია იყოს უსასყიდლოდ დადგენილი ტრასტის ბენეფიციარი.

როდესაც სახეზეა ერთი და იგივე რიგის მქონე რამდენიმე ბენეფიციარი, საკმარისია ერთ-ერთს ჰქონდეს ასეთი თვისებები იმისათვის, რათა შეინარჩუნოს სხვების უფლება, თუ ისინი თავად იყენებენ ან უფლებას.

1280. სარგებლის მიღებისათვის ტრასტის ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს დამდგენი აქტით მოთხოვნილ პირობებს.

1281. ტრასტის დამფუძნებელს შეუძლია შეინარჩუნოს ნაყოფისა და შემოსავლების მიღების უფლება ან, თუნდაც, შესაბამის შემთხვევაში, — ტრასტის ძირითადი თანხაც, თუნდაც ტრასტი დადგენილი ყოფილიყო უსასყიდლოდ, ანდა მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს იმ სარგებლის მიღებაში, რასაც ტრასტი იძლევა.

1282. ტრასტის დამფუძნებელს შეუძლია სათავისოდ შეინარჩუნოს ბენეფიციარების დანიშვნის ან მათი წილების განსაზღვრის უფლებამოსილება ანდა ეს უფლებამოსილება გადასცეს მინდობილ მესაკუთრეებსა თუ მესამე პირს.

სოციალური ტრასტის შემთხვევაში, მინდობილი მესაკუთრის მიერ ბენეფიციარების დანიშვნისა და მათი წილების განსაზღვრის უფლებამოსილება ივარაუდება. პირადი ან კერძო ტრასტის შემთხვევაში, დანიშვნის უფლებამოსილება შეიძლება განხორციელდეს მინდობილი მესაკუთრის ან მესამე პირის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იმ პირთა კატეგორია, რომელთაგან მას შეუძლია ბენეფიციარის დანიშვნა, ნათლად განისაზღვრება ტრასტის დამდგენ აქტში.

1283. პირი, რომელსაც აქვს ბენეფიციარების დანიშვნისა და მათი წილების განსაზღვრის უფლებამოსილება, ახორციელებს ამ უფლებამოსილებას თავისი შეხედულებით. მას ტრასტის მოთხოვნებისამებრ შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება.

აღნიშნული უფლებამოსილების განმახორციელებელ პირს არ შეუძლია მისი განხორციელება საკუთარი სარგებლისათვის.

1284. მანამდე, სანამ ტრასტი ძალაშია, ბენეფიციარს აქვს უფლება, დამდგენი აქტის თანახმად მოითხოვოს ან მისთვის მინიჭებული სარგებლის მიცემა ან ნაყოფისა და შემოსავლების და ასევე ძირითადი თანხის ანდა — ერთერთი მათგანის ანაზღაურება.

1285. ივარაუდება, რომ უსასყიდლოდ დადგენილი ტრასტის ბენეფიციარმა მიიღო მისთვის მინიჭებული უფლება და ის უფლებამოსილია ამ უკანასკნელის განკარგვაზე.

მას შეუძლია ნებისმიერ დროს უარი თქვას ამ უფლებაზე; ასეთ შემთხვევაში მან ეს უნდა გააკეთოს საჯარო სანოტარო აქტის საფუძველზე, თუ ის წარმოადგენს პირადი ან კერძო ტრასტის ბენეფიციარს.

1286. თუ ბენეფიციარი უარს აცხადებს თავის უფლებაზე ან თუ მისი უფლება უქმდება, მაშინ იმისდა მიხედვით, წარმოადგენს თუ არა ის ნაყოფისა და შემოსავლების თუ ძირითადი თანხის ბენეფიციარს, ეს უფლება გადადის ნაყოფისა და შემოსავლების ან ძირითადი თანხის თანაბენეფიციარებზე თითოეულის წილის პროპორციულად.

თუ ის წარმოადგენს თავისი რიგის ნაყოფისა და შემოსავლების ერთადერთ ბენეფიციარს, მისი უფლება თითოეულის წილის პროპორციულად გადადის მეორე რიგის ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარებზე ან, როდესაც სახეზე არ არიან ასეთი ბენეფიციარები, — ძირითადი თანხის ბენეფიციარებზე.

§ 3. — მეთვალყურეობისა და კონტროლის მექანიზმები

1287. ტრასტის მართვა ექვემდებარება დამფუძნებლის ან, თუ ის გარდაიცვალა, მისი მემკვიდრეების, ასევე ბენეფიციარის — თუნდაც მომავალი ბენეფიციარის — მხრიდან მეთვალყურეობას.

გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კერძო ან სოციალური ტრასტის მართვა, მისი საგნისა და მიზნის მიხედვით, ექვემდებარება კანონით დანიშნული პირებისა თუ ორგანოების მეთვალყურეობას.

1288. კანონით დანიშნული პირისა თუ ორგანოს მეთვალყურეობას დაქვემდებარებული კერძო ან სოციალური ტრასტის დაფუძნებისას, მინდობილმა მესაკუთრემ ამ პირსა თუ ორგანოს უნდა წარუდგინოს განცხადება, რომელშიც, კერძოდ, მიეთითება ტრასტის ბუნება, ობიექტი და ვადა და ასევე — მინდობილი მესაკუთრის სახელი და მისამართი.

პირისა თუ ორგანოს მოთხოვნით მინდობილმა მესაკუთრემ უნდა დართოს ტრასტის დოკუმენტების შემოწმებისა და მის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ანგარიშის, ანგარიშგებისა თუ ინფორმაციის წარდგენის ნება.

1289. პირადი ტრასტის იმ ბენეფიციარის უფლებები, რომელიც ჯერ არ არის ჩასახული, ხორციელდება დამფუძნებლის მხრიდან მზრუნველად დანიშნული პირის მიერ, რომელიც კისრულობს მოვალეობის შესრულებას, ხოლო მისი არყოფინისას, — სასამართლოს მიერ მინდობილი მესაკუთრის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დანიშნული პირის მიერ. საჯარო კურატორი შეიძლება დაინიშნოს მზრუნველის მოვალეობების შესასრულებლად.

ისეთ კერძო ტრასტში, რომელსაც ვერ ეყოლება, თუნდაც განსაზღვრებადი ან სამომავლო, ბენეფიციარი, ამ უკანასკნელისათვის წინამდებარე ქვეგანყოფილებით მინიჭებული უფლებების რეალიზაცია ხორციელდება საჯარო კურატორის მიერ.

1290. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, ტრასტის დამფუძნებელს, ბენეფიციარს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს შეუძლია, მიიღოს ზომები მინდობილი მესაკუთრის წინააღმდეგ, რათა აიძულოს ის შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ან შეასრულოს ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომელიც აუცილებელია ტრასტის ინტერესებში, ან აიძულოს მინდობილი მესაკუთრე, თავი შეიკავოს ტრასტის მიმართ ნებისმიერი საზიანო ქმედების განხორციელებისაგან ანდა გადააყენოს ის.

ტრასტის დამფუძნებელს ასევე შეუძლია გაასაჩივროს მინდობილი მესაკუთრის მიერ ტრასტის ქონების ან ბენეფიციარის უფლებების საზიანოდ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება.

1291. სასამართლოს შეუძლია ტრასტის დამფუძნებელს, ბენეფიციარს ან ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს დართოს მინდობილი მესაკუთრის ნაცვლად სარჩელის წარდგენის ნება, როდესაც ის საკმარისი საფუძვლის გარეშე უარს აცხადებს მოქმედების განხორციელებაზე ან უგულებელყოფს მას ანდა მას ხელი ეშლება მოქმედების განხორციელებაში.

1292. მინდობილი მესაკუთრე, ტრასტის დამფუძნებელი და ბენეფიციარი სოლიდარულად აგებენ პასუხს იმ მოქმედებებისათვის, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ და რომლებიც ხორციელდება ტრასტის დამფუძნებლის ან ტრასტის ქონების უფლებების საზიანოდ.

განყოფილება 4
ტრასტისა და ქონების შეცვლა

1293. ნებისმიერ პირს შეუძლია გაზარდოს ტრასტის ქონება მისთვის ხელშეკრულებით ან ანდერძით ქონების გადაცემით ტრასტის დაფუძნების მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად. აღნიშნული ფაქტით პირი არ იძენს ტრასტის დამფუძნებლის უფლებებს.

გადაცემული ქონება შეერევა ტრასტის სხვა ქონებას და იმართება დამდგენი აქტის დებულებების შესაბამისად.

1294. როდესაც ტრასტი აღარ შეესაბამება დამფუძნებლის თავდაპირველ

ნება-სურვილს, განსაკუთრებით კი, — იმ გარემოებების შედეგად, რომლებიც უცნობია დამფუძნებლისათვის ან რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელია და რომელთა გამოც ტრასტის მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან მეტისმეტად მძიმე, სასამართლოს ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია გააუქმოს ტრასტი; სოციალური ტრასტის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია ასევე თავდაპირველი მიზანი შეცვალოს სხვა მჭიდროდ დაკავშირებული მიზნით.

როდესაც ტრასტი მაინც დამფუძნებლის ნება-სურვილის შესაბამისია, თუმცა ახალი ზომები იძლევა მის ნება-სურვილთან უფრო სანდო მისადაგების მიღწევის საშუალებას ან ამარტივებს ტრასტის შესრულებას, სასამართლოს შეუძლია დამდგენი აქტის დებულებების შეცვლა.

1295. განცხადების შესახებ შეტყობინება უნდა წარედგინოს ტრასტის დამფუძნებელსა და მინდობილ მესაკუთრეს და, შესაბამის შემთხვევაში, — ბენეფიციარს, დამფუძნებლის მემკვიდრეობის ლიკვიდატორს ან მის მემკვიდრეებს და ასევე — კანონით დანიშნულ ნებისმიერ სხვა პირსა თუ ორგანოს, როდესაც ტრასტი ექვემდებარება მათ მეთვალყურეობას.

განყოფილება 5
ტრასტის გაუქმება

1296. ტრასტი უქმდება ყველა ბენეფიციარის, მათ შორის, ძირითადი თანხისა და ნაყოფის და შემოსავლების ბენეფიციარების, მიერ უფლებაზე უარით ან უფლების გაუქმებით.

ტრასტი ასევე უქმდება ვადის გასვლით ან პირობის შესრულებით, ტრასტის მიზნით მიღწევით ან მისი მიღწევის შეუძლებლობით, რაც დადასტურებულია სასამართლოს მიერ.

1297. ტრასტის გაუქმებისას მინდობილმა მესაკუთრემ ქონება უნდა გადასცეს იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან ამ ქონების მიღებაზე.

როდესაც სახეზე არ არის ბენეფიციარი, ტრასტის გაუქმების შემთხვევაში დარჩენილი ნებისმიერი ქონება გადადის ტრასტის დამფუძნებელზე ან მის მემკვიდრეებზე.

1298. იმ სოციალური ტრასტის ქონება, რომელიც უქმდება მისი შესრულების შეუძლებლობის გამო, გადადის იმ ტრასტზე, იურიდიულ პირსა თუ პირთა ნებისმიერ სხვა ჯგუფზე, რომლებიც მოწოდებული არიან იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უახლოვდება ტრასტის მიზანს და განისაზღვრება სასამართლოს მიერ მინდობილი მესაკუთრის რეკომენდაციის საფუძველზე. სასამართლო ასევე იღებს ნებისმიერი იმ პირისა თუ ორგანოს რეკომენდაციასაც, რომელიც კანონით დანიშნულია ტრასტის მეთვალყურეობისათვის.

ტიტული 7
სხვა პირების ქონების მართვა

თავი 1
ზოგადი დებულებები

1299. ნებისმიერი პირი, რომელსაც ევალება იმ ქონების ან საგვარეულო ქონების მართვა, რომელიც მას არ ეკუთვნის, კისრულობს სხვა პირების ქონების მართვას. წინამდებარე ტიტულის წესები გამოიყენება ყოველი სახის მართვისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის ან დამდგენი აქტის საფუძველზე ანდა გარემოებებიდან გამომდინარე გამოიყენება ქონების მართვის სხვა ფორმა.

1300. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის შესაბამისად ქონების მართვა ხორციელდება უსასყიდლოდ, მმართველი უფლებამოსილია გარიგებით, ჩვეულებითა თუ კანონით დადგენილი საზღაურის მიღებაზე ანდა საზღაურის ოდენობა განისაზღვრება გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით.

უფლებისა თუ უფლებამოსილების გარეშე მოქმედი პირი არ არის უფლებამოსილი რაიმე საზღაურის მიღებაზე.

თავი 2
მართვის ფორმები

განყოფილება 1
სხვა პირების ქონების მარტივი მართვა

1301. პირმა, რომელსაც ეკისრება ქონების მარტივი მართვა, უნდა შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია ქონების დაცულობისათვის ან სასარგებლოა იმ სარგებლობის შენარჩუნებისათვის, რომლისათვისაც ქონება ჩვეულებრივ განკუთვნილია.

1302. პირი, რომელსაც ეკისრება ქონების მარტივი მართვა, ვალდებულია მიიღოს მისი მართვის ქვეშ არსებული ქონების ნაყოფი და შემოსავალი და მოახდინოს ქონებასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია.

ის ახდენს მისი მართვის ქვეშ არსებული მოთხოვნების რეალიზაციას და გასცემს ამის დამადასტურებელ ქვითრებს; ის ახდენს მისი მართვის ქვეშ არსებული ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციას, როგორიცაა ხმის მიცემა, კონვერსიისა თუ გამოსყიდვის უფლებები.

1303. მმართველმა უნდა გააგრძელოს იმ ქონებით სარგებლობა ან მისი მართვა, რომელიც იძლევა ნაყოფსა და შემოსავალს ამ ქონების დანიშნულე-

ბის შეცვლის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ასეთი ცვლილების განხორციელებაზე უფლებამოსილია ბენეფიციარის ან, შეფერხების არსებობის შემთხვევაში, — სასამართლოს მიერ.

1304. მმართველი ვალდებულია, მის მიერ განხორციელებული მართვისას მოახდინოს ფულადი თანხების ინვესტირება წინამდებარე ტიტულის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება გონივრულად ნავარაუდევ ინვესტიციებს.

მას ასევე შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი ინვესტიცია, რომელიც განხორციელდა მანამდე, სანამ დაეკისრა ქონების მართვა, ან რომელიც მან თავად განახორციელა.

1305. ბენეფიციარის ნებართვით ან თუ ბენეფიციარს ხელი ეშლება მოქმედების განხორციელებაში, — სასამართლოს ნებართვით, მმართველს შეუძლია გაასხვისოს ქონება სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე ან დატვირთოს ის იპოთეკით, როდესაც ეს აუცილებელია ვალების დაფარვისათვის, იმ სარგებლობის შენარჩუნებისათვის, რომლისათვისაც ქონება ჩვეულებრივ განკუთვნილია, ანდა — მისი ღირებულების შენარჩუნებისათვის.

თუმცაღა, მას შეუძლია გაასხვისოს მხოლოდ და მხოლოდ ნებისმიერი ის ქონება, რომელიც არის მალფუჭებადი ან სავარაუდოდ ისინი სწრაფად გაუფასურდება.

განყოფილება 2
სხვა პირების ქონების სრული მართვა

1306. პირმა, რომელსაც ეკისრება ქონების სრული მართვა, უნდა შეინარჩუნოს ქონება და გახადოს ის ნაყოფიერი, გაზარდოს ქონება ან მიუსადაგოს ის ქონების მიზანს, როდესაც ამას ითხოვს ბენეფიციარის ინტერესი ან ტრასტის მიზნის მიღწევა.

1307. მმართველს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის შეუძლია გაასხვისოს ქონება სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე, დატვირთოს ის სანივთო უფლებით ან შეცვალოს მისი დანიშნულება და შეასრულოს ნებისმიერი სხვა აუცილებელი ან სასარგებლოდ მოქმედება ნებისმიერი ფორმის ინვესტიციის ჩათვლით.

თავი 3
მართვის წესები

განყოფილება 1
მმართველის ვალდებულებები ბენეფიციარის მიმართ

1308. სხვა პირების ქონების მმართველმა მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისას უნდა შეასრულოს მასზე კანონით ან დამდგენი

აქტით დაკისრებული ვალდებულებები. მან უნდა იმოქმედოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

ის არ არის პასუხისმგებელი იმ ქონებრივი დანაკარგისათვის, რომელიც გამომდინარეობს დაუძლეველი ძალიდან ან მისი წლოვანებიდან, მალფუჭებადი ბუნებიდან ან მისი ჩვეულებრივი და ნებადართული გამოყენებიდან.

1309. მმართველი უნდა მოქმედებდეს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით.

ის ასევე ბენეფიციარის ან მისაღწევი მიზნის ინტერესებში უნდა მოქმედებდეს პატიოსნებითა და ერთგულად.

1310. ქონების მმართველს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილებების განხორციელება საკუთარ ან მესამე პირის ინტერესებში ანდა ჩაიყენოს თავისი თავი ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მისი პირადი ინტერესი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება მისი, როგორც მმართველის, ვალდებულებებთან.

თუ ქონების მმართველი თავად წარმოადგენს ბენეფიციარს, მან თავისი უფლებამოსილებები უნდა განახორციელოს საერთო ინტერესებში საკუთარი ინტერესებისათვის იგივე ყურადღების მიქცევით, რასაც ის აქცევს სხვა ბენეფიციარებს.

1311. ქონების მმართველმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი იმ ინტერესის შესახებ, რომელიც მას აქვს საწარმოში და რომლის გამოც ის შეიძლება აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის მდგომარეობაში, ისევე როგორც — იმ უფლებების შესახებ, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს ბენეფიციარის მიმართ ან სამართავ ქონებასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, უფლებების ბუნებასა და ღირებულებაზე მითითებით. ის არ არის ვალდებული, განაცხადოს იმ ინტერესისა თუ უფლებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს იმ აქტიდან, რომელიც გახდა ქონების მართვის საფუძველი.

კანონით დანიშნული პირისა თუ ორგანოს მეთვალყურეობის ქვეშ არსებული ტრასტის ქონებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინტერესი ან უფლება საჭიროებს ამ პირისა თუ ორგანოსათვის გამხელას.

1312. ქონების მმართველი მის მიერ მართვის განხორციელების პროცესში ვერ გახდება სამართავ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მხარე ან მას სხვაგვარად, გარდა მემკვიდრეობით გადაცემის წესისა, არ შეუძლია ქონებაზე ან ბენეფიციარის წინააღმდეგ ნებისმიერი უფლების შეძენა.

თუმცაღა, მას შეიძლება პირდაპირ დაერთოს აღნიშნულის განხორციელების ნება ბენეფიციარის მიერ ან, წინააღმდეგობის შემთხვევაში, ანდა თუ სახეზე არ არის განსაზღვრული ბენეფიციარი, — სასამართლოს მიერ.

1313. დაუშვებელია ქონების მმართველის მიერ სამართავი ქონების არევა საკუთარ ქონებასთან.

1314. დაუშვებელია ქონების მმართველის მიერ მის მართვაში არსებული ქონების ან მის მიერ ქონების მართვის შედეგად მიღებული ინფორმაციის გა-

მოყენება თავის სასარგებლოდ ბენეფიციარის თანხობის გარეშე ან — იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს გამომდინარეობს კანონიდან ან ქონების მართვის დამდგენი აქტიდან.

1315. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი საქმიანობა წარმოადგენს მმართველის მიერ განსახორციელებელი ქონების მართვის რეალურ ბუნებას, მმართველს არ შეუძლია მისთვის გადაცემული ქონების უსასყიდლო განკარგვა, გარდა ბენეფიციარის ან მისაღწევი მიზნის ინტერესებში განკარგული მცირე ღირებულების მქონე ქონებისა.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების მმართველი იღებს ღირებულ საპასუხო დაკმაყოფილებას, მმართველს არ შეუძლია ნებისმიერ იმ უფლებაზე უარის თქმა, რომელიც ეკუთვნის ბენეფიციარს ან ქმნის მართვაში არსებული ქონების ნაწილს.

1316. ქონების მმართველს შეუძლია მის მართვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით სარჩელის წარდგენა და სასამართლო დავაში მოპასუხის სახით მონაწილეობა; მას ასევე შეუძლია ჩაერიოს მართვაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმის განხილვაში.

1317. თუ ერთდროულად ან ერთმანეთის მიყოლებით სახეზეა ქონების მართვის რამდენიმე ბენეფიციარი, მმართველი ვალდებულია მათ მიმართ იმოქმედოს მიუკერძოებლად მათი შესაბამისი უფლებების გათვალისწინების პირობით.

1318. ქონების მმართველის პასუხისმგებლობის ოდენობის შეფასებისა და დამდგარი ზიანის დადგენისას სასამართლოს შეუძლია შეამციროს ეს ზიანი იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც ხდება ქონების მართვის ვალდებულების კისრება, ან იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მმართველი მოქმედებს უსასყიდლოდ ან რომ ის არის არასრულწლოვანი ან სრული ასაკის დაცული პირი.

განყოფილება 2
მმართველისა და ბენეფიციარის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ

1319. როდესაც ქონების მმართველი თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კისრულობს ვალდებულებებს ბენეფიციარის ან ტრასტის ქონების სახელით, არ არის პირადად პასუხისმგებელი იმ მესამე პირების მიმართ, რომლებთანაც ის დებს ხელშეკრულებებს.

ქონების მმართველი პასუხისმგებელია აღნიშნული პირების წინაშე, თუ ის კისრულობს ვალდებულებებს საკუთარი სახელით იმ უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც მესამე პირებს აქვთ ბენეფიციარის ან ტრასტის ქონების მიმართ.

1320. როდესაც ქონების მმართველი ამეტებს თავის უფლებამოსილებებს,

ის პასუხისმგებელია იმ მესამე პირების მიმართ, რომლებთანაც ის დებს ხელშეკრულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესამე პირებმა საკმარისად იცოდნენ აღნიშნული ფაქტის შესახებ ან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები პირდაპირ ან უსიტყვოდ იქნა მოწონებული ბენეფიციარის მიერ.

1321. ქონების მმართველი, რომელიც დამოუკიდებლად ასრულებს იმ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებაც მას მოეთხოვება სხვა პირთან ერთად, ამეტებს თავის უფლებამოსილებებს.

ქონების მმართველი არ ამეტებს თავის უფლებამოსილებებს, თუ ის ახორციელებს მათ უფრო ხელსაყრელად, ვიდრე მას ეს მოეთხოვება.

1322. ბენეფიციარი მესამე პირების წინაშე პასუხისმგებელია ქონების მმართველის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის მხოლოდ იმ სარგებლის ოდენობით, რომელიც მან მოქმედებიდან მიიღო. ტრასტის შემთხვევაში აღნიშნული ვალდებულებები უბრუნდება ტრასტის ქონებას.

1323. როდესაც პირს, რომელსაც სრულად შეუძლია თავისი სამოქალაქო უფლებების რეალიზაცია, აქვს საფუძველი იფიქროს, რომ მისი ქონების მმართველი სხვა პირი იყო, ის პასუხისმგებელია იმ მესამე პირების წინაშე, რომლებმაც კეთილსინდისიერად დადეს ხელშეკრულებები ამ სხვა პირთან, თითქოს ქონება იმყოფებოდა მართვის ქვეშ.

განყოფილება 3
ინვენტარიზაცია, უზრუნველყოფა და დაზღვევა

1324. ქონების მმართველი არ არის ვალდებული, ჩაატაროს ინვენტარიზაცია, დააზღვიოს ქონება ან წარადგინოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ სხვა უზრუნველყოფა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასე მოითხოვება კანონის ან შესაბამისი აქტის ანდა, ისევ და ისევ, სასამართლოს მიერ ბენეფიციარის ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

როდესაც აქტი ადგენს აღნიშნულ ვალდებულებებს, მმართველს შეუძლია წარადგინოს თხოვნა ამ ვალდებულებებისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ გარემოებები ამას ამართლებს.

1325. განცხადების საფუძველზე თავისი გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ითვალისწინებს სამართავი ქონების ღირებულებას, მხარეთა მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს.

სასამართლო ვერ დააკმაყოფილებს განცხადებას, თუ ამის შედეგი იქნებოდა მმართველსა და ბენეფიციარს შორის არსებული თავდაპირველი შეთანხმების პირობების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

1326. ინვენტარიზაციის ჩატარებაზე ვალდებულმა ქონების ადმინისტრატორმა მასში უნდა შეიტანოს სანდო და ზუსტი ჩამონათვალი ყველა იმ ქონე-

ბისა, რომელიც გადაცემულია მისთვის სამართავად ან ქმნის სამართავ ქონებას.

კერძოდ, ასეთი ინვენტარიზაცია შეიცავს შემდეგს:

1) უძრავი ქონების აღწერილობას, ასევე — მოძრავი ქონების აღწერილობას მათი ღირებულების მითითებით და, მოძრავი ნივთების ერთობლიობის შემთხვევაში კი, — ერთობლიობაზე საკმარისი მითითებით;

2) ნაღდ ფულში და სხვა ფასიან ქაღალდებში გამოხატული ვალუტის აღწერილობას;

3) ღირებულებული დოკუმენტების სიას.

ინვენტარიზაცია შეიცავს ასევე დავალიანების შესახებ განცხადებას და ის სრულდება აქტივებისა და ვალების შესახებ დასკვნით.

1327. ინვენტარიზაცია ფორმდება საჯარო სანოტარო აქტის სახით. ის შეიძლება გაფორმდეს ასევე ორი მოწმის წინაშე კერძო დოკუმენტის სახითაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავტორი და მოწმეები ხელს აწერენ მას შედგენის თარიღისა და ადგილის მითითებით.

1328. როდესაც სამართავი ქონება შეიცავს მისი მფლობელის ან, გარემოებების გათვალისწინებით, — გარდაცვლილის კუთვნილ პირად ნივთებს, საკმარისია საინვენტარიზაციო დოკუმენტში მათზე ზოგადი მითითების გაკეთება და მხოლოდ $100 მეტი ღირებულების მქონე იმ საგნების აღწერა, რომლებიც მოიცავს ტანსაცმელს, პირად ქაღალდებს, ძვირფასეულობას ან ყოველდღიური სარგებლობის საგნებს.

1329. ივარაუდება, რომ საინვენტარიზაციო დოკუმენტში აღწერილი ქონება დოკუმენტის მომზადების დღეს არის კარგ მდგომარეობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქონების მმართველი მას ურთავს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს საწინააღმდეგოს.

1330. ქონების მმართველმა ინვენტარიზაციის აქტის ასლი უნდა მიაწოდოს იმ პირს, რომელსაც მან დაავალა ქონების მართვა, და ბენეფიციარს, ასევე — ყოველ პირს, რომელსაც, მისი ცნობით, აქვს შესაბამისი ინტერესი. მან ასევე კანონით მოთხოვნილ შემთხვევებში რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ინვენტარიზაციის აქტი ან მითითებულ ადგილას ინვენტარიზაციის დასრულების შესახებ შეტყობინება, ამ უკანასკნელ შემთხვევაში იმ ადგილის მითითებით, სადაც ინვენტარიზაციის საკითხზე შესაძლებელია კონსულტაციის მიცემა.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სადავოდ გახადოს ინვენტარიზაცია ან მისი ნებისმიერი პუნქტი; მას ასევე შეუძლია მოითხოვოს ახალი ინვენტარიზაციის მომზადება.

1331. ქონების მმართველს შეუძლია ბენეფიციარის ან ტრასტის ხარჯზე დააზღვიოს მისთვის გადაცემული ქონება ჩვეულებრივი რისკებისაგან, როგორიცაა ხანძარი და ქურდობა.

მას შეუძლია ასევე დაეზღვიოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ; ის დაზღვევას ახორციელებს ბენეფიციარის ან ტრასტის ხარჯზე, თუ მის მიერ განხორციელებული მართვა არის უსასყიდლო.

განყოფილება 4
ერთობლივი მართვა და ნაკისრი მოვალეობების დელეგირება

1332. როდესაც რამდენიმე მმართველს ეკისრება ქონების მართვა, მოქმედება შეუძლია მათ უმრავლესობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება ან კანონი მათგან ითხოვს მოქმედებას ერთობლივად ან განსაზღვრული პროპორციით.

1333. როდესაც ქონების მმართველებს ხელი ეშლებათ უმრავლესობით ან დადგენილი პროპორციით მოქმედებაში ერთ-ერთი მათგანის მიერ დაბრკოლების ან სისტემატური წინააღმდეგობის გამო, სხვა მმართველებს შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელონ დაცვითი ქმედებები; მათ სასამართლოს ნებართვით შეუძლიათ ასევე დამოუკიდებლად განახორციელონ ისეთი მოქმედებები, რომლებიც მოითხოვს დაუყოვნებლივ რეაგირებას.

როდესაც სიტუაცია ამას განსაკუთრებულად მოითხოვს, ხოლო მართვა კი შედეგად მნიშვნელოვნად შეფერხებულია, სასამართლოს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია დადგენილი პროპორციით გამორიცხოს მმართველების საქმიანობა, დაყოს მათი მოვალეობები, ერთ-ერთ მათგანს მიანიჭოს გადამწყვეტი ხმა ან მიიღოს ნებისმიერი განკარგულება, რასაც ის გარემოებებიდან გამომდინარე სათანადოდ მიიჩნევს.

1334. ერთობლივი მმართველები სოლიდარულად აგებენ პასუხს მათ მიერ განხორციელებული მართვისათვის.

თუმცაღა, როდესაც ერთობლივი მმართველების მოვალეობები დაიყო კანონით, შესაბამისი აქტითა თუ სასამართლოს მიერ და ეს დაყოფა მხარეთა მიერ შენარჩუნებულია, ყოველი მმართველი პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ განხორციელებული მართვისათვის.

1335. ივარაუდება, რომ ქონების მმართველმა მოიწონა მისი თანამმართველების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. ის პასუხისმგებელია მათთან ერთად ამ გადაწყვეტილებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაუყოვნებლივ მიუთითებს მათ თავის უთანხმოებას და გონივრულ ვადაში ატყობინებს მას ბენეფიციარს.

თუმცაღა, ქონების მმართველი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, თუ ის დაამტკიცებს, რომ ის მნიშვნელოვანი საფუძვლების გამო უუნარო იყო, დროულად გაეგებინებინა თავისი უთანხმოება ბენეფიციარისათვის.

1336. ივარაუდება, რომ ქონების მმართველმა მოიწონა მისი არყოფნისას მიღებული გადაწყვეტილება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გონივრულ ვადაში აგებინებს სხვა მმართველებსა და ბენეფიციარს თავის უთანხმოებას მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული გადაწყვეტილება.

1337. ქონების მმართველს შეუძლია მოახდინოს მასზე დაკისრებული მოვალეობების დელეგირება ან განსაზღვრული მოქმედებების განსახორციე-

ლებლად წარმოდგენილი იყოს მესამე პირის მიერ; თუმცაღა, მას არ შეუძლია საერთოდ საქმის წარმოების ან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირება, გარდა მისი თანამმართველებისათვის აღნიშნულის დელეგირებისა.

ქონების მმართველი პასუხისმგებელია მის მიერ შერჩეული პირისათვის, თუ ის ამავე დროს არ იყო ასევე უფლებამოსილი პირის შერჩევაზე. თუ მმართველი აღნიშნულზე უფლებამოსილი იყო, მაშინ ის პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზრუნვისათვის, რომლითაც მან შეარჩია პირი და მისცა მას შესაბამისი მითითებები.

1338. ბენეფიციარს, რომელიც განიცდის ზარალს, შეუძლია გააუქმოს ქონების მმართველის მიერ უფლებამოსილი პირის მოქმედებები, თუ ისინი განხორციელდა დამდგენი აქტისა თუ ჩვეულებების საწინააღმდეგოდ.

ბენეფიციარს შეუძლია ასევე მოახდინოს კუთვნილი სარჩელების რეალიზაცია ქონების მმართველის მიერ უფლებამოსილი პირის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მმართველი სათანადოდ იყო უფლებამოსილი შესაბამისი დავალების მიცემაზე.

განყოფილება 5
გონივრულად ნავარაუდევი ინვესტიციები

1339. გონივრულად ივარაუდება შემდეგ აქტივებში შეტანილი ინვესტიციები:

1) უძრავ ქონებაზე საკუთრება;

2) კვებეკის, კანადის ან კანადის პროვინციის, ამერიკის შეერთებული შტატების ან მისი ნებისმიერი სხვა წევრი-შტატის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის, კანადაში მუნიციპალიტეტისა თუ სასკოლო საბჭოს ანდა ფაბრიკის მიერ გაცემული ან გარანტირებული სავალო დოკუმენტები ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობები;

3) იმ იურიდიული პირის მიერ გაცემული სავალო დოკუმენტები ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობები, რომელიც კანადაში საქმიანობს კომუნალური მომსახურების სფეროში და რომელიც უფლებამოსილია, დაადგინოს ასეთი მომსახურების ტარიფი;

4) კვებეკის, კანადის ან კანადის პროვინციის მიერ მინდობილი მესაკუთრის მიმართ პროცენტისა და ძირითადი თანხის შესაბამის ვადაში დაფარვის მიზნით საკმარისი სუბსიდიების გადახდის ნაკისრი ვალდებულებით გარანტირებული სავალო დოკუმენტები ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობები;

5) კომპანიის სავალო დოკუმენტები ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობები შემდეგ შემთხვევებში:

ა) ეს დოკუმენტები ან დავალიანება უზრუნველყოფილია უძრავ ქონებაზე დადგენილი პირველი რიგის იპოთეკით ან იმ ფასიენი ქაღალდებით, რომლებიც ივარაუდება, როგორც გონივრული ინვესტიცია;

ბ) დოკუმენტები ან დავალიანება უზრუნველყოფილია მოწყობილობაზე დადგენილი პირველი რიგის იპოთეკით და კომპანია რეგულარულად ახორციელებდა სასესხო თანხებზე პროცენტის გადახდას უკანასკნელი 10 ფინანსური წლის განმავლობაში;

გ) აღნიშნული დოკუმენტები გაცემულია იმ კომპანიის მიერ, რომლის ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციები ივარაუდება, როგორც გონივრული ინვესტიცია.

6) სასესხო და საინვესტიციო საზოგადოებების შესახებ კანონის (თავი S-30) საფუძველზე კვებეკის კანონით შექმნილი ან კვებეკში სამეწარმეო საქმიანობაზე უფლებამოსილი სასესხო საზოგადოების მიერ გაცემული სავალო დოკუმენტები ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობები იმ პირობით, რომ ეს საზოგადოება სპეციალურად იქნა მოწონებული მთავრობის მიერ და კვებეკში მის ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისა თუ სასკოლო საბჭოების, ასევე — ფაბრიკების დაკრედიტებას ანდა კვებეკში არსებულ უძრავ ქონებაზე დადგენილი პირველი რიგის იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხების გაცემას;

7) კვებეკში უძრავ ქონებაზე დადგენილი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნები:

ა) თუ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა გარანტირებული ან უზრუნველყოფილია კვებეკის, კანადის ან კანადის პროვინციის მიერ;

ბ) თუ მოთხოვნის თანხა არ აღემატება მოთხოვნის გადახდის უზრუნველსაყოფად გამოყენებული უძრავი ქონების ღირებულების 80%-ს იმავე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სხვა იმ მოთხოვნების გამოკლების შემდეგ, რომლებსაც აქვს თანაბარი ან უპირატესი რიგი.

გ) თუ მოთხოვნის თანხა, რომელიც აღემატება მოთხოვნის გადახდის უზრუნველსაყოფად გამოყენებული უძრავი ქონების ღირებულების 80%-ს იმავე უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სხვა იმ მოთხოვნების გამოკლების შემდეგ, რომლებსაც აქვს თანაბარი ან უპირატესი რიგი, — გარანტირებული ან უზრუნველყოფილია კვებეკის, კანადის ან კანადის პროვინციის, კანადის საიპოთეკო და საბინაო-სამშენებლო კორპორაციის, Société d'habitation du Québec-ის მიერ ან — იმ იპოთეკური სადაზღვევო პოლისით, რომელიც გაცემულია დაზღვევის შესახებ კანონის (თავი A-32) საფუძველზე ლიცენზიის მფლობელის კომპანიის მიერ.

8) იმ კომპანიის მიერ გაცემული სრულად გადახდილი პრივილეგირებული აქციები, რომლის ჩვეულებრივი აქციები ივარაუდება, როგორც გონივრული ინვესტიცია ან რომელმაც უკანასკნელი ხუთი ფინანსური წლის განმავლობაში გაანაწილა შეთანხმებული დივიდენდები ყველა თავის პრივილეგირებულ აქციაზე.

9) იმ კომპანიის მიერ გაცემული ჩვეულებრივი აქციები, რომელიც სამი წლის განმავლობაში აკმაყოფილებდა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონში (თავი V-1.1) მოცემული დროული გასაჯაროების მოთხოვნებს, როდესაც ეს აქციები Autorité des marchés financiers-ის რეკომენდაციის საფუძველზე მთავრობის მიერ გატანილია ამ მიზნით აღიარებულ საფონდო ბირჟაზე და როდესაც პრივილეგირებული აქციებისა თუ 10%-ის ან მეტი წილის მქონე აქციათა პაკეტების გაუთვალისწინებლად კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაცია მთავრობის მიერ დადგენილ თანხაზე მაღალია;

10) საინვესტიციო ფონდის ან კერძო ტრასტის ფასიანი ქაღალდები იმ პირობით, რომ მისი პორტფელის 60% შედგება გონივრულად ნავარაუდევი ინ-

ვესტიციებისაგან და ფონდი ან ტრასტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ასრულებდა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონით განსაზღვრული უწყვეტი გასაჯაროების მოთხოვნებს.

1340. ქონების მმართველი გადაწყვეტილებებს იღებს იმ ინვესტიციების შესახებ, რომლებიც ხორციელდება შემოსავლისა და მოსალოდნელი კაპიტალური მოგების მიხედვით; რამდენადაც ეს შესაძლებელია, ის მუშაობს დივერსიფიცირებული პორტფელის შესაქმნელად, რომელიც იძლევა ფიქსირებულ მოგებასა და ცვალებად შემოსავალს ძირითადი ეკონომიკური პირობებით შეთავაზებული პროპორციით.

თუმცაღა, მმართველს არ შეუძლია იმავე კომპანიის ხუთ პროცენტზე მეტი აქციის შეძენა, ისევე როგორც — იმ იურიდიული პირისა თუ კომანდიტური საზოგადოების წილების, სავალო დოკუმენტების ან დავალიანების დამადასტურებელი სხვა მოწმობების შეძენა, რომლებმაც არ გადაიხადეს მათი წილებისათვის დადგენილი დივიდენდები ან მათ სავალო დოკუმენტებსა თუ სხვა ფასიან ქაღალდებზე დარიცხული პროცენტი; მმართველს ასევე არ შეუძლია სესხის გაცემა აღნიშნულ იურიდიულ პირსა თუ საზოგადოებაზე.

1341. ქონების მმართველს შეუძლია მისთვის გადაცემული ფულადი თანხები განათავსოს ბანკში, შემნახველ და საკრედიტო კავშირში ან ნებისმიერ სხვა ფინანსურ ინსტიტუტში, თუ დეპოზიტი ექვემდებარება დაბრუნებას მოთხოვნისთანავე ან 30 დღით ადრე წარდგენილი შეტყობინებით.

ქონების მმართველს შეუძლია ასევე ფულადი თანხები განათავსოს უფრო მეტი ვადით, თუ დეპოზიტის დაბრუნება სრულად არის გარანტირებული Autorité des marchés financiers-ს მიერ; სხვა შემთხვევაში მას არ შეუძლია ამის გაკეთება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია სასამართლოს მიერ და — ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ პირობებზე.

1342. ქონების მმართველს მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების დაწყებისას შეუძლია შეინარჩუნოს არსებული ინვესტიციები თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს ინვესტიციები არ მიეკუთვნება გონივრულად ნავარაუდევ ინვესტიციებს.

მმართველს შეუძლია ასევე შეინარჩუნოს ის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც იურიდიული პირის რეორგანიზაციის, გაუქმების ან მიერთების შემდეგ ცვლის იმ ფასიან ქაღალდებს, რომლებსაც ის ფლობდა.

1343. ივარაუდება, რომ წინამდებარე განყოფილების ნორმების შესაბამისად მოქმედი ქონების მმართველი მოქმედებს კეთილგონივრულად.

მმართველი, რომელიც ახორციელებს ისეთ ინვესტიციებს, რომელთა განხორციელებაზეც ის არ არის უფლებამოსილი, მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტის გამო და ბრალეულობის შემდგომი მტკიცების გარეშე პასუხისმგებელია აღნიშნულის შედეგად დამდგარი ნებისმიერი ზარალისათვის.

1344. მართვის პროცესში განხორციელებული ინვესტიციები უნდა ხორციელდებოდეს მმართველის, როგორც ამ სტატუსით მოქმედი პირის, სახელით.

აღნიშნული ინვესტიციები შეიძლება ასევე განხორციელდეს ბენეფიციარის სახელითაც, თუ ასევე მოხდება მითითება იმაზე, რომ ისინი ხორციელდება მმართველის, როგორც ამ სტატუსით მოქმედი პირის, მიერ.

განყოფილება 6
მოგებისა და დანახარჯების განაწილება

1345. ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარსა და ძირითადი თანხის ბენეფიციარს შორის მოგებისა და დანახარჯების განაწილება ხორციელდება დამდგენი აქტის შეთანხმებებითა და ნათელი განზრახვით.

აქტში საკმარისი მითითების არარსებობისას, განაწილება ხორციელდება შეძლებისდაგვარად სამართლიანად მართვის ობიექტის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და ზოგადად აღიარებული საბუღალტრო პრაქტიკის გათვალისწინებით.

1346. შემოსავლის ანგარიშის დადებეტება ზოგადად ხდება შემდეგი დანახარჯებისა თუ იგივე სახის სხვა დანახარჯებისათვის:

1) სადაზღვევო პრემიები, მცირე რემონტისა და ქონების მართვის სხვა მიმდინარე ხარჯები;

2) ქონების მმართველის საზღაურის ნახევარი და მის მიერ ძირითადი თანხისა და ნაყოფისა და შემოსავლების ერთობლივ მართვაზე გაწეული გონივრული ხარჯები;

3) სამართავ ქონებაზე გადასახდელი გადასახადები;

4) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად ადგენს, ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარის უფლებების დაცვაზე გაწეული ხარჯები და ასევე ანგარიშის სასამართლო წესით წარდგენის ხარჯების ნახევარი;

5) ქონების ამორტიზაცია, გარდა ბენეფიციარის მიერ პირადი მიზნებისათვის გამოყენებული ქონებისა.

ქონების მმართველს შემოსავლის სათანადო დონეზე შენარჩუნებისათვის შეუძლია გონივრულ პერიოდზე გაანაწილოს მნიშვნელოვანი ხარჯები.

1347. კაპიტალის ანგარიშის დადებეტება ზოგადად ხდება იმ დანახარჯებისათვის, რომლებიც არ დებეტდება შემოსავლებიდან, მათ შორის, კაპიტალური შენატანებთან, ქონების გასხვისებასთან და ძირითადი თანხის ბენეფიციარის უფლებების დაცვასთან ან სამართავი ქონების საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მოგების გადასახადის და სხვა თანხების დადებეტება, რომლებიც მიეწერება ძირითად თანხას, თუნდაც როდესაც ასეთი გადასახადის მომწესრიგებელი კანონი ამ თანხებს საშემოსავლო გადასახადად თვლის, — ასევე ზოგადად ხდება კაპიტალის ანგარიშიდან.

1348. ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარი უფლებამოსილია სამართავი ქონების წმინდა მოგების მიღებაზე ქონების მართვის დამდგენი აქტით განსაზღვრული თარიღიდან, ან თუ თარიღი არ არის განსაზღვრული, — ქონების მართვის დაწყების ან პირის გარდაცვალების დღიდან, რომლიდანაც დაიწყო ქონების მართვა.

1349. პერიოდულად გადასახდელი ნაყოფისა და შემოსავლების დათვლა ხდება ყოველდღიურად.

იურიდიული პირის დივიდენდები და გასანაწილებელი თანხები (distributions) ექვემდებარება გადახდას განაწილების დეკლარაციაში მითითებულ დღეს ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — დეკლარაციის გაკეთების დღიდან.

1350. ნაყოფისა და შემოსავლების ბენეფიციარი მისი უფლების გაქარწყლებისას უფლებამოსილია იმ ნაყოფისა და შემოსავლების მიღებაზე, რომლებიც არ იქნა მისთვის გადახდილი, ასევე — გამომუშავებული, მაგრამ ჯერ კიდევ მიუღებელი ნაწილის მიღებაზე.

თუმცაღა, ის არ არის უფლებამოსილი იურიდიული პირის იმ დივიდენდებზე, რომლებიც არ იქნა დეკლარირებული მისი უფლების არსებობის განმავლობაში.

განყოფილება 7
ყოველწლიური ანგარიშგება

1351. ქონების მმართველი მის მიერ განხორციელებული მართვის შესახებ განზოგადებულ ანგარიშს ბენეფიციარს წარუდგენს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ.

1352. ანგარიში უნდა იყოს საკმარისად დეტალიზირებული, რათა იძლეოდეს მისი სისწორის შემოწმების საშუალებას.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ანგარიშის წარდგენისას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ანგარიშის ექსპერტის მიერ აუდიტორული შემოწმების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

1353. როდესაც სახეზეა რამდენიმე მმართველი, ისინი წარადგენენ ერთი და იგივე ანგარიშს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი მოვალეობები დაიყო კანონით, შესაბამისი აქტითა თუ სასამართლოს მიერ და ეს დაყოფა ასევე შენარჩუნდა.

1354. ქონების მმართველმა ნებისმიერ დროს უნდა დართოს ბენეფიციარს ქონების მართვასთან დაკავშირებული საბუღალტრო წიგნებისა და გადახდის დასტურების შემოწმების ნება.

თავი 4
მართვის შეწყვეტა

განყოფილება 1
მართვის შეწყვეტის საფუძვლები

1355. ქონების მმართველის მოვალეობები წყდება მისი გარდაცვალებით, თანამდებობიდან გათავისუფლებით ან შეცვლით ანდა იმ შემთხვევებში, რომ-

დესაც ის გადახდისუუნარო ხდება ან მას უდგინდება დაცვითი ზედამხედველობა.

ქონების მმართველის მოვალეობები ასევე წყდება, როდესაც ბენეფიციარი გადახდისუუნარო ხდება ან მას უდგინდება დაცვითი ზედამხედველობა, თუ აღნიშნული ეხება სამართავ ქონებას.

1356. ქონების მართვა წყდება

1) სამართავი ქონების მიმართ ბენეფიციარის უფლების გაქარწყლებით;

2) ქონების მართვის დამდგენ აქტში შეთანხმებული ვადის გასვლით ან პირობის შესრულებით;

3) მართვის მიზნის მიღწევით ან იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობის ის მიზეზი, რომლის გამოც დადგინდა ქონების მართვა.

1357. ქონების მმართველს შეუძლია უარი თქვას დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე ბენეფიციარისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, მისი თანამმართველებისა თუ მის ნაცვლად მმართველად დანიშვნაზე უფლებამოსილი პირისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. როდესაც სახეზე არ არიან ასეთი პირები ან როდესაც შეუძლებელია მათთვის შეტყობინების წარდგენა, ეს უკანასკნელი ეგზავნება შემოსავლების მინისტრს, რომელიც, თუ ეს აუცილებელია, კისრულობს ქონების დროებით მართვას და უზრუნველყოფს ახალი მმართველის დანიშვნას იმ მმართველის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე.

კერძო ან სოციალური ტრასტის მმართველმა ასევე უნდა წარუდგინოს მის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე უარის შესახებ შეტყობინება იმ პირსა თუ ორგანოს, რომელიც კანონით დანიშნულია მისი მართვის მეთვალყურეობისათვის.

1358. ქონების მმართველის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე უარის თქმა ძალაში შედის შეტყობინების მიღების დღიდან ან შეტყობინებაში მითითებული ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღიდან.

1359. ქონების მმართველი ვალდებულია, აანაზღაუროს მის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე უარის თქმით გამოწვეული ზიანი, როდესაც უარი ხორციელდება მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე და შეუსაბამო დროს ანდა როდესაც ის უთანაბრდება ნაკისრი მოვალეობების შეუსრულებლობას.

1360. ბენეფიციარს, რომელმაც ქონების მართვა გადასცა სხვა პირს, შეუძლია შეცვალოს მმართველი ან შეწყვიტოს მართვა, განსაკუთრებით, მის მიერ კუთვნილი იმ უფლების განხორციელებისას, რომლითაც მას შეუძლია მოითხოვოს ქონების მისთვის მოთხოვნისთანავე დაბრუნება.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს იმ მმართველის შეცვლა, რომელსაც არ შეუძლია ნაკისრი მოვალეობების განხორციელება ან რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

1361. მმართველის გარდაცვალებისას ან მისთვის დაცვითი ზედამხედ-

ველობის დადგენისას, მემკვიდრეობის ლიკვიდატორი ან მისი მეურვე ან მზრუნველი, თუ მისთვის ცნობილია ქონების მართვის შესახებ, ვალდებულია გარდაცვალების ან დაცვითი ზედამხედველობის დადგენის შესახებ შეატყობინოს ბენეფიციარსა და თანამმართველებს, ასეთების არსებობის შემთხვევაში, ანდა კერძო ან სოციალური ტრასტის შემთხვევაში კი, — იმ პირსა თუ ორგანოს, რომელიც კანონით დანიშნულია ქონების მართვის მეთვალყურეობისათვის.

ლიკვიდატორი, მეურვე ან მზრუნველი ასევე ვალდებული არიან, ნებისმიერი უკვე დაწყებული საქმის მიმართ მოიმოქმედონ ყველაფერი ის, რაც დაუყოვნებლივ აუცილებელია ზარალის თავიდან ასაცილებლად; მან ასევე უნდა წარადგინოს შესაბამისი ანგარიში და გადასცეს ქონება იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან მის მიღებაზე.

1362. იმ მმართველის მიერ კეთილსინდისიერი მესამე პირების წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელმაც არაფერი იცის იმის შესახებ, რომ მის მიერ ქონების მართვა შეწყვეტილია, — ნამდვილია და ავალდებულებს ბენეფიციარსა თუ ტრასტის ქონებას; იგივე წესი მოქმედებს მმართველის მიერ ქონების მართვის დასრულების შემდეგ ხელშეკრულებით ნაკისრი იმ ვალდებულებების მიმართ, რომლებიც წარმოადგენს მართვის აუცილებელ შედეგს ან მოითხოვება ზარალის თავიდან აცილებისათვის.

ბენეფიციარი ან ტრასტის ქონება ასევე ვალდებულია იმ მესამე პირების წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით, რომლებმაც არაფერი იცოდნენ იმის შესახებ, რომ ქონების მართვა შეწყდა.

განყოფილება 2
ანგარიშის წარდგენა და ქონების მიწოდება

1363. ქონების მართვის შეწყვეტისას ქონების მმართველმა განხორციელებული მართვის შესახებ საბოლოო ანგარიში უნდა წარუდგინოს ბენეფიციარს და, საჭიროების შემთხვევაში, — მის შემცვლელ მმართველს ან მის თანამმართველებს. როდესაც სახეზეა რამდენიმე მმართველი და მათი მოვალეობები წყდება ერთდროულად, მათ უნდა წარადგინონ ერთი და იგივე ანგარიში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი მოვალეობები დაყოფილია.

ანგარიში უნდა იყოს საკმარისად დეტალურად შედგენილი, რათა იძლეოდეს მისი სისწორის შემოწმების საშუალებას; დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაამოწმონ შესაბამისი ინფორმაცია ქონების მართვასთან დაკავშირებულ საბუღალტრო წიგნებსა და გადახდის დასტურებში.

ბენეფიციარის მიერ ანგარიშის მიღება იწვევს ანგარიშგების დასრულებას.

1364. ქონების მმართველს ნებისმიერ დროსა და ყველა ბენეფიციარის თანხმობით ანგარიშის წარდგენა შეუძლია შეთანხმების საფუძველზე.

თუ სახეზე არ არის შეთანხმება, ანგარიშის წარდგენა ხორციელდება სასამართლო წესით.

1365. ქონების მმართველმა სამართავი ქონების გადაცემა უნდა მოახდინოს შეთანხმებულ ადგილას, ხოლო შეთანხმების არარსებობისას კი, — იქ, სადაც ეს ქონება იმყოფება.

1366. ქონების მმართველს ევალება გადასცეს ყველაფერი ის, რაც მან მის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებისას მიიღო თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის, რაც მან მიიღო, არ ერგებოდა ბენეფიციარს ან ტრასტის ქონებას; ის ასევე ანგარიშვალდებულია ნებისმიერი პირადი მოგებისა თუ სარგებლისათვის, რომელიც მან მის მიერ მართვის განხორციელების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის უნებართვო სარგებლობით მიიღო.

როდესაც მმართველმა ქონებით უნებართვოდ ისარგებლა, ის ვალდებულია ბენეფიციარს ან ტრასტის ქონებას აუნაზღაუროს მის მიერ ქონებით სარგებლობა სათანადო ქირის თანხის ან ფულად თანხაზე პროცენტის გადახდით.

1367. მართვის ხარჯები, მათ შორის, ანგარიშის წარდგენისა და ქონების გადაცემის ხარჯები, ეკისრება ბენეფიციარს ან ტრასტის ქონებას.

ქონების მმართველის მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე უარის თქმა ან მისი შეცვლა ავალდებულებს ბენეფიციარს ან ტრასტის ქონებას, მართვის ხარჯების ანაზღაურებასთან ერთად, გადაუხადოს მას ნებისმიერი მის მიერ გამომუშავებული საზღაური.

1368. ქონების მმართველს დარჩენილ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდა ეკისრება საბოლოო ანგარიშგების დასრულების ან მისგან ამ უკანასკნელის განხორციელების მოთხოვნის მომენტიდან; ბენეფიციარს ან ტრასტის ქონებას პროცენტის გადახდა ეკისრება მხოლოდ მოთხოვნის მომენტიდან.

1369. ქონების მმართველი უფლებამოსილია იმ თანხებს, რომელთა გადარიცხვაც მას მოეთხოვება, გამოაკლოს ნებისმიერი ის თანხა, რომლის გადახდაზეც ქონების მართვიდან გამომდინარე მის წინაშე ვალდებულია ბენეფიციარი ან ტრასტის ქონება.

ქონების მმართველს შეუძლია დააკავოს სამართავი ქონება მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება კუთვნილი თანხები.

1370. როდესაც სახეზეა რამდენიმე ბენეფიციარი, მათი ვალდებულება ქონების მმართველის მიმართ სოლიდარულია.

წიგნი მეხუთე
ვალდებულებები

ტიტული 1
ვალდებულებები ზოგადად

თავი 1
ზოგადი დებულებები

1371. ვალდებულების არსებით პირობას წარმოადგენს ის, რომ სახეზე უნდა იყვნენ პირები, რომელთა შორისაც ის არსებობს, ასევე — შესრულება (prestation), რომელიც ქმნის ვალდებულების საგანს, ხოლო გარიგებიდან გამომდინარე წარმოშობილი ვალდებულების შემთხვევაში კი, — სამართლებრივი საფუძველი (კაუზა), რომელიც ამართლებს ვალდებულების არსებობას.

1372. ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან ან ნებისმიერი იმ აქტიდან თუ ფაქტიდან, რომლებსაც კანონი უკავშირებს სამართლებრივი შედეგების დადგომას.

ვალდებულება შეიძლება იყოს უპირობო და მარტივი ან არსებობდეს პირობით.

1373. ვალდებულების საგანს წარმოადგენს შესრულება, რომელიც უნდა განახორციელოს მოვალემ კრედიტორის მიმართ და რომელიც მოიცავს რაიმე მოქმედების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას.

მოვალე ვალდებულია, განახორციელოს ისეთი შესრულება, რომელიც უნდა იყოს შესაძლებელი და განსაზღვრული ან განსაზღვრებადი; ის ასევე არ უნდა იყოს აკრძალული კანონით ან არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო წესრიგს.

1374. ვალდებულების შესრულება შეიძლება ეხებოდეს ნებისმიერ ქონებას, თუნდაც — სამომავლოს იმ პირობით, რომ ქონება განსაზღვრულია სახეობის მიხედვით და განსაზღვრებადია რაოდენობის მიხედვით.

1375. მხარეებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად ვალდებულების წარმოშობის მომენტში და ასევე — მისი შესრულებისა თუ შეწყვეტის მომენტში.

1376. წინამდებარე წიგნში მოცემული წესები გამოიყენება სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მიმართ, ასევე — საჯარო ინტერესებში დაფუძნებული ყველა სხვა იურიდიული პირის მიმართ ნებისმიერი იმ კანონით დადგენილი სხვა წესების დაცვის პირობით, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ მიმართ.

თავი 2
ხელშეკრულებები

განყოფილება 1
ზოგადი დებულება

1377. წინამდებარე თავში მოცემული ზოგადი წესები გამოიყენება ყველა ხელშეკრულების მიმართ მიუხედავად მათი ბუნებისა.

განსაზღვრული ხელშეკრულებების მიმართ მოქმედი სპეციალური წესები, რომლებიც ავსებს ზემოაღნიშნულ ზოგად წესებს ან უხვევს მათი დანაწესებიდან, დგინდება წინამდებარე წიგნის მე-2 ტიტულში.

განყოფილება 2
ხელშეკრულებების ბუნება და განსაზღვრული სახეები

1378. ხელშეკრულება წარმოადგენს ნების გამოვლენათა თანხვედრას, რომლითაც ერთი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ შესრულების განხორციელებას.

ხელშეკრულებები შეიძლება დაიყოს მიერთების ხელშეკრულებებად (contracts of adhesion) და ერთობლივი შეთანხმებით დადებულ ხელშეკრულებებად (contracts by mutual agreement), სინალაგმატიკურ და ცალმხრივ ხელშეკრულებებად, სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებად, კუმუტატიურ და ალეატორულ ხელშეკრულებებად, ასევე — ხელშეკრულებებად მომენტალური შესრულებით ან განგრძობადი შესრულებით; ხელშეკრულებები შეიძლება ასევე იყოს სამომხმარებლო.

1379. მიერთების ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელშიც არსებითი პირობების შეთავაზება ან შედგენა მოხდა ერთ-ერთი მხარის

მიერ, ამ უკანასკნელის სახელით ან მისი მითითებების შესაბამისად, და ის ვერ იქნებოდა მოლაპარაკებების საგანი.

ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არ წარმოადგენს მიერთების ხელშეკრულებას, არის ერთობლივი შეთანხმებით დადებული ხელშეკრულება.

1380. სინალაგმატიკური ანუ ორმხრივია ხელშეკრულება, როდესაც მხარეები ვალდებულებებს კისრულობენ თანაზიარად, თითოეული მეორის მიმართ ისე, რომ ერთი მხარის ვალდებულება კორელაციურია მეორე მხარის ვალდებულებისა.

როდესაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მეორე მხარის მიმართ ამ უკანასკნელის მხრიდან რაიმე ვალდებულების გარეშე, ხელშეკრულება მიიჩნევა ცალმხრივად.

1381. ხელშეკრულება სასყიდლიანია, როდესაც ყოველი მხარე იღებს სარგებელს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების სანაცვლოდ.

როდესაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მეორე მხარის მიმართ ამ უკანასკნელისათვის სარგებლის მინიჭების მიზნით ნებისმიერი სანაცვლო სარგებლის მიღების გარეშე, მაშინ ხელშეკრულება უსასყიდლოა.

1382. ხელშეკრულება კუმუტატიურია, როდესაც მისი დადების მომენტში მხარეთა ვალდებულებებისა და მათ მიერ სანაცვლოდ მიღებული სარგებლის მოცულობა გარკვეული და განსაზღვრულია.

როდესაც ვალდებულებებისა და სარგებლის მოცულობა გაურკვეველია, სახეზეა ალეატორული ხელშეკრულება.

1383. როდესაც გარემოებები არ გამორიცხავს მხარეთა ვალდებულებების ერთჯერადად შესრულებას, სახეზეა ხელშეკრულება მომენტალური შესრულებით.

როდესაც გარემოებები სრულიად მოითხოვს, რომ ვალდებულებები შესრულდეს რამდენიმე სხვადასხვა პერიოდში ან უწყვეტად, სახეზეა ხელშეკრულება განგრძობადი შესრულებით.

1384. სამომხმარებლო ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულება, რომლის გამოყენების სფერო კანონმდებლობის მიერ შემოიფარგლება მომხმარებლის დაცვით და რომლის მეშვეობითაც ერთ-ერთი მხარე — მომხმარებელი, წარმოადგენს რა ფიზიკურ პირს, თავისი პირადი, საოჯახო ან საცხოვრებელი მიზნებისათვის იძენს, ქირაობს, სესხულობს ან ნებისმიერი სხვა სახით იღებს ქონებას ან მომსახურებას იმ მეორე მხარისაგან, რომელიც ახდენს ასეთი ქონებისა და მომსახურების შეთავაზებას მის მიერ განხორციელებული საწარმოო საქმიანობის ნაწილის სახით.

განყოფილება 3
ხელშეკრულებების დადება

§ 1. — ხელშეკრულებების დადების პირობები

I. — ზოგადი დებულება

1385. ხელშეკრულება იდება იმ მხარეთა შორის ნების გამოვლენათა უბრალო გაცვლით, რომლებსაც აქვთ ქმედუნარიანობა (capacity to contract) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი დამატებით ითხოვს სპეციალურ ფორმას, რომელიც უნდა იქნეს დაცული როგორც ხელშეკრულების დადების აუცილებელი პირობა, ანდა — მხარეებმა ხელშეკრულების დადებისათვის გაითვალისწინეს ოფიციალური ფორმა.

ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს ასევე ის, რომ მას უნდა ჰქონდეს კაუზა და საგანი.

II. — თანხმობა

1 —
თანხმობების გაცვლა

1386. თანხმობების გაცვლა ხორციელდება პირის პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო ნების გამოვლენით, რომლითაც ის იღებს სხვა პირის მიერ მისთვის წარდგენილ ხელშეკრულების დადების შეთავაზებას.

1387. ხელშეკრულება იდება, როდესაც და სადაც აქცეპტი მიიღება ოფერენტის მიერ მიუხედავად გამოყენებული კომუნიკაციის საშუალებისა, თუნდაც მხარეები შეთანხმდნენ, გადადონ შეთანხმება ხელშეკრულების მეორად ელემენტებთან დაკავშირებით.

2 —
ოფერტი და აქცეპტი

1388. ხელშეკრულების დადების ოფერტი წარმოადგენს შეთავაზებას, რომელიც შეიცავს შეთავაზებული ხელშეკრულების ყველა არსებით ელემენტს და რომელშიც ოფერენტი ამჟღავნებს თავის მზაობას, შეიბოჭოს ვალდებულებით იმ შემთხვევაში, თუ ოფერტი იქნება მიღებული.

1389. ხელშეკრულების დადების ოფერტი მომდინარეობს იმ პირისაგან, რომელიც ახდენს ხელშეკრულების დადების ინიციირებას ან იმ პირისაგან, რომელიც განსაზღვრავს მის შინაარსს ანდა, თუნდაც განსაზღვრულ შემთხვევებში, — იმ პირისაგან, რომელიც წარადგენს შეთავაზებული ხელშეკრულების უკანასკნელ ელემენტს.

1390. ხელშეკრულების დადების ოფერტი შეიძლება გაკეთდეს განსაზ-

ღვრული ან განუსაზღვრელი პირისათვის და ის შეიძლება უთითებდეს ან არ უთითებდეს მისი მიღების ვადას.

როდესაც ოფერტი უთითებს მიღების ვადას, მისი გამოთხოვა ვადის გასვლამდე დაუშვებელია; თუ მიღების ვადა მითითებული არ არის, ოფერტი შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ნებისმიერ დროს მანამდე, სანამ აქცეპტი მიიღება ოფერენტის მიერ.

1391. როდესაც აქცეპტანტი ოფერტის მიღებამდე იღებს მისი გამოთხოვის განცხადებას, ოფექტი უქმდება, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მასში მითითებულია მიღების ვადა.

1392. ოფერტი უქმდება, თუ ოფერენტი არ იღებს აქცეპტს განსაზღვრული ვადის გასვლამდე ან, როდესაც ვადა არ არის განსაზღვრული, გონივრული ვადის გასვლამდე; ის ასევე უქმდება აქცეპტანტის მიმართ, თუ ამ უკანასკნელმა ის უარყო.

ოფერენტის ან აქცეპტანტის გარდაცვალება ან გადახდისუუნარობა, მიუხედავად იმისა, უთითებს თუ არა ოფერტი მისი მიღების ვადას, ანდა დაცვითი ზედამხედველობის დადგენა ერთ-ერთი მათგანის მიმართ ასევე იწვევს ოფერტის გაუქმებას, თუ აღნიშნული მოვლენა დგება ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღებამდე.

1393. არ ქმნის აქცეპტს თანხმობა, რომელიც არსებითად არ შეესაბამება ოფერტს ან რომელიც მიღებულია ოფერენტის მიერ მას შემდეგ, რაც ოფერტი გაუქმდა.

თუმცა, ის შეიძლება ქმნიდეს ახალ ოფერტს.

1394. დუმილი არ გულისხმობს ოფერტის აქცეპტს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საწინააღმდეგო გამომდინარეობს მხარეთა ნებიდან, კანონიდან ან განსაკუთრებული გარემოებებიდან, როგორიცაა ჩვეულება ან წინა საქმიანი ურთიერთობა.

1395. ჯილდოს შეთავაზება ნებისმიერი იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს განსაზღვრულ მოქმედებას, მიიჩნევა მიღებულად და ის მბოჭავია ოფერენტის მიმართ მოქმედების შესრულების მომენტიდან, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მოქმედების შემსრულებელმა პირმა არ იცის ოფერტის შესახებ, თუ იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაშვებია, ოფერტი არ იქნა თავიდანვე პირდაპირ და ადეკვატურად გამოთხოვილი ოფერენტის მიერ.

1396. განსაზღვრული პირის მიმართ წარდგენილი ხელშეკრულების დადების შეთავაზება ქმნის შეთავაზებული ხელშეკრულების დადების შეპირებას იმ მომენტიდან, როდესაც აქცეპტანტი ნათლად უთითებს ოფერენტს, რომ მას სურს ოფერტის განხილვა და მასზე პასუხის გაცემა გონივრულ ვადაში ან მასში მოცემულ ვადაში.

უბრალო შეპირება არ უთანაბრდება შეთავაზებულ ხელშეკრულებას; თუმცა, როდესაც შეპირების ბენეფიციარი იღებს შეპირებას ან იყენებს თავის ოფციას, როგორც ის, ასევე შემპირებელი ვალდებული არიან, დადონ

ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბენეფიციარი გადაწყვეტს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადებას.

1397. ხელშეკრულების დადების შეთავაზების დარღვევით დადებული ხელშეკრულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეთავაზების ბენეფიციარის მიმართ, თუმცა აღნიშნული წესი არ ეხება მის კუთვნილ სამართლებრივი დაცვის საშუალებას ზიანის ანაზღაურებაზე შემთავაზებლისა და იმ პირის მიმართ, რომელმაც არაკეთილსინდისიერად დადო შემპირებელთან ხელშეკრულება.

ანალოგიური წესი მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლების დარღვევით დადებული ხელშეკრულების მიმართ.

3 —

თანხმობის ნიშან-თვისებები და ხარვეზები

1398. თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ასეთი თანხმობის პირდაპირ ან უსიტყვოდ გამოხატვის მომენტში უნარიანია, იკისროს შესაბამისი ვალდებულებები.

1399. თანხმობა უნდა იყოს თავისუფალი და გათვიცნობიერებული.

ის შეიძლება შეიბღალოს შეცდომის, შიშის ან ზარალიანობის გამო.

1400. შეცდომა ბღალავს მხარეთა ან ერთ-ერთი მათგანის თანხმობას იმ შემთხვევაში, როდესაც ის ეხება ხელშეკრულების ბუნებას, შესრულების საგანს ან თანხმობით განსაზღვრულ ნებისმიერ არსებით ელემენტს.

მიუტევებელი შეცდომა არ ქმნის თანხმობის ხარვეზს.

1401. ერთ მხარეს არსებული შეცდომა, რომელიც გამოწვეულია კონტრაჰენტის მხრიდან მოტყუებით ან ისე, რომ ამ უკანასკნელმა იცოდა ამის შესახებ, ბღალავს თანხმობას ყველა შემთხვევაში, როდესაც რომ არა ეს შეცდომა, მეორე მხარე არ დადებდა ხელშეკრულებას ან დადებდა მას განსხვავებული პირობებით.

მოტყუება შეიძლება წარმოადგენდეს დუმილის ან ფაქტების დაფარვის შედეგიც.

1402. ერთ-ერთი მხარის პიროვნების ან ქონებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შიში ბღალავს ამ მხარის მიერ მიცემულ თანხმობას, როდესაც შიში გამოწვეულია ძალადობითა თუ მუქარით, რომელიც გამოვლენილ იქნა ან განხორციელდა მეორე მხარის მიერ ანდა ცნობილია მისთვის.

მოსალოდნელი ზიანი შესაძლოა ეხებოდეს ასევე სხვა პირს ან მის ქონებას და მისი შეფასება ხდება გარემოებების შესაბამისად.

1403. თანხმობას ბღალავს უფლების ან უფლებამოსილების ბოროტად განხორციელებით ანდა ასეთი განხორციელების მუქარით გამოწვეული შიში.

1404. თანხმობის მიცემა იმ ხელშეკრულების დადებაზე, რომლის საგანსაც

წარმოადგენს საქონლის მიწოდება იმ პირისათვის, რომელიც ხელშეკრულებას დებს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შიშით, არ იბღალება, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარე მოქმედებს კეთილსინდისიერად მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია აუცილებლობის მდგომარეობის შესახებ.

1405. გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, ზარალიანობა ბღალავს თანხმობას მხოლოდ არასრულწლოვანებისა და სრული ასაკის დაცული პირების მიმართ.

1406. ზარალიანობა გამომდინარეობს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორის ექსპლუატაციიდან, რაც ქმნის მნიშვნელოვან შეუსაბამობას მხარეთა შესრულებებს შორის; ის ფაქტი, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, ქმნის ექსპლუატაციის პრეზუმფციას.

იმ შემთხვევებში, რომლებშიც ჩართული არიან არასრულწლოვანი და სრული ასაკის დაცული პირი, ზარალიანობა შეიძლება ასევე გამომდინარეობდეს იმ ვალდებულებიდან, რომელიც განიხილება როგორც გადამეტებული პირის ქონებრივი მდგომარეობის, მის მიერ ხელშეკრულებიდან მიღებული სარგებლისა და საერთოდ ყველა გარემოების გათვალისწინებით.

1407. პირს, როლის თანხმობაც შეიბღალა, აქვს უფლება, მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება; მოტყუებით, შიშით ან ზარალიანობით გამოწვეული შეცდომის შემთხვევაში, მას შეუძლია გაბათილებასთან ერთად მოითხოვოს ასევე ზიანის ანაზღაურებაც ან, როდესაც ის ამჯობინებს ხელშეკრულების შენარჩუნებას, — მოითხოვოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შემცირება იმ ზიანის ანაზღაურების ოდენობით, რომელშიც ის დაკმაყოფილდებოდა თავის მოთხოვნაში.

1408. ზარალიანობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია შეინარჩუნოს ის ხელშეკრულება, რომლის მიმართაც სარჩელით მოთხოვნილია გაბათილება, თუ მოპასუხე ახდენს თავისი მოთხოვნის შემცირების ან სამართლიანი ფულადი შევსების შეთავაზებას.

III. — ქმედუნარიანობა

1409. ქმედუნარიანობის მომწესრიგებელი წესები უმთავრესად მოცემულია პირების შესახებ წიგნში.

IV. — ხელშეკრულებების კაუზა

1410. ხელშეკრულების კაუზა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელიც აწყვეტინებს თითოეულ მხარეს ხელშეკრულების დადებას.

არ არის აუცილებელი, კაუზა პირდაპირ გამოხატული იყოს.

1411. ბათილია ხელშეკრულება, რომლის კაუზაც აკრძალულია კანონით ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

V. — ხელშეკრულებების საგანი

1412. ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს იურიდიულ მოქმედებას, რომელიც მხარეთა მიერ გათვალისწინებულია მისი დადების მომენტში და რომელიც ვლინდება ხელშეკრულებით წარმოშობილი ყველა უფლებისა და ვალდებულებისაგან.

1413. ბათილია ხელშეკრულება, რომლის საგანიც აკრძალულია კანონით ან ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

VI. — ხელშეკრულებების ფორმა

1414. როდესაც ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სპეციალური ან ოფიციალური ფორმა, ეს უკანასკნელი უნდა იქნეს დაცული; ის ასევე ექვემდებარება დაცვას ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილებისათვისაც გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე შეთანხმებას.

1415. ხელშეკრულების დადების შეპირება არ ექვემდებარება ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის დაცვას.

§ 2. — ხელშეკრულებების დადების პირობების სანქცია

I. — ბათილობის ბუნება

1416. ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც არ აკმაყოფილებს მისი დადებისათვის აუცილებელ პირობებს, შეიძლება გაბათილდეს.

1417. ხელშეკრულება აბსოლუტურად ბათილია, როდესაც მისი ბათილობის შედეგით სანქციონირებული დადების პირობა აუცილებელია საერთო ინტერესის დაცვისათვის.

1418. ხელშეკრულების აბსოლუტურ ბათილობაზე მითითება შეიძლება ნებისმიერი იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს ამის განხორციელების არსებული და რეალური ინტერესი; სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაბათილება ხდება საკუთარი ინიციატივით.

დაუშვებელია აბსოლუტურად ბათილი ხელშეკრულების დადასტურება.

1419. ხელშეკრულება რელატიურად ბათილია, როდესაც მისი ბათილობის შედეგით სანქციონირებული დადების პირობა აუცილებელია ინდივიდუალური ინტერესის დაცვისათვის, როგორიცაა, მაგ., როდესაც მხარეთა ან ერთ-ერთი მხარის თანხმობა იბღალება.

1420. ხელშეკრულების რელატიურად ბათილობაზე მითითება შეიძლება

მხოლოდ იმ პირის მიერ, რომლის ინტერესში ეს დგინდება ან ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ იმ პირობით, რომ ის მოქმედებს კეთილსინდისიერად და აღნიშნულისაგან განიცდის მნიშვნელოვან ზიანს; დაუშვებელია სასამართლოს მიერ ხელშეკრულების გაბათილება საკუთარი ინიციატივით.

რელატიურად ბათილი ხელშეკრულების დადასტურება დასაშვებია.

1421. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბათილობის ბუნება ნათლად მითითებულია კანონში, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება, რომელიც არ აკმაყოფილებს მისი დადებისათვის აუცილებელ პირობებს, ბათილია რელატიურად.

II. — ბათილობის სამართლებრივი შედეგი

1422. ბათილი ხელშეკრულება მიიჩნევა, რომ არასოდეს არსებობდა.

ასეთ შემთხვევაში ყოველი მხარე ვალდებულია, დაუბრუნოს მეორეს მის მიერ მიღებული შესრულება.

III. — ხელშეკრულების დადასტურება

1423. ხელშეკრულების დადასტურება გამომდინარეობს მისი ბათილობის ფაქტზე მითითებაზე უარის პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო ნებიდან.

დადასტურების ნება უნდა იყოს უეჭველი და ცხადი.

1424. როდესაც ხელშეკრულების ბათილობაზე მითითება შეუძლია თითოეულ მხარეს ან რამდენიმე მათგანს ხელშეკრულების საერთო მეორე მხარის მიმართ, ერთ-ერთი მათგანის მიერ დადასტურება ხელს არ უშლის სხვებს, მიუთითონ ხელშეკრულების ბათილობაზე.

განყოფილება 4
ხელშეკრულებების განმარტება

1425. ხელშეკრულების განმარტებისას უფრო მხარეთა საერთო განზრახვა უნდა დგინდებოდეს, ვიდრე სიტყვების ლიტერარული მნიშვნელობის მკაცრი მიდევნება.

1426. ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების ბუნება, ის გარემოებები, რომლებშიც ის დაიდო, ინტერპრეტაცია, რომელიც უკვე იქნა მხარეთა მიერ მისთვის მიცემული ან რომელსაც ის სავარაუდოდ მიიღებდა და ასევე, — ჩვეულებები.

1427. ხელშეკრულების ყოველი დებულება განიმარტება სხვა დებულებების კონტექსტში ისე, რომ თითოეულ დებულებას უნდა მიეცეს ის მნიშვნელობა, რაც გამომდინარეობს მთლიანი ხელშეკრულებიდან.

1428. დებულებას უნდა მიეცეს ის მნიშვნელობა, რასაც აქვს რაიმე შედეგი, ვიდრე ის მნიშვნელობა, რასაც შედეგი არა აქვს.

1429. იმ სიტყვებს, რომლებიც იძლევა ორგვარი გაგების საშუალებას, უნდა მიეცეს ის მნიშვნელობა, რაც საუკეთესოდ შეესაბამება ხელშეკრულების საგანს.

1430. დებულება, რომელიც განკუთვნილია ხელშეკრულების განსაზღვრული მდგომარეობისადმი გამოყენებასთან დაკავშირებული ეჭვის გამოსარიცხად, არ ზღუდავს ხელშეკრულების მოქმედების სფეროს, რაც სხვაგვარად გამოხატულია საერთო პირობებში.

1431. ხელშეკრულების დებულებები ეხება მხოლოდ იმას, რაც, როგორც ჩანს, მხარეებს განზრახული ჰქონდათ ჩაერთოთ მასში, თუმცაღა გამოყენებულ იქნა ზოგადი პირობები.

1432. საეჭვოობისას ხელშეკრულების განმარტება ხდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელმაც ხელშერულებით იკისრა ვალდებულება, და იმ პირის საწინააღმდეგოდ, რომელმაც ეს ვალდებულება დაადგინა. ყველა შემთხვევაში ხელშეკრულება განიმარტება იმ მხარის სასარგებლოდ, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, ან მომხმარებლის სასარგებლოდ.

განყოფილება 5
ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები

§ 1. — ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები მხარეთა შორის

I. — ზოგადი დებულება

1433. ხელშეკრულება წარმოშობს ვალდებულებებს, ხოლო განსაზღვრულ შემთხვევებში კი, — ცვლის ან წყვეტს მათ.

ზოგიერთ შემთხვევებში, მას ასევე აქვს სანივთო უფლებების დადგენის, გადაცემის, შეცვლის ან გაუქმების სამართლებრივი შედეგი.

II. — ხელშეკრულებების მბოჭავი ძალა და შინაარსი

1434. კანონიერად დადებული ხელშეკრულება ავალდებულებს მის დამდებ მხარეებს არა მარტო იმ მხრივ, რაც მათ მასში პირდაპირ გამოხატეს, არამედ ასევე იმ მხრივაც, რაც მისთვის დამახასიათებელია მისი ბუნების მიხედვითა და ჩვეულებების, სამართლიანობისა თუ კანონის შესაბამისად.

1435. ხელშეკრულების მიღმა არსებული დებულება, რომელსაც მიუთითებს ხელშეკრულება, სავალდებულოა მხარეთათვის.

თუმცაღა, სამომხმარებლო ან მიერთების ხელშეკრულებებში ხელშეკრუ-

ლების მიღმა არსებული დებულება ბათილია, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში ის არ იყო პიდაპირი ფორმით შეტყობინებული მომხმარებლისათვის ან იმ მხარისათვის, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარე დაამტკიცებს, რომ მომხმარებელმა ან იმ მხარემ, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, სხვაგვარად იცოდნენ აღნიშნულის შესახებ.

1436. სამომხმარებლო ხელშეკრულებაში ან მიერთების ხელშეკრულებაში ძნელად საკითხავი ან გონიერი ადამიანისათვის გაუგებარი დებულება ბათილია, თუ მომხმარებელი ან ის მხარე, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, განიცდის ამისგან ზარალს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარე დაამტკიცებს, რომ მომხმარებელს ან იმ მხარეს, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, ადეკვატური განმარტება მიეცა დებულების ბუნებისა და მოცულობის შესახებ.

1437. სამომხმარებლო ხელშეკრულებაში ან მიერთების ხელშეკრულებაში შეცდომაში შემყვანი დებულება (abusive clause) ბათილია, ან მისგან გამომდინარე ვალდებულება შეიძლება შემცირდეს.

შეცდომაში შემყვანი დებულება წარმოადგენს ისეთ დებულებას, რომელიც გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად საზიანოა მომხმარებლისათვის ან იმ მხარისათვის, რომელიც უერთდება ხელშეკრულებას, და, შესაბამისად, — დადებულია არაეთიკლსინდისიერად; კერძოდ, შეცდომაში შემყვანია დებულება, რომელიც ისე უხვევს ხელშეკრულების ჩვეულებრივ მომწესრიგებელი ნორმებისაგან წარმოშობილი ფუნდამენტური ვალდებულებებისაგან, რომ ის ცვლის ხელშეკრულების ბუნებას.

1438. ბათილი დებულება არ აბათილებს ხელშეკრულებას სხვა მხრივ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნათელია, რომ ხელშეკრულება შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ როგორც განუყოფელი ერთიანობა.

ანალოგიური წესი მოქმედებს იმ დებულების მიმართ, რომელიც სამართლებრივი ძალის არმქონეა ან ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი.

1439. დაუშვებელია ხელშეკრულების გაუქმება, შეწყვეტა, შეცვლა ან მასზე უარის თქმა გარდა იმ საფუძვლებისა, რომლებიც აღიარებულია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

§ 2. — ხელშეკრულებების სამართლებრივი შედეგები მესამე პირთა მიმართ

I. — ზოგადი დებულებები

1440. ხელშეკრულებას სამართლებრივი შედეგი აქვს მხოლოდ კონტრაჰენტებს შორის; ის არ ეხება მესამე პირებს გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1441. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალებისას ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები გადადის მის მემკვიდრეებზე, თუ ხელშეკრულების ბუნება ამას უშვებს.

1442. ხელშეკრულების მხარეთა უფლებები გადადის მათ სპეციალური საფუძვლით უფლებამონაცვლეებზე, თუ უფლებები წარმოადგენს იმ ქონების საკუთვნებელს, რომელიც გადადის მათზე ან მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან.

II. — შეპირება სხვა პირისათვის

1443. არავის შეუძლია დაავალდებულოს ნებისმიერი პირი, გარდა თავისი თავისა და თავისი მემკვიდრეებისა საკუთარი სახელით დადებული ხელშეკრულებით, თუმცა მას შეუძლია საკუთარი სახელით იმის შეპირება, რომ მესამე პირი იკისრებს ვალდებულების შესრულებას და ასეთ შემთხვევაში ის პასუხისმგებელია კონტრაჰენტისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუ მესამე პირი არ კისრულობს შეპირების შესაბამისი ვალდებულების შესრულებას.

III. — შეთანხმება სხვა პირის სასარგებლოდ

1444. პირს ხელშეკრულებაში შეუძლია გააკეთოს დათქმა მესამე პირის სასარგებლოდ.

ასეთი დათქმა ბენეფიციარ მესამე პირს ანიჭებს უფლებას, პირდაპირ შემპირებლისაგან მოითხოვოს შეპირებული ვალდებულების შესრულება.

1445. არ არის აუცილებელი, რომ ბენეფიციარი მესამე პირი არსებობდეს ან იყოს განსაზღვრული დათქმის გაკეთების მომენტში; ის აღნიშნულ მომენტში უნდა იყოს მხოლოდ განსაზღვრებადი და არსებობდეს იმ მომენტში, როდესაც შემპირებელმა უნდა შეასრულოს ვალდებულება მის სასარგებლოდ.

1446. დათქმა შეიძლება გაუქმდეს მანამდე, სანამ ბენეფიციარი მესამე პირი არ შეატყობინებს დათქმის გამკეთებელს ან შემპირებელს თავისი სურვილის შესახებ, მიიღოს ეს დათქმა.

1447. მხოლოდ დათქმის გამკეთებელს შეუძლია დათქმის გაუქმება; არც მის მემკვიდრეებსა და არც მის კრედიტორებს არ შეუძლიათ ამის გაკეთება.

თუმცაღა, თუ შემპირებელს აქვს დათქმის შენარჩუნების ინტერესი, დათქმის გამკეთებელს არ შეუძლია მისი გაუქმება შემპირებლის თანხმობის გარეშე.

1448. დათქმის გაუქმება მოქმედებს იმ მომენტიდან, როდესაც ის ცნობილი გახდა შემპირებლისათვის; თუმცა, თუ ის ხორციელდება ანდერძით, მაშინ ის მოქმედებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

როდესაც ახალი ბენეფიციარი არ არის განსაზღვრული, გაუქმება მოქმედებს დათქმის გამკეთებლის ან მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ.

1449. ბენეფიციარ მესამე პირს ან მის მემკვიდრეებს შეუძლიათ დაეთანხმონ დათქმას, თუნდაც — დათქმის გამკეთებლის ან შემპირებლის გარდაცვალების შემდეგ.

1450. შემპირებელს შეუძლია ბენეფიციარ მესამე პირს დაუპირისპიროს ისეთი შესაგებლები, რომელთა გამოყენებასაც ის შეძლებდა დათქმის გამკეთებლის მიმართ.

IV. — თვალთმაქცობა

1451. თვალთმაქცობა სახეზეა, როდესაც მხარეები თანხმდებიან გამოავლინონ თავიანთი ნამდვილი განზრახვა არა მოჩვენებით ხელშეკრულებაში, არამედ — საიდუმლო ხელშეკრულებაში, რასაც ასევე ეწოდება მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ნამდვილი შინაარსის დამდგენი დაფარული დოკუმენტი (counter letter).

მხარეთა შორის არსებულ შეთანხმების ნამდვილი შინაარსის დამდგენ დაფარული დოკუმენტს ენიჭება უპირატესობა მოჩვენებით ხელშეკრულებასთან შედარებით.

1452. კეთილსინდისიერ მესამე პირებს შეუძლიათ თავიანთი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მოჩვენებითი ხელშეკრულება ან მხარეთა შორის არსებული შეთანხმების ნამდვილი შინაარსის დამდგენი დაფარული დოკუმენტი; თუმცა, როდესაც მათ შორის წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი, უპირატესობა ენიჭება იმ პირს, რომელიც სათავისოდ იყენებს მოჩვენებით ხელშეკრულებას.

§ 3. — ზოგიერთი ხელშეკრულების სპეციალური სამართლებრივი შედეგები

I. — სანივთო უფლებების გადაცემა

1453. გარკვეულ და განსაზღვრულ ქონებაზე ან რამდენიმე ქონებაზე ერთად, რომელიც განიხილება როგორც ქონებრივი ერთობლიობა, სანივთო უფლებების გადაცემისას შემძენზე უფლება გადადის ხელშეკრულების დადებისთანავე, თუნდაც ქონების მიწოდება დაუყოვნებლივ არ ხდება და ჯერ კიდევ აუცილებელი რჩება განსაზღვრული მოქმედების განხორციელება ფასის ოდენობის განსაზღვრისათვის.

იმ ქონებაზე სანივთო უფლებების გადაცემისას, რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ სახეობის მიხედვით, შემძენზე ეს უფლება გადადის იმ მომენტიდან, როდესაც მას ატყობინებენ, რომ ქონება გარკვეული და განსაზღვრულია.

1454. თუ მხარე ერთი და იგივე სანივთო უფლებას ერთი და იგივე მოძრავ ნივთზე ერთმანეთის მიყოლებით გადასცემს სხვადასხვა შემძენს, იმ კეთილსინდისიერ შემძენზე, რომელსაც პირველს გადაეცა ნივთზე მფლობელობა,

გადადის ამ ნივთზე არსებული სანივთო უფლება, თუნდაც მასთან შესაბამისი ხელშეკრულება, შესაძლოა, უფრო გვიანაც დაიდო.

1455. დაუშვებელია უძრავ ქონებაზე სანივთო უფლების გადაცემის გამოყენება მესამე პირების მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია უფლებათა პუბლიკაციასთან დაკავშირებული ნორმებით.

II. — ნაყოფი და შემოსავლები, ქონებასთან დაკავშირებული რისკები

1456. ნაყოფისა და შემოსავლების განაწილება და ასევე იმ ქონებასთან დაკავშირებული რისკების კისრება, რომელიც ქმნის ხელშეკრულებით გადაცემული სანივთო უფლების ობიექტს, — უმთავრესად რეგულირდება ქონების შესახებ წიგნში მოცემული ნორმებით.

თუმცა, ნივთის მიწოდების ვალდებულების მოვალეს ჯერ კიდევ ეკისრება ნივთთან დაკავშირებული რისკები მანამდე, სანამ ეს ნივთი არ იქნება მიწოდებული.

თავი 3
სამოქალაქო პასუხისმგებლობა

განყოფილება 1
პასუხისმგებლობის პირობები

§ 1. — ზოგადი დებულებები

1457. ყოველ პირს ეკისრება მოვალეობა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ქცევის წესები შესაბამისი გარემოებების, ჩვეულებისა თუ სამართლის მიხედვით ისე, რომ არ მიაყენოს სხვას ზიანი.

როდესაც გონიერი ადამიანი ვერ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ის პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანისათვის, რომელსაც ის აყენებს სხვა პირს ბრალეული ქმედებით და ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ეს უკანასკნელი ფიზიკურ, მორალურ თუ მატერიალულ ზიანს.

ის ვალდებულია ასევე, გარკვეულ შემთხვევებში, აანაზღაუროს სხვისთვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია სხვა პირის მოქმედებით ან ბრალით ანდა — მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ნივთების მოქმედებით.

1458. ყოველ პირს ეკისრება მოვალეობა, დაიცვას მის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებები.

როდესაც პირი არ ასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, ის პასუხისმგებელია ნებისმიერი ფიზიკური, მორალური თუ მატერიალული ზიანისათვის,

რომელსაც ის აყენებს კონტრაჰენტს და ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი; ასეთ შემთხვევაში, არც ამ პირსა და არც მეორე მხარეს არ შეუძლია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმათა მოქმედების თავიდან აცილება იმ ნორმების არჩევით, რომლებიც მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

§ 2. — სხვა პირის მოქმედება ან ბრალი

1459. მშობლის უფლების მქონე პირი ვალდებულია აანაზღაუროს მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანის მოქმედებით ან ბრალით სხვა პირისათვის მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ მას თავად არ მიუძღვოდა რაიმე ბრალი არასრულწლოვანის ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და მისთვის განათლების მიცემის მხრივ.

პირი, რომელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, ზემოაღნიშნულის მსგავსად არის ვალდებული, თუ არასრულწლოვანის მოქმედება ან ბრალი კავშირშია აღნიშნული პირის მიერ არასრულწლოვანისათვის მიცემულ განათლებასთან.

1460. მშობლის უფლების არმქონე პირი, რომელსაც დელეგირებით ან სხვაგვარად დაევალა არასრულწლოვანის ზედამხედველობის, მეთვალყურეობისა და მისთვის განათლების მიცემა, მშობლის უფლების მქონე პირის მსგავსად ვალდებულია, აანაზღაუროს არასრულწლოვანის მოქმედებით ან ბრალით მიყენებული ზიანი.

თუმცაღა, როდესაც აღნიშნული პირი მოქმედებს უსასყიდლოდ ან გასამრჯელოს სანაცვლოდ, ის არ არის ზემოაღნიშნულზე ვალდებული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება, რომ მან ჩაიდინა ბრალეული ქმედება.

1461. ნებისმიერი პირი, რომელიც მეურვის, მზრუნველის სახით ან სხვაგვარად კისრულობს იმ სრული ასაკის პირზე ზედამხედველობას, რომელსაც არ შეუძლია გონივრულად მოქმედება, — არ არის ვალდებული, აანაზღაუროს სრული ასაკის პირის ქმედებით მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის თავად არის ბრალეული ზედამხედველობის განხორციელებისას დაშვებული განზრახი ან უხეში შეცდომისათვის.

1462. იმ პირის მოქმედებით ან უმოქმედობით სხვისათვის მიყენებული ზიანისათვის, რომელსაც არ შეუძლია გონივრულად მოქმედება, პირი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამ უკანასკნელის საქციელი სხვაგვარად არამართლზომიერად იქნებოდა მიჩნეული.

1463. მარწმუნებელი ვალდებულია, აანაზღაუროს მისი რწმუნებულებისა და მოსამსახურეების მიერ მათი მოვალეობების განხორციელებისას ბრალეულად მიყენებული ზიანი; ამავე დროს, ის მათ წინააღმდეგ ინარჩუნებს კუთვნილ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

1464. სახელმწიფოს ან საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ უფლებამოსილი რწმუნებული ან მოსამსახურე არ წყვეტს თავისი მოვალეობების განხორციელებისას მოქმედებას მარტო იმ ფაქტით, რომ ის სჩადის უკანონო მოქმედებას მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების გადაჭარბებით ან ნებართვის გარეშე ანდა — იმ ფაქტით, რომ ის მოქმედებს როგორც პოლიციის თანამშრომელი.

§ 3. — ნივთის მოქმედება

1465. ნივთის შემნახველი ვალდებულია, აანაზღაუროს ნივთის ავტონომიური მოქმედებიდან გამომდინარე დამდგარი ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ მას არ მიუძღვის ამაში ბრალი.

1466. ცხოველის მესაკუთრე ვალდებულია, აანაზღაუროს ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ცხოველი მისი ან მესამე პირის ზედამხედველობის ქვეშ ანდა დაიკარგა ან გაიქცა.

პირი, რომელიც იყენებს ცხოველს, გამოყენების პერიოდში ასევე პასუხისმგებელია მის მიერ მიყენებულ ზიანზე მესაკუთრესთან ერთად.

1467. უძრავი ქონების მესაკუთრე, მისი როგორც შემნახველის პასუხისმგებლობის გამორიცხვის გარეშე, ვალდებულია, აანაზღაუროს შენობის — თუნდაც ნაწილობრივი — ჩამოქცევით მიყენებული ზიანი მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა შენობის ჩამოქცევა რემონტის ნაკლის ან კონსტრუქციული დეფექტის შედეგს.

1468. მოძრავი ნივთის დამამზადებელი ვალდებულია, აანაზღაუროს მესამე პირისათვის ნივთთან დაკავშირებული უსაფრთხოების ხარვეზის შედეგად მიყენებული ზიანი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს ნივთი მიერთებულია უძრავ ქონებას ან განთავსებულია მასში უძრავი ქონების მომსახურებისა თუ საქმიანობისათვის.

ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირის მიმართ, რომელიც ახორციელებს ნივთის დისტრიბუციას საკუთარი სახელით ან როგორც საკუთარი ქონების და ასევე — ნივთის ნებისმიერი მიმწოდებლის მიმართ მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის საბითუმო თუ საცალო გამყიდველს და მოახდინა თუ არა მან ნივთის იმპორტი.

1469. ნივთს აქვს უსაფრთხოების ხარვეზი იმ შემთხვევაში, როდესაც არსებული ყველა გარემოების გათვალისწინებით ის ვერ უზრუნველყოფს ისეთ უსაფრთხოებას, რის მოლოდინზეც პირი ჩვეულებრივ ექნებოდა უფლებამოსილი, განსაკუთრებით კი, — კონსტრუქციისა თუ წარმოების ნაკლის, ცუდი შენახვისა თუ პრეზენტაციის ანდა იმ რისკებსა და საფრთხეებზე — ასევე მათი თავიდან აცილების საშუალებებზე — საკმარისი მითითებების არარსებობის შედეგად, რომლებსაც ეს ნივთი შეიცავს.

განყოფილება 2
პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების განსაზღვრული შემთხვევები

1470. პირს შეუძლია გაითავისუფლოს თავი მასზე სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან იმის დამტკიცებით, რომ ზიანი დადგა დაუძლეველი ძალის შედეგად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან იკისრა ასეთი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

დაუძლეველი ძალა წარმოადგენს გაუთვალისწინებელ და გადაულახავ მოვლენას იმავე მახასიათებლების მქონე გარე მიზეზების ჩათვლით.

1471. როდესაც პირი უწევს დახმარებას სხვა პირს ან უანგაროდ უსასყიდლოდ განკარგავს ქონებას სხვის სასარგებლოდ, ის თავისუფლდება შესაძლო დამდგარი ზიანისათვის ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია მისი განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

1472. პირს შეუძლია გაითავისუფლოს თავი მასზე კომერციული საიდუმლოების გამჟღავნების შედეგად სხვისთვის მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან იმის დამტკიცებით, რომ საერთო ინტერესის მოსაზრებებს უპირატესობა ენიჭება საიდუმლოების შენახვასთან შედარებით და, განსაკუთრებით კი, საიდუმლოების გამჟღავნება გამართლებული იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვისა თუ უსაფრთხოების მიზეზებით.

1473. მოძრავი ნივთის დამამზადებელი, დისტრიბიუტორი ან მიმწოდებელი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ნივთის უსაფრთხოების ხარვეზით გამოწვეული ზიანი, თუ ის დაამტკიცებს, რომ დაზარალებულმა იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ხარვეზის შესახებ ანდა მას შეეძლო ზიანის მიყენების ალბათობის განჭვრეტა.

აღნიშნულ პირს არ ეკისრება ანაზღაურების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც, თუ ის დაამტკიცებს, რომ მის მიერ ნივთის დამზადების, დისტრიბუციისა თუ მიწოდების მომენტში არსებული ინფორმირებულობის ხარისხის მიხედვით ხარვეზის არსებობა ვერ იქნებოდა მისთვის ცნობილი და რომ ის არ მოქმედებდა დაუდევრად მასზე დაკისრებული ინფორმაციის მიწოდების მოვალეობის მიმართ, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ნივთის ხარვეზის შესახებ.

1474. პირი ვერ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ან ის ვერ შეიზღუდავს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას სხვა პირისათვის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული მატერიალური ზიანისათვის; უხეში გაუფრთხილებლობა წარმოადგენს ბრალის ისეთ სახეს, რომლის დროსაც ვლინდება უხეში დაუდევრობა, უხეში უგულისყურობა ან თვითიმედოვნება.

მას არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია გამორიცხოს ან შეზღუდოს მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობა სხვა პირისათვის მიყენებული ფიზიკური თუ მორალური ზიანისათვის.

1475. შეტყობინებას, თუნდაც გაგზავნილს ან გაუგზავნელს, რომელიც ითვალისწინებს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების გამორიცხვას ან შეზღუდვას, კრედიტორის მიმართ სამართლებრივი შედეგები აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მხარე, რომელიც უთითებს შეტყობინებაზე, ამტკიცებს, რომ მეორე მხარემ იცოდა მისი არსებობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში.

1476. პირს არ შეუძლია შეტყობინების გზით გამორიცხოს ან შეზღუდოს მასზე დაკისრებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მესამე პირების მიმართ; თუმცა, ასეთი შეტყობინება შეიძლება ქმნიდეს საფრთხის გამჟღავნებას.

1477. დაზარალებულის მიერ გარკვეული რისკის აღება, თუნდაც გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წინდაუხედავი მოქმედება, ეს შედეგად არ იწვევს ზიანის მიმყენებლის მიმართ სამართლებრივი დაცვის საშუალებაზე უარის თქმას.

განყოფილება 3
პასუხისმგებლობის განაწილება

1478. როდესაც ზიანის მიყენება ხდება რამდენიმე პირის მიერ, პასუხისმგებლობა ნაწილდება მათ შორის თითოეულის ბრალის ხარისხის პროპორციულად.

დაზარალებული ჩართულია პასუხისმგებლობის განაწილებაში, როდესაც ზიანის მიყენება ნაწილობრივ წარმოადგენს მისი ბრალის შედეგს.

1479. პირი, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, არ არის პასუხისმგებელი ზიანის ნებისმიერი გაუარესებისათვის, რისი თავიდან აცილებაც შეეძლო დაზარალებულს.

1480. როდესაც რამდენიმე პირმა ერთობლივად მიიღო მონაწილეობა იმ არამართლზომიერი ქმედების განხორციელებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ზიანის მიყენება, ან აღნიშნულმა პირებმა ცალ-ცალკე დაუშვეს ისეთი გადაცდომები, რომლებსაც თითოეულს შეეძლო გამოეწვია ზიანი, და ასევე როდესაც თითოეულ შემთხვევაში შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელმა მათგანმა გამოიწვია რეალურად ზიანი, — აღნიშნული პირები სოლიდარულად არიან ვალდებული, აანაზღაურონ მიყენებული ზიანი.

1481. როდესაც ზიანის მიყენება მოხდა რამდენიმე პირის მიერ და ერთ-ერთი მათგანი თავისუფლდება მასზე დაკისრებული ყველა პასუხისმგებლობისაგან სპეციალური კანონის პირდაპირი ნორმის საფუძველზე, მაშინ პასუხისმგებლობის იმ ნაწილს, რაც მას უნდა დაკისრებოდა, თანაბრად იღებენ ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები.

თავი 4
ვალდებულებების წარმოშობის განსაზღვრული სხვა წყაროები

განყოფილება 1
დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

1482. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება სახეზეა, როდესაც პირი, შემსრულებელი, თვითნებურად და მოქმედების ვალდებულების გარეშე, ნებაყოფლობითა და სათანადოდ კისრულობს სხვა პირის, მეპატრონის, საქმეების შესრულებას ამ უკანასკნელის ინფორმირების გარეშე ან მისი ინფორმირებით, თუ ის უუნარო იყო, დაენიშნა მარწმუნებელი ან სხვაგვარად ეზრუნა საკითხის გადაწყვეტაზე.

1483. შემსრულებელმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა აცნობოს მეპატრონეს მის მიერ საქმეების შესრულების კისრების შესახებ.

1484. შემსრულებელი ვალდებულია, გააგრძელოს ნაკისრი საქმეების შესრულება მანამდე, სანამ ის შეძლებს საქმიდან გამოსვლას დანაკარგის რისკის გარეშე ან სანამ მეპატრონე ან მისი მეურვე ან მზრუნველი ანდა, გარემოებების შესაბამისად, მემკვიდრეობის ლიკვიდატორი შეძლებს საკითხის გადაწყვეტას.

ყველა სხვა მხრივ თავისი საქმეების შესრულებისას, შემსრულებელს ეკისრება სხვისი ქონების მართვის დროს წარმოშობილი იმ პირის ზოგადი ვალდებულებები, რომელსაც ეკისრება ქონების მარტივი მართვა იმდენად, რამდენადაც გარემოებების გათვალისწინებით ვალდებულებები შეუსაბამო არ არის.

1485. შემსრულებლის მემკვიდრეობის ლიკვიდატორი, რომლისათვისაც ცნობილია საქმეების შესრულების შესახებ, ვალდებულია გააკეთოს მხოლოდ ის, რაც უკვე დაწყებულ საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია ზარალის თავიდან აცილებისათვის; მან დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს ანგარიში მეპატრონეს.

1486. როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების პირობები შესრულებულია, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ სასურველი შედეგი არ იქნა მიღწეული, მეპატრონემ შემსრულებელს უნდა აუნაზღაუროს ყველა აუცილებელი თუ საჭირო ხარჯი, რომლებიც მან გასწია, და ასევე ის ნებისმიერი ზიანი, რომელიც მან განიცადა საქმეების შესრულების, მაგრამ არა საკუთარი შეცდომის შედეგად.

მეპატრონემ ასევე უნდა შეასრულოს ნებისმიერი აუცილებელი თუ საჭირო ვალდებულებები, რომლებიც შემსრულებელმა იკისრა მესამე პირებთან თავისი სახელითა თუ თავის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით.

1487. ხარჯებისა თუ ვალდებულებების შეფასება ხდება იმ მომენტში მათი აუცილებლობისა თუ საჭიროების მიხედვით, როდესაც მოხდა შემსრულებლის მიერ მათი გაწევა ან ხელშეკრულებით კისრება.

1488. შემსრულებლის მიერ მეპატრონის კუთვნილ უძრავ ქონებაზე გაწეული დანახარჯების საკითხი წყდება ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული დანახარჯების მიმართ დადგენილ ნორმებში.

1489. საკუთარი სახელით მოქმედი შემსრულებელი ვალდებულია იმ მესამე პირების წინაშე, რომლებთანაც ის დებს ხელშეკრულებებს, მეპატრონის მიმართ თავისი ან ამ მესამე პირების კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შენარჩუნებით.

მეპატრონის სახელით მოქმედი შემსრულებელი ვალდებულია იმ მესამე პირების წინაშე, რომლებთანაც ის დებს ხელშეკრულებებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეპატრონე არ არის ვალდებული ამ მესამე პირების მიმართ.

1490. შემსრულებლის მიერ არასათანადო მომენტში სხვისი საქმეების შესრულების კისრება ავალდებულებს მეპატრონეს მხოლოდ მისი უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში.

განყოფილება 2
ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის მიღება

1491. პირი, რომელიც იღებს შეცდომით განხორციელებულ გადახდას, ანდა — მხოლოდ იმ მიზნით განხორციელებულ გადახდას, რომ თავიდან აიცილოს ზიანის მიყენება იმ პირისათვის, რომელიც შესრულების განხორციელებისას სარწმუნოდ აცხადებს მისი ვალდებულების არარსებობის შესახებ, — ვალდებულია დააბრუნოს გადახდილი თანხა.

თუმცა, მას არ ეკისრება გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება, როდესაც გადახდის შედეგად იმ პირის მოთხოვნა, რომელმაც კეთილსინდისიერად მიიღო ვალდებულების გარეშე გადახდა, ხანდაზმულია ან პირმა მოსპო თავისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ანდა დაკარგა უზრუნველყოფა, გარდა ნამდვილი მოვალის მიმართ გადახდის განმახორციელებელი პირის კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებისა.

1492. ვალდებულების გარეშე გადახდების დაბრუნება ხორციელდება შესრულებულის უკან დაბრუნების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.

განყოფილება 3
უსაფუძვლო გამდიდრება

1493. პირი, რომელიც მდიდრდება სხვის ხარჯზე, ვალდებულია უსაფუძვლოდ მიღებულის ფარგლებში აუნაზღაუროს ამ უკანასკნელს მისი შესაბამისი ქონების შემცირება (impoverishment), თუ სახეზე არ არის გამდიდრების ან გაღარიბების გამართლება.

1494. გამდიდრება ან ქონების შემცირება გამართლებულია, როდესაც ის

წარმოადგენს ვალდებულების შესრულების შედეგს, ასევე — დაზარალებული პირის მიერ იმ უფლების განუხორციელებლობის შედეგს, რომლის რეალიზაციაც მას შეუძლია ან შეეძლო უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის მიმართ, ანდა გამდიდრება ან ქონების შემცირება გამართლებულია, როდესაც ის წარმოადგენს დაზარალებული პირის მიერ თავის პირად და ექსკლუზიურ ინტერესებში ან თავისი რისკითა და შიშით ანდა თანმიმდევრული გულუხვობის სურვილით განხორციელებული მოქმედების შედეგს.

1495. საზღაური ექვემდებარება გადახდას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამდიდრების მდგომარეობა აგრძელებს არსებობას მოთხოვნის დღეს.

როგორც გამდიდრების, ისე ქონების შემცირების შეფასება ხდება მოთხოვნის დღისათვის; თუმცა, როდესაც გარემოებები მიუთითებს უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირის არაკეთილსინდისიერებაზე, გამდიდრება შეიძლება შეფასდეს მის მიერ აღნიშნულისაგან სარგებლის მიღების მომენტისათვის.

1496. როდესაც უსაფუძვლოდ გამდიდრებული პირი უსასყიდლოდ განკარგავს უსაფუძვლოდ მიღებულ ქონებრივ სიკეთეს დაზარალებული პირის მოტყუების განზრახვის გარეშე, მაშინ ამ პირის სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ბენეფიციარი მესამე პირის მიმართ, თუ ამ უკანასკნელს უნდა სცოდნოდა ქონების შემცირების შესახებ.

თავი 5
ვალდებულებების სახეცვლილებები

განყოფილება 1
მარტივი სახეცვლილებები

§ 1. — პირობითი ვალდებულებები

1497. ვალდებულება პირობითია, როდესაც ის დამოკიდებულია სამომავლო და გაურკვეველ მოვლენაზე ისე, რომ ან ხდება მისი მოქმედების შეჩერება ამ მოვლენის დადგომამდე ან — მისი შეწყვეტა იმისდა მიხედვით, დგება თუ არა მოვლენა.

1498. ვალდებულება არ არის პირობითი, თუ თავად ის ან მისი შეწყვეტა დამოკიდებულია ისეთ მოვლენაზე, რომელიც — მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობა მხარეთათვის უცნობია, — უკვე დამდგარია იმ მომენტისათვის, როდესაც მოვალემ ვალდებულება პირობით იკისრა.

1499. პირობა, რაზეც დამოკიდებულია ვალდებულება, უნდა იყოს შესაძლებელი და არ უნდა იყოს არც უკანონო და არც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ბათილია და აბათილებს მასზე დამოკიდებულ ვალდებულებასაც.

1500. ბათილია მხოლოდ მოვალის დისკრეციის ფარგლებში არსებულ პირობაზე დამოკიდებული ვალდებულება; თუმცა, თუ პირობა მდგომარეობს რაიმეს გაკეთებაში ან რაიმეს არგაკეთებაში, ვალდებულება ნამდვილია თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედება ხორციელდება მოვალის დისკრეციის ფარგლებში.

1501. თუ პირობის შესრულებისათვის ვადა არ არის დადგენილი, პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს; თუმცა, პირობა არ დგება, თუ ნათელი ხდება, რომ ის ვერ შესრულდება მომავალში.

1502. როდესაც ვალდებულება დამოკიდებულია იმ პირობაზე, რომ მოვლენა არ დადგება მოცემულ ვადაში, პირობა შესრულებულად ითვლება, როგორც კი გავა ვადა მოვლენის დადგომის გარეშე და, ასევე, — როდესაც მანამდე, სანამ ვადა გავა, ნათელი ხდება, რომ მოვლენა მომავალში არ დადგება.

როდესაც ვადა არ არის დადგენილი, პირობა არ ითვლება შესრულებულად მანამდე, სანამ ნათელი არ გახდება, რომ მოვლენა მომავალში არ დადგება.

1503. პირობითი ვალდებულება ხდება აბსოლუტური, როდესაც მოვალე, რომლის ვალდებულებაც დამოკიდებულია პირობაზე, ხელს უშლის მის შესრულებას.

1504. პირობის შესრულებამდე კრედიტორს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომები საკუთარი უფლებების დაცვისათვის.

1505. ვალდებულების პირობითი ბუნება არ გამორიცხავს მისი გადაცემის ან გადასვლის შესაძლებლობას.

1506. ვალდებულების შესრულებას მხარეთა შორის და მესამე პირების მიმართ აქვს უკუქცევითი ძალა იმ დღიდან, როდესაც მოვალემ იკისრა პირობითი ვალდებულება.

1507. გადადების პირობის შესრულება აკისრებს მოვალეს ვალდებულების შესრულებას ისე, თითქოს ის არსებობდა იმ დღიდან, როდესაც მან იკისრა ვალდებულება აღნიშნული პირობით.

გაუქმების პირობის შესრულება აკისრებს ყოველ მხარეს, დაუბრუნოს მეორეს ვალდებულების შესაბამისად მიღებული შესრულებები ისე, თითქოს ვალდებულება არასოდეს არსებობდა.

§ 2. — ვადიანი ვალდებულებები

1508. ვალდებულება შემაჩერებელი ვადით წარმოადგენს ისეთ არსებულ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი სამომავლო და გარკვეული მოვლენის დადგომამდე.

1509. როდესაც ვალდებულების შესრულების მოთხოვნაც არ შეიძლება

განსაზღვრული ვადის გასვლამდე, მაგრამ განსაზღვრული თარიღი არ არის ნახსენები, ვადის პირველი დღე არ ითვლება, თუმცა სათვალავში მიიღება ვადის გასვლის დღე.

1510. თუ არ დგება ის მოვლენა, რომელიც მიიჩნეოდა როგორც გარკვეული, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შესაძლებელია იმ დღიდან, როდესაც მოვლენა ჩვეულებრივ უნდა დამდგარიყო.

1511. ვადა მოქმედებს მოვალის სასარგებლოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონიდან, მხარეთა განზრახვიდან ან გარემოებებიდან ნათელია, რომ ვადაზე შეთანხმება მოხდა კრედიტორის ან ორივე მხარის სასარგებლოდ.

მხარეს, რომლის ექსკლუზიური სარგებლისათვის იქნა შეთანხმებული ვადა, შეუძლია უარი თქვას მასზე მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

1512. როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ვადის განსაზღვრის გადადებაზე ან ვადის განსაზღვრის საკითხი მიანდეს ერთ-ერთ მათგანს და როდესაც გონივრული პერიოდის გასვლის შემდეგ ვადა არ იქნა განსაზღვრული, სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, დაადგინოს ვადა ვალდებულების ბუნების, მხარეთა მდგომარეობისა და შესაბამისი გარემოებების მიხედვით.

სასამართლოს შეუძლია ასევე დაადგინოს ვადა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ვადა მოითხოვება ვალდებულების ბუნებით და არ არსებობს შეთანხმება იმაზე, თუ როგორ შეიძლება ის განისაზღვროს.

1513. ის, რაც ექვემდებარება შესრულებას ვადის გასვლის შემდეგ, ვერ იქნება მოთხოვნილი ვადის გასვლამდე, თუმცა დაუშვებელია ნებისმიერი ისეთი შესრულების უკან დაბრუნება, რომელიც თავისუფლად და შეცდომის გარეშე განხორციელდა ვადის გასვლამდე.

1514. მოვალე კარგავს ვადით მინიჭებულ სარგებელს, თუ ის ხდება გადახდისუუნარო, გამოცხადებულია გაკოტრებულად ან საკუთარი მოქმედებითა და კრედიტორის თანხმობის გარეშე ამცირებს იმ უზრუნველყოფას, რომელიც მან კრედიტორს წარუდგინა.

მოვალე ასევე კარგავს ვადით მინიჭებულ სარგებელს, თუ ის არ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც მას მიენიჭა შესაბამისი ვადა.

1515. ვადით მინიჭებულ სარგებელზე უარი ან ვადის გაშვება იძლევა ვალდებულების შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესაძლებლობას.

1516. ვადის გაშვება ერთ-ერთი, თუნდაც სოლიდარული, მოვალის მიმართ ვერ იქნება გამოყენებული სხვა თანამოვალეების წინააღმდეგ.

1517. ვალდებულება გამქარწყლებელი ვადით (extinctive term) წარმოადგენს ისეთ ვალდებულებას, რომელსაც აქვს კანონით ან მხარეთა მიერ დადგენილი ხანგრძლივობა და რომელიც წყდება ვადის გასვლით.

განყოფილება 2
რთული სახეცვლილებები

§ 1. — ვალდებულებები მრავალი პირის მონაწილეობით

I. — ერთობლივი, დაყოფადი და დაუყოფადი ვალდებულებები

1518. ორ ან მეტ მოვალეს შორის ვალდებულება არის ერთობლივი, როდესაც ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებული არიან ერთი და იგივე საგანთან დაკავშირებით იმგვარად, რომ ყოველი მოვალე შეიძლება აიძულონ, ვალდებულება შეასრულოს მხოლოდ ინდივიდუალურად და მხოლოდ მისი ვალის წილის ოდენობამდე.

ორ ან მეტ კრედიტორს შორის ვალდებულება არის ერთობლივი, როდესაც ყოველ კრედიტორს საერთო მოვალისაგან შეუძლია მოითხოვოს მოთხოვნის თავისი წილის შესრულება.

1519. ვალდებულება დაყოფადია კანონის ძალით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეთა მიერ პირდაპირ შეთანხმებულია, რომ ის არის დაუყოფადი ან ვალდებულების საგანი თავისი ბუნებით არ ექვემდებარება დაყოფას არც მატერიალურად და არც აზრობრივად.

1520. დაუშვებელია დაუყოფადი ვალდებულების დაყოფა როგორც მოვალეებს, ისე კრედიტორებს შორის, ასევე — მათ მემკვიდრეებს შორის.

ყოველი მოვალე ან ყოველი მისი მემკვიდრე შეიძლება ინდივიდუალურად აიძულონ, შეასრულოს მთლიანი ვალდებულება და, პირიქით, ყოველ კრედიტორს ან ყოველ მის მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს მთლიანი ვალდებულების შესრულება, თუნდაც ვალდებულება არ იყოს სოლიდარული.

1521. სოლიდარულობის შესახებ შეთანხმების შედეგად ვალდებულება არ ხდება დაუყოფადი.

1522. მხოლოდ ერთი მოვალისა და ერთი კრედიტორის მბოჭავი დაყოფადი ვალდებულება უნდა შესრულდეს აღნიშნულ პირებს შორის ისე, თითქოს ის იყოს დაუყოფადი, თუმცა ის რჩება დაყოფადი ვალდებულების სახით მათ მემკვიდრეებს შორის.

II. — სოლიდარული ვალდებულებები

1 —
სოლიდარულობა მოვალეებს შორის

1523. ვალდებულება არის სოლიდარული მოვალეებს შორის, როდესაც ისინი კრედიტორის წინაშე ვალდებული არიან ერთი და იგივე საგანთან დაკავშირებით იმგვარად, რომ ყოველი მათგანი შეიძლება აიძულონ, ვალდებულება შეასრულოს ინდივიდუალურად და როდესაც ერთი მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება კრედიტორის მიმართ ვალდებულებისაგან ათავისუფლებს სხვებს.

1524. ვალდებულება შეიძლება იყოს სოლიდარული თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი თანამოვალე სხვებისაგან განსხვავებულად არის ვალდებული ერთი და იგივე საგნის შესრულებაზე, როდესაც, მაგ., ერთი მოვალე ვალდებულია პირობითად, ხოლო სხვა მოვალის ვალდებულება კი, ამავე დროს, არ არის პირობითი ან როდესაც ერთ მოვალეს დაუდგინდა ვადა, რომელიც არ მიენიჭა სხვას.

1525. სოლიდარულობა მოვალეთა შორის არ ივარაუდება; ის არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირდაპირ შეთანხმებულია მხარეთა მიერ ან გათვალისწინებულია კანონით.

თუმცა, სოლიდარულობა მოვალეთა შორის ივარაუდება, როდესაც ვალდებულების კისრება ხდება მომსახურების ხელშეკრულებით ან საწარმოს საქმიანობისათვის.

საწარმოს საქმიანობას ქმნის ერთი ან მეტი პირის მხრიდან ორგანიზებული ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა მიუხედავად იმისა, არის თუ არა ის თავისი ბუნებით სამეწარმეო საქმიანობა საქონლის წარმოების, ქონების მართვისა თუ გასხვისების, ასევე — მომსახურების გაწევის ჩათვლით.

1526. ორი ან მეტი პირის ბრალით სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არის სოლიდარული, როდესაც ეს უკანასკნელი არასახელშეკრულებო ვალდებულებაა.

1527. როდესაც ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელი გახდა ერთი ან მეტი სოლიდარული მოვალის ბრალით ან იმ მომენტში, როდესაც ერთი ან მეტი სოლიდარული მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, — სხვა თანამოვალეები არ თავისუფლდებიან თავიანთი ვალდებულებისაგან კრედიტორისათვის ეკვივალენტური თანხის გადახდით, თუმცაღა ისინი პასუხს არ აგებენ იმ დამატებითი კომპენსაციისათვის, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს კრედიტორს.

კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს დამატებითი კომპენსაცია მხოლოდ იმ თანამოვალეებისაგან, რომელთა ბრალითაც შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, და ასევე — იმ პირებისაგან, რომლებმაც თავის დროზე არ შეასრულეს ვალდებულება.

1528. სოლიდარული ვალდებულების კრედიტორს შეუძლია თავისი არჩევანით გადახდისათვის მიმართოს ნებისმიერ თანამოვალეს ისე, რომ ასეთი მოვალე ვერ მიუთითებს პასუხისმგებლობის განაწილებაზე.

1529. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ წარდგენილი სარჩელი არ ართმევს კრედიტორს კუთვნილ სამართლებრივი დაცვის საშუალებას სხვა მოვალეების მიმართ, თუმცა იმ მოვალეს, რომლის მიმართაც იქნა სარჩელი წარდგენილი, შეუძლია, თავის მხრივ, სასამართლო წესით პასუხი მოსთხოვოს სხვა სოლიდარულ მოვალეებს.

1530. იმ სოლიდარულ მოვალეს, რომლის მიმართაც კრედიტორმა სასამართლოში წარადგინა სარჩელი, შეუძლია დაუპირისპიროს მას ყველა პირადად მასთან დაკავშირებული შესაგებელი, ისევე როგორც ისეთი შესაგებლები, რომლებიც საერთოა ყველა თანამოვალისათვის, თუმცა მას არ შეუძლია იმ შესაგებლების წამოყენება, რომლებიც წმინდა პიროვნულია ერთი ან რამდენიმე სხვა თანამოვალისათვის.

1531. როდესაც კრედიტორის მოქმედების შედეგად სოლიდარულ მოვალეს ერთმევა უზრუნველყოფა ან ისეთი უფლება, რომელიც შეიძლებოდა სარჩელის საპირისპიროდ გამოყენებულიყო სუროგაციით, აღნიშნული მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან უზრუნველყოფის ან იმ უფლების ღირებულების ფარგლებში, რომელიც მას ერთმევა.

1532. კრედიტორი, რომელიც უარს ამბობს სოლიდარულობაზე ერთ-ერთი მოვალის მიმართ, ინარჩუნებს თავის სოლიდარულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას სხვა მოვალეების მიმართ მთლიანი ვალისათვის.

1533. კრედიტორი, რომელიც ცალკე და უპირობოდ იღებს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წილს და ქვითარში სპეციალურად უთითებს იმას, რომ ეს ეხება ამ წილს, უარს ამბობს სოლიდარულობაზე მხოლოდ აღნიშნული მოვალის მიმართ.

1534. როდესაც კრედიტორი ცალკე და უპირობოდ იღებს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის წილს რეგულარული გადახდების თუ ვალის პროცენტის სახით და ქვითარში სპეციალურად უთითებს იმას, რომ ეს ეხება მის წილს, ის კარგავს კუთვნილ სოლიდარულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას ამ მოვალის მიმართ ვადამოსული რეგულარული გადახდებისა თუ პროცენტის მიმართ, მაგრამ არ კარგავს იმ ნებისმიერი რეგულარული გადახდებისა თუ საპროცენტო თანხების გადახდის მიმართ, რომლებიც უნდა შესრულდეს მომავალში, ასევე — ძირითადი თანხის გადახდის მიმართაც გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალკე გადახდა გრძელდება ერთმანეთის მიყოლებით სამი წლის განმავლობაში.

1535. კრედიტორი, რომელიც წარადგენს სარჩელს სოლიდარული მოვალის მიმართ ამ უკანასკნელის წილთან დაკავშირებით, კარგავს კუთვნილ სოლიდარულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას მის მიმართ, თუ მოვალე ეთანხმება მოთხოვნას ან მას გადახდა ეკისრება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

1536. სოლიდარული მოვალე, რომელმაც შეასრულა ვალდებულება, ვერ მიიღებს კომპენსაციას თავისი თანამოვალეებისაგან მათ შესაბამის წილებზე მეტის ოდენობით, თუმცაღა ის სუროგაციით იძენს კრედიტორის უფლებებს.

1537. სოლიდარული ვალდებულების გადახდაში მონაწილეობა სოლიდარულ მოვალეებს შორის ხდება თანაბარწილად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ინტერესები ვალის მიმართ, სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაში მათი წილების ჩათვლით, არათანაბარია, რა შემთხვევაშიც მათი თანამონაწილება პროპორციულია ვალის მიმართ თითოეულის ინტერესისა.

თუმცა, თუ ვალდებულების ხელშეკრულებით კისრება მოხდა ერთ-ერთი მოვალის ექსკლუზიურ ინტერესებში ან თუ ეს ვალდებულება წარმოიშვა მხოლოდ ერთი თანამოვალის ბრალით, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მთლიანი ვალისათვის სხვა თანამოვალეების წინაშე, რომლებიც ასეთ შემთხვევაში მის მიმართ განიხილებიან როგორც მისი თავდებები.

1538. სოლიდარული მოვალის გადახდისუუნარობის შედეგად წარმოშობილი ზარალი თანაბრად იყოფა სხვა თანამოვალეებს შორის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ინტერესები ვალის მიმართ არათანაბარია.

თუმცა, იმ კრედიტორს, რომელმაც უარი თქვა სოლიდარულობაზე ერთი მოვალის მიმართ, ეკისრება ვალდებულების გადახდაში ამ მოვალის მონაწილეობის წილი.

1539. იმ სოლიდარულ მოვალეს, რომელსაც ვალდებულების შემსრულებელი თანამოვალის მიერ წარედგინა სარჩელი შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნით, შეუძლია იმ ნებისმიერი საერთო შესაგებლების წამოყენება, რომლებიც თანამოვალემ არ დაუპირისპირა კრედიტორს. მას ასევე შეუძლია წარადგინოს ისეთი შესაგებლები, რომლებიც მისთვის პირადული ხასიათისაა, მაგრამ არ შეუძლია იმ შესაგებლების წარდგენა, რომლებიც წმინდა პიროვნულია ერთი ან რამდენიმე სხვა თანამოვალისათვის.

1540. სოლიდარული მოვალის ვალდებულება მის მემკვიდრეებს შორის იყოფა კანონის ძალით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის დაუყოფადია.

2 —
სოლიდარულობა კრედიტორებს შორის

1541. სოლიდარულობა კრედიტორებს შორის არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის პირდაპირ იქნა შეთანხმებული.

სოლიდარულობა კრედიტორებს შორის უფლებამოსილებას ანიჭებს თითოეულ მათგანს, მოვალისაგან მოითხოვოს ვალდებულების მთლიანი შესრულება და ამის დასტურად გასცეს თანხის მიღების ქვითარი.

1542. ვალდებულების შესრულება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის სასარგებლოდ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან სხვა კრედიტორების მიმართ.

1543. მოვალეს აქვს არჩევანის უფლება, შეასრულოს ვალდებულება ნებისმიერი სოლიდარული კრედიტორის სასარგებლოდ იმ პირობით, რომ მის მიმართ არ იქნა წარდგენილი სარჩელი ნებისმიერი მათგანის მიერ.

ვალდებულებისაგან გათავისუფლება ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ მოვალეს ათავისუფლებს ვალდებულებისაგან, თუმცა — მხოლოდ ამ კრედიტორის კუთვნილი ნაწილის ფარგლებში. იგივე წესი მოქმედებს ყველა იმ შემთხვევისათვის, რომელშიც ვალდებულება წყდება სხვაგვარად, ვიდრე მისი შესრულების გზით.

1544. სოლიდარული კრედიტორის სასარგებლოდ არსებული ვალდებულება მის მემკვიდრეებს შორის იყოფა კანონის ძალით.

§ 2. — ვალდებულებები მრავალი საგნით

I. — ალტერნატიული ვალდებულებები

1545. ალტერნატიულია ვალდებულება, რომელსაც თავისი საგნის სახით აქვს ორი ძირითადი შესრულება, რომელთაგან ნებისმიერის განხორციელება მოვალეს ათავისუფლებს მთლიანი ვალდებულებისაგან.

ვალდებულება არ განიხილება როგორც ალტერნატიული, თუ მისი წარმოშობის მომენტში ერთ-ერთი შესრულება ვერ იქნებოდა ვალდებულების საგანი.

1546. შესრულების არჩევის უფლება ეკუთვნის მოვალეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უფლება პირდაპირ მიენიჭა კრედიტორს.

როდესაც ის მხარე, რომელსაც აქვს შესრულების არჩევის უფლება, მისთვის მიცემულ ვადაში არ ახორციელებს ამ არჩევანს მას შემდეგ, რაც ის იღებს მისგან აღნიშნულის განხორციელების მოთხოვნას, — არჩევის უფლება გადადის მეორე მხარეზე.

1547. მოვალეს არ შეუძლია — და ის ასევე არც შეიძლება აიძულონ, — ნაწილობრივ განახორციელოს ერთი შესრულება და ასევე ნაწილობრივ განახორციელოს მეორე შესრულებაც.

1548. როდესაც შესრულების არჩევის უფლება აქვს მოვალეს და ერთ-ერთი შესრულება, თუნდაც მისი ბრალით, შეუძლებელი ხდება, მოვალემ უნდა განახორციელოს დარჩენილი შესრულება.

თუ ანალოგიურ შემთხვევაში ორივე შესრულება შეუძლებელი ხდება და ნებისმიერი მათგანის შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ბრალით, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე დარჩენილი უკანასკნელი შესრულების ღირებულების ფარგლებში.

1549. როდესაც შესრულების არჩევის უფლება აქვს კრედიტორს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი შესრულება შეუძლებელი ხდება, მან უნდა მიიღოს დარჩენილი შესრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ბრალით, რა შემთხვევაშიც კრედიტორს აქვს უფლება, მოითხოვოს დარჩენილი შესრულების ნატურით განხორციელება ან იმ შესრულების განუხორციელებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ეკვივალენტური ანაზღაურება, რომელიც გახდა შეუძლებელი.

თუ ანალოგიურ შემთხვევაში შესრულებები შეუძლებელი ხდება განსახორციელებლად და მათი განხორციელების შეუძლებლობა გამოწვეულია მოვალის ბრალით, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერი შესრულების განუხორციელებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ეკვივალენტური ანაზღაურება.

1550. როდესაც ყველა შესრულება განსახორციელებლად შეუძლებელი ხდება მოვალის ბრალის გარეშე, ვალდებულება წყდება.

1551. ვალდებულება ალტერნატიულია თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას საგნის სახით აქვს ორზე მეტი ძირითადი შესრულება და საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, წინამდებარე ქვეგანყოფილების წესები გამოიყენება ყველა ასეთი ვალდებულების მიმართ.

II. — ფაკულტატიური ვალდებულებები

1552. ფაკულტატიურია ვალდებულება, რომელსაც თავისი საგნის სახით აქვს მხოლოდ ერთი ძირითადი შესრულება, რომლისაგანაც მოვალეს შეუძლია გაითავისუფლოს თავი სხვა შესრულების განხორციელებით.

მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ ძირითადი შესრულება, თუნდაც მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას, შეუძლებელი ხდება განსახორციელებლად.

თავი 6
ვალდებულებების შესრულება

განყოფილება 1
გადახდა

§ 1. — გადახდა ზოგადად

1553. გადახდა გულისხმობს არა მხოლოდ ფულადი თანხის გადაცემას ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, არამედ ასევე ყველაფერი იმის რეალურ შესრულებას, რაც ქმნის ვალდებულების საგანს.

1554. ყოველი გადახდის წინაპირობაა ვალდებულების არსებობა; ის, რაც გადახდილ იქნა ვალდებულების არსებობის გარეშე, შეიძლება უკან იქნეს დაბრუნებული.

თუმცა, უკან დაბრუნება დაუშვებელია იმ ნატურალური ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც შესრულდა ნებაყოფლობით.

1555. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი პირის მიერ, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის ვალდებულების მიმართ მესამე პირს წარმოადგენს; კრედიტორი შეიძლება აღმოჩნდეს ვადაგადაცილებაში მესამე პირის მხრიდან მოვალის სახელით ვალდებულების შესრულების შეთავაზებით იმ პირობით, რომ შეთავაზება ხორციელდება მოვალის სასარგებლოდ და არა უბრალოდ კრედიტორების შეცვლის მიზნით.

თუმცა, დაუშვებელია კრედიტორის იძულება, მიიღოს მესამე პირის გადახდა, თუ მას აქვს პირადად მოვალის მიერ შესრულების განხორციელების ინტერესი.

1556. სათანადო გადახდა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს გადასაცემ ნივთზე ისეთი უფლება, რომელიც ანიჭებს მას ამ ნივთის გადაცემის უფლებამოსილებას გადახდის სანაცვლოდ.

თუმცა, დაუშვებელია იმ გადახდილი ფულადი თანხის ან ნებისმიერი სხვა გადასაცემი და მოხმარებადი ნივთის გამოთხოვა იმ კრედიტორის მიმართ, რომელმაც გამოიყენა ის კეთილსინდისიერად, თუნდაც ეს განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც არ იყო აღნიშნულზე უფლებამოსილი.

1557. გადახდა უნდა განხორციელდეს კრედიტორის ან მის ნაცვლად შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ.

მესამე პირისათვის განხორციელებული გადახდა ძალმოსილია, თუ კრედიტორი იწოდებს მას; თუ ასეთი გადახდა არ არის მოწონებული, გადახდა ძალმოსილია მხოლოდ იმ სარგებლის ფარგლებში, რომელსაც კრედიტორი მისგან იღებს.

1558. იმ კრედიტორის მიმართ განხორციელებული გადახდა, რომელსაც არ შესწევს მისი მიღების უნარი, ძალმოსილია მხოლოდ იმ სარგებლის ფარგლებში, რომელსაც ეს კრედიტორი მისგან იღებს.

1559. მოჩვენებითი კრედიტორის მიმართ კეთილსინდისიერად განხორციელებული გადახდა ძალმოსილია, თუნდაც შემდგომში დადგინდეს, რომ ის არ წარმოადგენს უფლებამოსილ კრედიტორს.

1560. მოვალის მიერ იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის საზიანოდ თავისი კრედიტორისათვის განხორციელებული გადახდა არ არის ნამდვილი იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მიმართ, რომელსაც თავისი უფლებების მიხედვით შეუძლია აიძულოს მოვალე, ხელმეორედ განახორციელოს გადახდა; ასეთ შემთხვევაში მოვალეს აქვს სამართლებრივი დაცვის საშუალება იმ კრედიტორის მიმართ, რომელსაც მან ამგვარად გადაუხადა.

1561. დაუშვებელია კრედიტორის იძულება, მიიღოს ნებისმიერი სხვაგვარი შესრულება, ვიდრე მისთვის განკუთვნილია, თუნდაც შეთავაზებული ნივთი უფრო მეტი ღირებულების იყოს.

ასევე დაუშვებელია მისი იძულება, მიიღოს ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების ნაწილი სადავოა. ასეთ შემთხვევაში, თუ მოვალე სთავაზობს უდავო ნაწილის შესრულებას, კრედიტორს არ შეუძლია, უარი თქვას მისი შესრულების მიღებაზე, თუმცა ის ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას ვალდებულების მეორე ნაწილზე.

1562. გარკვეული და განსაზღვრული ნივთის მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან შესრულების მომენტში ნივთის არსებულ მდგომარე-

ობაში გადაცემით იმ პირობით, რომ ამ ნივთის მიერ განცდილი გაუარესება არ არის გამოწვეული მოვალის მოქმედებით ან ბრალით და ეს გაუარესება არ მომხდარა იმის შემდეგ, რაც მან გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას.

1563. როდესაც ქონების განსაზღვრა ხდება მხოლოდ სახეობის მიხედვით, არ არის აუცილებელი, მოვალემ გადასცეს კრედიტორს საუკეთესო ხარიხის ნივთი, თუმცა მას ასევე არ შეუძლია შესთავაზოს მას უარესი ხარისხი.

1564. როდესაც ვალი წარმოადგენს ფულად თანხას, მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ფულად ერთეულში გამოხატული ნომინალური თანხის გადახდით, რომელიც გადახდის დღეს წარმოადგენს კანონიერ საგადახდო საშუალებას.

მოვალე ასევე თავისუფლდება ვალდებულებისაგან გადასახდელი ფულადი თანხის საფოსტო გზავნილით, კრედიტორის ორდერის შესაბამისად გამოწერილი და კვებეკში საქმიანობის განმახორციელებელი საფინანსო ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებული ჩეკით ან ნებისმიერი სხვა საგადახდო ინსტრუმენტის მეშვეობით მიღებით, რომელიც კრედიტორს სთავაზობს ანალოგიურ გარანტიებს ანდა თუ კრედიტორი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ იღებს გადახდას საკრედიტო ბარათის საშუალებითა თუ ფულადი სახსრების საფინანსო ინსტიტუტში კრედიტორის ანგარიშზე გადარიცხვით.

1565. პროცენტის გადახდა ხდება შეთანხმებული ოდენობით ან, ასეთი შეთანხმების არარსებობისას, — კანონისმიერი პროცენტის ოდენობით.

1566. გადახდა ხორციელდება მხარეთა მიერ პირდაპირ ან უსიტყვოდ მითითებულ ადგილზე.

თუ მხარეთა მიერ ადგილი არ არის მითითებული, გადახდა ხორციელდება მოვალის საცხოვრებელ ადგილზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახორციელებელი შესრულება წარმოადგენს გარკვეულ და განსაზღვრულ ნივთს, რა შემთხვევაშიც შესრულება ხორციელდება იმ ადგილზე, სადაც ნივთი იმყოფებოდა ვალდებულების წარმოშობის მომენტში.

1567. გადახდასთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება მოვალეს.

1568. მოვალე, რომელიც იხდის თავის ვალს, უფლებამოსილია მიიღოს ქვითარი და დაიბრუნოს ვალდებულების წარმოშობის დოკუმენტის დედანი.

§ 2. — გადახდის თანხის რამდენიმე ვალის ანგარიშში ჩათვლა

1569. გადახდის განხორციელებისას მოვალეს, რომელსაც ეკისრება რამდენიმე ვალი, აქვს უფლება, გადახდა მიმართოს იმ ვალის დაფარვის ანგარიშში, რომლის გადახდაც მას სურს.

თუმცა, მას არ შეუძლია, კრედიტორის თანხმობის გარეშე, ვადამოსული ვალის უპირატესად გადახდა მიმართოს იმ ვალის დასაფარად, რომლის გადახდის ვადაც ჯერ არ არის დამდგარი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადახდა შეიძლება წინასწარვე განხორციელდეს.

1570. მოვალეს, რომელსაც ეკისრება ისეთი ვალის გადახდა, რასაც ერიცხება პროცენტი ან იფარება რეგულარული გადახდებით, კრედიტორის თანხმობის გარეშე, არ შეუძლია პროცენტისა თუ რეგულარული გადახდების უპირატესად გადახდა მიმართოს ამ ძირითადი თანხის დაფარვის ანგარიშში.

ძირითადი თანხისა და პროცენტის დასაფარად განხორციელებული ნებისმიერი ნაწილობრივი გადახდა თავდაპირველად მიემართება პროცენტის დაფარვის ანგარიშში.

1571. როდესაც მოვალემ, რომელსაც ეკისრება რამდენიმე ვალის გადახდა, მიიღო გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც კრედიტორმა გადახდის მომენტში თანხა მიმართა ერთი კონკრეტული ვალის დასაფარად, ამ მოვალეს არ შეუძლია შემდგომში მოითხოვოს, რომ აღნიშნული თანხა მიემართოს სხვა ვალის დაფარვის ანგარიშში, გარდა იმ საფუძვლებისა, რომლის არსებობისას შესაძლებელია ხელშეკრულებების გაბათილება.

1572. მხარეთა მიერ გადახდის თანხის ვალის ანგარიშში ჩათვლის საკითხის გადაწყვეტის არარებობისას, თანხა თავდაპირველად მიემართება ვადამოსული ვალის დაფარვის ანგარიშში.

როდესაც დგება რამდენიმე ვალის დაფარვის ვადა, გადახდის თანხა მიემართება იმ ვალის დაფარვის ანგარიშში, რომლის გადახდის მიმართაც მოვალეს აქვს უდიდესი ინტერესი.

როდესაც მოვალეს რამდენიმე ვალის დაფარვის მიმართ ერთი და იგივე ინტერესი აქვს, გადახდის თანხა მიემართება იმ ვალის დაფარვის ანგარიშში, რომლის დაფარვის ვადაც პირველად დგება; თუმცა, თუ ყველა ვალის დაფარვის ვადა ერთდროულად დგება, გადახდის თანხა ნაწილდება პროპორციულად.

§ 3. — შესრულების შეთავაზება და თანხის დეპონირება

1573. როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს გადახდის მიღებაზე ან უგულებელყოფს მას, მოვალეს შეუძლია მოახდინოს შესრულების შეთავაზება.

შესრულების შეთავაზება გულისხმობს ნივთის — ვალდებულების ობიექტის — კრედიტორის განკარგულებაში გადაცემას იმ ადგილზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადახდა, და მომენტში, როდესაც დგება გადახდის ვადა. გარდა გადასაცემი ნივთისა, პროცენტთან ან განსახორციელებელ რეგულარულ გადახდებთან ერთად შესრულების შეთავაზება მოიცავს მოვალის მიერ ნაკისრი წინასწარ დაუდგენელი ხარჯების დაფარვის გონივრულ თანხასაც, გარდა აღნიშნულ თანხაში ნებისმიერი დეფიციტის შევსების უფლებისა.

1574. როდესაც შესრულების შეთავაზების ობიექტს წარმოადგენს ფულადი თანხა, ამ უკანასკნელის შეთავაზება უნდა განხორციელდეს იმ ვალუტაში,

რომელიც გადახდის დღეს წარმოადგენს კანონიერ საგადახდო საშუალებას, ან — კრედიტორის ორდერის შესაბამისად გამოწერილი და კვებეკში საქმიანობის განმახორციელებელი საფინანსო ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებული ჩეკით.

შესრულების შეთავაზება შეიძლება ასევე მოხდეს კვებეკში საქმიანობის განმახორციელებელი საფინანსო ინსტიტუტის მიერ განუსაზღვრელი ვადით გამოუთხოვადი და უპირობო ვალდებულების კისრებით, გადაუხადოს კრედიტორს შეთავაზებული თანხა, თუ ეს უკანასკნელი მიიღებს ამ შეთავაზებას ან თუ სასამართლო მას სათანადოდ მიიჩნევს.

1575. შესრულების შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს საჯარო სანოტარო აქტის სახით ან სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებითაც, რომელიც იწერება ოქმში; ის შეიძლება განხორციელდეს ასევე ნებისმიერი სხვა წერილობითი დოკუმენტით ან ნებისმიერი სხვა ხერხით იმ პირობით, რომ ის სამართლებრივად მტკიცდება.

როდესაც შესრულების შეთავაზება ხდება სანოტარო აქტის სახით, ნოტარიუსი აქტში აფიქსირებს კრედიტორის პასუხს და, უარის შემთხვევაში, — მის მიერ მოყვანილ საფუძვლებსაც.

1576. სასამართლოს წინაშე გაკეთებული იმ განცხადებით განხორციელებულ ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას, რომელიც იწერება ოქმში, უნდა დაემატოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების დეპონირება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

1577. როდესაც თანხის გადახდა ან ნივთის მიწოდება უნდა განხორციელდეს მოვალის საცხოვრებელ ადგილზე ან იმ ადგილზე, სადაც განთავსებულია ეს ნივთი, მოვალის მიერ კრედიტორისათვის მიცემულ წერილობით შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ ის მზადაა ვალდებულების შესასრულებლად, აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც შესრულების შეთავაზებას.

როდესაც თანხის გადახდა ან ნივთის მიწოდება არ საჭიროებს ზემოაღნიშნული წესით განხორციელებას და სირთულეს წარმოადგენს ნივთის იმ ადგილზე ტრასპორტირება, სადაც უნდა მოხდეს მიწოდება, მოვალეს შეუძლია წერილობით მოსთხოვოს კრედიტორს, რომ ამ უკანასკნელმა მას შეატყობინოს ნივთის მიღებაზე თავისი მზადყოფნის შესახებ, თუ მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ კრედიტორი ამაზე უარს განაცხადებს; თუ კრედიტორი დროულად არ შეატყობინებს მოვალეს თავისი მზადყოფნის შესახებ, ამ უკანასკნელს არ მოეთხოვება ნივთის იმ ადგილზე ტრასპორტირება, სადაც უნდა მოხდეს გადახდა ან მიწოდება და მის შეტყობინებას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც შესრულების შეთავაზებას.

1578. როდესაც გადასაცემ ქონებას წარმოადგენს ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები, მოვალის მიერ კრედიტორისათვის მიცემულ წერილობით შეტყობინებას ფულადი თანხისა ან ფასიანი ქაღალდების დეპონირების თაობაზე აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, რაც შესრულების შეთავაზებას.

1579. ყოველ შეთავაზებაში ან იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ვალის ბუნება, ის დოკუმენტი, რის საფუძველზეც წარმოიშვა ვალი, და კრედიტორის ან იმ პირების სახელები, რომელთა მიმართაც უნდა განხორციელდეს გადახდა; გარდა ამისა, ნაღდი ფულის სახით თანხის შემთხვევაში, შეთავაზებული ქონების ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს ყოველი ერთეულის დასახელებას.

1580. გადახდის მიუღებლობის გამო კანონის ძალით კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება სახეზეა, როდესაც ის უსაფუძვლოდ უარყოფს სათანადო შეთავაზებას, როდესაც ის უარს აცხადებს, იმოქმედოს იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე შეტყობინების საფუძველზე, ან როდესაც ის ნათლად გამოხატავს თავის ნება-სურვილს, უარი თქვას ნებისმიერ შეთავაზებაზე, რომლის გაკეთების სურვილიც შესაძლოა ჰქონდეს მოვალეს; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოვალეს არ ესაჭიროება რაიმე შეთავაზების გაკეთება ან იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე შეტყობინების წარდგენა.

კანონის ძალით კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება სახეზეა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე, მიუხედავად მისი გულისხმიერებისა, ვერ პოულობს მას.

1581. როდესაც კრედიტორი ვადაგადაცილებაშია გადახდის მიუღებლობის გამო, მოვალეს შეუძლია ყოველგვარი ღონე იხმაროს, რაც აუცილებელი ან სასარგებლოა მის მიერ გადასაცემი ქონების შენარჩუნებისათვის და, კერძოდ კი, — გადასცეს ის მესამე პირს შენახვისა თუ დაცვის მიზნით.

ანალოგიურ შემთხვევაში, თუ ქონება მალფუჭებადია, სავარაუდოდ სწრაფად გაუფასურდება ან რომლის შენახვაც ძვირია, მოვალეს შეუძლია გაყიდოს ის და ამონაგები თანხა განათავსოს დეპოზიტზე.

1582. გადახდის მიუღებლობის გამო ვადაგადაცილებაში მყოფ კრედიტორს ეკისრება ქონების შენარჩუნების გონივრული ხარჯები, ისევე როგორც ნებისმიერი ის ხარჯი, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ქონების გაყიდვისა და ამონაგები თანხის დეპოზიტზე განათავსებასთან დაკავშირებით.

მას ეკისრება ასევე დაუძლეველი ძალის შედეგად ქონების დაკარგვის რისკიც.

1583. მოვალის მიერ გადასაცემი ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების დეპონირება ხდება კვებეკის საერთო სადეპოზიტო უწყებაში ან ნებისმიერ სატრასტო კომპანიაში ანდა სასამართლოში საქმის წარმოების დროს, — სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

დეპონირება შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს მისთვის მოვალის მიერ გადასაცემი ფულის ან ფასიანი ქაღალდების მიღებაზე, არამედ, სხვა შემთხვევებთან ერთად, ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოთხოვნა სადავოა რამდენიმე პირს შორის ან როდესაც მოვალეს ხელი ეშლება გადახდის განხორციელებაში იმ ფაქტის გამო, რომ იმ ადგილზე, სადაც გადახდა უნდა განხორციელდეს, კრედიტორის პოვნა შეუძლებელია.

1584. მოვალეს შეუძლია დეპოზიტზე განთავსებული ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების უკან წაღება მანამდე, სანამ დეპოზიტის მიღება არ მომხდარა კრედიტორის მიერ; თუ მოვალეს უკან მიაქვს ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები, არც მისი თანამოვალეები და არც თავდები პირები ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებიან.

თუმცა, დაუშვებელია ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების უკან წაღება სასამართლოში საქმის წარმოების დროს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია სასამართლოს მიერ.

1585. როდესაც დეპოზიტზე ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების განთავსებას სასამართლო სათანადად მიიჩნევს, მოვალეს არ შეუძლია დეპოზიტზე განთავსებული ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების უკან წაღება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია კრედიტორის მიერ.

თუმცა, დეპოზიტზე განთავსებული ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების უკან წაღება არ უნდა არღვევდეს მესამე პირთა უფლებებს ან ხელს უშლიდეს თანამოვალეების ან თავდები პირების ვალდებულებისაგან გათავისუფლებას.

1586. წინა მუხლებში დადგენილი პირობების შესაბამისად განხორციელებული დეპონირება სამომავლოდ ათავისუფლებს მოვალეს პროცენტისა თუ მიღებული შემოსავლის გადახდის ვალდებულებისაგან.

1587. დეპონირების დღიდან დარიცხული პროცენტი ან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის კრედიტორს. თუმცა, მიუხედავად ამისა, როდესაც დეპონირება ხორციელდება კრედიტორის მიერ იმ ვალდებულების შესრულების მიღებისათვის, რომელიც კორელაციურია იმ ვალდებულებისა, რომლის შესრულებაც სურს მოვალეს დეპონირებით, პროცენტი ან მიღებული შემოსავალი ეკუთვნის მოვალეს მანამდე, სანამ დეპოზიტი არ იქნება მიღებული კრედიტორის მიერ.

1588. კრედიტორის მიერ მიღებული ან სასამართლოს მიერ სათანადოდ მიჩნეული შესრულების შეთავაზება მოვალის მიმართ უთანაბრდება შესრულების შეთავაზების დღეს განხორციელებულ გადახდას ან იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე შეტყობინებას იმ პირობით, რომ მოვალეს ყოველთვის სურდა გადაეხადა აღნიშნული მომენტიდან.

1589. როდესაც შესრულების შეთავაზება და დეპონირება მიღებულია ან სასამართლოს მიერ მიჩნეულია სათანადოდ, მათთან დაკავშირებული ხარჯები ეკისრება კრედიტორს.

განყოფილება 2
შესრულების იძულების უფლება

§ 1. — ზოგადი დებულება

1590. ვალდებულება კრედიტორს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს ამ ვალდებულების შესრულება სრულად, ჯეროვნად და დაყოვნების გარეშე.

როდესაც მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას მისი მხრიდან საპატიო მიზეზის გარეშე და ის ვადაგადაცილებაში იმყოფება, კრედიტორს, ვალდებულების ეკვივალენტური მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების უფლების შენარჩუნებით, შეუძლია

1) მიაღწიოს ვალდებულების ნატურით შესრულებას;

2) სახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში, მიაღწიოს ხელშეკრულების გაუქმებას ან შეწყვეტას ანდა მისი საკუთარი კორელაციური ვალდებულების შემცირებას;

3) მიიღოს ნებისმიერი სხვა კანონით გათვალისწინებული ზომა ვალდებულების შესრულების უფლების იძულების წესით განხორციელებისათვის.

§ 2. — გამონაკლისი შეუსრულებლობისათვის და დაკავების უფლება

1591. როდესაც სინალაგმატიკური ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები ექვემდებარება შესრულებას და ერთ-ერთი მხარე არსებითად არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ან არ ახდენს მისი შესრულების შეთავაზებას, მეორე მხარეს შეუძლია შესაბამის ფარგლებში უარი თქვას მასზე დაკისრებული კორელაციური ვალდებულების შესრულებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონის, მხარეთა ნებისა თუ ჩვეულების საფუძველზე მან პირველმა უნდა შეასრულოს.

1592. მხარეს, რომელიც კონტრაჰენტის თანხმობით ახორციელებს ამ უკანასკნელის კუთვნილი ნივთის პყრობას, აქვს ამ ნივთის დაკავების უფლება კონტრაჰენტის მიმართ მისი მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებამდე, თუ მოთხოვნა ექვემდებარება შესრულებას და ის მჭირდოდ დაკავშირებულია იმ ნივთთან, რომლის მპყრობელობასაც ის ახორციელებს.

1593. დაკავების უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის მიმართ.

მფლობელობის არანებაყოფლობითი ჩამორთმევა არ აუქმებს დაკავების უფლებას; ამ უფლების განმახორციელებელ მხარეს შეუძლია გამოითხოვოს ნივთი სხვა პირის მფლობელობიდან ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინებით.

§ 3. — ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება

1594. მოვალე შეიძლება აღმოჩნდეს ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებაში თავად ხელშეკრულების ვადების გამო, როდესაც ის შეიცავს პირობას, რომ შესრულებისათვის დადგენილი ვადის უბრალო გასვლით მას ექნება აღნიშნული სამართლებრივი შედეგი.

მოვალე ასევე შეიძლება აღმოჩნდეს ვადაგადაცილებაში მისი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების თაობაზე მისი მისამართით არასასამართლო წესით წარდგენილი მოთხოვნით, ასევე — მოვალის მიმართ წარდგენილი სასარჩელო განცხადებით ან მხოლოდ კანონის ძალით.

1595. არასასამართლო წესით წარდგენილი მოთხოვნა, რომლითაც კრედიტორს ვადაგადაცილებაში გადაჰყავს თავისი მოვალე, უნდა შედგეს წერილობითი ფორმით.

მოთხოვნით მოვალეს უნდა მიეცეს საკმარისი ვადა ვალდებულების შესასრულებლად მისი ბუნებისა და შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში.

1596. როდესაც კრედიტორი წარადგენს სარჩელს მოვალის მიმართ ისე, რომ სხვაგვარად ეს უკანაკნელი არ აღმოჩნდებოდა ვადაგადაცილებაში, მოვალე უფლებამოსილია, შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში. თუ ვალდებულება სრულდება გონივრულ ვადაში, მოთხოვნის წარდგენის ხარჯები ეკისრება კრედიტორს.

1597. მოვალე ვადაგადაცილებაშია მხოლოდ კანონის ძალით, როდესაც ვალდებულების შესრულება სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც მან გაუშვა, ან როდესაც მან დაუყოვნებლივ არ შეასრულა ვალდებულება მიუხედავად იმისა, რომ შესრულება სასწრაფოდ იყო განსახორციელებელი.

მოვალე ასევე არის ვადაგადაცილებაში კანონის ძალით, როდესაც მან დაარღვია მოქმედების შეუსრულებლობის ვალდებულება, ან როდესაც ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელი გახდა მისი ბრალით და ასევე — როდესაც მან კრედიტორს ნათლად გააგებინა თავისი განზრახვის შესახებ, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე ანდა როდესაც, განგრძობადი შესრულებით ვალდებულების შემთხვევაში, მან არაერთხელ უარი განაცხადა შესრულებაზე ან უგულებელყო ის.

1598. კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს კანონის ძალით ვადაგადაცილების ერთ-ერთი შემთხვევის დადგომის ფაქტი მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო განცხადებისა თუ შეთანხმებისა.

1599. არასასამართლო წესით წარდგენილი მოთხოვნა, რომლითაც კრედიტორს ვადაგადაცილებაში გადაჰყავს ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე, სამართლებრივი ძალის მქონეა სხვა მოვალეების მიმართაც.

ანალოგიურად, ერთ-ერთი კრედიტორის მიერ არასასამართლო წესით წარდგენილი მოთხოვნა სამართლებრივი ძალის მქონეა სხვა კრედიტორების მიმართაც.

1600. როდესაც ვალდებულების ობიექტს წარმოადგენს ფულადი თანხა, მოვალე, თუნდაც ის სარგებლობდეს საშეღავათო პერიოდით, ვადაგადაცილებაში აღმოჩენის მომენტიდან პასუხისმგებელია ვალდებულების შესრულების დაგვიანებით გამოწვეული ზიანისათვის.

ასეთ შემთხვევაში მოვალე იგივე მომენტიდან ასევე პასუხისმგებელია დაუძლეველი ძალით გამოწვეული ნებისმიერი ზარალისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აღნიშნული გარემოების გამო თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

§ 4. — ნატურით შესრულება

1601. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაშვებია, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, რომ მოვალემ განახორციელოს ვალდებულების ნატურით შესრულება.

1602. როდესაც მოვალე იმყოფება ვადაგადაცილებაში, კრედიტორს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება ან უზრუნველყოს მისი შესრულება მოვალის ხარჯზე.

კრედიტორმა, რომელსაც სურს აღნიშნული უფლების განხორციელება, უნდა ამის შესახებ შეატყობინოს მოვალეს სარჩელში ან არასასამართლო წესით წარდგენილ მოთხოვნაში, რომლითაც მას ვადაგადაცილებაში გადაჰყავს მოვალე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალე ვადაგადაცილებაშია კანონის ძალით ან ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლით.

1603. კრედიტორს შეიძლება დაერთოს ნება მოვალის ხარჯზე, მოსპოს ან აღმოფხვრას ის, რაც გაკეთდა მოვალის მიერ მოქმედების შეუსრულებლობის ვალდებულების დარღვევით.

§ 5. — ხელშეკრულებების გაუქმება ან შეწყვეტა და ვალდებულებების შემცირება

1604. როდესაც კრედიტორი არ იყენებს მოვალის სახელშეკრულებო ვალდებულების ნატურით შესრულების იძულების უფლებას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს დასაშვებია, ის უფლებამოსილია ან ხელშეკრულების გაუქმებაზე ან მის შეწყვეტაზე განგრძობადი შესრულებით ხელშეკრულების შემთხვევაში.

თუმცა, მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, კრედიტორი არ არის უფლებამოსილი ხელშეკრულების გაუქმებასა თუ შეწყვეტაზე, თუ მოვალის მხრიდან ადგილი აქვს უმნიშვნელო დარღვევას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განგრძობადი შესრულებით ხელშეკრულების შემთხვევაში, დარღვევას ადგილი აქვს რეგულარულად, თუმცა ასეთ შემთხვევაში ის უფლებამოსილია მისი კორელაციული ვალდებულების პროპორციულ შემცირებაზე.

კორელაციული ვალდებულების პროპორციული შემცირებისას მხედველობაში მიიღება საქმესთან კავშირში არსებული ყველა გარემოება. თუ ვალდებულების შემცირება შეუძლებელია, მაშინ კრედიტორი უფლებამოსილია მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე.

1605. ხელშეკრულების გაუქმება ან შეწყვეტა შესაძლებელია სარჩელის გარეშე, როდესაც მოვალე ვადაგადაცილებაში იმყოფება კანონის ძალით მასზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ან როდესაც მან არ შეასრულა ვალდებულება იმ მოთხოვნით მიცემულ ვადაში, რომელსაც ის ვადაგადაცილებაში გადაჰყავს.

1606. გაუქმებული ხელშეკრულება მიიჩნევა, რომ არასოდეს არსებობდა;

ასეთ შემთხვევაში ყოველი მხარე ვალდებულია, დაუბრუნოს მეორეს მის მიერ მიღებული შესრულება.

შეწყვეტილი ხელშეკრულება წყვეტს არსებობას მხოლოდ სამომავლო შედეგით.

§ 6. — ეკვივალენტური შესრულება

I. — ზოგადი დებულებები

1607. კრედიტორი უფლებამოსილია, მიიღოს ანაზღაურება ფიზიკური, მორალური თუ მატერიალური ზიანისათვის, რაც წარმოადგენს უშუალო და პირდაპირ შედეგს მოვალის მხრიდან ვალდებულების დარღვევისა.

1608. მოვალის მხრიდან კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ მცირდება და არც იცვლება იმ ფაქტით, რომ კრედიტორი მის მიერ განცდილი ზარალის შედეგად მესამე პირისაგან იღებს სარგებელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მანამდე მესამე პირი სუროგაციით იძენს კრედიტორის უფლებებს.

1609. კრედიტორისაგან მის მიერ განცდილ ფიზიკურ თუ მორალურ ზარალთან დაკავშირებით მოვალის, მზღვეველისა თუ მათი წარმომადგენლების მიერ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენიდან 30 დღის განმავლობაში მიღებული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მორიგების აქტი ან განცხადება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ის საზიანოა კრედიტორისათვის.

1610. დასაშვებია ზიანის, მათ შორის, პირგასამტეხლოს თანხების, ანაზღაურებაზე კრედიტორის უფლების დათმობა ან სხვა პირზე გადასვლა.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორის უფლება გამომდინარეობს მისი პირადი უფლების დარღვევიდან; ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე კრედიტორის უფლების დათმობა დაუშვებელია. დასაშვებია ამ უფლების გადასვლა მხოლოდ მის მემკვიდრეებზე.

II. — ასანაზღაურებელი ზარალის შეფასება

1 — შეფასება ზოგადად

1611. კრედიტორისათვის გადასახდელი საზღაური აკომპენსირებს იმ ზარალს, რომელიც მან განიცადა, და ასევე — მის მიერ მიუღებელ მოგებას.

ზიანის ანაზღაურებისას მხედველობაში მიიღება ასევე სამომავლო ზიანი, რომელიც განსაზღვრულია და ექვემდებარება შეფასებას.

1612. კომერციული საიდუმლოების მფლობელის მიერ განცდილი ზარალი

მოიცავს იმ საინვესტიციო ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა მის შესაძენად, გაუმჯობესებისა და გამოყენებისათვის; მის მიერ მიუღებელი მოგება შეიძლება ანაზღაურდეს როიალტის გადახდის გზით.

1613. სახელშეკრულებო საკითხებში მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანისათვის, რომელიც სავარაუდო ან განჭვრეტადი იყო ვალდებულების ხელშეკრულებით კისრების მომენტში, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა არ წარმოადგენს მისი მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგს; თუნდაც ასეთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ იმას, რაც წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობის უშუალო და პირდაპირ შედეგს.

1614. კრედიტორის მიერ განცდილი ფიზიკური ზიანისათვის საზღაური იზომება ზიანის სამომავლო ასპექტების გათვალისწინებით მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული დისკონტირებული განაკვეთების ოდენობით იმ მომენტიდან, როდესაც ასეთი განაკვეთები დგინდება.

1615. თავისი გადაწყვეტილებით ფიზიკური ზიანის მიყენებისათვის საზღაურის თანხის დაკისრებისას, სასამართლოს შეუძლია არაუმეტეს სამწლიანი ვადისა შეაჩეროს დამატებითი ანაზღაურების მიღებაზე კრედიტორის მოთხოვნის უფლების რეალიზაცია, თუ გადაწყვეტილების მიღებისას მისი ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრა საკმარისი სიზუსტით შეუძლებელია.

1616. მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული საზღაური ექვემდებარება გადახდას ნაღდ ფულში გამოხატული თანხის გადაცემით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

თუმცა, როდესაც განცდილი ზარალი წარმოადგენს ფიზიკურ ზიანს და კრედიტორი არასრულწლოვანია, სასამართლოს შეუძლია დადგინოს მთლიანი ან ნაწილობრივი გადახდა ანუიტეტის ფორმით ან პერიოდული ნაწილ-ნაწილ გადახდების სახით ფიქსირებული განაკვეთის მიხედვით მის მიერ განსაზღვრულ და ინდექსაციის პირობებზე. იმ დღიდან სამი თვის განმავლობაში, როდესაც კრედიტორი აღწევს სრულ ასაკს, მას შეუძლია მოითხოვოს დაუყოვნებელი და დისკონტირებული გადახდები ჯერ კიდევ მისაღები ნებისმიერი თანხისა.

1617. ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების დაგვიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოიცავს პროცენტის თანხასაც შეთანხმებული განაკვეთის ოდენობით, ხოლო რაიმე შეთანხმების არარსებობისას, — კანონით დადგენილი განაკვეთის ოდენობით.

კრედიტორი უფლებამოსილია ანაზღაურების თანხის მიღებაზე ვადაგადაცილების დღიდან ისე, რომ ის არ არის ვალდებული, ამტკიცოს მისთვის რაიმე ზიანის მიყენების ფაქტი.

თუმცაღა, კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებით გაითვალისწინოს პირობა, რომლის მიხედვითაც ის უფლებამოსილი იქნება დამატებითი ანაზღაურების მიღებაზე იმ პირობით, რომ ის დაამტკიცებს მის არსებობას.

1618. ანაზღაურების იმ თანხას, რომელიც არ განეკუთვნება ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების დაგვიანებით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებას, ვადაგადაცილების დღიდან ან ნებისმიერი უფრო გვიანი თარიღიდან, რომელსაც სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს ზიანის ბუნებისა და გარემოებების გათვალისწინებით, ერიცხება პროცენტი მხარეთა მიერ შეთანხმებული ან, შეთანხმების არარსებობისას, — კანონით დადგენილი განაკვეთის ოდენობით.

1619. საკომპენსაციო თანხა შეიძლება დაემატოს ანაზღაურების იმ თანხას, რომლის დაკისრება ხდება იმ ნებისმიერი მიზეზით, რომელიც დგინდება ანაზღაურების თანხის მიმართ პროცენტის გამოთვლისას გამოყენებული თარიღებიდან იმ საპროცენტო თანხის გამოყენებით, რომელიც უთანაბრდება საგადასახადო ადმინისტრირების შესახებ კანონის (თავი A-6.002) 28-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს კუთვნილი მოთხოვნების მიმართ დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ნამეტს მხარეთა მიერ შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის ოდენობით, ხოლო შეთანხმების არარსებობისას, — კანონით დადგენილი განაკვეთის ოდენობით.

1620. ძირითად თანხაზე დარიცხულ პროცენტს თავისთავად არ ერიცხება პროცენტი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გათვალისწინებულია შეთანხმებით ან კანონით ანდა როდესაც დამატებითი პროცენტი პირდაპირ მოთხოვნილია სარჩელში.

1621. როდესაც პირგასამტეხლოს თანხების დაკისრება გათვალისწინებულია კანონით, ასეთი თანხები არ უნდა აღემატებოდეს იმ ოდენობას, რაც საკმარისია მისი პრევენციული მიზნის მიღწევისათვის.

პირგასამტეხლოს თანხების შეფასება ხდება ყველა სათანადო გარემოების, განსაკუთრებით კი, — მოვალის ბრალის სიმძიმის, მისი ქონებრივი მდგომარეობის, იმ კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, რისთვისაც ის უკვე პასუხისმგებელია კრედიტორის წინაშე, ხოლო შესაბამის შემთხვევაში, — ასევე იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ საკომპენსაციო თანხების გადახდა სრულად ან ნაწილობრივ იკისრა მესამე პირმა.

2 —
ანაზღაურების თანხის წინასწარი შეფასება

1622. პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა წარმოადგენს შეთანხმებას, რომლითაც მხარეები ანაზღაურების თანხას აფასებენ წინასწარ იმაზე შეთანხმებით, რომ მოვალეს დაეკისრება პირგასამტეხლოს თანხის გადახდა, თუ ის არ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას.

კრედიტორს აქვს უფლება, — იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაშვებია, — ისარგებლოს პირგასამტეხლოს შესახებ დათქმით, ნაცვლად ვალდებულების ნატურით შესრულებისა; თუმცა, არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია მას მოითხოვოს ორივე — ვალდებულების შესრულებაც და პირგასამტეხლოც გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირგასამტეხლო შეთანხმებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის.

1623. კრედიტორი, რომელიც ახდენს პირგასამტეხლოს შესახებ დათქმის რეალიზაციას, უფლებამოსილია დათქმული პირგასამტეხლოს თანხის მიღებაზე მის მიერ განცდილი ზიანის მტკიცების ვალდებულების გარეშე.

თუმცაღა, შეთანხმებული პირგასამტეხლოს თანხა შეიძლება შემცირდეს, თუ კრედიტორმა სარგებელი მიიღო ვალდებულების ნაწილობრივი შესრულებისაგან ან თუ პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

1624. როდესაც ვალდებულება პირგასამტეხლოს შესახებ დათქმით არის დაუყოფადი ისე, რომ ის არ წარმოადგენს სოლიდარულ ვალდებულებას და მისი შეუსრულებლობა გამოწვეულია მხოლოდ ერთ-ერთი თანამოვალის მოქმედებით ან უმოქმედობით, პირგასამტეხლოს თანხის სრულად მოთხოვნა შესაძლებელია მის მიმართ ან თითოეული თანამოვალის მიმართ საკუთარი წილისათვის, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში, იმ თანამოვალის მიმართ მათი კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შენარჩუნებით, რომლის ბრალითაც მოხდა პირგასამტეხლოს თანხის დაკისრება.

1625. როდესაც ვალდებულება პირგასამტეხლოს შესახებ დათქმით დაყოფადია, პირგასამტეხლოც ასევე დაყოფადია და ეკისრება იმ მოვალეს, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას, და, ამასთან, — ვალდებულების მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც მას ეკისრება ისე, რომ სახეზე არ არის ნებისმიერი სარჩელი იმ პირების მიმართ, რომლებმაც ვალდებულება შეასრულეს.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულება არის სოლიდარული, და არც იმ შემთხვევაში, როდესაც პირგასამტეხლოს შესახებ დათქმა გაკეთდა ნაწილობრივი გადახდის თავიდან ასაცილებლად და ერთ-ერთმა თანამოვალემ ხელი შეუშალა ვალდებულების მთლიანად შესრულებას; ასეთ შემთხვევაში აღნიშნული თანამოვალე პასუხისმგებელია პირგასამტეხლოს მთლიანი თანხისათვის, ხოლო სხვა თანამოვალეები კი პასუხს აგებენ მხოლოდ მათი შესაბამისი წილებისათვის თანამოვალის მიმართ მათი კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების შენარჩუნებით.

განყოფილება 3
ვალდებულების შესრულების უფლების დაცვა

§ 1. — დაცვითი ღონისძიებები

1626. კრედიტორს შეუძლია მიიღოს ყველა აუცილებელი ან საჭირო ზომა თავისი უფლებების დასაცავად.

§ 2. — არაპირდაპირი სარჩელი

1627. კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც არის განსაზღვრული, ლიკვიდური და ვადამოსული, შეუძლია მოვალის სახელით განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები და სარჩელები, როდესაც მოვალე კრედიტორის საზიანოდ უარს ამბობს მათ განხორციელებაზე ან უგულებელყოფს ამას.

თუმცა, მას არ შეუძლია იმ უფლებებისა და სარჩელების განხორციელება, რომლებიც მკაცრად პირადულია მოვალისათვის.

1628. არ არის აუცილებელი, მოთხოვნა იყოს ლიკვიდური და ვადამოსული სარჩელის წარდგენის მომენტისათვის, თუმცა აუცილებელია, რომ ის ასეთი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

1629. პირს, რომლის მიმართაც არის წარდგენილი არაპირდაპირი სარჩელი, შეუძლია კრედიტორს დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი კრედიტორის მიმართ.

1630. კრედიტორის მიერ მოვალის სახელით ამონაგები ქონება გადადის მოვალის საკუთრებაში და გამოიყენება ყველა მისი კრედიტორის სასარგებლოდ.

§ 3. — პაულიანეს სარჩელი (Paulian action)

1631. კრედიტორს, რომელიც განიცდის ზარალს მისი მოვალის მიერ კრედიტორის უფლებების საზიანოდ დადებული გარიგებით, — განსაკუთრებით კი, იმ მოქმედებით, რომლითაც მოვალე ხდება გადახდისუუნარო ან ცდილობს გახდეს გადახდისუუნარო ანდა რომლითაც გადახდისუუნაროდ ყოფნისას ის უპირატესობას ანიჭებს სხვა კრედიტორს, — შეუძლია მიიღოს დეკლარაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული მოქმედება ვერ იქნება გამოყენებული მის მიმართ.

1632. სასყიდლიანი ხელშეკრულება ან ასეთი ხელშეკრულების შესრულების მიზნით განხორციელებული გადახდა მიიჩნევა მოტყუების განზრახვით განხორციელებულად, თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ ან კრედიტორმა იცოდა, რომ მოვალე გადახდისუუნაროა, ან იცოდა, რომ მოვალემ გარიგებით გადახდისუუნარო ხდებოდა ან ცდილობდა გადახდისუუნარო გამხდარიყო.

1633. უსასყიდლო ხელშეკრულება ან ასეთი ხელშეკრულების შესრულების მიზნით განხორციელებული გადახდა მიიჩნევა მოტყუების განზრახვით განხორციელებულად თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ ან კრედიტორმა არ იცოდა იმ ფაქტების შესახებ, რომ მოვალე არის ან ხდება გადახდისუუნარო ხელშეკრულების დადების ან გადახდის განხორციელების მომენტში.

1634. მოთხოვნა სარჩელის წარდგენის მომენტში უნდა იყოს განსაზღვრული და ასევე — ლიკვიდური და ვადამოსული სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

მოთხოვნა უნდა არსებობდეს გასაჩივრებული გარიგების დადებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გარიგება დაიდო შემდგომი რიგის მქონე კრედიტორის მოტყუების მიზნით.

1635. სარჩელზე უფლება იკარგება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი წარდგენა ხდება ერთი წლის ვადაში იმ დღიდან, როდესაც კრედიტორმა შეიტყო გასაჩივრებული გარიგების შედეგად მიყენებული ზიანის შესახებ, ან გაკოტრების მმართველის დანიშვნის დღიდან, როდესაც სარჩელი წარდგენილ იქნა გაკოტრების მმართველის მიერ ყველა კრედიტორის სახელით.

1636. როდესაც ცხადდება, რომ გარიგება ვერ იქნება გამოყენებული კრედიტორის წინააღმდეგ, ის ვერ იქნება გამოყენებული ასევე ნებისმიერი იმ სხვა კრედიტორების წინააღმდეგაც, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ სარჩელის წარდგენაზე და რომლებიც ჩაერთვნენ მასში თავიანთი უფლებების დასაცავად; ყველა კრედიტორს შეუძლია მიაღწიოს იმ ქონებაზე იძულებით აღსრულებასა და მის გაყიდვას, რომელიც ქმნის ხელშეკრულების ან გადახდის საგანს, და ასევე — მათი მოთხოვნების შესაბამისი თანხების მიღებას პრივილეგირებული კრედიტორების ან იპოთეკარების უფლებების გათვალისწინებით.

თავი 7
ვალდებულებების გადაცემა და შეცვლა

განყოფილება 1
მოთხოვნების დათმობა

§ 1. — მოთხოვნების დათმობა ზოგადად

1637. კრედიტორს შეუძლია დაუთმოს მესამე პირს მოთხოვნა მთლიანად ან მისი ნაწილი ან სარჩელის უფლება, რომელიც მას აქვს თავისი მოვალის მიმართ.

თუმცა, მას არ შეუძლია მოთხოვნის დათმობა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საზიანოა მოვალის უფლებებისათვის ან როდესაც ის მის ვალდებულებას უფრო ამძიმებს.

1638. მოთხოვნის დათმობა მოიცავს ასევე მის საკუთვნებელსაც.

1639. როდესაც მოთხოვნის დათმობა ხორციელდება სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე, ცედენტი იძლევა გარანტიას, რომ მოთხოვნა არსებობს და მას ეკუთვნის, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ დათმობა ხორციელდება გარანტიის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცესიონერმა მოთხოვნა შეიძინა საკუთარი რისკით ან მოთხოვნის დათმობის მომენტში მან იცოდა მოთხოვნის გაურკვეველი ბუნების შესახებ.

1640. როდესაც სასყიდლიანი ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, ცედენტი მარტივი საგარანტიო დათქმით იძლევა მოვალის გადახდისუნარიანობის გარანტიას, ის პასუხის-

მგებელია გადახდისუნარიანობისათვის მხოლოდ მოთხოვნის დათმობის მომენტში და მის მიერ მიღებული თანხის ფარგლებში.

1641. მოთხოვნის დათმობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოვალისა და მესამე პირების მიმართ იმ მომენტიდან, როდესაც მოვალე მას დაეთანხმა ან მიიღო მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ასლი ან მისგან შესაბამისი ამონარიდი ანდა ნებისმიერი სხვა მტკიცებულება მოთხოვნის დათმობისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცედენტის წინააღმდეგ.

თუ მოვალე კვებეკში ვერ იძებნება, მოთხოვნის დათმობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოვალისა და მესამე პირების მიმართ შეტყობინების გამოქვეყნების მომენტში საჯარო შეტყობინებების მიმართ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

1642. მოთხოვნების ერთობლიობის, არსებული ან სამომავლო მოთხოვნების დათმობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოვალეებისა და მესამე პირების მიმართ მოთხოვნის დათმობის პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში რეგისტრაციის გზით, თუმცაღა, — ამავე დროს იმ პირობით, რომ შესრულებულია სხვა ფორმალობები, რომელთა მეშვეობითაც მოთხოვნის დათმობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მოვალეთა მიმართ, რომლებიც არ დაეთანხმნენ მას.

1643. მოვალეს ცესიონერის მიმართ შეუძლია გამოიყენოს ცედენტის მიმართ ნებისმიერი გადახდა, რომელიც მან განახორციელა მანამდე, სანამ მოთხოვნის დათმობა შეიძლებოდა გამოყენებულიყო მის მიმართ, ისევე როგორც — ვალდებულების შეწყვეტის ნებისმიერი სხვა საფუძველი, რომელსაც ჰქონდა ადგილი აღნიშნულ მომენტამდე.

მოვალეს ასევე შეუძლია გამოიყენოს მის მიერ ან მისი თავდების მიერ მოჩვენებითი კრედიტორის მიმართ კეთილსინდისიერად განხორციელებული ნებისმიერი გადახდა, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია ის სავალდებულო ფორმალობები, რომელთა მეშვეობითაც მოთხოვნის დათმობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოვალეებისა და მესამე პირების მიმართ.

1644. როდესაც მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების ასლი ან მისგან შესაბამისი ამონარიდი ანდა ნებისმიერი სხვა მტკიცებულება მოთხოვნის დათმობისა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცედენტის წინააღმდეგ, გადაეცემა მოვალეს მის მიმართ სარჩელის წარდგენის მომენტში, — დაუშვებელია სასამართლო ხარჯების მოვალისათვის დაკისრების მოთხოვნა, თუ ის გადახდას ახორციელებს სასამართლოში გამოძახებაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილ ვადაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის უკვე იმყოფებოდა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებაში.

1645. მოთხოვნის დათმობა ვერ იქნება გამოყენებული თავდების წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის დათმობის მოვალის მიმართ გამოყენებისათვის დადგენილი ფორმალობები შესრულებულია თავად თავდების მიმართ.

1646. ერთი და იგივე მოთხოვნის ცესიონერებისა, და ასევე ნებისმიერ დარჩენილ თანხასთან დაკავშირებით ცედენტის, მიმართ გადახდა ხორციელდება მათი მოთხოვნების ღირებულების პროპორციულად.

თუმცაღა, იმ პირების მიმართ, რომლებმაც მოთხოვნა შეიძინეს გადახდის გარანტიით, გადახდა ხორციელდება ყველა სხვა ცესიონერისა და ცედენტის უპირატესად და, ამავე დროს, მათ შორის იმ თარიღების მიხედვით, როდესაც მათ მიერ დადებული შესაბამისი მოთხოვნის დათმობები შეიძლებოდა გამოყენებულიყო მოვალის მიმართ.

§ 2. — საწარმდგენლო ფასიან ქაღალდში გამოსახული მოთხოვნების დათმობა

1647. მოვალის მიერ გაცემული საწარმდგენლო ფასიან ქაღალდში გამოსახული მოთხოვნის არსებით პირობას წარმოადგენს ის, რომ ის შეიძლება დათმობილ იქნეს იმ დოკუმენტის სხვა მფლობელისათვის უბრალო გადაცემით, რომელშიც ასახულია ეს მოთხოვნა.

1648. მოვალე, რომელმაც გასცა საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, ვალდებულია მასში ასახული ვალი გადაუხადოს იმ ნებისმიერ მფლობელს, რომელიც წარუდგენს დოკუმენტს მას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მიიღო შეტყობინება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მას ავალებს აღნიშნული გადახდისაგან თავის შეკავებას.

მას არ შეუძლია ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიმართ ნებისმიერი შესაგებლის წამოყენება, გარდა თავად ფასიანი ქაღალდის ბათილობასა თუ ხარვეზთან დაკავშირებული იმ შესაგებლებისა, რომლებიც ეფუძნება დოკუმენტში მოცემულ სპეციალურ შეთანხმებას ან ისეთი შესაგებლები, რომელთა წარდგენაც მას შეუძლია ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიმართ პირადად.

1649. მოვალე, რომელმაც გასცა საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, რჩება ვალდებული ფასიანი ქაღალდის ნებისმიერი კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ამტკიცებს, რომ დოკუმენტის გაცემა მოხდა მისი ნების საწინააღმდეგოდ.

1650. პირს, რომელსაც უკანონოდ ჩამოერთვა საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, არ შეუძლია თავიდან აიცილოს მოვალის მიერ იმ პირის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომელიც წარადგენს ფასიან ქაღალდს, გარდა სასამართლოს დადგენილების შეტყობინების შემთხვევებისა.

განყოფილება 2
სუროგაცია

1651. პირმა, რომელიც იხდის მოვალის ნაცვლად, შეიძლება სუროგაციით მიიღოს კრედიტორის უფლებები.

მას არ ექნება იმაზე მეტი უფლება, რაც აქვს სუროგაციით შეცვლილ კრედიტორს.

1652. სუროგაცია შეიძლება იყოს სახელშეკრულებო ან კანონისმიერი.

1653. სახელშეკრულებო სუროგაცია შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ან მოვალის მიერ, თუმცა ის უნდა იყოს პირდაპირ გამოხატული და გაფორმებული წერილობით.

1654. სუროგაცია შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის მიერ მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც ის იღებს გადახდას. სუროგაცია ძალაში შედის მოვალის თანხმობის გარეშე, მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა.

1655. დაუშვებელია სუროგაციის განხორციელება მოვალის მიერ ნებისმიერი სხვა პირის სასარგებლოდ, გარდა მისი გამსესხებლისა, და ის ძალაში შედის კრედიტორის თანხმობის გარეშე.

იმისათვის, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სუროგაცია იყოს ნამდვილი, სასესხო დოკუმენტი და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა შედგეს საჯარო სანოტარო აქტის სახით ან გაფორმდეს კერძო დოკუმენტის სახით ორი მოწმის წინაშე, რომლებიც ხელს აწერენ მას. გარდა ამისა, სასესხო დოკუმენტში უნდა გაკეთდეს მითითება, რომ სესხი გაცემულია ვალის დაფარვის მიზნით, ხოლო გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში კი უნდა მიეთითოს, რომ ვალი გადახდილია სესხის თანხიდან.

1656. სუროგაციას ადგილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ კანონის ძალით

1) იმ კრედიტორის სასარგებლოდ, რომელიც უხდის სხვა კრედიტორს, რომლის მოთხოვნა სარგებლობს უპირატესობით მის მოთხოვნასთან შედარებით პრივილეგიისა თუ იპოთეკის გამო;

2) ქონების იმ შემძენის სასარგებლოდ, რომელიც უხდის კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფილია ამ ქონებაზე დადგენილი იპოთეკით;

3) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც იხდის ვალს, რომელზეც ის ვალდებულია სხვა პირებთან ერთად ან სხვებისათვის და რომლის გადახდის მიმართაც მას აქვს ინტერესი;

4) იმ მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელიც საკუთარი სახსრებით იხდის მემკვიდრეობის ვალებს, რომელთა გადახდაზეც ის არ არის ვალდებული;

5) კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში.

1657. სუროგაცია მოქმედებს ძირითადი მოვალისა და მისი გარანტების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ სუროგაციით კრედიტორის უფლებების მიმღებ პირს წარუდგინონ ის შესაგებლები, რომლებიც მათ ჰქონდათ თავიდაპირველი კრედიტორის მიმართ.

1658. კრედიტორს, რომელმაც მიიღო მხოლოდ ნაწილობრივი გადახდა, შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები მისი მოთხოვნის ნარჩენი თანხის მიმართ სუროგაციით კრედიტორის უფლებების მიმღები პირის უპირატესად, რომლისაგანაც მან მიიღო მისი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილი.

თუმცა, თუ კრედიტორმა თავად იკისრა სუროგაციით კრედიტორის უფლებების მიმღები პირის წინაშე იმ თანხის გადახდის გარანტია, რომელიც შეძენილ იქნა სუროგაციით, მაშინ უპირატესობა ენიჭება სუროგაციით კრედიტორის უფლებების მიმღებ პირს.

1659. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა საწინააღმდეგოზე შეთანხმება, იმ პირების მიმართ, რომლებიც სუროგაციით იძენენ ერთი და იგივე კრედიტორის უფლებებს, გადახდა ხორციელდება სუროგაციით გადახდაში მათი წილების პროპორციულად.

განყოფილება 3
ნოვაცია

1660. ნოვაცია ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე თავისი კრედიტორის მიმართ ხელშეკრულებით კისრულობს ახალ ვალს, რომელიც იკავებს ძველ ვალს, რაც, თავის მხრივ, წყდება, ან როდესაც ახალი მოვალე ცვლის ძველ მოვალეს, რომელიც თავისუფლდება ვალდებულებისაგან კრედიტორის მიერ; ასეთ შემთხვევაში ნოვაცია შეიძლება განხორციელდეს ძველი მოვალის თანხმობის გარეშე.

ნოვაცია ასევე ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი ხელშეკრულების ძალით ახალი კრედიტორი ცვლის ძველ კრედიტორს, რომლის მიმართაც მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან.

1661. ნოვაცია არ ივარაუდება; მისი განხორციელების განზრახვა უნდა იყოს ცხადი.

1662. ძველ მოთხოვნასთან დაკავშირებული იპოთეკები არ გადადის იმ მოთხოვნაზე, რომელიც ცვლის ძველ მოთხოვნას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი პირდაპირ იქნა შენარჩუნებული კრედიტორის მიერ.

1663. როდესაც ნოვაცია ხორციელდება ახალი მოვალის მიერ ძველი მოვალის შეცვლით, ახალი მოვალე ვერ დაუპირისპირებს კრედიტორს იმ შესაგებლებს, რომელთა წამოყენების უფლებაც მას ჰქონდა ძველი მოვალის მიმართ, ისევე როგორც — იმ შესაგებლებს, რომლებიც ძველ მოვალეს ჰქონდა კრედიტორის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დროს მას შეუძლია მიუთითოს იმ აქტის ბათილობაზე, რომელიც მათ ავალდებულებს.

გარდა ამისა, ძველ მოთხოვნასთან დაკავშირებული იპოთეკები ვერ გადავა ახალი მოვალის ქონებაზე; ასევე დაუშვებელია მათი შენარჩუნება ძველი მოვალის ქონებაზე მისი თანხმობის გარეშე. თუმცაღა, აღნიშნული იპოთეკები შეიძლება გადავიდეს ახალი მოვალის მიერ ძველი მოვალისაგან შეძენილ ქონებაზე, თუ ახალი მოვალე ამას ეთანხმება.

1664. როდესაც ნოვაცია ხორციელდება კრედიტორსა და ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შორის, ძველ მოთხოვნასთან დაკავშირებული იპოთეკები შენარჩუნდება მხოლოდ იმ თანამოვალის ქონებაზე, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს ახალ ვალს.

1665. ნოვაცია, რომელიც ხორციელდება კრედიტორსა და ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს შორის, კრედიტორის მიმართ ვალდებულებისაგან ათავისუფლებს სხვა თანამოვალეებსაც; ძირითადი მოვალის მიმართ განხორციელებული ნოვაცია ვალდებულებისაგან ათავისუფლებს თავდებ პირებს.

თუმცა, როდესაც კრედიტორმა მოითხოვა, პირველ შემთხვევაში, თანამოვალეების, მეორე შემთხვევაში კი, თავდები პირების მიერთება, კრედიტორის ძველი მოთხოვნა შენარჩუნდება, თუ თანამოვალეები ან თავდები პირები უარს განაცხადებენ, მიუერთდნენ ახალ ხელშეკრულებას.

1666. ნოვაცია, რომელიც შეთანხმებულ იქნა ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ, ვერ იქნება გამოყენებული სხვა თანაკრედიტორების მიმართ, გარდა მისი წილისათვის სოლიდარულ მოთხოვნაში.

განყოფილება 4
დელეგაცია

1667. მოვალის მიერ იმ პირის დასახელება, რომელმაც უნდა გადაიხადოს მის ნაცვლად, ქმნის გადახდის დელეგაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავად დელეგატი პირადად კისრულობს დელეგატარის წინაშე გადახდის განხორციელებას; სხვა შემთხვევაში ეს უბრალოდ ქმნის გადახდის მითითებას.

1668. როდესაც დელეგატარი ეთანხმება დელეგაციას, ის ინარჩუნებს თავის უფლებას დელეგაციის განმახორციელებლის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დელეგატარს აშკარად აქვს განზრახული მისი ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

1669. დელეგატი ვერ დაუპირისპირებს დელეგატარს იმ შესაგებლებს, რომელთა წამოყენების უფლებაც მას ჰქონდა დელეგაციის განმახორციელებლის მიმართ, თუნდაც მან არ იცოდა მათი არსებობის შესახებ დელეგაციის მომენტში.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დელეგაციის განხორციელების მომენტში არაფერია გადასახდელი დელეგატარისათვის და, ამავე დროს, აღნიშნული არ ბღალავს დელეგატის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს დელეგაციის განმახორციელებლის მიმართ.

1670. დელეგატს შეუძლია დელეგატარის მიმართ წარადგინოს ყველა ისეთი შესაგებელი, რომლის წამოყენების უფლებაც დელეგაციის განმახორციელებელს ჰქონდა დელეგატარის მიმართ.

თუმცა, დელეგატი ვერ გაქვითავს იმას, რაც დელეგაციის განმახორციელებელს მართებს დელეგატარის ან — იმას, რაც დელეგატარს მართებს დელეგაციის განმახორციელებლის.

თავი 8
ვალდებულებების შეწყვეტა

განყოფილება 1
ზოგადი დებულება

1671. ვალდებულებები წყდება არა მხოლოდ შეწყვეტის იმ საფუძვლებით, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე კოდექსის სხვა დებულებებში, როგორიცაა გადახდა, ვადის გასვლა, ნოვაცია ან ხანდაზმულობა, არამედ ასევე — გაქვითვით, კონფუზიით, ვალის პატიებით, შესრულების შეუძლებლობით ან მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლებით.

განყოფილება 2
გაქვითვა

1672. როდესაც ორი პირი ორმხრივად ერთმანეთის მიმართ წარმოადგენს მოვალესა და კრედიტორს, ის ვალები, რომლებზეც ისინი არიან პასუხისმგებელი, წყდება გაქვითვით უფრო ნაკლები ვალის თანხის ოდენობით.

სახელმწიფოსაგან გაქვითვის მოთხოვნა დაუშვებელია, თუმცა სახელმწიფოს შეუძლია მისი მოთხოვნა.

1673. გაქვითვა ხორციელდება კანონის ძალით განსაზღვრული, ლიკვიდური და ვადამოსული ვალების თანხვედრისთანავე, როდესაც ორივე მათგანის ობიექტია ფულადი თანხა ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული რაოდენობის მოხმარებადი ნივთები.

მხარეს შეუძლია მოითხოვოს ვალის სასამართლო წესით ლიკვიდაცია იმისათვის, რომ მოახდინოს მისი გაქვითვა.

1674. გაქვითვა ხორციელდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვალები არ ექვემდებარება გადახდას ერთი და იგივე ადგილზე იმ პირობით, რომ ადგილი აქვს დანამატის მიცემას ნივთის გადაცემის ხარჯების — ასეთის არსებობის შემთხვევაში — დასაფარად.

1675. ერთ-ერთი ვალის გადახდისათვის მინიჭებული საშეღავათო პერიოდი ხელს არ უშლის გაქვითვას.

1676. გაქვითვა ხორციელდება მიუხედავად იმ ვალდებულების საფუძვლისა, რომლისგანაც წარმოიშვა ვალი.

თუმცა, გაქვითვა არ ხდება, თუ მოთხოვნა გამომდინარეობს ზიანის მიყენების განზრახვით შესრულებული მოქმედებიდან ან თუ ვალის ობიექტს წარმოადგენს ნივთი, რომელიც არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

1677. როდესაც გაქვითვას დაქვემდებარებული რამდენიმე ვალი ნაკისრი

აქვს ერთი და იგივე მოვალეს, გამოიყენება გადახდის თანხის რამდენიმე ვალის ანგარიშში ჩათვლის მომწესრიგებელი წესები.

1678. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალე ვერ გაქვითავს იმას, რაც კრედიტორს მართებს თავისი თანამოვალის, გარდა სოლიდარულ ვალში ამ თანამოვალის წილისა.

მოვალე — თუნდაც სოლიდარული ან არასოლიდარული — ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიმართ ვერ გაქვითავს იმას, რაც თანაკრედიტორს მართებს მისი, გარდა სოლიდარულ მოთხოვნაში ამ თანაკრედიტორის წილისა.

1679. თავდებს შეუძლია გაქვითოს ის, რაც კრედიტორს მართებს ძირითადი მოვალის, თუმცა ძირითადი მოვალე ვერ გაქვითავს იმას, რაც კრედიტორს მართებს თავდების.

1680. მოვალე, რომელიც უპირობოდ დაეთანხმა მისი კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის მოთხოვნების დათმობასა თუ იპოთეკით დატვირთვას, შემდგომში მესამე პირის მიმართ ვერ გაქვითავს იმას, რასაც ის დაუპირისპირებდა თავდაპირველ კრედიტორს მისი თანხმობის მიცემამდე.

მოთხოვნის დათმობა ან იპოთეკით დატვირთვა, რომელსაც მოვალე არ დაეთანხმა, მაგრამ რომელიც განსაზღვრული დროიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიმართ, — ხელს უშლის თავდაპირველი კრედიტორის მხოლოდ იმ ვალების გაქვითვას, რომლებიც წარმოიშობა აღნიშნული დროის შემდეგ.

1681. გაქვითვა ვერ განხორციელდება და ასევე დაუშვებელია მასზე უარი მესამე პირის შეძენილი უფლებების საზიანოდ.

1682. მოვალეს, რომელმაც მოახდინა გაქვითვა და, მიუხედავად ამისა, მაინც განახორციელა ვალის გადახდა, არ შეუძლია შემდგომში მესამე პირების უფლებების საზიანოდ, ისარგებლოს მის მოთხოვნასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრივილეგიითა თუ იპოთეკით.

განყოფილება 3
კონფუზია

1683. როდესაც კრედიტორისა და მოვალის თვისებები ერთანდება ერთ პირში, ხორციელდება კონფუზია, რომელიც წყვეტს ვალდებულებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც კონფუზია აღარ არსებობს, მისი სამართლებრივი შედეგებიც ასევე ქარწყლდება.

1684. კრედიტორისა და მოვალის თვისებების ერთ პირში გაერთიანება მოქმედებს თავდები პირების სასარგებლოდ. თავდებისა და კრედიტორის ან თავდებისა და ძირითადი მოვალის თვისებების ერთ პირში გაერთიანება არ წყვეტს ძირითად ვალდებულებას.

1685. კრედიტორისა და სოლიდარული თანამოვალის ან მოვალისა და სოლიდარული თანაკრედიტორის თვისებების ერთ პირში გაერთიანება წყვეტს ვალდებულებას მხოლოდ აღნიშნული თანამოვალისა თუ თანაკრედიტორის წილის ფარგლებში.

1686. იპოთეკა უქმდება იპოთეკარისა და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრის თვისებების ერთ პირში გაერთიანებით.

თუმცა, თუ კრედიტორს ქონება ჩამოერთმევა იმ მიზეზის გამო, რომლებიც მას არ ეხება, იპოთეკა ხელახლა წარმოიშობა.

განყოფილება 4
ვალის პატიება

1687. ვალის პატიებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი ათავისუფლებს თავის მოვალეს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებისაგან.

ვალის პატიება ხდება სრულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები თანხმდებიან ნაწილობრივ ვალის პატიებაზე.

1688. ვალის პატიება არის როგორც პირდაპირ გამოხატული, ისე უსიტყვოც.

ვალის პატიება არის როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლოც იმ გარიგების ბუნების მიხედვით, რომლითაც ის ხორციელდება.

1689. ივარაუდება, რომ კრედიტორმა, რომელიც თავის მოვალეს ნებაყოფლობით გადასცემს ვალდებულების დამადასტურებელ თავდაპირველ დოკუმენტს, გაათავისუფლა მოვალე ვალისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ მოვალემ გადაიხადა ვალი.

ანალოგიურად, ივარაუდება, რომ კრედიტორმა, რომელიც ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს ნებაყოფლობით გადასცემს ვალდებულების დამადასტურებელ თავდაპირველ დოკუმენტს, მოახდინა ვალისაგან გათავისუფლება ყველა მოვალის სასარგებლოდ.

1690. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის პირდაპირ გამოხატული ვალის პატიება ათავისუფლებს ვალდებულებისაგან სხვა თანამოვალეებსაც მხოლოდ იმ თანამოვალის წილისათვის, რომელიც გათავისუფლდა ვალდებულებისაგან; თუ ერთი ან რამდენიმე სხვა თანამოვალე ხდება გადახდისუუნარო, გადახდისუუნარო პირთა წილები პროპორციულად ნაწილდება ყველა სხვა თანამოვალეს შორის გარდა იმ თანამოვალისა, რომელიც გათავისუფლდა ვალდებულებისაგან, რომლის წილიც ეკისრება კრედიტორს.

ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის მიერ პირდაპირ გამოხატული ვალის პატიება ათავისუფლებს ვალდებულებისაგან მოვალეს მხოლოდ ამ კრედიტორის წილის ფარგლებში.

1691. კრედიტორის მიერ პრივილეგიასა თუ იპოთეკაზე პირდაპირ გამოხატული უარი არ წარმოშობს უზრუნველყოფილი ვალისაგან გათავისუფლების პრეზუმფციას.

1692. ერთ-ერთი თავდების მიმართ პირდაპირ გამოხატული ვალის პატიება ათავისუფლებს სხვა თავდებებს იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ფარგლებში, რომლებიც მათ ექნებოდათ ვალდებულებისაგან გათავისუფლებული თავდების მიმართ.

თუმცაღა, მიუხედავად ამისა, ვერანაირი გადახდა, რომელიც მიიღო კრედიტორმა თავდებისაგან მისი ვალდებულებისაგან გათავისუფლებისათვის, ვერ ჩაითვლება ძირითადი მოვალის ან სხვა თავდები პირების ვალდებულებისაგან გათავისუფლების ანგარიშში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავდებ პირებთან დაკავშირებით მათ აქვთ სამართლებრივი დაცვის საშუალება ვალდებულებისაგან გათავისუფლებული თავდების მიმართ და ამ სამართლებრივი დაცვის საშუალების ფარგლებში.

განყოფილება 5
შესრულების შეუძლებლობა

1693. როდესაც ვალდებულება ვეღარ სრულდება მოვალის მიერ დაუძლეველი ძალის გამო და მანამდე, სანამ ის ვადაგადაცილებაში აღმოჩნდება, მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან; ის ასევე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუნდაც ვადაგადაცილებაში იმყოფებოდეს, როდესაც კრედიტორს, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეეძლო ვალდებულების შესრულებისაგან სარგებლის მიღება დაუძლეველი ძალის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, ნებისმიერ შემთხვევაში, მოვალემ პირდაპირ იკისრა დაუძლეველი ძალის რისკი.

დაუძლეველი ძალის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს.

1694. მოვალეს, რომელიც თავისუფლდება ვალდებულებისაგან შესრულების შეუძლებლობის გამო, არ შეუძლია მოითხოვოს კრედიტორის კორელაციული ვალდებულების შესრულება; თუ შესრულება უკვე განხორციელდა, ის ექვემდებარება დაბრუნებას.

როდესაც მოვალემ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულების ნაწილი, კრედიტორი რჩება ვალდებული თავისი ვალდებულების შესრულებაზე მისი ქონებრივი გამდიდრების ფარგლებში.

განყოფილება 6
მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება

1695. როდესაც პრივილეგირებული კრედიტორი ან იპოთეკარი იძენს ქონებას, რომლის მიმართაც მას აქვს მოთხოვნა, კრედიტორის მიერ ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაყიდვის შედეგად მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან შეძენის მომენტში ქონების არსებული საბაზრო ღირებულების ოდენობით იმ ნებისმიერი მოთხოვნის გამოკლებით, რომელიც სარგებლობს უპირატესი რიგით შემძენის მოთხოვნასთან შედარებით.

მოვალე ასევე თავისუფლდება ვალდებულებისაგან, როდესაც გაყიდვიდან სამი წლის განმავლობაში ქონების შემძენი კრედიტორი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაყიდვით ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კომერციული ოპერაციით იღებს მისი მოთხოვნის თანაბარ ან მასზე მეტ ღირებულებას, მათ შორის, ძირითადი თანხის, პროცენტისა და ხარჯების ჩათვლით, ასევე — მის მიერ, პროცენტთან ერთად, ქონებაზე გაწეული დანახარჯების თანხისა და მის მოთხოვნასთან შედარებით უპირატესი რიგის მქონე სხვა პრივილეგირებული ან იპოთეკური მოთხოვნების თანხის ჩათვლით.

1696. ივარაუდება, რომ კრედიტორმა შეიძინა ქონება, თუ ეს ქონება გაიყიდა იმ პირზე, რომელთანაც კრედიტორი შეკრულია ან დაკავშირებულია მასთან, განსაკუთრებით კი, — მეუღლესთან, სისხლით ნათესავი მეორე რიგის ჩათვლით ან ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებულ პირთან, კრედიტორთან მცხოვრებ პირთან, პარტნიორთან ან იურიდიულ პირთან, რომლის დირექტორსაც წარმოადგენს კრედიტორი ანდა რომელსაც აკონტროლებს კრედიტორი.

1697. მოვალე, რომელიც თავისუფლდება ვალდებულებისაგან, უფლებამოსილია მისი კრედიტორისაგან მიიღოს ქვითარი.

თუ კრედიტორი უარს აცხადებს ქვითრის გაცემაზე, მოვალეს შეუძლია თხოვოს სასამართლოს მისი ვალდებულებისაგან გათავისუფლებულად გამოცხადება. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება ვალდებულებისაგან გათავისუფლება, კრედიტორის მიმართ უთანაბრდება ქვითარს.

1698. ძირითადი მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება შედეგად იწვევს მისი თავდები პირებისა და სხვა გარანტების გათავისუფლებასაც, რომლებსაც შეუძლიათ იგივე უფლებების განხორციელება, რაც ძირითად მოვალეს, თუნდაც — ამ უკანასკნელისაგან დამოუკიდებლად.

თავი 9
შესრულებულის უკან დაბრუნება

განყოფილება 1
გარემოებები, რომელთა არსებობისას ხდება შესრულებულის უკან დაბრუნება

1699. შესრულებულის უკან დაბრუნებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი კანონის საფუძველზე ვალდებულია დაუბრუნოს სხვა პირს ქონება, რომელიც მან მიიღო უკანონოდ ან შეცდომით ანდა იმ გარიგების საფუძველზე, რომელიც შემდგომში გაბათილდა უკუქცევითი ძალით, ან რომლის ვალდებულებების შესრულებაც ხდება შეუძლებელი დაუძლეველი ძალის გამო.

გამონაკლისის სახით სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ქონების დაბრუნებაზე, როდესაც ეს შეუსაბამო უპირატესობის მიმცემი იქნებოდა ერთი მხარისათვის — როგორც მოვალის, ისე კრედიტორისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ დროს სასამართლო, ნაცვლად აღნიშნულისა, საკმარისად მიიჩნევს შესრულებულის უკან დაბრუნების მოცულობის ან ფორმების შეცვლას.

განყოფილება 2
შესრულებულის უკან დაბრუნების ფორმები

1700. შესრულებულის უკან დაბრუნება ხორციელდება ნატურით, თუმცა თუ ეს შეუძლებელია ან ვერ განხორციელდება მნიშვნელოვანი დისკომფორტის გარეშე, მაშინ უკან დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს ეკვივალენტური თანხის გადახდით.

ეკვივალენტურობის შეფასება ხდება იმ მომენტში, როდესაც მოვალემ მიიღო ის, რის დაბრუნებაზეც ის იყო პასუხისმგებელი.

1701. უკან დასაბრუნებელი ნივთის სრული განადგურების ან გასხვისების შემთხვევაში, უკან დაბრუნებაზე ვალდებულ პირს ეკისრება ნივთის იმ ღირებულების ანაზღაურება, რომელიც დადგენილი იყო მისი მიღების მომენტში ნივთის განადგურების ან გასხვისების მომენტში ან ღირებულების ანაზღაურების მომენტში იმისდა მიხედვით, თუ რომელი მათგანი არის უფრო მცირე; თუმცა, თუ პირი არაკეთილსინდისიერია ან თუ ნივთის უკან დაბრუნება ხდება მისი ბრალით, ეს უკანასკნელი ხორციელდება იმ ღირებულების მიხედვით, რომელიც უფრო მეტია.

თუმცა, თუ ნივთი განადგურდა დაუძლეველი ძალის გამო, მოვალეს არ ეკისრება ღირებულების ანაზღაურება, თუმცა მან ამ დროს, საჭიროების შემთხვევაში, კრედიტორს უნდა მისცეს კომპენსაცია იმ ქონებრივი სიკეთის სახით, რაც მან ნივთის განადგურებისათვის მიიღო ან, თუ მას ჯერ არ მიუღია ასეთი ქონებრივი სიკეთე, ის არ თავისუფლდება ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთი მაინც განადგურდებოდა, ის რომ კრედიტორის ხელში ყოფილიყო.

1702. როდესაც ღირებულების ანაზღაურებაზე ვალდებული პირის მიერ დაბრუნებული ნივთი განიცდის ნაწილობრივ ზიანს, მაგალითად, — გაუარესება ან ქონების ნებისმიერი სხვაგვარი შემცირება, ეს პირი ვალდებულია აუნაზღაუროს კრედიტორს ასეთი ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გამოწვეულია ნივთის ჩვეულებრივი გამოყენებით.

1703. უკან დასაბრუნებელ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება რეგულირდება ქონების შესახებ წიგნის ნორმებით, რომლებიც გამოიყენება კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ, ან არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში ანდა თუ უკან დაბრუნება გამოწვეულია იმ პირის ბრალით, რომელიც ვალდებულია ნივთის უკან დაბრუნებაზე, — იმ ნორმებით, რომლებიც გამოიყენება არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ.

1704. უკან დაბრუნებული ნივთის ნაყოფი და შემოსავლები ეკუთვნის იმ პირს, რომელიც ვალდებულია ნივთის უკან დაბრუნებაზე, და მას ეკისრება ის ხარჯები, რომლებიც მან გასწია მათი წარმოებისას. მას არ ეკისრება ნივთით სარგებლობის საზღაური გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის წარმოადგენდა შესრულების ძირითად ობიექტს ან ნივთი ექვემდებარებოდა სწრაფ ამორტიზაციას.

თუ ნივთის უკან დაბრუნებაზე ვალდებული პირი არაკეთილსინდისიერია ან თუ უკან დაბრუნება გამოწვეულია მისი ბრალით, ის ვალდებულია ხარჯების ანაზღაურების შემდეგ დააბრუნოს ნაყოფი და შემოსავლები, ხოლო კრედიტორს კი აუნაზღაუროს ნებისმიერი ის სარგებელი, რომელიც მან ნივთისაგან მიიღო.

1705. ნივთის უკან დაბრუნების ხარჯები ეკისრებათ მხარეებს, საჭიროების შემთხვევაში, ორმხრივად დაბრუნებული შესრულებების ღირებულების პროპორციით.

თუმცა, როდესაც ერთი მხარე არაკეთილსინდისიერია ან როდესაც უკან დაბრუნება გამოწვეულია მისი ბრალით, ხარჯები ეკისრება მხოლოდ ამ მხარეს.

1706. დაცულ პირებს შესრულებულის უკან დაბრუნება ეკისრებათ მხოლოდ იმ ქონებრივი გამდიდრების ფარგლებში, რომლებსაც ისინი იღებენ მისგან; ასეთი ქონებრივი გამდიდრების მტკიცების ტვირთი ეკისრება პირს, რომელიც ითხოვს შესრულებულის უკან დაბრუნებას.

თუმცა, დაცულ პირს შეიძლება დაეკისროს შესრულებულის სრულად უკან დაბრუნება, როდესაც ეს უკანასკნელი შეუძლებელი გახდა მისი განზრახი ბრალით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

განყოფილება 3
შესრულებულის უკან დაბრუნების სამართლებრივი შედეგები მესამე პირების მიმართ

1707. შესრულებულის უკან დაბრუნებაზე ვალდებული პირის მიერ სასყიდლიანი ხელშეკრულებით განხორციელებული ქონების გასხვისება — იმ შემთხვევაში, თუ ეს გარიგებები იდება კეთილსინდისიერი მესამე პირის სასარგებლოდ, — შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომელსაც შესრულებული უნდა დაუბრუნდეს. უსასყიდლო ხელშეკრულებით განხორციელებული ქონების გასხვისება ვერ იქნება გამოყენებული აღნიშნული პირის მიმართ ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების გათვალისწინებით.

კეთილსინდისიერი მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელებული ნებისმიერი სხვა მოქმედება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირის მიმართ, რომელსაც შესრულებული უნდა დაუბრუნდეს.

ტიტული 2
კანონით მოწესრიგებული ხელშეკრულებები

თავი 1
ნასყიდობა

განყოფილება 1
ნასყიდობა ზოგადად

§ 1. — ზოგადი დებულებები

1708. ნასყიდობა არის ხელშეკრულება, რომლითაც პირი, გამყიდველი, გადასცემს საკუთრების უფლებას ქონებაზე სხვა პირს, მყიდველს, იმ ფულად თანხაში გამოხატული ფასის სანაცვლოდ, რომლის გადახდასაც ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კისრულობს.

დანაწევრებული საკუთრების უფლება ან პირის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი სხვა უფლებაც ასევე შეიძლება გადაცემულ იქნეს ნასყიდობით.

1709. პირს, რომელსაც ევალება სხვა პირის კუთვნილი ქონების გაყიდვა, არ შეუძლია ასეთი ქონების შეძენა, თუნდაც — შუამავლის მეშვეობით; იგივე წესი გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელსაც ევალება სხვა პირის ქონების მართვა ან მისი მართვის ზედამხედველობა მართვასთან დაკავშირებით 1312-ე მუხლის წესების გათვალისწინებით.

ასეთ პირს არ შეუძლია ასევე თავისი საკუთარი ქონების იმ ფასის სანაცვლოდ გაყიდვა, რომელიც გადახდილ იქნა იმ ქონებიდან ან საგვარეულო ქონებიდან, რომელსაც ის მართავს ან რომლის მართვის ზედამხედველობასაც ის ახორციელებს.

არც ერთ შემთხვევაში აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ნასყიდობის ბათილობის მოთხოვნით.

§ 2. — შეპირება

1710. ნასყიდობის შეპირება, რომელსაც ახლავს ნივთის გადაცემა და ფაქტობრივი მფლობელობა, უთანაბრდება ნასყიდობას.

1711. ნასყიდობის შეპირების შემთხვევასთან დაკავშირებით გადახდილი ნებისმიერი თანხა ივარაუდება, რომ წარმოადგენს ფასის თანხის ავანსს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ხელშეკრულებაში სხვაგვარად შეთანხმდნენ.

1712. შემპირებლის — როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის — მიერ შესაბამისი დოკუმენტის გაუფორმებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს შეპირების ბენეფიციარს, მის სანაცვლოდ მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილება.

§ 3. — სხვა პირის კუთვნილი ქონების ნასყიდობა

1713. ქონების ნასყიდობა იმ პირის მიერ, რომელიც არ წარმოადგენს მესაკუთრეს, ან იმ პირის მიერ, რომელსაც ევალება მისი გაყიდვა ანდა ის უფლებასმოსილია გაყიდვაზე, შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად.

თუმცა, დაუშვებელია ნასყიდობის ბათილად ცნობა, თუ გამყიდველი ხდება ქონების მესაკუთრე.

1714. ნამდვილ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ბათილობა და გაყიდული ნივთის მყიდველის მფლობელობიდან გამოთხოვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნასყიდობა დაიდო სასამართლოს კონტროლის ქვეშ ან მყიდველს შეუძლია დაუპირისპიროს მას შეძენითი ხანდაზმულობა.

თუ ქონება წარმოადგენს ისეთ მოძრავ ნივთს, რომელიც გაიყიდა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მესაკუთრე ვალდებულია, აუნაზღაუროს კეთილსინდისიერ მყიდველს მის მიერ გადახდილი ფასი.

1715. მყიდველს ასევე შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ბათილობა.

თუმცა, მას ამის გაკეთება არ შეუძლია, როდესაც მესაკუთრე თავად არ არის უფლებამოსილი ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვაზე.

§ 4. — გამყიდველის ვალდებულებები

1716. გამყიდველი ვალდებულია ნივთის გადაცემასა და მისი საკუთრებისა და ხარისხის გარანტიაზე.

აღნიშნული გარანტიები არსებობს კანონის ძალით მიუხედავად იმისა, გათვალისწინებულია თუ არა ისინი ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

1 —
ნივთის გადაცემა

1717. ნივთის გადაცემის ვალდებულება შესრულებულია, როდესაც გამყიდველი ნივთს გადასცემს მყიდველს მფლობელობაში ან ეთანხმება მის მიერ ნივთზე მფლობელობის მიღებას და ყველა დაბრკოლება აღმოფხვრილია.

1718. გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს ნივთი გადასცეს იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იმყოფება ნასყიდობის მომენტში ყველა თავის საკუთვნებელთან ერთად.

1719. გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს მფლობელობაში გადასცეს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები და, უძრავი ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში კი, — უძრავი ნივთის შეძენის აქტის, ნებისმიერი წინა დოკუმენტისა და უძრავი ნივთის ადგილმდებარეობის დამადასტურებელი ნებისმიერი მოწმობის ასლი.

1720. გამყიდველი ვალდებულია, განახორციელოს ხელშეკრულებაში მი-

თითებული მოცულობის ან რაოდენობის ადგილზე მიწოდება იმისათვის, რათა ნასყიდობა განხორციელდეს აზომვიდან გამომდინარე ფასის ან მყარი ფასის საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნათელია, რომ გარკვეული და განსაზღვრული ქონება გაიყიდა აღნიშნული ადგილის, მოცულობისა თუ რაოდენობის გათვალისწინების გარეშე.

1721. გამყიდველი, რომელსაც მიეცა ვადა გადახდისათვის, არ არის ვალდებული, ნივთის გადაცემაზე, თუ მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ გადახდისუუნარო გახდა.

1722. ნივთის გადაცემის ხარჯები ეკისრება გამყიდველს, ხოლო თან წაღების ხარჯები კი, — მყიდველს.

2 —
საკუთრების გარანტია

1723. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მისცეს გარანტია, რომ ქონება არის თავისუფალი ყველა უფლებისაგან გარდა იმ უფლებებისა, რომელთა შესახებ მან განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს.

გამყიდველი ვალდებულია გაათავისუფლოს ქონება ყველა იპოთეკისაგან, თუნდაც გაცხადებული ან რეგისტრირებული იპოთეკებისაგან გარდა იმ შემთხვევებში, როდესაც მყიდველმა იკისრა ამგვარად უზრუნველყოფილი ვალი.

1724. გამყიდველი აძლევს მყიდველს გარანტიას მისი მხრიდან ნებისმიერი ხელყოფის საწინააღმდეგოდ გარდა იმ შემთხვევებში, როდესაც მან ასეთი ხელყოფის შესახებ განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს.

გამყიდველი ასევე აძლევს მყიდველს გარანტიას იმ ნებისმიერი ხელყოფის საწინააღმდეგოდ, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე დაიწყო მესამე პირის მიერ ისე, რომ მან იცოდა ამ ხელყოფის შესახებ.

1725. უძრავი ქონების გამყიდველი აძლევს მყიდველს გარანტიას საჯაროსამართლებრივი შეზღუდვების იმ ნებისმიერი დარღვევების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ეხება ქონებას, და რჩება ჩვეულებრივი საკუთრების უფლების მომწესრიგებელი ნორმების რეგულირების მიღმა.

გამყიდველი არ არის ვალდებული აღნიშნული გარანტიის მიცემაზე, როდესაც მან აღნიშნული შეზღუდვების შესახებ შეატყობინა მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს, როდესაც კეთილგონივრული და გულისხმიერი მყიდველი მათ აღმოაჩენდა შესაბამისი ფართის ბუნების, მდებარეობისა და სარგებლობის შედეგად ანდა როდესაც ასეთი შეზღუდვები რეგისტრაციაში გატარდა უფლებათა რეესტრში.

3 —
ხარისხის გარანტია

1726. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მისცეს გარანტია, რომ ქონება და მისი საკუთვნებელი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს თავისუფალია ფარული ნაკლისაგან, რაც მას გამოუსადეგარს ხდის იმ სარგებლობისათვის, რომლისათვისაც ის იყო გამიზნული, ან რაც იმდენად ამცირებს მის საჭიროებას, რომ მყიდველი არ იყიდიდა მას ან არ გადაიხდიდა ასეთ მაღალ ფასს, აღნიშნული ნაკლი რომ სცოდნოდა.

თუმცა, გამყიდველი არ არის ვალდებული მყიდველს მისცეს გარანტია მყიდველისათვის ცნობილი ნებისმიერი ფარული ნაკლისათვის ან — ნებისმიერი აშკარა ნაკლისათვის; აშკარა ნაკლი წარმოადგენს ისეთ ნაკლს, რომლის აღქმაც შესაძლებელია კეთილგონივრული და გულისხმიერი მყიდველის მიერ ექსპერტისათვის მიმართვის საჭიროების გარეშე.

1727. თუ ქონება ნადგურდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს არსებული ფარული ნაკლის გამო, ზარალი ეკისრება გამყიდველს, რომელიც ვალდებულია გადაიხადოს ნასყიდობის ფასი; თუ ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან მყიდველის ბრალით, ამ უკანასკნელმა მისი მოთხოვნიდან უნდა გამოქვითოს ქონების ღირებულება იმ მდგომარეობით, რომელშიც ქონება იმყოფებოდა ზარალის დადგომის მომენტში.

1728. თუ გამყიდველმა იცოდა ან მას არ შეეძლო არ სცოდნოდა ფარული ნაკლის შესახებ, ის ვალდებულია არა მარტო გადაიხადოს ნასყიდობის ფასი, არამედ — ასევე აანაზღაუროს მყიდველის მიერ განცდილი ზიანი.

1729. პროფესიონალი გამყიდველის მიერ ნასყიდობისას ივარაუდება, რომ ნაკლი არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს, თუ ნივთი ფუნქციონირებს დარღვევით ან ნაადრევად ფუჭდება იდენტურ ან ანალოგიური ტიპის ნივთთან შედარებით; ასეთი პრეზუმფცია იმსხვრევა, თუ ნაკლი გამოწვეულია მყიდველის მიერ ნივთის არასწორი გამოყენებით.

1730. საქონლის დამამზადებელი, ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის დისტრიბუციას საკუთარი სახელით ან როგორც საკუთარი ქონების, ანდა საქონლის ნებისმიერი მიმწოდებელი, კერძოდ კი, — საბითუმო გამყიდველი და იმპორტიორი, ასევე ვალდებული არიან მისცენ მყიდველს გარანტია, მსგავსად გამყიდველისა.

1731. სასამართლოს კონტროლის ქვეშ განხორციელებული ნასყიდობა არ წარმოშობს გაყიდული ქონების ხარისხთან დაკავშირებულ რაიმე სახის საგარანტიო ვალდებულებას.

4 —
სახელშეკრულებო გარანტია

1732. მხარეებს თავიანთ ხელშეკრულებაში შეუძლიათ დაამატონ კანონისმიერი გარანტიის ვალდებულებები, შეამცირონ ამ გარანტიის სამართლებრივი შედეგები ან საერთოდაც გამორიცხონ ის, თუმცა გამყიდველს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია თავიდან აიცილოს საკუთარი პასუხისმგებლობა თავისი პირადი ბრალისათვის.

1733. გამყიდველს არ შეუძლია თავისი პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან გამოავლინა ისეთი ნაკლი, რომელიც მისთვის ცნობილი იყო ან რომლის შესახებაც მას არ შეეძლო არ სცოდნოდა და რომელიც გავლენას ახდენს საკუთრების უფლებასა თუ ქონების ხარსხზე.

აღნიშნული წესიდან შეიძლება გაკეთდეს გამონაკლისი, როდესაც მყიდველი ყიდულობს ქონებას საკუთარი რისკით იმ გამყიდველისაგან, რომელიც არ წარმოადგენს პროფესიონალ გამყიდველს.

§ 5. — მყიდველის ვალდებულებები

1734. მყიდველი ვალდებულია, მიწოდების მომენტში და ადგილზე მიიღოს გაყიდული ნივთი და გადაიხადოს მისი ნასყიდობის ფასი. ის ასევე ვალდებულია, დაფაროს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯები.

1735. მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ფასის თანხის პროცენტი ნივთის გადაცემის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადის გასვლის მომენტიდან.

§ 6. — მხარეთა უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული სპეციალური წესები

1 —
მყიდველის უფლებები

1736. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველი არ ახდენს მოძრავი ნივთის გადაცემას, ამ ნივთის მყიდველს შეუძლია ნასყიდობა მიიჩნიოს გაუქმებულად, თუ გამყიდველი იმყოფება ვადაგადაცილებაში კანონის ძალით ან თუ ის არ ასრულებს თავის ვალდებულებას იმ მოთხოვნაში მიცემულ ვადაში, რომელსაც ის ვადაგადაცილებაში გადაჰყავს.

1737. როდესაც გამყიდველი ვალდებულია, განახორციელოს ხელშეკრულებაში მითითებული მოცულობის ან რაოდენობის ადგილზე მიწოდება და მას აღნიშნულის გაკეთება არ შეუძლია, მყიდველს შეუძლია მიაღწიოს ფასის შემცირებას ან თუ სხვაობა აყენებს მას მნიშვნელოვან ზიანს, — ნასყიდობის გაუქმებას.

თუმცა, როდესაც ადგილზე მიწოდებული მოცულობა ან რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებაში მითითებულს, მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ფასი ზედმეტისათვის ან დაუბრუნოს ეს უკანასკნელი გამყიდველს.

1738. მყიდველმა, რომელიც გამოავლენს მისი საკუთრების უფლების დარღვევის რისკს, გამოვლენიდან გონივრული ვადის განმავლობაში გამყიდველს წერილობით უნდა შეატყობინოს მესამე პირის უფლებისა თუ მოთხოვნის შესახებ ამ უკანასკნელის ბუნების მითითებით.

თუმცა, გამყიდველს არ შეუძლია მითითება მყიდველის მხრიდან შეტყობინების დახანებაზე, თუ მან იცოდა უფლებისა თუ მოთხოვნის შესახებ ან მას არ შეეძლო არ სცოდნოდა მის შესახებ.

1739. მყიდველმა, რომელიც რწმუნდება იმაში, რომ ქონება არის ნაკლოვანი, მისი გამოვლენიდან გონივრული ვადის განმავლობაში გამყიდველს წერილობით უნდა შეატყობინოს ნაკლის შესახებ. როდესაც ნაკლი ჩნდება თანდათანობით, ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მყიდველი შეძლებდა ევარაუდა ნაკლის დიდი მნიშვნელობა და ხარისხი.

გამყიდველს არ შეუძლია მითითება მყიდველის მხრიდან შეტყობინების დახანებაზე, თუ მან იცოდა ნაკლის შესახებ ან მას არ შეეძლო არ სცოდნოდა მის შესახებ.

2 —
გამყიდველის უფლებები

1740. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი არ იხდის მოძრავი ნივთის ნასყიდობის ფასს და არ იღებს გადაცემულ ნივთს, ამ ნივთის გამყიდველს შეუძლია ნასყიდობა მიიჩნიოს გაუქმებულად, თუ მყიდველი იმყოფება ვადაგადაცილებაში კანონის ძალით ან თუ ის არ ასრულებს თავის ვალდებულებებს იმ მოთხოვნაში მიცემულ ვადაში, რომელსაც ის ვადაგადაცილებაში გადაჰყავს.

როდესაც ნათელია, რომ მყიდველი არ შეასრულებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს, გამყიდველს შეუძლია ასევე შეწყვიტოს ნივთის მიწოდება მისი ტრანსპორტირებისას.

1741. როდესაც მოძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო ვადის განსაზღვრის გარეშე, გამყიდველს შეუძლია მიწოდებიდან 30 დღის ვადაში მიიჩნიოს ნასყიდობა გაუქმებულად და გამოითხოვოს ნივთი სხვა პირის მფლობელობიდან, თუ ვადაგადაცილებაში მყოფმა მყიდველმა არ გადაიხადა ფასი და ნივთი ჯერ კიდევ ხელშეუხებელი და იგივე მდგომარეობაშია, არ გადასულა იმ მესამე პირის ხელში, რომელმაც გადაიხადა მისი ფასი, ანდა — იმ იპოთეკარის ხელში, რომელსაც გადაეცა ნივთი საკუთრებაში.

როდესაც მყიდველი იმყოფება ვადაგადაცილებაში ნასყიდობის ფასის გადაუხდელობის გამო და ნივთი აკმაყოფილებს ნასყიდობის გაუქმებისათვის გათვალისწინებულ პირობებს, მესამე პირის მიერ ნივთის მიმართ იძულებითი აღსრულება არ წარმოადგენს გამყიდველის უფლებებისათვის ხელის შემშლელ გარემოებას.

1742. უძრავი ნივთის გამყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის გაუქმება მყიდველის მიერ მასზე დაკისრებული ერთ-ერთი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება სპეციალურად შეიცავს დათქმას ამ უფლების შესახებ.

თუ გამყიდველი აკმაყოფილებს ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის პირობებს, ის ვალდებულია განახორციელოს თავისი უფლება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის განმავლობაში.

1743. უძრავი ნივთის გამყიდველმა, რომელსაც სურს გაუქმების პირობის გამოყენება, მოთხოვნა უნდა წარუდგინოს მყიდველს და, საჭიროების შემთხვევაში, — ნებისმიერ შემდგომ შემძენს, აღმოფხვრას ვადის გადაცილება მოთხოვნის მიწის რეესტრში რეგისტრაციიდან 60 დღის განმავლობაში; საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მიმართ გამოიყენება პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნში მოცემული გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღებასთან დაკავშირებული წესები და ამ უფლების განხორციელებამდე გასატარებელი ღონისძიებები.

გამყიდველი, რომელიც იბრუნებს ნივთს გაუქმების პირობის რეალიზაციის შედეგად, იღებს ამ ნივთს თავისუფალს იმ ნებისმიერი უფლებრივი ტვირთის გარეშე, რომელთა მასზე დადგენაც მყიდველმა შეძლო მას შემდეგ, რაც გამყიდველმა მოახდინა თავისი უფლებების რეგისტრაცია.

§ 7. — ნასყიდობის სხვადასხვა ფორმები

1 — ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით (Trial sales)

1744. ივარაუდება, რომ ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით დადებულია გადადების პირობით.

როდესაც მოწონებისათვის ვადა არ არის დადგენილი, პირობა სრულდება მყიდველის მიერ გამყიდველისათვის ნივთის გადაცემიდან 30 დღის განმავლობაში თავისი უარის შეუტყობინებლობით.

2 — ნასყიდობა გადახდის განვადებით

1745. ნასყიდობა გადახდის განვადებით წარმოადგენს ნასყიდობას იმ პირობით, რომ გამყიდველი ინარჩუნებს ნივთზე საკუთრების უფლებას ნასყიდობის თანხის სრულად გადახდამდე.

სატრანსპორტო საშუალების ან რეგულაციებით განსაზღვრული სხვა მოძრავი ნივთის ან მომსახურებისა თუ საწარმოს მართვისათვის შეძენილი ნებისმიერი მოძრავი ნივთის მიმართ პირობადებული საკუთრება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა; პირობადებული საკუთრების მესამე პირების მიმართ გამოყენება შესაძლებელია ნასყიდობის დღიდან იმ პირობით, რომ ის ქვეყნდება 15 დღის ვადაში. ანალოგიურად, პირობადებული საკუთრების გადაცემაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა.

1746. გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველზე გადადის ქონების შემთხვევით დაღუპვის რისკი, გარდა სამომხმარებლო ხელშეკრულების შემთხვევისა, ან როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

1747. მყიდველზე დაკისრებული დარჩენილი თანხა ექვემდებარება გადახდას იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის გაყიდვა ხორციელდება სასამართლოს კონტროლის ქვეშ, ან როდესაც მყიდველი ნივთის მიმართ თავის უფლებას უთმობს მესამე პირს გამყიდველის თანხმობის გარეშე.

1748. როდესაც მყიდველი არ იხდის ნასყიდობის ფასს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამყიდველს შეუძლია მოითხოვოს ვადამოსული თანხის ნაწილის დაუყოვნებელი გადახდა ან გაყიდული ნივთის უკან დაბრუნება; თუ ხელშეკრულება შეიცავს დათქმას ვადით მინიჭებულ სარგებელზე უარის შესახებ, გამყიდველს აღნიშნულის ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის დარჩენილი თანხის გადახდა.

1749. იმ გამყიდველის ან საკუთრების მიმღების მიმართ, რომელიც მყიდველის ვადაგადაცილებისას ირჩევს გაყიდული ნივთის უკან დაბრუნებას, გამოიყენება პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნში მოცემული იპოთეკური მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მომწესრიგებელი ნორმები; თუმცა, სამომხმარებლო ხელშეკრულების შემთხვევაში, მხოლოდ მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონში (თავი P-40.1) მოცემული წესები გამოიყენება გამყიდველის ან საკუთრების მიმღების კუთვნილი ნივთის უკან დაბრუნების უფლების განხორციელების მიმართ.

თუ პირობადებული საკუთრება ითხოვდა პუბლიკაციას, თუმცა ის არ იქნა გამოქვეყნებული, გამყიდველს ან საკუთრების მიმღებს შეუძლია უკან დაიბრუნოს ნივთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმყოფება თავდაპირველი მყიდველის ხელში; გამყიდველი ან საკუთრების მიმღები იბრუნებს ნივთს მის არსებულ მდგომარეობაში და იმ უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლითაც მყიდველმა შესაძლოა ის დატვირთა.

თუ პირობადებული საკუთრება ითხოვდა პუბლიკაციას, თუმცა ის გამოქვეყნდა მოგვიანებით, გამყიდველს ან საკუთრების მიმღებს ასევე შეუძლია დაიბრუნოს ნივთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იმყოფება თავდაპირველი მყიდველის ხელში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობადებული საკუთრების შესახებ დათქმა გამოქვეყნდა თავდაპირველი მყიდველის მიერ ნივთის გაყიდვამდე, რა დროსაც გამყიდველს ან საკუთრების მიმღებს ასევე შეუძლია დაიბრუნოს ნივთი, თუ ის იმყოფება შემდგომი შემძენის ხელში; ყველა შემთხვევაში, გამყიდველი ან საკუთრების მიმღები იბრუნებს ნივთს მის არსებულ მდგომარეობაში, თუმცა მხოლოდ იმ უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, რომლითაც თავდაპირველმა მყიდველმა შესაძლოა ის დატვირთა პირობადებული საკუთრების პუბლიკაციის მომენტში და რომელიც უკვე გამოქვეყნდა.

3 — ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით

1750. ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით წარმოადგენს ნასყიდობას გაუქმების პირობით, რომლითაც გამყიდველი მყიდველს გადასცემს საკუთრების უფლებას მისი გამოსყიდვის უფლების შენარჩუნებით.

სატრანსპორტო საშუალების ან რეგულაციებით განსაზღვრული სხვა მოძრავი ნივთის ან მომსახურებისა თუ საწარმოს მართვისათვის შეძენილი

ნებისმიერი მოძრავი ნივთის მიმართ გამოსყიდვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა; გამოსყიდვის უფლების მესამე პირების მიმართ გამოყენება შესაძლებელია ნასყიდობის დღიდან იმ პირობით, რომ ის ქვეყნდება 15 დღის ვადაში. ანალოგიურად, გამოსყიდვის უფლების გადაცემაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა.

1751. გამყიდველმა, რომელსაც სურს გამოსყიდვის უფლების განხორციელება და ნივთის უკან დაბრუნება, თავისი განზრახვის შესახებ უნდა შეატყობინოს მყიდველს და თუ გამოსყიდვის უფლება გამოქვეყნდა, — ნებისმიერ შემდგომ შემძენს, რომლის მიმართაც მას განზრახული აქვს თავისი უფლების რეალიზაცია. თუ გამოსყიდვის უფლება გამოქვეყნდა, შეტყობინება ასევე უნდა გამოქვეყნდეს; ასეთ დროს საქმე გვაქვს 20 დღით ადრე განხორციელებულ შეტყობინებასთან მოძრავი ქონების შემთხვევაში და 60 დღით ადრე განხორციელებულ შეტყობინებასთან — უძრავი ქონების შემთხვევაში. სამომხმარებლო ხელშეკრულების შემთხვევაში, 20-დღიანი ვადა იზრდება 30 დღემდე.

1752. როდესაც გამყიდველი ახორციელებს თავის გამოსყიდვის უფლებას, ის იღებს ამ ნივთს თავისუფალს იმ ნებისმიერი უფლებრივი ტვირთის გარეშე, რომელთა მასზე დადგენაც მყიდველმა შეძლო იმ პირობით, რომ გამყიდველის უფლება — იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი საჭიროებს პუბლიკაციას, — გამოქვეყნდა დროულად და უფლებათა პუბლიკაციასთან დაკავშირებული წესების შესაბამისად.

1753. დაუშვებელია გამოსყიდვის უფლებაზე შეთანხმება ხუთ წელზე მეტი ვადით. თუ ვადა აღემატება ხუთ წელს, ის მცირდება ხუთ წლამდე.

1754. თუ გამოსყიდვის უფლებით დატვირთული ქონების იდეალური წილის მყიდველი იძენს მთელ ქონებას გაყოფის სამართლებრივი შედეგის გზით, მას შეუძლია დაავალდებულოს გამყიდველი, დაიბრუნოს მთელი ქონება, თუ გამყიდველს სურს თავისი უფლების რეალიზაცია.

1755. როდესაც ნასყიდობა ხორციელდება რამდენიმე პირის მიერ ერთობლივად ერთი ხელშეკრულების დადების გზით ან როდესაც გამყიდველს რამდენიმე მემკვიდრე რჩება, მყიდველს შეუძლია შეეწინააღმდეგოს ქონების ნაწილის დაბრუნებას და მოსთხოვოს თანაგამყიდველს ან თანამემკვიდრეს მთელი ქონების დაბრუნება.

სხვა მხრივ, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, ერთობლივ ან დაყოფად ვალდებულებებთან დაკავშირებული წესები გამოიყენება გამოსყიდვის იმ უფლების რეალიზაციის მიმართ, რომელიც არსებობს რამდენიმე გამყიდველის სასარგებლოდ, რამდენიმე მყიდველის მიმართ ან მათ მემკვიდრეებს შორის.

1756. როდესაც გამოსყიდვის უფლების მიზანია სესხის უზრუნველყოფა, გამყიდველი მიიჩნევა მსესხებლად, ხოლო შემძენი კი, — იპოთეკარად. თუმცა, გამყიდველი არ კარგავს თავისი გამოსყიდვის უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენი იცავს პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნში მოცემული იპოთეკური მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის მომწესრიგებელ ნორმებს.

4 —
ნასყიდობა აუქციონის გზით

1757. ნასყიდობა აუქციონის გზით წარმოადგენს ნასყიდობას, რომლითაც ქონების გასაყიდად შეთავაზება ხდება რამდენიმე პირისათვის შუამავალი მესამე პირის — აუქციონის მომწყობის მეშვეობით და ის ცხადდება გაყიდულად აუქციონის იმ მონაწილეზე, რომელიც სთავაზობს უკანასკნელ და ყველაზე მაღალ თანხას.

1758. სასამართლო აღმასრულებლის მიერ სასამართლოს კონტროლის ქვეშ აუქციონის გზით ნასყიდობა ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა (თავი C-25.01) და წინამდებარე ქვეგანყოფილების ნორმების შესაბამისად, ასევე, რამდენადაც სახეზე არ არის შეუთავსებლობა, — სასამართლო აღმასრულებლის მიერ გამოქვეყნებულ ნასყიდობის შესახებ შეტყობინებაში მითითებული სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

1759. გამყიდველს შეუძლია დაადგინოს ნასყიდობის საწყისი ფასი (reserve price) ან გაყიდვის ნებისმიერი სხვა პირობა. დაუშვებელია ნასყიდობის პირობების გამოყენება აუქციონში გამარჯვებულის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუქციონის მომწყობი ატყობინებს მათ იმ პირებს, რომლებიც სახეზე არიან შეთავაზებების მიღებამდე.

1760. გამყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს აუქციონზე თავისი პიროვნების გამხელაზე, თუმცა თუ მისი პიროვნება არ არის ცნობილი აუქციონში გამარჯვებულისათვის, აუქციონის მომწყობს პირადად ეკისრება გამყიდველის ყველა ვალდებულება.

1761. აუქციონის მონაწილე ვერც ერთ მომენტში ვერ გამოითხოვს თავის შეთავაზებას.

1762. აუქციონის გზით ნასყიდობა ხორციელდება, როდესაც აუქციონის მომწყობი აცხადებს ნივთს გაყიდულად უკანასკნელ შემთავაზებელზე. აუქციონში გამარჯვებულის სახელისა და შეთავაზების რეგისტრაცია აუქციონის მომწყობის რეესტრში ქმნის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მტკიცებულებას; ასეთი რეგისტრაციის განუხორციელებლობისას მტკიცება დასაშვებია მოწმეთა ჩვენებებითაც.

1763. უძრავი ქონების გამყიდველმა და აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა გააფორმონ 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ამ მოთხოვნას ნებისმიერი მხარე დააყენებს.

1764. (გაუქმებულია)

1765. თუ მყიდველი არ გადაიხდის ფასს ნასყიდობის პირობების შესაბამისად, გამყიდველის კუთვნილ სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივ საშუალებებთან ერთად, აუქციონის მომწყობს შეუძლია ცრუ შეთავაზების გამო გადაყიდოს ნივთი ჩვეულებების შესაბამისად და საკმარისი შეტყობინების წარდგენის შემდეგ.

ცრუ შემთავაზებელი ვეღარ განახორციელებს შეთავაზებას ნივთის გადაყიდვისას. ის ვალდებულია გადაიხადოს ნივთის გაყიდვის მომენტში არსებულ ფასსა და გადაყიდვის ფასს შორის სხვაობა, თუმცა ცრუ შემთავაზებელი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ნებისმიერი ნამეტი თანხა. იძულებითი გაყიდვის შემთხვევაში, ცრუ შემთავაზებელი პასუხისმგებელია მისი ბრალით წარმოშობილი ყველა პროცენტის, ხარჯისა და საკომპენსაციო თანხისათვის გამყიდველისა და იმ პირის წინაშე, ვისაც ჩამოერთვა ნივთი, და ასევე — იმ კრედიტორების წინაშე, რომელთა სასარგებლოდაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება.

1766. აუქციონში გამარჯვებულს, რომლის აუქციონზე შეძენილი საკუთრების უფლება ირღვევა გამყიდველის კრედიტორის მიერ ნივთის ჩამორთმევის შედეგად, შეუძლია გამყიდველისაგან დაიბრუნოს გადახდილი ნასყიდობის ფასის თანხა პროცენტითა და ხარჯების ანაზღაურებით. მას ასევე შეუძლია ნასყიდობის ფასის თანხა პროცენტთან ერთად დაიბრუნოს გამყიდველის იმ კრედიტორებისაგან, რომლებსაც ეს თანხა გადაერიცხათ, თუმცა მათ შეუძლიათ მის მიმართ გამოიყენონ თავდაპირველად გამყიდველის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელების მოთხოვნის უფლება (benefit of discussion).

აუქციონში გამარჯვებულს შეუძლია ასევე იძულებითი აღსრულების განმახორციელებლი კრედიტორისაგან მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც წარმოადგენს იძულებითი აღსრულების ან გაყიდვის პროცესში ნებისმიერი უსწორობის შედეგს.

§ 8. — გაუქმებულია

1767. (გაუქმებულია)

1768. (გაუქმებულია)

1769. (გაუქმებულია)

1770. (გაუქმებულია)

1771. (გაუქმებულია)

1772. (გაუქმებულია)

1773. (გაუქმებულია)

1774. (გაუქმებულია)

1775. (გაუქმებულია)

1776. (გაუქმებულია)

1777. (გაუქმებულია)

1778. (გაუქმებულია)

§ 9. — განსაზღვრული არამატერიალუარი ქონებრივი სიკეთის ნასყიდობა

1 —
მემკვიდრეობის უფლებების ნასყიდობა

1779. თუ მემკვიდრეობის უფლებების გამყიდველი დეტალურად არ მიუთითებს იმ ქონებას, რასაც ეხება უფლებები, ის იძლევა მხოლოდ მისი, როგორც მემკვიდრის, სტატუსის გარანტიას.

1780. გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს მის მიერ მიღებული ნაყოფი და შემოსავლები ნებისმიერი ვადამოსული მოთხოვნის ძირითად თანხასთან და მის მიერ გაყიდული იმ ნებისმიერი ქონების ფასის თანხასთან ერთად, რომელიც წარმოადგენდა მემკვიდრეობის ნაწილს.

1781. მყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს გამყიდველს მემკვიდრეობის ის ვალები და სალიკვიდაციო ხარჯები, რომლებიც გამყიდველმა დაფარა, და ასევე — ყველა ის თანხა, რომელიც სამკვიდრო ქონებიდან მას ეკუთვნის.

მყიდველმა ასევე უნდა გადაიხადოს მემკვიდრეობის ის ვალები, რაზეც პასუხისმგებელია გამყიდველი.

2 —
სადავო უფლებების ნასყიდობა

1782. სადავოა უფლება, როდესაც ის გაურკვეველი, გასაჩივრებული ან სადავოა მოვალის მიერ მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა სასარჩელო წარმოება ან არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისა, რომ აღნიშნული აუცილებელი გახდება.

1783. ნასყიდობის აბსოლუტური ბათილობის შიშით დაუშვებელია მოსამართლის, ადვოკატის, ნოტარიუსის ან სასამართლოს მოხელის მიერ სადავო უფლებების შეძენა.

1784. როდესაც იყიდება სადავო უფლებები, პირი, რომლის მიმართაც ხდება მოთხოვნის წარდგენა, სრულად თავისუფლდება ვალდებულებისაგან მყიდველისათვის ნასყიდობის ფასის გადახდით, ხარჯებისა და ნასყიდობის ფასის თანხაზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურებით, რომელიც გამოითვლება გადახდის განხორციელების დღიდან.

აღნიშნული უარის თქმის უფლების განხორციელება დაუშვებელია, როდესაც ნივთის მიყიდვა ხდება კრედიტორისათვის მის მიმართ შესასრულებელი გადახდის სანაცვლოდ, ასევე — გაყიდული უფლებების თანამემკვიდრის ან თანამესაკუთრისათვის ანდა იმ ქონების მფლობელისათვის, რომელსაც ეხება უფლება. ასევე აღნიშნული უფლების განხორციელება დაუშვებელია, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ადასტურებს გაყიდულ უფლებებს, ან როდესაც უფლებები დადგენილ იქნა და საქმე მზადაა სასამართლოში განსახილველად.

განყოფილება 2
საცხოვრებელი ფართის ნასყიდობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები

1785. მშენებლის ან მენაშენე კომპანიის მიერ არსებული ან დაგეგმილი საცხოვრებელი სახლის იმ ფიზიკური პირისათვის მიყიდვას, რომელიც იძენს მას ცხოვრების მიზნით, წინ უნდა უძღვოდეს წინარე ხელშეკრულება, რომლითაც პირი ახდენს უძრავი ქონების ყიდვის შეპირებას მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა ნასყიდობა მიწის ნაკვეთზე გამყიდველის უფლებების მისთვის გადაცემას.

პირობა, რომლითაც შემპირებელს შეუძლია უარი თქვას თავის შეპირებაზე დოკუმენტის ხელმოწერიდან 10 დღის განმავლობაში, უნდა შეტანილ იქნეს წინარე ხელშეკრულებაში.

1786. გამყიდველისა და შემპირებლის სახელისა და მისამართის, შესასრულებელი სამუშაოს, ნასყიდობის ფასის, გადაცემის თარიღისა და უძრავ ქონებაზე დადგენილი სანივთო უფლებების გარდა, წინარე ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს უძრავი ქონების მახასიათებლებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას, ხოლო როდესაც ნასყიდობის ფასი ექვემდებარება გადახედვას, — ასევე გადახედვის პირობებს.

როდესაც წინარე ხელშეკრულებაში უარის თქმის უფლების განხორციელების შემთხვევისათვის გათვალისწინებულია კომპენსაცია, ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს შეთანხმებული ნასყიდობის ფასის 0,5%-ს.

1787. როდესაც იყიდება წილადი საკუთრების რეჟიმში არსებული უძრავი ქონების დანაყოფი ან საცხოვრებელი ფართის იდეალური წილი, რომელიც მოიცავს ან ქმნის, სულ ცოტა, 10 საცხოვრებელი ბინისაგან შემდგარ სამშენებლო საქმიანობის შემადგენელ ნაწილს, გამყიდველმა წინარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში შემპირებელს უნდა გადასცეს მემორანდუმი; მან ასევე უნდა წარმოადგინოს მემორანდუმი იმ შემთხვევაში, როდესაც იყიდება საცხოვრებელი ფართი, რომელიც ქმნის, სულ ცოტა, 10 საცხოვრებელი

ბინისაგან შემდგარ სამშენებლო საქმიანობის შემადგენელ ნაწილს, და აქვს კეთილმოწყობის საერთო საშუალებები.

მემორანდუმი შემპირებელს უნდა გადაეცეს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც წილადი საკუთრების რეჟიმში არსებული უძრავი ქონების იგივე დანაყოფი იყიდება რამდენიმე პირზე, რომლებიც ამის მეშვეობით იძენენ დანაყოფის პერიოდულ და მიმდევრობით სარგებლობის უფლებას.

1788. მემორანდუმი ავსებს წინარე ხელშეკრულებას. ის შეიცავს არქიტექტორების, ინჟინრების, მშენებლებისა და მენაშენეთა სახელებს, ობიექტის სრულ სამშენებლო პროექტის გეგმასა და, საჭიროების შემთხვევაში, — პროექტის გენერალურ სამშენებლო გეგმასა და აღწერილობითი სპეციფიკაციების მოკლე რეზიუმეს. ის ასევე შეიცავს პერსპექტიულ ხარჯთაღრიცხვას, უთითებს კეთილმოწყობის საერთო საშუალებებზე და შეიცავს ინფორმაციას უძრავი ქონების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, — იმ ემფიტევზისისა თუ აღნაგობის უფლებების შესახებ, რომლითაც დატვირთულია ეს უძრავი ქონება.

მემორანდუმს უნდა დაერთოს საერთო საკუთრების შესახებ განცხადების ან იდეალური საერთო საკუთრების შესახებ ხელშეკრულებისა და უძრავი ქონების შინაგანაწესის რეზიუმე ან ასლი, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია დოკუმენტების პროექტების სახით.

1789. როდესაც იყიდება წილადი საკუთრების რეჟიმში არსებული უძრავი ქონების დანაყოფი, მემორანდუმი შეიცავს ინფორმაციას უძრავი ქონების მენაშენის ან მშენებლის მიერ ინდივიდუალურ ან საერთო ნაწილებზე დადებული ქირავნობის ხელშეკრულებების შესახებ და უთითებს დანაყოფების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც მენაშენის ან მშენებლის მიერ გამიზნულია ქირავნობისათვის.

1790. როდესაც მენაშენე ან მშენებელი ქირავნობის ხელშეკრულებებს დებს მემორანდუმში მითითებულზე მეტი რაოდენობით, თანამესაკუთრეთა სინდიკატს გამქირავებლისა და დამქირავებლისათვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის შეწყვეტა. თუ სახეზეა რამდენიმე ქირავნობა, რომელთა რაოდენობაც აღემატება მაქსიმალურ ოდენობას, პირველად წყდება ყველაზე ბოლოს დადებული ქირავნობის ხელშეკრულებები.

1791. პერსპექტიული ხარჯთაღრიცხვა უნდა მომზადდეს უძრავი ქონების ერთწლიანი სრული დაკავებიდან გამომდინარე; წილადი საკუთრების რეჟიმში არსებული უძრავი ქონების შემთხვევაში, აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა მზადდება დროის იმ პერიოდისათვის, რომლის ათვლაც იწყება საერთო საკუთრების შესახებ განცხადების რეგისტრაციის დღეს.

კერძოდ, ხარჯთაღრიცხვა შეიცავს ანგარიშს ვალებისა და მოთხოვნების შესახებ, ასევე — შემოსავლების, გასავლებისა და საერთო ხარჯების შესახებ. ის თითოეული დანაყოფისათვის უთითებს ასევე ქონების გადასახადების სავარაუდო თანხას, ასეთი გადასახადების განაკვეთსა და ყოველწლიურად დასაფარ ხარჯებს, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, — საგანგებო ფონდში შენატანს.

1792. საერთო საკუთრებაში უძრავი ქონების დანაყოფის ნასყიდობა შეიძლება გაუქმდეს ყოველგვარი ფორმალობების გარეშე, თუ საერთო საკუთრების შესახებ განცხადება არ ტარდება რეგისტრაციაში 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც ის შეიძლება გატარდეს რეგისტრაციაში უფლებათა პუბლიკაციის შესახებ წიგნის ნორმების შესაბამისად.

1793. საცხოვრებელი ფართის ნასყიდობა, რომელსაც წინ არ უძღვის წინარე ხელშეკრულება, შეიძლება გაბათილდეს მყიდველის განცხადების საფუძველზე, თუ აჩვენებს, რომ ის ამის შედეგად განიცდის მნიშვნელოვან ზიანს.

1794. მენარდის მიერ თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ნასყიდობა, არსებულ ან დაგეგმილ საცხოვრებელ ფართთან ერთად, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, ექვემდებარება ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულებებში (contracts of enterprise or for services) გარანტიებთან დაკავშირებულ წესებს. ეს წესები გამოიყენება ასევე მენაშენე კომპანიის მიერ განხორციელებული ნასყიდობების მიმართაც.

განყოფილება 3
ნასყიდობის მსგავსი სხვადასხვა ხელშეკრულებები

§ 1. — გაცვლა

1795. გაცვლა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეები ერთმანეთს გადასცემენ საკუთრების უფლებას ქონებაზე, გარდა ფულადი თანხისა.

1796. როდესაც ერთ-ერთი მხარე, თუნდაც მისთვის გაცვლის მიზნით გადაცემული ქონების მიღების შემდეგ, დაამტკიცებს, რომ მეორე მხარე არ იყო ქონების მესაკუთრე, დაუშვებელია მისი იძულება, გადასცეს მის მიერ შეპირებული სანაცვლო ქონება, არამედ მას შეიძლება დაევალოს მხოლოდ მის მიერ მიღებული ქონების დაბრუნება.

1797. მხარეს, რომელსაც ჩამოერთვა მის მიერ გაცვლის მიზნით მიღებული ქონება, შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან მის მიერ გადაცემული ქონების დაბრუნება.

1798. ყველა სხვა მხრივ, გაცვლის ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები.

§ 2. — ქონების გადაცემა გადახდის სანაცვლოდ

1799. ქონების გადაცემა გადახდის სანაცვლოდ წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მოვალე ქონებაზე საკუთრებას გადასცემს თავის კრედიტორს, რომელიც თანახმაა ის მიიღოს ფულადი თანხის ან მისთვის განკუთვნილი რაიმე სხვა ქონების სანაცვლოდ და მისი შესრულების ანგარიშში.

1800. ქონების გადაცემა გადახდის სანაცვლოდ ექვემდებარება ნასყიდობის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებს და იმ პირს, რომელიც ამგვარად გადასცემს ქონებას, ეკისრება იგივე გარანტიების მიცემა, რაც გამყიდველს.

ქონების გადაცემა გადახდის სანაცვლოდ ხორციელდება მხოლოდ ქონების ფაქტობრივი გადაცემით.

1801. ნებისმიერი დათქმა, რომლითაც კრედიტორი თავისი მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ინარჩუნებს უფლებას, შეუქცევადად გახდეს ქონების მესაკუთრე ან განკარგოს ეს ქონება, ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი.

§ 3. — გასხვისება ქირის თანხის სანაცვლოდ

1802. გასხვისება ქირის თანხის სანაცვლოდ წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამქირავებელი გადასცემს დამქირავებელს უძრავი ქონების საკუთრებას იმ ქირის თანხის მიღების სანაცვლოდ, რომლის გადახდასაც ეს უკანასკნელი თავად კისრულობს.

ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს ფულადი სახით ან ნატურით ქირის დადგენის თარიღიდან ყოველი წლის ბოლოს.

1803. დამქირავებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გაითავისუფლოს თავი ქირის ყოველწლიური გადახდებისაგან ქირის ძირითადი თანხის ანაზღაურების შეთავაზებითა და განხორციელებული გადახდების უკან დაბრუნებაზე უარის თქმით, თუმცა ის ვერ შეცვლის მზღვეველს იმისათვის, რათა გადახდები განახორციელოს მის ნაცვლად.

1804. დამქირავებელი პირადად პასუხისმგებელია გამქირავებლის წინაშე ქირის გადახდაზე. ის არ თავისუფლდება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებისაგან უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვებით ან დაუძლეველი ძალის შედეგად მისი განადგურებით.

1805. ყველა სხვა მხრივ, ქირის თანხის სანაცვლოდ გასხვისების ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება ნასყიდობისა და ანუიტეტების მომწესრიგებელი ნორმები.

თავი 2
ჩუქება

განყოფილება 1
ჩუქების ბუნება და ფარგლები

1806. ჩუქება არის ხელშეკრულება, რომლითაც პირი, გამჩუქებელი, უსასყიდლოდ გადასცემს საკუთრების უფლებას ქონებაზე სხვა პირს, დასაჩუქრებულს; დანაწევრებული საკუთრების უფლება ან პირის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი სხვა უფლებაც ასევე შეიძლება გადაცემულ იქნეს ჩუქებით.

ჩუქება შეიძლება იყოს inter vivos ან mortis causa.

1807. ჩუქება inter vivos წარმოადგენს ისეთ გარიგებას, რომლის დროსაც გამჩუქებელი ფაქტობრივად თმობს ქონებას იმ გაგებით, რომ ის ჩვეულებრივ ხდება დასაჩუქრებულის მოვალე.

გამჩუქებლის ქონების დათმობას ხელი არ ეშლება იმაში, რომ იყოს რეალური იმ ფაქტით, რომ ნივთის საკუთრებაში ან მფლობელობაში გადაცემა დამოკიდებულია ვადაზე ან რომ საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება გარკვეული და განსაზღვრული ქონების მიმართ, რომლის შეძენასაც კისრულობს გამჩუქებელი, ან — მხოლოდ სახეობის მიხედვით განსაზღვრული ქონება, რომლის მფლობელობაში გადაცემასაც კისრულობს გამჩუქებელი.

1808. ჩუქება mortis causa წარმოადგენს ისეთ გარიგებას, რომლის დროსაც გამჩუქებლის მხრიდან ქონებას დათმობა დამოკიდებულია მისი გარდაცვალების ფაქტზე და ჩუქებას ადგილი აქვს მხოლოდ აღნიშნულ მომენტში.

1809. მოქმედება, რომლითაც პირი უარს აცხადებს იმ უფლებაზე, რომელიც მას ჯერ არ შეუძენია ან უპირობოდ უარს აცხადებს მემკვიდრეობაზე ან ლეგატზე, არ ქმნის ჩუქებას.

1810. ანაზღაურებადი ჩუქება ან ნაჩუქრობა ვალდებულების კისრებით ქმნის ჩუქებას მხოლოდ იმ ღირებულების ნაწილში, რომელშიც ის აღემატება ანაზღაურებას ან ვალდებულებას.

1811. არაპირდაპირი ნაჩუქრობები და შენიღბული ნაჩუქრობები, გარდა მათ ფორმასთან დაკავშირებული საკითხებისა, რეგულირდება წინამდებარე თავის ნორმებით.

1812. ჩუქების შეპირება არ ქმნის ჩუქებას, არამედ შეპირების ბენეფიციარს ანიჭებს მხოლოდ უფლებას, შემპირებლის მიერ თავისი შეპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ სარგებლის ოდენობით, რომლებიც გასცა ბენეფიციარმა, ასევე — მოითხოვოს მის მიერ შეპირების სანაცვლოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

განყოფილება 2
ჩუქებასთან დაკავშირებული განსაზღვრული პირობები

§ 1. — ქონების გაჩუქებისა და ნაჩუქრობის მიღების უნარი

1813. არასრულწლოვანს ან სრული ასაკის დაცულ პირს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოდგენილია მისი მეურვის ან მზრუნველის მიერ, შეუძლია მხოლოდ მცირე ღირებულების მქონე ქონების გაჩუქება ან ჩვეულებრივი საჩუქრების გაკეთება საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ნორმების გათვალისწინების პირობით.

1814. მამებსა და დედებს ან მეურვეებს შეუძლიათ მიიღონ არასრულწლოვანის ან, თუ ბავშვი იბადება ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი, მაშინ ჩასახული, თუმცა ჯერ დაუბადებელი, შვილის მიმართ გაკეთებული ნაჩუქრობა.

მხოლოდ მეურვეს ან მზრუნველს შეუძლია მიიღოს სრული ასაკის პირის მიმართ გაკეთებული ნაჩუქრობა. თუმცაღა, მიუხედავადა ამისა, არასრულწლოვანს ან სრული ასაკის დაცულ პირს, რომელსაც ჰყავს მეურვე, შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედებისას მიიღოს მცირე ღირებულების მქონე ქონების ნაჩუქრობა ან ჩვეულებრივი საჩუქრები.

1815. სრული ასაკის პირს, რომელიც ნაჩუქრობის მიღებისათვის საჭიროებს მისთვის დანიშნული მრჩევლის დახმარებას, ასევე შეუძლია ქონების გაჩუქება, თუ ამაში მას ეხმარება მრჩეველი.

§ 2. — ჩუქების ნამდვილობის მომწესრიგებელი განსაზღვრული ნორმები

1816. ქონების გაჩუქება იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, ან რომელიც არ არის ვალდებული მის გადაცემაზე ანდა არ არის უფლებამოსილი აღნიშნულზე, ბათილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამჩუქებელმა პირდაპირ იკისრა ქონების შეძენის ვალდებულება.

1817. ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების მესაკუთრის, დირექტორის ან თანამშრომლისათვის ქონების ჩუქება, რომელიც არ წარმოადგენს არც გამჩუქებლის მეუღლესა და არც ახლო ნათესავს, ბათილია, თუ ის განხორციელდა იმ დროს, როდესაც გამჩუქებელი აღნიშნულ დაწესებულებაში იმყოფებოდა ზრუნვის ქვეშ ან იღებდა მომსახურებას.

ასევე ბათილია შვილად ამყვანი ოჯახის წევრისათვის ქონების ჩუქება იმ დროს, როდესაც მოანდერძე ცხოვრობდა ამ ოჯახში.

1818. ჩუქება inter vivos ნამდვილია მხოლოდ არსებული ქონების მიმართ.

სამომავლო ქონების ჩუქება განიხილება როგორც mortis causa, თუმცა არსებული და სამომავლო ქონების ერთად ჩუქება განიხილება როგორც mortis causa მხოლოდ სამომავლო ქონების მიმართ.

1819. ჩუქება mortis causa ბათილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ხორციელდება საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე ან მისი შენარჩუნება შესაძლებელია ლეგატის სახით.

1820. გამჩუქებლის სასიკვდილოდ მიჩნეული ავადმყოფობის დროს განხორციელებული ჩუქება ბათილია, როგორც ჩუქება mortis causa, მიუხედავად იმისა, მოჰყვა თუ არა მას პირის გარდაცვალება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებების შესაბამისად ის შესაძლოა გახდეს ნამდვილი.

მიუხედავად აღნიშნულისა, თუ გამჩუქებელი გამოჯანმრთელდება და ტოვებს დასაჩუქრებულს მშვიდ მფლობელობაში სამი წლის განმავლობაში, ბათილობა აღმოიფხვრება.

1821. ბათილია ჩუქება inter vivos, რომელიც დასაჩუქრებულს აკისრებს ვალდებულებას, გადაიხადოს სხვა ვალები ან ვალდებულებები, გარდა იმ ვალების ან ვალდებულებებისა, რომლებიც არსებობს ჩუქების მომენტში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ სხვა ვალებისა თუ ვალდებულებების ბუნება განისაზღვრება ხელშეკრულებაში.

1822. ბათილია ჩუქება inter vivos, რომელიც შეთანხმების თანახმად შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ გამჩუქებლის თვითნებობით, თუნდაც ის ხორციელდება საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე.

1823. ჩუქება inter vivos შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სპეციალური სამართლებრივი საფუძვლით; სხვა შემთხვევაში, ის აბსოლუტურად ბათილია.

§ 3. — ჩუქების ფორმა და პუბლიკაცია

1824. აბსოლუტური ბათილობის შიშით მოძრავი ან უძრავი ქონების ჩუქება ხორციელდება საჯარო სანოტარო აქტით და უნდა გასაჯაროვდეს.

აღნიშნული წესები არ გამოიყენება, როდესაც მოძრავი ქონების ჩუქების შემთხვევაში მხარეთა თანხმობას თან ახლავს ნივთის გადაცემა და მასზე დაუყოვნებელი მფლობელობა.

განყოფილება 3
მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

§ 1. — ზოგადი დებულებები

1825. გამჩუქებელი ნივთის მიწოდებას ახდენს მისი დასაჩუქრებულის მფლობელობაში გადაცემით ან მისთვის ნივთზე მფლობელობის მიღების უფლების მინიჭებით ყველა დაბრკოლების აღმოფხვრასთან ერთად.

1826. გამჩუქებელი ვალდებულია გადასცეს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც მას აქვს მიცემული ქონების მიმართ.

1827. დასაჩუქრებულს შეუძლია დაიბრუნოს ის თანხა, რომელიც მან გადაიხადა ქონების მიმართ მესამე პირისათვის მინიჭებული უფლებისაგან გათავისუფლებისათვის ან ქონებაზე არსებული ვალდებულების შესრულებისათვის მხოლოდ იმ ოდენობით, რომელშიც გადახდილი თანხა აღემატება დასაჩუქრებულის მიერ ჩუქებიდან მიღებულ სარგებელს.

თუმცა, იმ დასაჩუქრებულს, რომელსაც ჩამოერთვა ნაჩუქარი ქონება, შეუძლია აინაზღაუროს გამჩუქებლისაგან ჩუქებასთან დაკავშირებით გაღებული ხარჯები იმ ნამეტი სარგებლის ოდენობით, რომელსაც ის ჩუქებიდან იღებს, თუ ქონების ჩამორთმევა, თუნდაც სრული ან ნაწილობრივი, გამომდინარებს გადაცემული უფლების ხარვეზიდან, რის შესახებ გამჩუქებელმა იცოდა, თუმცა რომელიც მან არ გაამჟღავნა ჩუქების მომენტში.

1828. გამჩუქებელი არ არის პასუხისმგებელი მიცემული ქონების დაფარული ხარვეზისათვის.

თუმცა, ის ვალდებულია, აუნაზღაუროს დასაჩუქრებულს იმ ხარვეზის შედეგად მიყენებული ზიანი, რომელიც ვნებს მის ფიზიკურ ხელშეუხებლობას, თუ მან იცოდა ხარვეზის შესახებ და არ გაამჟღავნა ის ჩუქების მომენტში.

1829. გამჩუქებელი იხდის ხელშეკრულების დადების, ხოლო დასაჩუქრებული კი ქონების წაღების ხარჯებს.

§ 2. — გამჩუქებლის ვალები

1830. გარდა ხელშეკრულებაში ან კანონით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა, დასაჩუქრებული პასუხისმგებელია გამჩუქებლის მხოლოდ იმ ვალებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მის მიერ მიღებული აქტივებისა და პასივების ერთობლიობასთან.

§ 3. — მესამე პირების სასარგებლოდ დათქმული ვალდებულებები

1831. ჩუქება შეიძლება განხორციელდეს ვალდებულებით ან დათქმით მესამე პირის სასარგებლოდ.

1832. რამდენიმე პირის სასარგებლოდ დათქმული ვალდებულება მათი შესაბამისი წილების განსაზღვრის გარეშე ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში შედეგად იწვევს მისი წილის გაზრდას ცოცხლად დარჩენილ თანამოსარგებლეთა სასარგებლოდ.

თუმცა, როდესაც მოსარგებლეთა შესაბამისი წილები განსაზღვრულია, ერთ-ერთი მათგანის გარდაცვალება შედეგად არ იწვევს წილის ზრდას.

1833. დასაჩუქრებული პირადად პასუხისმგებელია მიცემული ქონების ვალდებულებებისათვის.

1834. თუ იმ გარემოებების გამო, რომელთა განჭვრეტაც შეუძლებელი იყო

ნაჩუქრობის მიღების მომენტში, ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ან მეტისმეტად მძიმე ხდება დასაჩუქრებულისათვის, ის შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს სასამართლოს მიერ ჩუქების საგნის ღირებულების, გამჩუქებლის განზრახვისა და გარემოებების მხედველობაში მიღებით.

1835. მესამე პირის სასარგებლოდ დათქმული ვალდებულების გაუქმება ან ბათილობა მოქმედებს დასაჩუქრებულის სასარგებლოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანიშნულია სხვა მოსარგებლე.

განყოფილება 4
ჩუქების გაუქმება უმადურობის გამო

1836. ჩუქება inter vivos შეიძლება გაუქმდეს უმადურობის გამო.

უმადურობა წარმოადგენს ჩუქების გაუქმების საფუძველს, როდესაც დასაჩუქრებულმა გამჩუქებლის მიმართ ჩაიდინა მნიშვნელოვანი გაკიცხვის ღირსი საქციელი ჩუქების ბუნების, მხარეთა შესაძლებლობებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

1837. ჩუქების გაუქმების სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ დასაჩუქრებულის სიცოცხლის განმავლობაში და ერთი წლის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც უმადურობა გახდა ჩუქების გაუქმების საფუძველი ანდა იმ დღიდან, როდესაც გამჩუქებელმა შეიტყო მის შესახებ.

სარჩელის წარდგენის პერიოდში გამჩუქებლის გარდაცვალება არ იწვევს სარჩელის უფლების გაუქმებას, თუმცა გამჩუქებელის მემკვიდრეებს შეუძლიათ იმოქმედონ მისი გარდაცვალებიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

1838. ჩუქების გაუქმება ავალდებულებს დასაჩუქრებულს, დაუბრუნოს გამჩუქებელს ის, რაც მან მიიღო ხელშეკრულების საფუძველზე წინამდებარე წიგნში მოცემული იმ წესების შესაბამისად, რომლებიც ეხება შესრულებულის უკან დაბრუნებას.

ჩუქების გაუქმება სამომავლო შედეგით აუქმებს ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

განყოფილება 5
საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ჩუქება

1839. საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ჩუქება შეიძლება იყოს inter vivos ან mortis causa.

ისინი ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება შედის ძალაში.

1840. ნებისმიერ პირს შეუძლია განახორციელოს ჩუქება inter vivos საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა დასაჩუქრებულები შეიძლება იყვნენ მხოლოდ მომავალი მეუღლეები, მეუღლეები, თითოეული მათგანის საკუთარი დაბადებული ან ჯერ დაუბადებელი შვილები და მეუღლეთა საერთო შვილები, თუ ისინი იბადებიან ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი.

მხოლოდ ის პირები, რომელთა შორისაც შეიძლება დაიდოს ჩუქება mortis causa, წარმოადგენენ იმ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან როგორც საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული inter vivos ჩუქების მოსარგებლეები.

1841. ჩუქება mortis causa, თუნდაც განხორციელებული სპეციალური სამართლებრივი საფუძვლით, შეიძლება გაუქმდეს.

თუმცა, თუ გამჩუქებელმა გააკეთა დათქმა, რომ ჩუქება არ ექვემდებარება გაუქმებას, მას არ შეუძლია განკარგოს ქონება უსასყიდლოდ inter vivos მოქმედებით ან ანდერძით დასაჩუქრებულისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირის თანხმობის გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჩუქება მდგომარეობს მცირე ღირებულების მქონე ქონების გადაცემაში ან ჩვეულებრივ საჩუქარში. მიუხედავად ამისა, გამჩუქებელი აგრძელებს მიცემულ ქონებაში თავისი უფლებების ფლობას და ის თავისუფალია, გაასხვისოს ის სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე.

თავი 3
ლიზინგი

1842. ლიზინგი არის ხელშეკრულება, რომლითაც პირი, ლიზინგის გამცემი, გადასცემს მოძრავ ნივთებს სხვა პირის, ლიზინგის მიმღების, განკარგულებაში განსაზღვრული ვადითა და საპასუხო დაკმაყოფილებით.

ნივთს, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის საგანს, ლიზინგის გამცემი იძენს მესამე პირისაგან ლიზინგის მიმღების მოთხოვნის საფუძველზე და მისი მითითებების შესაბამისად.

ლიზინგის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ კომერციული მიზნებისათვის.

1843. ნივთი, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის საგანს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის მიმაგრებული ან შეერთებულია უძრავ ქონებასთან, ინარჩუნებს თავისი, როგორც მოძრავი ქონების, ბუნებას მანამდე, სანამ არსებობს ხელშეკრულება იმ პირობით, რომ ის არ კარგავს თავის ინდივიდუალურობას.

1844. ლიზინგის გამცემმა უნდა განაცხადოს ლიზინგის ხელშეკრულების შესახებ შესყიდვის გარიგებაში.

1845. ნივთის გამყიდველი პირდაპირ ვალდებულია ლიზინგის მიმღების მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კანონისმიერი და სახელშეკრულებო გარანტიებით.

1846. ლიზინგის მიმღები ნივთის დაღუპვის ყოველგვარ რისკს — თუნდაც დაუძლეველი ძალით გამოწვეულ რისკებს — კისრულობს იმ მომენტიდან, როდესაც ის ნივთს მფლობელობაში იღებს.

ანალოგიურად ის კისრულობს ყოველგვარი ექსპლუატაციისა და რემონტის ხარჯებს.

1847. ლიზინგის გამცემის საკუთრების უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა; უფლებების მესამე პირების მიმართ გამოყენება შესაძლებელია ლიზინგის ხელშეკრულების დადების თარიღიდან იმ პირობით, რომ უფლებები ქვეყნდება 15 დღის განმავლობაში.

ლიზინგის გამცემის საკუთრების უფლების გადაცემაც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნდა.

1848. როგორც კი ლიზინგის გამცემი აღმოჩნდება ვადაგადაცილებაში, ლიზინგის მიმღებს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულება მიიჩნიოს გაუქმებულად, თუ ნივთის მიწოდება ლიზინგის მიმღებისათვის არ ხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან გონივრულ ვადაში ან მიწოდების მოთხოვნაში მითითებული ვადის განმავლობაში.

1849. როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება უქმდება, ხოლო ლიზინგის მიმღებმა ხელშეკრულებიდან მიიღო სარგებელი, ლიზინგის გამცემს მის მიერ ლიზინგის მიმღებისაგან მიღებული შესრულებების დაბრუნებისას შეუძლია გამოქვითოს გონივრული თანხა აღნიშნული სარგებლის გათვალისწინების მიზნით.

1850. ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტისას ლიზინგის მიმღები ვალდებულია, დაუბრუნოს ნივთი ლიზინგის გამცემს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი საჭიროების არსებობისას მან გამოიყენა მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული ნივთის ყიდვის ოფცია.

თავი 4
ქირავნობა

განყოფილება 1
ქირავნობის ბუნება

1851. ქირავნობა არის ხელშეკრულება, რომლითაც პირი, გამქირავებელი, კისრულობს ქირის სანაცვლოდ მისცეს სხვა პირს, დამქირავებელს, მოძრავი ან უძრავი ნივთით განსაზღვრული ვადით სარგებლობის საშუალება.

ქირავნობის ვადა არის განსაზღვრული ან განუსაზღვრელი.

1852. ქირავნობიდან გამომდინარე უფლებები შეიძლება გამოქვეყნდეს.

თუმცა, პუბლიკაცია სავალდებულოა იმ ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობიდან გამომდინარე უფლებების შემთხვევაში, რომელიც ეხება ავტოსატრანსპორტო საშუალებას ან რეგულაციებით განსაზღვრულ სხვა მოძრავ ნივთს, რაც მოითხოვება მომსახურებისა თუ საწარმოს მართვისათვის ამ უკანასკნელ შემთხვევაში რეგულაციებით გათვალისწინებული გამონაკლისების პირობით; უფლებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ იმ პირობით, რომ ისინი ქვეყნდება 15 დღის ვადაში; ერთი წლით ან უფრო ნაკლები ვადით დადებული ქირავნობა მიიჩნევა ერთ წელზე მეტი ვადით დადებულად, თუ ხელშეკრულების განახლების დათქმის ან იგივე სამართლებრივი შედეგის მქონე სხვა შეთანხმების მოქმედების შედეგად, ქირავნობის ვადა შეიძლება გაიზარდოს ერთ წელზე მეტი ხნით.

ქირავნობიდან გამომდინარე უფლებების გადაცემა მოითხოვს ან ის ღიაა პუბლიკაციისათვის იმისდა მიხედვით, მოითხოვს თუ არა თავად უფლებები პუბლიკაციას ან ისინი ღიაა ამისათვის.

1853. მოძრავი ნივთის ქირავნობა არ ივარაუდება; ივარაუდება, რომ პირმა, რომელიც სარგებლობს ნივთით მესაკუთრის უსიტყვო თანხმობით, ითხოვა ეს ნივთი თხოვების ხელშეკრულების (loan for use) საფუძველზე.

უძრავი ნივთის ქირავნობა ივარაუდება, როდესაც პირი იკავებს ფართს მესაკუთრის უსიტყვო თანხმობით. ქირავნობის ვადა არის განუსაზღვრელი; ქირავნობა ძალაში შედის ფართის დაკავებისთანავე და შედეგად იწვევს ქირის გადახდის ვალდებულების წარმოშობას ქირის სამართლიანი საბაზრო თანხის ოდენობით.

განყოფილება 2
ქირავნობიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები

§ 1. — ზოგადი დებულებები

1854. გამქირავებელი ვალდებულია გაქირავებული ნივთი გადასცეს დამქირავებელს ყოველმხრივ კარგ გარემონტებულ მდგომარეობაში და ქირავნობის ვადის განმავლობაში მისცეს მას ნივთით მშვიდი სარგებლობის საშუალება.

ის ასევე ვალდებულია დამქირავებელს მისცეს გარანტია იმისა, რომ შესაძლებელია ნივთის გამოყენება იმ მიზნისათვის, რისთვისაც ის გაქირავებულ იქნა და შეინარჩუნოს ნივთი ამ მიზნისათვის საჭირო მდგომარეობაში ქირავნობის მთელი ვადის განმავლობაში.

1855. დამქირავებელი ვალდებულია გადაიხადოს შეთანხმებული ქირა და ქირავნობის ვადის განმავლობაში ისარგებლოს ნივთით კეთილგონივრულად და გულისხმიერებით.

1856. ქირავნობის ვადის განმავლობაში არც გამქირავებელსა და არც დამ-

ქირავებელს არ შეუძლიათ გაქირავებული ნივთის ფორმისა თუ დანიშნულების შეცვლა.

1857. გამქირავებელს აქვს უფლება, დაადგინოს გაქირავებული ნივთის მდგომარეობა, განახორციელოს მასზე შესაბამისი სამუშაოები, ხოლო უძრავი ნივთის შემთხვევაში კი, — დაუშვას მისი მონახულება მომავალი დამქირავებლის ან შემძენის მიერ; თუმცა, ის ვალდებულია, განახორციელოს თავისი უფლება გონივრული ხერხით.

1858. გამქირავებელი ვალდებულია, მისცეს დამქირავებელს გარანტია გაქირავებული ნივთით სარგებლობის სამართლებრივი ხელის შეშლის საწინააღმდეგოდ.

კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების განხორციელებამდე დამქირავებელმა უნდა შეატყობინოს გამქირავებელს დარღვევების შესახებ.

1859. გამქირავებელი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ნივთით სარგებლობის ხელის შეშლიდან გამომდინარე მესამე პირის ქმედებით მიყენებული ზიანი; ის ასევე შეიძლება ამგვარად იყოს ვალდებული იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი ასევე წარმოადგენს აღნიშნული ნივთის დამქირავებელს ან ის წარმოადგენს ისეთ პირს, რომელსაც დამქირავებელი ნებას რთავს, ისარგებლოს ნივთით ან ხელმისაწვდომს ხდის მას.

თუმცაღა, თუ ხელის შეშლის გამო ნივთით სარგებლობა შემცირებულია, დამქირავებელი გამქირავებლის მიმართ ინარჩუნებს კუთვნილ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებს.

1860. დამქირავებელი ვალდებულია, იმოქმედოს იმგვარად, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა დამქირავებლებს ნორმალურ სარგებლობაში.

გამქირავებლისა და სხვა დამქირავებლების მიმართ ის ვალდებულია, აანაზღაუროს აღნიშნული ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანი მიუხედავად იმისა, დარღვევა გამოწვეულია მისი საკუთარი მოქმედებით თუ იმ პირთა მოქმედებით, რომლებსაც დამქირავებელი ნებას რთავს, ისარგებლონ ნივთით ან მათთვის ხელმისაწვდომს ხდის მას.

ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის შეწყვეტა.

1861. დამქირავებელს, რომელსაც ნივთით სარგებლობაში ხელი ეშლება სხვა დამქირავებლის ან იმ პირების მხრიდან, რომლებსაც დამქირავებელი ნებას რთავს, ისარგებლონ ნივთით ან ხელმისაწვდომს ხდის მას, — გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია მიაღწიოს ქირის შემცირებას ან ქირავნობის შეწყვეტას, თუ მან შეატყობინა საერთო გამქირავებელს ხელის შეშლის შესახებ და თუ ხელის შეშლა შენარჩუნდება.

მას ასევე შეუძლია აინაზღაუროს ზარალი საერთო გამქირავებლისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამქირავებელი დაამტკიცებს, რომ ის მოქმედებდა კეთილგონივრულად და გულისხმიერებით; გამქირავებელს ბრალეული დამქირავებლის მიმართ აქვს რეგრესული მოთხოვნა მის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურებისათვის.

1862. დამქირავებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს გამქირავებელს გაქირავებული ნივთის მიერ განცდილი ნებისმიერი ზარალით გამოწვეული ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ის ზარალი არ არის გამოწვეული მისი ან იმ პირების ბრალით, რომლებსაც დამქირავებელი ნებას რთავს, ისარგებლონ ნივთით ან ხელმისაწვდომს ხდის მათთვის.

როდესაც გაქირავებულ ნივთს წარმოადგენს უძრავი ქონება, დამქირავებელი არ არის ვალდებული ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება, რომ ხანძარი გამოწვეული იყო მისი ან იმ პირების ბრალით, რომლებსაც დამქირავებელი ნებას რთავს, ისარგებლონ ნივთით ან ხელმისაწვდომს ხდის მათთვის.

1863. ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს მეორე მხარეს, იმ შემთხვევებში, როდესაც ეს დასაშვებია, ზიანის ანაზღაურებასთან ერთად მოითხოვოს ვალდებულების ნატურით შესრულება. მას ასევე შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის შეწყვეტა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს მას ან, უძრავი ნივთის ქირავნობის შემთხვევაში კი, — სხვა დროებით მფლობელებს.

ვალდებულების შეუსრულებლობა ასევე უფლებამოსილებას ანიჭებს დამქირავებელს, მოითხოვოს ქირის შემცირება; როდესაც სასამართლო ახდენს ამ უფლების მინიჭებას, გამქირავებელი თავისი ხარვეზის გამოსწორებისას მაინც უფლებამოსილია ქირის გადახდის სამომავლო აღდგენაზე.

§ 2. — რემონტი

1864. გამქირავებელი ვალდებულია ქირავნობის ვადის განმავლობაში გაქირავებული ნივთის მიმართ განახორციელოს ყველა აუცილებელი სარემონტო სამუშაო, გარდა მცირე მიმდინარე რემონტისა, რომელიც ეკისრება დამქირავებელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რემონტის აუცილებლობა გამოწვეულია ნივთის ნორმალური ცვეთის ან დაუძლეველი ძალის გამო.

1865. დამქირავებელმა უნდა დართოს გადაუდებელი და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარების ნება, რათა უზრუნველყოს გაქირავებული ნივთის შენარჩუნება ან ამ უკანასკნელით სარგებლობა.

გამქირავებელს, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ სარემონტო სამუშაოებს, შეუძლია მოსთხოვოს დამქირავებელს ფართის დროებით გათავისუფლება ან ნივთზე მფლობელობის დროებით დაბრუნება, თუმცა თუ სარემონტო სამუშაოები არ არის გადაუდებელი, მან ჯერ უნდა მიიღოს სასამართლოს ნებართვა, რომელიც ასევე ადგენს დამქირავებლის უფლებების დაცვისათვის საჭირო მოთხოვნებს.

გარემოებების შესაბამისად დამქირავებელი ინარჩუნებს უფლებას, მიაღწიოს ქირის თანხის შემცირებას, მოითხოვოს ქირავნობის შეწყვეტა ან, თუ ის დროებით ათავისუფლებს ფართს ან აბრუნებს ნივთზე მფლობელობას, — მოითხოვოს კომპენსაცია.

1866. დამქირავებელი, რომელიც შეიტყობს გაქირავებული ნივთის მნიშ-

ვნელოვანი ხარვეზის ან გაუარესების შესახებ, ვალდებულია გონივრულ ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ გამქირავებელს.

1867. როდესაც გამქირავებელი არ ასრულებს იმ სარემონტო ან კეთილმოწყობის სამუშაოებს, რის განხორციელებაზეც ის ვალდებულია ქირავნობის ხელშეკრულებისა თუ კანონის საფუძველზე, დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს აღნიშნული სამუშაოების პირადად განხორციელებაზე ნებართვის მისაღებად.

თუ სასამართლო გასცემს ნებართვას სარემონტო ან კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე, ის განსაზღვრავს მათ თანხას და ადგენს იმ პირობებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული მათი განხორციელებისას. ასეთ შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია მისი ქირის თანხიდან დააკავოს ნებადართული სამუშაოს განხორციელებისას გაწეული ხარჯების თანხა სასამართლოს მიერ დადგენილ ოდენობამდე.

1868. მას შემდეგ, რაც დამქირავებელმა სცადა გამქირავებლისათვის შეტყობინების გაგზავნა ან მან გაუგზავნა გამქირავებელს შეტყობინება და ამ უკანასკნელმა დროულად არ იმოქმედა, დამქირავებელს შეუძლია სარემონტო სამუშაოების განხორციელება ან ხარჯების გაღება თუნდაც სასამართლოს ნებართვის გარეშე იმ პირობით, რომ ეს სამუშაოები გადაუდებელი და აუცილებელია გაქირავებული ნივთის შენარჩუნების ან ამ უკანასკნელით სარგებლობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, გამქირავებელს შეუძლია ნებისმიერ დროს ჩაერთოს სამუშაოების შესრულებაში.

დამქირავებელი უფლებამოსილია, აინაზღაუროს მის მიერ აღნიშნული მიზნით გაწეული გონივრული ხარჯები; აუცილებლობის შემთხვევაში, მას შეუძლია ასეთი ხარჯების თანხის დაკავება მისი ქირის თანხიდან.

1869. დამქირავებელი ვალდებულია, წარუდგინოს გამქირავებელს ნივთზე ჩატარებული სარემონტო ან კეთილმოწყობის სამუშაოებისა და გაწეული ხარჯების ანგარიში და გადასცეს მას ასეთი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო მოძრავი ნივთის შემთხვევაში კი, — შეცვლილი ნაწილები.

გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს აუნაზღაუროს ნებისმიერი თანხა, რომელიც აღემატება დაკავებულ ქირის თანხას, თუმცა — არაუმეტეს იმ თანხისა, რომლის გაცემაზეც დამქირავებელი შესაბამის შემთხვევაში იყო უფლებამოსილი.

§ 3. — ნივთის ქვექირავნობა და ქირავნობის უფლების დათმობა

1870. დამქირავებელს შეუძლია გაქირავებული ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს ქვექირავნობით ან მოახდინოს ქირავნობის უფლების დათმობა. ორივე შემთხვევაში ის ვალდებულია, შეატყობინოს გამქირავებელს თავისი განზრახვისა და არჩეული ქვემოქირავნის ან ცესიონერის სახელისა და მისამართის შესახებ და მიიღოს გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობასა თუ ქირავნობის უფლების დათმობაზე.

1871. გამქირავებელს არ შეუძლია, უარი თქვას ქვექირავნობასა თუ ქირავნობის უფლების დათმობაზე თანხმობის მიცემაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე.

თუ გამქირავებელი აცხადებს უარს თანხმობის მიცემაზე, ის ვალდებულია შეატყობინოს დამქირავებელს თავისი მიზეზების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 დღის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა ქვექირავნობასა თუ ქირავნობის უფლების დათმობას.

1872. გამქირავებელი, რომელიც ეთანხმება ნივთის ქვექირავნობას ან ქირავნობის უფლების დათმობას, ვერ მოითხოვს რაიმე გადახდას, გარდა ნებისმიერი იმ გონივრული ხარჯების ანაზღაურებისა, რომლებიც გამომდინარეობს ქვექირავნობიდან ან ქირავნობის უფლების დათმობიდან.

1873. ქირავნობის უფლების დათმობა ათავისუფლებს თავდაპირველ დამქირავებელს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, თუ საქმე არ ეხება საცხოვრებელი ფართის ქირავნობას.

1874. როდესაც გამქირავებელი წარადგენს სარჩელს დამქირავებლის წინააღმდეგ, ქვემოქირავნე არ არის ვალდებული გამქირავებლის მიმართ ნებისმიერი თანხისათვის, გარდა ქვექირავნობის ქირის თანხისა, რომელიც მას მართებს დამქირავებლის; ქვემოქირავნე ვერ დაუპირისპირებს მას საავანსო გადახდებს.

ქვემოქირავნის მიერ განხორციელებული გადახდები იმ დათქმის საფუძველზე, რომელიც შეტანილია მისი ქირავნობის ხელშეკრულებაში და ეცნობა გამქირავებელს ან შესაბამის ადგილას მიღებული ჩვეულების შესაბამისად არ მიიჩნევა საავანსო გადახდებად.

1875. როდესაც ქვემოქირავნის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა შედეგად იწვევს გამქირავებლისათვის ან სხვა დამქირავებლებისა თუ დროებითი მფლობელებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებას, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქვექირავნობის შეწყვეტა.

1876. როდესაც გამქირავებელი არ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, ქვემოქირავნეს შეუძლია განახორციელოს დამქირავებლის კუთვნილი უფლებები აღნიშნული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

განყოფილება 3
ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

1877. განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით ვადის გასვლისას. განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ერთ-ერთი მხარის მიერ მისი შეწყვეტისას.

1878. განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება განახლდეს ახალი ვადით. განახლება უნდა იყოს პირდაპირ გამოხატული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება უძრავი ნივთის ქირავნობას, რა შემთხვევაშიც განახლება შეიძლება იყოს უსიტყვო.

1879. ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება უსიტყვოდ, როდესაც დამქირავებელი აგრძელებს ფართის დაკავებას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 10 დღეზე მეტი ვადით გამქირავებლის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე.

აღნიშნულ შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება იგივე პირობებით ერთი წლის ან თავდაპირველი ქირავნობის ხელშეკრულების ვადით, თუ ეს უკანასკნელი ერთ წელზე ნაკლები იყო. განახლებული ქირავნობის ხელშეკრულება ასევე ექვემდებარება განახლება.

1880. ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 100 წელს. თუ ის აღემატება 100 წელს, ეს უკანასკნელი მცირდება ამ ვადამდე.

1881. მესამე პირის მიერ დამქირავებლის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად მიცემული უზრუნველყოფა არ ვრცელდება განახლებულ ქირავნობის ხელშეკრულებაზე.

1882. მხარემ, რომელსაც განზრახული აქვს, შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება, ამასთან დაკავშირებით მეორე მხარეს უნდა შეატყობინოს.

შეტყობინების წარდგენისათვის დადგენილი ვადა შეესაბამება ქირის გადახდის პერიოდს ან სამ თვეს, თუ ქირის გადახდის პერიოდი სამ თვეზე ნაკლებია. თუმცა, თუ გაქირავებულ ნივთს წარმოადგენს მოძრავი ნივთი, შეტყობინების წარდგენის ვადა შეადგენს 10 დღეს მიუხედავად ქირის გადახდის პერიოდისა.

1883. დამქირავებელს, ვის მიმართაც ქირის თანხის გადაუხდელობის გამო სასამართლოში მიმდინარეობს საქმის წარმოება ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, შეუძლია თავიდან აიცილოს ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ვადამოსული ქირის თანხასა და ხარჯებთან ერთად იმ პროცენტის თანხის გადახდით, რომელიც დგინდება საგადასახადო უწყების შესახებ კანონის (თავი A-6.002) 28-ე მუხლის ან გამქირავებელთან შეთანხმებული ნებისმიერი სხვა უფრო მცირე განაკვეთის შესაბამისად.

1884. ქირავნობის ხელშეკრულება არ წყდება არც ერთი მხარის გარდაცვალებით.

1885. როდესაც უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია განსაზღვრული ვადით, დამქირავებელმა ქირავნობის მიზნებისათვის უნდა დაუშვას მისი მონახულება და შესაბამისი აბრების გაკეთება ქირავნობის ვადის გასვლამდე სამი თვის განმავლობაში ან — აღნიშნული ვადის გასვლამდე

ერთი თვის განმავლობაში, თუ ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე ნაკლები ვადით.

როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრული ვადით, დამქირავებელი ვალდებულია დაუშვას ასეთი საქმიანობა ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინების თარიღიდან.

1886. გაქირავებული ნივთის ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასხვისება ან გამქირავებლის კუთვნილი სამართლებრივი საფუძვლის გაქარწყლება ნებისმიერი სხვა მიზეზით ავტომატურად შედეგად არ იწვევს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას კანონის ძალით.

1887. შემძენს ან იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს სამართლებრივი საფუძვლის გაქარწყლებიდან, შეუძლია წინამდებარე განყოფილებაში მოცემული ხელშეკრულების შეწყვეტის მომწესრიგებელი სტანდარტული ნორმების შესაბამისად შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ ეს უკანასკნელი წარმოადგენს განუსაზღვრული ვადით დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებას.

განსაზღვრული ვადით დადებული უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში და თუ 12 თვეზე მეტი ვადაა დარჩენილი გასხვისებიდან ან სამართლებრივი საფუძვლის გაქარწყლების მომენტიდან, აღნიშნულ პირს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა 12 თვის გასვლისთანავე დამქირავებლისათვის ექვსი თვით ადრე წარდგენილი წერილობითი შეტყობინებით. მას არ შეუძლია ქირავნობის შეწყვეტა, თუ ქირავნობის უფლება რეგისტრირებულ იქნა უფლებათა რეესტრში გასხვისებამდე ან ის მოქმედება, რომლითაც სამართლებრივი საფუძველი ქარწყლდება, ამგვარად იყო რეგისტრირებული.

განსაზღვრული ვადით დადებული მოძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს ერთი თვით ადრე.

1888. გაქირავებული ნივთის სრული ექსპროპრიაცია წყვეტს ქირავნობას იმ დღიდან, როდესაც ექსპროპრიაციის განმახორციელებელ მხარეს დაერთო ნივთის მფლობელობაში მიღების ნება ექსპროპრიაციის შესახებ კანონის (თავი E-24) შესაბამისად.

ნაწილობრივი ექსპროპრიაციის შემთხვევაში, დამქირავებელს გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია მიაღწიოს ქირის თანხის შემცირებას ან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

1889. უძრავი ნივთის გამქირავებელს შეუძლია მიაღწიოს იმ დამქირავებლის მიერ უძრავი ნივთის გათავისუფლებას, რომელიც გაქირავებული ფართის დაკავებას აგრძელებს ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ ან ქირავნობის ვადის განმავლობაში ფართის გადმოცემისათვის შეთანხმებული თარიღის შემდეგ; მოძრავი ნივთის გამქირავებელს ანალოგიურ გარემოებებში შეუძლია მიაღწიოს ნივთის მისთვის გადმოცემას.

1890. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი ვალდებულია, გადასცეს ნივთი გამქირავებელს იმ მდგომარეობაში, რომელშიც მან

ის მიიღო, თუმცა ის არ არის პასუხისმგებელი იმ ცვლილებებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ცვეთით ან ჩვეულებრივი ამორტიზაციისა თუ დაუძლეველი ძალის გამო.

ნივთის მდგომარეობა შეიძლება დადგინდეს მხარეთა მიერ შედგენილი აღწერით ან გადაღებული ფოტოსურათებით; თუკი მდგომარეობა აღნიშნული საშუალებებით ვერ დგინდება, ივარაუდება, რომ დამქირავებელმა ქირავნობის დაწყების მომენტში ნივთი კარგ მდგომარეობაში მიიღო.

1891. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას დამქირავებელი ვალდებულია, მოაცილოს მის მიერ განთავსებული ყველა შენობა-ნაგებობა, საინჟინრო ნაგებობა თუ პლანტაცია.

თუ აღნიშნული ობიექტების მოცილება შეუძლებელია ნივთის დაზიანების გარეშე, გამქირავებელს შეუძლია დაიტოვოს ისინი დამქირავებლისათვის მათი ღირებულების თანხის გადახდით ან — აიძულოს დამქირავებელი, მოაცილოს ეს ობიექტები და აღადგინოს ნივთი იმ მდგომარეობაში, რომელშიც მან ის მიიღო.

თუ ნივთის საწყის მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია, გამქირავებელს შეუძლია შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები თუ პლანტაციები დაიტოვოს კომპენსაციის გარეშე.

განყოფილება 4
საცხოვრებელი ფართების ქირავნობასთან დაკავშირებული სპეციალური ნორმები

§ 1. — განცხადება

1892. საცხოვრებელი ფართის ქირავნობად მიიჩნევა ოთახის, მყარი საძირკვლით ან მის გარეშე სატრანსპორტო საშუალების შასიზე განთავსებული ავტოფურგონის ან ავტოფურგონის განლაგებისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ქირავნობა.

წინამდებარე განყოფილების დებულებები ასევე აწესრიგებს საცხოვრებელ ფართთან, ოთახთან, ავტოფურგონსა თუ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული მომსახურების, მოწყობილობებისა და საკუთვნებლების ქირავნობასაც, ასევე — გამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის გაწეულ პირადი ხასიათის მომსახურებას.

წინამდებარე განყოფილების დებულებები არ გამოიყენება

1) კურორტის სახით გაქირავებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ;

2) იმ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის მიმართ, რომელშიც საერთო ფართის ერთ მესამედზე მეტი ფართი გამოიყენება საცხოვრებლისაგან განსხვავებული მიზნებისათვის;

3) სასტუმროს ოთახის ქირავნობის მიმართ;

4) გამქირავებლის ძირითად საცხოვრებელ ადგილზე არსებული ოთახის ქირავნობის მიმართ, თუ გაქირავებულია ან შეთავაზებულია გასაქირავებლად არაუმეტეს ორი ოთახისა და თუ ოთახს გარედან არა აქვს არც ცალკე

შესასვლელი და არც გამქირავებლის მიერ გამოყენებულისაგან განცალკევებული სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები;

5) ჯანმრთელობისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში არსებული ოთახის ქირავნობის მიმართ, გარდა 1974-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1892.1. გამქირავებლის მხრიდან გაწეულ პირადი ხასიათის მომსახურებას წარმოადგენს ქირავნობის სავალდებულო ფორმებისა და ახალი დამქირავებლისათვის წარსადგენი შეტყობინების სპეციფიკური პირობების შესახებ რეგულაციის (თავი R-8.1, r. 3) მე-6 გრაფიკში ასახულ ფორმაში მოცემული მომსახურება.

1893. სამართლებრივი ძალის არმქონეა საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ის პირობა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე განყოფილების დებულებებს, 1854-ე მუხლის მეორე პარაგრაფს ან 1856-1858, 1860-1863, 1865, 1866, 1868-1872, 1875, 1876 და 1883 მუხლებს.

§ 2. — ქირავნობა

1894. ქირავნობის ხელშეკრულების დადებამდე გამქირავებელი, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს უძრავი ქონების შინაგანაწესის ასლი, რომელიც შეიცავს საცხოვრებელი და საერთო ფართებით სარგებლობის, გამოყენებისა და ექსპლუატაციის წესებს.

შინაგანაწესი ქმნის ქირავნობის ხელშეკრულების ნაწილს.

1895. ქირავნობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის განმავლობაში გამქირავებელი ვალდებულია დამქირავებელს გადასცეს ქირავნობის ხელშეკრულების ასლი ან, ზეპირი ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, — წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება გამქირავებლის სახელი და მისამართი, დამქირავებლის სახელი და მისამართი, გაქირავებული ნივთის ქირის ოდენობა და მისამართი, ასევე — მთავრობის რეგულაციებით გათვალისწინებული სპეციფიკური პირობების ტექსტი. წერილობითი დოკუმენტი ქმნის ქირავნობის ხელშეკრულების ნაწილს. ქირავნობის ხელშეკრულება ან წერილობითი დოკუმენტი უნდა შედგეს იმ ფორმით, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა მთავრობის რეგულაციების თანახმად.

როდესაც ხდება ქირავნობის ხელშეკრულების განახლება და მხარეები თანხმდებიან იმ ცვლილებაზე, გამქირავებელი ვალდებულია, განახლების პროცესის დაწყებამდე დამქირავებელს გადასცეს წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც მტკიცდება თავდაპირველ ქირავნობის ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება.

თუმცა, დამქირავებელს არ შეუძლია ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ გამქირავებელმა არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნები.

1895.1. თუ ქირავნობა შეიცავს დამქირავებლისათვის გაწეულ პირადი ხა-

სიათის მომსახურებას, გამქირავებლმა სავალდებულო ფორმის შესაბამის ცხრილში უნდა მიუთითოს ქირის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება თითოეული აღნიშნული მომსახურების ღირებულებას.

1896. ქირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში გამქირავებელმა ახალ დამქირავებელს უნდა წარუდგინოს შეტყობინება ქირავნობის დაწყებამდე 12 თვის განმავლობაში გადახდილი ქირის უმცირესი თანხის მითითებით ან, გარემოებების შესაბამისად, იმავე პერიოდში — სასამართლოს მიერ განსაზღვრული ქირის თანხის მითითებით და რომელშიც ასევე მოცემული იქნება მთავრობის რეგულაციებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სპეციფიკური პირობა.

გამქირავებელი არ არის ვალდებული შეტყობინების წარდგენაზე 1955-ე და 1956-ე მუხლებში ნახსენები უძრავი ნივთის ქირავნობის შემთხვევაში.

1897. უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება და შინაგანაწესი უნდა შედგეს ფრანგულ ენაზე. თუმცა, მათი შედგენა შესაძლებელია ასევე სხვა ენაზეც, თუკი ასეთია მხარეთა გამოხატული ნება.

1898. ქირავნობასთან დაკავშირებული ყოველი შეტყობინება, გარდა გამქირავებლის მიერ საცხოვრებელ ფართზე შესვლისათვის წარდგენილი შეტყობინებისა, უნდა გაიგზავნოს წერილობით ქირავნობის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე ან მას შემდეგ, რაც ქირავნობის ხელშეკრულება უკვე დაიდო, — მხარის ახალ მისამართზე, თუ მეორე მხარე ამის თაობაზე ინფორმირებული იყო; შეტყობინება უნდა შედგეს იგივე ენაზე, რაც ქირავნობის ხელშეკრულება, და შეესაბამებოდეს რეგულაციით გათვალისწინებულ წესებს.

შეტყობინება, რომელიც არ შეესაბამება რეგულაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ვერ იქნება გამოყენებული ადრესატის წინააღმდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ შეტყობინების წარმდგენი პირი დაუმტკიცებს სასამართლოს, რომ ადრესატს არ განუცდია შედეგად რაიმე ზიანი.

1899. გამქირავებელი ვერ იტყვის უარს იმაზე, რომ პირთან დადოს ქირავნობის ხელშეკრულება ან მხარი დაუჭიროს ამ პირს მის უფლებებში, ანდა გამქირავებელი ვერ დაუდგენს მას უფრო მძიმე პირობებს მარტო იმ საფუძვლით, რომ ეს პირი ორსულია ან ჰყავს ერთი ან რამდენიმე შვილი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უარი გამართლებულია საცხოვრებელი ფართის სიდიდით; გარდა ამისა, მას არ შეუძლია უარის თქმა მარტო იმ საფუძვლით, რომ პირმა განახორციელა წინამდებარე თავის ან საცხოვრებელი ფართის მართვის შესახებ კანონიდან (თავი R-8.1) გამომდინარე კუთვნილი უფლებები.

პირგასამტეხლოს თანხების დაკისრება შესაძლებელია, როდესაც დარღვეულია წინამდებარე დებულება.

1900. სამართლებრივი ძალის არმქონეა დათქმა, რომლითაც იზღუდება ან გამოირიცხება გამქირავებლის პასუხისმგებლობა ანდა დამქირავებელს აკისრებს პასუხისმგებლობას მისი ბრალის გარეშე გამოწვეული ზიანისათვის.

სამართლებრივი ძალის არმქონეა ასევე დათქმა დამქირავებლის უფლებების ცვლილებების შესახებ ფართის დროებითი მფლობელების რაოდენობის გაზრდის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამართლებულია საცხოვრებელი ფართის სიდიდით, ან — დამქირავებლის უფლებების შეზღუდვით, შეიძინოს ქონება ან მიიღოს მომსახურება მის მიერ არჩეული პირებისაგან იმ პირობებზე, რომლებსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევს.

1901. დათქმა, რომელიც ადგენს გამქირავებლის მიერ ფაქტობრივად განცდილი ზიანის ღირებულებაზე მეტი ოდენობით პირგასამტეხლოს თანხას, ან რომელიც დამქირავებელს ანიჭებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც გარემოებებიდან გამომდინარე არაგონივრულია, წარმოადგენს შეცდომაში შემყვან დებულებას.

აღნიშნული დათქმა ბათილია ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულება შეიძლება შემცირდეს.

1902. არც გამქირავებელსა და არც ნებისმიერ სხვა პირს არ შეუძლია დამქირავებლის შეწუხება იმგვარად, რომ შეზღუდოს მის მიერ ფართით მშვიდი სარგებლობის უფლება ან აიძულოს ის, დატოვოს ფართი.

დამქირავებელს, რომელიც განიცდის შეწუხებას, შეუძლია მოითხოვოს, რომ გამქირავებელს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელის მხრიდანაც ადგილი ჰქონდა შეწუხებას, დაეკისროს პირგასამტეხლოს თანხების გადახდა.

§ 3. — ქირა

1903. მხარეთა მიერ შეთანხმებული ქირის თანხა უნდა მიეთითოს ქირავნობის ხელშეკრულებაში.

ქირა გადახდილ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ თანაბარი ოდენობის თანხებით, გარდა უკანასკნელი თანხისა, რომელიც შეიძლება იყოს ნაკლები; ქირა გადახდილ უნდა იქნეს ყოველი საანგარიშსწორებო პერიოდის პირველ დღეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ.

1904. გამქირავებელი ვერ მოითხოვს ნებისმიერ ნაწილობრივ გადახდას ერთი თვის ქირის თანხაზე მეტი ოდენობით; ის ასევე ვერ მოითხოვს ქირის თანხის ავანსის სახით გადახდას პირველ საანგარიშსწორებო პერიოდის თანხაზე მეტი ოდენობით ან თუ ეს პირიოდი აღემატება ერთ თვეს, — ერთი თვის ქირაზე მეტი ოდენობით თანხის გადახდას.

გარდა ამისა, გამქირავებელს არ შეუძლია, მოითხოვოს ნებისმიერი ფულადი თანხა, გარდა ქირის თანხისა, დეპოზიტის სახით ან სხვაგვარად ანდა — მოითხოვოს, რომ გადახდა განხორციელდეს უფრო გვიანი რიცხვით დათარიღებული ჩეკით ან ნებისმიერი სხვა უფრო გვიანი რიცხვით დათარიღებული დოკუმენტით.

1905. სამართლებრივი ძალის არმქონეა ქირავნობის ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, რომ ქირის სრული თანხა გადახდილ უნდა იქნეს დამქირავებლის მიერ თანხის შესაბამისი ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში.

1906. სამართლებრივი ძალის არმქონეა განსაზღვრული 12-თვიანი ან ნაკლები ვადით დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა, რომლითაც გათვალისწინებულია ქირის თანხის კორექტირება ქირავნობის ვადის განმავლობაში.

სამართლებრივი ძალის არმქონეა ასევე 12 თვეზე მეტი ვადით დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა, რომლითაც გათვალისწინებულია ქირის თანხის კორექტირება ქირავნობის ვადის პირველი 12 თვის განმავლობაში ან — ერთზე მეტად ყოველი 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში.

1907. როდესაც გამქირავებელი არ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ამ ვალდებულებების თავად შესრულების ნებართვის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, მხარეების მიმართ მოქმედებს 1867-ე და 1869-ე მუხლების დებულებები.

დამქირავებელს შეუძლია ასევე განათავსოს თავისი ქირის თანხა სასამართლოს დეპოზიტზე, თუ ის 10 დღით ადრე გამქირავებელს წარუდგენს შეტყობინებას თანხის დეპოზიტზე განთავსების საფუძვლების მითითებით და თუ სასამართლო, ჩათვლის რა, რომ ეს საფუძვლები მნიშვნელოვანია, ნებას რთავს თანხის განთავსებაზე და ადგენს მის თანხასა და პირობებს.

1908. როდესაც უძრავი ქონების გასხვისების, ქირის თანხების მიმართ იპოთეკის რეგისტრაციისა თუ მოთხოვნის დათმობის შემდეგ, დამქირავებელს პირადად არ ატყობინებენ ახალი გამქირავებლის ან იმ პირის სახელსა და მისამართს, რომელსაც მან უნდა გადაუხადოს ქირის თანხა, — მას სასამართლოს ნებართვით შეუძლია განთავსოს ქირის თანხა სასამართლოს დეპოზიტზე.

დეპოზიტზე თანხის განთავსება ასევე შეიძლება იქნეს ნებადართული, როდესაც ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დამქირავებელი არ არის დარწმუნებული იმ პირის პიროვნებაში, რომელსაც მან უნდა გადაუხადოს ქირის თანხა, როდესაც გამქირავებელი ვერ მოიძებნა ან ის უარს ამბობს ქირის თანხის მიღებაზე.

1909. სასამართლო რთავს დეპოზიტის თანხის გადარიცხვის ნებას, როდესაც პირი, რომელსაც დამქირავებელმა უნდა გადაუხადოს ქირის თანხა, იდენტიფიცირებულია ან ნაპოვნია ანდა როდესაც გამქირავებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს; სხვა შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დართოს დამქირავებელს ნება, გააგრძლოს მისი ქირის თანხების განთავსება დეპოზიტზე პირის იდენტიფიცირებამდე ან გამქირავებლის მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებების შესრულებამდე. სასამართლოს შეუძლია ასევე დართოს დამქირავებელს დეპოზიტის თანხის გადარიცხვის ნება, რათა მისცეს მას გამქირავებლის ვალდებულებების შესრულების საშუალება.

§ 4. — საცხოვრებელი პირობები

1910. გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს საცხოვრებელი ფართი გადასცეს კარგ საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში; ის ვალდებულია, შეინარჩუნოს ის ასეთ მდგომარეობაში ქირავნობის ვადის განმავლობაში.

1911. გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს საცხოვრებელი ფართი გადასცეს სუფთა მდგომარეობაში, ხოლო დამქირავებელი კი ვალდებულია, შეინარჩუნოს ფართი ასეთ მდგომარეობაში.

როდესაც გამქირავებელი საცხოვრებელი ფართში განახორციელებს სამუშაოებს, მან ეს ფართი უნდა დააბრუნოს სუფთა მდგომარეობაში.

1912. შემდეგი გარემოებები წარმოშობს ანალოგიურ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რასაც ქირავნობიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა:

1) გამქირავებლის ან დამქირავებლის მხრიდან საცხოვრებელი ფართის უსაფრთხოებისა და სანიტარული პირობების მხრივ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა;

2) გამქირავებლის მხრიდან იმ უძრავი ნივთის ექსპლუატაციის, ცხოვრების შესაძლებლობის, უსაფრთხოებისა და სანიტარული პირობების მხრივ კანონით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რომელიც ქმნის საცხოვრებელ ფართს.

1913. გამქირავებელს არ შეუძლია იმ ფართის გასაქირავებლად შეთავაზება ან გადაცემა, რომელიც საცხოვრებლად უვარგისია.

ფართი საცხოვრებლად უვარგისია, თუ ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მისი მფლობელების ან საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას ან თუ ის ასეთად გამოცხადდა სასამართლოს ან კომპეტენტური ორგანოს მიერ.

1914. დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას მისთვის გადაცემული საცხოვრებელი ფართის მფლობელობაში მიღებაზე, თუ ის საცხოვრებლად უვარგისია; ასეთ შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით.

1915. დამქირავებელს შეუძლია მიატოვოს თავისი საცხოვრებელი ფართი, თუ ის საცხოვრებლად უვარგისი ხდება, თუმცა ის ვალდებულია ფართის მიტოვებამდე ან მიტოვებიდან 10 დღის განმავლობაში მისი მდგომარეობის შესახებ შეატყობინოს გამქირავებელს.

დამქირავებელს, რომელიც ასეთ შეტყობინებას წარუდგენს გამქირავებელს, არ ეკისრება ქირის თანხის გადახდის ვალდებულება იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც ფართი საცხოვრებლად უვარგისია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფართის მდგომარეობა წარმოადგენს მისი ბრალეული ქმედების შედეგს.

1916. როგორც კი ფართი კვლავ საცხოვრებლად ვარგისი ხდება, გამქირავებელი ვალდებულია, შეატყობინოს ამის შესახებ დამქირავებელს, თუ ამ უკანასკნელმა მას აცნობა თავისი ახალი მისამართი; ასეთ შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებულია, შემდგომი 10 დღის განმავლობაში აცნობოს გამქირავებელს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა მას განზრახული ფართში დაბრუნება.

როდესაც დამქირავებელმა არ აცნობა გამქირავებელს თავისი ახალი მისამართი ან არ ატყობინებს მას იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს ფარ-

თში დაბრუნება, ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით და გამქირავებელს შეუძლია დადოს ქირავნობის ხელშეკრულება ახალ დამქირავებელთან.

1917. ქირავნობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის განხილვისას სასამართლოს შეუძლია — თუნდაც საკუთარი ინიციატივით — განაცხადოს, რომ ფართი საცხოვრებლად უვარგისია; ასეთ შემთხვევაში, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ქირის თანხის შესახებ, დაადგინოს დამქირავებლის უფლებების დაცვისათვის აუცილებელი პირობები და, საჭიროების შემთხვევაში, — გამოსცეს განკარგულება იმის თაობაზე, რომ ფართი კვლავ გახდეს საცხოვრებლად ვარგისი.

1918. დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით იმ განკარგულების მისაღებად, რომელიც გამქირავებელს დაავალდებულებს ფართის მდგომარეობასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას, როდესაც ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა ქმნის საფრთხეს, რომ ფართი საცხოვრებლად უვარგისი გახდება.

1919. დამქირავებელს არ შეუძლია გამქირავებლის თანხმობის გარეშე გამოიყენოს ან საცხოვრებელ ფართში შეინახოს ისეთი ნივთიერება, რომელიც ქმნის ხანძრის ან აფეთქების საფრთხეს და რომელიც გამოიწვევდა გამქირავებლის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემიის თანხის ზრდას.

1920. საცხოვრებელი ფართის დროებითი მფლობელების რაოდენობა უნდა იყოს ისეთი, რომ საშუალება მისცეს თითოეულ მათგანს, იცხოვროს ნორმალურ კომფორტულ და სანიტარულ პირობებში.

1921. როდესაც საცხოვრებელი ფართი დაკავებულია ფიზიკური ნაკლის მქონე პირის მიერ, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდულია გადაადგილებაში, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს პირი დამქირავებელს, გამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებლის მოთხოვნით მოახდინოს საცხოვრებელი ფართის განსაზღვრა სოციალური, სასკოლო და სამუშაო ადგილზე ინტერგრირების მიღწევის მიზნით ფიზიკური ნაკლის მქონე პირების მიერ თავიანთი უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფის შესახებ კანონის (თავი E-20.1) შესაბამისად.

§ 5. — საცხოვრებელი ფართის განსაზღვრული ცვლილებები

1922. დაუშვებელია მნიშვნელოვანი გაუმჯობესებების ან კაპიტალური რემონტის განხორციელება საცხოვრებელ ფართში, გარდა გადაუდებელი რემონტისა, გამქირავებლის მხრიდან დამქირავებლისათვის წინასწარი შეტყობინების წარდგენის გარეშე და, თუ ფართის დროებით გათავისუფლება აუცილებელია დამქირავებლისათვის, — მანამდე, სანამ გამქირავებელი მას არ შეთავაზებს კომპენსაციას იმ გონივრული ხარჯების ოდენობით, რომელთა გაღებაც მას მოუწევს ფართის გათავისუფლების გამო.

1923. დამქირავებლისათვის წარდგენილ შეტყობინებაში მიეთითება სამუშაოების სახეობა, მისი დაწყების თარიღი და მისი ხანგრძლივობის შეფასება, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში კი, — ფართის გათავისუფლებისათვის აუცილებელი პერიოდი; აუცილებლობის შემთხვევაში, შეტყობინება ასევე განსაზღვრავს შეთავაზებული კომპენსაციის თანხასა და ნებისმიერ სხვა პირობებს, რომელთა მიხედვითაც განხორციელდება სამუშაოები, თუ ეს პირობები ისეთია, რომ იწვევს ფართით სარგებლობის არსებით შემცირებას.

შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს სამუშაოების დაწყებამდე, სულ ცოტა, 10 დღით ადრე ან თუ აუცილებელია ფართის გათავისუფლება ერთ კვირაზე მეტი ვადით, — სულ ცოტა, აღნიშნულ თარიღამდე სამი თვით ადრე.

1924. ფართის დროებით გათავისუფლების გამო დამქირავებლისათვის გადასახდელი კომპენსაცია გადახდილ უნდა იქნეს მის მიერ ფართის დატოვების დღეს.

თუ საკომპენსაციო თანხა არაადეკვატურია, დამქირავებელს შეიძლება აუნაზღაურდეს ნებისმიერი გონივრული ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა კომპენსაციის თანხაზე მეტი ოდენობით.

დამქირავებელს გარემოებებიდან გამომდინარე ასევე შეუძლია მიაღწიოს ქირის თანხის შემცირებას ან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

1925. თუ გამქირავებლის შეტყობინება ითვალისწინებს ფართის დროებით გათავისუფლებას, დამქირავებელმა ამ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში უნდა შეატყობინოს გამქირავებელს, რომ მას განზრახული აქვს ან არა აქვს განზრახული მისი შესრულება; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მან უარი განაცხადა ფართის გათავისუფლებაზე.

თუ დამქირავებელი უარს აცხადებს ფართის გათავისუფლებაზე, გამქირავებელს შეუძლია უარის გაცხადებიდან 10 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს ფართის გათავისუფლების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

1926. როდესაც ფართის დროებით გათავისუფლება არ მოითხოვება ან დამქირავებელი ეთანხმება ფართის გათავისუფლებას, დამქირავებელს შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი პირობის ცვლილებისა თუ აღკვეთისათვის.

1927. სასამართლო მოუსმენს გამქირავებლის ან დამქირავებლის განცხადებას და გადაწყვეტილებას იღებს დაჩქარებული წესით (by preference). განცხადება აჩერებს სამუშაოების შესრულებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვაგვარად ადგენს.

სასამართლოს შეუძლია დააწესოს ისეთი პირობები, რომლებსაც ის სამართლიანად და გონივრულად მიიჩნევს.

1928. როდესაც სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იმ პირობებთან დაკავშირებული განცხადების გარშემო, რომელთა არსებობისას უნდა შესრულდეს სამუშაოები, გამქირავებელმა უნდა აჩვენოს, რომ ასეთი სამუშაოები და პირობები გონივრულია, ხოლო ფართის გათავისუფლება კი, — აუცილებელი.

1929. არანაირი შეტყობინება არ მოითხოვება და ასევე არანაირი დავა არ დაიშვება, როდესაც განხორციელებული ცვლილებები წარმოადგენდა გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის შეთანხმების საგანს მუნიციპალური სამშენებლო ფონდის შენარჩუნებისა და აღდგენის პროგრამის ფარგლებში.

§ 6. — საცხოვრებელ ფართში შესვლა და მისი მონახულება

1930. როდესაც დამქირავებელი ატყობინებს გამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების განუახლებლობის ან მისი შეწყვეტის შესახებ, ის ვალდებულია, დაუშვას საცხოვრებელი ფართის მონახულება სხვა პირების მიერ და ასევე შესაბამისი აბრების გაკეთება მის მიერ შესაბამისი შეტყობინების წარდგენის მომენტიდან.

1931. გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, გამქირავებელი ვალდებულია, 24 საათით ადრე წარუდგინოს დამქირავებელს შეტყობინება ფართის მდგომარეობის დადგენის თაობაზე მისი განზრახვისა თუ ფართში შესაბამისი სამუშაოებს წარმოების შესახებ, ასევე — დაუშვას მისი მონახულება მომავალი შემძენის მიერ.

1932. გარდა გადაუდებელი შემთხვევებისა, დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას მომავალი დამქირავებლის ან შემძენის მიერ საცხოვრებელი ფართის მონახულების ნებართვის მიცემაზე დილის 9 საათამდე ან საღამოს 9 საათის შემდეგ; იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამქირავებელს სურს ფართის მდგომარეობის დადგენა.

ყველა სხვა შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია უარი თქვას საცხოვრებელი ფართის მონახულებაზე, თუ გამქირავებელი ვერ შეძლებს დასწრებას.

1933. დამქირავებელი ვერ იტყვის უარს გამქირავებლისათვის საცხოვრებელ ფართში სამუშაოების განხორციელებისათვის შესვლის ნებართვის მიცემაზე.

თუმცა, მას შეუძლია უარი თქვას ფართში შეშვებაზე დილის 7 საათამდე და საღამოს 7 საათის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამუშაოები გადაუდებელია.

1934. დაუშვებელია რაიმე საკეტის ან საცხოვრებელ ფართში შესვლის შემზღუდველი სხვა მოწყობილობის დაყენება ან შეცვლა გამქირავებლისა და დამქირავებლის თანხმობის გარეშე.

თუ ნებისმიერი მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მას, დართოს მეორე მხარეს საცხოვრებელ ფართში შესვლის ნება.

1935. გამქირავებელი ვერ აუკრძალავს პროვინციის, ფედერალურ, მუნიციპალურ თუ სასკოლო არჩევნებში მონაწილე კანდიდატს, ეროვნული კომიტეტის მიერ დანიშნულ ოფიციალურ დელეგატს ან უფლებამოსილ წარმომადგენელს უძრავი ქონებასა თუ საცხოვრებელ ფართში შესვლას კანონის საფუძველზე საარჩევნო კამპანიის წარმოების ან რეფერენდუმის ჩატარების მიზნისათვის.

§ 7. — დაკავებული ფართის შენარჩუნების უფლება

I. — უფლების მოსარგებლეები

1936. ყოველ დამქირავებელს აქვს დაკავებული ფართის შენარჩუნების პირადი უფლება; დაუშვებელია მისი გამოსახლება გაქირავებული საცხოვრებელ ფართიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1937. იმ უძრავი ქონების ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასხვისება, რომელიც ქმნის საცხოვრებელ ფართს, ანდა საცხოვრებელ ფართზე გამქირავებლის უფლების გაქარწყლება არ ანიჭებს გამქირავებელს იმ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებასილებას, რომლის მოქმედებაც გრძელდება და რომელიც შეიძლება განახლდეს იგივე წესით, როგორც ნებისმიერი სხვა ქირავნობის ხელშეკრულება.

ახალ დამქირავებელს გამქირავებლის მიმართ აქვს ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

1938. დამქირავებლის დაქორწინებული ან სამოქალაქო კავშირის მეუღლე ან ის პირი, რომელიც ცხოვრობდა დამქირავებელთან, სულ ცოტა, ექვსი თვის განმავლობაში და წარმოადგენს დამქირავებლის de facto მეუღლეს ან სისხლით ნათესავს ანდა დამქირავებელთან ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირი უფლებამოსილია დაკავებული ფართის შენარჩუნებაზე და ხდება დამქირავებელი, თუ ის განაგრძობს ფართის დაკავებას თანაცხოვრების შეწყვეტის შემდეგ და ატყობინებს გამქირავებელს ამის შესახებ თანაცხოვრების შეწყვეტიდან ორი თვის ვადაში.

დამქირავებლის გარდაცვალების მომენტში მასთან მცხოვრებ პირს აქვს ანალოგიური უფლებები და ის ხდება დამქირავებელი, თუ ეს პირი განაგრძობს ფართის დაკავებას და ატყობინებს გამქირავებელს ამის შესახებ გარდაცვალებიდან ორი თვის ვადაში. თუ პირი არ ახორციელებს აღნიშნულ უფლებას, მემკვიდრეობის ლიკვიდატორს, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, — მემკვიდრეს ორთვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი ერთი თვის განმავლობაში შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება ამის შესახებ ერთი თვით ადრე გამქირავებლისათვის წარდგენილი შეტყობინებით. ყველა შემთხვევაში, თუ ქირის თანხის ნაწილი ფარავს დამქირავებლისათვის გაწეული პირადული ხასიათის მომსახურებას, დამქირავებლის გარდაცვალების მომენტში მასთან მცხოვრებ პირს, მემკვიდრეობის ლიკვიდატორს ან მემკვიდრეს მოეთხოვება ქირის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის გადახდა, რომელიც დაკავშირებულია დამქირავებლის სიცოცხლის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან. იგივე წესი მოქმედებს ასეთი მომსახურების ღირებულების მიმართაც, თუ მომსახურება გამქირავებლის მიერ გაწეულ იქნა ქირავნობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1939. თუ დამქირავებელთან მისი გარდაცვალების მომენტში არავინ ცხოვრობს, მემკვიდრეობის ლიკვიდატორს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი სახეზე არ არის, — მემკვიდრეს შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება ამის

შესახებ გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში გამქირავებლისათვის ორი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით. ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის ორთვიანი პერიოდის გასვლამდეც, თუ ლიკვიდატორი ან მემკვიდრე და გამქირავებელი ამაზე თანხმდებიან ან როდესაც საცხოვრებელი ფართი ხელახლა იქნა გაქირავებული გამქირავებლის მიერ იგივე ვადის განმავლობაში.

თუ ქირის თანხის ნაწილი ფარავს დამქირავებლისათვის გაწეული პირადული ხასიათის მომსახურების ღირებულებას, ლიკვიდატორს ან მემკვიდრეს მოეთხოვება ქირის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის გადახდა, რომელიც დაკავშირებულია დამქირავებლის სიცოცხლის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან. იგივე წესი მოქმედებს ასეთი მომსახურების ღირებულების მიმართაც, თუ მომსახურების გაწევა გამქირავებლის მიერ მოხდა ქირავნობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1940. საცხოვრებელი ფართის ქვემოქირავნე არ არის უფლებამოსილი ფართის შენარჩუნებაზე.

ქვექირავნობა წყდება არაუგვიანეს იმ დღისა, როდესაც წყდება საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება; თუმცაღა, ქვემოქირავნე არ არის ვალდებული, გაათავისუფლოს ფართი ამის შესახებ დამქირავებლისაგან, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, — ძირითადი გამქირავებლისაგან 10 დღით ადრე წარდგენილი შეტყობინების მიღებამდე.

II. — ქირავნობის ხელშეკრულების განახლება და შეცვლა

1941. დაკავებული ფართის შენარჩუნებაზე უფლებამოსილი დამქირავებელი, რომელსაც აქვს განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება, კანონის ძალით უფლებამოსილია ხელშეკრულების განახლებაზე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში.

ხელშეკრულების განახლება მისი მოქმედების ვადის განმავლობაში ხორციელდება იგივე პირობებითა და ვადით, ხოლო თუ თავდაპირველი ქირავნობის ვადა აღემატება 12 თვეს, — მაშინ 12 თვით. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ განახლების განსხვავებულ ვადაზე.

1942. ქირავნობის ხელშეკრულების განახლებისას გამქირავებელს შეუძლია შეცვალოს მისი პირობები, განსაკუთრებით კი, ვადა ან ქირის ოდენობა, თუმცაღა — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ცვლილების შესახებ შეტყობინებას დამქირავებელს წარუდგენს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არაუადრეს სამი და არაუგვიანეს ექვსი თვისა. თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა 12 თვეზე ნაკლებია, შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს ვადის გასვლამდე არაუადრეს ერთი და არაუგვიანეს ორი თვისა.

გამქირავებელს არ შეუძლია შეცვალოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ატყობინებს დამქირავებელს არაუადრეს ერთი და არაუგვიანეს ორი თვისა.

ოთახის ქირავნობის შემთხვევაში შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 დღისა.

1943. ხელშეკრულების ცვლილების შესახებ ყოველ შეტყობინებაში, რომლითაც იზრდება ქირის თანხა, მითითება უნდა გაკეთდეს შეთავაზებული ქირის დოლარში გამოხატულ ახალ თანხაზე ან დოლარში გამოხატული თანხის ზრდაზე ანდა — მიმდინარე ქირის თანხის პროცენტის სახით. ზრდა შეიძლება გამოიხატოს ქირის თანხის იმ პროცენტის სახით, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც ქირის თანხის დადგენის ან გადახედვის შესახებ განცხადება უკვე წარედგინა სასამართლოს.

გარდა ამისა, შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ქირავნობის ხელშეკრულების შეთავაზებული ვადა, თუ გამქირავებლის შეთავაზება ეხება ვადის ცვლილებას, და ასევე — ის დრო, რომელიც ეძლევა დამქირავებელს შეთავაზებულ ცვლილებაზე უარის თქმისათვის.

1944. როდესაც დამქირავებელმა ქვექირავნობით გასცა საცხოვრებელი ფართი 12 თვეზე მეტი ვადით, გამქირავებელს შეუძლია თავიდან აიცილოს ქირავნობის ხელშეკრულების განახლება დამქირავებლისა და ქვემოქირავნისათვის მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის განზრახვის შესახებ შეტყობინების იგივე ვადის განმავლობაში წარდგენით, რაც გათვალისწინებულია ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილებისათვის.

ანალოგიურად, როდესაც დამქირავებელი გარდაიცვალა და არავინ ცხოვრობდა მასთან გარდაცვალების მომენტში, გამქირავებელს შეუძლია თავიდან აიცილოს ქირავნობის ხელშეკრულების განახლება მემკვიდრის ან მემკვიდრეობის ლიკვიდატორისათვის შესაბამისი შეტყობინების წარდგენით.

1945. დამქირავებელი, რომელიც ეწინააღმდეგება გამქირავებლის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს, ვალდებულია ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეატყობინოს გამქირავებელს, რომ ის ეწინააღმდეგება ცვლილებებს, ან რომ ის ტოვებს საცხოვრებელ ფართს; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა ქირავნობის ხელშეკრულების განახლებას გამქირავებლის მიერ შეთავაზებულ პირობებზე.

თუმცა, 1955-ე მუხლში აღწერილი საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, დამქირავებელმა უნდა გაათავისუფლოს ფართი ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, თუ ის ეწინააღმდეგება შეთავაზებულ ცვლილებებს.

1946. დამქირავებელს, რომელსაც არ მიუღია გამქირავებლისაგან შეტყობინება ქირავნობის ხელშეკრულების პირობების ცვლილებების შესახებ, შეუძლია თავიდან აიცილოს განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ან შეწყვიტოს განუსაზღვრელი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულება განახლებაზე უარის ან ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გამქირავებლისათვის შეტყობინების იგივე ვადის განმავლობაში წარდგენით, რაც გათვალისწინებულია გამქირავებლის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილების შესახებ შეტყობინების წარდგენისათვის.

III. — ქირავნობის ხელშეკრულების პირობების დადგენა

1947. როდესაც დამქირავებელი ეწინააღმდეგება ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილებებს, გამქირავებელს, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, შეუძლია წინააღმდეგობის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენის ან ქირავნობის ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით; წინააღმდეგ შემთხვევაში ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება კანონის ძალით იგივე პირობებით.

1948. დამქირავებელს, რომელმაც ქვექირავნობით გასცა თავისი საცხოვრებელი ფართი 12 თვეზე მეტი ვადით, ან მემკვიდრეს ანდა გარდაცვლილი დამქირავებლის მემკვიდრეობის ლიკვიდატორს გამქირავებლისაგან ქირავნობის ხელშეკრულების განახლების თავიდან აცილების განზრახვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეუძლია სასამართლოში არსებითად სადავოდ გახადოს შეტყობინება; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას.

როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს დამქირავებლის განცხადებას ქირავნობის ხელშეკრულების ცვლილების შესახებ შეტყობინებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ქირავნობის ხელშეკრულების განახლდება, თუმცა გამქირავებელს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის ახალი თანხის დადგენის მოთხოვნით.

1949. როდესაც ქირავნობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ქირის თანხის კორექტირებას, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს შეთავაზებული ან შეთანხმებული ქირის კორექტირებული თანხის გადაჭარბებული ან არაადეკვატური ბუნების გასაჩივრების მიზნითა და ქირის ოდენობის დადგენის მოთხოვნით.

სასამართლოსათვის მიმართვა უნდა განხორციელდეს ქირის კორექტირებული თანხის ამოქმედების დღიდან ერთი თვის ვადაში.

1950. შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ახალ დამქირავებელს ან ქვემოქირავნეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენისათვის, თუ მისი ქირის თანხა აღემატება ქირავნობის ან ქვექირავნობის დაწყებამდე 12 თვის განმავლობაში გადახდილი ქირის უმცირეს თანხას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ქირის თანხა სასამართლოს მიერ უკვე დადგენილია.

ახალ დამქირავებელს ან ქვემოქირავნეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მხოლოდ ქირავნობის ან ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის განმავლობაში. თუ ქირავნობის ან ქვექირავნობის ხელშეკრულების დადების მომენტში ახალმა დამქირავებელმა ან ქვემოქირავნემ არ მიიღო გამქირავებლისაგან შეტყობინება წინა წლის განმავლობაში გადახდილი ქირის უმცირესი თანხის მითითებით, მას სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია ქირავნობის ან ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს ორი თვისა; როდესაც გამქირავებელმა წარადგინა შეცდომაში შემყვანი შეტყობინება, ახალ

დამქირავებელს ან ქვემოქირავნეს სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია აღნიშნული ფაქტის შეტყობიდან არაუგვიანეს ორი თვისა.

1951. ახალ დამქირავებლად არ მიიჩნევა პირი, რომელიც კანონის საფუძველზე უფლებამოსილია დაკავებული ფართის შენარჩუნებასა და დამქირავებლად გახდომაზე დამქირავებელთან თანაცხოვრების შეწყვეტის ან ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემთხვევაში.

1952. როდესაც სასამართლო რთავს ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის ნებას, ის ადგენს საცხოვრებელი ფართისათვის გადასახდელი ქირის თანხის ოდენობას ფართის ქირისადმი მიმართებაში ცვლილების შეფარდებითი ღირებულების გათვალისწინებით.

1953. როდესაც სასამართლო იხილავს მის წარმოებაში არსებულ განცხადებას ქირის თანხის დადგენის ან კორექტირების შესახებ, ის მხედველობაში იღებს რეგულაციებით გათვალისწინებულ სტანდარტებს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ქირის თანხა ძალაშია განახლებული ქირავნობის ვადის განმავლობაში ან მის მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში, რომელიც არ აღემატება 12 თვეს.

თუ სასამართლო აკმაყოფილებს ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნას, მას შეუძლია გაანაწილოს გადაუხდელი თანხები იმ პერიოდზე, რომელიც არ აღემატება განახლებული ქირავნობის ვადას.

1954. როდესაც სასამართლო ადგენს ქირის თანხას ახალი დამქირავებლის განცხადების საფუძველზე, ის აღნიშნულს ახდენს ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების ვადისათვის.

როდესაც ქირავნობის ხელშეკრულების ვადა აღემატება 12 თვეს, გამქირავებელს, მიუხედავად ამისა, მაინც შეუძლია მოითხოვოს ქირის თანხის ყოველწლიურად დადგენა. განცხადება უნდა იქნეს წარდგენილი თითოეული 12-თვიანი პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს სამი თვისა იმ დღიდან, როდესაც ამოქმედდა დადგენილი ქირის თანხა.

1955. საცხოვრებელი კოოპერატივის მიერ თავის ერთ-ერთ წევრზე გაქირავებული საცხოვრებელი ფართის არც გამქირავებელსა და არც დამქირავებელს არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენის ან ქირავნობის ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა პირობის ცვლილების მოთხოვნით.

ანალოგიურად, ახალაშენებულ ან ახლახან განხორციელებული დანიშნულების ცვლილების შედეგად გაქირავების მიზნით გამოყენებულ საცხოვრებელ სახლში არსებული ფართის გამქირავებელი ან დამქირავებელი ვერ გამოიყენებს აღნიშნულ სამართლებრივი დაცვის საშუალებას იმ დღიდან ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც საცხოვრებელი სახლი გამზადდა მისთვის გათვალისწინებული გამოყენებისათვის.

თუმცაღა, აღნიშნული შეზღუდვები უნდა იქნეს ნახსენები ასეთი ტიპის საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულებაში; თუ ისინი არ არის ნახსენები, მაშინ ისინი ვერ იქნება გამოყენებული გამქირავებლის მიერ დამქირავებლის წინააღმდეგ.

1956. იაფფასიანი საცხოვრებელი ფართის გამქირავებელს ან დამქირავებელს არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენის ან ქირავნობის ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა პირობის ცვლილების მოთხოვნით გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ სახის ქირავნობისათვის დამახასიათებელი პირობების მომწესრიგებელი ნორმებით.

IV. — საცხოვრებელი ფართის უკან დაბრუნება და მისი გათავისუფლება

1957. საცხოვრებელი ფართის გამქირავებელს, რომელიც წარმოადგენს ფართის მესაკუთრეს, შეუძლია უკან დაიბრუნოს ის, როგორც საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ან პირველი რიგის აღმავალი ხაზით ნათესავების ან შთამომავლების ანდა ნებისმიერი სხვა ნათესავისა თუ ქორწინებით ან სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული იმ პირისათვის, რომლის მთავარ მარჩენალს წარმოადგენს გამქირავებელი.

გამქირავებელს შეუძლია ასევე უკან დაიბრუნოს საცხოვრებელი ფართი როგორც იმ მეუღლის საცხოვრებელი ადგილი, რომლის მთავარ მარჩენლად განცალკევებით ცხოვრების დადგენის ან განქორწინების ანდა სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შემდეგ რჩება გამქირავებელი.

1958. უძრავი ქონების იდეალური წილის მესაკუთრეს არ შეუძლია უძრავ ქონებაში ნებისმიერი ფართის უკან დაბრუნება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მესაკუთრე წარმოადგენს მის მეუღლეს.

1959. საცხოვრებელი ფართის გამქირავებელს შეუძლია გამოასახლოს დამქირავებელი ფართის დანაწილების, მისი არსებითად გაზრდის ან დანიშნულების შეცვლის მიზნით.

1960. განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, გამქირავებელმა, რომელსაც სურს საცხოვრებელი ფართის დაბრუნება ან დამქირავებლის გამოსახლება, უნდა შეატყობინოს ამის შესახებ დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, სულ ცოტა, ექვსი თვით ადრე; თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა შეადგენს ექვს თვეს ან ნაკლებს, მაშინ შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს ერთი თვით ადრე.

განუსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში, შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს ფართის დაბრუნებამდე ან დამქირავებლის გამოსახლებამდე ექვსი თვით ადრე.

1961. საცხოვრებელი ფართის დაბრუნების შეტყობინებაში უნდა მიეთითოს ფართის დაბრუნებისათვის დადგენილი თარიღი, მოსარგებლის სახელი და, აუცილებლობის შემთხვევაში, — ნათესაური ურთიერთობის ხარისხი ან კავშირი მოსარგებლესა და გამქირავებელს შორის.

გამოსახლების შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გამოსახლების საფუძველი და თარიღი.

თუმცაღა, ფართის დაბრუნება ან გამოსახლება დამქირავებლის განცხადების საფუძველზე და სასამართლოს ნებართვით შესაძლოა ძალაში შევიდეს მოგვიანებით.

1962. საცხოვრებელი ფართის დაბრუნების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში დამქირავებელი ვალდებულია, შეატყობინოს გამქირავებელს იმის თაობაზე, აქვს თუ არა მას განზრახული შეტყობინებაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილება; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მან უარი განაცხადა საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებაზე.

1963. თუ დამქირავებელი უარს აცხადებს საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებაზე, მიუხედავად ამისა, გამქირავებელს მაინც შეუძლია მისი უკან დაბრუნება სასამართლოს ნებართვით.

ნებართვის მიღების შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს დამქირავებლის მიერ გათავისუფლებაზე უარის თქმის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში; გამქირავებელმა უნდა უჩვენოს სასამართლოს, რომ მას ნამდვილად აქვს განზრახული საცხოვრებელი ფართის დაბრუნება შეტყობინებაში ნახსენები მიზნისათვის და არა — როგორც საბაბი სხვა მიზნების მიღწევისათვის.

1964. დამქირავებლის თანხმობის გარეშე გამქირავებელს არ შეუძლია, გამოიყენოს კუთვნილი საცხოვრებელი ფართის დაბრუნების უფლება, როდესაც მას ფართის დაბრუნებისათვის დადგენილი თარიღისათვის საკუთრებაში აქვს თავისუფალი ან გასაქირავებლად შეთავაზებული და დამქირავებლის მიერ დაკავებულის მსგავსი ტიპის სხვა საცხოვრებელი ფართი, რომელიც მდებარეობს იმავე არემარეში და — ეკვივალენტური ქირის ფასად.

1965. გამქირავებელმა გამოსახლებულ დამქირავებელს უნდა გადაუხადოს საკომპენსაციო თანხა სამთვიანი ქირისა და გადასვლისათვის აუცილებელი გონივრული ხარჯების თანხების ოდენობით. თუ დამქირავებელი მიიჩნევს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი ამართლებს უფრო მეტი ანაზღაურების თანხის მიღებას, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს თანხის დადგენის მოთხოვნით.

საკომპენსაციო თანხა ექვემდებარება გადახდას ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე; გადასვლისათვის აუცილებელი ხარჯები კი ექვემდებარება გადახდას თანხის გადახდის დასტურების წარდგენის მომენტში.

1966. გამოსახლების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საცხოვრებელი ფართის დანაწილების, მისი გაზრდის ან დანიშნულების შეცვლის საწინააღმდეგო პროტესტით; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებას.

როდესაც პროტესტი წარდგენილია, გამქირავებელს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მას ნამდვილად აქვს განზრახული საცხოვრებელი ფართის დანაწილება, მისი გაზრდა ან დანიშნულების შეცვლა და რომ ის ამის განხორციელებაზე უფლებამოსილია კანონის საფუძველზე.

1967. როდესაც სასამართლო რთავს საცხოვრებელი ფართის უკან დაბრუნებას ან გამოსახლების ნებას, მას შეუძლია დააწესოს ისეთი პირობები, რომლებსაც ის სამართლიანად და გონივრულად მიიჩნევს, მათ შორის, ფართის უკან დაბრუნების შემთხვევაში, — დამქირავებლისათვის ამ უკანასკნელის გადასვლისათვის აუცილებელი ხარჯების ეკვივალენტური თანხის გადახდა.

1968. დამქირავებელს შეუძლია აინაზღაუროს საცხოვრებელი ფართის არაკეთილსინდისიერი უკან დაბრუნების ან გამოსახლების შედეგად მიყენებული ზიანი მიუხედავად იმისა, დაეთანხმა თუ არა ის აღნიშნულს.

მას შეუძლია ასევე გამოიყენოს პირგასამტეხლო იმ პირის მიმართ, რომელმაც არაკეთილსინდისიერად უკან დაიბრუნა საცხოვრებელი ფართი ან გამოასახლა ის.

1969. როდესაც გამქირავებელი არ ახორციელებს კუთვნილი საცხოვრებელი ფართის დაბრუნების ან გამოსახლების უფლებას ამისათვის დადგენილ თარიღში, ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება ავტომატურად კანონის ძალით იმ პირობით, რომ დამქირავებელი აგრძელებს ფართის დაკავებას გამქირავებლის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, გამქირავებელს ფართის დაბრუნების ან გამოსახლებისათვის დადგენილი თარიღიდან ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის ახალი თანხის დადგენის მოთხოვნით.

ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო უარს აცხადებს ფართის დაბრუნების ან გამოსახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე და თავის გადაწყვეტილებას იღებს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც დადგენილია ქირავნობის ხელშეკრულების განახლების ან შეცვლის თავიდან აცილებისათვის. ასეთ შემთხვევაში, გამქირავებელს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენის მოთხოვნით.

1970. დაუშვებელია სასამართლოს ნებართვის გარეშე იმ საცხოვრებელი ფართის გაქირავება ან გამოყენება სხვა მიზნით, გარდა იმ მიზნისა, რისთვისაც განხორციელდა უფლება, რომელიც წარმოადგენდა უკან დაბრუნების ან გამოსახლების ობიექტს.

თუ სასამართლო რთავს საცხოვრებელი ფართის გაქირავების ნებას, ის ადგენს ქირის თანხას.

§ 8. — ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა

1971. გამქირავებელს შეუძლია მიაღწიოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას, თუ დამქირავებელი აგვიანებს ქირის თანხის გადახდას სამ კვირაზე მეტი ვადით ან თუ ის განიცდის მნიშვნელოვან ზიანს იმის შედეგად, რომ დამქირავებელი ხშირად აგვიანებს აღნიშნული თანხის გადახდას.

1972. გამქირავებელს ან დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, თუ ფართი საცხოვრებლად უვარგისი ხდება.

1973. როდესაც ნებისმიერი მხარე მიმართავს სასამართლოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია დაუყოვნელივ დააკმაყოფილოს ის ან დაავალოს მოვალეს ნაკისრი ვალდებულების შესრულება მის მიერ განსაზღვრული ვადის განმავალობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა ქირის თანხის გადახდის დაგვიანება სამ კვირაზე მეტი ხნით.

როდესაც მოვალე არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, სასამართლო წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას კრედიტორის განცხადების საფუძველზე.

1974. დამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს მიმდინარე ქირავნობის ხელშეკრულება, თუ მას საცხოვრებელი ფართი გამოყოფილი აქვს იაფფასიან საცხოვრებელ სახლში ან სასამართლოს გადაწყვეტილების გამო დამქირავებელი გადადის ანალოგიურ საცხოვრებელი ფართში, რომელიც შეესაბამება მის საჭიროებებს; დამქირავებელს შეუძლია ასევე შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება, თუ მას აღარ შეუძლია საცხოვრებელი ფართის დაკავება ფიზიკური ნაკლის გამო ან, უფროსი ასაკის ადამიანის შემთხვევაში, — თუ ის მუდმივად დაშვებულია საცხოვრებელ ადგილზე არსებული ან გრძელვადიანი სოციალური ზრუნვის ცენტრში, შუალედური რესურსებით მოქმედ დაწესებულებაში, მოხუცთა კერძო თავშესაფარში, როდესაც ადგილი აქვს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული სამეანო ზრუნვისა და პირადი დახმარების მომსახურების გაწევას, ანდა — ნებისმიერ სხვა თავშესაფარში მიუხედავად მისი დასახელებისა, როდესაც ადგილი აქვს ასეთი ზრუნვისა და მომსახურების გაწევას მიუხედავად იმისა, ცხოვრობს თუ არა უკვე დაშვების მომენტში დამქირავებელი ასეთ ადგილას.

ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის ორი თვის შემდეგ მას შემდეგ, რაც გამქირავებელს ეგზავნება შეტყობინება ან — შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ, თუ ქირავნობის ხელშერულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით ან ვადა 12 თვეზე ნაკლებია. თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის ორთვიანი ან ერთთვიანი პერიოდების გასვლამდეც, თუ მხარეები ასე თანხმდებიან ან როდესაც დამქირავებლის მიერ გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართი ხელახლა იქნა გაქირავებული გამქირავებლის მიერ იგივე ვადის განმავლობაში. გაგზავნილ შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს დაინტერესებული სახელმწიფო ორგანოს აღიარება და, უფროსი ასაკის ადამიანის შემთხვევაში, — უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაკმაყოფილებულ იქნა შესაბამის დაწესებულებაში დაშვებისათვის მოთხოვნილი პირობები.

თუ ქირის თანხის ნაწილი ფარავს დამქირავებლისათვის გაწეული პირადული ხასიათის მომსახურების ღირებულებას, დამქირავებელს მოეთხოვება ქირის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის გადახდა, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებამდე გაწეულ მომსახურებასთან. იგივე წესი მოქმედებს ასეთი მომსახურების ღირებულების მიმართაც, თუ მომსახურების გაწევა გამქირავებლის მიერ მოხდა ქირავნობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1974.1. დამქირავებელს შეუძლია შეწყვიტოს მიმდინარე ქირავნობის ხელშეკრულება, თუ მას ან მასთან მცხოვრებ ბავშვს ექმნება საფრთხე მეუღლის ან ყოფილი მეუღლის ძალადობრივი ქცევის ანდა — თუნდაც მესამე პირის მიერ ჩადენილი — სექსუალური აგრესიის გამო.

ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის ორი თვის შემდეგ მას შემდეგ, რაც გამქირავებელს ეგზავნება შეტყობინება ან — შეტყობინების გაგზავნიდან ერთი თვის შემდეგ, თუ ქირავნობის ხელშერულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით ან ვადა 12 თვეზე ნაკლებია. თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტა ძალაში შედის ორთვიანი ან ერთთვიანი პერიოდების გასვლამდეც, თუ მხარეები ასე თანხმდებიან ან როდესაც დამქირავებლის მიერ გათავისუფლებული საცხოვრებელი ფართი ხელახლა იქნა გაქირავებული გამქირავებლის მიერ იგივე ვადის განმავლობაში.

შეტყობინება უნდა გაიგზავნოს იმ იუსტიციის მინისტრის მიერ დანიშნული საჯარო მოსამსახურის ან საჯარო მოხელის დადასტურებით, რომელიც ძალადობის ან სექსუალური აგრესიის შემცველი მდგომარეობის ამსახველი დამქირავებლის ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენების, — ასევე დაზარალებულებთან კონტაქტში მყოფი პირების მიერ მიცემული ჩვენებებით გამყარებული სხვა ფაქტობრივი ელემენტებისა თუ დოკუმენტების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რაც უზრუნველყოფს დამქირავებლის ან მასთან მცხოვრები ბავშვის უსაფრთხოებას. საჯარო მოსამსახურე ან საჯარო მოხელე უნდა მოქმედებდეს სწრაფად.

თუ ქირის თანხის ნაწილი ფარავს დამქირავებლისათვის ან მასთან მცხოვრები დამქირავებლის ბავშვისათვის გაწეული პირადული ხასიათის მომსახურების ღირებულებას, დამქირავებელს მოეთხოვება ქირის თანხის მხოლოდ იმ ნაწილის გადახდა, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საცხოვრებელი ფართის გათავისუფლებამდე გაწეულ მომსახურებასთან. იგივე წესი მოქმედებს ასეთი მომსახურების ღირებულების მიმართაც, თუ მომსახურების გაწევა გამქირავებლის მიერ მოხდა ქირავნობის ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

1975. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ავტომატურად კანონის ძალით, როდესაც დამქირავებელი ნებისმიერი მიზეზის გარეშე ტოვებს საცხოვრებელ ფართს ისე, რომ თან მიაქვს თავისი მოძრავი ქონება; ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემდგომი მიზეზის გარეშე, როდესაც ფართი საცხოვრებლად უვარგისია და დამქირავებელი ტოვებს მას გამქირავებლისათვის გაფრთხილების გარეშე.

1976. როდესაც დასაქმებული წყვეტს დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობას, ამ უკანასკნელს შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების დანამატს, დასაქმებულისათვის ერთი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში.

დასაქმებულს შეუძლია შეწყვიტოს აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე მისი დამსაქმებლისათვის ერთი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში.

1977. ქირავნობის ხელშეკრულების განახლება ხდება ავტომატურად კანონის ძალით, როდესაც სასამართლო უარს ამბობს მის შეწყვეტაზე და თავის

გადაწყვეტილებას იღებს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც დადგენილია ქირავნობის ხელშეკრულების განახლების ან შეცვლის თავიდან აცილებისათვის. ასეთ შემთხვევაში, გამქირავებელს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის თანხის დადგენის მოთხოვნით.

1978. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტისას ან როდესაც დამქირავებელი ათავისუფლებს საცხოვრებელ ფართს, მან უნდა დატოვოს ის თავისუფალი ყველა მისი მოძრავი ნივთებისაგან, გარდა იმ ნივთებისა, რომლებიც ეკუთვნის გამქირავებელს. თუ დამქირავებელი ტოვებს მოძრავ ნივთებს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებისას ან საცხოვრებელი ფართის მიტოვების შემდეგ, გამქირავებელს შეუძლია მათი განკარგვა ქონების შესახებ წიგნში გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება გადაცემული და დავიწყებული ქონების მფლობელის მიმართ.

§ 9. — განსაზღვრულ ქირავნობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

I. — საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება

1979. სწავლით დაკავებული ყოველი პირი, რომელიც საცხოვრებელ ფართს საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან ქირაობს, უფლებამოსილია შეინარჩუნოს დაკავებული ფართი იმ ნებისმიერი პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც ის ინსტიტუტში ირიცხება დასწრებული სწავლების სტუდენტად, თუმცა ის არ არის აღნიშნულზე უფლებამოსილი, თუ ის ქირაობს საცხოვრებელ ფართს იმ ინსტიტუტისაგან, რომელშიც ის არ ირიცხება.

პირი, რომელსაც ქირავნობის ხელშეკრულება დადებული აქვს მხოლოდ ზაფხულის პერიოდში, არ არის უფლებამოსილი შეინარჩუნოს დაკავებული ფართი.

1980. სწავლით დაკავებულმა პირმა, რომელსაც სურს დაკავებული ფართის შენარჩუნების უფლების გამოყენება, ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი თვის ადრე უნდა განაცხადოს იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს ხელშეკრულების განახლება.

თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებას მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას შეუძლია გადაიყვანოს პირი მის მიერ დაკავებულის მსგავსი ტიპის სხვა საცხოვრებელ ფართში, რომელიც მდებარეობს იმავე არემარეში და — ეკვივალენტური ქირის ფასად.

1981. სწავლით დაკავებულ პირს არ შეუძლია საცხოვრებელი ფართის ქვექირავნობით გადაცემა ან კუთვნილი ქირავნობის უფლების დათმობა.

1982. საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება იმ პირთან, რომელიც აღარ არის დასწრებული სწავლე-

ბის სტუდენტი. მან ამ პირს ერთი თვით ადრე უნდა წარუდგინოს შეტყობინება, რომელიც შეიძლება არსებითად სადავოდ გახდეს მისი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. ანალოგიურად, სწავლით დაკავებულ პირს შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება.

1983. სწავლით დაკავებულ პირთან დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით, როდესაც ის ამთავრებს თავის სწავლას ან ის აღარ ირიცხება საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა სიაში.

II. — იაფფასიანი საცხოვრებელი ფართის ქირავნობის ხელშეკრულება

1984. Société d'habitation du Québec-ის ან იმ იურიდიული პირის საკუთრებაში ან მართვაში არსებულ იაფფასიან საცხოვრებელ სახლში განთავსებული საცხოვრებელი ფართი, რომლის საოპერაციო ხარჯები სრულად ან ნაწილობრივ სუბსიდირებულია Société d'habitation du Québec-გან ანდა საცხოვრებელი ფართი, რომელიც არ არის ამგვარად განთავსებული, თუმცა რომლის ქირაც დგინდება Société d'habitation du Québec-ის წესდებით, წარმოადგენს იაფფასიან საცხოვრებელ ფართს.

ფართი, რომლისათვისაც Société d'habitation du Québec-ი თანახმაა გაიღოს თანხა ქირის თანხის გადახდის ანგარიშში, ასევე წარმოადგენს იაფფასიან საცხოვრებელ ფართს, თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ქირავნობის განცხადებების რეგისტრაციასთან და შესაფერისი პირების სიასთან დაკავშირებული დებულებები არ გამოიყენება, როდესაც დამქირავებელი შერჩეულია იმ ასოციაციის მიერ, რომელიც წარმოადგენს ამ მიზნით Société d'habitation du Québec-ის შესახებ კანონის (თავი S-8) საფუძველზე შექმნილ იურიდიულ პირს.

1985. იაფფასიანი საცხოვრებელი ფართის გამქირავებელმა ფართის ქირავნობის მიზნით სათანადოდ უნდა აწარმოოს ქირავნობის განცხადებების რეესტრი და შესაფერისი პირების სია Société d'habitation du Québec-ის წესდების შესაბამისად და ასევე — იმ ნებისმიერი წესდების შესაბამისად, რომელიც მიიღო თავად გამქირავებელმა, როგორც უფლებამოსილმა პირმა, Société d'habitation du Québec-ის წესდების მიხედვით.

როდესაც საცხოვრებელი ფართი თავისუფალია, გამქირავებელმა ის უნდა შესთავაზოს შესაფერისი პირების სიაში მყოფ პირს წესდებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1986. თუ გამქირავებელი უარს აცხადებს პირის განცხადების რეესტრში რეგისტრაციაზე ან მისი სახელის შესაფერისი პირების სიაში შეყვანაზე, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს უარის თქმიდან ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით.

პირს, რომლიც ამოღებულ იქნა სიიდან ან შეყვანილ იქნა სიაში არა იმ კატეგორიისა თუ ქვეკატეგორიის საცხოვრებელი ფართისათვის, რაზეც ის არის უფლებამოსილი, შეუძლია ასევე გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს გამქირავებლის გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით.

აღნიშნულ შემთხვევებში, გამქირავებელს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ის მოქმედებდა წესდებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში. შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს განცხადების რეესტრში რეგისტრაცია ან პირის სახელის შესაფერისი პირების სიაში შეყვანა, ხელახალი შეყვანა ან ხელახალი კლასიფიცირება.

1987. თუ გამქირავებელი საცხოვრებელ ფართს გამოუყოფს იმ პირს, რომელიც წესდების თანახმად არ წარმოადგენს მის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, საცხოვრებელი ფართის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ფართის გამოყოფის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით.

გამქირავებელს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ ის მოქმედებდა წესდებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში; თუ ის ამგვარად არ იქცევა, სასამართლოს შეუძლია დაავალოს მას პირის დაბინავება იმ კატეგორიის საცხოვრებელ ფართში, რაზეც ეს პირი არის უფლებამოსილი, ან თუ არც ერთი ფართი არ არის თავისუფალი, — განათავსოს ის ამავე კატეგორიის შემდეგ ფართში, რომელიც გათავისუფლდება. გადაუდებელ შემთხვევებში, სასამართლოს შეუძლია ასევე დაავალოს გამქირავებელს, დააბინაოს პირი ტოლფას ფართში, — მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის იაფფასიან საცხოვრებელ ფართს თუ არა, — რაც შეესაბამება იმ კატეგორიის საცხოვრებელ ფართს, რაზეც ეს პირი არის უფლებამოსილი. თუ აღნიშნული ფართის ქირა უფრო მაღალია, ვიდრე ის ქირის თანხა, რაც პირს უნდა გადაეხადა იმ საცხოვრებელი ფართისათვის, რაზეც ეს პირი არის უფლებამოსილი, გამქირავებელი ვალდებულია, გადაიხადოს ნამეტი თანხა.

1988. როდესაც იაფფასიან საცხოვრებელ ფართში განთავსება ხდება დამქირავებლის მხრიდან შეცდომაში შემყვანი განცხადების შედეგად, გამქირავებელს აღნიშნული განცხადების შეტყობიდან ორი თვის ვადაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი განსაზღვრული პირობების შეცვლის მოთხოვნით თუ, იმ შემთხვევაში, რომ არ ყოფილიყო შეცდომაში შემყვანი განცხადება, გამქირავებელი არ განათავსებდა ფართში დამქირავებელს ან ის ამას მოახდენდა განსხვავებული პირობებით.

1989. დამქირავებელს, რომელსაც დაკავებული აქვს ისეთი კატეგორიის საცხოვრებელი ფართი, რაზეც ის უფლებამოსილი არ არის, შეუძლია მიმართოს გამქირავებელს მისი სახელის შესაფერისი პირების სიაში ხელახალი შეყვანის მოთხოვნით.

თუ გამქირავებელი უარს იტყვის დამქირავებლის სახელის სიაში ხელახალ შეყვანაზე ან მის შეყვანას ახდენს იმ კატეგორიის საცხოვრებელი ფართისათვის გათვალისწინებულ სიაში, რაზეც ის უფლებამოსილი არ არის, დამქირავებელს შეუძლია უარის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ან ფართში განთავსებიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართოს სასამართლოს გამქირავებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით.

1990. გამქირავებელს ნებისმიერ დროს შეუძლია სამი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით სხვა ფართში გადაიყვანოს დამქირავებელი, რომელიც იკავებს იმ სათანადო კატეგორიისა თუ ქვეკატეგორიის საცხოვრებელ ფართს, რაზეც ის უფლებამოსილი არ არის.

დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

1991. თუ პირი, რომელიც დაკავებული ფართის შენარჩუნების უფლებიდან იღებს სარგებელს, წყვეტს დამქირავებელთან თანაცხოვრებას ან თუ დამქირავებელი გარდაიცვლება, აღნიშნული პირი არ არის უფლებამოსილი ქირავნობის ხელშეკრულების ავტომატურად კანონის ძალიათ განახლებაზე, თუ ის აღარ აკმაყოფილებს წესდებით გათვალისწინებული პირის ფართში განთავსების პირობებს.

ასეთ შემთხვევაში გამქირავებელს შეუძლია ვადამდე შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება აღნიშნული პირისათვის სამი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით.

1992. გამქირავებელი, რომელიც ატყობინებს დამქირავებელს ქირის თანხის გაზრდის განზრახვის შესახებ, არ არის ვალდებული, მიუთითოს ქირის ახალი თანხა ან მომატებული თანხა, ხოლო დამქირავებელი კი არ არის ვალდებული, უპასუხოს ასეთ შეტყობინებას.

თუმცა, თუ ქირის თანხა არ დგინდება Société d'habitation du Québec-ის წესდების შესაბამისად, დამქირავებელს ქირის თანხის დადგენიდან ორი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი გადასინჯვის მოთხოვნით.

1993. დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის ან სხვა პირობის ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოთხოვნილი ვადისა თუ ცვლილების საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა ახალ პირობებს.

პირი, რომელიც დაკავებული ფართის შენარჩუნების უფლებისაგან იღებს სარგებელს და რომელიც იღებს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებას, ანალოგიურად შეუძლია არსებითად სადავოდ გახადოს ხელშეკრულების შეწყვეტა სასამართლოში; წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა ამას.

1994. გამქირავებელი იმ დამქირავებლის მოთხოვნით, რომელმაც განიცადა შემოსავლის შემცირება ან თავის საოჯახო მეურნეობის შემადგენლობაში ცვლილება, ვალდებულია შეამციროს თავისი ქირის თანხა ქირავნობის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში Société d'habitation du Québec-ის წესდების შესაბამისად; თუ ის უარს აცხადებს აღნიშნული მოქმედების განხორციელებაზე ან უგულებელყოფს მას, დამქირავებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ქირის შემცირების მოთხოვნით.

თუ დამქირავებლის შემოსავალი უბრუნდება თავის ძველ მაჩვენებელს ან აჭარბებს მას, თავდაპირველი ქირის თანხა აღდგება; დამქირავებელს შეუძ-

ლია სადავო გახადოს ქირის თანხის აღდგენა ერთი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ის იქნა აღდგენილი.

1995. იაფფასიანი საცხოვრებელი ფართის დამქირავებელს არ შეუძლია საცხოვრებელი ფართის ქვექირავნობით გადაცემა ან კუთვნილი ქირავნობის უფლების დათმობა.

მას შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება გამქირავებლისათვის სამი თვით ადრე წარდგენილი შეტყობინებით.

III. — ავტოფურგონის განთავსებისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება

1996. ავტოფურგონის განთავსებისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის გამქირავებელი ვალდებულია, მოახდინოს მიწის ნაკვეთის გადაცემა და მისი ექსპლუატაცია კანონით დადგენილი მიწის გამოყენების სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულებები ქმნის ქირავნობის ხელშეკრულების ნაწილს.

1997. გამქირავებელს არ შეუძლია მოითხოვოს დამქირავებლის ავტოფურგონის თავად გადატანა.

1998. გამქირავებელს არ შეუძლია შეზღუდოს მიწის ნაკვეთის დამქირავებლის უფლება, თავისი არჩევანით შეცვალოს თავისი ავტოფურგონი სხვა ავტოფურგონით.

გამქირავებელს არ შეუძლია შეზღუდოს დამქირავებლის უფლება, გაასხვისოს ან გააქირავოს თავისი ავტოფურგონი; მას ასევე არ შეუძლება მოითხოვოს, რომ ის, გამქირავებელი, მოქმედებდეს როგორც რწმუნებული ან რომ ის ირჩევდეს პირს, რომელიც იმოქმედებს დამქირავებლის რწმუნებულის სახით ავტოფურგონის გასხვისების ან გაქირავების მიზნით.

თუმცაღა, დამქირავებელმა, რომელიც ასხვისებს თავის ავტოფურგონს, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მიწის ნაკვეთის გამქირავებელს.

1999. გამქირავებელი ვერ მოითხოვს რაიმე ფულად თანხას დამქირავებლისაგან ავტოფურგონის გასხვისების ან გაქირავების გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გასხვისების ან გაქირავების მიზნით მოქმედებს როგორც დამქირავებლის რწმუნებული.

2000. გაქირავებულ მიწის ნაკვეთზე განლაგებული ავტოფურგონის შემძენი ხდება მიწის ნაკვეთის დამქირავებელი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გამქირავებელს ატყობინებს ფართის დატოვების განზრახვის შესახებ შეძენიდან ერთი თვის განმავლობაში.

თავი 5
ფრახტირება

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

2001. ფრახტირება არის ხელშეკრულება, რომლითაც პირი, გამქირავებელი, კისრულობს გადაზიდვის ფასის სანაცვლოდ, რასაც ასევე უწოდებენ ფრახტს, გადასცეს მთლიანი გემი ან მისი ნაწილი სხვა პირის, მეფრახტის, განკარგულებაში სანაოსნოდ.

წერილობითი ფორმით დადების შემთხვევაში, ხელშეკრულების არსებობა დასტურდება ფრახტირების დოკუმენტით (charterparty), რომელიც შეიცავს მხარეთა სახელებს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათ ვალდებულებებსა და გემის მაიდენტიფიცირებელ სპეციფიკურ მონაცემებს.

2002. მეფრახტე ვალდებულია, გადაიხადოს გადაზიდვის ფასი. თუ ფასი არ იქნა შეთანხმებული, მან უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების დადების ადგილსა და მომენტში არსებული საბაზრო ფასის შესაბამისი თანხა.

2003. როდესაც გამქირავებელს არ გადაუხადეს ფასი ტვირთის გემიდან გადმოტვირთვისას, მას შეუძლია დააკავოს გადასაზიდი ქონება მისი კუთვნილი თანხების, მათ შორის, — გონივრული ხარჯებისა და დაკავების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებამდე.

2004. საერთო ავარიის შემთხვევები რეგულირდება ხელშეკრულების დადების ადგილსა და მომენტში მოქმედი კონვენციებით დადგენილი საზღვაო წესებითა და ჩვეულებებით.

2005. მეფრახტეს გამქირავებლის თანხმობით შეუძლია ქვეფრახტით გასცეს გემი ან გამოიყენოს ის კონოსამენტის მეშვეობით გადაზიდვისათვის; ნებისმიერ შემთხვევაში, ის რჩება პასუხისმგებელი გამქირავებლის წინაშე მის მიერ ფრახტირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

გამქირავებელს მეფრახტისაგან მისაღები თანხების ფარგლებში შეუძლია წარადგინოს სარჩელი ქვემეფრახტის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ გადასახდელი გადაზიდვის ფასის გადახდის მოთხოვნით, თუმცა გემის ქვეფრახტი არ წარმოშობს პირდაპირ ურთიერთობას გამქირავებელსა და ქვემეფრახტეს შორის.

2006. ფრახტირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ბერბოუთ-ჩარტერის (bareboat) ან თაიმ-ჩარტერის შემთხვევაში, იწყება ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მისი შესრულების მყარი შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო სარეისო ჩარტერის (voyage charter) შემთხვევაში კი, — გადასაზიდი ქონების გადმოტვირთვის დასრულებიდან ან იმ გარემოების დადგომიდან, რომელიც იწვევს რეისის დასრულებას.

ქვეფრახტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა ხდება ანალოგიური პირობებით.

განყოფილება 2
ფრახტირების სხვადასხვა ხელშეკრულებების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები

§ 1. — ბერბოუთ-ჩარტერი

2007. ბერბოუთ-ჩარტერი წარმოადგენს ფრახტირების ხელშეკრულებას, რომლითაც გამქირავებელი განსაზღვრული ვადით გადასცემს გემს ეკიპაჟისა და მოწყობილობების გარეშე ან ნაწილობრივად ეკიპაჟით დაკომპლექტებულ და მოწყობილობებით გამართულ გემს მეფრახტის განკარგულებაში და გადასცემს მას გემის საზღვაოსნო და კომერციულ მართვას.

2008. გამქირავებელი გემის გადაცემას ახდენს შეთანხმებულ ადგილსა და მომენტში საზღვაოსნოდ ვარგის და ასევე იმ მომსახურებისათვის შესაბამის მდგომარეობაში, რომლისათვისაც ის არის გათვალისწინებული.

2009. მეფრახტეს შეუძლია გამოიყენოს გემი ნებისმიერი იმ მიზნისათვის, რისთვისაც ის არის გათვალისწინებული, თუმცა გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულებაში დაადგინოს ასეთ სარგებლობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები.

2010. მეფრახტეს შეუძლია გამოიყენოს გემის მარაგები და აღჭურვილობა.

ის აზღვევს გემს და კისრულობს ყველა საექსპლუატაციო ხარჯს. ის ქირაობს ეკიპაჟს და სწევს მის დასაქმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

2011. მეფრახტე ვალდებულია, გამქირავებელს მისცეს გარანტია გემის ექსპლუატაციიდან გამომდინარე მესამე პირების კუთვნილი ყველა სამართლებრივი საშუალების საწინააღმდეგოდ.

2012. მეფრახტე ვალდებულია, მოუაროს გემს და განახორციელოს აუცილებელი სარემონტო სამუშაოები და ნაწილების შეცვლა.

გამქირავებელი ვალდებულია, განახორციელოს იმ თანდაყოლილი ხარვეზებით გამოწვეული სარემონტო სამუშაოები და ნაწილების შეცვლა, რომელთა შედეგებიც ჩნდება მეფრახტისათვის გემის გადაცემიდან ერთი წლის განმავლობაში და თუ აღნიშნული ხარვეზის გამო გემი გაჩერებულია 24 საათზე მეტი ხნის განმავლობაში, ფრახტი არ ექვემდებარება გადახდას მეფრახტის მიერ დროის იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც გემი არის გაჩერებული.

2013. ხელშეკრულების შეწყვეტისას მეფრახტე აბრუნებს გემს იმ ადგილზე, სადაც ის იქნა გადაცემული და იმ მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნა გადაცემული; ის არ არის ვალდებულია აუნაზღაუროს გამქირავებელს ზარალი გემის, მარაგებისა და აღჭურვილობის ნორმალური ცვეთისათვის.

თუმცაღა, ის ვალდებულია, დააბრუნოს იგივე რაოდენობისა და ხარისხის მარაგები, პროვიზია და აღჭურვილობა, რაც მან მიიღო, როდესაც მას გადაეცა გემი.

§ 2. — თაიმ-ჩარტერი

2014. თაიმ-ჩარტერი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამქირავებელი განსაზღვრული ვადით გადასცემს სრულად აღჭურვილ და ეკიპაჟით დაკომპლექტებულ გემს მეფრახტის განკარგულებაში და რომლის საფუძველზეც ის ინარჩუნებს გემის საზღვაოსნო მართვას, თუმცა გადასცემს მეფრახტეს გემის კომერციულ მართვას.

2015. გამქირავებელი გემის გადაცემას ახდენს შეთანხმებულ ადგილსა და მომენტში საზღვაოსნოდ ვარგის მდგომარეობაში, ასევე — ეკიპაჟით სათანადოდ დაკომპლექტებულსა და აღჭურვილს იმ მომსახურებისათვის, რომლისათვისაც ის არის გათვალისწინებული.

2016. მეფრახტეს ეკისრება გემის საექსპლუატაციო ხარჯების, კერძოდ კი, — საპორტო მოსაკრებელი (wharfage), სალოცმანო მომსახურებისა და არხით სარგებლობის გადასახდელები.

მეფრახტე იძენს და იხდის ბორტზე საწვავის ფასს, როდესაც გემი გადაეცემა მას და ამის შემდგომაც ის ახდენს ისეთი ხარისხის საწვავის მომარაგებასა და მისი ფასის გადახდას გემის სათანადოდ მუშაობის უზრუნველსაყოფად.

2017. ხელშეკრულებით შეთანხმებული შეზღუდვების ფარგლებში გემის კაპიტანმა უნდა შეასრულოს მეფრახტის მითითებები გემის კომერციულ მართვასთან მიმართებაში.

თუ მითითებები შეუსაბამოა ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამქირავებლის უფლებებთან, კაპიტანს შეუძლია უარის თქვას მათ შესრულებაზე. თუ ის ასრულებს მათ, ის ამას ახორციელებს მეფრახტის მიმართ გამქირავებლის კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამორიცხვის გარეშე.

2018. მეფრახტე ვალდებულია, აუნაზღაუროს გამქირავებელს გემისათვის მიყენებული ნებისმიერი ზარალი ან ზიანი, რომელიც გამოწვეულია მისი კომერციული ექსპლუატაციით, გარდა ნორმალური ცვეთისა.

2019. ფრახტის ოდენობის ათვლა იწყება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად მეფრახტისათვის გემის გადაცემის დღიდან.

ფრახტის თანხა ექვემდებარება გადახდას გემის გამქირავებლისათვის დაბრუნების დღემდე; თუმცა, ფრახტი არ ექვემდებარება გადახდას იმ პერიოდებისათვის, რომელთა განმავლობაშიც გემის მუშაობას ხელი ეშლება დაუძლეველი ძალის ან იმ მიზეზის გამო, რომელიც მიეწერება მესამე პირს ანდა გამქირავებელს.

2020. მეფრახტე აბრუნებს გემს შეთანხმებულ ადგილზე და შეთანხმებული ვადის განმავლობაში; ის წარუდგენს გამქირავებელს გონივრულ წინასწარ გაფრთხილებას. თუ გემის დაბრუნებისათვის ადგილი არ იქნა შეთანხმებული, ის ბრუნდება იმ ადგილზე, სადაც ის იქნა გადაცემული.

§ 3. — სარეისო ჩარტერი

2021. სარეისო ჩარტერი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამქირავებელი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცემს სრულად აღჭურვილ და ეკიპაჟით დაკომპლექტებულ გემს მეფრახტის განკარგულებაში ერთ ან მეტ განსაზღვრულ რეისში ტვირთის გადაზიდვისათვის და რომლის საფუძველზეც ის ინარჩუნებს გემის საზღვაოსნო და კომერციულ მართვას.

ხელშეკრულებაში მიეთითება ტვირთის სახეობა და რაოდენობა, ისევე როგორც დატვირთვისა და გადმოტვირთვის ადგილები და აღნიშნული ოპერაციებისათვის განკუთვნილი დრო.

2022. გამქირავებელი წარადგენს გემს შეთანხმებულ ადგილსა და მომენტში საზღვაოსნოდ ვარგის მდგომარეობაში, ასევე — რეისის განხორციელებისათვის ეკიპაჟით სათანადოდ დაკომპლექტებულსა და აღჭურვილს.

უფრო მეტიც, ის ვალდებულია, შეინარჩუნოს გემი საზღვაოსნოდ ვარგის მდგომარეობაში და რეისის შესრულებისათვის გამოიყენოს მასზე დამოკიდებული ყოველგვარი გულისხმიერება.

2023. ხელშეკრულებით შეთანხმებული შეზღუდვების ფარგლებში გამქირავებელი პასუხისმგებელია ბორტზე მიღებული ქონების დანაკლისისა თუ დაზიანებისათვის. თუმცა, მას შეუძლია გაითავისუფლოს თავი აღნიშნული პასუხისმგებლობისაგან იმის დამტკიცებით, რომ ზიანი არ წარმოადგენდა მისი მხრიდან მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგს.

2024. მეფრახტე ვალდებულია, დატვირთოს შეთანხმებული ხარისხის ტვირთი შეთანხმებული რაოდენობით; თუ ის ამას არ აკეთებს, მიუხედავადა ამისა, ის მაინც ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული ფრახტი.

თუმცაღა, მეფრახტეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება მანამდე, სანამ დაიწყება დატვირთვა; ასეთ შემთხვევაში, მან უნდა გადაუხადოს გამქირავებელს საკომპენსაციო თანხა იმ ოდენობით, რაც უტოლდება ამ უკანასკნელის მიერ განცდილ ზიანს, თუმცა ყველა შემთხვევაში, — არაუმეტეს ფრახტის თანხისა.

2025. მეფრახტემ უნდა დატვირთოს და გადმოტვირთოს ტვირთი ხელშეკრულებით დაშვებული დროის განმავლობაში ან თუ ხელშეკრულება არ განსაზღვრავს დროს, — გონივრულ ვადაში ან პორტის ჩვეულებების შესაბამისად.

როდესაც დატვირთვისა და გადმოტვირთვის ვადები ხელშეკრულებით ცალ-ცალკე დგინდება, მაშინ ეს ვადები შეუქცევადია და თითოეული ოპერაციის ვადა გამოითვლება ცალ-ცალკე.

2026. დატვირთვისა თუ გადმოტვირთვის ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც გამქირავებელი ატყობინებს მეფრახტეს, რომ გემი მზადაა დატვირთვისა თუ გადმოტვირთვისათვის მისი პორტში მისვლის შემდეგ.

2027. როდესაც ადგილი აქვს დატვირთვისა თუ გადმოტვირთვის დაშვებული დროის გადამეტებას იმ ნებისმიერი მიზეზის გამო, რომელიც არ მიეწერება გამქირავებელს, მეფრახტემ უნდა გადაიხადოს მოცდენის თანხა (demurrage) დატვირთვისა თუ გადმოტვირთვის დაშვებული დროის გასვლის მომენტიდან; მოცდენის თანხა განიხილება ფრახტის დამატებად და ის ექვემდებარება გადახდას იმ სრული დამატებითი დროისათვის, რომელიც რეალურად მოითხოვება დატვირთვისა თუ გადმოტვირთვისათვის.

მოცდენის თანხა, რომელიც არ არის ხელშეკრულებით დადგენილი, გამოითვლება გონივრული განაკვეთით დატვირთვისა თუ გადმოტვირთვის პორტის ჩვეულებების შესაბამისად ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — ზოგადი ჩვეულებების შესაბამისად.

2028. ფრახტი ექვემდებარება გადახდას რეისის დასრულებისთანავე. თუმცა, ის არ არის გადასახდელი ყველა გარემოების არსებობისას.

როდესაც რეისის დასრულება შეუძლებელი ხდება, მეფრახტე ვალდებულია, გადაიხადოს ფრახტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზეზი არ მიეწერება გამქირავებელს. ასეთ შემთხვევაში ფრახტი გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ გავლილი მანძილის პროპორციულად.

2029. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით ნებისმიერ მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გარეშე, თუ დაუძლეველი ძალა რეისის შესრულებას შეუძლებელს ხდის ჯერ კიდევ მის დაწყებამდე.

თუმცაღა, ხელშეკრულება შენარჩუნდება, თუ დაუძლეველი ძალა ხელს უშლის გემის გასვლას ან რეისის შესრულებას მხოლოდ დროებით; ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია დაგვიანების გამო ფრახტის თანხის შემცირების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

თავი 6
გადაზიდვა-გადაყვანა

განყოფილება 1
ყველა სახის ტრანსპორტირების მიმართ გამოსაყენებელი წესები

§ 1. — ზოგადი დებულებები

2030. გადაზიდვა-გადაყვანა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, გადამზიდველი, კისრულობს ვალდებულებას, გადაიყვანოს პირი ან გადაზიდოს ნივთი ერთი ადგილიდან მეორეზე იმ ფასის სანაცვლოდ, რომლის გადახდასაც შეთანხმებულ მომენტში კისრულობს მეორე პირი, მგზავრი ან ტვირთის გამგზავნი ანდა ტვირთის მიმღები.

2031. ერთმანეთის მიმდევარი გადაზიდვა ხორციელდება რიგ-რიგობით რამდენიმე გადამზიდველის მიერ ერთი და იგივე სახის გადაზიდვის გამოყენებით; კომბინირებული გადაზიდვა ხორციელდება რიგ-რიგობით რამდენიმე გადამზიდველის მიერ განსხვავებული სახის გადაზიდვის გამოყენებით.

2032. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაზიდვა-გადაყვანა ხორციელდება იმ გადამზიდველის მიერ, რომელიც თავის მომსახურებას სთავაზობს საჯაროდ თავისი საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, პირის უსასყიდლო გადაყვანა ან ნივთების უსასყიდლო გადაზიდვა არ რეგულირდება წინამდებარე თავში მოცემული ნორმებით და გადამზიდველს ეკისრება მხოლოდ კეთილგონივრულობისა და გულისხმიერების ვალდებულება.

2033. გადამზიდველმა, რომელიც ახორციელებს ფართო საზოგადოების მომსახურებას, უნდა განახორციელოს ნებისმიერი იმ პირის გადაყვანა, რომელიც ამას ითხოვს, და ასევე — ნებისმიერი იმ ნივთის გადაზიდვა, რასაც მას მოსთხოვენ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას მნიშვნელოვანი საფუძველი აქვს უარის თქმისათვის; მგზავრი, ტვირთის გამგზავნი ან ტვირთის მიმღები ვალდებულია, კანონის შესაბამისად შეასრულოს გადამზიდველის მიერ მიცემული მითითებები.

2034. გადამზიდველს არ შეუძლია გამორიცხოს ან შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა, გარდა კანონით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობების გათვალისწინებით.

გადამზიდველი ვალდებულია, აანაზღაუროს დაგვიანების შედეგად მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის არსებობას.

2035. როდესაც გადამზიდველი ავალებს სხვა გადამზიდველს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიან ან ნაწილობრივ შესრულებას, შემცვლელი გადამზიდველი ჩაითვლება ხელშეკრულების მხარედ.

ტვირთის გამგზავნი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ერთ-ერთი გადამზიდველისათვის თანხის გადახდით.

§ 2. — პირთა გადაყვანა

2036. პირთა გადაყვანა, თავად გადაყვანასთან ერთად, მოიცავს ასევე გემზე ასვლისა და ნაპირზე გადმოსვლის ოპერაციებსაც.

2037. გადამზიდველი ვალდებულია, ჩაიყვანოს თავისი მგზავრები უსაფრთხოდ და უვნებლად მათ დანიშნულების ადგილამდე.

გადამზიდველი ვალდებულია, აანაზღაუროს მგზავრის მიერ განცდილი ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ზარალი გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალით ან მგზავრის ჯანმრთელობის მდგომარეობით ანდა ამ უკანასკნელის ბრალით. გადამზიდველი ასევე ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი გამოწვეულია

მისი ან ერთ-ერთი მისი დაქვემდებარებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობით ანდა სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობითა თუ მუშაობით.

2038. გადამზიდველი პასუხისმგებელია მგზავრის მიერ მისთვის გადაცემული ბარგისა თუ სხვა მოძრავი ნივთების დაკარგვისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის, ნივთების თანდაყოლილი ხარვეზის ან მგზავრის ბრალის არსებობას.

თუმცაღა, გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტების, ფულის ან სხვა ძვირადღირებული ნივთების დაკარგვისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დათანხმდა ნივთების გადაზიდვას მას შემდეგ, რაც მოხდა მათი სახეობისა თუ ღირებულების მისთვის დეკლარირება; უფრო მეტიც, გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი ხელბარგის ან სხვა იმ მოძრავი ნივთების დაკარგვისათვის, რომლებიც რჩება მგზავრის ხელში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მგზავრი დაამტკიცებს გადამზიდველის ბრალეულობას.

2039. პირთა ერთმანეთის მიმდევარი ან კომბინირებული გადაზიდვის შემთხვევაში, გადამზიდველი, რომელიც ახორციელებს იმ გადაზიდვას, რომლის განხორციელებას ადგილი აქვს ზიანის დადგომას, პასუხს აგებს ამ ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ერთ-ერთმა გადამზიდველმა პირდაპირი შეთანხმებით პასუხისმგებლობა იკისრა მთლიანი მოგზაურობისათვის.

§ 3. — ნივთების გადაზიდვა

2040. ნივთების გადაზიდვა ხორციელდება დროის იმ მომენტიდან, როდესაც გადამზიდველი ნივთებს თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ იღებს გადაზიდვის მიზნით მათი მიწოდების მომენტამდე.

2041. კონოსამენტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ნივთების გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას.

კონოსამენტი უთითებს ტვირთის გამგზავნის, ტვირთის მიმღებისა და გადამზიდველის სახელწოდებებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, — ასევე იმ პირის სახელსაც, რომელმაც უნდა გადაიხადოს ფრახტი და გადაზიდვის საზღაური. კონოსამენტი ასევე უთითებს გადამზიდველის მიერ ნივთების თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ მიღების ადგილსა და თარიღს, გამგზავრებისა და დანიშნულების ადგილებს, ფრახტს, ისევე როგორც ნივთების სახეობას, რაოდენობას, მოცულობას ან წონასა და ხილულ მდგომარეობას, ასევე — იმ ნებისმიერ სახიფათო თვისებებს, რომლებიც მას შეიძლება ჰქონდეს.

2042. კონოსამენტი გაიცემა რამდენიმე ასლის სახით; მისი გამცემი გადამზიდველი თავისთან ინახავს ერთ ასლსა და კიდევ ერთს გადასცემს ტვირთის გამგზავნს; მეორე ასლი თან მიჰყვება ნივთებს მათი დანიშნულების ადგილამდე.

ნებისმიერი საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობისას, კონოსამენტი წარმოადგენს გადამზიდველის მიერ ნივთების თავისი პასუხისმგებლობის

ქვეშ მიღებისა და ასევე მათი სახეობის, რაოდენობისა და ხილული მდგომარეობის მტკიცებულებას.

2043. კონოსამენტი არ ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას, გარდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საბრუნავი კონოსამენტის სხვა პირისათვის გადაცემა ხორციელდება ინდოსამენტითა და დოკუმენტის გადაცემით ან — დოკუმენტის უბრალო გადაცემით, თუ ის გაცემულია საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის სახით.

2044. გადამზიდველი ვალდებულია, გადასცეს ნივთები ტვირთის მიმღებს ან კონოსამენტის მფლობელს.

კონოსამენტის მფლობელი ვალდებულია, გადასცეს ის გადამზიდველს, როდესაც ეს უკანაკნელი ითხოვს ნივთების გადაცემას.

2045. ტვირთის გამგზავნის უფლებების გათვალისწინების პირობით, ტვირთის მიმღები ნივთების ან ხელშეკრულების მიღებისას იძენს ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და კისრულობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

2046. გადამზიდველი ვალდებულია, შეატყობინოს ტვირთის მიმღებს ნივთების ჩამოსვლისა და მათი წაღებისათვის გამოყოფილი დროის შესახებ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთების გადაცემა ხდება ტვირთის მიმღების საცხოვრებელ ადგილას ან სახლში.

2047. როდესაც ტვირთის მიმღების პოვნა შეუძლებელია ან ის უარს აცხადებს გადაცემული ნივთების მიღებაზე ან უგულებელყოფს აღნიშნულს ანდა როდესაც ნებისმიერი მიზეზით გადამზიდველს არ შეუძლია ნივთების მიწოდება მისი მხრიდან ბრალის არარსებობისას, გადამზიდველმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ტვირთის გამგზავნს ამის შესახებ და მოსთხოვოს მითითებები ნივთების განკარგვასთან დაკავშირებით; თუმცა, გადაუდებელ შემთხვევებში გადამზიდველს შეუძლია განკარგოს მალფუჭებადი ნივთები.

თუ გადამზიდველი არ იღებს მითითებებს შეტყობინებიდან 15 დღის განმავლობაში, მას შეუძლია დაუბრუნოს ნივთები ტვირთის გამგზავნს ამ უკანასკნელის ხარჯზე ან განკარგოს ისინი ქონების შესახებ მეოთხე წიგნში მოცემული წესების შესაბამისად, რომლებიც ეხება გადაცემული და დავიწყებული ქონების მფლობელს.

2048. ნივთების წაღებისათვის გამოყოფილი დროის ამოწურვის ან ტვირთის გამგზავნის მხრიდან შეტყობინების მომენტიდან გადამზიდველს ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც უსასყიდლო შემნახველს; თუმცაღა, ის ნივთების შენარჩუნებისა და შენახვისათვის უფლებამოსილია გონივრული საზღაურის მიღებაზე, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს ტვირთის მიმღების მიერ ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — ტვირთის გამგზავნის მიერ.

2049. გადამზიდველი ვალდებულია, გადაზიდოს ნივთები მათი დანიშნულების ადგილამდე.

ის ვალდებულია, აანაზღაუროს გადაზიდვის შედეგად მიყენებული ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, ნივთების თანდაყოლილი ხარვეზით ან ბუნებრივი დანაკლისით.

2050. გადამზიდველის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნებისმიერი სარჩელის ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ნივთების გადაცემის მომენტიდან ან იმ თარიღიდან, როდესაც ისინი უნდა გადაცემულიყო.

სარჩელი არ არის დასაშვები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის შესახებ წერილობითი შეტყობინება თავდაპირველად წარედგინა გადამზიდველს ნივთების გადაცემიდან 60 დღის განმავლობაში მიუხედავად იმისა, იყო თუ არა აშკარა ნივთებისათვის მიყენებული ზიანი, ან თუ ნივთები არ არის გადაცემული, — ცხრა თვის განმავლობაში იმ თარიღიდან, როდესაც ისინი გაიგზავნა. შეტყობინება არ მოითხოვება, თუ სარჩელის წარდგენა ხდება აღნიშნული დროის განმავლობაში.

2051. ნივთების ერთმანეთის მიმდევარი ან კომბინირებული გადაზიდვის შემთხვევაში, პასუხისმგებლობიდან გამომდინარე სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ გადამზიდველის მიმართ, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება, ან — უკანასკნელი გადამზიდველის მიმართ.

2052. ზიანის შემთხვევაში, გადამზიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს ტვირთის გამგზავნის მიერ გაცხადებული ქონების ღირებულებას.

თუ ღირებულება არ იყო გაცხადებული, ის განისაზღვრება დატვირთვის ადგილსა და მომენტში არსებული ქონების ღირებულების საფუძველზე.

2053. გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი დოკუმენტების, ფულისა თუ ძვირადღირებული ნივთების გადაზიდვაზე.

თუ გადამზიდველი თანახმაა აღნიშნული სახის ქონების გადაზიდვაზე, ის არ არის პასუხისმგებელი ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი ბუნება ან ღირებულება მისთვის გაცხადებულ იქნა; ნებისმიერი ცრუ განცხადება, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს პირი ქონების ბუნებასთან დაკავშირებით ან ბერავს მის ღირებულებას, სრულად ათავისუფლებს გადამზიდველს პასუხისმგებლობისაგან.

2054. ტვირთის გამგზავნმა, რომელიც გადამზიდველს განკარგულებაში გადასცემს სახიფათო ნივთებს მათი ზუსტი ბუნების წინასწარი გამჟღავნების გარეშე, უნდა აუნაზღაუროს გადამზიდველს ნებისმიერი ზიანი, რომელსაც ის განიცდის ნივთების გადაზიდვის გამო.

გარდა ამისა, ტვირთის გამგზავნმა უნდა გადაიხადოს ნივთების შენახვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საზღაური და იკისროს მასთან დაკავშირებული ყველა რისკი.

2055. ტვირთის გამგზავნი ვალდებულია, აანაზღაუროს გადამზიდველის მიერ ნივთების თანდაყოლილი ხარვეზის შედეგად განცდილი ზარალი ან — ასევე ტვირთის გამგზავნის განცხადებაში არსებული გადაზიდულ ნივთებთან დაკავშირებული ნებისმიერი დაუდევრობით, უკმარისობით ან უზუსტობით გამოწვეული ზიანი.

თუმცა, გადამზიდველი რჩება პასუხისმგებელი იმ მესამე პირების მიმართ, რომლებიც განიცდიან ზიანს ნებისმიერი ზემოაღნიშნული მოქმედებებისა თუ დაუდევრობის შედეგად ტვირთის გამგზავნის მიმართ მისი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გათვალისწინებით.

2056. ფრახტისა და გადაზიდვის საზღაური ექვემდებარება გადახდას ნივთების გადაცემამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ კონოსამენტში.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ნივთი არ არის ისეთი, როგორც ეს აღწერილია ხელშეკრულებაში, ან თუ მისი ღირებულება აღემატება გაცხადებულ თანხას, გადამზიდველს შეუძლია მოითხოვოს საზღაურის ის თანხა, რომლის მოთხოვნასაც ის შეძლებდა აღნიშნული ნივთის გადაზიდვისათვის.

2057. როდესაც გადაზიდული ნივთების ფასი ექვემდებარება გადახდას ნივთების გადაცემისთანავე, გადამზიდველს არ ევალება ნივთების გადაცემა მანამდე, სანამ ის არ მიიღებს საზღაურს.

ტვირთის გამგზავნი იხდის შესაბამის საზღაურს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას კონოსამენტში სხვაგვარი მითითებები აქვს მიცემული.

2058. გადამზიდველს შეუძლია დააკავოს გადაზიდული ნივთები მანამდე, სანამ არ იქნება გადახდილი გადაზიდვის საზღაური და შენახვის ნებისმიერი სხვა გონივრული ხარჯი.

თუ ტვირთის გამგზავნის მითითებების შესაბამისად აღნიშნული თანხები ექვემდებარება გადახდას ტვირთის მიმღების მიერ, გადამზიდველი კი არ ითხოვს მათ გადახდას, ის კარგავს ამ თანხის ტვირთის გამგზავნისაგან მოთხოვნის კუთვნილ უფლებას.

განყოფილება 2
წყალზე ნივთების გადაზიდვის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები

§ 1. — ზოგადი დებულებები

2059. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, წინამდებარე განყოფილება გამოიყენება წყალზე ნივთების გადაზიდვის მიმართ, როდესაც გემის გასვლისა და დანიშნულების პორტები მდებარეობს კვებეკში.

2060. ნივთების გადაზიდვა ხორციელდება დროის იმ მომენტიდან, როდესაც გადამზიდველი ნივთებს თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ იღებს მათი მიწოდების მომენტამდე.

§ 2. — მხარეთა ვალდებულებები

2061. ფრახტის გადახდა ხდება ტვირთის გამგზავნის მიერ.

ფრახტის გადახდა ხდება ასევე ტვირთის მიმღების მიერაც, როდესაც ის იღებს იმ ნივთებს, რომელთა ჩამოსვლისას ფრახტი ექვემდებარება გადახდას.

2062. ტვირთის გამგზავნმა ნივთები უნდა წარადგინოს მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით დადგენილ დროსა და ადგილას ან დატვირთვის პორტის ჩვეულებების შესაბამისად, რომელთა არარსებობისას მან გადამზიდველს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია იმ ოდენობით, რაც უტოლდება ამ უკანასკნელის მიერ განცდილ ზიანს, თუმცა არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება ფრახტის თანხას.

2063. რეისის შესრულების დასაწყისში, და თუნდაც მანამდე, გადამზიდველი ვალდებულია, გამოავლინოს გულისხმიერება, რათა გემი გახადოს საზღვაოსნოდ ვარგისი, სათანადოდ დააკომპლექტოს ის ეკიპაჟით, აღჭურვოს და მოამარაგოს ის, ასევე გემის ყველა ნაწილი გამოსადეგი და უსაფრთხო გახადოს, როდესაც ის უნდა დაიტვირთოს ნივთებით და ტვირთი შენარჩუნებულ უნდა იქნეს რეისის შესრულების დროის განმავლობაში.

2064. გადამზიდველი ვალდებულია, სათანადო წესით შეუდგეს გადაზიდული ნივთების დატვირთვას, ოპერირებას, განთავსებას, გადაზიდვას, დაცვასა და გადმოტვირთვას.

გარდა კაბოტაჟული ვაჭრობისა, გადამზიდველი უშვებს შეცდომას, თუ ტვირთის გამგზავნის თანხმობის გარეშე და ასევე იმ წესებისა თუ ჩვეულებების არარსებობისას, რომლითაც დაშვებულია აღნიშნული, ის ნივთებს ათავსებს ბაქანზე. თანხმობა ივარაუდება, როდესაც კონტეინერები დატვირთულია ისეთ გემზე, რომელიც გამოსადეგია აღნიშნული სახის გადაზიდვისათვის.

2065. ტვირთის გამგზავნის მოთხოვნით გადამზიდველმა უნდა გასცეს მასზე კონოსამენტი, რომელიც ეფუძნება ტვირთის გამგზავნის განცხადებებს.

ჩვეულებრივ სპეციფიკურ მონაცემებთან ერთად, ასეთი კონოსამენტი შეიცავს ჩანაწერებს, რომლებიც იძლევა გადასაზიდი ნივთების ნათლად იდენტიფიცირების საშუალებას, მათ შორის, — მასზე არსებული ძირითადი აღნიშვნები და ნებისმიერი შესაბამისი ინფორმაცია.

გადამზიდველს შეუძლია უარყოს კონოსამენტში იმ ნებისმიერი სპეციფიკური მონაცემების შეტანა, რომელთა სისწორეშიც მას აქვს ეჭვის შეტანის მნიშვნელოვანი საფუძველი, ან რომელთა შემოწმების საშუალებაც მას არ ჰქონდა.

2066. ტვირთის გამგზავნი დატვირთვის მომენტში იძლევა მისი განცხადებების სისწორის გარანტიას და პასუხისმგებელია იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც შეიძლება განიცადოს გადამზიდველმა თავის განცხადებებში დაშვებული უზუსტობების შედეგად.

გადამზიდველს შეუძლია წინამდებარე მუხლის საფუძველზე მინიჭებული უფლებები განახორციელოს მხოლოდ ტვირთის გამგზავნის მიმართ.

2067. როდესაც ნივთების ბუნება ან ღირებულება ტვირთის გამგზავნის მიერ შეგნებულად არასწორად იქნა გაცხადებული, გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი დანაკლისისათვის.

2068. ნივთების წაღება ქმნის პრეზუმფციას, რომ ნივთები ტვირთის მიმღებისათვის მიწოდებულ იქნა კონოსამენტში მითითებულ მდგომარეობაში ან ასეთი მითითების არარსებობისას, — ნივთების დატვირთვის მომენტში არსებულ მდგომარეობაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადმოტვირთვის პორტში ტვირთის მიმღები წერილობით ატყობინებს გადამზიდველს ან მის წარმომადგენელს ნივთების ნებისმიერი დანაკლისის შესახებ არაუგვიანეს ნივთების წაღების მომენტისა ან თუ დანაკლისი არ არის აშკარა, — ნივთების წაღებიდან სამი დღის განმავლობაში.

ნივთების წაღების მომენტში გადამზიდველსა და ტვირთის მიმღებს შეუძლიათ ნივთების მდგომარეობასთან დაკავშირებით მოითხოვონ ფაქტის კონსტატაცია.

2069. ნივთებთან დაკავშირებით ნებისმიერი ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ზარალის შემთხვევაში, გადამზიდველი და ტვირთის მიმღები ვალდებული არიან, გადასცენ ერთმანეთს საქონლის პარტიების შემოწმებისა და დათვლის საშუალებები.

2070. ბათილია ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი ან გამქირავებელი თავისუფლდება გადაზიდული ნივთების დანაკლისიდან გამომდინარე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, გარდა ცოცხალი ცხოველების ან ბაქანზე იმ ნივთების განთავსების შემთხვევებისა, რომლებიც არ წარმოადგენს გემზე დატვირთულ საკონტეინერო გადაზიდვისათვის გამოსადეგ კონტეინერებს.

ნებისმიერი დათქმა, რომლითაც დაზღვევიდან გამომდინარე სარგებელი ეთმობა გადამზიდველს, ან ნებისმიერი მსგავსი დათქმა განიხილება როგორც შეთანხმება, რომლითაც გადამზიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

2071. გადამზიდველი პასუხისმგებელია გადაზიდული ნივთების მიერ მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის მის მიერ ამ ნივთების სამართავად მიღებიდან მათი მიწოდების მომენტამდე.

კერძოდ, გადამზიდველი პასუხისმგებელია გემის საზღვაოსნოდ უვარგისობის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ ის მოქმედებდა გულისხმიერად გემის საზღვაოსნოდ ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად.

2072. ნივთებთან დაკავშირებით გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია:

1) გემის კაპიტნის, ლოცმანის ან გადამზიდველის სხვა მომსახურე პერსო-

ნალის მხრიდან გემის ნაოსნობისა და მართვის დროს დაშვებული შეცდომით;
2) ხანძრით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გამოწვეულია გადამზიდველის მოქმედებით ან შეცდომით;
3) დაუძლეველი ძალით;
4) ნივთების მესაკუთრის ან ტვირთის გამგზავნის შეცდომით, განსაკუთრებით კი, — ნივთების ჩაწყობაში, შეფუთვასა თუ მარკირებაში დაშვებული შეცდომით;
5) ნივთების თანდაყოლილი ხარვეზით ან ბუნებრივი დანაკლისით;
6) სიცოცხლის ან ნივთების გადარჩენის ან გადარჩენის მცდელობისკენ მიმართული მოქმედებით, რასაც ადგილი აქვს გადაზიდვის განხორციელებისას ან აღნიშნული მიზნით გემის კურსიდან გადახვევისას.

2073. ტვირთის გამგზავნი არ არის პასუხისმგებელი გადამზიდველის მიერ განცდილი ნებისმიერი ზარალისათვის ან გემისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის, თუ ეს არ არის გამოწვეული მისი ან მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ბრალით.

2074. გადაზიდულ ნივთებთან დაკავშირებით გადამზიდველი პასუხისმგებელია ნებისმიერი ზარალისათვის მთავრობის რეგულაციებით დადგენილი თანხის ოდენობამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფრო მეტი ოდენობის კომპენსაცია იქნა დადგენილი მასსა და ტვირთის გამგზავნს შორის დადებული შეთანხმებით.
გადამზიდველს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა რეგულაციებით დადგენილ თანხაზე მეტი ოდენობით, თუ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა მოტყუებას ან თუ ნივთების სახეობა და ღირებულება ტვირთის გამგზავნის მიერ გაცხადებულ იქნა ნივთების დატვირთვამდე, ხოლო განცხადება კი თან დაერთო კონოსამენტს. ტვირთის გამგზავნის განცხადება სავალდებულოა გადამზიდველისათვის, გარდა მისი კუთვნილი საწინააღმდეგო მტკიცებულების წარდგენის უფლება.

2075. ფრახტი არ ექვემდებარება გადახდას საზღვაო რისკების გამო დაკარგული ნივთებისათვის ან გადამზიდველის მხრიდან იმ დაუდევრობისათვის, რაც გამოვლენილ იქნა გემის საზღვაოსნოდ ვარგის მდგომარეობაში მოყვანისას.

2076. გადამზიდველს შეუძლია გადმოტვირთოს, გაანადაგუროს ან გააუვნებელყოს ნებისმიერი სახიფათო ნივთები, თუ ის არ დაეთანხმებოდა მათ გადაზიდვას, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ნივთების ბუნება ან თვისებები.
აღნიშნული ტვირთის გამგზავნი პასუხისმგებელია მისი გადაზიდვიდან გამომდინარე ნებისმიერი ზიანისა და ნებისმიერი ხარჯისათვის, რომელიც გაწეულ იქნა გადამზიდველის მიერ ტვირთის განკარგვისა თუ გაუვნებელყოფისათვის.

2077. როდესაც სახიფათო ნივთები, რომელთა გადაზიდვაც განხორციელდა გადამზიდველის მხრიდან ამ ფაქტის ცოდნითა და მისი თანხმობით, სახიფათო ხდება გემისა თუ ტვირთისათვის, ეს ნივთები შეიძლება გადმოიტვირთოს, განადაგურდეს ან გაუვნებელყოფილ იქნეს გადამზიდველის მიერ მისი მხრიდან რაიმე პასუხისმგებლობის გარეშე, თუ ეს არ წარმოადგენს საერთო ავარიას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2078. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად კანონის ძალით ნებისმიერ მხარეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების არსებობის გარეშე, თუ დაუძლეველი ძალის გამო ხელი ეშლება იმ გემის გასვლას, რომელსაც უნდა შეესრულებინა გადაზიდვა, ან გასვლა გვიანდება ისე, რომ ასეთი გადაზიდვა ვეღარ განხორციელდება ტვირთის გამგზავნისათვის სარგებლიანად და მის მიერ გადამზიდველის წინაშე პასუხისმგებლობის კისრების გარეშე.

2079. გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადამზიდველის, ტვირთის გამგზავნის ან ტვირთის მიმღების მიმართ ნებისმიერი სარჩელი ხანდაზმულია ნივთების გადაცემიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ან სრული განადგურების შემთხვევაში, — იმ თარიღიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც ისინი უნდა გადაცემულიყო.

§ 3. — ნივთების ოპერირება

2080. საოპერაციო მენარდეს ეკისრება დატვირთვასა და გადმოტვირთვასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის განხორციელება, მათ შორის, — დატვირთვამდე და გადმოტვირთვამდე და ამის შემდგომ ყველა აუცილებელი ოპერაცია.
მისი საქმიანობის მიზნებისათვის ივარაუდება, რომ საოპერაციო მენარდემ მიიღო ნივთები ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს გაცხადებულია მიმბარებლის მიერ.

2081. საოპერაციო მენარდე მოქმედებს იმ პირის სახელით, რომელმაც დაიქირავა ის შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის, და ის პასუხისმგებელია მხოლოდ ამ პირის წინაშე, რომელსაც აქვს მის მიმართ სარჩელის უფლება.

2082. საოპერაციო მენარდე შეიძლება გადამზიდველის, ტვირთის გამგზავნის ან ტვირთის მიმღების სახელით მოწვეულ იქნეს სანაპიროზე დასატვირთი ნივთების მისაღებად და დასათვლელად და ასევე დატვირთვამდე ამ ნივთების დასაცავად; ანალოგიურად, ის შეიძლება მოწვეულ იქნეს სანაპიროზე გადმოტვირთული ნივთების მისაღებად და დასათვლელად და ასევე — მათ დასაცავად და გადასაცემად.
აღნიშნული დამატებითი მომსახურება უნდა განხორციელდეს, თუ ის შეთანხმებულ იქნა მხარეთა მიერ ან თუ ასეთი მომსახურება შეესაბამება პორტის ჩვეულებებს.

2083. საოპერაციო მენარდე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან ნივთებთან დაკავშირებით დამდგარი ნებისმიერი ზარალისათვის იგივე მიზეზების გამო, როგორც გადამზიდველი; თუმცა, მოსარჩელეს შეუძლია აღნიშნულ შემთხვევებში დაადგინოს, რომ ზარალი გამოწვეულია საოპე-

რაციო მენარდის ან მისი დაქვემდებარებული პირის ბრალით.

არც ერთ შემთხვევაში საოპერაციო მენარდის პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს მთავრობის რეგულაციებით დადგენილ თანხას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა მოტყუებას ან მას შეატყობინეს ნივთების ღირებულების განცხადების შესახებ.

2084. დაუშვებელია ტვირთის გამგზავნის ან ტვირთის მიმღების მიმართ იმ დათქმის გამოყენება, რომლის მიზანსაც ან შედეგსაც წარმოადგენს საოპერაციო მენარდის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის სხვაზე გადატანა, მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვა რეგულაციებით დადგენილზე უფრო მცირე თანხით ან მისთვის დაზღვევიდან გამომდინარე სარგებლის დათმობა.

თავი 7
შრომითი ხელშეკრულება

2085. შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, დასაქმებული, კისრულობს დროის შეზღუდული პერიოდისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ შეასრულოს სამუშაო სხვა პირის, დამსაქმებლის მითითებებისა და ხელმძღვანელობისა თუ კონტროლის ქვეშ.

2086. შრომითი ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით.

2087. დამსაქმებელი ვალდებულია არა მარტო დაუშვას შეთანხმებული სამუშაოს შესრულება და დადგენილი საზღაურის გადახდა, არამედ სამუშაოს სახეობის შესაბამისად მიიღოს ასევე ნებისმიერი ზომა დასაქმებულის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ღირსების დასაცავად.

2088. დასაქმებული ვალდებულია არა მარტო შეასრულოს თავისი სამუშაო კეთილგონივრულად და გულისხმიერებით, არამედ ასევე იმოქმედოს ერთგულად და პატიოსნად და არ გამოიყენოს ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელსაც ის იღებს თავისი სამუშაოს შესრულებისას ან მასთან დაკავშირებით.

აღნიშნული ვალდებულებები აგრძელებს არსებობას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც გონივრული ვადით და — სამუდამოდ, როდესაც ინფორმაცია ეხება სხვა პირთა რეპუტაციასა და პირად ცხოვრებას.

2089. მხარეებს შეუძლიათ წერილობით და პირდაპირ გამოხატული პირობებით შეთანხმდნენ, რომ თუნდაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, დასაქმებულს არ შეეძლება როგორც თავის დამსაქმებელთან კონკურენცია, ისე არც ნებისმიერი მოცულობით მონაწილეობა იმ საწარმოში, რომელიც კონკურენციას გაუწევდა დამსაქმებელს.

თუმცაღა, შეთანხმება უნდა იყოს შეზღუდული დასაქმების დროის, ადგილისა და სახეობის მიხედვით, — იმით, რაც აუცილებელია დამსაქმებლის ლეგიტიმური ინტერესების დაცვისათვის.

იმის მტკიცების ტვირთი, რომ შეთანხმება ნამდვილია, ეკისრება დამსაქმებელს.

2090. შრომითი ხელშეკრულების განახლება უსიტყვოდ ხდება განუსაზღვრელი ვადით, როდესაც დასაქმებული აგრძელებს თავისი სამუშაოს შესრულებას დამსაქმებლის მხრიდან წინააღმდეგობის გარეშე ვადის გასვლიდან ხუთი დღის განმავლობაში.

2091. განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ის მეორე მხარისათვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენით.

შეწყვეტის შესახებ შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, განსაკუთრებით, შრომითი ურთერთობის სახეობისა და იმ განსაკუთრებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომელთა არსებობისას რულდება სამუშაო, ასევე — ამ უკანასკნელის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

2092. დასაქმებულს არ შეუძლია, უარი თქვას მის მიერ განცდილი ნებისმიერი ზიანისათვის კომპენსაციის მიღების კუთვნილ უფლებაზე, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა არასაკმარისია ან როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის წესი წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

2093. შრომითი ხელშეკრულება წყდება დასაქმებულის გარდაცვალებით.

გარემოებებიდან გამომდინარე შრომითი ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს დამსაქმებლის გარდაცვალებითაც.

2094. მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინების გარეშე.

2095. დამსაქმებელს არ შეუძლია კონკურენციისაგან თავის შეკავების შესახებ შეთანხმების გამოყენება, თუ მან შეწყვიტა ხელშეკრულება მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე ან თუ მან დასაქმებულს თავად მისცა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის ასეთი საფუძველი.

2096. ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულის მოთხოვნით დამსაქმებელმა მასზე უნდა გასცეს დასაქმების შესახებ ცნობა, რომელშიც მიეთითება მხოლოდ შრომითი ურთერთობის სახეობა და ხანგრძლივობა, ასევე — მხარეთა საიდენტიფიკაციო მონაცემები.

2097. შრომითი ხელშეკრულება არ წყდება საწარმოს გასხვისებით ან მიერთების გზით ან სხვაგვარად მისი იურიდიული სტრუქტურის ნებისმიერი ცვლილებით.

ხელშეკრულება მბოჭავია დამსაქმებელის სამართალმემკვიდრისათვის.

თავი 8
ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულება

განყოფილება 1
ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება და ფარგლები

2098. ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, მენარდე ან, გარემოებების გათვალისწინებით, მომსახურების გამწევი, სხვა პირისათვის, შემკვეთისათვის, კისრულობს ფიზიკური ან ინტელექტუალური სამუშაოს შესრულებას ან მომსახურების გაწევას იმ ფასის სანაცვლოდ, რომლის მისთვის გადახდასაც კისრულობს შემკვეთი.

2099. მენარდე ან მომსახურების გამწევი თავისუფალია ხელშეკრულების შესრულების საშუალებების შერჩევისას და ასეთი შესრულების მიმართ არანაირი დაქვემდებარების ურთიერთობა არ არსებობს მენარდესა თუ მომსახურების გამწევსა და შემკვეთს შორის.

2100. მენარდე და მომსახურების გამწევი ვალდებული არიან, კეთილგონივრულად და გულისხმიერებით იმოქმედონ თავიანთი შემკვეთის ინტერესებში. შესასრულებელი სამუშაოსა თუ გასაწევი მომსახურების სახეობიდან გამომდინარე ისინი ასევე ვალდებული არიან, იმოქმედონ ჩვეულებებისა და კეთილსინდისიერი პრაქტიკის შესაბამისად და, აუცილებლობის შემთხვევაში, — უზრუნველყონ შესრულებული სამუშაოსა თუ გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებასთან.

როდესაც მენარდე და მომსახურების გამწევი კისრულობენ შედეგის მიღებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას, ისინი ვერ გათავისუფლდებიან თავიანთი პასუხისმგებლობისაგან, გარდა დაუძლეველი ძალის არსებობის ფაქტის მტკიცების შემთხვევებისა.

განყოფილება 2
მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

§ 1. — მომსახურებისა და სამუშაოების მიმართ მოქმედი ზოგადი დებულებები

2101. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დაიდო უშუალოდ მენარდისა თუ მომსახურების გამწევის პირადი საქმიანი თვისებების გათვალისწინებით ან როდესაც თავად ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება ამას გამორიცხავს, მენარდესა თუ მომსახურების გამწევს შეუძლია ხელშეკრულების შესრულებისათვის დაიქირავოს მესამე პირი, თუმცა ხელშეკრულების შესრულება რჩება მისი მეთვალყურეობისა და პასუხისმგებლობის ქვეშ.

2102. ხელშეკრულების დადებამდე მენარდე ან მომსახურების გამწევი ვალდებულია, რამდენადაც გარემოებები იძლევა ამის საშუალებას, შემკვეთს მიაწოდოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია იმ დავალების სახეობასთან დაკავშირებით, რომლის შესრულებასაც ის კისრულობს, და ასევე — აღნიშნული დავალებისათვის საჭირო ნივთებსა და დროსთან დაკავშირებით.

2103. მენარდე ან მომსახურების გამწევი ახდენს ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი ნივთების მოწოდებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოითხოვება მხოლოდ მისი სამუშაო.

მენარდემ ან მომსახურების გამწევმა უნდა განახორციელოს მხოლოდ კარგი ხარისხის ნივთების მიწოდება; მას ნივთების მიმართ ეკისრება იგივე გარანტიები, რაც გამყიდველს.

ხელშეკრულება მიიჩნევა ნასყიდობის ხელშეკრულებად და არა ნარდობის ან მომსახურების ხელშეკრულებად, როდესაც სამუშაო ან მომსახურება წარმოადგენს მხოლოდ დანამატს მიწოდებული ნივთების ღირებულებასთან შედარებით.

2104. როდესაც ნივთების მიწოდება ხდება შემკვეთის მიერ, მენარდე ან მომსახურების გამწევი ვალდებულია, მზრუნველობით გამოიყენოს ისინი და წარადგინოს მათი გამოყენების შესახებ ანგარიში; როდესაც ნივთები აშკარად გამოუსადეგარია იმ გამოყენებისათვის, რომლისათვისაც ისინი არის გათვალისწინებული ან როდესაც მათ აქვს აშკარა ან ფარული ხარვეზი, რომლის შესახებაც მენარდეს ან მომსახურების გამწევს უნდა სცოდნოდა, — ეს უკანასკნელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ შემკვეთს, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც ის პასუხისმგებელია იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რაც შეიძლება დადგეს ნივთების გამოყენების შედეგად.

2105. თუ ხელშეკრულების შესრულებისათვის აუცილებელი ნივთები ნადგურდება დაუძლეველი ძალის შედეგად, ზარალი ეკისრება მათ მიმწოდებელ მხარეს.

2106. სამუშაოს ან მომსახურების ფასი დგინდება ხელშეკრულებით, ჩვეულებებით ან კანონით, ანდა ასევე — შესრულებული სამუშაოსა თუ გაწეული მომსახურების ღირებულების საფუძველზე.

2107. როდესაც სამუშაოს ან მომსახურების ფასი განისაზღვრება ხელშეკრულების დადების მომენტში, მენარდემ ან მომსახურების გამწევმა უნდა დაასაბუთოს ფასის ნებისმიერი ცვლილება.

შემკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს აღნიშნული ფასის ზრდა მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც გამომდინარეობს იმ სამუშაოდან, მომსახურებიდან თუ ხარჯებიდან, რომლებსაც მენარდე ან მომსახურების გამწევი ვერ ივარაუდებდა ხელშეკრულების დადების მომენტში.

2108. როდესაც ფასი დგინდება შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურებისა თუ მიწოდებული ნივთების ღირებულების მიხედვით, მენარდე ან

მომსახურების გამწევი ვალდებულია, შემკვეთის მოთხოვნით წარუდგინოს მას ანგარიში სამუშაოს მიმდინარეობის, განხორციელებული მომსახურებისა და მოცემულ მომენტამდე გაწეული ხარჯების შესახებ.

2109. როდესაც ფასი დგინდება ხელშეკრულებით, შემკვეთმა უნდა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი და ვერ მოითხოვს ფასის შემცირებას იმ საფუძვლით, რომ სამუშაო ან მომსახურება მოითხოვდა ნაკლებ ძალისხმევას ან ხარჯს, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო.

ანალოგიურად, მენარდეს ან მომსახურების გამწევს არ შეუძლია მოითხოვოს ფასის გაზრდა საპირისპირო მიზეზის გამო.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, ხელშეკრულებით დადგენილი ფასი რჩება უცვლელი შესრულების თავდაპირველი პირობების ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად.

§ 2. — სამუშაოებთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

I. — ზოგადი დებულებები

2110. შემკვეთი ვალდებულია, მიიღოს სამუშაო მისი დასრულებისთანავე; სამუშაო დასრულებულია, როდესაც ნაკეთობა დამზადდა და ის მზადაა იმ მიზნით გამოყენებისათვის, რისთვისაც ის არის გათვალისწინებული.

სამუშაოს მიღება წარმოადგენს მოქმედებას, რომლითაც შემკვეთი აცხადებს, რომ ის იღებს მას დათქმით ან დათქმის გარეშე.

2111. შემკვეთი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ფასი სამუშაოს მიღებამდე.

გადახდის მომენტში შემკვეთს სამუშაოს გამოსწორებამდე ან მასში შესწორებების შეტანამდე შეუძლია ფასის თანხიდან გამოქვითოს ის საკმარისი თანხა, რაც აკმაყოფილებს იმ ფულად რეზერვებს, რომლებიც მან შექმნა მის მიერ სამუშაოს მიღებისას არსებულ აშკარა ხარვეზებთან ან ცუდ ნაკეთობასთან დაკავშირებით.

შემკვეთს არ შეუძლია აღნიშნული უფლების განხორციელება, თუ მენარდე წარუდგენს მას საკმარის უზრუნველყოფას მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

2112. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან გამოსაქვით თანხასა და შესასრულებელ სამუშაოზე, შეფასება უნდა გაკეთდეს მხარეთა მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ ნიშნავენ ექსპერტს, — სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ.

2113. შემკვეთი, რომელიც იღებს სამუშაოს ყოველგვარი დათქმის გარეშე, მაინც ინარჩუნებს კუთვნილ უფლებას, გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები მენარდის მიმართ არააშკარა ხარვეზების ან არააშკარა ცუდი ნაკეთობის შემთხვევებში.

2114. როდესაც სამუშაო სრულდება ერთმანეთის მიმდევარ პერიოდებში, ის შეიძლება მიღებულ იქნეს ნაწილ-ნაწილ; ფასი თითოეული ნაწილისათვის ექვემდებარება გადახდას შესაბამისი ნაწილის მიწოდებისა და მიღებისთანავე; გადახდა ქმნის პრეზუმფციას, რომ აღნიშნული ნაწილი მიღებულ იქნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდილი თანხები განხილულ უნდა იქნეს უბრალო ნაწილობრივ გადახდებად ფასის თანხის ანგარიშში.

2115. მენარდე პასუხისმგებელია ნაკეთობის განადგურებისათვის, რასაც ადგილი აქვს მის გადაცემამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია შემკვეთის ბრალით ან სამუშაოს მიუღებლობის გამო ეს უკანასკნელი იმყოფება ვადაგადაცილებაში.

თუმცა, როდესაც ნივთების მიწოდება ხდება შემკვეთის მიერ, მენარდე არ არის პასუხისმგებელი ნაკეთობის განადგურებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გამოწვეულია მისი ბრალით ან მისი მხრიდან სხვაგვარი გადაცდომით. მას არ შეუძლია თავისი სამუშაოს ფასის მოთხოვნა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნაკეთობის განადგურება ხდება მიწოდებული ნივთების თანდაყოლილი ან ნივთების იმ ხარვეზის გამო, რომლის გამოვლენაც მას არ შეეძლო, ანდა — როდესაც განადგურება გამოწვეულია შემკვეთის ბრალით.

2116. მხარეთა შორის გამოსაყენებელი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც სამუშაო სრულდება, თუნდაც — იმ სამუშაოს მიმართ, რომელიც მიღების მომენტში ექვემდებარებოდა დათქმებს.

II. — უძრავი ქონების მიმართ განხორციელებული სამუშაოები

2117. იმ პირობით, რომ შემკვეთი არ ერევა სამუშაოების წარმოებაში, მას უძრავი ქონების მშენებლობისა თუ განახლების პროცესში ნებისმიერ დროს შეუძლია შეამოწმოს სამუშაოს მიმდინარეობა, გამოყენებული მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ასევე — განსაზღვრულ მომენტამდე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიში.

2118. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მენარდე, არქიტექტორი და ინჟინერი შეიძლება გათავისუფლდნენ პასუხისმგებლობისაგან, ეს პირები, რომლებიც, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, მართავდნენ ან ზედამხედველობდნენ სამუშაოს, და ასევე ქვეკონტრაქტორი მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ პასუხს აგებენ სოლიდარულად ნაკეთობის განადგურებისათვის, რასაც ადგილი ექნება სამუშაოს დასრულებიდან ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, გამოწვეულია თუ არა ნაკეთობის განადგურება ნაკლის მქონე კონსტრუქციით, სამშენებლო სამუშაოსა თუ წარმოების ნაკლით ან ნიადაგის დეფექტით.

2119. არქიტექტორი ან ინჟინერი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის დამტკიცების შემთხვევაში, რომ შესრულე-

ბული სამუშაოს ან მისი ნაწილი ნაკლი არ გამომდინარეობს იმ საექსპერტო დასკვნებსა თუ გეგმებში არსებული ნებისმიერი შეცდომისა თუ ხარვეზიდან, რომლებიც მათ შესაძლოა გასცეს ან — სამუშაოს მართვასა თუ ზედამხედველობაში არსებული ნებისმიერი გადაცდომიდან.

მენარდე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის დამტკიცების შემთხვევაში, რომ ხარვეზები გამომდინარეობს შემკვეთის მიერ შერჩეული არქიტექტორის ან ინჟინრის საექსპერტო დასკვნებსა თუ გეგმებში არსებული ნებისმიერი შეცდომისა თუ ხარვეზიდან. ქვეკონტრაქტორი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმის დამტკიცების შემთხვევაში, რომ ხარვეზები გამომდინარეობს მენარდის გადაწყვეტილებებიდან ან არქიტექტორისა თუ ინჟინრის საექსპერტო დასკვნებიდან ან გეგმებიდან.

გარდა ამისა, თითოეული ზემოაღნიშნული პირი შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან იმის დამტკიცების შემთხვევაში, რომ ხარვეზები გამომდინარეობს შემკვეთის მიერ მიწის ნაკვეთისა თუ მასალების ან ქვეკონტრაქტორების, ექსპერტებისა თუ სამშენებლო მეთოდების შერჩევისას მიღებული გადაწყვეტილებებიდან.

2120. მენარდეს, არქიტექტორსა და ინჟინერს მათი მართვისა თუ ზედამხედველობის ქვეშ არსებული სამუშაოსათვის, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში კი, — ქვეკონტრაქტორს მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის ეკისრებათ სოლიდარული ვალდებულება, გასცენ ერთწლიანი გარანტია ცუდი ნაკეთობისათვის, რაც არსებობს სამუშაოს მიღების მომენტში ან რომელიც აღმოჩნდა სამუშაოს მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

2121. არქიტექტორი ან ინჟინერი, რომელიც არ უძღვება სამუშაოს ან არ ახორციელებს მასზე ზედამხედველობას, პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ გაცემულ საექსპერტო დასკვნებსა თუ გეგმებში არსებული ხარვეზით გამოწვეული ზიანისათვის.

2122. სამუშაოს შესრულების დროს მენარდეს შეუძლია, თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებაში, ხელშეკრულების ფასის ანგარიშში მოითხოვოს ნაწილობრივი გადახდები შესრულებული სამუშაოსა და მისი წარმოებისათვის აუცილებელი მასალების ღირებულებისათვის; აღნიშნულის განხორციელებამდე მენარდე ვალდებულია, შემკვეთს მიაწოდოს ქვეკონტრაქტორებისათვის, მასალების მიმწოდებელი პირებისა და სამუშაოში მონაწილე ნებისმიერი სხვა პირისათვის გადახდილი თანხების შესახებ ანგარიში, ასევე — იმ თანხების შესახებ ანგარიში, რომელთა გადახდაც მას სამუშაოს შესრულებისათვის ჯერ კიდევ ეკისრება აღნიშნული პირებისათვის.

2123. გადახდის მომენტში შემკვეთს ხელშეკრულების ფასიდან შეუძლია დააკავოს ის თანხა, რომელიც საკმარისია მომუშავე პერსონალის, ისევე როგორც იმ სხვა პირების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც უძრავი ქონების მიმართ განხორციელებული სამუშაოების მიმართ შეუძლიათ კანონისმიერი იპოთეკის სასამართლო წესით რეალიზაცია და რომლებმაც მას შეატყობინეს მენარდესთან თავიანთი ხელშეკრულების შესახებ, შესრულებულ სამუშაოსთან ან იმ მასალებსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომლებიც მიწოდებულ/გაწეულ იქნა შეტყობინების წარდგენის შემდეგ.

თანხის დაკავება ნამდვილია მანამდე, სანამ მენარდე არ გადასცემს შემკვეთს აღნიშნული მოთხოვნების დაფარვის ქვითარს.

შემკვეთს არ შეუძლია პირველ პარაგრაფში მოცემული უფლების განხორციელება, თუ მენარდე წარუდგენს მას საკმარის უზრუნველყოფას მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

2124. წინამდებარე თავის მიზნებისათვის მენარდედ მიიჩნევა ის მენაშენე კომპანია, რომელიც ყიდის მის მიერ ან მისი ხელშეწყობით აშენებულ უძრავ ქონებას, — თუნდაც სამუშაოს დასრულების შემდეგ.

განყოფილება 3
ხელშეკრულების შეწყვეტა

2125. შემკვეთს შეუძლია ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა, თუნდაც სამუშაო ჯერ კიდევ არ იყოს დასრულებული ან მომსახურება გაწეული.

2126. მენარდეს ან მომსახურების გამწევს არ შეუძლია ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა, გარდა მნიშვნელოვარი საფუძვლის არსებობისა და არასოდეს შეუსაბამო მომენტში; წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვალდებულია, აანაზღაუროს შემკვეთისათვის ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანი.

როდესაც მენარდე ან მომსახურების გამწევი წყვეტს ხელშეკრულებას, ის ვალდებულია, მოიმოქმედოს ყველაფერი ის, რაც დაუყოვნებლივ აუცილებელია ნებისმიერი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

2127. შემკვეთის გარდაცვალება არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი შესრულება ამის გამო შეუძლებელი ან უსარგებლო გახდა.

2128. ხელშეკრულება არ წყდება მენარდის ან მომსახურების გამწევის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დაიდო მისი პირადი საქმიანი თვისებების გათვალისწინებით ან ის სათანადოდ ვერ გაგრძელდება იმ პირის მიერ, რომელიც ცვლის მენარდეს ან მომსახურების გამწევს თავის საქმიანობაში, რა შემთხვევაშიც შემკვეთს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

2129. ხელშეკრულების შეწყვეტისას შემკვეთი ვალდებულია, შეთანხმებული ფასის პროპორციულად აუნაზღაუროს მენარდეს ან მომსახურების გამწევს ფაქტობრივი ხარჯები და დანახარჯები, ხელშეკრულების დასრულებამდე ან შეწყვეტის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე შესრულებული სამუშაოს ღირებულება და, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, — მიწოდებული ნივთების ღირებულება, როდესაც ისინი შემკვეთს შეიძლება ხელში გადაეცეს და გამოყენებულ იქნეს მის მიერ.

თავის მხრივ, მენარდე ან მომსახურების გამწევი ვალდებულია, დააბრუნოს ნებისმიერი ის საავანსო თანხა, რომელიც მან მიიღო მის მიერ გამომუშავებულზე მეტი ოდენობით.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველი მხარე პასუხისმგებელია იმ ნებისმიერი სხვა ზიანისათვის, რომელიც შეიძლება განიცადოს მეორე მხარემ.

თავი 9
დავალება

განყოფილება 1
დავალების სამართლებრივი ბუნება და ფარგლები

2130. დავალება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, მარწმუნებელი, სხვა პირს, რწმუნებულს, ანიჭებს უფლებამოსილებას გარიგების შესრულებისას წარმოადგინოს ის მესამე პირთან ურთიერთობაში, ხოლო რწმუნებული, მის მიერ დავალების მიღებით, კისრულობს ამ უფლებამოსილების განხორციელებას.

აღნიშნულ უფლებამოსილებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, მის დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტს ეწოდება მინდობილობა.

2131. დავალების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ასევე მარწმუნებლის პირადი დაცვის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული მოქმედებების შესრულება, მთლიანად ან ნაწილობრივ მისი ქონების მართვა და, ზოგადად, მისი მორალური და მატერიალური კეთილდღეობა იმ შემთხვევაში, თუ ის ხდება უუნარო, იზრუნოს თავის თავზე ან თავისი ქონების მართვაზე.

2132. დავალების მიღებაზე თანხმობა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირ გამოხატული, ისე უსიტყვოც. უსიტყვო თანხმობა შეიძლება გამომდინარეობდეს მოქმედებებიდან და, თუნდაც, — რწმუნებულის დუმილიდან.

2133. დავალება შეიძლება იყოს უსასყიდლო ან სასყიდლიანი. ივარაუდება, რომ ორ ფიზიკურ პირს შორის გაფორმებული დავალება არის უსასყიდლო; თუმცაღა, პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ნაკისრი დავალება ივარაუდება, რომ არის სასყიდლიანი.

2134. დავალების საზღაური, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება ხელშეკრულებით, ჩვეულებებით ან კანონით, ანდა — გაწეული მომსახურების ღირებულების საფუძველზე.

2135. დავალება შეიძლება იყოს მიცემული სპეციალური, კონკრეტული საკითხისათვის ან — ზოგადი, მარწმუნებლის ყველა საქმის საწარმოებლად.

ზოგად გამონათქვამებში გამოხატული დავალება პირს ანიჭებს მხოლოდ

მარტივი მართვის მიზნით განსახორციელებელი მოქმედებების უფლებამოსილებას. სხვა მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება ხდება მხოლოდ პირდაპირ გამოხატული დავალებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამცავი დავალების შემთხვევაში ეს უკანასკნელი პირს ანიჭებს სრული მართვის უფლებას.

2136. რწმუნებულის უფლებამოსილება ვრცელდება არა მარტო იმაზე, რაც პირდაპირ გამოხატულია დავალებაში, არამედ ასევე ყოველივე იმაზე, რაც შესაძლოა ამ დავალებიდან გამომდინარეობდეს. რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ასეთ უფლებამოსილებასთან და აუცილებელია დავალების შესრულებისათვის.

2137. არ არის აუცილებელი იმ უფლებამოსილებების პირდაპირ ხსენება, რომლებიც ენიჭება პირებს იმ მოქმედების შესასრულებლად, რაც არ სცილდება მათი პროფესიის ან მოვალეობების ფარგლებს, თუმცა — შესაძლოა გამომდინარეობდეს ასეთი პროფესიის ან მოვალეობების ბუნებიდან.

განყოფილება 2
მხარეთა შორის არსებული ვალდებულებები

§ 1. — რწმუნებულის ვალდებულებები მარწმუნებლის მიმართ

2138. რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მის მიერ მიღებული დავალება და მისი შესრულებისას ის უნდა მოქმედებდეს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით.

ის მარწმუნებლის ინტერესებში უნდა მოქმედებდეს ასევე პატიოსნად და ერთგულად და მან თავიდან უნდა აიცილოს თავისი თავის ჩაყენება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც პირადი ინტერესი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება მისი, როგორც რწმუნებულის, ინტერესებთან.

2139. დავალების განხორციელებისას რწმუნებული ვალდებულია, მარწმუნებლის მოთხოვნით ან როდესაც გარემოებები ამას ამართლებს, შეატყობინოს მას დავალების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

რწმუნებულმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მარწმუნებელს იმის თაობაზე, რომ მან შეასრულა თავისი დავალება.

2140. რწმუნებული ვალდებულია, თავად შეასრულოს დავალება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის მარწმუნებლის მიერ უფლებამოსილია დანიშნოს სხვა პირი მისი დავალების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის.

თუმცა, თუ მარწმუნებლის ინტერესები ამას ითხოვს, რწმუნებული ვალდებულია დანიშნოს მისი შემცვლელი მესამე პირი იმ შემთხვევაში, როდესაც გაუთვალისწინებელი მოვლენები ხელს უშლის მას დავალების შესრულებაში და ის ამის შესახებ დროულად ვერ ატყობინებს მარწმუნებელს.

2141. რწმუნებული პასუხისმგებელია მის მიერ ნებართვის გარეშე თავის

შემცვლელად დანიშნული პირის მოქმედებებისათვის ისე, თითქოს მან თავად შეასრულა აღნიშნული მოქმედებები; როდესაც მას დაერთო აღნიშნული ცვლილების განხორციელების ნება, ის პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზრუნვისათვის, რომლითაც მან შეარჩია შემცვლელი პირი და მისცა მას შესაბამისი მითითებები.

ყველა შემთხვევაში მარწმუნებელს აქვს პირდაპირი სარჩელის უფლება რწმუნებულის მიერ თავის შემცვლელად დანიშნული პირის მიმართ.

2142. დავალების შესრულებისას რწმუნებულს შეუძლია მიიღოს სხვა პირის დახმარება და ასევე — ამ მიზნით მოახდინოს მისთვის უფლებამოსილების დელეგირება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რწმუნებულს აღნიშნული ეკრძალება მარწმუნებლის მიერ ან ჩვეულებების თანახმად.

რწმუნებული რჩება პასუხისმგებელი მარწმუნებლის წინაშე იმ პირის მიერ შესრულებული მოქმედებებისათვის, რომელიც უწევდა მას დახმარებას.

2143. რწმუნებულმა, რომელიც ერთი და იგივე მოქმედებაში თანახმაა წარმოადგინოს ის მხარეები, რომელთა ინტერესებიც იმყოფება კონფლიქტში ან შეიძლება იმყოფებოდეს მასში, აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს თითოეულ მარწმუნებელს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გათავისუფლებულია ამ ვალდებულებისაგან ჩვეულებების თანახმად ან იმ ფაქტით, რომ ყოველი მარწმუნებლისათვის ცნობილია ორმაგი დავალების შესახებ; რწმუნებული თითოეული მათგანის მიმართ უნდა მოქმედებდეს მიუკერძოებლად.

როდესაც მარწმუნებელი არ იყო ისეთ მდგომარეობაში, რომ მას სცოდნოდა ორმაგი დავალების შესახებ, მას შეუძლია მოითხოვოს რწმუნებულის მოქმედების ბათილობა, თუ ის ამის შედეგად განიცდის ზიანს.

2144. როდესაც რამდენიმე რწმუნებული არის დანიშნული ერთი და იგივე საკითხთან დაკავშირებით, დავალებას სამართლებრივი შედეგი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მიიღება ყველა მათგანის მიერ.

რწმუნებულები უნდა მოქმედებდნენ ერთობლივად დავალებით გათვალისწინებული ყველა მოქმედების შესრულებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები დავალებით სხვაგვარად შეთანხმდნენ ან მათ სხვა რამ იგულისხმეს. ისინი სოლიდარულად არიან ვალდებული მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

2145. რწმუნებული, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს იმ უფლებამოსილებებს, რომელთა განხორციელებაც მას სხვასთან ერთად ეკისრება, ამეტებს თავის უფლებამოსილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ეს უფლებამოსილებები განახორციელა ისეთი ხერხით, რომელიც შეთანხმებულზე უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა მარწმუნებლისათვის.

2146. რწმუნებულს არ შეუძლია მის მიერ დავალების შესრულებისას მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის ან იმ ნებისმიერი ქონების თავის სასარგებლოდ გამოყენება, რომლის მიღება ან მართვა მას ევალება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მარწმუნებელი ეთანხმება ასეთ გამოყენებას ან ასეთი გამოყენება გამომდინარეობს კანონიდან ან დავალებიდან.

თუ რწმუნებული ნებართვის გარეშე იყენებს ქონებას ან ინფორმაციას, მან იმ ნებისმიერ საკომპენსაციო თანხასთან ერთად, რისთვისაც ის შესაძლოა აღმოჩნდეს პასუხისმგებელი მიყენებული ზიანისათვის, მარწმუნებელს უნდა მისცეს კომპენსაცია: ინფორმაციის შემთხვევაში, — იმ თანხის ოდენობით, რაც უტოლდება მის მიერ მიღებულ მოგებას, ან ქონების შემთხვევაში, — იმ თანხის ოდენობით, რაც უტოლდება სათანადო ქირის თანხას ან გამოყენებულ თანხებზე დარიცხულ პროცენტს.

2147. რწმუნებული, თუნდაც შუამავლის მეშვეობით, ვერ გახდება იმ გარიგების მხარე, რომლის შესრულებასაც ის დათანხმდა თავისი მარწმუნებლის სასარგებლოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მარწმუნებელი რთავს მას ამის ნებას ან მისთვის ცნობილია რწმუნებულის, როგორც ხელშეკრულების მხარის, სტატუსის შესახებ.

მხოლოდ მარწმუნებელს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული წესის დარღვევით გამოწვეული ბათილობის შედეგით.

2148. როდესაც დავალება უსასყიდლოა, სასამართლოს რწმუნებულის პასუხისმგებლობის ფარგლების შეფასების შემდეგ შეუძლია შეამციროს იმ ზიანის ანაზღაურების თანხა, რისთვისაც რწმუნებული არის პასუხისმგებელი.

§ 2. — მარწმუნებლის ვალდებულებები რწმუნებულის მიმართ

2149. მარწმუნებელი ვალდებულია, ითანამშრომლოს რწმუნებულთან დავალების შესრულების გაადვილების მიზნით.

2150. საჭიროების შემთხვევაში, მარწმუნებელი ავანსის სახით გადასცემს რწმუნებულს დავალების შესრულებისათვის აუცილებელ თანხებს. ის უნაზღაურებს რწმუნებულს მის მიერ გაწეულ ნებისმიერ გონივრულ ხარჯებსა და უხდის მას საზღაურს, რომლის მიღებაზეც რწმუნებული არის უფლებამოსილი.

2151. მარწმუნებელს ეკისრება პროცენტი რწმუნებულის მიერ მისი დავალების შესრულებისას გაწეული ხარჯების თანხებზე იმ დღიდან, როდესაც ისინი იქნა გაღებული.

2152. მარწმუნებელი ვალდებულია, გაათავისუფლოს რწმუნებული ამ უკანასკნელის მიერ დავალების ფარგლებში მესამე პირების წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მარწმუნებელი არ არის პასუხისმგებელი რწმუნებულის წინაშე იმ მოქმედებისათვის, რომელიც სცილდება დავალების ფარგლებს. თუმცა, მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა, თუ ის იწონებს ასეთ მოქმედებას ან თუ იმ მომენტში, როდესაც რწმუნებული მოქმედებდა, ამ უკანასკნელმა არ იცოდა, რომ დავალება უკვე გაუქმებული იყო.

2153. ივარაუდება, რომ მარწმუნებელმა მოიწონა ის მოქმედება, რომელიც

სცილდება დავალების ფარგლებს, როდესაც მოქმედება შესრულდა ისეთი ხერხით, რომელიც უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა მარწმუნებლისათვის, ვიდრე ის, რაზეც მან მიუთითა.

2154. როდესაც რწმუნებული არ მოქმედებს ბრალეულად, მარწმუნებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ნებისმიერი ზარალი, რომელიც მან განიცადა დავალების შესრულების გამო.

2155. თუ რწმუნებულს არანაირი ბრალი არ მიუძღვის, მისი კუთვნილი თანხები მაინც ექვემდებარება გადახდას, თუნდაც საქმე არ ყოფილა წარმატებით დასრულებული.

2156. თუ დავალების მიცემა ხდება რამდენიმე პირის მიერ, რწმუნებულის მიმართ მათ ეკისრებათ სოლიდარული ვალდებულებები.

განყოფილება 3
მხარეთა ვალდებულებები მესამე პირების მიმართ

§ 1. — რწმუნებულის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ

2157. რწმუნებული, რომელიც თავისი დავალების ფარგლებში ვალდებულებას კისრულობს მარწმუნებლის სახელითა და მის სასარგებლოდ, არ არის პირადად პასუხისმგებელი იმ მესამე პირის მიმართ, რომელთანაც ის დებს ხელშეკრულებას.

რწმუნებული პასუხისმგებელია მესამე პირის წინაშე, თუ ის მოქმედებს საკუთარი სახელით იმ ნებისმიერი უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც მესამე პირს შეიძლება ჰქონდეს მარწმუნებლის მიმართ.

2158. რწმუნებული, რომელიც ამეტებს თავის უფლებამოსილებებს, პირადად პასუხისმგებელია იმ მესამე პირის მიმართ, რომელთანაც ის დებს ხელშეკრულებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესამე პირი საკმარისად იყო ინფორმირებული დავალების შესახებ ან მარწმუნებელმა მოიწონა ის მოქმედებები, რომლებიც შესრულდა რწმუნებულის მიერ.

2159. რწმუნებულს, რომელიც მესამე პირთან თანხმდება მისი მარწმუნებელის პიროვნების გამხელაზე დადგენილი ვადის განმავლობაში, და ის ამგვარად არ იქცევა, ეკისრება პირადი ვალდებულება.

რწმუნებულს ასევე ეკისრება პირადი ვალდებულება, თუ ის ვალდებულია, არ გაამჟღავნოს მარწმუნებლის სახელი ან მან იცის — თუმცა მაინც არ ახსენებს, — რომ ის პირი, რომლის პიროვნებასაც ის ამჟღავნებს, გადახდისუუნაროა, არასრულწლოვანია ან იმყოფება დაცვითი ზედამხედველობის ქვეშ.

§ 2. — მარწმუნებლის ვალდებულებები მესამე პირების მიმართ

2160. მარწმუნებელი პასუხისმგებელია მესამე პირების წინაშე რწმუნებულის მიერ მისი დავალების შესრულებისას და ამ დავალების ფარგლებში შესრულებული მოქმედებებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებით ან ჩვეულებების ძალით მხოლოდ რწმუნებულია პასუხისმგებელი.

მარწმუნებელი პასუხისმგებელია ასევე იმ ნებისმიერი მოქმედებებისათვის, რომლებიც სცილდება დავალების ფარგლებს, თუ მან ეს მოქმედებები მოიწონა.

2161. თუ მარწმუნებელი განიცდის ზიანს, მას შეუძლია გააუქმოს რწმუნებულის მიერ თავის შემცვლელად დანიშნული პირის მოქმედებები, როდესაც შეცვლა განხორციელდა მარწმუნებლის ნებართვის გარეშე ან როდესაც მარწმუნებლის ინტერესები ან არსებული გარემოებები არ ამართლებდა შეცვლას.

2162. მარწმუნებელი ან მისი გარდაცვალებისას, — მისი მემკვიდრეები პასუხს აგებენ მესამე პირების წინაშე რწმუნებულის მიერ დავალების შესრულებისას და ამ დავალების ფარგლებში შესრულებული მოქმედებებისათვის დავალების გაუქმების შემდეგ, როდესაც მოქმედებები აუცილებელი შედეგი იყო იმ ქმედებებისა, რომლებიც უკვე შესრულდა ან რომელთა გადადებაც შეუძლებელი იყო ზიანის მიყენების რისკის გარეშე ანდა როდესაც მესამე პირმა არ იცოდა დავალების გაუქმების შესახებ.

2163. როდესაც პირმა დაუშვა იმ ფაქტის რწმენის შესაძლებლობა, რომ სხვა პირი წარმოადგენდა მის რწმუნებულს, ის პასუხისმგებელია — ისე, თითქოს სახეზე იყო დავალება — იმ მესამე პირის წინაშე, რომელმაც კეთილსინდისიერად დადო ხელშეკრულება აღნიშნულ სხვა პირთან გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მიიღო სათანადო ზომები იმ გარემოებებში არსებული შეცდომის თავიდან ასაცილებლად, რომლებშიც ეს უკანასკნელი განჭვრეტადი იყო.

2164. მარწმუნებელი პასუხისმგებელია რწმუნებულის მიერ თავისი დავალების შესრულებისას ბრალეული ქმედებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს, რომ — იმ შემთხვევაში, როდესაც რწმუნებული არ იყო მისი დაქვემდებარებული პირი — ის ვერ შეძლებდა ზიანის თავიდან აცილებას.

2165. მარწმუნებელს მესამე პირისათვის მის მიერ მიცემული დავალების გამჟღავნების შემდეგ შეუძლია წარადგინოს სარჩელი უშუალოდ მესამე პირის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ იმ რწმუნებულის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომელიც მოქმედებდა საკუთარი სახელით. თუმცა, მესამე პირს შეუძლია მიუთითოს დავალების შეუსაბამობაზე მისი ხელშეკრულების დათქმებთან ან მის ბუნებასთან, ისევე როგორც მას შეუძლია წამოაყენოს შესაგებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისად მარწმუნებლისა და რწმუნებულის მიმართ.

თუ რწმუნებულის მიერ მესამე პირის მიმართ საქმის წარმოება უკვე დაწყებულია, მარწმუნებელს თავისი უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ საქმის წარმოებაში ჩარევით.

განყოფილება 4
დამცავი დავალებების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები

2166. დამცავი დავალება წარმოადგენს სრული ასაკის პირის მიერ მისი ქმედუუნარობის მოლოდინში მიცემულ დავალებას მასზე ზრუნვის ან მისი ქონების მართვის მიზნით; დამცავი დავალება ფორმდება საჯარო სანოტარო აქტის სახით ან მოწმეთა თანდასწრებით.

დავალების შესრულება დამოკიდებულია აქტში მითითებული რწმუნებულის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე ქმედუუნარობის ფაქტის დადგომასა და სასამართლოს მხრიდან დადასტურების პირობაზე.

2167. მოწმეთა თანდასწრებით მიცემულ დავალებას ადგენს მარწმუნებელი ან მესამე პირი.

იმ ორი მოწმის თანდასწრებით, რომლებსაც არა აქვთ რაიმე ინტერესი აქტის მიმართ და რომლებსაც შეუძლიათ მარწმუნებლის ქმედუნარიანობის დადგენა, მარწმუნებელი აცხადებს აქტის ბუნებას, თუმცა არ არის აუცილებელი მისი შინაარსის გამჟღავნება. მარწმუნებელი ბოლოში ხელს აწერს აქტს ან თუ მან უკვე მოაწერა ხელი მას, აღიარებს თავის ხელმოწერას; მას შეუძლია ასევე აიძულოს მესამე პირი, მისთვის მოაწეროს ხელი წერილობით დოკუმენტს მისი თანდასწრებითა და მითითებების შესაბამისად. მოწმეები დაუყოვნებლივ აწერენ ხელს დავალებას მარწმუნებლის თანდასწრებით.

2167.1. სასამართლოს მხრიდან ქმედუუნარობის ფაქტის დადასტურების საქმის წარმოებისას ან თუნდაც მანამდე, თუ დადასტურების მოთხოვნა გარდაუვალია და აუცილებელია მარწმუნებლისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს შეუძლია გამოსცეს ნებისმიერი განკარგულება, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს მარწმუნებლის პირადი დაცვის, სამოქალაქო უფლებების რეალიზაციისას მისი წარმომადგენლობის ან მისი ქონების მართვის უზრუნველსაყოფად.

ის აქტი, რომლის საფუძველზეც მარწმუნებელმა თავისი ქონების მართვა უკვე დაავალა სხვა პირს, აგრძელებს თავისი შედეგების მიცემას მიუხედავად საქმის წარმოებისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის სასამართლოს მიერ გაუქმდა მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო.

2168. როდესაც დავალების ფარგლები ბუნდოვანია, რწმუნებული მას განმარტავს იმ წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს სრული ასაკის პირების მეურვეობის მიმართ.

თუ ნებისმიერი შეტყობინების შედეგად, თანხმობა ან ნებართვა მოითხოვება სხვა პირების ქონების მართვის მიმართ არსებული წესების თანახმად, რწმუნებული იძენს ამ თანხმობას ან ნებართვას საჯარო კურატორისაგან ან სასამართლოსაგან.

2169. როდესაც დავალება სრულად არ უზრუნველყოფს პირზე ზრუნვას ან მისი ქონების მართვას, მის შესავსებად შეიძლება დადგინდეს დაცვითი ზედამხედველობა; ასეთ შემთხვევაში რწმუნებული აგრძელებს დავალების შესრულებას და მოთხოვნის საფუძველზე, სულ ცოტა, ყოველ წელიწადში

ერთხელ ანგარიშგებას ახდენს მეურვის ან მზრუნველის წინაშე. დავალების დასრულებისას რწმუნებული მეურვეს ან მზრუნველს წარუდგენს შესაბამის ანგარიშს.

რწმუნებული შებოჭილია აღნიშნული ვალდებულებებით მხოლოდ პირის მეურვის ან მზრუნველის მიმართ. თუ პირის დაცვას თავად რწმუნებული კისრულობს, ქონების მეურვე ან მზრუნველი შებოჭილია იგივე ვალდებულებებით რწმუნებულის მიმართ.

2170. დავალების დადასტურებამდე განხორციელებული მოქმედებები შეიძლება გაბათილდეს ან მათგან გამომდინარე ვალდებულებები შემცირდეს იმ ფაქტის უბრალო მტკიცებით, რომ მარწმუნებლის ქმედუუნარობა ცნობილი იყო ან ამის შესახებ ხელშეკრულების კონტრაჰენტმა იცოდა გარიგებების დადების დროს.

2171. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავალებაში მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, რწმუნებული უფლებამოსილია თავის სასარგებლოდ შეასრულოს 2150-2152 მუხლებსა და 2154-ე მუხლში გათვალისწინებული მარწმუნებლის ვალდებულებები.

2172. დავალება წყვეტს თავის მოქმედებას, როდესაც სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ მარწმუნებელი კვლავ ქმედუნარიანი გახდა; ასეთ შემთხვევაში მარწმუნებელს შეუძლია გააუქმოს თავისი დავალება, თუ ის ასეთ მოქმედებას სათანადოდ მიიჩნევს.

2173. თუ ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულების გენერალური დირექტორისათვის, რომელიც მარწმუნებლისათვის ახორციელებს ზრუნვას ან მომსახურების გაწევას, ცნობილი ხდება, რომ მარწმუნებელი კვლავ ქმედუნარიანი გახდა, მან ქმედუნარიანობის ფაქტი უნდა დაადასტუროს სასამართლოს კანცელარიისათვის წარდგენილ მოხსენებაში. მოხსენება შეიცავს სამედიცინო და ფსიქოსოციალურ შეფასებასაც.

სასამართლოს მდივანი ატყობინებს რწმუნებულს, მარწმუნებელსა და დაცვითი ზედამხედველობის დადგენის განცხადების განხილვაში ჩართვაზე კომპეტენტურ პირებს იმის შესახებ, რომ მოხსენება წარდგენილია. თუ პროტესტი არ კეთდება 30 დღის განმავლობაში, ივარაუდება, რომ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მარწმუნებელი კვლავ ქმედუნარიანი გახდა, და სასამართლოს მდივანმა დავალების სამართლებრივი შედეგების შესწყვეტის შესახებ შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს მარწმუნებელს, რწმუნებულსა და საჯარო კურატორს.

2174. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, რწმუნებულს არ შეუძლია უარი თქვას თავის დავალებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან წინასწარ იზრუნა თავისი შემცვლელის დანიშვნაზე, თუ დავალება ამას ითვალისწინებს ან მან წარადგინა განცხადება მარწმუნებლისათვის დაცვითი ზედამხედველობის დადგენის შესახებ.

განყოფილება 5
დავალების გაუქმება

2175. გარდა ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძვლებისა, დავალება უქმდება მარწმუნებლის მიერ მისი გაუქმებით, რწმუნებულის მიერ მასზე უარით, რწმუნებულისათვის მინიჭებული უფლებამოსილების გაქარწყლებით ან ნებისმიერი მხარის გარდაცვალებით.

დავალება ასევე უქმდება გაკოტრებით, გარდა უსასყიდლოდ მიცემული დამცავი დავალების შემთხვევისა; განსაზღვრულ შემთხვევებში, ის შეიძლება ასევე გაუქმდეს ნებისმიერი მხარისათვის დაცვითი ზედამხედველობის დადგენით.

2176. მარწმუნებელს შეუძლია გააუქმოს დავალება და მოსთხოვოს რწმუნებულს მისთვის მინდობილობის დაბრუნება იმ მიზნით, რომ მასზე გაკეთდეს დავალების გაუქმების შესახებ აღნიშვნა. რწმუნებულს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მარწმუნებელმა გადასცეს მას იმ მინდობილობის დუბლიკატი, რომელიც შეიცავს ზემოაღნიშნულ აღნიშვნას.

როდესაც მინდობილობა შედგენილია საჯარო სანოტარო აქტის სახით, მარწმუნებელი აღნიშვნას აკეთებს ასლზე და მას დავალების გაუქმების შესახებ შეტყობინება შეუძლია წარუდგინოს მინდობილობის დედნის იმ შემნახველს, რომელიც ვალდებულია გააკეთოს აღნიშვნა დედანსა და მის ყოველ ასლზე, რომელსაც ის გასცემს.

2177. როდესაც მარწმუნებელი ქმედუუნაროა, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საჯარო კურატორის ჩათვლით, თუ დავალება არ სრულდება ერთგულად ან ნებისმიერი მნიშვნელოვანი მიზეზის არსებობისას, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დავალების გაუქმების, რწმუნებულისათვის ანგარიშის წარდგენის ვალდებულის დაკისრებისა და მარწმუნებლისათვის დაცვითი ზედამხედველობის დადგენის შესახებ მოთხოვნებით.

2178. რწმუნებულს შეუძლია უარი თქვას მის მიერ მიღებულ დავალებაზე ამის თაობაზე მარწმუნებლისათვის წარდგენილი შეტყობინებით. ამის შედეგად ის უფლებამოსილია მის მიერ დავალებაზე უარის დღემდე გამომუშავებული საზღაურის მიღებაზე, თუ დავალების მიცემა მოხდა სასყიდლით.

თუმცა, რწმუნებული ვალდებულია, აანაზღაუროს მის მიერ დავალებაზე უარით მარწმუნებლისათვის მიყენებული ზიანი, თუ ის უარს აცხადებს მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე და შეუსაბამო მომენტში.

2179. მარწმუნებელს შეუძლია განსაზღვრული ვადით ან კონკრეტული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ცალმხრივად უარი თქვას დავალების გაუქმების კუთვნილ უფლებაზე.

ანალოგიური წესით რწმუნებულს შეუძლია იკისროს ვალდებულება, არ განახორციელოს დავალებაზე უარის კუთვნილი უფლება.

გარემოებების გათვალისწინებით, მარწმუნებლის მიერ დავალების ცალმხრივი გაუქმება ან რწმუნებულის მიერ დავალებაზე უარი, მიუხედავად მისი ვალდებულებისა, იწვევს დავალების გაუქმებას.

2180. მარწმუნებლის მიერ იმავე საკითხთან დაკავშირებით ახალი რწმუნებულის დანიშვნა უთანაბრდება პირველი რწმუნებულის დავალების გაუქმებას იმ დღიდან, როდესაც პირველ რწმუნებულს ეცნობა ახალი დანიშვნის შესახებ.

2181. მარწმუნებელი, რომელიც აუქმებს დავალებას, ვალდებული რჩება შეასრულოს თავისი ვალდებულებები რწმუნებულის წინაშე; ის ასევე ვალდებულია, აანაზღაუროს მის მიერ დავალებაზე უარით რწმუნებულისათვის მიყენებული ზიანი, თუ ის დავალებას აუქმებს მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე და შეუსაბამო მომენტში.

როდესაც დავალების გაუქმების შესახებ შეტყობინება წარედგინა მხოლოდ რწმუნებულს, გაუქმება არ ეხება იმ მესამე პირს, რომელსაც მასთან საქმე აქვს ისე, რომ არაფერი იცის დავალების გაუქმების თაობაზე, თუმცაღა, — რწმუნებულის მიმართ მარწმუნებლის კუთვნილი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამორიცხვის გარეშე.

2182. დავალების გაუქმებისას რწმუნებული ვალდებულია, გააკეთოს ყველაფერი, რაც წარმოადგენს აუცილებელ შედეგს მისი მოქმედებებისა ან რისი გადადებაც შეუძლებელია ზარალის დადგომის რისკის გარეშე.

2183. რწმუნებულის გარდაცვალებისას ან მისთვის დაცვითი ზედამხედველობის დადგენისას, ლიკვიდატორი, მეურვე ან მზრუნველი, თუ მისთვის ცნობილია დავალების შესახებ და შეუძლია მოქმედება, ვალდებულია გარდაცვალების შესახებ შეატყობინოს მარწმუნებელს და უკვე დაწყებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გააკეთოს ყველაფერი, რისი გადადებაც შეუძლებელია ზარალის დადგომის რისკის გარეშე.

დამცავი დავალების შემთხვევაში, რწმუნებულის ლიკვიდატორი ვალდებულია, ანალოგიურ გარემოებებში რწმუნებულის გარდაცვალების შესახებ შეატყობინოს საჯარო კურატორს.

2184. დავალების გაუქმებისას რწმუნებული ვალდებულია, წარადგინოს ანგარიში და მარწმუნებელს გადასცეს ყველაფერი ის, რაც მან მიიღო თავისი მოვალეობების შესრულებისას, თუნდაც თუ მის მიერ მიღებული არ ეკუთვნოდა მარწმუნებელს.

რწმუნებულს ეკისრება ვადაგადაცილების დღიდან გამოანგარიშებული პროცენტი იმ მიღებულ თანხებზე, რომლებიც ქმნის ანგარიშის ნარჩენს.

2185. იმ თანხებიდან, რომელთა გადაცემაც მოეთხოვება რწმუნებულს, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია გამოქვითოს ის თანხები, რაც მარწმუნებელს დავალების შედეგად მართებს მისი.

რწმუნებულს ასევე შეუძლია დააკავოს ის თანხები, რაც მას მარწმუნებელმა გადასცა დავალების შესრულების მიზნით მისი კუთვნილი თანხების გადახდამდე.

თავი 10
ამხანაგობისა და ასოციაციის ხელშეკრულებები

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

2186. ამხანაგობის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეები თანამშრომლობის სულისკვეთებით თანხმდებიან განახორციელონ საქმიანობა, მათ შორის, საწარმოო საქმიანობა, ქონების, ცოდნისა თუ აქტივობების გაერთიანებით ხელი შეუწყონ ამ საქმიანობასა და ერთმანეთს შორის ნებისმიერი ფულადი მოგების განაწილებას.

ასოციაციის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეები თანხმდებიან იმ საერთო მიზნის მიღწევას, რაც არ არის დაკავშირებული ასოციაციის წევრებს შორის ფულადი მოგების განაწილებასთან.

2187. ამხანაგობა ან ასოციაციია იქმნება ხელშეკრულების დადებისთანავე, თუ ხელშეკრულებაში სხვა თარიღი არ არის მითითებული.

2188. ამხანაგობები არსებობს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებების (general partnerships), კომანდიტური საზოგადოებების ან არადეკლარირებული ამხანაგობების (undeclared partnerships) სახით.

ამხანაგობები შეიძლება ასევე არსებობდეს სააქციო საზოგადოების ფორმით, რა შემთხვევაშიც ისინი წარმოადგენს იურიდიულ პირებს.

2189. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან კომანდიტური საზოგადოება იქმნება იმ სახელწოდების ქვეშ, რომელიც საერთოა პარტნიორებისათვის.

მან უნდა წარადგინოს სარეგისტრაციო განცხადება საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) შესაბამისად; წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიიჩნევა არადეკლარირებულ საზოგადოებად კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებების გათვალისწინების პირობით.

2190. (გაუქმებულია)

2191. თუ ამხანაგობა აღმოაჩენს ან მას შეატყობინებენ, რომ მისი სარეგისტრაციო განცხადება არასრული, უზუსტო ან არასწორია, განცხადება შეიძლება შესწორდეს კორექტირებული განცხადების წარდგენით საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) ნორმების თანახმად.

2192. შესწორებას, რომელიც შეიძლება არღვევდეს პარტნიორების ან მესამე პირების უფლებებს, არა აქვს ძალა ამ უკანასკნელთა მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირები დაეთანხმნენ მას ან როდესაც სასამართლომ მიიღო განკარგულება განცხადების წარდგენის შესახებ დაინტერესებული პირების მოსმენისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, შეთავაზებული კორექტირებული განცხადების შეცვლის შემდეგ.

2193. შესწორება მიიჩნევა სარეგისტრაციო განცხადების ნაწილად და ის ძალაში შედის ერთდროულად მასთან ერთად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კორექტირებულ განცხადებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებაში უფრო გვიანი თარიღია გათვალისწინებული.

2194. ამხანაგობის სარეგისტრაციო განცხადების შინაარსის ნებისმიერი ცვლილება უნდა აისახოს კორექტირებულ განცხადებაში საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) შესაბამისად.

2195. ამხანაგობასთან დაკავშირებული განცხადებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ იმ მომენტიდან, როდესაც მათი შემცველი ინფორმაცია რეგისტრაციაში გატარდა საწარმოთა რეესტრში. კეთილსინდისიერი მესამე პირების სასარგებლოდ განცხადებები ქმნის მათი შინაარსის მტკიცებულებას.

მესამე პირებს შეუძლიათ ნებისმიერი საშუალებით უარყონ განცხადებაში მოცემული ცნობები.

2196. თუ ამხანაგობის განცხადების რეგისტრაცია არასრული, უზუსტო ან არასწორია, ანდა მიუხედავად ამხანაგობაში მომხდარი ცვლილებისა, კორექტირებული განცხადება არ იქნა წარდგენილი, — მხარეები პასუხს აგებენ მესამე პირების წინაშე ამხანაგობის აღნიშნულიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის; თუმცა, კომანდიტებს, რომლებიც სხვაგვარად არ აგებენ პასუხს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის, არ ეკისრებათ აღნიშნული პასუხისმგებლობა.

2197. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ ან კომანდიტურმა საზოგადოებამ თავისი საქმიანობის დროს საკუთარ დასახელებაში ან მის ბოლოში უნდა მიუთითოს თავისი იურიდიული ფორმა.

თუ ამხანაგობის მიერ დადებულ გარიგებაში აღნიშნული მითითება არ ხდება, სასამართლოს კეთილსინდისიერი მესამე პირის სარჩელის განხილვისას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ამხანაგობა და მისი პარტნიორები აღნიშნულ გარიგებასთან დაკავშირებით პასუხს აგებენ არადეკლარირებული ამხანაგობისა და მისი პარტნიორების მსგავსად.

განყოფილება 2
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები

§ 1. — პარტნიორების ურთიერთობები ერთმანეთს შორის და პარტნიორების ურთიერთობები ამხანაგობასთან

2198. პარტნიორი წარმოადგენს ამხანაგობის მოვალეს ყოველივე იმასთან დაკავშირებით, რის ამხანაგობაში შეტანასაც ის კისრულობს.

როდესაც პირი კისრულობს ფულადი თანხის ამხანაგობაში შეტანას და არ ახორციელებს ამ ვალდებულებას, ის პასუხისმგებელია პროცენტისათვის იმ დღიდან, რომლიდანაც მას უნდა განეხორციელებინა შენატანი ყველა იმ და-

მატებითი კომპენსაციის გათვალისწინების პირობით, რომლებიც შეიძლება მას მოეთხოვოს.

2199. ქონებრივი შენატანი ხორციელდება საკუთრების ან სარგებლობის უფლებების გადაცემითა და ქონების ამხანაგობის განკარგულებაში გადაცემით.

თავის ურთიერთობებში ამხანაგობასთან, ის პირი, ვინც ახორციელებს ქონებრივ შენატანს, წარმოადგენს მის გარანტს მსგავსად გამყიდველისა მყიდველის მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც შენატანი მდგომარეობს ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემაში; ის წარმოადგენს ამხანაგობის გარანტს მსგავსად გამქირავებლისა დამქირავებლის მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც შენატანი მდგომარეობს ქონებაზე სარგებლობის უფლების გადაცემაში.

იმ ქონების შემთხვევაში, რომელიც ჩვეულებრივ საჭიროებს ხოლმე განახლებას ამხანაგობის ვადის განმავლობაში, შენატანი მდგომარეობს ქონებაზე საკუთრების უფლების ამხანაგობისათვის გადაცემებში მის სანაცვლოდ იგივე რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების ქონების დაბრუნების ვალდებულების გათვალისწინების პირობით.

2200. შენატანი, რომელიც მდგომარეობს ცოდნასა თუ საქმიანობის განხორციელებაში, ექვემდებარება განხორციელებას უწყვეტად მანამდე, სანამ ის პარტნიორი, რომელმაც იკისრა აღნიშნული შენატანის განხორციელება, წარმოადგენს ამხანაგობის წევრს; პარტნიორი პასუხისმგებელია ამხანაგობის წინაშე იმ ნებისმიერი მოგებისათვის, რომელსაც ის შენატანისაგან იღებს.

2201. ამხანაგობის მოგებაში მონაწილეობა მოიცავს ზარალის განაწილების ვალდებულებას.

2202. თითოეული პარტნიორის წილი აქტივებში, მოგებასა და ზარალში თანაბარია, თუ ის არ განისაზღვრება ხელშეკრულებით.

თუ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხოლოდ თითოეული პარტნიორის წილს აქტივებში, მოგებასა და ზარალში, ივარაუდება, რომ აღნიშნულის განსაზღვრა მოხდა ყველა სამივე შემთხვევისათვის.

2203. სამართლებრივი ძალის არმქონეა ნებისმიერი ისეთი შეთანხმება, რომლითაც პარტნიორი გამოირიცხება მოგებაში მონაწილებისაგან.

დაუშვებელია მესამე პირების მიმართ იმ ნებისმიერი შეთანხმების გამოყენება, რომლითაც პარტნიორი გამოირიცხება ზარალში მონაწილეობის ვალდებულებისაგან.

2204. დაუშვებელია პარტნიორის მხრიდან ამხანაგობისათვის კონკურენციის გაწევა საკუთარ ინტერესებში ან მესამე პირის სასარგებლოდ ანდა მან მონაწილეობა მიიღოს ისეთ საქმიანობაში, რომლის შედეგადაც ამხანაგობას ერთმევა ის ქონება, ინფორმაცია ან საქმიანობის სახე, რომლის შეტანის ვალდებულებაც მას ეკისრება; აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოგება ეკუთვნის ამხანაგობას იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამორიცხვის გარეშე, რომლებიც მან შეიძლება წარადგინოს.

2205. თუ პარტნიორი კეთილსინდისიერი იყო, ის უფლებამოსილია, დაიბრუნოს მის მიერ ამხანაგობის სახელით გაწეული დანახარჯების თანხები და მიიღოს კომპენსაცია მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისა და მის მიერ ამხანაგობის სასარგებლოდ მოქმედებით განცდილი ზარალისათვის.

2206. როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი საკუთარ ინტერესებში არის იმ პირის კრედიტორი, რომელიც წარმოადგენს ასევე ამხანაგობის მოვალესაც, და ორივე ვალი ასევე ექვემდებარება გადახდას, — მის მიერ მოვალისგან მიღებული თანხები უნდა მიემართოს ორივე მოთხოვნის დაფარვისათვის მათი შესაბამისი თანხების პროპორციულად.

2207. როდესაც პარტნიორმა ამხანაგობის გამო მიიღო თავისი მოთხოვნის წილი სრულად, ხოლო მოვალე ხდება გადახდისუუნარო, პარტნიორი ვალდებულია, გადასცეს ამხანაგობას ყველაფერი ის, რაც მან მიიღო, თუნდაც მან საკუთარი წილისათვის გასცა კიდეც ქვითარი.

2208. ყოველ პარტნიორს შეუძლია ისარგებლოს ამხანაგობის ქონებით იმ პირობით, რომ ის გამოიყენებს მას ამხანაგობის ინტერესებში ქონების დანიშნულების შესაბამისად და — ასევე იმგვარად, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა პარტნიორებს ამ ქონებით სარგებლობაში მათი უფლებამოსილების შესაბამისად.

ყოველ პარტნიორს შეუძლია ასევე დაავალდებულოს ამხანაგობა ამ უკანასკნელის საქმიანობის დროს, თუმცა პარტნიორს შეუძლია შეეწინააღმდეგოს კომერციულ გარიგებებს მანამდე, სანამ ისინი დაიდება ან შეზღუდოს პარტნიორის უფლება, თავისი მოქმედებით დაავალდებულოს ამხანაგობა.

2209. პარტნიორს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე შეუძლია გახდეს მესამე პირის პარტნიორი ამხანაგობაში თავის წილთან მიმართებაში, თუმცა მას არ შეუძლია მისი წევრად გახდომა სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე.

ნებისმიერ პარტნიორს 60 დღის განმავლობაში იმის შეტყობიდან, რომ ამხანაგობის არაწევრმა პირმა სასყდილიანი გარიგების საფუძველზე შეიძინა პარტნიორის წილი, შეუძლია გამორიცხოს ეს პირი ამხანაგობიდან მისთვის წილის ფასისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურებით. ამ უფლების განხორციელება შესაძლებელია წილის შეძენიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

2210. როდესაც პარტნიორი ამხანაგობაში თავის წილს გადასცემს პარტნიორს ან ამხანაგობას ანდა როდესაც ამხანაგობა ახდენს მის გამოსყიდვას, წილის ღირებულება — თუ მხარეები ვერ თანხმდებიან მასზე — განისაზღვრება მხარეთა მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ ნიშნავენ ექსპერტს, — სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ.

2211. პარტნიორის წილი ამხანაგობის აქტივებსა თუ მოგებაში შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით. თუმცა, პარტნიორის წილი აქტივებში შეიძლება

იპოთეკით დაიტვირთოს მხოლოდ სხვა პარტნიორების თანხმობით ან თუ ასე გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში.

2212. პარტნიორებს ერთმანეთს შორის შეუძლიათ დადონ ისეთი შეთანხმებები, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ სათანადოდ ამხანაგობის საქმეების მართვაში თავიანთი შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელების მხრივ.

2213. ამხანაგობის საქმეების სამართავად პარტნიორებს შეუძლიათ დანიშნონ ერთი ან მეტი პარტნიორი ანდა თუნდაც, — მესამე პირი.

მიუხედავად პარტნიორების წინააღმდეგობისა, მმართველს თავისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებების ფარგლებში შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება იმ პირობით, რომ ის არ მოქმედებს თაღლითობით. მანამდე, სანამ ამხანაგობა აგრძელებს არსებობას, აღნიშნული უფლებამოსილებების გაუქმება მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული უფლებამოსილებების მინიჭება მოხდა იმ მოქმედებით, რასაც ადგილი აქვს ამხანაგობის ხელშეკრულების დადების შემდეგ, რა შემთხვევაშიც უფლებამოსილებების გაუქმება ხდება მარტივი დავალების მსგავსად.

2214. როდესაც ამხანაგობის მართვა ეკისრება რამდენიმე პირს და სახეზე არ არის შეთანხმება მათ შორის მართვის განაწილების შესახებ, ისევე როგორც პირებს შორის არ არის რაიმე შეთანხმება, რომლითაც თავიდან არის აცილებული ერთ-ერთი პირის სხვების გარეშე მოქმედება, — ყოველ მათგანს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად; თუმცა, როდესაც ასეთი შეთანხმება სახეზეა, ვერც ერთი მათგანი ვერ იმოქმედებს სხვების გარეშე, — თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა პირებისათვის მოქმედების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია.

2215. ამხანაგობის მართვასთან დაკავშირებით რაიმე შეთანხმების არარსებობისას, მიიჩნევა, რომ პარტნიორებმა მიანიჭეს ერთმანეთს ამხანაგობის მართვის უფლებამოსილებები.

პარტნიორის მიერ საერთო საქმიანობის ფარგლებში შესრულებული ნებისმიერი მოქმედება ავალდებულებს სხვა პარტნიორებს ისე, რომ ეს უკანასკნელები ინარჩუნებენ თავიანთ უფლებებს, ერთობლივად ან ცალ-ცალკე შეეწინააღმდეგონ მოქმედებას მანამდე, სანამ ის შესრულდება.

გარდა ამისა, ყოველ პარტნიორს შეუძლია აიძულოს თავისი პარტნიორები, იკისრონ ნებისმიერი ხარჯები, რომლებიც აუცილებელია საერთო ქონების შენარჩუნებისათვის, თუმცა პარტნიორს არ შეუძლია ამ ქონების მდგომარეობის შეცვლა სხვების თანხმობის გარეშე მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ხელსაყრელი შეიძლება ყოფილიყო ასეთი ცვლილება.

2216. ყოველ პარტნიორს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაში, და ამხანაგობის ხელშეკრულებით დაუშვებელია მისთვის ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში, კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება პარტნიორების ხმათა უმრავლესობით მიუხედავად ამხანაგობაში მათი წილების ღირებულებისა, თუმცა ამხანაგობის ხელშეკრულების შეცვლისკენ მიმართული კოლექტიური გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად.

2217. ამხანაგობის მართვის უფლებამოსილებების არმქონე პარტნიორს არ შეუძლია საერთო ქონების გასხვისება ან სხვაგვარი განკარგვა, კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებების გათვალისწინების პირობით.

2218. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, ყოველ პარტნიორს, თუნდაც ის გამორიცხული იყოს ამხანაგობის მართვიდან, აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და შეამოწმოს მისი საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები.

აღნიშნული უფლების განხორციელებისას პარტნიორი ვალდებულია, გაუმართლებლად არ შეაფერხოს ამხანაგობის საქმიანობა და ხელი არ შეუშალოს სხვა პარტნიორებს იგივე უფლების განხორციელებაში.

§ 2. — ამხანაგობისა და პარტნიორების ურთიერთობები მესამე პირებთან

2219. ყოველი პარტნიორი წარმოადგენს ამხანაგობის რწმუნებულს კეთილსინდისიერი მესამე პირებისადმი მიმართებაში და ის ავალდებულებს ამხანაგობას თითოეული მოქმედებისათვის, რომელიც დადებულია ამხანაგობის სახელით მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ რაიმე საწინააღმდეგო შეთანხმების გამოყენება დაუშვებელია.

2220. პარტნიორის მიერ საკუთარი სახელით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ავალდებულებს ამხანაგობას, როდესაც ის შედის ამხანაგობის საქმიანობის სფეროში, ან როდესაც მის საგანს წარმოადგენს ამხანაგობის მიერ გამოსაყენებელი ქონება.

თუმცა, მესამე პირს შეუძლია დააგროვოს შესაგებლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს პარტნიორისა და ამხანაგობის მიმართ და მიუთითოს იმაზე, რომ ის არ დადებდა ხელშეკრულებას, მას რომ სცოდნოდა იმის შესახებ, რომ პარტნიორი მოქმედებდა ამხანაგობის სახელით.

2221. მესამე პირებისადმი მიმართებაში პარტნიორები ერთობლივად აგებენ პასუხს ამხანაგობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისათვის, თუმცა ისინი პასუხისმგებელი არიან სოლიდარულად, თუ ვალდებულებების ხელშეკრულებით კისრება მოხდა ამხანაგობის საწარმოს მომსახურებისა თუ საქმიანობისათვის.

კრედიტორებს შეუძლიათ სარჩელის წარდგენა პარტნიორის მიმართ თანხის გადახდის მოთხოვნით მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მათ თავდაპირველად სცადეს ამხანაგობის ქონებაზე იძულებითი აღსრულება; თუნდაც ასეთ შემთხვევაში, პარტნიორის ქონება გამოიყენება ამხანაგობის კრედიტორების თანხების გადასახდელად მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოხდება თავისი საკუთარი კრედიტორების თანხების დაფარვა.

2222. პირს, რომელიც იძლევა საფუძველს იმის რწმენისა, რომ ის წარმოადგენს პარტნიორს, თუმცაღა სინამდვილეში ის არ არის პარტნიორი, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, როგორც პარტნიორს, აღნიშნული რწმენით მოქმედი კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ.

თუმცა, ამხანაგობა პასუხისმგებელია მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მისცა მათ საფუძველი იმის რწმენისა, რომ ასეთი პირი წარმოადგენდა პარტნიორს, და მან არ მიიღო სათანადო ზომები მესამე პირების მხრიდან იმ გარემოებებში არსებული შეცდომის თავიდან ასაცილებლად, რომლებშიც ეს უკანასკნელი იყო განჭვრეტადი.

2223. ამხანაგობის ფარული პარტნიორები მესამე პირების წინაშე პასუხს აგებენ იგივე ვალდებულებებისათვის, რაზეც პასუხისმგებლები არიან გაცხადებული პარტნიორები.

2224. ამხანაგობას არ შეუძლია ფასიანი ქაღალდებისა თუ ბრუნვაუნარიანი დოკუმენტების საჯარო შეთავაზება დადებული ხელშეკრულებების ან გაცემული ფასიანი ქაღალდებისა თუ დოკუმენტების ბათილობის შიშით, ასევე — იმ ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შიშით, რომელსაც ამხანაგობა აყენებს კეთილსინდისიერ მესამე პირებს.

აღნიშნულ შემთხვევაში პარტნიორები სოლიდარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის ვალდებულებებისათვის.

2225. ამხანაგობას შეუძლია სამოქალაქო საქმეში სარჩელის წარდგენა და მასში მოპასუხის სახით მონაწილეობა მის მიერ გაცხადებული სახელით.

§ 3. — პარტნიორის თვისებების დაკარგვა

2226. პარტნიორი წყვეტს ამხანაგობის წევრობას თავისი წილის გადაცემით ან გამოსყიდვით, მისი გარდაცვალებით, მის მიმართ დაცვითი ზედამხედველობის დადგენით, გადახდისუუნაროდ გახდომით ან ამხანაგობიდან გასვლის კუთვნილი უფლების განხორციელებით; ის ასევე წყვეტს ამხანაგობის წევრობას საკუთარი სურვილით, მისი ამხანაგობიდან გარიცხვით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლითაც მას მიეცემა ამხანაგობიდან გასვლის ნება ან მის წილზე დგინდება იძულებითი აღსრულება.

2227. პარტნიორი, რომელიც წყვეტს ამხანაგობის წევრობას სხვაგვარად, ვიდრე თავისი წილის გადაცემით ან მასზე იძულებითი აღსრულებით, უფლებამოსილია მიიღოს ის ღირებულება, რაც მის წილს ჰქონდა იმ მომენტში, როდესაც მან შეწყვიტა ამხანაგობის წევრობა, ხოლო სხვა პარტნიორები ვალდებული არიან, აუნაზღაურონ მას აღნიშნული ღირებულება დაუყოვნებლივ მისი განსაზღვრისთანავე პარტნიორის წევრობის შეწყვეტის დღიდან პროცენტის დარიცხვით.

წილის ღირებულებასთან დაკავშირებით ამხანაგობის ხელშეკრულებაში ან დაინტერესებულ პირთა შორის შესაბამისი შეთანხმების არარსებობისას, ღირებულება განისაზღვრება დაინტერესებულ პირთა მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირები არ ნიშ-

ნავენ ექსპერტს, — სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის მიერ. თუმცა, ექსპერტს ან სასამართლოს შეუძლიათ გადადონ იმ აქტივებისა თუ პირობითი ვალდებულებების შეფასება, რომლებიც გამომდინარეობს განხორციელებული ოპერაციებიდან (contingent assets or liabilities).

2228. იმ ამხანაგობის პარტნიორს, რომლის ვადაც არ არის დადგენილი ან რომლის ამხანაგობის ხელშეკრულებაც ადგენს ამხანაგობიდან გასვლის უფლების შენარჩუნებას, შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან მისი გასვლის შესახებ კეთილსინდისიერი შეტყობინების წარდგენით და, ამასთან, ეს არ უნდა მოხდეს შეუსაბამო მომენტში.

იმ ამხანაგობის პარტნიორს, რომლის ვადაც განსაზღვრულია, შეუძლია გავიდეს ამხანაგობიდან მხოლოდ სხვა პარტნიორების ხმათა უმრავლესობის თანხმობით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამხანაგობის ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს.

2229. ხმათა უმრავლესობით პარტნიორებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმ პარტნიორის გარიცხვის შესახებ, რომელიც ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს ან ხელს უშლის ამხანაგობას საქმიანობის განხორციელებაში.

ანალოგიური გარემოებების არსებობისას, პარტნიორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ამხანაგობიდან გასვლაზე ნებართვის მიღების მოთხოვნით; განცხადებაში მოცემული მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს ბრალეული პარტნიორის ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

§ 4. — ამხანაგობის გაუქმება და ლიკვიდაცია

2230. ამხანაგობა უქმდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ამხანაგობის გაუქმების საფუძვლების არსებობისას, მისი მიზნის მიღწევისას ან ამ მიზნის მიღწევის შეუძლებლობისას, ანდა — ყველა პარტნიორის თანხმობით. ამხანაგობა შეიძლება გაუქმდეს ასევე სასამართლოს მიერ ლეგიტიმური საფუძვლის გამო.

აღნიშნულ შემთხვევაში ხორციელდება ამხანაგობის ლიკვიდაცია.

2231. განსაზღვრული ვადით დაფუძნებული ამხანაგობის არსებობა შეიძლება გაგრძელდეს ყველა პარტნიორის თანხმობით.

2232. ერთი პარტნიორის ხელში ყველა წილის გაერთიანება შედეგად არ იწვევს ამხანაგობის გაუქმებას იმ პირობით, რომ, სულ ცოტა, ერთი სხვა პარტნიორი უერთდება ამხანაგობას 120 დღის განმავლობაში.

2233. პარტნიორების უფლებამოსილება, იმოქმედონ ამხანაგობის სახელით, წყდება ამხანაგობის გაუქმებისთანავე, გარდა იმ მოქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენს უკვე დაწყებული კომერციული გარიგებების აუცილებელ შედეგს.

თუმცა, ამხანაგობის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში იმ პარტნიორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელმაც არაფერი იცის ამხანაგობის გაუქმების შესახებ და რომელიც მოქმედებს კეთილსინდისიერად, ავალდებულებს ამხანაგობასა და სხვა პარტნიორებს, თითქოს ამხანაგობა ჯერ კიდევ არსებობს.

2234. ამხანაგობის გაუქმება არ ეხება იმ კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს, რომლებიც შემდგომში დებენ ხელშეკრულებებს ამხანაგობის სახელით მოქმედ პარტნიორთან ან რწმუნებულთან.

2235. ამხანაგობის ლიკვიდაცია, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, ექვემდებარება პირების შესახებ წიგნის 358-364-ე მუხლებში გათვალისწინებულ წესებს. აღნიშნული წესებით მოთხოვნილი შეტყობინებები წარდგენილ უნდა იქნეს საწარმოთა სამართლებრივი საჯაროობის შესახებ კანონის (თავი P-44.1) შესაბამისად.

განყოფილება 3
კომანდიტური საზოგადოებები

2236. კომანდიტური საზოგადოება იქმნება, ერთი მხრივ, ერთი ან რამდენიმე კომპლემენტარისაგან (general partners), რომლებიც წარმოადგენენ იმ ერთადერთ პირებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან საზოგადოების მართვაზე და რომელთა მოქმედებებიც ავალდებულებს საზოგადოებას, და, მეორე მხრივ, ერთი ან რამდენიმე კომანდიტისაგან, რომლებიც ვალდებული არიან, განახორციელონ შენატანები საზოგადოების კაპიტალში (common stock).

2237. კომანდიტურ საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება საზოგადოების კაპიტალის დადგენისა თუ გაზრდის მიზნით, ასევე მას შეუძლია გამოუშვას ბრუნვაუნარიანი დოკუმენტები.

მესამე პირი, რომელიც კისრულობს შენატანის განხორციელებას, ხდება საზოგადოების კომანდიტი.

2238. კომპლემენტარებს აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების უფლებამოსილებები, უფლებები და ვალდებულებები, თუმცა ისინი ვალდებული არიან, კომანდიტებს წარუდგინონ მათ მიერ განხორციელებული მართვის ანგარიში.

კომპლემენტარებს კომანდიტების მიმართ ეკისრებათ იგივე ვალდებულებები, რაც სხვა პირების ქონების სრული მართვის განმახორციელებელ მმართველს ეკისრება მართვის ბენეფიციარის მიმართ.

დაუშვებელია კომპლემენტარების უფლებამოსილებების შემზღუდველი დათქმების გამოყენება კეთილსინდისიერი მესამე პირების მიმართ.

2239. კომპლემენტარები საზოგადოების ძირითად ადგილსამყოფელზე აწარმოებენ რეესტრს, რომელიც შეიცავს თითოეული კომანდიტის სახელსა

და საცხოვრებელ ადგილს და ასევე — საზოგადოების კაპიტალში მათ მიერ განხორციელებულ შენატანებთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას.

2240. როდესაც კომანდიტის შენატანი შეადგენს ფულად თანხას ან ნებისმიერ სხვა ქონებას, ის ხორციელდება საზოგადოების კაპიტალის დადგენის მომენტში ან ნებისმიერ სხვა დროს საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შენატანის სახით.

კომანდიტს ეკისრება შეთანხმებული შენატანის დაუძლეველი ძალის გამო შემთხვევით დაღუპვის რისკი მანამდე, სანამ შენატანი არ იქნება განხორციელებული.

2241. მანამდე, სანამ საზოგადოება აგრძელებს არსებობას, კომანდიტს არ შეუძლია ნებისმიერი ხერხით მის მიერ საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი შენატანის ნებისმიერი ნაწილის გატანა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის იღებს სხვა პარტნიორების უმრავლესობის თანხმობას და გატანის შემდეგ დარჩენილი ქონება საკმარისია საზოგადოების ვალების დაფარვისათვის.

2242. კომანდიტი უფლებამოსილია, მიიღოს თავისი მოგების წილი, თუმცა თუ მოგების გაცემა დაიყვანება საზოგადოების კაპიტალამდე, თითოეული კომანდიტი, რომელიც იღებს აღნიშნულ მოგებას, ვალდებულია გადაიხადოს ის თანხა, რაც აუცილებელია მისი წილი დეფიციტის პროცენტთან ერთად დაფარვისათვის.

იმ საზოგადოების შემთხვევაში, რომლის კაპიტალიც შეიცავს საზოგადოების მიერ მისი გამოყენებისას მოხმარებად ნივთს, კომანდიტს შეუძლია მიიღოს თავისი მოგების წილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონება საკმარისი იქნება საზოგადოების ვალების დაფარვისათვის.

2243. კომანდიტის წილი საზოგადოების კაპიტალში ექვემდებარება სხვა პირისათვის გადაცემას.

მესამე პირების მიმართ წილის გადამცემი პასუხისმგებელი რჩება იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საზოგადოებაში მისი მონაწილეობიდან იმ პერიოდში, როდესაც ის ჯერ კიდევ იყო კომანდიტი.

2244. საზოგადოების მართვასთან დაკავშირებით კომანდიტს შეუძლია გასცეს მხოლოდ საკონსულტაციო დასკვნები.

კომანდიტს არ შეუძლია საზოგადოების სახელით მონაწილეობის მიღება ნებისმიერ ბიზნეს საქმესთან დაკავშირებით წარმოებულ მოლაპარაკებაში ან რწმუნებულის ანდა აგენტის სახით საზოგადოების სასარგებლოდ მოქმედება ანდა თავისი სახელის გამოყენების დაშვება საზოგადოების ნებისმიერ გარიგებაში; თუ კომანდიტი მაინც იქცევა ასე, ის პასუხისმგებელია, მსგავსად კომპლემენტარისა აღნიშნული მოქმედებებიდან გამომდინარე საზოგადოების ვალდებულებებისათვის, ხოლო ამ მოქმედებების მნიშვნელობიდან ან რაოდენობიდან გამომდინარე ის შეიძლება იყოს პასუხისმგებელი, მსგავსად კომპლემენტარისა, საზოგადოების ყველა ვალდებულებისათვის.

2245. როდესაც კომპლემენტარებს აღარ შეუძლიათ მოქმედება, კომანდიტებს უფლება აქვთ მარტივ მართვაში შემავალი ნებისმიერი იმ მოქმედების შესრულება, რაც მოითხოვება საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის.

თუ კომპლემენტარების შეცვლა არ ხდება 120 დღის განმავლობაში, საზოგადოება უქმდება.

2246. როდესაც საზოგადოების ქონება არასაკმარისია, კომპლემენტარები სოლიდარულად აგებენ პასუხს მესამე პირების წინაშე საზოგადოების ვალებისათვის; კომანდიტი პასუხისმგებელია მისი შენატანის შეთანხმებული ოდენობის ფარგლებში არსებული ვალებისათვის, მიუხედავად საზოგადოების კაპიტალში მისი წილის ნებისმიერი გადაცემისა.

სამართლებრივი ძალის არმქონეა ნებისმიერი შეთანხმება, რომლის მეშვეობითაც კომანდიტი ვალდებულია იყოს თავდები ან იკისროს საზოგადოების ვალები მისი შენატანის შეთანხმებულ თანხაზე მეტი ოდენობით.

2247. კომანდიტი, რომლის სახელიც ჩანს საზოგადოების საფირმო სახელწოდებაში, პასუხისმგებელია საზოგადოების ვალდებულებებისათვის, მსგავსად კომპლემენტარისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი კომანდიტის სტატუსი ცალსახად არის მითითებული.

2248. როდესაც საზოგადოების ქონება არასაკმარისია, კომანდიტს არ შეუძლია თავისი სტატუსის საფუძველზე დააყენოს მოთხოვნა როგორც კრედიტორმა მანამდე, სანამ არ დაკმაყოფილდებიან საზოგადოების სხვა კრედიტორები.

2249. ყველა სხვა მხრივ, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, კომანდიტური საზოგადოებების მიმართ გამოიყენება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მომწესრიგებელი ნორმები.

განყოფილება 4
არადეკლარირებული ამხანაგობები

§ 1. — არადეკლარირებული ამხანაგობების დაფუძნება

2250. ხელშეკრულება, რომლითაც ხდება არადეკლარირებული ამხანაგობის დაფუძნება, შეიძლება დაიდოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ეს უკანასკნელი შესაძლოა წარმოიშვას ასევე იმ ფაქტებიდან გამომდინარეც, რომლებიც ნათლად მიუთითებს არადეკლარირებული ამხანაგობის შექმნის განზრახვაზე.

უბრალოდ რამდენიმე პირს შორის არსებული საერთო ქონების რეჟიმი არ ქმნის ვარაუდს იმისა, რომ მათ განზრახული აქვთ არადეკლარირებული ამხანაგობის შექმნა.

§ 2. — პარტნიორების ურთიერთობები ერთმანეთს შორის

2251. პარტნიორები თანხმდებიან არადეკლარირებული ამხანაგობის საგანზე, საქმიანობაზე, მართვასა და სხვა პირობებზე.

რაიმე სპეციალური შეთანხმების არარსებობისას, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, პარტნიორების ურთიერთობები ერთმანეთს შორის ექვემდებარება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების ერთმანეთს შორის და საზოგადოებებასთან ურთიერთობების მომწესრიგებელ დებულებებს.

§ 3. — პარტნიორების ურთიერთობები მესამე პირებთან

2252. მესამე პირებისადმი მიმართებაში ყოველი პარტნიორი რჩება იმ ქონების მესაკუთრედ, რომელიც მას შეაქვს არადეკლარირებულ საზოგადოებაში.

ქონება, რომელიც წარმოადგენდა იდეალურ საერთო საკუთრებას პარტნიორების მიერ შენატანების გაერთიანებამდე ან რომელიც ქმნის იდეალურ საერთო საკუთრებას პარტნიორთა შეთანხმებით, ანდა ნებისმიერი ისეთი ქონება, რომლებიც შეძენილ იქნა იდეალურ საერთო საკუთრებაში შემავალი თანხების საზოგადოების ხელშეკრულების ვადის განმავლობაში გამოყენებით, — წარმოადგენს პარტნიორთა შორის არსებულ იდეალურ საერთო საკუთრებას.

2253. ყოველი პარტნიორი დებს ხელშეკრულებებს საკუთარი სახელით და დამოუკიდებლად არის პასუხისმგებელი მესამე პირების წინაშე.

თუმცა, როდესაც პარტნიორები მოქმედებენ ისე, რომ პარტნიორის სტატუსი ცნობილია მესამე პირებისათვის, ყოველი პარტნიორი პასუხისმგებელია ამ უკანასკნელთა წინაშე იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც გამომდინარეობს ნებისმიერი სხვა პარტნიორის მიერ აღნიშნული სტატუსით შესრულებული მოქმედებებიდან.

2254. პარტნიორები არ აგებენ სოლიდარულად პასუხს მათი საქმიანობის პროცესში დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალების ხელშეკრულებებით კისრება მოხდა საერთო საწარმოს გამოყენებისა თუ საქმიანობისათვის; პარტნიორები თანაბარწილად პასუხს აგებენ კრედიტორის წინაშე თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ არადეკლარირებულ საზოგადოებაში მათი წილები არათანაბარია.

2255. დაუშვებელია მესამე პირების მიმართ იმ შეთანხმების გამოყენება, რომლითაც იზღუდება მესამე პირების მიმართ პარტნიორების ვალდებულების ფარგლები.

2256. პარტნიორებს შეუძლიათ განახორციელონ სხვა პარტნიორის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ყველა უფლება, თუმცა მესამე პირი ვალდებულია მხოლოდ იმ პარტნიორის წინაშე, რომელთანაც მან დადო ხელშეკრულება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულმა პარტნიორმა განაცხადა თავისი სტატუსის შესახებ.

2257. ნებისმიერი სარჩელი, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს ყველა პარტნიორის მიმართ, შეიძლება წარედგინოს ასევე ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანსაც, როგორც სხვა პირების პარტნიორებს, სარჩელში სხვა პირების დასახელების გარეშე.

როდესაც მიიღება სასამართლოს გადაწყვეტილება იმ პარტნიორის ან პარტნიორების მიმართ, რომელთა წინააღმდეგაც წარდგენილ იქნა სარჩელი, ყველა სხვა პარტნიორს ერთობლივად ან ცალ-ცალკე შეიძლება წარედგინოს სარჩელი ანალოგიური საფუძვლით. როდესაც სარჩელი ეფუძნება იმ წერილობით დოკუმენტში მითითებულ ვალდებულებას, რომელშიც ვალდებულ პირად დასახელებულია ყველა პარტნიორი, ყველა მათგანი უნდა წარმოადგენდეს მხარეს იმ გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი სარჩელისა, რომელიც გამოყენებული იქნება მათ წინააღმდეგ.

§ 4. — არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა

2258. არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულება წყდება ყველა პარტნიორის თანხმობით განხორციელებული საზოგადოების გაუქმებით, მისი ვადის გასვლით, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებით ან ხელშეკრულების მიზნის მიღწევით ანდა — ამ უკანასკნელის მიღწევის შეუძლებლობით.

არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულება წყდება ასევე ერთ-ერთი პარტნიორის გარდაცვალებით ან გადახდისუუნარობით, მის მიმართ დაცვითი ზედამხედველობის დადგენით ანდა — სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით, რომლითაც დგინდება მისი წილის მიმართ იძულებითი აღსრულება.

2259. დასაშვებია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი პარტნიორის გარდაცვალების შემთხვევაში არადეკლარირებული ამხანაგობა გააგრძელებს არსებობას თავის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად ან ცოცხლად დარჩენილ პარტნიორებს შორის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, გარდაცვლილი პარტნიორების წარმომადგენლები უფლებამოსილი არიან არადეკლარირებული ამხანაგობის ქონების გაყოფაზე მხოლოდ ისე, როგორც ის არსებობდა პარტნიორის გარდაცვალების მომენტში. მათ არ შეუძლიათ მოითხოვონ შემდგომი კომერციული გარიგებებიდან გამომდინარე სარგებელი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გარიგებები წარმოადგენს გარდაცვალებამდე განხორციელებული კომერციული გარიგებების აუცილებელ შედეგს.

2260. როდესაც არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით ან როდესაც მასში გათვალისწინებულია დათქმა საზოგადოებიდან გასვლის უფლების შენარჩუნების შესახებ, ეს ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს ერთ-ერთი პარტნიორის მიერ სხვა პარტნიორებისათვის წარდგენილი შეტყობინებით იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელის წარდგენა ხდება კეთილსინდისიერად და, ამასთან, ეს არ უნდა მოხდეს შეუსაბამო მომენტში.

2261. არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ლეგიტიმური საფუძვლის გამო, კერძოდ კი, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს ან ხელს უშლის პარტნიორებს საქმიანობის განხორციელებაში.

2262. პარტნიორების უფლებამოსილება, იმოქმედონ არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულების საფუძველზე წყდება ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, გარდა უკვე დაწყებული მოქმედებებისა, რომლებიც წარმოადგენს კომერციული გარიგებების აუცილებელ გაგრძელებას.

თუმცა, არადეკლარირებული ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში იმ პარტნიორის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელმაც არაფერი იცის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და რომელიც მოქმედებს კეთილსინდისიერად, ავალდებულებს ყველა პარტნიორს, თითქოს არადეკლარირებული ამხანაგობა ჯერ კიდევ არსებობს.

2263. არადეკლარირებული ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტა არ ეხება იმ კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს, რომლებიც შემდგომში დებენ ხელშეკრულებებს პარტნიორთან ან ყველა პარტნიორის ნებისმიერ სხვა რწმუნებულთან.

2264. არადეკლარირებული ამხანაგობის ლიკვიდაციის მეთოდთან ან ლიკვიდატორის შერჩევასთან დაკავშირებით რაიმე შეთანხმების არარსებობისას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით.

2265. ხელშეკრულების შეწყვეტისას პარტნიორი უფლებამოსილია იმ ქონების დაბრუნებაზე, რომელიც შეესაბამება მის საკუთრებაში არსებულ წილს, და მას შეუძლია მოითხოვოს ქონების თანაზომიერი განაწილება ნატურით ან არადეკლარირებულ ამხანაგობაში მის საკუთრებაში არსებული იდეალური საერთო საკუთრების ეკვივალენტით.

წილის ღირებულებასთან დაკავშირებით შეთანხმების არარსებობისას, ღირებულება განისაზღვრება ლიკვიდატორის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას, — სასამართლოს მიერ. თუმცა, ლიკვიდატორს ან სასამართლოს შეუძლია გადადოს იმ აქტივებისა თუ პირობითი ვალდებულებების შეფასება, რომლებიც გამომდინარეობს განხორციელებული ოპერაციებიდან.

2266. ლიკვიდატორს აქვს მფლობელობა (seisin) საერთო ქონებაზე და ის მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია სრული მართვისათვის.

ლიკვიდატორი თავდაპირველად იხდის ვალებს, ამის შემდეგ ანაზღაურებს შენატანებს, რის შემდგომაც ახდენს პარტნორთა შორის აქტივების განაწილებას.

განყოფილება 5
ასოციაციები

2267. ხელშეკრულება, რომლითაც ხდება ასოციაციის დაფუძნება, შეიძლება დაიდოს წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ეს უკანასკნელი შესაძლოა წარმოიშვას ასევე იმ ფაქტებიდან გამომდინარეც, რომლებიც ნათლად მიუთითებს ასოციაციის შექმნის განზრახვაზე.

2268. ასოციაციის ხელშეკრულება არეგულირებს ასოციაციის საგანს, საქმიანობას, მართვასა და სხვა პირობებს.

ივარაუდება, რომ დაშვებულია იმ წევრების მიღება, რომლებიც არ წარმოადგენენ დამფუძნებელ წევრებს.

2269. ასოციაციის ხელშეკრულებაში სპეციალური წესების არარსებობისას, ასოციაციის დირექტორების არჩევა ხდება მის წევრებს შორის, ხოლო დამფუძნებელი წევრები კანონის ძალით წარმოადგენენ ასოციაციის დირექტორებს მანამდე, სანამ ისინი არ შეიცვლებიან სხვა პირებით.

2270. დირექტორები მოქმედებენ როგორც ასოციაციის წევრების რწმუნებულები.

მათ უფლებამოსილებებს წარმოადგენს მხოლოდ ის, რაც მათ მინიჭებული აქვთ ასოციაციის ხელშეკრულებით ან კანონით ანდა — მათთვის მიცემული დავალებიდან გამომდინარე უფლებამოსილებები.

2271. დირექტორებს შეუძლიათ სარჩელის წარდგენა და სასამართლო დავაში მოპასუხის სახით მონაწილეობა ასოციაციის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

2272. ყოველ წევრს აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღებაში, და ასოციაციის ხელშეკრულებით დაუშვებელია მისთვის ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ხელშეკრულებაში, კოლექტიური გადაწყვეტილებები, მათ შორის ასოციაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებები, მიიღება წევრების ხმათა უმრავლესობით.

2273. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, ყოველ წევრს, თუნდაც ის გამორიცხული იყოს მართვიდან, აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და შეამოწმოს მისი საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები.

აღნიშნული უფლების განხორციელებისას წევრი ვალდებულია, გაუმართლებლად არ შეაფერხოს ასოციაციის საქმიანობა და ხელი არ შეუშალოს სხვა წევრებს იგივე უფლების განხორციელებაში.

2274. როდესაც ასოციაციის ქონება არასაკმარისია, დირექტორები და ნებისმიერი ის წევრი, რომელიც ახორციელებს ასოციაციის საქმეების რეალურ

მართვას, სოლიდარულად ან ერთობლივად აგებენ პასუხს იმ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ასოციაციის ვალდებულებებისათვის, რომლებიც მათ მოიწონეს ასოციაციის საქმეთა მართვის დროს მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვალდებულებების ხელშეკრულებით კისრება მოხდა ასოციაციის საწარმოს მომსახურებისა თუ საქმიანობისათვის.

თუმცა, თითოეული აღნიშნული პირის ქონება გამოიყენება ასოციაციის კრედიტორების თანხების გადასახდელად მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოხდება თავისი საკუთარი კრედიტორების თანხების დაფარვა.

2275. წევრი, რომელიც არ ახორციელებდა ასოციაციის მართვას, სოლიდარულად პასუხისმგებელია ასოციაციის ვალებისათვის მხოლოდ შეპირებული შენატანისა და ვადამოსული საწევრო გადასახადების ფარგლებში.

2276. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, წევრს შეუძლია გავიდეს ასოციაციიდან, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი შექმნილია განსაზღვრული ვადით; თუ აღნიშნული წევრი გადის ასოციაციიდან, ის ვალდებულია გადაიხადოს შეპირებული შენატანი და ვადამოსული საწევრო გადასახადები.

ასოციაციის წევრთა გადაწყვეტილებით წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან.

2277. ასოციაციის ხელშეკრულება წყდება მისი ვადის გასვლით, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პირობის შესრულებით ან ხელშეკრულების მიზნის მიღწევით ანდა ამ უკანასკნელის მიღწევის შეუძლებლობით.

ასოციაციის ხელშეკრულება წყდება ასევე წევრთა გადაწყვეტილებით.

2278. როდესაც ასოციაციის ხელშეკრულება წყდება, ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება დირექტორების ან მათი არარსებობისას, — სასამართლოს მიერ დანიშნული პირის მიერ.

2279. ვალების დაფარვის შემდეგ, დარჩენილი ქონება ექვემდებარება გადაცემას ასოციაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად ან ასეთი სპეციალური წესების არარსებობისას, აღნიშნული ქონება ნაწილდება წევრებს შორის თანაბრად.

თუმცა, მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, მესამე პირების შენატანებიდან მიღებული ნებისმიერი ქონება გადადის იმ ასოციაციაზე, იურიდიულ პირსა თუ ტრასტზე, რომლებიც იზიარებენ ასოციაციის მსგავს მიზნებს; თუ ქონების ასეთი გადაცემა შეუძლებელია, ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში და იმართება შემოსავლების მინისტრის მიერ როგორც უპატრონო ქონება ან თუ მისი ღირებულება მცირეა, — ის წევრებს შორის ნაწილდება თანაბრად.

თავი 11
მიბარება

განყოფილება 1
მიბარება ზოგადად

§ 1. — ზოგადი დებულებები

2280. მიბარება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, მიმბარებელი, გადასცემს მოძრავ ნივთს სხვა პირს, შემნახველს, რომელიც კისრულობს ვალდებულებას, შეინახოს ეს ნივთი განსაზღვრული ვადით და დაუბრუნოს ის მიმბარებელს.

მიბარება უსასყიდლოა, თუმცა ის შეიძლება იყოს სასყიდლიანიც, როდესაც ეს დაშვებულია ჩვეულებებითა და შეთანხმებით.

2281. შესანახად გადასაცემი ნივთის მფლობელობაში გადაცემა წარმოადგენს არსებით პირობას მიბარების ხელშეკრულების დადებისათვის.

ნივთის ფიქტიური გადაცემა საკმარისია, როდესაც შემნახველი უკვე ახორციელებს მასზე მპყრობელობას სხვა სამართლებრივი საფუძვლით.

2282. როდესაც მიბარების ხელშეკრულება დაიდო არასრულწლოვანთან ან დაცვითი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთან, მიმბარებელს შეუძლია გამოითხოვოს მიბარებული ნივთი მანამდე, სანამ ის რჩება აღნიშნული პირის ხელში; როდესაც ნივთის ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, მიმბარებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს ნივთის ღირებულება მისი მიმღები პირის უსაფუძვლოდ გამდიდრებული თანხის ოდენობით.

§ 2. — შემნახველის ვალდებულებები

2283. ნივთის შენახვისას შემნახველი უნდა მოქმედებდეს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით; მას არ შეუძლია ნივთით სარგებლობა მიმბარებლის ნებართვის გარეშე.

2284. შემნახველს არ შეუძლია მიმბარებლისაგან იმის მტკიცების მოთხოვნა, რომ ის წარმოადგენს მიბარებული ნივთის მესაკუთრეს, ან ის ვერ მოითხოვს ასეთ მტკიცებას ასევე იმ პირისაგან, რომელსაც ნივთი უნდა დაუბრუნდეს.

2285. შემნახველი ვალდებულია, მიბარებული ნივთი მიმბარებელს დაუბრუნოს მოთხოვნისთანავე თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ნივთის დაბრუნებისათვის დადგენილი იყო ვადა.

როდესაც შემნახველმა გასცა ქვითარი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ნივთის მიბარებას, ან რომელიც დოკუმენტის მფლობელ პირს ანიჭებს ნივთის წაღების უფლებას, მას შეუძლია მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტის მისთვის დაბრუნება.

2286. შემნახველმა უნდა დააბრუნოს სწორედ ის ნივთი, რაც მან მიიღო შესანახად.

როდესაც შემნახველმა მიიღო რაიმე იმ ნივთის სანაცვლოდ, რომელიც განადგურდა დაუძლეველი ძალის გამო, მან ამგვარად მიღებული უნდა გადასცეს მიმბარებელს.

2287. შემნახველი ვალდებულია, დააბრუნოს ის ნაყოფი და შემოსავალი, რაც მან მიბარებული ნივთიდან მიიღო.

შემნახველს ეკისრება მიბარებული ფულადი თანხის პროცენტის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის აღმოჩნდება ვადაგადაცილებაში თანხის დაუბრუნებლობის გამო.

2288. შემნახველის მემკვიდრე ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც კეთილსინდისიერად, ისე, რომ არაფერი იცის მიბარების შესახებ, ყიდის მიბარებულ ნივთს, — ვალდებულია დააბრუნოს მხოლოდ მის მიერ მიღებული ფასი ან დათმოს თავისი მოთხოვნა მყიდველის მიმართ, თუ ფასი არ იქნა გადახდილი.

2289. როდესაც მიბარება არის უსასყიდლო, შემნახველი პასუხისმგებელია მიბარებული ნივთის განადგურებისათვის იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია მისი ბრალით; როდესაც მიბარება არის სასყიდლიანი ან როდესაც ეს მოითხოვება შემნახველის მიერ, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია ნივთის განადგურებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის დაამტკიცებს დაუძლეველი ძალის არსებობას.

2290. სასამართლოს შეუძლია შეამციროს შემნახველის მიერ გადასახდელი ზიანის თანხა, როდესაც მიბარება უსასყიდლოა ან როდესაც შემნახველმა შესანახად მიიღო დოკუმენტები, ფული ან სხვა ძვირფასეულობა ისე, რომ მიმბარებლის მიერ არ იქნა გაცხადებული მათი სახეობა ან ღირებულება.

2291. ნივთი ბრუნდება იმ ადგილზე, სადაც ის გადაცემულ იქნა შესანახად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ სხვა ადგილზე.

2292. როდესაც მიბარება უსასყიდლოა, ნივთის უკან დაბრუნების ხარჯი ეკისრება მიმბარებელს, თუმცა აღნიშნული ხარჯი ეკისრება შემნახველს, თუ მან მიმბარებლის ინფორმირების გარეშე ნივთი გააგზავნა სხვაგან, ნაცვლად ნივთის დაბრუნებისათვის შეთანხმებული ადგილისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან აღნიშნული განახორციელა ნივთის შენარჩუნების მიზნით.

როდესაც მიბარება სასყიდლიანია, ნივთის უკან დაბრუნების ხარჯი ეკისრება შემნახველს.

§ 3. — მიმბარებლის ვალდებულებები

2293. მიმბარებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემნახველს ნებისმიერი

ხარჯები, რომლებიც მან გასწია ნივთის შენარჩუნებისათვის, ასევე გადაუხადოს მას კომპენსაცია იმ ნებისმიერი ზარალისათვის, რომლის მიყენებაც ნივთს მისთვის შეეძლო, და გადაუხადოს მას შეთანხმებული საზღაური.

შემნახველი უფლებამოსილია მანამდე დააკავოს მიბარებული ნივთი, სანამ მას არ აუნაზღაურდება კუთვნილი თანხები.

2294. მიმბარებელი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემნახველს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მას მიადგა ნივთის ვადაზე ადრე დაბრუნებით, თუ ვადა შეთანხმებული იყო მხოლოდ და მხოლოდ შემნახველის ინტერესებში.

განყოფილება 2
აუცილებელი მიბარება

2295. აუცილებელ მიბარებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უბედური შემთხვევით ან დაუძლეველი ძალით გამოწვეული გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი აუცილებლობის გამო იძულებულია, ნივთის შენახვა მიანდოს სხვა პირს.

2296. შემნახველს არ შეუძლია ნივთის მიღებაზე უარის თქმა მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე.

შემნახველი პასუხისმგებელია ნივთის განადგურებისათვის, მსგავსად შემნახველისა უსასყიდლო მიბარების შემთხვევაში.

2297. ივარაუდება, რომ ჯანმრთელობის დაცვისა თუ სოციალური მომსახურების დაწესებულებაში ნივთის მიბარება წარმოადგენს აუცილებელ მიბარებას.

განყოფილება 3
მიბარება სასტუმროში

2298. პირი, სასტუმროს მეპატრონე, რომელიც საჯაროდ ახორციელებს ფართების გაქირავებას, პასუხისმგებელია სასყიდლიანი მიბარებისას შემნახველის პასუხისმგებლობის ანალოგიურად სასტუმროში განთავსებული პირების მიერ ფართში შემოტანილი პირადი ნივთებისა და ბარგის დაკარგვისათვის ოფიციალურად გამოცხადებული ერთდღიანი ცხოვრების ღირებულების ათმაგი თანხის ოდენობამდე ან იმ ნივთის შემთხვევაში, რომელიც მან შესანახად მიიღო, — აღნიშნული ღირებულების ორმოცდაათმაგი თანხის ოდენობამდე.

2299. სასტუმროს მეპატრონე ვალდებულია, მიიღოს შესანახად სტუმრების მიერ შემოტანილი დოკუმენტები, ფულადი თანხები ან სხვა ძვირფასეულობა; ის ვერ ეტყვის მათ უარს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასტუმროს სიდიდისა და საქმიანობის პირობების გათვალისწინებით აშკარაა, რომ

აღნიშნული ობიექტები მეტისმეტი ღირებულების მქონეა ან ვეებერთელაა ანდა ისინი საფრთხის შემცველია.

სასტუმროს მეპატრონეს შეუძლია შეამოწმოს მისთვის შესანახად გადაცემული ნივთი და მოითხოვოს მისი განთავსება დახურულ ან დალუქულ საცავში.

2300. სასტუმროს იმ მეპატრონის მიმართ, რომელიც თავად სასტუმროს ოთახში სტუმრების განკარგულებაში ანთავსებს სეიფს, არ მიიჩნევა, რომ მან შესანახად მიიღო აღნიშნულ სეიფში სტუმრების მიერ განთავსებული ნივთი.

2301. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასტუმროს მეპატრონის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია, როდესაც სტუმრის მიერ შემოტანილი ნივთის დაკარგვა გამოწვეულია განზრახვით ან გაუფრთხილებელი ბრალით ანდა იმ პირის ქმედებით, ვისთვისაც ის არის პასუხისმგებელი.

სასტუმროს მეპატრონის პასუხისმგებლობა ასევე შეუზღუდავია, როდესაც ის უარს აცხადებს იმ ნივთის შენახვაზე, რომლის მიღებაც მას ევალება, ან როდესაც მან არ მიიღო აუცილებელი ზომები მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვების შესახებ სტუმრის ინფორმირებისათვის.

2302. სასტუმროში სტუმრის ცხოვრებისა და სასტუმროს მეპატრონის მიერ რეალურად გაწეული მომსახურებების საზღაურის გადახდის უზრუნველყოფის სახით სასტუმროს მეპატრონე უფლებამოსილია, დააკავოს სტუმრის მიერ სასტუმროში შემოტანილი პირადი ნივთები და ბარგი, გარდა ამ უკანასკნელის პირადი ქაღალდებისა და იმ პირადი ნივთებისა, რომლებსაც არ აქვს საბაზრო ღირებულება.

2303. შესაბამისი საზღაურის გადაუხდელობისას სასტუმროს მეპატრონეს შეუძლია განკარგოს დაკავებული ნივთები ქონების შესახებ წიგნში გათვალისწინებული იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება გადაცემული და დავიწყებული ქონების მფლობელის მიმართ.

2304. სასტუმროს მეპატრონე ვალდებულია, წინამდებარე განყოფილების მუხლების ადვილად წაკითხვადი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი გამოაკრას მისი დაწესებულების ოფისებში, დარბაზებსა და საძინებლებში.

განყოფილება 4
სეკვესტრი

2305. სეკვესტრი წარმოადგენს მიბარებას, რომლითაც პირები სადავო საგანს შესანახად განთავსების მიზნით გადასცემენ მათ მიერ შერჩეულ პირს, რომელიც კისრულობს სადავო საკითხის გადაწყვეტისთანავე ამ საგნის დაბრუნებას იმ პირისათვის, რომელიც ამ მომენტისათვის უფლებამოსილი იქნება მის მიღებაზე.

2306. სეკვესტრის ობიექტი შეიძლება იყოს უძრავი ქონება, ისევე როგორც

— მოძრავი ნივთები.

უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება მასზე მპყრობელობის იმ შემნახველის სასარგებლოდ დათმობით, რომელსაც ეკისრება სეკვესტრატორის სახით მოქმედება.

2307. მხარეები ირჩევენ სეკვესტრატორს ორმხრივი შეთანხმებით; მათ შეუძლიათ თავიანთი რიგებიდან სეკვესტრატორად დანიშნონ ერთ-ერთი მხარე.

როდესაც მხარეები ვერ თანხმდებიან სეკვესტრატორის არჩევის საკითხში ან მისი მოვალეობების პირობებზე, მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ამ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

2308. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან ან თუ ეს ნებართული არ არის სასამართლოს მიერ, სეკვესტრატორს არ შეუძლია სეკვესტრში გადაცემულ ნივთთან დაკავშირებით ნებისმიერი სხვა გადახდებისა თუ მოქმედებების შესრულება, გარდა მარტივი მართვის ფარგლებში განსახორციელებელი მოქმედებებისა.

თუმცა, სეკვესტრატორს მხარეთა თანხმობით ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — სასამართლოს ნებართვით შეუძლია დაუყოვნებლივ ან რაიმე ფორმალობების დაცვის გარეშე გაასხვისოს ნივთი, რომლის დაცვა ან ექსპლუატაცია შედეგად იწვევს მისი ღირებულების შეუსაბამო ხარჯებს.

2309. დავის დასრულებისთანავე სეკვესტრატორი თავისუფლდება დაკისრებული მოვალეობებისაგან ნივთის მასზე უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნებით.

სეკვესტრატორი ვერ გათავისუფლდება დაკისრებული მოვალეობებისაგან და მას არ შეუძლია ასევე ნივთის დაბრუნება მანამდე, სანამ არ შეწყდება დავა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხორციელდება ყველა მხარის თანხმობით ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — საკმარისი საფუძვლით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სეკვესტრატორი შეიძლება გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობებისაგან მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

2310. სეკვესტრატორმა მის მიერ განხორციელებული ქონების მართვის შესახებ ანგარიში უნდა წარადგინოს საქმიანობის დასრულებისთანავე, და ასევე — უფრო ადრეც მხარეთა მოთხოვნით ან სასამართლოს დადგენილების ძალით.

2311. სეკვესტრატორი შეიძლება დაინიშნოს სასამართლოს კონტროლის ქვეშ; ასეთ შემთხვევაში, მის მიმართ მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) დებულებები და წინამდებარე თავში მოცემული წესები, რამდენადაც სახეზე არ არის შეუთავსებლობა.

თავი 12
სესხი

განყოფილება 1
სესხის ბუნება და სახეები

2312. არსებობს ორი სახის სესხი: თხოვება და მარტივი სესხი.

2313. თხოვება წარმოადგენს უსასყიდლო ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, გამნათხოვრებელი, გადასცემს სხვა პირს, მონათხოვრეს, ნივთს სარგებლობაში ამ უკანასკნელის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მისთვის დაბრუნების ვალდებულების პირობით.

2314. მარტივი სესხი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც გამსესხებელი ფულის განსაზღვრულ ოდენობას ან სხვა მოხმარებად ნივთს გადასცემს მსესხებელს, რომელიც, თავის მხრივ, კისრულობს ვალდებულებას, განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს გამსესხებელს იგივე ოდენობის თანხა, იგივე სახისა და ხარისხის ნივთი.

2315. ივარაუდება, რომ მარტივი სესხი არის უსასყიდლო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ან ის წარმოადგენს ფულის სესხს, რა შემთხვევაშიც ივარაუდება, რომ ის არის სასყიდლიანი.

2316. სესხის შეპირება შემპირებლის მხრიდან შეპირებულის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეპირების ბენეფიციარს ანიჭებს შემპირებლისაგან მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

განყოფილება 2
თხოვება

2317. მონათხოვრე ვალდებულია, ნათხოვარი ნივთის შენახვისა და შენარჩუნებისას იმოქმედოს კეთილგონივრულად და გულისხმიერებით.

2318. მონათხოვრეს არ შეუძლია ნათხოვარი ნივთის გამოყენება სხვა მიზნით, ვიდრე რისთვისაც ის არის გათვალისწინებული; მან ასევე არ უნდა დაუშვას მესამე პირის მიერ მისი გამოყენება გამნათხოვრებლის ნებართვის გარეშე.

2319. გამნათხოვრებელს შეუძლია მოითხოვოს ნივთის დაბრუნება ვადის გასვლამდე ან თუ ვადა არის განუსაზღვრელი, — მანამდე, სანამ მონათხოვრეს ეს ნივთი ჯერ კიდევ ესაჭიროება, როდესაც მას თავად სჭირდება ნივთი გაუთვალისწინებელი და გადაუდებელი აუცილებლობის გამო ან როდესაც მონათხოვრე გარდაიცვლება ან არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

2320. მონათხოვრე უფლებამოსილია, აინაზღაუროს ის ნებისმიერი და გადაუდებელი ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა ნივთის შენარჩუნებისათვის.

მხოლოდ მონათხოვრეს ეკისრება მის მიერ ნივთის გამოყენებისას გაწეული ხარჯები.

2321. როდესაც გამნათხოვრებელმა იცოდა, რომ ნათხოვარ ნივთს ჰქონდა ფარული ნაკლი, მაგრამ არ შეატყობინა ამის შესახებ მონათხოვრეს, ის ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ უკანასკნელს აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანი.

2322. მონათხოვრე არ არის პასუხისმგებელი ნივთის განადგურებისათვის, რაც წარმოადგენს ისეთ გამოყენების შედეგს, რისთვისაც ნივთი არის გადაცემული თხოვებით.

თუმცა, როდესაც მონათხოვრე ნივთს იყენებს სხვა მიზნით, ვიდრე რისთვისაც ის არის გათვალისწინებული, ან იყენებს მას შეთანხმებულზე მეტი ვადით, ის პასუხისმგებელია მისი განადგურებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის განადგურება გამოწვეულია დაუძლეველი ძალით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაუძლეველი ძალა ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევდა ნივთის განადგურებას.

2323. როდესაც ნათხოვარი ნივთი ნადგურდება დაუძლეველი ძალის შედეგად, ხოლო მონათხოვრეს შეეძლო მისი დაცვა საკუთარი ნივთის გამოყენებით ან თუ მას არ შეეძლო რა ორივე ნივთის გადარჩენა, მან აირჩია საკუთარი ნივთის გადარჩენა, — მონათხოვრე პასუხისმგებელია ნივთის განადგურებისათვის.

2324. მონათხოვრეს არ შეუძლია ნივთის დაკავება იმ თანხისათვის, რაც გამნათხოვრებელს მისი მართებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალი წარმოადგენს ნივთის შენარჩუნებისათვის ნაკისრ გადაუდებელ და აუცილებელ ხარჯს.

2325. ნათხოვარი ნივთისათვის მესამე პირის ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს გამნათხოვრებლის ან მონათხოვრის მიერ, — ანუ მათ შორის ყველაზე გულმოდგინის მიერ.

2325. როდესაც რამდენიმე პირი ერთი და იგივე ნივთს ერთად იღებს თხოვებით, ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს გამნათხოვრებლის წინაშე.

განყოფილება 3
მარტივი სესხი

2327. მარტივი სესხის შემთხვევაში, მსესხებელი ხდება სესხით გადაცემული ნივთის მესაკუთრე და მას ეკისრება ამ ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკი მისთვის ნივთის გადმოცემის მომენტიდან.

2328. გამსესხებელი გამნათხოვრებლის მსგავსად პასუხისმგებელია სესხით გადაცემული ნივთის ნაკლის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის.

2329. მსესხებელი ვალდებულია, დააბრუნოს იგივე რაოდენობისა და ხარისხის ნივთი, რაც მან მიიღო და მეტი არაფერი, მიუხედავად ნივთის ფასის ნებისმიერი ზრდისა თუ შემცირებისა.

ფულადი თანხის სესხის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, დააბრუნოს მხოლოდ მიღებული ნომინალური თანხა, მიუხედავად მისი ღირებულების ნებისმიერი ცვალებადობისა.

2330. სესხის თანხას ერიცხება პროცენტი მსესხებლისათვის თანხის გადაცემის დღიდან.

2331. სესხის ძირითადი თანხის დაფარვა შედეგად იწვევს პროცენტის თანხის დაფარვასაც.

2332. ფულადი თანხის სესხის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გააბათილოს ხელშეკრულება, დაადგინოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შემცირება ან ვალდებულებათა შესრულების პირობების გადახედვა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც სასამართლო მიიჩნევს, რომ რისკისა და ყველა გარემოების გათვალისწინებით ერთ-ერთ მხარეს ადგილი ჰქონდა ზარალიანობას.

თავი 13
თავდებობა

განყოფილება 1
თავდებობის ბუნება, საგანი და ფარგლები

2333. თავდებობა წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, თავდები, კრედიტორის მიმართ კისრულობს ვალდებულებას, უსასყიდლოდ ან საზღაურის სანაცვლოდ შეასრულოს მოვალის ვალდებულება, თუ ეს უკანასკნელი თავად არ ასრულებს მას.

2334. თავდებობა შეიძლება გამომდინარეობდეს შეთანხმებიდან, ან შესაძლოა დაკისრებულ იქნეს კანონით ან დადგინდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2335. თავდებობა არ ივარაუდება; ის ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის იდება პირდაპირ გამოხატული ფორმით.

2336. პირი შეიძლება გახდეს ვალდებულების თავდები იმ პირის მხრიდან მოთხოვნის ან თუნდაც ვალდებულების შესახებ ინფორმირების გარეშე, ვისთვისაც ის კისრულობს თავდებობას.

პირი ასევე შეიძლება გახდეს თავდები არა მხოლოდ ძირითადი მოვალისათვის, არამედ — ასევე მისი თავდებისათვის.

2337. მოვალემ, რომელსაც ეკისრება თადები პირის წარდგენა, უნდა შესთავაზოს კრედიტორს ისეთი თავდები, რომელსაც აქვს — და ის ინარჩუნებს — კვებეკში საკმარისი ქონება ვალდებულებაზე პასუხისმგებლობისათვის და ასევე მას აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი კვებეკში; წინააღმდეგ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს სხვა თადები პირი.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს, როდესაც კრედიტორმა მოითხოვა კონკრეტული პირის თავდებად დადგომა.

2338. მოვალემ, რომელსაც ეკისრება კანონისმიერი ან სასამართლო თავდებობის წარდგენა, შეუძლია სანაცვლოდ კრედიტორს შესთავაზოს სხვა საკმარისი უზრუნველყოფა.

2339. თავდების ქონების ან შეთავაზებული უზრუნველყოფის საკმარისობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა წყდება სასამართლოს მიერ.

2340. თავდებობა შეიძლება ხელშეკრულებით დაიდოს მხოლოდ ნამდვილი ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

თავდებობა შეიძლება დაიდოს იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომლისაგანაც ძირითადი მოვალე შეიძლება გათავისუფლდეს მის ქმედუუნარობაზე მითითებით იმ პირობით, რომ თავდებმა იცის ამის შესახებ, ან — წმინდა ნატურალური ვალდებულების შესრულების შემთხვევაში.

2341. თავდებობა არ შეიძლება აღემატებოდეს იმას, რაც ეკისრება მოვალეს, ან დადებული იყოს უფრო მძიმე პირობებზე.

თავდებობა, რომელიც არ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, არ არის ბათილი ამ საფუძვლით; ის მხოლოდ მცირდება ძირითადი ვალდებულების ოდენობამდე.

2342. თავდებობა შესაძლოა დაიდოს ძირითადი ვალდებულების მხოლოდ ნაწილის უზრუნველსაყოფად და ნაკლებად მძიმე პირობებით.

2343. თავდებობა ვერ გავრცელდება იმ ზღვარს მიღმა არსებული ვალდებულებისათვის, რომლისათვისაც ის დაიდო.

2344. თავდებობა ვრცელდება ძირითადი ვალდებულების ყველა დამატებით ვალდებულებაზე, თუნდაც ეს იყოს თავდაპირველი სარჩელის ხარჯები, და ასევე — თავდებისათვის წარდგენილი შეტყობინების შემდეგ წარმოშობილ ყველა ხარჯზე.

განყოფილება 2
თავდებობის სამართლებრივი შედეგები

§ 1. — სამართლებრივი შედეგები კრედიტორსა და თავდებს შორის

2345. თავდების მოთხოვნის საფუძველზე კრედიტორი ვალდებულია, მიაწოდოს მას ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია ძირითადი ვალდებულების მოცულობის, პირობების შესახებ, ასევე — მისი შესრულების დროს მიღწეული ეტაპის თაობაზე.

2346. თავდები ვალდებულია შეასრულოს მოვალის ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე არ ასრულებს მას.

2347. სახელშეკრულებო ან კანონისმიერი თავდები სარგებლობს თავდაპირველად მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელების მოთხოვნის უფლებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის აღნიშნულზე პირდაპირ აცხადებს უარს.

პირს, რომელიც წარმოადგენს სასამართლო თავდებობის თავდებს, არ შეუძლია მოითხოვოს თავდაპირველად ძირითადი მოვალის ან თავდების ქონებაზე იძულებითი აღსრულება.

2348. თავდებმა, რომელიც იყენებს თავდაპირველად მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელების მოთხოვნის უფლებას, უნდა აღნიშნოს ამის შესახებ მოვალის წინააღმდეგ წარდგენილ სარჩელში, მიუთითოს კრედიტორს ძირითადი მოვალის კუთვნილი ქონება, რომელზეც შესაძლებელია იძულებითი აღსრულება, და ავანსის სახით გადაუხადოს კრედიტორს ის თანხები, რომლებიც მოითხოვება მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელების ხარჯების დასაფარად.

როდესაც კრედიტორი უგულებელყოფს თავდაპირველად მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელებას, ის პასუხისმგებელია თავდების წინაშე მითითებული ქონების ღირებულების ოდენობამდე, ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობისათვის, რომელიც დგება მას შემდეგ, რაც თავდებმა კრედიტორს მიუთითა ის ქონება, რომელზეც შესაძლებელია იძულებითი აღსრულება.

2349. როდესაც რამდენიმე პირი ხდება ერთი და იგივე მოვალის ერთი და იგივე ვალის თავდები, ყოველი მათგანი პასუხისმგებელია მთლიანი ვალისათვის, თუმცა მათ შეუძლიათ მითითება დაყოფის გამომდინარე სარგებელზე, თუ მან ამ უკანასკნელზე პირდაპირ წინასწარ არ განაცხადა უარი.

ყოველ თავდებს, რომელიც სათავისოდ იყენებს დაყოფის გამომდინარე სარგებელს, შეუძლია მოსთხოვოს კრედიტორს მისი სარჩელის დაყოფა და მისი შემცირება თითოეული თავდების წილისა და ნაწილის თანხამდე.

2350. თუ ერთ-ერთი თავდებისათვის სარჩელის დაყოფის უფლების მინიჭების მომენტში ზოგიერთი მათგანი გადახდისუუნარო იყო, აღნიშნული თავდები პროპორციულად პასუხისმგებელია მათი გადახდისუუნარობისათვის,

თუმცა ის არ შეიძლება გახდეს პასუხისმგებელი სარჩელის დაყოფის შემდეგ მომხდარი გადახდისუუნარობისათვის.

2351. როდესაც კრედიტორმა თავად ნებაყოფლობით დაჰყო თავისი სარჩელი, მას არ შეუძლია დაყოფის კანონიერების ეჭვის ქვეშ დაყენება მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც დაყოფის მომენტამდე ზოგიერთი თავდები გადახდისუუნარო იყო.

2352. როდესაც თავდები ძირითად მოვალესთან ერთად კისრულობს თავდებად დადგომას სოლიდარული თავდების ან სოლიდარული თანამოვალის სახით, მას აღარ შეუძლია მითითება თავდაპირველად მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების განხორციელების მოთხოვნის უფლებასა და სარჩელის დაყოფაზე; მის მიერ ვალდებულების კისრების სამართლებრივი შედეგები რეგულირდება სოლიდარული ვალების მომწესრიგებელი ნორმებით, რამდენადაც სახეზე არ არის თავდებობის ბუნებასთან შეუთავსებლობა.

2353. თავდებს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის სოლიდარულ თავდებს თუ არა, შეუძლია კრედიტორს დაუპირისპიროს ძირითადი მოვალის ყველა შესაგებელი, გარდა იმ შესაგებლებისა, რომლებიც წმინდა პირადულია ძირითადი მოვალისათვის ან რომლებიც გამორიცხულია მის მიერ თავდებობის კისრების პირობებით.

2354. თავდები არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალისათვის მინიჭებული ვალდებულების შესრულების ვალის გადავადებით; ანალოგიურად, ძირითადი მოვალის მიერ ვადის გაშვება იწვევს თავის სამართლებრივ შედეგებს თავდების მიმართაც.

2355. დაუშვებელია თავდების მიერ ინფორმაციის მიღების კუთვნილ უფლებაზე ან სუროგაციაზე წინასწარვე უარის თქმა.

§ 2. — სამართლებრივი შედეგები მოვალესა და თავდებს შორის

2356. თავდებს, რომელმაც ვალდებულება იკისრა მოვალის თანხმობით, შეუძლია ამ უკანასკნელს მოსთხოვოს ის თანხა, რაც მან გადაიხადა ძირითადი თანხის, პროცენტისა და ხარჯების სახით, იმ ზიანის ანაზღაურების თანხასთან ერთად, რომელიც მან განიცადა თავდებობის შედეგად; მას შეუძლია ასევე დაარიცხოს პროცენტი იმ ნებისმიერ თანხას, რომელიც მას უნდა გადაეხადა კრედიტორისათვის, თუნდაც ძირითადი ვალისათვის არ ყოფილიყო გათვალისწინებული პროცენტის დარიცხვა.

თავდებს, რომელმაც ვალდებულება იკისრა მოვალის თანხმობის გარეშე, შეუძლია ამ უკანასკნელისაგან აინაზღაუროს მხოლოდ ის თანხა, რომლის გადახდაზეც მოვალე ვალდებული იქნებოდა, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების თანხა, სახეზე რომ არ ყოფილიყო თავდებობა; თუმცა, გადახდის შეტყობინების წარდგენის შემდგომ გაწეული ხარჯების დაფარვა ეკისრება მოვალეს.

2357. როდესაც ძირითადი მოვალე გათავისუფლდა დაკისრებული ვალდებულებისაგან თავის ქმედუუნარობაზე მითითებით, თავდებს მის მიმართ აქვს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მოვალისათვის დამდგარი უსაფუძვლო გამდიდრების ფარგლებში.

2358. თავდებს, რომელმაც დაფარა ვალი, არა აქვს მოთხოვნის უფლება იმ ძირითადი მოვალის მიმართ, რომელმაც შემდგომში დაფარა ვალი, თუ თავდებმა არ შეატყობინა მოვალეს გადახდის შესახებ.

თავდებს, რომელმაც ვალი დაფარა ძირითადი მოვალის ინფორმირების გარეშე, არა აქვს მოთხოვნის უფლება მის მიმართ, თუ გადახდის მომენტში მოვალეს ჰქონდა ისეთი შესაგებლები, რომლებიც საშუალებას მისცემდა მას დეკლარირებული ვალის გაქარწყლებისა. აღნიშნულ შემთხვევებში, თავდებს აქვს მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ თანხაზე, რომლის გადახდაც შეიძლება ყოფილიყო მოთხოვნილი მოვალისაგან იმ ფარგლებში, რომლებშიც მოვალე შეძლებდა კრედიტორის წინააღმდეგ სხვა შესაგებლების წარდგენას ვალის შემცირების მიღწევის მიზნით.

ყველა შემთხვევაში თავდები კრედიტორის მიმართ ინარჩუნებს ანაზღაურების მიღებაზე კუთვნილი სარჩელის წარდგენის უფლებას.

2359. თავდებს, რომელმაც ვალდებულება იკისრა მოვალის თანხმობის გარეშე, შეუძლია წარადგინოს სარჩელი ამ უკანასკნელის მიმართ, თუნდაც თანხის გადახდამდე, თუ თავად თავდებს წარედგინა სარჩელი თანხის გადახდის მოთხოვნით ან მოვალე გადახდისუუნაროა ანდა თუ მოვალემ თავად იკისრა მისი ვალისგან გათავისუფლება განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ვალი ექვემდებარება გადახდას მისი ვადის გასვლისთანავე, მიუხედავად კრედიტორის მიერ მოვალისათვის თავდების თანხმობის გარეშე მიცემული ნებისმიერი დამატებითი ვადისა, ან როდესაც მოვალის მიერ განცდილი ზარალის ანდა მოვალის მიერ ჩადენილი ნებისმიერი ბრალეული ქმედების გამო, თავდები იმყოფება შესამჩნევად უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე ის იმყოფებოდა ვალდებულების კისრების მომენტში.

§ 3. — სამართლებრივი შედეგები თავდებ პირებს შორის

2360. როდესაც რამდენიმე პირი გახდა ერთი და იგივე მოვალის თავდები ერთი და იგივე ვალისათვის, იმ თავდებს, რომელმაც დაფარა ვალი, სუროგაციის სასარჩელო მოთხოვნის უფლებასთან ერთად აქვს პირადი სასარჩელო მოთხოვნა სხვა თავდები პირების მიმართ თითოეული თავისი წილისა და ნაწილისათვის.

პირადი სასარჩელო მოთხოვნის უფლების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც თავდებმა მოახდინა თანხის გადახდა მხოლოდ ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მას შეეძლო მოვალის მიმართ სარჩელის წარდგენა თანხის გადახდამდე.

როდესაც ერთ-ერთი თავდები გადახდისუუნაროა, მისი გადახდისუუნარობა გადახდაში თანამონაწილეობის მიხედვით ნაწილდება სხვა თავდებებს შორის იმ თავდების ჩათვლით, რომელმაც განახორციელა გადახდა.

განყოფილება 3
თავდებობის შეწყვეტა

2361. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, თავდები პირის გარდაცვალება წყვეტს თავდებობას.

2362. როდესაც თავდებობის ხელშეკრულების დადება ხდება სამომავლო ან განუსაზღვრელი ვალების დაფარვის მიზნით, თავდებს შეუძლია შეწყვიტოს ის სამი წლის შემდეგ ვალის დაფარვის ვადის დადგომამდე მოვალისათვის, კრედიტორისა და სხვა თავდები პირებისათვის წინასწარი და საკმარისი შეტყობინების წარდგენით.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს სასამართლო თავდებობის შემთხვევაში.

2363. განსაკუთრებული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული თავდებობა წყდება ამ მოვალეობების დასრულებისას.

2364. თავდებობის შეწყვეტისას თავდები რჩება პასუხისმგებელი ამ მომენტისათვის არსებული ვალებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ეს ვალები ნაკისრია პირობით ან ვადით.

2365. როდესაც კრედიტორის მოქმედების შედეგად თავდები სუროგაციით ვეღარ შეიძენს კრედიტორის უფლებებს, ეს უკანასკნელი თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ზიანის ფარგლებში, რასაც ის აღნიშნულის გამო განიცდის.

2366. როდესაც კრედიტორი ნებაყოფლობით იღებს ქონებას ძირითადი თანხის გადახდის ანგარიშში, თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს შემდგომში ჩამოერთვა აღნიშნული ქონება.

თავი 14
ანიუტეტი

განყოფილება 1
ხელშეკრულების ბუნება და მისი მომწესრიგებელი ნორმების ფარგლები

2367. ანუიტეტის დადგენის შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი პირი, მოვალე, კისრულობს ვალდებულებას, უსასყიდლოდ ან მის სასარგებლოდ კაპიტალის გასხვისების სანაცვლოდ განსაზღვრული ვადით სხვა პირის მიმართ განახორციელოს პერიოდული გადახდები.

კაპიტალი შეიძლება მოიცავდეს უძრავ ან მოძრავ ქონებას; თუ მას წარმოადგენს ფულადი თანხა, მისი გადახდა შესაძლებელია ნაღდი ანგარიშსწორების წესით ან ნაწილ-ნაწილ.

2368. როდესაც მოვალე კისრულობს ანუიტეტის გადახდას მის სასარგებლოდ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ, ხელშეკრულებას ეწოდება გასხვისება ქირის თანხის სანაცვლოდ და ის ძირითადად რეგულირდება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით, რომელსაც ის ემსგავსება.

2369. ანუიტეტი შეიძლება დადგინდეს იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც არ წარმოადგენს კაპიტალის გადამცემ პირს.

აღნიშნულ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ საჭიროებს იმ ფორმების დაცვას, რაც მოითხოვება ჩუქებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამგვარად დადგენილი ანუიტეტი მისი მიმღების მიერ მიიღება უსასყიდლოდ.

2370. ანუიტეტი შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულებით, ანდერძით, სასამართლოს გადაწყვეტილებითა თუ კანონით.

საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, წინამდებარე თავის წესები გამოიყენება ზემოაღნიშნული ანუიტეტების მიმართ.

განყოფილება 2
ხელშეკრულების ფარგლები

2371. ანუიტეტი შეიძლება იყოს ან სამისდღეშიო რჩენის (life annuity) ან განსაზღვრული ვადით რჩენის ხელშეკრულება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთ რჩენას, რომელიც უნდა განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე პირის სიცოცხლის ვადის განმავლობაში.

განსაზღვრული ვადით რჩენის ხელშეკრულება წარმოადგენს ისეთ რჩენას, რომელიც უნდა განხორციელდეს სხვაგვარად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

2372. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს იმ პირის სიცოცხლის ვადისათვის, რომელიც ადგენს ან იღებს მას, ანდა — იმ მესამე პირის სიცოცხლის ვადისათვის, რომელსაც ანუიტეტით სარგებლობაზე არანაირი უფლებამოსილება არა აქვს.

თუმცა, მხარეთა მიერ შესაძლებელია შეთანხმება, რომლის თანახმადაც ანუიტეტის გადახდა გაგრძელდება იმ პირის გარდაცვალების შემდეგაც, რომლის სიცოცხლის ვადითაც, გარემოებების გათვალისწინებით, განისაზღვრა ანუიტეტი განსაზღვრული პირის ან ანუიტეტის მიმღების მემკვიდრეების სასარგებლოდ.

2373. სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ პირის სიცოცხლის ვადისათვის დადგენილი სამისდღეშიო რჩენა, რომელიც გარდაცვლილია იმ დღისათვის, როდესაც მოვალემ უნდა დაიწყოს ანუიტეტის გადახდა ან რომელიც გარდაიცვლება შემდეგი 30 დღის განმავლობაში.

ანალოგიურად, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ პირის სიცოცხლის ვადისათვის დადგენილი სამისდღეშიო რჩენა, რომელიც ჯერ არ არსებობს იმ დღისათვის, როდესაც მოვალემ უნდა დაიწყოს ანუიტეტის გადახდა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირი აღნიშნული მომენტისათვის ჩასახული იყო და იბადება ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი.

2374. როდესაც სამისდღეშიო რჩენის დადგენა ხდება ერთმანეთის მიმდევრობით რამდენიმე პირის სიცოცხლის ვადით, მას სამართლებრივი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პირთაგან პირველი სახეზეა იმ დღისათვის, როდესაც მოვალემ უნდა დაიწყოს ანუიტეტის გადახდა, ან თუ ის აღნიშნული მომენტისათვის ჩასახულია და იბადება ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი.

სამისდღეშიო რჩენა წყდება, როდესაც შესაბამისი პირები არიან გარდაცვლილები ან არ დაიბადნენ ცოცხლები და სიცოცხლისუნარიანები, თუმცა — მისი დადგენის შემდეგ არაუგვიანეს 100 წლისა.

2375. ივარაუდება, რომ დაუბრუნებადი სესხი ქმნის სამისდღეშიო რჩენას გამსესხებლის სასარგებლოდ და მისი სიცოცხლის ვადით.

2376. ნებისმიერი ანუიტეტის დაფარვის ხანგრძლივობა, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის სამისდღეშიო რჩენას, ყველა შემთხვევაში შემოფარგლულია ანუიტეტის დადგენიდან 100 წლით ან მცირდება ამ ვადამდე თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ ვადას ან ქმნის მიმდევრობით ანუიტეტს.

განყოფილება 3
ხელშეკრულების ცალკეული სამართლებრივი შედეგები

2377. შეთანხმება შეიძლება დაიდოს იმ სამართლებრივი შედეგით, რომ ანუიტეტი არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებასა და გასხვისებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანუიტეტის მიმღები მას უსასყიდლოდ იღებს; თუნდაც ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული შეთანხმება ძალმოსილია მხოლოდ ანუიტეტის თანხის იმ ოდენობამდე, რაც აუცილებლია ანუიტეტის მიმღებისათვის, როგორც დახმარება.

2378. ანუიტეტის დასაფარად აკუმულირებული ნებისმიერი კაპიტალი არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, როდესაც ანუიტეტი გადახდილ უნდა იქნეს ანუიტეტის მიმღებისა და მისი შემცვლელი პირისათვის მანამდე, სანამ კაპიტალი გათვალისწინებულია ანუიტეტის დასაფარად.

თუმცა, კაპიტალის მხოლოდ ის ნაწილი არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას, რომელიც იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის, მოვალისა და ანუიტეტის მიმღების შეფასებით — ან თუ აღნიშნული პირები ვერ თანხმდებიან, სასამართლოს შეფასებით, — აუცილებელი იქნებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადისათვის, იმ ანუიტეტის დაფარვისათვის, რაც დააკმაყოფილებდა ანუიტეტის მიმღების დახმარების მოთხოვნებს.

2379. იმ ანუიტეტის მიმღების დანიშვნა ან გაწვევა, რომელიც არ წარმოადგენდა ანუიტეტის კაპიტალის წარმდგენ პირს, რეგულირდება სხვა პირის სასარგებლოდ შეთანხმებების მიმართ გამოყენებული ნორმებით.

თუმცა, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, მზღვეველის მიერ ან საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისად გადასახდელი ანუიტეტების მიმართ ანუიტეტის მიმღების დანიშვნა ან გაწვევა რეგულირდება დაზღვევის ხელშეკრულებების იმ წესებით, რომლებიც ეხება ბენეფიციარებსა და სუროგატული პოლისის მფლობელებს.

2380. შეთანხმება შესაძლოა დაიდოს იმ სამართლებრივი შედეგით, რომ სამისდღეშიო რჩენა, რომელიც დადგენილია ერთობლივად ორი ან მეტი ანუიტეტის მიმღების სასარგებლოდ, გრძელდება ერთ-ერთი ანუიტეტის მიმღების გარდაცვალების შემდეგ ანუიტეტის იმ მიმღებების სიცოცხლის ვადით, რომლებიც ცოცხლები რჩებიან.

ანალოგიურად ივარაუდება, რომ მეუღლის სასარგებლოდ დადგენილი სამისდღეშიო რჩენა ნებისმიერი მეუღლის გარდაცვალებისას გრძელდება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის სიცოცხლის ვადით.

2381. სამისდღეშიო რჩენა ანუიტეტის მიმღების მიმართ უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ დღეების რაოდენობის პროპორციით, რომელთა განმავლობაშიც იცხოვრა პირმა, ვისი სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით განისაზღვრა ანუიტეტის გადახდა, ხოლო ანუიტეტის მიმღებს შეუძლია მოითხოვოს ანუიტეტის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ადგენს პირის არსებობის ფაქტს.

თუმცა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ ანუიტეტის წინასწარ გადახდაზე, მაშინ ის თანხა, რაც უნდა გადახდილიყო, გადადის ანუიტეტის მიმღებზე იმ დღიდან, როდესაც ის ექვემდებარეობოდა გადახდას.

2382. გადახდები ხორციელდება ყოველი გადახდის პერიოდის დასრულებისას, რაც არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს; გადასახდელი თანხა გამოითვლება იმ დღიდან, როდესაც მოვალე ვალდებულია დაიწყოს ანუიტეტის გადახდა.

2383. მოვალე ვერანაირად ვერ გაითავისუფლებს თავს ანუიტეტის გადახდის ვალდებულებისაგან მისი კაპიტალის ღირებულების ანაზღაურების შეთავაზებითა და ანუიტეტის განხორციელებული გადახდების დაბრუნებაზე უარის თქმით; ის ვალდებულია ანუიტეტი იხადოს ხელშეკრულებაში შეთანხმებული მთელი პერიოდისათვის.

2384. ანუიტეტის მოვალეს თავის შემცვლელად შეუძლია დანიშნოს უფლებამოსილი მზღვეველი ამ უკანასკნელისათვის ანუიტეტის ღირებულების გადახდით.

ანალოგიურად, ანუიტეტიდან გამომდინარე გადასახდელების უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეს ანუიტეტისათვის დადგენილი უზრუნველყოფა შეუძლია შეცვალოს უფლებამოსილი მზღვეველის მიერ შეთავაზებული უზრუნველყოფით.

ანუიტეტის მიმღები ვერ შეეწინააღმდეგება შეცვლას, თუმცა მას შეუძლია მოითხოვოს, რომ ანუიტეტის შესყიდვა განხორციელდეს სხვა დამზღვევის მეშვეობით ან მას შეუძლია გაასაჩივროს კაპიტალის დადგენილი ღირებულება ანდა აღნიშნულიდან მიღებული ანუიტეტის ღირებულება.

2385. შეცვლა ათავისუფლებს ვალდებულებისაგან მოვალეს ან ანუიტეტიდან გამომდინარე გადასახდელების უზრუნველსაყოფად დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეს მოთხოვნილი კაპიტალის გადახდისთანავე; შეცვლა ავალდებულებს მზღვეველს ანუიტეტის მიმღების მიმართ და, გარემოებების გათვალისწინებით, შედეგად იწვევს ანუიტეტის გადახდის უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკის გაქარწყლებას.

2386. ანუიტეტის გადაუხდელობა არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ ანუიტეტის მიმღებს შეეძლოს ანუიტეტის დადგენისათვის გასხვისებული კაპიტალის უკან დაბრუნების მოთხოვნა; ის მას რთავს მხოლოდ იმის ნებას, რომ დავალიანების თანხის გადახდის მოთხოვნის გარდა მოახდინოს მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულება და მისი გაყიდვა, ასევე მოითხოვოს ან დაადგინოს გაყიდვიდან ამონაგები თანხის გამოყენება, რაც საკმარისია ანუიტეტის გადახდის უზრუნველსაყოფად, ანდა მოითხოვოს მოვალის შეცვლა უფლებამოსილი მზღვეველით.

თუმცა, კაპიტალის გადახდის მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოვალე ხდება გადახდისუუნარო ან გაკოტრებული ანდა ის თავისი მოქმედებითა და ანუიტეტის მიმღების თანხმობის გარეშე ამცირებს მის მიერ ანუიტეტის გადახდისათვის წარდგენილ უზრუნველყოფას.

2387. როდესაც ანუიტეტის გადახდა უზრუნველყოფილია იმ ქონებაზე დადგენილი იპოთეკით, რომელიც უნდა წარმოადგენდეს სასამართლოს კონტროლის ქვეშ განხორციელებული გაყიდვის საგანს, ანუიტეტის მიმღებს არ შეუძლია მოითხოვოს ქონების რეალიზაციის განხორციელება მისი ანუიტეტის გათვალისწინებით, თუმცა თუ მისი იპოთეკა არის პირველი რიგის, მას შეუძლია მოსთხოვოს კრედიტორს მისთვის იმ თავდების წარდგენა, რომელიც უზრუნველყოფს ანუიტეტის გადახდის გაგრძელებას.

თავდების წარუდგენლობა ანუიტეტის მიმღებს ანიჭებს უფლებამოსილებას, მისი რიგის შესაბამისად მიიღოს ქონების განლაგებისა თუ განაწილების დღეს არსებული ანუიტეტის კაპიტალის ღირებულება.

2388. ანუიტეტის კაპიტალის ღირებულება ყოველთვის ფასდება, როგორც ტოლი იმ თანხისა, რომელიც საკმარისი იქნებოდა უფლებამოსილი მზღვეველისაგან ანუიტეტის ეკვივალენტური ღირებულების შესაძენად.

თავი 15
დაზღვევა

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

§ 1. — დაზღვევის ხელშეკრულების ბუნება და დაზღვევის სახეები

2389. დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას, პრემიის ან შენატანის (assessment) სანაცვლოდ განახორციელოს გადახდა კლიენტის ან მესამე პირის მიმართ, თუ ადგილი აქვს დაზღვევით დაფარული რისკის დადგომას.

დაზღვევა იყოფა საზღვაო და არასაზღვაო დაზღვევად.

2390. საზღვაო დაზღვევის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეული პირისათვის საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებით დამდგარი ზარალის ანაზღაურება.

2391. არასაზღვაო დაზღვევა იყოფა პირებისა და ზიანის დაზღვევად.

2392. პირების დაზღვევა მოიცავს დაზღვეული პირის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის ან ჯანმრთელობის დაზღვევას.

პირების დაზღვევა იყოფა ინდივიდუალურ და ჯგუფურ დაზღვევად.

პირების ჯგუფური დაზღვევა ძირითადი პოლისის ქვეშ მოიცავს განსაზღვრულ ჯგუფში მყოფს მონაწილეებსა და, ზოგიერთ შემთხვევაში, — მათ ოჯახებსა თუ კმაყოფაზე მყოფ პირებს.

2393. სიცოცხლის დაზღვევა უზრუნველყოფს შეთანხმებული თანხის გადახდას დაზღვეული პირის გარდაცვალებისას; მან შეიძლება ასევე უზრუნველყოს შეთანხმებული თანხის გადახდა დაზღვეული პირის სიცოცხლის განმავლობაში, ასევე იმ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის ცოცხალი იყო, ანდა — მის არსებობასთან დაკავშირებული მოვლენის დადგომისას.

მზღვეველის მიერ გადახდილი სამისდღეშიო ან განსაზღვრული ვადით დადგენილი ანიუტეტები ემსგავსება სიცოცხლის დაზღვევას, მაგრამ ის ასევე რეგულირდება ანუიტეტების შესახებ თავის ნორმებით. თუმცაღა, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე თავში მოცემულ იმ ნორმებს, რომლებიც ადგენს იძულებითი აღსრულების დაუშვებლობას.

2394. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობის დაზღვევის შესახებ დათქმები, რომლებიც წარმოადგენს სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების დამატებას, და სიცოცხლის დაზღვევის შესახებ დათქმები, რომლებიც წარმოადგენს უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის ხელშეკრულების დამატებას, რეგულირდება ძირითადი ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესებით.

2395. ზიანის დაზღვევა იცავს დაზღვეულ პირს იმ მოვლენების შედეგებისაგან, რომლებსაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა ჰქონდეს მის ქონებაზე.

2396. ზიანის დაზღვევა მოიცავს ქონების დაზღვევას, რომლის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეული პირისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება, და პასუხისმგებლობის დაზღვევას, რომლის ობიექტს წარმოადგენს დაზღვეული პირის დაცვა იმ პასუხისმგებლობის ფულადი შედეგებისაგან, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს მესამე პირისათვის დელიქტის ჩადენის გამო დამდგარი ზიანისათვის.

2397. გადაზღვევის ხელშეკრულებას აქვს სამართლებრივი ძალა მხოლოდ მზღვეველსა და გადამზღვევს შორის.

§ 2. — ხელშეკრულების დადება და მისი შინაარსი

2398. დაზღვევის ხელშეკრულება იდება მზღვეველის მიერ კლიენტის განაცხადის მიღების მომენტში.

2399. პოლისი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების არსებობას.

ხელშეკრულების მხარეთა და იმ პირთა სახელების გარდა, რომლებსაც უნდა გადაუხადონ სადაზღვევო თანხები, ან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირები არ არიან განსაზღვრული, — მათი იდენტიფიცირების საშუალებები და დაზღვევის საგანი უნდა იქნეს მითითებული პოლისში საერთო სადაზღვევო რისკების თანხასთან და დაზღვეული რისკების ბუნებასთან ერთად, ასევე — დროის იმ მომენტთან ერთად, რომლიდანაც არის რისკები დაზღვეული, და დაზღვევის პერიოდთან ერთად, ისევე როგორც — პრემიების ოდენობასა და განაკვეთთან და მათი გადახდების თარიღებთან ერთად.

2400. არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია კლიენტს გადასცეს პოლისი, ისევე როგორც ამ უკანასკნელის მიერ ან მის სასარგებლოდ შედგენილი ნებისმიერი წერილობითი განაცხადის ასლი.

პოლისსა და განაცხადს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება განაცხადს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მზღვეველმა წერილობით ცალკე დოკუმენტში მიუთითა კლიენტს შეუსაბამობის ცალკეული დეტალები.

2401. ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი კლიენტზე გასცემს ჯგუფური დაზღვევის პოლისს და გადასცემს მას დაზღვევის სერტიფიკატებს, რომლებიც კლიენტმა უნდა დაურიგოს დაზღვევის მონაწილეებს.

დაზღვევის მონაწილეებსა და ბენეფიციარებს შეუძლიათ შეამოწმონ პოლისი და კლიენტის სამუშაო ადგილზე გადაუღონ მას ასლები, ხოლო პოლისსა და დაზღვევის სერტიფიკატს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიუთითონ ნებისმიერ მათგანზე თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

2402. არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში, ნებისმიერი ზოგადი დათქმა, რომლითაც მზღვეველი თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა კანონი, ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას.

პოლისის ნებისმიერი დათქმა, რომლითაც ზარალის შემთხვევაში დაზღვეული პირი აცხადებს თანხმობას მისი მზღვეველისათვის დათმობის შესახებ, რომლის შედეგიც იქნებოდა მზღვეველისათვის უფრო მეტი უფლებების მინიჭება, ვიდრე მას ექნებოდა სუროგაციის წესების მიხედვით, — ასევე ჩაითვლება, რომ არ არის დაწერილი.

2403. საზღვაო დაზღვევის მიმართ არსებული სპეციალური დებულებების გათვალისწინებით, მზღვეველს არ შეუძლია მითითება იმ პირობებსა თუ განცხადებებზე, რომლებიც არ არის წერილობით მოცემული ხელშეკრულებაში.

2404. პირების დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია მიუთითოს მხოლოდ იმ გამონაკლისებსა თუ დათქმებზე, რომლებიც ამცირებს საერთო სადაზღვევო რისკებს და ნათლად მითითებულია შესაბამისი სათაურის ქვეშ.

2405. არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები მოწმდება პოლისზე თანდართული დამატებითი პუნქტებით (by riders).

თუმცა, ნებისმიერი დამატებითი პუნქტი, რომელიც ადგენს მზღვეველის პასუხისმგებლობის შემცირებას ან დაზღვეული პირის სხვა ვალდებულებების გაზრდას, გარდა გაზრდილი პრემიისა, სამართლებრივი ძალის არმქონეა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისის მფლობელი წერილობით ეთანხმება ცვლილებას.

როდესაც აღნიშნული ცვლილება ხორციელდება ხელშეკრულების განახლებისას, მზღვეველმა ამის შესახებ ნათლად უნდა მიუთითოს დაზღვეულ პირს იმ დამატებითი პუნქტისაგან განცალკევებით შედგენილ დოკუმენტში, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებას. ივარაუდება, რომ ცვლილება მიღებულია დაზღვეული პირის მიერ დოკუმენტის მიღებიდან 30 დღის შემდეგ.

2406. ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევის მონაწილის განცხადებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის წინააღმდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველმა მონაწილეს წარუდგინა ამ განცხადებების ასლი.

2407. ურთიერთდახმარების ასოციაციაში მონაწილეობის სერტიფიკატს შეუძლია დაადგინოს წევრთა უფლებები და ვალდებულებები ასოციაციის წესდებებთან მიმართებაში, თუმცა მხოლოდ დამდგენი დოკუმენტი და ის წესდებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს წევრების წინააღმდეგ, რომლებიც სპეციალურად მითითებულია სერტიფიკატში.

ყოველი წევრი უფლებამოსილია ასოციაციის მოქმედი წესდების ასლის მიღებაზე.

§ 3. — დაზღვეული პირის განცხადებები და
გარანტიები არასაზღვაო დაზღვევაში

2408. კლიენტი და დაზღვეული პირი, თუ ამას ითხოვს მზღვეველი, ვალდებულია განაცხადოს მისთვის ცნობილი ყველა იმ ფაქტის შესახებ, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მზღვეველზე პრემიის თანხის დადგენისას, რისკის შეფასებისას ან მისი დაზღვევის გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ის არ არის ვალდებული, განაცხადოს იმ ფაქტების შესახებ, რომლებიც მზღვეველისათვის ცნობილია ან ივარაუდება, რომ მზღვეველისათვის ისინი ცნობილია მათი საყოველთაო ცნობადობის გამო, გარდა დასმულ კითხვებზე პასუხისა.

2409. განცხადებებთან დაკავშირებული ვალდებულება მიიჩნევა შესრულებულად, თუ განცხადებები ისეთია, რომლებსაც გააკეთებდა ჩვეულებრივი წინდახედული დაზღვეული პირი, თუ ისინი გაკეთდა ფაქტების მნიშვნელოვანი დაფარვის გარეშე და თუ ფაქტები არსებითად სწორედ ისეთია, როგორც მათ წარმოაჩენენ.

2410. ასაკისა და რისკის შესახებ განცხადების მომწესრიგებელი დებულებების გათვალისწინებით, როგორც კლიენტის, ისე დაზღვეული პირის მხრიდან ფაქტების ნებისმიერი დამახინჯება ან დაფარვა მზღვეველის თხოვნის საფუძველზე იწვევს ხელშეკრულების გაბათილებას, თუნდაც — იმ ზარალის მიმართ, რომელიც არ არის დაკავშირებული ამგვარად დამახინჯებულად წარმოდგენილ ან დაფარულ რისკებთან.

2411. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დგინდება კლიენტის არაკეთილსინდისიერება ან დგინდება, რომ მზღვეველი არ დააზღვევდა რისკს, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო შესაბამისი ფაქტები, ზიანის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი რჩება პასუხისმგებელი დაზღვეული პირის წინაშე კომპენსაციის იმ პროპორციის ოდენობით, რომლითაც მის მიერ მიღებული პრემიის თანხა უტოლდება პრემიის იმ თანხას, რაც მას უნდა მიეღო.

2412. საგარანტიო ვალდებულებების დარღვევა, რომელიც ამძიმებს რისკს, იწვევს დაზღვევის მოქმედების შეჩერებას. შეჩერება მთავრდება, როგორც კი მზღვეველი იძლევა მასზე თავის თანხმობას ან დაზღვეული პირი ახდენს ვალდებულების დარღვევის გამოსწორებას.

2413. როდესაც დაზღვევის განაცხადში მოცემული განცხადებები გატარდა რეგისტრაციაში ან ისინი შეთავაზებულია მზღვეველის წარმომადგენლის ანდა სადაზღვევო ბროკერის მიერ, მოწმეთა ჩვენებებით შესაძლებელია იმის მტკიცება, რომ ისინი არ შეესაბამება იმას, რაც რეალურად იქნა გაცხადებული.

§ 4. — სპეციალური დებულება

2414. ბათილია არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულებაში ნებისმიერი დათქმა, რომელიც კლიენტს, დაზღვეულ პირს, დაზღვევის მონაწილეს, ბენეფიციარს ან პოლისის მფლობელს ანიჭებს უფრო ნაკლებ უფლებებს, ვიდრე წინამდებარე თავის დებულებები.

ასევე ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც უხვევს დაზღვევის ინტერესის მომწესრიგებელი წესებიდან, ან პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში, — იმ წესებიდან, რომლებიც იცავს დაზარალებული მესამე პირების უფლებებს.

განყოფილება 2
პირების დაზღვევა

§ 1. — პოლისის შინაარსი

2415. იმ სპეციალური მონაცემების გარდა, რომლებიც ზოგადად გათვალისწინებულია პოლისებისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, პირების დაზღვევის პოლისი უნდა უთითებდეს დაზღვეული პირის სახელს ან მისი იდენტიფიკაციის საშუალებებს, პრემიის თანხების გადახდის ზღვრულ ვადებს, პოლისის დივიდენდების მიღების ნებისმიერ უფლებას, იმ მეთოდებსა და სურათს, რომლითაც განისაზღვრება პოლისზე უარის თქმისას დასაბრუნებელი თანხა (surrender value) და ნებისმიერი უფლება დასაბრუნებელ თანხასა და პოლისის საფუძველზე გადახდილ ავანსებზე.

აუცილებლობის შემთხვევაში, პოლისში ასევე მოცემული უნდა იყოს დაზღვევის ხელახალი ამოქმედების პირობები, მისი გარდაქმნის უფლება, ვადამოსული თანხების გადახდის პირობები და ასევე ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სარგებელი ექვემდებარება გადახდას.

2416. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის პოლისში პირდაპირ და გარკვეული წაკითხვადი შრიფტით მოცემული უნდა იყოს მასში შეთანხმებული დაზღვევის ბუნება.

როდესაც ხელშეკრულება ითვალისწინებს ინვალიდობის წინააღმდეგ დაზღვევას, ის ანალოგიური წესით უნდა ადგენდეს საზღაურის გადახდის პირობებს და ასევე — დაზღვეული ინვალიდობის ბუნებასა და ფარგლებს. დაზღვეული ინვალიდობის ბუნებისა და ფარგლების ნათლად მიუთითებლობა, ასევე პირის მიერ თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის გაგრძელების უუნაროობა ქმნის ინვალიდობას.

2417. გარდა თაღლითობის შემთხვევისა, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევაში მზღვეველს არ შეუძლია გამორიცხოს ან შეამციროს დაზღვევა განაცხადში აღნიშნული ავადმყოფობის ან ავად ყოფნის ფაქტის გამო, გარდა იმ დათქმით გათვალისწინებული შემთხვევისა, რომელიც უთითებს ავადმყოფობაზე ან ავად ყოფნის ფაქტზე მისი დასახელებით.

გარდა თაღლითობის შემთხვევისა, მზღვეველს არ შეუძლია ზოგადი დათ-

ქმის საფუძველზე გამორიცხოს ან შეზღუდოს იმ ავადმყოფობის ან ავად ყოფნის ფაქტის დაზღვევა, რომელიც არ არის განაცხადში აღნიშნული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავადმყოფობა ან ავად ყოფნის ფაქტი ვლინდება დაზღვევის პირველი ორი წლის განმავლობაში.

§ 2. — დაზღვევის ინტერესი

2418. ინდივიდუალური დაზღვევისას ხელშეკრულება ბათილია, თუ მისი დადების მომენტში კლიენტს არა აქვს დაზღვეული პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზღვევის ინტერესი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული პირი წერილობით აცხადებს აღნიშნულზე თანხმობას.

ანალოგიური დათქმების გათვალისწინებით, აღნიშნული ხელშეკრულების დათმობა ბათილია, თუ ცესიონერს არა აქვს მოთხოვნილი ინტერესი დათმობის ხელშეკრულების დადების მომენტში.

2419. პირს აქვს საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ინტერესი, ასევე — მეუღლის, თავისი ან მისი მეუღლის შთამომავლების ანდა იმ პირების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზღვევის ინტერესი, რომლებიც უწევენ მას დახმარებასა თუ ზრუნავენ მის განათლებაზე.

მას ასევე აქვს თავისი დასაქმებული პირებისა და პერსონალის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ინტერესი, ისევე როგორც იმ პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ინტერესი, რომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მიმართ მას ფულადი ან მორალური ინტერესი აქვს.

§ 3. — ასაკისა და რისკის შესახებ განცხადება

2420. დაზღვეული პირის ასაკთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი განცხადება არ იწვევს დაზღვევის ბათილობას. ასეთ შემთხვევებში დაზღვევის თანხა კორექტირდება იმ პროპორციით, რომლითაც მზღვეველის მიერ მიღებული პრემიის თანხა უტოლდება პრემიის იმ თანხას, რაც მას უნდა მიეღო.

თუმცაღა, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევაში მზღვეველს შეუძლია აირჩიოს პრემიის კორექტირება იმგვარად, რომ მისი ოდენობა შეესაბამებოდეს დაზღვეული პირის ნამდვილი ასაკის მიმართ გამოსაყენებელ განაკვეთებს.

2421. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში დაზღვეული პირის ასაკი აღემატება მზღვეველის მიერ დადგენილ ზღვარს.

აღნიშნული მოთხოვნის დაყენება მზღვეველს შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის განმავლობაში, დაზღვეული პირის სიცოცხლისა და შეცდომის შეტყობიდან 60 დღის განმავლობაში.

2422. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის შემთხვევაში, ნამდვილი ასაკი წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვევის დაწყება ან შეწყვეტა დამოკიდებულია დაზღვეული პირის ასაკზე.

სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, ნამდვილი ასაკი ასევე წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს იმ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის, რომელიც წყდება განსაზღვრული ასაკის მიღწევისთანავე, როდესაც ასაკთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი განცხადების აღმოჩენა ხდება დაზღვეული პირის გარდაცვალებამდე.

2423. ჯგუფური დაზღვევის შემთხვევაში, მონაწილის მხრიდან ასაკთან ან რისკთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი განცხადება ან ფაქტების დამალვა ეხება მხოლოდ იმ პირთა დაზღვევას, რომლებიც წარმოადგენენ შეცდომაში შეყვანი განცხადების ან ფაქტების დამალვის ობიექტებს.

2424. თაღლითობის არარსებობისას რისკთან დაკავშირებით შეცდომაში შემყვანი განცხადება ან ფაქტების დამალვა არ ამართლებს იმ დაზღვევის ბათილობას ან შემცირებას, რომელიც ძალაშია უკვე ორი წლის განმავლობაში.

თუმცაღა, აღნიშნული წესი არ მოქმედებს ინვალიდობის დაზღვევის შემთხვევაში, თუ ინვალიდობა იწყება დაზღვევის პირველი ორი წლის განმავლობაში.

§ 4. — დაზღვევის ძალაში შესვლის თარიღი

2425. სიცოცხლის დაზღვევა ძალაში შედის მზღვეველის მიერ განაცხადის მიღების მომენტში იმ პირობით, რომ ის მიიღება ცვლილების გარეშე, გადახდილია საწყისი პრემიის თანხა და რომ განაცხადის ხელმოწერის შემდეგ რისკის სადაზღვევო შესაძლებლობებში არანაირ ცვლილებას არ ჰქონია ადგილი.

2426. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევა ძალაში შედის პოლისის კლიენტისათვის გადაცემის მომენტში, თუნდაც მისი მიწოდება ხდება სხვა პირის მიერ მზღვეველის წარმომადგენლის ნაცვლად.

განაცხადის შესაბამისად გაცემული და კლიენტისათვის უპირობოდ მისაწოდებლად მზღვეველის წარმომადგენლისათვის მიცემული პოლისი ასევე ჩაითვლება სათანადოდ გადაცემულად.

§ 5. — პრემიები, ავანსები და დაზღვევის ხელახალი ამოქმედება

2427. სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, პოლისის მფლობელს ეძლევა 30 დღე თითოეული პრემიის გადახდისათვის, გარდა საწყისი პრემიისა; დაზღვევა რჩება ძალაში 30 დღის განმავლობაში, თუმცა აღნიშნული ვადის განმავლობაში პრემიის თანხის გადაუხდელობა იწვევს მის შეწყვეტას.

ვადის ათვლა იწყება ერთდროულად მზღვეველის მიერ მიცემულ ნებისმისმიერ სხვა ვადასთან ერთად, თუმცა მისი შეთანხმებით შემცირება დაუშვებელია.

2428. როდესაც გადახდა ხდება თამასუქით, ის მიიჩნევა განხორციელე-

ბულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქი აქცეპტირებულია პირველი წარდგენის მომენტში.

გადახდა ასევე მიიჩნევა განხორციელებულად, როდესაც თამასუქის აქცეპტირება არ ხდება იმ პირის გარდაცვალების გამო, რომელმაც გასცა თამასუქი პრემიის თანხის გადახდის პირობით.

2429. გადახდისათვის გათვალისწინებული ვადისათვის პრემიის თანხას არ ერიცხება პროცენტი, გარდა ჯგუფური დაზღვევის შემთხვევისა.

როდესაც მზღვეველი უფლებამოსილია გადასახდელი პრემიის თანხაზე დარიცხული პროცენტის მიღებაზე, ეს უკანასკნელი ვერ იქნება იმ განაკვეთზე მაღალი, რაც ამ მიზნით დადგენილია მთავრობის რეგულაციებით.

2430. დაუშვებელია ძალაში არსებული უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის ხელშეკრულების გაუქმება პრემიის თანხების გადაუხდელობის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალეს გაუქმებამდე 15 დღით ადრე წარედგინა წერილობითი გაფრთხილება.

2431. მზღვეველი ვალდებულია, ხელახლა აამოქმედოს პრემიის თანხების გადაუხდელობის გამო გაუქმებული ინდივიდუალური დაზღვევა, თუ პოლისის მფლობელი მიმართავს მას ამის თაობაზე გაუქმებიდან ორი წლის განმვალობაში და დაადასტურებს, რომ დაზღვეული პირი ჯერ კიდევ აკმაყოფილებს გაუქმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვევისათვის მოთხოვნილ პირობებს. ასეთ შემთხვევაში, პოლისის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ვადაგადაცილების პრემიის თანხები და აანაზღაუროს მის მიერ პოლისის საფუძველზე მიღებული ავანსები იმ საპროცენტო სარგებელთან ერთად, რომლის განაკვეთიც არ აღემატება ამ მიზნით მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციებით განსაზღვრულ ოდენობას.

თუმცაღა, მზღვეველი არ არის ვალდებული პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული ნორმით, თუ გადახდილია პოლისზე უარის თქმისას დასაბრუნებელი თანხა, ან თუ პოლისის მფლობელმა აირჩია დაზღვევის შემცირება ან გახანგრძლივება.

2432. ხელშეკრულების ხელახლა ამოქმედებისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა შეიძლება შედგებოდეს პოლისზე მისაღები საავანსო გადახდებისაგან ხელშეკრულებაში შეთანხმებული თანხის ოდენობამდე.

2433. მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს ვადაგადაცილებული პრემიის თანხების გადახდა იმ დროს, როდესაც ხდება სიცოცხლის ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულების ან უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ნებისმიერი ინდივიდუალური დაზღვევის ხელშეკრულებისათვის მზღვეველს შეუძლია გამოქვითოს ვადაგადაცილებული პრემიის თანხა მის მიერ გადასახდელი სარგებლის თანხებიდან.

2434. დაზღვევის ხელშეკრულების ხელახლა ამოქმედებისას თავიდან იწყებს დენას ორწლიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც მზღვეველს შეუძლია

მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება ან დაზღვევის შემცირება რისკთან დაკავშირებული შეცდომაში შემყვანი განცხადების ან ფაქტების დამალვის გამო ანდა — იმ დათქმის ამოქმედება, რომელიც გამორიცხავს სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას დაზღვეული პირის თვითმკვლელობის შემთხვევაში.

§ 6. — დაზღვევის ხელშეკრულების შესრულება

2435. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის პოლისის მფლობელი ან ბენეფიციარი ანდა დაზღვეული პირი ვალდებულია, მზღვეველს ზარალის შესახებ წერილობით შეატყობინოს 30 დღის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც აღნიშნულის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა. მან ასევე 90 დღის განმავლობაში უნდა მიაწოდოს მზღვეველს ყოველგვარი ინფორმაცია, რასაც ეს უკანასკნელი შესაძლოა გონივრულად ელოდებოდეს ზარალის გარემოებებთან და მის ოდენობასთან დაკავშირებით.

გადახდაზე უფლებამოსილ პირს ხელი არ უნდა შეეშალოს გადახდის მიღებაში, თუ ის დამტკიცებს, რომ მისთვის შეუძლებელი იყო დაწესებულ ვადაში მოქმედება იმ პირობით, რომ ინფორმაცია მზღვეველს გაეგზავნა ზარალის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში.

2436. მზღვეველი ვალდებულია, პოლისის პირობების შესაბამისად ზარალის შესახებ მოთხოვნილი მტკიცებულების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში გადაიხადოს მასში გათვალისწინებული სადაზღვევო თანხები და სხვა სარგებელი.

თუმცა, უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის შემთხვევაში, ვადა შეადგენს 60 დღეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისი ფარავს ინვალიდობით გამოწვეული შემოსავლის დანაკარგს.

2437. როდესაც დაზღვევა ფარავს ინვალიდობით გამოწვეული შემოსავლის დანაკარგს და ხელშეკრულება ითვალისწინებს მზღვეველის პასუხიმგებლობის გადავადების პერიოდს (waiting period), საწყისი კომპენსაციის გადახდისათვის გათვალისწინებული 30-დღიანი ვადის დენა იწყება პასუხიმგებლობის გადავადების პერიოდის გასვლის მომენტიდან.

შემდგომი გადახდები ხორციელდება არაუმეტეს 30-დღიანი ინტერვალებით იმ პირობით, რომ მზღვეველს მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინება მტკიცებულება.

2438. დაზღვეულს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო შემოწმება, როდესაც მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს ის ინვალიდობის ბუნების გამო.

2439. უბედური შემთხვევებისა და ავადმყოფობისგან დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც პროფესიული რისკის ზრდა გაგრძელდა ექვსი თვით ან მეტი ვადით, მზღვეველს შეუძლია პოლისით გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის შემცირება იმ თანხამდე, რომელიც ექვემდებარება გადახდას ახალი რისკისათვის პოლისში შეთანხმებული პრემიის შესაბამისად.

როდესაც ადგილი აქვს პროფესიული რისკის შემცირებას, მზღვეველი

ვალდებულია აღნიშნული მიზნით წარდგენილი შეტყობინების მიღების შემდეგ შეამციროს პრემიის განაკვეთი ან გააგრძელოს დაზღვევა ახალი რისკის შესაბამისი განაკვეთის გამოყენებით, კლიენტის არჩევანით.

2440. დაზღვევის ხელშეკრულების ბენეფიციარის მემკვიდრეებს შეუძლიათ მოსთხოვონ მზღვეველს მათთვის ერთდროულად ერთიანად ნებისმიერი იმ თანხის გადახდა, რომელიც ექვემდებარება ნაწილ-ნაწილ გადახდას.

2441. მზღვეველს არ შეუძლია უარი თქვას სადაზღვევო თანხების გადახდაზე დაზღვეული პირის თვითმკვლელობის გამო გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის პირდაპირ შეთანხმდა, რომ სადაზღვევო თანხის ანაზღაურება ასეთ შემთხვევაში გამოირიცხებოდა და ამ დროს აღნიშნული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ თვითმკვლელობა ხდება ორწლიანი უწყვეტი დაზღვევის ვადის გასვლის შემდეგ.

დაზღვევის თანხის გაზრდის მიზნით დამატებით თანხასთან დაკავშირებით ხელშეკრულებაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება გამორიცხვის დათქმას, რომელიც თავდაპირველად შეთანხმებულ იქნა ორწლიანი უწყვეტი დაზღვევის ვადისათვის და რომლის ათვლაც იწყება თანხის გაზრდის ძალაში შესვლის დღიდან.

2441.1. (არ არის ძალაში)

2442. ბათილია დაკრძალვის ხარჯების დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც პირი კისრულობს ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ გადახდილი პრემიის სანაცვლოდ გასწიოს მომსახურება ან განახორციელოს საქონლის მიწოდება სხვა პირის გარდაცვალებისას, დაფაროს დაკრძალვის ხარჯები ან აღნიშნული მიზნისათვის გამოყოს ფულადი თანხა.

მხოლოდ იმ პირს, რომელმაც გადაიხადა პრემია ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხები, ანდა მისი სახელით მოქმედ Autorité des marchés financiers-ის ფინანსისტებს შეუძლიათ სარჩელის წარდგენა ხელშეკრულების გაბათილების ან პრემიის თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

2443. პოლისის მფლობელის მხრიდან დაზღვეული პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა კანონის ძალით შედეგად იწვევს დაზღვევის გაუქმებასა და პოლისზე უარის თქმისას დასაბრუნებელი თანხის გადახდას.

დაზღვეული პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან, გარდა პოლისის მფლობელისა, შედეგად იწვევს მხოლოდ ამ პირის მიერ სადაზღვევო თანხის მიღების უფლების დაკარგვას.

2444. ურთიერთდახმარების ასოციაციის წევრისათვის ან მისი ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის, აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით ნათესავებისათვის დადგენილი სარგებელი არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას როგორც წევრის, ისე ბენეფიციარების ვალებისათვის.

§ 7. — ბენეფიციარებისა და სუროგატული პოლისის მფლობელების დანიშვნა

I. — დანიშვნის პირობები

2445. დაზღვევის თანხა შეიძლება გადახდილ იქნეს პოლისის მფლობელის, დაზღვევის მონაწილის ან განსაზღვრული ბენეფიციარისათვის.

ინდივიდუალური დაზღვევისას მესამე პირის სიცოცხლის დაზღვევის პოლისის მფლობელს შეუძლია დანიშნოს სუროგატული პოლისის მფლობელი, როგორც თავისი შემცვლელი მისი გარდაცვალების შემთხვევაში; მას ასევე შეუძლია დანიშნოს რამდენიმე სუროგატული პოლისის მფლობელი და განსაზღვროს ის წესი, რომლის მიხედვითაც ეს პირები ჩაენაცვლებიან ნებისმიერ წინა პოლისის მფლობელს.

სიცოცხლის დაზღვევის პოლისი არ ექვემდებარება წარმომდგენზე გადახდას.

2446. ბენეფიციარების ან სუროგატული პოლისის მფლობელების დანიშვნა ხორციელდება პოლისში ან სხვა ისეთ წერილობით დოკუმენტში მითითებით, რომელიც შესაძლოა გაფორმდეს ან არ გაფორმდეს ანდერძის სახით.

2447. არ არის აუცილებელი, ბენეფიციარი ან სუროგატული პოლისის მფლობელი არსებობდეს დანიშვნის მომენტში ან ამ დროს ზუსტად იყოს განსაზღვრული; საკმარისია, რომ აღნიშნული პირი არსებობს იმ მომენტში, როდესაც შესაძლებელი ხდება მისი უფლების რეალიზაცია, ან თუ ის ჩასახულია, მაგრამ ჯერ არ არის დაბადებული, — საკმარისია, რომ ის დაიბადოს ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი და რომ მისი სტატუსი იყოს აღიარებული.

ივარაუდება, რომ ბენეფიციარის დანიშვნა მოხდა იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი არსებობს იმ მომენტში, როდესაც დაზღვევიდან მიღებული თანხები ექვემდებარება გადახდას; ივარაუდება, რომ სუროგატული პოლისის მფლობელის დანიშვნა მოხდა იმ პირობით, რომ ამგვარად დანიშნული პირი არსებობს წინა პოლისის მფლობელის გარდაცვალების მომენტში.

2448. როდესაც დაზღვეული პირი და ბენეფიციარი გარდაიცვლებიან ერთდროულად ან ისეთ გარემოებებში, რომლებიც შეუძლებელს ხდის იმის განსაზღვრას, თუ ვინ გარდაიცვალა პირველი, — დაზღვევის მიზნებისათვის მიიჩნევა, რომ დაზღვეულმა პირმა უფრო მეტხანს იცოცხლა, ვიდრე ბენეფიციარმა. როდესაც დაზღვეული პირი გარდაიცვლება ანდერძის დატოვების გარეშე ისე, რომ მას არ რჩება მემკვიდრე მემკვიდრეობის რიგებში, მიიჩნევა, რომ ბენეფიციარმა უფრო მეტხანს იცოცხლა, ვიდრე დაზღვეულმა პირმა. ანალოგიურ გარემოებებში მიიჩნევა, რომ წინა პოლისის მფლობელმა უფრო მეტხანს იცოცხლა, ვიდრე სუროგატული პოლისის მფლობელმა.

2449. წერილობით დოკუმენტში, რომელიც არ წარმოადგენს ანდერძს, პოლისის მფლობელის ან დაზღვევის მონაწილის მიერ თავისი ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის ბენეფიციარის სახით დანიშვნა გამოუთხოვადია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთან-

ხმდნენ. ბენეფიციარის სახით ნებისმიერი სხვა პირის დანიშვნა გამოთხოვადია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ პოლისში ან ცალკე შედგენილ წერილობით დოკუმენტში, რომელიც არ წარმოადგენს ანდერძს. სუროგატული პოლისის მფლობელის სახით პირის დანიშვნა ყოველთვის გამოთხოვადია.

როდესაც პირის დანიშვნის გამოთხოვა დაშვებულია, ის შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ წერილობითი დოკუმენტიდან, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ის იყოს პირდაპირ გამოხატული.

2450. იმ ანდერძში მოცემული პირის დანიშვნა ან დანიშვნის გამოთხოვა, რომელიც ბათილია ფორმის ხარვეზის გამო, არ არის ბათილი მხოლოდ აღნიშნული მიზეზით; თუმცაღა, ასეთი დანიშვნა ან დანიშვნის გამოთხოვა ბათილია, თუ ანდერძი უქმდება.

ანდერძით განხორციელებული პირის დანიშვნა ან დანიშვნის გამოთხოვა ვერ იქნება გამოყენებული სხვა დანიშვნისა თუ დანიშვნის გამოთხოვის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება ანდერძის ხელმოწერის შემდგომ. ასევე დაუშვებელია პირის დანიშვნისა თუ დანიშვნის გამოთხოვის გამოყენება იმ დანიშვნის წინააღმდეგ, რომელიც წინ უსწრებს ანდერძის ხელმოწერას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანდერძი უთითებს შესაბამის დაზღვევის პოლისზე, ან მოანდერძის განზრახვა ამ მხრივ ნათელი არ არის.

2451. გამოყენებული ტერმინების მიუხედავად, ბენეფიციარების ყოველი დანიშვნა გამოთხოვადია მზღვეველის მიერ მის მიღებამდე.

2452. პირის დანიშვნები ან დანიშვნების გამოთხოვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მზღვეველის მიმართ მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც ის მათ იღებს; როდესაც ბენეფიციარების რამდენიმე გამოუთხოვადი დანიშვნა ხორციელდება ცალ-ცალკე და სხვადასხვა დროს, მათ უპირატესობა ენიჭება მზღვეველის მიერ მათი მიღების თარიღების მიხედვით.

მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან უკანასკნელი ცნობილი უფლებამოსილი პირისათვის აღნიშნული წესების შესაბამისად კეთილსინდისიერად განხორციელებული გადახდით.

II. — დანიშვნის სამართლებრივი შედეგები

2453. ბენეფიციარები და სუროგატული პოლისის მფლობელები წარმოადგენენ მზღვეველის კრედიტორებს, თუმცა ამ უკანასკნელს შეუძლია მათ დაუპირისპიროს ხელშეკრულების ბათილობის ან უფლების დაკარგვის საფუძვლები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია პოლისის მფლობელისა თუ დაზღვევის მონაწილის მიმართ.

2454. პოლისის მფლობელი უფლებამოსილია პოლისის დივიდენდებისა და მისთვის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული სხვა სარგებლის მიღებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბენეფიციარი გამოუთხოვადად იქნა დანიშნული.

პოლისის დივიდენდები და სარგებელი მზღვეველის მიერ უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი ვადამოსული პრემიის თანხის ანგარიშში იმისათვის, რათა დაზღვევა დარჩეს ძალაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ხელშეკრულება შეიძლება სხვაგვარად ითვალისწინებდეს.

2455. ბენეფიციარისათვის გადასახდელი დაზღვევის თანხები არ ქმნის დაზღვეული პირის მემკვიდრეობის ნაწილს. ანალოგიურად, სუროგატული პოლისის მფლობელისათვის გადაცემული ხელშეკრულება არ ქმნის წინა პოლისის მფლობელის მემკვიდრეობის ნაწილს.

2456. სამკვიდროსათვის ან პირის უფლებამონაცვლეებისათვის, მემკვიდრეებისათვის, ლიკვიდატორებისა თუ სხვა კანონიერი წარმომადგენლებისათვის იმ შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი დაზღვევის თანხა, რომელშიც აღნიშნული ან მსგავსი პირობები არის გამოყენებული, — ქმნის ამ პირის მემკვიდრეობის ნაწილს.

წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრეთა შესახებ წესები არ გამოიყენება დაზღვევის მიმართ, თუმცა სპეციალური საფუძვლით ლეგატარების სარგებლის წილის გაზრდის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს თანაბენეფიციარებს ან სუროგატული პოლისის თანამფლობელებს შორის.

2457. როდესაც დაზღვევის დანიშნული ბენეფიციარი წარმოადგენს პოლისის მფლობელის ან დაზღვევის მონაწილის ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირის მეუღლის, აღმავალი თუ დაღმავალი ხაზით ნათესავს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები რჩება იძულებითი აღსრულების მიღმა მანამდე, სანამ ბენეფიციარი არ მიიღებს დაზღვევის თანხას.

2458. დანიშვნის გამოუხმებლობის შესახებ შეთანხმება ავალდებულებს პოლისის მფლობელს იმ შემთხვევაშიც კი, თუ დანიშნულმა ბენეფიციარმა არაფერი იცის ამის შესახებ. მანამდე, სანამ დანიშვნა გამოუთხოვადი რჩება, პოლისის მფლობელისათვის, დაზღვევის მონაწილისა თუ ბენეფიციარისათვის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული უფლებები იძულებითი აღსრულების მიღემა რჩება.

2459. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება არ ეხება მეუღლის უფლებებს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის ბენეფიციარსა თუ სუროგატული პოლისის მფლობელს. თუმცა, სასამართლოს განცალკევებით ცხოვრების უფლების მინიჭებისას შეუძლია გამოაცხადოს, რომ აღნიშნული უფლებები გამოთხოვადი ან გაუქმებულია.

განქორწინება ან ქორწინების ბათილობა ანდა სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა იწვევს ბენეფიციარის ან პოლისის მფლობელის სახით მეუღლის ნებისმიერი დანიშვნის გაუქმებას.

2460. თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი გამოუთხოვადად დაინიშნა, პოლისის მფლობელსა და დაზღვევის მონაწილეს შეუძლიათ განკარგოს თავიანთი უფლებები ბენეფიციარის უფლებების გათვალისწინების პირობით.

§ 8. — დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების დათმობა ან იპოთეკით დატვირთვა

2461. დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების დათმობა ან ამ უფლების იპოთეკით დატვირთვა ვერ იქნება გამოყენებული მზღვეველის, ბენეფიციარის ან მესამე პირების მიმართ მანამდე, სანამ ბენეფიციარი არ მიიღებს აღნიშნულის შესახებ შეტყობინებას.

როდესაც ხდება დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების რამდენჯერმე დათმობა ან იპოთეკით დატვირთვა, პრიორიტეტი განისაზღვრება იმ თარიღის მიხედვით, როდესაც მზღვეველს წარედგინა შეტყობინება.

2462. დაზღვევის დათმობით ცესიონერზე გადადის ცედენტის ყველა უფლება და ვალდებულება და შედეგად იწვევს გამოთხოვადი ბენეფიციარისა და სუროგატული პოლისის მფლობელის დანიშვნის გამოთხოვას.

თუმცა, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლების იპოთეკით დატვირთვის შედეგად იპოთეკარს გადაეცემა უფლებები მხოლოდ დარჩენილი მოთხოვნის, პროცენტისა და დამატებითი ვალდებულებების ფარგლებში; ის შედეგად იწვევს გამოთხოვადი ბენეფიციარისა და სუროგატული პოლისის მფლობელის დანიშვნის გამოთხოვას მხოლოდ აღნიშნული თანხების მიმართ.

განყოფილება 3
ზიანის დაზღვევა

§ 1. — ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევის საერთო დებულებები

I. — ანაზღაურების პრინციპი

2463. ზიანის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, აუნაზღაუროს დაზარალებულს ზარალის დადგომის მომენტში განცდილი ზიანი, თუმცა — მხოლოდ დაზღვევის თანხის ოდენობით.

2464. მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს დაუძლეველი ძალის ან დაზღვეული პირის ბრალის შედეგად დამდგარი ზიანი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამონაკლისი პირდაპირ და შემზღუდავად გათვალისწინებულია პოლისში. თუმცა, მზღვეველი არასოდეს არ არის ვალდებული, აანაზღაუროს დაზღვეული პირის განზრახი ბრალის შედეგად დამდგარი ზიანი. როდესაც სახეზეა ერთზე მეტი დაზღვეული პირი, დაზღვევის ვალდებულება რჩება იმ დაზღვეულ პირთა მიმართ, რომლებიც არ მოქმედებდნენ განზრახი ბრალით.

როდესაც მზღვეველი ფარავს იმ პირის მიერ გამოწვეულ ზიანს, რომლის მოქმედებებისათვისაც დაზღვეულ პირს ეკისრება ზიანის ანაზღაურება, დაზღვევის ვალდებულება შენარჩუნდება მიუხედავად აღნიშნული პირის მხრიდან არსებული ბრალის ბუნებისა თუ სიმძიმის მიუხედავად.

2465. მზღვეველი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ბუნებრივი დანაკარგის, დანაკლისის ან ქონების მიერ განცდილი დანაკარგების შედეგად მიყენებული ზიანი, რომლებიც გამომდინარეობს ქონების თანდაყოლილი ხარვეზით ან ბუნებით.

II. — რისკის მნიშვნელოვანი ცვლილება

2466. დაზღვეული პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს იმ ნებისმიერი გარემოებების შესახებ, რომლებიც ზრდის პოლისში შეთანხმებულ რისკებს და რომლებიც გამომდინარეობს მისი კონტროლის ქვეშ არსებული მოვლენებიდან, თუ აღნიშნული რისკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მზღვეველზე პრემიის განაკვეთის დადგენის, რისკის შეფასების ან მისი დაზღვევის გაგრძლებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს.

თუ დაზღვეული პირი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით გამოიყენება 2411-ე მუხლის დებულებები.

2467. რისკის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღებისას მზღვეველს შეუძლია გააუქმოს ხელშეკრულება ან დაზღვეულ პირს წერილობით შესთავაზოს პრემიის ახალი განაკვეთი, რა შემთხვევაშიც დაზღვეული პირი ვალდებულია მიიღოს და გადაიხადოს ახალი განაკვეთით დადგენილი პრემიის თანხა შეთავაზებიდან 30 დღის განმავლობაში; წინააღმდეგ შემთხვევაში პოლისი კარგავს ძალას.

თუმცა, თუ მზღვეველი აგრძელებს პრემიის თანხების მიღებას ან იხდის საზღაურს ზიანის დადგომის შემდეგ, მიიჩნევა, რომ ის დაეთანხმა მისთვის შეტყობინებულ ცვლილებას.

2468. საცხოვრებელ ადგილზე არყოფნა არ ქმნის ისეთ ცვლილებას, რომელიც ზრდის რისკს, თუ ის არ გრძელდება ერთმანეთის მიმდევარ 30 დღეზე მეტი ხნით ან დაზღვევა ფარავს ასეთად მითითებულ დამატებით ადგილსამყოფელს.

ასევე საცხოვრებელ ადგილზე არაუმეტეს 30 დღისა ხელოსნების დაშვება საექსპლუატაციო მომსახურებისა თუ შეკეთების სამუშაოების განსახორციელებლად არ ქმნის ისეთ ცვლილებას, რომელიც ზრდის რისკს.

III. — პრემიის თანხის გადახდა

2469. მზღვეველი უფლებამოსილია პრემიის თანხის მიღებაზე მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშობა რისკი, და მხოლოდ ამ უკანასკნელის არსებობის განმავლობაში, თუ რისკი ქრება იმ მოვლენის შედეგად, რაც არ არის დაფარული დაზღვევით.

მზღვეველს შეუძლია წარადგინოს სარჩელი პრემიის თანხის გადახდის მოთხოვნით ან გამოქვითოს ის გადასახდელი საკომპენსაციო თანხიდან.

IV. — ზარალის შესახებ შეტყობინება და საზღაურის გადახდა

2470. იმ ნებისმიერი ზარალის შესახებ, რომელიც შესაძლოა გახდეს საზღაურის გადახდის საფუძველი, დაზღვეულმა პირმა უნდა შეატყობინოს მზღვეველს დაუყოვნებლივ, როგორც კი აღნიშნული მისთვის გახდება ცნობილი. ასეთი შეტყობინების წარდგენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მზღვეველს, რომელსაც არ წარედგინა აღნიშნული შეტყობინება და რომელიც ამის გამო განიცდის ზიანს, შეუძლია დაზღვეული პირის მიმართ გამოიყენოს სადაზღვევო პოლისის ნებისმიერი დათქმა, რომელიც აღნიშნული შემთხვევისათვის ითვალისწინებს საზღაურის თანხის მიღების უფლების დაკარგვას.

2471. მზღვეველის მოთხოვნით დაზღვეულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მას ზარალის გარშემო ყველა გარემოების შესახებ, მათ შორის, მისი შესაძლო მიზეზი, ზიანის ბუნება და ოდენობა, დაზღვეული ქონების მდებარეობა, მესამე პირების უფლებები და ნებისმიერი პარალელური დაზღვევის შესახებ; მან მზღვეველს უნდა გადასცეს ასევე გადახდის დასტურები და ფიცის ქვეშ დაადასტუროს ინფორმაციის სისწორე.

როდესაც მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას დაზღვეული პირი უუნაროა, შეასრულოს აღნიშნული ვალდებულება, ის უფლებამოსილია იმ გონივრულ ვადაზე, რომლის განმავლობაშიც დაზღვეული პირი შეასრულებს აღნიშნულს.

თუ დაზღვეული პირი ვერ ასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მის სასარგებლოდ აღნიშნულის შესრულება.

2472. ნებისმიერი ცრუ განცხადება შედეგად იწვევს მისი ავტორის მიერ იმ რისკისათვის ნებისმიერი საზღაურის მიღებაზე უფლების დაკარგვას, რომელსაც აღნიშნული განცხადება ეხება.

თუმცა, თუ დაზღვეული რისკის დადგომამ შედეგად გამოიწვია როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებისათვის ზიანის მიყენება ანდა — როგორც პროფესიული საქმიანობისათვის გამოყენებული, ისე პირადი ქონებისათვის ზიანის მიყენება, უფლების დაკარგვას ადგილი აქვს მხოლოდ იმ კატეგორიის ქონების მიმართ, რომელსაც ეხება განცხადება.

2473. მზღვეველი ვალდებულია, დაზღვევის საზღაური გადაიხადოს ზარალის შესახებ შეტყობინების ან, თუ მზღვეველი ითხოვს ამას, — შესაბამისი ინფორმაციისა და გადახდის დასტურების მიღებიდან 60 დღის განმავლობაში.

2474. მზღვეველი გადახდილი საზღაურის თანხის ფარგლებში სუროგაციით იძენს დაზღვეული პირის უფლებებს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ. მზღვეველი შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს დაზღვეული პირის მიმართ მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან, როდესაც ამ უკანასკნელის ნებისმიერი ქმედების გამო მზღვეველი ვერ იძენს სუროგაციით დაზღვეული პირის უფლებებს.

მზღვეველი ვერასოდეს ვერ შეიძენს სუროგაციით უფლებებს იმ პირების მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ დაზღვეული პირის საოჯახო მეურნეობის წევრებს.

V. — მოთხოვნის დათმობა

2475. დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დათმობილ იქნეს მხოლოდ მზღვეველის თანხმობითა და იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც დაზღვეული ქონების მიმართ დაზღვევის ინტერესი აქვს.

2476. დაზღვეული პირის გარდაცვალების ან გაკოტრებისას ანდა დაზღვევაში მისი ინტერესის თანადაზღვეული პირისათვის დათმობისას, დაზღვევა გრძელდება მემკვიდრის, გაკოტრების მმართველის ან დარჩენილი დაზღვეული პირის სასარგებლოდ მის მიერ იმ ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც იკისრა დაზღვეულმა პირმა.

VI. — ხელშეკრულების გაუქმება

2477. მზღვეველს შეუძლია გააუქმოს ხელშეკრულება წინასწარი შეტყობინებით, რომელიც უნდა გადაეგზავნოს პოლისში დასახელებულ თითოეულ დაზღვეულ პირს. ხელშეკრულება გაუქმებულად ითვლება 15 დღეში მას შემდეგ, რაც დაზღვეული პირი მიიღებს შეტყობინებას მის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.

დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება ასევე გაუქმდეს უბრალო წერილობითი შეტყობინებითაც, რომელიც წარედგინება მზღვეველს პოლისში დასახელებული თითოეული დაზღვეული პირის მიერ. ხელშეკრულება გაუქმებულად ითვლება შეტყობინების მიღებისთანავე.

თუმცა, პოლისში დასახელებულ პირებს შეუძლიათ დაავალონ ერთ ან რამდენიმე მათგანს, მიიღოს ან გააგზანოს გაუქმების შეტყობინება.

2478. როდესაც საზღაურის მიღებაზე უფლება დაიტვირთა იპოთეკით და შეტყობინება ამის თაობაზე წარედგინა მზღვეველს, ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს იპოთეკარის ინტერესების საზიანოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მზღვეველმა მას წარუდგინა წინასწარი შეტყობინება, სულ ცოტა, 15 დღით ადრე.

2479. როდესაც დაზღვევა უქმდება, მზღვეველი უფლებამოსილია მხოლოდ პრემიის გამომუშავებულ წილზე, რომელიც გამოითვლება ყოველდღიურად, თუ ხელშეკრულება უქმდება მზღვეველის მიერ, ან — მოკლევადიანი განაკვეთით, თუ ის უქმდება დაზღვეული პირის მიერ; მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს პრემიის ნებისმიერი ზედმეტად გადახდილი თანხა.

2479.1. თუ დაზღვეულმა პირმა დათმო ან იპოთეკით დატვირთა პრემიის ზედმეტად გადახდილი თანხის ანაზღაურების კუთვნილი უფლება იმ პირის

სასარგებლოდ, რომელმაც გადაიხადა პრემია, და მზღვეველმა მიიღო შეტყობინება უფლების დათმობის ან იპოთეკის შესახებ, — მზღვეველი ვალდებულია, ცესიონერს ან იპოთეკის მფლობელს აუნაზღაუროს ზედმეტად გადახდილი თანხა.

უფლების დათმობა ან იპოთეკა ვერ იქნება გამოყენებული მესამე პირების მიმართ მანამდე, სანამ მზღვეველი არ მიიღებს უფლების დათმობის ან იპოთეკის შესახებ შეტყობინებას.

თუ განხორციელდა უფლების ორჯერ ან მეტჯერ დათმობა ან პრემიის ზედმეტად გადახდილ თანხის ანაზღაურების ერთი და იგივე უფლებაზე ორი ან მეტი იპოთეკის დადგენა, პრიორიტეტი განისაზღვრება მზღვეველის მიერ შეტყობინების მიღების მომენტის მიხედვით.

§ 2. — ქონების დაზღვევა

I. — პოლისის შინაარსი

2480. იმ სპეციალური მონაცემების გარდა, რომლებიც ზოგადად გათვალისწინებულია დაზღვევის პოლისებისათვის, ქონების დაზღვევის პოლისში მითითება უნდა გაკეთდეს დაზღვევის იმ ნებისმიერი გამონაკლისის შესახებ, რომელიც არ გამომდინარეობს სიტყვების ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან, ან — დაზღვევის ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ, რომელიც ეხება განსაზღვრულ ობიექტებს ან ობიექტების კატეგორიებს, იმ პირობების დადგენით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ხელშეკრულების გაუქმება დაზღვეული პირის მიერ, ისევე როგორც — ის პირობები, რომელთა საფუძველზეც დაზღვევა შეიძლება ზარალის შემდეგ ხელახლა ამოქმედდეს ან გაგრძელდეს.

II. — დაზღვევის ინტერესი

2481. პირს აქვს ქონების დაზღვევის ინტერესი, როდესაც ქონებისათვის მიყენებული ზიანი ან მისი გაუარესება შეიძლება აყენებდეს მას პირდაპირ და უშუალო ზიანს.

აუცილებელია, რომ დაზღვევის ინტერესი არსებობდეს ზარალის დადგომის მომენტში, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ იგივე ინტერესი არსებულიყო ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადით განმავლობაში.

2482. სამომავლო ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შეიძლება იყოს დაზღვევის ხელშეკრულების საგანი.

2483. ქონების დაზღვევა შეიძლება გაფორმდეს იმ ნებისმიერი პირის სასარგებლოდ, ვისაც შესაძლოა ის ეხებოდეს. დათქმა ნამდვილია, როგორც პოლისის მფლობელის სასარგებლოდ არსებული დაზღვევა ან როგორც შეთანხმება დათქმის ბენეფიციარი პირის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უკანასკნელი ცნობილი ან პოტენციურად შესაძლებელი.

მხოლოდ პოლისის მფლობელი არის მზღვეველის წინაშე პასუხისმგებელი

პრემიის გადახდაზე; ნებისმიერი გამონაკლისი, რაც შესაძლოა მზღვეველმა დაუპირისპიროს მას, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების ბენეფიციარის მიმართ, ვინც არ უნდა იყოს ის.

2484. ბათილია ქონების დაზღვევა, რომელშიც დაზღვეულ პირს არა აქვს დაზღვევის ინტერესი.

III. — დაზღვევის ფარგლები

2485. ხანძრის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ხანძრის ან წვის პროცესის უშუალო შედეგს, მათ შორის, ნივთების გადატანისას მათთვის მიყენებული ზიანი ან ხანძრის ჩაქრობისათვის გამოყენებული საშუალებებით გამოწვეული ზიანი პოლისში განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინების პირობით. მზღვეველი ფარავს ასევე დაზღვეული ნივთების გაუჩინარებას, რასაც ადგილი აქვს ხანძრის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამტკიცებს, რომ გაუჩინარება გამოწვეულია ქურდობით, რა შემთხვევასაც არ ფარავს დაზღვევა.

მზღვეველი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ გამათბობელი მოწყობილობის მიერ გამოყოფილი გადაჭარბებული სიცხით ან იმ ნებისმიერი პროცესით, რომელიც მოიცავს ტემპერატურის გამოყენებას, როდესაც სახეზე არ არის ხანძარი ან მისი დაწყება, თუმცა — როდესაც სახეზე არ არის ხანძარი, მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს მეხით ან საწვავის აფეთქებით გამოწვეული ზიანი.

2486. მზღვეველი, რომელიც აზღვევს ქონებას ხანძრის წინააღმდეგ, არ ფარავს ხანძრითა თუ აფეთქებებით მიყენებულ იმ ზიანს, რომლებიც გამოწვეულია სახელმწიფოთა შორის ან სამოქალაქო ომით, ამბოხებით ან სამოქალაქო არეულობით, ბირთვული აფეთქებით, ვულკანის ამოფრქვევით, მიწისძვრით ან სხვა კატაკლიზმით.

2487. მზღვეველი ვალდებულია, აანაზღაუროს დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც გამოწვეულია ამ ქონების გადარჩენისა თუ დაცვისათვის მიღებული ზომებით.

2488. იმ ნივთების დაზღვევა, რომლებიც ზოგადად აღწერილია როგორც განსაზღვრულ ადგილზე მყოფი, ფარავს ერთი და იგივე სახის ყველა ნივთს, რომლებიც აღნიშნულ ადგილზე არსებობს ზიანის მომენტში.

2489. ავეჯით გაწყობილი საცხოვრებელი სახლისა და მოძრავი ქონების დაზღვევა ზოგადად ფარავს მოძრავი ქონების თითოეულ კატეგორიას, გარდა იმისა, რაც პირდაპირ არის გამორიცხული ან რაც დაზღვეულია მხოლოდ შეზღუდული თანხით.

IV. — დაზღვევის თანხა

2490. დაზღვეული ქონების ღირებულება დგინდება ჩვეულებრივი წესით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისში მოცემულია შეფასების სპეციალური ფორმულა.

2491. შეუფასებელი პოლისების შემთხვევაში, დაზღვევის თანხა არ წარმოადგენს დაზღვეული ქონების ღირებულების მტკიცებულებას.

შეფასებული პოლისების შემთხვევაში, შეთანხმებული ღირებულება მზღვეველსა და დაზღვეულ პირს შორის ქმნის დაზღვეული ქონების ღირებულების სრულ მტკიცებულებას.

2492. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მოტყუების ფაქტის გარეშე იმ თანხაზე, რომელიც აღემატება დაზღვეული ქონების ღირებულებას, ნამდვილია აღნიშნულ ღირებულებამდე; მზღვეველს არა აქვს უფლება, მოითხოვოს ნებისმიერი პრემიის გადახდევინება ნამეტი თანხისათვის, თუმცა გადახდილი ან გადასახდელი პრემიის თანხები რჩება მის მიერ მიღებულად.

2493. მზღვეველს არ შეუძლია უარი თქვას რისკის დაფარვაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დაზღვევის თანხა დაზღვეული ქონების ღირებულებაზე ნაკლებია. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან დაზღვევის თანხის გადახდით სრული ზარალის დადგომისას ან პროპორციული საზღაურის გადახდით, — ნაწილობრივი ზარალის დადგომისას.

V. — ზარალები და საზღაურის გადახდა

2494. პრივილეგირებული კრედიტორებისა და იპოთეკარების უფლებების გათვალისწინების პირობით, მზღვეველს შეუძლია დაიტოვოს დაზღვეული ქონების რემონტის, აღდგენის ან შეცვლის უფლება. ასეთ შემთხვევაში, ის უფლებამოსილია ქონების გადარჩენაზე და მას შეუძლია მისი მიღება.

2495. დაზღვეულ პირს არ შეუძლია დაზიანეული ქონების მიტოვება, თუ ამ მხრივ სახეზე არ არის მხარეთა შეთანხმება.

დაზღვეულმა პირმა უნდა გააადვილოს მზღვეველის მიერ დაზღვეული ქონების გადარჩენა და შემოწმება. კერძოდ, მან უნდა დართოს მზღვეველსა და მის წარმომადგენლებს დაზღვეული ფართის მონახულებისა და შემოწმების ნება.

2496. ნებისმიერმა პირმა, რომელიც მოტყუების ფაქტის გარეშე რამდენიმე პოლისით დაზღვეულია რამდენიმე მზღვეველის მიერ ერთი და იგივე ინტერესისათვის და ერთი და იგივე რისკის საწინააღმდეგოდ ისე, რომ საზღაურის მთლიანი თანხა, რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული პოლისების დამოუკიდებელი შესრულებიდან, გადააჭარბებდა დამდგარ ზიანს, — შეიძლება მიიღოს ანაზღაურება მზღვეველის მხრიდან ან მის მიერ შერჩეული მზღვეველების მხრიდან ისე, რომ თითოეული იქნებოდა პასუხისმგებელი მხოლოდ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ თანხაზე.

დაუშვებელია მზღვეველის მიმართ იმ დათქმის გამოყენება, რომლითაც დაზღვევათა სიმრავლის გამო მთლიანად ან ნაწილობრივ ჩერდება ხელშეკრულების შესრულება.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, საზღაური მზღვეველებს შორის ნაწილდება საერთო დაზღვევის თანხაში თითოეულის წილის პროპორციულად, გარდა სპეციალური დაზღვევის შემთხვევისა, რომელიც ქმნის პირველად დაზღვევას.

2497. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, დაზღვეული პირისათვის გადასახდელი საზღაურის თანხები ნაწილდება პრივილეგირებულ კრედიტორებს ან დაზღვეულ ქონებაზე იპოთეკის მქონე კრედიტორებს შორის მათი რიგითობის მიხედვითა და პირდაპირი დელეგაციის გარეშე მათი მხრიდან უბრალო შეტყობინების საფუძველზე და მტკიცებულების წარდგენით.

თუმცა, შეტყობინებამდე კეთილსინდისიერად განხორციელებული გადახდები ათავისუფლებს მზღვეველს მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან.

§ 3. — პასუხისმგებლობის დაზღვევა

2498. როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს დაზღვევის ხელშეკრულების საგანი.

2499. იმ სპეციალური მონაცემების გარდა, რომლებიც ზოგადად გათვალისწინებულია დაზღვევის პოლისებისათვის, პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი უნდა უთითებდეს ურთიერთმიმართებას პირებსა და ქონებას შორის, ისევე როგორც — პირებსა და იმ ქმედებებს შორის, რომლებიც შედეგად იწვევს პასუხისმგებლობას დაზღვევის თანხებთან და დაზღვევის გამონაკლისებთან ერთად, ასევე აღნიშნული პოლისი უნდა უთითებდეს დაზღვევის იძულებით ან არჩევით ბუნებასა და მის პირდაპირ და არაპირდაპირ ბენეფიციარებს.

2500. დაზღვევის თანხები გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებული მესამე პირებისათვის გადასახდელად.

2501. დაზარალებულ მესამე პირს შეუძლია სარჩელის წარდგენა უშუალოდ დაზღვეული პირის, მზღვეველის ანდა ორივე მათგანის მიმართ.

აღნიშნული მხრივ დაზარალებული მესამე პირის არჩევანი არ ართმევს მას სხვა მოთხოვნის უფლებებს.

2502. მზღვეველს დაზღვეული მესამე პირის მიმართ შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ისეთი საფუძვლები, რომლებზეც მითითებას ის შეძლებდა ზიანის დადგომის მომენტში, მაგრამ — არა ის საფუძვლები, რომლებიც დაკავშირებულია ზიანის დადგომის შემდეგ დამდგარ ფაქტებთან; მზღვეველს აქვს სარჩელის უფლება დაზღვეული პირის მიმართ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ზიანის დადგომის შემდეგ.

2503. მზღვეველი ვალდებულია, დაიცვას ნებისმიერი იმ პირის ინტერესები, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო თანხის მიღებაზე, და იკისროს ამ პირის დაცვა მის მიმართ წარდგენილი ნებისმიერი სარჩელისაგან.

გარდა დაზღვევის თანხებისა, მზღვეველს ეკისრება დაზღვეული პირის მიმართ წარდგენილი სარჩელებიდან გამომდინარე სასამართლოს ხარჯები და დანახარჯები, მათ შორის, დაცვის ხარჯები, და დაზღვევის თანხებზე დარიცხული პროცენტი.

2504. მზღვეველის მიმართ მისი თანხმობის გარეშე დადებული მორიგების აქტის გამოყენება დაუშვებელია.

განყოფილება 4
საზღვაო დაზღვევა

§ 1. — ზოგადი დებულებები

2505. საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებით დამდგარი ზარალის ანაზღაურების გარდა, საზღვაო დაზღვევა ფარავს საზღვაო საქმიანობის მსგავსი საქმიანობის ნებისმიერ რისკებს, სახმელეთო რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია საზღვაო საქმიანობასთან, ან გემის აგებასთან, რემონტსა და წყალში ჩაშვებასთან დაკავშირებულ რისკებს.

2506. კერძოდ, საზღვაო საქმიანობა სახეზეა, როდესაც ნებისმიერი გემი, საქონელი ან სხვა მოძრავი ქონება დგება საზღვაო საფრთხეების წინაშე ან როდესაც აღნიშნული საფრთხეების გამო შეიძლება დადგეს დაზღვეული ქონების მიმართ ინტერესის მქონე ნებისმიერი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

საზღვაო საქმიანობა ასევე სახეზეა, როდესაც ნებისმიერი ფრახტის, გემის გავლის საზღაურის, საკომისიოსა თუ სხვა ფულადი სარგებლის მიღებას ან შეძენას ექმნება საფრთხე დაზღვეული ქონების საზღვაო საფრთხეების წინაშე დაყენებით.

2507. საზღვაო საფრთხეები მოიცავს პოლისში მითითებულ და ასევე იმ საფრთხეებს, რომლებიც წარმოადგენს ნაოსნობის შედეგს ან დაკავშირებულია მასთან, როგორიცაა ზღვის საფრთხეები, მეკობრეობა, დაკავების ფაქტები, გემიდან ტვირთის გადაყრა (jettisons) და კაპიტნის ან ეკიპაჟის მხრიდან გემის ან ტვირთისათვის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი (barratry), ასევე — გემის ან სხვა დაზღვეული ქონების მთავრობის მიერ ხელში ჩაგდება, დაკავება, დაყადაღება ან დაზიანება.

2508. გემის დაზღვევა ვრცელდება მის კორპუსზე, ისევე როგორც მის აღჭურვილობაზე, საწყობებსა და პროვიზიაზე, სამანქანო განყოფილებასა და საქვაბეებზე, ასევე სპეციალურ კომერციულ საქმიანობაში ჩართული გემის შემთხვევაში, — ჩვეულებრივ სათადარიგო ნაწილებზე, რომლებიც აუცილებელია აღნიშნული კომერციული საქმიანობისათვის, და ბუნკერებსა და ძრავის საწყობებზე, თუ ისინი ეკუთვნის დაზღვეულ პირს.

2509. ფრახტის დაზღვევა ვრცელდება გემთმფლობელის მიერ საკუთარი გემის თავისივე საქონლის ან სხვა მოძრავი ქონების გადაზიდვისათვის გამოყენებიდან მისაღებ მოგებაზე, ისევე როგორც — მესამე პირის მიერ გადასახდელ ფრახტზე, თუმცა ის არ მოიცავს გემის გავლის საზღაურს.

2510. მოძრავი ქონების დაზღვევა ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთებზე, რომლებიც არ იფარება გემის დაზღვევით.

§ 2. — დაზღვევის ინტერესი

I. — ინტერესის აუცილებლობა

2511. არ არის აუცილებელი, რომ დაზღვევის ინტერესი არსებობდეს ხელშეკრულების დადების მომენტში, თუმცა აუცილებელია, რომ ის არსებობდეს ზიანის დადგომის მომენტში.

დაზღვევა არ ხდება ნამდვილი ზიანის დადგომის შემდეგ ინტერესის გაჩენის შედეგად. თუმცაღა, როდესაც ქონება დაზღვეულია ფორმულით „დაკარგული ან არ არის დაკარგული“, დაზღვევა ნამდვილია, თუნდაც დაზღვეულ პირს შესაძლოა არც გასჩენია დაზღვევის ინტერესი ზიანის დადგომამდე ან ამის შემდეგ იმ პირობით, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში დაზღვეულმა პირმა არ იცოდა ზიანის თაობაზე.

2512. თამაშობის ან სანაძლეოს მეშვეობით დადებული საზღვაო დაზღვევის ყოველი ხელშეკრულება აბსოლუტურად ბათილია.

თამაშობის ან სანაძლეოს ხელშეკრულება სახეზეა, როდესაც დაზღვეულ პირს არა აქვს დაზღვევის ინტერესი და ხელშეკრულება იდება ასეთი ინტერესის გაჩენის მოლოდინის გარეშე.

საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულება მიიჩნევა თამაშობის ან სანაძლეოს ხელშეკრულებად, როდესაც პოლისი შეიცავს გამონათქვამებს „ინტერესი ან ინტერესის გარეშე“ ან „პოლისის გარდა, ინტერესის სხვა მტკიცების გარეშე“ ანდა — „მზღვეველის სასარგებლოდ ქონების მიტოვების გარეშე“, როდესაც რეალურად არსებობს ქონების დატოვების შესაძლებლობა.

II. — დაზღვევის ინტერესის მაგალითები

2513. დაზღვევის ინტერესი არსებობს, როდესაც პირი დაინტერესებულია საზღვაო საქმიანობით და, განსაკუთრებით კი, — როდესაც აღნიშნულ პირსა და საქმიანობასა თუ დაზღვეულ ქონებას შორის არსებობს ისეთი ურთიერთმიმართება, რომ პირს შესაძლოა ამ ქონებისათვის დაეკისროს პასუხისმგებლობა ან მან შეიძლება მიიღოს სარგებელი დაზღვეული ქონების უსაფრთხო ან დროული ჩამოსვლით ანდა — იზარალოს ქონების დაკავების, განადგურებისა თუ დაზიანების შემთხვევაში.

2514. შემთხვევითი ან ნაწილობრივი დაზღვევის ინტერესი, რომელიც ექვემდებარება გაბათილებას, შესაძლოა გახდეს საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულების საგანი.

2515. კერძოდ, დაზღვევის ინტერესი მზღვეველისათვის არსებობს დაზღვეული რისკის მიმართ, დაზღვეული პირისათვის — დაზღვევის დადგენილი დანახარჯებისა და მისი მზღვეველის გადახდისუნარიანობის მიმართ, ხოლო გემის კაპიტნის ან ეკიპაჟის ნებისმიერი წევრისათვის კი, — მათი ხელფასის მიმართ.

დაზღვევის ინტერესი ასევე არსებობს იმ პირისათვის, რომელიც ავანსის სახით იხდის ფრახტს, რამდენადაც ეს უკანასკნელი ზარალის შემთხვევაში არ ექვემდებარება გადახდას, საქონლის მყიდველისათვის, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ის უფლებამოსილია, უარი თქვას საქონელზე ან განიხილოს ის, როგორც გამყიდველის რისკის ქვეშ არსებული, ასევე — იპოთეკური მოვალისათვის იპოთეკით დატვირთული ქონების მთლიანი ღირებულების მიმართ და იპოთეკარისათვის მისი მოთხოვნის უფლების ოდენობამდე.

III. — დაზღვევის ინტერესის ფარგლები

2516. ნებისმიერ პირს, რომელსაც დაზღვეული ქონების მიმართ აქვს ინტერესი, შეუძლია მიიღოს დაზღვევა საკუთარი ხარჯით, ისევე როგორც — ქონების მიმართ ინტერესის მქონე მესამე პირის სახელით.

2517. დაზღვეული ქონების მესაკუთრეს აქვს დაზღვევის ინტერესი მისი სრული ღირებულების მიმართ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მესამე პირი, შესაძლოა, დაეთანხმა ან პასუხისმგებელია, მისცეს მას კომპენსაცია ზარალის შემთხვევაში.

§ 3. — სადაზღვევო ღირებულების დადგენა

2518. სადაზღვევო ღირებულება უტოლდება დაზღვევის პოლისის ძალაში შესვლის მომენტში (when the policy attaches) დაზღვეული პირის რისკის ქვეშ არსებული ღირებულების თანხას.

სადაზღვევო ღირებულება მოიცავს ქონებაზე გაწეულ დაზღვევის ხარჯებსაც.

2519. გემის დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო ღირებულება უტოლდება გემის ღირებულებას, რასაც ემატება მეზღვაურების ხელფასებზე ავანსის სახით გაცემული ფულადი თანხები და ნებისმიერი სხვა დანახარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა იმისათვის, რომ გემი ვარგისი იყოს სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული რეისის შესრულებისა თუ საქმიანობისათვის.

ფრახტის დაზღვევის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მისი ავანსის სახით თუ სხვაგვარად გადახდა, სადაზღვევო ღირებულება უტოლდება დაზღვეული პირის რისკის ქვეშ არსებული ფრახტის მთლიან თანხას;

საქონლის დაზღვევის შემთხვევაში კი, სადაზღვევო ღირებულება უტოლდება საქონლის თვითღირებულების ფასს, რასაც ემატება გადაზიდვისა და მასთან დაკავშირებული ხარჯები.

§ 4. — ხელშეკრულება და პოლისი

I. — ხელმოწერა

2520. თითოეული მზღვეველის ხელმოწერა ქმნის ინდივიდუალურ ხელშეკრულებას დაზღვეულ პირთან.

II. — ხელშეკრულების სახეები

2521. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მოგზაურობის ან განსაზღვრული პერიოდისათვის; როგორც მოგზაურობის, ისე განსაზღვრული პერიოდისათვის დადებული ხელშეკრულება შეიძლება შევიდეს ერთი და იგივე პოლისში.

ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ღირებულების მითითებით, ღირებულების მითითების გარეშე ან გენერალური ხელშეკრულების სახით (valued, unvalued or floating).

2522. მოგზაურობის ხელშეკრულება აზღვევს დაზღვეულ პირს ერთი ადგილიდან მეორე ან სხვა ადგილებამდე და ასევე — თავად გამგზავრების ადგილზეც, თუ ასე განსაზღვრულია პოლისში.

განსაზღვრული პერიოდისათვის დადებული ხელშეკრულება დაზღვეულ პირს აზღვევს შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში.

2523. ღირებულების მითითებით ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია დაზღვეული ქონების შეთანხმებული ღირებულება.

მოტყუების ფაქტის არარსებობისას, პოლისში ფიქსირებული ღირებულება მზღვეველსა და დაზღვეულ პირს შორის წარმოადგენს დაზღვეული ქონების საბოლოო ღირებულებას მიუხედავად იმისა, დამდგარი ზიანი არის თუ არა სრული ან ნაწილობრივი, თუმცა ის არ არის გადამწყვეტი იმის განსაზღვრისათვის, იყო თუ არა სახეზე უდავოდ სავარაუდო სრული განადგურება (constructive total loss).

2524. ხელშეკრულება ღირებულების მითითების გარეშე წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელშიც არ არის განსაზღვრული დაზღვეული ქონების ღირებულება, თუმცა ის ითვალისწინებს დაზღვევის ღირებულების შემდგომში განსაზღვრას სადაზღვევო თანხის გადამეტების გარეშე.

როდესაც დაზღვეული ქონების ღირებულების შესახებ განცხადება არ კეთდება ზარალის დადგომის ან გემის მოსვლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე, ხელშეკრულება აღნიშნული ქონების მიმართ განიხილება როგორც ხელშეკრულება ღირებულების მითითების გარეშე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისი სხვაგვარად ითვალისწინებს.

2525. გენერალური ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელშიც დაზღვევა აღწერილია ზოგადი პირობებით და ისეთ აუცილებელ სპეციფიკურ მონაცემებს, როგორიცაა გემის დასახელება, ტოვებს შემდგომ განცხადებაში განსაზღვრისათვის.

2526. განცხადებები შეიძლება გაკეთდეს პოლისზე შესრულებული ინდოსამენტით ან სხვა ჩვეულებრივი წესით, თუმცა როდესაც ეს განცხადებები ეხება გასაგზავნ ან გადასაზიდ საქონელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისი სხვაგვარად ითვალისწინებს, — ისინი უნდა გაკეთდეს გაგზავნისა თუ გადაზიდვის ორდერში და უთითებდეს საქონლის ღირებულებას და მოიცავდეს მის ყველა პარტიას პოლისის პირობების შესაბამისად.

კეთილსინდისიერად დაშვებული შეცდომები ან გაკეთებული მცდარი განცხადებები შეიძლება გასწორდეს თუნდაც ზარალის დადგომის ან გემის ჩამოსვლის შემდეგ.

III. — პოლისის შინაარსი

2527. მზღვეველისა და დაზღვეული პირის ან იმ პირის სახელების გარდა, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას დაზღვეული პირის სახელით, საზღვაო დაზღვევის პოლისი უნდა უთითებდეს დაზვეულ ქონებასა და რისკს, ისევე როგორც — დაზღვეულ თანხებს, დაზღვევით დაფარულ რეისს ან დროის პერიოდს, ხელმოწერის თარიღსა და ადგილს, პრემიების ოდენობასა თუ განაკვეთს და მათი გადახდის თარიღებს.

IV. — პოლისის დათმობა

2528. საზღვაო დაზღვევის პოლისი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს როგორც ზარალის დადგომამდე, ისე მის შემდეგაც.

საზღვაო დაზღვევის პოლისის დათმობა შესაძლებელია ინდოსამენტით ან სხვა ჩვეულებრივი წესით.

2529. როდესაც დაზღვეულმა პირმა გაასხვისა დაზღვეული ქონება ან დაკარგა მისადმი ინტერესი და მანამდე ან აღნიშნულ მოქმედებებთან ერთად პირდაპირ ან უსიტყვოდ არ შეთანხმდა პოლისის გადაცემაზე, მას შემდგომში აღარ შეუძლია პოლისის დათმობა.

2530. დაზღვეული ქონების გასხვისება შედეგად არ იწვევს დაზღვევის დათმობას, გარდა კანონის ძალით ან მემკვიდრეობით გადასვლის შემთხვევისა.

2531. ცესიონერს შეუძლია თავისი უფლებების რეალიზაცია უშუალოდ მზღვეველის მიმართ, თუმცა ამ უკანასკნელს შეუძლია ხელშეკრულებიდან გამომდინარე იმ შესაგებლების წარდგენა, რაზეც ის უფლებამოსილი იქნებოდა დაზღვეული პირის მიმართ.

V. — ხელშეკრულების არსებობის მტკიცება და მოწონება

2532. დაუშვებელია ხელშეკრულების არსებობის მტკიცება სხვაგვარად, ვიდრე მისი დაზღვევის პოლისში ასახვის შემთხვევისა, მაგრამ თუ პოლისი უკვე გაცემულია, ხელშეკრულების ისეთი ჩვეულებრივი ჩანაწერები, როგორიცაა დაზღვევის დამატებითი პირობების დოკუმენტი (slip) ან დაზღვევის სერტიფიკატი (covering note) მტკიცებულების სახით დასაშვებია ხელშეკრულების რეალური პირობების დადგენისა და იმის ჩვენების მიზნისათვის, თუ როდის იქნა მიღებული შეთავაზება.

2533. როდესაც ხელშეკრულება იდება კეთილსინდისიერად მესამე პირის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელს შეუძლია მოიწონოს ის თუნდაც მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი ხდება ზარალის შესახებ.

§ 5. — პრემიასთან დაკავშირებით მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2534. მზღვეველი არ არის ვალდებული, გასცეს პოლისი პრემიის თანხის გადახდამდე ან მისი გადახდის შეთავაზებამდე.

2535. როდესაც ხელშეკრულება იდება იმ პირობით, რომ პრემიის თანხა დადგინდება დამატებითი შეთანხმებით, ხოლო ეს უკანასკნელი კი არ იდება, მაშინ გადახდილ უნდა იქნეს გონივრული თანხა.

იგივე წესი მოქმედებს, როდესაც ხელშეკრულება იდება იმ პირობით, რომ დამატებითი პრემიის შეთანხმება მოხდება განსაზღვრული მოვლენის დადგომის შემთხვევაში და ასეთი მოვლენა დგება, თუმცა შეთანხმება კი არ იდება.

2536. როდესაც საზღვაო დაზღვევის პოლისი დაზღვეული პირის სახელით გაიცემა ბროკერის მიერ, ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მზღვეველის წინაშე პრემიის თანხის გადახდაზე. სხვა შემთხვევებში, პასუხისმგებელია დაზღვეული პირი.

2537. მზღვეველი პასუხისმგებელია დაზღვეული პირის მიმართ გადასახდელი თანხებისათვის. ზარალის ან პრემიის თანხის დაბრუნების შემთხვევაში, მზღვეველი პასუხისმგებელია დაზღვეული პირის წინაშე აღნიშნული თანხებისათვის, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა მან ბროკერისაგან პრემიის თანხა.

2538. როდესაც პრემიის თანხის გადახდის საპასუხო დაკმაყოფილება საერთოდ არ სრულდება და დაზღვეული პირის მხრიდან არანაირ მოტყუებას ან უკანონობას ადგილი არ ჰქონია, პრემიის თანხა უბრუნდება დაზღვეულ პირს.

როდესაც პრემიის თანხის გადახდის საპასუხო დაკმაყოფილება დაყოფადია, ხოლო სრულ შეუსრულებლობას ადგილი აქვს მის ნებისმიერ დაყოფად ნაწილში, ანალოგიური პირობებით პრემიის პროპორციული თანხის ნაწილი ექვემდებარება დაზღვეული პირისათვის დაბრუნებას.

2539. როდესაც პოლისი ბათილია ან უქმდება მზღვეველის მიერ რისკის წარმოშობამდე, პრემიის თანხა ექვემდებარება დაზღვეული პირისათვის დაბრუნებას იმ პირობით, რომ დაზღვეული პირის მხრიდან არანაირ მოტყუებას ან უკანონობას ადგილი არ ჰქონია; თუმცა, თუ რისკი დაყოფადი არ არის და ის უკვე გადავიდა მზღვეველზე, პრემიის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.

2540. როდესაც დაზღვეული ქონება ან მისი ნაწილი არასოდეს არ დამდგარა რისკის ქვეშ, პრემიის თანხა ან მისი პროპორციული თანხის ნაწილი ექვემდებარება დაბრუნებას.

როდესაც ქონება დაზღვეულია ფორმულით „დაკარგული ან არ არის დაკარგული“ და ის უვნებლად ჩამოვიდა იმ მომენტში, როდესაც იდება ხელშეკრულება, პრემიის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნულ მომენტში მზღვეველმა იცოდა ქონების უვნებლად ჩამოსვლის შესახებ.

2541. როდესაც დაზღვეულ პირს არა აქვს დაზღვევის ინტერესი რისკის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, პრემიის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას იმ პირობით, რომ ხელშეკრულება არ დაიდო თამაშობის ან საანაძლეოს გზით.

როდესაც დაზღვეულ პირს აქვს საცილო დაზღვევის ინტერესი, რომელიც უქმდება რისკის მოქმედების დროს, პრემიის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.

2542. როდესაც დაზღვეულმა პირმა ღირებულების მითითების გარეშე ხელშეკრულების საფუძველზე ქონება დააზღვია ღირებულებაზე მეტი ოდენობით, პრემიის პროპორციული თანხის ნაწილი ექვემდებარება დაბრუნებას.

იგივე წესი მოქმედებს რამდენიმე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ღირებულებაზე მეტი ოდენობით დაზღვევის შემთხვევაშიც, თუ ის დადებულია ისე, რომ ამის შესახებ დაზღვეულმა პირმა არაფერი იცის. თუმცა, თუ ხელშეკრულებები ძალაში შევიდა სხვადასხვა დროს და თითოეული ხელშეკრულება ნებისმიერ მომენტში არის მთლიანი რისკის მატარებელი ანდა თუ საკომპენსაციო თანხა მზღვეველის მიერ გადახდილ იქნა აღნიშნული ხელშეკრულებებით დაზღვეული სრული თანხის მიმართ, — აღნიშნული ხელშეკრულების მიმართ პრემიის თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას.

2543. ბროკერს აქვს პოლისის დაკავების უფლება პრემიის თანხისა და მის მიერ პოლისის გაცემასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯებისათვის.

როდესაც ბროკერს საქმე ჰქონდა იმ პირთან, რომელიც თითქოს მოქმედებდა საკუთარი სახელით, მას ასევე აქვს პოლისის დაკავების უფლება იმ ნებისმიერ დარჩენილ სადაზღვევო თანხასთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა მას აღნიშნული პირისაგან ეკუთვნოდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალის კისრებისას მას ჰქონდა საფუძველი ეფიქრა, რომ აღნიშნული პირი მოქმედებდა მხოლოდ სხვა პირის სახელით.

2544. როდესაც ბროკერის მიერ მიღებულ პოლისში აღიარებულია პრემიის

თანხის მიღება, მოტყუების ფაქტის არარსებობისას აღიარება გადამწყვეტია მზღვეველსა და დაზღვეულ პირს შორის, თუმცა — არა მზღვეველსა და ბროკერს შორის.

§ 6. — ინფორმაციის გამჟღავნება და განცხადებები

2545. საზღვაო დაზღვევის ხელშეკრულება არის ისეთი ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნება უმაღლესი ხარისხის კეთილსინდისიერებას.

თუ რომელიმე მხარე არ მოქმედებს უმაღლესი ხარისხის კეთილსინდისიერებით, მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება.

2546. დაზღვეულმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა გაუმჟღავნოს მზღვეველს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა მზღვეველზე პრემიის თანხის დადგენისას, რისკის შეფასებისას ან იმის განსაზღვრისას, იკისრებდა თუ არა ის ამ რისკს; დაზღვეულმა პირმა უნდა გააკეთოს მხოლოდ სიმართლის შესაბამისი განცხადებები.

გარემოებები, რომლებიც ითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას, მოიცავს მზღვეველისათვის წარდგენილ ნებისმიერ შეტყობინებას ან ამ უკანასკნელის მიერ მიღებულ ინფორმაციას.

2547. ინფორმაციის მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაში, დაზღვეული პირი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს ის გარემოებები, რომლებიც ამცირებს რისკს და რომლებიც ზედმეტია პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო გარანტიების არსებობის გამო.

ანალოგიურად, დაზღვეული პირი არ არის ვალდებული გაამჟღავნოს საყოველთაოდ ცნობილი საკითხები ან ის გარემობები, რომლებიც ცნობილია მზღვეველისათვის ანდა რომელთა შესახებ ინფორმირებაზეც მზღვეველმა უარი განაცხადა.

2548. ფაქტთან დაკავშირებული განცხადება მიიჩნევა სწორად, თუ სხვაობა გაცხადებულსა და იმას შორის, რაც რეალურად ზუსტია, მნიშვნელოვნად არ მოახდენდა გავლენას მზღვეველის დასკვნაზე.

განცხადება მოლოდინთან ან რწმენასთან დაკავშირებით მიიჩნევა სწორად, თუ ის ხორციელდება კეთილსინდისიერად.

2549. როდესაც დაზღვევა დაზღვეული პირისათვის იდება მისი წარმომადგენლის მიერ, ამ უკანასკნელს ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც დაზღვეულ პირს აქვს ინფორმაციის გამჟღავნებასა და განცხადებებთან დაკავშირებით.

თუმცაღა, არ ჩაითვლება, რომ წარმომადგენელი მოქმედებს დაუდევრობით იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ დაზღვეულმა პირმა ძალიან გვიან გაიგო, რათა ისინი შეეტყობინებინა მისთვის.

2550. მიიჩნევა, რომ დაზღვეული პირისა და მზღვეველისათვის, ისევე როგორც მათი წარმომადგენელებისათვის ცნობილია იმ ყოველი გარემოების

შესახებ, რაც მათ ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში უნდა სცოდნოდათ.

2551. წარმომადგენლობა შეიძლება ხელშეკრულების დადებამდე გაუქმდეს ან შეიცვალოს.

2552. დაზღვეული პირის მხრიდან ნებისმიერი დაუდევრობა ან შეცდომაში შემყვანი განცხადება მზღვეველის თხოვნის საფუძველზე იწვევს ხელშეკრულების გაბათილებას, თუნდაც — იმ ზარალის მიმართ, რომელიც არ არის დაკავშირებული ამგვარად დამახინჯებულად წარმოდგენილ ან დაფარულ რისკებთან.

§ 7. — გარანტიები

2553. გარანტია წარმოადგენს დაზღვეული პირის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომლითაც ის ადასტურებს ან უარყოფს კონკრეტული ფაქტობრივი მდგომარების არსებობას ან იძლევა დაპირებას, რომ ზოგიერთი კონკრეტული ნივთი დამზადდება ან არ დამზადდება ანდა რომ ზოგიერთი პირობა მომავალში შესრულდება.

ფაქტობრივი მდგომარების დადასტურება ან უარყოფა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ ფაქტობრივი მდგომარება მომავალში არ შეიცვლება.

2554. გარანტია ზედმიწევნით უნდა შესრულდეს, მიუხედავად იმისა, შეეძლო თუ არა მას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მზღვეველის დასკვნაზე.

როდესაც გარანტია ამგვარად არ სრულდება, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან გარანტიის დარღვევის მომენტიდან იმ ნებისმიერი ზარალის მიმართ, რომელიც შემდგომში დგება; დაზღვეული პირი შესაგებლის სახით ვერ გამოიყენებს იმ ფაქტს, რომ ვალდებულების დარღვევა აღმოიფხვრა და გარანტია შესრულდა ზარალის დადგომამდე.

2555. დაზღვეულ პირს არ მოეთხოვება იმ გარანტიის შესრულება, რომელიც უკანონო გახდა ან გარემოებების ცვლილების გამო ვეღარ იქნება გამოყენებული ხელშეკრულების მიმართ არსებული გარემოებების მიმართ.

2556. გარანტია შეიძლება იყოს პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო. პირდაპირ გამოხატული გარანტია შეიძლება გამოითქვას ნებისმიერი სიტყვებით, თუმცა უნდა ჩაიწეროს პოლისში ან მოცემული იყოს პოლისში დამატების სახით შეტანილ დოკუმენტში.

პირდაპირ გამოხატული გარანტია არ გამორიცხავს უსიტყვო გარანტიას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველი არ შეესაბამება უსიტყვო გარანტიას.

2557. როდესაც დასაზღვევი ქონება, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის გემს ან საქონელს, არის პირდაპირ გარანტირებული როგორც „ნეიტრალური“, სახეზეა უსიტყვო გარანტია იმაზე, რომ ქონებას რისკის წარმოშობის მომენტში ექნება ნეიტრალური ხასიათი და რომ, რამდენადაც დაზღვეულ

პირს შეუძლია ვითარების კონტროლი, მისი ნეიტრალური ხასიათი შენარჩუნდება რისკის არსებობის განმავლობაში.

როდესაც გემი პირდაპირ გარანტირებულია როგორც „ნეიტრალური“, რამდენადაც დაზღვეულ პირს შეუძლია ვითარების კონტროლი, სახეზეა ასევე უსიტყვო გარანტია იმაზე, რომ გემს თან ექნება აუცილებელი ქაღალდები მისი ნეიტრალურობის დასადგენად და რომ ის არ გააყალბებს ან დაფარავს თავის ქაღალდებს ან არ გამოიყენებს გაყალბებულ ქაღალდებს. თუ ნებისმიერი ზარალი დგება აღნიშნული უსიტყვო გარანტიის დარღვევის შედეგად, მზღვეველს შეუძლია სარჩელის წარდგენა ხელშეკრულების გაბათილების მოთხოვნით.

2558. უსიტყვო გარანტიას ადგილი არა აქვს გემის სახელმწიფო კუთვნილებასთან ან იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო კუთვნილება არ შეიცვლება რისკის არსებობის განმავლობაში.

2559. როდესაც დაზღვეული ქონების სათანადო მდგომარეობა ან უსაფრთხოება გარანტირებულია კონკრეტულ დღეს, საკმარისია, რომ ის უსაფრთხოდ იყოს აღნიშნული დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

2560. სარეისო პოლისის შემთხვევაში, სახეზეა უსიტყვო გარანტია იმაზე, რომ რეისის დაწყებისას გემი ვარგისი იქნება დაზღვეული საზღვაო საქმიანობის მიზნისათვის.

როდესაც რისკი წარმოიშობა იმ დროს, როდესაც გემი პორტში იმყოფება, სახეზეა ასევე უსიტყვო გარანტია იმაზე, რომ რისკის წარმოშობის მომენტში გემი ვარგისი იქნება, გაუმკლავდეს პორტის ჩვეულებრივ საფრთხეებს; როდესაც რეისის სხვადასხვა ეტაპები გემისათვის ითხოვს სხვადასხვა სახის ან შემდგომ მომზადებასა თუ აღჭურვას, სახეზეა უსიტყვო გარანტია იმაზე, რომ გემი საზღვაოსნოდ ვარგისი იქნება ყოველი ეტაპის დაწყების მომენტში.

2561. ვადიანი პოლისის შემთხვევაში, უსიტყვო გარანტია სახეზე არ არის გემის საზღვაოსნოდ ვარგისიანობასთან დაკავშირებით.

როდესაც გემი ზღვაში გადის საზღვაოსნოდ უვარგის მდგომარეობაში ისე, რომ ეს ფაქტი ცნობილია დაზღვეული პირისათვის, მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი იმ ნებისმიერი ზარალისათვის, რომელიც დაკავშირებულია გემის აღნიშნულ ცურვისათვის გამოუსადეგარობასთან.

2562. გემი მიიჩნევა საზღვაოსნოდ ვარგისიანად, როდესაც ის ყოველმხრივ გამოსადეგია გაუმკლავდეს დაზღვეული საზღვაო საქმიანობის დროს ზღვებზე შექმნილ ჩვეულებრივ საფრთხეებს.

2563. საქონლისა თუ სხვა მოძრავი ნივთების დაზღვევის ხელშეკრულებაში უსიტყვო გარანტია სახეზე არ არის იმასთან დაკავშირებით, რომ საქონელი ან მოძრავი ნივთები ვარგისია საზღვაო გადაზიდვებისათვის.

თუმცაღა, სარეისო პოლისის შემთხვევაში, სახეზეა უსიტყვო გარანტია იმასთან დაკავშირებით, რომ რეისის დაწყებისას გემი ვარგისია საზღვაოსნოდ და რომ ის გამოსადეგია საქონლის დანიშნულების ადგილამდე მიტანისათვის.

2564. უსიტყვო გარანტია სახეზეა იმასთან დაკავშირებით, რომ დაზღვეული საზღვაო საქმიანობა არ არის უკანონო და, რამდენადაც დაზღვეულ პირს შეუძლია ვითარების კონტროლი, — საზღვაო საქმიანობა წარიმართება კანონის შესაბამისად.

§ 8. — მოგზაურობა

I. — მოგზაურობის დაწყება

2565. მოგზაურობის ხელშეკრულება შეიცავს ნაგულისხმევ პირობას იმის შესახებ, რომ თუ ხელშეკრულების დადებისას გემი არ იმყოფება ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ გამგზავრების ადგილზე, საზღვაო საქმიანობა, მიუხედავად ამისა, მაინც იწყება გონივრულ ვადაში.

თუ საზღვაო საქმიანობა ამგვარად არ იწყება, მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გაბათილება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზღვეული პირი დაამტკიცებს, რომ დაგვიანება გამოწვეული იყო მზღვეველისათვის ცნობილი გარემოებებით მანამდე, სანამ დაიდო ხელშეკრულება.

2566. როდესაც გემი ზღვაში გადის სხვა ადგილიდან, ნაცვლად ხელშეკრულებაში მითითებული გამგზავრების ადგილისა, რისკი არ წარმოიშობა.

იგივე წესი მოქმედებს, როდესაც გემი მიემართება სხვა დანიშნულების ადგილზე, ნაცვლად ხელშეკრულებაში გათვალისწინებულისა.

II. — მოგზაურობის შეცვლა

2567. მოგზაურობის შეცვლას ადგილი აქვს იმ მომენტიდან, როდესაც რისკის წარმოშობის შემდეგ ხდება ხელშეკრულებაში მითითებული დანიშნულების ადგილის ნებაყოფლობითი შეცვლის განზრახულობის გამჟღავნება.

მზღვეველი ცვლილების მომენტიდან თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა რეალურად მოგზაურობის მიმართულების შეცვლა, როდესაც დგება ზარალი.

III. — კურსიდან გადახვევა

2568. კურსიდან გადახვევა სახეზეა, როდესაც გემი რეალურად სცდება ხელშეკრულებაში მითითებულ მიმართულებას ან თუ არანაირი კურსი არ არის მითითებული, — როდესაც ადგილი აქვს სტანდარტული და ჩვეულებრივი მიმართულებიდან გადახვევას.

მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან კანონიერი საპატიო მიზეზის გარეშე განხორციელებული გადახვევის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, დაუბრუნდა თუ არა გემი თავის კურსს რაიმე ზარალის დადგომამდე.

2569. როდესაც ხელშეკრულებაში მითითებულია გადმოტვირთვის რამდენიმე ადგილი, გემს შეუძლია მივიდეს ყველა ან ნებისმიერ ადგილამდე.

თუმცა, ნებისმიერი საწინააღმდეგო ჩვეულებების ან კანონიერი საპატიო მიზეზის არარსებობისას, გემი უნდა გამგზავროს იმ ადგილისაკენ, სადაც ის მიემართება ხელშეკრულებაში მითითებული რიგითობის მიხედვით; თუ ის ამგვარად არ იქცევა, სახეზეა კურსიდან გადახვევა.

2570. როდესაც განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში გადმოტვირთვის რამდენიმე ადგილი ხელშეკრულებაში აღწერილია ზოგადად და არ არის დასახელებული, ნებისმიერი საწინააღმდეგო ჩვეულებების ან კანონიერი საპატიო მიზეზის არარსებობისას, გემი უნდა გამგზავროს იმ ადგილისაკენ, სადაც ის მიემართება გეოგრაფიული რიგითობის მიხედვით; თუ ის ამგვარად არ იქცევა, სახეზეა კურსიდან გადახვევა.

IV. — დაგვიანება

2571. მოგზაურობის ხელშეკრულების შემთხვევაში, საზღვაო საქმიანობა უნდა წარიმართოს დროულად და თუ კანონიერი საპატიო მიზეზის გარეშე ის ამგვარად არ წარიმართება, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ მომენტიდან, როდესაც დროულობის არარსებობა აშკარა ხდება.

V. — კურსიდან გადახვევის ან დაგვიანების საპატიო მიზეზები

2572. კურსიდან გადახვევა ან მოგზაურობის წარმართვის დაგვიანება არის საპატიო, როდესაც ის ნებადართულია ხელშეკრულებით ან აუცილებელია პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო გარანტიის შესასრულებლად ანდა როდესაც ის გამოწვეულია გემის კაპიტნისა და მისი დამსაქმებლის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებებით ან აუცილებელია დაზღვეული ქონების უსაფრთხოებისათვის.

კურსიდან გადახვევა ან დაგვიანება ასევე საპატიოა, როდესაც მას ადგილი აქვს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის ან გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი გემის გახმარებისათვის, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს შეიძლება ემუქრებოდეს საფრთხე ან როდესაც აღნიშნული აუცილებელია სამედიცინო ან საოპერაციო დახმარების მიღებისათვის ბორტზე მყოფი ნებისმიერი პირის მიერ ანდა როდესაც ის გამოწვეულია კაპიტნის ან ეკიპაჟის მხრიდან გემის ან ტვირთისათვის ზიანის მიმყენებელი საქციელით იმ პირობით, რომ გემის ან ტვირთისათვის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი წარმოადგენს ერთ-ერთ დაზღვეულ საფრთხეს.

2573. როდესაც კურსიდან გადახვევის ან დაგვიანების გამამართლებელი მიზეზი აღარ არსებობს, გემი უნდა დაუბრუნდეს თავის კურსსა და განახორციელოს რეისი გონივრული ტემპით.

2574. როდესაც დაზღვეული საფრთხის დადგომისას მოგზაურობა შუალედში ფერხდება ისეთი გარემოებების არსებობისას, რომლებიც — გარდა

ფრახტირების ხელშეკრულებაში მოცემული ნებისმიერი განსაკუთრებული შეთანხმებისა — ამართლებს გემის კაპიტანს ნაპირზე საქონლის ან სხვა მოძრავი ქონების გადმოტვირთვისა და ხელახლა დატვირთვის გადაწყვეტილების მიღებაში ანდა — საქონლის ან სხვა მოძრავი ქონების სხვა გემზე გადატვირთვისა და მათი სხვა დანიშნულების ადგილზე გაგზავნის გადაწყვეტილების მიღებაში, მზღვეველის პასუხისმგებლობა ნარჩუნდება.

§ 9. — ზარალის შესახებ შეტყობინება

2575. ზარალის შესახებ შეტყობინება მოწესრიგებულია არასაზღვაო ზიანის დაზღვევის მიმართ მოქმედი ნორმებით.

2576. მზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზარალებისათვის, რომლებიც უშუალოდ გამოწვეულია დაზღვეული საფრთხით.

მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი იმ ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული პირის განზრახი ბრალით, თუმცა ის პასუხს აგებს, თუ აღნიშნული გამოწვეულია გემის კაპიტნის ან ეკიპაჟის მხრიდან არსებული ბრალით.

2577. გემის ან საქონლის მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი იმ ზარალისათვის, რომელიც უშუალოდ გამოწვეულია დაგვიანებით, თუნდაც ეს უკანასკნელი ფაქტი შესაძლოა თავად ჩაითვალოს დაზღვეული საფრთხის დადგომად.

მზღვეველი ასევე არ არის პასუხისმგებელი სამანქანო განყოფილებისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც უშუალოდ არ არის გამოწვეული საზღვაო საფრთხეებით, ისევე როგორც — იმ ნებისმიერი ზარალისათვის, რომელიც უშუალოდ გამოწვეულია ვირთხების ან მავნებლების მიერ, ჩვეულებრივი ამორტიზაციით, რეისის დროს მომხდარი ჩვეულებრივი გაჟონვითა და დაზიანებით ანდა თავად დაზღვეული ქონების ბუნებითა თუ მისი ნებისმიერი თანდაყოლილი ხარვეზით.

2578. ზარალი შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

სრული ზარალი შეიძლება იყოს ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალი ან სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალი.

მხოლოდ წინამდებარე ქვეგანყოფილებაში მითითებული ზარალი შეიძლება იქნეს მიჩნეული სრულ ზარალად.

2579. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლისის პირობებიდან განსხვავებული განზრახვა ვლინდება, სრული ზარალის წინააღმდეგ დაზღვევა მოიცავს სავარაუდოდ მიჩნეულ სრულ ზარალსაც, ისევე როგორც — ფაქტობრივად დამდგარ სრულ ზარალს.

2580. ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალი სახეზეა, როდესაც დაზღვეულ პირს ერთმევა დაზღვეული ქონება უკან დაბრუნების შესაძლებლობის გარეშე ან როდესაც ის ნადგურდება ან ზიანდება იმგვარად, რომ ის წყვეტს

დაზღვეული ნივთის სახით არსებობას. ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალი შეიძლება ივარაუდებოდეს, როდესაც გემი დაიკარგა და მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იქნა მიღებული გონივრული ვადის განმავლობაში.

2581. სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალი სახეზეა, როდესაც დაზღვეული ქონება მიტოვებულია მისი ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალის გამო, რომელიც, როგორც ჩანს, გაურდაუვალია, ან — რადგანაც მისი ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალისაგან დაცვა შეუძლებელი იქნებოდა იმ დანახარჯების გაწევის გარეშე, რომლებიც გადააჭარბებდა დაზღვეული ქონების ღირებულებას.

სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალი სახეზეა, როდესაც დაზღვეულ პირს დაზღვეული საფრთხის გამო ერთმევა დაზღვეულ ქონებაზე მფლობელობა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის შეძლებს ამ ქონების დაბრუნებას, ან ასეთი მცდელობა მეტისმეტად ძვირადღირებული იქნებოდა; სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალი ასევე სახეზეა, როდესაც დაზღვეული ქონებისათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრა მეტისმეტად ძვირადღირებული იქნებოდა.

2582. ივარაუდება, რომ მფლობელობის დაბრუნება ან ზიანის აღმოფხვრა მეტისმეტად ძვირადღირებულია, როდესაც დანახარჯი აჭარბებდა დაზღვეული ქონების ღირებულებას ხარჯების გაწევის მომენტში, ან როდესაც ზიანის აღმოფხვრა და საქონლის მათი დანიშნულების ადგილზე გადაგზავნა გადააჭარბებდა ადგილზე მისვლისას არსებულ მათ ღირებულებას ანდა — გემისათვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრის ხარჯი გადააჭარბებდა გემის იმ ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა გარემონტების შემდეგ.

2583. რემონტის ხარჯის შეფასებისას არანაირი გამოქვითვა არ უნდა მოხდეს საერთო ავარიის დროს იმ სარემონტო სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხების მიმართ, რომლებიც ექვემდებარება დაფინანსებას სხვა ინტერესების გამო.

თუმცაღა, გასათვალისწინებელია სამომავლო სამაშველო ოპერაციების ხარჯი და ასევე ნებისმიერი სამომავლო საერთო ავარიის დროს ასანაზღაურებელი თანხები, რაზეც პასუხისმგებელი იქნება გემი, თუ მოხდება მისი რემონტი.

2584. როდესაც სახეზეა სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალი, დაზღვეულ პირს შეუძლია ზარალი ნაწილობრივ ზარალად მიიჩნიოს ანდა დაზღვეული ქონება დაუტოვოს მზღვეველს და ზარალი კი ჩათვალოს, თითქოს ის ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალი იყოს.

2585. როდესაც დაზღვეული პირი წარადგენს სარჩელს სრული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო მტკიცებულებებით კი დასტურდება მხოლოდ ნაწილობრივი ზარალი, მას მაინც შეუძლია დაიბრუნოს ნაწილობრივი ზარალი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნაწილობრივი ზარალები ხელშეკრულებით არ იფარება.

2586. როდესაც აღნიშვნების წაშლისა თუ სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია იმ საქონლის იდენტიფიცირება, რომელმაც მიაღწია მის დანიშნულების ადგილამდე, დაზღვეულ პირს აქვს სარჩელის უფლება მხოლოდ ნაწილობრივი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

§ 10. — ქონების მიტოვება

2587. როდესაც დაზღვეული პირი გადაწყვეტს დაზღვეული ქონების მიტოვებას, მან უნდა წარადგინოს მიტოვების შესახებ შეტყობინება, გარდა ფაქტობრივად დამდგარი სრული ზარალის შემთხვევისა. თუ ის ამგვარად არ იქცევა, მას ექნება სარჩელის უფლება მხოლოდ ნაწილობრივი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.

2588. ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინების ფორმასა თუ შინაარსთან დაკავშირებით რაიმე სპეციალური მოთხოვნები არ არსებობს, თუმცა დაზღვეულმა პირმა ნათელი უნდა გახადოს თავისი ქონების უპირობო მიტოვების განზრახვა.

2589. ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს გულისხმიერად ზარალის თაობაზე სანდო ინფორმაციის მიღების შემდეგ.

როდესაც ინფორმაცია საეჭვო ხასიათისაა, დაზღვეული პირი უფლებამოსილია გონივრულ ვადაზე შესაბამისი ცნობების მოპოვებისათვის.

2590. ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინება აუცილებელი არ არის, თუ იმ მომენტში, როდესაც დაზღვეული პირი იღებს ზარალის თაობაზე სანდო ინფორმაციას, მზღვეველი ქონების მიტოვებისაგან ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებდა, თუნდაც შეტყობინება ყოფილიყო მისთვის წარდგენილი.

2591. არ არის აუცილებელი, რომ მზღვეველმა ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინება წარუდგინოს თავის გადამზღვევს.

2592. მზღვეველს შეუძლია დაეთანხმოს ან უარყოს მისთვის კანონიერად შეთავაზებული ქონების მიტოვება. მას ასევე შეუძლია უარი თქვას ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინების წარდგენაზე.

ქონების მიტოვებაზე თანხმობა შეიძლება იყოს პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო გამომდინარე მზღვეველის მოქმედებებიდან, თუმცა მზღვეველის მხრიდან უბრალო სიჩუმე არ წარმოადგენს თანხმობას.

2593. ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინებაზე თანხმობის შედეგად გვარდება მისი არასათანადო შინაარსის გამო შესაძლო პრობლემური საკითხი, ქონების მიტოვება ხდება გამოუთხოვადი და საბოლოოდ დგინდება მზღვეველის ვალდებულება, მისცეს შესაბამისი კომპენსაცია დაზღვეულ პირს.

2594. როდესაც მზღვეველი თანხმდება ქონების მიტოვებას, ის ზარალის დადგომის მომენტიდან იძენს დაზღვეული პირის ინტერესს ყველაფერ იმაში,

რაც შეიძლება დარჩეს დაზღვეული ქონებიდან და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული ყველა უფლებიდან და ვალდებულებიდან.

მზღვეველი, რომელიც დათანხმდა გემის მიტოვებას, უფლებამოსილია ზარალის დადგომის შემდეგ მიღებულ ნებისმიერ ფრახტზე, რომელსაც გამოაკლდება ზარალის დადგომის შემდეგ გაწეული ხარჯები; ხოლო როდესაც გემს გადააქვს მისი მესაკუთრის საქონელი, მზღვეველი უფლებამოსილია გონივრულ საზღაურზე ამ საქონლის გადაზიდვისათვის, რაც ხორციელდება ზარალის დადგომის შემდეგ.

2595. როდესაც ქონების მიტოვების შესახებ შეტყობინების წარდგენა სათანადოდ ხდება, დაზღვეული პირის უფლებები, განსაკუთრებით კი, — სავარაუდოდ მიჩნეული სრული ზარალის ანაზღაურების უფლება არ ილახება იმ ფაქტით, რომ მზღვეველი ქონების მიტოვების თანხმობის მიცემაზე აცხადებს უარს.

დაზღვეული პირი ინარჩუნებს თავის ინტერესს ყველაფერ იმაში, რაც შეიძლება დარჩეს დაზღვეული ქონებიდან და ყველა მასთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებებისაგან თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი უნაზღაურებს მას ზარალს, რაც გახდა ქონების მიტოვების მიზეზი.

§ 11. — ავარიული ზარალის სახეები

2596. კონკრეტული ავარიული ზარალი წარმოადგენს დაზღვეული ქონების ნაწილობრივ ზარალს, რომელიც გამოწვეულია დაზღვეული საფრთხით და არ მიეკუთვნება საერთო ავარიის ზარალს.

2597. დაზღვეული პირის მიერ ან მისი სახელით დაზღვეული ქონების შენარჩუნებისა თუ დაცვისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლებიც არ განეკუთვნება საერთო ავარიისა და ქონების გადარჩენის ხარჯებს, კონკრეტულ ხარჯებს უწოდებენ.

კონკრეტული ხარჯები არ შედის კონკრეტულ ავარიაში.

2598. ქონების გადარჩენის იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც გაწეულ იქნა დაზღვეული საფრთხეებისაგან ზარალის თავიდან აცილებისას, შესაძლებელია როგორც აღნიშნული საფრთხეების შედეგად დამდგარი ზარალისა.

„ქონების გადარჩენის ხარჯები“ გულისხმობს ისეთ ხარჯებს, რომელთა ანაზღაურებაც ხდება მაშველის მიერ ხელშეკრულების გარეშე საზღვაო სამართლის ნორმების საფუძველზე. ეს ხარჯები არ მოიცავს დაზღვეული პირის ან მისი სახელით მოქმედი პირების ანდა მათ მიერ დაქირავებული ნებისმიერი პირის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ დაზღვეული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით გაწეული სამაშველო მომსახურების ხარჯებს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ხარჯები სათანადოდ იქნა გაწეული, რა შემთხვევაშიც ისინი შეიძლება ანაზღაურდეს როგორც კონკრეტული ხარჯები ან როგორც საერთო ავარიის ზარალი იმ გარემოებების შესაბამისად, რომელთა არსებობისას აღნიშნული ხარჯები იქნა გაწეული.

2599. საერთო ავარიის ზარალი წარმოადგენს საერთო ავარიის ფაქტით გამოწვეულ ზარალს.

საერთო ავარიის ფაქტი სახეზეა, როდესაც ნებისმიერ განსაკუთრებულ დანაკლისსა თუ ხარჯის გაღებას საფრთხის მომენტში ადგილი აქვს ნებაყოფლობით და გონივრულად საფრთხის წინაშე არსებული ქონების შენარჩუნების მიზნით.

2600. როდესაც სახეზეა საერთო ავარიის ზარალი, მხარე, რომელიც მას განიცდის, უფლებამოსილია თანაზომიერი თანხის მიღებაზე სხვა დაინტერესებული პირებისაგან საზღვაო სამართლის მიერ დადგენილი პირობების გათვალისწინებით, ხოლო აღნიშნულ თანხას საერთო ავარიის დროს ასანაზღაურებელი თანხა ეწოდება.

2601. როდესაც დაზღვეულმა პირმა გასწია საერთო ავარიის ხარჯი, მას შეუძლია მზღვეველისაგან მიიღოს ანაზღაურება ზარალის იმ პროპორციის მიხედვით, რაც მოდის მასზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში; საერთო ავარიის დანაკლისის შემთხვევაში, მას შეუძლია მზღვეველისაგან მიიღოს ანაზღაურება მთლიან ზარალთან დაკავშირებით სხვა მხარეებისაგან კუთვნილი რეგრესის უფლების განხორციელების ვალდებულების გარეშე.

2602. მზღვეველი არ არის ვალდებულია, აანაზღაუროს ნებისმიერი საერთო ავარიის ზარალი ან რეგრესი, როდესაც ზარალის დადგომა არ მოხდა დაზღვეული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ან ასეთი საფრთხის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით.

2603. როდესაც გემი, ფრახტი და ტვირთი ან სხვა მოძრავი ნივთები ანდა ნებისმიერი ორი მათგანი ეკუთვნის ერთი და იგივე დაზღვეულ პირს, მზღვეველის პასუხისმგებლობა საერთო ავარიის ზარალებთან ან რეგრესთან დაკავშირებით უნდა განისაზღვროს ისე, თითქოს ქონება ეკუთვნოდა სხვდასხვა პირებს.

§ 12. — საზღაურის ოდენობის დადგენა

2604. ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოითვლება დაზღვევის ღირებულების სრული მოცულობის მიხედვით ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის პოლისის შემთხვევაში, ან — პოლისში დაფიქსირებული ღირებულების სრული მოცულობით ღირებულების მითითებით დაზღვევის პოლისის შემთხვევაში.

2605. როდესაც სახეზეა ხელშეკრულების საფუძველზე ასანაზღაურებელი ზარალი, მზღვეველი — ან ყოველი მზღვეველი, თუ სახეზეა ერთზე მეტი მზღვეველი — პასუხისმგებელია საზღაურის ოდენობის იმ პროპორციისათვის, რომლითაც მის მიერ ხელმოწერილი თანხა უტოლდება პოლისში დაფიქსირებულ ღირებულებას ღირებულების მითითებით დაზღვევის პოლისის შემთხვევაში, ან — დაზღვევის ღირებულებას ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის პოლისის შემთხვევაში.

2606. საზღაურის ოდენობა სრული ზარალისათვის შეადგენს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ თანხას ღირებულების მითითებით დაზღვევის პოლისის შემთხვევაში, ან — დაზღვეული ქონების დაზღვევის ღირებულებას ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის პოლისის შემთხვევაში.

2607. როდესაც იკარგება ფრახტი, საზღაურის ოდენობა წარმოადგენს, ღირებულების მითითებით დაზღვევის პოლისის შემთხვევაში, პოლისში დაფიქსირებული თანხის — ან ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის პოლისის შემთხვევაში, დაზღვევის ღირებულების — ისეთ პროპორციას, რითაც დაკარგული ფრახტი უტოლდება მთლიან დაზღვეულ ფრახტს.

2608. როდესაც ზიანდება გემი, თუმცა ის სრულად არ იკარგება, საზღაურის ოდენობა შეადგენს შემდეგს:

1) როდესაც გემი შეკეთდა, დაზღვეული პირი უფლებამოსილია სარემონტო სამუშაოების გონივრულ ღირებულებაზე, რომელსაც აკლდება ჩვეულებრივი გამოქვითვები, თუმცა — არაუმეტეს ნებისმიერი უბედური შემთხვევის მიმართ დაზღვევის თანხისა;

2) როდესაც გემი მხოლოდ ნაწილობრივ შეკეთდა, დაზღვეული პირი უფლებამოსილია აღნიშნული სარემონტო სამუშაოების გონივრულ ღირებულებაზე, რომელიც გამოითვლება 1-ლ პარაგრაფში მოცემული წესით, და ასევე — ქონების ღირებულების გონივრული შემცირებისათვის იმ საზღაურის მიღებაზე, რომელიც წარმოიშობა გამოუსწორებელი ზიანისაგან, იმ პირობით, რომ მთლიანი თანხა არ აღემატება სრული ზიანის გამოსწორების ღირებულებას;

3) როდესაც გემი არ შეკეთდა და არ გაიყიდა დაზიანებულ მდგომარეობაში რისკის არსებობის განმავლობაში, დაზღვეული პირი უფლებამოსილია ღირებულების გონივრული შემცირებისათვის იმ საზღაურის მიღებაზე, რომელიც წარმოიშობა გამოუსწორებელი ზიანისაგან და არ აღემატება ამ ზიანის გამოსწორების ღირებულებას, რაც გამოითვლება 1-ლ პარაგრაფში მოცემული წესით.

2609. როდესაც ღირებულების მითითებით დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული საქონლის ან სხვა მოძრავი ქონების ნაწილი ნაწილობრივ იკარგება, საზღაურის ოდენობა წარმოადგენს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხის ისეთ პროპორციას, რითაც საქონლის ან სხვა მოძრავი ქონების დაკარგული ნაწილის დაზღვეული ღირებულება უტოლდება მთლიან დაზღვეულ ღირებულებას, რაც დგინდება ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში.

როდესაც ღირებულების მითითების გარეშე დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეული ქონების ნაწილი მთლიანად იკარგება, საზღაურის ოდენობა უტოლდება ნაწილობრივი დანაკარგის იმ დაზღვეულ ღირებულებას, რაც დგინდება სრული ზარალის შემთხვევაში.

2610. როდესაც მთელი დაზღვეული საქონელი ან სხვა მოძრავი ქონება ან მისი ნებისმიერი ნაწილი მის დანიშნულების ადგილზე მიწოდებულ იქნა დაზიანებულ მდგომარეობაში, საზღაურის ოდენობა წარმოადგენს ფიქსირებუ-

ლი თანხის ან, გარემოებების გათვალისწინებით, დაზღვეული ღირებულების ისეთ პროპორციას, რითაც დაუზიანებელი და დაზიანებული ქონების მთლიან ღირებულებებს შორის სხვაობა უტოლდება დაუზიანებელი ქონების მთლიან ღირებულებას.

„მთლიანი ღირებულება“ გულისხმობს დანიშნულების ადგილზე არსებულ საბითუმო ფასს ან, თუ ასეთი ფასი სახეზე არ არის, ქონების შეფასებით ღირებულებას, ნებისმიერ შემთხვევაში, წინასწარ გადახდილ ფრახტთან, გადმოტვირთვის ხარჯებსა და მოსაკრებლებთან ერთად, ხოლო ჩვეულებრივ საბაჟო საწყობში (in bond) გაყიდული საქონლის შემთხვევაში კი, — საბაჟო საწყობში არსებულ ფასს.

2611. როდესაც სხვადასხვა ნაირსახეობის ქონება დაზღვეულია ერთიანი შეფასებით, ეს შეფასება ნაწილდება სხვადასხვა სახეობაზე მათი შესაბამისი დაზღვევის ღირებულებების პროპორციულად; ანალოგიურად, შესაბამისი ნაირსახეობის ქონების ნებისმიერი ნაწილის დაზღვევის ღირებულება წარმოადგენს აღნიშნული ნაირსახეობის მთლიანი დაზღვეული ღირებულების ისეთ პროპორციას, რითაც ნაწილის დაზღვევის ღირებულება უტოლდება მთლიან დაზღვევის ღირებულებას.

როდესაც სხვადასხვა ნაირსახეობის საქონლის შეფასება უნდა იქნეს განაწილებული, ხოლო ინვოისის ღირებულების, ხარისხის ან თითოეული ცალკე აღებული ნაირსახეობის სპეციფიკური მონაცემების დადგენა შეუძლებელია, შეფასების დანაწევრება შეიძლება განხორციელდეს დანიშნულების ადგილზე მოსული დაუზიანებელი საქონლის წმინდა ღირებულების შესაბამისად.

2612. როდესაც დაზღვეულმა პირმა გადაიხადა საერთო ავარიის დროს ასანაზღაურებელი თანხა ან ის პასუხისმგებელია აღნიშნულზე, საზღაურის ოდენობა სრულად მოიცავს ამ თანხას, თუ ქონება დაზღვეულია მისი სრული შესატანი ღირებულებისათვის; თუ ქონება არ არის დაზღვეული მისი სრული შესატანი ღირებულებისათვის ან თუ დაზღვეულია მხოლოდ მისი ნაწილი, საზღაურის თანხა მცირდება ქონების ღირებულებაზე ნაკლები თანხით დაზღვევის (under-insurance) პროპორციულად.

დაზღვეული პირის მიერ იმ კონკრეტული ავარიული ზარალის გამო განცდილი ზიანისათვის კომპენსაციის სახით მინიჭებული თანხა, რომელიც ქმნის შესატანი ღირებულებიდან გამოქვითვის თანხას და რომლისათვისაც მზღვეველი პასუხს აგებს, უნდა გამოიქვითოს დაზღვეული ღირებულებიდან იმისათვის, რათა დადგინდეს, თუ რა თანხის გადახდაზეა პახუხისმგებელი მზღვეველი.

ქონების გადარჩენის ხარჯებისათვის მზღვეველის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება ანალოგიური პრინციპებით.

2613. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საფუძველზე გადასახდელი საზღაურის ოდენობა წარმოადგენს მესამე პირებისათვის დაზღვევის თანხის ოდენობით გადახდილ ან გადასახდელ ფულად თანხას.

2614. როდესაც განცდილი ზარალი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ქვეგანყოფილებაში, საზღაურის ოდენობა შეძლებისდაგვარად ზუსტად დგინდება წინამდებარე ქვეგანყოფილების ნორმების შესაბამისად.

2615. როდესაც დაზღვეული ქონება გარანტირებულად თავისუფალია კონკრეტული ავარიისაგან, დაზღვეული პირი ვერ აინაზღაურებს დაზღვეული ქონების იმ ნაწილის ზარალს, რომელიც არ მიეკუთვნება საერთო ავარიის დანაკლისის გამო განცდილ ზარალს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება დაყოფადია.

თუ ხელშეკრულება დაყოფადია, დაზღვეულ პირს შეუძლია მიიღოს საზღაური დაზღვეული ქონების ნებისმიერი დაყოფადი ნაწილის სრული ზარალისათვის.

2616. როდესაც დაზღვეული ქონება გარანტირებულად თავისუფალია კონკრეტული ავარიისაგან როგორც სრულად, ისე განსაზღვრული პროცენტით, მზღვეველი მაინც პასუხისმგებელია ქონების გადარჩენის ხარჯებისათვის და ასევე იმ კონკრეტული ხარჯებისა და სხვა დანახარჯებისათვის, რომლებიც სათანადოდ იქნა გაწეული დაზღვეული პირის მიერ დაზღვეული ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დანახარჯების ანაზღაურებისა და ზარალის მესამე პირებისაგან ამოღების შესახებ პოლისის პირობის (sue and labour clause) დებულებების შესაბამისად.

საერთო ავარიის ზარალი ვერ დაემატება კონკრეტული ავარიის ზარალს, რათა მან შეადგინოს ხელშეკრულებაში შეთანხმებული პროცენტულობა. ანალოგიურად, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული კონკრეტული ხარჯები და ზარალის დადგენისა და მასთან დაკავშირებული დანახარჯები.

2617. წინამდებარე ქვეგანყოფილების დებულებების გათვალისწინებით, მზღვეველი მაინც პასუხისმგებელია მიმდევრობითი ზარალებისათვის, თუნდაც ასეთი ზარალების საერთო თანხა შესაძლოა აღემატებოდეს დაზღვეულ თანხას.

თუმცაღა, როდესაც ნაწილობრივ ზარალს, რომელიც არ წარმოადგენდა სარემონტო სამუშაოების ან ჩანაცვლების ობიექტს, თან ახლავს სრული ზარალი, დაზღვეულ პირს იგივე პოლისის საფუძველზე შეუძლია მიიღოს საზღაური მხოლოდ სრულ ზარალთან დაკავშირებით.

დაზღვეული პირის მიერ ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დანახარჯების ანაზღაურებისა და ზარალის მესამე პირებისაგან ამოღების შესახებ პოლისის პირობის საფუძველზე მზღვეველის პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

2618. მიიჩნევა, რომ დაზღვეული პირის მიერ ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დანახარჯების ანაზღაურებისა და ზარალის მესამე პირებისაგან ამოღების შესახებ პოლისის პირობა ემატება დაზღვევის ხელშეკრულებას; დაზღვეულ პირს შეუძლია მზღვეველისაგან აინაზღაუროს ნებისმიერი დანახარჯები, რომლებიც სათანადოდ იქნა გაწეული აღნიშნული პირობის საფუძველზე მიუხედავად იმისა, რომ მზღვეველს შეეძლო გადაეხადა სრული ზარალის თანხა ან ქონება შესაძლოა გარანტირებულად თავისუფალი ყოფილიყო კონკრეტული ავარიისაგან როგორც ერთიანად, ისე განსაზღვრული პროცენტით.

საერთო ავარიის ზარალები და რეგრესის თანხები, ქონების გადარჩენის ხარჯები და ნებისმიერი იმ ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზ-

ნით გაწეული ხარჯები, რომელიც არ იფარება ხელშეკრულებით, — არ ექვემდებარება ანაზღაურებას დაზღვეული პირის მიერ ზარალის თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით დანახარჯების ანაზღაურებისა და ზარალის მესამე პირებისაგან ამოღების შესახებ პოლისის პირობის საფუძველზე.

2619. ყველა შემთხვევაში, დაზღვეული პირისა და მისი წარმომადგენლების მოვალეობას წარმოადგენს გონივრული ზომების მიღება ზარალის თავიდან აცილების ან მისი მინიმიზაციის მიზნით.

§ 13. — სხვადასხვა დებულებები

I. — სუროგაცია

2620. როდესაც მზღვეველი ახდენს გადახდას სრული ზარალისათვის როგორც ერთიანად, ისე, საქონლის შემთხვევაში, დაზღვეული ქონების ნებისმიერი დაყოფადი ნაწილისათვის, ის უფლებამოსილი ხდება, მიიღოს დაზღვეული პირის ინტერესი ყველაფერ იმაში, რაც შეიძლება დარჩეს გადახდის შემდეგ დაზღვეული ქონებიდან, და ის აღნიშნულის შედეგად ზარალის გამომწვევი მოვლენის დადგომის მომენტიდან იძენს დაზღვეული პირის ყველა უფლებასა და სამართლებრივი დაცვის საშუალებას დაზღვეულ ქონებაში და მის მიმართ.

თუმცაღა, როდესაც მზღვეველი ახდენს გადახდას კონკრეტული ავარიული ზარალისათვის, ის არ იძენს უფლებას დაზღვეული ქონების ან მისი იმ ნაწილის მიმართ, რომელიც მისგან რჩება, მაგრამ აღნიშნულის შედეგად ის ზარალის გამომწვევი მოვლენის დადგომის მომენტიდან გადახდილი საზღაურის ფარგლებში იძენს დაზღვეული პირის ყველა უფლებასა და სამართლებრივი დაცვის საშუალებას დაზღვეულ ქონებაში და მის მიმართ.

II. — ორმაგი დაზღვევა

2621. როდესაც დაზღვეული პირის მიერ ან მისი სახელით ფორმდება ორი ან მეტი დაზღვევის პოლისი ერთი და იგივე საზღვაო საქმიანობასა და ინტერესზე ან აღნიშნულის ნებისმიერ ნაწილზე, ხოლო დაზღვეული თანხები კი აღემატება გადასახდელი საზღაურის თანხას, — მიიჩნევენ, რომ დაზღვეულმა ორმაგი დაზღვევით ქონება დააზღვია ღირებულებაზე მეტი ოდენობით.

2622. როდესაც დაზღვეულმა პირმა ორმაგი დაზღვევით ქონება დააზღვია ღირებულებაზე მეტი ოდენობით, მას შეუძლია მოითხოვოს გადახდა მზღვეველებისაგან იმგვარი რიგითობით, როგორსაც ის საჭიროდ ჩათვლის, თუმცა არც ერთ შემთხვევაში ის არ არის უფლებამოსილი მიიღოს ნებისმიერი თანხა გადასახდელი საზღაურის თანხაზე მეტი ოდენობით.

2623. როდესაც ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაზღვეული პირი ახორციელებს თავის მოთხოვნას, წარმოადგენს პოლისს ქონების ღირებულების მითითებით, დაზღვეულმა პირმა შეფასების თანხას უნდა გამოაკლოს მის მიერ ნებისმიერი სხვა პოლისის საფუძველზე მიღებული თანხა, მიუხედავად დაზღვეული ქონების ფაქტობრივი ღირებულებისა.

როდესაც ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაზღვეული პირი ახორციელებს თავის მოთხოვნას, წარმოადგენს პოლისს ქონების ღირებულების მითითების გარეშე, დაზღვეულმა პირმა სრულ სადაზღვევო ღირებულებას უნდა გამოაკლოს მის მიერ ნებისმიერი სხვა პოლისის საფუძველზე მიღებული თანხა.

2624. როდესაც დაზღვეული პირი ნებისმიერ თანხას იღებს გადასახდელი საზღაურის თანხაზე მეტი ოდენობით, მიიჩნევა, რომ ის აღნიშნულ თანხას ფლობს მზღვეველთა სახელით ერთმანეთს შორის მათი კუთვნილი რეგრესის უფლების შესაბამისად.

2625. როდესაც დაზღვეულმა პირმა ორმაგი დაზღვევით ქონება დააზღვია ღირებულებაზე მეტი ოდენობით, თითოეული მზღვეველი ვალდებულია, თავად მასსა და სხვა მზღვეველებს შორის ზარალის ანაზღაურებაში მიიღოს მონაწილეობა იმ თანხის თანაზომიერად, რომლის გადახდაზეც ის პასუხისმგებელია თავისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

თუ ნებისმიერი მზღვეველი იხდის ზარალის ანაზღაურებაში მისი თანამონაწილეობის წილზე მეტი ოდენობით, ის უფლებამოსილია, აინაზღაუროს სხვა მზღვეველებისაგან ზედმეტად გადახდილი თანხა იგივე წესით, რაც დადგენილია იმ თავდების მიმართ, რომელმაც გადაიხადა მისი წილი ვალის თანხაზე მეტი ოდენობით.

III. — ქონების ღირებულებაზე ნაკლებ თანხაზე დაზღვევა

2626. როდესაც დაზღვეული პირი იზღვევა დაზღვევის ღირებულებაზე ნაკლები თანხის ოდენობით ან, ღირებულების მითითებით დაზღვევის პოლისის შემთხვევაში კი, — პოლისში მითითებულ ღირებულებაზე ნაკლები თანხის ოდენობით, დაზღვეული პირი დაუზღვეველი დარჩენილი ნაწილის მიმართ წარმოადგენს თავისი თავის მზღვეველს.

IV. — ურთიერთდაზღვევა

2627. როდესაც ორი ან მეტი პირი ორმხრივად თანხმდება ერთმანეთის დაზღვევაზე საზღვაო ზარალების საწინააღმდეგოდ, მიიჩნევა, რომ სახეზეა ურთიერთდაზღვევა.

ურთიერთდაზღვევა რეგულირდება წინამდებარე განყოფილების დებულებებით, გარდა პრემიის მომწესრიგებელი დებულებებისა, თუმცა მხარეთა შორის შეთანხმებული საკითხის ასეთი გადაწყვეტა შეიძლება შეიცვალოს პრემიის თანხით.

V. — პირდაპირი სარჩელი

2628. დაზარალებული მესამე პირების პირდაპირ სარჩელთან დაკავშირებით მუხლები 2500-2503 გამოიყენება საზღვაო დაზღვევის მიმართ. ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც არ შეესაბამება აღნიშნულ წესებს.

თავი 16
თამაშობა და სანაძლეო

2629. თამაშობისა და სანაძლეოს ხელშეკრულებები ნამდვილია კანონით პირდაპირ დაშვებულ შემთხვევებში.

აღნიშნული ხელშეკრულებები ასევე ნამდვილია, როდესაც ისინი ეხება კანონიერ საქმიანობასა და ისეთ თამაშობებს, რომლებიც კონტრაჰენტების მხრიდან ითხოვს მხოლოდ უნარებსა თუ ფიზიკურ ძალისხმევას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რისკის ქვეშ არსებული თანხა არსებულ გარემოებებში ზღვარგადასულია მდგომარეობისა და მხარეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით.

2630. როდესაც თამაშობა და სანაძლეო პირდაპირ არ არის დაშვებული კანონით, გამარჯვებულ მხარეს არ შეუძლია ვალის გადახდის მოთხოვნა, ხოლო წაგებულ მხარეს კი არ შეუძლია გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

თუმცა, წაგებულ მხარეს შეუძლია გადახდილი თანხის უკან დაბრუნება მოტყუების ან ეშმაკობის შემთხვევებში ანდა როდესაც წაგებული მხარე არასრულწლოვანი ან დაცვითი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირია ანდა მას არ შეუძლია გონივრულად მოქმედება.

თავი 17
მორიგების აქტი

2631. მორიგების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეები ორმხრივი დათმობებისა თუ დათქმების გაკეთების გზით თავიდან იცილებენ მომავალ დავის საგანს, ასრულებენ სასამართლო დავას ანდა აგვარებენ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისას წარმოშობილ სირთულეებს.

თავის საგანთან მიმართებაში მორიგების აქტი დაუყოფადია.

2632. დაუშვებელია მორიგების აქტის დადება პირების სტატუსთან ან ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით ანდა — საჯარო წესრიგს მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

2633. მხარეთა შორის მორიგების აქტს აქვს კანონიერ ძალში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალა.

მორიგების აქტი არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას მანამდე, სანამ ის არ დადასტურდება.

2634. შეცდომა კანონში არ წარმოადგენს საფუძველს მორიგების აქტის გაბათილებისათვის. გარდა აღნიშნული გამონაკლისისა, მორიგების აქტი შეიძლება გაბათილდეს იგივე საფუძვლებით, როგორც ზოგადად ხელშეკრულებები.

2635. ბათილ სამართლებრივ საფუძველზე დაფუძნებული მორიგების აქტიც ბათილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა პირდაპირ მიუთითეს ბათილობაზე და გაითვალისწინეს ის.

ასევე ბათილია მორიგების აქტი, რომელიც ეფუძნება იმ დოკუმენტებს, რომლებიც მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ არის გაყალბებული.

2636. სასამართლო დავის წარმოებისას დადებული მორიგების აქტი ბათილია, თუ მხარეებმა, ან ერთ-ერთმა მათგანმა, არ იცოდნენ, რომ კანონიერ ძალში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (res judicata) სასამართლო დავა შეწყდა.

2637. როდესაც მხარეებმა დადეს მორიგების აქტი მათ შორის არსებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, შემდგომში იმ დოკუმენტების აღმოჩენა, რომელთა შესახებაც მათ მორიგების აქტის დადების მომენტში არაფერი იცოდნენ, არ ქმნის მორიგების აქტის გაბათილების საფუძველს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტებს მალავდა ერთ-ერთი მხარე ან მესამე პირი ისე, რომ ამ ფაქტის შესახებ იცოდა აღნიშნულმა მხარემ.

თუმცაღა, მორიგების აქტი ბათილია, თუ ის ეხება მხოლოდ ერთ საგანს და მოგვიანებით აღმოჩენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ერთ-ერთ მხარეს არ ჰქონდა უფლებები ამ საგნის მიმართ.

თავი 18
საარბიტრაჟო შეთანხმებები

2638. საარბიტრაჟო შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეები კისრულობენ არსებული ან სამომავლო დავა გადასაწყვეტად გადასცენ ერთ ან მეტ არბიტრს სასამართლოების გამორიცხვით.

2639. დაუშვებელია არბიტრაჟისათვის პირების სტატუსთან და ქმედუნარიანობასთან, ასევე საოჯახო საკითხებთან ან საჯარო წესრიგს მიკუთვნებულ სხვა საკითხებთან დაკავშირებული დავების გადაცემა.

დაუშვებელია საარბიტრაჟო შეთანხმების მოქმედებისათვის ხელის შეშლა იმ საფუძვლით, რომ დავის მოგვარების მიმართ გამოსაყენებელი ნორმები განეკუთვნება საჯარო წესრიგის მომწესრიგებელ ნორმებს.

2640. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით; ეს შეთანხმება ჩაითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ ის მოცემულია მხარეთა შორის გაცვლილ შეტყობინებებში, რომლებიც ადასტურებს მის არსებობას ან გაცვლილ პროცესუალურ მოქმედებებში, რომლებშიც შეთანხმების არსებობას ამტკიცებს ერთი მხარე, ხოლო მეორე მხარე კი ამას სადავოდ არ ხდის.

2641. ბათილია შეთანხმება, რომლითაც ერთი მხარე არბიტრების დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით იმყოფება პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

2642. ხელშეკრულებაში მოცემული საარბიტრაჟო შეთანხმება განიხილება როგორც ხელშეკრულების სხვა დათქმებისაგან განცალკევებული შეთანხმება და როდესაც არბიტრები ხელშეკრულებას ცნობენ ბათილად, საარბიტრაჟო შეთანხმება ამ საფუძვლით არ ხდება ბათილი.

2643. კანონის იმპერატიული დებულებების გათვალისწინებით, არბიტრაჟის პროცედურა რეგულირდება ხელშეკრულებით ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმებით.

წიგნი მეექვსე
პრივილეგიები და იპოთეკები

ტიტული 1
კრედიტორთა საერთო გირავნობა

2644. მოვალის ქონება განკუთვნილია მისი ვალდებულებების შესასრულებლად და წარმოადგენს მის კრედიტორთა საერთო გირავნობას.

2645. პირადი ვალდებულების საფუძველზე მის შესასრულებლად ნებისმიერი პირი პასუხისმგებელია მთელი თავისი ქონებით — მოძრავი და უძრავი, ამჟამად არსებული და სამომავლო ქონებით გარდა იმ ქონებისა, რომელიც არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას ან წარმოადგენს კანონით დაშვებული საგვარეულო ქონების დაყოფის საგანს.

თუმცა, მოვალეს შეუძლია შეუთანხმდეს თავის კრედიტორს იმის თაობაზე, რომ მას ვალდებულების შესრულება ეკისრებოდეს მხოლოდ მათ მიერ აღნიშნული ქონებიდან.

2646. კრედიტორებს შეუძლიათ აღძრან სასამართლო საქმე მათი მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულებისა და რეალიზაციის მოთხოვნით.

თუ კრედიტორები იკავებენ ერთი და იგივე რიგს, ფასი ნაწილდება მათი მოთხოვნების პროპორციულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზოგიერთ მათგანს აქვს უპირატესი რიგის დაკავების სამართლებრივი საფუძველი.

2647. უპირატესი რიგის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს პრივილეგიები და იპოთეკები.

2648. დაუშვებელია იმ ქონების მიმართ იძულებითი აღსრულება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების საფუძველზე შესაძლოა არ დაექვემდებაროს — ან არ ექვემდებარება — იძულებით აღსრულებას და იმყოფება აღნიშნული კოდექსით განსაზღვრული შეზღუდვების ფარგლებში.

2649. იძულებითი აღსრულების დაუშვებლობის შესახებ შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის იდება უსასყიდლოდ და დროებით და გამართლებულია მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური ინტერესით. თუმცაღა, ქონება მაინც რჩება დაქვემდებარებული იძულებით აღსრულებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებულ ფარგლებში.

იძულებითი აღსრულების დაუშვებლობის შესახებ შეთანხმება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამოქვეყნებულია სათანადო რეესტრში.

ტიტული 2
პრივილეგიები

2650. მოთხოვნა, რომელსაც კანონი უკავშირებს კრედიტორის კუთვნილ უფლებას, ჰქონდეს უპირატესობა სხვა კრედიტორებთან, თუნდაც — იპოთეკარებთან შედარებით, წარმოადგენს პრივილეგიას.

მოთხოვნის უპირატესობა დაუყოფადია.

2651. შემდეგი მოთხოვნები წარმოადგენს პრივილეგიებს და, მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, — პრივილეგიების განლაგება ყველა შემთხვევაში ხდება ქვემოთ მოცემული რიგითობის მიხედვით:

1) სასამართლოს ხარჯები და საერთო ინტერესებში გაწეული ყველა ხარჯი;

2) გამყიდველის მოთხოვნა, რომელსაც არ გადაუხადეს იმ ფიზიკურ პირზე გაყიდული მოძრავი ქონების ფასი, ვინც არ მართავს საწარმოს;

3) იმ პირების მოთხოვნები, რომლებსაც აქვთ მოძრავი ნივთების დაკავების უფლება იმ პირობით, რომ უფლება არსებობს;

4) სახელმწიფოს მოთხოვნები იმ თანხების მიღებაზე, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე;

5) მუნიციპალიტეტებისა და სასკოლო საბჭოების ქონების გადასახადების მოთხოვნები დასაბეგრ უძრავ ქონებაზე, ისევე როგორც გარდა ქონების გადასახადებისა, იმ უძრავ და მოძრავ ქონებაზე სხვა ვადამოსული გადასახადების მუნიციპალიტეტების მოთხოვნები, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია მათ მიმართ გამოსაყენებელი კანონმდებლობით.

2652. სასამართლოს ხარჯებისა და საერთო ინტერესებში გაწეული ხარჯების პრივილეგიების რეალიზაცია შესაძლებელია მოძრავ ან უძრავ ქონებაზე.

2653. სახელმწიფოს პრივილეგიები იმ თანხების მიღებაზე, რომლებიც ექვემდებარება გადახდას საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, შეიძლება განხორციელდეს მოძრავ ქონებაზე.

2654. კრედიტორს, რომელიც იწყებს პრივილეგიების რეალიზაციის პროცედურას ან რომელმაც, როგორც მოძრავი ქონების იპოთეკარმა, რეგისტრაციაში გაატარა კუთვნილი იპოთეკური მოთხოვნის უფლების რეალიზაციის განზრახვის შესახებ წინასწარი გაფრთხილება, შეუძლია სახელმწიფოსაგან მოითხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა განაცხადოს პრივილეგიის თანხის ოდენობის შესახებ. მოთხოვნა უნდა გატარდეს რეგისტრაციაში და მისი შეტყობინების შესახებ მტკიცებულება უნდა წარედგინოს უფლებათა რეესტრს.

შეტყობინებიდან 30 დღის ვადის განმავლობაში სახელმწიფომ უნდა განაცხადოს მისი მოთხოვნის ოდენობის შესახებ და გაატაროს ის რეგისტრაციაში პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში; ასეთი განცხადება შედეგად არ იწვევს სახელმწიფოს მოთხოვნის უპირატესობის შეზღუდვას რეგისტრირებული თანხის ოდენობით.

2654.1. მუნიციპალიტეტებისა და სასკოლო საბჭოების ქონების გადასახადების პრივილეგიები ქმნის სანივთო უფლებას.

აღნიშნული პრივილეგიები მათ მფლობელს ანიჭებს დასაბეგრ ქონებაზე მიყოლის უფლებას (right to follow), ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს ის.

2655. პრივილეგიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კრედიტორების ან ყველა მესამე პირის წინააღმდეგ, თუ ისინი ქმნის სანივთო უფლებას მათი პუბლიკაციის გარეშე.

2656. გარდა კუთვნილი პირადი ან, გარემოებების გათვალისწინებით, სანივთო სარჩელის უფლებებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (თავი C-25.01) გათვალისწინებული საუზრუნველყოფო ღონისძიებებისა, პრივილეგირებულ პრედიტორებს შეუძლიათ კანონის საფუძველზე განახორციელონ თავიანთი სამართლებრივი დაცვის საშუალებები მათი კუთვნილი პრივილეგიების სასამართლო წესით განხორციელებისა და რეალიზაციისათვის.

2657. პრივილეგიები, ერთმანეთს შორის რიგითობის შესაბამისად და მიუხედავად თავიანთი დადგენის თარიღისა, იკავებს უპირატეს რიგს მოძრავ ან უძრავ ქონებაზე დადგენილ იპოთეკებთან შედარებით.

ერთი და იგივე რიგის მქონე პრივილეგიები სარგებლობს თითოეული პრივილეგიის თანხის პროპროციული ოდენობით.

2658. რამდენიმე პრივილეგირებულ კრედიტორს შორის ქონების განაწილებისა თუ განლაგების შემთხვევაში, გაურკვეველი, გადაუხდელი ან პირობითი მოთხოვნის კრედიტორის სხვებთან მიმართებაში პოზიციონირება ხდება მისი რიგის შესაბამისად, თუმცა — სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (თავი C-25.01) გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

2659. კანონის მიერ განსაზღვრული მოთხოვნებისათვის მინიჭებული უპირატესობა უქმდება ავტომატურად კანონის ძალით, როდესაც წყდება მის საფუძვლად არსებული ვალდებულება.

ტიტული 3
იპოთეკები

თავი 1
ზოგადი დებულებები

განყოფილება 1
იპოთეკების სამართლებრივი ბუნება

2660. იპოთეკა წარმოადგენს მოძრავ ან უძრავ ქონებაზე არსებულ სანივთო უფლებას, რომელიც დგინდება ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. იპოთეკა კრედიტორს ანიჭებს ქონებაზე მიყოლის უფლებას, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს ის, ასევე — ანიჭებს უფლებას, მიიღოს ქონებაზე მფლობელობა, მიიღოს ქონება გადახდის სანაცვლოდ, გაყიდოს ის ან მიაღწიოს მის რეალიზაციას და, შესაბამისად, იქონიოს უპირატესი უფლება ნასყიდობის ამონაგებ თანხაზე წინამდებარე კოდექსით განსაზღვრული რიგითობის მიხედვით.

2661. იპოთეკა წარმოადგენს აქცესორულ უფლებას და ის ნამდვილია მხოლოდ მანამდე, სანამ არსებობს ის ვალდებულება, რომლის შესრულებასაც ის უზრუნველყოფს.

2662. იპოთეკა არ ექვემდებარება დაყოფას და ის ერთიანად არსებობს მთელ დატვირთულ ქონებაზე, ამ ქონებაში შემავალ თითოეულ ობიექტსა და ქონების თითოეულ ნაწილზე, თუნდაც — როდესაც ქონება ან ვალდებულება დაყოფადია.

2663. იპოთეკა უნდა გამოქვეყნდეს წინამდებარე წიგნის ან უფლებათა პუბლიკაციის შესახებ წიგნის ნორმების შესაბამისად იმისათვის, რათა მის მიერ მინიჭებული იპოთეკური უფლებების გამოყენება შესაძლებელი გახდეს მესამე პირების მიმართ.

განყოფილება 2
იპოთეკების სახეები

2664. ქონების იპოთეკით დატვირთვას ადგილი აქვს მხოლოდ კანონოთ ნებადართული პირობების საფუძველზე და ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად.

იპოთეკა შეიძლება იყოს ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი ან კანონისმიერი.

2665. იპოთეკა წარმოადგენს მოძრავ ან უძრავ ქონებას იმისდა მიხედვით, ტვირთავს თუ არა ის მოძრავ თუ უძრავ ნივთებს ან მოძრავი ან უძრავი ნივთების ერთობლიობას.

მოძრავი იპოთეკა შეიძლება დადგინდეს იპოთეკით დატვირთული ნივთის გადაცემით ან მისი გადაცემის გარეშე. როდესაც მოძრავი იპოთეკა დგინდება ნივთის გადაცემით, ის ასევე შეიძლება იწოდებოდეს გირავნობად.

განყოფილება 3
იპოთეკების საგანი და ფარგლები

2666. იპოთეკა წარმოადგენს განსაზღვრული მატერიალური ან არამატერიალური, როგორც ინდივიდუალური, ისე მრავლობითი ობიექტების, ქონების უფლებრივ ტვირთს ან — ნივთების ერთობლიობაში შემავალი ყველა ქონებრივი ობიექტის უფლებრივ ტვირთს.

2667. იპოთეკა უზრუნველყოფს ძირითად თანხას, მასზე დარიცხულ პროცენტსა და ხარჯებს, გარდა იმ პროფესიული ხასიათის მომსახურებისათვის გადასახდელი გასამრჯელოსი, რომელიც ლეგიტიმურად იქნა გაწეული ამ გასამრჯელოს ანაზღაურებისა თუ უფლებრივად დატვირთული ქონების შენარჩუნებისათვის.

2668. დაუშვებელია იმ ქონების იპოთეკით დატვირთვა, რომელიც არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას.

ასევე დაუშვებელია მოვალის კუთვნილი იმ მოძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა, რომლითაც გაწყობილია მისი ძირითადი ადგილსამყოფელი და რომელიც გამოიყენება — და აუცილებელია — საოჯახო მეურნეობის არსებობისათვის.

2669. სარგებლობის უფლების გარეშე საკუთრების უფლების საფუძველზე მინიჭებული იპოთეკა არ ვრცელდება სრულ საკუთრებაზე დანაწევრებული საკუთრების უფლების გაქარწყლებისას.

2670. სხვა პირის კუთვნილ ან სამომავლო ქონებაზე დადგენილი იპოთეკა ტვირთავს ამ ქონებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც იპოთეკის დამდგენი ხდება იპოთეკით დატვირთული უფლების მესაკუთრე.

2671. იპოთეკა ვრცელდება ყველაფერ იმაზე, რაც დაკავშირებულია ქონებასთან მიმატების უფლებით.

2672. მიიჩნევა, რომ იპოთეკით დატვირთული მოძრავი ნივთები, რომლებიც მყარად ფიზიკურად არის დაკავშირებული ან გაერთიანებული უძრავ ქონებასთან თავიანთი თვითმყოფადობის დაკარგვისა და უძრავ ქონებასთან მიერთების გარეშე, იპოთეკის იძულების წესით განხორციელებისათვის ინარჩუნებს თავის მოძრავი ქონების თვისებას მანამდე, სანამ არსებობს იპოთეკა.

2673. იპოთეკა არსებობს ახალ მოძრავ ნივთზე, რომელიც მიიღება იპოთეკით დატვირთული ქონების გარდაქმნის შედეგად, და ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც მიიღება იმ რამდენიმე მოძრავი ნივთის შერევითა თუ გაერთია-

ნებით, რომელთაგან ზოგიერთი არის ამგვარად უფლებრივად დატვირთული. მოძრავი ნივთების მიმატების გზით შეძენის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების შედეგად ახალ ნივთზე საკუთრების უფლების შემძენი პირი ვალდებულია აღნიშნული იპოთეკით.

2674. იპოთეკა, რომელიც ტვირთავს ნივთების ერთობლიობას, შენარჩუნდება იგივე სახის ქონებაზე მიბმით, რომელიც ცვლის იმ ქონებას, რაც გასხვისდა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

აღნიშნული წესით გასხვისებულ ინდივიდუალურ ნივთზე დადგენილი იპოთეკა ებმება იმ ნივთს, რომელიც ახალი ნივთის მაიდენტიფიცირებელი შეტყობინების რეგისტრაციის გზით ცვლის ინდივიდუალურ ნივთს.

თუ გასხვისებული ნივთი სხვა ნივთით არ იცვლება, იპოთეკა შენარჩუნდება, თუმცა ის ებმება მხოლოდ გასხვისებიდან ამონაგებ თანხას იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელის იდენტიფიცირება შესაძლებელია.

2675. იპოთეკა, რომელიც ტვირთავს ნივთების ერთობლიობას, შენარჩუნდება მიუხედავად იპოთეკით დატვირთული ქონების დაკარგვისა, როდესაც მოვალე ან იპოთეკის დამდგენი ახდენს მის შეცვლას გონივრულ ვადაში ქონების რაოდენობისა და თვისების გათვალისწინებით.

2676. იპოთეკა, რომელიც ტვირთავს მოთხოვნათა ერთობლიობას, არ ვრცელდება იპოთეკის დამდგენი პირის შემდგომ მოთხოვნებზე, როდესაც ასეთი მოთხოვნები წარმოადგენს თავისი უფლებების განმახორციელებელი მესამე პირის მიერ სხვა ქონების გაყიდვის შედეგს.

აღნიშნული იპოთეკა არ ვრცელდება ასევე იპოთეკის დამდგენის სხვა ქონების მიმართ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე.

2677. იურიდიული პირის სააქციო კაპიტალის გარკვეულ და განსაზღვრულ აქციებზე დადგენილი იპოთეკა შენარჩუნდება იპოთეკით დატვირთული აქციების შესყიდვის, გამოსყიდვის, კონვერსიის ან გაუქმების ანდა ნებისმიერი სხვა გარდაქმნით მიღებულ ან გამოშვებულ აქციებსა თუ სხვა ფასიან ქაღალდებზე. რეგისტრაციის გზით იპოთეკის პუბლიკაცია შენარჩუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რეგისტრაციის განახლება მიღებული ან გამოშვებული აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების მიმართ.

კრედიტორი ვერ შეეწინააღმდეგება გარდაქმნას თავისი იპოთეკის არსებობის მიზეზით.

2678. როდესაც ის, რაც ეკუთვნის კრედიტორს, ექვემდებარება შეთავაზებას ან დეპოზიტზე განთავსებას წინამდებარე კოდექსის ნორმების შესაბამისად, სასამართლოს შეთავაზების განმახორციელებელი მოვალის განცხადების საფუძველზე შეუძლია დართოს შეთავაზებულ ან დეპოზიტზე განთავსებულ ქონებაზე იპოთეკის გავრცელების ნება და დაუშვას თავდაპირველად რეგისტრირებული თანხის შემცირება.

როგორც კი თავდაპირველი თანხის შემცირება რეგისტრაციაში ტარდება შესაბამის რეეესტრში, მოვალე აღარ არის უფლებამოსილი, გაიხმოს თავისი

წინადადება ან დეპოზიტზე განთავსებული ქონება.

2679. ქონების იდეალურ წილზე დადგენილი იპოთეკა შენარჩუნდება, თუ გაყოფის გამო ან საკუთრების უფლების სხვა დეკლარაციული ან მსაზღვრელი მოქმედებით, იპოთეკის დამდგენი ან მისი უფლებამონაცვლე ქონების ზოგიერთ ნაწილზე ინარჩუნებს უფლებებს, რომლებიც ექვემდებარება მემკვიდრეობის შესახებ წიგნის ნორმებს.

თუ იპოთეკის დამდგენი არ ინარჩუნებს არანაირ უფლებებს ქონების მიმართ, მიუხედავად ამისა, იპოთეკა მაინც შენარჩუნდება და თავისი რიგით ვრცელდება იპოთეკის დამდგენისათვის გადასახდელი გადაცემის ფასზე, საერთო საკუთრებიდან გასვლის უფლების ან უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებიდან გამომდინარე ანდა იპოთეკის დამდგენისათვის კომპენსაციის სახით გადასახდელ თანხებზე.

2680. რამდენიმე იპოთეკარს შორის ქონების განაწილებისა თუ განლაგების შემთხვევაში, გაურკვეველი, გადაუხდელი ან პირობითი მოთხოვნის კრედიტორის სხვებთან მიმართებაში პოზიციონირება ხდება მისი რიგის შესაბამისად, თუმცა — სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (თავი C-25.01) გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

თავი 2
ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი იპოთეკები

განყოფილება 1
იპოთეკის დამდგენი

2681. ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს იპოთეკით დატვირთული ქონების გასხვისების უნარი.

ხელშეკრულების საფუძველზე იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს უზრუნველყოფილი ვალდებულების მოვალის ან მესამე პირის მიერ.

2682. პირს, რომლის ქონების მიმართ უფლებაც პირობითია ან ექვემდებარება გაბათილებას, იპოთეკის დადგენა შეუძლია მხოლოდ იგივე პირობის ან ბათილობის საფუძვლის გათვალისწინებით.

2683. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფიზიკური პირი მართავს საწარმოს და იპოთეკით იტვირთება ამ საწარმოს ქონება, ამ პირს ნივთის გადაცემის გარეშე მოძრავი იპოთეკის დადგენა შეუძლია მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებებზე ან რეგულაციებით განსაზღვრულ სხვა მოძრავ ნივთებზე და ასევე — რეგულაციებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

როდესაც იპოთეკის დამდგენი დოკუმენტი წარმოადგენს სამომხმარებლო ხელშეკრულების დანამატს, ის ექვემდებარება წინამდებარე კოდექსით ან რეგულაციებით გათვალისწინებული ფორმისა და შინაარსის წესებს.

2684. მხოლოდ იმ პირს, ამხანაგობას ან მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც მართავს საწარმოს, შეუძლია იპოთეკის დადგენა მოძრავი ან უძრავი, ამჟამინდელი ან სამომავლო, მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი ობიექტების ერთობლიობაზე.

შესაბამისად, პირს ან მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია საწარმოსთან დაკავშირებული ცხოველების, ხელსაწყოებისა თუ მოწყობილობების იპოთეკით დატვირთვა, ასევე — მოთხოვნებისა და დებიტორული დავალიანების, პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების, ან იმ მატერიალური მოძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა, რომელიც შედის მისი ნებისმიერი გასაყიდი, გასაქირავებელი ან გადასამუშავებელი საწარმოს ან გაყიდვისათვის, გაქირავებისა თუ მომსახურების გაწევისას გამოყენებისათვის გათვალისწინებული გარდასაქმნელი ქონების აქტივებში.

2684.1. მიუხედავად 2684-ე მუხლისა, იმ ფიზიკურ პირს, რომელიც არ მართავს საწარმოს, შეუძლია დაადგინოს იპოთეკა 2713.1-2713.9 მუხლების გაგებით ფინანსური ანგარიშის (financial account) საკრედიტო ნაშთის მიმართ ამჟამინდელი ან სამომავლო მოთხოვნების ერთობლიობაზე, ისევე როგორც — ამჟამინდელი ან სამომავლო ფასიანი ქაღალდების ან საუზრუნველყოფო დოკუმენტების (security entitlements) ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით იმ პირობით, რომ მოთხოვნების, ფასიანი ქაღალდების ან საუზრუნველყოფო დოკუმენტების იპოთეკით დატვირთვა პირს შეუძლია მათი გადაცემის გარეშე.

აღნიშნულ ფიზიკურ პირს შეუძლია ასევე დაადგინოს იპოთეკა რეგულაციებით განსაზღვრული ამჟამინდელი ან სამომავლო ქონების ნებისმიერ სხვა ერთობლიობაზე იმ პირობით, რომ ქონების იპოთეკით დატვირთვა პირს შეუძლია მისი გადაცემის გარეშე.

2685. მხოლოდ იმ პირს, ამხანაგობას ან მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც მართავს საწარმოს, შეუძლია იპოთეკის დადგენა კონოსამენტით გამოხატულ მოძრავ ქონებაზე.

2686. მხოლოდ იმ პირს, ამხანაგობას ან მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც მართავს საწარმოს, შეუძლია ცვალებადი იპოთეკის (floating hypothec) დადგენა საწარმოს ქონებაზე.

განყოფილება 2
იპოთეკებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები

2687. იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს ნებისმიერი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, როგორიც არ უნდა იყოს ის.

2688. ფულადი თანხის გადახდის უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა ნამდვილია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი დადგენისას მოვალემ არ მიიღო — ან მიიღო მხოლოდ ნაწილი — შესრულება, რის სანაცვლოდაც მან იკისრა ვალდებულება.

აღნიშნული წესი გამოიყენება, განსაკუთრებით, საკრედიტო ხაზებისა და სავალო დოკუმენტებისა თუ დავალიანების ამსახველი სხვა დოკუმენტების გაცემის მიმართ.

2689. იპოთეკის დამდგენი აქტი უნდა უთითებდეს იმ კონკრეტულ თანხას, რის უზრუნველსაყოფადაც ის არის დადგენილი.

იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკა დგინდება იმ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლის ღირებულების დადგენა შეუძლებელია ან ის გაურკვეველია.

2690. თანხის ის ოდენობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც დგინდება იპოთეკა, არ ჩაითვლება განუსაზღვრელ თანხად, როდესაც დამდგენი აქტი, ნაცვლად ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებისა, შეიცავს აუცილებელ სპეციფიკურ პირობებს თანხის რეალური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისათვის.

2691. როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს იმ ფულადი თანხის გადაცემაზე, რომლის გასესხებაც მან იკისრა და რომლისათვისაც ის უზრუნველყოფის სახით ფლობს იპოთეკას, — მოვალეს ან იპოთეკის დამდგენს შეუძლია კრედიტორის ხარჯზე მიაღწიოს იპოთეკის შემცირებას ან გაუქმებას, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, — მხოლოდ ამ მომენტში ვადამოსული თანხების გადახდის საფუძველზე.

2692. იპოთეკა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის, ამხანაგობის ან მინდობილი მესაკუთრის ვალდებულებების შესრულებას, შეიძლება დადგენილ იქნეს იპოთეკური წარმომადგენლის სასარგებლოდ აღნიშნული ვალდებულებების ყველა ამჟამინდელი და მომავალი კრედიტორებისათვის. წარმომადგენელი შეიძლება იყოს ერთ-ერთი კრედიტორი ან ვალდებულებების ერთადერთი კრედიტორი ანდა — მესამე პირი.

იპოთეკური წარმომადგენელი ინიშნება მოვალის ან იპოთეკის დამდგენის ანდა ერთ-ერთი კრედიტორის მიერ. წარმომადგენელი არის იპოთეკის მფლობელი და მას აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს ყველა უფლება, რასაც ის ანიჭებს, მათ შორის, — იპოთეკის გამოქვეყნებისა და უფლებათა რეესტრში არსებული მისი რეგისტრაციის გაუქმებაზე თანხმობის მიცემის უფლებებს; აღნიშნული უფლებების განხორციელებისას წარმომადგენელი ავალდებულებს კრედიტორებს მესამე პირების მიმართ.

აუცილებლობის შემთხვევაში, იპოთეკური წარმომადგენელი იცვლება იმ იპოთეკის დამდგენ ან სხვა აქტში მითითებული პირობების საფუძველზე და ვადების გათვალისწინებით, რომლითაც ინიშნება წარმომადგენელი, ან ასეთი აქტის არარსებობისას, — კრედიტორის ან კრედიტორების მიერ განსაზღვრული წესით. თუ წარმომადგენელი იცვლება, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკა და სხვა უზრუნველყოფები აგრძელებს არსებობას წარმომადგენლის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ. თუმცაღა, უფლებამონაცვლეს არ შეუძლია რეგისტრაციის გზით გასაჯაროებულ იპოთეკასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელება მანამდე, სანამ შეცვლის შესახებ შეტყობინება, რომელშიც პირდაპირ არის ნახსენები შეცვლილი წარმო-

მადგენლის სახელი, არ გატარდება რეგისტრაციაში იმ რეესტრში, რომელშიც იპოთეკა იყო გამოქვეყნებული.

ნივთის გადაცემით მოძრავი ქონების იპოთეკის შემთხვევის გარდა, აბსოლუტური ბათილობის შიშით იპოთეკური წარმომადგენელის სასარგებლოდ იპოთეკის დადგენა უნდა მოხდეს საჯარო სანოტარო აქტის სახით მიუხედავად იმ ვალდებულებების სამართლებრივი ბუნებისა, რომელთა შესრულებასაც ის უზრუნველყოფს.

განყოფილება 3
უძრავი იპოთეკები

2693. აბსოლუტური ბათილობის შიშით უძრავი იპოთეკის დადგენა უნდა მოხდეს საჯარო სანოტარო აქტის სახით.

2694. უძრავი იპოთეკა ნამდვილია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი დამდგენი აქტი ზუსტად აღწერს იპოთეკით დატვირთულ ქონებას.

2695. უძრავი ქონებიდან მიღებულ ან მისაღებ ამჟამიმდელ და სამომავლო ქირის თანხებსა და ქირის თანხების დაზღვევის ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილ საზღაურის თანხებზე დადგენილი იპოთეკები განიხილება როგორც უძრავი იპოთეკები.

აღნიშნული იპოთეკები ქვეყნდება მიწის რეესტრში.

განყოფილება 4
მოძრავი იპოთეკები

§ 1. — მოძრავი იპოთეკები ნივთის გადაცემის გარეშე

2696. აბსოლუტური ბათილობის შიშით ნივთის გადაცემის გარეშე მოძრავი იპოთეკები უნდა დადგინდეს წერილობითი ფორმით.

2697. მოძრავი იპოთეკის დამდგენი აქტი უნდა შეიცავდეს საკმარის აღწერილობას იპოთეკით დატვირთული ქონებისა ან მოძრავი ქონების ერთობლიობის შემთხვევაში, — ამ ერთობლიობის ბუნებაზე მითითებას.

2698. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს მიწის ნაყოფსა და პროდუქციას და ასევე — იმ მასალებსა და სხვა ნივთებს, რომლებიც ქმნის უძრავი ქონების განუყოფელ ნაწილს, ძალაში შედის იმ მომეტიდან, როდესაც აღნიშნული ობიექტები ხდება დამოუკიდებელი მოძრავი ქონება. მოძრავი იპოთეკა იკავებს რიგს მისი პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში რეგისტრაციის დღიდან.

2699. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს კონოსამენტით ან სხვა

ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქაღალდით გამოხატულ მოძრავ ქონებას, ანდა რომელიც ტვირთავს მოთხოვნებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იპოთეკის დამდგენის კრედიტორების მიმართ კრედიტორის მიერ ფასიანი ქაღალდის გადასახდელად წარდგენის (gives value) მომენტიდან იმ პირობით, რომ მისი რეგისტრაცია ხორციელდება შემდგომი 10 დღის განმავლობაში.

2700. მოძრავი იპოთეკა ქონებაზე, რომლის გასხვისებაც არ ხდება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და რომელიც არ ტარდება რეგისტრაციაში ქონების აღწერილობის შესაბამისად გახსნილ კარტოთეკაში, შენარჩუნდება იპოთეკის შენარჩუნების შესახებ შეტყობინების პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში წარდგენით.

შეტყობინება უნდა გატარდეს რეგისტრაციაში 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც კრედიტორი წერილობით იქნება ინფორმირებული ქონების გადაცემისა და მყიდველის სახელის შესახებ, ან ის წერილობით განაცხადებს თავის თანხმობას ქონების გადაცემაზე. კრედიტორი იგივე ვადის განმავლობაში შეტყობინების ასლს გადასცემს მყიდველს.

შეტყობინება უნდა უთითებდეს მოვალის ან იპოთეკის დამდგენისა და მყიდველის სახელს და შეიცავდეს ქონების აღწერილობას.

2701. მყიდველის მიერ მიღებული მოძრავი იპოთეკა შეიძლება გამოქვეყნდეს.

2701.1. ფასიანი ქაღალდების შუამავლის მიერ ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით ფასიან ქაღალდებზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადგენილი იპოთეკა მიიჩნევა გამოქვეყნებულად მხოლოდ მისი დადგენის ფაქტით და არ საჭიროებს რეგისტრაციას.

თუ ფასიანი ქაღალდების შუამავალმა დაადგინა ორი ან მეტი იპოთეკა ერთი და იგივე ფასიან ქაღალდზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტზე, იპოთეკები ერთმანეთს შორის იკავებს თანაბარ რიგს მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა მათი გამოქვეყნება.

§ 2. — მოძრავი იპოთეკები ნივთის გადაცემით

2702. ნივთის გადაცემით მოძრავი იპოთეკის დადგენა ხორციელდება ნივთის ან დოკუმენტის კრედიტორისათვის ფიზიკური გადაცემით ან თუ ნივთი უკვე იმყოფება კრედიტორის ხელში, — მის მიერ იპოთეკის დამდგენის თანხმობით ნივთის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით ფიზიკური ფლობის გაგრძელებით.

2703. ნივთის გადაცემით მოძრავი იპოთეკის პუბლიკაცია ხდება კრედიტორის მიერ ნივთის ან დოკუმენტის ფლობით და ის არსებობს მხოლოდ მანამდე, სანამ კრედიტორი აგრძელებს ნივთის ან დოკუმენტის ფლობას.

2704. ნივთის ფლობა უწყვეტია თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მის განხორ-

ციელებას ხელს უშლის მესამე პირის მოქმედება კრედიტორის თანხმობის გარეშე ან ნივთის ფლობა დროებით არის შეჩერებული ნივთის ან დოკუმენტის იპოთეკის დამდგენისათვის ან მესამე პირისათვის შეფასების, შეკეთების, გადაკეთებისა თუ გაუმჯობესების მიზნით გადაცემით.

2705. იპოთეკის დამდგენის თანხმობით კრედიტორს შეუძლია ფლობდეს ნივთს მესამე პირის მეშვეობით, თუმცა ასეთ შემთხვევაში მესამე პირის მიერ ნივთის ფლობას პუბლიკაციის შედეგი ექნება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მესამე პირი იღებს იპოთეკის თაობაზე წერილობით მტკიცებულებას.

2706. კრედიტორს, რომელსაც ხელი ეშლება ნივთის ფლობაში, შეუძლია მისი გამოთხოვა იმ პირისაგან, რომელიც ახორციელებს მასზე მფლობელობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აღნიშნულში ხელი შეეშლება იპოთეკური უფლებების რეალიზაციის ან სხვა კრედიტორის მიერ იძულებითი აღსრულების შედეგად.

2707. ნივთის გადაცემით დადგენილი მოძრავი იპოთეკა შეიძლება გამოქვეყნდეს უფრო გვიანი თარიღით განხორციელებული რეგისტრაციით იმ პირობით, რომ პუბლიკაციის პროცესი არ წყდება.

2708. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს კონოსამენტით ან სხვა ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქაღალდით გამოხატულ მოძრავ ქონებას, ანდა რომელიც ტვირთავს მოთხოვნებს, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იპოთეკის დამდგენის კრედიტორების მიმართ კრედიტორის მიერ ფასიანი ქაღალდის გადასახდელად წარდგენის მომენტიდან იმ პირობით, რომ მას დოკუმენტი გადაეცემა აღნიშნული მომენტიდან 10 დღის განმავლობაში.

2709. როდესაც დოკუმენტი ექვემდებარება გადაცემას ინდოსამენტითა და მფლობელობაში გადაცემით ან მხოლოდ მფლობელობაში გადაცემით, მისი კრედიტორზე გადასვლა ხდება ინდოსამენტისა და მფლობელობაში გადაცემის გზით ანდა — მხოლოდ მფლობელობაში გადაცემით.

§ 3. — მოთხოვნებზე დადენილი მოძრავი იპოთეკები

I. — მოთხოვნებზე დადენილი იპოთეკები ზოგადად

2710. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს იპოთეკის დამდგენის კუთვნილ მოთხოვნას მესამე პირის მიმართ, შეიძლება დადგენილ იქნეს მფლობელობის გადაცემით ან მის გარეშე.

თუმცა, ორივე შემთხვევაში, კრედიტორს არ შეუძლია თავისი იპოთეკის უფლების რეალიზაცია იპოთეკით დატვირთული მოთხოვნების მოვალეთა მიმართ მანამდე, სანამ ის არ იქნება გამოყენებული მათ წინააღმდეგ იგივე წესით, როგორც მოთხოვნების დათმობა.

2711. (გაუქმებულია)

2712. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს იპოთეკის დამდგენის კუთვნილ მოთხოვნას მესამე პირის მიმართ, უნდა გამოქვეყნდეს რეგისტრაციით, როდესაც მოთხოვნა თავად უზრუნველყოფილია რეგისტრირებული იპოთეკით; კრედიტორმა იპოთეკით დატვირთული მოთხოვნის მოვალეს უნდა გადასცეს რეგისტრაციის შესახებ დამოწმებული ცნობის ასლი.

2713. ყველა შემთხვევაში, როგორც კრედიტორს, ისე იპოთეკის დამდგენს შეუძლია სარჩელის წარდგენა იპოთეკით დატვირთული მოთხოვნის რეალიზაციის მიზნით იმ პირობით, რომ ის სასამართლო დავას წარმართავს მეორე მხარის წინააღმდეგ.

II. — განსაზღვრულ ფულად მოთხოვნებზე მფლობელობის გადაცემით დადენილი იპოთეკები

2713.1. მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ნივთი გადაეცეს და იმყოფებოდეს კრედიტორის მფლობელობაში იმისათვის, რომ მფლობელობის გადაცემით დადგინდეს მოძრავი იპოთეკა ფულად მოთხოვნაზე და ეს უკანაკნელი გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ, ქვემოთ მოცემული დებულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება დაკმაყოფილდეს ამავე დებულებების შესაბამისად კრედიტორის მიერ აღნიშნულ მოთხოვნაზე კონტროლის მოპოვებით.

ფულადი მოთხოვნა წარმოადგენს ნებისმიერ მოთხოვნას, რომლითაც მოვალეს მოეთხოვება ფულადი თანხის ანაზღაურება, დაბრუნება ან კომპენსირება ანდა ფულად თანხასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადახდის განხორციელება გარდა

1) ბრუნვაუნარიანი ფასიანი ქაღალდით გამოხატული მოთხოვნისა;

2) მოთხოვნისა, რომელიც წარმოადგენს ფასიან ქაღალდს ან საუზრუნველყოფო დოკუმენტს ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით; და

3) გარკვეული და განსაზღვრული ვალუტის გადაცემიდან გამომდინარე წარმოშობილი მოთხოვნისა, რომლის ანაზღაურებაც მხარეთა გაცხადებული განზრახვის მიხედვით უნდა განხორციელდეს იგივე ვალუტის დაბრუნებით.

2713.2. კრედიტორს შეუძლია კონტროლის მოპოვება იმ ფულად მოთხოვნაზე, რომელიც იპოთეკის დამდგენს აქვს მის მიმართ ან — იმ ფულად მოთხოვნაზე, რომელიც იპოთეკის დამდგენს აქვს მესამე პირის მიმართ.

2713.3. კრედიტორი იძენს კონტროლს იმ ფულად მოთხოვნაზე, რომელიც იპოთეკის დამდგენს აქვს მის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი დაეთანხმა მოთხოვნის კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების საუზრუნველყოფოდ გამოყენებას.

2713.4. კრედიტორი იძენს კონტროლს იმ ფულად მოთხოვნაზე, რომელიც იპოთეკის დამდგენს აქვს მესამე პირის მიმართ, თუ

1) მოთხოვნა ეხება ფინანსური ანგარიშის საკრედიტო ნაშთს, რომელსაც

ინარჩუნებს მესამე პირი იპოთეკის დამდგენისათვის, ან მოთხოვნა დაკავშირებულია მესამე პირისათვის კრედიტორის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების საუზრუნველყოფოდ გადაცემულ ფულად თანხასთან; და

2) კრედიტორმა მესამე პირთან და იპოთეკის დამდგენთან დადო შეთანხმება, რომელსაც ეწოდება კონტროლის შესახებ შეთანხმება, რომლის საფუძველზეც საკრედიტო ნაშთისა თუ ფულადი თანხის მიმართ მესამე პირი თანხმდება კრედიტორის მითითებების შესრულებას იპოთეკის დამდგენის დამატებითი თანხმობის გარეშე.

კრედიტორი ასევე იძენს კონტროლს ფინანსური ანგარიშის საკრედიტო ნაშთთან დაკავშირებულ ფულად მოთხოვნაზე, თუ კრედიტორი ხდება ანგარიშის მფლობელი.

2713.5. მესამე პირს არ მოეთხოვება კრედიტორთან ფულადი თანხის საკრედიტო ნაშთთან დაკავშირებით კონტროლის შესახებ შეთანხმების დადება თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის დამდგენი ასე ითხოვს. ასევე არ მოეთხოვება მესამე პირს აღნიშნული შეთანხმების არსებობის დადასტურება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკის დამდგენი ასე ითხოვს.

2713.6. ფინანსური ანგარიში წარმოადგენს ანგარიშს, რომელიც არ მიეკუთვნება ფასიანი ქაღალდების ანგარიშს ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით, რომელზეც აისახება ან შეიძლება აისახოს ფულადი სახსრები და რომლისათვისაც ის პირი, რომელიც, წარმოადგენს რა საკრედიტო ნაშთის დებიტორს, ინარჩუნებს მას და კისრულობს ვალდებულებას, ანგარიშის მფლობელი მიიჩნიოს როგორც უფლებამოსილი პირი აღნიშნულ ნაშთთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებაზე.

ბანკები და ფინანსური მომსახურების კოოპერატივები, ისევე როგორც — ბროკერები, სატრასტო კომპანიები, შემნახველი კომპანიები და ის პირები, რომლებიც საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ინარჩუნებენ ფინანსურ ანგარიშებს სხვებისათვის, — წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშის შემნახველ პირებს.

2713.7. ფულადი მოთხოვნის კონტროლზე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ იპოთეკის დამდგენი ინარჩუნებს მოთხოვნასთან დაკავშირებით მითითებების მიცემის უფლებას.

კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს იპოთეკის დამდგენის უფლება. ასეთი გაუქმება პუბლიკაციის მიზნებისათვის არ ექვემდებარება რაიმე შეტყობინებას ან რეგისტრაციის ფორმალობას.

2713.8. მოძრავი იპოთეკა მფლობელობის გადაცემით, რომელიც მოქმედებს ფულადი მოთხოვნის მიმღები კრედიტორის კონტროლის გზით, კონტროლის მოპოვების მომენტიდან იკავებს უპირატეს რიგს ნებისმიერ სხვა მოძრავ იპოთეკასთან შედარებით, რომელიც ტვირთავს მოთხოვნას მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა ამ სხვა იპოთეკის გამოქვეყნება.

თუ ორი ან მეტი მოძრავი იპოთეკა მფლობელობის გადაცემით დგინდება ფულად მოთხოვნაზე, რომელიც იპოთეკის დამდგენს აქვს მესამე პირის მიმართ იმ კრედიტორების სასარგებლოდ, რომელთაგან თითოეულმა მოიპოვა მოთხოვნის კონტროლი კონტროლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, — იპოთეკები ერთმანეთს შორის იკავებს რიგს იმისდა მიხედვით, თუ როდის დათანხმდა მესამე პირი კრედიტორის მითითებების შესრულებას.

იმ ფულად მოთხოვნაზე დადგენილი იპოთეკა, რომელიც მის დამდგენს აქვს კრედიტორის მიმართ, იკავებს უპირატეს რიგს ყველა სხვა მფლობელობის გადაცემით იპოთეკებთან შედარებით, რომელიც დგინდება აღნიშნული მოთხოვნის მტვირთავი კონტროლის გზით. თუმცა, თუ მოთხოვნა ეხება ფინანსური ანგარიშის საკრედიტო ნაშთს და სხვა კრედიტორმა მოიპოვა მოთხოვნაზე კონტროლი ანგარიშის მფლობელად გახდომით, აღნიშნული სხვა კრედიტორის იპოთეკა იკავებს უპირატეს რიგს სხვა იპოთეკებთან შედარებით.

2713.9. ფიზიკურ პირს, რომელიც არ მართავს საწარმოს, შეუძლია ფულადი მოთხოვნების კონტროლის გზით მოქმედი მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკა დაადგინოს მხოლოდ იმ მოთხოვნებზე, რომელთა დატვირთვაც, შესაბამისი პირობების არსებობისას, პირს შეუძლია მოძრავი იპოთეკით მფლობელობის გადაცემის გარეშე.

§ 4. — გემებზე, ტვირთსა თუ ფრახტზე დადენილი მოძრავი იპოთეკები

2714. მოძრავი იპოთეკა, რომელიც ტვირთავს გემს, მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნების მომენტში გემი არ არის რეგისტრირებული კანადის ნაოსნობის შესახებ კანონის ან ეკვივალენტური უცხოური კანონის საფუძველზე.

მოძრავი იპოთეკა შეიძლება ასევე დადგინდეს რეგისტრირებული გემის ტვირთზე ან ფრახტზე მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა ქონება ბორტზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში ის ექვემდებარება იმ ქონებაზე არსებულ ნებისმიერ უფლებებს, რომელიც სხვა პირებს შესაძლოა ჰქონდეთ ზემოაღნიშნული კანონმდებლობის საფუძველზე.

§ 5. — ფასიანი ქაღალდებზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადენილი მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკები

2714.1. ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით ფასიანი ქაღალდებისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების შემთხვევაში, მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ნივთი გადაეცეს და იმყოფებოდეს კრედიტორის მფლობელობაში იმისათვის, რომ მფლობელობის გადაცემით დადგინდეს მოძრავი იპოთეკა და ეს უკანაკნელი გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ, შეიძლება დაკმაყოფილდეს კრედიტორის მიერ აღნიშნული კანონის შესაბამისად ფასიან ქაღალდებსა და საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე კონტროლის მოპოვებით.

2714.2. იმ მომენტიდან, როდესაც მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორი მოიპოვებს ფასიანი ქაღალდებისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების კონტროლს, აღნიშნული იპოთეკა იკავებს უპირატეს რიგს ნებისმიერ სხვა მოძრავ იპოთეკასთან შედარებით, რომელიც ტვირთავს მოთხოვნას მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა ამ სხვა იპოთეკის გამოქვეყნება.

თუ ორი ან მეტი მოძრავი იპოთეკა მფლობელობის გადაცემით დგინდება ერთი და იგივე ფასიან ქაღალდებზე იმ კრედიტორების სასარგებლოდ, რომელთაგან თითოეულმა მოიპოვა ფასიანი ქაღალდის კონტროლი, იპოთეკები ერთმანეთს შორის იკავებს რიგს იმისდა მიხედვით, თუ როდის მოიპოვეს კრედიტორებმა აღნიშნული კონტროლი.

საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადგენილი იპოთეკების შემთხვევაში, იმ კრედიტორის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკა, რომელმაც მოიპოვა საუზრუნველყოფო დოკუმენტების კონტროლი იმით, რომ გახდა აღნიშნული დოკუმენტის მფლობელი, ან იმით, რომ ჰყავს მისი სახელით მოქმედი სხვა პირი, — იკავებს უპირატეს რიგს სხვა მოძრავ იპოთეკებთან შედარებით. იმ კრედიტორების სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკები, რომლებმაც მოიპოვეს საუზრუნველყოფო დოკუმენტების კონტროლი კონტროლის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, — ერთმანეთს შორის იკავებს რიგს იმისდა მიხედვით, თუ როდის დათანხმდა ფასიანი ქაღალდების შუამავალი კრედიტორის ან მისი სახელით მოქმედი სხვა პირის მითითებების შესრულებას.

2714.3. ფასიანი ქაღალდების შუამავლის სასარგებლოდ მის მიერ იპოთეკის დამდგენისათვის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შეტანილ ფინანსურ აქტივზე არსებულ საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადგენილი მოძრავი იპოთეკა მფლობელობის გადაცემით იკავებს უპირატეს რიგს აღნიშნულ საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადგენილ ნებისმიერ სხვა იპოთეკასთან შედარებით.

2714.4. მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკა, რომელიც უფლებრივად ტვირთავს რეგისტრირებულ ფორმაში სერტიფიკატით გამოხატულ ფასიან ქაღალდებს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის დადგენა მოხდა იმ კრედიტორის სასარგებლოდ, რომელსაც არა აქვს ფასიანი ქაღალდების კონტროლი, — იკავებს უპირატეს რიგს იმ ნებისმიერ მფლობელობის გადაცემის გარეშე მოძრავ იპოთეკასთან შედარებით, რომელიც უფლებრივად ტვირთავს იგივე ფასიან ქაღალდებს, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდა მფლობელობის გადაცემის გარეშე იპოთეკის გამოქვეყნება.

2714.5. სერტიფიკატით გამოხატული ფასიანი ქაღალდების შემთხვევის გარდა, ფიზიკურ პირს, რომელიც არ მართავს საწარმოს, შეუძლია მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკა დაადგინოს მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე, რომელთა დატვირთვაც, შესაბამისი პირობების არსებობისას, პირს შეუძლია მოძრავი იპოთეკით მფლობელობის გადაცემის გარეშე.

2714.6. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკის დამდგენი და კრედიტორი ერთმანეთს შორის სხვაგვარად შეთანხმდნენ, იმ კრედიტორს, რომელიც ფლობს ფასიან ქაღალდებზე ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე არსებულ მოძრავ იპოთეკას მფლობელობის გადაცემით, შეუძლია გაასხვისოს ფასიანი ქაღალდები ან საუზრუნველყოფო დოკუმენტები ანდა დაადგინოს მათზე მოძრავი იპოთეკა მესამე პირის სასარგებლოდ.

2714.7. არ არის აუცილებელი, რომ ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით სერტიფიკატით გამოხატული ფასიანი ქაღალდები ბრუნვაუნარიანი იყოს სერტიფიკატების ფიზიკური გადაცემისა და ფლობის მეშვეობით იპოთეკით კანონიერად დატვირთვისათვის (hypothecary delivery); იპოთეკით დატვირთვა ხორციელდება აღნიშნული კანონის შესაბამისად სერტიფიკატების გადაცემით.

განყოფილება 5
ცვალებადი იპოთეკები

2715. იპოთეკა არის ცვალებადი, როდესაც ზოგიერთი მისი სამართლებრივი შედეგი გადადებულია მანამდე, სანამ მოვალის ან იპოთეკის დამდგენის ვადაგადაცილებაში აღმოჩენის შემთხვევაში კრედიტორი მოვალის ან იპოთეკის დამდგენის მიმართ იპოთეკის გაფორმებას (crystallization) ახორციელებს ვადაგადაცილების შეტყობინების წარდგენის გზით.

იპოთეკის ცვალებადი ხასიათი პირდაპირ უნდა იყოს შეთანხმებული იპოთეკის დადგენის აქტში.

2716. ცვალებად იპოთეკას სამართლებრივი შედეგი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის წინასწარ გამოქვეყნებულია, ხოლო თუ უფლებრივად დატვირთულია უძრავი ქონება, — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის რეგისტრირებულია თითოეული მათგანის საწინააღმდეგოდ.

დაუშვებელია ცვალებადი იპოთეკის გამოყენება მესამე პირების მიმართ, გარდა იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის შემთხვევისა.

2717. იპოთეკის დამდგენის მიერ იპოთეკის დამდგენ აქტში დატვირთული ქონების გასხვისებასთან, იპოთეკით დატვირთვასთან ან განკარგვასთან დაკავშირებით შეთანხმებული ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა ძალმოსილია მხარეთა შორის იპოთეკის გაფორმების მომენტამდეც.

2718. ერთზე მეტ მოთხოვნაზე დადგენილი ცვალებადი იპოთეკა იპოთეკით დატვირთული მოთხოვნების მოვალეთა მიმართ ძალმოსილია იმ მომენტიდან, როდესაც ხორციელდება იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია იმ პირობით, რომ შეტყობინების გასაჯაროება ხდება საჯარო შეტყობინებების მიმართ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) ნორმების შესაბამისად.

შეტყობინების გასაჯაროება არ არის აუცილებელი, თუ იპოთეკა და მისი გა-

ფორმების შესახებ შეტყობინება გამოყენებულ იქნა იპოთეკით დატვირთული მოთხოვნების მოვალეთა მიმართ იგივე წესით, როგორც მოთხოვნების დათმობა.

2719. გაფორმებისას ცვალებად იპოთეკას აქვს მოძრავი ან უძრავი იპოთეკის სამართლებრივი შედეგები იმ ნებისმიერი უფლებებისადმი მიმართებაში, რომლებიც შესაძლოა იპოთეკის დამდგენს აღნიშნულ მომენტში ჰქონდეს უფლებრივად დატვირთული ქონების მიმართ; თუ ქონება მოიცავს ქონებრივი ობიექტების ერთობლიობას, იპოთეკა ტვირთავს ასევე იპოთეკის დამდგენის მიერ იპოთეკის გაფორმების შემდეგ შეძენილ ქონებასაც.

2720. იპოთეკის დამდგენის მიერ საწარმოს ნასყიდობა ვერ იქნება გამოყენებული ცვალებადი იპოთეკის მფლობელის მიმართ. იგივე წესი მოქმედებს საწარმოს შერწყმისა თუ რეორგანიზაციის მიმართ.

2721. იმ ცვალებადი იპოთეკის მფლობელ კრედიტორს, რომელიც ტვირთავს ქონებრივი ობიექტების ერთობლიობას, იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის მომენტიდან შეუძლია ქონება მისი მართვის მიზნით მიიღოს მფლობელობაში ნებისმიერი იმ სხვა კრედიტორის უპირატესად, რომელმაც გაასაჯაროვა თავისი იპოთეკა ცვალებადი იპოთეკის რეგისტრაციის თარიღის შემდეგ.

2722. როდესაც სახეზეა რამდენიმე ცვალებადი იპოთეკა ერთი და იგივე ქონებაზე, ერთ-ერთი მათგანის გაფორმება სხვა იპოთეკების მფლობელ კრედიტორებს საშუალებას აძლევს უფლებათა რეესტრში რეგისტრაციაში გაატარონ საკუთარი შეტყობინება იპოთეკის გაფორმების შესახებ.

2723. მოვალის მიერ ვადის დარღვევასთან დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში, კრედიტორი რეგისტრატორისაგან ითხოვს იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების გაუქმებას.

შეტყობინების გაუქმებით უქმდება იპოთეკის გაფორმების სამართლებრივი შედეგები, ხოლო იპოთეკის სამართლებრივი შედეგების მოქმედება კი კვლავ შეჩერდება.

თავი 3
კანონისმიერი იპოთეკები

2724. მხოლოდ შემდეგი მოთხოვნები შეიძლება გახდეს კანონისმიერი იპოთეკების წარმოშობის საფუძველი:

1) სახელმწიფოს კუთვნილი მოთხოვნები საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე გადასახდელი თანხების მიღებაზე, ისევე როგორც — სახელმწიფოს ან საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირების სხვა მოთხოვნები, რომლებიც სპეციალურად გათვალისწინებულია განსაზღვრულ საკანონმდებლო აქტებში;

2) იმ პირების მოთხოვნები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების აშენებასა თუ განახლებაში;

3) თანამესაკუთრეთა სინდიკატის საერთო ხარჯების დაფარვისა და საგანგებო ფონდში შენატანების მოთხოვნა;

4) სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული მოთხოვნები.

2725. სახელმწიფოს კანონისმიერი იპოთეკები, მათ შორის, ის იპოთეკები, რომლებიც დადგენილია საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე გადასახდელი თანხების უზრუნველსაყოფად, ასევე — საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირების იპოთეკები შეიძლება უფლებრივად ტვირთავდეს მოძრავ ან უძრავ ქონებას.

აღნიშნული იპოთეკები ძალაში შედის მხოლოდ შესაბამის რეესტრში მათი რეგისტრაციის მომენტიდან. რეგისტრაციის განაცხადი კეთდება შეტყობინების წარდგენით, რომელშიც მითითებულია იპოთეკის დამდგენი კანონმდებლობა, მოვალის ქონება, რომელზეც კრედიტორს სურს მისი რეალიზაცია, და ასევე — მოთხოვნის საფუძველი და ოდენობა. შეტყობინება უნდა ჩაბარდეს მოვალეს.

საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე გადასახდელი თანხების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ კანონისმიერი მოძრავი იპოთეკის რეგისტრაცია ხელს არ უშლის მას კუთვნილი პრივილეგიის რეალიზაციაში.

2726. იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი კანონისმიერი იპოთეკა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების აშენებასა თუ განახლებაში, უფლებრივად ვერ დატვირთავს ნებისმიერ სხვა უძრავ ქონებას. ის არსებობს მხოლოდ არქიტექტორის, ინჟინრის, მასალების მიმწოდებლის, მუშისა და მენარდისა და ქვეკონტრაქტორის სასარგებლოდ უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ მოთხოვნილი სამუშაოების პროპორციულად, ან — აღნიშნული პირების მიერ სამუშაოებისათვის მიწოდებული ან მომზადებული მასალებისა თუ მომსახურების პროპორციულად. კანონისმიერი იპოთეკის არსებობისათვის არ არის აუცილებელი მისი გამოქვეყნება.

2727. იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი კანონისმიერი იპოთეკა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების აშენებასა თუ განახლებაში, შენარჩუნდება სამუშაოების დასრულების შემდეგ 30 დღის განმავლობაში თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის არ იქნა გამოქვეყნებული.

აღნიშნული იპოთეკა შენარჩუნდება, თუ 30 დღის ვადის გასვლამდე მოხდება იმ შეტყობინების რეგისტრაცია, რომელშიც აღწერილია უფლებრივად დატვირთული უძრავი ქონება და მითითებულია მოთხოვნის თანხა. შეტყობინება უნდა ჩაბარდეს უძრავი ქონების მესაკუთრეს.

ზემოაღნიშნული იპოთეკა ქარწყლდება სამუშაოების დასრულების შემდეგ ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკის შენარჩუნების მიზნით კრედიტორი აქვეყნებს სარჩელს უძრავი ქონების მესაკუთრის მიმართ ან რეგისტრაციაში ატარებს იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარ გაფრთხილებას.

2728. იპოთეკა უზრუნველყოფს სამუშაოების განხორციელებისა და სამუშაოებისათვის მიწოდებული ან მომზადებული მასალებისა თუ მომსახურების გზით უძრავი ქონების ღირებულების ზრდას. თუმცა, როდესაც ის პირები,

რომელთა სასარგებლოდაც არსებობს იპოთეკა, თავად არ დებენ ხელშეკრულებას მესაკუთრესთან, იპოთეკა შეზღუდულია იმ სამუშაოებით, მასალებითა თუ მომსახურებით, რომელთა განხორციელება ან მიწოდება მოხდა მესაკუთრისათვის ხელშეკრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების წარდგენის შემდეგ. მუშას არ ეკისრება ხელშეკრულების შესახებ წერილობითი შეტყობინების წარდგენის ვალდებულება.

2729. თანამესაკუთრეთა სინდიკატის კანონისმიერი იპოთეკა უფლებრივად ტვირთავს იმ თანამესაკუთრის დანაყოფს, რომელმაც გადააცილა საერთო ხარჯების დაფარვისა თუ საგანგებო ფონდში შენატანების განხორციელების ვალდებულების შესრულებას 30 დღეზე მეტი ვადით, და ის ძალმოსილია მხოლოდ იმ შეტყობინების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელშიც მითითებულია მოთხოვნის ბუნება, გაფრთხილების რეგისტრაციის დღისათვის გადასახდელი თანხა, მიმდინარე საფინანსო წლის განმავლობაში და მომდევნო ორი წლისათვის უფლებრივი ტვირთვისა და მოთხოვნების მოსალოდნელი თანხა.

2730. ყოველ კრედიტორს, რომლის სასარგებლოდაც კვებეკში განსჯადი სასამართლოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება ფულადი თანხის დაკისრების შესახებ, შეუძლია შეიძინოს კანონისმიერი იპოთეკა მისი მოვალის კუთვნილ მოძრავ ან უძრავ ქონებაზე.

მას შეუძლია ამ იპოთეკის შეძენა იმ შეტყობინების რეგისტრაციით, რომელშიც აღწერილია იპოთეკით დატვირთული ქონება და განსაზღვრულია ვალდებულების თანხა, ხოლო ანუიტეტის ან დახმარების შემთხვევაში, ნაწილ-ნაწილ გადასახდელი თანხები და, აუცილებლობისას კი, — წლიური საპენსიო ინდექსი. შეტყობინების წარდგენა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად; ის უნდა ჩაბარდეს მოვალეს.

2731. გარდა სახელმწიფოს ან საჯარო ინტერესებში დაფუძნებული იურიდიული პირების კანონისმიერი იპოთეკის შემთხვევისა, სასამართლოს იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრის განცხადების საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელი ქონება შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით, შეამციროს ქონებრივი ობიექტების რაოდენობა ან დართოს განმცხადებელს გადახდის უზრუნველყოფისათვის საკმარისი სხვა უზრუნველყოფის იპოთეკით შეცვლის ნება; შედეგად მას შეუძლია დაადგინოს კანონისმიერი იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება.

2732. კრედიტორი, რომელმაც მოახდინა კუთვნილი კანონისმიერი იპოთეკის რეგისტრაცია, ინარჩუნებს თავის მიყოლის უფლებას იმ მოძრავ ქონებაზე, რომელიც არ არის გასხვისებული საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში ისე, თითქოს ის სახელშეკრულებო იპოთეკის მფლობელი იყოს.

თავი 4
იპოთეკების განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

2733. იპოთეკა არ ართმევს ქონებაზე უფლებას მის დამდგენს ან მფლობელს, რომელიც აგრძელებს დატვირთულ ქონებაზე კუთვნილი უფლებებით სარგებლობას, და მას შეუძლია ამ ქონების განკარგვა იპოთეკარის უფლებების გათვალისწინებით.

2734. არც იპოთეკის დამდგენს და არც მის უფლებამონაცვლეს არ შეუძლია იპოთეკით დატვირთული ქონების განადგურება ან გაფუჭება ანდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება, გარდა ჩვეულებრივი სარგებლობის ან აუცილებლობის შემთხვევებისა.

როდესაც აღნიშნული პირები განიცდიან ზარალს, კრედიტორს კუთვნილ სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან ერთად — თუნდაც მისი მოთხოვნა არ იყოს არც ლიკვიდური და არც ვადამოსული — შეუძლია აინაზღაუროს ფაქტობრივი ზარალი მისი მოთხოვნის თანხის ოდენობამდე და იგივე იპოთეკაზე უფლებით; ამგვარად მიღებული თანხა ჩაითვლება მისი მოთხოვნის დაფარვის ანგარიშში.

2735. იპოთეკარებს შეუძლიათ აღძრან სასამართლო საქმე მათი კუთვნილი იპოთეკის უფლების აღიარებისა და ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მოთხოვნით, თუნდაც მათი მოთხოვნები არ იყოს არც ლიკვიდური და არც ვადამოსული.

განყოფილება 2
იპოთეკით დატვირთული ქონების მფლობელობის მქონე კრედიტორების უფლებები და ვალდებულებები

2736. მფლობელობის გადაცემით მოძრავი იპოთეკის კრედიტორმა უნდა მოიმოქმედოს ყველაფერი ის, რაც აუცილებელია მის მფლობელობაში არსებული უფლებრივად დატვირთული ქონების შენარჩუნებისათვის; მას არ შეუძლია ამ ქონების გამოყენება იპოთეკის დამდგენის ნებართვის გარეშე.

2737. იპოთეკით დატვირთული ქონების ნაყოფსა და შემოსავლებს იღებს კრედიტორი.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, კრედიტორი ნაყოფს გადასცემს იპოთეკის დამდგენს, ხოლო მიღებული შემოსავლები თავდაპირველად ჩაითვლება ხარჯების დაფარვის ანგარიშში, შემდეგ კრედიტორის მიერ მისაღები ნებისმიერი პროცენტისა და, ბოლოს კი, — ვალის ძირითადი თანხის გადახდის ანგარიშში.

2738. როდესაც იურიდიული პირის სააქციო კაპიტალის აქციების ნაღდი ფულით გამოსყიდვა ხდება აქციების ემიტენტის მიერ, ფასის მიმღები კრედიტორი მიმართავს მას დავალიანების დაფარვის ანგარიშში ისე, თითქოს ის შემოსავლები ყოფილიყო.

2739. კრედიტორი არ არის პასუხისმგებელი იპოთეკით დატვირთული ქონების დაკარგვისათვის, რაც გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, ან გამომდინარეობს მისი წლოვანებიდან, მალფუჭებადი ბუნებიდან ან მისი ჩვეულებრივი და ნებადართული გამოყენებიდან.

2740. იპოთეკის დამდგენი ვალდებულია, აუნაზღაუროს კრედიტორს ამ უკანასკნელის მიერ ქონების შენახვაზე გაწეული დანახარჯები.

2741. იპოთეკის დამდგენს არ შეუძლია იპოთეკით დატვირთული ნივთის მფლობელობის დაბრუნება მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი არასწორად იყენებს ნივთს.

ის კრედიტორი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ევალება ქონების დაბრუნება, კარგავს თავის იპოთეკას.

2742. იმ მოვალის მემკვიდრე, რომელმაც გადაიხადა თავისი წილი ვალი, ვერ მოითხოვს თავის წილს იპოთეკით დატვირთულ ქონებაში მანამდე, სანამ არ დაიფარება მთლიანი ვალი.

იმ კრედიტორის მემკვიდრეს, რომელიც იღებს თავის წილ ვალს, არ შეუძლია იპოთეკით დატვირთული ქონების დაბრუნება ნებისმიერი იმ თანამემკვიდრის ინტერესების საზიანოდ, რომელმაც არ მიიღო გადახდა.

განყოფილება 3
იპოთეკით დატვირთული მოთხოვნების მფლობელი კრედიტორების უფლებები და ვალდებულებები

2743. მოთხოვნაზე დადგენილი იპოთეკის მფლობელი კრედიტორი იღებს ამ მოთხოვნიდან გამომდინარე შემოსავლებს იმ ძირითად თანხასთან ერთად, რომლის გადახდის ვადაც დგება იპოთეკის არსებობის პერიოდში; მის მიერ მიღებული თანხებისათვის აღნიშნული კრედიტორი გასცემს ასევე ქვითარს.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ, იპოთეკის მფლობელი კრედიტორი მიღებულ თანხებს მიმართავს ვალდებულების გადახდის ანგარიშში, — თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა — გადახდის მიმართ დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად.

2744. იპოთეკის დამდგენ აქტში კრედიტორს შეუძლია იპოთეკის დამდგენს მიანიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს ძირითადი თანხის გადახდები ან იპოთეკით დატვირთული მოთხოვნებიდან გამომდირე შემოსავლები მათი გადახდის ვადის დადგომისთანავე.

2745. კრედიტორს ნებისმიერ მომენტში შეუძლია გააუქმოს მის მიერ იპოთეკის დამდგენისათვის მიცემული უფლებამოსილება. ამის განსახორციელებლად მან იპოთეკის დამდგენსა და იპოთეკით დატვირთული უფლებების მოვალეს უნდა შეატყობინოს იმის შესახებ, რომ ამიერიდან ის თავად მოახდენს გადასახდელი თანხების მიღებას. უფლებამოსილების გაუქმება საჭიროებს რეგისტრაციას.

2746. მანამდე, სანამ იპოთეკა ძალაშია, კრედიტორი არ არის ვალდებული, აღძრას სასამართლო საქმე იპოთეკით დატვირთული უფლებების ძირითადი თანხისა თუ პროცენტის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა მან იპოთეკის დამდგენს გონივრულ ვადაში უნდა შეატყობინოს უფლებებთან დაკავშირებით თითოეული თანხის გადახდის ნებისმიერი დარღვევის შესახებ.

2747. კრედიტორი იპოთეკის დამდგენს გადასცემს ნებისმიერ თანხებს, რომლებიც მიღებულ იქნა ძირითადი თანხის, პროცენტისა და ხარჯების გადახდის ვალდებულების მოცულობაზე მეტი ოდენობით, მიუხედავად მხარეთა შეთანხმებისა, რომლითაც ნებისმიერი საფუძვლით კრედიტორს შეუძლია მათი შენარჩუნება.

თავი 5
იპოთეკური უფლებების რეალიზაცია

განყოფილება 1
ზოგადი დებულება

2748. კუთვნილი პირადი სარჩელის უფლებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (თავი C-25.01) გათვალისწინებულ საუზრუნველყოფო ღონისძიებების გარდა, კრედიტორებს შეუძლიათ მხოლოდ იმ იპოთეკური უფლებების რეალიზაცია, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე თავში მათი უზრუნველყოფის განხორციელებისა და რეალიზაციისათვის.

ამდენად, როდესაც აღნიშნული კრედიტორების მოვალე იმყოფება ვადაგადაცილებაში და მათი მოთხოვნა ლიკვიდური და ვადამოსულია, კრედიტორებს შეუძლიათ შემდეგი იპოთეკური უფლებების რეალიზაცია: მათ შეუძლიათ უფლებრივად დატვირთული ქონების მფლობელობაში მიღება მისი მართვის მიზნით, მისი მიღება მათი მოთხოვნის გადახდის ანგარიშში, ამ ქონების სასამართლოს კონტროლის ქვეშ გაყიდვის უზრუნველყოფა ან თავად გაყიდვა.

განყოფილება 2
იპოთეკური უფლებების რეალიზაციის ზოგადი პირობები

2749. კრედიტორები ვერ განახორციელებენ თავიანთ იპოთეკურ უფლებებს მანამდე, სანამ არ გავა 2758-ე მუხლში მითითებული ქონების დათმობისათვის (surrender of the property) დადგენილი ვადა.

2750. თავიანთი იპოთეკური უფლებების რეალიზაციისას უფრო ადრინდელი რიგის მქონე კრედიტორებს ენიჭებათ უპირატესობა უფრო გვიანი რიგის მქონე კრედიტორებთან შედარებით.

თუმცაღა, უფრო ადრინდელი რიგის მქონე კრედიტორი შესაძლოა იყოს ვალდებული, გადაიხადოს შემდგომი რიგის მქონე კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, თუ ამ უკანასკნელის მხრიდან იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ის არ უთითებს თავისი უფლებების უპირატესობაზე გონივრული ვადის განმავლობაში.

2751. კრედიტორს შეუძლია თავისი იპოთეკური უფლებების რეალიზაცია მიუხედავად იმისა, თუ ვის ხელში იმყოფება ქონება.

2752. როდესაც იპოთეკით დატვირთული ქონება შემდგომში ხდება უზუფრუქტის საგანი, იპოთეკური უფლებები უნდა განხორციელდეს ერთდროულად მფლობელობის არმქონე მესაკუთრისა და უზუფრუქტუარის მიმართ ან შეტყობინება უნდა წარედგინოს იმ პირს, რომლის მიმართაც აღნიშნული უფლებები თავდაპირველად არ იქნა განხორციელებული.

2753. კრედიტორს, რომლის იპოთეკაც ტვირთავს ერთზე მეტ ქონებას, შეუძლია ამ ქონებრივი ობიექტების მიმართ კუთვნილი იპოთეკური უფლებების თავისი შეხედულებისამებრ ერთდროულად ან ერთმანეთის მიმდევრობით რეალიზაცია.

2754. როდესაც შემდგომი რიგის მქონე კრედიტორები უზრუნველყოფილი არიან იმ იპოთეკით, რომლის რეალიზაციაც ხორციელდება მხოლოდ იგივე კრედიტორის სასარგებლოდ დატვირთული ქონების ერთ-ერთ განცალკევებულ საგანზე, აღნიშნული კრედიტორის იპოთეკა იყოფა — თუ სასამართლოს კონტროლის ქვეშ იყიდება ქონების ორი ან მეტი საგანი და გასანაწილებელი ამონაგები თანხა კი საკმარისია მისი მოთხოვნის დასაფარად — პროპორციულად იმისა, რაც რჩება ქონების საგნებიდან შესაბამისი ამონაგები თანხის განაწილებისათვის.

2755. ცვალებადი იპოთეკის მფლობელს არ შეუძლია თავისი იპოთეკური უფლებების რეალიზაცია იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების რეგისტრაციის დასრულებამდე.

2756. (გაუქმებულია)

განყოფილება 3
წინასწარი ღონისძიებები

§ 1. — წინასწარი გაფრთხილება

2757. კრედიტორმა, რომელსაც განზრახული აქვს იპოთეკური უფლებების რეალიზაცია, უფლებათა რეესტრს უნდა წარუდგინოს წინასწარი გაფრთხილება იმ მტკიცებულებასთან ერთად, რომელიც ადასტურებს მისი მოვალისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, — იპოთეკის დამდგენისა და იმ ნებისმიერი პირისათვის ჩაბარების ფაქტს, რომლის მიმართაც მას განზრახული აქვს თავისი უფლების რეალიზაცია.

გაფრთხილების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს უფლებათა პუბლიკაციის შესახებ წიგნის ნორმების შესაბამისად.

2758. იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარ გაფრთხილებაში უნდა მიეთითოს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნებისმიერი შეუსრულებლობის შესახებ და, აუცილებლობის შემთხვევაში, ის უნდა შეიცავდეს შეხსენებას იმის თაობაზე, რომ მოვალეს ან მესამე პირს აქვს ვალდებულების დარღვევის აღმოფხვრის უფლება. წინასწარი გაფრთხილება ასევე უნდა უთითებდეს მოთხოვნის ძირითადი თანხისა და პროცენტის თანხებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და ასევე იმ იპოთეკური უფლების ბუნებას, რომლის რეალიზაციაც განზრახული აქვს კრედიტორს; მასში ასევე მოცემული უნდა იყოს უფლებრივად დატვირთული ქონების აღწერა და მოთხოვნა იმ პირისადმი, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს იპოთეკური უფლება, რომ მან დათმოს ქონება გაფრთხილებაში მითითებული ვადის გასვლამდე.

აღნიშნული ვადა შეადგენს 20 დღეს მოძრავი ქონების შემთხვევაში გაფრთხილების რეგისტრაციის შემდეგ, 60 დღეს — უძრავი ქონების შემთხვევაში ან 10 დღეს, თუ კრედიტორს განზრახული აქვს ქონების მფლობელობაში მიღება; თუმცა, ვადა შეადგენს 30 დღეს იმ იპოთეკით დატვირთულ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული გაფრთხილების შემთხვევაში, რომელიც დადგენილია აქტის საფუძველზე, რაც წარმოადგენს სამომხმარებლო ხელშეკრულების დანამატს.

2759. კრედიტორს, რომელიც ფლობს ფასიან ქაღალდებსა თუ საუზრუნველყოფო დოკუმენტებზე დადგენილ იპოთეკას ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და საუზრუნველყოფო დოკუმენტების დადგენის შესახებ კანონის (თავი T-11.002) გაგებით, შეუძლია გაყიდოს აღნიშნული ფასიანი ქაღალდები ან საუზრუნველყოფო დოკუმენტები ანდა სხვაგვარად განკარგოს ისინი წინამდებარე ტიტულში გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ისე, რომ მას არ მოეთხოვება წინასწარი გაფრთხილების წარდგენა, მათი დათმობის მიღწევა ან წინამდებარე ტიტულით გათვალისწინებული ზღვრული ვადების დაცვა, თუ კრედიტორსა და იპოთეკის დამდგენს შორის არსებული შეთანხმება ამას უშვებს, ხოლო როდესაც კრედიტორს არა აქვს ფასიანი ქაღალდების ან საუზრუნველყოფო დოკუმენტების კონტროლი, — თუ ეს ინსტრუმენტები ისეთი სახისაა, რომ ისინი დაშვებულია ან იყიდება საფონდო ბირჟებზე ან საფინანსო ბაზრებზე.

კრედიტორი, რომელიც აღნიშნული წესით განკარგავს ფასიან ქაღალდებს ან საუზრუნველყოფო დოკუმენტებს, მოქმედებს იპოთეკის დამდგენის სახელით და არ არის ვალდებული, მყიდველს განუცხადოს თავისი სტატუსის შესახებ. კრედიტორი განკარგვიდან ამონაგებ თანხას მიმართავს ფასიანი ქაღალდების ან საუზრუნველყოფო დოკუმენტების განკარგვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის, ასევე — კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით უპირატესობის მქონე იპოთეკური მოთხოვნებისა და ბოლოს კრედიტო-

რის მოთხოვნის დაფარვის ანგარიშში; ნებისმიერ ნამეტ თანხას კრედიტორი გადასცემს იპოთეკის დამდგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებულ ფარგლებში განკარგვა იწვევს სანივთო უფლებების გაუქმებას სასამართლოს კონტროლის ქვეშ განხორციელებული ნასყიდობის სამართლებრივ შედეგთან მიმართებაში.

კრედიტორის მიერ განხორციელებულ ნასყიდობასთან დაკავშირებული წინამდებარე ტიტულის წესები, აუცილებელი სახეცვლილებებით, გამოიყენება კრედიტორის მიერ ფასიანი ქაღალდების ან საუზრუნველყოფო დოკუმენტების ყველა სხვა მხრივ განკარგვის მიმართაც.

2760. იპოთეკით დატვირთული ქონების ნებაყოფლობითი გასხვისება, რომელიც განხორციელდა მას შემდეგ, რაც კრედიტორმა მოახდინა იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ გაფრთხილების რეგისტრაცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის მიმართ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენი კრედიტორის თანხმობით პირადად კისრულობს ვალს ან — ვალის, ვადამოსული პროცენტისა და კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯების თანხის დაფარვისათვის საკმარისი თანხა განთავსებულია დეპოზიტზე.

§ 2. — მოვალის ან იმ პირის უფლებები, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია

2761. მოვალეს ან იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, ანდა ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირს, შეუძლია აღკვეთოს უფლების რეალიზაცია კრედიტორისათვის მისი კუთვნილი თანხის გადახდით ან წინასწარ გაფრთხილებაში მითითებული და ნებისმიერი შემდგომი დაუდევრობის ან დარღვევის გამოსწორებითა და ასევე, ნებისმიერ შემთხვევაში, — გაწეული ხარჯების გადახდით.

აღნიშნული უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანამდე, სანამ მოხდება ქონების მიღება გადახდის სანაცვლოდ ან ქონება გაიყიდება ანდა თუ უფლების განხორციელება მდგომარეობს ქონების მფლობელობაში მიღებაში, — ნებისმიერ დროს.

2762. კრედიტორი, რომელმაც წარადგინა იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარი გაფრთხილება, არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ნებისმიერი საზღაური მოვალისაგან, გარდა გადასახდელი პროცენტის და გაწეული ხარჯებისა.

მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, გაწეული ხარჯები არ მოიცავს კრედიტორის მიერ იმ მომსახურებისათვის გადასახდელი პროფესიული საქმიანობის საზღაურს, რომელიც მოითხოვება კრედიტორის მიერ იპოთეკით უზრუნველყოფილი ძირითადი თანხისა და პროცენტის ანაზღაურების ან უფლებრივად დატვირთული ქონების შენარჩუნების მიზნით.

§ 3. — ქონების დათმობა

2763. ქონების დათმობა არის ნებაყოფლობითი ან იძულებითი.

2764. ქონების დათმობა არის ნებაყოფლობითი, როდესაც მანამდე, სანამ გადის წინასწარ გაფრთხილებაში მითითებული ვადა, პირი, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, უტოვებს ქონებას კრედიტორს ისე, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს მისი მფლობელობაში მიღება, ან წერილობით აცხადებს თანხმობას ქონების კრედიტორისათვის გადაცემაზე შეთანხმებულ ვადაში.

თუ იპოთეკური უფლების განხორციელება მდგომარეობს გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღებაში, ქონების ნებაყოფლობითი დათმობა უნდა დადასტურდეს ქონების დამთმობი პირის მიერ შედგენილ აქტში და მიღებულ იქნეს კრედიტორის მიერ.

2765. ქონების დათმობა არის იძულებითი, როდესაც სასამართლო ადგენს მას იმის შემდეგ, რაც ის დარწმუნდება მოთხოვნის არსებობაში, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევაში, ნებაყოფლობით დათმობის უარსა და შეპასუხებისათვის ნამდვილი საფუძვლის არარსებობაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება ადგენს დროის იმ პერიოდს, როდესაც უნდა განხორციელდეს ქონების დათმობა, განსაზღვრავს მისი განხორციელების წესსა და უთითებს პირს, რომლის სასარგებლოდაც ის ხორციელდება.

2766. თუ სადავოდ არის გამხდარი კრედიტორის კეთილსინდისიერება ან მისი მართვის კომპეტენცია ან იმ ქონების გაყიდვის უნარი, რომლის დათმობაც მან განცხადებით მოითხოვა, სასამართლოს შეუძლია დაავალოს კრედიტორს თავდების წარდგენა მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ.

2767. ქონების დათმობა ასევე არის იძულებითი, როდესაც სასამართლო კრედიტორის განცხადების საფუძველზე ადგენს ქონების დათმობას წინასწარ გაფრთხილებაში მითითებული ვადის გასვლამდე, როდესაც სახეზეა საფუძველი იმის შიშისა, რომ მისი მოთხოვნის სხვაგვარ ანაზღაურებას შესაძლოა შეექმნას საფრთხე, ან როდესაც ქონება შეიძლება სწრაფად გაუარესდეს ან გაფუჭდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ განახორციელოს თავისი იპოთეკური უფლებები.

არ არის აუცილებელი, განცხადება ჩაბარდეს იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, თუმცა მას უნდა ჩაბარდეს სასამართლოს დადგენილება. თუ ეს უკანასკნელი შემდგომში გაუქმდა, კრედიტორი ვალდებულია დააბრუნოს ქონება ან აანაზღაუროს გასხვისების ფასი.

2768. კრედიტორს, რომელმაც მიაღწია ქონების დათმობას, აქვს ამ ქონების მარტივი მართვის უფლება მანამდე, სანამ ის იპოთეკური უფლება, რომლის რეალიზაციაც მას აქვს განზრახული, უკვე რეალურად განხორციელდა.

2769. პირი, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია

და რომელიც არ არის პასუხისმგებელი ვალისათვის, პირადად პასუხისმგებელი ხდება ამ უკანასკნელისათვის, თუ ის არ მოახდენს ქონების დათმობას სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოყოფილ ვადაში.

2770. როდესაც პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, კუთვნილი უფლების შედეგად აქვს პრივილეგია, დააკავოს მოძრავი ნივთი, ის ვალდებულია დათმოს ეს ნივთი მისი უპირატესობის გათვალისწინებით.

2771. როდესაც პირმა, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, მიიღო ქონება მისი წინასწარ გაფრთხილებაში მითითებულ მოთხოვნასთან შედარებით უფრო ადრინდელი რიგის მქონე პრივილეგიის ან იპოთეკური მოთხოვნის გადახდის სანაცვლოდ, შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტომა თავად გაყიდოს ქონება ან უზრუნველყოს მისი გაყიდვა სასამართლოს კონტროლის ქვეშ; ასეთ შემთხვევაში, ის ვალდებულია, დათმოს ქონება მხოლოდ კრედიტორის მიერ მისთვის იმ გარანტიის მიცემის პირობით, რომ ქონება გაიყიდება იმ ფასად, რაც საკმარისი იქნება მისი უფრო ადრინდელი რიგის მქონე პრივილეგიების ან იპოთეკური მოთხოვნების სრულად გადახდის უზრუნველყოფისათვის.

2772. ის სანივთო უფლებები, რომლებიც შეძენისას ქონებაზე ჰქონდა პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, ან რომლებიც მან დაფარა იმ დროს, როდესაც ქონება მის მფლობელობაში იმყოფებოდა, ქონების დათმობის შემდეგ ხელახლა წარმოიშობა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი გაუქმდა.

განყოფილება 4
მფობელობაში მიღება ქონების მართვის მიზნებისათვის

2773. კრედიტორს, რომელიც ფლობს საწარმოს ქონებაზე დადგენილ იპოთეკას, შეუძლია დროებით მიიღოს იპოთეკით დატვირთული ქონების მფლობელობა და მართოს ის ან, საერთოდაც, მისი მართვა გადასცეს მესამე პირს. კრედიტორი ან ის პირი, ვისაც მან გადასცა ქონების მართვა, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს როგორც სხვა პირების ქონების მმართველი, რომელიც პასუხისმგებელია სრული მართვისათვის.

2774. ქონების მფლობელობის მიღება არ ეხება დამქირავებლის უფლებებს.

2775. ქონების მფლობელობის მიღება უქმდება, როდესაც კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია ძირითადი თანხის, პროცენტისა და ხარჯების მხრივ, როდესაც მისი უფლების რეალიზაცია გაუქმებულია და ასევე — იმ გარემოებების არსებობისას, რომელთა არსებობისას წყდება სხვა პირების ქონების მართვა. იმ პირის გაკოტრება, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, არ წყვეტს ქონების მფლობელობის მიღებას.

2776. როდესაც მფლობელობა წყდება, კრედიტორმა უნდა წარადგინოს ანგარიში მის მიერ განხორციელებული მართვის შესახებ და, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მოახდინა სხვა იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარი გაფრთხილების გამოქვეყნება, — დაუბრუნოს მის მფლობელობაში არსებული ქონება იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, ან მის უფლებამონაცვლეებს წინასწარ შეთანხმებულ ადგილას, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას კი, იმ ადგილას, სადაც ქონება იმყოფება.

კრედიტორი ქონების დაბრუნების შესახებ შეტყობინებას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამის რეესტრში.

2777. კრედიტორი, რომელმაც მის მიერ განხორციელებული ქონების მართვის შედეგად მიაღწია ვადის დაფარვას, ვალდებულია იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, ქონებასთან ერთად გადასცეს ის ნამეტი თანხა, რომელიც მას რჩება ვალის, ქონების მართვისა და მფლობელობის განხორციელებასთან დაკავშირებით ნაკისრი ხარჯების დაფარვის შემდეგ.

განყოფილება 5
გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღება

2778. როდესაც კრედიტორის წინასწარი შეტყობინების რეგისტრაციის მომენტისათვის მოვალემ უკვე დაფარა იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულების ნახევარი ან ნახევარზე მეტი, კრედიტორმა გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღებამდე სასამართლოსაგან უნდა მიიღოს ნებართვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იმ პირმა, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, მოახდინა ქონების ნებაყოფლობითი დათმობა.

2779. შემდგომი რიგის მქონე კრედიტორებს ან მოვალეს ქონების დათმობისათვის გამოყოფილ ვადაში შეუძლიათ მოსთხოვონ კრედიტორს გადახდის სანაცვლოდ ქონების მიტოვება და თავად გაყიდოს ქონება ან უზრუნველყოს მისი გაყიდვა სასამართლოს კონტროლის ქვეშ; ამ მიზნით აღნიშნულმა პირებმა ჯერ რეგისტრაციაში უნდა გაატარონ შეტყობინება, აუნაზღაურონ კრედიტორს მის მიერ გაწეული ხარჯები და ავანსის სახით გადასცენ ქონების გაყიდვისათვის საჭირო თანხები.

შეტყობინება უნდა ჩაბარდეს კრედიტორს, იპოთეკის დამდგენს ან მოვალეს და ასევე იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, და მისი რეგისტრაცია ცხადდება უფლებათა პუბლიკაციის შესახებ წიგნის ნორმების შესაბამისად.

შემდგომი რიგის მქონე იმ კრედიტორებმა, რომლებიც ითხოვენ კრედიტორის მიერ ქონების გაყიდვის პროცესის ჩატარებას, უნდა მისცენ ასევე მას გარანტია იმის შესახებ, რომ ქონება გაიყიდება იმ ფასად, რაც საკმარისი იქნება მისი მოთხოვნის სრულად გადახდის უზრუნველყოფისათვის.

2780. კრედიტორი, რომელსაც მოეთხოვება ქონების გაყიდვა, უნდა შეუდ-

გეს ამის განხორციელებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამჯობინებს თანხის გადახდას შემდგომი რიგის მქონე იმ კრედიტორებისათვის, რომლებმაც რეგისტრაციაში გაატარეს შეტყობინება, ან თუ შეტყობინების რეგისტრაციაში გატარება მოხდა მოვალის მიერ, — გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო ნებას რთავს კრედიტორს, მიიღოს ქონება გადახდის სანაცვლოდ მის მიერ განსაზღვრულ პირობებზე.

თუ კრედიტორი არ მოქმედებს, სასამართლოს შეუძლია აღნიშნულის განხორციელების ნება დართოს იმ პირს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა გაყიდვის მოთხოვნის შესახებ შეტყობინება, ან მის მიერ დანიშნულ ნებისმიერ სხვა პირს.

2781. როდესაც ვალდებულების დარღვევა არ აღმოფხვრილა ან გადახდა არ განხორციელებულა ქონების დათმობისათვის გამოყოფილ დროში, კრედიტორი იღებს ქონებას გადახდის სანაცვლოდ ქონების დათმობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით ან იმ პირის ნებაყოფლობითი მოქმედებით, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, და კრედიტორის მხრიდან მიღებით, თუ არც შემდგომი რიგის მქონე კრედიტორებმა და არც მოვალემ არ მოსთხოვეს მას ქონების გაყიდვის პროცესის ჩატარება.

ქონების დათმობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ან განხორციელებული და მიღებული ნებაყოფლობითი მოქმედება ქმნის კრედიტორის საკუთრების უფლების სამართლებრივ საფუძველს.

2782. გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღების შედეგად ვალდებულება წყდება.

კრედიტორს, რომელმაც მიიღო ქონება გადახდის სანაცვლოდ, არ შეუძლია მოითხოვოს ის, რასაც ის უხდის იმ პრივილეგირებულ კრედიტორს ან იპოთეკარს, რომლის მოთხოვნაც სარგებლობს უპირატესობით მის მოთხოვნასთან შედარებით. ასეთ შემთხვევაში, მას არ ენიჭება სუროგაციის უფლება მისი წინა მოვალის მიმართ.

2783. კრედიტორი, რომელმაც მიიღო ქონება გადახდის სანაცვლოდ, ხდება ამ ქონების მესაკუთრე წინასწარი გაფრთხილების რეგისტრაციის მომენტიდან. ის ქონებას იღებს ისეთ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ის იმყოფებოდა, თუმცა — მისი იპოთეკის შემდგომ გამოქვეყნებული ყველა იპოთეკისაგან თავისუფალს.

კრედიტორის მიმართ წინასწარი გაფრთხილების რეგისტრაციის შემდეგ დადგენილი სანივთო უფლებების გამოყენება დაუშვებელია, თუ ის მათ არ დაეთანხმა.

განყოფილება 6
ქონების გაყიდვა კრედიტორის მიერ

2784. კრედიტორს, რომელიც ფლობს საწარმოს ქონებაზე დადგენილ იპოთეკას და რომელმაც წინასწარი გაფრთხილება წარუდგინა უფლებათა რეესტრს უფლებრივად დატვირთული ქონების თავად გაყიდვის განზრახვის მითითებით, ქონების დათმობის მიღწევის შემდეგ შეუძლია გააგრძელოს ქონების გაყიდვის პროცესი შეთანხმების საფუძველზე, ტენდერის გამოცხადებითა თუ საჯარო აუქციონის გზით.

2785. კრედიტორმა უნდა გაყიდოს ქონება ზედმეტი დაყოვნების გარეშე კომერციულად გონივრულ ფასში და იმ პირის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია.

თუ სახეზეა ერთზე მეტი ქონებრივი ობიექტი, კრედიტორს შეუძლია გაყიდოს ისინი ერთად ან ცალ-ცალკე.

2786. კრედიტორი, რომელიც თავად ყიდის ქონებას, მოქმედებს მესაკუთრის სახელით და ის ვალდებულია, გაყიდვის მომენტში შემძენს განუცხადოს თავისი სტატუსი.

2787. კრედიტორს, რომელიც აცხადებს ტენდერს, შეუძლია ამის განხორციელება მოწვევით ან ტენდერის საჯარო გამოცხადებით.

ტენდერის განცხადება უნდა შეიცავდეს საკმარის ინფორმაციას, რათა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს შეთავაზება სათანადო დროსა და ადგილას.

კრედიტორი ვალდებულია, მიიღოს უმაღლესი ფასის შეთავაზება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთავაზებასთან დაკავშირებული პირობები მას ნაკლებად სარფიანს ხდის სხვა უფრო დაბალი ფასის შეთავაზებასთან შედარებით ან შეთავაზებული ფასი არ არის კომერციულად გონივრული.

2788. კრედიტორმა, რომელიც ახორციელებს ქონების გაყიდვას საჯარო აუქციონის გზით, უნდა ჩაატაროს ეს უკანასკნელი გაყიდვის შესახებ იმ შეტყობინებაში მითითებულ დღეს, დროსა და ადგილას, რომელიც ჩაბარდა პირს, რომლის მიმართაც ხდება იპოთეკური უფლების რეალიზაცია, და ასევე — იპოთეკის დამდგენს, და რომელიც შეტყობინებულ იქნა სხვა კრედიტორებისათვის, რომლებმაც მოახდინეს ქონების მიმართ თავიანთი უფლების გასაჯაროება.

მის მიერ მიღებულ ზომებთან დაკავშირებით კრედიტორმა ასევე უნდა აცნობოს იმ ნებისმიერ პირს, რომელიც აღნიშნულს ითხოვს.

2789. კრედიტორი გაყიდვიდან ამონაგებ თანხას მიმართავს უფლების რეალიზაციის ხარჯების, კრედიტორის უფლებებთან შედარებით პრიორიტეტის მქონე მოთხოვნებისა და, ბოლოს, მისი მოთხოვნის დაფარვის ანგარიშში.

თუ სხვა კრედიტორებს აქვთ დასაცავი უფლებები, ის კრედიტორი, რომელმაც გაყიდა ქონება, გაყიდვიდან ამონაგები თანხის შესახებ ანგარიშს წარუდგენს განსჯადი სასამართლოს მდივანს და გადასცემს მას იმას, რაც რჩება აღნიშნული გადახდების შემდეგ; როდესაც ასეთი კრედიტორები არ არსებობენ, პირველმა კრედიტორმა 10 დღის ვადაში გაყიდვიდან ამონაგები თანხის შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს ქონების მესაკუთრეს და გადასცეს მას ნებისმიერი ნამეტი თანხა; ანგარიშის წარდგენა შეიძლება გასაჩივრდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებული წესით.

როდესაც გაყიდვიდან ამონაგები თანხა არასაკმარისია კრედიტორის მოთხოვნისა და ხარჯების დასაფარად, ეს უკანასკნელი ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას მოვალის მიმართ მისთვის განკუთვნილი ნარჩენი თანხისათვის.

2790. შემძენი იღებს ქონებას წინასწარი გაფრთხილების რეგისტრაციის მომენტში სანივთო უფლებებით დატვირთულ მდგომარეობაში, გარდა იმ კრედიტორის იპოთეკისა, რომელმაც გაყიდა ქონება, და იმ მოთხოვნებისა, რომლებიც იკავებდა უპირატეს რიგს ამ უკანასკნელის უფლებებთან შედარებით.

შემძენის მიმართ წინასწარი გაფრთხილების რეგისტრაციის შემდეგ დადგენილი სანივთო უფლებების გამოყენება დაუშვებელია, თუ ის მათ არ დაეთანხმა.

განყოფილება 7
ქონების გაყიდვა სასამართლოს კონტროლის ქვეშ

2791. ქონების გაყიდვა სასამართლოს კონტროლის ქვეშ, როდესაც სასამართლო ნიშნავს პირს, ვინც ჩაატარებს გაყიდვის პროცესს, ადგენს გაყიდვის პირობებსა და ხარჯებს, უთითებს, შეიძლება თუ არა მისი განხორციელება შეთანხმების საფუძველზე, ტენდერის გამოცხადებითა თუ საჯარო აუქციონის გზით, ხოლო თუ ის ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს, — ადგენს უმცირეს საწყის ფასს ქონების ღირებულებასთან დაკავშირებით საკითხის დაზუსტების შემდეგ.

პირი, რომელსაც ევალება ქონების გაყიდვა, უნდა იყოს დამოუკიდებელი ნებისმიერი დაინტერესებული პირებისაგან და მას უნდა ჰქონდეს ნასყიდობის პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია.

2792. არც ერთ კრედიტორს არ შეუძლია იმის მოთხოვნა, რომ ქონების გაყიდვის პროცესი ჩატარდეს მისი იპოთეკის გათვალისწინებით.

2793. პირს, რომელსაც ევალება ქონების გაყიდვა, დაინტერესებული პირების მოთხოვნის საფუძველზე მოეთხოვება მათი ინფორმირება ნებისმიერი მიღებული ზომების შესახებ და სასამართლოს კონტროლის ქვეშ ქონების გაყიდვის შესახებ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (თავი C-25.01) მე-8 წიგნის მე-3 და მე-4 ტიტულებით გათვალისწინებული წესების შესრულება, მათ შორის, საჭიროების შესაბამისად მისადაგებით, — გაყიდვების რეესტრში გამოქვეყნებისა და გაფორმების თანხების განაწილებასთან დაკავშირებით.

პირი მოქმედებს მესაკუთრის სახელით და ის ვალდებულია, შემძენს განუცხადოს თავისი სტატუსი.

2794. სასამართლოს კონტროლის ქვეშ ქონების გაყიდვა იწვევს სანივთო უფლებების გაუქმებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებულ ფარგლებში.

თავი 6
იპოთეკების გაუქმება

2795. იპოთეკები უქმდება უფლებრივად დატვირთული ქონების მოსპობით, მისი ბუნების შეცვლით, სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებით ან ექსპროპრიაციით, როდესაც აღნიშნული მოვლენები ეხება მთლიან ქონებას.

2796. როდესაც მოძრავი ნივთი მიერთებულია უძრავ ქონებას, მოძრავი იპოთეკა შეიძლება შენარჩუნდეს უძრავი იპოთეკის სახით, მიუხედავად ქონების ბუნების შეცვლისა იმ პირობით, რომ ის რეგისტრირებულია მიწის რეესტრში; ამ იპოთეკის რიგი განისაზღვრება უფლებათა პუბლიკაციის შესახებ წიგნში მოცემული ნორმების შესაბამისად.

2797. იპოთეკა უქმდება იმ ვალდებულების შეწყვეტით, რომლის შესრულებასაც ის უზრუნველყოფს. საკრედიტო ხაზის შემთხვევაში ან ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც მოვალე ხელახლა კისრულობს ვალდებულებას იპოთეკის დამდგენი აქტის დებულების საფუძველზე, იპოთეკა შენარჩუნდება მიუხედავად ვალდებულების შეწყვეტისა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკა უქმდება.

2798. მოძრავი იპოთეკა უქმდება არაუგვიანეს 10 წლისა მისი ან იმ შეტყობინების რეგისტრაციის დღიდან, რომლითაც ის შედის ძალაში ან ხდება მისი განახლება.

გირავნობა უქმდება ნივთის მპყრობელობის შეწყვეტით.

2799. უძრავი იპოთეკა უქმდება არაუგვიანეს 30 წლისა მისი ან იმ შეტყობინების რეგისტრაციის დღიდან, რომლითაც ის შედის ძალაში ან ხდება მისი განახლება.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ იპოთეკების შემთხვევაში, რომლებიც უზრუნველყოფს ემფიტენზისის ფასს, უძრავი ქონების ფასის თანხისათვის დადგენილ ქირას, სამისდღეშიო რჩენას ან სიცოცხლის ვადის დადგენილ უზუფრუქტს, ასევე — La Financière agricole du Québec-ის ან Société d'habitation du Québec-ის ანდა არსებული ან მომავალი კრედიტორების იპოთეკური წარმომადგენელის სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკების შემთხვევაში, რომლებიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის, ამხანაგობის ან მინდობილი მესაკუთრის ვალდებულებების შესრულებას.

2800. თანამესაკუთრის დანაყოფზე არსებული თანამესაკუთრეთა სინდიკატის კანონისმიერი იპოთეკა უქმდება მისი რეგისტრაციიდან სამი წლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინდიკატი იპოთეკის შენარჩუნების მიზნით აქვეყნებს სარჩელს იმ მესაკუთრის მიმართ, რომელმაც დაარღვია ნაკისრი ვალდებულებები, ან რეგისტრაციაში ატარებს იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარ გაფრთხილებას.

2801. როდესაც იპოთეკარი გადახდის სანაცვლოდ იღებს იპოთეკით დატვირთულ ქონებას, უფრო გვიანი რიგის მქონე კრედიტორების იპოთეკა არ უქმდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხდება განხორციელებული და მიღებული ნებაყოფლობითი მოქმედების ან ქონების დათმობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაციით.

2802. იპოთეკები უქმდება ასევე კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

წიგნი მეშვიდე
მტკიცებულებები

ტიტული 1
მტკიცებულებების შესახებ ზოგადი დებულებები

თავი 1
ზოგადი დებულებები

2803. პირმა, რომელიც ცდილობს უფლების არსებობის დადასტურებას, უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება მისი მოთხოვნა.

პირმა, რომელიც აცხადებს, რომ უფლება ბათილია, შეცვლილ იქნა ან გაუქმდა, უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება მისი განცხადება.

2804. მტკიცებულება საკმარისია, თუ ის უფრო სარწმუნოდ წარმოაჩენს ფაქტის არსებობას, ვიდრე მის არარსებობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითხოვს უფრო დამაჯერებელ მტკიცებას.

2805. კეთილსინდისიერება ყოველთვის ივარაუდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითხოვს, რომ ის დამტკიცდეს.

თავი 2
სასამართლოს მიერ საყოველთაოდ ცნობილად მიჩნეული ფაქტები
(JUDICIAL NOTICE)

2806. მტკიცებას არ საჭიროებს ის საკითხები, რომლებიც სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად უნდა მიიჩნიოს.

2807. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად მიჩნევა უნდა მოხდეს კვებეკში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

თუმცაღა, მითითება უნდა გაკეთდეს კვებეკში მოქმედ საკანონმდებლო აქტებზე, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული Gazette officielle du Québec-ში ან ნებისმიერი სხვა წესით, რომელიც გათვალისწინებულია კანონით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებიც მოქმედებს კვებეკის მიმართ, თუმცა არ არის ასახული კანონის ტექსტში, და ასევე — საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით.

2808. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად სასამართლომ უნდა მიიჩნიოს ნებისმიერი ფაქტი, რომელიც იმდენად საერთოდ ცნობილია, რომ მისი ეჭვქვეშ დაყენება შეუძლებელია.

2809. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად მიჩნევა შეიძლება მოხდეს კანადის სხვა პროვინციებისა თუ ტორიტორიების ანდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე იმ პირობით, რომ მოხდა მაზე მითითება. სასამართლოს შეუძლია ასევე მოითხოვოს ასეთი კანონმდებლობის არსებობის შესახებ მტკიცებულების წარდგენა; სხვა საშუალებებთან ერთად აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს საექსპერტო დასკვნით ან იურისტკონსულტის მიერ შედგენილი დოკუმენტის წარდგენით.

როდესაც აღნიშნულ კანონმდებლობაზე მითითება არ მომხდარა ან მისი შინაარსი არ იქნა დადგენილი, სასამართლო იყენებს კვებეკში მოქმედ სამართალს.

2810. სასამართლოს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეუძლია გამოიყენოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები დავებში მხარეთა თანდასწრებით ან როდესაც მხარეები სათანადოდ იქნენ მოწვეული. სასამართლოს შეუძლია მოახდინოს ნებისმიერი დაკვირვება, რასაც ის აუცილებლად ჩათვლის, და ასევე — ადგილზე დათვალიერება (go to the scene), თუ ამის საჭიროება არსებობს.

ტიტული 2
მტკიცების საშუალებები

2811. ფაქტი ან გარიგება შეიძლება დამტკიცდეს წერილობითი დოკუმენტით, მოწმეთა ჩვენებით, პრეზუმფციით, აღიარებით ან ნივთიერი მტკიცებულების წარდგენით წინამდებარე წიგნში მოცემული ნორმების შესაბამისად და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) ან ნებისმიერი სხვა კანონით გათვალისწინებული წესით.

თავი 1
წერილობითი დოკუმენტები

განყოფილება 1
კანონების ასლები

2812. კანონების ასლები, რომლებიც მოქმედებდა ან მოქმედებს კანადაში და დადასტურებულია კომპეტენტური საჯარო მოხელის მიერ ან გამოქვეყნებულია უფლებამოსილი გამომცემლის მიერ, წარმოადგენს მტკიცებულებას ამ კანონების არსებობისა და შინაარსის; ამდენად, არც აღნიშნულ ასლზე არსებული ხელმოწერა ან ბეჭედი და არც მოხელის ან გამომცემლის სტატუსი არ საჭიროებს მტკიცებას.

განყოფილება 2
აუთენტური აქტები

2813. აუთენტურ აქტს წარმოადგენს აქტი, რომელიც კვებეკის ან კანადის კანონმდებლობის შესაბამისად მიღებულ ან დადასტურებულ იქნა კომპეტენტური საჯარო მოხელის მიერ კანონით მოთხოვნილი ფორმალობების დაცვით.

აქტი, რომლის გარეგნული იერსახე აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, ივარაუდება, რომ არის აუთენტური.

2814. კერძოდ, შემდეგი დოკუმენტები წარმოადგენს აუთენტურს, თუ ისინი შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს:

1) კანადის პარლამენტის ან კვებეკის პარლამენტის ოფიციალური დოკუმენტები:

2) კანადის ან კვებეკის მთავრობის მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები, როგორიცაა საპატენტო სიგელი, ბრძანებები და პროკლამაციები;

3) კვებეკში განსჯადი სასამართლოების ოქმები;

4) მუნიციპალიტეტებისა და კვებეკის კანონით საჯარო ინტერესებში დაფუძნებული სხვა იურიდიული პირების მიერ მიღებული ოქმები და გამოცემული ოფიციალური დოკუმენტები;

5) საჯარო დოკუმენტები, რომელთა წარმოებასაც კანონი ითხოვს საჯარო მოხელეების მიერ;

6) სანოტარო აქტები;

7) სასაზღვრო მიჯნების აღმართვის ოპერაციების შესახებ ოქმები.

2815. აუთენტური აქტის დედნის ასლი ან როდესაც დედანი დაკარგულია, — აღნიშნული აქტის აუთენტური ასლის ასლი მიიჩნევა აუთენტურად, თუ ის დამოწმებულია მისი შემნახველი საჯარო მოხელის მიერ.

2816. იმ შემთხვევაში, როდესაც დაკარგულია რეესტრში რეგისტრირებული დოკუმენტი — თუ მისი შენახვა მოითხოვება კანონით — და რეესტრის ხელმძღვანელის მიერ შენარჩუნებული დოკუმენტის დედანი ან თუ ეს დედანი იმყოფება მოწინააღმდეგე მხარესთან ანდა მესამე პირთან იმ პირის მხრიდან ფარული გარიგების გარეშე, რომელიც ითხოვს აღნიშნული დოკუმენტის გამოყენებას, — ამ უკანასკნელის ასლი ასევე მიიჩნევა აუთენტურად, თუ ის დამოწმებულია მისი შემნახველი საჯარო მოხელის მიერ, ან თუ ის Archives nationales du Québec-ის შემნახველის მიერ შენახული Archives nationales-ში ან გადაეცა ამ უკანასკნელს.

2817. ამონარიდი, რომელიც ახდენს აუთენტური აქტის ნაწილის სიტყვასიტყვით აღწარმოებას, თავად მიიჩნევა აუთენტურად, თუ ის დამოწმებულია აქტის შემნახველის მიერ იმ პირობით, რომ ამონარიდში მითითებულია მისი გაცემის თარიღი და ასევე აქტის დედნის შედგენის თარიღი, ბუნება და ადგილი, ხოლო შესაბამის შემთხვევაში კი, — იმ მხარეებისა და საჯარო მოხელის სახელები, რომლებმაც ის შეადგინეს.

2818. აუთენტურ აქტში აღწერა იმ ფაქტებისა, რომელთა აღნიშვნა ან ჩანაწერის გაკეთების დავალება ჰქონდა საჯარო მოხელეს, ქმნის მტკიცებულებას ყველა პირის მიმართ.

2819. იმისათვის, რომ სანოტარო აქტი იყოს აუთენტური, ის ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა მხარის მიერ; ასეთ შემთხვევაში, სანოტარო აქტი ქმნის მტკიცებულებას იმ გარიგების ყველა პირის მიმართ, რომელსაც ის აყალიბებს, და ასევე მხარეთა იმ განცხადებების მიმართ, რომლებიც პირდაპირ ეხება აქტს.

როდესაც მხარეებს არ შეუძლიათ ხელმოწერა, მათი ნების გამოვლენა ან თანხმობა მიცემულ უნდა იქნეს იმ მოწმის წინაშე, რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს. მოწმეებად ვერ გამოვლენ არასრულწლოვანი პირები, სრული ასაკის პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ თანხმობის მიცემა, და ასევე ის პირები, რომლებსაც აქტის მიმართ აქვთ ინტერესი.

2820. დოკუმენტის აუთენტური ასლი ყველა პირის მიმართ ქმნის დედანთან მისი შესაბამისობის მტკიცებულებას და ცვლის ამ დედანს.

აუთენტური ამონარიდი ქმნის დოკუმენტის იმ ნაწილის შესაბამისობის მტკიცებულებას, რომელსაც ის აყალიბებს.

2821. განცხადება დოკუმენტის სიყალბის შესახებ (improbation) აუცილებელია მხოლოდ აუთენტურ აქტში მოცემული იმ ფაქტების აღწერის უარყოფისათვის, რომელთა აღნიშვნა ან ჩანაწერის გაკეთების დავალებაც ჰქონდა საჯარო მოხელეს.

განცხადება დოკუმენტის სიყალბის შესახებ არ მოითხოვება საჯარო მოხელის სტატუსის ან მოწმეების ანდა საჯარო მოხელის ხელმოწერის უარყოფისათვის.

განყოფილება 3
ნახევრად აუთენტური აქტები

2822. აქტი, რომელიც გაიცემა კომპეტენტური უცხო ქვეყნის კომპეტენტური საჯარო მოხელის მიერ, ქმნის მისი შინაარსის მტკიცებულებას ყველა პირის მიმართ და მოხელის არც სტატუსი და არც ხელმოწერა არ საჭიროებს მტკიცებას.

ანალოგიურად, იმ დოკუმენტის ასლი, რომლის შემნახველსაც წარმოადგენს უცხო ქვეყნის საჯარო მოხელე, ყველა პირის მიმართ ქმნის დედანთან მისი შესაბამისობის მტკიცებულებას და ცვლის ამ დედანს, თუ ის ჩვეულებრივ გაიცემა აღნიშნული მოხელის მიერ.

2823. კვებეკის ფარგლებს გარეთ კერძო დოკუმენტის სახით შედგენილი მინდობილობა ასევე ქმნის მტკიცებულებას ყველა პირის მიმართ, როდესაც ის დამოწმებულია იმ კომპეტენტური საჯარო მოხელის მიერ, რომელმაც დაადგინა მარწმუნებლის პიროვნება და დაადასტურა მისი ხელმოწერა.

2824. წინამდებარე განყოფილებაში ნახსენები აქტები, ასლები და მინდობილობები შესაძლოა შენახულ იქნეს იმ ნოტარიუსთან, რომელსაც ასეთ შემთხვევაში შეეძლება მათი ასლების გაცემა.

აღნიშნული ასლი ქმნის შენახულ დოკუმენტთან მისი შესაბამისობის მტკიცებულებას და ცვლის ამ დოკუმენტს.

2825. როდესაც გასაჩივრებულია უცხო ქვეყნის საჯარო მოხელის მიერ გაცემული აქტი ან ასლი ანდა — უცხო ქვეყნის საჯარო მოხელის მიერ დამოწმებული მინდობილობა, მათი აუთენტურობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს აღნიშნული დოკუმენტების გამოყენებას.

განყოფილება 4
კერძო დოკუმენტები

2826. კერძო დოკუმენტს წარმოადგენს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს გარიგებას და ხელმოწერილია მხარეთა მიერ; ის არ საჭიროებს ნებისმიერი სხვა ფორმალობის დაცვას.

2827. ხელმოწერა წარმოადგენს პირის მიერ წერილობითი დოკუმენტისათვის თავისი სახელის ან მისი დამახასიათებელი იმ ნიშნის დართვას, რომელსაც ის ჩვეულებრივ იყენებს თავისი განზრახვის გამოსახატავად.

2828. პირს, რომელიც ითხოვს კერძო დოკუმენტის გამოყენებას, ეკისრება მისი მტკიცების ტვირთი.

თუმცაღა, წერილობითი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომლის მიერაც ივარაუდება, რომ ის ხელმოწერილია ამ პირის ან მისი მემკვიდრეების მიერ, მიიჩნევა აღიარებულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის გასაჩივრებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი C-25.01) გათვალისწინებული წესით.

2829. იმ პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც უნდა მოხდეს მტკიცება, კერძო დოკუმენტი ქმნის იმ გარიგების არსებობის მტკიცებულებას, რომელსაც ის აყალიბებს, და ასევე — აქტთან პირდაპირ კავშირში მყოფი მხარეთა განცხადებების არსებობის მტკიცებულებას.

2830. კერძო დოკუმენტი არ ქმნის მისი თარიღის მტკიცებულებას მესამე პირების მიმართ, თუმცა აღნიშნული თარიღი ამ პირების მიმართ შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი საშუალებებით.

თუმცაღა, ივარაუდება, საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში გაფორმებული აქტები დაიდო მათში აღნიშნულ თარიღში.

განყოფილება 5
სხვა დოკუმენტები

2831. საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში რეგულარულად გამოყენებული ხელმოუწერელი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება გარიგების არსებობა, ქმნის ამ გარიგების შინაარსის მტკიცებულებას.

2832. დოკუმენტი, რომელიც არ არის არც აუთენტური და არც ნახევრად აუთენტური და ეხება ფაქტობრივ გარემოებას, წინამდებარე წიგნის წესების გათვალისწინებით შეიძლება დაშვებულ იქნეს მტკიცებისათვის როგორც დამამტკიცებელი საბუთი ან აღიარების სახით მისი ავტორის წინააღმდეგ.

2833. შინაური წერილი, რომელშიც მითითებულია, რომ გადახდილი თანხა მიღებულ იქნა ან რომელიც შეიცავს აღნიშვნას იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია აკომპენსირებს სამართლებრივი საფუძვლის ნაკლს იმ პირის სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს წერილი წარმოშობს ვალდებულებას, — ქმნის მტკიცებულებას მისი ავტორის წინააღმდეგ.

2834. კრედიტორის მიერ კუთვნილ სავალო დოკუმენტზე ან მის იმ ასლზე გაკეთებული ვალდებულებისაგან გათავისუფლების შესახებ აღნიშვნა, რომელიც ყოველთვის რჩება მის მფლობელობაში, ქმნის მტკიცებულებას მის წინააღმდეგ, თუნდაც ხელმოუწერელი და დაუთარიღებელი იყოს.

თუმცა, ვალდებულებისაგან გათავისუფლება არ გამოდგება გადახდის მტკიცებულებად, თუ მის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს ვალის მიმართ ხანდაზმულობის მომწესრიგებელ ნორმათა მოქმედებიდან გამორიცხვა.

2835. პირმა, რომელიც ითხოვს ხელმოუწერელი დოკუმენტის გამოყენებას, უნდა დაამტკიცოს, რომ ეს უკანასკნელი მომდინარეობს იმ პირისაგან, რომელიც, მისი მტკიცებით, წარმოადგენს ამ დოკუმენტის ავტორს.

2836. წინამდებარე განყოფილებით გათვალისწინებული წერილობითი დოკუმენტები შეიძლება უარყოფილ იქნეს ნებისმიერი საშუალებით.

განყოფილება 6
დოკუმენტებისა და ტექნოლოგიური ნეიტრალურობის მატარებლები

2837. დოკუმენტი წარმოადგენს მტკიცების საშუალებას მიუხედავად იმისა, თუ როგორია მისი მატარებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონით მოითხოვება სპეციალური მატარებლის ან ტექნოლოგიის გამოყენება.

როდესაც დოკუმენტი მოცემულია ისეთ მატარებელში, რომელიც ეფუძნება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მასზე მითითება ხდება როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ დოკუმენტზე საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) გაგებით.

2838. კანონმდებლობის ყველა სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად, საინფორმაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ მატარებელში მოცემული საკანონმდებლო აქტის ასლის, აუთენტური, ნახევრად აუთენტური ან კერძო დოკუმენტების სანდოობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ მიზნით გამოყენებისათვის, რომ მტკიცებულება წარდგენილ იქნეს იგივე წესით, როგორც ქაღალდის მატარებელში მოცემული იგივე სახის დოკუმენტი.

2839. დოკუმენტების სანდოობა უზრუნველყოფილია, თუ შესაძლებელია იმის დადგენა, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ შეცვლილა და შენარჩუნდა სრულად, და რომ გამოყენებული მატარებელი ინფორმაციისათვის უზრუნველყოფს სტაბილურობასა და მოთხოვნილ მუდმივობას.

როდესაც დოკუმენტის მატარებელი ან გამოყენებული ტექნოლოგია არ იძლევა დოკუმენტის სანდოობის დადასტურების ან უარყოფის საშუალებას, გარემოებებიდან გამომდინარე, დოკუმენტი შეიძლება დაშვებულ იქნეს როგორც მოწმის ჩვენება ან ნივთიერი მტკიცებულება და გამოდგეს როგორც მტკიცების პროცესის დასაწყისი.

2840. არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, რომ დოკუმენტის მატარებელი ან დოკუმენტის მეშვეობით საკომუნიკაციოდ გამოყენებული პროცესები, სისტემები ან ტექნოლოგია უზრუნველყოფს მის სანდოობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის პირი, რომელიც სადავოდ ხდის დოკუმენტის დასაშვებობას, უფრო წონადი მტკიცებულებების საფუძველზე ადგენს, რომ დოკუმენტის სანდოობას ზიანი მიადგა.

განყოფილება 7
ინფორმაციის გადატანის შედეგად მიღებული ასლები და დოკუმენტები

2841. დოკუმენტის ასლი შეიძლება გაკეთდეს იმავე მატარებელში ან იგივე ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ მატარებელში მოცემული ასლის დამზადებით ანდა დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის განსხვავებულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ მატარებელში გადატანით.

როდესაც ასლი ახდენს დოკუმენტის დედნის ან ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ იმ დოკუმენტის აღწარმოებას, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) მე-12 განყოფილებაში გათვალისწინებული დედნის ფუნქციებს, აღნიშნული ასლი, იმ პირობით, თუ ის დამოწმებულია, ან ინფორმაციის გადატანის შედეგად მიღებული დოკუმენტი, იმ პირობით, თუ ის სათანადოდ გაფორმებულია, — შეიძლება კანონიერად ცვლიდეს აღწარმოებულ დოკუმენტს.

სახელმწიფოს, იურიდიული პირის, ამხანაგობისა თუ ასოციაციის მფლობელობაში არსებული დოკუმენტის შემთხვევაში, დამოწმება ხორციელდება უფლებამოსილი პირის ან დოკუმენტის შენახვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

2842. აუცილებლობის შემთხვევაში, დამოწმებულ ასლს უნდა ამყარებდეს განცხადება, რომლითაც დგინდება აღწარმოების გარემოებები და თარიღი, ასევე — დასტურდება ის ფაქტი, რომ ასლი შეიცავს იგივე ინფორმაციას, რასაც აღწარმოებული დოკუმენტი, და მიეთითება ის გამოყენებული საშუალებები, რომლითაც ხდება დოკუმენტის სანდოობის უზრუნველყოფა. განცხადება კეთდება დოკუმენტის შენახვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელმაც დაამზადა დოკუმენტის ასლი.

აუცილებლობის შემთხვევაში, ინფორმაციის გადატანის შედეგად მიღებულ დოკუმენტს უნდა ამყარებდეს საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) მე-17 განყოფილებაში მითითებული დოკუმენტაცია.

თავი 2
მოწმეთა ჩვენება

2843. მოწმეთა ჩვენება წარმოადგენს განცხადებას, რომლის მეშვეობითაც პირი ყვება იმ ფაქტებს, რომლებიც მისთვის პირადად არის ცნობილი ან რომლის მეშვეობითაც ექსპერტი გამოხატავს თავის შეხედულებას.

იმისათვის, რომ მოწმეთა ჩვენება მოქმედებდეს როგორც მტკიცებულება, ის მიცემულ უნდა იქნეს ფიცის ქვეშ (by deposition) სასამართლო საქმის წარმოების პროცესში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდნენ ან კანონი სხვაგვარად ითვალისწინებს.

2844. მოწმეთა ჩვენებით მტკიცება შესაძლებელია ერთადერთი მოწმის მიერაც.

ბავშვი, რომელსაც მოსამართლის შეხედულებით არ ესმის ფიცის ბუნება, შეიძლება დაშვებულ იქნეს ჩვენების მისაცემად აღნიშნული ფორმალობის გარეშეც, თუ მოსამართლე ჩათვლის, რომ ბავშვი საკმარისად მომწიფებულია იმისათვის, რომ შეძლოს მისთვის ცნობილი ფაქტების მოყოლა და რომ მას ესმის სიმართლის თქმის მოვალეობა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ დაეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ ასეთ ჩვენებას.

2845. მოწმეთა ჩვენების მტკიცებითი ძალა უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ.

თავი 3
პრეზუმფციები

2846. პრეზუმფცია წარმოადგენს კანონის ან სასამართლოს მიერ ცნობილი ფაქტიდან უცნობი ფაქტის შესახებ გაკეთებულ ვარაუდს.

2847. კანონისმიერია ისეთი პრეზუმფცია, რომელსაც კანონი სპეციალურად უკავშირებს განსაზღვრულ ფაქტებს; ის ათავისუფლებს ნებისმიერი სხვა მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც ის არსებობს.

სავარაუდო ფაქტების შესახებ პრეზუმფცია მარტივია და შეიძლება გაბათილდეს საწინააღმდეგოს დამტკიცებით; ცნობილი ფაქტების შესახებ პრეზუმფცია აბსოლუტური და შეურყეველია.

2848. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალმოსილება ქმნის აბსოლუტურ პრეზუმფციას; ის მოქმედებს მხოლოდ გადაწყვეტილების ობიექტის მიმართ, როდესაც მოთხოვნა ეფუძნება იგივე სამართლებრივ საფუძველს, და — იმავე მხარეებს შორის, რომლებიც მოქმედებენ იმავე სტატუსით, ხოლო მოთხოვნილი საგანი კი იგივეა.

თუმცა, კოლექტიურ სარჩელზე (class action) მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ძალმოსილება მხარეთა და ჯგუფის იმ წევრების მიმართ, რომლებიც არ გაემიჯნენ მას.

2849. ის პრეზუმფციები, რომლებიც არ არის დადგენილი კანონით, უნდა შეფასდეს სასამართლოს შეხედულებით, რომელმაც მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ მნიშვნელოვანი, ზუსტი და შეთანხმებული პრეზუმფციები.

თავი 4
აღიარებები

2850. აღიარება წარმოადგენს იმ ფაქტის ცნობას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგები იმ პირის საწინააღმდეგოდ, რომელიც მას ახდენს.

2851. აღიარება შეიძლება იყოს პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო.

თუმცა, აღიარება არ შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ დუმილიდან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2852. მოდავე მხარის ან უფლებამოსილი რწმუნებულის მიერ გაკეთებული აღიარება ქმნის მტკიცებულებას ამ მხარის მიმართ, თუ აღნიშნული ხდება იმ პროცესში, რომელშიც ხდება აღიარება. დაუშვებელია მისი გაუქმება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტკიცდება, რომ ის მოხდა ფაქტის შესახებ მცდარი ინფორმაციის არსებობის შედეგად.

ნებისმიერი სხვა აღიარების მტკიცებითი ძალა უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ.

2853. აღიარება არ ექვემდებარება დაყოფას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის შეიცავს იმ ფაქტებს, რომლებიც უცხოა საკითხისათვის, აღიარების სადავო ნაწილი არადამაჯერებელი ან ურთიერთსაწინააღმდეგოა არაკეთილსინდისიერებისა თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებების ნიშნებით, ანდა აღიარებაში მოცემული ფაქტები ერთმანეთთან კავშირში არ არის.

თავი 5
ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენა

2854. ნივთიერი მტკიცებულების წარდგენა არის მტკიცების შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსამართლეს გააკეთოს საკუთარი დასკვნები. ასეთი ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება შედგებოდეს ობიექტისაგან, ისევე როგორც მდგომარეობდეს ობიექტის, ფაქტის ან ადგილის მგრძნობელობით აღქმაში.

2855. ნივთიერი მტკიცებულების წარდგენას არა აქვს მტკიცებითი ძალა მანამდე, სანამ მისი აუთენტურობა არ დადასტურდება ცალკე მტკიცებულებით. თუმცა, როდესაც წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულება არის საინფორმაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებული დოკუმენტი საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) გაგებით, აუთენტურობა საჭიროებს დადასტურდებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებშიც გამოიყენება აღნიშნული კანონის მე-5 განყოფილების მესამე პარაგრაფი.

2856. სასამართლოს ნივთიერი მტკიცებულების წარდგენიდან შეუძლია გააკეთოს ნებისმიერი ვარაუდი, რასაც ის გონივრულად ჩათვლის.

ტიტული 3
მტკიცებულების დასაშვებობა და მტკიცების საშუალებები

თავი 1
მტკიცებულება

2857. ნებისმიერი იმ ფაქტის მტკიცებულება, რომელიც ეხება დავას, დასაშვებია და შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერი საშუალებით.

2858. სასამართლომ — თუნდაც საკუთარი ინიციატივით — უნდა უარყოს იმ გარემოებების არსებობისას მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება,

რომელთა შემთხვევაშიც ირღვევა ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები და რომლის გამოყენებაც გამოიწვევდა მართლმსაჯულების რეპუტაციის დაკნინებას.

აღნიშნული უკანასკნელი კრიტერიუმი არ მიიღება მხედველობაში პროფესიული საიდუმლოების უფლების დარღვევის შემთხვევაში.

თავი 2
მტკიცების საშუალებები

2859. სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით დააყენოს წინამდებარე თავის დებულებებიდან გამომდინარე მტკიცებულების დაუშვებლობის საკითხი, როდესაც პროცესზე გამოცხადებულმა ან წარმოდგენილმა მხარემ თავად არ დააყენა ის.

2860. წერილობითი დოკუმენტის ან მისი შინაარსის სახით ჩამოყალიბებული გარიგება უნდა დამტკიცდეს დედნის ან იმ ასლის წარმოდგენით, რომელიც კანონიერად ცვლის დედანს.

თუმცაღა, როდესაც კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქმედი მხარე უუნაროა, წარადგინოს დედანი ან ის ასლი, რომელიც კანონიერად ცვლის დედანს, მტკიცება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი საშუალებით.

ტექნოლოგიაზე დაფუძნებული დოკუმენტების შემთხვევაში, დედნის ფუნქციებს ასრულებს დოკუმენტი, რომელიც აკმაყოფილებს საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) მე-12 განყოფილების მოთხოვნებს, ხოლო დედნის შემცვლელი ასლის ფუნქციები კი სრულდება იმ დოკუმენტის დამოწმებული ასლის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნული კანონის მე-12 განყოფილების მოთხოვნებს.

2861. როდესაც მხარეს საპატიო მიზეზის გამო არ შეუძლია გარიგების არსებობის შესახებ წერილობითი მტკიცებულების წარდგენა, მაშინ ასეთი გარიგების არსებობა შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით.

2862. მხარეთა შორის გარიგების არსებობის მტკიცება მოწმეთა ჩვენებით დაუშვებელია, როდესაც დავის ღირებულება აღემატება $1,500-ს.

თუმცა, წერილობითი მტკიცებულების არარსებობისას და მიუხედავად დავის ღირებულებისა, მტკიცება მოწმეთა ჩვენებით დასაშვებია ნებისმიერი გარიგებისა, როდესაც სახეზეა მტკიცების დაწყების პროცესი; გარიგების არსებობის მოწმეთა ჩვენებით მტკიცება ასევე დასაშვებია იმ პირის მიმართ, რომელმაც ის შეასრულა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

2863. წერილობითი დოკუმენტის სახით ჩამოყალიბებული გარიგების მხარეებს არ შეუძლიათ დოკუმენტის პირობების უარყოფა ან შეცვლა მოწმეთა ჩვენებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა მტკიცების დაწყების პროცესი.

2864. მტკიცება მოწმეთა ჩვენებით დასაშვებია წერილობითი დოკუმენტის განმარტებისათვის, აშკარად არასრული დოკუმენტის შევსების ან იმ გარიგების ნამდვილობის გასაჩივრებისათვის, რომელსაც აყალიბებს წერილობითი დოკუმენტი.

2865. მტკიცების დაწყების პროცესი შეიძლება გამომდინარეობდეს მოწინააღმდეგე მხარის აღიარებიდან ან წერილობითი დოკუმენტიდან, ამ მხარის ჩვენებიდან ან იმ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენიდან, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ სავარაუდო ფაქტს შესაძლოა ჰქონდა ადგილი.

2866. არანაირი მტკიცებულება არ არის დასაშვები კანონისმიერი პრეზუმფციის გასაბათილებლად, როდესაც ასეთი პრეზუმფციის შედეგად კანონი აბათილებს განსაზღვრულ აქტებს ან კრძალავს მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმა დატოვა საწინააღმდეგო მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა.

თუმცაღა, როდესაც პრეზუმფცია არ შეესაბამება საჯარო წესრიგს, ის შეიძლება გაბათილდეს იმ პროცესში გაკეთებული აღიარებით, რომელშიც გამოიყენება პრეზუმფცია.

2867. იმ პროცესის მიღმა გაკეთებული აღიარება, რომელშიც ხდება მასზე მითითება, მტკიცდება იმ საშუალებებით, რომლებიც დასაშვებია როგორც მტკიცებულება იმ ფაქტისა, რაც წარმოადგენს მის საგანს.

2868. ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის მტკიცება დაიშვება როგორც მის მიერ დასაშვებობის მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად გამოხატული მტკიცება ობიექტის, ფაქტის ან ადგილისა.

თავი 3
განსაზღვრული განცხადებები

2869. იმ პირის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც არ ახდენს ჩვენების მიცემას სასამართლო საქმეში, ან მოწმის მიერ სასამართლო საქმის აღძვრამდე გაკეთებული განცხადება დასაშვებია როგორც მოწმის ჩვენება, თუ მხარეები ამას ეთანხმებიან; განცხადება, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე თავის ან კანონის მოთხოვნებს, ასევე დასაშვებია როგორც მოწმის ჩვენება.

2870. პირის მიერ, რომელიც მოწმის სახით არ გამოდის, იმ ფაქტების შესახებ გაკეთებული განცხადება, რომელთა შესახებაც მან შესაძლოა კანონიერად მისცა ჩვენება, დასაშვებია როგორც მოწმის ჩვენება განცხადების საფუძველზე მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე მხარეს წარედგინება შეტყობინება, სასამართლოს მხრიდან აღნიშნულზე ნებართვის მიცემის პირობით.

თუმცა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ განმცხადებელს შეუძლია მოწმედ გამოსვლა, ან იმაში, რომ მისთვის ამის მოთხოვნა არაგონივ-

რულია, განცხადების სანდოობა კი საკმარისად გარანტირებულია იმ გარემობებით, რომელშიც ის კეთდება.

ივარაუდება, რომ სანდოობა საკმარისად გარანტირებულია განსაკუთრებით საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შედგენილი დოკუმენტების მიმართ, რეესტრში რეგისტრირებული დოკუმენტების მიმართ, რომელთა შენახვასაც ითხოვს კანონი, და — ასევე იმ ნებაყოფლობითი განცხადებების მიმართ, რომლებიც კეთდება ერთდროულად ფაქტების დადგომასთან ერთად.

2871. პირის მიერ, რომელიც გამოდის მოწმის სახით, იმ ფაქტების შესახებ გაკეთებული განცხადებები, რომელთა შესახებაც მან შეიძლება კანონიერად მისცეს ჩვენება, დასაშვებია როგორც მოწმის ჩვენება, თუ მათი სანდოობა საკმარისად გარანტირებულია.

2872. წერილობითი ფორმით გაკეთებული განცხადებები უნდა დამტკიცდეს წერილობითი დოკუმენტის წარდგენით.

დაუშვებელია ნებისმიერი განცხადების მტკიცება რაიმე სხვა საშუალებით, გარდა განმცხადების ან იმ პირების ჩვენებისა, რომელთათვისაც პირადად არის ცნობილი ფაქტი გარდა 2873-ე და 2874-ე მუხლებში სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2873. წერილობით დოკუმენტში ასახული იმ პირის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც არ წარმოადგენს განმცხადებელს, შეიძლება დამტკიცდეს წერილობითი დოკუმენტის წარდგენით, თუ განმცხადებელმა აღიარა, რომ წერილობითი დოკუმენტი ზუსტად გადმოცემს მის განცხადებას.

იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც წერილობითი დოკუმენტი შედგა განმცხადებლის ან იმ პირის მოთხოვნით, რომელიც მოქმედებს თავისი მოვალეობების შესასრულებლად, თუ გარემოებების გათვალისწინებით არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისა, რომ წერილობითი დოკუმენტი ზუსტად გადმოცემს განცხადებას.

2874. მაგნიტურ ფირზე ან ნებისმიერ სხვა სანდო ჩამწერი ტექნიკის გამოყენებით ჩაწერილი განცხადება შეიძლება დამტკიცდეს აღნიშნული საშუალებებით იმ პირობით, რომ მისი აუთენტურობა ცალკე მტკიცდება. თუმცა, როდესაც ჩანაწერი წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ დოკუმენტს საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) გაგებით, აუთენტურობა საჭიროებს დადასტურდებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებშიც გამოიყენება აღნიშნული კანონის მე-5 განყოფილების მესამე პარაგრაფი.

წიგნი მერვე
ხანდაზმულობა

ტიტული 1
ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები

თავი 1
ზოგადი დებულებები

2875. ხანდაზმულობა არის შეძენის ან ვალდებულებისაგან გათავისუფლების საშუალება დროის გასვლის შედეგად და კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად; ხანდაზმულობას ეწოდება შეძენითი ხანდაზმულობა პირველ შემთხვევაში და სასარჩელო ხანდაზმულობა (extinctive prescription) — მეორე შემთხვევაში.

2876. ხანდაზმულობას არ ექვემდებარება ის, რაც არ წარმოადგენს ვაჭრობის საგანს, არ ექვემდებარება გადაცემას ან მისაკუთრებას თავისი ბუნების ან იმ მიზნის გამო, რისთვისაც ის იქნა მისაკუთრებული.

2877. ხანდაზმულობა ძალმოსილია ყოველი პირის, მათ შორის, — სახელმწიფოს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ კანონის პირდაპირი ნორმების გათვალისწინებით.

2878. სასამართლოს საკუთარი ინიციატივით არ შეუძლია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის დაყენება.

თუმცაღა, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა გამოაცხადოს სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენების უფლების დაკარგვის შესახებ, როდესაც ამას ითვალისწინებს კანონი. ასეთი უფლების დაკარგვა არასოდეს ივარაუდება; ის შედეგად დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების დაკარგვა პირდაპირ გათვალისწინებულია ტექსტში.

2879. ხანდაზმულობისათვის საჭირო დროის პერიოდი გამოითვლება სრული დღეებით. აღნიშნული დროის პერიოდის გამოთვლისას არ მიითვლება ის დღე, როდესაც ხანდაზმულობის ვადა იწყებს დენას.

ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრდება დროის პერიოდის უკანასკნელი დღე. როდესაც უკანასკნელი დღე ემთხვევა შაბათს ან დღესასწაულს, ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება მხოლოდ მომდევნო სამუშაო დღეს.

2880. მფლობელობის დაკარგვა განსაზღვრავს შეძენითი ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტს.

ის დღე, როდესაც წარმოიშობა სარჩელის წარდგენის უფლება, განსაზღვრავს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტს.

2881. ხანდაზმულობაზე მითითება შესაძლებელია სასამართლო საქმის წარმოების ნებისმიერ, თუნდაც — აპელაციის, ეტაპზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარემ, რომელმაც არ მოახდინა ხანდაზმულობაზე მითითება, გარემოებების გათვალისწინებით გამოამჟღავნა მასზე უარის განზრახვა.

2882. სასარჩელო მოთხოვნის გასაბათილებლად წარსადგენი შესაგებლის საფუძველზე მითითება ჯერ კიდევ შესაძლებელია თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც გასულია მისი გამოყენების ვადა პირდაპირი სარჩელის გზით იმ პირობით, რომ აღნიშნული საფუძველი შექმნიდა ქმედით შესაგებელს სარჩელის მიმართ იმ მომენტში, როდესაც ის შესაძლოა გამოსადეგი ყოფილიყო როგორც პირდაპირი სარჩელის ბაზისი.

აღნიშნული საფუძვლის მიღება არ აღადგენს ხანდაზმულ პირდაპირ სარჩელს.

თავი 2
ხანდაზმულობაზე უარი

2883. ხანდაზმულობაზე წინასწარი უარი დაუშვებელია, თუმცა შესაძლებელია უარის თქმა გასული ხანდაზმულობის ვადაზე ან გასული ვადის სარგებელზე იმ ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში, რომლის დენა უკვე დაიწყო.

2884. დაუშვებელია შეთანხმება სხვა ხანდაზმულობის ვადაზე, გარდა კანონით გათვალისწინებულისა.

2885. ხანდაზმულობაზე უარი არის პირდაპირ გამოხატული ან უსიტყვო; უსიტყვო უარი გამომდინარეობს იმ მოქმედებიდან, რომელიც გულისხმობს შეძენილი უფლების მიტოვებას.

თუმცაღა, გასული ხანდაზმულობის ვადაზე უარის თქმა უძრავ ქონებაზე არსებული სანივთო უფლებების მიმართ უნდა გამოქვეყნდეს უფლებათა რეესტრში.

2886. პირს, რომელსაც არა აქვს ქონების გასხვისების უფლება, არ შეუძლია გასული ხანდაზმულობის ვადაზე უარის თქმა.

2887. ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიმართ ინტერესი, შეუძლია მიუთითოს მასზე თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე ან მფლობელი უარს ამბობს მასზე.

2888. უარის თქმის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება თავიდან იგივე პერიოდით.

თავი 3
ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

2889. ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს ბუნებრივად ან სამოქალაქო-სამართლებრივად.

2890. შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ბუნებრივად, როდესაც მფლობელს ერთმევა ქონებით სარგებლობა ერთ წელზე მეტი ხნით.

2891. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ბუნებრივად, როდესაც უფლების მფლობელი ახორციელებს ამ უფლებას ისე, რომ მან მანამდე ვერ შეძლო ამ უფლებით სარგებლობა.

2892. ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე სასარჩელო განცხადების წარდგენა ქმნის ხანდაზმულობის სამოქალაქო-სამართლებრივ შეჩერებას იმ პირობით, რომ მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის თავიდან აცილების მიზნით პირს ბარდება ხანდაზმულობის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 60 დღისა.

ჯვარედინი სასარჩელო მოთხოვნები (cross demands), პროცესში ჩაბმა, იძულებითი აღსრულება და პროტესტი მიიჩნევა სასარჩელო განცხადებებად. მხარის მიერ დავის არბიტრაჟისათვის განსახილველად გადაცემის განზრახვის შესახებ შეტყობინება ასევე მიიჩნევა სასარჩელო განცხადებად იმ პირობით, რომ მასში აღწერილია გადასაცემი დავის საგანი, ხოლო შეტყობინების წარდგენა ხდება სასარჩელო განცხადებების მიმართ მოქმედი წესებისა და ვადების შესაბამისად.

2893. კრედიტორის მხრიდან სხვა კრედიტორებთან ერთად ქონების განაწილებაში მონაწილეობის ნებისმიერი მოთხოვნა ასევე აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას.

2894. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ადგილი არა აქვს მოთხოვნაზე უარის, სარჩელზე უარის ან ხანდაზმულობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში (the proceedings are discontinued or perempted).

2895. როდესაც მხარის მოთხოვნა უარყოფილია საქმის არსებითი განხილვის გზით გადაწყვეტილების მიღების გარეშე და როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღისათვის გავიდა ხანდაზმულობის ვადა ან ეს ვადა გავა სამ თვეზე ნაკლებ დროში, მომთხოვნ მხარეს აქვს დამატებითი სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მომენტიდან, რომელშიც უნდა მტკიცდებოდეს მისი უფლების არსებობა.

იგივე წესი მოქმედებს არბიტრაჟის მიმართ; ასეთ შემთხვევაში სამთვიანი ვადის დენა იწყება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების, არბიტრების უფლებამოსილების დასრულების ან სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მომენტიდან, რომელიც აუქმებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

2896. სასარჩელო განცხადების წარდგენის შედეგად ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება გრძელდება მანამდე, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძენს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალას ან, გარემოებების გათვალისწინებით, — მანამდე, სანამ მხარეთა შორის არსებობს მორიგება.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მოქმედებს ყველა მხარის მიმართ იმ ნებისმიერ უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ერთი და იგივე წყაროდან.

2897. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, რომელიც გამომდინარეობს კოლექტიური სარჩელის წარდგენიდან, მოქმედებს ჯგუფის ყველა იმ წევრის სასარგებლოდ, რომელიც არ გაემიჯნა მას.

2898. უფლების აღიარება, ისევე როგორც გასული ვადის სარგებლიანობაზე უარის თქმა აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას.

2899. სასარჩელო განცხადება ან ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ნებისმიერი სხვა აქტი ძირითადი მოვალის ან თავდების მიმართ აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას ორივე პირის მიმართ.

2900. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სოლიდარული ან დაუყოფადი ვალდებულების ერთ-ერთი კრედიტორის ან მოვალის მიმართ მოქმედებს სხვა კრედიტორების ან მოვალეების მიმართაც.

2901. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება დაყოფადი ვალდებულების ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორის ან მოვალის მიმართ არ მოქმედებს სხვა კრედიტორების ან მოვალეების მიმართ.

2902. დაყოფადი ვალდებულების სოლიდარული კრედიტორის ან მოვალის ერთ-ერთი თანამემკვიდრის მიმართ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, სხვა სოლიდარული კრედიტორების ან მოვალეებისადმი მიმართებაში მოქმედებს მხოლოდ აღნიშნული მემკვიდრის წილთან დაკავშირებით.

2903. შეჩერების შემდეგ ხანდაზმულობის ვადის დენის განახლება ხდება იგივე ვადით.

თავი 4
ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

2904. ხანდაზმულობის ვადის დენა პირების მიმართ არ ხდება, თუ მათთვის რეალურად შეუძლებელია პირადად მოქმედება ან სხვების მიერ მათ სასარგებლოდ წარმომადგენლობის განხორციელება.

2905. ხანდაზმულობის ვადის დენა არ მიმდინარეობს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მიმართ.

ხანდაზმულობის ვადის დენა არ მიმდინარეობს ასევე არასრულწლოვანის ან მზრუნველობის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ პირებს აქვთ თავიანთი წარმომადგენლების ან იმ პირის მიმართ, რომელსაც დაევალა ზედამხედველობის განხორციელება, ანდა — იმ სამართლებრივი დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ შეიძლება ჰქონდეთ ნებისმიერი პირის მიმართ სხეულისათვის მიყენებული ზიანისათვის, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის შემქმნელი მოქმედების შედეგს.

2906. ხანდაზმულობის ვადის დენა არ მიმდინარეობს თანაცხოვრების დროის განმავლობაში ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მეუღლეების მიმართ ერთმანეთს შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით.

2907. ხანდაზმულობის ვადის დენა არ მიმდინარეობს მემკვიდრის მიმართ სამკვიდრო ქონების წინააღმდეგ მის მოთხოვნებთან დაკავშირებით.

2908. კოლექტიური სარჩელის წარდგენაზე ნებართვის მიღების შესახებ განცხადება წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას იმ ჯგუფის ყველა წევრის სასარგებლოდ, რომლისათვისაც ის ხორციელდება, ან, გარემოებების გათვალისწინებით, — იმ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული ჯგუფის სასარგებლოდ, რომლითაც კმაყოფილდება აღნიშნული განცხადება.

შეწყვეტა გრძელდება მანამდე, სანამ არ გაუქმდება ან არ გაბათილდება ნებართვის მიღების შესახებ განცხადება ანდა — მანამდე, სანამ არ გაუქმდება სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლითაც კმაყოფილდება კოლექტიური სარჩელის წარდგენაზე ნებართვის მიღების შესახებ განცხადება; თუმცა, ჯგუფის ის წევრი, რომელიც ითხოვს სარჩელისაგან განრიდებას ან რომელიც მისგან განრიდებულია ნებართვის მიღების შესახებ განცხადების საფუძველზე, საქმისწარმოების მიმდინაროების დროს ან სარჩელთან დაკავშირებით მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჯგუფის მითითებით, ვეღარ ისარგებლებს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტით.

თუმცაღა, სასამართლოს გადაწყვეტილების დროს ხანდაზმულობის ვადის დენა განახლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება აღარ საჩივრდება სააპელაციო წესით.

2909. სოლიდარული და დაუყოფადი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მოქმედებს კრედიტორებისა და მოვალეების და ასევე მათი მემკვიდრეების მიმართ აღნიშნული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად.

ტიტული 2
შეძენითი ხანდაზმულობა

თავი 1
შეძენითი ხანდაზმულობის პირობები

2910. შეძენითი ხანდაზმულობა წარმოადგენს ნივთზე მფლობელობის შედეგად საკუთრების უფლების ან დანაწევრებული საკუთრების უფლების შეძენის საშუალებას.

2911. შეძენითი ხანდაზმულობა ითხოვს მფლობელობას, რომელიც შეესაბამება ქონების შესახებ წიგნში მოცემულ პირობებს.

2912. სპეციალური საფუძვლით უფლებამონაცვლეს შეუძლია თავის მფლობელობას დაამატოს მისი წინამორბედის მფლობელობა ხანდაზმულობის ვადის შევსების მიზნით.

უნივერსალური ან საერთო საფუძვლით უფლებამონაცვლე აგრძელებს მისი წინამორბედის მფლობელობას.

2913. მპყრობელობა ვერ გამოდგება ხანდაზმულობის საფუძვლად თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის გრძელდება შეთანხმებულ ვადაზე მეტი ხნით.

2914. საეჭვო საფუძველი (precarious title) შეიძლება შეიცვალოს მესამე პირისაგან გამომდინარე საფუძვლით ან მფლობელის მიერ განხორციელებული იმ მოქმედებით, რომელიც შეუთავსებელია საეჭვო ფლობასთან.

სამართლებრივი საფუძვლის შეცვლის შედეგად მფლობელობა ხანდაზმულობისათვის ვარგისი ხდება იმ მომენტიდან, როდესაც მესაკუთრე შეიტყობს ახალი სამართლებრივი საფუძვლის ან მოქმედების შესახებ.

2915. მესამე პირებს შეუძლიათ ქონების მესაკუთრის მიმართ ხანდაზმულობით შეძენა ქონების დანაწევრების დროის განმავლობაში ან როდესაც ნივთის მფლობელობა ხორციელდებოდა საეჭვო საფუძვლით.

2916. ვალდებული მემკვიდრე და უნივერსალური ან საერთო საფუძვლით მისი უფლებამონაცვლე სუბსტიტუტის მიმართ ხანდაზმულობით ვერ იძენენ ქონებას სუბსტიტუციის გახსნამდე.

თავი 2
შეძენითი ხანდაზმულობის ვადები

2917. შეძენითი ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს, გარდა კანონით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2918. პირს, რომელიც 10 წლის განმავლობაში ფლობდა უძრავ ქონებას როგორც მისი მესაკუთრე, შეუძლია შეიძინოს მასზე საკუთრების უფლება მხოლოდ სასარჩელო განცხადების საფუძველზე.

2919. მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი მფლობელი იძენს მასზე საკუთრების უფლებას სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, როდესაც მესაკუთრემ დაკარგა მფლობელობა.

აღნიშნული ვადის ამოწურვამდე მესაკუთრეს შეუძლია მოძრავი ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი შეძენა მოხდა სასამართლოს კონტროლის ქვეშ.

2920. ხანდაზმულობით შეძენისათვის შემდგომი შემძენი უნდა ყოფილიყო კეთილსინდისიერი მხოლოდ შეძენის მომენტში, თუნდაც როდესაც მისი ფაქტობრივი მფლობელობა დაიწყო მხოლოდ აღნიშნული მომენტის შემდეგ.

იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველი წინა შემძენის მიმართ სახეზეა ნივთის ფლობის ვადების შეერთება.

ტიტული 3
სასარჩელო ხანდაზმულობა

2921. სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს უფლების გაქარწყლების საშუალებას ამ უფლების გამოუყენებლობის გამო ან სასარჩელო მოთხოვნის დაუსაბუთებლობაზე მითითების საშუალებას (peremptory exception to an action).

2922. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს, გარდა კანონით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2923. უძრავ ქონებაზე არსებული სანივთო უფლებების რეალიზაციის სარჩელების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს.

თუმცა, უძრავ ქონებაზე მფლობელობის შენარჩუნების ან მიღების მოთხოვნით სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს დარღვევიდან ან მფლობელობის ჩამორთმევიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

2924. სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 10 წელს იმ შემთხვევაში, თუ ის არ ხორციელდება.

2925. მოძრავ ქონებაზე არსებული პირადი უფლების რეალიზაციის სარჩელის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, თუ ხანდაზმულობის ვადა სხვაგვარად არ დგინდება.

2926. როდესაც სარჩელის წარდგენის უფლება გამომდინარეობს იმ მორალური, სხეულისათვის მიყენებული ან მატერიალური ზიანიდან, რომელიც ვლინდება თანდათანობით ან ნელ-ნელა, ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ზიანი პირველად ვლინდება.

2926.1. სხეულისათვის მიყენებული იმ ზიანის გამო წარდგენილი სარჩელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულის შემადგენლობის შემქმნელი მოქმედების შედეგს, ხანდაზმულია 10 წლის ვადის გასვლისას იმ დღიდან, როდესაც დაზარალებულისათვის ცნობილი ხდება ის ფაქტი, რომ განცდილი ზიანი გამოწვეულია აღნიშნული მოქმედებით. თუმცა, ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 30 წელს, თუ ზიანი გამოწვეულია სქესობრივი ხასიათის აგრესიით, ბავშვობაში განცდილი ძალადობრივი მოპყრობით ან მეუღლის ან ყოფილი მეუღლის ძალადობრივი მოპყრობით.

თუ დაზარალებული ან მოქმედების ჩამდენი გარდაიცვლება, ხანდაზმულობის ვადა — თუ ის ჯერ კიდევ არ არის გასული — მცირდება სამ წლამდე და იწყებს დენას გარდაცვალების თარიღიდან.

2927. ხელშეკრულების ბათილობის შესახებ სარჩელის მიმართ ხანდაზმულობის ვადა დენას იწყებს იმ დღიდან, როდესაც ბათილობის საფუძველზე მიმთითებელი პირისათვის ცნობილი ხდება ასეთი საფუძველი ძალადობის ან მუქარის შემთხვევაში კი, — ძალადობის ან მუქარის დასრულების დღიდან.

2928. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ საკომპენსაციო დანამატის განსაზღვრის შესახებ განაცხადის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ერთ წელს მისი მეუღლის გარდაცვალების მომენტიდან.

2929. ცილისწამებისათვის სარჩელის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ერთ წელს იმ დღიდან, როდესაც პირმა, რომელსაც ცილი დასწამეს, შეიტყო ცილისწამების შესახებ.

2930. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, როდესაც სარჩელი ეფუძნება სხვა პირის მიერ სხეულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, სარჩელის წარდგენამდე შეტყობინების წარდგენის ან სარჩელის წარდგენის მოთხოვნა არანაკლებ 3, 10 ან 30 წლის ვადის განმავლობაში, გარემოებების გათვალისწინებით, ვერ იქონიებს გავლენას წინამდებარე წიგნში გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადაზე.

2931. განგრძობადი შესრულებით ხელშეკრულების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა მიმდინარეობს განსახორციელებელი გადახდების მიმართ თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები აგრძელებენ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მათი ერთ-ერთი ვალდებულების შესრულებას.

2932. ხანდაზმულობის ვადის დენა იმ ვალდებულების შემცირების შესახებ სარჩელის მიმართ, რომელიც ხორციელდება განგრძობადი შესრულებით, მიმდინარეობს ვალდებულების შესრულების დადგომის დღიდან მიუხედავად იმისა, ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

2933. ვერც ერთი მპყრობელი ხანდაზმულობის ვადის გასვლით ვერ გათავისუფლდება მის პყრობასთან დაკავშირებული შესრულებისაგან; თუმცაღა, ხანდაზმულობას შეიძლება დაექვემდებაროს მპყრობელობის ფარგლები, ისევე როგორც — დავალიანების თანხა.

წიგნი მეცხრე
უფლებათა პუბლიკაცია

ტიტული 1
პუბლიკაციის ბუნება და ფარგლები

თავი 1
ზოგადი დებულებები

2934. უფლებათა პუბლიკაცია ხორციელდება მათი პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში ან მიწის რეესტრში რეგისტრაციით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაშვებულია რეგისტრაციის რაიმე სხვა ხერხი.

რეგისტრაცია მოქმედებს იმ პირების სასარგებლოდ, რომელთა უფლებებიც რეგისტრაციის შედეგად გამოქვეყნებულია.

2934.1. მიწის რეესტრში უფლებათა რეგისტრაცია ხორციელდება რეგისტრატორისათვის წარდგენილი დოკუმენტის ბუნების მოკლედ მითითებითა და იმ განაცხადის აღნიშვნით, რომლის თანახმადაც ხორციელდება რეგისტრაცია.

რეგისტრაცია ნამდვილია მხოლოდ იმ უფლებების მიმართ, რომლებიც მოითხოვს პუბლიკაციას ან დაშვებულია მისთვის და ნახსენებია განაცხადში, ხოლო თუ განაცხადი მოცემულია რეზიუმეს სახით, — თანმხლებ დოკუმენტში.

2935. ნებისმიერ პირს, თუნდაც არასრულწლოვანს ან დაცულ პირს, შეუძლია მოითხოვოს უფლების პუბლიკაცია საკუთარი ან სხვისი სახელით.

2936. სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ უფლების პუბლიკაციის ნებისმიერი უარი ან შეზღუდვა, რომელიც უნდა ან შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული, ისევე როგორც — მასთან დაკავშირებული პირგასამტეხლოს შესახებ ნებისმიერი დათქმა.

2937. უფლების პუბლიკაცია შეიძლება განახლდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მოთხოვნით.

თავი 2
უფლებები, რომლებიც მოითხოვს პუბლიკაციას ან დაშვებულია მისთვის

2938. უძრავ ქონებაზე არსებული სანივთო უფლების შეძენა, დადგენა, აღიარება, შეცვლა, გადაცემა ან გაქარწყლება მოითხოვს პუბლიკაციას.

პუბლიკაციას მოითხოვს უარი სამკვიდროზე, ლეგატზე, საერთო საკუთრებაზე, მეუღლის მიერ გარიგებით შეძენილი ან საოჯახო ქონების გაყოფაზე, ასევე — სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც უქმდება უფლებაზე უარი.

სხვა პირადი უფლებები და მოძრავი სანივთო უფლებები მოითხოვს პუბლიკაციას იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია ან პირდაპირ ნებადართულია კანონით. გამოქვეყნებული უფლების შეცვლა ან შეწყვეტა ასევე უნდა იქნეს გამოქვეყნებული.

2939. ქონების გასხვისების უფლების შეზღუდვა, გარდა წმინდა პირადი შეზღუდვებისა, ისევე როგორც გაუქმების დათქმები, უფლების გაუქმება ან სავარაუდო გაქარწყლება, რომელიც უნდა ან შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული, და ამ უფლებათა ნებისმიერი გადაცემა თუ გადასვლა, — ასევე უნდა ან შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული.

2940. კვებეკისა და კანადის მთავრობებს შორის უძრავ ქონებაზე უფლებამოსილების გადაცემა შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული.

კვებეკის ან კანადის მთავრობასა და საჯარო ინტერესებში დაფუძნებულ სხვა იურიდიული პირებს შორის უძრავ ქონებაზე უფლებამოსილების გადაცემა ასევე შეიძლება გამოქვეყნდეს.

გადაცემის რეგისტრაცია მიიღწევა გადასაცემი უძრავი ქონების შესახებ იმ შეტყობინების წარდგენით, რომელშიც აღწერილია გადაცემული უფლებამოსილების ფარგლები, გადაცემის ვადა და კანონი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება გადაცემა.

ტიტული 2
პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგები

თავი 1
უფლებების დადგენა

2941. უფლებათა პუბლიკაცია იძლევა მათი მესამე პირების მიმართ გამოყენების საშუალებას, ადგენს მათ რიგს, ხოლო როდესაც კანონი ამას ითვალისწინებს, — ანიჭებს მათ შესაბამის სამართლებრივ ძალას.

უფლებები მხარეთა შორის თავიანთ სამართლებრივ შედეგებს პუბლიკაციამდეც კი წარმოშობს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი პირდაპირ სხვაგვარად ადგენს.

2942. უფლების პუბლიკაცია შეიძლება განახლდეს შეტყობინებით წინამდებარე წიგნის დებულებებით დადგენილი წესით; ასეთი განახლება ინარჩუნებს უფლების ნებისმიერი სხვა პირის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას თავისი თავდაპირველი რიგით.

2943. ივარაუდება, რომ რეესტრში ქონების მიმართ რეგისტრირებული უფლება ცნობილია ნებისმიერი პირისათვის, რომელიც იძენს ან აქვეყნებს უფლებას იმავე ქონებაზე.

პირი, რომელიც თავს იკავებს სათანადო რეესტრისათვის მიმართვისაგან, ან მიწის რეესტრში რეგისტრირებული უფლების შემთხვევაში, პრეზუმფციის გაბათილების მიზნით კეთილსინდისიერად ვერ მიუთითებს იმ განაცხადზე, რომელსაც ეხება რეგისტრაცია, ისევე როგორც — თანმხლებ დოკუმენტზე, თუ განაცხადი მოცემულია რეზიუმეს სახით.

2943.1. მიწის რეესტრში შეთანხმებით დადგენილი სანივთო უფლების ან სანივთო უფლებასთან დაკავშირებული შეთანხმების რეგისტრაცია ძალაში შედის მხოლოდ უფლების დამდგენის ან უფლების უკანასკნელი მფლობელის სამართლებრივი საფუძვლის რეგისტრაციის მომენტიდან.

აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების დამდგენის ან მისი უკანასკნელი მფლობელის კუთვნილი უფლების შეძენა მოხდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, კერძოდ კი, — ბუნებრივი მიმატებით, ან როდესაც მოცემული სამართლებრივი საფუძველი წარმოადგენს სახელმწიფოს კუთვნილ პირველად უფლებას.

2944. პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში ან მიწის რეესტრში უფლების რეგისტრაცია ყველა პირის მიმართ ქმნის ამ უფლების არსებობის მარტივ პრეზუმფციას.

თავი 2
უფლებათა რიგითობა

2945. გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უფლებათა რიგითობა განისაზღვრება სარეგისტრაციო ჩანაწერის გაკეთების დღის, საათისა და წუთის მიხედვით, ხოლო თუ უფლებებთან დაკავშირებული განაცხადი სარეგისტრაციოდ წარედგინება მიწის რეესტრს, — სარეგისტრაციო ჟურნალში ჩანაწერის გაკეთების მომენტის მიხედვით იმ პირობით, რომ ჩანაწერების გაკეთება მოხდა სათანადო რეესტრებში.

როდესაც პუბლიკაცია კანონით ნებადართულია ნივთის ფაქტობრივი გადაცემის გზით, უფლებათა რიგითობა განისაზღვრება დროის იმ მომენტის მიხედვით, როდესაც ნივთი ან დოკუმენტი მიეწოდება კრედიტორს.

2946. როდესაც უძრავი ქონების ორ შემძენს ქონების ფლობის კუთვნილი სამართლებრივი საფუძველი აქვს ერთი და იგივე წინამორბედისაგან, უფლებას იძენს ის შემძენი, რომელიც პირველი გამოაქვეყნებს თავის უფლებას.

2947. როდესაც ადგილი აქვს ერთი და იგივე ქონებასთან დაკავშირებული და ერთი და იგივე სამართლებრივი ბუნების მქონე უფლებების რამდენიმე რეგისტრაციის ერთდროულ მოთხოვნას, უფლებები იკავებს თანაბარ რიგს.

2948. უძრავ ქონებაზე იპოთეკის რიგი განისაზღვრება მხოლოდ იპოთეკის დამდგენის დოკუმენტის რეგისტრაციის მომენტიდან, თუმცაღა — მას შემდეგ, რაც იპოთეკის დამდგენის შეძენის აქტით დადგინდა გამყიდველის იპოთეკა.

თუ რამდენიმე იპოთეკა რეგისტრაციაში გატარდა იპოთეკის დამდგენის დოკუმენტის რეგისტრაციამდე, მათი რიგი განისაზღვრება შესაბამისი რეგისტრაციის თანმიმდევრობის მიხედვით.

2949. უძრავ ქონებათა ერთობლიობაზე დადგენილი იპოთეკის რიგი განისაზღვრება თითოეულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით მხოლოდ ყოველი მათგანის მიმართ იპოთეკის რეგისტრაციის მომენტით.

შემდგომში შეძენილი უძრავი ქონების მიმართ იპოთეკის რეგისტრაცია მიიღწევა შეტყობინების წარდგენით, რომელიც შეიცავს შეძენილი უძრავი ქონების აღწერილობასა და იპოთეკის დამდგენ აქტზე მითითებას, ასევე — ადგენს იმ კონკრეტულ თანხას, რისთვისაც დადგენილ იქნა იპოთეკა.

თუმცაღა, თუ იპოთეკა არ გამოქვეყნდა მიწის რეესტრის იმ სარეგისტრაციო განყოფილებაში, რომელშიც მდებარეობს შემდგომში შეძენილი უძრავი ქონება, მისი რეგისტრაცია მიიღწევა იპოთეკის დამდგენი აქტის რეზიუმეს საშუალებით, რომელიც შეიცავს შეძენილი უძრავი ქონების აღწერილობას.

2950. მოძრავ ქონებათა ერთობლიობაზე დადგენილი იპოთეკის რიგი ერთობლიობაში შემავალ თითოეულ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით განისაზღვრება მხოლოდ რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის მომენტით იპოთეკის დამდგენისა და ერთობლიობის სამართლებრივ ბუნებაზე მითითებით.

2951. უძრავ ქონებასთან შემდგომში მიერთებულ იმ მოძრავ ქონებაზე დადგენილი იპოთეკა, რომელიც გახდა უძრავ ქონებაზე არსებული იპოთეკა, ვერ იქნება გამოყენებული მესამე პირების წინააღმდეგ მიწის რეესტრში მის რეგისტრაციამდე.

უძრავ ქონებასთან შემდგომში მიერთებულ მოძრავ ქონებაზე დადგენილ იპოთეკასა და უძრავ ქონებაზე არსებულ ამ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ იპოთეკას შორის უპირატესობა ენიჭება მიწის რეესტრში პირველად რეგისტრირებულ იპოთეკას.

მიწის რეესტრში მოძრავ ქონებაზე დადგენილი იპოთეკის რეგისტრაცია მიიღწევა იმ შეტყობინების წარდგენით, რომელიც შეიცავს უძრავი ქონების აღწერილობას, იპოთეკის დამდგენი აქტის შესახებ მითითებას და პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში მის რეგისტრაციას, ასევე — ადგენს იმ კონკრეტულ თანხას, რისთვისაც დადგენილ იქნა იპოთეკა.

2952. იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი კანონისმიერი იპოთეკები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების აშენებასა თუ განახლებაში, უძრავი ქონების გაზრდილი ღირებულებისათვის წინ უსწრებს ნებისმიერ სხვა გამოქვეყნებულ იპოთეკას; ასეთი იპოთეკები ერთმანეთს შორის იკავებს თანაბარ რიგს თითოეულის მოთხოვნის ღირებულების პროპორციულად.

2953. იმ მოძრავ ქონებაზე დადგენილი იპოთეკები, რომელიც ისე იქნა გარდაქმნილი, შერეული ან გაერთიანებული, რომ ქმნის ახალ მოძრავ ქონებას, იკავებს პირველი იპოთეკის ადგილს, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა იმ ნებისმიერი ქონების მიმართ, რომელიც განკუთვნილი იყო ახალი მოძრავი ქონების შექმნისათვის იმ პირობით, რომ გარდაქმნილ, შერეულ ან გაერთიანებულ მოძრავ ქონებაზე იპოთეკის რეგისტრაცია განახლებულ იქნა ახალი მოძრავი ქონების მიმართ; ასეთი შემთხვევის არსებობისას, იპოთეკები იკავებს თანაბარ რიგს ყოველი ამგვარად გარდაქმნილი, შერეული ან გაერთიანებული მოძრავი ქონების ღირებულების პროპორციულად.

2954. მოძრავი ქონების იპოთეკის რიგითობა, რომელიც შეძენის მომენტში დადგენილი იყო სხვა პირის კუთვნილ ან მომავალ მოძრავ ქონებაზე, განისაზღვრება მისი რეგისტრაციის მომენტით, თუმცა — მას შემდეგ, რაც იპოთეკის დამდგენის შეძენის აქტით შეიქმნა გამყიდველის იპოთეკა იმ პირობით, რომ იპოთეკა გამოქვეყნდა ნასყიდობიდან 15 დღის განმავლობაში.

2955. იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინების რეგისტრაცია განსაზღვრავს ცვალებადი იპოთეკის რიგს.

თუ რამდენიმე ცვალებადი იპოთეკა ექვემდებარება იპოთეკის გაფორმების შესახებ შეტყობინებებს, მათი რიგითობა ერთმანეთს შორის განისაზღვრება მათი შესაბამისი რეგისტრაციების მომენტიდან მიუხედავად გაფორმების შესახებ შეტყობინებების რეგისტრაციის მომენტისა.

2956. იპოთეკარებს შორის რიგის დათმობა უნდა გამოქვეყნდეს.

როდესაც აღნიშნული ხდება, კრედიტორთა რიგი იცვლება მათი შესაბამისი მოთხოვნების ფარგლებში, თუმცა — მხოლოდ იმგვარად, რომ არ შეიბღალოს ნებისმიერი შუალედური კრედიტორის ინტერესები.

თავი 3
სხვა სამართლებრივი შედეგები

2957. პუბლიკაცია არ აჩერებს ხანდაზმულობის ვადის დენას.

2958. დაუშვებელია კრედიტორის მიმართ იმ უფლებების გამოყენება, რომლებიც გამოქვეყნდა კრედიტორის მიერ უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების შესახებ შეტყობინების ან ოქმის რეგისტრაციის შემდგომ, იმ პირობით, რომ იძულებით აღსრულებას თან ახლავს სასამართლოს კონტროლის ქვეშ ქონების გაყიდვა.

2959. კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკის რეგისტრაცია უზრუნველყოფს იგივე რიგის შენარჩუნებას მიმდინარე წლის განმავლობაში გადასახდელი საპროცენტო სარგებლისათვის, ხოლო ძირითად თანხასთან დაკავშირებით კი, — გასული სამი წლის განმავლობაში.

ანალოგიურად, ანუიტეტის მიმღების სასარგებლოდ ანუიტეტის რეგისტრაცია უზრუნველყოფს იგივე რიგის შენარჩუნებას მიმდინარე წლის განმავლობაში გადასახდელი პერიოდული გადახდებისათვის, ხოლო შესრულებასთან დაკავშირებით კი, — დავალიანებისათვის გასული სამი წლის განმავლობაში.

2960. კრედიტორს ან ანუიტეტის მიმღებს აქვთ იპოთეკის უფლება გადასახდელი საპროცენტო სარგებლის ნამეტ თანხაზე ან ანუიტეტის დავალიანებისათვის მხოლოდ იმ შეტყობინების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელშიც მოცემულია მოთხოვნილი თანხა.

თუმცაღა, იპოთეკის უფლებისა თუ ანუიტეტის რეგისტრაციის მომენტისათვის გადასახდელი საპროცენტო სარგებელი ან ანუიტეტის დავალიანება რეგისტრაციის შედეგად შენარჩუნდება, თუ თანხა განაცხადში მითითებულია.

2961. სუბსტიტუციას არა აქვს სამართლებრივი ძალა იმ ქონების მიმართ, რომელიც შეძენილ იქნა სუბსტიტუციის წესით გადასაცემი ქონების სანაცვლოდ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სუბსტიტუცია ნახსენებია შეძენის აქტში და გამოქვეყნებულია.

სუბსტიტუციის გამოქვეყნება არ ეხება მესამე პირების უფლებებს, რომლებმაც უკვე გამოაქვეყნეს ის უფლებები, რომლებსაც ისინი იღებენ ვალდებული მემკვიდრისაგან სასყიდლიანი გარიგების საფუძველზე.

2961.1. პირობადებული საკუთრების თუ გამოსყიდვის უფლების ან მათი ნებისმიერი გადაცემის რეგისტრაცია, როდესაც ის ეხება ერთი და იგივე სახის მოძრავი ქონებისაგან შემდგარ ისეთ ერთობლიობას, რომელიც შეიძლება გაიყიდოს ან გადაცემულ იქნეს საწარმოო საქმიანობით დაკავებულ პირებს შორის არსებული ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, — ინარჩუნებს გამყიდველის ან მიმღების ყველა უფლებას არა მარტო ამ ქონებაზე, არამედ ასევე იგივე სახის ნებისმიერ ქონებაზე, რომლისათვისაც აღნიშნულ საწარმოო საქმიანობით დაკავებულ პირებს შორის პირობადებული

საკუთრების გადაცემები, გამოსყიდვის უფლებების დადგენა ან ქონების გადაცემება ხორციელდება რეგისტრაციის შემდეგ. თუმცა, ასეთი პირობადებული საკუთრების გადაცემები, უფლებები ან ქონების გადაცემები ვერ იქნება გამოყენებული იმ მესამე პირის წინააღმდეგ, რომელიც ნებისმიერ ასეთ ქონებას იძენს გამყიდველის საწარმოს ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში.

რეგისტრაცია ძალაშია 10 წლის განმავლობაში; ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, თუ რეგისტრაცია განახლდება.

აღნიშნული წესები მოქმედებს ასევე ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე საკუთრების უფლების და ერთ წელზე მეტი ვადით დადებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების ან მათი ნებისმიერი გადაცემის რეგისტრაციის მიმართაც, როდესაც რეგისტრაცია ეხება ერთი და იგივე სახის მოძრავი ქონებისაგან შემდგარ ისეთ ერთობლიობას, რომელიც შეიძლება იყოს საწარმოო საქმიანობით დაკავებულ პირებს შორის არსებული ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში დადებული ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საგანი.

თავი 4
კეთილსინდისიერი მესამე პირების დაცვა

2962. (გაუქმებულია)

2963. იმ უფლების შესახებ შეტყობინების წარდგენა ან ინფორმაციის მიღება, რომელიც არ იქნა გამოქვეყნებული, ვერ ავსებს პუბლიკაციის არარსებობის ხარვეზს.

2964. პუბლიკაციის არარსებობა ყოველი დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი პირის, თუნდაც არასრულწლოვანის ან დაცული პირის, მიმართ, ასევე — სახელმწიფოს მიმართ.

2965. ყოველ დაინტერესებულ პირს შეცდომის შემთხვევებში შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარეგისტრაციო ჩანაწერის შესწორების ან უსწორო ჩანაწერის გაუქმების მოთხოვნით.

თავი 5
წინასწარი რეგისტრაცია

2966. სანივთო უფლებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სასარჩელო განცხადება, რომელიც უნდა ან შეიძლება იქნეს გამოქვეყნებული მიწის რეესტრში, შესაძლოა შეტყობინების გზით დაექვემდებაროს წინასწარ რეგისტრაციას.

მოძრავ ქონებაზე სანივთო უფლებასთან დაკავშირებით სასარჩელო განცხადება, რომელიც რეგისტრირებულია პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში, ასევე შეიძლება შეტყობინების გზით დაექვემდებაროს წინასწარ რეგისტრაციას.

2967. როდესაც პირს მისი ბრალის არარსებობისას ხელი შეეშლება ანდერძიდან გამომდინარე უფლების გამოქვეყნებაში ანდერძის დამალვის, განადგურების ან გასაჩივრების ანდა ნებისმიერი სხვა დაბრკოლების გამო, ამ უფლების დაცვის მიზნით მას შეუძლია მოახდინოს მის მიერ მოთხოვნილი უფლების წინასწარი რეგისტრაცია მოანდერძის გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში შესაბამისი შეტყობინების წარდგენის გზით.

2968. უფლებები, რომლებიც წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილების ან იმ მორიგების აქტის საგანს, რომლითაც სასამართლო საქმის წარმოება წყდება, ივარაუდება გამოქვეყნებულად მათი წინასწარი რეგისტრაციის მომენტიდან იმ პირობით, რომ ისინი ქვეყნდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის (res judicata) შემდეგ ან მორიგების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.

იმ ანდერძიდან გამომდინარე უფლებები, რომლის გამოქვეყნებასაც ეშლება ხელი, ასევე ივარაუდება გამოქვეყნებულად მათი წინასწარი რეგისტრაციის მომენტიდან იმ პირობით, რომ ანდერძი ქვეყნდება დაბრკოლების აღმოფხვრიდან ან ანდერძის მიღებიდან ან სასამართლოს მიერ მისი დადასტურებიდან 30 დღის განმავლობაში ანდა, ყველაზე გვიან, — სამკვიდროს გახსნიდან სამი წლის განმავლობაში.

ტიტული 3
პუბლიკაციის ფორმალობები

თავი 1
უფლებათა რეესტრები

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

2969. მიწის რეესტრსა და მითითებების რეესტრს (register of mentions), ნებისმიერ სხვა რეესტრთან ერთად, რომლის წარმოებაც გათვალისწინებულია კანონით ან წინამდებარე წიგნის ნორმების რეგულაციებით, აწარმოებს მიწის რეესტრის სამსახური.

გარდა ამისა, პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრს აწარმოებს პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრის სამსახური.

შესაბამისად, მიწის რეგისტრატორსა და პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეგისტრატორს ეკისრებათ აღნიშნული რეესტრების წარმოება.

2970. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების პუბლიკაცია ხორციელდება მიწის რეესტრში ამ უკანასკნელის იმ სარეგისტრაციო განყოფილებაში, რომელშიც მდებარეობს უძრავი ქონება.

მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული და ნებისმიერი სხვა უფლებების პუბლიკაცია ხორციელდება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში რეგისტრაციით; თუ მოძრავი სანივთო უფლება ეხება ასევე უძრავ ქონებასაც, რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ასევე მიწის რეესტრშიც ამ უკანასკნელის მიმართ მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და წინამდებარე წიგნის ნორმებისა ან რეგულაციების საფუძველზე.

2971. უფლებათა რეესტრში პუბლიკაციის მიზნებისათვის წარმოებული ჩანაწერები და სხვა დოკუმენტები წარმოადგენს საჯარო დოკუმენტებს; საკონსულტაციო პროცედურა გათვალისწინებულია წინამდებარე წიგნის რეგულაციებით.

2971.1. არავის შეუძლია უფლებათა რეესტრების მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჩანაწერებსა და სხვა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის გამოყენება იმგავარად, რომ ზიანი მიადგეს აღნიშნულ ჩანაწერსა თუ დოკუმენტში იდენტიფიცირებული პირის რეპუტაციას ან მოხდეს მის კერძო ცხოვრებაში ჩარევა.

განყოფილება 2
მიწის რეესტრი

2972. მიწის რეესტრი კვებეკში მოიცავს ერთ მიწის სარეგისტრაციო წიგნს თითოეული სარეგისტრაციო განყოფილებისათვის.

თითოეული მიწის სარეგისტრაციო წიგნი მოიცავს უძრავი ქონების მაჩვენებელს, სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებების რეესტრს, კომუნალური მომსახურების ქსელების რეესტრსა და საკადასტრო აზომვისა და სახელწოდებების მითითების გარეშე განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებას. სახელწოდებების მითითება მოიცავს ყველა ჩანაწერს, რომელიც ვერ შედის უძრავი ქონების მაჩვენებელში ან მიწის რეგისტრატორის მიერ წარმოებულ სხვა რეესტრებში.

2972.1. უძრავი ქონების მაჩვენებელი მოიცავს ერთი მიწის დოკუმენტაციას სარეგისტრაციო განყოფილებისათვის საკადასტრო გეგმაზე განთავსებული ყოველი აღრიცხული (immatriculated) უძრავი ქონებისათვის.

2972.2. სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებების რეესტრი მოიცავს სერიული ნომრით გახსნილი ერთი მიწის დოკუმენტაციას ყოველი აღნიშნული სანივთო უფლებისათვის იმ სარეგისტრაციო განყოფილებაში, რომლის ლოკაცია (situs) არ არის აღრიცხული.

კომუნალური მომსახურების ქსელებისა და საკადასტრო აზომვის გარეშე განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული უძრავ ქონების რეესტრი მოიცავს სერიული ნომრით გახსნილი ერთი მიწის დოკუმენტაციას სარეგისტრაციო განყოფილებაში ყოველი ასეთი აღურიცხავი ქსელისა თუ უძრავი ქონებისათვის თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ორი ან მეტი ქსელი ან უძრავი ქონება ეკუთვნის ერთი და იგივე მესაკუთრეს.

სანივთო უფლებების მფლობელთა კატალოგი ავსებს აღნიშნულ ორ რეესტრს.

2972.3. საკადასტრო აზომვის გარეშე, ხოლო კანონით ნებადართულ შემთხვევებში კი, — საკადასტრო აზომვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებასთან, უფლებებთან ან ქსელებთან დაკავშირებული მიწის დოკუმენტაცია ღიაა რეგულაციებით გათვალისწინებული წესით.

2972.4. უძრავი ქონების მაჩვენებელში, სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებების რეესტრში ან კომუნალური მომსახურების ქსელებისა და საკადასტრო აზომვის გარეშე განსაზღვრულ ტერიტორიაზე არსებული უძრავი ქონების რეესტრში მოცემული ყოველი მიწის დოკუმენტაცია აღრიცხავს უძრავ ქონებასთან, სანივთო უფლებებთან ან ქსელთან დაკავშირებით გაკეთებულ ჩანაწერებს.

2973. (გაუქმებულია)

2974. (გაუქმებულია)

2975. (გაუქმებულია)

2976. (გაუქმებულია)

2977. (გაუქმებულია)

2978. ერთი და იგივე სანივთო უფლებებით დატვირთული და ერთი და იგივე სარეგისტრაციო განყოფილებაში არსებული რამდენიმე აღურიცხავი, თუმცა მომიჯნავე უძრავი ქონების მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს რეგისტრატორს ყოველი უძრავი ქონებისათვის გახსნილი დოკუმენტაციის ერთ დოკუმენტაციაში გაერთიანება.

იგივე წესი მოქმედებს იმ სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებების მფლობელის მიმართ, რომელთა ლოკაცია არ არის აღრიცხული, იმ პირობით, რომ ექსპლუატაციის სანივთო უფლებები ერთი და იგივე ბუნებისაა, დადგენილია ერთი და იგივე ვადით, ერთმანეთის მომიჯნავეა და დატვირთულია ერთი და იგივე სანივთო უფლებებით.

უძრავი ქონების მესაკუთრე ან უფლების მფლობელი წარადგენენ განაცხადს, რომელიც შეიცავს გაერთანების შედეგად მიღებული უძრავი ქონების აღწერილობას და ადგენს შესაბამის მიწის დოკუმენტაციასა და ნებისმიერ არსებულ ჩანაწერებს, რაც გადატანილ უნდა იქნეს ახალ მიწის დოკუმენტაციაში. რეგისტრატორი მიუთითებს ძველი და ახალი მიწის დოკუმენტაციების ერთმანეთთან შესატყვისობის თაობაზე და ახდენს ჩანაწერების გადატანას.

2979. იმ უძრავი ქონების ნებისმიერი დანაწევრების საფუძველზე, რომლის ლოკაცია არ არის აღრიცხული, იხსნება მიწის ახალი დოკუმენტაციები.

უძრავი ქონების დანაწევრების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომელიც მოიცავს შესაბამისი უძრავი ქონების აღწე-

რილობას და ადგენს თავდაპირველი მიწის დოკუმენტაციასა და ახალ მიწის დოკუმენტაციაში გადასატან ჩანაწერებს.

რეგისტრატორი ადგენს ძველი და ახალი მიწის დოკუმენტაციების ერთმანეთთან შესატყვისობას და ახდენს ჩანაწერების გადატანას.

განყოფილება 3
მითითებების რეესტრი

2979.1. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მითითებების რეესტრი მოიცავს კანონით ან წინამდებარე წიგნის რეგულაციებით მოთხოვნილ მითითებებსა და ჩანაწერებს, რომლებიც კავშირშია მიწის რეესტრის ან მიწის რეგისტრატორის მიერ წარმოებული სხვა რეესტრების მიერ გაკეთებულ ჩანაწერებთან.

განყოფილება 4
პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრი

2980. პირადი უფლებების მიმართ პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრი მოიცავს ანბანური, ანბანურ-ციფრული ან ციფრული რიგით წარმოებულ დოკუმენტაციას სარეგისტრაციო განაცხადში დასახელებული პირების აღწერით, ხოლო მოძრავი სანივთო უფლებების მიმართ კი, — ქონების ან ქონებათა ერთობლიობის კატეგორიების მიხედვით უფლების დამდგენის სახელით წარმოებულ დოკუმენტაციას უფლებრივად დატვირთული ქონების აღნიშვნით, ქონებათა ერთობლიობის ან დოკუმენტაციის ბუნების მითითებით.

მოძრავი ქონების ქირავნობიდან გამომდინარე უფლებები რეგისტრაციაში ტარდება მხოლოდ განაცხადში დასახელებული დამქირავებლის მითითებით წარმოებულ დოკუმენტაციაში ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად დოკუმენტაციის წარმოება ხდება გაქირავებული ქონების საიდენტიფიკაციო ნომრით.

პირთან ან მოძრავ ქონებასთან დაკავშირებული რეგისტრაციები აღირიცხება ყოველი დოკუმენტაციის სიებში.

თავი 2
სარეგისტრაციო განაცხადები

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

2981. გარდა სარეგისტრაციო უფლებების მფლობელებისა და დამდგენების პიროვნებათა იდენტიფიცირებისა, მიწის რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადები, კერძოდ, შეიცავს შესაბამისი ქონების აღწერილობასა და კანონით ან წინამდებარე წიგნის რეგულაციებით გათვალისწინებულ მითითებებს.

პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადები ახდენს უფლებების მფლობელებისა და დამდგენების პიროვნებათა იდენტიფიკაციას, უთითებს უფლებების ბუნებას, აღწერს შესაბამის ქონებასა და უთითებს რეგისტარციის მიზნებისათვის კავშირში არსებულ ნებისმიერ სხვა ფაქტს, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით ან წინამდებარე წიგნის რეგულაციებით.

2981.1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწის რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადი ეხება იმ უძრავ ქონებას, რომელისათვისაც გაიხსნა სერიული ნორმის მქონე მიწის დოკუმენტაცია, განაცხადი უნდა შეიცავდეს იმ სარეგისტრაციო განყოფილების დასახელებას, რომელშიც მდებარეობს უძრავი ქონება.

2981.2. მიწის რეესტრში იპოთეკის უფლების, ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის ან განსაზღვრული ვადით არსებული უფლების სარეგისტრაციო განაცხადი შეიძლება ადგენდეს თარიღს, რომლის შემდგომაც რეგისტრაცია წყვეტს მოქმედებას.

პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში იპოთეკის უფლების ან აღნიშნული შეზღუდვის ან უფლების სარეგისტრაციო განაცხადი უნდა ადგენდეს თარიღს, რომლის შემდგომაც რეგისტრაცია წყვეტს მოქმედებას.

2982. მიწის რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადი წარედგინება მიწის რეესტრის სამსახურს ან თუ განაცხადის წარდგენა ხდება ქაღალდის ფორმით, — იმ სარეგისტრაციო განყოფილებისათვის დადგენილ უფლებათა რეესტრში, რომელშიც მდებარეობს უძრავი ქონება.

განაცხადი წარდგენა ხდება თავად აქტის ან მისი აუთენტური ამონარიდის ანდა დოკუმენტის რეზიუმეს წარდგენით, ხოლო როდესაც კანონი ამას ითვალისწინებს, — შეტყობინების გზით.

ყველა შემთხვევაში, მანამდე, სანამ შესაძლებელია სარეგისტრაციო განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტების წარდგენა, ის ინფორმაცია, რომელიც — სხვა საკითხებთან ერთად — დაკავშირებულია აქტის ან სარეგისტრაციო უფლებების სამართლებრივ ბუნებასთან, აქტის მხარეთა ან უფლებების მფლობელთა იდენტიფიცირებასთან და, აუცილებლობის შემთხვევაში კი, შესაბამისი უძრავი ქონების აღწერილობასთან, შეტანილ უნდა იქნეს ისეთ ფორმაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მიწის რეგისტრატორისათვის. თუ განაცხადის წარდგენა ხდება ქაღალდის ფორმით, მას თან უნდა ახლდეს ამ ფორმიდან ამობეჭდილი სარეგისტრაციო ტალონი.

2982.1. გარიგების მხარისათვის დოკუმენტის დედნის გადაცემით შედგენილი (en brevet) სანოტარო აქტის მიწის რეესტრში წარდგენით სარეგისტრაციო განაცხადს ან კერძო დოკუმენტის სახით შედგენილ აქტს, რომელიც გამომდინარეობს აქტის დედანში მოცემული ინფორმაციის გადაცემიდან, ანდა საინფორმაციო ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ დოკუმენტს ვერ მიიღებს რეგისტრატორი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტის შემდგენელი ნოტარიუსის ან ადვოკატის ხელმოწერა კეთდება კრიპტოგრაფიული წყვილის (signature key pair) მეშვეობით მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად (თავი CCQ, r. 6).

სარეგისტრაციო განაცხადს უნდა დაერთოს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ ნოტარიუსმა ან ადვოკატმა მოახდინეს გადაცემა საინფორმაციო ტექნოლოგიისათვის სამართლებრივი ჩარჩოების შექმნის შესახებ კანონის (თავი C-1.1) მე-17 განყოფილების შესაბამისად.

2983. პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადის ერთადერთი ასლის შეტანა ხდება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრის სამსახურში; განაცხადის წარდგენა ხდება შეტყობინების შეტანით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად გათვალისწინებულია კანონით ან რეგულაციებით.

2984. სარეგისტრაციო განაცხადების ხელმოწერა, დამოწმება და წარდგენა ხდება კანონით, წინამდებარე ტიტულით ან რეგულაციებით გათვალისწინებული წესით.

2985. ყოველი პირი, რომელიც ითხოვს მიწის რეესტრში რეგისტრაციას, შენახვისა და საკონსულტაციო მიზნებისათვის ვალდებულია რეზიუმესთან ერთად წარადგინოს აქტი, ამონარიდი ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელიც ახდენს მის შეჯამებას.

2986. რა ფორმითაც არ უნდა შედგეს პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადი, ამ უკანასკნელში ქვეყნდება მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც მოცემულია განაცხადში და რომლებიც ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას.

თუმცაღა, მიუხედავად აღნიშნულისა, რეგულაციებით ნებადართულ შემთხვევებში რეგისტრაციის დროს უფლების ლოკაციის ან მისი ფარგლების იდენტიფიცირების მიზნით დასაშვებია იმ დოკუმენტზე მითითება, რომლის საფუძველზეც მოთხოვნილია რეგისტრაცია.

2987. როდესაც სარეგისტრაციო განაცხადის შეტანა ხდება რეზიუმეს წარდგენით, ეს რეზიუმე ვერ იქნება გამოყენებული დაუსრულებელი ან რეგისტრაციასთან კავშირის არმქონე დოკუმენტების შეჯამებისათვის.

თუმცა, ერთი რეზიუმე საკმარისია, როდესაც გამოსაქვეყნებელი უფლების არსებობა დასტურდება რამდენიმე დოკუმენტში.

განყოფილება 2
დასტურები

2988. ნოტარიუსი, რომელიც აფორმებს ისეთ აქტს, რომელიც ქმნის მიწის რეესტრში უფლების რეგისტრაციის ან უფლების მიწის რეესტრიდან ამოშლის ანდა ჩანაწერის შემცირების საფუძველს, დოკუმენტის უბრალო ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან დაადგინა მხარეთა პიროვნება, სტატუსი და ქმედუნარიანობა და რომ დოკუმენტი ასახავს მხარეთა მიერ გამოხატულ ნებას.

2989. მიწის ამზომველი, რომელიც ადგენს სასაზღვრო მიჯნების ნებაყოფლობითი აღმართვის ოპერაციების შესახებ ოქმს, თუნდაც — არაფორმალურად, დოკუმენტის უბრალო ხელმოწერით ადასტურებს, რომ მან დაადგინა მხარეთა პიროვნება, სტატუსი და ქმედუნარიანობა და რომ დოკუმენტი ასახავს მხარეთა მიერ გამოხატულ ნებას.

2990. სასამართლოს მოხელემ, მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა ან მდივანმა, ასევე სხვა პირებმა, რომლებიც ადგენენ საჯარო აუთენტურ აქტებს, რომლებიც არ მიეკუთვნება სასამართლო აქტებს, — უნდა დაადასტურონ, რომ დაადგინეს მათ მიერ შედგენილი იმ აქტების მხარეთა პიროვნება, რომლებიც საჭიროებს პუბლიკაციას მიწის რეესტრში რეგისტრაციის გზით.

2991. კერძო დოკუმენტში, რომელიც ქმნის მიწის რეესტრში უფლების რეგისტრაციის ან უფლების მიწის რეესტრიდან ამოშლის ანდა ჩანაწერის შემცირების საფუძველს, უნდა მიეთითოს მისი შედგენის თარიღი და ადგილი და მას თან უნდა ახლდეს ნოტარიუსის ან ადვოკატის მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ მათ დაადგინეს მხარეთა პიროვნება, სტატუსი და ქმედუნარიანობა, ასევე — აქტის ნამდვილობა მისი ფორმის მხრივ, და რომ დოკუმენტი ასახავს მხარეთა მიერ გამოხატულ ნებას.

2992. როდესაც მიწის რეესტრში რეგისტრაცია მოითხოვება რეზიუმეს საშუალებით, ნოტარიუსი ან ადვოკატი, რომლებიც ადგენენ დოკუმენტის რეზიუმეს, ადასტურებენ ასევე რეზიუმეს სისწორეს.

თუ შეტყობინება ფორმდება სანოტარო წესით, ნოტარიუსის უბრალო ხელმოწერა წარმოადგენს საკმარის დასტურს.

2993. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იგულისხმება ნოტარიუსის ან მიწის ამზომველის ხელმოწერაში, დადასტურება იწერება განცხადებაში, რომელიც მისი დადების თარიღთან ერთად უნდა შეიცავდეს განმცხადებლის სახელსა და სტატუსს, ასევე — ადგილს, სადაც განმცხადებელი ახორციელებს თავის ფუნქციებს ან დაკავებულია თავისი პროფესიული საქმიანობით.

2994. როდესაც ვერ ხერხდება იმ აქტის მოთხოვნისამებრ დადასტურება, რომელიც ითხოვს პუბლიკაციას ან დაშვებულია მისთვის მიწის რეესტრში რეგისტრაციის გზით, სასამართლოს შეუძლია დართოს აქტში მითითებული უფლებების პუბლიკაციის ნება, მიუხედავად დადასტურების არარსებობისა.

სარეგისტრაციო განაცხადს თან უნდა ახლდეს სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი; განაცხადი დაუშვებელია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალა.

2995. პიროვნების, სტატუსის, ქმედუნარიანობისა და გამოხატული ნების შესახებ არანაირი დასტური არ მოითხოვება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში რეგისტრაციისათვის.

არა ნოტარიუსის ან ადვოკატის, არამედ ორი მოწმის მიერ — მათ შორის, ერთ-ერთის მიერ ფიცის ქვეშ — დადასტურებას საჭიროებს დოკუმენტები,

რომლებიც მიწის რეესტრში წარდგენილია ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადებების, უძრავი ქონების ქირავნობების ან კანონით გათვალისწინებული შეტყობინებების, რომლებსაც არ მიეკუთვნება კანონისმიერი ან მოძრავი იპოთეკის რეგისტრაციისათვის მოთხოვნილი შეტყობინებები, უფლების რეგისტრაციისათვის საკადასტრო შეტყობინების ან არსებული ან სამომავლო კრედიტორების წარმომადგენელი იპოთეკარის შეცვლის შესახებ შეტყობინების სარეგისტრაციოდ.

განყოფილება 3
სპეციალური სარეგისტრაციო წესები

2996. სასაზღვრო მიჯნების აღმართვის ოპერაციების შესახებ ოქმებს თან უნდა ახლდეს შესაბამისი გეგმა და შეიძლება დაერთოს საზღვრის დადგენის შესახებ ანგარიში. თუ ოქმები დადასტურებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათი წარდგენა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად. ოქმები უნდა შეიცავდეს პირდაპირ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქონებებს შორის საზღვრები საკადასტრო გეგმაზე ემთხვევა შესაბამისი მიწის ნაკვეთების საზღვრებს.

აღნიშნული განცხადების არარსებობისას, მიწის რეესტრში რეგისტრაციას უნდა ეთქვას უარი მანამდე, სანამ მიწის რეესტრში არ მიეთითება გეგმის ცვლილება და აღნიშნულ რეესტრში რეგისტრაციაში არ გატარდება შესაბამის მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ცვლილების შესახებ შეტყობინება.

2997. როდესაც კანონით მოითხოვება უფლებათა რეესტრში გეგმის განთავსება, ამ უკანასკნელის პუბლიკაცია მიიღწევა გეგმისა და მასზე ასახული უძრავი ქონების აღმწერი შეტყობინების წარდგენით.

აღნიშნული დებულება არ მოქმედებს საკადასტრო გეგმების მიმართ.

2998. მემკვიდრეობაში შემავალ უძრავ ქონებაზე მემკვიდრის ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარის უფლებები ქვეყნდება საჯარო სანოტარო აქტით დამოწმებული განცხადების რეგისტრაციით.

თუმცა, მოძრავი ქონების მიმართ, მემკვიდრის ან სპეციალური საფუძვლით ლეგატარის უფლება შეიძლება რეგისტრაციაში გატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაცია ეხება იპოთეკური მოთხოვნის გადასვლას ან ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვას ანდა — წინასწარ რეგისტრაციას. განცხადება იღებს ისეთი შეტყობინების ფორმას, რომელშიც, აუცილებლობის შემთხვევაში, მითითება ხდება ანდერძზე.

2999. განცხადებაში მოცემულია გარდაცვლილის სახელი და უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა და სამოქალაქო მდგომარეობა, ასევე — საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

განცხადებაში ასევე მითითებულია, წარმოადგენს თუ არა მემკვიდრეობა კანონისმიერ ან ანდერძით მემკვიდრეობას, მემკვიდრის, სპეციალური საფუძვლით ლეგატარის ან საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის მეუღლის სტატუსი,

მემკვიდრეებსა და გარდაცვლილს შორის ნათესაური კავშირის ხარისხი, სამკვიდროს მიღებაზე ნებისმიერი უარი, შესაბამისი ქონების აღწერილობა და პირებზე მითითება, ასევე — ქონების მიმართ ყოველი პირის კუთვნილი უფლება.

2999.1. იმ უძრავი ქონების ქირავნობიდან გამომდინარე უფლებების რეგისტრაცია, რომელიც არ მიეკუთვნება საცხოვრებელ ფართს, ან ასეთი ქირავნობის დათმობა, წინამდებარე წიგნში გათვალისწინებულ სხვა ფორმებთან ერთად, შეიძლება მიღწეულ იქნეს მიწის რეგისტრატორისათვის შეტყობინების წარდგენით.

შეტყობინება უნდა ახდენდეს მითითებას შესაბამის ქირავნობაზე, ადგენდეს გამქირავებლისა და დამქირავებლის პიროვნებას და შეიცავდეს იმ უძრავი ქონების აღწერილობას, რომელშიც განთავსებულია გაქირავებული ფართი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რეგისტრაცია ეხება ქირავნობის დათმობას ან ქირავნობიდან გამომდინარე უფლებების გაქარწყლებას, შეტყობინება ასევე უნდა უთითებდეს, განსაკუთრებით, ქირავნობის ძალაში შესვლისა და ვადის ამოწურვის თარიღებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ანდა — ამ თარიღების განსაზღვრისათვის საჭირო სპეციფიკურ მონაცემებს, ისევე როგორც ქირავნობის განახლების ნებისმიერ უფლებებს.

შეტყობინების შინაარსის სისწორე ყველა შემთხვევაში უნდა დადგინდეს ნოტარიუსის ან ადვოკატის მიერ. თუ შეტყობინება ფორმდება სანოტარო წესით, ნოტარიუსის უბრალო ხელმოწერა წარმოადგენს საკმარის დასტურს.

2999.2. არსებული ან სამომავლო კრედიტორების წარმომადგენელი იპოთეკარის შეცვლის შესახებ შეტყობინება მიწის რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შეცვლილი წარმომადგენლის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, ან მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ, თუ შეტყობინება განსაზღვრავს, რომ შესრულდა შეცვლისათვის დადგენილი პირობები.

3000. ქონების იძულებითი გაყიდვის შესახებ შეტყობინებები, სასამართლოს კონტროლის ქვეშ განხორციელებული გაყიდვის შესახებ და პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნში გათვალისწინებული სხვა შეტყობინებები, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, უნდა გამოქვეყნდეს მიწის რეესტრში.

როდესაც უძრავი ქონება იყიდება იძულებითი ნასყიდობის ან იპოთეკური მოთხოვნის უფლების რეალიზაციის გზით, დაუშვებელია ნასყიდობის დამადასტურებელი აქტის ასლის გაცემა მანამდე, სანამ ნასყიდობა შემძენის ხარჯზე არ გამოქვეყნდება იმ პირის მიერ, რომელსაც დაევალა ნასყიდობის გაფორმება.

3001. პირი, რომელსაც დაევალა ქონების აუქციონზე გაყიდვა ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო, ვალდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში წარადგინოს სია, რომლითაც დგინდება ყოველი გაყიდული უძრავი ქონება, მისი შემძენი და უკანასკნელი მესაკუთრე, და რომელშიც მიეთითება შეძენის წესი და უკანასკნელი მესაკუთრის დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი.

ნასყიდობა რეგისტრაციაში ტარდება იმაზე მითითებით, რომ საქმე ეხება სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებას ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო.

3002. სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული განაცხადი, რომლითაც დგინდება მიწის რეესტრში ჩანაწერის შესწორება ან ცხადდება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარება, შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალა.

3003. როდესაც იპოთეკის გადაცემა ხდება სუროგაციით ან მოთხოვნის დათმობით, სუროგაცია ან მოთხოვნის დათმობა ქვეყნდება მიწის რეესტრში ან პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში იპოთეკის უძრავი ან მოძრავი ბუნების მიხედვით.

რეგისტრაციის დადასტურებული ცნობა უნდა გაეგზავნოს მოვალეს სარეგისტრაციო განაცხადთან ერთად, მიწის რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში, ხოლო თუ აღნიშნული განაცხადი მოცემულია რეზიუმეს სახით, — თანმხლებ დოკუმენტთან ერთად.

თუ აღნიშნული ფორმალობები არ არის დაცული, სუროგაცია ან მოთხოვნის დათმობა ვერ იქნება გამოყენებული შემდგომი ცესიონერის მიმართ, რომელმაც შეასრულა ეს ფორმალობები.

3004. როდესაც იპოთეკური უფლების სუროგაცია ხდება კანონის ძალით, სუროგაციის პუბლიკაცია ხორციელდება იმ აქტის რეგისტრაციით, რომლითაც ის ხორციელდება; თუ აქტი სახეზე არ არის, სუროგაციის პუბლიკაცია ხორციელდება იმ შეტყობინების წარდგენით, რომელშიც აღნიშნულია სუროგაციის მიზეზები.

3005. ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რეზიუმე შეიძლება უთითებდეს იმ უძრავი ქონებისათვის მინიჭებულ ნაკვეთის ნომერს, რომელზეც დადგენილი უფლება რეგისტრირებულია კადასტრში ან თავდაპირველ აზომვით ნახაზში ანდა — სერიული ნორმის ქვეშ არსებული მიწის დოკუმენტაციის ნომერს, აუცილებლობის შემთხვევაში, უძრავი ქონების საზღვრების მიხედვით შედგენილ აღწერილობასთან ერთად, ანდა აღნიშნული რეზიუმე შეიძლება უთითებდეს გეოგრაფიულ ან ბრტყელ მართკუთხა კოორდინატებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია უძრავი ქონების აღწერა თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაცია არ ჩანს შემაჯამებელ დოკუმენტში.

ადვოკატის ან ნოტარიუსის მიერ დადასტურებული რეზიუმე — თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ აქტი არ ახსენებს მას — შეიძლება შეიცავდეს იმ მუნიციპალიტეტის ან სარეგისტრაციო განყოფილების დასახელებას, რომელშიც მდებარეობს უძრავი ქონება, და აქტში დასახელებული პირების დაბადების თარიღსა და ადგილს, ისევე როგორც — უძრავი ქონების განსაზღვრული გადაცემის აქტებისათვის კანონით მოთხოვნილ განცხადებებს.

3006. როდესაც კანონი ამას ითვალისწინებს, წარდგენისას განაცხადს თან უნდა ახლდეს სხვა დოკუმენტები, ნებისმიერ ასეთ დოკუმენტებს, რომლებიც არ არის შესრულებული ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე, უნდა დაერთოს კვებეკში დამოწმებული თარგმანი.

თავი 3
რეგისტრატორის მოვალეობები და ფუნქციები

3006.1. მიწის რეგისტრაციის მიზნებისათვის რეგისტრატორი იღებს განაცხადებს და სარეგისტრაციო ჟურნალში აკეთებს ჩანაწერებს დოკუმენტის წარდგენის ზუსტი თარიღის, საათისა და წუთის მითითებით იმ სპეციფიკურ მონაცემებთან ერთად, რომლებიც მოითხოვება თითოეული განაცხადის იდენტიფიცირებისათვის. როდესაც განაცხადის წარდგენა ხდება ქაღალდის ფორმით, რეგისტრატორი ახდენს განაცხადისა და თანმხლები დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადატანას, ამ ფორმით თავის მხრივ გადასცემს მათ მიწის რეესტრის სამსახურს და ამის შემდეგ უბრუნებს განმცხადებელს.

შემდგომში განაცხადების წარდგენის რიგის მიხედვითა და მაქსიმალური შესაძლო გულისხმიერებით, რეგისტრატორი შესაბამის რეესტრში აკეთებს კანონითა და წინამდებარე წიგნის ნორმების რეგულაციებით გათვალისწინებულ ჩანაწერებს, მითითებებსა და მინიშნებებს. უფლებების რეგისტრაციისათვის განაცხადებით მოთხოვნილი ჩანაწერები, მითითებები და მინიშნებები ხორციელდება ყოველდღე ყველა შემთხვევაში ამ ჩანაწერებისათვის, მითითებებისა და მინიშნებებისათვის უპირატესობის მინიჭებით იმ ჩანაწერებთან, მითითებებთან და მინიშნებებთან შედარებით, რომლებიც განაცხადებით მოითხოვება უფრო ადრინდელი ჩანაწერის გაუქმებისა თუ შემცირებისათვის.

3007. პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეგისტრატორი იღებს განაცხადებს და მათ წარმომდგენ პირზე გასცემს სამახსოვრო ფურცელს, რომელზეც ის უთითებს დოკუმენტის წარდგენის ზუსტ თარიღს, საათსა და წუთს, ისევე როგორც — განაცხადის იდენტიფიცირებისათვის საჭირო სპეციფიკურ მონაცემებს.

შემდგომში განაცხადების წარდგენის რიგის მიხედვითა და მაქსიმალური შესაძლო გულისხმიერებით, რეგისტრატორი ყოველდღე შესაბამის რეესტრში აკეთებს კანონითა და წინამდებარე წიგნის ნორმების რეგულაციებით გათვალისწინებულ ჩანაწერებს.

3008. რეგისტრატორი რწმუნდება იმაში, რომ ჩანაწერის მხარდასაჭერად რეესტრში წარდგენილი განაცხადი შეიცავს დაწესებულ სპეციფიკურ მონაცემებს და აკმაყოფილებს კანონითა და წინამდებარე წიგნის ნორმების რეგულაციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი, რეგისტრატორი რწმუნდება იმაში, რომ ასევე წარდგენილია ის დოკუმენტებიც, რომლებიც თან უნდა ახლდეს განაცხადს.

3009. როდესაც მიწის რეესტრში სარეგისტრაციო განაცხადი დამოწმდა ადვოკატის ან ნოტარიუსის მიერ, მხარეთა პიროვნება და ქმედუნარიანობა ჩაითვლება დადგენილად, ხოლო დოკუმენტის რეზიუმე კი ასევე მიიჩნევა უტყუარად. იგივე წესი მოქმედებს მიწის ამზომველის მიერ დადასტურებული სასაზღვრო მიჯნების აღმართვის ოპერაციების შესახებ ოქმებს მხარეთა პიროვნებისა და ქმედუნარიანობის მიმართ.

მხარეთა პიროვნება ჩაითვლება დადგენილად, როდესაც ის დადასტურებულია 2990-ე მუხლში აღნიშნული ერთ-ერთი პირის მიერ.

ივარაუდება, რომ მიწის ან პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში ნებისმიერი სხვა სარეგისტრაციო განაცხადის მხარეები იდენტიფიცირებულები არიან სწორად, ხოლო მათი ქმედუნარიანობა კი ჩაითვლება დადგენილად.

3010. როდესაც წარდგენილი განაცხადი არ არის დასაშვები ან შეიცავს უზუსტობებსა თუ უსწორობებს, რეგისტრატორი არ ახორციელებს რეესტრში ჩანაწერს, არამედ ატყობინებს რეგისტრაციაზე უარის მიზეზებს განმცხადებელს.

3011. რეგისტრატორი წარდგენილი განაცხადის საფუძველზე განმცხადებელს გადასცემს მის მიერ განხორციელებული ჩანაწერის შესახებ დადასტურებულ ცნობას. მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებით დადასტურებული ცნობის ეგზემპლარი თან ერთვის მიწის რეესტრის სამსახურში შენახულ განაცხადს.

3012. განაცხადები მიიჩნევა წარდგენილად იმ მომენტიდან, როდესაც ისინი უფლებათა რეესტრის რეგისტრატორის მიერ მიიღება მათი წარდგენის ადგილზე.

თუ რეესტრს რამდენიმე განაცხადი მიეწოდება ერთი და იგივე საფოსტო გზავნილით ან წარედგინება ერთი და იგივე წარმომდგენის მიერ, ეს განაცხადები მიიჩნევა ერთდროულად წარდგენილად. რეგულაციებით განსაზღვრული ტექნოლოგიური საშუალებებით დიდი პარტიებით წარდგენილი განაცხადები ჩაითვლება ერთდროულად წარდგენილად; თუმცა, ყველა ამ გზით წარდგენილი განაცხადი შეიცავს უკანასკნელი განაცხადის მიღების თარიღს, საათსა და წუთს.

იმ სარეგისტრაციო განყოფილების უფლებათა რეესტრში, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი უძრავი ქონება, ან პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრის სამსახურში დოკუმენტების წარდგენისათვის გათვალისწინებული საათების გასვლის ან სამსახურის არასამუშაო დროში გადაცემული განაცხადები მიიჩნევა წარდგენილად სამსახურის მუშაობის განახლების მომენტში; მიწის რეესტრის სამსახურში დოკუმენტების წარდგენისათვის გათვალისწინებული საათების გასვლის ან უფლებათა რეესტრის არასამუშაო დროში იმ სარეგისტრაციო განყოფილების უფლებათა რეესტრში, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი უძრავი ქონება, გადაცემული განაცხადები მიიჩნევა წარდგენილად უფლებათა რეესტრის მუშაობის განახლების მომენტში.

3013. (გაუქმებულია)

3014. სუროგაციის, მოთხოვნის დათმობის, იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარ გაფრთხილების ან უფლების რეგისტრაციის განახლების სათანადო რეესტრში რეგისტრაციამდე რეგისტრატორმა უნდა დაადასტუროს დავალიანების დოკუმენტის რეგისტრაციის ნომერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ ნომერი არაზუსტია, რეგისტრატორი უარს აცხადებს რეგისტრაციაზე.

როდესაც რეგისტრაცია ხორციელდება მიწის რეესტრში, სუროგაციის, მოთხოვნის დათმობის ან უფლების რეგისტრაციის განახლების მითითება, მის სარეგისტრაციო ნომერთან ერთად, რეგისტრაციაში ტარდება მითითებების რეესტრში.

3014.1. უძრავი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლებაზე დადგენილი იპოთეკის მიწის რეესტრში რეგისტრაციის საფუძველზე იპოთეკის მითითება, მის სარეგისტრაციო ნომერთან ერთად, რეგისტრაციაში ტარდება მითითებების რეესტრში.

3015. გამოქვეყნებული უფლების მფლობელის ან უფლების დამდგენის სახელის შეცვლის შესახებ იმ შეტყობინების მიღებისას, რომელშიც მოცემულია ამ უფლების სარეგისტრაციო ნომერზე მითითება და რომელსაც თან ახლავს ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი, რეგისტრატორმა რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ცვლილება სათანადო რეესტრში, დაადგინოს ურთიერთმიმართება წინა სახელსა და ახალ სახელს შორის და მიუთითოს შესაბამისი უფლების სარეგისტრაციო ნომერი.

მიწის რეესტრში სახელის შეცვლის რეგისტრაციის მიღწევისათვის შესაბამისი უძრავი ქონების აღწერილობა ასევე უნდა შევიდეს შეტყობინებაში.

3016. როდესაც რეესტრში, დამოწმებულ ცნობასა თუ დოკუმენტის ველში არსებულ მითითებაში რეგისტრატორი აფიქსირებს მექანიკურ შეცდომას ან რეესტრსა თუ დოკუმენტის ველში არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერისა თუ მითითების განუხორციელებლობას, ის ასწორებს შეცდომას ან აკეთებს ჩანაწერსა თუ მითითებას რეგულაციებით გათვალისწინებული წესით.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აღნიშნული შეცდომის ან მითითებას განუხორციელებლობის შემჩნევისას შეუძლია მოსთხოვოს რეგისტრატორს სათანადო შესწორების, ჩანაწერის ან მითითების განხორციელება; თუ ასეთ შეცდომას ან მითითებას ამჩნევს განმცხადებელი, ის ვალდებულია წარადგინოს ასეთი მოთხოვნა.

ყველა შემთხვევაში, რეგისტრატორი უთითებს შესწორების, ჩანაწერის ან მითითების განხორციელების თარიღს, საათსა და წუთს.

3017. რეგისტრატორი ვალდებულია, ყოველ პირს, რომელმაც მოითხოვა მისი მისამართის რეგისტრაცია, რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინოს იმის შესახებ, რომ ის ქონება, რომელზეც ის ფლობს გამოქვეყნებულ უფლებას, წარმოადგენს იპოთეკური უფლებების რეალიზაციის განზრახვის ან ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო გაყიდვის შესახებ გაფრთხილების საგანს. ის ანალოგიურად იქცევა, როდესაც გაფრთხილება მოითხოვს გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღებაზე უარს ან როდესაც უძრავი ქონების მიკუთვნება მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილებით ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო ან მის მიმართ ხორციელდება იძულებითი აღსრულება; აუცილებლობის შემთხვევაში, რეგისტრატორი უთითებს გაყიდვის ადგილსა და თარიღს.

აღნიშნული შეტყობინება ეგზავნება გენერალურ პროკურორს იპოთეკით დატვირთული ნებისმიერი ქონების შემთხვევაში ან — სახელმწიფოს სასარგებლოდ გამოქვეყნებული პრივილეგიის შემთხვევაში. ის ასევე ეგზავნება

La Financière agricole du Québec-ს ან Société d'habitation du Québec-ს ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გამოქვეყნებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების შემთხვევაში.

მიიჩნევა, რომ იმ პირს, რომელმაც მოითხოვა მისამართის რეგისტრაცია, გაეგზავნა შეტყობინება იმ მარტივი მტკიცებულების საფუძველზე, რომ რეგისტრატორის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გადაცემულ იქნა აღნიშნულ მისამართზე.

3018. რეგულაციებით გათვალისწინებული მიზნების გარდა, რეგისტრატორს არ შეუძლია რეესტრების ან მასთან შენახული დოკუმენტების გამოყენება სხვა რაიმე მიზნებისათვის, გარდა კანონის შესაბამისად მათში რეგისტრირებული ან ნახსენები უფლებების პუბლიკაციისა, განსაკუთრებით კი, — იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ამ უფლებების გამოყენება მესამე პირების მიმართ ან მათი რიგის განსაზღვრა ანდა მათი ძალაში შესვლა.

რეგისტრატორს ასევე არ შეუძლია რეესტრების ან დოკუმენტების გამოყენება ნებისმიერი პირისათვის მესაკუთრეების, იპოთეკარებისა თუ უფლებათა სხვა მფლობელების სიის გადაცემა, ასევე — მოვალეთა ან უფლებების დამდგენთა სიის ანდა პირის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალის გადაცემა. უფრო მეტიც, რეესტრებში ან მიწის რეესტრის მიერ შენახულ დოკუმენტებში პირის სახელზე მითითების გზით არანაირი კვლევა არ არის ნებადართული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ეხება მისამართის შეტყობინებას, ხორციელდება სახელების მაჩვენებელში ან ეხება უძრავ ქონებას, სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებას ან კომუნალური მომსახურების ქსელს, რომელიც არ არის აღრიცხული.

3019. ნებისმიერ პირზე, რომელიც იყენებს განსაზღვრული უძრავი ქონების ან მისი მესაკუთრის მიმართ არსებული სანივთო უფლებების ან იპოთეკებისა თუ დანახარჯების შესახებ დამოწმებულ ცნობას, ანდა როდესაც განაცხადი ეხება პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრს, რეგისტრატორი ვალდებულია, გასცეს ამ რეესტრში რეგისტრირებული უფლებების შესახებ დამოწმებული ცნობა; ცნობაში მითითებულია რეესტრის უკანასკნელი განახლების დღე, საათი და წუთი, ხოლო თუ ეს ცნობა გაცემულია მიწის რეესტრის მიერ, მასში ხდება ასევე განაცხადზეც მითითება.

რეგისტრატორი ასევე ვალდებულია, ნებისმიერ იმ პირზე, რომელიც ამას ითხოვს, გასცეს უფლებათა რეესტრებში შენახული დოკუმენტების ასლი ან კონკრეტული ჩანაწერის შესახებ დამოწმებული ცნობა.

3020. რეგისტრატორი არ არის პასუხისმგებელი იმ ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც შეიძლება შედეგად მოჰქყვეს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას იმ შეცდომის გამო, რომელიც არ არის გამოწვეული პირის იდენტიფიცირების ან ქონების აღწერის დროს მისი მოქმედებით ან უმოქმედობით.

3021. რეგისტრატორები ვალდებული არიან,

1) თავიანთ თავდაპირველ მატარებლებზე ან ნებისმიერ სხვა მატარებელზე უფლებათა რეესტრებში შეინახონ მათთვის პუბლიკაციის მიზნებისათვის გადაცემული ნივთები;

2) განახორციელონ ჩანაწერები რეესტრებში იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ინფორმაციის ხელშეუხებლობა;

3) დაიცვან რეესტრებში განხორციელებული ჩანაწერები ნებისმიერი ცვლილებისაგან;

4) შექმნან და შეინახონ უფლებათა რეესტრების მიღმა უსაფრთხო ადგილას კომპიუტერულ სისტემაში შენახული რეესტრებისა და სხვა დოკუმენტების ასლი;

5) საარქივო მიზნებისათვის პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში მოახდინონ იმ ჩანაწერების დაარქივება, რომლებსაც აღარ აქვს ძალა;

6) (ქვეპარაგრაფი გაუქმებულია).

რეგისტრატორებს არ შეუძლიათ რეესტრებისა და დოკუმენტების განკარგვა ან დაუშვებელია მათთვის ამ რეესტრებისა და დოკუმენტების ასლის წარდგენის მოთხოვნა უფლებათა რეესტრის მიღმა, გარდა დოკუმენტის სიყალბის შესახებ განცხადების საფუძველზე წარმოებული სასამართლო დავების ან დოკუმენტის აუთენტურობასთან დაკავშირებული დავების შემთხვევებისა.

გარდა აღნიშნულისა, რეგისტრატორებს არ შეუძლიათ საკადასტრო გეგმების შესწორება ან შეცვლა; თუ სახეზეა ხარვეზები ან შეცდომები ნებისმიერი მიწის ნაკვეთის აღწერილობაში, ზომებსა თუ ნომერში, ასევე — ხარვეზები ან შეცდომები მესაკუთრის სახელში, შეძენის ხერხისა თუ დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერში, რეგისტრატორებმა აღნიშნული ხარვეზების ან შეცდომების შესახებ უნდა შეატყობინონ კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს, რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია დედნისა და ასლის შესწორება და შესწორების დამოწმება.

3021.1. მიწის რეგისტრატორი ვალდებულია, საარქივო მიზნებისათვის უფლებათა რეესტრებში ან ნებისმიერ სხვა ადგილას შეინახოს ყველა სარეგისტრაციო ჩანაწერი და დოკუმენტი ქაღალდის ფორმით, მათ შორის, ის ჩანაწერები და დოკუმენტები, რომლებიც გადატანილ იქნა ელექტრონულ ფორმატში უფლებათა რეესტრების შესახებ კანონის (თავი B-9) საფუძველზე მიღებული ბრძანების შესაბამისად.

თავი 4
მისამართების რეგისტრაცია

3022. პრივილეგირებულ კრედიტორებს ან იპოთეკარებს ანდა მათ უფლებამონაცვლეებს, სანივთო უფლებების მფლობელებს, საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის მეუღლეებს, რომლებმაც მოახდინეს ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადების ან ამ განცხადებით ბენეფიციარების ანდა ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის გამოქვეყნება, შეუძლიათ მოითხოვონ მათი მისამართების რეგისტრაცია რეგულაციებით გათვალისწინებული წესით იმ მიზნით, რომ რეგისტრატორისაგან მიიღონ შეტყობინება იმ განსაზღვრული მოვლენების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მათ უფლებებ-

ზე. თუმცა, მათ არ შეუძლიათ თავიანთი მისამართის რეგისტრაციის მოთხოვნა მიწის რეესტრის სახელების მაჩვენებელში გამოქვეყნებულ უფლებასთან დაკავშირებით.

მისამართის რეგისტრაცია მიწის რეესტრში მოქმედებს 30 წლით; ის ექვემდებარება განახლებას. მისამართის რეგისტრაცია პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში მოქმედებს მანამდე, სანამ არსებობს იმ უფლების პუბლიკაცია, რომელსაც მისამართის რეგისტრაცია ეხება.

მისამართის რეგისტრაციის შესახებ განაცხადები არ მოითხოვს დამოწმებას.

3023. პირს, რომლის სასარგებლოდაც იქნა რეგისტრირებული მისამართი, შეუძლია შეტყობინების გზით მოსთხოვოს რეგისტრატორს ცვლილების შეტანა მისამართში ან პირის სახელში ანდა მისამართის სარეგისტრაციო ნომერის მიხედვით გაკეთებულ მითითებაში.

პირს ასევე შეუძლია შეტყობინების გზით მოსთხოვოს რეგისტრატორს შეიტანოს რეესტრში გამოტოვებული მითითება მისამართის სარეგისტრაციო ნომერზე.

3023.1. წინამდებარე თავის ნორმების შესაბამისად წარდგენილ განაცხადში უძრავი ქონების აღწერისათვის საკმარისია უძრავი ქონებისათვის კადასტრში მინიჭებული მიწის ნაკვეთის ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სერიული ნომრით არსებული მიწის დოკუმენტაციის ნომრის მითითება.

თუმცაღა, უძრავი ქონება არ საჭიროებს აღწერას მისამართის ან რეესტრში რეგისტრირებული პირის სახელის ცვლილების შეტყობინებაში.

თავი 5
რეგულაციები

3024. მთავრობას რეგულაციებით შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელიც აუცილებელია წინამდებარე წიგნის ნორმათა რეალიზაციისათვის; კერძოდ, მას შეუძლია დაადგინოს სარეგისტრაციო განაცხადების წარდგენის სტარნდარტები და განსაზღვროს მისი ფორმა და შინაარსი; მას ასევე შეუძლია განსაზღვროს იმ დოკუმენტების, შეტყობინებების, ცნობებისა და განცხადებების ფორმა და შინაარსი, რომლებიც არ რეგულირდება კანონით.

მთავრობას ასევე შეუძლია განსაზღვროს ის სტარნდარტები და კრიტერიუმები, რომლებიც იძლევა მოძრავი ქონების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დადგენის საშუალებას, ის კატეგორიები და შემოკლებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოძრავი ქონების აღწერისას, ასევე — დოკუმენტაციის გახსნის, შენახვისა და დახურვის წესი.

მთავრობას შეუძლია ასევე განსაზღვროს რეგისტრატორის მიერ წარმოებული ნებისმიერი რეესტრის ან დოკუმენტაციის ფორმა, მატარებელი და შინაარსი, მატარებელი, რომელშიც ინახება განაცხადები, უძრავი ქონების მიწის დოკუმენტაციის ნუმერაციის მეთოდი, რეესტრებში სხვადასხვა ჩანაწერების გაკეთების წესი. ის ასევე ადგენს უფლებათა რეესტრების სამუშაო

დღეებსა და საათებს, რეესტრების კონსულტირების პროცედურასა და ცნობებისა თუ დასტურების გაცემისათვის დადგენილ ფორმალობებს.

3025. როდესაც ეს მოითხოვება გარემოებებით, მინისტრს, რომელსაც ევალება უფლებათა რეესტრის შემოწმება და ორგანიზება, ბრძანების საფუძველზე შეუძლია შეცვალოს უფლებათა რეესტრის სამუშაო საათები ან დროებით დახუროს ის.

ტიტული 4
უძრავი ქონების აღრიცხვა

თავი 1
საკადასტრო გეგმა

3026. უძრავი ქონების აღრიცხვა მოიცავს საკადასტრო გეგმაზე მისი შედარებითი მდგომარეობის განსაზღვრას, მისი საზღვრების მითითებას, აზომვებს, არეალსა და მისთვის ნომრის მინიჭებას.

აღრიცხვას ემატება მესაკუთრის პიროვნების იდენტიფიკაცია, შეძენის ხერხის მითითება, დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი და, აუცილებლობის შემთხვევაში, — ურთიერთმიმართება ძველ და ახალ საკადასტრო ნომრებს შორის ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სერიულ ნომერსა და ახალ საკადასტრო ნომერს შორის.

3027. საკადასტრო გეგმა დგება კანონის შესაბამისად და ქმნის მიწის რეესტრის ნაწილს; ივარაუდება, რომ ის არის ზუსტი.

გეგმაზე ნაჩვენებ და წარმოდგენილ დოკუმენტებში ნახსენებ საზღვრებს, აზომვებსა და არეალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, ზუსტად ივარაუდება გეგმაზე მოცემული საზღვრები, აზომვები და არეალი.

თუ საკადასტრო გეგმის გადაეცემა ხდება ქაღალდის ფორმით და ის არ გადადის ელექტრონულ ფორმატში, მაშინ უფლებათა რეესტრში მისი შენახვა ხდება იმ სარეგისტრაციო განყოფილების მიხედვით, რომელშიც მდებარეობს გეგმაზე ასახული უძრავი ქონება.

3028. საკადასტრო გეგმა ძალაში შედის იმ დღეს, როდესაც მიწის რეესტრში იხსნება მიწის დოკუმენტაცია.

მიწის დოკუმენტაციის გახსნა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური შესაძლო გულისხმიერებით თითოეული საკადასტრო გეგმის მიღების რიგითობის მიხედვით.

3028.1. კადასტრის შესახებ კანონის (თავი C-1) 1-ლი განყოფილების მიხედვით შედგენილ საკადასტრო გეგმაში ასახულ უძრავ ქონებაზე არსებული იპოთეკის უფლების პუბლიკაცია უნდა განახლდეს ორი წლის განმავლობაში

უძრავი ქონების მაჩვენებელში მიწის დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იპოთეკა მიწის დოკუმენტაციაში გატარდა რეგისტრაციაში უძრავი ქონების სერიული ნომრით.

თუ პუბლიკაციის განახლება არ ხდება, თავდაპირველი რეგისტრაციის დროს ჩაწერილ უფლებებს არა აქვს ძალა სხვა კრედიტორებისა თუ შემდგომი მყიდველების მიმართ, რომელთა უფლებებიც ჯეროვნად გამოქვეყნებულია.

3029. თავდაპირველი საკადასტრო გეგმა უნდა წარედგინოს კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს, რომელიც იმ შემთხვევაში, თუ გეგმა შედგენილია კანონის შესაბამისად და სწორად, მის მიერ დამოწმებულ ასლს შესანახად გადასცემს უფლებათა რეესტრს; ის ასევე უგზავნის ასლს იმ მუნიციპალიტეტის სამსახურს, სადაც მდებარეობს უძრავი ქონება.

3030. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება საკადასტრო აზომვის გარეშე ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებას, დაუშვებელია საკუთრების უფლების გამოქვეყნება მიწის რეესტრში, თუ შესაბამისი უძრავი ქონება არ არის იდენტიფიცირებული კადასტრზე მითითებული ნაკვეთის დამოუკიდებელი ნომრით.

დაუშვებელია თანასაკუთრების ან თანაემფიტევზისის შესახებ განცხადების რეგისტრაცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უძრავი ქონება წარმოადგენს იმ საკადასტრო გეგმის საგანს, რომელიც შეიცავს ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული და საერთო წილების აღრიცხვას.

3031. დასაშვებია სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლების ლოკაციის აღრიცხვა, რომელსაც კანონი აცხადებს იმ მიწისაგან განცალკევებულ ქონებად, რომელსაც უფლება ეხება, როგორიცაა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება, ასევე — სარკინიგზო ქსელისა თუ საკაბელო კომუნიკაციების, წყლისა თუ გაზგამანაწილებელი, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობისა თუ გაზის მილსადენების ან საკანალიზაციო მილების ქსელის ლოკაციის აღრიცხვა.

თუმცაღა, ქსელსა და მისი მომსახურების მიმღებ უძრავ ქონებას შორის კავშირები საკადასტრო გეგმაზე ნაჩვენები არ არის.

3032. საკადასტრო გეგმის ძალაში შესვლის დღიდან მიწის ნაკვეთისათვის მინიჭებული ნომერი წარმოადგენს მის ერთადერთ აღწერილობას და ნებისმიერ დოკუმენტში საკმარისია ნაკვეთზე მითითება.

როდესაც გამოსაქვეყნებელი უფლება ეხება რამდენიმე ერთიანი ნაკვეთებისაგან შემდგარ უძრავ ქონებას, თითოეული ნაკვეთი ინდივიდუალურად უნდა აღიწეროს.

3033. საკადასტრო გეგმის ძალაში შესვლის დღიდან ნებისმიერი პირი, ვინც ადგენს ისეთ აქტს, რომელიც უნდა ან შეიძლება გამოქვეყნდეს, ვალდებულია აღწეროს უძრავი ქონება საკადასტრო გეგმაზე მისთვის მინიჭებული ნომრით.

ასეთი აღნიშვნის არარსებობისას, უფლების რეგისტრაციის შესახებ განაცხადზე უნდა ითქვას უარი გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე წიგნის ნორმების შესაბამისად წარდგენილია უძრავი ქონების აღწერილობის შემცველი შეტყობინება თავად აქტთან ან მის ამონარიდთან თუ რეზიუმესთან ერთად.

უფლების რეგისტრაციის შესახებ საკადასტრო შეტყობინება უნდა მოხდეს წინამდებარე წიგნის ნორმების საფუძველზე მიღებულ რეგულაციებში გათვალისწინებული წესით.

3034. როდესაც ტერიტორიაზე საკადასტრო აზომვის გარეშე არსებული უძრავი ქონების ან ქსელის მესაკუთრის ანდა სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლების მფლობელის განაცხადის საფუძველზე სერიული ნომრით იხსნება მიწის დოკუმენტაცია, ეს ნომერი წარმოადგენს იმ უძრავი ქონების ერთადერთ აღწერილობას, რითაც ხდება დოკუმენტაცის წარმოება, და ნებისმიერ დოკუმენტში საკმარისია მასზე მითითება.

დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ ნებისმიერი პირი, ვინც ადგენს ისეთ აქტს, რომელიც უნდა ან შეიძლება გამოქვეყნდეს, ვალდებულია აღწეროს ის უძრავი ქონება, რომლის მიმართაც დოკუმენტაცის წარმოება ხდება მისთვის მინიჭებული ნომრით, და მიუთითოს, რომ უძრავი ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ შეესაბამება იმ უძრავ ქონებას, რომლისათვისაც გაიხსნა დოკუმენტაცია. თუ აღნიშნული მითითება არ ჩანს განაცხადში, რეგისტრაციაზე უნდა ითქვას უარი.

3035. რეგისტრატორს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლია ტერიტორიაზე საკადასტრო აზომვის გარეშე არსებულ უძრავ ქონებასთან ან ქსელთან ანდა სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებასთან დაკავშირებული განაცხადის მიღება, თუ ეს უკანასკნელი არ შეიცავს შესაბამისი მიწის დოკუმენტაციის აღწერილობას ან მას თან არ ახლავს შეტყობინება დოკუმენტაციაზე მითითების გაკეთების შესახებ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განაცხადი შეიცავს დოკუმენტაციის გახსნის განცხადებას ან ეს უკანასკნელი მას თან ახლავს.

დოკუმენტაციის გახსნის განცხადება აუცილებლი არ არის, თუ უძრავ ქონებასთან, ქსელთან ან უფლებასთან დაკავშირებული განაცხადი არ ეხება შეთანხმებით დადგენილ ნებისმიერ სანივთო უფლებას ან სანივთო უფლებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ შეთანხმებას; თუმცა, მანამდე, სანამ გაიხსნება მიწის დოკუმენტაცია, რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სახელების მაჩვენებელში.

სერიული ნომრით იდენტიფიცირებული მიწის დოკუმენტაცია ვერ გაიხსნება სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლებასთან დაკავშირებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უფლება კანონით ცხადდება იმ მიწის ნაკვეთისაგან განცალკევებულ ქონებად, რომელზეც ის დადგენილია.

3036. საკადასტრო აზომვის გარეშე არსებულ ტერიტორიაზე და ასევე კანონით დაშვებულ შემთხვევებში, — საკადასტრო აზომვით არსებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონება უნდა აღიწეროს საზღვრებისა და მისი აზომვების მიხედვით; უძრავი ქონების შედარებითი მდგომარეობის განსაზღვრისათვის სასარგებლო ელემენტების მითითება და ასევე განცხადება იმის შესახებ, რომ არანაირი მიწის დოკუმენტაცია არ არსებობს, ასევე უნდა იქნეს შეტანილი აღწერილობაში.

თუმცაღა, უძრავი ქონების აღწერილობა თავდაპირველ აზომვით ნახაზზე მითითებით ან გეოგრაფიული ან ბრტყელი მართკუთხა კოორდინატების საშუალებით მაინც დასაშვებია საკადასტრო აზომვის გარეშე არსებულ ტერიტორიაზე იმ პირობით, რომ აღწერილობა, რომელშიც ასევე უნდა იყოს გაცხადებული, რომ არანაირი მიწის დოკუმენტაცია არ არსებობს, იძლევა უძრავი ქონების სათანადო იდენტიფიცირებისა და მისი შედარებითი მდგომარეობის ჯეროვნად განსაზღვრის საშუალებას. როდესაც თავდაპირველ აზომვით ნახაზზე მითითებით უძრავი ქონების აღწერილობა ეხება მიწის ნაკვეთის ნაწილებს, ის უნდა შეივსოს თითოეული აღნიშნული ნაწილის საზღვრებისა და მისი აზომვების მიხედვით განხორციელებული აღწერილობით.

3037. როდესაც უძრავი ქონება შედგება რამდენიმე მიწის ნაკვეთის ნაწილებისაგან, ნაკვეთის თითოეული ნაწილი უნდა აღიწეროს საზღვრებისა და მისი აზომვების მიხედვით.

დაუშვებელია მიწის ნაკვეთის ნაწილის, როგორც დარჩენილი ქონების, აღწერილობა ნაკვეთის სხვა ნაწილების გამოყოფის შემდეგ ან მისი მომიჯნავე ქონებრივი ობიექტების მესაკუთრეთა სახელების მითითებით.

3038. სარკინიგზო ქსელისა თუ საკაბელო კომუნიკაციების, წყლისა თუ გაზგამანაწილებელი, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობისა თუ გაზის მილსადენების ან საკანალიზაციო მილების ქსელის აღწერილობა, მის ზოგად ბუნებაზე მითითებასთან ერთად, მოიცავს,

1) თუ ქსელი აღრიცხულია, — მისთვის მინიჭებულ საკადასტრო ნომერს;

2) თუ ქსელი აღრიცხული არ არის, — მის მიერ გადაკვეთილი კადასტრების აღწერილობას ან საკადასტრო აზომვის გარეშე ტერიტორიაზე, — მისი იდენტიფიცირებისათვის საკმარის აღწერილობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწის დოკუმენტაცია ქსელისათვის გახსნილია.

იმ ქსელისათვის მიწის დოკუმენტაციის გახსნის განაცხადში, რომელიც აღრიცხული არ არის, უნდა მოხდეს კადასტრების ან მომსახურების მიმღები ტერიტორიის აღწერა.

3039. სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლების აღრიცხული ლოკაციის აღწერა ხდება მისთვის მინიჭებული სააღრიცხვო ნომრის მიხედვით. აღნიშნული ნომერი და უფლების სამართლებრივ ბუნებაზე მითითება საკმარისია ნებისმიერ იმ დოკუმენტში, რომელიც მასზე უთითებს.

სააღრიცხვო ნომრის მინიჭება მოიცავს იმ უძრავი ქონების აღწერას, რომელშიც ხდება სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლების რეალიზაცია იმ მიზნით, რომ შესაბამისი ურთიერთმიმართებები რეგისტრირებული იყოს მიწის რეესტრში.

3040. სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლების აღურიცხავი ლოკაციის აღწერა ხდება უფლების სამართლებრივი ბუნების ხსენებითა და იმ ადგილის აღწერით, სადაც ხდება უფლების რეალიზაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწის დოკუმენტაცია გაიხსნა შესაბამისი უფლების ლოკაციისათვის.

იმ უძრავი ქონების მიწის დოკუმენტაციის ნომერი, რომელშიც ხდება უფ-

ლების რეალიზაცია, უნდა შეტანილ იქნეს ამ უფლების მიწის დოკუმენტაციის გახსნის განაცხადში იმისათვის, რომ შესაბამისი ურთიერთმიმართებები რეგისტრაციაში გატარდეს მიწის რეესტრში, როგორც უძრავი ქონების მაჩვენებელში, ისე კომუნალური მომსახურების ქსელების რეესტრსა და საკადასტრო აზომვის გარეშე ტერიტორიაზე განთავსებულ უძრავ ქონებაში; უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირების მიმართ მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი ურთიერთმიმართებები რეგისტრაციაში ტარდება რეესტრში.

3041. ვერტიკალურად დაყოფილი საერთო საკუთრების ექსკლუზიურ სარგებლობაში არსებული და საერთო წილების აღრიცხვა ვერ მოხდება მანამდე, სანამ იმ შენობის საძირკველი და მზიდი კედლები, რომელშიც ეს წილები არსებობს, იძლევა მათი ფარგლების აზომვის შესაძლებლობას.

3042. ექსპროპრიაციაზე უფლებამოსილმა პირმა საკადასტრო აზომვით არსებულ ტერიტორიაზე კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს უნდა წარუდგინოს ამ პირის მიერ მესაკუთრისათვის მოწონებული გეგმა იმ მიზნით, რომ მოხდეს მოთხოვნილი ნაწილისა და დარჩენილი ქონების აღრიცხვა; ექსპროპრიაციის განმახორციელებელი მხარის მიერ ხელმოწერილი მოწონება საჯარო სანოტარო აქტის სახით მიიღება მიწის ამზომველის მიერ და ეხება გეგმის ნომერს. გარდა ამისა, იმ გეგმის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს გადანომვრას, ექსპროპრიაციის განმახორციელებელმა მხარემ დეპოზიტის შესახებ უნდა შეატყობინოს ყოველ მხარეს, რომელმაც მიაღწია მისი მისამართის რეგისტრაციას, თუმცა ახალი საკადასტრო ნუმერაციის მისაღებად კრედიტორებისა და ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადების ბენეფიციარის თანხმობა არ მოითხოვება.

ექსპროპრიაციის შესახებ კანონის (თავი E-24) საფუძველზე გეგმის ძალაში შესვლამდე მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილის როგორც გადაცემა, ისე დათმობა დაუშვებელია.

პირველი პარაგრაფი მოქმედებს ასევე კანონით ნებადართული მუნიციპალიტეტების მიმართ ფორმალობებისა თუ კომპენსაციის გარეშე, საჯარო სარგებლობის მიზნით მიისაკუთრონ უძრავი ქონების ზემოთ, მის ზედაპირზე ან ქვემოთ არსებული აღნაგობის უფლება.

თავი 2
მიწის კადასტრის ცვლილებები

3043. ნებისმიერ პირს შეუძლია კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს წარუდგინოს მის მიერ მოწონებული გეგმა იმ მიზნით, რომ შეცვალოს მის საკუთრებაში არსებული ან იმ მიწის ნაკვეთის გეგმა, რომელზე საკუთრების უფლებაც მან შეიძინა სხვაგვარად, გარდა შეთანხმებისა; მესაკუთრის მიერ ხელმოწერილი მოწონება საჯარო სანოტარო აქტის სახით მიიღება მიწის ამზომველის მიერ და ეხება შესაბამისი გეგმის ნომერს. მესაკუთრეს ასევე შეუძლია მოთხოვოს მიწის ნაკვეთის ნუმერაცია, არსებული ნუმერაციის წაშლა ან შეცვლა ანდა ახალი ნუმერაციის მიღება.

მინისტრის მიერ გეგმის მიღება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთის გეგმის შეცვლა, რომლის საკუთრების უფლების შეძენაც პირის მიერ მოხდა სხვაგვარად, გარდა შეთანხმებისა, — აკომპენსირებს ნებისმიერი სხვა გეგმაზე ასახული მიწის ნაკვეთის მიმართ უფლების მქონე პირის მოწონების არარსებობას.

შეცდომის შემთხვევაში, მინისტრს შეუძლია ასევე შეასწოროს გეგმა ან შეცვალოს მიწის ნაკვეთის ნომერი, დაამატოს ნებისმიერი გამოტოვებული ნომერი, წაშალოს ან შეცვალოს არსებული ნუმერაცია. ასეთ შემთხვევაში, მან ცვლილების შესახებ უნდა შეატყობინოს მიწის რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეს და ნებისმიერ პირს, რომელმაც მიაღწია მისი მისამართის რეგისტრაციას. ასეთი შეტყობინება შეიცავს დასაბუთებას და მას თან ახლავს ამონარიდები ძველი და ახალი საკადასტრო გეგმებიდან.

მიწის ნაკვეთის დანაწევრების შემთხვევაში, ამის შედეგად მიღებული ნაწილები უნდა აღირიცხოს ერთდროულად.

3044. იპოთეკარებისა და და ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადების ბენეფიციარის თანხმობის მიღება მოითხოვება მესაკუთრის მიერ გადანომვრის შემცველი საკადასტრო ცვლილების განხორციელებისათვის.

თანხმობის მიცემა ხდება საჯარო სანოტარო აქტის საფუძველზე და საჭიროებს რეგისტრაციას.

3045. რეგისტრატორი შესაბამისი მიწის ნაკვეთის ნომრით რეესტრში მიუთითებს იმ გეგმაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების ბუნებას, რომელიც არ ცვლის საკადასტრო ნომერს.

როდესაც მიწის დოკუმენტაციის გახსნამ მოითხოვა კადასტრის გადანომვრა, რეგისტრატორი, აუცილებლობის შემთხვევაში, გეგმაზე ნაჩვენების შესაბამისად ადგენს ურთიერთმიმართებას მიწის ნაკვეთის ძველ ნომერს ან მიწის დოკუმენტაციის ძველ სერიულ ნომერსა და მიწის ნაკვეთის ახალ ნომერს შორის.

თავი 3
გაუქმებულია

3045. (გაუქმებულია)

3046. (გაუქმებულია)

3047. (გაუქმებულია)

3048. (გაუქმებულია)

3049. (გაუქმებულია)

3050. (გაუქმებულია)

3051. (გაუქმებულია)

3052. (გაუქმებულია)

3053. (გაუქმებულია)

თავი 4
მიწის ნაკვეთების ნაწილები

3054. დაუშვებელია იმ განაცხადში მოცემული უფლებების მიწის რეესტრში რეგისტრაცია, რომელიც ადასტურებს მიწის ნაკვეთის ნაწილის შეძენას, მანამდე, სანამ საკადასტრო ცვლილებაც არ მიანიჭებს

1) ცალკე საკადასტრო ნომერს შეძენილ ნაწილსა და დარჩენილ ქონებას; ან

2) ცალკე საკადასტრო ნომერს მიერთებისა და მიწის ნაკვეთების დაყოფის შედეგად მიღებულ უძრავ ქონებას, როდესაც შეძენილი ნაწილი მიერთებულია მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან.

3055. კადასტრზე პასუხისმგებელი მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე, მთავრობას შეუძლია თავისი ბრძანებით და მის მიერ განსაზღვრული პირობებით იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაექვემდებარა საკადასტრო განახლებას, დაუშვას მიწის რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის შენარჩუნებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ კანონით (თავი P-41.1) დადგენილ სასოფლო-სამეურნეო ზონაში ან უფლებათა რეესტრიდან 345 კმ-ზე შორს სარეგისტრაციო განყოფილებისათვის არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისების რეგისტრაცია.

ბრძანება ქვეყნდება Gazette officielle du Québec-ში; ის ძალაში შედის მისი გამოქვეყნების შემდეგ მასში მითითებული დღიდან.

3056. რეგისტრატორი კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს გადასცემს ნებისმიერი იმ დოკუმენტის ასლს, რომლითაც დასტურდება მის მიერ ბრძანების საფუძველზე მიწის რეესტრში რეგისტრირებული გასხვისება.

დოკუმენტის მიღებისას მინისტრი ამზადებს ცვლილებას, რომელიც ცალკე საკადასტრო ნომერს ანიჭებს გასხვისების შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთის ყოველ ნაწილს.

ტიტული 5
რეგისტრაციის გაუქმება

თავი 1
რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები

3057. რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენს სათანადო რეესტრში განხორციელებული იმ ჩანაწერის შედეგს, რომლის მიზანია წინა რეგისტრაციის ამოშლა.

მიწის რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების მიზნით ჩანაწერი კეთდება მითითებების რეესტრში.

3057.1. გარდა კანონით სხვაგვარად გათვალისწინებული შემთხვევებისა, რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება მიწის რეესტრის ან პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრის მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად წარდგენილი განაცხადის საფუძველზე. თუმცაღა, მიწის რეესტრში რეგისტრაციის გაუქმების მიზნით განაცხადების წარდგენა რეზიუმეს სახით შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

რეგისტრაციის გაუქმება ხდება ნებაყოფლობით ან თუ სახეზე არ არის ნება, — სასამართლო წესით; ის ასევე შეიძლება იყოს კანონისმიერიც.

3057.2. რეგისტრაციის გაუქმება, რომელიც წარმოადგენს მითითებების რეესტრში არსებული ჩანაწერის შედეგს, უნდა აღინიშნოს მიწის რეესტრში, გარდა სახელების მაჩვენებელში აღნიშვნისა.

3058. როდესაც კანონი ან სარეგისტრაციო განაცხადი ადგენს თარიღს, რომლის შემდგომაც რეგისტრაცია კარგავს ძალას, რეგისტრაცია ქარწყლდება კანონის ძალით შუაღამეზე კანონით ან განაცხადით დადგენილი და, აუცილებლობის შემთხვევაში, რეესტრში რეგისტრირებული პერიოდის უკანასკნელ დღეს, თუ რეგისტრაცია აღნიშნულ მომენტამდე არ განახლებულა.

3059. უფლების რეგისტრაცია უქმდება უფლების მფლობელის ან მოსარგებლის თანხმობით.

მიუხედავად აღნიშნულისა, მიწის რეესტრში იპოთეკის ან ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვის ანდა იმ განსაზღვრული ვადით არსებული ნებისმიერი სხვა უფლების რეგისტრაცია, რომელიც ამოიწურა იმის გამო, რომ დადგა ის დღე, რომლიდანაც ის კარგავს ძალას, ან კანონით გათვალისწინებული ვადის გავლის გამო გაქარწყლებული იპოთეკის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარდგენით; პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში იპოთეკის ან ქონების განკარგვის უფლების იმ შეზღუდვის რეგისტრაცია, რომლის ვადაც რეესტრის მონაცემების შესაბამისად გასულია, ან მისამართის რეგისტრაცია, რომელსაც აღარ აქვს ძალა, შეიძლება გაუქმდეს რეგისტრატორის მიერ საკუთარი ინიციატივით. პირადი და მოძრავი სანივთო უფლებების რეესტრში რეგისტრაციის გაუქმება უნდა იყოს დასაბუთებული და დათარიღებული.

3060. (გაუქმებულია)

3061. იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი კანონისმიერი იპოთეკების რეგისტრაცია, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების აშენებასა თუ განახლებაში, ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უქმდება, როდესაც რეგისტრაციის უკანასკნელი თარიღიდან და სამუშაოების დასრულების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში არანაირი სარჩელი არ იქნა წარდგენილი და გამოქვეყნებული ან არანაირი იპოთეკური უფლების რეალიზაციის შესახებ წინასწარი გაფრთხილება არ გამოქვეყნებულა; განაცხადი უნდა უთითებდეს რეგისტრაციის გაუქმების მიზეზებს და წარდგენილ უნდა იქნეს იმ მტკიცებულებასთან ერთად, რომ მისი კრედიტორებისთვის ჩაბარება მოხდა რეგისტრატორისათვის მისი წარდგენიდან, სულ ცოტა, 10 დღით ადრე.

თანამესაკუთრის დანაყოფზე არსებული თანამესაკუთრეთა სინდიკატის კანონისმიერი იპოთეკის რეგისტრაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უქმდება რეგისტრაციის თარიღიდან სამი წლის ვადის გასვლისთანავე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სარჩელი წინდაწინვე იქნა წარდგენილი და გამოქვეყნებული.

თუმცა, როდესაც სარჩელი წარდგენილ იქნა და გამოქვეყნდა, რეგისტრაციის გაუქმება ხორციელდება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციით, რომლითაც ხდება სარჩელზე უარის თქმა ან რეგისტრაციის გაუქმების დადგენა, ანდა — სასამართლოს მდივნის იმ მოწმობის წარდგენით, რომლითაც დასტურდება, რომ სარჩელზე საქმის წარმოების შეწყდა.

3062. ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადების რეგისტრაცია ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე უქმდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში: როდესაც საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის მეუღლეები მას ეთანხმებიან, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე გარდაიცვალა და მოხდა მისი მემკვიდრეობის ლიკვიდაცია, როდესაც მეუღლეები განცალკევებით ცხოვრობენ ან ისინი განქორწინებულები არიან, როდესაც სამოქალაქო კავშირი შეწყდა, ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი გაბათილდა ან როდესაც უძრავი ქონება გასხვისდა მეუღლეთა თანხმობით ან სასამართლოს ნებართვით.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეები ეთანხმებიან რეგისტრაციის გაუქმებას, განაცხადს თან უნდა ახლდეს გარდაცვალების მოწმობა და მემკვიდრეობის ლიკვიდაციის შესახებ დამოწმებული განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ანდა, გარემოებების გათვალისწინებით, — სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ სანოტარო წესით დამოწმებული ერთობლივი განცხადება.

3063. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს უფლების გარეშე ან კანონდარღვევით ანდა ბათილი ან ფორმის მხრივ კანონდარღვევით შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაციის გაუქმება; ასევე სასამართლოს შეუძლია აღნიშნულის დადგენა, როდესაც რეგისტრირებული უფლება გაბათილდა, გაუქმდა, შეწყდა ან გაქარწყლდა ხანდაზმულობის ვადის გასვლით ან სხვაგვარად.

სასამართლოს ასევე შეუძლია დაადგინოს რეგისტრაციის გაუქმება, როდესაც უძრავი ქონება, რომლის მიმართაც რეგისტრაციაში გატარდა ოჯახის საცხოვრებელი სახლის შესახებ განცხადება, აღარ გამოიყენება აღნიშნული მიზნისათვის.

3064. (გაუქმებულია)

3065. მოთხოვნის სრული დაფარვა შედეგად იწვევს თანხმობას რეგისტრაციის გაუქმებაზე. ნაწილობრივი დაფარვა შედეგად იწვევს მხოლოდ ეკვივალენტურ შემცირებას.

კრედიტორი ვალდებულია, რეგისტრაციაში გაატაროს მოთხოვნის დაფარვის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის იღებს საკმარის თანხას სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდისა და უფლებათა რეესტრისათვის განაცხადის გაგზავნის ხარჯების დაფარვისათვის; მას არ შეუძლია რაიმე სხვა თანხის მოთხოვნა, მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა.

3066. იმ მოთხოვნის უზრუნველმყოფი იპოთეკის შემცირება, რომელიც იფარება აღნიშნული მიზნით დეპონირებული ფულადი თანხით, ხორციელდება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციით, რომლითაც შეთავაზება ცხადდება ნამდვილად და, აუცილებლობის შემთხვევაში, დგინდება დეპონირებულ ფულად თანხაზე უფლებამოსილი პირი, ან — სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციით, რომლითაც მოვალის მოთხოვნით ხდება იპოთეკის შემცირებაზე თანხმობის მიცემა და მისი შეთავაზებულ ან დეპონირებულ ქონებაზე გადასვლა.

თავი 2
რეგისტრაციის გაუქმების ცალკეული შემთხვევები

3066.1. იდეალური საერთო საკუთრების თანამესაკუთრის მისამართის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. ის ასევე შეიძლება გაუქმდეს რეგისტრატორის ინიციატივით, თუ ეს უკანასკნელი შეიტყობს, რომ იდეალური საერთო საკუთრება დასრულდა.

რეგისტრაციის გაუქმების განაცხადი უნდა უთითებდეს აქტზე, რომლითაც დგინდება იდეალური საერთო საკუთრება, და ასევე აქტზე, რომლითაც იდეალური საერთო საკუთრება წყდება თანამესაკუთრის მიმართ და შეიცავს თანამესაკუთრის დასახელებასა და რეესტრში მისი მისამართის სარეგისტრაციო ნომერს.

3066.2. სასარჩელო განცხადების წინასწარი რეგისტრაციის შესახებ შეტყობინება უქმდება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების რეგისტრაციის საფუძველზე, რომლითაც ხდება სარჩელზე უარის თქმა ან რეგისტრაციის გაუქმების დადგენა, ანდა — სასამართლოს მდივნის იმ მოწმობის წარდგენით, რომლითაც დასტურდება, რომ სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა.

ანდერძიდან გამომდინარე უფლებების წინასწარი რეგისტრაციის შესახებ შეტყობინება უქმდება ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, თუ ანდერძი არ გამოქვეყნდა სამკვიდროს გახსნის დღიდან სამი წლის განმავლობაში. განაცხადს თან უნდა ახლდეს მოანდერძის გარდაცვალების მოწმობა.

3067. დაუშვებელია უფლების რეგისტრაციის გაუქმება პირის გარდაცვალებით ან ასევე უფლების უზრუნველმყოფი იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება მისი მფლობელის ან ბენეფიციარის თანხმობის გარეშე; პირის გარდაცვალების შემდეგ იმ პირმა, რომელიც ითხოვს რეგისტრაციის გაუქმებას, უნდა წარადგინოს გარდაცვალების მოწმობა და ფიცის ქვეშ მიცემული დასტური გარდაცვლილის პიროვნებასთან დაკავშირებით.

3068. სახელმწიფოს სასარგებლოდ დადგენილი იპოთეკის რეგისტრაცია უქმდება ან მისი რეგისტრირებული თანხა მცირდება კვებეკის გენერალური პროკურორის ან გენერალური პროკურორის მოადგილის ანდა გენერალური პროკურორის მიერ დანიშნული პირის ცნობის წარდგენით, რომელშიც აღნიშნულია, რომ იპოთეკა გაქარწყლებული ან შემცირებულია.

აღნიშნული იპოთეკის რეგისტრაცია ასევე უქმდება შემოსავლების მინისტრის ან შემოსავლების მინისტრის მიერ დანიშნული პირის ცნობის წარდგენით, რომელშიც აღნიშნულია, რომ იპოთეკა გაქარწყლებული ან შემცირებულია, თუ იპოთეკა დადგინდა კანონის ძალით აღნიშნული მინისტრის მმართველობის საფუძველზე.

იპოთეკის რეგისტრაცია შემდგომში შეიძლება გაუქმდეს მთავრობის განკარგულების ასლის წარდგენით, რომელიც დამოწმებულია აღმასრულებელი საბჭოს მდივნის მიერ.

3069. იპოთეკური უფლებების რეალიზაციით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაყიდვით ან გადასახადების გადაუხდელობის გამო ქონების საბოლოო გაყიდვით გაქარწყლებული უფლებების რეგისტრაცია უქმდება ნასყიდობის რეგისტრაციის ან გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღების შემდეგ. აღნიშნულის შედეგად რეგისტრატორის მიერ უქმდება იძულებითი აღსრულების ოქმების შესახებ, ნასყიდობის შეტყობინებებისა და წინასწარი შეტყობინებების, ასევე — სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ შეტყობინებების ან უფლების რეალიზაციისა და პრივილეგიებისა და იპოთეკების შესახებ წიგნის ნორმების საფუძველზე გადახდის სანაცვლოდ ქონების მიღებაზე უარის მოთხოვნის შესახებ შეტყობინებების ყველა რეგისტრაცია.

როდესაც გაყიდვა აღარ ხორციელდება, იძულებითი აღსრულების ოქმების შესახებ შეტყობინებების რეგისტრაცია და შეტყობინებები უქმდება მხოლოდ იმ ცნობის წარდგენით, რომელიც ადასტურებს აღნიშნულ ფაქტს, და გაცემულია სასამართლო აღმასრულებლის, გაყიდვის განსახორციელებლად დანიშნული პირის ან, აუცილებლობის შემთხვევაში, — სასამართლოს მდივნის მიერ.

წინამდებარე მუხლში ნახსენები მიწის რეესტრში რეგისტრაციების გაუქმების განაცხადები შეიძლება გაფორმდეს დოკუმენტის რეზიუმეს სახით.

3070. ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო გაყიდვის შესახებ გაფრთხილებისა და სასამართლოს გადაწყვეტილების რეგისტრაცია უქმდება მუნიციპალიტეტისა თუ სკოლის ხელმძღვანელობის მიერ ან უძრავი ქონების გამოსყიდვის დამადასტურებელი აქტის საფუძველზე განხორციელებული საბოლოო გაყიდვის რეგისტრაციის შემდეგ.

ქონების გადასახადების გადაუხდელობის გამო გაყიდვის შესახებ გაფრთხილების რეგისტრაცია უქმდება ასევე იმ უძრავი ქონების სიის წარდგენის შემდეგ, რომელიც არ გაიყიდა.

წინამდებარე მუხლის საფუძველზე გაუქმების რეგისტრაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს დოკუმენტის რეზიუმეს მეშვეობითაც.

3071. როდესაც სახელმწიფო რესურსების ექსპლუატაციის სანივთო უფლება არ არის გამორიცხული რეგისტრაციიდან, მისი რეგისტრაცია უქმდება, როდესაც უფლების მომწერიგებელ კანონზე პასუხისმგებელი მინისტრი ატყობინებს რეგისტრატორს უფლების მიტოვების ან მისი გაუქმების შესახებ.

შეტყობინებაში მინისტრმა უნდა შეიტანოს მიტოვებული ან გაუქმებული უფლების აღწერილობა და მოახდინოს შესაბამისი მიწის დოკუმენტაციის იდენტიფიცირება; უფლების მიტოვება ან მისი გაუქმება შეიტანება შესაბამისი მიწის და იმ უძრავი ქონების დოკუმენტაციაში, რომლის მიმართაც მოხდა უფლების რეალიზაცია.

როდესაც მიტოვება ან გაუქმება ეხება ისეთ უფლებას, რომლის ლოკაცია აღრიცხულია, რეგისტრატორი აცნობებს ამის შესახებ კადასტრზე პასუხისმგებელ მინისტრს ისე, რომ მან შეძლოს უფლების აღრიცხვის საკუთარი ინიციატივით გაუქმება.

თავი 3
რეგისტრაციის გაუქმების ფორმალობები და სამართლებრივი შედეგები

3072. რეგისტრაციის შემცირების მოთხოვნით განაცხადების წარდგენა ხდება სათანადო რეესტრის მიმართ მოქმედი წესების შესაბამისად.

3072.1. არ არის აუცილებელი, რეგისტრაციის გაუქმების ან მიწის რეესტრში სარეგისტრაციო ჩანაწერის შემცირების მოთხოვნით განაცხადები შეიცავდეს შესაბამისი ქონების აღწერილობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნილია შემცირება რეგისტრირებული უფლების ლოკაციაში.

3073. სასამართლოს იმ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული განაცხადი, რომლითაც დგინდება გამოქვეყნებული უფლების გაუქმება ან რეგისტრაციის შემცირება არ არის დასაშვები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძინა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების (res judicata) ძალა.

დაუშვებელია ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების დროებითი აღსრულება, რომელიც ეხება რეგისტრაციის შესწორებას, შემცირებას ან გაუქმებას.

სასამართლოს მდივანი ვალდებულია, გასცეს იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რომ არანაირი სააპელაციო საჩივარი წარდგენილი არ არის, გავიდა სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა, ან რომ არანაირი შუამდგომლობა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით არ იქნა წარდგენილი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

3074. ძირითადი უფლების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად ნებადართული ხდება ამ უფლებასთან დაკავშირებული აქცესორული უფლებებისა და ასეთ რეგისტრაციებზე გაკეთებული ყველა მითითების რეგისტრაციის გაუქმებაც.

3074.1. მიწის რეგისტრაციის საკითხებში რეგისტრატორს შეუძლია საკუთარი ინიციატივით გააუქმოს იმ მისამართის რეგისტრაცია, რომელიც აღარ მოქმედებს ძირითადი უფლების გაუქმების გამო.

3075. უფლების გარეშე ან შეცდომის შედეგად განხორციელებული გაუქმების რეგისტრაცია შეიძლება, თავის მხრივ, გაუქმდეს სასამართლოს განკარგულებით ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

არც ერთ შემთხვევაში აღნიშნული განკარგულების რეგისტრაცია არ ეხება იმ კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებებს, რომელმაც თავისი უფლება გამოაქვეყნა მას შემდეგ, რაც რეგისტრაციის გაუქმება მოხდა უფლების გარეშე ან შეცდომის შედეგად.

3075.1. მიწის რეგისტრატორისათვის წარდგენილი ნებისმიერი განაცხადი, მათ შორის, 3069-ე ან 3070-ე მუხლების საფუძველზე წარდგენილი განაცხადი, როგორც მიწის რეესტრში უფლების რეგისტრაციის, ისე რეგისტრაციის გაუქმების ან სარეგისტრაციო ჩანაწერის შემცირების მოთხოვნით პირდაპირ, რეგულაციებით გათვალისწინებული წესით, უნდა უთითებდეს იმას, თუ რა მიზნით მოხდა განაცხადის წარდგენა.

ასეთი მითითების არარსებობისას, რეგისტრატორი ვალდებულია, მოახდინოს მხოლოდ უფლების რეგისტრაცია.

წიგნი მეათე
საერთაშორისო კერძო სამართალი

ტიტული 1
ზოგადი დებულებები

3076. წინამდებარე წიგნში მოცემული წესები გამოიყენება კვებეკში მოქმედი სამართლის იმ ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც ექვემდებარება გამოყენებას მათი სპეციალური ობიექტის გამო.

3077. როდესაც სახელმწიფო შედგება რამდენიმე ტერიტორიული ერთეულისაგან, რომლებსაც აქვს სხვადასხვა საკანონმდებლო იურისდიქცია, თითოული ტერიტორიული ერთეული განიხილება როგორც სახელმწიფო.

როდესაც სახელმწიფო შედგება რამდენიმე სამართლებრივი სისტემისაგან, რომლებიც მოქმედებს სხვადასხვა კატეგორიის პირების მიმართ, ნებისმიერი მითითება ამ სახელმწიფოს სამართალზე წარმოადგენს მითითებას ამ სახელმწიფოში მოქმედი ნორმებით გათვალისწინებულ სამართლებრივ სისტემაზე; ასეთი ნორმების არარსებობისას, ნებისმიერი ასეთი მითითება წარმოადგენს არსებულ სიტუაციასთან ყველაზე მჭიდრო კავშირის მქონე სამართლებრივ სისტემაზე მითითებას.

3078. კვალიფიკაცია ხორციელდება შესაბამისი საქმის განმხილველი სასამართლოს სამართლებრივი სისტემის შესაბამისად; თუმცა, ნივთის მოძრავ ან უძრავ ქონებად მიჩნევა ხდება იმ ადგილის სამართლის მიხედვით, სადაც მდებარეობს ნივთი.

როდესაც სამართლებრივი ინსტიტუტი სასამართლოსთვის უცნობია ან ის მისთვის ცნობილია სხვა აღნიშვნით ან განსხვავებული შინაარსით, მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული უცხოური სამართალი.

3079. როდესაც ამას ითხოვს ლეგიტიმური და აშკარად უპირატესი ინტერესები, შესაძლოა მოქმედებდეს სხვა ქვეყნის იმპერატიული ნორმაც, რომელთანაც არსებული სიტუაცია ყველაზე მჭიდრო კავშირის მქონეა.

იმ გადაწყვეტილების მიღებისას, განხორციელდეს თუ არა ზემოაღნიშნული, მხედველობაში მიიღება ნორმის მიზანი და მისი გამოყენების შედეგები.

3080. როდესაც წინამდებარე წიგნის ნორმების საფუძველზე მოქმედებს უცხო სახელმწიფოს სამართალი, მაშინ შესაბამის სამართალს წარმოადგენს ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, მაგრამ არა მისი კოლიზიური სამართლის მომწესრიგებელი ნორმები.

3081. უცხო სახელმწიფოს სამართლის ნორმები არ მოქმედებს, თუ მათი გამოყენება აშკარად შეუსაბამო იქნებოდა საჯარო წესრიგთან ისე, როგორც ეს გაიგება საერთაშორისო ურთიერთობებში.

3082. გამონაკლისის სახით, წინამდებარე წიგნში მოცემული სამართალი არ მოქმედებს, თუ ყველა თანმხლები გარემოების გადასახედიდან ნათელია, რომ არსებული სიტუცია მხოლოდ დისტანციურად არის კავშირში ამ სამართალთან და უფრო მჭიდრო კავშირშია სხვა სახელმწიფოს სამართალთან. აღნიშნული ნორმა არ მოქმედებს, როდესაც სამართალი პირდაპირ აღნიშნულია გარიგებაში.

ტიტული 2
კოლიზიური სამართალი

თავი 1
პიროვნული სტატუსი

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

3083. ფიზიკური პირის სტატუსი და უფლებაუნარიანობა რეგულირდება მისი საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

იურიდიული პირის სტატუსი და უფლებაუნარიანობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომლის მიხედვითაც ის არის დაფუძნებული, ხოლო იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებით კი, — იმ ადგილის სამართლის გათვალისწინებით, სადაც ეს საქმიანობა ხორციელდება.

3084. გადაუდებელ ან მნიშვნელოვანი დისკომფორტის შემთხვევებში, პირის ან მისი ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია საქმის განმხილველი სასამართლოს სამართლის დროებითი გამოყენება.

განყოფილება 2
სპეციალური დებულებები

§ 0.1. — სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლა

3084.1. როდესაც სქესის შესახებ აღნიშვნის შეცვლა, რაც მოცემულია კვებეკში დაბადებული, მაგრამ იქ საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირის დაბადების აქტში აღმოჩნდება შეუძლებელი იმ სახელმწიფოში, სადაც პირს აქვს საცხოვრებელი ადგილი, პირის მოთხოვნის საფუძველზე სამოქალაქო რეესტრს შეუძლია შეცვალოს აღნიშვნა და, აუცილებლობის შემთხვევაში, — შეცვალოს თავად პირის სახელები კვებეკში შედგენილ აქტში.

განაცხადი ექვემდებარება კვებეკის სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ პირობებს, გარდა იმ პირობებისა, რომლებიც ეხება საცხოვრებელ ადგილსა და მოქალაქეობას.

§ 1. — ქმედუუნარობა

3085. სრული ასაკის პირების დაცვითი ზედამხედველობა და არასრულწლოვანთა მეურვეობა რეგულირდება ყოველი შესაბამისი პირის საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

როდესაც კვებეკში საცხოვრებელი ადგილის არმქონე არასრულწლოვანი ან სრული ასაკის დაცული პირი კვებეკში ფლობს ქონებას ან მას აქვს სარეალიზაციო უფლებები და მისი საცხოვრებელი ადგილის სამართალი არ ითვალისწინებს მისთვის წარმომადგენლის ყოლას, — მისი წარმომადგენლობის მიზნით შეიძლება დაინიშნოს მეურვე ან მზრუნველი ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კვებეკის კანონმდებლობის საფუძველზე მეურვეს ან მზრუნველს შეუძლია არასრულწლოვანის ან სრული ასაკის დაცული პირის წარმომადგენლობა.

3086. გარიგების მხარეს, რომელიც ქმედუუნაროა მისი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, არ შეუძლია მითითება მის ქმედუუნარობაზე, თუ ის ქმედუნარიანია იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, რომელშიც მეორე მხარეს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი, როდესაც გარიგება დაიდო ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ქმედუუნარობის შესახებ.

3087. იურიდიულ პირს, რომელიც წარმოადგენს გარიგების მხარეს, არ შეუძლია მითითება მის სასარგებლოდ მოქმედი პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვებზე, თუ ეს შეზღუდვები არ არსებობდა იმ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, რომელშიც მეორე მხარეს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი, როდესაც გარიგება დაიდო ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა შეზღუდვების შესახებ იმ მხარის მიმართ თავისი მდგომარეობის ან იმ მხარესთან ურთიერთობის გამო, რომელიც უთითებს აღნიშნულ შეზღუდვებზე.

§ 2. — ქორწინება

3088. მისი ნამდვილობის არსებით პირობებთან დაკავშირებით ქორწინება რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც მოქმედებს თითოეული მომავალი მეუღლის სტატუსის მიმართ.

მის ფორმალურ ნამდვილობასთან დაკავშირებით ქორწინება რეგულირდება მისი საზეიმო ცერემონიის ადგილის სამართლით ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის ან მოქალაქეობის სახელმწიფოს სამართლით.

3089. ქორწინების სამართლებრივი შედეგები, განსაკუთრებით კი, ის შედეგები, რომლებიც სავალდებულოა ყველა მეუღლისათვის მიუხედავად მათი საერთო ქონების რეჟიმისა, ექვემდებარება მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის სამართალს.

როდესაც მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილები აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მათი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, მათი უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კი, — ქორწინების საზეიმო ცერემონიის ადგილის სამართალი.

§ 3. — მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება

3090. მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრება რეგულირდება მათი საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

როდესაც მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილები აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მათი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, მათი უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კი, — საქმის განმხილველი სასამართლოს სამართალი.

მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების სამართლებრივი შედეგები ექვემდებარება განცალკევებით ცხოვრების მომწესრიგებელ სამართალს.

§ 3.1. — სამოქალაქო კავშირი

3090.1. თავის არსებით და ფორმალურ ნამდვილობასთან დაკავშირებით სამოქალაქო კავშირი რეგულირდება მისი საზეიმო ცერემონიის ადგილის სამართლით.

აღნიშნული სამართალი გამოიყენება ასევე სამოქალაქო კავშირის სამართლებრივი შედეგების მიმართაც, გარდა იმ შედეგებისა, რომლებიც სავალდებულოა ყველა მეუღლისათვის მიუხედავად მათი საერთო ქონების რეჟიმისა და ექვემდებარება მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის სამართალს.

3090.2. სამოქალაქო კავშირის შეწყვეტა რეგულირდება იმ სახელმწიფოს

სამართლით, რომელშიც მეუღლეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი, ან იმ ადგილის სამართლით, სადაც მოხდა მისი საზეიმო აღნიშვნა. შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები ექვემდებარება სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის მომწესრიგებელ სამართალს.

3090.3. როდესაც მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილები აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მათი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, მათი უკანასკნელი საერთო საცხოვრებელი ადგილის სამართალი, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში კი, სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნის ადგილის სამართალი ან, გარემოებების გათვალისწინებით, — სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის შესახებ განცხადების განმხილველი სასამართლოს სამართალი.

§ 4. — სისხლით ნათესაური კავშირი და ნათესაური კავშირი შვილად აყვანით

3091. ნათესაური კავშირის დადგენა ხდება ბავშვის ან მისი დაბადების მომენტში ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის ან მოქალაქეობის მიმართ მოქმედი სამართლის შესაბამისად, რომელიც უფრო ხელსაყრელია ბავშვისათვის.

ნათესაური კავშირის სამართლებრივი შედეგები ექვემდებარება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის სამართალს.

3092. შვილად აყვანაზე თანხმობისა და ბავშვის შვილად აყვანისათვის შესაფერისობის მომწესრიგებელ წესებს წარმოადგენს ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები ექვემდებარება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის სამართალს.

3093. ბავშვზე ზედამხედველობა რეგულირდება მისი საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

§ 5. — დახმარების ვალდებულება

3094. დახმარების ვალდებულება რეგულირდება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის სამართლით. თუმცა, როდესაც კრედიტორი ვერ იღებს დახმარებას მოვალისაგან აღნიშნული სამართლის საფუძველზე, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მოვალის საცხოვრებელი ადგილის სამართალი.

3095. არანაირი გვერდითა ხაზით ნათესაობის ან ქორწინებისა თუ სამოქალაქო კავშირით დაკავშირებული პირის დახმარების მოთხოვნის უფლება არ არის დაშვებული, თუ მისი საცხოვრებელი ადგილის სამართლის საფუძველზე სახეზე არ არის მოვალის მხრიდან მოსარჩელისათვის დახმარების გაწევის ვალდებულება.

3096. დახმარების ვალდებულება განქორწინებულ ან განცალკევებით მცხოვრებ მეუღლეებს შორის, ასევე იმ მეუღლეებს შორის, რომელთა შორის არსებული სამოქალაქო კავშირი შეწყდა ან რომელთა ქორწინება ან სამოქალაქო კავშირი ბათილად იქნა ცნობილი, რეგულირდება განქორწინების, მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების, სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის ან ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის გაბათილების მიმართ გამოსაყენებელი სამართლით.

თავი 2
ქონების სტატუსი

განყოფილება 1
ზოგადი დებულება

3097. სანივთო უფლებები და მათი პუბლიკაცია რეგულირდება იმ ადგილის სამართლით, სადაც განთავსებულია შესაბამისი ქონება.

თუმცაღა, ტრანსპორტირებისას გზაში არსებული ნივთებზე არსებული სანივთო უფლებები რეგულირდება მათი დანიშნულების ადგილის სახელმწიფოს სამართლით.

განყოფილება 2
სპეციალური დებულებები

§ 1. — მემკვიდრეობა

3098. მოძრავი ქონების მემკვიდრეობა რეგულირდება გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის სამართლით; უძრავი ქონების მემკვიდრეობა რეგულირდება იმ ადგილის სამართლით, სადაც ქონება მდებარეობს.

თუმცა, პირს შეუძლია ანდერძში მიუთითოს მისი მემკვიდრეობის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ სახელმწიფოს სამართალს, რომლის მოქალაქეც ის არის, ან ანდერძში მითითების ან ამ პირის გარდაცვალების მომენტში არსებული საცხოვრებელი ადგილის სამართალს, ანდა იმ ადგილის სამართალს, სადაც მდებარეობს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, თუმცა — მხოლოდ აღნიშნული უძრავი ქონების მიმართ.

3099. მემკვიდრეობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის მითითება სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც მითითებული სამართალი არსებითად ართმევს გარდაცვლილის დაქორწინებულ ან სამოქალაქო კავშირის მეუღლეს ან შვილს მემკვიდრეობის უფლებას, რაზეც ის ასეთი მითითების არარსებობისას იქნებოდა უფლებამოსილი.

გარდა ამისა, სამართლის მითითება სამართლებრივი ძალის არმქონეა ასევე იმ ფარგლებშიც, რომლებშიც ის არღვევს სპეციალური მემკვიდრეობის რეჟიმებს, რომლებსაც ექვემდებარება განსაზღვრული ქონება, იმ სახელმწიფოს სამართლის საფუძველზე, სადაც განთავსებულია განსაზღვრული ქონება ამ უკანასკნელის ეკონომიკური, საოჯახო ან სოციალური დანიშნულების გამო.

3100. იმ ფარგლებში, რომლებშიც მემკვიდრეობის სამართალი ვერ იმოქმედებს კვებეკის ფარგლებს გარეთ მდებარე ქონების მიმართ, შეიძლება მიღებულ იქნეს მაკორექტირებელი ზომები, განსაკუთრებით კი, წილების ხელახალი განსაზღვრის, ვალების ახლებური გადანაწილების ან მაკორექტირებელი გაყოფით დადგენილი საკომპენსაციო გამოქვითვის საშუალებით.

3101. როდესაც გარდაცვლილის მემკვიდრეობის მომწესრიგებელი სამართალი არ ითვალისწინებს მისთვის კვებეკში საქმიანობაზე უფლებამოსილი მმართველის ან ლიკვიდატორის ყოლას და მემკვიდრეებს აქვთ კვებეკში განსახორციელებელი უფლებები, ან მემკვიდრეობის განსაზღვრული ქონება მდებარეობს კვებეკში, — მმართველი ან ლიკვიდატორი შეიძლება დაინიშნოს კვებეკის სამართლის საფუძველზე.

§ 2. — უზრუნველყოფები მოძრავი ქონებით

I. — უზრუნველყოფები მოძრავი ქონებით ზოგადად

3102. მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის ნამდვილობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც უზრუნველყოფის დადგენის მომენტში განთავსებულია უფლებრივად დატვირთული ქონება.

პუბლიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც დაგირავებული ქონება ამჟამად არის განთავსებული.

3103. ნებისმიერი მოძრავი ქონება, რომელიც არ არის გამიზნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატოვებისათვის, შეიძლება დაგირავდეს იმ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად, რომლისათვისაც ის არის გათვალისწინებული; უზრუნველყოფა შეიძლება გამოქვეყნდეს ამ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად, თუმცა პუბლიკაციას შედეგი ექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქონება რეალურად მიაღწევს სახელმწიფოს ტერიტორიას უზრუნველყოფის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

3104. იმ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად გამოქვეყნებული უზრუნველყოფა, სადაც უზრუნველყოფის დადგენის მომენტში განთავსებული იყო ქონება, დაწყებული პირველი პუბლიკაციიდან ჩაითვლება კვებეკში გამოქვეყნებულად, თუ ის კვებეკში გამოქვეყნდა მანამდე, სანამ არ დადგება ნებისმიერ შემდეგ მოვლენათაგან პირველი:

1) იმ სახელმწიფოში პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგის შეწყვეტა, სადაც უზრუნველყოფის დადგენის მომენტში განთავსებული იყო ქონება;

2) 30-დღიანი ვადის გასვლა იმ მომენტიდან, როდესაც ქონებამ მიაღწია კვებეკის ტერიტორიას;

3) 15-დღიანი ვადის გასვლა იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორს ატყობინებენ იმის შესახებ, რომ ქონებამ მიაღწია კვებეკის ტერიტორიას.

თუმცა, უზრუნველყოფა ვერ იქნება გამოყენებული იმ მყიდველის მიმართ, რომელმაც ქონება შეიძინა უზრუნველყოფის დამდგენის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

3105. იმ მატერიალურ მოძრავ ქონებაზე დადგენილი უზრუნველყოფის ნამდვილობის საკითხი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ერთზე მეტ სახელმწიფოში, ან არამატერიალურ მოძრავ ქონებაზე დადგენილი უზრუნველყოფის ნამდვილობის საკითხი რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც უზრუნველყოფის დამდგენს ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი უზრუნველყოფის დადგენის მომენტში.

პუბლიკაცია და მისი სამართლებრივი შედეგები რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელშიც უზრუნველყოფის დამდგენს ამჟამად აქვს საცხოვრებელი ადგილი.

თუმცაღა, წინამდებარე მუხლის დებულებები არ გამოიყენება იმ უზრუნველყოფის მიმართ, რომელიც უფლებრივად ტვირთავს არამატერიალურ მოძრავ ქონებას, რომელიც ვლინდება საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ფორმაში, ან — კრედიტორის მიერ დოკუმენტის ფლობის ფაქტით გამოქვეყნებული უზრუნველყოფის მიმართ.

3106. უზრუნველყოფა, რომელიც მისი დადგენის მომენტში რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც უზრუნველყოფის დამდგენს ამ დროს აქვს საცხოვრებელი ადგილი და რომელიც გამოქვეყნდა, — დაწყებული პირველი პუბლიკაციიდან ჩაითვლება კვებეკში გამოქვეყნებულად იმ პირობით, რომ ის კვებეკში გამოქვეყნდა მანამდე, სანამ არ დადგება ნებისმიერ შემდეგ მოვლენათაგან პირველი:

1) იმ სახელმწიფოში პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგის შეწყვეტა, სადაც უზრუნველყოფის დადგენს უწინ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი;

2) 30-დღიანი ვადის გასვლა იმ მომენტიდან, როდესაც უზრუნველყოფის დადგენმა დააფუძნა თავისი ახალი საცხოვრებელი ადგილი კვებეკში;

3) 15-დღიანი ვადის გასვლა იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორს ატყობინებენ უზრუნველყოფის დადგენის კვებეკში ახალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

თუმცა, უზრუნველყოფა ვერ იქნება გამოყენებული იმ მყიდველის მიმართ, რომელმაც ქონება შეიძინა უზრუნველყოფის დამდგენის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში.

II. — განსაზღვრულ ფულად მოთხოვნებზე დადგენილი მოძრავი ქონებით უზრუნველყოფები

3106.1. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფინანსური ანგარიშის საკრედიტო ნაშთთან ან კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების უზ-

რუნველსაყოფად გადაცემულ ფულად თანხასთან დაკავშირებულ 2713.1.-ე მუხლში მითითებული ფულადი მოთხოვნის მომწესრიგებელი გარიგება პირდაპირ განსაზღვრავს მის მიმართ გამოსაყენებელ სამართალს, აღნიშნულ მოთხოვნაზე დადგენილი უზრუნველყოფის ნამდვილობა, ისევე როგორც უზრუნველყოფის პუბლიკაცია და ასეთი პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგები რეგულირდება მოთხოვნის მომწესრიგებელ გარიგებაში პირდაპირ, ამ გარიგების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის სახით არსებული სამართლით, რომელიც უზრუნველყოფის ნამდვილობის მიმართ განისაზღვრება უზრუნველყოფის დადგენის მომენტში.

თუ მოთხოვნის მომწესრიგებელ გარიგებაში სამართალი არ არის განსაზღვრული, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს

1) ფინანსური ანგარიშის საკრედიტო ნაშთთან დაკავშირებული მოთხოვნის შემთხვევაში, — იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია ფინანსური ანგარიშის მომწესრიგებელ გარიგებაში პირდაპირ ანგარიშის მომსახურე დაწესებულების სახით ნახსენები დაწესებულება ან თუ აღნიშნულ გარიგებაში არანაირი დაწესებულება ნახსენები არ არის, — იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია საბანკო ანგარიშიდან ამონაწერში ანგარიშის მფლობელის მომსახურე დაწესებულების სახით იდენტიფიცირებული დაწესებულება. თუ ამონაწერიდან სამართლის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია ანგარიშის მომსახურე პირის გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი;

და

2) კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გადაცემულ ფულად თანხასთან დაკავშირებული მოთხოვნის შემთხვევაში, — იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია იმ პირის გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი, რომელსაც გადაეცა ფულადი თანხა, ან თუ პირი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, — იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც პირს აქვს საცხოვრებელი ადგილი.

რეგისტრაციის გზით უზრუნველყოფის პუბლიკაცია, ყველა შემთხვევაში, რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელშიც უზრუნველყოფის დამდგენს აქვს საცხოვრებელი ადგილი.

§ 3. — ტრასტები

3107. სამართალზე მითითების არარსებობისას, რაც უშუალოდ ხორციელდება ტრასტის დამდგენ გარიგებაში, ან რაც დარწმუნებით შეიძლება გამომდინარეობდეს აღნიშნული გარიგების პირობებიდან, ანდა თუ მითითებული სამართალი არ ითვალისწინებს ტრასტებს, — ტრასტის მიმართ გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს ის სამართალი, რომელთანაც ტრასტი ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული.

კერძოდ, გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისათვის მხედველობაში მიიღება ტრასტის მართვის ადგილი, ტრასტის ქონების მდებარეობის ადგილი, მინდობილი მესაკუთრის ადგილსამყოფელი ან საოჯახო მეურნეობა, ტრასტის ობიექტები და ის ადგილები, სადაც უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულება.

ტრასტის, განსაკუთრებით კი, — მისი მართვის ნებისმიერი ელემენტი, რომელიც ექვემდებარება გამოყოფას, შეიძლება მოწესრიგდეს სხვა სამართლით.

3108. ტრასტის მომწესრიგებელი სამართალი ადგენს, ეხება თუ არა გადასაწყვეტი საკითხი ტრასტის ნამდვილობას ან მის მართვას.

აღნიშნული სამართალი ასევე ადგენს, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული სამართლის ან ტრასტის გამოყოფადი ელემენტის მომწესრიგებელი სამართლის შეცვლა სხვა სახელმწიფოს სამართლით და, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, — შეცვლის პირობებს.

§ 4. — ფინანსურ აქტივებზე არსებული ფასიანი ქაღალდები და საუზრუნველყოფო დოკუმენტები

3108.1. ფასიანი ქაღალდის ნამდვილობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომლის თანახმადაც არის დაფუძნებული ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, ან თუ ფასიანი ქაღალდი გაიცემა სახელმწიფოს მიერ, — ამ სახელმწიფოს სამართლით.

3108.2. შემდეგი საკითხები რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომლის თანახმადაც არის დაფუძნებული ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, ან ამ სახელმწიფოს სამართლით დაშვებულ შემთხვევებში, — ემიტენტის მიერ განსაზღვრული სხვა სამართლით:

1) ემიტენტის უფლებები და ვალდებულებები მის რეესტრებში ფასიანი ქაღალდის გადაცემის რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

2) ეკისრება თუ არა ემიტენტს რაიმე ვალდებულება მის მიერ გაცემულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით საკუთარი მოთხოვნის მქონე მესამე პირის (adverse claimant) მიმართ; და

3) შესაძლებელია თუ არა მესამე პირის მიერ საკუთარი მოთხოვნის რეალიზაცია იმ პირის მიმართ, რომლის სასარგებლოდაც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდის გადაცემა ემიტენტის რეესტრებში ან რომელიც იძენს კონტროლს ემიტენტის მიერ გაცემულ დაუმოწმებელ ფასიან ქაღალდზე.

თუ ემიტენტი დაფუძნებულია იმ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად, რომელიც შედგება რამდენიმე ტერიტორიული ერთეულისაგან, რომლებსაც განსხვავებული იურისდიქცია აქვს, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს იმ ტერიტორიულ ერთეულზე მოქმედი სამართალი, სადაც ემიტენტს აქვს თავისი სათავო ოფისი, ან იმ სახელმწიფოს სამართლით დაშვებულ შემთხვევებში, რომელიც შედგება ტერიტორიული ერთეულებისაგან, — ემიტენტის მიერ განსაზღვრული სხვა სამართლით.

3108.3. მიუხედავად 3108.2. მუხლისა, თუ ემიტენტს წარმოადგენს სახელმწიფო, აღნიშნულ მუხლში მოცემული საკითხები რეგულირდება ამ სახელმწიფოს სამართლით ან თუ აღნიშნული სახელმწიფოს სამართალი ამას უშვებს, — ამ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სამართლით.

3108.4. კვებეკს, როგორც ემიტენტსა და კვებეკის სამართლის საფუძველზე დაფუძნებულ ნებისმიერ ემიტენტს შეუძლია განსაზღვროს 3108.2.-ე მუხლში მოცემული საკითხების მომწესრიგებელი სამართალი.

3108.5. საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა ფასიანი ქაღალდი აღსრულებადი ემიტენტის მიმართ იმ ხარვეზისა თუ შესაგებლის მიუხედავად, რომელიც ეხება სხვა საკითხებს, ვიდრე ეს მოცემულია 3108.1. და 3108.2. მუხლებში, — რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომლის თანახმადაც არის დაფუძნებული ფასიანი ქაღალდის ემიტენტი, ან თუ ემიტენტი დაფუძნებულია იმ სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად, რომელიც შედგება რამდენიმე ტერიტორიული ერთეულისაგან, რომლებსაც განსხვავებული იურისდიქცია აქვს, — იმ ტერიტორიულ ერთეულზე მოქმედი სამართლით, სადაც ემიტენტს აქვს თავისი სათავო ოფისი.

თუ ემიტენტს წარმოადგენს სახელმწიფო, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს ამ სახელმწიფოს სამართალი. თუ ემიტენტს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც შედგება რამდენიმე ტერიტორიული ერთეულისაგან, რომლებსაც განსხვავებული იურისდიქცია აქვს, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს აღნიშნული სახელმწიფოს სამართალი ან ამ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა სამართალი.

3108.6. იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც არსებობს ფასიანი ქაღალდის სერტიფიკატი მისი გადაცემის მომენტში, განსაზღვრავს იმას, შესაძლებელია თუ არა სერტიფიკატში გამოსახულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით მესამე პირის მიერ საკუთარი მოთხოვნის რეალიზაცია იმ პირის მიმართ, რომელსაც გადაეცა ფასიანი ქაღალდის სერტიფიკატი.

3108.7. იმ გარიგებაში პირდაპირ განსაზღვრული სამართალი, რომელიც არეგულირებს ფასიანი ქაღალდების შუამავლის მიერ დოკუმენტის მფლობელისათვის წარმოებული ფასიანი ქაღალდების ანგარიშს, როგორც აღნიშნული გარიგების მიმართ გამოსაყენებელი სამართალი, აწესრიგებს შემდეგ საკითხებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება ამ საკითხების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის სახით ადგენს სხვა სამართალს:

1) საუზრუნველყოფო დოკუმენტის ფასიანი ქაღალდების შუამავლისაგან შეძენა;

2) საუზრუნველყოფო დოკუმენტიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდების შუამავლისა და დოკუმენტის მფლობელის უფლებები და ვალდებულებები;

3) ეკისრება თუ არა ფასიანი ქაღალდების შუამავალს რაიმე ვალდებულება იმ მესამე პირის წინაშე, რომელსაც აქვს საკუთარი მოთხოვნის უფლება საუზრუნველყოფო დოკუმენტის მიმართ; და

4) შესაძლებელია თუ არა მესამე პირის მიერ საკუთარი მოთხოვნის რეალიზაცია იმ პირის მიმართ, რომელიც ფასიანი ქაღალდების შუამავლისაგან იძენს საუზრუნველყოფო დოკუმენტს ან დოკუმენტის მფლობელისაგან იძენს უფლებებს საუზრუნველყოფო დოკუმენტში.

თუ ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მომწესრიგებელ გარიგებაში სამართალი არ არის განსაზღვრული, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია ასეთ გარიგებაში

პირდაპირ ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მომსახურების ადგილის სახით ნახსენები დაწესებულება ან თუ აღნიშნულ გარიგებაში არანაირი დაწესებულება ნახსენები არ არის, — იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია საბანკო ანგარიშიდან ამონაწერში დოკუმენტის მფლობელის მომსახურე დაწესებულების სახით იდენტიფიცირებული დაწესებულება. თუ ამონაწერის საფუძველზე სამართლის განსაზღვრა შეუძლებელია, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელშიც განთავსებულია ფასიანი ქაღალდების შუამავლის გადაწყვეტილების მიმღები ცენტრი.

3108.8. ფასიან ქაღალდზე ან ფინანსური აქტივების მიმართ არსებულ საუზრუნველყოფო დოკუმენტზე დადგენილი უზრუნველყოფის ნამდვილობა, უფლებრივად მტვირთავი უზრუნველყოფის პუბლიკაცია და ასეთი პუბლიკაციის სამართლებრივი შედეგები რეგულირდება უფლებრივად მტვირთავი უზრუნველყოფის ნამდვილობის მიმართ მისი დადგენის მომენტში განსაზღვრული შემდეგი კანონმდებლობებით:

1) დამოწმებული ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, — იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც არსებობს ფასიანი ქაღალდის სერტიფიკატი;

2) დაუმოწმებელი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, — იმ სამართლით, რომელიც არეგულირებს 3108.2.-ე მუხლში მოცემულ საკითხებს, რომლებიც, სხვა გარემოებებთან ერთად, ეხება ემიტენტის განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს;

3) ფინანსური აქტივების მიმართ არსებული საუზრუნველყოფო დოკუმენტის შემთხვევაში, — იმ სამართლით, რომელიც არეგულირებს საუზრუნველყოფო დოკუმენტის ფასიანი ქაღალდების შუამავლისაგან შეძენას.

თუმცაღა, საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა უფლებრივად მტვირთავი უზრუნველყოფა გამოქვეყნებული რეგისტარციის გზით და მიიჩნევა თუ არა ფასიანი ქაღალდების შუამავლის მიერ გადაცემის გარეშე დადგენილი უფლებრივად მტვირთავი უზრუნველყოფა გამოქვეყნებულად მარტო იმ ფაქტით, რომ ხდება მისი დადგენა, — რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელშიც უზრუნველყოფის დამდგენს აქვს საცხოვრებელი ადგილი.

თავი 3
ვალდებულებების სტატუსი

განყოფილება 1
ზოგადი დებულებები

§ 1. — გარიგებების ფორმა

3109. გარიგების ფორმა რეგულირდება იმ ადგილის სამართლით, სადაც ეს გარიგება დაიდო.

თუმცა, მიუხედავადა ამისა, გარიგება ნამდვილია, თუ ის იდება იმ სამართლით გათვალისწინებული ფორმით, რომელიც გამოიყენება გარიგების ში-

ნაარსის მიმართ, ასევე იმ ადგილის სამართლით გათვალისწინებული ფორმით, სადაც მდებარეობს ქონება, რომელიც წარმოადგენს გარიგების საგანს, ანდა — ერთ-ერთი მხარის გარიგების დადების მომენტში მქონე საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

საანდერძო განკარგულება ასევე შეიძლება გაკეთდეს მოანდერძის საცხოვრებელი ადგილის ან მოქალაქეობის სამართლით გათვალისწინებული ფორმით იმ მომენტში, როდესაც მოანდერძემ გააკეთა განკარგულება ან მისი გარდაცვალების მომენტში.

3110. გარიგება შეიძლება გაფორმდეს კვებეკის ფარგლებს გარეთ კვებეკის ნოტარიუსის წინაშე, თუ ის ეხება სანივთო უფლებას, რომლის საგანი მდებარეობს კვებეკში ან თუ ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში.

§ 2. — გარიგებების შინაარსი

3111. მიუხედავად იმისა, შეიცავს თუ არა გარიგება ნებისმიერ არატიპიურ ელემენტს, ის რეგულირდება მასში პირდაპირ მითითებული სამართლით ან იმ სამართლით, რომელზე მითითებაც დარწმუნებით შეიძლება გამომდინარეობდეს გარიგების პირობებიდან.

როდესაც გარიგება არ შეიცავს არატიპიურ ელემენტს, მიუხედავად ამისა, ის მაინც ექვემდებარება სახელმწიფოს სამართლის იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც იმოქმედებდა სამართლის მითითების არარსებობისას.

სამართალი შეიძლება პირდაპირ იყოს მითითებული გამოსაყენებელი სამართლის სახით მთლიანი გარიგების ან მისი მხოლოდ ნაწილის მიმართ.

3112. თუ გარიგებაში სამართალი არ არის მითითებული ან თუ მითითებული სამართალი აბათილებს გარიგებას, სასამართლოები იყენებენ იმ სახელმწიფოს სამართალს, რომელთანაც გარიგება ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ბუნებისა და თანმხლები გარემოებების გადასახედის გათვალისწინებით.

3113. ივარაუდება, რომ გარიგება ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სამართალთან, სადაც იმ მხარეს, რომელმაც უნდა განახორციელოს გარიგებისათვის დამახასიათებელი შესრულება, აქვს თავისი ადგილსამყოფელი ან, თუ გარიგება იდება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, — აქვს თავისი დაწესებულება.

განყოფილება 2
სპეციალური დებულებები

§ 1. — ნასყიდობა

3114. მხარეთა მიერ სამართლის მითითების არარსებობისას, მატერიალური მოძრავი ქონების ნასყიდობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც გამყიდველს აქვს თავისი ადგილსამყოფელი, ან თუ ნასყიდობა იდება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, — აქვს თავისი დაწესებულება ხელშეკრულების დადების მომენტში. თუმცა, ნასყიდობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელშიც მყიდველს ხელშეკრულების დადების მომენტში ჰქონდა თავისი ადგილსამყოფელი ან დაწესებულება ნებისმიერ შემდეგ შემთხვევებში:

1) მოლაპარაკებებს ჰქონდა ადგილი და ხელშეკრულება დაიდო აღნიშნულ სახელმწიფოში:

2) ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს იმას, რომ მიწოდება უნდა მოხდეს აღნიშნულ სახელმწიფოში:

3) ხელშეკრულება ტენდერის გამოცხადების პასუხად იდება ძირითადად მყიდველის მიერ განსაზღვრულ პირობებზე.

მხარეთა მიერ სამართლის მითითების არარსებობისას, უძრავი ქონების ნასყიდობა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც ეს ქონება მდებარეობს.

3115. მხარეთა მიერ სამართლის მითითების არარსებობისას, აუქციონზე ან საფონდო ბირჟაზე ნივთის გაყიდვა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც ტარდება აუქციონი ან განთავსებულია საფონდო ბირჟა.

§ 2. — სახელშეკრულებო წარმომადგენლობა

3116. წარმომადგენლის უფლებამოსილებების არსებობა და მოცულობა მის ურთიერთობებში მესამე პირთან და ის პირობები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება დადგეს წარმომადგენლის ან წარმოდგენილი პირის პირადი პასუხისმგებლობა, რეგულირდება წარმოდგენილი პირისა და მესამე პირის მიერ პირდაპირ მითითებული სამართლით, ან როდესაც სამართალზე მითითება არ ხდება, — იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მოქმედებდა წარმომადგენელი, თუ წარმოდგენილ პირს ან მესამე პირს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ამ სახელმწიფოში.

§ 3. — სამომხმარებლო ხელშეკრულება

3117. მხარეთა მიერ სამომხმარებლო ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შედეგად ვერ გამოიწვევს მომხმარებლისათვის იმ სახელმწიფოს სამართლის იმპერატიული ნორმებით მინიჭებული დაცვის წართმევას, სადაც მომხმარებელს აქვს თავისი ადგილსამყოფელი, თუ ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა ამ სახელმწიფოში სპეციალული ოფერტი ან რეკლამა და მომხმარებელმა ამ სახელმწიფოში მიიღო ყველა ის ზომა, რაც აუცილებელია მისი მხრიდან ხელშეკრულების დასადებად, ან თუ მომხმარებელის მხრიდან შეკვეთა მიღებულ იქნა აღნიშნულ სახელმწიფოში.

იგივე წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების კონტრაჰენტმა ხელშეკრულების დადების მიზნით მომხმარებელი დაიყოლია უცხო სახელმწიფოში გასამგზავრევლად.

მხარეთა მიერ სამართალზე მითითების არარსებობისას, სამომხმარებლო ხელშეკრულების მიმართ ანალოგიურ გარემოებებში გამოიყენება იმ ადგილის სამართალი, სადაც მომხმარებელს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 4. — შრომითი ხელშეკრულება

3118. მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შედეგად ვერ გამოიწვევს მუშაკისათვის იმ სახელმწიფოს სამართლის იმპერატიული ნორმებით მინიჭებული დაცვის წართმევას, სადაც მუშაკი ჩვეულებრივ ახორციელებს თავის სამუშაოს, თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ ის დროებით სამუშაოდ დანიშნულია სხვა სახელმწიფოში, ხოლო თუ მუშაკი ჩვეულებრივ არ ახორციელებს თავის სამუშაოს ნებისმიერ სახელმწიფოში, — იმ სახელმწიფოს სამართლის იმპერატიული ნორმებით მინიჭებული დაცვის წართმევას, სადაც მის დამსაქმებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან დაწესებულება.

მხარეთა მიერ სამართალზე მითითების არარსებობისას, შრომითი ხელშეკრულების მიმართ ანალოგიურ გარემოებებში გამოიყენება იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც მუშაკი ჩვეულებრივ ახორციელებს თავის სამუშაოს ან იმ სახელმწიფოს სამართალი, სადაც მის დამსაქმებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან დაწესებულება.

§ 5. — არასაზღვაო დაზღვევის ხელშეკრულება

3119. მიუხედავად ნებისმიერი საწინააღმდეგო შეთანხმებისა, დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც ფარავს კვებეკში არსებულ ქონებას ან ინტერესს, ან რომელიც ხელმოწერილია კვებეკში ადგილსამყოფელის მქონე პირის მიერ, რეგულირდება კვებეკის სამართლით, თუ პოლისის მფლობელი დაზღვევას ითხოვს კვებეკში ან პოლისს წარადგენს კვებეკში.

ანალოგიურად, პირთა ჯგუფური დაზღვევის ხელშეკრულება რეგულირდება კვებეკის სამართლით, როდესაც დაზღვევის მონაწილეს თავისი საცხოვრებელი ადგილი კვებეკში აქვს იმ მომენტში, როდესაც ის ხდება მონაწილე.

კვებეკის სამართლით რეგულირებული დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე გადასახდელი ნებისმიერი თანხა გადახდილ უნდა იქნეს კვებეკში.

§ 6. — მოთხოვნების დათმობა

3120. მოთხოვნის დათმობის შესაძლებლობა და ცესიონერსა და მოთხოვნის დათმობის მოვალეს შორის ურთიერთობები რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც აწესრიგებს მოთხოვნის დათმობის მოვალესა და ცედენტს შორის ურთიერთობებს.

§ 7. — არბიტრაჟი

3121. მხარეთა მიერ სამართალზე მითითების არარსებობისას, საარბიტრაჟო შეთანხმება რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც გამოიყენება ძირითადი ხელშეკრულების მიმართ, ხოლო როდესაც აღნიშნული სამართალი აბათილებს შეთანხმებას, — იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მიმდინარეობს არბიტრაჟი.

§ 8. — საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმი

3122. სახელშეკრულებო საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმის მიმართ გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება გარიგებების შინაარსის მიმართ გამოსაყენებელი ზოგადი წესების შესაბამისად.

3123. იმ მეუღლეთა საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმი, რომლებსაც არა აქვთ გაფორმებული მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის ან სამოქალაქო კავშირის შეთანხმებები, რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, რომელშიც მათ ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის მომენტში აქვთ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი.

თუ აღნიშნულ მომენტში მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მათი პირველი საერთო ადგილსამყოფელის სამართალი ან, ამ უკანასკნელის არარსებობისას, — მათი საერთო მოქალაქეობის სამართალი, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას კი, — მათი ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნის ადგილის სამართალი.

3124. საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმის ნებისმიერი შეთანხმებული ცვლილების ნამდვილობა რეგულირდება ცვლილების მომენტში არსებული მეუღლეთა საცხოვრებელი ადგილის სამართლით.

თუ აღნიშნულ მომენტში მეუღლეებს საცხოვრებელი ადგილი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოებში, გამოსაყენებელ სამართალს წარმოადგენს მათი საერთო ადგილსამყოფელის სამართალი ან, ამ უკანასკნელის არარსებობისას, — მათი საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმის მომწესრიგებელი სამართალი.

§ 9. — ვალდებულებების წარმოშობის განსაზღვრული სხვა წყაროები

3125. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან, ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის მიღებიდან ან უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე ვალდებულებები რეგულირდება იმ ფაქტის დადგომის ადგილის სამართლით, რომლიდანაც წარმოიშობა აღნიშნული ვალდებულებები.

§ 10. — სამოქალაქო პასუხისმგებლობა

3126. სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც ადგილი ჰქონდა დელიქტის ჩადენას. თუმცა, თუ ზიანი გამოვლინდა სხვა სახელმწიფოში, გამოიყენება ამ უკანასკნელი სახელმწიფოს სამართალი, თუ დელიქტის ჩამდენ პირს უნდა ევარაუდა, რომ ზიანი გამომჟღავნდებოდა იქ.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც დელიქტის ჩამდენ პირსა და დაზარალებულს აქვთ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ერთი და იგივე სახელმწიფოში, გამოიყენება ამ სახელმწიფოს სამართალი.

3127. როდესაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობიდან, შეუსრულებლობაზე დაფუძნებული მოთხოვნები რეგულირდება ხელშეკრულების მიმართ გამოყენებული სამართლით.

3128. მოძრავი ნივთის დამამზადებლის პასუხისმგებლობა, როგორიც არ უნდა იყოს მისი წყარო, დაზარალებულის არჩევანით, რეგულირდება

1) იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც დამამზადებელს აქვს თავისი დაწესებულება ან ამ უკანასკნელის არარსებობისას, — თავისი ადგილსამყოფელი, ან

2) იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მოხდა მოძრავი ნივთის შეძენა.

3129. წინამდებარე კოდექსის ნორმების გამოყენება კვებეკის ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ სავალდებულოა კვებეკში მოპოვებული ნედლი მასალების — თუნდაც გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი — ზემოქმედების ან მათი გამოყენების შედეგად განცდილი ნებისმიერი ზიანისათვის არსებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის მიმართ.

§ 11. — მტკიცებულებები

3130. მტკიცების პროცესი რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც გამოიყენება დავის არსის მიმართ საქმის განმხილველი სასამართლოს იმ ნებისმიერი წესების გათვალისწინებით, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელია მტკიცებისათვის.

§ 12. — ხანდაზმულობა

3131. ხანდაზმულობა რეგულირდება იმ სამართლით, რომელიც გამოიყენება დავის არსის მიმართ.

თავი 4
საქმისწარმოების სტატუსი

3132. საქმისწარმოება რეგულირდება საქმის განმხილველი სასამართლოს სამართლით.

3133. საარბიტრაჟო საქმის განხილვა რეგულირდება იმ სახელმწიფოს სამართლით, სადაც მიმდინარეობს არბიტრაჟი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებმა მიუთითეს სხვა სახელმწიფოს სამართალი ანდა ბაზისური ან სპეციალური საარბიტრაჟო რეგლამენტი.

ტიტული 3
კვებეკის სახელისუფლო ორგანოების საერთაშორისო იურისდიქცია

თავი 1
ზოგადი დებულებები

3134. ნებისმიერი სპეციალური დებულების არარსებობისას, კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს იურისდიქცია აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხეს კვებეკში აქვს საცხოვრებელი ადგილი.

3135. მიუხედავად იმისა, რომ კვებეკის სახელისუფლო ორგანოს აქვს დავის განხილვის იურისდიქცია, მას გამონაკლისის სახითა და მხარის განცხადების საფუძველზე შეუძლია უარი თქვას განსჯადობაზე, თუ ის მიიჩნევს, რომ სხვა სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოები უკეთეს მდგომარეობაში არიან დავის გადაწყვეტისათვის.

3136. მიუხედავად იმისა, რომ კვებეკის სახელისუფლო ორგანოს არა აქვს დავის განხილვის იურისდიქცია, მას მაინც შეუძლია მისი განხილვა იმ პირობით, რომ დავას საკმარისი კავშირი აქვს კვებეკთან, თუ საქმის წარმოების დაწყება კვებეკის ფარგლებს გარეთ შეუძლებელია ან როდესაც კვებეკის ფარგლებს გარეთ ასეთი საქმის წარმოების დაწყება გონივრულად ვერ მოითხოვება.

3137. მხარის განცხადების საფუძველზე კვებეკის სახელისუფლო ორგანოს შეუძლია შეაჩეროს გადაწყვეტილების მიღების პროცესი მისთვის წარდგენილ სარჩელზე, თუ იმავე პირებს შორის, იგივე ფაქტების საფუძველსა და იგივე საგანზე სხვა სარჩელი იხილება უცხო ქვეყნის ორგანოში იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელ სარჩელს შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს კვებეკში, ან თუ ასეთი გადაწყვეტილება უკვე იქნა მიღებული უცხო ქვეყნის ორგანოს მიერ.

3138. კვებეკის სახელისუფლო ორგანოს შეუძლია მიიღოს დროებითი ან დაცვითი ზომები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას არა აქვს დავის არსებითი განხილვის იურისდიქცია.

3139. როდესაც კვებეკის სახელისუფლო ორგანოს აქვს ძირითად მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების იურისდიქცია, მას ასევე ექნება გადაწყვეტილების მიღების იურისდიქცია ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ ან ჯვარედინ სასარჩელო მოთხოვნებზე.

3140. გადაუდებელ ან მნიშვნელოვანი დისკომფორტის არსებობის შემთხვევებში, კვებეკის სახელისუფლო ორგანოს შეუძლია ასევე მიიღოს ისეთი ზომები, რომლებსაც ის აუცილებლად ჩათვლის კვებეკში მყოფი პირის ან მისი იმ ქონების დაცვისათვის, რომელიც მდებარეობს იქვე.

თავი 2
სპეციალური დებულებები

განყოფილება 1
არაქონებრივი და საოჯახოსამართლებრივი ხასიათის პირადი სარჩელები

3141. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ არაქონებრივი და საოჯახოსამართლებრივი ხასიათის პირადი სარჩელების განხილვის იურისდიქცია, როდესაც ერთ-ერთ შესაბამის პირს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში.

3142. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ ბავშვისათვის ზედამხედველობის დადგენის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების იურისდიქცია იმ პირობით, რომ ბავშვს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში.

3143. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია, მიიღონ გადაწყვეტილებები დახმარების გაწევის საკითხებთან დაკავშირებულ სარჩელებზე ან დახმარების გაწევის საკითხზე უცხო ქვეყნის სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნით განცხადებებზე, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს კვებეკში, თუ ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში.

3144. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ ქორწინების გაბათილების ან სამოქალაქო კავშირის გაბათილების ან შეწყვეტის საკითხებზე იურისდიქცია, თუ ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი ანდა მათი ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის საზეიმო აღნიშვნის ადგილი არის კვებეკში.

3145. ქორწინების ან სამოქალაქო კავშირის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი, იმ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც სავალდებულოა ყველა მეუღლის მიმართ მიუხედავად

საქორწინო ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმისა, კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი არის კვებეკში.

3146. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია, მიიღონ გადაწყვეტილებები მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შესახებ, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს საქმის წარმოების დაწყების მომენტში თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში.

3147. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ ნათესაური კავშირის დადგენის საკითხზე იურისდიქცია, თუ ბავშვს ან მის ერთ-ერთ მშობელს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში.

აღნიშნულ ორგანოებს აქვთ შვილად აყვანის საკითხზე იურისდიქცია, თუ ბავშვს ან მოსარჩელეს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში.

განყოფილება 2
ქონებრივი ხასიათის პირადი სარჩელები

3148. ქონებრივი ხასიათის პირად სარჩელებში კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს იურისდიქცია შემდეგ შემთხვევებში აქვთ:

1) მოპასუხეს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში;

2) მოპასუხე წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც არა აქვს ადგილსამყოფელი კვებეკში, თუმცა მისი დაწესებულება იმყოფება კვებეკში და დავა ეხება კვებეკში მის საქმიანობას;

3) დარღვევა ჩადენილ იქნა კვებეკში, ზიანი განცდილ იქნა კვებეკში, დელიქტი მოხდა კვებეკში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთ-ერთი ვალდებულება უნდა შესრულებულიყო კვებეკში;

4) მხარეებმა შეთანხმებით კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს გადასცეს მათ შორის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი არსებული ან სამომავლო დავები;

5) მოპასუხემ აღიარა სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია.

თუმცაღა, კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს არა აქვთ იურისდიქცია, როდესაც მხარეებმა შეთანხმებით აირჩიეს, მათ შორის სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული არსებული ან სამომავლო დავები გადასცენ უცხო ქვეყნის ორგანოს ან არბიტრს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპასუხე აღიარებს კვებეკის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციას.

3149. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს ასევე აქვთ სამომხმარებლო ხელშეკრულებიდან ან შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის განხილვის იურისდიქცია, თუ მომხმარებელს ან მუშაკს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში; დაუშვებელია მომხმარებლის ან მუშაკის მიერ აღნიშნულ იურისდიქციაზე უარის მის წინააღმდეგ გამოყენება.

3150. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ ასევე დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის განხილვის იურისდიქცია, როდესაც პოლისის მფლობელს, დაზღვეულ პირს ან ხელშეკრულების მოსარგებლეს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში, ხელშეკრულება ფარავს კვებეკში არსებულ დაზღვევის ინტერესს ან ზარალი დადგა კვებეკში.

3151. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ 3129-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ყველა სარჩელის პირველი ინსტანციით განხილვის ექსკლუზიური იურისდიქცია.

განყოფილება 3
სანივთო და შერეული სარჩელები

3152. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ სანივთო სარჩელის განხილვის იურისდიქცია, თუ სადავო ქონება მდებარეობს კვებეკში.

3153. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ მემკვიდრეობის საკითხებზე იურისდიქცია, თუ სამკვიდრო იხსნება კვებეკში, მოპასუხეს ან ერთ-ერთ მოპასუხეს საცხოვრებელი ადგილი აქვს კვებეკში ანდა გარდაცვლილმა გადაწყვიტა, რომ მის მემკვიდრეობას უნდა არეგულირებდეს კვებეკის სამართალი.

კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც გარდაცვლილის ნებისმიერი ქონება მდებარეობს კვებეკში და გადაწყვეტილების მიღება მოითხოვება ქონების მემკვიდრეობით გადასვლასთან ან გადატანასთან დაკავშირებით.

3154. კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ საქორწინო ქონებრივი ან სამოქალაქო კავშირის რეჟიმების საკითხებზე იურისდიქცია შემდეგ შემთვევებში:

1) რეჟიმი უქმდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით, ხოლო სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია ამ მეუღლის მემკვიდრეობის მიმართ;

2) საქმისწარმოების ობიექტი ეხება მხოლოდ კვებეკში მდებარე ქონებას.

სხვა შემთხვევებში, კვებეკის სახელისუფლო ორგანოებს აქვთ იურისდიქცია, თუ ერთ-ერთ მეუღლეს თავისი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი აქვს კვებეკში საქმის წარმოების დაწყების დღეს.

ტიტული 4
უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება და უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია

თავი 1
უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება

3155. კვებეკის ფარგლებს გარეთ მიღებული გადაწყვეტილების ცნობასა და, აუცილებლობის შემთხვევაში, აღსრულებად გადაწყვეტილებად გამოცხადებას ახდენს კვებეკის სახელისუფლო ორგანო, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

1) იმ სახელმწიფოს სახელისუფლო ორგანოს, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, არ ჰქონდა იურისდიქცია წინამდებარე ტიტულის დებულებების თანახმად;

2) გადაწყვეტილება მისი მიღების ადგილზე ექვემდებარება სტანდარტული წესით გასაჩივრებას ან არ არის კანონიერ ძალაში შესული ან არ არის აღსრულებადი;

3) გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საქმის წარმოების ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით.

4) დავა იმავე მხარეებს შორის, იგივე ფაქტების საფუძველსა და იგივე საგანზე, რომელიც გახდა მიზეზი კვებეკში მიღებული გადაწყვეტილებისა, მიუხედავად იმისა, შეიძინა თუ არა გადაწყვეტილებამ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (res judicata) ძალა, — იხილება კვებეკის სახელისუფლო ორგანოს მიერ პირველი ინსტანციით ან ის გადაწყდა მესამე სახელმწიფოში და გადაწყვეტილება აკმაყოფილებს კვებეკში მისი ცნობისათვის აუცილებელ პირობებს;

5) უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილების შედეგი აშკარად შეუსაბამოა საჯარო წესრიგთან ისე, როგორც ეს გაიგება საერთაშორისო ურთიერთობებში;

6) გადაწყვეტილება ახდენს უცხო სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების სანქციონირებას.

3156. დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნება ცნობილი ან აღსრულებად გადაწყვეტილებად გამოცხადებული გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ აქტი, რომლის საფუძველზეც მოხდა საქმის წარმოების დაწყება, სათანდოდ ჩაბარდა გამოუცხადებელ მხარეს იმ ადგილის სამართლის შესაბამისად, სადაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

თუმცა, სახელისუფლო ორგანოს შეუძლია უარი თქვას ცნობასა თუ აღსრულებაზე, თუ გამოუცხადებელი მხარე დაამტკიცებს, რომ გარემოებებიდან გამომდინარე ის უუნარო იყო, გაცნობოდა იმ აქტს, რომლის საფუძველზეც მოხდა საქმის წარმოების დაწყება, ან მას არ მიეცა საკმარისი დრო თავისი შესაგებლის წარსადგენად.

3157. ცნობასა თუ აღსრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია მარტო იმ საფუძვლით, რომ თავდაპირველმა სახელისუფლო ორგანომ გამოიყენა იმ სამართლისაგან განსხვავებული სამართალი, რომელიც გამოყენებადი იქნებოდა წინამდებარე წიგნში მოცემული ნორმების საფუძველზე.

3158. კვებეკის სახელისუფლო ორგანო შემოიფარგლება იმის დადგენით, აკმაყოფილებს თუ არა წინამდებარე ტიტულში მოცემულ მოთხოვნებს გადაწყვეტილება, რომლის მიმართაც მოთხოვნილია ცნობა ან აღსრულება, გადაწყვეტილების დავის არსის განხილვის გარეშე.

3159. თუ გადაწყვეტილება შეიცავს დებულებებს, რომელთა გამიჯვნაც შესაძლებელია, ნებისმიერი მათგანი ან მათი უმრავლესობა შეიძლება განცალკევებულად იქნეს ცნობილი ან აღსრულებული.

3160. კვებეკის ფარგლებს გარეთ მიღებული გადაწყვეტილება დახმარების თანხები რეგულარული გადახდების მინიჭების თაობაზე შეიძლება იქნეს ცნობილი და აღსრულებად გადაწყვეტილებად გამოცხადებული ვადამოსული გადახდების მიმართ და ასევე — იმ გადახდების მიმართ, რომელთა განხორციელების ვადაც უნდა დადგეს.

3161. როდესაც უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილება მოვალეს აკისრებს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი თანხის გადახდას, კვებეკის სახელისუფლო ორგანო ახდენს თანხის კონვერტაციას კანადურ ვალუტაში იმ მომენტში არსებული გაცვლითი კურსით, როდესაც გადაწყვეტილება გახდა აღსრულებადი იმ ადგილზე, სადაც ის იქნა მიღებული.

კონვერტაციის განხორციელებამდე უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი პროცენტის განსაზღვრის საკითხი რეგულირდება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს სამართლით.

3162. კვებეკის სახელისუფლო ორგანო ცნობს და აღასრულებს იმ სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომელიც ცნობს და აღასრულებს კვებეკის საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებებს.

3163. მათი წარმოშობის ადგილებზე აღსრულებადი გარიგებების ცნობა და, აუცილებლობის შემთხვევაში, კვებეკში აღსრულებადად აღიარება ხდება იგივე პირობებზე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებებისა იმ ფარგლებში, რომლებშიც აღნიშნული პირობები გამოიყენება გარიგებების მიმართ.

თავი 2
უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია

3164. უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია დგინდება წინამდებარე წიგნის მესამე ტიტულის საფუძველზე კვებეკის სახელისუფლო ორგანოების მიმართ გამოსაყენებელი იურისდიქციის შესახებ ნორმების შესაბამისად იმ ფარგლებში, რომლებშიც დავა არსებით კავშირშია იმ სახელმწიფოსთან, რომლის ორგანოც იხილავს დავას.

3165. უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციის ცნობა კვებეკის სახელისუფლო ორგანოების მიერ არ ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1) როდესაც დავის საგნის ან მხარეთა შორის შეთანხმების გამო კვებეკის სამართალი თავის სახელისუფლო ორგანოებს ანიჭებს იმ სარჩელის განხილვის ექსკლუზიურ იურისდიქციას, რომელიც გახდა უცხოეთში მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი;

2) როდესაც დავის საგნის ან მხარეთა შორის შეთანხმების გამო კვებეკის სამართალი ცნობს უცხო ქვეყნის სხვა სახელისუფლო ორგანოს ექსკლუზიურ იურისდიქციას;

3) როდესაც კვებეკის სამართალი ცნობს იმ შეთანხმებას, რომლითაც ექსკლუზიური იურისდიქცია გადაეცა არბიტრს.

3166. უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციის ცნობა ხდება შვილად აყვანის საკითხებზე, როდესაც ბავშვს ან მის ერთ-ერთ მშობელს საცხოვრებელი ადგილი აქვს ამ სახელმწიფოში ანდა ის ამ უკანასკნელის მოქალაქეა.

3167. განქორწინების საკითხებზე სარჩელებისათვის უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციის ცნობა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს თავისი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა იმ სახელმწიფოში, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ან მას თავისი ადგილსამყოფელი ამ სახელმწიფოში ჰქონდა, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში საქმის წარმოების დაწყებამდე, თუ მეუღლეები წარმოადგენენ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, ან თუ გადაწყვეტილება ცნობილ იქნა ერთ-ერთ აღნიშნულ სახელმწიფოში.

სამოქალაქო კავშირის შეწყვეტის საკითხებზე სარჩელებისათვის უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციის ცნობა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი სახელმწიფო ცნობს ამ სამართლებრივ ინსტიტუტს; როდესაც სახეზეა ასეთი შემთხვევა, მათი იურისდიქციის ცნობა ხდება იგივე პირობებზე, როგორც განქორწინების შემთხვევისათვის.

3168. ქონებრივი ხასიათის პირად სარჩელებში უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციის ცნობა ხდება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1) მოპასუხეს საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა იმ სახელმწიფოში, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული;

2) მოპასუხე ფლობდა დაწესებულებას იმ სახელმწიფოში, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, დავა კი ეხება ამ სახელმწიფოში მის საქმიანობას;

3) ზიანი განცდილ იქნა იმ სახელმწიფოში, სადაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, და ის წარმოადგენდა ამ სახელმწიფოში ჩადენილი დარღვევის ანდა ამ სახელმწიფოში მომხდარი დელიქტის შედეგს;

4) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო ამ სახელმწიფოში;

5) მხარეებმა მათ შორის სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე არსებული ან სამომავლო დავები გადასცეს უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოებს; თუმცა, მომხმარებლის ან მუშაკის მიერ მისი საცხოვრებელი ადგილის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქციაზე უარის გამოყენება მის მიმართ დაუშვებელია;

6) მოპასუხემ აღიარა უცხო ქვეყნის სახელისუფლო ორგანოების იურისდიქცია.

დასკვნითი დებულებები

წინამდებარე კოდექსი ცვლის 1865 წლის კანადის პროვინციის კანონთა 41-ე თავით მიღებულ ქვემო კანადის სამოქალაქო კოდექსს, ქვემო კანადის სამოქალაქო კოდექსთან დაკავშირებულ კანონს მასში განხორციელებული ცვლილებებით. წინამდებარე კოდექსი ასევე ცვლის 1980 წლის კანონის 39-ე თავის პირველ მუხლს, ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღებისა და საოჯახო სამართლის რეფორმირების შესახებ კანონს მასში განხორციელებული ცვლილებებით და ასევე — 1987 წლის კანონის მე-18 თავს, პირთა, მემკვიდრეობისა და ქონების შესახებ რეფორმირებული სამართლის კვებეკის სამოქალაქო კოდექსისათვის დამატების შესახებ კანონს.

წინამდებარე კოდექსი ძალაში შედის მთავრობის მიერ დადგენილ დღეს სამოქალაქო კოდექსის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი

CIVIL CODE OF QUÉBEC

(2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით)

© კვებეკის სამოქალაქო კოდექსი
© გამომცემელი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა